საქართველოს ისტორიის ნაროკვევები

რვა ტომად

სარედაქციო კოლეგია:

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. მელიქიშვილი (მთ. რედაქტორი), პროფ. ი. ანთელავა, პროფ. ვ. დონდუა, პროფ. მ. დუმბაძე, პროფ. ი. კაბარავა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორ. შ. მესხია, პროფ. ნ. სტურუა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორ. ა. სურგულაძე.

გამოსაცემად მზად „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1979

საქართველოს ისტორიის ნარკვევები

ტომი III

საქართველო XI—XV საუკუნეებში

ტომის რედაქტორები:
ზურაბ ანჩაბაძე
ვიქტორ გუჩუა

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1979

9 (Ქ 41)
9 (47.922)
Ს 323

წიგნი მოწონებულია და რეკომენდებულია გამოსაქეყნებლად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ.

„საქართველოს ისტორიის ნარკვევების“
მესამე ტომის ავტორები:

ა. აბდალაძე, ზ. ანჩაბაძე, შ. ბადრიძე, მ. ბერძნიშვილი, ვ. ბერიძე, რ. კიკნაძე, ბ. ლომთათიძე, ბ. ლომინაძე, მ. ლორთქიფანიძე, შ. მესხია, რ. მეტრეველი, თ. პაპუაშვილი, ბ. სილაბაძე, კ. ტაბატაძე, ნ. შენგელია, შ. ხიდაშელი.

Ю $\frac{10601 - 001}{М\ 601\ (08) - 79}$ 93—79

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ 1979

შესავალი

§ 1. ეპოქის ზოგადი დახასიათება

საქართველოს ისტორიის ნარკვევების მესამე ტომის ქრონოლოგიური ჩარჩო — XI—XV საუკუნეები — მოიცავს ქართველი ხალხის ისტორიის უაღრესად მნიშვნელოვან პერიოდს. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მხრივ ეს იყო ჩამოყალიბებული, განვითარებული ფეოდალიზმის ხანა.

ქვეყნის პოლიტიკური ისტორიის თვალსაზრისით მოცემული პერიოდი იყოფა ორ, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ, ეტაპად. ამათგან პირველი — XI—XIII სს. დასაწყისი—ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული განვითარების აღმავალი ეტაპი იყო, კერძოდ, XII — XIII სს. მიჯნაზე შუა საუკუნეების საქართველო ერთიან, შედარებით ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ იქცა და თავისი ისტორიული ცხოვრების უმაღლეს საფეხურს მიაღწია. შემდგომ ეტაპზე კი (XIII ს. შუა წლები — XV ს.) საშინაო და საგარეო ვითარების მკვეთრმა გაუარესებამ გამოიწვია ქვეყნის ეკონომიკის, პოლიტიკისა და კულტურის თანდათანობითი დაქვეითება, რომელიც XV ს. მიწურულს ცალკეულ სამეფო-სამთავროებად პოლიტიკური დაშლით დასრულდა.

ქვემოთ შევეცდებით ზოგადად დავახასიათოთ ეს ისტორიული პროცესი.

* * *

X ს. ბოლოსათვის საქართველოს საზოგადოებრივმა წყობილებამ მიიღო სავსებით ჩამოყალიბებული, განვითარებული ფეოდალიზმის სახე. მაშინდელი საქართველოს მოსახლეობა ორი ძირითადი კლასისაგან—გაბატონებული ფეოდალური კლასისა (აზნაურობა) და ექსპლოატირებული, ფეოდალურად დამოკიდებული გლეხობისაგან შედგებოდა. ანტაგონისტური წინააღმდეგობანი და ბრძოლა აღნიშნულ კლასებს შორის კი ამ

ეპოქის საქართველოს ისტორიის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი იყო.

აზნაურთა გაბატონებული კლასი დიდებულებისა (მსხვილი ფეოდალები) და აზნაურებისაგან (წვრილი და საშუალო ფეოდალები) შედგებოდა.

ფეოდალური კლასის შინაგანი ორგანიზაცია მწყობრ იერარქიულ სტრუქტურაზე იყო დამყარებული. სიუზერენულ-ვასალური დამოკიდებულების — პატრონყმობის — საფუძველი მიწის ფეოდალური საკუთრება იყო.

იმ დროის ქართველი გლეხობის ძირითად მასას ფეოდალის მიწაზე მიმაგრებული ყმა გლეხები შეადგენდნენ. გლეხობა მკაცრ ფეოდალურ-ბატონყმურ ექსპლოატაციას განიცდიდა. იგი თავისი ბატონის სასარგებლოდ მძიმე ფეოდალურ ვალდებულებებს იხდიდა (ღალა, შრომითი ბეგარა, ფულადი რენტა). მაგრამ გლეხობის ნაწილი XI ს. მანძილზე და XII ს. პირველ ნახევარში ჯერ კიდევ ინარჩუნებდა პირად თავისუფლებას და საკუთარ მიწას. ესენი იყვნენ მდაბიურნი, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების მოლაშქრეთა ნაწილს შეადგენდნენ.

ფეოდალურ საქართველოში ცალკე წოდებრივ ჯგუფს წარმოადგენდნენ ვაჭრები. ისინი ორ ძირითად კატეგორიად — დიდვაჭრებად და წვრილ ვაჭრებად იყოფოდნენ. საქართველოს მრავალრიცხოვან ქალაქებში მრავლად იყვნენ ხელოსნებიც. ფეოდალურად დამოკიდებულ გლეხთა და ხელოსანთა შრომა იყო ქართული ფეოდალური საზოგადოების ეკონომიკური საფუძველი.

საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქია არ წარმოადგენდა შინაგანად მტკიცედ ცენტრალიზებულ სახელმწიფოს, რამდენადაც ეკონომიკური ბაზისი, რომელსაც იგი ემყარებოდა, არ იყო იმდენად მყარი, რომ უზრუნველეყო სახელმწიფოს პოლიტიკური ერთიანობა. საქვეყნოდ გამრიგე მოხელეები — ერისთავები, ერისთავთერისთავები და, საერთოდ, დიდებულები, ყოველთვის ცდილობდნენ შეერყიათ ქვეყნის ერთიანობა, მაქსიმალურად დაესუსტებინათ მეფის ცენტრალური ხელისუფლება.

ბაგრატ III და მისი უახლოესი მემკვიდრეები (გიორგი I, ბაგრატ IV, გიორგი II) თითქმის მთელი XI ს. განმავლობაში შეუპოვრად ებრძოდნენ შინაურ მტრებსა თუ უცხო დამპყრობლებს სახელმწიფოს ერთიანობის შესანარჩუნებლად.

ერისთავები მათზე დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში ახორციელებდნენ როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ხელისუფლებას. თავიანთი მდგომარეობით ისინი მეფის მოხელეები იყვნენ, მაგრამ ყოველნაირად ცდილობდნენ ერისთავობა თავიანთ საგვარეულო სამემკვიდრეო სახელოდ ექციათ, რასაც ხშირად აღწევდნენ კიდეც.

მთელი XI ს. მანძილზე საქართველო რთულ საგარეო-პოლიტიკურ ვითარებაში იმყოფებოდა. მეზობელ დიდ სახელმწიფოებს არ სურდათ

მათ გვერდით ყოფილიყო ერთიანი და ძლიერი საქართველო. განსაკუთრებით მწვავე და ხანგრძლივი იყო ფეოდალური საქართველოს ბრძოლა ბიზანტიის წინააღმდეგ, რომელმაც დავით კურაპალატის გარდაცვალების (1001 წ.) შემდეგ მალე ხელთ იგდო მისი სამფლობელოს დიდი ნაწილი და მხოლოდ XI ს. 70-იან წლებში შეძლეს ქართველებმა დავითის „მემკვიდრეობის" დაბრუნება.

საქართველო დამოუკიდებლობისათვის შეუპოვრად იბრძოდა აგრეთვე თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ, რომლებიც განსაკუთრებით ინტენსიურად არბევდნენ ქვეყანას XI ს. 60-იანი წლებიდან. წინანდელი დამპყრობლებისაგან განსხვავებით, თურქ-სელჩუკები მიზნად ისახავდნენ საქართველოში დამკვიდრებული ბინადარი სამიწათმოქმედო კულტურის აღმოფხვრას, მის ადგილზე კი ჩამორჩენილი სამეჯოგეო მეურნეობის განვითარებასა და ქვეყანაში ნომადების ჩასახლებას. მაგრამ XI ს. დასასრულიდან, ქართველი ხალხის წინააღმდეგობის გაძლიერებისა და ჯვაროსნული ომების დროს თურქ-სელჩუკთა ძალების სამხრეთისაკენ წარმართვის შედეგად, საქართველო თანდათანობით თავისუფლდებოდა მათი ბატონობისაგან.

XII ს. დასაწყისისათვის საქართველოში მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული ცენტრალიზებული სახელმწიფოს განმტკიცებისა და უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. დავით აღმაშენებელმა (1089 — 1125 წწ.), რომელიც ეყრდნობოდა ქვეყნის ერთიანობით დაინტერესებულ სოციალურ ფენებს — წვრილ და საშუალო აზნაურებს, ქალაქების ვაჭრულ-ხელოსნურ ელემენტებს და თავისუფალ მდაბიურ-მოლაშქრეებს, გაატარა მთელი რიგი მნიშვნელოვანი რეფორმები ეკონომიკის, სახელმწიფო წყობილების, სამხედრო საქმის, ეკლესიის, სასამართლო დაწესებულებასა და სხვადასხვა სფეროში. ეს ღონისძიებანი მიზნად ისახავდა სამ ძირითად ამოცანას: სახელმწიფოს შინაგანი ერთიანობის განმტკიცებას, მმართველობის ცენტრალიზაციას და ქვეყნის საგარეო უშიშროების უზრუნველყოფას. დავითი მკაცრად გაუსწორდა სეპარატისტულად განწყობილ მსხვილ ფეოდალებს — ის არ ერიდებოდა მათი სამფლობელოების სრულ კონფისკაციასა და ზოგიერთი მეტად ჭირვეული მოწინააღმდეგის სამშობლოდან გაძევებასაც კი.

თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლა თანდათანობით ობიექტურად გადაიზარდა მთელი ამიერკავკასიის მათი ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ამაში ქართველებს აქტიურ დახმარებას უწევდნენ ამიერკავკასიის მოძმე ხალხები — სომხები და ალბანელები. დროთა განმავლობაში საქართველოს სამეფო მრავალეროვან სახელმწიფოდ გადაიქცა.

დავით აღმაშენებლის მემკვიდრეების დროს, განსაკუთრებით გი-

ორგი III-ის მეფობაში (1156 — 1184 წწ.) ცენტრალურმა ხელისუფლებამ თავის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ახალი, მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა. ხოლო ამ წარმატებების შედეგად ფეოდალიზმის განვითარების უმაღლეს საფეხურს ქართულმა საზოგადოებამ XII — XIII სს. მიჯნაზე, თამარის მეფობაში (1184 — 1213 წწ.), მიაღწია. საქართველო იქცა კავკასიის უძლიერეს სახელმწიფოდ და მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთ წამყვან პოლიტიკურ ერთეულად. ფეოდალური საქართველოს მიერ მოპოვებული პოლიტიკური სიძლიერე განპირობებული იყო აღნიშნული ეპოქის ეკონომიკური აღმავლობით. სოფლის მეურნეობამ, ხელოსნურმა წარმოებამ და ვაჭრობამ იმ დროისათვის განვითარების მაღალ დონეს მიაღწია, რაც, თავის მხრივ, ფეოდალური საქართველოს ისეთი კულტურული აყვავების საფუძველი გახდა, რომელსაც ადგილი არ ჰქონია ფეოდალიზმის არც წინანდელ და არც შემდეგდროინდელ პერიოდში. იმ დროის ქართული კულტურის განვითარების გვირგვინი იყო „ვეფხისტყაოსანი“ — შოთა რუსთაველის გენიალური ქმნილება.

* * *

შემდეგში ფეოდალური საქართველო ხანგრძლივი დაქვეითების გზას დაადგა, რომელიც თითქმის ექვსი საუკუნე გრძელდებოდა. ეს კი მთელი რიგი შინაგანი და გარეგანი ობიექტური ფაქტორების შედეგი იყო.

XIII ს. დასაწყისისათვის ფეოდალური საქართველო, გარეგანი ბრწყინვალების მიუხედავად, განიცდიდა სერიოზულ შინაგან სოციალურ-პოლიტიკურ კრიზისს. ამის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ამ დროისათვის თავისუფალ მდაბიო-მოლაშქრეთა ფენა, რომელიც ადრე (მაგალითად, დავით აღმაშენებლის დროს) შეადგენდა ცენტრალური ხელისუფლების სამხედრო ძალების მნიშვნელოვან რეზერვს, თითქმის მთლიანად გაქრა, ხოლო ახალი საზოგადოებრივი ძალები (კერძოდ, „მესამე წოდება“ — ქალაქის ვაჭრულ-ხელოსნური ელემენტები, ახალი, თავისუფალი გლეხობა), რომლებიც მეფის ხელისუფლების დასაყრდენი უნდა ყოფილიყვნენ, პოლიტიკურად ვერ მომწიფდნენ.

საქართველოს სახელმწიფო წყობილებისათვის ამ კრიტიკულ მომენტში ქვეყანას შემოესივნენ მონღოლ-თათართა მრისხანე ურდოები, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების სისუსტისა და ზოგიერთი მსხვილი ფეოდალ-დიდებულის ღალატის გამო XIII ს. 30-იანი წლების ბოლოს შედარებით ადვილად დაეუფლნენ ქვეყანას.

მონღოლთა თითქმის ასწლიანი ბატონობის ხანაში საქართველომ ღრმა სამეურნეო და კულტურული დაცემა განიცადა. მონღოლების მიერ დამ-

ყარებულმა რეჟიმმა, რომელსაც აქტიურად უჭერდა მხარს ადგილობრივი მსხვილი ფეოდალების ერთი ნაწილი, სათავე დაუდო ერთიანი ფეოდალური სამეფოს პოლიტიკურ დაშლას.

დამპყრობლების წინააღმდეგ ქართველი ხალხის აქტიური ბრძოლით. რომელიც მონღოლთა სახელმწიფოში გაჩაღებული შინაფეოდალური ომების პირობებში მიმდინარეობდა, საქართველო განთავისუფლდა.

გიორგი V ბრწყინვალის მეფობაში (1314 — 1346 წწ.) საქართველო თანდათანობით გამოდიოდა მძიმე მდგომარეობიდან. კვლავ აღდგა საქართველოს ერთიანი სახელმწიფო, ქვეყნიდან განდევნეს მონღოლთა გარნიზონები, მნიშვნელოვნად განმტკიცდა ცენტრალური ხელისუფლება, ქვეყანა ეკონომიკური აღმავლობის გზას დაადგა. მაგრამ მომთაბარეთა ახალმა შემოსევებმა საქართველოს გაერთიანების საქმე საბოლოოდ ჩაშალა.

XIV — XV სს. მიჯნაზე ქვეყანას თემურლენგი რვაჯერ შემოესია გამანადგურებლად. მიუხედავად ქართველი ხალხის გმირული წინააღმდეგობისა, თემურმა ქვეყანა ისეთ გაჩანაგებამდე მიიყვანა, რომ დასუსტებული საქართველო დიდხანს წელში ვერ გასწორდა. ამგვარი აოხრება ადრე არასოდეს განუცდია.

XV საუკუნის მანძილზე ფეოდალური საქართველო სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული დაქვეითების გზით მიდიოდა. ალექსანდრე I-ის (1412 — 1442 წწ.) ცდა — აღედგინა სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა და შინაგანი ერთიანობა, ნაწილობრივი მიღწევების მიუხედავად, საბოლოოდ მაინც სრული მარცხით დამთავრდა.

XV საუკუნისათვის არსებითი ცვლილებები მოხდა ქართული ფეოდალური საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაშიც: დიდებულებმა საბოლოოდ მიითვისეს ადრე საგამგეოდ მიცემული მიწები და ჩამოყალიბდნენ ცალკე თავადთა წოდებად, რომელიც აზნაურთა წოდებაზე მაღლა იდგა; აზნაურები კი, რომელთა უმრავლესობა წინათ უშუალოდ მეფის ხელისუფლებაზე იყვნენ დამოკიდებულნი, ახლა მნიშვნელოვანწილად თავადთა ვასალურ დამოკიდებულებაში მოექცნენ.

განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო ის ცვლილებები, რომლებიც მოხდა გლეხობის ეკონომიკურ და სოციალურ-უფლებრივ მდგომარეობაში. გლეხობა, რომელიც, როგორც აღნიშნული იყო, ჯერ კიდეც ადრე მთლიანად მოექცა ბატონყმურ დამოკიდებულებაში, ყველაზე მეტად ზარალდებოდა საგარეო შემოსევებისა და შინაფეოდალური ომებისაგან. ამის შედეგად მკვეთრად დაირღვა რიცხობრივი შეფარდება გაბატონებულ კლასსა და მწარმოებელთა შორის ამ უკანასკნელთა საზიანოდ. ფეოდალთა შედარებით მრავალრიცხოვანი ფენა უფრო მძიმედ აწვებოდა შეთხელებულ გლეხობას. მემამულეები სისტემატურად ადიდებდნენ ად-

რინდელი გადასახადების მოცულობას და აწესებდნენ ახალ გადასახადებს. გარდა ამისა, გლეხობა იბეგრებოდა მძიმე სახელმწიფო და საეკლესიო გადასახადებით.

ფეოდალებმა ყმა გლეხები ფაქტიურად მონის მდგომარეობამდე მიიყვანეს. ასეთი გლეხი აღარ იყო დაინტერესებული ინტენსიური მეურნეობის განვითარებით და გულგრილად უყურებდა ცენტრალური ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლების გამაერთიანებელ ღონისძიებებს. ამიტომაც ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდენი სოციალური ბაზა კიდევ უფრო დასუსტდა.

შექმნილი ვითარებით, უპირველეს ყოვლისა, ისარგებლეს თავადებმა და მნიშვნელოვანი პოლიტიკური უფლებები მოიპოვეს. სათავადო ტიპურ ნახევრად დამოუკიდებელ სენიორიად გადაიქცა. მაგრამ, ადრეფეოდალური ეპოქისაგან განსხვავებით, როცა სენიორია წარმოადგენდა ფეოდალურ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ურთიერთობათა პროგრესული განვითარების ფორმას, ახლანდელი სათავადო-სენიორია დაქვეითებისა და ჩამორჩენილობის ნაყოფი იყო და, თავის მხრივ, ასაზრდოებდა ამ ჩამორჩენილობას.

ყველაფერმა ამან საბოლოო ჯამში XV — XVI სს. მიჯნაზე გამოიწვია ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლა ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და სამცხე-საათაბაგოსა და ოდიშის სამთავროებად. საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლა მოხდა ეკონომიკური დაქვეითების შედეგად საბოლოოდ გამარჯვებული ბატონყმობისა და თავადური იმუნიტეტის განვითარების პირობებში. ეკონომიკურმა დაქვეითებამ გამოიწვია ნატურალური მეურნეობის საყოველთაო განმტკიცება, რაც, თავის მხრივ, ზემოთ აღწერილი შინაგანი სოციალურ-კლასობრივი და საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობათა რთული გადახლართვის შედეგი იყო.

XV ს. მეორე ნახევარში საქართველო შეეცადა „დაჩიხულობიდან" გამოსულიყო დასავლეთ ევროპის დახმარებით, მაგრამ ეს ცდაც უშედეგო გამოდგა. ამიტომ იმავე საუკუნის ბოლოს ქართველი საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლებმა ორიენტაცია აიღეს რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოსაკენ, რომელსაც უკავშირებდნენ საქართველოს საბოლოო განთავისუფლების იმედებს.

§ 2. წყაროები

ა. ქართული, ბიზანტიური და დასავლეთევროპული წყაროები

1. XI—XII სს. ისტორიის წყაროები

XI ს. საქართველოს ისტორიის პირველხარისხოვან წყაროებს წარმოადგენენ ამ საუკუნეებში შექმნილი თხზულებანი „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიონთა“ და „მატიანე ქართლისა“.

XI ს. I ნახევრის ავტორის სუმბატ დავითის ძის ნაშრომი „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“[1], როგორც ცნობილია, გარკვეული მიზნით დაწერილი საისტორიო ნაწარმოებია. ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის მიერ ერთიანი საქართველოს ტახტის დაკავებამ და ამ საგვარეულოს თანდათან აღზევებამ დღის წესრიგში დააყენა ბაგრატიონთა პოლიტიკური ბატონობის იდეოლოგიური დასაბუთების მოთხოვნილება, რისთვისაც გამოყენებულ იქნა ქართულ-სომხურ სამყაროში ადრიდანვე შემუშავებული ლეგენდა ბაგრატიონთა საგვარეულოს ღვთიური წარმოშობის შესახებ. ისტორიკოსმა სუმბატ დავითის ძემ სათანადოდ დაამუშავა ეს ლეგენდა და შეადგინა ბაგრატიონთა ღვთიური წარმომავლობის გენეალოგია. თხზულება ადამიდან იწყება და XI ს. 30-იანი წლების დასაწყისის ამბებზე წყდება. მიუხედავად თხზულების ასე აშკარად გამიზნული დანიშნულებისა და ტენდენციურობისა, მას, როგორც პირველწყაროს, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს[2].

XI საუკუნის ანონიმი ავტორის „მატიანე ქართლისა“[3], რომელიც VIII საუკუნის ამბებით იწყება, თანამიმდევრულად გადმოგვცემს ისტორიულ მოვლენებს XI საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისამდე. იგი გვაწვდის ცნობებს XI საუკუნის დასაწყისში კახეთ-ჰერეთის ერთიანი საქართველოს სამეფოსთან შემოერთების, განძის ათაბაგთან ბრძოლის, აგრეთვე იმ დაძაბული შინაკლასობრივი მტრობა-შუღლის შესახებ, რომლებიც ბაგრატ III-ის გამეფების დროიდან მოყოლებული მიმდინარეობდა ქართულ ფეოდალურ მონარქიაში. შინაკლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ წყაროს ცნობებს ბაღვაშთა ძლიერი საგვარეულოს ისტორიის შესახებ. იგივე წყარო ვრცლად მოგვითხრობს საქართველოს ურთიერთობაზე ბიზანტიის იმპერიასთან, მეზობელ სომხურ სახელმწიფოებთან და აგრეთვე თურქ-სელჩუკთა პირველ შემოსე-

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ., 1955, გვ. 372 — 386.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წ. I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 192 — 194.

[3] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 249 — 317.

ვებზე. აღნიშნული წყაროს ცნობების მნიშვნელობა XI საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის, მათი ეპვმიუტანლობა სათანადოდ არის შეფასებული და დასაბუთებული ქართულ ისტორიოგრაფიაში[1].

„მატიანე ქართლისას" უშუალო გაგრძელებას „ქართლის ცხოვრების" კრებულში წარმოადგენს „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი"[2]. დიდად განათლებული ისტორიკოსის თხზულება, დავითის საქმიანობას მსოფლიოს დიდი სახელმწიფო მოღვაწეების საქმიანობას ადარებს და ამ ხანის საქართველოს ისტორიას მთელი ამიერკავკასიის და, შეიძლება ითქვას, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის ფონზე იხილავს. თხზულება უაღრესად მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, იმიტომ, რომ ფაქტიურად ეს არის ერთადერთი თანამედროვე ეროვნული წყარო, რომელიც თანამიმდევრულად მოგვითხრობს დავითის მოღვაწეობის ყველა ძირითად მხარეზე. თხზულების ავტორი აღწერილი ამბების თანამედროვე და მეფესთან დაახლოებული ყოფილა. ნაშრომში ჩანს ავტორის სუბიექტივიზმი და მეფისადმი თაყვანისცემის ტენდენცია. მიუხედავად ამისა, ავტორი არ მალავს გარკვეული პოლიტიკური წრეების უკმაყოფილებას, გამოწვეულს დავითის ამა თუ იმ ღონისძიებით, დავითის მოწინააღმდეგე დაჯგუფებების არსებობას. ამასთანავე, თხზულების შეფასებისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ეს საისტორიო ნაწარმოები უაღრესად სანდო და ეპვმიუტანელია, რისი დამამტკიცებელია დავითის ისტორიკოსის მთელი რიგი ცნობების დადასტურება უცხოური წერილობითი მასალების მონაცემებით, ნუმიზმატიკური ფაქტებითა და სხვა წყაროებით[3].

თამარის ისტორიკოსთა ნაწარმოებები — „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი"[4] და ბასილ ეზოსმოძღვრის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი"[5] — აგრეთვე თანამედროვე ავტორთა მიერ დაწერილი საისტორიო თხზულებებია. ისევე როგორც „ქართლის ცხოვრების" კრებულში შესულ ყველა სხვა საისტორიო თხზულებას, თამარის ისტორიკოსთა ნაშრომებსაც ტენდენციურობა ახასიათებთ. მათში აშკარად იგრძნობა ავტორთა უარყოფითი დამოკიდებულება მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული ყველა ღონისძიებისა და მეფის წინააღმდეგ მებრძოლი

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წ. I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 195 — 207.

[2] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 318 — 364.

[3] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 208 — 218; მისივე, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1948, გვ. 193 — 221.

[4] ქართლის ცხოვრება, ტ. II, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ., 1959, გვ. 1—114.

[5] იქვე. გვ. 115 — 150; ამ ნაშრომთა შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 208 — 219 და 220 — 241.

ყველა სახელმწიფო მოღვაწის მიმართ. ორივე ავტორის მიზანი, მიუხედავად მათი თხრობის სტილის სხვადასხვაობისა და წინ წამოწეულ საკითხთა განსხვავებულობისა, ერთია — აჩვენონ თამარის ეპოქის საქართველოს სიდიადე, სიძლიერე, ხაზი გაუსვან ქვეყნის საერთო ეკონომიკურ და კულტურულ აღმავლობას და ყოველივე ამის ძირითად პირობად დასახონ თვით თამარის თუ მის გარშემო შემოკრებილ სახელმწიფო მოღვაწეთა კეთილგონიერება, სამშობლოს დიდი სიყვარული და მისი ინტერესების უანგარო სამსახური. მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული ყველა გამოსვლა მათში მონაწილეთა პირადი უარყოფითი თვისებებითაა ახსნილი. ისტორიკოსები ცდილობენ მიჩქმალონ ეპოქის ღრმა სოციალური წინააღმდეგობანი ან შესაძლებელია თვითონაც ვერ გრძნობენ და ვერ ერკვევიან ამ წინააღმდეგობებში. ისეთი მნიშვნელოვანი მომენტი თამარის დროის საქართველოს ისტორიაში, როგორიცაა გიორგი ანდრია ბოგოლუბსკის ძის განდევნა საქართველოდან, ისტორიკოსთა მიერ მხოლოდ გიორგის პირადი თვისებებითაა ახსნილი.

სავსებით უგულებელყოფილია ისტორიკოსთა მიერ კლასობრივი წინააღმდეგობანი და ქვეყნის შიგნით სრული ჰარმონიისა და საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლის თავისი მდგომარეობით სრული კმაყოფილების სურათია დახატული.

თამარის ამ ორი ისტორიკოსის შრომა მნიშვნელოვნად ავსებს ერთმანეთის მონაცემებს, რადგან მათი ავტორების ინტერესთა წრე საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან. თუ ერთს უფრო საშინაო პოლიტიკის და მეფის პირადი ცხოვრების საკითხები აინტერესებს, მეორე უმეტესად საგარეო ურთიერთობის საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას. აღსანიშნავია ისიც, რომ თამარის პირველი ისტორიკოსი („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი") თხრობას გიორგის მეფობით იწყებს და უმთავრეს წყაროს გიორგი III-ის მეფობის შესახებ ჩვენთვის ეს საისტორიო თხზულება წარმოადგენს.

უკანასკნელ ხანს ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრება თამარის ისტორიკოსთა ვინაობის შესახებ (ივ. ლოლაშვილი, კ. გრიგოლია და სხვ.).

ასევე უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობების შემცველია ჩვენი ისტორიისათვის ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანეს თხზულება[1]. ეს მატიანე, მიუხედავად თავისი მცირე მოცულობისა, საკმაოდ მდიდარია ქრონოლოგიური მონაცემებით. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს არის ერთადერთი ქართული ნარატიული წყარო, რომელიც დავით აღმაშენებლის ძის, მეფე

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 365 — 371.

დემეტრე I-ის და მისი ძის, მეფე დავით V-ის შესახებ გვაწვდის ცნობებს[1].

„ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესული ეს საისტორიო თხზულებანი, რომელნიც მათში გადმოცემული ფაქტიური ცნობების თვალსაზრისით უმთავრესად სანდონი არიან, ამასთანავე საკმაოდ ტენდენციურად აშუქებენ მთელ რიგ ისტორიულ მოვლენებს. პირველ რიგში აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ თხზულებებში ძირითადად მოცემულია ქვეყნის პოლიტიკური ისტორია, ბრძოლა ქართული მიწების გაერთიანებისა და შემდგომ მეზობელთა მიწა-წყლის შემოერთებისათვის. აღნიშნულ თხზულებებში გატარებულია ერთი მთავარი აზრი, რომ ბრძოლა ქართული მიწების შემოერთებისათვის, და შემდეგ არაქართული მიწების დაპყრობისათვის სამართლიანი და ისტორიულად გამართლებულია. დავით აღმაშენებლის დროიდან დაწყებული დაპყრობითი ომები თავდაცვის, მოძმე ხალხთა განთავისუფლების და საქართველოს საზღვრების დაცვის აუცილებლობითაა გაპირობებული. როგორც დავითის ისტორიკოსი ამართლებს დავითის დროინდელი ბრძოლების შედეგად თურქ-სელჩუკთა უღლისაგან განთავისუფლებული ქვეყნების — უშუალოდ საქართველოს სამეფოსთან შემოერთებას და მეფის ტახტისათვის დაქვემდებარებას, ასევე თამარის ისტორიკოსი ისტორიული აუცილებლობით ხსნის თამარის დროს წარმოებული დაპყრობითი ომების შედეგად საქართველოს ირგვლივ ყმადნაფიცი ვასალური სახელმწიფოების სისტემის ჩამოყალიბებას.

იმ დაძაბულ შინაკლასობრივ ბრძოლაში, რომელიც XI — XII საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობდა, „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესულ ისტორიკოსთა ნაშრომებში, როგორც წესი, გამართლებულია სამეფო ხელისუფლების პოლიტიკა და მეფეთა ყოველგვარი საშუალებებით ბრძოლა მეამბოხე-ურჩი ფეოდალების წინააღმდეგ. მთლიანად მიჩქმალულია კლასობრივი წინააღმდეგობისა და კლასობრივი ბრძოლის არსებობა, საქართველოს მთიელთა ბრძოლაც კი ფეოდალური უღლის წინააღმდეგ მთიელთა ურწმუნოებითაა ახსნილი. თამარის ისტორიკოსი მოგვითხრობს რა საერთო ეკონომიკურ და კულტურულ აღმავლობაზე, საერთო კეთილდღეობისა და მატერიალური უზრუნველყოფის სურათს ხატავს, თუმცა იქვე იძულებულია მოგვითხროს გლახაკთა და არასმქონეთათვის სახელმწიფოს მიერ შემოსავლის მეათედის დაწესების აუცილებლობის შესახებ. შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ იმ მწვავე საშინაო კრიზისის შესახებ, რომელიც თამარის მეფობის პირველ წლებში იჩენს თავს, „ისტორიანისა და აზმანის“ ავტორი ძალიან მოკლედ მოგვითხრობს (გან-

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 244 — 245.

საკუთრებით ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის გამოსვლაზე), ხოლო ბასილ ეზოსმოძღვარი საერთოდ დუმს.

ქართლის ცხოვრების კრებულში შესული საისტორიო თხზულებების მონაცემებს XI — XII საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის მნიშვნელოვნად ავსებენ ჰაგიოგრაფიული ლიტერატურისა და სხვა წყაროების მონაცემები. ჰაგიოგრაფიულ თხზულებათაგან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ათონელ მოღვაწეთა ცხოვრებებს[1]. მართალია, ეს თხზულებანი უმთავრესად ათონის ქართველთა მონასტრის დაარსებისა და მისი ისტორიის გადმოცემას ისახავენ მიზნად და ძირითადად იქ წარმოებული დიდი კულტურული საქმიანობის შესახებ მოგვითხრობენ, მაგრამ ამასთან გვაწვდიან ცნობებს ამ ხანის ქართულ სახელმწიფოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების, საშინაო ხასიათის ისტორიული ფაქტების შესახებაც. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ წყაროთა ცნობებს ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის გასარკვევად, კერძოდ, XI საუკუნეში მეფე ბაგრატ IV-ის დედის, დედოფალ მარიამის ბიზანტიაში ელჩობის, ხოლო ამავე საუკუნის 50-იან წლებში თვით მეფე ბაგრატ IV-ის ბიზანტიაში გამგზავრების მიზეზებისა და შედეგების საკითხების შესასწავლად. XI საუკუნის 60-იანი წლების შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება". ეს ძეგლი ნათლად წარმოგვიდგენს გიორგი მთაწმინდელის საქართველოში ჩამოსვლის დროს ქვეყნის შიგნით არსებულ მდგომარეობას, საეკლესიო მმართველობაში გამეფებულ დარღვევებსა და სხვ.

აღნიშნული ხანის საქართველოს ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართულ დოკუმენტურ წყაროებს. ქართული დოკუმენტური მასალა, რომელიც XI საუკუნიდან თანდათან მატულობს, განსაკუთრებით საინტერესოა სოციალური ისტორიის საკითხებისათვის, სახელდობრ, გლეხთა ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის შესწავლისათვის, გლეხთა მიწაზე მიმაგრების, ბატონყმობის საბოლოო გამარჯვების ეტაპების დადგენისათვის[2]. დოკუმენტური მასალა მნიშვნელოვნად ავსებს და აზუსტებს ნარატიული წყაროების მონაცემებს საერო და სასულიერო

---

[1] ცხორება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმისი და უწყებაჲ ღირსისა მის მოქალაქობისა მათისა, აღწერილი გლახაკისა გიორგის მიერ ხუცესმონაზონისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. II, თბ., 1967, გვ. 38 — 100; გ ი ო რ გ ი მ ც ი რ ე, ცხორება გიორგი მთაწმიდელისა, ი ქ ვ ე, გვ. 101 — 207.

[2] მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, იხ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, თბ., 1967, გვ. 280 — 287; ნიკორწმიდის „დაწერილი", იხ. შ. ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, ნიკორწმიდის „დაწერილი", მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 34, თბ., 1962, გვ. 33 — 38 და სხვ. იხ. აგრეთვე, ქართული სამართლის ძეგლები, ი. დ ო ლ ი ძ ი ს გამოც., ტ. III, თბ., 1970, გვ. 18 — 26 და 27 — 33.

ხელისუფალთა შორის არსებულ დამოკიდებულებასა და ურთიერთობაზე[1]. დოკუმენტური მასალა დიდ დახმარებას უწევს აღნიშნული ხანის საქართველოს ისტორიის შემსწავლელთ ამ ეპოქის სამოხელეო ინსტიტუტების შესასწავლად[2].

როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ისე პოლიტიკური და კულტურის ისტორიის საკითხების კვლევისათვის დიდად საინტერესო მასალა მოიპოვება ეპიგრაფიკულ ძეგლებში, რომელთა საშუალებით შესაძლებელი ხდება საქართველოს მეფეთა ტიტულატურის დაზუსტება, ხელმწიფის კარის მოხელეთა, ზოგიერთ ვაზირთა მოხელეობის დროის განსაზღვრა, სამეფო დომენის ადგილმდებარეობის გარკვევა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების დაზუსტება[3].

წყაროების მნიშვნელოვან ფონდს ქმნიან აღნიშნული ხანის მონეტებიც. მხედველობაშია როგორც უცხოური, რომელიც საქართველოში მიმოქცევაში იყო, ისე ქართული მონეტები. ნუმიზმატიკური მასალის საფუძველზე ირკვევა, თუ აღნიშნულ ხანაში საქართველოში რომელი ქვეყნის მონეტები იყო მიმოქცევაში, რაც სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა-კავშირის არსებობის დადგენის საშუალებას იძლევა[4]. XI—XII საუკუნეების საქართველოში მოჭრილი ქართული ფულები საკმაოდ ნათელ წარმოდგენას ქმნიან ქართული სახელმწიფოს თანდათანობით ფორმირებასა და გაძლიერებაზე. მონეტების საშუალებით შეიძლება გაირკვეს ქართული სახელმწიფოს მიწა-წყლის ზრდის ისტორია, საქართველოს მეფეთა ვრცელი და რთული ტიტულატურის ჩამოყალიბება. მათივე მეოხებით ზუსტდება ნარატიული წყაროების ცნობები,

---

[1] ძეგლის წერა რუის-ურბნისის კრებისა, ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 106 — 127; საქართველოს ეკლესიის შეუვალობის განახლების სიგელი გიორგი III-ისა, 1178 წ., იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ი. დ ო ლ ი ძ ი ს გამოც., თბ., 1966, გვ. 24 — 25 და სხვ.

[2] შეწირულების სიგელი ბაგრატ IV-ისა შიომღვიმისადმი, ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 5 — 7; სიგელი ბაგრატ IV-ისა ოპიზართა და მიჯნაძორელთა სამამულე დავის გამო, ი ქ ვ ე, 8 — 9; შეუვალობის განახლების სიგელი გიორგი III-ისა შიომღვიმისადმი, ი ქ ვ ე, გვ. 10 — 11; მამულის მფლობელობისა და შეუვალობის განახლების სიგელი გიორგი III-ისა შიომღვიმისადმი, ი ქ ვ ე, გვ. 20 — 24 და სხვ.

[3] 1218 წლის ანისის წარწერა, იხ. ვ. დ ო ნ დ უ ა, К. социально-экономической жизни средневековой Грузии по Анийской надписи (1218). Епифания, საისტორიო ძიებანი, თბ., 1967, გვ. 48 — 78; გუნია-ყალას წარწერა, იხ. ა. ბ ა ქ რ ა ძ ე, XIII ს. წარწერა გუნია-ყალადან, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVII-ბ, გვ. 36; ბაგრატ IV-ის წარწერა კულალისიდან, იხ. ვ. ც ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959, გვ. 39 — 40; ვაჰანის წარწერა, ი ქ ვ ე, გვ. 49 — 51 და სხვ.

[4] თ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, თბ., 1966.

ბიზანტიის იმპერიასთან და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან არა მარტო სავაჭრო-ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური ურთიერთობის ფორმები და ხასიათი. მონეტები მნიშვნელოვან ცნობებს იძლევიან ქვეყნის საერთო ეკონომიკურ მდგომარეობაზეც[1].

* * *

უაღრესად მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან XI — XII საუკუნეების საქართველოს ისტორიის შესახებ ამ ხანის ბიზანტიური წყაროებიც. მაგალითად, XI ს-ის ბიზანტიელი ქრონისტის კედრენეს და მისი გამგრძელებლის სკილიცას „ისტორიული მიმოხილვა" მოიცავს მსოფლიო ისტორიას ქვეყნის გაჩენიდან 1059 წლამდე[2]. კედრენეს ცნობათაგან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მეფე გიორგი I-სა და ბასილ კეისარს შორის მიმდინარე ომის ცალკეული ეპიზოდები, ცნობები სომხეთის ქალაქ ანისისათვის წარმოებული ბრძოლის თაობაზე, მეფე ბაგრატ IV-ის ქალიშვილის მართაყოფილ მარიამის ბიზანტიაში გათხოვებასა და შემდეგ მის იქ მოღვაწეობაზე. მარიამ დედოფლის მოღვაწეობა საერთოდ მნიშვნელოვან ადგილს იჭერს XI — XII საუკუნეების ბიზანტიელი ისტორიკოსების შრომებში[3].

კედრენე-სკილიცას ცნობები საინტერესოა აგრეთვე მეფე ბაგრატ IV-სა და მის ურჩ ყმას — დიდებულ აზნაურ ლიპარიტ ბაღვაშს შორის წარმოებული ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლის ცალკეული მხარეების, აგრეთვე ქართულ სახელმწიფოში მიმდინარე შინაკლასობრივ ბრძოლაში ბიზანტიის იმპერიისა და თურქ-სელჩუკთა მონაწილეობის გასარკვევად[4].

XI — XII საუკუნეების საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის, ტრაპიზონის სამეფოს დაარსების, სომხეთისათვის (კერძოდ, ანისისათვის) წარმოებული ბრძოლის შესახებ საინტერესო ცნობებია მოცემული აგრე-

---

[1] დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1950; თ. ლ ო მ ო უ რ ი, ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში, კრებ. „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა", თბ., 1938, გვ. 283 — 316; Д. К а п а н а д з е, Медная монета грузинского царя Давида, сына Георгия, «Эпиграфика Востока», XII, М., 1958, с. 39 — 47.

[2] გ ი ო რ გ ი კ ე დ რ ე ნ ე, გეორგიკა, ტ. V, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1963, გვ. 7 — 82.

[3] მ ი ქ ე ლ პ ს ე ლ ო ს ი, გეორგიკა, ტ. VI, თბ., 1966, გვ. 1—19; ა ნ ა კ ო მ ნ ე ნ ე, იქვე, გვ. 33—119; გ ი ო რ გ ი კ ე დ რ ე ნ ე, იქვე, გვ. 155—156; ი ო ა ნ ე სკ ი ლ ი ც ა ს გამგრძელებელი, იქვე, გვ. 163 — 166.

[4] გეორგიკა, ტ. V, გვ. 67 — 82.

თვე მიქელ პსელოსის[1], ანა კომნენეს[2], ნიკეტა ხონიატეს[3] შრომებსა და ე. წ. ეფრემის[4] ქრონიკაში, მიქელ პანარეტოსის საისტორიო თხზულებაში[5]...

აღსანიშნავია თავის დროზე ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილის მიერ შენიშნული ტენდენციურობა ბიზანტიელი ისტორიკოსებისა, რომელნიც, როგორც წესი, ცდილობენ საქართველო ბიზანტიისადმი დაქვემდებარებულ ქვეყნად მიიჩნიონ, ხოლო გაერთიანებული საქართველოს მეფეებს არასოდეს „მეფე" არ უწოდონ და ისინი მხოლოდ „მთავრის" ტიტულით ან ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულებით მოიხსენიონ[6].

2. XIII—XV სს. ისტორიის წყაროები

საქართველოს თავგადასავალი მონღოლთა ბატონობის პერიოდში დაწვრილებით აქვს აღწერილი უცნობ ქართველ ავტორს, რომელსაც თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია პირობითად ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ს უწოდებს. თხზულება შეტანილია „ქართლის ცხოვრების" კრებულში, სადაც ის იწყება ლაშა გიორგის მეფობით და მთავრდება გიორგი V ბრწყინვალის გამეფების აღწერით[7]. თხზულებას აკლია დასაწყისი ნაწილი, რომელიც, როგორც ჩანს, რედაქტორს ჩამოუცლია მისთვის „ქართლის ცხოვრებაში" შეტანისას წინა თხზულებაზე გადაბმის მიზნით. დროთა განმავლობაში დაკარგულა ჟამთააღმწერლის თხზულების ბოლო ვრცელი ნაწილიც, რომელიც გიორგი ბრწყინვალის მეფობას ეხებოდა[8].

---

[1] გეორგიკა, ტ. VI, გვ. 1 — 19.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 37 — 119.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 127 — 139.

[4] გეორგიკა, ტ. VII, გვ. 90 — 96.

[5] ი ქ ვ ე, გვ. 165 — 166.

[6] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1948, გვ. 107.

[7] ჟამთააღმწერლის ტექსტის ახალი მესამე გამოცემა ეკუთვნის ს. ყაუხჩიშვილს, რომელმაც დაადგინა ტექსტი ყველა მოღწეული ხელნაწერის მიხედვით, დაურთო კრიტიკული აპარატი. იხ. ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 151 — 325.

[8] ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, 1973, გვ. 291; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, 1941, გვ. 161; 1966 წლის გამოცემა, გვ. 252. ჟამთააღმწერლის ნაშრომს რომ აღნიშნული ნაწილი აკლია ამას ბევრი რამ მოწმობს, მაგრამ პირდაპირ ჩვენებად შეიძლება ჩაითვალოს ავტორის დაპირება მკითხველისათვის: გიორგის მეფობის შესახებ ქვემოთ მოგითხრობთო („ქვემორე სიტყვამან ცხადყოს", ქ. ცხ., II, გვ. 304), მომდევნო ნაწილში კი ლაპარაკია მხოლოდ გიორგის გამეფების ამბავზე.

ქამთააღმწერლის თხზულების როგორც წყაროს შესწავლას ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთი სპეციალური ნაშრომი მიეძღვნა[1].

ავტორის პიროვნებისა და ცხოვრების შესახებ ძალიან ცოტა ვიცით. ერთადერთ წყაროს ამ მხრივ მისივე თხზულება წარმოადგენს. იგი იყო გიორგი V-ის (1314 — 1346) თანამედროვე, მოსწრებია საქართველოში მონღოლთა ბატონობას და მათ გადაშენებას[2]; სასულიერო და საერო მწერლობაში ღრმად განსწავლული ყოფილა[3], იცოდა მრავალი ენა: ბერძნული, მონღოლური, უიღურული, სპარსული[4]... თხზულების მონაცემებითვე დადგენილია, რომ ყოფილა სამცხიდან[5], პროფესიულ-თანამდებობრივი მდგომარეობით ეკუთვნოდა სასულიერო წრეს[6]; სამეფო კართან ახლო ურთიერთობაში იყო. ქამთააღმწერელი მიუკერძოებელ, სიმართლის მოყვარე ადამიანად ჩანს, საჭიროების შემთხვევაში ის სამღვდელოებასაც მკაცრად აკრიტიკებს. სამართლიანობას მტერსაც კი უფასებს.

ქამთააღმწერლის ნაშრომის მოღწეული ნაწილიდან კარგად ჩანს თხზულების საერთო გეგმა და მიზანდასახულობა. ავტორს თავისი ნაშრომი ქრონოლოგიურად და თემატურად ორ ძირითად ნაწილად ჰქონდა გააზრებული. პირველ ნაწილში (რომელიც დღეს მოღწეულია) ავტორმა აღწერა საქართველოში მონღოლთა ბატონობის ხანა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ხანა იმ „ქამამდე", ვიდრე ქართველებს „მიეცა ძლევა თათართა ზედა"[7], ანუ „ვიდრე ქამამდე მეფეთა შორის ბრწყინვალისა"[8].

---

[1] იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945, გვ. 246 — 263, მ ი ს ი ვ ე, ქართველი ერის ისტორია, III, 1941, გვ. 161; ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ქართლის ცხოვრების ძეგლთა წყაროებისათვის. ქ. ცხ., II, გვ. 035 — 036; რ. კ ი კ ნ ა ძ ე, ქამთააღმწერლის სპარსული წყაროები. კავკასიურ-აღმოსავლური კრებული, II, 1962, გვ. 127 — 156; ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის მასალები ქამთააღმწერლის თხზულებაში. მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის ნარკვევები, 1968, გვ. 26 — 70; კ. გ რ ი გ ო ლ ი ა, ქამთააღმწერელი და მისი თხზულების სამეცნიერო მნიშვნელობა. ქართული ისტორიოგრაფია, I, 1968, გვ. 64 — 106.

[2] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 165; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945, გვ. 247.

[3] ავტორს მრავალი წიგნი წაუკითხავს რომის, ძვ. ბერძნების, ბიზანტიის ისტორიის შესახებ, ასახელებს ზოგ მწერალს. იცნობდა ილიადა და ოდისეას და სხვ. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 176, 205, 223, 302; ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 036).

[4] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 159, 210 და სხვ.

[5] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, 1971, გვ. 31; კ. გ რ ი გ ო ლ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 66 — 73.

[6] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, თხზულებანი, I, 1963, გვ. 119; კ. გ რ ი გ ო ლ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 73 — 80.

[7] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 165.

[8] ი ქ ვ ე, გვ. 255, 296.

მეორე ნაწილი (რომლის ტექსტი დაკარგულია) დათმობილი ჰქონდა ქართველთაგან „თათართა ზედა ძლევის“ პერიოდს, ანუ გიორგი ბრწყინვალის „ჟამს“, მისი მეფობის აღწერას[1].

თხზულების პირველ ნაწილში ავტორი მხოლოდ შემთხვევით და აქა-იქ, თითო-თითო წინადადების სახით მოიხსენებს მეორე ნაწილიდან ზოგიერთ ფაქტს, საიდანაც კარგად ჩანს, რომ „ეს ხანა მას უმწვერვალეს და სამაგალითო ხანად მიაჩნია“[2], რადგან, მისი აზრით, ამ დროს გათავისუფლდა საქართველო მონღოლთა უღლისაგან, გასწორდა მონღოლთა დროინდელი ყოველი უწესობანი და სხვ. ყველაფერი ეს კი, მისი წარმოდგენით, გიორგი ბრწყინვალის სახელს უკავშირდება, მისი იდეალიც გიორგია, რომელმაც საქართველოს დაუბრუნა თამარ მეფის დროინდელი ძლიერება. ავტორი მხოლოდ გიორგის მიმართ ხმარობს მაღალ ეპითეტებს: „უძლეველი“, „დიდი“, „სახელგანთქმული“, „უმჯობესი ყოველთა“, „ბრწყინვალე“ და სხვა. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ნაშრომის ამ მეორე ნაწილში ავტორის თხრობა აღფრთოვანებული და კმაყოფილებით გამსჭვალული იყო.

ქამთააღმწერლის მთავარი მიზანი და იდეაა (ვგულისხმობთ ნაშრომის ბოლოწინა ნაწილს) გვიჩვენოს საქართველოს დაცემა მონღოლთა ბატონობის დროს. მონღოლთა ბატონობა საქართველოში ავტორს შეფასებული აქვს როგორც „საქართველოს მოოხრება“, „სრულიადი განწირვა ქართველთა ნათესავისა“, „საქართველოს სრულიადი მოსპოლვა“[3]. ავტორი არა მარტო აღწერს ამ ისტორიას, იგი მიზეზებსაც ეძიებს.

ავტორის თხრობა საერთოდ ამ ნაწილში რომანტიულია[4]. იგი დასაწყისშივე, იქ, სადაც იწყებს თათართაგან საქართველოს მოოხრების ისტორიას, სინანულით აღნიშნავს, თუ „ვითარ იქმნა ცვალება ბედისა ქართველთა ნათესავისა“, „უკუქცევა“ „სვე-სვიანის ბედისა, მაღლისა და საჩინოსა“; წარსულში, დავით აღმაშენებლის დროიდან საქართველოს მტრისაგან ძლევა არასდროს უნახავსო, მონღოლებთან ლაშა გიორგის დამარცხების შემდგომ კი ვითარება შეიცვალა და ჩემს დრომდე ქართველთაგან „თათართა ზედა ძლევა“ აღარ მომხდარაო[5].

მართალია, მის დროს მტერი სძლიეს და იგი აღფრთოვანებითაც შეჰხარის გიორგი V-ის სახელმწიფოებრივ ღონისძიებებს, მაგრამ ხანგრძლივი ძნელბედობის შედეგი მრავლადაა: მეფეები ულირსნი გამხდარან, მთავ-

---

[1] საერთოდ ავტორი თავის ზოგად თხრობაში, ნაშრომის მთელს მანძილზე ერთმანეთს ეპირისპირებს და მკვეთრად მიჯნავს აღნიშნულ ორ პერიოდს.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945, გვ. 248.

[3] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 157, 165, 170, 171 და სხვ.

[4] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, 1966, გვ. 321.

[5] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 164 — 165.

რები — მოღალატეები, უპიროები, თვით სამღვდელონიც კი — „ბილწის მოქმედნი". აღწერილ ამბებს ავტორი უპირისპირებს წინარე ხანას, როცა ქართველთა ნათესავი „სვე-სვიანი" იყო, როცა ქვეყანას „მეფეთა შორის ბრწყინვალე თამარი" განაგებდა, როცა „ყველა წინააღმდგომი" „მეფის მორჩილი" იყო და სხვ.[1].

საქართველოს მოოხრების პირველ მიზეზებს ჟამთააღმწერელი ხედავს თვით საქართველოს ცხოვრებაში. იგი აღწერს რუსუდანისა და ლაშას დროს სამეფო კარისა და ხალხის, მისი თვალსაზრისით, უდარდელ, მიშვებულ ყოფას და ასკვნის: „რამეთუ განძღეს და იშუებდეს და უწესობად მიდრკეს... ამისათვის აღმოსცენდეს მიზეზნი ცოდვათა სიმრავლითა საქართველოსა მოოხრეებისანი"[2]. მკითხველს რომ გაუთვალისწინოს ისტორიის გაკვეთილი, ავტორი ვრცლად აგვიწერს გავრცელებულ „უწესობებს", „შურს", „უსამართლობას". სწორედ ჟამთააღმწერლის თხზულებაში წინამორბედი ისტორიკოსებისაგან განსხვავებით დიდი ადგილი აქვს დათმობილი „ბოროტის მოქმედთა" საქმეებს გამომზეურებას.

ჟამთააღმწერლის ისტორია არის წარსულისა და აწმყოს თავისებურად კრიტიკული შეფასება.

ჟამთააღმწერლის თხზულებაში „საქართველოს მოოხრება"—მონღოლთა ბატონობის პერიოდი — ისე რელიეფურად და დასაბუთებულად არის ნაჩვენები, რომ მარტო საქართველოს მაგალითითაც ნათლად წარმოგვიდგება თუ მონღოლთა დაპყრობითს ომებს რა სოციალურ-ეკონომიკური შედეგები მოჰყვა საზოგადოდ[3]. მონღოლურმა მძიმე ხარკმა და მუდმივმა მოლაშქრეობამ გამოიწვია ხალხის გაღარიბება და მოსახლეობის ფიზიკური ამოწყვეტა — განსაკუთრებით გლეხობისა; გახშირდა მონღოლთა პოლიტიკის უკმაყოფილებით გამოწვეული აჯანყებები. ურდოთა შორის ამტყდარმა ომებმა გამანადგურებელი გავლენა მოახდინა საქართველოს მეურნეობაზე; მონღოლთა ბატონობის შედეგად სამეფო ხელისუფლება დასუსტდა, ეკლესიის ავტორიტეტი დაეცა, მთავრები გაძლიერდნენ და მონღოლთა მხარდაჭერით სეპარატისტული ბრძოლები დაიწყეს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ, ჩრდილო კავკასიელი ფეოდალებიც შემავიწროებლად მოქმედებდნენ. ავტორი დიდ ადგილს უთმობს სამცხის მთავრებისა და სამთავროს ამბებს. ნაშრომში უხვად მოიპოვება ცნობები საქართველოს პოლიტიკური წყობილების, საეკლესიო-რელიგიური, სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრების შესახებ თითქმის ას წელზე

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 152 — 157.

[2] იქვე, გვ. 157.

[3] ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 34.

შეტი ხნისათვის. დაწვრილებით ვეცნობით აგრეთვე მონღოლთაგან საქართველოს მოსახლეობის ორ აღწერასა (1254, 1278) და მონღოლური ბეგარა-გადასახადების სახეობებს.

საქართველოს ამბებთან დაკავშირებით ისტორიკოსი ეხება საკუთრივ მონღოლურ სამოხელეო და სამხედრო წყობას, საინტერესო ცნობებს იძლევა მონღოლური ტომების ისტორიიდან, აღწერს მონღოლთა ზნე-ჩვეულებას, რელიგიას, ყაენთა კარის სისხლიან ინტრიგებს, აღმოსავლეთში მიმდინარე სოციალურ და კლასობრივ ბრძოლებს — ჯიმრების აჯანყებას, რინდებს[1] და სხვ.

ქამთააღმწერელს ხელთ ჰქონია არა ერთი ისეთი ქართული საისტორიო წიგნი, რომლებიც დღეისათვის შემორჩენილი არაა. მაგალითად, ჯალალ ად-დინის საქართველოში შემოსევების წყაროდ დასახელებულია „ბერი მღვიმელი"[2], რაჭის ერისთავის კახაბერის შესახებ ამბებისათვის — „წიგნი მეფეთა ბაღუაშისთა და ნათესავთა მისთა"[3]. მას უსარგებლია აგრეთვე სამეფო სიგელებით, აღწერის დავთრებით[4], ზეპირი ცნობებით[5]. მონღოლთა შესახებ ავტორის თხრობა დამყარებულია პირად დაკვირვებებზე, ყაენთა კარიდან გამოსულ დოკუმენტებსა და თვითმხილველი მონღოლთა კარის ისტორიკოსების თხზულებებზე[6]. ავტორი მკაცრი მეცნიერული მოთხოვნებით აგებს თავის ნაშრომს. ახდენს წყაროების დოკუმენტურ და ლოგიკურ შემოწმებას[7].

ქამთააღმწერლის თხზულება მისი მაღალი ღირსებების გამო ქართულ ისტორიოგრაფიაში სამართლიანად არის შეფასებული პირველხარისხოვან წყაროდ როგორც საქართველოს, ისე მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის შესასწავლად.

XIV ს-ის დასასრულს დაიწერა ქსნის ერისთავთა საგვარეულო — გე-

---

[1] ჯიმრებისა და რინდთა შესახებ იხ. ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ს დასახ. ნაშრომი, გვ. 26—70, მ ი ს ი ვ ე, ქალაქ თბილისის სოციალური ისტორიიდან (ქამთააღმწერლის ერთი ცნობის განმარტება). ნარკვევები მახლობელი აღმ. ქალაქების ისტორიიდან, I, 1966, გვ. 122 — 162.

[2] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 177.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 268.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 226, 236 და სხვ.

[5] ი ქ ვ ე, გვ. 250, 253, 267, 289.

[6] მონღოლთა დაპყრობების აღწერისას ქამთააღმწერელს მითითებული აქვს ერთ-ერთი სპარსელი ისტორიკოსი „დიდი საბდინისა ხოჯა შამშადინის ძმა". ეს იყო ცნობილი ალა ედ-დინ ათა მალიქ ჯუვეინი (1226 — 1282). მისი თხზულება „ქვეყნის დამპყრობის ისტორია" ბევრ ადგილას გამოუყენებია ქამთააღმწერელს. იხ. რ. კ ი კ ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 131 და სხვ.

[7] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 261.

ნეალოგიური ისტორია, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში „ძ ე გ ლ ი ე რ ი ს თ ა ვ თ ა“ სახელით არის ცნობილი[1].

XIV ს-ში ქსნის საერისთავო ნახევრად დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად — სათავადოდ — გადაიქცა. ქსნის ერისთავებს, როგორც დამოუკიდებელ დინასტებს, ესაჭიროებოდათ ამ უფლების ისტორიულად დამასაბუთებელი დოკუმენტი და შექმნეს კიდეც იგი დასახელებული მატიანის სახით.

ავტორი თხრობას იწყებს უძველესი დროიდან, ქსნის ერისთავთა წინაპრის ქვენიფნეველ როსტომ ბაბილურის ოსეთიდან ლარგვისში მოსვლით და აქ დასახლების ამბით. შემდეგ, ვითომ მას იუსტინიანე კეისარმა ცხრაძმის ერისთავობა უბოძა და ა. შ. ავტორი ასახელებს 24 ერისთავს, მაგრამ სისტემატური თხრობა ერისთავთა შესახებ მას მონღოლების დროიდან აქვს, ხოლო რაც უფრო უახლოვდება თავის დროს, ამბები უფრო შინაარსიანი და ცოცხალი ხდება[2]. თხრობა წყდება XV ს-ის დამდეგის ამბებზე. ნაშრომის თავისებურმა მიზანდასახულობამ განსაზღვრა მისი, როგორც საისტორიო წყაროს, საერთო ღირებულება. როგორც ივ. ჯავახიშვილმა სამართლიანად აღნიშნა, აქ „ვიწროდ არის შემოფარგლული მატიანის თვით მოთხრობაც“, ქსნისა და არაგვის ხეობათა ყოფა-ცხოვრების გარდა „საქართველოს დანარჩენი და უმეტესი ნაწილი მისთვის თითქოს არ არსებობდა და სახელმწიფო-სამოქალაქო ცხოვრების ამბებისათვის ყური მოყრუებული ჰქონია“[3]. თხზულებაში დაწვრილებით და გულმოდგინედაა აღწერილი ერისთავთა სამხედრო ლაშქრობები, საეკლესიო მოღვაწეობანი, მათ მიერ ეკლესიების, მონასტრების მშენებლობა, ხატების შემოსვა, შეწირულობები, მღვდელმსახურთა პატივისცემა და ა. შ. ნაშრომი ერთ-ერთი სანდო წყაროა XIV ს-ის ქსნისა და არაგვის ხეობათა ცხოვრების შესასწავლად. აქაა მოთხრობილი ამ პერიოდში მთის თემების ურთიერთბრძოლის ამბები, მთიელთა დამოკიდებულება ერისთავებთან, სამეფო ხელისუფლებასთან, რამდენიმე ეპიზოდი თემურლენგის შემოსევებიდან. ამის გარდა, აქ ვპოულობთ საინტერესო ცნობებს ყაზან

---

[1] ძეგლმა ჩვენამდე მოაღწია დედნის სახით, რომლის უახლოესი მეცნიერული გამოცემა ეკუთვნის შ. მესხიას, იხ. „ძეგლი ერისთავთა“ (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე), მსკი, 1954, ნაკვ. 30, გვ. 305 — 374. ი. დოლიძემ გადაბეჭდა შ. მესხიას გამოცემიდან: იხ. „ქართული სამართლის ძეგლები“, II, 1965, გვ. 102 — 117. იხ. ისტორიოგრაფიული სპეციალური გამოკვლევები „ძეგლი ერისთავთა“ შესახებ: ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945, გვ. 264—267. შ. მესხიას გამოკვლევა ჩართულია ზემოთ დასახელებულ გამოცემაში. მისი დასაბუთებით ძეგლის ავტორია ცნობილი მწიგნობარი და მხატვარი ავგაროზ ბანდაისძე.

[2] ნაშრომის დასაწყისი ნაწილი ნახევრად ლეგენდარულია, მაგრამ იგი გამოყენებულია მკვლევართა მიერ ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიის შესასწავლად.

[3] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 265.

ყაენის წინააღმდეგ აჯანყებული დავით VII-ის შესახებ, რომელიც არაგვის მთიულეთში იყო შეხიზნული. ვეცნობით აგრეთვე დავით VII-ის პოლიტიკურ კონფლიქტს ცხრაძმის ერისთავ შალვა ქვენიფნეველთან და ამ ნიადაგზე ქსნისა და არაგვის მთიელებს შორის სისხლისმღვრელ ბრძოლებს. აქვე ვპოულობთ ცნობას გიორგი V ბრწყინვალის ბრძოლის შესახებ ოს ფეოდალთა წინააღმდეგ გორის გათავისუფლებისათვის და ამავე გიორგის მიერ ეგვიპტის სულთანთან ელჩობის გაგზავნის შესახებ იერუსალიმის ქართული სავანეების დასაბრუნებლად.

XIII — XV სს. საქართველოს სახელმწიფო წყობილებისა და სოციალური ურთიერთობის შესასწავლად არაერთი საკანონმდებლო ძეგლი მოგვეპოვება. ამ პერიოდში შეიქმნა: ბექას სამართალი, სამართალი მთიულთათვის — „ძეგლის დადება", აღბუღას სამართალი, სახელმწიფო მართვა-გამგეობის კანონ-წესდება — „ხელმწიფის კარის გარიგება", უმაღლეს საეკლესიო ხელისუფალთა მიერ კანონიკური განწესებანი ცალკეული ეპარქიებისათვის და სხვ.

საკანონმდებლო ძეგლების სიმრავლე XIII — XV სს. შემთხვევითი არ არის. ხანგრძლივმა ძნელბედობამ (მონღოლთა თითქმის ასწლოვანი ბატონობა და შემდეგ სხვადასხვა დამპყრობელთა განუწყვეტელი შემოსევები) შეცვალა რა ცხოვრების ვითარება, საჭირო გახდა შექმნილი ახალი მდგომარეობის ნორმირება. ამიტომაც, ბუნებრივია, ყურადღება მიუქცევიათ დარღვეული ძველი წესების აღდგენა-განმტკიცებისათვისაც.

სამცხის მთავრის სპასალარ-მანდატურთუხუცესის ბ ე ქ ა ს ს ა მ ა რ თ ლ ი ს წიგნი შედგა XIII ს. დამლევს. მისმა შვილიშვილმა სამცხის მთავარმა ათაბაგ-ამირსპასალარმა აღბუღამ XIV ს. მეორე ნახევარში შეადგინა ახალი სამართალი, სადაც პირველ ნაწილად უცვლელად შეიტანა ბექას სამართალი. წიგნს აქვს საერთო სათაური — „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოვლისავე", ძეგლის დედანი მოღწეული არ არის, შემონახულია მხოლოდ ორი ხელნაწერი. პირველი შესრულებულია 1672 წელს ხუცურად და წარმოადგენს დედნიდან რამდენჯერმე გადანაწერ ტექსტს. მეორე უფრო გვიანდელია, იგი შეტანილია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში საერთო სათაურით: „ს ა მ ა რ თ ა ლ ი ა ღ ბ უ ღ ა ს ი"[1]. გამოკვლეულია, რომ ვახტანგის კომისიის მიერ რედაქტირებული ტექსტი საკმაოდ განსხვავდება მასში „ჩართულ ახსნა-განმარტებათა გამო", ამასთან ზოგი ძველი ტერმინი შეცვლილია ახლით და ა. შ. არც 1672 წლის ხელნაწერის ტექსტია ყოველთვის კარგად დაცული და „ზოგან პირიქით,

[1] სამეცნიერო ლიტერატურაში ტექნიკურ ტერმინად იხმარება „ბექა-აღბუღას სამართალი". ამ ძეგლის ორი ტექსტი დაწერილებით შეისწავლა და ერთად ორ სვეტად გამოსცა ი. დოლიძემ, იხ. „ძველი ქართული სამართალი", 1953; Судебник Бека и Агбуга, Грузинский текст, введение И. С. Долидзе. Перевод В. Д. Дондуа и И. С. Долидзе, 1960.

საუკეთესო წანაკითხი სწორედ ვახტანგის კოდიკოს აქვს ხოლმე შენახული"[1].

სამართლის ეს წიგნი განკუთვნილი იყო საქართველოს სამხრეთ ნაწილის, სამცხის სამთავროსათვის; მაგრამ რადგან იმ დროს ბარის საქართველოში ყველგან თითქმის ერთნაირი სოციალური წყობილება არსებობდა (რამდენადმე თავისებური იყო მხოლოდ მთა), ამიტომ ეს წყარო ფაქტიურად გამოიყენება სრულიად საქართველოს მდგომარეობის შესასწავლად.

გარკვეულია, რომ 98 მუხლიდან ბექას ეკუთვნის 1— 65 მუხლი, აღბუღას — 66 — 98.

ბექა-აღბუღას კანონების მიხედვით ქართველი საზოგადოება ორ ძირითად მოპირდაპირე ბანაკად (კლასად) არის გაყოფილი; ერთს ეკუთვნიან ფეოდალები, მეორეს — უშუალო მწარმოებლები.

კანონმდებლობაში საზოგადოების წევრთა უფლებრივი არათანაბრობა გამოხატულია წოდებრიობით. წოდებრივი კუთვნილება განსაზღვრავს ადამიანის უფლებათა მოცულობას. სამართალი საზოგადოების დაჯგუფებას ახდენს სასჯელის მიხედვით, რასაც დაზარალებულის საზოგადოებრივ-წოდებრივი მდგომარეობა უდევს საფუძვლად. სასჯელის ფორმა კი, „სისხლი", დაწესებულია სხვადასხვა ზომით. მოკლულის „სისხლის" ფასის მიხედვით საზოგადოებაში გამოყოფილია ოთხი ძირითადი განსხვავებული წოდებრივი ჯგუფი: „დიდებული", „აზნაური", „მსახური" და „გლეხი", საზოგადოების წევრთა სოციალურ-პოლიტიკური უთანასწორობის გამოსახატავად ძეგლში იხმარება ასეთი ცნებებიც: უფროსი, უმცროსი, ქვემო, ზემო, სწორი (მუხ. 18, 20, 21, 70 და სხვ.).

ბექა-აღბუღას სამართალი იცავდა ფეოდალთა საკუთრებას მიწაზე. ამით იგი უზრუნველყოფდა ფეოდალთა პოლიტიკურ ბატონობას.

თათარ-მონღოლთა პოლიტიკური ბატონობის პერიოდში მფლობელთა კლასის განვითარება მრავალი ახალი თავისებურებებით ხასიათდება: თუ მაღალი სამოხელეო წრის, დიდებულთა, დამახასიათებლად იქცა კიდევ უფრო მაღალი სოციალური და ეკონომიკური წინსვლა, მფლობელთა დანარჩენი ნაწილისათვის საზოგადო მოვლენა გახდა ეკონომიკური დაკნინება და სოციალურ-წოდებრივი უპირატესობის შენარჩუნების გაძნელება. ყოველივე ეს კი კარგად აისახა კანონმდებლობაში.

ისტორიულმა ძნელბედობამ ყველაზე მეტად ყმა გლეხობა დააზარალა. მას თავს დაატყდა ექსპლოატაციის გაძლიერება, შიმშილი, რიცხობრივი

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, I, 1928, გვ. 104 — 116; ქრონიკები, II, 256 — 257, ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, როგორც თვითონ აღნიშნავს, ამზადებდა „ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის აღდგენილი ტექსტის გამოცემას უძველესი და ვახტანგის კოდიკოს მიხედვით" (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 110).

შემცირება, შეირყა მისი უფლებრივი მდგომარეობა. ბექა-აღბუღას სამართალი ცდილობს აღადგინოს და განამტკიცოს დარღვეული ბატონყმური რიგი — ბატონსა და გლეხს შორის დამოკიდებულების ნორმები, როგორც აუცილებელი პირობა, რათა გლეხმა შეძლოს დაკისრებული სოციალური ფუნქციის შესრულება[1].

ჩვენამდე მოაღწია გიორგი ბრწყინვალის დროინდელმა, სავარაუდოა, მისივე დაკვეთით შესრულებულმა, იურიდიულმა ძეგლმა, რომელიც მეცნიერებაში ხელმწიფის კარის გარიგების სახელით არის ცნობილი.

კარის გარიგების ტექსტი დაცულია XVII ს-ის ხელნაწერში, რომელშიაც შეტანილია აგრეთვე გიორგი ბრწყინვალის სამართალი მთიულთათვის — „ძეგლის დადება". ტექსტს აკლია საკმაოდ დიდი ნაწილი. იგი გადაწერილია არა უშუალოდ დედნიდან, არამედ რამდენჯერმე გადანაწერი პირიდან, რომელშიაც თავდაპირველი დედნის თანამიმდევრობა არეული ყოფილა[2].

„ხელმწიფის კარის გარიგების" პირველი გამომცემლის ექ. თაყაიშვილის აზრით, „ძეგლი შედგენილია პრაქტიკულის საჭიროებისათვის, პრაქტიკულის მიზნით, როგორც სახელმძღვანელო ინსტრუქცია კარის კაცებისათვის". „ის აგვიწერს უმთავრესად იმ წესწყობილებას, რომელიც არსებობდა საქართველოში მის დროს, რომლის მოწამე და ზოგჯერ აღმასრულებელი თვით იყო შემდგენელი"[3]. ივ. ჯავახიშვილს კარის გარიგება განხილული აქვს საერო საკანონმდებლო ძეგლებში და მიუთითებს კიდეც, რომ „იგი ქართული სახელმწიფო სამართლის ძეგლად უნდა ჩაითვალოს"[4].

უნდა ვიფიქროთ, რომ მოღწეული ხელნაწერი წარმოადგენს ხელმწიფის კარის გარიგების ოფიციალური ტექსტის სამუშაო ეგზემპლარს, რომელიც მის საბოლოო დამუშავებისათვის წინასწარ იყო შესრულებული. ამით აიხსნება, რომ მოღწეულ ტექსტში ზოგ ადგილას ვხვდებით კვლევაძიებითს მსჯელობებს, მტკიცებებს (ასეთი რამ სულ სამჯერაა). სწორედ ბედნიერი შემთხვევაა, რომ გადარჩა ამგვარი ტექსტი. იგი საშუალებას

---

[1] კანონმდებლობა ითვალისწინებს ფეოდალური დამოკიდებულების სხვა ფორმების მოწესრიგებასაც, მაგრამ მთავარი და ძირითადი ადგილი აქ ბატონყმური დამოკიდებულების ნორმების განსაზღვრას უჭირავს.

[2] „ხელმწიფის კარის გარიგების" ტექსტი შეისწავლეს და გამოსცეს: ექ. თაყაიშვილმა (ხელმწიფის კარის გარიგება, 1920); ივ. ჯავახიშვილმა (ქართული სამართლის ისტორია, I, 1928, გვ. 62 — 68; ქართველი ერის ისტორია, V, 1952, გვ. 167 — 226), ი. დოლიძემ (ქართული სამართლის ძეგლები, II. 1965, გვ. 80 — 97), ივ. სურგულაძემ (ქართული სამართლის ძეგლები, 1970).

[3] ხელმწიფის კარის გარიგება, 1920, გვ. VIII, XVII.

[4] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, I, 1928, გვ. 62.

გვაძლევს თვალი გავადევნოთ მუშაობის მიმართულებასა და მეთოდებს, რითაც მაშინ უხელმძღვანელებია საქართველოს მთავრობას სამმართველო აპარატის ნორმების დადგენისას. ხელმწიფის კარის გარიგება უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტური წყაროა XIV ს-ის პირველი ნახევრის საქართველოს სახელმწიფო წყობილების შესასწავლად. ძეგლში აღნუსხული და განმარტებულია სავაზიროს, დარბაზის, ვაზირთა, სხვა მოხელეთა და მათ ხელქვეითთა უფლება-მოვალეობანი.

მონღოლთა თითქმის ასი წლის ბატონობამ დააკნინა ცენტრალური სამმართველო აპარატი. ხელმწიფის კარის გარიგებაში შემოღებული ნორმები განამტკიცებდა ცენტრალურ მმართველობას, პირველ რიგში სავაზიროსა და ვაზირთა როლს; ძეგლში მეფის ერთმმართველობის ფონზე მოწესრიგებულია ერისთავების უფლებრივი მდგომარეობა; კარის გარიგება აწესებს აგრეთვე სამეფო სასახლის (კარის), როგორც სახელმწიფოს მმართველობის ცენტრის ყველა სამეურნეო-ადმინისტრაციულ და დისციპლინურ ნორმებსა და ეტიკეტს.

კარის გარიგებაში დაცული ცნობები კარგ მასალას იძლევიან აღნიშნული ხანის სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, სოციალური მდგომარეობის, მატერიალური კულტურის, დიპლომატიკის და სხვა საკითხების ისტორიის შესასწავლად.

„ძ ე გ ლ ი ს დ ა დ ე ბ ა“ წარმოადგენს მთიულთათვის, კერძოდ, ქსნისა და არაგვის ხეობის მოსახლეობისათვის, გიორგი V ბრწყინვალის მიერ დადგენილ კანონებს. ძეგლმა ჩვენამდე მოაღწია ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული და საკმაოდ გვიანდელი ტექსტით, ერთი დაცულია ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულში, მეორე, უფრო ადრინდელი, შეტანილია XVII ს. დაზიანებულ ხელნაწერში[1] (იქვე არის „ხელმწიფის კარის გარიგებაც“).

„ძეგლის დადება“ შეიცავს 46 მუხლს, იგი ძირითადად სისხლის სამართალს წარმოადგენს, ძეგლი ადასტურებს მთის მოსახლეობაში სახელმწიფოებრივი წესრიგის ღრმად შერყევის ფაქტს, რაც ხანგრძლივი ძნელბედობისა და ცენტრალური ხელისუფლების შესუსტების შედეგი იყო. მასში ასახულია „მრავალი უწესობანი“, „დიდი შფოთი“, „ულუსობა“, მო-

---

[1] „ძეგლის დადება“, როგორც სამართლის ძეგლი, შეისწავლა და ორივე ტექსტი ერთმანეთის პარალელურად (ორ სვეტად) გამოსცა ი. დოლიძემ (გიორგი ბრწყინვალის სამართალი, 1957), მანვე გამოსცა ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულში ვახტანგის კომისიის მიერ რედაქტირებული ტექსტი, რომელსაც სქოლიოში დაურთო ხსენებული XVII ს-ის ტექსტი (ქართული სამართლის ძეგლები, I, 1963, გვ. 401 — 421). ივ. ჯავახიშვილმა „ძეგლის დადებას“ მიუძღვნა სპეციალური გამოკვლევა (ქართული სამართლის ისტორია, I, 1928, გვ. 93 — 105). მას განზრახული ჰქონია ორივე ხელნაწერის საფუძველზე დადგენილი ტექსტის გამოცემა. ეს სამუშაო შესრულებას ელის.

სახლეობის გამოსვლა კოლექტიურად: „სოფლობით“, მთელი „ხევისა“ და „ქვეყნის“ მონაწილეობით, მეფის მოხელეების მკვლელობა, ურთიერთთავდასხმები და სხვ. ძეგლში არეკლილია მთის პროტესტი მეფისა და ეკლესიის პოლიტიკური და სოციალური ბატონობის წინააღმდეგ. „ძეგლის დადება“ ადასტურებს, რომ ადრეფეოდალური განვითარების საფეხურზე მდგომ მთაში ძლიერად იკიდებს ფეხს ექსპლოატაციის მძიმე ფორმები — ბატონყმური ურთიერთობანი, რასაც თავგამოდებით ებრძვის მთა. „ძეგლის დადება“ მდიდარ მასალას გვაძლევს მთაში სოციალური ურთიერთობის შესასწავლად. აქ არის ბატონყმურ-ფეოდალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი წოდებანიც: აზნაური, მსახური, გლეხი, მოსახლეობის უმრავლესობას კი ბატონყმობისაგან თავისუფალი მეთემენი — „მსოფლიონი“ შეადგენენ.

საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობის ამსახველი ცნობები დაცული აქვს ბიზანტიელ ისტორიკოსსა და მწერალს ნ ი კ ი ფ ო რ ე გ რ ი გ ო რ ა ს ს (1290/91 — 1360). მისი საისტორიო თხზულება მოიცავს 1204 — 1359 წლების ამბებს[1].

ნ. გრიგორასის „ისტორიაში“ დაცულია ცნობები იმ პოლიტიკური ბრძოლების შესახებ, რომლებსაც ბიზანტიის იმპერატორები აწარმოებდნენ ტრაპიზონის სამეფოში თავიანთი გავლენის დასამყარებლად და იქ ქართული პოლიტიკური გავლენის მოსასპობად. განსაკუთრებით რელიეფურადაა ეს ნაჩვენები ალექსი კომნენოსის (1296 — 1330) მეფობის აღწერისას. საყურადღებოა გრიგორასის ცნობები კონსტანტინოპოლის კარზე ტრაპიზონელი მეფეების ოფიციალური წოდებულობის შესახებ: „ლაზთა მმართველი“, „კოლხეთის მფლობელი“, „ლაზი“. გრიგორასი, როგორც ბიზანტიის იმპერატორთა პოლიტიკის დამცველი, ტრაპიზონის მეფეებს არასდროს მეფის წოდებულობით არ იხსენიებს.

XIII — XIV სს-ში საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის ამსახველი მნიშვნელოვანი ცნობები მოიპოვება ბიზანტიელი ისტორიკოსის მ ი ქ ე ლ პ ა ნ ა რ ე ტ ო ს ი ს თხზულებაში, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია „ტრაპიზონის ქრონიკის“ სახელით[2]. მ. პანარეტოსის თხზულებაში ქრონოლოგიური თანამიმდევრობითაა გადმოცემული ტრაპიზონის სამეფოს ისტორია 1204 წლიდან 1426 წლამდე. ავტორი მოღვაწეობდა XIV ს. მეორე ნახევარსა და XV ს. პირველ მეოთხედში. პანარეტო-

---

[1] საქართველოს შესახებ ნიკიფორე გრიგორასის „ისტორიიდან“ ამოკრებილი ცნობები ბერძნულად და ქართულად სათანადო შენიშვნებით გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, გეორგიკა, VII, 1965, გვ. 119 — 158.

[2] მ ი ქ ე ლ პ ა ნ ა რ ე ტ ო ს ი, ტრაპიზონის ქრონიკა, ალ. გამყრელიძის გამოცკრებულ. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 34, 1960; გეორგიკა, VII, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., 1967.

სი დაახლოებული იყო ტრაპიზონის სამეფო კართან, ყოფილა საქართველოში ბაგრატ V-ის კარზე და სხვ.[1].

მ. პანარეტოსის თხზულება იწყება ტრაპიზონის სამეფოს დაარსებით (1204 წელს) და აღნიშნულია თამარ მეფის დიდი როლი ამ ისტორიულ მოვლენაში. მოთხრობილია ბიზანტიის იმპერატორების ბრძოლის ეპიზოდები ტრაპიზონში ქართული სახელმწიფოებრივი გავლენის აღმოსაფხვრელად XIII ს. 80 — 90-იან წლებში; ტრაპიზონის სამეფოში ნარინ დავითის სამხედრო ექსპედიციების, ტრაპიზონის მეფის ასულ ანა კომნენოსზე ბაგრატ V-ის დაქორწინების, სამცხის მთავრებთან დინასტიური კავშირის შესახებ და სხვ. აღწერილია აგრეთვე თემურლენგის მიერ თბილისის აღება, გაძარცვა და აოხრება, ბაგრატ V-ის ტყვედ ჩავარდნა მეუღლითა და შვილით.

ცნობები საქართველოს შესახებ მოეპოვებათ აგრეთვე აღნიშნული ხანის სხვა ბიზანტიელ მწერლებსაც[2].

მნიშვნელოვანი ცნობები დაგვიტოვეს XIII — XV სს-ის ევროპელმა ავტორებმა, რომლებიც მახლობელ ან შორეულ აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობდნენ დიპლომატიური თუ სავაჭრო მიზნით.

XIII ს-ის 40-იანი წლების საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ ცნობები დაცულია რომის პაპის ელჩის იტალიელი ი ო ა ნ ე დ ე პ ლ ა ნ ო კ ა რ პ ი ნ ი ს (1182—1253) წიგნში[3]. კარპინი 1246/47 წწ. ელჩად იყო მონღოლებთან, ჯერ ბათო ყაენთან ოქროს ურდოში, შემდეგ დიდ ყაენთან გუიუქთან.

პლანო კარპინს დასახელებულ წიგნში რამდენიმე ადგილას აქვს საუბარი ქართველებისა და საქართველოს შესახებ. მისი თხრობა ემყარება მონღოლთა დიდი ყაენის კარზე საკუთარი თვალით ნანახს და იქ მყოფ ქართველებისაგან მოსმენილს. ავტორს პირადად უნახავს ყურულტაიზე ქართველი უფლისწულები დავით რუსუდანის ძე და დავით ლაშა გიორგის ძე, რომლებიც იქ იმყოფებოდნენ მეფობის დასამტკიცებლად. ავტორი აღწერს გუიუქ ყაენის მიერ 1246 წელს, აგვისტო-ნოემბერში, საქმის მონღოლური სამართლით გადაწყვეტას (ორივე დავითის დამტკიცებას საქართველოს მეფეებად), ლაპარაკობს საქართველოზე შეწერილი სამონღოლო ხარკის რაოდენობის, ქართველების მიერ განზრახული აჯანყებისა და სხვათა შესახებ.

მოკლე, მაგრამ საყურადღებო ცნობები მოიპოვება იტალიელი (ვენე-

---

[1] გეორგიკა, ტ. VII, გვ. 161 — 162.

[2] გეორგიკა ტ. VII, 1967; ტ. VIII, 1970.

[3] პ ლ ა ნ ო კ ა რ პ ი ნ ი, ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ. გ. ქ ი ქ ო ძ ი ს გამოც. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. II, 1942.

ციელი) მოგზაურის მარკო პოლოს (დაახლ. 1254—1324) წიგნში: მარკო პოლო ჯერ კიდევ ჭაბუკი ახლდა მამასა და ბიძას ჩინეთსა და აზიის სხვა ქვეყნებში, სადაც ისინი სავაჭრო საქმეების გამო მოგზაურობდნენ. 1271 წელს ის მამამ ჩაიყვანა ჩინეთში. აქ მარკო პოლომ შეისწავლა მონღოლური ენა, ასრულებდა ყაენის ადმინისტრაციული ხასიათის დავალებებს, რის გამოც უხდებოდა მონღოლთა დაპყრობილ ტერიტორიებზე მოგზაურობა, იყო სომხეთში, 1295 წელს ის სამშობლოში დაბრუნდა.

მარკო პოლოს ცნობები გვატყობინებს, რომ საქართველოში მეაბრეშუმეობა დიდად ყოფილა განვითარებული, ისე რომ ქვეყანა გენუელებთან აბრეშუმით ვაჭრობდა; აქვე ვგებულობთ თბილისის მოსახლეობის მრავალრიცხოვნობისა და სხვათა შესახებ[1].

XIV ს-ის 50 — 70-იანი წლების საქართველოს ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობის შესახებ საყურადღებო ცნობებია შეტანილი იტალიელი (ვენეციელი) მოგზაურისა და დიპლომატის იოსაფატ ბარბაროს (1413—1494) წიგნებში: „მოგზაურობა ტანაში“ და „მოგზაურობა სპარსეთში“[2].

იოსაფატ ბარბარო 1436 — 1452 წლებში ცხოვრობდა აზოვის სანაპიროზე დონის შესართავთან მდებარე ვენეციელთა კოლონია ტანაში, სადაც ეწეოდა ვაჭრობას თევზით და ძვირფასი ქვებით. როგორც ვაჭარს, მას მიმოსვლა უხდებოდა ახლო-მახლო და შორეულ ქვეყნებში. ამ პერიოდში ის ყოფილა საქართველოშიც, კერძოდ, სამეგრელოში. ვენეციაში დაბრუნების შემდეგ კი ბარბარო მოღვაწეობდა პოლიტიკურ-დიპლომატიურ ასპარეზზე. 1473 — 1479 წლებში იგი იყო ვენეციის რესპუბლიკის ელჩად ირანის შაჰის კარზე, მას უნდა ეთხოვა უზუნ ჰასანისათვის ოსმალებთან ომის დაწყება, მაგრამ მისია ვერ შეასრულა. მოგზაურობიდან დიდი ხნის შემდეგ, 1488/89 — 1492 წწ-ში, ტანაში გატარებული ცხოვრება და სპარსეთში მოგზაურობა მან აღწერა ორი ნაწილისაგან შემდგარ ნაწარმოებში, ეს წიგნები ერთმანეთს ავსებენ და მოტანილი ცნობების ქრონოლოგიური გამიჯვნა ზოგჯერ გაძნელებულია.

სპარსეთში ყოფნის დროს იოსაფატ ბარბარო უზუნ ჰასანს თან ახლდა საქართველოში ლაშქრობისას. იგი დასწრებია საზავო მოლაპარაკებასაც და ცდილობდა ქართველებს რაიმეთი დახმარებოდა (ქართველებს მასთან

---

[1] Книга Марко-Поло, перевод И. П. Минаева, М., 1955.

[2] იტალიელი მოგზაურები საქართველოში, მოამბე, XI, 1894. გამოკრებითი თარგმანი იტალიურიდან ალ. ჯაფარიძისა. იხ. Барбаро и Контарини о России... Вступительные статьи, подготовка текста, перевод и комментарий Е. Скржинской, Л., 1971.

ფარული კონტაქტი ჰქონდათ). ბარბაროს ცნობები ეხება აგრეთვე სამეგრელოს სამთავროს, საქართველოს მეფეს, მოსახლეობას, კვებას, ჩაცმადახურვას, მეურნეობას, თბილისს, ქუთაისს, გორსა და სხვ.

ბარბარო აღნიშნავს საქართველოში მოსახლეობის სიმცირეს, საკვებისა და ფულის ნაკლებობას. საერთოდ, მისი ცნობების მიხედვით, საქართველო ეკონომიკურად და კულტურულად დაქვეითებულ ქვეყნადაა წარმოდგენილი.

საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული იტალიელი (ვენეციელი) ელჩის ამბროჯო კონტარინის წიგნში „მოგზაურობა სპარსეთში"[1].

კონტარინი 1474 — 1477 წლებში იმყოფებოდა ვენეციის რესპუბლიკის ელჩად სპარსეთში; მას სპარსეთის შაჰი უზუნ ჰასანი უნდა დაეთანხმებია თურქეთთან ომის განახლებაზე.

ამბროჯო კონტარინის მოგზაურობის წიგნი ემყარება მის მიერ მოგზაურობისა და ელჩობის პერიოდში შესრულებულ ჩანაწერებს.

კონტარინს ორჯერ მოუხდა საქართველოში ყოფნა: პირველად, სპარსეთისაკენ მიმავალი, 1474 წ. 20 ივნისიდან 20 ივლისამდე იყო. ის შავი ზღვით, კაფიდან ეწვია ბათომს, გაიარა გურია, ფოთი, სამეგრელო, ქუთაისი, სკანდა, გორი, ლორე და სომხეთით ჯერ თავრიზში, შემდეგ კი ისპაჰანში ჩავიდა. აქ კონტარინი შეხვდა იოსაფატ ბარბაროს, უზუნ ჰასანმა იგი მიიღო, მაგრამ მისია ვერც კონტარინმა შეასრულა, მეორედ, სამშობლოში მიმავალი 1475 წ. ივნისიდან ოქტომბრამდე იყო საქართველოში.

კონტარინს აქვს ცნობები ბათომის, ფოთის, ქუთაისის, სკანდას, გორის, თბილისის, ლორეს და სხვათა შესახებ. წიგნში აღწერილია ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების ამსახველი ეპიზოდები. კონტარინის ცნობები ზოგ შემთხვევაში ემთხვევა და ავსებს ბარბაროს ცნობებს.

ცნობები აღნიშნული პერიოდის საქართველოს შესახებ დაცულია აგრეთვე რუბრიკის (XIII ს.), კლავიხოსა და შილტბერგერის (XIV — XV სს. მიჯნა) შრომებში[2].

---

[1] Барбаро и Контарини о России... Перевод и комментарий Е. Скржинской. Л., 1971.

[2] М. Полиевктов. Европейские путешественники XIII—XVIII вв. по Кавказу, с. 95—97, 170—173.

არაქართულ წერილობით წყაროებს შორის, რომელთაც ვიყენებთ XI — XV საუკუნეების საქართველოს ისტორიის საკითხების შესასწავლად, სომხურ წყაროებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ეს აიხსნება ძირითადად შემდეგი მიზეზებით: ჯერ ერთი, აღნიშნული ხანის საზოგადოდ მდიდარ სომხურ საისტორიო მწერლობაში მოიპოვება ცნობები არა მხოლოდ საკუთრივ სომხეთისა და კილიკიის სომხური სახელმწიფოს, არამედ მათი მეზობელი, კავკასიისა თუ წინა აზიის, მრავალი ქვეყნისა და ხალხის შესახებაც. მეორეც, მოყოლებული X ს. დასასრულიდან საქართველოს სახელმწიფოს სამეფო-სამთავროებად დაშლამდე ქართველი მეფეები იბრძვიან სომხეთიდან უცხოელ დამპყრობთა განსადევნად, სომხური მიწა-წყალი სხვადასხვა დროს განსხვავებული ოდენობით საქართველოს სამეფოს შემადგენელი ნაწილი ხდება; ამასთანავე საკუთრივ საქართველოში მრავლად მოილტვის და მკვიდრდება უცხოელთა თარეშებით განაწამები, მშობლიური ქვეყნიდან აყრილი სომხური მოსახლეობა და ყოველივე ეს, ბუნებრივია, ზრდის ისტორიული სომხეთის ფარგლებში ან მის გარეთ მცხოვრებ სომეხ ისტორიკოსთა თუ მოღვაწეთა ინტერესს საქართველოს მიმართ.

ა რ ი ს ტ ა კ ე ს ლ ა ს ტ ი ვ ე რ ც ი (XI ს.). აღნიშნული ხანის სომეხ ისტორიკოსთა შორის არისტაკესს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. მისი ბიოგრაფია ძირითადად უცნობია. იგი სასულიერო პირი, მოძღვარი (ვარდაპეტი) ყოფილა. მისი დაბადების ადგილი — ლასტივერი, ფიქრობენ, რომ არზრუმის მახლობლად მდებარეობდა, თუმცა ზოგ მეცნიერს მიაჩნია, რომ მისი ადგილმდებარეობა გაურკვეველია. არისტაკესის „ისტორია"[1] იწყება XI ს. დამდეგის ამბებით და შეიცავს ცნობებს 1071 წლამდე. თხზულება სისტემატური თხრობის წესით არ არის აგებული, იგი სხვადასხვა ფაქტის ანაქრონული გადმოცემაა.

არისტაკეს ლასტივერცი ეკუთვნის იმ ისტორიკოსთა წყებას, რომლებიც სასულიერო მწერლობისა და საეკლესიო დოგმების დიდ გავლენას განიცდიან. თანადროული პოლიტიკური ვითარების შესახებ თხრობისას იგი ძალიან ხშირად მიმართავს საღვთო წერილს. მიუხედავად ამისა, როგორც თანამედროვისა და ხშირად თვითმხილველის მიერ დაწერილი, არისტაკესის „ისტორია" მრავალ ძვირფას ცნობას გვაწვდის ამიერკავკასიის მიმართ ბიზანტიის დამპყრობლური პოლიტიკის, სელჩუკთა ლაშქრობების, მათ მიერ ჩადენილი საშინელებებისა და სხვა საკითხების შესახებ.

---

[1] ა რ ი ს ტ ა კ ე ს ლ ა ს ტ ი ვ ე რ ტ ე ც ი, ისტორია, ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1974.

მ ა თ ე ო ს უ რ ჰ ა ე ც ი. დაიბადა XI საუკუნის მეორე ნახევარში ქალაქ ედესაში (ურჰა). გარდაიცვალა იქვე 1138 — 1144 წლებს შორის. მონაზონ მათეოს ურჰაეცის ქრონიკა[1], რომელიც შედგება სამი ნაწილისაგან, იწყება 952 წლიდან და მოდის 1136 წლამდე. მნიშვნელოვანია მეორე (1051 — 1101) და მესამე ნაწილი (1101 — 1136), განსაკუთრებით მესამე. ფიქრობენ, რომ მათეოსი ქრონიკის წერას შეუდგა 1113 წელს. ძნელბედობის გამო სომეხი ხალხი, უფრო მეტად XI საუკუნიდან, ისტორიულ სომხეთს გარდა სხვა მრავალ მხარეშიც ბინადრობდა. ამან განაპირობა ის, რომ მათეოსი ცნობებს გვაწვდის ყველა იმ სამეფო-სამთავროს შესახებ, რომლებთანაც დაკავშირებული იყვნენ სომხები. საქართველო, აზერბაიჯანი, არაბთა სახალიფო, ბიზანტია, ეგვიპტე, თურქ-სელჩუკთა და ჯვაროსანთა სამეფო-სამთავროები, ბულგარეთი, ამ სახელმწიფოთა ურთიერთობები, ასე თუ ისე, ექცევა მათეოს ურჰაეცის თვალსაწიერში. ქრონიკაში დაცულია ზოგი ისეთი საყურადღებო ცნობა, რომელსაც ვერ ვხვდებით თანადროულ ბიზანტიურ, არაბულ, სირიულ და ლათინურ საისტორიო თხზულებებში.

მათეოს ურჰაეცის ქრონიკას 1162 წლამდე აგრძელებს ხუცესი გ რ ი გ ო რ ქ ე ს უ ნ ც ი, რომელიც იმავე პრინციპით წერს[2].

ს ა მ ვ ე ლ ა ნ ე ც ი. ამ ავტორის შესახებ მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ იგი ანელი ხუცესია და ცხოვრობდა XII საუკუნეში. მის კალამს ეკუთვნის ქრონოგრაფია[3], რომელიც იწყება ადამიდან და მთავრდება 1180 წლის ამბებით. უცნობმა ავტორებმა ქრონიკა გააგრძელეს XVII საუკუნემდე. სამველ ანეცის თხზულებაში მრავალი ხალხის შესახებ გვხვდება მოკლე ცნობები, სომხეთზე კი შედარებით ვრცლადაა მოთხრობილი. XII ს. საქართველო-სომხეთის ურთიერთობის შესასწავლად სამველ ანეცისთან ვხვდებით ზოგ ისეთ ცნობას, რომელიც სხვა წყაროებს არ შემოუნახავს.

„ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს“ ს ო მ ხ უ რ ი თ ა რ გ მ ა ნ ი. XII საუკუნეში უნდა იყოს თარგმნილი ქართულიდან სომხურად ქართლის ცხოვრება[4], რომელიც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებით მთავრდება. ეს ძეგლი მრავალმხრივაა საყურადღებო და, კერძოდ, იმით, რომ იგი იძლევა დამატებით მასალას ქართველ-სომეხთა ურთიერთობის

---

[1] მ ა თ ე ო ს უ რ ჰ ა ე ც ი, ქამთააღმწერლობა, ვაღარშაპატი, 1898 (სომხურ ენაზე).

[2] ი ქ ვ ე, გვ. 369 — 429.

[3] ს ა მ ვ ე ლ ა ნ ე ც ი, მეისტორიეთა წიგნებიდან ამონაკრეფი, ვაღარშაპატი, 1893 (სომხურ ენაზე).

[4] ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ი. აბულაძემ, თბ., 1953.

შესასწავლად. სომეხ მთარგმნელს სომხური საზოგადოებრიობის ინტერესების გათვალისწინებით თარგმანში ზოგჯერ შეაქვს ახალი ცნობები, ხოლო დედნის ზოგიერთ ადგილს უბრალოდ კი არ თარგმნის, არამედ რამდენადმე ასხვაფერებს კიდეც.

მ ხ ი თ ა რ გ ო შ ი. ცნობილი სომეხი ღვთისმეტყველი და საზოგადო მოღვაწე მხითარ გოში დაიბადა ქ. განძაში, XII საუკუნის I ნახევარში. თავისი დროის კვალობაზე მან საფუძვლიანი განათლება მიიღო. ძირითადად მოღვაწეობდა იმხანად საქართველოს ფარგლებში მდებარე გეტიკისა და ნორ გეტიკის მონასტრებში, რომელთაგან უკანასკნელი მის მიერვე იყო დაფუძნებული. გარდაიცვალა 1213 წელს.

მხითარ გოშის თხზულებებიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა სამი ნაშრომი: „ალბანეთის ქრონიკა", „ეპისტოლე მხითარ ვარდაპეტისა, რომელსაც გოში ეწოდებოდა" და „სომხური სამართლის წიგნი". „ალბანეთის ქრონიკაში"[1], გარდა ალბანთა მღვდელმთავრების სიისა, მოცემულია საკმაოდ ვრცელი ცნობები განძის საამიროსა და მისი მეზობელი ქვეყნების ისტორიიდან 1139 — 1162 წლებს შორის. მოკლედ გადმოცემულია ანისისათვის ქართველთა შემდეგდროინდელი ბრძოლების შესახებაც. „ეპისტოლე მხითარ ვარდაპეტისა, რომელსაც გოში ეწოდება"[2] დაწერილია 1193 — 1206 წლებს შორის. ძეგლი მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს სახელმწიფოში მცხოვრებ მონოფიზიტ სომხებს შორის XII ს. დასასრულისათვის ქალკედონიანობის გავრცელების საკითხის შესასწავლად. გასათვალისწინებელია, რომ, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, თხზულებას ატყვია შემდეგდროინდელი გადაკეთების კვალი, რაზედაც მისი ჩვენამდე მოღწეული სათაურიც მიუთითებს.

„სომხური სამართლის წიგნი"[3] შუქს ჰფენს საქართველოს მეზობელი თუ საქართველოს სახელმწიფოში შემომავალი სომხური ოლქების ფეოდალური საზოგადოებრიობის ცხოვრების თითქმის ყველა მხარეს, მაშინ როდესაც საისტორიო თხზულებების ავტორები ჩვეულებრივ მხოლოდ პოლიტიკური, სამხედრო და საეკლესიო ამბების თხრობით არიან გატაცებული.

---

[1] ღ. დ ა ვ ლ ი ა ნ ი ძ ე, მხითარ გოშის „ალბანეთის ქრონიკა", ქართული წყაროთმცოდნეობა, II, 1968, გვ. 27 — 49.

[2] ჟურნალი „არარატი", 1900, გვ. 497 — 504, 562 — 568, 1901, გვ. 55 — 61, 121 — 127 (სომხურ ენაზე); „ეპისტოლე მხითარ ვარდაპეტისა, რომელსაც გოში ეწოდებოდა", სომხური ტექსტი დაადგინა და ქართულად თარგმნა ი. აბულაძემ, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. აბულაძის არქივი, № 328.

[3] მ ხ ი თ ა რ გ ო შ ი, სამართლის წიგნი, ერევანი, 1975 (სომხურ ენაზე). აღსანიშნავია, რომ ვახტანგ VI-ის თაოსნობით შეიქმნა მხითარ გოშის სამართლის ქართული ვერსია (იხ. ქართული სამართლის ძეგლები, I, ი. დოლიძის გამოც., 1963, გვ. 223 — 389).

კ ი რ ა კ ო ს გ ა ნ ძ ა კ ე ც ი (XII ს. დასაწყისი — 1271). კირაკოსი სომხური საისტორიო მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. თავდაპირველად სწავლობდა ნორ გეტიკის სავანეში, ხოლო მხითარ გოშის გარდაცვალების შემდეგ გახდა მხითარ გოშის მოწაფის, ცნობილი ვანაკან მოძღვრის მოწაფე. თავის მასწავლებელთან ერთად 1236 წ. ტყვედ ჩაუვარდა მონღოლებს, მაგრამ მალე გაიქცა და ტყვეობას თავი დააღწია. კირაკოს განძაკეცი 1241 წ. შეუდგა „სომხეთის ისტორიის"[1] წერას. „ისტორია" იწყება გრიგოლ განმანათლებლის მოღვაწეობის აღწერით და გრძელდება 1265 წლამდე. IV — XII სს. ამსახველი ნაწილი წინამორბედ ისტორიკოსთა შრომების შემოკლებაა, XIII ს. ისტორია კი კირაკოსს შედარებით ვრცლად აღუწერია. თხზულების ამ მონაკვეთში იგი ძირითადად აღწერს თავისი თვალით ნანახს ან თვითმხილველთაგან ნაამბობს. იყენებს წერილობით წყაროებსაც. მაგალითად, როდესაც ვრცლად მოგვითხრობს მონოფიზიტთა „ქართულ რჯულზე" მოქცევის მიზნით XIII ს. დასაწყისში საქართველოს სამეფო ხელისუფლების ინიციატივით მოწვეული ლორესა და ანისის საეკლესიო კრებების მსვლელობის შესახებ, კირაკოსი დასძენს, რომ ცნობები ყოველივე ამის ირგვლივ მას ამოუღია აღნიშნული ამბების თვითმხილველის, თავისი სახელგანთქმული მასწავლებლის ვანაკან მოძღვრის ჩვენამდე მოუღწეველი თხზულებიდან.

კირაკოსის „ისტორიის" ის ნაწილი, რომელიც XIII საუკუნეს ეხება, მეტად ძვირფასი, სანდო პირველწყაროა სელჩუკთა საამიროების წინააღმდეგ საქართველოს სამეფოს ბრძოლის ისტორიის, საქართველოს სამეფო სამსახურში მხარგრძელთა დაწინაურების, ქართველ-სომეხთა ურთიერთობის, ამიერკავკასიაში მონღოლთა გამაჩანაგებელი ლაშქრობების, მათი ბატონობის, წეს-ჩვეულებებისა და სხვა საკითხების შესასწავლად.

ვ ა რ დ ა ნ ა რ ე ვ ე ლ ც ი. ვარდანი დაბადებული უნდა იყოს დაახლოებით 1200 — 1210 წლებს შორის ქ. განძაში ან მის სანახებში. კირაკოს განძაკეცთან ერთად იგი იყო მოწაფე ვანაკან მოძღვრისა. 1264 წ. ჰულაგუ ხანმა ვარდან არეველცი თავის კარზე მიიწვია. გარდაიცვალა 1271 წელს. ვარდან არეველცის თხზულებათაგან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ე. წ. „მსოფლიო ისტორია"[2], რომელიც იწყება ქვეყნის დასაბამიდან და გრძელდება 1267 წლამდე. სომხეთის გარდა აქ გვაქვს ცნობები პალესტინის, სპარსეთის, ბიზანტიის, არაბეთის, საქართველოს, თურქე-

---

[1] კ ი რ ა კ ო ს გ ა ნ ძ ა კ ე ც ი, სომხეთის ისტორია, ერევანი, 1961 (სომხურ ენაზე); Киракос Гандзакеци, История, Баку, 1946.

[2] ვ ა რ დ ა ნ ი, მსოფლიო ისტორია, მოსკოვი, 1861, ვენეცია, 1862 (სომხურ ენაზე): Всеобщая история Вардана Великого, М., 1861.

ბის, მონღოლებისა და სხვათა შესახებ. XI საუკუნიდან მოყოლებული, თხზულება გაცილებით უხვ ცნობებს გვაწვდის.

ვარდან არეველცის „მსოფლიო ისტორია“ კომპილაციაა. თვით თავისი თანამედროვე ეპოქის შესახებაც კი ვარდანს ცნობები ვანაკან მოძღვრისა და კირაკოს განძაკეცის თხზულებებიდან ამოუკრებია, მხოლოდ დაწვრილებით აღუწერია ჰულაგუ-ხანის კარზე მისი ყოფნა. მიუხედავად ამისა, „მსოფლიო ისტორია“ მეტად საყურადღებო პირველწყაროა, რადგან ვარდანი სარგებლობდა ჩვენამდე მოუღწეველი წყაროებით. მაგალითად, საქართველოს შესახებ ვარდანს ბევრი ცნობა ამოუღია XII ს. დასასრულის მოღვაწე ანისის დეკანოზ მხითარ ანეცის „ისტორიიდან“, რომლის უდიდესი ნაწილი, სადაც საქართველოს შესახებაც უნდა ყოფილიყო ცნობები, დაკარგულად ითვლება.

ბოლო ხანებში ვარდან არეველცის გადაჭრით მიაკუთვნეს „გეოგრაფია“[1], რომლის ავტორის ვინაობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა. „გეოგრაფია“ საყურადღებო ცნობებს შეიცავს არა მარტო სომხეთის, არამედ მისი მეზობელი ქვეყნების შესახებაც.

გ რ ი გ ო რ ა კ ნ ე რ ც ი (XIII ს.). ლიტერატურაში ადრე გრიგორ აკნერცი მალაქია ბერის სახელით იყო ცნობილი. მის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები თითქმის არა გვაქვს. როგორც მისივე „ისტორიიდან“ ჩანს, იგი ვანაკან მოძღვრის მოწაფე უნდა ყოფილიყო და ვარდან არეველცისა და კირაკოს განძაკეცთან ერთად უნდა ესწავლა. გრიგორ აკნერცის „მოისართა ტომის ისტორია“[2] მოიცავს 55 წლის (1220 — 1275) ამბებს. ავტორი აღწერს მონღოლთა გამოჩენას, მათ შემოსევებსა და გაბატონებას ამიერკავკასიასა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში. ძეგლი საყურადღებო ცნობებს გვაწვდის მონღოლთა მფლობელობის ხასიათისა და დაპყრობილ ხალხთა ისტორიის საკითხების შესასწავლად. გრიგორ აკნერცი ხშირად იგივე ამბებს გადმოგვცემს, რასაც კირაკოს განძაკეცი და ვარდან არეველცი, მაგრამ ზოგიერთი დეტალი განსხვავებულია და ავსებს მათ ცნობებს.

ს ტ ე ფ ა ნ ო ს ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. სომხური ისტორიოგრაფიის ბრწყინვალე წარმომადგენელი ს. ორბელიანი წარმომავლობით ქართველი იყო და ქართული ენა, როგორც ჩანს, სცოდნია. იგი იყო შვილი ტარსაიჭ ორბელიანისა, აღუზრდია უშვილო ბიძას. სტეფანოსი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XIII ს. II ნახევარში. 1285 წ. ხდება ტათევის მიტროპოლიტი. ვარდაცვლილი ჩანს 1304 წელს. სტეფანოს ორბელიანი თავის „სიუნიქის

---

[1] ვ ა რ დ ა ნ მ ო ძ ღ ვ ა რ ი. გეოგრაფია, პარიზი, 1960 (სომხურ ენაზე).

[2] გ რ ი გ ო რ ა კ ნ ე ლ ი, მოისართა ტომის ისტორია, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით და კომენტარით გამოსცა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1961.

ისტორიაში"[1] საზოგადოდ მოგვითხრობს სიუნიქის მთავრების შესახებ, ხოლო რაკი ამ ქვეყნის მთავრები გარკვეული დროიდან ორბელები იყვნენ, ამიტომაც მის თხზულებაში მოიპოვება საგანგებო თავი, სადაც ორბელთა წარმომავლობისა და თავგადასავლის შესახებ უხვი ცნობებია მოცემული. სტეფანოსის, როგორც ისტორიკოსის, დიდ ღირსებად ითვლება ის, რომ იგი იყენებს მთელ რიგ დოკუმენტურ წყაროებს, ეპიგრაფიკულ ძეგლებს, ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებს და ა. შ. აღსანიშნავია ისიც, რომ სტეფანოსი ხედავს ქვეყნის გეოგრაფიული აღწერის, ადმინისტრაციული დაყოფის აღნიშვნის საჭიროებას საისტორიო თხზულებაში.

მისი დროის ისტორიკოსთაგან განსხვავებით, სტეფანოს ორბელიანი შედარებით ნაკლებადაა მოქცეული სარწმუნოებრივი დოგმების გავლენის ქვეშ და მოვლენები ყოველთვის ღვთის ნების გამოვლენად კი არ ესახება, არამედ რეალური საფუძვლით ცდილობს მათ ახსნას. იგი მოვლენათა შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ამჩნევს.

XIII ს. მდიდარი სომხური საისტორიო მწერლობის ძეგლებიდან აღსანიშნავია აგრეთვე სმბატ სპარაპეტის მატიანე[2] და მხითარ აირივანეცის ქრონოგრაფია[3].

XIV — XV საუკუნეები სომხური ისტორიოგრაფიის დაკნინების ხანად უნდა ჩაითვალოს. შეიძლება მოვიხსენიოთ მხოლოდ XV ს. I ნახევრის მოღვაწე თომა მეწოფეცი. მისი „ლანგ თემურის ისტორია"[4] წყაროების ნაკლებობის პირობებში საკმაოდ საყურადღებო ძეგლია თემურლენგის დაპყრობების, განსაკუთრებით თემურის მემკვიდრეების ისტორიის, იმდროინდელი სომხური საზოგადოებრივი აზრისა და საქართველო-სომხეთის ურთიერთობის საკითხების შესასწავლად.

XIII — XV სს. მანძილზე შედგენილ იქნა რამდენიმე ე. წ. „წვრილი

---

[1] სტეფანოს ორბელიანი, სიუნიქის ისტორია, თბ., 1910 (სომხურ ენაზე); История князей Орбельян, Извлечение из сочинений Стефана Сюнийского, М., 1883. სტეფანოს ორბელიანის „სიუნიქის ისტორიის" ერთი თავი, რომელშიც ორბელთა თავგადასავალია აღწერილი, 1797 წ., ქართულად უთარგმნიათ (იხ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, სტეფანე სივნიელის „ორბელთა ისტორიის" ქართული ვერსია, საისტორიო მოამბე, 6, 1952, გვ. 33 — 84).

[2] Смбат Спарапет, Летопись, перевод с древнеармянского, предисловие и примечания А. Г. Галстяна, Ереван, 1974.

[3] მხითარ აირივანეცი, სომხეთის ისტორია, მოსკოვი, 1860 (სომხურ ენაზე); К. Патканов, Хронографическая история Мехитара Айриванского (XIII в.). СПб., 1869.

[4] ლ. მელიქსეთ-ბეგი, თომა მეწოფელი, თბ., 1937.

ქრონიკა"[1], რომლებიც განსაკუთრებით ქრონოლოგიის საკითხების შესასწავლად იძლევიან ძვირფას მასალას.

აღსანიშნავია, რომ ჩვენთვის საინტერესო ცნობებს ზოგჯერ XV საუკუნის შემდეგ შექმნილ სომხურ საისტორიო თხზულებებშიც ვხვდებით.

საქართველოს ისტორიის საკითხების შესასწავლად საყურადღებო ძეგლებიდან ისტორიკოსთა და ქრონისტთა თხზულებების გარდა უნდა აღინიშნოს აგრეთვე სომხურ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები[2], ეპიგრაფიკული ძეგლები[3] და წმინდანთა ცხოვრება[4].

8. არაბული წყაროები

XI — XV საუკუნეების საქართველოს ისტორიის შესასწავლად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ პერიოდის არაბულენოვან ნარატიულ წყაროებს.

არაბულ საისტორიო მწერლობაში მისი ჩამოყალიბების დროიდანვე ჩნდება ცნობები საქართველოს შესახებ. ადრეული ხანის (IX — X სს.) არაბ მწერალთა ტრადიციების საუკეთესო გამგრძელებლები იყვნენ იაჰია ანტიოქიელი, ალ-ფარიკი, იბნ შადადი, ალ-ჰუსაინი, ალ-იაკუთი, იბნ ალ-ასირი, ან-ნასავი, სიბტ იბნ ალ-ჯაუზი, ზაქარია ყაზვინი, აბუ ლ-ფიდა, ან-ნუვაირი, ალ-უმარი, ალ-კალკაშანდი, ალ-მაკრიზი, ალ-აინი, იბნ არაბ შაჰი და სხვ.

ი ა ჰ ი ა ი ბ ნ ს ა ი დ ი ბ ნ ი ა ჰ ი ა ა ლ-ა ნ ტ ა ქ ი (ანტიოქიელი) XI ს-ის I ნახევრის ეგვიპტელი არაბი მწერალია; დაბადებული უნდა იყოს X ს-ის 70-იან წლებში, გარდაიცვალა დაახლოებით 1066 წელს. 1014 — 1015 წლამდე ცხოვრობდა სამშობლოში (კაიროსა და ალექსანდრიაში), შემდეგ გადავიდა ანტიოქიაში და იქვე დაასრულა თავისი სიცოცხლე. თავიდან მას მედიცინა იზიდავდა, მაგრამ 1006 — 7 წელს, სხვების დავალებით, დაუწყია თავისი წინამორბედი ნათესავის, ალექსანდრიის პატრიარქის ევტიხის ისტორიული თხზულების („ძვირფასი ქვების ძაფი") გაგრძელება, რომელიც ცნობილია „თარიხ აზ-ზაილის" („მატიანის გაგრძელება") სახელწოდებით. თხზულება ორ ტომადაა დაწერილი,

---

[1] წვრილი ქრონიკები, XII — XVIII საუკუნეები, შეადგინა ე. ჰაკობიანმა, ტ. I, ერევანი, 1951, ტ. II, ერევანი, 1956 (სომხურ ენაზე).

[2] კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი გ ა რ ე გ ი ნ I, ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები, ანთილია, 1951 (სომხურ ენაზე). XIV — XV საუკუნეების ანდერძ-მინაწერები მიმდინარე საუკუნის 50 — 60-იან წლებში ოთხ ტომად გამოსცა ლ. ხაჩიკიანმა.

[3] კ. კ ო ს ტ ა ნ ი ა ნ ც ი, ქვაზე დაწერილი მატიანე, პეტერბურგი, 1914 (სომხურ ენაზე). ბოლო ხანებში მიმდინარეობს სომხური წარწერების კორპუსის გამოცემა. ჯერჯერობით გამოიცა ოთხი ტომი.

[4] Памятники армянской агиографии, выпуск I, Ереван, 1973.

მთავრდება 1066 წლის ამბებით, თხრობა მიმდინარეობს ქრონოლოგიური თანამიმდევრობით. „თარიხ აზ-ზაილის“ სრული ტექსტი გამოცემული არ არის. ცნობილია მისი რამდენიმე ხელნაწერი — დამასკოს, პარიზის, ფადლალაჰ სარუფის — ბეირუთში და პორფილე უსპენსკის. ეს უკანასკნელი ხელნაწერი ყველაზე ადრინდელი და სრულია. მისი ნაწილი, რომელშიც ასახულია ბიზანტიის კეისრის ბასილ II-ის (976 — 1025) ცხოვრება-მოღვაწეობის ძირითადი მომენტები, რუსულად თარგმნა და 1883 წელს გამოაქვეყნა ბარონმა ვ. როზენმა[1]. მასში საყურადღებო ცნობებია მაშინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის. ავტორი გვამცნობს: ბასილ II-ის წინააღმდეგ ამბოხებული ბარდა ფოკას ვაჟის — ნიკიფორე კოჭლის გამოცხადებას ტაოს მფლობელ დავით დიდ კურაპალატთან, რათა ამ უკანასკნელს დახმარება აღმოეჩინა კეისრის სარდლის ტარონიტის დასამარცხებლად; დავითის მიერ ბაგრატის ორი ვაჟისა და 1000-კაციანი მაშველი რაზმის გაგზავნას, მათ გამარჯვებას და სამშობლოში დაბრუნებას; ამის გამო ბასილის განრისხებას და 990 წ. ჯაკ რუსის სარდლობით ლაშქრის გამოგზავნას, ბრძოლაში ბაგრატის ვაჟების დამარცხებას, დავითის შეწყალებას და კურაპალატად დანიშვნას იმ პირობით, რომ გარდაცვალების შემდეგ, ვითარცა უმემკვიდრეო, თავის სამფლობელოს ბიზანტიის კეისარს დაუტოვებდა; დავით კურაპალატის გარდაცვალებას (1001 წ.), ტაოს გადასვლას ბიზანტიის ხელში და 1019 წელს გიორგი I-ის მიერ ამ ტერიტორიის კვლავ შემოერთებას; ქართველი მეფის ცდას შეუთანხმდეს ეგვიპტის ხალიფას ალ-ჰაქიმს, რომ მოაწყონ ერთდროული ლაშქრობა კეისრის წინააღმდეგ სხვადასხვა მხრიდან; ამ მოლაპარაკების ჩაშლას, ბასილის ლაშქრობას საქართველოში 1020 წელს, გიორგი I-ის დამარცხებას და საქართველოს აწიოკებას; ხელახალი ლაშქრობისათვის კეისრის მზადებას 1022 წელს, გიორგი მეფის დამორჩილებას, ბაგრატ გიორგის ძის დაბრუნებას კონსტანტინოპოლიდან, მის გამეფებას საქართველოში და ბასილ II-ის მიერ მიტაცებული ტერიტორიების შემოერთებას.

იაჰია ანტიოქიელის ეს ცნობები ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოყენებული აქვს ივ. ჯავახიშვილს[2].

აჰმად იბნ იუსუფ იბნ ალი იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკი დაიბადა 1116 წელს ქ. მაიაფარიკინში[3]; ბევრ დროს ანდომებდა მოგზაურობას. 1153 წელს ჩამოვიდა საქართველოში მეფე დემეტრე I-ის კარზე. ალ-ფარიკის ეკუთვნის ისტორიული თხზულება „თარიხუ ლ-მაიაფარიკი-

---

[1] В. Р. Розен, Император Василий Болгаробойца, СПб., 1883.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1965, ტ. II, გვ. 128 — 139.

[3] ქალაქი დიარბექირის ჩრდილო-დასავლეთით.

ნა“ („მაიაფარიკინის ისტორია“), რომელიც დასრულდა 1165 წელს. ნაშრომში თავმოყრილია ხანგრძლივი მოგზაურობის დროს შეგროვილი მასალები; გადმოცემულია თვითნანახი და მოსმენილი ამბები. „თარიხუ ლ-მაიაფარიკინის“ სრული ტექსტი ჯერ გამოცემული არ არის. მისი ცალკეული ნაწყვეტები თარგმნეს ს. ქასრავიმ[1], ვლ. ფუთურიძემ[2], ვ. მინორსკიმ[3] და მამედოვმა[4]. ექსცერპტის არაბული ტექსტი გამოაქვეყნა გ. წერეთელმა[5].

ალ-ყარიკის „მაიაფარიკინის ისტორიაში“ მოთხრობილია ამბავი დავით აღმაშენებლის მიერ მაჰმადიან გამგებელთა კოალიციური ლაშქრობის დამარცხებისა დიდგორის ველზე (1121 წელს), ქართველი მეფის მიერ თბილისის აღებისა (1122 წ.), ქალაქში მცხოვრები მუსლიმანების შეწყალებისა და იმ წესების შესახებ, რაც დავითმა შემოიღო მათთვის. იქვე საინტერესო ცნობებია ჯაფარიანთა არაბული გვარის გადაშენების შემდეგ თბილისში დამყარებული საქალაქო მმართველობის შესახებაც. ისტორიკოსი დიდად აფასებს ქართველ მეფეებს — დავითსა და მის მემკვიდრე დემეტრეს. ალ-ფარიკის „თარიხ ლ-მაიაფარიკინა“ ერთ-ერთი საუკეთესო ისტორიული წყაროა XII ს. საქართველოს ისტორიის შესასწავლად.

ამავე პერიოდის საქართველოს შესახებ საყურადღებო ცნობებია დაცული აგრეთვე ბ ა ჰ ა ად-დ ი ნ ა ბ უ ლ-მ ა ჰ ა სი ნ ი უ ს უ ფ ი ბ ნ შ ა დ ა დ ი ს (1145 — 1234) ისტორიულ ნაშრომში — „ქითაბ სირათი სალაჰ ად-დინ („სალაჰ ად-დინის ბიოგრაფია“), რომელიც 1899 — 1900 წწ. გამოიცა კაიროში. ნაშრომში ვრცლადაა წარმოდგენილი პირველი აიუბი სულთნის დროს ეგვიპტის ურთიერთობა გარე სამყაროსთან, კერძოდ, მასში დაცულია ცნობა იმის შესახებ, რომ 1192/3 წ. სალადინის კარზე გამოცხადებულან საქართველოს მეფის ელჩები, რომლებსაც მისთვის გადაუციათ თამარის წერილი და 200 ათასი დინარი მუსლიმანთა მიერ 1187 წელს მიტაცებული ჯვრის მონასტრის გამოსახსნელად.

ჩვენი ქვეყნის წარსულის შესასწავლად დიდმნიშვნელოვანი ძეგლია „ახბარუ დ-დავლათი ს-სელჯუკიათი“ („სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორია“), ანუ სხვანაირად „ზუბდათუ თ-თავარიხი ახბარ 'უმარა'უ ვა ლ-მულუქი ს-სალჯუკიათი“ („ისტორიის ნაღები, რომელიც მოგვითხრობს სელ-

---

[1] A. S. Kasrawi, The Forgotten Rulers (Saddadits), Tehran, 1930, გვ. 73.

[2] ვლ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, არაბი ისტორიკოსი XII ს-ის თბილისის შესახებ (ენიმკის მოამბე, თბ., 1942, ტ. XIII, გვ. 139 — 143).

[3] V. Minorsky, Caucasica in the History of Mayyafarigin, BSOAS, London, 1949. Vol. III, გვ. 27.

[4] Труды Института истории Аз. ССР, т. XII, Баку, 1949.

[5] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, არაბული ქრესტომათია, თბ., 1949, გვ. 68 — 75.

ჩუკ ამირებსა და მეფეებზე"). თხზულების ავტორად პირობითად მიჩნეულია სადრ ად-დინ აბუ ლ-ჰასან იბნ 'ალი იბნ ნასირ ალ-ჰუსაინი, ხვარაზმშაჰ ალა-ად-დინ თექეშის (1172 — 1200) მოხელე. თხზულებაში თხრობა გრძელდება 1231 წლამდე და წყდება ხვარაზმშაჰ ჯალალ ად-დინის ცხოვრების აღწერით. თხზულების არაბული ტექსტი გამოსცა მუჰამად ეყბალმა ლაჰორში 1933 წელს[1]. ეყბალისეული გამოცემის არაბული ტექსტი თურქულად თარგმნა ნეჯათ ლუღალმა[2]. ალ-ჰუსაინის ამ ნაშრომში ვრცლადაა აღწერილი ქრისტიანულ ქვეყნებთან სელჩუკი სულთნების ურთიერთობა, მათი თავდასხმები საქართველოზე, დამოკიდებულება ბაგრატ IV-თან, დავით აღმაშენებელთან, დემეტრე I-თან, გიორგი III-თან, თამართან და მის მემკვიდრეებთან. საინტერესოა თხზულებაში დაცული ცნობები შირვანთან და აზერბაიჯანელ ილდეღიზებთან საქართველოს დამოკიდებულების შესახებ. ჩანს, ამ დროს შირვანი საქართველოს ქვეშევრდომი ქვეყანა იყო.

ალ-ჰუსაინის ცნობებს საქართველოს შესახებ იყენებენ რ. კიკნაძე, ნ. შენგელია და ზ. ბუნიატოვი[3].

საქართველოს შესახებ საყურადღებო ცნობები გვხვდება იაკუთ იბნ 'აბდ ალლაჰ ალ-ჰამავი არ-რუმის დიდ გეოგრაფიულ ლექსიკონში (1224 წ.), რომელსაც „ქითაბ მუჯამუ ლ-ბულდანი" („ქვეყნების ანბანზე გაწყობილი ლექსიკონი") ეწოდება. იაკუთი (1179 — 1229) წარმოშობით მცირეაზიელი ბერძენია, სწავლა-განათლება მიიღო ქ. ბაღდადში, წერდა არაბულად. 16 წელი დაჰყო მოგზაურობაში და მოიარა ეგვიპტე, სირია, პალესტინა, მესოპოტამია, აზერბაიჯანი, შუა აზია, ირანი.

იაკუთის თხზულება ძირითადად კომპილაციური ნაშრომია. ლექსიკონში შეჯამებულია ის, რაც მსოფლიო მეცნიერებას დაუგროვებია მონღოლთა შემოსევების დაწყებამდე. საქართველოს ავტორი ათავსებს მეხუთე სარტყელში (იკლიმში), რომლის ცენტრი თბილისის ახლოსაა. ლექსიკონში მოცემულია ქართველებისა და მათი ქვეყნის დახასიათება; არის ცნობები თბილისისა და მისი უბნის — სუღდაბილის, დმანისის, ხუნანის, მტკვრისა და არაბთა მიერ საქართველოს დაპყრობის შესახებ.

---

[1] Akbar ud—dawlat is-Seljuqyya by sadr ud-din Abul Hasain Ali ibn Nasir ibn Ali al-Huseini, Edited by Muhammed Iqbal, Lahore, 1933.

[2] Sadruddin Abul Hasan Ali ibn Nasir ibn Ali el-Huseyni, Ahbar ūd-devlet is-selçukiye, Ankara, 1943.

[3] რ. კიკნაძე, XI—XIII სს. თბილისის ისტორიიდან (საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, გამოც. I, 1960); ნ. შენგელია, სელჩუკები და საქართველო XI ს-ში, თბ., 1968; З. М. Буниятов, Некоторые сведения Садр ад-Дина Хусаини о Грузии, „Мацне", 1971, № 1.

„ქითაბ მუ'ჯამუ ლ-ბულდანის“ არაბული ტექსტის სრული გამოცემა პირველად განახორციელა გერმანელმა არაბისტმა ფ. ვიუსტენფელდმა[1]. ამის შემდეგ ის კიდევ ორჯერ გამოიცა: 1906 — 1907 წწ. კაიროში 10 ტომად (რვა ტომი შეადგენს ლექსიკონის ძირითად ტექსტს, ხოლო ბოლო ორი ტომი წარმოადგენს მუჰამად ამინ ალ-ხანჯის მიერ შესრულებულ დამატებას) და 1955 — 1957 წწ. ბეირუთში. „ქითაბ მუ'ჯამუ ლ-ბულდანი“ არც ერთ ენაზე არაა მთლიანად თარგმნილი. 1959 წ. გამოვიდა ლექსიკონის შესავალი ნაწილის ინგლისური თარგმანი წინასიტყვაობითა და ვრცელი შენიშვნებით[2]. რუსულ ენაზე „ქითაბ მუ'ჯამუ ლ-ბულდანის“ ნაწყვეტები თარგმნილი აქვთ ნ. მედნიკოვს, ვ. როზენს, ო. სენკოვსკის, პ. ჟუზეს[3], ქართულად — ე. სიხარულიძეს[4].

საქართველოს ისტორიის შესახებ მეტად საინტერესო ცნობებს იძლევა იაკუთის თანამედროვე არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ასირი.

აბუ ლ-ჰასან 'ალი იბნ ალ-ქარიმ მუჰამმად იბნ მუჰამმად იბნ 'აბდ ალ-ქარიმ იბნ 'აბდ ალ-ვაჰიდ აშ-შაიბანი, რომელიც ცნობილია იბნ ალ-ასირ ალ-ჯაზირის ან მოკლედ იბნ ალ-ასირის (1160—1234) სახელით, დაიბადა მესოპოტამიის ქ. ჯაზირათ იბნ 'უმარში, სწავლობდა ჯერ მშობლიურ ქალაქში, შემდეგ მოსულსა და ბაღდადში. იბნ ალ-ასირი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ლაშქრობებში ჯვაროსნების წინააღმდეგ. საბოლოოდ იგი დასახლდა მოსულში და მუშაობდა ათაბეგ ნურ ად-დინ არსლან შაჰის ქათიბად (მწერლად). აქ დაინტერესდა ის პირველად მეცნიერებით. ის არის ავტორი რამდენიმე კაპიტალური ნაშრომისა, რომელთაგან ჩვენთვის ამჯერად ყველაზე მნიშვნელოვანია „თარიხუ ლ-ქამილი“ („დასრულებული ისტორია“). ეს არის მსოფლიო ისტორიის ტიპის თხზულება; თხრობა იწყება სამყაროს გაჩენიდან და მოდის 1231 წლამდე. ნაშრომის დიდი ნა-

---

[1] Jacut's geographisches Wörterbuch aus den Handschriften zu Berlin, St. Petersburg und Paris, herausgegeben von Ferd. Wüstenfeld, Leipzig, 1866-1870, Bd. I—VI.

[2] Wadie Jwaiden, The Introductory chapters of Jaqūt's Mu'jam al-Buldān, Leiden, 1959.

[3] Н. Медников, Палестина от завоевания ее арабами до крестовых походов, по арабским источникам, СПб., 1897, II, с. 967—1112; В. Розен, Материалы по истории туркмен и Туркмения, М.-Л., 1939, с. 409—437; О. И. Сенковский, Соб. соч., VI, СПб., 1859, с. 192—195; Якут Хамави, Извлечения из географического словаря, пер. с арабского и пред. проф. П. К. Жузе, Научный архив Института истории АН Аз. ССР, инв. 504—505.

[4] ე. სიხარულიძე, ალ-ჯაზარი ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბ., 1964.

წილი (XII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედამდე) კომპილაციურია, თუმცა აქაც იბნ ალ-ასირი მკვლევარ ისტორიკოსად გვევლინება, ვიდრე უბრალო კომპილატორად. ის ერთი წყაროს ცნობას უდარებს სხვა წყაროების შესაბამის ცნობებს, განსხვავების შემთხვევაში ცდილობს დაადგინოს ჭეშმარიტება, ხოლო როცა ამას ვერ ახერხებს, მოაქვს განსხვავებული ადგილები წყაროს მითითებით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „თარიხუ ლ-ქამილის" ორიგინალური ნაწილი (XII ს. დასასრულისა და XIII ს. დასაწყისის ისტორია), სადაც აღწერილია მოვლენები, რომელთა მხილველი და თანამედროვე თვითონვე იყო ავტორი. თხზულების ბოლო ნაწილში აღწერილია თურქ-სელჩუკთა, თათარ-მონღოლთა და ხვარაზმელთა დაპყრობითი ომები, მათი დამოკიდებულება ქრისტიანული ქვეყნებისადმი. არც ერთ სხვა არაბულენოვან თხზულებაში არ გვეგულება საქართველოს შესახებ იმდენი და ისეთი სანდო ცნობები, რამდენიც იბნ ალ-ასირის „თარიხუ ლ-ქამილში". აღწერილია ქართველების პირველი ცდა თბილისის განთავისუფლებისა 1037/8 წელს და მათი მარცხი, ალფ-არსლანის ლაშქრობა[1], ქართველთა მიერ თბილისის განთავისუფლება (1122 წ.), დავით აღმაშენებლის გარდაცვალება, ქართველი მეფის მიერ ანისის აღება (1161 წ.), ბრძოლა შაჰარმენთან, ქართველთა მიერ არზრუმისა და დვინის დაკავება, ლაშქრობები აზერბაიჯანში (1165/6 წ.), ხლათში, ყარსში; თამარ მეფის გარდაცვალება (1207 წ.), თათარ-მონღოლთა გამოჩენა შუა აზიაში, მათ წინააღმდეგ საქართველოსა და მისი მეზობელი მუსლიმანური ქვეყნების კოალიციური ლაშქრობის მზადება ლაშა გიორგის ინიციატივით, მონღოლთა გამოჩენა ამიერკავკასიაში, ხვარაზმშაჰ ჯალალ ად-დინის ლაშქრობა საქართველოში. ავტორი თათარ-მონღოლი დამპყრობლების მოძულე ისტორიკოსია. „თარიხუ ლ-ქამილის" სრული ტექსტი პირველად 1851 — 1876 წლებში გამოსცა შვედმა არაბისტმა ტორნბერგმა 12 ტომად, რომელსაც დაურთო შესწორებები და საძიებლები 2 ტომად[2]. 12 ტომად დაიბეჭდა ის აგრეთვე კაიროში 1873/4 და 1883/4 წლებში.

იბნ ალ-ასირის ცნობები ამიერკავკასიის შესახებ რუსულ ენაზე

---

[1] იბნ ალ-ასირის ცნობებს ალფ-არსლანის ლაშქრობისა და, საერთოდ, თურქ-სელჩუკთა სამეფო-სამთავროებთან საქართველოს ურთიერთობის შესახებ თითქმის უცვლელად იმეორებს XVII საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე არაბი მწერალი (წარმოშობით სალონიკელი თურქი) აჰმად იბნ ლუთ-ფულაჰ მუნეჯიმ ბაში (გარდაიცვალა 1702 წ.) თავის მსოფლიო ისტორიის ტიპის თხზულებაში „ჯამი ად-დუვალი" („დინასტიათა კრებული").

[2] Ibn-al-Athiri cronicon quod perfectisimum inscribitur, Lugd.—Batav., 1851—1876.

თარგმნა პ. ჟუზემ[1]. ფრაგმენტები ფრანგულად თარგმნეს დ'ოსონმა[2] და დეფრემერიმ[3], რუსულად — ნ. ილმინსკიმ[4] და ვ. ტიზენჰაუზენმა[5], ხოლო იმ ცნობების ნაწილი, რომელიც უშუალოდ საქართველოს ეხება, დეფრემერის ფრანგული თარგმანიდან გადმოაქართულა ივ. მაჭავარიანმა[6].

XIII ს. 20-იან წლებში წყდება ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის ხანა. ამიერიდან იწყება მისი საერთო დაღმავლობა, გამოწვეული თათარ-მონღოლთა ბატონობით, რომელიც თემურლენგის ლაშქრობების ჩათვლით, XV საუკუნემდე გაგრძელდა. ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის შესასწავლად საინტერესო ცნობების შემცველი არაბული ნარატიული წყაროა „სირათ ას-სულტან ჯალალ ად-დინ მანკბურნი" („სულთან ჯალალ ად-დინის ისტორია"), რომლის ავტორია ან-ნასავი.

შიჰაბ ად-დინ მუჰამმად იბნ აჰმად იბნ 'ალი იბნ მუჰამმად ალ-მუნში ან-ნასავი XIII საუკუნის პირველი ნახევრის თათარ-მონღოლი დამპყრობლების მოძულე მწერალი იყო, მუშაობდა ხვარაზმშაჰ ჯალალ ად-დინის კარზე ქათიბად და მოწმე იყო ყველა იმ ლაშქრობისა, რომელიც ხვარაზმელთა სახელმწიფოს ამ უკანასკნელმა გამგებელმა მოაწყო აღმოსავლეთში. ნასავის ეს თხზულება მემუარული ხასიათის ნაშრომია. მასში ვრცელი ადგილი ეთმობა ჯალალ ად-დინის ბრძოლებს ამიერკავკასიაში; დაწვრილებითაა აღწერილი გარნისის ბრძოლა, ჯალალ ად-დინის წასვლა თავრიზში 1225 წელს, საქართველოში ხვარაზმელი მარბიელი რაზმების მოქმედება, ადგილობრივი მოსახლეობის აყრა-გაქცევა, ჯალალ ად-დინის დაბრუნება საქართველოში და თბილისის აღება-აოხრება; ხლათის, ლორის, განძის, ალი-აბადისა და გაგის ბრძოლები. მართალია, ამ ამბების აღწერისას ავტორი ამჟღავნებს ტენდენციურობას — ქრისტიანებისადმი სიძულვილს, მაგრამ ეს ვერ ფარავს თხზულების, როგორც წყაროს, დიდ მნიშვნელობას. თხზულების არაბული ტექსტი 1953 წელს კაიროში დაბეჭდა ეგვიპტელმა მეცნიერმა ჰაფიზ

---

[1] П. Жузе, Материалы по истории Азербайджана из Тарих ал-Камиль Ибн ал-Асира, Баку, 1940.

[2] M. D'Ohsson, Histoire des Mongols, depuis Tchingiz — Khan jusqu'a Timour—bey la Tamerlan, Amsterdam, 1852.

[3] Journal Asiatique... 1849, June.

[4] Ученые записки императорской Академии наук по первому и третьему отделениям, СПб., 1854, т. II, вып. IV, с. 640—668.

[5] В. Тизенгаузен, Сборник материалов, относящихся к истории Золотой Орды, СПб., 1884, т. I, с. 1—45.

[6] ივ. მაჭავარიანი, არაბელ და სპარსელ მწერალთა გეოგრაფიული და ისტორიული ცნობანი საქართველოს შესახებ („მოამბე", თბ., 1897, № 12, გვ. 1 — 16; 1898, № 1, გვ. 22 — 44).

აჰმად ჰამიდმა; არსებობს აგრეთვე ო. ჰუდასის გამოცემაც[1] და შემოკლებული თარგმანები სპარსულ, თურქულ და ფრანგულ ენებზე. 1973 წელს დაიბეჭდა ან-ნასავის თხზულების სრული თარგმანი რუსულადაც[2].

XII — XV საუკუნეების საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა სიბტ იბნ ალ-ჯაუზის „მირათ აზ-ზამანნ ფიით ნრიხუ ლ-'აიან" („ეპოქის სარკე გამოჩენილ პირთა ისტორიაში").

შამს ად-დინ აბუ ლ-მუზზაფარ იუსუფ იბნ კაზნაღლი ალ-თურქი, ცნობილი სიბტ იბნ ალ-ჯაუზის სახელით, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 1186 — 1257 წლებში. მისი მსოფლიო ისტორიის ტიპის თხზულება ძირითადად კომპილაციური ხასიათისაა, დაწერილია რვა ტომად. თხრობა იწყება ქვეყნის გაჩენიდან და მთავრდება 1256 წლის ამბებით. ნაშრომი ჯერ არ არის მთლიანად გამოცემული, არც მისი სრული თარგმანი არსებობს. 1951 — 1952 წლებში ჰაიდარაბადში დაიბეჭდა „მირათ აზ-ზამანნის" მხოლოდ მე-8 ტომი ორ წიგნად[3], რომლებშიაც გადმოცემულია XII — XIII საუკუნეების ამბები. იქ არის ცნობები თბილისში ჯაფარიანთა გვარის ამოწყვეტისა და საქალაქო მმართველობის შესახებ, აღწერილია დიდგორის ომის წინ შექმნილი ვითარება, კერძოდ, ქართველთა მზადება თბილისის გასათავისუფლებლად, მაჰმადიან გამგებელთა მზადება კოალიციური ლაშქრობისათვის ქართველების წინააღმდეგ, ამ კოალიციური ლაშქრობის ჩაშლა, ქართველების უეცარი თავდასხმა მოწინააღმდეგის ბანაკზე, მაჰმადიანთა დამარცხება და დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის აღება.

სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ეს ცნობები დიდი ხანია ცნობილია სპეციალურ ლიტერატურაში. მისი ფრანგული თარგმანი გამოაქვეყნეს მ. დეფრემერიმ და მ. ბროსემ[4]. ივ. მაჭავარიანმა ისინი ფრანგულიდან ქართულად თარგმნა[5], ხოლო 1967 წელს არაბული ტექსტი ცნობისა დავით აღმაშენებლის შესახებ ქართული თარგმანითა და შენიშვნებით გამოაქვეყნა ო. ცქიტიშვილმა[6].

---

[1] Histoire du Sultan Djelal ed-Din Mankobirti... Paris, 1895.

[2] Шихаб ад-Дин Мухаммад ан-Насави, Жизнеописание султана Джалал ад-Дина Манкбурны, перевод с арабского, предисловие, комментарии, примечания и указатели З. М. Буниятова, Баку. 1973.

[3] სიბტ იბნ ალ-ჯაუზი, მირათ ალ-ზამანნ ფიით ნრიხ ალ-'აიან, ჰაიდარაბადი, 1951 — 1952, ტ. VIII, ნაწ. I — II.

[4] M. Defrémery, Fragments de Geographes et Historiens arabes et persans inedits, relatifs aux anciens peuples du Caucase et de la Russie Meridionale, Journal Asiatique. IV serie, t. XIII. გვ. 484—486; „Ad ditions et l'claircissiments a l'Histoire de la Georgie", St.-Petersbourg, 1851, გვ. 242.

[5] „მოამბე", 1897, XII.

[6] ო. ცქიტიშვილი, სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობა დავით აღმაშენებლის შესახებ (თსუ შრომები, 1967, ტ. 118, აღმოსავლური სერია, გვ. 201 — 202).

საქართველოს ისტორიის შესასწავლად საინტერესო ცნობების შემცველია არაბი მწერლისა და კოსმოგრაფის ზაქარია ყაზვინის ნაშრომი.

ზ ა ქ ა რ ი ა ი ბ ნ მ უ ჰ ა მ მ ა დ ა ლ-ყ ა ზ ვ ი ნ ი (1203 — 1283) ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მესოპოტამიაში. მისი „'ასარ . ალ-ბილად ვა ლ-'ახბარ ალ-'იბად" („ქალაქების ძეგლები და ცნობები ალაჰის მონების შესახებ") დაწერილია 1275 წ. და იაკუთის დიდი გეოგრაფიული ლექსიკონის ტიპის ნაშრომია. თხზულების არაბული ტექსტი გამოცემულია სრულად[1]; ნაშრომი კომპილაციური ხასიათისაა. ავტორი არ კმაყოფილდება ქვეყნებისა და ქალაქების მარტო გეოგრაფიული აღწერილობით, არამედ იძლევა ვრცელ ისტორიულ ექსკურსებსაც, რაც ზრდის ნაშრომის ღირსებას.

ზაქარიას ნაშრომში აღწერილია მდ. მტკვარი. ქ. ხლათის აღწერისას მოთხრობილია ამ ციხე-ქალაქის ხელში ჩასაგდებად ქართველების ერთ-ერთი უიღბლო ლაშქრობის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1208/9 წელს ივანე მხარგრძელის წინამძღოლობით. თბილისის დახასიათებისას ავტორი იძლევა ქალაქის წარმოშობის მოკლე ისტორიას, აღწერს მის გადაწვას ბუღა-თურქის მიერ, მოგვითხრობს აბანოებზე, ქალაქის მოსახლეობაზე, ვაჭრობა-ხელოსნობაზე, სავაჭრო საქონელზე, ფულზე და სხვ.[2]. ზაქარიას ცნობები საქართველოს შესახებ დაბეჭდილი აქვს ო. ცქიტიშვილს[3].

საქართველოს შესახებ საინტერესო ცნობებს შეიცავს აგრეთვე აბულ-ფიდას შრომები: „თაკვიმ ალ-ბულდანი" („გეოგრაფიული ცნობარი") და „ალ-მუხთასარ ფი 'ახბარ ალ-ბაშარი" („მსოფლიოს მოკლე ისტორია").

ა ბ უ ლ-ფ ი დ ა' ი ს მ ა' ი ლ ი ბ ნ 'ა ლ ი ი ბ ნ მ უ ჰ ა მ მ ა დ ი ბ ნ 'უ მ ა რ ი ბ ნ შ ა ჰ ა ნ შ ა ჰ ი ბ ნ ა ი უ ბ ი მ ა დ ა დ-დ ი ნ ა ლ-ა ი უ ბ ი (1273 — 1331) ცხოვრობდა და მოღვაწეობდა სირიაში, ჯერ დამასკოში, ხოლო შემდეგ ქ. ჰამაში; მონაწილეობდა ჯვაროსნებისა და თათარ-მონღოლების წინააღმდეგ ლაშქრობებში; ფეხით მოიარა ეგვიპტე, არაბეთის ნახევარკუნძული, პალესტინა, მესოპოტამია და მცირე აზია; ბევრს კითხ-

---

[1] Zakarija ben Muhammed el—Cazwini's kosmographie, Zweiter, theil. Die Denkmäler der Länder, hrsg. Von F. Wüstenfeld, Göttinqen, 1848.

[2] ზაქარია ყაზვინის ამ ცნობას იმეორებს XV საუკუნის მწერალი ა ბ დ ა რ-რ ა შ ი დ ი ბ ნ ს ა ლ ი ჰ ი ბ ნ ნ უ რ ი ა ლ-ბ ა ქ უ ი ნაშრომში — „თალხის ალ-ასარ ვა 'აჯაიბ, ალ-მალიქ ალ-ჯაბარ" („შემოკლებული ძეგლები და ძლიერი ხელმწიფის სასწაული"), რომლის არაბული ტექსტი, რუსული თარგმანითა და კომენტარებით გამოაქვეყნა ზ. ბუნიატოვმა (Абд ар-Рашид ал-Бакуви. Китаб талхис ал-асар ва аджанб ал-Малик ал-Каххар, М., 1971).

[3] ო. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ზაქარია ალ-ყაზვინის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბ., 1975.

ულობდა, ზედმიწევნით იცნობდა წინამორბედ არაბ მწერალთა ნაშრომებს. ის იყო პოეტიც, ასტრონომიც და ბოტანიკოსიც, მაგრამ მეცნიერებაში ცნობილია როგორც გეოგრაფი და ისტორიკოსი. მისი პირველი ნაშრომი „თაკვიმ ალ-ბულდანი" დაწერილია (სრული სახით) 1321 წელს. ძირითადად ის კომპილაციური თხზულებაა. არსებობს „თაკვიმ ალ-ბულდანის" სრული გამოცემა და თარგმანი[1].

აბუ ლ-ფიდ'ას მეორე ნაშრომი „ალ-მუხთასარ ფი-'ახბარ ალ-ბაშარი" მსოფლიო ისტორიის ტიპის თხზულებაა, დაწერილია ხუთ ნაწილად (ტომად). მასში თხრობა იწყება ისლამის წარმოშობით და მთავრდება 1330 წლის ამბების გადმოცემით. ისიც კომპილაციური ხასიათის ნაშრომია, მაგრამ მასში ბევრი რამაა ისეთი, რაც ადრინდელ ავტორებთან არ მოიპოვება. განსაკუთრებით ძვირფას ცნობებს შეიცავს მონღოლთა ბატონობის პერიოდისათვის.

ეს ისტორიული ნაშრომი იაკობ რეისკის გამოკვლევით 1789 — 1794 წლებში არაბულ-ლათინურად დაბეჭდეს პ. სუჰმიმ და ტ. ადლერმა[2]. შემდეგ კი გამოიცა კაიროში[3].

აბუ ლ-ფიდა'ს ცნობები საქართველოს შესახებ დიდი ხანია მეცნიერულ მიმოქცევაშია. მათ ხშირად იმოწმებს მარი ბროსე „ქართლის ცხოვრების კომენტარებში"[4] და შ. დეფრემერი იბნ ალ-ასირის „თარიხ ალ-ქამილის" იმ ადგილების განმარტებისას, სადაც საქართველოს შესახებაა საუბარი[5]. იგივე ცნობები ქართულ ისტორიოგრაფიაში შემოიტანეს ივ. მაჭავარიანმა[6] და ივ. ჯავახიშვილმა[7].

საქართველოს ისტორიისათვის ცნობები მოეპოვება აგრეთვე არაბ

---

[1] თაკვიმ ალ-ბულდანის არაბული ტექსტი ვრცელი შესავლითა და ავტორის ბიოგრაფიით გამოსცეს მ. რენომ და მ. დე სლენმა 1840 წელს (Geographie d'Aboulféda. Texte arabe publie d'apres les manuscripts de Paris et de Leyde auxfrais de la Sosiété Asiatique par M. Reinaud et Mac Gucklin de Slane, Paris, 1840), ხოლო 1883 წ. ის ფრანგულად თარგმნა ს. გიუიარმა („Géographie d'Aboulféda traduite de l'arabe par St, Guyard. II, deuxime partie", Paris, 1883).

[2] Abulfedae annales muslemici arabie et latine. Opera et studiis 10. Yacobi Reiskii, sumbtibus atque auspiciis P.Fr. Suhmii de T. G. Ch. Adler, Hafniae 1789—1794.

[3] ა ბ უ ლ-ფ ი დ ა, მ ი ნ ქ ი თ ა ბ ი ლ-მ უ ხ თ ა ს ა რ ი ფ ი-'ა ხ ბ ა რ ი, ლ-ბ ა შ ა რ ი, კაირო, 1325 წ., ჰიჯრით (1907 წ.).

[4] Histoire de la Georgie... Traduite du Georgien par M. Brosset, St.-Petersbourg, 1849.

[5] „Jaurnal Asiatique", 1849, nov.-déc, გვ. 447-463.

[6] არაბ და სპარსელ მწერალთა გეოგრაფიული და ისტორიული ცნობანი საქართველოს შესახებ, ჟურნ. „მოამბე", თბ., 1897, № XII და 1898, № 1, № 2.

[7] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II — III.

მწერალ-ენციკლოპედისტს შიჰაბ ად-დინ აბუ ლ-'აბბას აჰმად იბნ 'აბდ ალ-ვაჰაბ ალ-ბაქრი ან-ნუვაირის (1279—1332 წწ.). იგი ეგვიპტელია. 1331 წელს დაასრულა თავისი 31-ტომიანი ნაშრომი „ნიჰაიათ ალ-'არაბი ფი ფუნუნ ალ-'ადაბი" („ლიტერატურის საბოლოო მიზანი"), რომელსაც მეორენაირად ეწოდება „მუნთაჰი ალ-'აარაბი ფი 'ალამი ალ-ადაბი" („უაღრესად აუცილებლის ცოდნა კეთილ-აღმზრდელობით მეცნიერებაში"). ამ ენციკლოპედიური ტიპის ნაშრომის ნახევარი (9000 გვერდი) დათმობილი აქვს ისტორიას, რომელიც მთავრდება 1331 წ. ამბებით. ნაშრომი კომპილაციური ხასიათისაა. მისი ხელნაწერები დაცულია სტამბოლში, კაიროში, ლეიდენში, პარიზსა და ვენაში. სრული გამოცემა არ არსებობს[1]. თხზულება მრავალმხრივ საინტერესო ძეგლია. მის ისტორიულ ნაწილში ავტორი, სხვათა შორის, მოგვითხრობს 1320 წლის მაისში საქართველოს მეფის ელჩების კაიროში ჩასვლის შესახებ, მათ გამოცხადებას სულთან ან-ნასირთან (1293—1294, 1299—1309, 1310—1341), მიღების ცერემონიალს და ოქროს ურდოსა და ილხანთა ირანის ბრძოლებს, რომელთა ასპარეზი საქართველოს ტერიტორია იყო[2].

საქართველოს ტერიტორიაზე მომხდარ ბრძოლებზე მოგვითხრობს აგრეთვე მამლუქთა პერიოდის ეგვიპტელი მწერალი ენციკლოპედისტი შიჰაბ ად-დინ აჰმად იბნ იაჰია იბნ ფადლალლაჰ ალ-'უმარი ად-დიმაშკი (1301—1349), დაბადებული დამასკოში და გაზრდილი ეგვიპტეში. იგი დიდხანს მუშაობდა სახელმწიფო კანცელარიის ქათიბის თანამდებობაზე და საშუალება ჰქონდა გაცნობოდა საარქივო მასალებს, ლიტერატურას, სულთნის კარზე მოვლენილ უცხო ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლებს, მათი მიღებისა და მიმართვის წესებს, რის შესახებაც ის მოგვითხრობს ნაშრომში „ათ-თა'რიფ ფი ლ-მასტალი' აშ-შარიფ" („მიღებული მაღალი სტილის გაცნობა"). ნაშრომი დაწერილია 1340 წლის შემდეგ, ავტორის სიცოცხლის ბოლო წლებში და შედგება შვიდი თავისაგან. პირველ თავში, სადაც ალ-'უმარი იძლევა ინსტრუქციას, თუ რომელი სახელმწიფოს მბრძანებელი რანაირად უნდა მოიხსენიონ პატივისა და ადგილის (ავტორიტეტის) მიხედვით შედგენილ ფორლიარში, სხვათა შორის, გვხვდება საქართველოს მეფეებისადმი მიმართვის ფორმულაც, რომელიც საინტერესოა საქართველოს

---

[1] ეგვიპტელმა მეცნიერმა აჰმედ ზაქი მ გამოსაცემად მოამზადა ან-ნუვაირის ნაშრომის სრული ტექსტი და 1923 წელს შეუდგა მის ბეჭდვას, მაგრამ დაწყებული საქმე ვერ დაასრულა. 1934 წ. იგი გარდაიცვალა, მოასწრო მხოლოდ 12 ტომის დაბეჭდვა (И. Ю. Крачковский, Избр. соч., т. IV, М.-Л., 1957, с. 404).

[2] ცნობები თარგმნილი აქვს ვ. ტიზენჰაუზენს (იხ. В. Тизенгаузен, Сборник материалов..., с. 148, 170).

მაშინდელი საერთაშორისო პრესტიჟის გასარკვევად და, მაშასადამე, მისი პოლიტიკური მდგომარეობის შესასწავლად.

ეგვიპტის სულთნის კარზე შემუშავებული ქართველი მეფეებისადმი მიმართვის ეს ფორმულა ალ-'უმარის ნაშრომიდან უცვლელად შეიტანა XIV — XV საუკუნის ეგვიპტელმა მწერალმა ენციკლოპედისტმა შიჰაბ ად-დინ აბუ ლ-'აბბას აჰმად იბნ 'ალიმ, ანუ სხვანაირად აბუ ლ-'აბბას აჰმად შიჰაბ ად-დინ ალ-მი სრი ალ-კალკა-შანდიმ (1355—1418) თავის 14-ტომიან კაპიტალურ ნაშრომში „სუბჰ ალ-'ა'შა ფი სინა'ათ ალ-'ინშა" („განთიადი მობრმაოსათვის წერის ხელოვნებაში"). ნაშრომის წერა ალ-კალკაშანდიმ დაასრულა 1412 წელს, სრული სახით დაიბეჭდა 1913 — 1920 წწ. კაიროში. მისი ცნობები საქართველოს შესახებ ამოკრიბა და რუსულად თარგმნა ვ. ტიზენჰაუზენმა[1], ხოლო ქართველი მეფეებისადმი მიმართვის ფორმულის არაბული ტექსტი შეტანილია გ. წერეთლის არაბულ ქრესტომათიაში[2]. მისი ქართული თარგმანი დაბეჭდეს ივ. ჯავახიშვილმა, ა. მენთეშაშვილმა და სხვ.[3].

საქართველო-ეგვიპტის დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული სხვა არაბი მწერლების, კერძოდ, ალ-მაკრიზის, ალ-'აინისა და მუჯირ ად-დინ ალ-'უმარის შრომებშიც.

თაკი ად-დინ აჰმად იბნ 'ალი ალ-მაკრიზის (1364 — 1442) ნაშრომებში „ქითაბ ას-სულუქ ლიმა'რიფათ დუვალ ალ-მულუქ" („გზა მეფეთა დინასტიების შესაცნობად")[4] და „ქითაბ ალ-მავა'იზ ვა ლ-ი'თიბარ ფი ზიქრ ალ-ხიტატ ვა ლ-'ასარ" („წიგნი რჩევისა და დარიგებისა კვარტალებზე და ძეგლებზე საუბრისას")[5] საყურადღებო ცნობებია საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიისათვის XIII—XV საუკუნეებში. კერძოდ, მათში საუბარია ქართველი ელჩების გამოცხადებაზე კაიროში 1265, 1268, 1305 — 1306, 1316 — 1317 და 1329 წლებში, სულთნისათვის გაგზავნილი ქართველი მეფის საჩუქრებისა და წერილების გადაცემაზე, პალესტინის წმინდა ადგილების თაობაზე გამარ-

---

[1] В. Тизенгаузен, Сборник материалов, относящихся к истории Золотой Орды, СПб., т. I, с. 395—416; В. Тизенгаузен, Заметка Элькалькашанди о грузинах (Записки восточного отделения имп. русского археологического общества, СПб., 1886, т. I, вып. III, с. 208—216).

[2] გ. წერეთელი, არაბული ქრესტომათია, თბ., 1949, გვ. 78 — 79.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1941, ტ. III, გვ. 173—174; ა. მენთეშაშვილი, საქართველოს და ეგვიპტის ისტორიის ურთიერთობიდან (ჟურნ. „დროშა", 1958, № 9, გვ. 18); ბ. სილაგაძე, მასალები საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიისათვის (ქართული წყაროთმცოდნეობა, თბ., 1968, ტ. II, გვ. 103 — 104).

[4] არსებობს ნაშრომის ფრანგული თარგმანი, შესრულებული ე. კატრმერის მიერ.

[5] ნაშრომი გამოცემულია ბულაკში 1853/54 წწ.

თულ მოლაპარაკებაზე, ქართველი ელჩების დასაჩუქრებაზე და ქართველთა მეფისათვის საპასუხო წერილის გამოგზავნასა და სხვ. ეს ცნობები უკვე კარგა ხანია შემოტანილია რუსულ და ქართულ ისტორიოგრაფიაში. მათ იყენებენ ა. ცაგარელი, ვ. ტიზენჰაუზენი, ივ. ჯავახიშვილი, ა. მენთეშაშვილი და სხვ.

მართალია, მაკრიზი ზემოდასახელებული ფაქტებისა და ამბების მომსწრე არ არის, მაგრამ მისი ცნობების სანდოობა ეჭვს არ იწვევს, რადგან ასეთივე ცნობები სხვა წყაროებშიც არის დადასტურებული. ასეთ წყაროებად ალ-მუჰიბბის, იბნ ფადლალაჰ ალ-'უმარისა და კალკაშანდის თხზულებების გარდა შეიძლება დავასახელოთ ალ-'აინისა[1] (1360—1451) და მუჯირ ად-დინ ალ-'უმარის[2] (გარდაიცვალა 1522 წ.) ნაშრომები.

თემურლენგის ლაშქრობების შესახებ სანდო ცნობებს გვაწვდის თემურის ბიოგრაფი არაბი მწერალი იბნ არაბ შაჰი.

შიჰაბ ად-დინ აჰმად იბნ მუჰამმად იბნ ალლაჰ ად-დიმაშკი ალ-ასარი (1388—1450), რომელიც ცნობილია იბნ არაბ შაჰის სახელით, დაიბადა ქ. დამასკოში. 1400 წელს იგი თემურმა დაატყვევა და დიდხანს ცხოვრობდა სამარყანდში. იქ დაწერა თხზულება „ქითაბ 'ჯაიბ ალ-მაკდურ ფი ახბარ თიმურ" („თემურის საკვირველი ბედისწერის წიგნი"...), რომელშიც საქართველოსა და ქართველების შესახებ აღნიშნულია, რომ ხალხი გულკეთილია, ხოლო ქვეყანა პატარა, მაგრამ „მოხუცი ქალის სახესავით დანაოჭებული"; საუცხოოდაა გამაგრებული ციხე-გალავნებით, მღვიმე-გამოქვაბულებით, მთებით, უფსკრულებით, ხეობებით და ამ მაცდური ბუნების გამო მტრისათვის ძნელად მისადგომია. თხზულებაში გვხვდება საინტერესო დეტალები საქართველოში თემურლენგის ლაშქრობების, კერძოდ, 1400, 1403 წლების შემოსევების, თბილისის აღების, დამპყრობთა მუხანათობისა და მათ წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის, აგრეთვე მეფე გიორგი VII-ის თხოვნით შარვან შაჰ იბრაჰიმის შუამავლობისა თემურთან და ამ შუამავლობის შედეგად მიღწეული დაზავების შესახებ.

---

[1] ბადრ ად-დინ მაჰმუდ იბნ აჰმად ალ-'აინის ნაშრომი „'იკდ ალ-ჯუმან ფი თარიხ აჰლ აზ-ზამან" („თავისი დროის ისტორიის მარგალიტების ყელსაბამი") მსოფლიო ისტორიაა, დაწერილია 4 ტომად. ნაშრომი ჯერ არ არის გამოცემული. არსებობს რამდენიმე ხელნაწერი: ლონდონის, პარიზის, პეტერბურგის.

[2] მუჯირ ად-დინ 'აბდ არ-რაჰმან იბნ აჰმად ალ-ულაიმი ალ-'უმარის თხზულება „ქითაბ ალ-უნს ალ-ჯალილ ბი თ-თარიხ ალ-კუდს ვა ლ-ხალილ" („მეგობრობის წიგნი იერუსალიმისა და ჰებრონის ისტორიის შესახებ") XV ს-ის ძეგლია. არსებობს თხზულების ფრანგული თარგმანი, შესრულებული სოვერის მიერ: „Histoire des Jerusalim et Hebron... trad. Sur le texte arabe par St. Souwaire", Paris, 1876.

იბნ არაბ შაჰის თხზულება 1573 წელს მთლიანად გადაწერა მუჰამმად იბნ აჰმად სუკაიკირ ად-დიმაშკიმ (გარდაიცვალა 1579 წ.). თხზულება ორჯერ გამოიცა (1887 და 1937 წლებში) კაიროში, ხოლო მისი ჯ. სანდერსისეული ინგლისური თარგმანი დაიბეჭდა ლონდონში[1]. საქართველოს შესახებ მასში არსებული ცნობები ქართულ ისტორიოგრაფიაში შემოიტანეს კ. ტაბატაძემ[2] და დ. კაციტაძემ[3].

დ. სპარსული წყაროები

საქართველოს ისტორიის უცხოურ წყაროთა შორის უაღრესად საპატიო ადგილი უკავია ახალ სპარსულ ენაზე (ფარსი) თარგმნილსა თუ უშუალოდ ამ ენაზე შექმნილ ძეგლებსა და თხზულებებს.

ახალმა სპარსულმა ენამ XI საუკუნიდან მოყოლებული მეცნიერებაშიც გაიკაფა გზა და საისტორიო მწერლობიდან თანდათან განდევნა აღმოსავლეთში ადრე გაბატონებული არაბული ენა. სპარსულ წყაროებში ცნობები საქართველოს შესახებ მოიპოვება X საუკუნიდან.

XII ს-ისა და XIII ს-ის დასაწყისის საქართველოს ისტორიის სპარსული წყაროებიდან აღსანიშნავია ნ ა ჯ ი ბ ჰ ა მ ა დ ა ნ ი ს ა და ანონიმი ავტორის კოსმოგრაფიულ-გეოგრაფიული თხზულებები.

ნაჯიბ ჰამადანის (ცხოვრობდა XII ს-ის II ნახევარში) თხზულება „აჯაიბ ალ-მახლუყათ ვა ღარაიბ ალ-მავჯუდათ“ („ქმნილებათა საკვირველებანი და არსებულთა იშვიათობანი“) შეიცავს უმთავრესი ზღვების, მთებისა და მდინარეების, აგრეთვე მრავალი ქალაქისა და ციხის აღწერას. იქვე მოიპოვება ცნობები სხვადასხვა ტომისა და ხალხის შესახებაც[4]. ავტორს აღწერილი აქვს თბილისის ციხე, ქალაქის აბანოები; თხზულებაში გვხვდება ცნობები თბილისის მოქალაქეების შესახებაც, რასაც გარკვეული მეცნიერული ღირებულება აქვს[5].

ანონიმ ავტორს (XII — XIII სს-ის მიჯნა) ეკუთვნის „აჯაიბ ად-დუნია“ („სამყაროს საკვირველებანი“). თხზულების ავტორი განათლებული

---

[1] Tamerlan or Timur the Great Amir from the Arabic life by Ahmed ibn Arabschah, transl. by I. H. Sanders, London, 1936.

[2] კ. ტ ა ბ ა ტ ა ძ ე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV — XV საუკუნეთა მიჯნაზე, თბ., 1974.

[3] დ. კ ა ც ი ტ ა ძ ე, საქართველო XIV — XV საუკუნეების მიჯნაზე, თბ., 1975.

[4] თხზულება ჯერ არ გამოცემულა. ხელნაწერები არსებობს საბჭოთა კავშირშიც (იხ. Рукопись Ленинградского отделения ИВАН СССР, Д. 129, А—453).

[5] რ. კ ი კ ნ ა ძ ე, არაბული და სპარსული წყაროები XI—XIII სს. თბილისის შესახებ, „ცისკარი“, № 10, 1958, გვ. 166; მ ი ს ი ვ ე, XI — XIII საუკუნეთა თბილისის ისტორიიდან, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, ნაკვ. I, 1960, გვ. 128.

პიროვნება ყოფილა, მოუვლია ბევრი ქვეყანა და მათ შორის საქართველოც, სადაც იგი ჰყოლიათ ტყვედ. მან თავის თხზულებაში აღწერა საკუთარი თვალით ნანახი და პირადად განცდილი ამბები, მოიხმო დამხმარე მასალაც, რამაც განაპირობა თხზულებაში თავმოყრილ ცნობათა მაღალი ღირსება[1].

„აჯაიბ ად-დუნია" ძალიან საინტერესო წყაროა XIII ს-ის დამდეგის მახლობელი აღმოსავლეთისა და ამიერკავკასიის ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობისა და ისტორიული გეოგრაფიის შესასწავლად[2]. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა თხზულებაში დამოწმებული ცნობები თბილისის შესახებ[3].

XIII — XV სს. საქართველოს ისტორიის შესახებ გაცილებით უფრო უხვსა და მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის მცირე აზიის სელჩუკიან სულთანთა, ირანის მონღოლ ილხანთა, აგრეთვე თემურლენგისა და თემურიან სულთანთა კარზე შექმნილი უაღრესად მდიდარი სპარსულენოვანი საისტორიო მწერლობა.

მცირე აზიის სელჩუკ მბრძანებელთა კარზე ჩამოყალიბდა და XIII — XIV საუკუნეებში საგრძნობლად მოღონიერდა სპარსულენოვანი ისტორიოგრაფიის ადგილობრივი სკოლა, რომლის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები იბნ-ბიბი, „თარიხე ალე ოსმანის" ანონიმი ავტორი, აყსარაი და სხვა ისტორიკოსები იყვნენ, რომლებიც თავიანთ თხზულებებში მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიის გადმოცემისას ხშირად მნიშვნელოვან ადგილს უთმობდნენ მეზობელი ქვეყნების ამბებსაც[4].

ნასრ ად-დინ ალ-ჰოსეინ ბენ მოჰამედ ბენ ალი ალ-ჯაფარი, ანუ იბნ-ბიბი XIII ს-ის II ნახევრის სელჩუკიან სულთანთა კარის ცნობილი ისტორიკოსი იყო. მას სპარსულ ენაზე დაწერილი აქვს საისტორიო ხასიათის თხზულება „ქეთაბ ალ-ავამირ ალ-ალაია ფი-ლ-ომურ ალ-ალაია" („უმაღლესი ბრძანებულებანი უდიდებულესი საქმეების შესახებ"), რომელსაც „სელჩუკ-ნამესაც" („სელჩუკთა წიგნი") უწოდებენ. იგი დაწერილი უნდა იყოს XIII ს-ის 80-იან წლებში. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა თხზულების ის ნაწილი, რომელშიც გადმოცემულია საყუ-

---

[1] Н. Д. Миклухо-Маклай, Географическое сочинение XIII в., на персидском языке, Уч. Записки ИВАН СССР, IX, 1954, с. 180—185.

[2] თხზულება ჯერ არ გამოცემულა, ხელნაწერი არსებობს საბჭოთა კავშირში (იხ. Рукопись Ленинградского отделения ИВАН СССР, А-253).

[3] რ. კეკნაძე, არაბული და სპარსული წყაროები XI—XIII საუკუნეთა თბილისის შესახებ, გვ. 166; მისივე, XI — XIII საუკუნეთა თბილისის ისტორიიდან, გვ. 129.

[4] ნ. შენგელია, XV — XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ., 1974, გვ. 6.

რადღებო ცნობები სულთან ალა ად-დინ ქეიყობადსა (1219 — 1237) და საქართველოს მეფე რუსუდანს (1222 — 1245) შორის არსებული ურთიერთობის შესახებ XIII ს-ის 30-იან წლებში[1].

მცირე აზიის სელჩუკიან სულთანთა უკანასკნელი წარმომადგენლის ალა ად-დინ ქეიყობად II-სადმია (1296 — 1300) მიძღვნილი ანონიმი ავტორის „თარიხე ალე ოსმან" („ოსმანთა ისტორია"), რომლის ავტორსაც უნდა ეცხოვრა XIV ს-ის I ნახევარში. თხზულება მოკლედ გვიხატავს სელჩუკთა დინასტიის ისტორიას. გვხვდება ცნობები თამარის (1184 — 1213) დროინდელი საქართველოს შესახებაც[2].

ქერიმ ად-დინ მაჰმუდ აყსარაის (გარდაიცვალა 1323 — 1327 წლებს შორის) ეკუთვნის მცირე აზიის სელჩუკთა ისტორიისადმი მიძღვნილი თხზულება, რომელსაც ეწოდება „თაზქირაი აყსარაი" („აყსარაის თაზქირე" ან „აყსარაის სამახსოვრო"). თხზულებაში გვხვდება საინტერესო ცნობები საქართველოს შესახებაც. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მხრივ ისტორიკოსის ცნობა რუქნ ად-დინის ჯარის რიცხვის შესახებ ბასიანის ომში[3].

სპარსული საისტორიო მწერლობის აღორძინება დაკავშირებულია ირანში მონღოლ ილხანთა მმართველობის ხანასთან (1256—1335). ირანის მონღოლი მბრძანებლები დაინტერესებული იყვნენ თავიანთ „გამარჯვებათა" და „საგმირო საქმეთა" წარმოჩენით და მფარველობდნენ ისტორიკოსებს[4]. ამ ეპოქის ისტორიკოსთა შორის მეტად საპატიო ადგილი უკავია ალა ად-დინ ათა მალიქ ბენ ბაჰა ად-დინ მოჰამედ ჯუვეინის (1226 — 1283), რომელსაც ეკუთვნის სამტომიანი თხზულება „თარიხე ჯაჰანგოშაი" („ქვეყნიერების დაპყრობის ისტორია"). ავტორმა თავისი თხზულება დაასრულა 1260 წელს. იგი წარმოადგენს მონღოლთა დაპყრობითი ომების ისტორიას ჩინგიზ-ხანიდან ჰულაგუ-ხანის მიერ ისმაი-

---

[1] თხზულების სტამბოლის ხელნაწერი ფაქსიმილეს სახით გამოიცა იქვე 1956 წ., ხოლო ბეჭდურად ანკარაში მომდევნო წელს; არსებობს გერმანული თარგმანი, შესრულებული ავსტრიელი მეცნიერის ჰერბერტ დუდას მიერ (იხ. H. W. Duda, Die Seltschukengeshichte des Ibn-Bibi, Kopenhagen, 1959); იბნ-ბიბის ცნობები საქართველოს შესახებ განხილული აქვს ნ. შენგელიას (იხ. ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, იბნ-ბიბი ალა ედ-დინ ქეიყობადის საქართველოში ლაშქრობის შესახებ, „მაცნე", 1975, № 1, გვ. 105).

[2] ხელნაწერის ფაქსიმილე თურქული თარგმანითურთ გამოიცა ანკარაში 1944 წ. (იხ. Aksarayli Mehmed oğlu Kerimuddin, Mùsàmeret ùlahbar, Mogollar Zamaninda Turkiye Selçuklari tarihi, Mukaddime ve haşyelerle taşhih neşreden osman Turan, Ankara, 1944).

[3] რ. კ ო კ ნ ა ძ ე, ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", თბ., 1975, გვ. 73.

[4] И. В. П и г у л е в с к а я, А. Ю. Я к у б о в с к и й, И. П. П е т р у ш е в с к и й, Л. В. С т р о е в а, Л. М. Б е л е н и ц к и й, История Ирана с древнейших времен до конца 18 века, Л., 1958, с. 164.

ლიანთა ციხესიმაგრის ალამუთის აღებამდე 1258 წ. ჯუვეინის თხზულებაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი თხრობას ამიერკავკასიის ქვეყნების შესახებ და წარმოადგენს მეტად ძვირფას წყაროს საქართველოში ხორეზმშაჰ ჯალალ ად-დინისა (1220 — 1231) და მონღოლების შემოსევებთან დაკავშირებული საკითხების შესასწავლად[1].

მონღოლთა პერიოდის ირანის ისტორიოგრაფიაში სრულიად განსაკუთრებული ადგილი აქვს მიჩნეული თავისი ეპოქის უდიდეს ისტორიკოსს, გამოჩენილ ექიმს, ღვთისმეტყველსა და სახელმწიფო მოღვაწეს რ ა შ ი დ ად-დ ი ნ ფაზლულაჰ იბნ აბოლხეირ ალი ჰამადანის (დაიბადა 1247 წ. სულთან აბუ-საიდის დროს დააბრალეს ოლჯაითუ-ხანის მოწამვლა და სიკვდილით დასაჯეს 1318 წ. თემურიანმა სულთან მირანშაჰმა თავრიზში შეურაცხჰყო მისი საფლავი და ცხედარი გადაატანინა სინაგოგის ეზოში). მას ეკუთვნის მსოფლიო ისტორიის ტიპის ვრცელი საისტორიო თხზულება „ჯამი ათ-თავარიხ“ („ისტორიათა კრებული“). რაშიდ ად-დინი თავისი თხზულების წერას შეუდგა 1300 წ. ილხან ყაზან ყაენის (1295 — 1304) დავალებით, მის კარზე პირველ ვაზირად ყოფნის დროს და დაასრულა ოლჯაითუ-ხანის (1304 — 1316) ყაენობისას 1311 წ. იგი შედგება სამი ტომისაგან. განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს თხზულების პირველი ტომი, რომელსაც ეწოდება „თარიხე ყაზან“ („ყაზან-ყაენის ისტორია“). მასში გადმოცემულია მონღოლთა დაპყრობითი ომების ისტორია ჩინგიზ-ხანიდან მოკიდებული ყაზან ყაენის ჩათვლით. აქვე გვხვდება ცნობები საქართველოს შესახებაც, რომლებიც გამოირჩევა დიდი ორიგინალობით[2].

---

[1] თხზულების სამივე ტომი ცალ-ცალკე გამოიცა 1912, 1916 და 1937 წლებში გიბის სამახსოვრო სერიაში, რაც შემდეგ გამეორებულ იქნა რამდენიმეჯერ; არსებობს თხზულების თარგმანები ინგლისურ, იტალიურ და სხვ. ენებზე (ამ თხზულების გამოცემებისა და თარგმანის შესახებ იხ. Ч. А. Стори, Персидская литература, Биобиблиографический обзор. Переработал и дополнил Ю. Э. Брегель, II, М., 1972, с. 762 — 764); ადგილები, რომლებიც შეეხება საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებს, გამოცემულია ქართულად სპარსულ ორიგინალთან ერთად (იხ. ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსულ ტექსტს შესავალი წაუმძღვარა, ქართული თარგმანი და შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1974).

[2] რ ა შ ი დ ად-დ ი ნ ის თხზულების ხელნაწერების, გამოცემებისა და თარგმანების შესახებ ცნობები იხ. Ч. А. Стори, Персидская литература, Био-библиографический обзор, т. I, с. 305 — 321; „ჯამი ათ-თავარიხის“ რუსული თარგმანი ჩვენში გამოცემულ იქნა სხვადასხვა დროს. III ტომის მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტი რუსულ თარგმანთან ერთად გამოიცა ბაქოში 1957 წელს (იხ. Рашид ад-Дин, Джами ат-таварих, III, Составитель научно-критического текста на персидском языке А. А. Али-заде. Перевод с персидского А. К. Арендса, Баку, 1957), ხოლო I ტომის I ნაწილის კრიტიკული ტექსტი უკანასკნელად გამოიცა მოსკოვში 1968 წ. (იხ. Рашид ад-Дин, Джами ат-таварих, I, часть I, Критический текст А. А. Ромаскевича, А. А. Хетагурова, А. А. Али-заде, издание второе, М., 1968).

ჯერ კიდევ რაშიდ ად-დინის თხზულების გამოჩენამდე დაიწყო თავისი საისტორიო თხზულების შედგენა შეჰაბ ად-დინ აბდალაჰ იბნ ფაზლალაჰ შირაზიმ, უფრო მეტად ცნობილმა ვასაფ ალ ჰაზრათის („მისი უდიდებულესობის მეხოტბე") ან უბრალოდ ვ ა ს ა ფ ი ს სახელით (დაბადებისა და გარდაცვალების წლები უცნობია), რომელიც ილხანთა საფინანსო უწყების მოხელე იყო და ოლჯაითუ ხოდაბანდეს (1304 — 1316) სულთნობისას დაწინაურდა რაშიდ ად-დინის მფარველობის წყალობით. მისი თხზულება „თაჯზიათ ალ-ამსარ ვა თაზჯიათ ალ-ასარ" („ქვეყნების დამიჯვნა და ეპოქათა დაყოფა") ან როგორც უფრო ხშირად უწოდებენ „თარიხე ვასაფ" („ვასაფის ისტორია"), წარმოადგენს ჯუვეინის თხზულების უშუალო გაგრძელებას და მოიცავს ირანის მონღოლ მბრძანებელთა ისტორიას 1257 წლიდან 1323 წლამდე. ავტორს უაღრესად საინტერესო ცნობები მოეპოვება დასახელებული პერიოდის ირანის როგორც პოლიტიკური, ისე სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესასწავლად. ვასაფის თხზულებაში საინტერესო ცნობები მოიპოვება აგრეთვე საქართველოს ისტორიის რიგი საკითხების შესასწავლადაც. ვასაფის თხზულების ფართოდ გამოყენებას დიდად აძნელებს არაბიზმებით დამძიმებული ავტორისათვის დამახასიათებელი ღვლარჭნილი სტილი[1].

მონღოლთა პერიოდის ირანის ისტორიკოსთა შორის საპატიო ადგილი აქვს დამკვიდრებული ჰამდალაჰ იბნ აბუ ბაქრ მუსთოუფი ყაზვინის (1280 — 1350). ჰ ა მ დ ა ლ ა ჰ ყ ა ზ ვ ი ნ ი ილხანთა კარის საფინანსო უწყების გავლენიანი მოხელე იყო. მას ეკუთვნის დიდი კოსმოგრაფიულ-გეოგრაფიული ხასიათის თხზულება „ნოზჰათ ალ-ყოლუბ" („გულთა სიამე") და საისტორიო ხასიათის „თარიხე გოზიდე".

„ნოზჰათ ალ-ყოლუბ", რომელიც ავტორმა დაასრულა 1340 წ. ახლო ხანებში, შეიცავს მრავალ უაღრესად საინტერესო და ორიგინალურ ცნობას სხვადასხვა ქვეყნის, უპირატესად ირანისა და ამიერკავკასიის ისტორიული გეოგრაფიიდან. განსაკუთრებით საინტერესოა თხზულების მე-3 ნაწილი, რომელშიც ავტორი გვაწვდის ცნობებს ირანის, აზერბაიჯანის, არაბული ერაყისა და მცირე აზიის ქვეყნებზე გამავალი სავაჭრო გზების

---

[1] ხელნაწერების, გამოცემებისა და თარგმანების შესახებ იხ. Ч. А. Стори, Биобиблиографический обзор, переработал и дополнил Ю. Э. Брегель, II, с. 769—774; ადგილები, რომლებიც შეეხება ირანის ილხანებისა და ოქროს ურდოს გამგებელთა ურთიერთობის ისტორიას, რუსულ თარგმანთან ერთად შეტანილია კრებულში: Сборник материалов, относящихся к истории Золотой Орды, II, Извлечения из персидских сочинений, собранные В. Г. Тизенгаузеном и обработанные А. А. Ромаскевичем и С. А. Волиным, М.-Л., 1941, с. 80 — 89; იქვე გვხვდება ცნობები ამიერკავკასიის შესახებაც.

შესახებ. იქვე უხვად გვხვდება ცნობები აგრეთვე დასახელებული ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის საკითხების შესასწავლად. თხზულებაში ცნობები საქართველოს შესახებ გამოყოფილია ცალკე თავად, რომელსაც ავტორი უწოდებს „საქართველოსა და აფხაზეთის აღწერას"[1].

არანაკლებ მნიშვნელოვანია ჰამდალაჰ ყაზვინის მეორე ნაშრომი „თარიხე გოზიდე" („რჩეული ისტორიათაგანი"). იგი წარმოადგენს მსოფლიო ისტორიის ტიპის თხზულებას, რომელიც ავტორმა დაასრულა 1330 წ. და მიართვა რაშიდ ად-დინის შვილს ვაზირ ყიას ად-დინს, რომელიც ისტორიკოსს მფარველობდა მამამისის დასჯის შემდეგ. თხზულებაში თხრობა გრძელდება 1329 წლამდე. განსაკუთრებით საინტერესოა „თარიხე გოზიდეს" IV თავის XII ნაწილი, რომელიც შეიცავს ირანის მონღოლ ილხანთა მოკლე ისტორიას. აქვეა ცნობები საქართველოს შესახებაც[2].

აღნიშნული ეპოქის საქართველოს ისტორიის შესასწავლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე ეპიგრაფიკულ ძეგლებსა და დოკუმენტური ხასიათის წყაროებს, რომელთა შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ სპარსულენოვანი წარწერა ქ. ანის მანუჩეს მეჩეთის კედელზე და რაშიდ ად-დინის „მიმოწერა".

ანის მეჩეთის კედლის წარწერა დაკავშირებულია ჰულაგუიანთა ირანის მბრძანებლის სულთან აბუ-საიდ ბაჰადორის (1316—1335) სახელთან. იგი შესრულებულია 1319—1335 წლებს შორის და წარმოადგენს ილხანი გამგებლის ბრძანებულებას უკანონო მძიმე გადასახადებისაგან მოსახლეობის დასაცავად. წარწერის შინაარსი შუქს ჰფენს XIV ს-ის ილხანთა ირანის საშინაო ვითარებას. წარწერაში მოხსენიებულია საქართველოც[3].

---

[1] თხზულება ბეჭდურად გამოიცა გიბის სამახსოვრო სერიაში (იხ. Nuzha al-Qulub, Compesed by Hamd-Allah of Qazvini in 740 (1340), edited by Le Strang, London-Leyden, 1915, GMS, XXIII). იმავე სერიაში გამოცემულ იქნა თხზულების ინგლისური თარგმანიც (იხ. Nuzhat al-Qulub, Composed by Hamd-Allah Mustawfi of Qazvini in 740 (1340), translated by Le Strang, London-Leyden, 1919; ადგილები თხზულებიდან, რომლებიც ეხება ირანის აზერბაიჯანს, ირანსა და საქართველოს, გამოკრიბა და გერმანულ თარგმანთან ერთად გამოსცა აკად. ვ. დორნმა. „ნოზჰათ ალ-ყოლუბის" მე-3 ტომის ის ადგილები, სადაც მოცემულია საქართველოს აღწერა, ქართულად თარგმნა და სპარსულ დედანთან ერთად გამოსცა ვლ. ფუთურიძემ (იხ. ისთახრი, ჰოდუდ ალ-ალემი და ჰამდალაჰ ყაზვინი, თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლითურთ ვ. ფუთურიძისა, თბ., 1937).

[2] ამ თხზულების ხელნაწერების, გამოცემებისა და თარგმანების შესახებ იხ. Ч. А. Стори, Био-библиографический обзор, I, с. 328—333.

[3] ამ წარწერის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. В. В. Бартольд, Персидская надпись на стене Анийской мечети Мануче, Сочинения, IV, М., 1966, с. 313—338. აგრეთვე, ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მესამე, XIII—XIV სს., თბ., 1941, გვ. 155—157; იქვე მოტანილია წარწერის ქართული თარგმანიც.

რაშიდ ად-დინის „მიმოწერა“, ანუ „მოქათებათე რაშიდი“ წარმოადგენს ისტორიკოსის მიერ თავისი შვილებისა და სხვა პირებისადმი მიწერილი და მათგან მიღებული სპეციალური წერილების კრებულს. იქვეა შეტანილი რაშიდ ად-დინის ანდერძი თავისი შვილებისადმი, რომელიც შეიცავს ილხანთა ირანის სახელმწიფოს ვრცელ ტერიტორიაზე გაფანტული მისი უზარმაზარი ქონების მოვლა-პატრონობის საკითხებთან დაკავშირებულ რჩევასა და განკარგულებებს.

რაშიდ ად-დინის „მიმოწერა“ ძვირფასი დოკუმენტური წყაროა ირანსა და მისდამი დაქვემდებარებულ ქვეყნებში საგადასახადო პოლიტიკის, ვაჭრობის, მეურნეობასა და გლეხთა მდგომარეობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის მეცნიერული შესწავლისათვის[1].

სპარსულენოვანი საისტორიო მწერლობის ახალი მძლავრი აღმავლობით აღინიშნა თემურლენგისა (1370 — 1405) და თემურიან სულთანთა (1405 — 1500) მბრძანებლობის ხანა[2]. ამ ეპოქის ისტორიულ თხზულებათა მთავარი თემა იყო თემურლენგის დაპყრობითი ომების აღწერა.

თემურლენგის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილ უპირველეს საისტორიო თხზულებას, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, წარმოადგენს ნეზამ ად-დინ შამის „ზაფარ-ნამე“ („გამარჯვების წიგნი“), რომელიც ავტორმა დაწერა თემურლენგის პირადი დაკვეთით 1404 წელს. ნ ე ზ ა მ ა დ-დ ი ნ შ ა მ ი 1392 წ. დაუკავშირდა თემურლენგს ბაღდადის აღების დროს და ამის შემდეგ გვერდიდან აღარ მოსცილებია აზიის დიდ დამპყრობელს. იგი თემურლენგს ხლებია საქართველოშიც და პირადად დასწრებია ბირთვისის ციხისათვის გამართულ ბრძოლას 1403 წელს. საფიქრებელია, რომ იგი საქართველოს შესახებ „ზაფარ-ნამეში“ მოტანილ სხვა მრავალ ცნობათა უშუალო მოწმეც იყო. ნეზამ ად-დინ შამის თხზულება ხასიათდება თემურლენგისადმი მიკერძოებით. სხვათა

---

[1] არსებობს რაშიდ ად-დინის „მიმოწერის“ ბეჭდური გამოცემა (იხ. L e t t e r s of R a s h i d-a d-d i n F a d I-A l l a h, Persian text, edited by Khan Bàhadur Mohamad Safi, Penjub university Oriental publications, № 7, Lahor, 1947), ოგრეთვე რუსული თარგმანი, შესრულებული ა. ფალინას მიერ (იხ. Р а ш и д а д-Д и н, Переписка, первод, введение и комментарии А. И. Фалиной, М., 1971): „მიმოწერის“ ცნობები საქართველოს შესახებ გამოკრებილი და განხილული აქვს კ. ტ ა ბ ა ტ ა ძ ე ს (იხ. კ. ტ ა ბ ა ტ ა ძ ე, რაშიდ ად-დინის ცნობები საქართველოს შესახებ („მოქათაბათე რაშიდი“), ქართული წყაროთმცოდნეობა, II, 1968, თბ., გვ. 77 — 86).

[2] В. В. Б а р т о л ь д, Мир Али-Шир и политическая жизнь, Сочинения, II, ч. 2, М., 1964, с. 199.

შორის, ეს ნაკლი მეტნაკლებად ახასიათებს ამ ეპოქის თითქმის ყველა ავტორს[1].

ნეზამ ად-დინ შამის მიერ შეგროვილი მასალა შემდეგ საფუძვლად დაედო თემურლენგის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილ მომდევნო ხანის ისტორიკოსთა თხზულებებს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია შარაფ ად-დინ ალი იეზდის ისტორიული თხზულება, რომელსაც აგრეთვე „ზაფარ-ნამე" ეწოდება.

შარაფ ად-დინ ალი იეზდის „ზაფარ-ნამე" მთლიანად დამყარებულია ნეზამ ად-დინ შამის თხზულებაზე, ოღონდ წარმოადგენს უფრო ვრცელსა და დაწვრილებით ისტორიას. იგი მთლიანად ეძღვნება თემურლენგის მოღვაწეობას დაბადებიდან გარდაცვალებამდე და მთავრდება 1405 წლის ამბებით. ნაშრომი ავტორმა დაასრულა 1424 წელს. შარაფ ად-დინ ალი იეზდიმ მეტად ძვირფასი ცნობები შეკრიბა იმ ქვეყნებისა და ხალხების შესახებ, სადაც ლაშქრობა მოუხდათ თემურლენგის მრავალრიცხოვან ურდოებს. ცნობები საქართველოს შესახებ გაბნეულია მთელს თხზულებაში, ხშირად აქაურ ამბებს მიძღვნილი აქვს ცალკე თავები. წიგნში თავმოყრილი ამ ხასიათის მასალა ძვირფას წყაროს წარმოადგენს საქართველოში თემურლენგის ურდოების შემოსევებთან დაკავშირებული საკითხების შესასწავლად. ამასთან, მხედველობაშია მისაღები, რომ ამ ავტორს განსაკუთრებულად ახასიათებს თემურლენგისადმი თითქმის შეუნიღბავი მიკერძოება და ამიტომაც მისი ცნობების გამოყენების დროს მკვლევარს მართებს უაღრესად დიდი სიფრთხილე.

შარაფ ად-დინ ალი იეზდისათვის დამახასიათებელია აგრეთვე თხრობის მაღალი სტილი და ყურანიდან ნაწყვეტების ხშირი ხმარება, რაც მის თხზულებას ძნელად გამოსაყენებელს ხდის[2].

---

[1] ნეზამ ად-დინ შამის „ზაფარ-ნამეს" სპარსული ტექსტი კრიტიკულად გამოსცა ფ. თაუერმა პრაღაში 1937 წ. (იხ. Histoire des conquétes de Tamerlan intitulée Zafarnama par Nizamuddin şami, Avec des additions empruntées, au Zubdatu-t-tavarihi Bāysunguri de Hafiz-i Abru, Edition critique par Felix Tauer, t. I, texte persan de Zafarnama, Praha, 1937); ნაწყვეტები თხზულებიდან, რომლებიც ეხება ბირთვისის ციხის აღებას და თემურლენგის გალაშქრებას დასავლეთ საქართველოში 1403 წელს, შეტანილია წიგნში: სპარსული საისტორიო ტექსტები, შეადგინეს ჯ. გიუნაშვილმა და დ. კაციტაძემ, I, თბ., 1972, გვ. 247 — 256.

[2] შარაფ ად-დინ ალი იეზდის „ზაფარ-ნამე" ითარგმნა და გამოიცა ფრანგულად პტი დე ლა კრუას მიერ 1722 წელს. ფრანგული თარგმანიდან შემდეგ შესრულებულ იქნა ინგლისური თარგმანიც. არსებობს სპარსული ტექსტის რამდენიმე გამოცემა (იხ. The Zafarnamah by Maulana Sharfuddin Ali of Jazd, edited by Maulawi Muhammad Ilahdad, vol. I, II, Calcutta, 1887—1888); უკანასკნელად გამოიცა თეირანში 1958 წელს (იხ. ზ ა ფ ა რ-ნ ა მ ე, მოვლანა შარაფ ად-დინ ალი იეზდი, თარიხე მოფასალე ომუმიე ირან დარ დოერეიე თემურიან, თეჰრან, 1336, სპარსულ ენაზე).

თემურლენგისა და მისი ლაშქრობების აღწერას მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი მ ო ი ნ ად-დ ი ნ ნ ა თ ა ნ ზ ი ს მსოფლიო ისტორიის ტიპის თხზულებაში, რომელსაც ეწოდება „მონთახაბ ათ-თავარიხე მოიიან“ („მოინ ად-დინ ნათანზის რჩეული ისტორიანი“). ავტორმა იგი დაასრულა 1414 წ. და თემურლენგის შვილიშვილს ისქანდერს მიართვა. თხზულების პირველაღმომჩენმა აკად. ვ. ბარტოლდმა მას უწოდა ისქანდერის ანონიმი და მის მიერვე ასე იხსენიებოდა სამეცნიერო ლიტერატურაში დამწერის ვინაობის გარკვევამდე. თავისი თხზულების იმ ნაწილის გასამართავად, რომელიც თემურლენგის ლაშქრობებს ასახავს, ავტორს მოუპოვებია სხვა დამატებითი წყაროებიც და ბევრი ისეთი ცნობა შეუტანია, რომლის მსგავსიც არ მოიპოვება ნეზამ ად-დინ შამის „ზაფარნამეში“. რიგ შემთხვევებშიც ავტორი თვითონ იყო თხზულებაში აღწერილი ბევრი ამბის თვითმხილველი და უშუალო მოწმე. ყოველივე ამის გამო მისი ცნობები გამოირჩევა დიდი ღირსებითა და ორიგინალობით. ნათანზის ცნობები საქართველოს შესახებ საშუალებას იძლევა კრიტიკულად შევხედოთ თემურლენგის კარის ისტორიკოსთა ზოგ საეჭვოსა და ტენდენციურ ცნობას[1].

თემურიანთა ეპოქის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო შეჰაბ ად-დინ აბდალაჰ ბენ ლოთფალაჰ ბენ აბდ არ-რაშიდ ჰ ა ფ ე ზ ე ა ბ რ უ (გარდაიცვალა ქ. ზენჯანში 1431 წ.), რომელმაც დაგვიტოვა ირანისა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების გეოგრაფიული აღწერილობა, „ზეილე ჯამი ათ-თავარიხ“, რომელიც წარმოადგენს რაშიდ ად-დინის თხზულების გაგრძელებას და ოთხი დიდი ტომისაგან შემდგარი საისტორიო ხასიათის თხზულება — „მაჯმა ათ-თავარიხ“.

„ზეილე ჯამი ათ-თავარიხ“ („მატიანეთა კრებულის გაგრძელება“) ჰაფეზე აბრუმ დაწერა სულთან შაჰროხის (1405 — 1447) მითითებით. იგი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი მიძღვნილია ოლჯუაითუ ბაჰადორისადმი, მეორეში კი გადმოცემულია აბუ-საიდის ისტორია. თხზულებაში საინტერესო ცნობები გვხვდება საქართველოს შესახებ ილხანთა ირანის ტახტზე სულთან ყაზან ყაენის ასვლის დროს ტახტის

---

[1] მოინ ად-დინ ნათანზის თხზულება გამოცემულ იქნა თეირანში ჟან ობენის მიერ (იხ. ნ ა თ ა ნ ზ ი, მონთახაბ ათ-თავარიხე მოიიან, თეჰრან, 1336, სპარსულ ენაზე); ნაწყვეტები თხზულებიდან, რომელიც შეეხება საქართველოში თემურლენგის უკანასკნელ შემოსევას 1403 წელს, შეტანილია წიგნში: სპარსული საისტორიო ტექსტები, I, გვ. 270 — 272; საქართველოს შესახებ ნათანზის თხზულებაში დამოწმებული ცნობების შესახებ იხ. დ. კ ა ც ი ტ ა ძ ე, „ისქანდერის ანონიმის“ ცნობები საქართველოს შესახებ, თსუ შრომები, ტ. 116, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, V, თბ., 1965, გვ. 273—282.

პრეტენდენტთა შორის გამართულ ცხარე ბრძოლებთან დაკავშირებით[1].

ჰაფეზე აბრუს ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი საისტორიო თხზულება „მაჯმა ათ-თავარიხ“ („მატიანეთა კრებული“), ანუ როგორც სხვანაირადაც უწოდებენ „ზუბდ ათ-თავარიხ“ („მატიანეთა ნაღები“) წარმოადგენს მსოფლიო ისტორიის ტიპის თხზულებას. თემურლენგსა და მის მემკვიდრეებს ეძღვნება ამ თხზულების მე-4 ტომი. თხრობა გრძელდება 1427 წლამდე. თემურლენგის შესახებ თხრობას საფუძვლად უდევს ნეზამ ად-დინ შამის „ზაფარ-ნამე“, რომლის ცნობები ავტორის მიერ არის შევსებული და შესწორებული. ჰაფეზე აბრუ სარგებლობდა თემურლენგის პირადი კეთილგანწყობილებით ჰადრაკის თამაშში კარგი პარტნიორობის გამო. იგი განუყრელად თან ახლდა აზიის დიდ დამპყრობელს ომებსა და ლაშქრობებში, რამდენიმეჯერ ხლებია საქართველოშიც. ავტორის ცნობები საქართველოს შესახებ გამოირჩევა დიდი ორიგინალობითა და სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ცნობათა სიუხვით[2].

ჰაფეზე აბრუს გამგრძელებელი იყო ქამალ ად-დინ აბდ ა რ-რ ა ზ ა ყ ს ა მ ა რ ყ ა ნ დ ი (1413—1482), რომელსაც ეკუთვნის მოზრდილი საისტორიო ხასიათის თხზულება „მათლა ას-საყდეინ ვა მაჯმა ალ-ბაჰრეინ“ („ორი ბედნიერი მნათობის აღმობრწყინებისა და ორი ზღვის შერწყმის ადგილი“). აბდ არ-რაზაყ სამარყანდი თავისი დროისათვის განათლებული პიროვნება იყო. იგი სულთან შაჰროხის კარზე მოღვაწეობდა ჰერათში და ხშირად ასრულებდა მნიშვნელოვან სახელმწიფო დავალებას. შაჰროხის გარდაცვალების შემდეგ ისტორიკოსი ემსახურებოდა სულთან აბუ-საიდს (1451 — 1469). მისი თხზულება მოიცავს 170-წლიანი პერიოდის ამბავთა თხრობას დაწყებული ილხანთა ირანის უკანასკნელი მონღოლი მბრძანებლის აბუ-საიდის დაბადებით და გათავებული თემურიანი აბუ-საიდის

---

[1] არსებობს ამ თხზულების ბეჭდური გამოცემა (იხ. „ზეილე ჯამი ათ-თავარიხე რაშიდი თაალიფე შეჰაბ ად-დინ აბდალაჰ ჰაფეზე აბრუ, თეირანი, 1317, სპარსულ ენაზე).

[2] ჰაფეზე აბრუს ეს თხზულება ჯერჯერობით არ გამოცემულა. I და II ტომების ხელნაწერები არსებობს საბჭოთა კავშირშიც (იხ. ლენინგრადის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერი, დორნის კატალოგით № 268); ვრცელი ამონაწერები თხზულების III და IV ტომებიდან, რომლებიც იძლევა ნეზამ ად-დინ შამის „ზაფარ-ნამეს“ შესატყვისი ადგილების განსხვავებულ წაკითხვას, ფ. თაუერმა დაურთო ნეზამ ად-დინ შამის „ზაფარ-ნამეს“ მე-2 ტომს (იხ. Histoire des conquêtes de Tamerlan intitulée Zafarnama par Nizamuddin şami, Avec des additions empruntées au Zubdatu-t-tavarih-i Bysonguri de Hafiz-i Abru, Edition critique par Felix Tauer, t. II, introduction, commentoire, index, Praha, 1956).

გარდაცვალებით. ავტორს „ბედნიერ მნათობებად“ სწორედ ეს ორი აბუ-საიდი ჰყავს ნაგულისხმევი. იგი შედგება ორი ტომისაგან. პირველი ტომი, რომელიც მთავრდება თემურლენგის გარდაცვალებით 1405 წელს, და მეორე ტომის დასაწყისი 1426 წლის ამბებამდე, წარმოადგენს ჰაფეზე აბრუს „ზუბდ ათ-თავარიხზე“ დამყარებულ კომპილაციას, თხზულების დანარჩენი ნაწილი კი აღწერილი და მოთხრობილი ამბების თვითმხილველი და თანადამხდური ავტორის ნახელავია. ამ თხზულებაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი თხრობას საქართველოში თემურლენგის ლაშქრობათა შესახებ[1].

XV საუკუნის შესანიშნავი ისტორიკოსი და ბიოგრაფი ფასიჰ აჰმედ ბენ ჯალალ ად-დინ მოჰამედ ხაფი, იგივე ფ ა ს ი ჰ ი ხ ა ფ ი (1375—1442) ჩვენთვის ცნობილია ერთადერთი თხზულებით, რომელსაც ეწოდება „მაჯმალე ფასიჰი“ („ფასიჰის კონსპექტი“) და წარმოადგენს ისტორიათა და ბიოგრაფიათა კომპენდიუმს. ფასიჰი ხაფი თემურიანთა კარის საფინანსო უწყების დაწინაურებული მოხელე იყო და ხშირად ასრულებდა მნიშვნელოვან სახელმწიფო დავალებას. მან თავისი თხზულება დაასრულა და სულთან შაჰროხს მიართვა 1442 წელს. იგი წარმოადგენს წლების მიხედვით შედგენილ მატიანეს. თხზულებაში თხრობა გრძელდება 1442 წლამდე. დიდი სიზუსტით გამოირჩევა ქრონოლოგია. საქართველოში თემურლენგის ლაშქრობებთან დაკავშირებით ნაწარმოები შეიცავს მეტად საინტერესო ორიგინალურ ცნობებს, რომელთა მსგავსი არ გვხვდება სხვა სპარსულენოვან წყაროებში[2].

---

[1] ა ბ დ ა რ-რ ა ზ ა ყ ს ა მ ა რ ყ ა ნ დ ი ს თხზულების ხელნაწერები არსებობს საბჭოთა კავშირშიც (იხ. ლენინგრადის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერი, დორნის კატალოგით № 298); თხზულების სპარსული ტექსტი 1941—1949 წლებში ლითოგრაფიულად გამოსცა ლაჰორში მოჰამედ შაფიმ (იხ. მ ა თ ლ ა ა ს-ს ა ყ დ ე ი ნ ვ ა მ ა ჯ მ ა ა ლ-ბ ა ჰ რ ე ი ნ, თალიფე ქამალ ად-დინ აბდ არ-რაზაყ სამარყანდი, ბეთასჰიჰე მოჰამედ შაფი, ჯალდ 1—2, ლაჰორ, 1331—1368). აბდ არ-რაზაყ სამარყანდის ცნობები საქართველოს შესახებ განხილული აქვს დ. კაციტაძეს (იხ. დ. კ ა ც ი ტ ა ძ ე, აბდ არ-რეზაყ სამარყანდის „მათლა ას-საყდაინ ვა მაჯმა ალ-ბაჰრეინის“ ცნობები საქართველოს შესახებ, „მაცნე“, № 2, 1968, გვ. 197—209); დ. კაციტაძის ვარაუდით, ქართველმა ისტორიკოსმა ფ. გორგიჯანიძემ თავის ისტორიაში სწორედ ამ თხზულების ცნობები დაუდო საფუძვლად თხრობას საქართველოში თემურლენგის ლაშქრობათა შესახებ (იხ. დ. კ ა ც ი ტ ა ძ ე, ფ. გორგიჯანიძის თხზულებისა და „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებების XV საუკუნის სპარსული წყაროები, „აღმოსავლური კრებული“, I, თბ., 1960, გვ. 149—169; დ. კ ა ც ი ტ ა ძ ე, ისევ ფარსადან გორგიჯანიძის ერთი სპარსულენოვანი წყაროს შესახებ, „აღმოსავლური ფილოლოგია“, II, თბ., 1972, გვ. 147—152).

[2] არსებობს ამ თხზულების ბეჭდური გამოცემა (იხ. ფ ა ს ი ჰ ი ხ ა ფ ი, მაჯმალე ფასიჰი, მაშჰად, 1339, სპარსულ ენაზე).

თემურიანთა ეპოქის ყველაზე ცნობილ და აღიარებულ წყაროდ როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში დიდხანს ითვლებოდა მოჰამედ ბენ ხავანდშაჰ ბენ მაჰმუდის, იგივე მირხონდის (1433 — 1498) „როუზათ ას-საფა“ („სიწმინდის ბაღი“).

მირხონდი მირ ალი შერ ნავოის (1441 — 1501) მიერ ჰერათში ჩამოყალიბებული ლიტერატურულ-მეცნიერული დასის ერთ-ერთი უწარჩინებულესი წარმომადგენელი იყო. მისი თხზულება „როუზათ ას-საფა“ მსოფლიო ისტორიის ტიპის ნაწარმოებია და შედგება 7 ტომისაგან. თხზულებაში თხრობა იწყება სამყაროს შექმნიდან და გრძელდება ავტორის დრომდე. თხზულების მე-6 ტომი მიძღვნილია თემურლენგისა და თემურიანი მმართველებისადმი, ხოლო მე-7 ტომი იმ ეპოქას ასახავს, რომელშიც ავტორი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ეს თხზულება, მიუხედავად თავისი კომპილაციური ხასიათისა, რიგ შემთხვევებში მაინც ინარჩუნებს ძვირფასი პირველწყაროს ღირსებას, რადგან ავტორის მიერ გამოყენებულ მრავალრიცხოვან წყაროთა შორის ბევრი უკვე დაკარგულად ითვლება. „როუზათ ას-საფა“ შეიცავს ბევრ საყურადღებო ცნობას XIV — XV საუკუნეთა საქართველოს ისტორიის საკითხების შესასწავლად. ცნობები საქართველოს შესახებ თავმოყრილია ძირითადად მირხონდის თხზულების მე-6 ტომში[1].

XV ს-ის მეორე ნახევარსა და XVI ს-ის დასაწყისში მოღვაწეობდა ისტორიკოსი ფადლალაჰ იბნ რუზბეჰანი (1457 — 1521), რომელსაც ეკუთვნის საისტორიო თხზულება „თარიხე ალამ არაიე ამინი“ („ამინის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორია“) ან უფრო მოკლედ „თარიხე ამინი“ („ამინის ისტორია“). იგი წარმოადგენს აყ-ყოიუნლუს თურქმანთა დინასტიის წარმომადგენელთა ისტორიას. დაწერილია 1490 — 1491 წლებში და შეიცავს საინტერესო ცნობებს საქართველოში თეთრბატკნიან თურქმენთა ლაშქრობების შესახებ[2].

---

[1] მირხონდის თხზულება რამდენჯერმე გამოიცა ლითოგრაფიულად, ხოლო ნაწყვეტები ითარგმნა სხვადასხვა ენაზე (უფრო ვრცლად საამისო ცნობები იხ. Ч. А. Стори, Персидская лит-ра, Био-библиограф. обзор, I, с. 370—378); თხზულების მე-6 ტომი ბეჭდურად გამოიცა თეირანში 1961 წ. (იხ. მ ი რ ხ ა ნ დ, როუზათ ას-საფა, 6, თეჰრან, 1339, სპარსულ ენაზე).

[2] ეს თხზულება შემოკლებით თარგმნა ინგლისურ ენაზე პროფ. ვ. მინორსკიმ და გამოსცა ლონდონში 1957 წ. (იხ. Persia in A. D. 1478-1490, An abriged translation of Fadlullah b. Ruzbihan Khunji's Tarihi alamara-yi-Amini, London, 1957); ავტორისა და საქართველოს შესახებ მისი ცნობების საკითხზე იხ. რ. კ ო კ ნ ა ძ ე, ფადლალაჰ იბნ რუზბეჰანის „თარიხე ალამ არაიე ამინი“, „კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული“, II, თბ., 1962, გვ. 275—288.

§ 3. ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

VIII საუკუნიდან საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა რამდენიმე პოლიტიკური ერთეული: ეგრის-აფხაზეთის სამეფო, ქართველთა საკურაპალატო, კახეთის საქორეპისკოპოსო, ჰერეთის სამთავრო და თბილისის საამირო (ქართლის ტერიტორიაზე). ქართლის დანარჩენი ნაწილი ამ ერთეულთა შორის ხელიდან ხელში გადადიოდა.

თითოეული ეს პოლიტიკური ერთეული აწარმოებდა ბრძოლას თავისი ტერიტორიის გასაზრდელად მეზობლების ხარჯზე.

ეგრის-აფხაზეთის სამეფოს უკიდურესი ზღვარი ჩრდილო-დასავლეთით იყო მდინარე და ქალაქი ნიკოფსია. კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით, აფხაზეთსა და ჯიქეთს შორის საზღვარი მდ. ნიკოფსიაზე გადიოდა[1]. მდინარე ნიკოფსია თანამედროვე ნიჩეპსუხოა, რომელიც ქ. ტუაპსეს მიდამოებში ერთვის შავ ზღვას[2]. ქალაქი ნიკოფსია კი აფხაზეთში მდებარეობდა. XI საუკუნის მწერლის გიორგი მცირის თქმით, „ერთი... მოციქულთაგანი — სიმონს ვიტყჳ კანანელსა — ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს, აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების“[3].

აღმოსავლეთი საზღვარი აფხაზთა სამეფოსი მდ. კლისურა (თანამედროვე კელასური) იყო[4]. ლეონ I-ის დროიდან აფხაზთა სამეფოში შედის ჯიქეთიც. კონსტანტინე პორფიროგენეტს ჯიქეთი შემდეგნაირად აქვს ლოკალიზებული: „უკრუხიდან ნიკოფსის მდინარემდე, სადაც იმავე სახელწოდების ციხეა, არის ჯიქეთის ქვეყანა“[5]. მდ. უკრუხი ქართული წყაროს ხაზარეთის მდინარეა[6] და დღევანდელ მდ. ყუბანს უდრის[7]. ჯიქეთი რომ აფხაზთა სამეფოს შემადგენლობაშია, კერძოდ, გიორგი I აფხაზთა მეფის დროს (929 — 957), ამას მოწმობს „მატიანე ქართლისაის“ ერთი ცნობა. როდესაც გიორგი I-მა კახეთში ილაშქრა, ერთ-ერთი იქაური ფეოდალი

---

[1] გეორგიკა, IV, ნაკვ. 2, გვ. 233.

[2] Ф. Брун, Черноморье, т. II, с. 259; В. Латышев, К истории христианства на Кавказе, с. 11; Б. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. I, 1944, с. 100—101.

[3] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, თბ., 1967, გვ. 154.

[4] ჯუანშერი, ქ. ცხ., I, გვ. 242.

[5] გეორგიკა, IV, ნაკვ. 2, გვ. 231.

[6] ჯუანშერთან შემდეგნაირად არის განსაზღვრული აფხაზთა სამეფო ლეონ I-ის დროს: „არს ესე მამულობით სამკვიდრებელ ჩემდა კლისურითგან ვიდრე მდინარემდე დიდად ხაზარეთად, სადაც დასწვდების წვერნი კავკასიისა ამის“, ქ. ცხ., I, გვ. 242.

[7] იე. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, თბ., 1948, გვ. 20.

ხახუა არშის ძე არ შეეპუა აფხაზთა მეფეს, მაშინ იგი „მოიყვანეს შეპყრობილი წინაშე მეფისა და მეფემან წარსცა პყრობილი ჯ ი ქ ე თ ს“[1].

თანდათანობით ხდება აფხაზეთის პოლიტიკური საზღვრების გაფართოება აღმოსავლეთით: ლეონ აფხაზთა მეფემან „დაიპყრო აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე“[2].

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში წარმოიშვა ქართველთა საკურაპალატო. ამ პოლიტიკურ ერთეულში შეეიდა ჭოროხის ხეობაში მდებარე პროვინციები — კლარჯეთი, შავშეთი, ტაო, თორთომი, ოლთისი. ამას გარდა, საკურაპალატოში სხვადასხვა დროს შედიოდა მტკვრის ხეობის პროვინციები — კოლა, არტაანი, ჯავახეთი, სამცხე, აშოცი, ტაშირი.

საკურაპალატოს სამხრეთი საზღვრისპირა ოლქი X საუკუნეში იყო ბასიანი. კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით, ქართველთა კურაპალატს ებოძა ბასიანის ის ნაწილი, რომელიც მდ. არაქსის ჩრდილოეთით მდებარეობს. ამის შედეგად საზღვარი საკურაპალატოსა და ბიზანტიას შორის X ს. პირველ მესამედში მდ. არაქსზე დაიდო[3].

მაქსიმალურ ზღვარს მიაღწია საკურაპალატომ დავით კურაპალატის დროს, X ს. მეორე ნახევარში. კურაპალატმა ბრძოლით შეიერთა ბიზანტიის იმპერატორისაგან ბოძებული „ზემონი ქვეყანანი“, ანუ კარინის, ბასიანის, მარდალის, ჰარქისა და აპახუნიკის ოლქები[4], მაგრამ დავითის სიკვდილის შემდეგ ბიზანტიამ უკანვე დაიბრუნა ეს მიწები. საზღვარი ბიზანტიასა და საქართველოს შორის ამჯერად მდ. ბანისწყალზე დაიდო. ეს მდინარე ორ ნაწილად ყოფდა ტაოს. ბანისწყალის ჩრდილოეთით ამიერტაო იყო, სამხრეთით იმიერტაო. იმიერტაო კვლავ შეუერთა საქართველოს ბაგრატ III-მ, უკვე გაერთიანებული ქვეყნის მეფემ. გიორგი I-ის დროს მთელი ტაო საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაშია და სამხრეთი მეზობელი ქვეყანა ისევ ბასიანია[5].

სამხრეთ-დასავლეთით საკურაპალატოს ებჯინებოდნენ დევა-ბოინუს მთები (დღევანდელი ჩახირბაბის და ყარგაფაზარის ქედები). ამ მთებში იყო გადასასვლელი — საქართველოს ყელი, შემდეგში თურქებისაგან გურჯი ბოღაზად წოდებული, რომელზედაც გადიოდა საქართველოს მცირე

---

[1] ქ. ცხ., I, გვ. 268.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 251.

[3] გეორგიკა, IV, ნაკვ. 2, გვ. 271 — 272.

[4] Всеобщая история Степаноса Таронского Асохика по прозванию, переведена с армянского и объяснена Н. Эмином, М., 1864, с. 135; Повествование вардапета Аристакеса Ластивертци, пер. К. Юзбашяна, М., 1968, с. 65—66.

[5] ბასიანში, როგორც საქართველოს მეზობელ მხარეში, დაბანაკდა გიორგი I-ის საწინააღმდეგოდ წამოსული ბიზანტიის იმპერატორი ბასილი. ქ. ცხ., I, გვ. 383.

აზიის ქვეყნებთან დამაკავშირებელი ერთ-ერთი ძირითადი გზა (ოლთისი — ერზერუმი).

ქართველთა საკურაპალატოს მომიჯნავე პროვინციები დასავლეთით იყო სპერი და ჭანეთი.

სპერი ადრეფეოდალური ქართლის სამეფოს შემადგენლობაში იყო. ქართველებმა იგი დაკარგეს ჰერაკლე კეისრის დროს: „კუალად წარიღეს ბერძენთა საზღვარი ქართლისა: სპერი და ბოლო კლარჯეთისა ზღუს პირი"[1]. კლარჯეთის „ბოლო" — ზღვის პირი ქართველებმა შემდეგში ისევ დაიბრუნეს. XI ს. დასაწყისში კლარჯეთის ეს ნაწილი საქართველოს შემადგენლობაშია, სპერი კი ბიზანტიას დარჩა. დავით აღმაშენებლის დროს, როდესაც ხდებოდა სელჩუკების მიერ დაკავებული ტერიტორიების დალაშქვრა და შემოერთება, ქართველთა ჯარმა მხოლოდ სპერამდე მიაღწია, სპერი ისევ სელჩუკების ხელთ დარჩა[2]. XIII ს. დასაწყისში, როდესაც შეიქმნა ტრაპიზონის საკეისრო, სპერი შევიდა ამ საკეისროს შემადგენლობაში. საქართველოს საზღვრებს გარეთაა სპერი მომდევნო ხანებშიაც. XIV საუკუნეში, როცა სამცხე-საათაბაგო მეტისმეტად გაძლიერდა, ბექა ჯაყელმა ომით სცადა თურქებისაგან სპერის შემოერთება, მაგრამ უშედეგოდ.

ამრიგად, ადრეფეოდალურ ხანაში საქართველოდან ჩამოცილებული სპერი ბოლომდე მის საზღვრებს გარეთ დარჩა.

ქართველთა საკურაპალატოს მეორე დასავლეთი მეზობელი ჭანეთი საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებს იქითაა. მის ტერიტორიაზე შეიქმნა ტრაპიზონის საკეისრო. XIV ს. დასაწყისში ბექა ჯაყელმა ჭანეთი სამცხე-საათაბაგოს შეუერთა[3], მაგრამ მალე ეს მხარე თურქებმა დაიკავეს.

საქართველოს ტერიტორიის აღმოსავლეთ ნაწილში ორი პოლიტიკური ერთეული ჩამოყალიბდა: კახეთის საქორეპისკოპოსო და ჰერეთის სამეფო. კახეთის დასავლეთი ზღვარი მდ. არაგვზე იდო, ჰერეთის უკიდურესი მიჯნა კი აღმოსავლეთით შაქის ოლქი იყო. X ს. მეორე ნახევარში კახეთი და ჰერეთი გაერთიანდნენ (უფრო ზუსტად კახეთის ქორეპისკოპოსმა გაავრცელა თავისი ძალაუფლება ჰერეთზეც)[4]. ეს გაერთიანება ვრცელდებოდა არაგვიდან მდ. ახსუმდე (ახსუ მტკვრის მარცხენა შენაკადია და ერთვის მტკვარს დაახლოებით იქ, სადაც მარჯვენა მხრიდან არაქსი უერთდება ქ. საბირაბადის მიდამოებში).

---

[1] ჯ უ ა ნ შ ე რ ი, ქ. ცხ., I, გვ. 226.

[2] დ ა ვ ი თ ი ს ი ს ტ ო რ ი კ ო ს ი, ქ.ცხ., I გვ. 344.

[3] ე ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ქ. ცხ., II, გვ. 304.

[4] ამ დროიდან არაბული წყაროების „მეფე შაქისა" გულისხმობს კახეთის მმართველს. В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда, М., 1963, с. 117.

კახეთ-ჰერეთი 1010 წლის ახლო ხანებში ბაგრატ მესამემ შეუერთა საქართველოს, მაგრამ 1014 წელს იგი ისევ ჩამოსცილდა მას. ამის შემდეგ თითქმის მთელი საუკუნე კახეთ-ჰერეთი საქართველოს ფარგლებს გარეთაა, ვიდრე დავით აღმაშენებელმა კვლავ არ შემოიერთა 1104 წელს.

მიწა-წყალზე, რომელიც ერთი მხრივ, კახეთ-ჰერეთისა და, მეორე მხრივ, ეგრის-აფხაზთა სამეფოსა და ქართველთა საკურაპალატოს შორის იდო, მდებარეობდა თბილისის საამირო და შიდა ქართლის საერისთავოები.

თბილისის საამირო — არაბთა ბატონობის უკანასკნელი დასაყრდენი საქართველოში — IX საუკუნიდან არაბთა სახალიფოსაგან ფაქტიურად დამოუკიდებელ ერთეულად იქცა. ის მხოლოდ ნომინალურად ექვემდებარებოდა ხალიფატს. ამ გარემოებით სარგებლობდნენ თბილისის საამიროს მეზობელი პოლიტიკური გაერთიანებანი და საამიროს ტერიტორიის ხარჯზე გაფართოებას ცდილობდნენ. X საუკუნის ბოლოს თბილისის საამირო მხოლოდ ქ. თბილისის მიდამოებს და ქვემო ქართლის ნაწილს შეიცავდა.

XI ს. დასაწყისისათვის გვაქვს პირდაპირი მითითება იმაზე, რომ მდ. ჭოჭკანის ხევი საამიროს საზღვრებში აღარაა (ჭოჭკანის ხევი მდ. ხოჟორნის ხევის მარჯვენა შენაკადია, ხოჟორნის ხევი კი დებედის მარცხენა შენაკადია, იგი დებედას უერთდება სადახლოსთან)[1].

ქვემო ქართლი და ტაშირი ადრე მთლიანად თბილისის საამიროს ეკუთვნოდა. ტაშირი — ესაა ტერიტორია ჯავახეთის ქედის, სომხეთისა და ბეზობდალის ქედებსა და მდ. დებედას შორის. თანამედროვე ნომენკლატურით ამ ადგილს ლორეს ველი ჰქვია. X — XI სს. სომხურ საისტორიო მწერლობაში კი მას „ვრაცდაშტ" — ქართველთა ველი — ეწოდება. ტაშირში X საუკუნის მეორე ნახევარში შეიქმნა კვირიკიანთა ლორე-ტაშირის სამეფო ცენტრით ქ. ლორეში. ეს სამეფო შირაქის (ანისის) სამეფოს ვასალად ითვლებოდა, მაგრამ XI ს. დასაწყისში დავით მეფის დროს (989 — 1048) საკმაოდ ფართოვდება ჩრდილოეთით და მის მთავარ ქალაქად ხდება ქ. სამშვილდე. შემდეგში ბაგრატ IV-მ კვირიკიდებს წაართვა სამშვილდე და მისი მიდამოები.

შიდა ქართლი არ შესულა არცერთ პოლიტიკურ გაერთიანებაში. მას რამდენიმე ფეოდალური სახლი განაგებდა (ფავნელები, ძამელები, კორინთლები, ტბელები...). იმ ბრძოლაში, რასაც საქართველოს ცალკეული

---

[1] მ ე ლ ქ ი ს ე დ ე კ ‌ ‌ კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი ს დაწერილში ნათქვამია: „საკოეთს შეეიპყრენ და ავაშენე სოფელნი 2 — ნაქალაქევი და ბერდაძორი" (ქართ. სამართლის ძეგლები, III, გვ. 22). სოფ. ბერდაძორი ამაეე სახელწოდებით დღესაც არსებობს მარნეულის რაიონის ხოჟორნიის სასოფლო საბჭოში.

მხარეები აწარმოებდნენ თავიანთი მიწების გასაფართოებლად, შიდა ქართლის დაუფლება ამ მებრძოლი მხარეებისათვის ერთობ სასურველი იყო. ამიტომაც შიდა ქართლი საუკუნის მანძილზე ხელიდან ხელში გადადიოდა: IX ს. დასაწყისში მას დაეუფლა კახეთის ქორეპისკოპოსი, შემდეგ კურაპალატი და ბოლოს აფხაზთა მეფე.

ბაგრატ III-ის გამეფებით იწყება საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი ცალკეული პოლიტიკური ერთეულების გაერთიანება. ბაგრატ III-ის მეფობის ბოლო წლებისათვის ერთ სამეფოდაა გაერთიანებული დასავლეთ საქართველო, შიდა ქართლი, კახეთ-ჰერეთი, თრიალეთი და ყოფილი ქართველთა საკურაპალატო ბასიანამდე. გაერთიანების გარეშეა დარჩენილი მხოლოდ თბილისი და მისი მიდამოები.

მთელი XI საუკუნე საქართველოს ბრძოლა უხდებოდა ჯერ ბიზანტიასთან, შემდეგ თურქ-სელჩუკებთან. ამ ბრძოლებმა და შინაურმა უთანხმოებებმა არათუ შეაჩერეს ქვეყნის შემდგომი გაერთიანება, არამედ გამოიწვიეს უკვე მოპოვებულის დაკარგვაც. ჯერ (1014 წ.) კახეთ-ჰერეთი ჩამოსცილდა საქართველოს, შემდეგ ზოგმა ფეოდალმა ბიზანტიას გადასცა რამდენიმე ციხე სამხრეთ საქართველოში, 1032 წ. კი ანაკოფიის მხარე (ეს მხარე ქართველებმა დაიბრუნეს 1044 წ.)[1].

დავით აღმაშენებლის ხანაში იწყება ახალი ეტაპი საქართველოს გაერთიანებისა. ამასთან ეს ხანა ქვეყნის თურქთაგან საბოლოოდ განთავისუფლების ხანაცაა. 1122 წელს დავითმა აიღო თბილისი და ამით საქართველოს გაერთიანება დამთავრდა.

დავითის მეფობაში იწყება საქართველოს სახელმწიფოში არაქართული მიწების შემოერთება.

1120 წ. დავითმა საქართველოს შემოუერთა ქალაქი და ოლქი ყაბალა. ეს ოლქი მტკვრის მარცხენა შენაკადების მდ. ახსუსა[2] (აღმოსავლეთით) და ტურიიანს (დასავლეთით) შორის მდებარეობს. ყაბალის აღმოსავლეთი საზღვარი საქართველოს სახელმწიფოს აღმოსავლეთი საზღვარი იყო XII, XIII, XIV საუკუნეებში.

ყაბალის აღმოსავლეთით მდებარეობს შარვანი, რომელიც დავით აღმაშენებელმა ჯერ უშუალოდ შემოუერთა საქართველოს, შემდეგ კი ყმადნაფიცობის სტატუტში ჩააყენა. შარვანის მეფე აღსართან იწოდება როგორც „მეფე შარვანისა და ზღუსპირისა დარუბანდით ხირხალამდის“ (ქართლის ცხოვრება, II, 17)... ეს გარემოება აშკარად უჩვენებს, რომ შარვანის საზღვრები XII ს. ხირხალამდე ვრცელდება და ხირხალის და-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 201.

[2] მდ. ახსუს მონღოლები უწოდებდნენ ჩალან-უსუნს, მისი ქართული სახელწოდებაა თეთრი წყალი.

სავლეთით უკვე სხვა ქვეყანაა (ხირხალა მტკვრის მარცხენა მხარეს, შაქის აღმოსავლეთ საზღვარზე მდებარე ციხეა). ამავე ადგილებში გულისხმობს საქართველოს აღმოსავლეთ საზღვარს თამარის მეორე ისტორიკოსი, როდესაც ქვეყნის უკიდურეს მიჯნებს ასახელებს: „იწყეს (ძღუენთა მოღებად) ანაკოფიის ციხით ვიდრე ციხემდე გულისტანისა“ (ქ. ცხ., II, გვ. 129). გულისტანის ციხე შემახის დასავლეთით მდ. ახსუს მარცხენა მხარეს გაშენებული ციხეა. ახსუ, ანუ თეთრი წყალი[1] იგივე ჩაღანუსუნია, რომელიც ჟამთააღმწერელს შემახიის მთასთან ერთად სახელდებული აქვს როგორც საქართველოს აღმოსავლეთი საზღვარი[2].

დავით აღმაშენებლის დროიდანვე იწყება საქართველოს შემადგენლობაში ჩრდილო სომხეთის შემოსვლა. 1123 წელს დავით აღმაშენებელმა ანელთა მიწვევით ქ. ანისი გაათავისუფლა თურქთაგან და ანისი და მისი მიმდგომი ქვეყანა სამეფოდ დაიპირა, ე. ი. საქართველოს სახელმწიფოს შემოუერთდა. მაგრამ აქ ქართველების მფლობელობის სტატუტი რამდენჯერმე შეიცვალა და ანისი და ანისის მხარე საბოლოოდ თამარის დროს შევიდა საქართველოს შემადგენლობაში. ასევე ცვალებადი ბედი ჰქონდა ჩრდილო სომხეთის მეორე დიდ ოლქს — აირარატსაც, რომლის მთავარი ქალაქიც დვინი იყო. დვინი გიორგი III-მ 1162 წელს აიღო, მაგრამ ეს მხარე კვლავ თურქების ხელში დარჩა. თურქებისავე ხელში იყო ეს მხარე შამქორის ომის შემდეგაც[3]. საბოლოოდ ქართველებმა დვინი 1203 თუ 1204 წელს შემოიერთეს[4].

XII საუკუნე და XIII საუკუნის დასაწყისი ესაა ხანა სამეფოდ დაჭერილი მიწების გაფართოებისა.

თამარ მეფის ისტორიკოსს ბასილ ეზოსმოძღვარს საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში შემავალი მიწები XIII საუკუნის დამდეგისათვის ასეთნაირად აქვს დახასიათებული: „მათ ყოველთაგან, რომელნი აიხუნა, ზორაკერტით რახსამდის, გაგით განძამდის და ჯავახეთით სპერამდის“[5]. ამ განმარტებაში მოცემულია, ერთი მხრივ, საქართველოს გარე საზღვრები და, მეორე მხრივ, თამარის დროს შემოერთებული ქართული თუ არაქართული მიწების უკიდურესი მიჯნა. ზორაკერტი, გაგი და ჯავახეთი XII საუკუნის საქართველოს საზღვრისპირა ზოლია, ხოლო რახსი, განძა და სპერი ის მიჯნაა, რასაც მიაღწია საქართველომ თავისი ძლიერების კულმინაციურ პერიოდში. ამ ორ სასაზღვრო ზოლს შორის მდებარეობდა

---

[1] ქ. ცხ., II, გვ. 207 — 208.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 251.

[3] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან. საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 314.

[4] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 272 — 273.

[5] ქ. ცხ., II, გვ. 144.

ის ტერიტორია, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს უშუალოდ შემოერთებული, „სამეფოდ დაჭერილი“ ჰქონდა. ამ ტერიტორიის უკიდურესი მიჯნის — რახსის, განძისა და სპერის სამხრეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით გადაჭიმული იყო საქართველოსადმი დამოკიდებულების თუ გავლენის სხვადასხვა საფეხურზე მდგომი ქვეყნების ტერიტორია.

თამარის მეფობამდელი საქართველოს ბასილ ეზოსმოძღვრისეულ განმარტებაში არ არის ნახსენები აღმოსავლეთი, დასავლეთი და ჩრდილო საზღვრები. მაგრამ ამ ძველ ისტორიკოსს აინტერესებდა მხოლოდ იმ მხარეთა აღნიშვნა, საითაც ხდებოდა ქვეყნის გაფართოება, ასეთი კი იყო სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთი კიდეები. ამ მხარეში საქართველოს შიდა საზღვარი ბასილ ეზოსმოძღვარს დადებული აქვს გაგსა, ზორაკერტსა და ჯავახეთზე. ზორაკერტი, იგივე ქურდვაჭრის ხევი, ერქვა მდ. დებედას ერთ-ერთ შენაკადს. ეს მდინარე ირჯანის მთაში (აწინდელი ყარაღაჯის მთაში) იღებს სათავეს და ბეზობდალის ქედის (დღევანდელი ნომენკლატურით ბაზუმის მთების) ჩრდილოეთით მიედინება დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, უერთდება მდ. დებედას, რომელიც, მას შემდეგ, რაც ზორაკერტს მიიერთებს, ჩრდილოეთისაკენ მიედინება და მტკვარს ერთვის. მდ. დებედას ქვემო წელზე მდებარეობს გაგის ციხე[1]. როგორც ისტორიკოსი გვაუწყებს, მდინარეთა ეს სისტემა დებედა-ქურდვაჭრის ხევით, სამხრეთ-აღმოსავლეთი და სამხრეთი საზღვარი ყოფილა საკუთრივ საქართველოსი, ე. ი. ქვეყნის მიჯნა თანამედროვე ბამბაკის ქედზე გადიოდა. ძველი ისტორიული ტრადიციითაც ბამბაკის ქედზე გადიოდა საზღვარი საქართველოსა და სომხეთს შორის. ლეონტი მროველის თქმით, მირიანის მეფობაში ბიზანტიის კეისარ კონსტანტინე I-ის მხარდაჭერით საქართველოსა და სომხეთს შორის საზღვარი სწორედ ამ ქედზე დაიდო: „და განუჩინა საზღუარი მირიანსა და თრდატს ესრეთ. რომელთა ქვეყანათა მდინარენი დიან სამხრეთით და მიერთვიან რაჯსსა, ესე ქვეყანანი თრდატის კერძად დაყარნა, და რომელი ქვეყანისა მდინარენი ჩრდილოით დიან და მიერთვიან მტკვარსა, ესე მირიანის კერძად დაყარნა“[2] (თუმცა ამ განმარტებაში ქედი დასახელებული არ არის, მაგრამ მდინარეთა დინების მიმართულების ჩვენება თავისთავად მეტყველებს, რომ ამ ორ მიმართულებას შორის ქედი უნდა იდოს და საზღვარიც ქედზე გავიდოდა).

ბამბაკის ქედს ვახუშტი ერევნის მთას უწოდებს და შემდეგნაირად აქვს აღწერილი: „სომხეთისა, ერევნისა და ამისი (— ბამბაკის ჯევი) გამყოფელი არს მთა დიდი, მაღალი და მარადის თოვლიანი, და კალთათა

---

[1] დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, აღჯაყალა — გაგის ციხე. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I, 1960, გვ. 130.

[2] ქ. ცხ., I, გვ. 70.

ტყიანი, ნადირიანი, რომელი წარივლის დასავლით არტანამდე, ხოლო აღმოსავლით რანსა და გელაქუნს შუა განვლის და ვიდრე რახსამდე მივალს"[1]. ამავე მთას სახელწოდების გარეშე ასახელებს ლეონტი მროველი როგორც ჰაოსისა და ქართლოსის წილხვდომილ ქვეყნებს შორის ერთ-ერთ მიჯნას: „განუყო თარგამოს ქუეყანა... რვათა ამათ გმირთა... მისცა ქართლოსსა და უჩინა საზღვარი: ...სამხრით მთა, რომელი მიჰყვების ბერდუჯის მდინარის თავსა და მთა, რომელი მიჰყვების დასავლით კერძო, რომლისა წყალი გარდმოდის ჩრდილო კერძო და მიერთვის მტკუარსა..."[2].

სომხური წყაროები ამ ქედს სპიტაკის ქედს უწოდებენ.

ბამბაკის ქედიდან კავკასიონამდე განლაგებულია ძველთაგანვე ქართველი ტომებით დასახლებული ტერიტორია. ეს ტერიტორია ლიხისა და ფერსათის (მესხეთის) მთებით ორ ნაწილად იყოფა — აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდ.

ლიხის მთის აღმოსავლეთით და ფერსათის მთის სამხრეთით მდებარე ტერიტორია ძირითადად ორი მდინარის — მტკვრისა და ჭოროხის აუზებს წარმოადგენს. ამ აუზებში შემავალი ყოველი ცალკეული ხეობა ძველად ტომის ან გვარის ადგილსაცხოვრისს წარმოადგენდა, ბუნებრივი პირობები ყოფდა ცალკეულ ტომებს ერთმანეთისაგან. ძველი ტომობრივი საზღვრები მეტ-ნაკლებად ემთხვევიან ფეოდალური ხანის ადმინისტრაციულ დანაწევრებას.

ჭოროხის ხეობაში ხუთი ძირითადი პროვინციაა: თორთომი, ოლთისი, ტაო, კლარჯეთი, შავშეთი. ამავე ხეობას ეკუთვნის ჭოროხის შენაკად აჭარისწყალზე მდებარე აჭარა. მტკვრის ხეობაში კი კოლა, არტაანი, ჯავახეთი, სამცხე, ქართლი, კახეთი, ჰერეთი (ქართლი თავის მხრივ შეიცავს ცალკეულ მხარეებს — შიდა ქართლს, ტაშირს, აბოცს, თრიალეთს...), მტკვრის ხეობასვე ეკუთვნის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი: ხევი, ფხოვი (ხევსურეთი), ფშავი, თუშეთი, თიანეთი...

ლიხის მთის დასავლეთით მდებარე ნაწილი საქართველოსი „ლიხთიმერის" ზოგადი სახელით აღნიშნული, ასევე შედგებოდა ცალკეული ქვეყნებისაგან — ძველად ცალკეული ტომებით დასახლებული მიწა-წყლისაგან. ეს ქვეყნებია: ეგრისი, სუანეთი, რაჭა, თაკუერი, გურია, აფშილეთი, აფხაზეთი, არგუეთი, სამოქალაქო („იმერეთი" დღევანდელი კუთხის — იმერეთის გაგებით თავდაპირველად არ არსებობდა. ეს სახელწოდება უფრო გვიან, XII საუკუნიდან მკვიდრდება თითქოს).

მთელი ამ მიწა-წყლის აღმნიშვნელ ზოგად სახელად XII ს-ში იხმარება

---

[1] ვახუშტი, აღწერა... გვ. 309. ეს ქედი არაერთგზისაა გამოხატული ვახუშტის ატლასებში და ყველგან მას „ერევნის მთა" აწერია სახელად.

[2] ქ. ცხ., I, გვ. 4.

„ყოველი სამეფო“[1]. „ყოველი სამეფო“ კრებითი სახელი იყო გაერთიანებული საქართველოსი, რომელიც წყაროების ენით „შვიდი სამეფოსაგან“[2] შედგებოდა.

გიორგი III-მ „იპყრნა შარავანდედნი მეფობისანი შვიდ სამეფოდ განწესებულისანი“, „შეყრილთა შჳდთაევ ამას სამეფოჲსათა“, „დიდებულთა შჳდთა სამეფოთასა“...[3]. ეს გამოთქმები მოწმობენ, რომ „საქართველოს სახელმწიფო ცხოვრებაში ცალკე სამეფოები თითქოს კელავინდებურად ცოცხლობდნენ“[4] და რომ „გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფო წყობილება ადგილობრივი და სათემო თავისებურებების დაცვის პრინციპზე იყო დამყარებული“[5]. ძველი ისტორიკოსებისაგან ნახმარი „შვიდი სამეფოს“ ერთგვარი პარალელი გაერთიანებული საქართველოს მეფის წოდებაში ჩანს; თამარ მეფე 1189 წლის სიგელში ასეთი წოდებით მოიხსენიება: „სახელითა ღთისაითა მე თამარ ბაგრატუნიანმან ნებითა ღვთისათა აბხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფემან და დედოფალმან, შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თჳთმპყრობელმან“[6]. მეფის ეს ტიტულატურა გვიჩვენებს არა მარტო იმ კონკრეტულ ტერიტორიებს, რომელთა მპყრობელია საქართველოს მეფე, არამედ საქართველოს ერთ სამეფოდ გაერთიანების თანამიმდევრობასაც. მასში გაერთიანებულია საქართველოს თანდათანობითი გაერთიანებისა და არაქართული ქვეყნების საქართველოში შემოსვლის თანამიმდევრობის ისტორია[7].

სამეფოდ დაჭერილ არაქართულ ტერიტორიათაგან უკიდურესი თემი სამხრეთით არის ბაგრევანდი და ხაჩენი, ხოლო სივნიეთი სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ბაგრევანდის თემი მდ. ევფრატის მარჯვენა შენაკადის ბაგრევანდის ხეობას მოიცავს და მისი ცენტრია ვალაშკერტი (სომხური ვაღარშაკერტი, თანამედროვე ალაშკერტი). ვალაშკერტი ამავე დროს საეპისკოპოსო კათედრაც იყო. XI საუკუნის დასაწყისიდან იხსენიება ქართველი ეპისკოპოსი ზაქარია ვალაშკერტელი[8]. ვალაშკერტის საეპისკოპოსო მოხსენიე-

---

[1] დავითის ისტორიკოსი, ქ. ცხ., I, გვ. 361.

[2] კ. კეკელიძის განმარტებით, „შვიდი სამეფო“ გულისხმობდა 7 მთავარ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულს, რომლებადაც იყოფოდა მაშინდელი საქართველო, История и восхваление венценосцев... примечания, III, гл. I, с. 94.

[3] ისტორიანი და აზმანი... კ. კეკელიძის გამოც., გვ. 69, 73, 74, 78, 88.

[4] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, ტფ., 1929, გვ. 115.

[5] იქვე.

[6] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, ტფ., 1926, გვ. 88.

[7] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, გვ. 112.

[8] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 154—155.

ბულია XV ს. შედგენილ სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა სიაში, სადაც განსაზღვრულია ამ ეპისკოპოსის სამწყსოც: „ვალაშკერტელის სამწყსო ყაზევანს ზეითი, ვალაშკერტის აქათ ხინუსი და დევაბონის აქეთი“[1]. დევაბონი, ანუ დევაბოინის მთა არის ის ქედი (თანამედროვე ნომენკლატურით ჩახირბაბის ქედი), რომელიც სამხრეთ-დასავლეთიდან ეკვრის ბასიანის და ვალაშკერტის პროვინციებს და რომელზედაც გადადის გურჯიბოლაზის გასასვლელი. ბაგრევანდის თემშია ადგილი ბაგავანი, სადაც გარდაიცვალა ლაშა გიორგი[2].

სამეფოდ დაჭერილი ტერიტორიის სამხრეთი მიჯნა XIII ს. დასაწყისში მდ. რაჯსს (არეზს) აღწევდა. ამ მდინარეზეა აირარატი (ცენტრი ქ. დვინში), სივნიეთი და ხაჩენი. ეს სამი პროვინცია ბაგრევანდთან ერთად წარმოადგენდა საქართველოს სამეფოდ დაჭერილი ქვეყნების სამხრეთ ზღვარს. ამ თემთა სამხრეთით წყაროები ასახელებენ ადარბადაგანს და ნახიჩევანს — საქართველოს სახელმწიფოს სამხრეთ მეზობლებს. რაჯსის (არაქსის) გადალახვა ნახიჩევანსა და ჯულფასთან (ჯულფასთან) საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ გასვლას ნიშნავდა. თამარის ლაშქარი „წარემართეს სპარსეთად. ჩავლეს პირი ნახჭევნისა და გავიდეს ჯულას და რაჯსსა“[3]. სპარსეთის ლაშქრობიდან დაბრუნებულმა ჯარმა „დაუტევნეს მშვიდობით მყოფნი ადარბადაგანისანი და ქალაქნი ადარბადაგანისანი. გამოვლეს რაჯსა და შემოვლეს პირი ნახჭევნისა და მოვიდეს ტფილისს მეფეს წინაშე“[4]. ორივე ამ ცნობით „რაჯსის გამოვლა“ და ნახიჩევანის პირის „ჩავლა-შემოვლა“ საქართველოს საზღვრების გადალახვას ნიშნავს: ადარბადაგანის და ნახიჩევანის საქართველოსთან მეზობლობას ადასტურებს ჟამთააღმწერლის ერთი ცნობაც. სულთანი ჯალალ ად-დინი „მიიქცა ადარბადაგანს და ნახჭევანს და მიერ აღაოჯრებდეს საქართველოსა“[5].

სომეხ ისტორიკოს სტეფანოს ორბელიანს დეტალურად აქვს ჩამოთვლილი, თუ სახელდობრ რა ადგილებს შეიცავდა ამ გარე ზღვრით შემოფარგლული ტერიტორია. „აიღეს ქვეყნები არანიდან ვიდრე შუა ბასიანამდე. ბარკუშათიდან[6] მენკერტამდე (მანასკერტამდე), აიღეს კარი, ვაღარშაკერტი, კაღზვანი, სურბმარი, ანისი, ანბერდი, ბიჯნისი და გარნისი, დედაქალაქი დვინი, გარდმანი, განძა, ჩარექი, ჰერკი, შამქორი, შაქი,

---

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 53 — 54.
[2] ქ. ცხ., I, გვ. 371.
[3] ქ. ცხ., II, გვ. 104.
[4] იქვე, გვ. 109.
[5] იქვე, გვ. 171.
[6] ბარკუშათი — მდინარე მტკვრის მარჯვენა შენაკადია, ერთვის მტკვარს ბარდავის აღმოსავლეთით. ეს მდინარე დატანილია ვახუშტის რუკებზე ბარგუშას სახელწოდებით.

ბარდავი, ჩორაბერდი, ხოლო 660 (1211) წელს დაიმორჩილეს სივნიეთის ოლქი, ოროტანი, ბოროტანი, ბღენი და ბარკუშატი. თუმცა ეს დაპყრობანი სხვადასხვა დროს მოხდა"[1].

მონღოლებმა საქართველო (სამეფოდ დაჭერილი ტერიტორიითურთ) შვიდ საგადასახადო დუმენად დაყვეს. ყამთააღმწერელს შემონახული აქვს თითოეული ამ დუმენის აღწერილობა, რომლითაც ერთხელ კიდევ ვადასტურებთ თამარის დროინდელი საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებს (მონღოლებისათვის საქართველო თამარის დროინდელი საზღვრებით, ანუ საკუთრივ საქართველო და მასში შემავალი არაქართული მიწები, ერთი პოლიტიკური ორგანიზმი იყო)[2].

ყამთააღმწერელი ასეთნაირად ასურათებს მონღოლთაგან დაწესებულ დუმენებს: „განაჩინეს თათართა ბევრისა მთავარი, რომელსა დუმნის თავად უწოდეს, და გამოარჩივნეს მთავარნი, პირველად ეგარსლან ბაკურციხელი... და ამას ჴელთ უდვეს სპა ჰერეთისა და კახეთისა და კამბეჩიანისა, ტფილისითგან და აღმართ ვითარ მთამდე შამახიისა; და შანშეს ჴელთ უდვეს მამული მისი და ავაგისი; ვარამ გაგელსა ჴელთ უდვეს ყოველი სომხითი; გრიგოლ სურამელსა ქართლი, და გამრეკელსა თორელსა... ჴელთ უდვა ჯავახეთი, სამცხე და აღმართ ვიდრე კარნუ ქალაქამდე; ხოლო ცოტნე დადიანსა და რაჭის ერისთავსა ყოველი იმერი სამეფო"[3]. ამ აღწერით სამხრეთი საზღვრისპირა დუმენი სამია: შანშესი, ვარამ გაგელისა და გამრეკელ-თორელისა.

მეორე დუმენში შედიოდა შანშეს და ავაგის მამულები. შანშე მანდატურთუხუცესი ზაქარია მხარგრძელის შვილია, ავაგი კი — ივანე ათაბაგისა, ივანე ათაბაგის საგამგეო დვინი (აირარატის ოლქი) და გელაქუნი იყო, რაც მისმა ვაჟმა ავაგმა დაიმკვიდრა მამის გარდაცვალების შემდეგ. შანშე კი განაგებდა ანისის მხარეს. ახლა ორივე ეს მხარე — შანშეს საგამგეო (ანისი) და ავაგის საგამგეო (დვინი და გელაქუნი) — ერთ დუმენად აქციეს. ვარამ გაგელისათვის ჩაბარებული დუმენი — „ყოველი სომხითი" — გულისხმობს ტერიტორიას ქურდვაჭრის ხევიდან შამქორის მიმდგომ ქვეყნამდე[4]. გამრეკელ-თორელის დუმენში კი შედის ტერიტორია

---

[1] სტეფანოს ორბელიანი, სივნიეთის ისტორია, 1910, გვ. 391—392 (სომხურ ენაზე).

[2] ჰამდალაჰ ყაზვინის მიხედვით, კავკასია შემდეგი ერთეულებისაგან შედგებოდა: საქართველო, შარვანი, არანი, დიდი სომხეთი (მთავარი ქალაქი ხლათი). ყაზვინის ეს ცნობა ამოღებულია ბარტოლდის სტატიიდან — Персидская надпись на стене Анийской мечети Мануче, СПб., 1911, с. 23.

[3] ქ. ცხ., II, გვ. 207—208.

[4] შანშეს და ვარამ გაგელის დუმენთა საზღვრების შესახებ იხ. მამისა ბერძნიშვილი, საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები XIII საუკუნის დამდეგს, კრებ. „საქართველო რუსთაველის ხანაში", თბ., 1966, გვ. 56 — 58.

კარნუ ქალაქამდე (ერზერუმამდე). ამ სამი დუმენის მიჯნათა განსაზღვრა თვალნათლივ გვიხატავს, რომ საქართველოს სახელმწიფო სამხრეთი საზღვარი მონღოლთა ხანაში იგივე იყო, რაც თამარის მეფობაში.

თამარის დროინდელსავე საზღვრებში დაიმკვიდრეს სარგის და ბექა ჯაყელებმა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი. სამცხე-საათაბაგო თამარის დროინდელი საზღვრების[1] მემკვიდრეა. ბექა ჯაყელის საგამგეო ტაშისკარიდან ბასიანამდე ვრცელდებოდა. XIV ს. დასაწყისისათვის ჟამთააღმწერლის მიხედვით ბექა ჯაყელის საგამგეო შემდეგ ტერიტორიებს მოიცავდა: „ესე ბექა განდიდებულ იყო და აქუნდა ტაშისკარითგან ვიდრე სპერამდე და ვიდრე ზღუამდე: სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალისხევი, ხოლო ჭანეთი სრულიად მოსცა ბერძენთა მეფემან, ამასვე აქუნდა ტაო, არტანი, კოლა, კარნიფორა და კარი"[2]. XIII ს. დასაწყისთან შედარებით აქ შემატებული აქვს ჭანეთი, რომელიც ბექას მომდევნო ხანებში ისევ თურქებმა დაიკავეს. სხვა მხრივ კი სამხრეთ-დასავლეთი საზღვრები საქართველოსი არ შეცვლილა მთელი XIV საუკუნე.

XV ს. შედგენილი ზემონახსენები სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა სია გვირკვევს სახელდობრ რა ტერიტორიას მოიცავდა ეს ქვეყანა. სიაში ჩამოთვლილია შემდეგი ეპისკოპოსები: მაწყვერელი, კუმურდოელი, იშხნელი, ანჩელი, მტბევარი, წურწყაბელი, წყაროსთუელი, ერუშნელი, ვალაშკერტელი, ანელი, კარელი, ბანელი და დადაშნელი[3]. სიაში მოცემულია აგრეთვე ამ ეპისკოპოსთა სამწყსოს საზღვრებიც. განაპირა საეპისკოპოსოები ამ სიით ვალაშკერტი, ანისი და კარია. მაგრამ ამ საეპისკოპოსოების აღნუსხვა იმდენად სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური ძალაუფლების გავრცელების მაჩვენებელი არ უნდა იყოს, რამდენადაც იქ მართლმადიდებელი მოსახლეობის არსებობისა და ამ მოსახლეობის სულიერი მწყემსის მცხეთის საკათალიკოსოსადმი დაქვემდებარებისა. სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა სია XIV ს. არსებული რეალური მდგომარეობის გამომხატველია. XV ს. ბოლოდან სამცხე-საათაბაგოს თურქ-ოსმალები უტევენ. მიუხედავად ამისა, სამცხე-საათაბაგო განაგრძობს შეტევითს პოლიტიკას.

მონღოლთა მფლობელობის ერთ-ერთი შედეგი იყო საქართველოს ორ სამეფოდ გაყოფა XIII ს. შუა წლებში. ლიხის ქედი იყო საზღვარი ამ ორ სამეფოს შორის. სამხრეთი და აღმოსავლეთი გარეთა საზღვარი კი არც ამ დროს შეცვლილა. გიორგი V ბრწყინვალემ ეს ორი სამეფო კვლავ გააერთიანა. საქართველო გაერთიანებულია ბაგრატ V-ის დროსაც. ეს

---

[1] ქ. ცხ., II, გვ. 312.

[2] იქვე, გვ. 304, კარი ყაზან-ყაენმა გადასცა ბექა ჯაყელს, იქვე, გვ. 315.

[3] თ. ქორდანია, ქრონიკები, II, გვ. 53 — 54.

ფაქტი საქართველოს მეფის ტიტულატურაშიც აისახა „ორთავე ტახტისა მპყრობელი“[1], „განმაერთებელი ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისა“[2] ემატება მეფის ტრადიციულ ზეწოდებულებას.

თემურლენგის შემოსევებმა ქვეყნის გარესაზღვრების შეცვლაც გამოიწვია. თურქმანები იჭერენ სამხრეთ მხარეებს. საქართველოს აღარ ეკუთვნის ხაჩენი, სივნიეთი, ლორე.

ალექსანდრე I დიდის დროს კვლავ შემოერთებულ იქნა ლორე (1431 წ.) და სივნიეთი[3]. მაგრამ ეს მდგომარეობა არ იყო ხანგრძლივი. 1477 წელს უზუნ-ჰასანის ხელთაა ლორე და ლორეს ველი.

XV ს. მეორე ნახევარში საქართველო რამდენიმე სამეფოდ და სამთავროდ დაიშალა: ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოები (იმერეთისაგან ნომინალურ დამოკიდებულებაში მყოფი გურიისა და ოდიშის სამთავროებით), აგრეთვე სამცხე-საათაბაგო.

ქართლის სამეფოს აღმოსავლეთი საზღვარი მდ. აჯისუ (მტკვრის მარცხენა შენაკადი), ლილოს ქედი და არაგვი იყო, ზღვარი დასავლეთით ხეფინისხევსა და დვირზე, სამხრეთ-დასავლეთით ყარსის მთებსა და სამხრეთით ბამბაკის ქედზე გადიოდა.

ამ საზღვრების აღმოსავლეთით იდო კახეთის სამეფო, რომელიც ამ დროისათვის შაქამდე ვრცელდებოდა. კახეთის სამეფოშია თუშეთი, თიანეთი. კახეთსავე ეკუთვნის ამ დროს კავკასიის ქედზე მდებარე სამურის მხარეც[4].

ქართლის სამეფოს დასავლეთით იმერეთის სამეფო და სამცხე-საათაბაგო მდებარეობდა. სამცხე-საათაბაგოსა და იმერეთის სამეფოს ფერსათის მთები ყოფდნენ.

იმერეთის სამეფოს ნომინალურად ექვემდებარებოდა ოდიშისა და გურიის სამთავროები.

ოდიშის სამთავროშია ამ დროისათვის აფხაზეთი ჯიქეთამდე. ოდიშის სამთავრო სამხრეთით რიონის მარჯვენა ნაპირამდე აღწევდა. რიონის მარცხენა მხარეს კი იდო გურიის სამთავრო, რომელსაც საკუთრივ გურიის გარდა ეჭირა საჯავახო, ერგე, აჭარა და ჭანეთი[5].

---

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 220.

[2] იქვე, გვ. 228.

[3] თომა მეწოფელი, ისტორია, გვ. 117; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, 1948, გვ. 35.

[4] 1588 წელს კახეთის მეფე ალექსანდრესთან გამოგზავნილი მოსკოვის ელჩები თავიანთ მოხსენებაში წერენ: «От Кафиркумыка до Сафурского 4 днища — а Сафурской подданой Александра царя: а от Сафурского до Иверские земли ходу в два дня», Белокуров, Сношения России с Кавказом, с. 59.

[5] ახალი ქართლის ცხოვრება, ქ. ცხ., II, გვ. 349.

ნაწილი I

საქართველოს ფეოდალური საზოგადოება და სახელმწიფო ალმავლობის გზაზე

(X ს. 80-იანი წლები — XIII ს. დასაწყისი)

თავი პირველი

სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და კლასობრივი ბრძოლა

§ 1. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის საკითხი

XI — XII საუკუნეები საქართველოს ისტორიაში მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო პერიოდია. ეს პერიოდი იყო ფეოდალური საქართველოს მკვეთრი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური აღმავლობის ხანა.

აღნიშნული პერიოდის საქართველოს ეკონომიკური განვითარების მაღალი დონე, უპირველეს ყოვლისა, განპირობებული იყო ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებით, ფეოდალურ უღელში შებმული მწარმოებელი მოსახლეობის მძიმე შრომით; დაწინაურებული იყო სოფლის მეურნეობა, რასაც უტყუარად ადასტურებს ის დიდი და მცირე სარწყავი არხები, რომლებიც მრავლად იყო იმდროინდელ საქართველოში. სარწყავი ფართობების არსებობა კარგ პირობებს ქმნიდა პურეული კულტურების თუ მევენახეობისა და მეხილეობა-მებაღეობის განვითარებისათვის. საგულისხმოა, რომ იმ დროისათვის მოსავლიანობის გაზრდა მხოლოდ სათესი ფართობების გადიდებით კი არ ხდებოდა, არამედ მეურნეობის ინტენსიფიკაციითაც, რაც სამეურნეო პროგრესის მაჩვენებელია.

მაღალგანვითარებულ სოფლის მეურნეობასთან ერთად XI — XII საუკუნეებში დაწინაურებული იყო ხელოსნური წარმოებაც. ორივე ამ დარგის განვითარება ვაჭრობის შემდგომი გაცხოველების საფუძველს წარმოადგენდა. განვითარებული იყო როგორც საშინაო, ისე საგარეო ვაჭრობა. ხელოსნური წარმოებისა და ვაჭრობის დაწინაურებამ საქალაქო ცხოვრების აღმავლობა გამოიწვია. XI — XII სს. საქართველოს ქალაქებმა დიდი სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობა შეიძინეს.

სოციალური თვალსაზრისით XI — XII საუკუნეები „წვრილი ერის“ შემდგომი ეკონომიკური (შესაბამისად სოციალური) დამორჩილებით აღინიშნა. ჯერ კიდევ შემორჩენილი თავისუფალი მიწის მუშაკთა ფენა ფეო-

დალური (ბატონყმური) ეკონომიკის გამარჯვებასთან ერთად თავის აღსასრულს უახლოვდებოდა. გაქრა არსებითი განსხვავება „გლეხსა“ და „ყმას“ შორის. ამიერიდან გ ლ ე ხ ი ფეოდალის მიწაზე იყო მიმაგრებული და მის სასარგებლოდ ბეგარასა და სხვა სამსახურ-ვალდებულებას იხდიდა[1]. გლეხობის ფართო და მრავალფეროვანი სოციალური ფენა რიცხობრივად იზრდებოდა[2].

XI — XII სს. საქართველოს სახელმწიფოს ძლიერების ხასიათის შესახებ ისტორიკოსთა ერთი ნაწილი იმ აზრს ემხრობოდა, რომ ეს ძლიერება არ ემყარებოდა ქვეყნის შინაგან საწარმოო ძალთა განვითარებას, გაერთიანებული ფეოდალური მონარქიის ეკონომიკური ძლიერების ძირითად წყაროს სამხედრო ნადავლი და ხარკი შეადგენდა და ქვეყნის გაერთიანება ეფემერული ხასიათისა იყო[3]. აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, გაერთიანებული საქართველოს სიძლიერე შესაფერის სოციალურ-ეკონომიკურ ბაზისს ემყარებოდა[4]. იგივე თვალსაზრისი აქვს გატარებული აკად. ს. ჯანაშიას „საქართველოს ისტორიის“ (1943 წ.) მის მიერ დაწერილ ნაწილში[5].

აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, XIII საუკუნისათვის ფეოდალური

---

[1] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია XIII — XIV სს., საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 49. საქართველოში ბატონყმობის გამარჯვების საკითხების შესახებ, იხ. მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XII ს. საქართველოში, კრებ. „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966, გვ. 32 — 51.

[2] აკად. გ. მელიქიშვილის აზრით, XI — XII სს. მიწისმოქმედი მოსახლეობის მიწაზე მიმაგრება სავარაუდებელია როგორც ტენდენცია, რომელსაც საყოველთაოდ გაბატონებული მდგომარეობა არ უნდა ჰქონოდა. მეცნიერი მიუთითებს ფეოდალიზაციის პროცესის გაღრმავებაზე XII საუკუნის საქართველოში, ბატონყმური ურთიერთობის გამარჯვებას კი XIII—XIV საუკუნეებს უკავშირებს (გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973, გვ. 77 — 78). იხ. აგრეთვე, А. П. Новосельцев, В. Т. Пашуто, Л. В. Черепнин, Пути развития феодализма, М., 1972, с. 99.

[3] გ. ნ ა თ ა ძ ე, საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა, თბ., 1925, ნაწ. II, გვ. 66 — 67; ქ. რ ა ჭ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ფეოდალიზმის ისტორია, 1927, გვ. 14. ამგვარივე თვალსაზრისი ჰქონდა ივ. ჯავახიშვილსაც (საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1907, გვ. 81 — 82).

[4] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, თბ., 1971, გვ. 161; მ ი ს ი ვ ე, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 23 — 42.

[5] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველოს ისტორია, თბ., 1943, გვ. 150 — 154, 193 — 197, 215 —217 და სხვ.

საქართველოს ზრდა-განვითარება ძირითადად დასრულებული იყო, ფეოდალურმა ურთიერთობამ თავისი აღმავლობის უკიდურეს ზღვარს მიაღწია და „...შემდგომი განვითარება ამ ურთიერთობის დაშლის ტენდენციების ზრდის ნიშნის ქვეშ, ახალი (ბურჟუაზიული) ურთიერთობის ჩასახვის ნიშნის ქვეშ შეიძლებოდა მხოლოდ"[1]. აღნიშნულმა დებულებამ შემდგომი განვითარება პოვა შ. მესხიას[2], ვ. გაბაშვილისა[3] და სხვ. გამოკვლევებში და ის დღეისათვის გაბატონებული თვალსაზრისია ქართულ ისტორიოგრაფიაში.

როგორც ჩანს, XI — XII სს. საქართველოს ფეოდალური მონარქია არ ყოფილა ეფემერული გაერთიანება (ადრეფეოდალური ხანის ფრანკთა მონარქიის მსგავსად). ფეოდალიზაციის პროცესი საქართველოში ბატონყმური ურთიერთობის დამყარების პროცესი იყო. ფეოდალიზაციის დასასრული ბატონყმობის გამარჯვებას მოასწავებდა. ფეოდალური სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის მომწიფება XII — XIII სს. დამთავრდა. ამის შემდეგ არსებული ეკონომიკური აღმავლობის პირობებში სოციალურად ზრდადასრულებული საზოგადოების კანონზომიერი კრიზისი უნდა დაწყებულიყო — გვიანფეოდალური პერიოდი უნდა დამდგარიყო. მაგრამ თითქმის მუდმივად მოქმედმა საგარეო ფაქტორმა ეკონომიკური რეგრესი გამოიწვია და მივიღეთ განვითარების საწინააღმდეგო პროცესი: განვითარებული ფეოდალიზმის ხელოვნური გახანგრძლივება და პოლიტიკური დაშლილობა[4].

ნიშანდობლივია, რომ ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას თან დაემთხვა შინაკლასობრივი ბრძოლების განსაკუთრებული გამწვავება. ეს ბრძოლები მიმდინარეობდა სამეფო ხელისუფლებასა და სეპარატიზმის მოსურნე ადგილობრივ დინასტიებსა და მსხვილ ფეოდალებს შორის, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის. ინტენსიური შინაკლასობრივი ბრძოლის სიმწვავე მძიმე ტვირთად აწვა მოსახლეობის დაბალ ფენას და კლასობრივი ბრძოლისაკენ უბიძგებდა. XI — XII საუკუნეების საქართველოს სოციალურ სახეს ფეოდალური ურთიერთობით განპირობებული მძაფრი კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლა განსაზღვრავდა.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, გვ. 160.

[2] შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962.

[3] ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI — XVII სს., თბ., 1958.

[4] ვ. გუჩუა, საქართველოს XVI — XVIII სს. ეკონომიური ისტორიის შესწავლა ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში, კრებ. ქართული ისტორიოგრაფია, I, თბ., 1968, გვ. 163 — 165.

§ 2. ქართული სოფელი

სოფელი დასახლების ძირითადი ობიექტი იყო ფეოდალურ საქართველოში. სამწუხაროდ, ჩვენამდე მოღწეული საისტორიო წყაროები არ იძლევიან მასალას იმის გასარკვევად, თუ რა სოფლები იყო იმ დროის საქართველოში, რამდენი იყო ეს სოფელი და რანაირი სიმჭიდროვისა იყო სოფლის მოსახლეობა. ამ კითხვებზე პასუხის გაცემა მხოლოდ მიახლოებით შეიძლება არაპირდაპირი ცნობების გამოყენებით. ამასთან, არც ეს ცნობები გვაქვს საქართველოს ყველა კუთხისათვის და მათი ამეტყველებით მხოლოდ მიახლოებითი სურათის წარმოდგენა შეიძლება.

მელქისედეკ კათალიკოსის დაწერილში (XI ს. I მესამედი) ჩამოთვლილია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხეთისათვის შეძენილი 135 სოფელი[1]. ნიკორწმიდელის დაწერილში (XI ს.) რაჭის ტერიტორიაზე დასახელებულია 23 სოფელი[2]. ჩვენამდე არასრული სახით მოღწეული გამოსაღებების ერთ-ერთი ნუსხა (XII — XIII სს.) ერწო-თიანეთში ჩამოთვლის 44 სოფელს[3]. გერგეტელ საყდრიშვილთა საბუთში (XV ს.) მოცემულია ხევის 23 სოფელი[4]. ამდაგვარი ცნობებით მხოლოდ იმის თქმა ხერხდება, რომ საქართველოს ყოველი კუთხე სოფლების ფართო ქსელით ყოფილა მოცული. გვიანდელი მასალა ამას უფრო მეტად ცხადყოფს (მაგალითად, XVI ს. გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი, XVIII ს. ხალხის აღწერის დავთრები).

ზემომოტანილ საბუთებში დასახელებულ სოფელთა ერთი ნაწილი დღეს აღარ არსებობს, ძველი სოფლების სახელწოდებები შემორჩენილია ცალკეული ადგილების დასახელებაში. მაგალითად, ნიკორწმიდის დაწერილში ჩამოთვლილი რაჭის 23 სოფლიდან დღეს არსებობს მხოლოდ 10 (ცხადია, რომ აქ დასახელებულია მხოლოდ ის სოფლები,რომლებშიაც ნიკორწმიდელი საქმიანობს დაარა ყველა ის სოფელი, რომელიც ამ დროის რაჭაში არსებობდა). დანარჩენი 13 სოფელი კი გამქრალია, მათი სახელწოდებები კი დარჩენილია რაჭის ტოპონიმიკაში. დღეს ამ სოფლების სახელები შემორჩენილია ხევის, მინდორის, ტყის, წყაროს, უბნის სახელ-

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, III, გამოსცა ი. დ ო ლ ი ძ ე მ, თბ., 1970, გვ. 18 — 26.

[2] მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 34, 1962, გვ. 29—31.

[3] ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 233—236. ამ საბუთს მკვლევარები სხვადასხვანაირად ათარიღებენ. იე. ჯავახიშვილი მას XII—XIII სს. მიჯნით ათარიღებდა. ჩვენც ამ დათარიღებას ვაძლევთ უპირატესობას.

[4] ქ. შ ა რ ა შ ი ძ ე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV — XVIII სს.), მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 271.

წოდებებში[1]. ასეთივე სურათია ერწო-თიანეთში. საბუთში დასახელებული 44 პუნქტიდან დღეისათვის არსებობს დაახლოებით 15. XV ს-ის სამთავნელის სარგოში (ესაა საბუთი, რომელშიაც დასახელებულია ქსნისა და ლეხურის ხეობებში მდებარე სოფლები და ამ სოფლებზე სამთავნელი ეპისკოპოსის სასარგებლოდ დადებული გადასახადები) ჩამოთვლილია 67 სოფელი[2]. ამათგან დღეს დაახლოებით 35 არსებობს. ყველაფერი ეს კი გვაფიქრებინებს, რომ ადრე სოფელთა რიცხვი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე გვიან შუა საუკუნეებში. მაგრამ რაკი არა გვაქვს ცნობები საქართველოს ყველა კუთხის მიმართ, სრული სურათის წარმოდგენა შეუძლებელია.

თითქმის არა გვაქვს ცნობები XI — XII საუკუნეების სოფლის მცხოვრებთა რაოდენობის შესახებ.

XIII ს. შუა წლებში სოფელ ხოვლეში დაახლოებით 42 კომლი გლეხი ცხოვრობდა. ეს რიცხვი შემდეგნაირად არის მიღებული: კახა თორელმა სოფელი ხოვლე, იქ მცხოვრები გლეხებითურთ, რკონის ღვთისმშობლის ეკლესიას შეწირა და ხოვლელ გლეხებს სხვა ვალდებულებებთან ერთად დააკისრა ეკლესიისათვის 340 თეთრის გამოღება. ეს 340 თეთრი კომლებზე უნდა დანაწილებულიყო და თითოეულ კომლს 8 თეთრი გამოეღო. „სამას და ორმოცსა თეთრსა გამოიღებდენ ეკუტერს მისაღებელსა: თვითო მიწაი რვა-რვასა თეთრსა გამოიღებდეს“[3].

კომლთა ოდენობის გამორკვევა დაახლოებით მაინც შესაძლებელია ზოგი „სულთა მატიანით“. XIII ს-ში შედგენილი სვანეთის სულთა მატიანეში დასახელებულნი არიან ის პირნი, რომელნიც თავიანთი ოჯახებითურთ საეკლესიო კრებას მიეგებნენ. პირთა სია სოფლების (თემების) მიხედვით არის შედგენილი. უნდა ვიფიქროთ, რომ საეკლესიო კრებას სოლიდარობას უცხადებს თითქმის მთელი მოსახლეობა. სულთა მატიანეში მოყვანილი სია წარმოდგენას გვიქმნის მოსახლეობის საერთო რაოდენობის შესახებაც. ლალვერიდან კრებას 25 ოჯახი მიეგება, კიჩხლდაშიდან — 13, ლახამულიდან — 25, ღეშტერდან — 56, ლაჰილიდან — 23,

---

[1] რაჭის ამ სოფლების ადგილმდებარეობის შესახებ იხ. მ. ბერძნიშვილი, ნიკორწმიდის დაწერილი (ტექსტის გამოცემისათვის). მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 34, თბ., 1962, გვ. 29 — 31.

[2] ეს საბუთი რამდენჯერმეა გამოქვეყნებული და მას ყველა მისი გამომცემელი სხვადასხვაგვარად ათარიღებს. ს. კაკაბაძე ამ საბუთს X ს-ის ბოლოთი ათარიღებს (საისტორიო კრებული, IV, 1929, გვ. 8), ივ. ჯავახიშვილი—XV ს. პირველი ნახევრის დამლევით (საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წ. II, 1974, გვ. 8.), ი. დოლიძე — XV ს-ის პირველი ნახევრით (ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., III, 1970, გვ. 1151 ——1152).

[3] ქართული სამართლის ძეგლები, II, 59.

ეცერიდან — 364, კალადან — 14, ცხომარიდან — 129, დოლიდან — 81, ბეჩუდან — 56 ოჯახი[1].

სოფლის მოსახლეობის სიმჭიდროვე, რასაკვირველია, ყველგან ერთნაირი არ იყო.

ასევე ერთნაირი არ იყო სოფლის გარეგანი სახე.

საქართველოს ყოველ კუთხეს თავისი დასახლების ტიპი აქვს. დღეს არსებული განსხვავებანი საქართველოს ცალკეულ კუთხეთა დასახლების სახეობებს შორის ძველთაგანვე იღებენ თავის საფუძველს. წერილობით წყაროებშიც გარკვევით ჩანს საცხოვრებელთა ტიპების ნაირსახეობა.

ნიკორწმიდელის „დაწერილით" XI ს. რაჭასა და არგვეთში დადასტურებულია სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომლის ქვედა სართული ბოსელად არის გამოყენებული, ზედა სართულზე კი ბეღელია გამართული: „შევქმენ მუხურას ქვითკირი ბოსელი ერთი და ზედა სახლი ერთი და ხერხული ბეღელი". „ხოტევს დავდგი სახლი სენაითა და ქვეშე ორითა ბოსლითა". „ზნაკუას შევქმენ ქვითკირი ფარეხი ერთი და ზედა ქორედი სახლი ერთი"[2].

ამ ცნობებიდან ნათელია, რომ საცხოვრებელი სახლი ქვითკირის ბოსელზე ან ფარეხზე დგას. თვით სახლი უმეტეს წილად ხისგან არის ნაგები. სამშენებლო მასალად მუხა და ნაძვია გამოყენებული: „ქვითკირი შევქმენ ბოსელი ერთი და ზედა სახლი მუხისაი კარგი ერთი". „ნიკოლაოს წმიდას... სახლი შევქმენ სახუცოი... ნაძვისაი ერთი"[3]. ხე იხმარებოდა მორებად ან დახერხილი. დახერხილი ხის მორების აღსანიშნავად საბუთში დადასტურებულია განსაკუთრებული ტერმინი — „ხერხული". „შევქმენ... ქვითკირი ბოსელი და ზედა ბეღელი ხ ე რ ხ უ ლ ი ერთი". „შევქმენ საწირეს... მარანი მუხისაი... და დავდგი ზედა ბეღელი ხ ე რ ხ უ ლ ი ორი"[4]. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, ხერხული „დახერხილი ხეტყის მასალის ნაგებობის დამახასიათებელი ტერმინი უნდა ყოფილიყო"[5].

სამხრეთ საქართველოში — მესხეთში — წერილობითი წყაროები გვიდასტურებენ გლეხის სახლის გარკვეულ ტიპს „ხოსტაგიან სახლს" ან „სახვასტაგე სახლს"[6]. ეს ისეთი სახლია, რომელშიც მოწყობილია აგრეთვე ხვასტაგის — საქონლის სამყოფი.

---

[1] ჰ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, თბ., 1941, გვ. 117 — 159.

[2] ნიკორწმიდის დაწერილი (ტექსტის გამოცემისათვის), მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 34, თბ., 1962, გვ. 33 — 38. XIX. 1; VIII. 2; IV. 2.

[3] ი ქ ვ ე, VI, 2, V, 5.

[4] ი ქ ვ ე, XVIII, 1; VIII, 2.

[5] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I. შენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ. 149.

[6] ბექა მანდატურთუხუცესის სამართალი, მუხლი 20. ი. დ ო ლ ი ძ ე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 294.

გლეხის საცხოვრებელი სახლის ტიპს ცოცხლად წარმოგვიდგენს არქეოლოგიური ექსპედიციების მონაპოვრები. 1954 — 1956 წლებში ქვემო ქართლში მუშაობდა არქეოლოგიური ექსპედიცია ი. გძელიშვილის ხელმძღვანელობით. ამ ექსპედიციამ თეთრი წყაროს რაიონში მდ. ჭივჭავის მიდამოებში ნაჭივჭავების სახელით ცნობილი ადგილი გათხარა და შეისწავლა რამდენიმე ნასახლარი ფეოდალური ხანისა. მიკვლეულია X — XII სს. ხანის ნასოფლარი[1].

ნაჭივჭავებში გამოვლინდა გლეხის რამდენიმე სახლი. ეს სახლები XI — XII სს. თარიღდება. გლეხის სახლი ქვის ერთსართულიანი შენობა იყო. შენობის ცენტრში მოთავსებული იყო მთავარი ოთახი — დარბაზი, რომელიც სხვა სათავსებს — სამზარეულოსა და საკუჭნაოს უერთდებოდა. საცხოვრებელი სახლის კომპლექსში შედიოდა აგრეთვე საქონლის სადგომი (გომური), სათონე, მარანი, საბძელი, ბეღელი. დარბაზის შუაგულში კერა იყო მოთავსებული. კერა იყო გამართული აგრეთვე სამზარეულოში[2]. გათხრებმა ცხადყო, რომ გლეხის სახლი 5—6 ნაგებობისაგან შედგებოდა. სახლს ეზოც ჰქონდა. ზოგი სახლის ეზოში მოწყობილი იყო კალო და საქონლის სადგომი[3]. გლეხის საცხოვრებელ კომპლექსში მარანის, გომურისა და საბძელ-ბეღელის არსებობა ცხადყოფს, რომ აქ მოსახლე გლეხის მეურნეობა მიწათმოქმედებით, მესაქონლეობითა და მევენახეობით იყო წარმოდგენილი. ნასოფლარ ნაჭივჭავების მიდამოებში ვაზი არ ხარობს, მაგრამ ამ ნასოფლარის ყოველ მოსახლეს აქვს მარანი რამდენიმე ქვევრით. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ ნაჭივჭავების მოსახლეობას ვენახები სხვაგან ექნებოდა. მდ. ქციისა და ალგეთის ნაპირები საევენახე ზოლს წარმოადგენს. უნდა ვიფიქროთ, რომ ნაჭივჭავების მოსახლეობას სწორედ აქ ექნებოდა ვენახები[4].

გლეხის საცხოვრებელი სახლი გამოვლენილია ქვემო ქართლის კიდევ რამდენიმე ნასოფლარში—ტყემლარას, ბედენს, ტახტის წყაროსა და ნადარბაზევში. ყველა ეს ნასოფლარი XI — XII სს-ისაა. ყოველ ნასოფლარში აღმოჩნდა ეკლესიის ნანგრევებიც. ეკლესიები მეტწილად IX — X სს-ისაა. ეკლესიის მიდამოები სოფლის ცენტრია, მის ირგვლივ ლაგდება მოსახლეთა უბნებიც[5].

---

[1] ი. გ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ნასოფლარ ნაჭივჭავების არქეოლოგიური თხრის შედეგები, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XVII, № 7, 1956, გვ. 672.

[2] ი. გ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, რუსთაველის ეპოქის ქართული სოფელი, კრებ. „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966, გვ. 190.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 191.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 193.

[5] ი ქ ვ ე, გვ. 190.

არქეოლოგიურმა გათხრებმა დაგვიდასტურეს საცხოვრებელი სახლის კიდევ ერთი ტიპის — კლდის სახლების არსებობა. კლდის სახლები გათხრილი და შესწავლილია ვარძიის მიდამოებში, ნასოფლარებში—ფიასა და ჭაჭკარში. ნასოფლარ ფიას სახლები X ს-ით თარიღდება, ხოლო ჭაჭკარისა — XI — XII სს-ით[1]. კლდის სახლები დარბაზული ტიპის ნაგებობაა, კლდეში გამოკვეთილი, რომელსაც თან ახლავს სამეურნეო დანიშნულების სათავსებიც. კლდის სახლების კომპლექსი ჩვეულებრივი სახლის გეგმისაგან იმით განსხვავდება, რომ მას შიგნითვე აქვს საპირფარეშო და წყალსაცავი[2].

სოფელს ჰქონდა თავისი წისქვილი და ზეთსახდელი (საზეთე). ორივე ეს ობიექტი მრავლადაა მიკვლეული ძველ ნასოფლარებში. ნასოფლარ ნაჭიეჭავების მახლობლად, მდ. ჭიეჭავის პირას აღმოჩენილია ნასოფლარის ასაკისავე წისქვილის ნაშთი[3].

წისქვილი მთელ სოფელს ან ზოგჯერ რამდენიმე სოფელს ემსახურებოდა. მეწისქვილეობა რთული და პასუხსაგები საქმე იყო. ამიტომაც სოფელი და სოფლის მესაკუთრე ცდილობდნენ მეწისქვილისათვის განსაკუთრებული პირობები შეექმნათ. მეწისქვილე მეტწილად თავისუფლდებოდა ყველა საფეოდალო გადასახადისაგან და მის ერთადერთ მოვალეობას წისქვილის ამუშავება შეადგენდა. თუ წისქვილი შესაკეთებელ-გასამართავი იყო, ამას წისქვილის პატრონი იდებდა თავს. წისქვილის პატრონი კი უმეტესწილად ისევ სოფლის პატრონი — ფეოდალი ან ეკლესია-მონასტერი იყო. წისქვილი სოფლის აუცილებელ შემადგენელ ნაწილად ითვლებოდა. როდესაც ხდებოდა სოფლის გაყიდვა, ბოძება თუ შეწირვა, სათანადო საბუთში ამ სოფლის შემადგენელ ნაწილებს შორის წისქვილი უეჭველად აღინიშნებოდა. გიბოძეთ სოფელი „მთითა, ბარითა, ტყითა, ველითა, წყლითა, წისქვილითა და ყოვლითა მიმდგომითა მისითა“[4]. წისქვილით სარგებლობისას გლეხი ვალდებული იყო საფქვავის გარკვეული ნაწილი დაეტოვებინა მეწისქვილისათვის, რომელიც მის განსაზღვრულ ოდენობას წისქვილის მეპატრონე ფეოდალს უხდიდა. წისქვილის ექსპლოატაციას ფეოდალისათვის საგრძნობი შემოსავალი მოჰქონდა.

XIII ს. ერთ საბუთში შემონახულია საინტერესო სურათი წისქვილის ექსპლოატაციისა. XIII ს. შუა წლებში ქართლის მსხვილმა ფეოდალმა

---

[1] გ. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი, ვარძიისა და მისი მიდამოების კლდის სახლები, თბ., 1957; მ ი ს ი ე ე. კლდის სახლები ნასოფლარ ფიაში, თბ., 1959.

[2] გ. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი, ვარძიისა და მისი მიდამოების კლდის სახლები, გვ. 52.

[3] ი. გ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, რუსთაველის ეპოქის სოფელი, გვ. 193.

[4] ასეთი ფორმულა მრავლად არის შემონახული დოკუმენტებში. ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 26, 35, 59, 97, 99, 100, 119.

გრიგოლ სურამელმა შიომღვიმის მონასტერს შესწირა სოფ. ციხედიდს მცხოვრები გლეხი ქავთარელი მეწისქვილედ. ეს გლეხი წინასწარ გაათავისუფლეს ყოველგვარი საფეოდალო და საეკლესიო გადასახადებისაგან და მხოლოდ ერთადერთი მოვალეობა — წისქვილის კაზმვა დააკისრეს. წისქვილიც სურამელმა ააშენა მღვიმისათვის და ვალად იდო, თუკი წისქვილს მომავალში რამე დაუზიანდებოდა, სურამელთა სახლის სახსრებით შეეკეთებინა იგი. „თუ წისქვილნი დაშავდენ... თქვენითვე (ე. ი. სურამელის სახლით) შეიკაზმოდენ“[1]. მეწისქვილე, რაკი ის ყველა გადასახადისაგან თავისუფალია, მთელი გულისყურით წისქვილის მოვლა-პატრონობას და მის კეთილსინდისიერ მომსახურებას უნდება. მონასტრის წინამძღვარს, როგორც საკუთარ პატრონს, წელიწადში ერთხელ ძღვენს მიართმევს — სამ სქელ პურს და ერთ კორჩხალა ღვინოს. ამით ამოიწურება მეწისქვილის ვალდებულება ფეოდალის წინაშე. ფეოდალი, ამ შემთხვევაში მონასტერი, მეწისქვილეს უსაზღვრავს სარჩოს: წისქვილში დაფქვილი მარცვლეულის ხრილის (წისქვილის მტვერი) ნახევარი მეწისქვილეს ეკუთვნის, ნახევარი კი მონასტერს. სურამელმა გაათავისუფლა წისქვილის მოფქვავენი მისდის (საფქვავის ნაწილი, რასაც მოფქვავე უტოვებს მეწისქვილეს დაფქვის საფასურად) გადახდისაგან და მეწისქვილეს დაუტოვა უფლება ყოველი მოფქვავისაგან აეღო ე. წ. „საპატიო“ — მეწისქვილის პატივსაცემად განკუთვნილი ოდენობა ფქვილისა, თანაც განსაზღვრულია ამ „საპატიოს“ ოდენობაც: „მეწისქვილე ეზომსა საპატიოსა აიღებდეს, რომე ერთსა კაცსა ეყოფოდეს“[2].

ეს წისქვილი შიომღვიმის კუთვნილ სოფელს ციხედიდს ემსახურება. სოფლის პატრონი, ამ შემთხვევაში მონასტერი, ცდილობს არ გაუჭირდეთ ციხედიდელ გლეხებს წისქვილით სარგებლობა, ამიტომ ის ავალებს მეწისქვილეს გაითვალისწინოს ციხედიდელი მოფქვავის ეკონომიკური შესაძლებლობა და გაჭირვებულ კაცს აღარც „საპატიო“ გამოართვას. „ცოტაისა მქონებელსა ნუცა საპატიოსა აუღებენ ესე თქუენნი მეწისქვილენი“[3].

საერთო საქმედ ითვლებოდა „წყლის კაზმვა“. გლეხი, რომელიც „წყლის კაზმვით“, ე. ი. წყლის არხისა და რუს მოვლა-პატრონობით იყო დაკავებული, თავისუფლდებოდა სხვა ყოველგვარი სახელმწიფო და საფეოდალო გადასახადებისაგან[4].

სასოფლო საქმე იყო აგრეთვე მეფის რომელიმე მოხელის გამასპინძ-

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 45.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] თამარ მეფის შეწირულების სიგელი, ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 31.

ლება-რჩენა დროის გარკვეულ მონაკვეთში. მაგალითად, სოფელი აგარა (შიდა ქართლში) მოვალე იყო ერთი დღე-ღამე შეენახა მეფის ბაზიერები. სოფელში ჩამდგარ ბაზიერთა გამასპინძლებაში აგარელებს ეხმარებიან მეზობლად მდებარე სოფლების — სხალტბისა და წყალშატროანის მცხოვრებნი[1].

ზოგ სოფელს მეფის მონადირეთა შენახვა ედო ვალად. ასეთ სოფელს „მონადირეთა სადგომი" ერქვა. ერთ-ერთი ასეთი მონადირეთა სადგომი იყო სოფელი ქანდა[2] (შიომღვიმის სიახლოვეს.)

სამეფო მოხელის, საეკლესიო პირის თუ სოფლის მფლობელი ფეოდალის მიღება-გამასპინძლება გლეხის ვალდებულებათა ერთ-ერთი სახეობა იყო და მას შედგომა ეწოდებოდა. სამთავისის ეპისკოპოსის გამასპინძლება მისი სამწყსოს თითქმის ყოველი სოფლის ვალდებულება იყო. იმის მიხედვით, თუ რა ეკონომიკური შესაძლებლობისა იყო ესა თუ ის სოფელი, ისაზღვრებოდა ამ სოფელში „შედგომის" ხანგრძლივობაც. ზოგი სოფელი ამ ვალდებულებისაგან საერთოდ თავისუფლდებოდა. ერწო-თიანეთის სოფლებში სამთავნელის შედგომა სხვადასხვანაირად ხორციელდებოდა: ზოგ სოფელს ევალებოდა გამასპინძლებოდა ეპისკოპოსს ორი დღის განმავლობაში, ზოგს — სამი დღე, ზოგი კი საერთოდ თავისუფლდებოდა ამ ვალდებულებისაგან. ამის შესახებ სათანადო საბუთში ვკითხულობთ: „ბოდავს შედგომაი... ჟინოვანს დგომაი დღე-ღამე გ (სამი)... ახალდაბას შედგომაი... ძაგუს შედგომაი დღე-ღამე ბ (ორი)... ბუშატს არდგომაი... წიაბეთს შედგომაი არა..."[3]. აქ შედგომისაგან განთავისუფლება ორი ფორმით არის გამოხატული: „არდგომაი" და „შედგომაი არა". ორივე ამ გამოთქმის აზრი ერთია.

სამონასტრო სოფელს ვალად ედო მონასტრის სტუმრების — მეფისა და მისი მხლებლების გამასპინძლება, პურისა და ღვინის სათანადო ოდენობით გამოღება („ვითა... აქამდის პატრონნი ღმრთისა სწორნი, ლაშქარნი, სტუმარნი დიდნი და მცირენი გაუსტუმრებიან, ეგრეთვე აწ გაისტუმრებოდეს"[4]).

სოფელი ზოგი სახელმწიფოს ეკუთვნოდა, ზოგი კიდევ ეკლესიას ან ცალკეულ ფეოდალს. აუცილებელი არ იყო მთელი სოფელი ერთ მეპატრონეს ჰკუთვნებოდა. ზოგი სოფლის მოსახლეობა რამდენიმე მესაკუთრეს

---

[1] გიორგი მესამის 1170 წ. სიგელი შიომღვიმისადმი, ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 23.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 23.

[3] ერწო-თიანეთის სარგოს წიგნი, ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, II, 1974, გვ. 7 — 8.

[4] წესი და განგება უცნობი მონასტრისა, ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 132 — 133.

შორის იყო განაწილებული. მაგალითად, სოფელი ორომაშენი კათალიკოსმა ვაჩე გუარამის ძეს უბოძა, მაგრამ ამ სოფელში მსახლობელი რამდენიმე კომლი მცხეთის ეკლესიასვე დაუტოვა[1]. სოფელი ხოვლე XIII ს. მეორე მეოთხედში სამ სხვადასხვა მეპატრონეს ეკუთვნოდა[2].

თვით სოფელი დაყოფილი იყო საკომლოებად. საკომლო რამდენიმე დღიურ სახნავ-სათეს მიწას და ბაღ-ვენახს შეიცავდა. მაგრამ საკომლო აუცილებლად კომპაქტური ერთეული არ იყო. სოფელში გლეხის კარ-მიდამო იყო მოთავსებული, სახნავ-სათესი ადგილი და ბაღ-ვენახი კი სოფელს გარეთ, მოშორებით იყო განლაგებული. ნასოფლარ ნაჭივჭავებში გლეხის სახლები ისე მჭიდროდაა ერთმანეთთან მიკრული, რომ ბაღ-ბოსტნის არსებობა თვით სოფლის ტერიტორიაზე გამორიცხულია. საკომლო ყოველ გლეხს პატრონისაგან ჰქონდა მიჩენილი. ხშირად ერთ საკომლოზე ორი ან მეტი კომლი გლეხი ცხოვრობდა. საკომლო საგადასახადო ერთეულიც იყო. გლეხი ვალდებული იყო საკომლოთი სარგებლობისათვის მოსავლის გარკვეული ნაწილი პატრონისათვის ეხადა. სოფელს ეკვროდა ზვრები და ხოდაბუნები — ფეოდალის საკუთრება, რასაც იგივე გლეხები ამუშავებდნენ ბეგარაზე გამოსვლით.

ზოგ სოფელში ცხოვრობდა სოფლის მესაკუთრე ფეოდალიც. მის საცხოვრებელს „საჯდომი სახლი“ ერქვა და საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა მთელ კომპლექსს წარმოადგენდა.

აზნაური თავის სასახლიდან განაგებდა სოფელს. ამ საქმეში მას მოხელეთა მთელი შტატი ეხმარებოდა. ძირითადი მოხელე მამასახლისი იყო. მამასახლისი აწესრიგებდა სოფელზე გადასახადების შეწერა-აკრეფის საქმეს. მის ხელთ იყო აგრეთვე გლეხების საბატონო მიწების დასამუშავებლად გამოყვანის ორგანიზაცია. მამასახლისი აწარმოებდა გლეხებში სასამართლო საქმეებსაც და სამართლის წარმოებისათვის დაწესებულ გამოსაღებს იღებდა[3].

§ 3. სოფლის მეურნეობა

X საუკუნის დასასრულისათვის საქართველოში ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობა დამთავრდა და ქვეყანა ფეოდალური გან-

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 154.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 58.

[3] გრიგოლ სურამელის დაწერილი შიომღვიმისადმი, ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 37.

ვითარების უფრო მაღალ ფაზაში შევიდა[1]. განვითარებული ფეოდალიზმის ამ საფეხურისათვის დამახასიათებელი იყო მძლავრი ეკონომიკური აღმავლობა, რომელიც ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებას ემყარებოდა.

სოფლის მეურნეობის განვითარების დონის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო იარაღები. ჯერ კიდევ X საუკუნეში შეიმჩნევა და XI — XII საუკუნეებში ახალ აღმავლობას განიცდის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის პროგრესი. შრომის იარაღები თანდათან დაიხვეწა, განვითარდა და გაუმჯობესდა, რამაც სოფლის მეურნეობის წინსვლა განაპირობა.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სახვნელი იარაღის — გ უ თ ნ ი ს ფართოდ ხმარებას. „გუთანმა", როგორც ირკვევა, შეცვალა ამ იარაღის ძველი სახელი „ერქუანი". ეს ცვლილება თვით იარაღის არსებითმა განსხვავებამ გამოიწვია. ე. წ. „დიდი გუთანი" ერქვანთან შედარებით მაღალი განვითარების იარაღი იყო[2]. იგი მეტ-ნაკლები კონსტრუქციული ცვლილებებით საქართველოდან გავრცელდა კავკასიის ხალხებში, რომელთაც აქედან გადაიღეს თვით იარაღის სახელწოდებაც[3].

„დიდი გუთანი" ძირითადად გავრცელებული იყო ქართლის ვაკეზე, სადაც ბუნებრივი პირობები ამ იარაღის ფართოდ გამოყენების საშუალებას იძლეოდა. „დიდ გუთანში" 8 — 12 უღელი ხარი იყო შებმული და, როგორც მტკიცდება, ასეთი გუთნეული ქართლის დიდ სოფლებში რვაათი მაინც იყო[4]. საქართველოს მთაგორიან რაიონებში გავრცელებული იყო სახვნელების სხვადასხვა, შედარებით მსუბუქი, სახეობები (მაგალითად, „აჩაჩა" და სხვ.)[5].

„დიდი გუთანი" ნიადაგის კარგად დამუშავებისა და შრომის ნაყოფიერების გაზრდის საშუალებას იძლეოდა. ასეთი იარაღის არსებობა, თავის

---

[1] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ვ. დ ო ნ დ უ ა, მ. დ უ მ ბ ა ძ ე..., საქართველოს ისტორია, თბ., 1958, გვ. 137. იხ. აგრეთვე მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. I, 1930, გვ. 191; მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ცვლილებები ეკონომიურ და სოციალურ ცხოვრებაში IX — X საუკუნეებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973, გვ. 324.

[3] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, გუთნეულის ეკონომიური ორგანიზაცია, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. V, № 3, 1944, გვ. 329.

[4] გ. ჩ ი ტ ა ი ა, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948 წლისა, „მიმომხილველი", I, თბ., 1949, გვ. 273. გუთნეულის შეუფერხებელ საქმიანობას განაპირობებდა მოდგამის ინსტიტუტის არსებობა, მსხვილი დასახლება და ერთობის სახლი (იქვე).

[5] გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 25 — 70.

მხრივ, ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის მაჩვენებელიც იყო[1]; „დიდი გუთნით“ მიწის დამუშავებამ ხელი შეუწყო სახნავ-სათესი ფართობის გაზრდას.

სოფლის მეურნეობაში ფართოდ იხმარებოდა ძველთაგანვე გავრცელებული ბარი, თოხი, ნიჩაბი, ნამგალი, ცული, სასხლავი დანები და სხვა იარაღები[2]. ამგვარი ინვენტარი, ძირითად საოჯახო დგამ-ჭურჭელთან ერთად, გლეხის ოჯახის საკუთრებას შეადგენდა.

სხვადასხვა სახის სამეურნეო დანიშნულებისათვის, ისევე როგორც უძველესი დროიდან, XI — XII სს. საქართველოში ქვეყნის ბუნებრივი პირობების შესაბამისად ფართოდ გამოიყენებოდა მრავალგვარი სატრანსპორტო საშუალება. ქართული ეთნოგრაფიული მასალები საშუალებას იძლევა განისაზღვროს ადგილობრივი კონკრეტული მონაცემებით შეპირობებული ტრანსპორტის სახეობათა მრავალფეროვნება[3]. საქართველოს მთიან ზოლში უბორბლო ტრანსპორტია (მარხილები) გავრცელებული. ბარში ძირითადად ორბორბლიანი ურემი გვხვდება, გარდამავალ ზონაში კი შერეული ტიპის ტრანსპორტი[4]. სხვადასხვა მასალის (მათ შორის ვარძიის ფრესკაზე მოცემული გამოსახულება) საფუძველზე უტყუარად მტკიცდება, რომ XI — XII სს. საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული ორბორბლიანი ურემი[5].

აღნიშნულ პერიოდში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა წყლის წისქვილს. XII — XIII სს. საბუთებიდან ჩანს, რომ წისქვილი იმდროინდელ თითქმის ყველა სოფელს ჰქონია. ამასთან ერთად საოჯახო ხმარებაში გავრცელებული იყო ხელის წისქვილები[6].

XI — XII სს. საქართველოში სოფლის მეურნეობის მაღალ დონეს განაპირობებდა ის დიდი სარწყავი არხები და წყალსადენები, რომლებიც სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად ტირიფონის ველზე, რუის-ურბნისის მიდამოებში, მუხრანში, სამგორში, კახეთსა და გაღმა მხარეში იქნა გაყვანილი. ამჟამად გარკვეულია, რომ ხსენებული ნაგებობანი მეტად რთულსა და ნაირგვარ ბუნებრივ პირობებში დიდი ხელოვნებითა და ოსტატობითაა აგებული. მშენებლობათა დიდი მასშტაბი და მაღალი დონე იმის აშკარა დადასტურებაა, რომ ჰიდროტექნიკა, სამ-

---

[1] გ. ჩ ი ტ ა ი ა, ქსნური მთის გუთანი, ენიმკის მოამბე, V—VI, თბ., 1940, გვ. 496.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 211; გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, დასახ. ნაშრ. გვ. 16, 26, 30.

[3] მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, ქართული ხალხური ტრანსპორტი, თბ., 1956, გვ. 130.

[4] ი ქ ვ ე.

[5] ი ქ ვ ე, გვ. 26 — 27.

[6] ს. ბ ე დ უ კ ა ძ ე, საფქველების განვითარების ისტორიისათვის (ხელის წისქვილები), საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XIX, 1956, გვ. 153 — 157.

შენებლო ხელოვნების ეს მეტად რთული დარგი, საქართველოში ჩვენთვის საინტერესო პერიოდში დიდად იყო განვითარებული[1].

მნიშვნელოვან აგროტექნიკურ ნაგებობას წარმოადგენს სხალტბა-შიომღვიმის 1202 წ. აგებული წყალსადენი. მის აგებას სამი წელი დასჭირვებია. ამასთან, წყალსადენის აგების შემდეგ სხალტბას წყალი დაკლებია და ამის გამო მთელი რიგი მიწისქვეშა წყალშესაკრებელი (საკოპტაჟო) სამუშაოების ჩატარების შედეგად იმავე წყაროს დებეტი გაუდიდებიათ[2]. წყალსადენის აგების შემდეგ ანტონ ჭყონდიდელს მის ექსპლოატაციაზეც უზრუნია. მისი თხოვნით, თამარ მეფეს ორი კომლი გლეხი წყალსადენისათვის მიუჩენია მეთვალყურედ და მკაზმავად. ეს გლეხები სხვა ყოველგვარი ბეგარისაგან გაუთავისუფლებიათ იმ პირობით, რომ მათ თავიანთი შვილები ქუქანკებად (თანამედროვე ჰიდროტექნიკოსები) გაეზარდათ[3].

ალაზნის ველის მორწყვას ისახავდა მიზნად თამარ მეფის დროს აგებული სარწყავი არხი, რომელიც სათავეს იღებდა სოფ. ალვანის პირდაპირ მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირზე, მიედინებოდა 119 კილომეტრზე და, როგორც გამოანგარიშებულია, რწყავდა 53 000 ჰექტარ მიწის ფართობს[4] (მაგისტრალური არხის გამტარუნარიანობა უდრიდა 24 კუბმ/წამში, ჰიდრომოდული — 45 ლიტრს წამში, არხის ერთი კილომეტრის სიგრძეზე მოსული მორწყული ფართობი — 445 ჰექტარს).

იმავე ეპოქაშია აგებული სამგორის ველის ძველი სარწყავი არხი. სხვადასხვა ისტორიული ცნობებით დასტურდება, რომ მდინარე იორის მეშვეობით ირწყვებოდა სამგორის ველი. ეს არხი XVII — XVIII საუკუნეებამდე არსებობდა[5].

საქართველოში არსებულ წყალსადენთა შორის თავისი განსაკუთრებული სისტემით გამოირჩეოდა ნადარბაზევის წყალსადენი. მისი გაყვანისათვის საჭირო იყო ჯერ დაბლობის გადალახვა, შემდგომ კი გარკვეული სიმაღლის დაძლევა. ამან განაპირობა წყალსადენის ჭავლის პრინციპზე აგება, რაც მიღწეულ იქნა სათავისა და წყლის მისაღები პუნქტის სიმაღ-

---

[1] ალ. ლ ო ს ა ბ ე რ ი ძ ე, ძველი წყალსადენებისა და არხების ნაშთები, კრებ. „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა", თბ., 1938, გვ. 193 — 228; შ. ხ ი დ ა შ ე ლ ი, სხალტბა-შიომღვიმის 1202 წ. წყალსადენი, ი ქ ვ ე, გვ. 231 — 264.

[2] ალ. ლ ო ს ა ბ ე რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 194.

[3] შეწირულების სიგელი თამარ მეფისა შიომღვიმისადმი, ქართული სამართლის ძეგლები, ი. დ ო ლ ი ძ ი ს გამოცემა, II, თბ., 1965, გვ. 30 — 31.

[4] ალ. ლ ო ს ა ბ ე რ ი ძ ე, დასახ, ნაშრ., გვ. 291.

[5] ი ქ ვ ე, გვ. 222.

ლის დონეთა სხვაობით და მილსადენის კვეთის თანდათანობითი შემცირებით[1].

ამგვარად, ფაქტია, რომ XI — XII სს. საქართველოში წყლით მომარაგებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა და ტექნიკის ეს დარგი მაღალ დონეზე იდგა, რასაც თვალნათლივ ამტკიცებს ზემოდასახელებულ ნაგებობათა გარდა, ვარძიის, დმანისის, გეგუთისა და თბილისის წყალსადენები.

გამწევი ძალა და გადაზიდვის საშუალებები, სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, აგრეთვე სარწყავი სისტემის ფართო ქსელის არსებობა — მიწის ფართობის ინტენსიურად გამოყენების საშუალებას იძლეოდა. სამეურნეო ფართობის გადიდებასთან ერთად სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია მოსავლიანობის გაზრდას განაპირობებდა. ამდენად, სრულიად ბუნებრივია, რომ ამ პერიოდის საქართველოში პურეული და პარკოსანი კულტურები უხვმოსავლიანი იყო. სარწყავი ფართობების სიდიდე მევენახეობისა და მეხილეობა-მებაღეობის განვითარებას უწყობდა ხელს.

XI — XII სს-ის საქართველოში დაწინაურებული იყო მემინდვრეობა, მებაღეობა-მებოსტნეობა, მევენახეობა, მესაქონლეობა. სოფლის მეურნეობის მრავალრიცხოვანი კულტურების გავრცელება-განვითარებას ბუნებრივი პირობებიც უწყობდა ხელს[2]. „საქართველოს მიწა-წყალი,— აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი, — უაღრესად მრავალფეროვანი და მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის უაღრესად გამოსადეგი იყო. ნოტიობის სიჭარბის გამო სარწყავი მიწები დასავლეთ საქართველოში არ იყო ან ცოტა მოიპოვებოდა. პირიქით, აღმ. საქართველოს ნიადაგისა და ჰავის შედარებითი სიმშრალის გამოისობით ბევრგან მიწის მორწყვა აუცილებელი იყო და სასოფლო მეურნეობაშიც სარწყავ-ურწყავ მიწებსა და სარწყავ რუებს აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული“[3].

მემინდვრეობის ეკონომიკურ მიზანს, ბუნებრივია, ადამიანისათვის საჭირო მცენარეულობის მოყვანა შეადგენდა. ამასთან, მცენარეულობის ერთი ჯგუფი ადამიანისა და პირუტყვის საკვებად იყო განკუთვნილი, მეორე კი — ყოფა-ცხოვრებისათვის (მოსაქსოვი, სახლის გადასახურავი).

ძველ ქართულში ყველა საკვები მცენარის მარცვლეულის აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად „ხუარბალი“ (ხორბალი) იხმარებოდა. შემდეგში ამ სიტყვას მნიშვნელობა შესცვლია და იგი მხოლოდ პურეულის ჯგუფის ზო-

---

[1] ირ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, ნადარბაზევის წყალსადენი, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. XI, № 8, თბ., 1950, გვ. 530.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 141—148.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 148.

გად ტერმინად გვევლინება. ქერი და ქრთილიც კი ხორბლად აღარ იწოდებიან[1].

XI — XII სს. ისტორიული ძეგლების სიმცირის გამო ამ პერიოდის საქართველოში გავრცელებული ხორბლეულის სახეების შესახებ სრული სურათი არ გაგვაჩნია. „დაბადების" თარგმანის ტერმინოლოგიასა და და XIII ს. დამდეგამდე არსებულ სხვა წყაროებზე დაყრდნობით ვადგენთ, რომ ჩვენთვის საინტერესო პერიოდის საქართველოში ითესებოდა: იფქლი, დიკა, ასლი, ქრთილი, ქერი, ფეტვი, ცერცვი, ოსპი და სხვ. ამავე პერიოდში სავარაუდებელია „დოლის პურის" ჯიშის ხორბლის არსებობა[2].

მარცვლეულის მეურნეობასთან ერთად, სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი იყო მაღალგანვითარებული მეცხოველეობა. ეს დარგი უპირატესად მთიან რაიონებში იყო გავრცელებული. განვითარებული იყო როგორც მსხვილფეხა, ასევე წვრილფეხა მესაქონლეობა. საქონლის ჯოგი ფეოდალის მეურნეობის ორგანულ ნაწილს შეადგენდა. საქართველო განსაკუთრებით განთქმული იყო საუკეთესო ჯიშის ცხენებით, რომელიც ექსპორტის საგანს შეადგენდა. დაწინაურებული იყო მეცხვარეობა. გავრცელებული ყოფილა ცხვრის სხვადასხვა ჯიში, რომელიც გამოირჩეოდა თავისი პროდუქტიულობით[3]. მატყლი ფართო ვაჭრობის საგანი იყო. საერთოდ, საქონელი დიდი რაოდენობით ჰყავდათ ეკლესია-მონასტრებს, რაც მათთვის ფულადი შემოსავლის წყაროსაც წარმოადგენდა. მონასტრები საგანგებოდ ეწეოდნენ გასაყიდი საქონლის მოშენებას[4].

მესაქონლეობის მაღალ განვითარებაზე აშკარადაა მინიშნებული „ვეფხისტყაოსანში". პოემაში მოხსენებულია როგორც საკვები პროდუქტი, ასევე მუშა პირუტყვი (სატრანსპორტო პირუტყვი). მაგალითად:

„...ამილახორო, მოასხი რემა, ჯოგი და ცხენი...".
„...ჯორ-აქლემი ათჯერ — ასი — ყველაკაი წვიმაგრობდა" და სხვ.

ძველთაგანვე განვითარებული დარგი იყო მევენახეობა. XI — XII საუკუნეებში კი იგი ახალ აღმავლობას განიცდის. ქართულ წერილობით წყაროებში XI საუკუნემდე „ვენახი" იხსენიება ვაზის აღმნიშვნელად, ხო-

---

[1] ივ. ჯ ა ვ ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 319.

[2] XI — XII სს. საქართველოში გავრცელებული მარცვლეული კულტურების შესახებ იხ. ლ. დ ე კ ა პ რ ე ლ ე ვ ი ჩ ი, შოთა რუსთაველის ეპოქის მინდვრის უმთავრესი კულტურები, კრებ. „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა", თბ., 1938. გვ. 3 — 29.

[3] მიხ. რ ჩ ე უ ლ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართული ცხვრის შესწავლისათვის, კრებ. „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა", თბ., 1938, გვ. 109 — 187.

[4] ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, შიომღვიმე, თბ., 1953, გვ. 37.

ლო XI საუკუნიდან — ვაზის ბაღის აღმნიშვნელად (ამ დროიდან „ვაზი“ დღევანდელი მნიშვნელობით იხმარება). თავისთავად ეს მოვლენა მევენახეობის შემდგომი განვითარების მაჩვენებელია. ასევე დიდ ფართობზე გაშენებული ვენახის აღმნიშვნელად ტერმინ „ზვარის“ გაჩენა საქართველოში მევენახეობის ინტენსივობის თანდათანობით ზრდაზე მიუთითებს[1]. არც ის არის შემთხვევითი, რომ XI — XII სს. ქართულ მხატვრობასა და ქანდაკებაში ხშირია ყურძნის მტევნისა და ვაზის ფოთლის გამოსახულებები. სავარაუდებელია, რომ იმ დროის საქართველოში ღვინოსაც ფართოდ აწარმოებდნენ და იგი ექსპორტის საგანიც იყო.

მევენახეობა მთელს საქართველოში მაღალ დონეზე იყო განვითარებული (მაღალმთიანი ზოლის გარდა). საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შესწავლილი გლეხების საცხოვრებელი სახლების კომპლექსში თავისი ადგილი უკავია საოჯახო მარნებს, რაც ღვინის დაყენების საგანგებო ტექნიკისა და წესის არსებობაზე მიგვითითებს. ამგვარი საოჯახო მარნები დამოწმებულია არქეოლოგიური გათხრებისას ბოლნისის რაიონის ნასოფლარ ბაღდადში (XII — XIII სს. საცხოვრებელი სახლის კომპლექსი)[2], თეთრი წყაროს რაიონის სოფ. ნაჭივჭავებში (XI — XII სს. საცხოვრებელი სახლი)[3], ნასოფლარ თალაში (ფოლადაურის ხეობა) აღმოჩენილ ნასახლარში (XII — XIII სს.)[4] და სხვ.

მევენახეობა-მეღვინეობას XI — XII სს. სოფლის მეურნეობაში მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ღვინის მოხმარების გავრცელებაზე აშკარად მიუთითებს ის, რომ საყოველდღიურო ღვინის შესანახი მარანი მოიპოვება არა მხოლოდ სოფლებში, ჩვეულებრივ საცხოვრებელ კომპლექსებში, არამედ დროებით და სახიზრად აშენებულ მიუვალ მღვიმეებსა და საცხოვრებლებშიც[5]. მაგალითად, მარანი XI ს. მეორე ნახევარში აგებულ თრეხვის სახიზარ ქვაბებშიც გაუკეთებიათ ქართველ ბერებს[6] და მტკვრის ხეობაში საგანგებოდ აგებული თავდასაცავი კლდის სახლების კომპლექსებშიც შეუტანიათ ქართველ გლეხებს[7].

---

[1] ა. ბოხოჩაძე, მევენახეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თბ., 1962, გვ. 167.

[2] იქვე, გვ. 167.

[3] ი. გძელიშვილი, თეთრი წყაროს რაიონის ნასოფლარები, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XV, № 3, თბ., 1954, გვ. 319.

[4] ა. ბოხოჩაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 169.

[5] მ. ლორთქიფანიძე, გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა (VI ს.—XIII ს. დამდეგამდე), კრებ. „ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან“, თბ., 1967 გვ. 37.

[6] იქვე, იხ. აგრეთვე, გ. გაფრინდაშვილი, ლეონტი მროველის სახიზარ მღვიმეებში, გაზ. „კომუნისტი“, 1958, 25. VII.

[7] გ. გაფრინდაშვილი, კლდის სახლები ნასოფლარ ფიაში, თბ., 1959.

მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული სამეურნეო დანიშნულების ნაგებობა-ინვენტარისაგან ჩვენში მრავალადაა აღმოჩენილი და შესწავლილი XI — XII სს. საწნახლები და სხვა ნივთები.

საგლეხო ფუძის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი სავენახედ იყო გამოყოფილი. XI — XII საუკუნეებში ვენახს აშენებდნენ ნარევი ჯიშებისაგან იმ მიზნით, რომ თუ ერთი რომელიმე სახე ვენახისა რაიმე მიზეზის გამო ნაყოფს არ გამოიღებდა, სხვა ჯიშები აანაზღაურებდნენ მევენახის შრომას[1]. მცირემოსავლიანი და დაბალხარისხოვანი ჯიშების მომრავლებას, ბუნებრივია, არ მისდევდნენ. ქართველი გლეხის განკარგულებაში იყო ისეთი ძვირფასი ჯიშები, როგორიცაა რქაწითელი, საფერავი, ხიხვი, ბუდეშური და სხვ. გავრცელებული იყო ისეთი ჯიშებიც, რომლებიც საქართველოს მევენახეობაში დღეს უკვე აღარ გვხვდება (ხევარდული, სამარხი, სადადეგო, პუმპულაში და სხვ.)[2]. წინათ ძირითადად გაშენებული ყოფილა რქაწითელი (ზოგიერთი ცნობით, მას კახეთის ვენახების 70% ეკავა). ივ. ჯავახიშვილის გამოანგარიშებით, საქართველოს ყველა კუთხეში საერთოდ 420 ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა სახელწოდებაა დამოწმებული. მევენახეობის ინტენსიურად განვითარების ნათელი მაჩვენებელია, ერთი მხრივ, ყურძნის ჯიშების სიმრავლე, მეორე მხრივ კი აქ გავრცელებული ვაზ-ყურძნის ჯიშების თვისება-ღირსებანი. საგულისხმოა, რომ ღვინო და ხილი მრავალგზის იხსენიება „ვეფხისტყაოსანში". განვითარებული მევენახეობა-მეღვინეობა აძლევდა საფუძველს შოთა რუსთაველს ელაპარაკა უხვად გადმომდინარე ღვინის წყაროზე[3].

ამგვარად, მევენახეობა-მეღვინეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი იყო.

ფართოდ იყო გავრცელებული სამრეწველო დანიშნულების მქონე ტექნიკური მცენარეები: სელი, კანაფი და სხვ. სელის კულტურა ძველთაგანვე იყო განვითარებული და შემდეგშიც ფეოდალური საქართველოს მეურნეობაში მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენდა. იგი თაფლთან და ცვილთან ერთად (რასაც დიდი რაოდენობით იძლეოდა განვითარებული მეფუტკრეობა)[4] ცხოველი აღებ-მიცემობისა და საგარეო ვაჭრობის საგანი

---

[1] ს. ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი, მასალები საქართველოს XII—XIII საუკუნეების ვაზის ჯიშების საკითხისათვის, კრებ. „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა", თბ., 1938, გვ. 70.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, II, თბ., 1935, გვ. 401 — 470.

[3] ვ. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე, ქართული ეკონომიკური აზრი „ვეფხისტყაოსანში", „ცისკარი", 1969, № 8, გვ. 129.

[4] ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, მეფუტკრეობის ისტორიისათვის, თბ., 1960, გვ. 67 — 173. XI—XII სს. საქართველოში კულტურული მეფუტკრეობის განვითარებაზე მიუთითებს ცვილის საგლეხო გადასახადის არსებობა XII საუკუნეში.

იყო. სელისაგან ზეთსაც ხდიდნენ და ასანთებლად ხმარობდნენ. კანაფისაგან ქსოვილებს ამზადებდნენ და თოკებს გრეხდნენ. ვარაუდობენ, რომ აღნიშნული პერიოდის საქართველოში მოჰყავდათ ბამბა და ბრინჯი.

XI — XII სს. საქართველოს სამეურნეო ცხოვრებაში დიდი ადგილი ეკავა განვითარებულ მებაღეობა-მებოსტნეობას, რაზედაც ისტორიული წყაროები საგანგებოდ მიუთითებენ. „უმტილ-ვენახოდ ქართველ მიწისმოქმედს ცხოვრება იმდენად არ მოსწონდა, რომ მათი გაშენებისათვის არც თავის ძალ-ღონესა და არც ქონებრივ სახსარს არ ზოგავდა"[1].

ერთიან ფეოდალურ საქართველოში მებაღეობა კიდევ უფრო განვითარდა. ბაღი მეტ-ნაკლები სიდიდისა და ხარისხისა, ტიპური და დამახასიათებელი ყოფილა მოსახლეობის ყველა ფენისათვის. მეფეებსა და მსხვილ ფეოდალებს განსაკუთრებით ვრცელი და მდიდარი ბაღები ჰქონიათ. იოანე შავთელი ასე აგვიწერს მეფის სასახლესა და ბაღს:

„თუ უქო სრანი მე ამას, რანი?
გალავანისა შემკულობანი,
მტილ სამოთხენი, თვალთ სამოთხენი,
ზედ ავაზანთა შეთქმულობანი..."[2].

ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ რამდენადაც წალკოტისა და მებაღეობის კულტურის მეთაური ძველად და საშუალო საუკუნეებში აღმოსავლეთი იყო, იმდენად ქართულ მემტილეობას და წალკოტის კულტურასაც აღმოსავლეთის, სპარსეთისა და შუამდინარეთ-ასურეთის მებაღეობა-მებოსტნეობასთან უნდა ჰქონოდა კავშირი[3].

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბაღებში გამოჰყავდათ ვარდ-ყვავილები. ამაზე შოთა რუსთაველიც მიუთითებს:

„ნახეს ქალაქი, მოცული გარე ბაღისა ტევრითა,
გვარად უცხონი ყვავილნი, ფერითა ბევრის-ბევრითა".

მებაღეობა და მემტილეობა გეგმიან მუშაობას მოითხოვდა (გარკვეულ რიგზე დარგვა-დათესვას, დაკვალვას და სხვ.).

X ს. თბილისში ხეხილის ბაღების სიმრავლეზე არაბი გეოგრაფებიც მიუთითებენ. ბუნებრივია, XI — XII სს. კიდევ უფრო გაფართოვდებოდა მებაღეობა-მებოსტნეობა.

XI — XII საუკუნეებში საქართველოში განვითარებული იყო მეაბ-

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 110.
[2] ი ო ა ნ ე შ ა ვ თ ე ლ ი, აბდულმესიანი, ს. კაკაბაძის გამოცემა, თბ., 1937, გვ. 28.
[3] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 111.

რეშუმეობა. აბრეშუმს ამზადებდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში[1] და გაჰქონდათ კიდეც გასაყიდად. შემთხვევითი არ არის, რომ აბრეშუმზე საგლეხო გადასახადი („საყაჭობო") იყო დაწესებული.

§ 4. ქალაქები. ხელოსნობა და ვაჭრობა

ა. ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს სამეფო-სამთავროების გაერთიანება ხელს უწყობდა ეკონომიკური კავშირის გაძლიერებას ქვეყნის სხვადასხვა რაიონებს შორის. იქმნებოდა ახალი ხელსაყრელი პირობები შემდგომი ეკონომიკური განვითარებისათვის, მაგრამ ეს პროცესი რამდენიმე ხნით შეაჩერა ბიზანტიის იმპერატორ ბასილის და შემდეგ თურქ-სელჩუკების მრავალჯერადმა შემოსევებმა. XI ს. ბოლოსათვის საქართველოს უმნიშვნელოვანესი ქალაქები — თბილისი, რუსთავი, დმანისი, სამშვილდე და სხვ. თურქ-სელჩუკების ხელში მოექცა. ასეთ პირობებში ახლად წარმოქმნილი ფეოდალური მონარქია იძულებული გახდა ებრძოლა როგორც საქართველოს გაერთიანების დამთავრებისათვის, ისე უცხოელ დამპყრობელთა განდევნისათვის. ამ ორმხრივ ბრძოლაში სამეფო ხელისუფლებას წვრილ აზნაურებთან და ეკლესიასთან ერთად ეხმარებოდნენ აგრეთვე ქალაქები.

სამეფო ხელისუფლებას კარგად ესმოდა ქალაქების მნიშვნელობა ქვეყნის გაერთიანების საქმეში და ამიტომ არა მარტო ცდილობდა გაეთავისუფლებინა ისინი უცხოელი დამპყრობლების თუ მსხვილი ფეოდალებისაგან, არამედ ხელს უწყობდა საქალაქო ცხოვრების შემდგომ აყვავებასაც.

ასე შეიქმნა კავშირი სამეფო ხელისუფლებასა და ქალაქებს შორის. ფ. ენგელსის მიხედვით, „კავშირი მეფის ხელისუფლებასა და ბიურგერობას შორის X საუკუნით თარიღდება. მართალია, ეს კავშირი ხშირად წყდებოდა კონფლიქტების გამო, — ხომ მართალია, რომ მთელი შუასაუკუნეების განმავლობაში განვითარება განუწყვეტლად ერთი მიმართულებით არ მიდიოდა, — მაგრამ იგი სულ მუდამ ახლდებოდა და ამასთან უფრო მტკიცე, უფრო ძლიერი ხდებოდა, ვიდრე მან გადამწყვეტი გამარჯვება არ მოუტანა სამეფო ხელისუფლებას, რომელმაც მადლობის ნიშნად თავისი მოკავშირე დაიმონა და გაძარცვა"[2]. ფ. ენგელსის ეს აზრი მტკიცდება საქართველოს მაგალითზეც.

---

[1] ნ. ა ბ ე ს ა ძ ე, მეაბრეშუმეობა საქართველოში, თბ., 1957.

[2] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. გლეხთა ომი გერმანიაში, თბ., 1956, გვ. 190.

სახელმწიფო ხელისუფლება ხელმძღვანელობდა ახალი გზების გაყვანას, ძველების შეკეთებას, ხიდების, სასტუმროების, ქარვასლების მშენებლობას და სხვ. განსაკუთრებით ბევრი გაკეთდა ამ მიმართულებით დავით IV აღმაშენებლისა (1089—1125) და მისი უახლოესი მემკვიდრეების დროს. ამრიგად, ცენტრალური ხელისუფლების მფარველობა ხელს უწყობდა ფეოდალური ქალაქების ზრდას.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ქართველი ხალხის ბრძოლა თურქ-სელჩუკთაგან განთავისუფლებისათვის, რომლის შედეგად ქალაქები თავისუფლდებოდნენ როგორც უცხო დამპყრობთა პოლიტიკური ბატონობისაგან, ისე მათ მიერ დაწესებული მძიმე ხარკისაგან.

ამიტომ, ბუნებრივია, ქალაქები სამეფო ხელისუფლების მხარეზე იყვნენ. მაგრამ მეფის ხელისუფლებისა და ქალაქების კავშირი ხშირად ირღვეოდა. როცა ქალაქები თავს დამოუკიდებლად თვლიდნენ და როცა მათ არ ემუქრებოდა საფრთხე უცხოელი დამპყრობლებისაგან ან ადგილობრივი ფეოდალური არისტოკრატიისაგან და, მაშასადამე, არ საჭიროებდნენ სამეფო ხელისუფლების დახმარებას, ისინი იბრძოდნენ ქალაქში მეფის მფლობელობის დამყარების წინააღმდეგ. ამით აიხსნება, რომ დავით IV-ს მოუხდა თბილისის ძალით აღება და მისი გაერთიანებული საქართველოს ფარგლებში შეყვანა. დამახასიათებელია, რომ ამ დროს თბილისი დამოუკიდებელი, თვითმმართველი ქალაქი იყო.

სხვანაირი იყო ქალაქის პოზიცია, თუ მას ემუქრებოდა საფრთხე გარეშე ან შინაგანი მტრების მხრივ. ასეთ შემთხვევაში ქალაქი სამეფო ხელისუფლების დახმარებას ითხოვდა და მოუწოდებდა მას დაუფლებოდა ქალაქს. ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ დავით IV-მ თვით „ანისის მეთაურების“ მოწვევით 1123 წ. უბრძოლველად აიღო ქ. ანისი. ასევე საინტერესოა ამ თვალსაზრისით მეორე სომხური ქალაქის — კარის (ყარსის) აღების ეპიზოდი თამარ მეფის დროს[1].

ამრიგად, უცხო დამპყრობლებისა და ადგილობრივი ფეოდალური არისტოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლა აიძულებდა ქალაქებს ეძებნათ კავშირი სამეფო ხელისუფლებასთან. თავის მხრივ, სამეფო ხელისუფლება ცდილობდა გამოეყენებინა ეს მოკავშირე საკუთარი გაძლიერების მიზნით და ამიტომ რამდენადმე ხელს უწყობდა ქალაქების განვითარებას და მათ განთავისუფლებას უცხოელი დამპყრობლებისაგან.

თურქ-სელჩუკების პოლიტიკური ბატონობისაგან საქართველოს ქალაქების განთავისუფლება ხდება დავით IV-ის დროს: 1110 წ. განთავისუფლებულ იქნა ქ. სამშვილდე, 1115 წ. — ქ. რუსთავი, 1122 წ. — ქ. თბილისი, 1123 წ. — ქ. დმანისი და სხვ.

---

[1] Ш. А. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, с. 41.

თავისი მოკავშირეების გაძლიერების მიზნით სახელმწიფო ხელისუფლება ზრუნავდა არა მარტო არსებული ქალაქების შემდგომი განვითარებისათვის, არამედ ახალი ქალაქების შექმნისთვისაც. მაგალითად, საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის დროს ბაგრატ IV-ის ბრძანებით აშენდა ქ. ატენი[1].

XI — XII სს. მიჯნაზე მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცენტრად იქცა ქ. გორი. ამ დრომდე პირველობა გორის ახლოს მდებარე ქ. უფლისციხეს ჰქონდა. თბილისის განთავისუფლებისა და მისი საქართველოს დედაქალაქად გადაქცევის შემდეგ, უფლისციხის მნიშვნელობა თანდათანობით მცირდება. ამის შედეგად იქმნება ხელსაყრელი პირობები ჩრდილოეთით, სამხრეთით და დასავლეთით მიმავალი გზების ჯვარედინზე მდებარე გორის აყვავებისათვის. შემთხვევითი არაა, რომ ქართული და უცხოური წყაროები გორს დავით IV-ის დროს წარმოქმნილ ქალაქად თვლიან. მართლაც, ყოფილი ციხესიმაგრე გორი XII ს. დასაწყისში ხელახლა შენდება და იქცევა ქალაქად. მეფემ აქ გადმოასახლა დიდი რაოდენობით ახალი, უმთავრესად სომხური მოსახლეობა. დამახასიათებელია, რომ ქალაქის აყვავებით დაინტერესებული მეფე გორის ახალი მოსახლეობისათვის შესაფერის ხელსაყრელ პირობებს ქმნის. ამ მიზეზის გამო, მათე ურჰაელის სიტყვით, „სომხები დიდი სიხარულითა და აღფრთოვანებით ეპყრობოდნენ მას (დავით IV-ს)"[2].

XII ს. პირველ მეოთხედში მთავრდება საქართველოს გაერთიანება და მისი მეზობლების განთავისუფლება თურქ-სელჩუკებისაგან. ამ დროიდან საქართველოს სახით წინა აზიაში იქმნება უძლიერესი ფეოდალური სახელმწიფო. დავით IV აღმაშენებლისა და მისი მემკვიდრეების მეფობის დროს საქართველოსადმი დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ ჩრდილოეთ კავკასია, აღმოსავლეთ ამიერკავკასია, სამხრეთ (ე. ი. ირანის) აზერბაიჯანი, მთელი სომხეთი და შავი ზღვის სამხრეთი სანაპირო (ტრაპეზუნტის სამეფო). XII — XIII სს. სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დარგში გატარებულმა გარდაქმნებმა და, გარდა ამისა, ამ დროისათვის შექმნილმა ცხოვრების შედარებით მშვიდობიანმა პირობებმა ხელი შეუწყვეს საქართველოსა და მის მეზობლებს შორის ეკონომიკური კავშირის შემდგომ გაძლიერებას, შექმნეს უფრო მყარი გარანტია „ვაჭრის პიროვნებისა და მისი საკუთრების უზრუნველყოფისათვის" (ენგელსი), რაც აპირობებდა საქალაქო ცხოვრების შემდგომ განვითარებას, ახალი ქალაქების წარმოშობას.

---

[1] Ш. А. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, с. 42—43.

[2] მათე ურჰაელი, ქრონოგრაფია, ვაღარშაპატი, 1898, გვ. 356 — 357 (სომხურ ენაზე).

გარდა ზემოაღნიშნული ქალაქებისა, XI — XII სს. წარმოიშვა სხვა ქალაქებიც. სამხრეთ რუსეთის ქალაქებთან სავაჭრო ურთიერთობის შედეგად XII ს. საქართველოდან ჩრდილოეთით მიმავალ გზაზე წარმოიშვა ქ. ჟინვანი. ამ ქალაქის განსაკუთრებული მნიშვნელობით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ მეფე მას საგამგეოდ აძლევდა ყველაზე მსხვილ სახელმწიფო მოხელეებს[1]. ამ დროსვე აშენდა სამხრეთით ქ. ბარალეთი. XII ს. უნდა იყოს წარმოშობილი ქალაქები — სურამი, ალი და ზოვრეთი[2].

ამრიგად, წერილობითი წყაროების მონაცემებით, XI — XII საუკუნეებში წარმოიშვნენ შემდეგი ქალაქები: ატენი, გორი, ჟინვანი, ბარალეთი, სურამი, ალი, ზოვრეთი.

ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნის დროიდან ზოგიერთმა ადრეფეოდალურმა ქალაქმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა. მაგალითად, როგორც ქალაქი ამ დროისათვის აღარ არსებობდა წუნდა. XI — XII სს. წყაროები მას აღარ ახსენებენ. როგორც ჩანს, ახალი ფეოდალური ქალაქების (ახალქალაქი, თმოგვი) წარმოშობის შედეგად ქალაქი, რომელიც ჯერ კიდევ მონათმფლობელურ ხანაში წარმოიშვა, კარგავს თავის ძველ მნიშვნელობას. ვახუშტის სიტყვით, წუნდა იყო ქალაქი და ციხე და ერისთავის რეზიდენცია ერთმეფობამდე, ხოლო ამჟამად უკვე აღარ არის ქალაქი, არამედ მხოლოდ ციხეა[3]. უნდა აღინიშნოს, რომ წუნდაში ახლაც არსებობს XIII ს. ტაძარი, რომელიც იმაზე მიუთითებს, რომ იმ დროს იქ ჯერ კიდევ იყო დასახლებული პუნქტი, რომელსაც, როგორც ჩანს, არ ჰქონდა განსაკუთრებული ეკონომიკური მნიშვნელობა.

X — XI საუკუნეებში როგორც ქალაქმა, შეწყვიტა არსებობა, ადრეფეოდალური ეპოქის ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა ცენტრმა უჯარმამ, მაგრამ მან, როგორც ციხესიმაგრემ, თავისი მნიშვნელობა შეინარჩუნა თითქმის XVIII ს. ბოლომდე[4].

აღნიშნული პერიოდის დასავლეთ საქართველოს ქალაქების შესახებ წყაროები არ მოგვეპოვება.

როგორც ვნახეთ, XI — XII სს. საქართველოში არ ჰქონდა ადგილი ქალაქთა რაოდენობის მნიშვნელოვან ზრდას. მაგრამ, მეორე მხრივ, შეინიშნება არსებული ქალაქების მნიშვნელობისა და სიძლიერის ზრდა. ამ დროის მნიშვნელოვანი ქალაქებია: თბილისი, რუსთავი, გორი, ჟინვანი,

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 55; თ. ყ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II. გვ. 277 — 278; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ვეფხისტყაოსნის გამოცემის წინასიტყვაობა, II გამოც., გვ. XIII; პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, რუსთველიანა, თბ., 1926, გვ. 169 — 188.

[2] შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 44 — 45.

[3] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა... გვ. 130.

[4] უფრო დაწვრილებით იხ. დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ციხე-ქალაქი უჯარმა, თბ., 1966.

დმანისი, ახალქალაქი[1], ახალციხე, თმოგვი, სამშვილდე, ოძრხე, ხუნანი, თელავი[2], ქუთაისი და სხვ.

გარდა აღნიშნული ქალაქებისა, საქართველოში არსებობდა ქალაქური ტიპის დასახლებანი. XI — XII სს. ასეთი პუნქტები იყო: მცხეთა, უჯარმა, ჭერემი, მანგლისი, აწყური, ლორე, ერუშეთი, ნაჭარმაგევი, გეგუთი, ბოლნისი. გაგი, ჟალეთი, ბოჭორმა და ა. შ., რომლებიც ჩვენთვის ცნობილ წყაროებში არსად მოიხსენებიან როგორც ქალაქები და ეს ალბათ იმის გამო, რომ მათი მუდმივი სავაჭრო-ხელოსნური მოსახლეობა მცირერიცხოვანი იყო. ამის მიუხედავად, აღნიშნული პუნქტები მაინც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ფეოდალური ეპოქის საქართველოს ქალაქები უმთავრესად ხელოსნური წარმოებისა და ვაჭრობის ცენტრები იყო.

ბ. ხელოსნობა

ხელოსნობას, ისე როგორც ყველა ფეოდალური ქვეყნის მეურნეობაში, XI — XII სს. საქართველოშიც ფრიად მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა ჰქონდა. ახასიათებდა რა ხელოსნობის მნიშვნელობას ფეოდალურ ქვეყანაში, ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ იგი „ქალაქის ყოფაცხოვრების აუცილებელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს... ის მნიშვნელოვნად არის გავრცელებული სოფლადაც და გლეხური მეურნეობის დამატების დანიშნულებას ასრულებს“[3]. ასე იყო ფეოდალურ საქართველოშიც. XI საუკუნიდან მოკიდებული საქალაქო ცხოვრების მკვეთრი გამოცოცხლება შეიმჩნევა. ხელოსნობა უფრო გაემიჯნა სოფლის მეურნეობას. ხელოსნური ნაწარმი ფართო საზოგადოების მოხმარების საგანი გახდა. აღნიშნული პერიოდის საქართველოში დაწინაურებული ჩანს ხელოსნობის სხვადასხვა დარგი: მეთუნეობა-მეკეცეობა, მეჭურჭლეობა, მჭედლობა, კალატოზობა, დურგლობა, მეხამლეობა, ოქრომჭედლობა, მეპურეობა, მენელსაცხებლობა, წიგნების გადაწერა, აკინძვა და სხვ. ხელოსნობის სხვადასხვა დარგის ფართოდ გავრცელებასა და განვითარებას მოწმობს არა მარტო ისტორიული წერილობითი წყაროები, არამედ ამ პერიოდის ხელოვნებისა და მატერიალური კულტურის ძეგლები.

---

[1] ე. ჯ ა ნ დ ი ე რ ი, ჯავახეთის ახალქალაქის ისტორიისათვის, კრებ. „ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები“, I, თბ., 1969, გვ. 46 — 69.

[2] ც. ჩ ი კ ო ბ ა ვ ა, ქალაქ თელავის ისტორიისათვის, კრებ. „ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები“, გვ. 24 — 43.

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, თხზ., ტ. 3, IV გამოცემა, გვ. 383.

თიხის ჭურჭლის მწარმოებელს ძველ ქართულში „მეკეცე“ ეწოდებოდა. მეკეცეთა მიერ ხმარებული სხვადასხვა ნედლი მასალის აღსანიშნავად ძველ ქართულ წერილობით წყაროებში იხმარებოდა: „მიწა“, „თიხა“, „ლამი“, „ქვიშა“, „წერნაქი“, და სხვ. მეკეცეობაში ორი ძირითადი სპეციალობა გამოირჩეოდა: მეჭურჭლეობა (რომელშიც ქვევრისა და თონის კეთებაც შედიოდა) და მეალიზეობა, ანუ მეაგურეობა (რომელშიც კრამიტის კეთებაც შედიოდა)[1].

აღსანიშნავია, რომ თიხისაგან ნაკეთებ უბრალო ჭურჭლებთან ერთად დიდი რაოდენობით მზადდებოდა მოჭიქული ჭურჭლები. მოსაჭიქავად წერნაქი (წითელი მოსახატავი) იხმარებოდა. ზოგჯერ ჭურჭლები უწერნაქოდაც მოიხატებოდა. ამგვარ მოხატვას „დაჭრელება“ ან „დაკენჭა“ ეწოდებოდა. მეტად საინტერესო კერამიკული მასალა აღმოჩნდა დმანისში, რომელიც გამოირჩეოდა ორნამენტული სახეების სიმრავლით, თამამად და მკაფიოდ გამოყვანილი კონტურებითა და დიდი გემოვნებით შეხამებული ფერებით[2]. მოჭიქულ ჭურჭელთა შორის აღმოჩნდა ქართულწარწერებიანი ჭურჭლები. მოჭიქული ჭურჭლები და მისი ნამტვრევები მრავლადაა აღმოჩენილი სხალტბა-შიომღვიმის წყალსადენის (1202 წ.) გათხრის დროს[3]. საგულისხმოა, რომ ფეოდალურ საქართველოში (XI—XII სს.) გვხვდება ფაიანსი და ქაშანური ჭურჭელი, რაც, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, ნაწილობრივ ადგილობრივი ნაწარმი უნდა იყოს.

ქართველი ხელოსნების მიერ დამზადებული აგური ფართოდ გამოიყენებოდა მშენებლობაში. საქართველო ქვით ხუროობით ცნობილი ქვეყანა იყო, მაგრამ საშენ მასალად არა მარტო თლილ და რიყის ქვებს იყენებდნენ, არამედ აგურსაც. აგურის ნაგებობის არსებობა და ქვითკირის შენობაში აგურის გამოყენების შემთხვევები დამოწმებულია ქართველი ხელოვნების ისტორიკოსებისა და არქეოლოგების მიერ. მეალიზეთა ხელობას კრამიტის წარმოებაც შეადგენდა. კრამიტი ძველთაგანვე გამოიყენებოდა შენობათა გადასახურავად. ნიშანდობლივია, რომ საჭიროების შემთხვევაში აგური და კრამიტი მოიჭიქებოდა. მეალიზეები XI — XII სს. საქართველოში ფართოდ წარმოებული წყალსადენების მშენებლობისათვის ამზადებდნენ მილებს (სადინარებს). თიხის მილები მრავლადაა აღმო-

---

[1] შ. მ ე ს ხ ი ა, ხელოსნობა ძველ საქართველოში (V — XII სს.), ხელნაწერი, გვ. 92. კერამიკული წარმოების შესახებ იხ. აგრეთვე, ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, კერამიკული წარმოება XI — XIII სს. საქართველოში, თბ., 1956.

[2] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დმანისი, გვ. 443.

[3] შ. ხ ი დ ა შ ე ლ ი, სხალტბა-შიომღვიმის წყალსადენი, გვ. 234.

ჩენილი სხალტბაში, მცხეთის მიდამოებში, ველისციხეში, დმანისსა და გეგუთში[1].

XI — XII საუკუნეების საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული სპილენძისა და ოქრო-ვერცხლის ჭურჭლის წარმოება. ისტორიულ წყაროებში ცალკე იხსენიებიან „ჭურჭელთა მჭედლები". ბუნებრივია, დასამუშავებელი მასალის შესაბამისად ჭურჭლის მჭედლები იყოფოდნენ სპილენძის („რვალით ხუროთ") ან ოქრო-ვერცხლის მჭედლებად. რვალით ხუროს დამზადებული ნაწარმია: „სიავი", „ქუაბი", „სათბობელი", „ლაგენი" და სხვ. ოქრო-ვერცხლის მჭედლების ნახელავია „ჭურჭელი ვერცხლისა" (თასი ვერცხლისაჲ, კოვზი ვერცხლისაჲ, ბარძიმი, ტაბაკი, საცეცხლური). ვერცხლის ჭურჭელს ზოგჯერ მოაოქროვებდნენ. ამის გარდა, უშუალოდ ოქროსგანაც ამზადებდნენ ნივთებს. „ჭურჭელი ოქროსაჲ" მზადდებოდა: ბარძიმ-ფეშხუმი, ტაბაკი, ჯამი და სხვ.[2]. ნივთები ძვირფასი თვლებით იმკობოდა. ასეთი თვლები კი მრავლად ყოფილა ჩვენთვის საინტერესო პერიოდის საქართველოში. „ვეფხისტყაოსანში" გვხვდება ძვირფასი ქვების 17 სახელწოდება (ალმასი, ამარტა, აყიყი, ბადახში (ანუ ბალახში), ბროლი, გიშერი, ზურმუხტი, წითელი იაგუნდი, ყვითელი იაგუნდი, ლალი, ლაჟვარდი, მარგალიტი, სათი, ფაზარი, ფეროზი (ფირუზი), ქარვა და ძოწი)[3].

XI — XII სს. საქართველოში ჭურჭლეული მზადდებოდა მინისა და ბროლისაგანაც. ამ პერიოდის ისტორიულ წყაროებში[4] მოხსენებულია „მინის ხატები", „მინის კანდლები", „ბროლის ბარძიმი", „ბროლის სასანთლე" და სხვ. როგორც ჩანს, საქართველოში მინის წარმოების სხვადასხვა ცენტრი იყო[5], რამაც ამ დარგის დაწინაურება განაპირობა.

ქსოვა და კერვა ხელოსნობის ძველთაგანვე ცნობილი დარგებია საქართველოში. მქსოველთა შრომის ნაყოფი იყო „ნაქსოვი". ქართულ წერილობით წყაროებში „ნაქსოვი" ქსოვილთა ზოგადი სახელია. ასე აქვს ეს ტერმინი ნახმარი შოთა რუსთაველსაც („სილბო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაჭედისა"). ნაქსოვის ყოველგვარი სახეობის აღმნიშვნელი, რო-

---

[1] შ. ხ ი დ ა შ ე ლ ი, სხალტბა-შიომღვიმის წყალსადენი, გვ. 264.

[2] შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 110—111.

[3] ნ. ქ ო ი ა ვ ა, ძვირფასი ქვები შოთა რუსთაველის პოემაში, ენიმკის მოამბე, III, თბ., 1938, გვ. 58.

[4] იხ. ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი (1123), ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დ ო ლ ი ძ ი ს გამოცემა, თბ., 1965, გვ. 12 — 18; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, თბ., 1967, გვ. 217 — 289.

[5] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 448. ნ. უ გ რ ე ლ ი ძ ე, მინა ძველ საქართველოში, თბ., 1961.

გორც ჩანს, იყო „ლარი“[1]. ხელოსანთა გაწაფულობაზე იყო დამოკიდებული ქსოვილის ავკარგიანობა. ამასთან, არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა თვით საქსოვი ძაფის ხარისხს. მასალის მიხედვით განისაზღვრებოდა ნაქსოვის სახელწოდებაც (სამოსელი სელისა, სამოსელი მატყლისა და სხვ.). ძაფს, რომლითაც ლარი იქსოვებოდა, „მკედი“ ერქვა. მქსოველი-ხელოსნები სხვადასხვაგვარად ქსოვდნენ. ნაირგვარი მასალისაგან გამოყვანილი ძაფის ერთად მოქსოვას „შერთულად ქსოვა“ ეწოდებოდა. ამგვარად მოქსოვილი ზოგჯერ „ჭრელად ნაქსოვი“ იყო. „ვეფხისტყაოსანში“ იხსენიება „ლარულად“ და „ორხაულად“ ქსოვა:

„ვერა შევიგენ, რა იყო, ანუ ნაქმარი რაულად.
ვისცა ვუჩვენი, უკვირდის, ღმრთისაგან თქვის სასწაულად;
არცა ლ ა რ უ ლ ა დ ჰგებოდა მას ქსელი, არ ორხაულად,
სიმტკიცე ჰგვანდის ნაჭედსა, ვთქვი ცეცხლთა შენართაულად“.

„ლარული“ ლარიდან არის ნაწარმოები. მისგან განსხვავდებოდა ორხაული ქსოვა. ამ უკანასკნელი წესით იქსოვებოდა ნოხები, ხალიჩები და სხვ. მისთანანი[2]. უბრალო ქსოვილთა გვერდით წერილობით ძეგლებში გვხვდება „ოქროქსოვილი“. ოქროქსოვილი ხავერდი „ოქსინოდ“ იწოდება. სირმით ნაქსოვ ფარჩეულს „სტავრა“ ერქვა.

ნაქსოვის დამამზადებელ ხელოსნებს „მქსოველნი“ (ან „მექსლე“) ეწოდებოდათ. შოთა რუსთაველი მქსოველს მბეჭველადაც მოიხსენიებს („კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა მ ბ ე ჭ ვ ე ლ ს ა“). ბუნებრივია, მქსოველებს ჰქონდათ ქსოვისათვის საჭირო სათანადო იარაღი (საქუსალი). ძაფი ან მოქსოვილი ლარი საჭიროების შემთხვევაში იღებებოდა. ამ საქმეს მღებავები („მღებვარნი“) ასრულებდნენ საგანგებოდ განკუთვნილ შენობებში—„სამღებროებში“[3]. შემდეგი ეტაპი მოქსოვილი და საჭიროების შემთხვევაში შეღებილი ლარის შეკერვა იყო. ამ საქმეს აგვარებდნენ „მკერვალნი“. ისინი დამოუკიდებელი ხელოსნები იყვნენ და ს ა მ კ ე რ ვ ა ლ ო შ ი საქმობდნენ. სამოსი სხვადასხვაგვარი იკერებოდა („სადიაცო“, „სამამაცო“ და სხვ.). ქალის ტანსაცმელს „შესამოსელი ქალისა“ ერქვა („მოიღეს, ტანსა ჩააცვეს შესამოსელი ქალისა“ — შოთა რუსთაველი). იკერებოდა საერო (სამეუფო შესამოსელი, სადარბაზო, საქორწინო) და სასულიერო („სამოსელი სამღვდელო“, „დიაკონთა სამოსელი“) სამოსები.

---

[1] შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 116.

[2] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, ტექსტილური მრეწველობის ორი ტერმინისათვის „ვეფხისტყაოსანში“, მნათობი, 1959, № 11, გვ. 158 — 163.

[3] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, სამღებროთა შესახებ XVIII ს. საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, თბ., 1967, გვ. 309 — 351; შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 127.

მკერვალნი არა მარტო კერავდნენ ტანსაცმელს, არამედ ქარგავდნენ და რთავდნენ კიდეც.

ხელოსანთა ცალკე ჯგუფს შეადგენდნენ ფეხსაცმლის მკერვალნი, ანუ მეხამლენი. იკერებოდა სხვადასხვა სახის ფეხსაცმელები (ქალამანი, წაღი და სხვ.).

XI — XII სს. საქართველოში დაწინაურებული იყო მჭედლობა. მჭედლები დასამუშავებელი მასალის შესაბამისად არიან დასპეციალებულნი (მჭედელნი რკინისანი, ოქრომჭედელნი და სხვ.). „მჭედელნი რკინისა და რვალისანი" უმთავრესად რკინისა და რვალის ნივთებს აკეთებენ[1]. „უჭედელი რკინა" ჭედილთან ერთად ხშირად გაცვლა-გამოცვლის საგანი იყო. ნიკორწმიდის იადგარში (XI ს.) ნათქვამია: „მუნვე ზნაკუას კეპოიასძისაგან ვიყიდე ყანაჲ ა; და მივეც ხარი ერთი, რ კ ი ნ ა ჲ ლიტრაჲ რვაჲ და ქალამანი ბ"[2]. მსგავსი ფაქტები სხვაც გვაქვს. მზადდებოდა სამეურნეო (სახნისი, ნამგალი, ცული და სხვ.), საომარი (ჯაჭვ-ჯავშანი, ხმალი, მუზარადი, ჩუგლუგი, საბარკული და სხვ.) და სხვა დანიშნულების საგნები.

ოქროსა და ვერცხლის ნივთების დამამზადებელ ხელოსნებს ოქრომჭედლები ეწოდებოდა. ოქრომჭედლის დასამუშავებელი მასალა „უჭედელი ოქრო" იყო, რომლისგან ჭურჭლების გარდა იჭედებოდა ნაირგვარი სამკაული („საყურეები ოქროსანი", „სალტენი ოქროსანი"). ოქრომჭედლები საეკლესიო ნივთების (ხატები, ჯვრები) მოჭედვასა და შემკობას აწარმოებდნენ. XII საუკუნის საქართველოში ოქრომჭედლობის რამდენიმე ცენტრი არსებობდა (ოპიზის, ტბეთის, გელათის), რომლებმაც თავიანთი ნაწარმით საკმაოდ გაითქვეს სახელი და მეტოქეობას უწევდნენ იმ დროს განთქმული ბიზანტიის ხელოსნურ ნაწარმს.

მჭედლები და ოქრომჭედლები მუშაობას აწარმოებდნენ „სამჭედლოში", სადაც „სადნობელი" (ბრძმედი) და „გამოსახურვებელი" იყო. მჭედლის იარაღები იყო „ურო" და „კუერი".

განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში, როცა განათლებასა და კულტურას დიდი ყურადღება დაუთმო სამეფო ხელისუფლებამ, მწიგნობრობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ხელოსნური დარგებიც განვითარდა („წერაჲ ხუცურისაჲ", „შექმნაჲ ეტრატისაჲ", „შეკერვაჲ წიგნისაჲ").

---

[1] XI—XII სს. საქართველოში რკინის წარმოების დიდ მასშტაბებს მოწმობს არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ქურები და წიდა (იხ. ი. გ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, რკინის სადნობი ძველი სახელოსნოები აღმოსავლეთ საქართველოში, „მაცნე", 1964, № 1, გვ. 188 — 199; მ ი ს ი ვ ე, რუსთაველის ეპოქის რკინის მეტალურგია, „მაცნე", 1966, № 5).

[2] ნიკორწმიდის იადგარი, ქართული სამართლის ძეგლები (ი. დ ო ლ ი ძ ი ს გამოცემა), III, თბ., 1970, გვ. 28.

ხელოსანთა გარკვეულ ჯგუფს ქმნიდნენ მენელსაცხებლენი და „დამყვანელნი წვერთანი“, ანუ „მკვეცარნი“.

XI — XII სს. საქართველოში ხელოსნები ერთ გარკვეულ წოდებას არ წარმოადგენდნენ. ზოგი მათგანი ბატონყმობის უღელში იყო შებმული, ზოგიც თავისუფალი იყო.

არათავისუფალი ხელოსნები ყმურ ბეგარა-ვალდებულებებს თავიანთი ხელოსნური ნაწარმით ასრულებდნენ. „საფასის გარეშე მოქმედნი“ ხელოსნები ჰყავდათ ფეოდალებს (აზნაურები, ეკლესია-მონასტრები). ისინი მრავლად იყვნენ სამეფო კარზე. ყმა ხელოსანთა მდგომარეობა ნაირგვარი იყო ბატონისა და ხელოსნის დამოკიდებულების შინაარსის შესაბამისად (ზოგი „შეწირული“ იყო, ზოგიც „მსახური“ და სხვ.).

სოფ. ფოკას (ჯავახეთი) ეკლესიის წარწერიდან (XI ს.) ჩანს, რომ ქართლის კათალიკოსის ოქროპირის ხელოსანს ბავრელს აუგია ფოკას ეკლესია[1]. ცხადია, მას სხვა ხელოსნებიც ეყოლებოდა.

არათავისუფალ ხელოსანთაგან შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ მ ს ა ხ უ რ ი ხელოსნები[2]. შ ე წ ი რ უ ლ ი ხელოსნები ეკლესია-მონასტრებს ჰყავდათ.

მნიშვნელოვანი ცნობებია მოცემული ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ აბუსერისძე ტბელის თხზულებაში, სადაც მოთხრობილია „გალატოზი“ ბოლოკ-ბასილის (XII ს.) მიერ ეკლესიის აგების ამბავი. ბოლოკ-ბასილი სოციალური მდგომარეობით ღარიბი გლეხია, ერთი უღელი ხარის პატრონი. იგი საშოვარზე მიდის „მახლობლად თფილისისასა“. აბუსერისძე ტბელის თხზულებიდან ჩანს, რომ გლეხები, ბოლოკ-ბასილის მსგავსად, ხშირად დადიოდნენ საშოვარზე — მოსარეწელად[3]. ჩანს, ბოლოკ-ბასილი თავისუფალი ხელოსანი იყო. იგი სამუშაოს საძებნელად უცხო ქვეყანაშიც კი დადის. თვითონაც აცხადებს, რომ „უცხოებასა მუშაკობა“ მისთვის ერთადერთი სახსარი იყო. ბოლოკ-ბასილის მსგავსი მოსარეწელად მოსიარულე თავისუფალი ხელოსნები სხვებიც იყვნენ. ზოგ ხელოსანს თავისი საქმე ფართოდ გაუშლია და დიდი მოგებაც უნახავს[4].

ზოგი ხელოსანი „ღირსეულ“ პირად იყო მიჩნეული და საზოგადოებრივ ცხოვრებაში საპატიო ადგილიც ეკავა. შემთხვევითი არ არის, რომ ბექა ოპიზარი ზოგიერთ მინაწერში „ღირს ოქრომქანდაკებლად“ იხსენიება. ამგვარი „ღირსეული“ ხელოსნები, ბუნებრივია, სხვებიც იქნებოდნენ. მეცნიერთა ვარაუდით, ძველ საქართველოში ხელოსნობის გარკვეული

[1] ვ. ც ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959, გვ. 33.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკვ. I, გვ. 64.

[3] ა ბ უ ს ე რ ი ძ ე ტ ბ ე ლ ი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერიძეთა საგვარეულო მატიანე, ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ს გამოც., 1941.

[4] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, თბ., 1907, გვ. 40.

დარგები და ზოგი ხელოსანი სათანადო უფლებებით სარგებლობდა და ზოგ შემთხვევაში ხელოსნები გლეხთა წოდებასთან შედარებით მაღლა იდგნენ[1].

ისტორიული წყაროები აშკარად მიგვანიშნებენ, რომ XI — XII საუკუნეების საქართველოს ხელოსნებში შრომა დანაწილებული იყო და არსებობდა სპეციალობების მიხედვით გარკვეული გაერთიანებები, რომლებსაც თავისი უფროსები ჰყავდათ. ქართულ ისტორიულ ძეგლებში იხსენიება ტერმინები, რომლებიც ამა თუ იმ დარგის, ხელოსანთა უფროსის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო („გალატოზთუხუცესი", „მკერვალთუხუცესი", „მხატვართუხუცესი", „მზარეულთუხუცესი" და სხვ.). ყოველივე ეს ხელოსნური შრომის მაღალგანვითარებულობაზე მიუთითებს[2].

ხელოსნები მუშაობდნენ როგორც შეკვეთით, ისე ბაზრისათვის.

ბ. ვაჭრობა

ფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქები არა მარტო ხელოსნური წარმოების ცენტრები იყვნენ, არამედ სავაჭრო პუნქტებიც. ქალაქები აქტიურად მონაწილეობდნენ როგორც საშინაო, ისე საგარეო ვაჭრობაში. დამახასიათებელია, რომ XI — XIII სს. დოკუმენტების მიხედვით მოხმარების თითქმის ყველა საგანი ყიდვა-გაყიდვის საგანი იყო.

წყაროებიდან ირკვევა, რომ ქართულ ქალაქებს მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა არაბეთთან, ირანთან, ბიზანტიასთან, ძველ რუსეთთან, სომხეთთან, ეგვიპტესთან, ჩინეთთან და სხვ. მაგალითად, XI — XIII სს. მასალების მიხედვით, ბაღდადიდან და სხვა მუსლიმანური ქვეყნებიდან შემოჰქონდათ სხვადასხვა სახის ქსოვილი, ნელსაცხებელი, ცხენის აკაზმულობა, შაქარი, ძვირფასი თვალ-მარგალიტი და სხვ. ამავე ქვეყნებიდან ზოგჯერ ზოდებით ოქრო და ფოლადიც კი შემოჰქონდათ, რომელთა დამუშავება ადგილობრივ ხდებოდა.

ბიზანტიიდან შემოჰქონდათ ქსოვილები, რომელსაც სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი ქსოვილებისაგან განსასხვავებლად „ბერძულს" უწოდებდნენ; ბიზანტიიდანვე მოდიოდა ოქროქსოვილი, სამღვდელმსახურო ნივთები და სხვ. ძვირფასი ფარჩეულობა მოჰქონდათ სომხეთიდანაც, რომელსაც „სომხურს" უწოდებდნენ[3]. აღსანიშნავია, რომ ქართველ ვაჭრებს მაღალხარისხოვანი მატყლი ალექსანდრიიდანაც შემოჰქონდათ[4].

---

[1] შ. მ ე ს ხ ი ა, ხელოსნობა ძველ საქართველოში (V — XII სს.), გვ. 248.

[2] რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1973, გვ. 296 —299.

[3] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1907, გვ. 30 — 31.

[4] ქართლის ცხოვრება, II, გვ. ᲔᲝ. შდრ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 33.

XII — XIII სს. განსაკუთრებით იზრდება ჩინური ქსოვილების გატანა დასავლეთში წინა აზიის გზით. საქართველოში შემოჰქონდათ ჩინური ქსოვილები და კერამიკაც. აღსანიშნავია, რომ ჩინური კერამიკის უაღრესად ძვირფასი სახე — სელადონი — აღმოჩენილ იქნა დმანისის ნაქალაქარის გათხრების დროს[1].

დმანისის არქეოლოგიური მასალები ადასტურებს ამ ქალაქის ურთიერთობას, ერთი მხრივ, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთთან[2] და, მეორე მხრივ, საქართველოს სამხრეთის ახლო თუ შორეულ მეზობლებთან.

საქართველოს ქალაქებს უცხოეთიდან არა მარტო შემოჰქონდათ სხვადასხვა სახის საქონელი, არამედ გაჰქონდათ კიდეც ადგილობრივი წარმოების საქონელი სხვადასხვა ქვეყანაში. საქართველოდან გაჰქონდათ ბამბის, მატყლის, აბრეშუმის ნაწარმი, სხვადასხვა სახის ქსოვილი, ტანისამოსი, ხალიჩები, კერამიკული ნაწარმი და სხვ. საქართველოს ქალაქების სავაჭრო ურთიერთობას მეზობელი ქვეყნების ქალაქებთან გვიჩვენებს აგრეთვე უცხოური მონეტების გავრცელება საქართველოში და, პირიქით, ქართული მონეტების გავრცელება მეზობელ ქვეყნებში.

საქართველოს ქალაქებს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთანაც. დამახასიათებელია, რომ ერთიანი საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის მიერ მოჭრილი მონეტის დღემდე ცნობილი ერთადერთი ცალი აღმოჩენილია სწორედ თბილისში, რომელიც მაშინ არაბთა ხელში იყო.

XI — XIII სს. თბილისის მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის შესახებ მეტყველებს აქ აღმოჩენილი ბიზანტიური მონეტები, ეიუბიდების, ილდიგიზიდების, მოსულის ათაბაგების, ორთუკიდების, რუმის სელჩუკიდების, ჯალალ ად-დინის და ჰულაგუიდების მონეტები[3].

დმანისის ნაქალაქარის გათხრების დროს ასევე აღმოჩნდა XI — XIII სს. ქართულ მონეტებთან ერთად ზემოხსენებული უცხოური მონეტები, აგრეთვე ჰენრიხ ფლანდრიელისა (1205 — 1206) და არაბულ-სომხური მონეტები[4]. XII — XIII სს. დმანისი იმდენად ძლიერი სავაჭრო ქალაქი იყო, რომ იგი XIII ს. პირველ ნახევარში საკუთარ მონეტასაც ჭრიდა. იმდროინდელ დმანურ მონეტაზე იკითხება: „ქალაქი დმანისი.

---

[1] Э. Кверфельд, Китайская керамика XII—XIII вв. на Кавказе, «Памятники эпохи Руставели», Л., 1938, с. 186—188.

[2] А. Банк, Керамика из Дманиси и Херсонеса, «Памятники эпохи Руставели», с. 179—180, 183—184.

[3] თ. ლომური, ფული რუსთაველის ეპოქაში, „რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის ძეგლები“, გვ. 312 — 313.

[4] იქვე, გვ. 316; ლ. მუსხელიშვილი, დმანისი, გვ. 446.

ხანგრძლივს ჰყოფს მას ღმერთი, წელსა ექვსას ორმოცდა ორსა“ (1245 წ.)[1].

ქ. ახალციხეში ნაპოვნია როგორც ქართული, ასევე XI — XIII სს. ბიზანტიური მონეტები, ორთუკიდების მონეტები, ჰალაბის ათაბაგებისა და ტრაპიზონული ასპრების მინაბაძები[2].

დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი ქუთაისი ვაჭრობას აწარმოებდა არა მარტო ბიზანტიის იმპერიასთან, არამედ აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებთანაც. მაგალითად, ქუთაისში ბიზანტიური[3] და ტრაპიზონული მონეტებისა და აგრეთვე ტრაპიზონული ასპრების მინაბაძთა[4] გარდა აღმოჩენილია სელჩუკიდების ვერცხლის დრაჰმები, ილდიგიზიდების მონეტა[5] და სხვ. ქუთაისი უცხოელთა ბატონობისაგან თბილისის განთავისუფლებამდე საქართველოს სამეფოს დედაქალაქი იყო და ამიტომ აქ, ცხადია, ზარაფხანაც არსებობდა. ქუთაისში ზარაფხანა უნდა არსებულიყო XIII ს. დამდეგსაც[6].

აღმოსავლური მონეტები ნაპოვნია დასავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებშიც; მაგალითად, ბიჭვინთაში აღმოჩენილია რუმის სელჩუკიდის კაიკობადის (1219—1236) მიერ კონიასა და სივასში მოჭრილი ვერცხლის დირჰემები[7]. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ XI—XIII სს. სხვადასხვა მუსლიმანური დინასტიების (ეიუბიდები, ილდიგიზიდები, ორთუკიდები, აზერბაიჯანის სელჩუკიდები, მოსულისა და ჰალაბის ათაბაგები და მონღოლები) სპილენძისა და ვერცხლის მონეტები, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოში ყოფილა გავრცელებული, დასავლეთში თითქმის სულ არ ჩანს[8]. სამაგიეროდ, დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებით გავრცელებულია ბიზანტიური ოქროს მონეტები და მათი მინაბაძები (მაგალითად, სოხუმში, ქუთაისში, ბიჭვინთასა და სხვ.). ბიზანტიური მონეტები გავრცელებულია აგრეთვე მთელს აღმოსავლეთ საქართველოში.

მეზობელ ქალაქებთან სავაჭრო ურთიერთობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა, როგორც ჩანს, ქ. ალიც. აქ 1925 წ. იპოვეს განძი, რომელიც 480 წვრილი მონეტისაგან შედგებოდა. მათ შორის 204 ჯუიჩიდ-ხანებს

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, დმანისის მონეტის გამო, „ლიტერატურული ძიებანი“, II, 1944, გვ. 171.

[2] თ. ლ ო მ ო უ რ ი, ფული რუსთაველის ეპოქაში, „რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის ძეგლები“, გვ. 312.

[3] П а х о м о в Е. А., Монетные клады, в. III, с. 35.

[4] თ. ლ ო მ ო უ რ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 313.

[5] П а х о м о в Е. А., Монетные клады, в. III, с. 43—44.

[6] დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, უცნობი ქართული მონეტებისა და ზარაფხანების საკითხის შესწავლისათვის, საქართველოს სახ. მუზეუმის შრომები, XIV — B, 1947, გვ. 156.

[7] П а х о м о в Е. А., Монетные клады, в. I, с. 55.

[8] თ. ლ ო მ ო უ რ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 316.

(1290 — 1391) ეკუთვნის, ნაწილი — ჯალაირიდებს, ნაწილი კი იოანე II-ის (1280 — 1297) ტრაპიზონული ასპრების მინაბაძებია, ხოლო დანარჩენი 258 მონეტა ქართულია[1].

აღსანიშნავია, რომ ქართული მონეტების გავრცელების არე XII ს. ბოლოსა და XIII ს. დასაწყისში საქართველოს ფარგლებს სცილდება. დიდი რაოდენობითაა იგი აღმოჩენილი სამხრეთით — სომხეთის ყოფილი სამეფოს სხვადასხვა ქალაქში და ჩრდილოეთით — ყუბანის დაბლობამდე. როგორც ჩანს, ქართული მონეტები გავრცელებული უნდა ყოფილიყო აღმოსავლეთითაც — შარვანში, რომელთანაც საქართველოს მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოსავლური და დასავლური მონეტების ფართო გავრცელება საქართველოს უმთავრეს ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი, დმანისი, ახალციხე), საკუთარი ზარაფხანების არსებობა, მონეტების აღმოჩენა განძების სახით ქალაქებში (რამდენჯერმე თბილისში, რუსთავში, ანსა და სხვ.) და ქვეყნის სხვა რაიონებში, მოწმობენ, რომ ეს ქალაქები მსხვილი ეკონომიკური ცენტრები იყვნენ. გარდა ამისა, გვიჩვენებენ, თუ გაცხოველებული საშინაო და საგარეო ვაჭრობის შედეგად როგორ იქმნებოდა პირობები ამა თუ იმ პირის ხელში საკმაოდ დიდი თანხის დაგროვებისათვის[2].

დ. მოსახლეობა. სოციალური ურთიერთობა ქალაქებში

ჩვენ არ გაგვაჩნია წერილობითი წყაროები საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის რაოდენობის შესახებ. ქალაქების მოსახლეობა, ცხადია, მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს ფეოდალური მონარქიის შექმნის შემდეგ. თბილისის მოსახლეობის შესახებ XIII ს. დასაწყისში წარმოდგენას გვაძლევს ჟამთააღმწერლის ცნობა იმის შესახებ, რომ 1227 წ. თბილისში ჯალალ ად-დინის შემოსევის დროს დაიღუპა ქალაქის დაახლოებით 100000 მცხოვრები[3].

XII — XIII სს. რუსთავში არქეოლოგ მ. ივაშჩენკოს დაახლოებითი გამოანგარიშებით 20000 მცხოვრები უნდა ყოფილიყო[4]. ასევე მრავალრიცხოვანი უნდა ყოფილიყო ქალაქ სამშვილდის მოსახლეობაც. სომეხი ისტორიკოსის თომა მეწოფელის სიტყვით, XV ს. 40-იან წლებში, ე. ი.

---

[1] Пахомов Е. А., Монетные клады, в. II, с. 45—46.

[2] XI—XIII სს. ქალაქების ვაჭრობისა და სასაქონლო წარმოების შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II, თბ., 1970, გვ. 134 — 168.

[3] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 178.

[4] გ. ლომთათიძე, რუსთავის არქეოლოგიისათვის, გაზ. „კომუნისტი", 1950, 24. V.

მაშინ, როცა სამშვილდე უკვე დაქვეითების გზაზე იყო შემდგარი, მტრის მეომრებმა სამშვილდეში „664 კაცის თავისაგან ქალაქის კარზედ მინარეთი დადგეს და 9400 ტყვედ ჩაიგდეს“. ამათ გარდა, მრავალი მოკლეს ტყეებში და ბუჩქნარებში და 60 სასულიერო პირი ქალაქის კარებთან ამოხოცეს[1]. ეს ცნობა წარმოდგენას იძლევა იმის შესახებ, თუ რამდენად მრავალრიცხოვანი უნდა ყოფილიყო ქ. სამშვილდის მოსახლეობა XI — XIII სს., როცა ის ეკონომიკური ძლიერების ზენიტში იმყოფებოდა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ დმანისის, გორის, ქუთაისის მოსახლეობაც საკმაოდ მრავალრიცხოვანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ საამისო ცნობები, არაპირდაპირიც კი, არ მოგვეპოვება.

X — XIV სს. ქართულ დოკუმენტებში ტერმინი „ქალაქი“ ტერმინების — „სოფელი“ და „დაბა“ — საპირისპირო მნიშვნელობით იხმარება. ამის შესაბამისად ძველი ქართული სიტყვიერების ძეგლებში ქალაქის მოსახლეობის აღსანიშნავად იხმარება განსაკუთრებული ტერმინი — „მოქალაქე“, ხოლო ტერმინები — „მსოფლიო“ და „მდაბიური“ აღნიშნავენ სოფლისა და დაბის მცხოვრებლებს.

საქართველოს ქალაქების ძირითადი მოსახლეობა „ქალაქის მკვიდრნის“ (ქალაქის მცხოვრებთა) საერთო სახელითაა ცნობილი. „ქალაქის მკვიდრთა“ ძირითად ნაწილს ვაჭრები და ხელოსნები შეადგენდნენ. მათ აღსანიშნავად ადრიდანვე იხმარებოდა ტერმინები — „მოქალაქე“ და „ქალაქის ერი“ (ქალაქის ხალხი). მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ „მოქალაქე“ ძველ ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში იხმარებოდა მხოლოდ საქართველოს სატახტო ქალაქის მცხოვრებთა აღსანიშნავად[2]. სხვა ქალაქების მოსახლეობის აღსანიშნავად კი იხმარებოდა ტერმინები — „ქალაქის ერი“ და „სავაჭრო ერი“[3].

XII — XIII სს. თბილისში მოქალაქეებად იწოდებოდა ყველა ვაჭარი და ხელოსანი — თავისუფალი თუ ყმა (მეფის, ეკლესიის, მემამულის).

საქართველოს ქალაქების მოსახლეობა, რომელიც ძირითადად ვაჭრებისა და ხელოსნებისაგან შედგებოდა, არ იყო ერთგვაროვანი არც ეკონომიკურად და არც სოციალურად. ჯერ ერთი, ამ ფენაში შედიოდნენ როგორც თავისუფალი, ისე ყმა ვაჭრები და ხელოსნები, ხოლო, მეორე მხრივ, თავისუფალ მოქალაქე ვაჭართა წრიდან გამოიყოფოდნენ დიდვაჭრები[4], რომელთა გვერდით გვხვდება უბრალოდ „ვაჭრები“, პირადად თავისუ-

---

[1] თომა მეწოფელი, ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი ს გამოცემა, თბ., 1937, გვ. 27; შდრ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, IV, 1948, გვ. 41.

[2] М е с х и а Ш. А., Города..., с. 65.

[3] თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 65.

[4] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 37; შდრ. შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1937, სტროფები 1067, 1122, 1123 და სხვ.

ფალნი, მაგრამ ეკონომიკური მდგომარეობით ძალიან ჩამორჩენილნი დიდვაჭრებთან შედარებით.

თავისუფალი ვაჭრები, ქალაქის სხვა მოსახლეობისაგან განსხვავებით, სპეციალურ ვაჭრულ ტანისამოსს ატარებდნენ[1]. ისინი ორგანიზაციებში იყვნენ გაერთიანებულნი. XII ს. ვაჭართა ორგანიზაციების შესახებ ძვირფასი ცნობებია დაცული შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“.

ვაჭართა სათავეში იდგა ვაჭართუხუცესი, რომელიც დიდვაჭართა წრიდან იყო[2]. ვაჭართუხუცესის მოვალეობაში შედიოდა როგორც ადგილობრივი, ისე უცხო ქვეყნებიდან ჩამოსულ ვაჭართა მიღება.

უცხო ქვეყნის ვაჭრები, უპირველეს ყოვლისა, ვალდებულნი იყვნენ მიემართათ ვაჭართუხუცესისათვის. ეს უკანასკნელი უგზავნიდა მათ სპეციალურ რწმუნებულს, რომელსაც შემოჰყავდა ისინი ქალაქში მზის ჩასვლამდე[3]. ჩამოსულ მსხვილ ვაჭართაგან განსაკუთრებით გამორჩეულთ ვაჭართუხუცესი სპეციალურად მათთვის განკუთვნილ დასასვენებელ ადგილს მიუჩენდა[4]. თავის მხრივ, ჩამოსული ვაჭრებიც ვალდებული იყვნენ საჭირო პატივი ეცათ ვაჭართუხუცესისათვის. ისინი აუცილებლად უნდა გამოცხადებულიყვნენ უხუცესთან და ეჩვენებინათ მისთვის საქონელი. გარდა ამისა, უცხოელ ვაჭრებს ვაჭართუხუცესისათვის ძღვენი უნდა მიერთმიათ; ვაჭართუხუცესი შემოზიდულ საქონელზე იღებდა სამეფო ბაჟს და მხოლოდ ამის შემდეგ იძლეოდა თავისუფალი ვაჭრობის ნებართვას. ვაჭართუხუცესს ქალაქის ვაჭართა ფენის სახელით გარკვეული ვალდებულება ეკისრა მეფის მიმართ. როგორც რუსთაველის პოემიდან ჩანს, „მსხვილი ვაჭრები“ დადგენილი წესით ყოველ ახალ წელს მეფეს ძღვენს მიართმევდნენ და ამის შემდეგ ვაჭართუხუცესის მეთაურობით სასახლეში მიდიოდნენ[5].

რამდენადაც ქალაქის ვაჭართა ზედაფენა მეფის ხელისუფლებისათვის აუცილებელ ძალას წარმოადგენდა, მეფე იახლოვებდა მას და ანიჭებდა გარკვეულ პრივილეგიებს. დამახასიათებელია, რომ ზოგჯერ ვაჭრები ასრულებდნენ სახელმწიფო დავალებებს. მაგალითად, საქართველოს სამეფო დარბაზმა დიდვაჭარ ზანქან ზორაბაბელს მიანდო ჩრდ. კავკასიიდან თამარის საქმროს რუსთა უფლისწულ გიორგის ჩამოყვანა[6]. მეფის ხელისუფლების ვაჭართა ზედაფენასთან კავშირზე მიუთითებს აგრეთვე წყაროებში

---

[1] შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, სტროფ. 1058, 1080, 1256, 1257.
[2] ი ქ ვ ე, სტროფ. 1068, 1580.
[3] ი ქ ვ ე, სტროფ. 1071.
[4] ი ქ ვ ე, სტროფ. 1070.
[5] ი ქ ვ ე, სტროფ. 1120, 1122.
[6] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 37.

ამა თუ იმ ვაჭრის ქართველი მეფის „მეგობრად“ და „მამად“ მოხსენიება[1].

მსხვილ ვაჭართა მნიშვნელობა და როლი კარგადაა წარმოდგენილი XIV ს. ქართულ საკანონმდებლო ძეგლებში. ბექა და აღბუღას სამართლის წიგნში მსხვილი „საპატიო“ ვაჭრის სისხლი შეფასებულია 12000 თეთრად და უდრის წვრილი აზნაურის სისხლს, მაშინ როცა იმავე ძეგლით გლეხის სისხლი 400 თეთრადაა შეფასებული[2].

დამახასიათებელია, რომ მსხვილი ვაჭრები ვაჭრებისა და მოქალაქეთა სხვა ფენების მოსამართლეებად ინიშნებოდნენ. ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნში (XI ს.) ნათქვამია, რომ მოსამართლედ უნდა იყოს მღვდელი ან მეფესთან აღზრდილი დამსახურებული პირი, ან კარგი დიდვაჭარი, ანდა სოფლის კარგი მამასახლისი. დიდვაჭარი ჭკვიანი და კარგი მოსამართლე იქნება, რომელიც არ იტყვის რაიმე არაკანონიერს[3]. გასაგებია, რომ დიდვაჭარი, როგორც სამართლიანად შენიშნავს ივ. ჯავახიშვილი, შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ვაჭრებისა და, საერთოდ, ქალაქის მოსახლეობის მოსამართლე[4].

საქართველოს მსხვილი ვაჭრები ბატონობდნენ არა მარტო საშინაო, არამედ საქარავნო-სატრანზიტო ვაჭრობაშიც. ქარავნებს ყოველთვის მეთაურობდნენ მსხვილი ვაჭრები, რომლებიც ქარავანთუხუცესებად იწოდებოდნენ. საქარავნო-სატრანზიტო ვაჭრობას საქართველოში, ისე როგორც სხვა „აღმოსავლურ ქალაქებში“, ხელმძღვანელობდნენ ე. წ. „ურტაღები“ („ორტაღები“) — ვაჭართა მსხვილი გაერთიანებანი. ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში ტერმინი „ურტაღი“ დადასტურებულია მხოლოდ XIII ს. შუა წლებში, სახელდობრ, რკონის 1259 წლის სიგელში. მაგრამ რამდენადაც მსგავსი სავაჭრო ორგანიზაციები ასეთივე სახელწოდებით აღმოსავლეთის ქალაქებში ცნობილია მანამდეც, შეიძლება დავუშვათ საქართველოში მათი ადრე არსებობა.

რკონის სიგელში მოხსენიებულ ურტაღში სამი პირი იყო გაერთიანებული. ეს გაერთიანება ფართო ვაჭრობას ეწეოდა როგორც საქონლით, ისე მამულებით. ზოგჯერ ის ისეთ დიდ მამულსაც ყიდულობდა, რომლის ფასი 65000 თეთრი იყო[5]. მიწის ნაკვეთების შეძენას მარტო კომერციული მიზანი არ ჰქონდა — ზოგჯერ ეს დიდი მამულები ურტაღის რომელიმე წევრის საკუთრებაში გადადიოდა. ურტაღის წევრები მამულებს სხვა გზი-

---

[1] История монголов, по армянским источникам, в. II, Из истории Киракоса Гандзакеци. Перевод К. П. Патканова, СПб., 1874, с. 79.

[2] ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 289, 290, 333.

[3] იქვე, გვ. 335.

[4] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1907, გვ. 26.

[5] თ. ყორდანია, ქრონიკები, II, გვ. 134.

თაც იძენდნენ. ურტაღები მსხვილ საკრედიტო ოპერაციებს ახორციელებდნენ, სესხად აძლევდნენ დიდძალ თანხას. ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში მევალის მამული ურტაღის საკუთრებაში გადადიოდა. იმ დროის საქართველოში ასეთი შემთხვევები იშვიათი არ იყო.

ურტაღებთან კავშირი ჰქონდა ფეოდალურ არისტოკრატიას. ზოგიერთი ფეოდალი, თვით ისეთი მსხვილიც კი, როგორიც იყო ერისთავთერისთავი და მეჭურჭლეთუხუცესი კახა, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ურტაღების საქმიანობაში — იღებდა ურტაღებისაგან სესხს, დებდა მათთან სხვადასხვა სავაჭრო გარიგებას[1].

თავისუფალ და მეფის მსხვილ ვაჭრებთან ერთად ვაჭრობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მონასტრებისა და ფეოდალების ყმა ვაჭრებიც. მაგალითად, შიომღვიმის მონასტერს თბილისში ჰყავდა ყმა ვაჭრები არა მარტო ქალაქის განთავისუფლების შემდეგ, არამედ მაშინაც, როცა იგი არაბი ამირას ხელში იყო; ამავე მონასტერს თბილისში ჰქონდა დუქნები[2], ხოლო ყმა ვაჭრები ჰყავდა ქ. ჟინვანში[3] და საქართველოს სხვა ქალაქებშიც[4]. სხვა მონასტრებსა და ეკლესიებსაც ჰყავდათ ყმა ვაჭრები და ხელოსნები საქართველოს სხვადასხვა ქალაქში. მაგალითად, თამარ მეფის დროს რუსთავის ეპისკოპოსს ქ. რუსთავში ჰყავდა 65 კომლი ყმა მოქალაქე[5].

ეკლესია-მონასტრების გარდა საქართველოს ქალაქებში დიდი რაოდენობის ყმებს ფლობდნენ საერო ფეოდალებიც — მეფე და მსხვილი აზნაურები.

ეკლესია-მონასტრების კუთვნილი ყმა ვაჭრები და ხელოსნები ძირითადად საერო ფეოდალების მიერ შეწირულნი იყვნენ, ხოლო უმნიშვნელო რაოდენობა თვით ეკლესიებისა და მონასტრების სახსრებით იყო შეძენილი.

ამრიგად, საქართველოს ფეოდალური ქალაქების მოსახლეობის ნაწილი შედგებოდა დიდვაჭრების, რიგითი თავისუფალი ვაჭრებისა და ყმა ვაჭრებისაგან.

ქალაქის მოსახლეობის მეორე ფენას ხელოსნები შეადგენდნენ. ვაჭრების მსგავსად ხელოსნებიც თავისუფლებად და ყმებად იყოფოდნენ. როგორც ვაჭრებს, ისე ხელოსნებს შორისაც იყვნენ „ღირსეულნი“ და „საპა-

---

[1] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 137.

[2] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, შიომღვიმის მონასტრის ისტორიული დოკუმენტები, თბ., 1896, გვ. 16.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 22.

[4] საქართველოს სიძველენი, III ტომის დამატება, თბ., 1926, გვ. 5.

[5] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ისტორიული დოკუმენტები, წ. I, თბ., 1913, გვ. 34.

ტიონი". XII ს. ასეთები იყვნენ ოქრომჭედლები ბექა და ბეშქენ ოპიზარები[1].

ქალაქის მოსახლეობის ნაწილი შედგებოდა ყმა ხელოსნებისაგან, რომლებიც მეფეს, ეკლესიას, მონასტრებს და საერო ფეოდალებს ეკუთვნოდათ.

მოსახლეობის ნაწილს შეადგენდნენ ე. წ. „ქალაქის ღარიბები". ეს ფენა იმდენად მრავალრიცხოვანი იყო, რომ მეფის ხელისუფლება იძულებული გახდა განსაკუთრებული ყურადღება მიექცია მისთვის. ქალაქებში ღარიბთათვის შენდებოდა სპეციალური თავშესაფრები, ანუ ე. წ. „გლახაკთა სახლები"[2], რომლებსაც სახელმწიფო ინახავდა. გასაგებია, რომ მთავრობის მხრივ ღარიბებზე ასეთი ზრუნვა კლასობრივი ინტერესებით იყო ნაკარნახევი და მიზნად ისახავდა უვნებელი გაეხადა ქალაქის მოსახლეობის ეს მშფოთვარე ფენა. ოფიციალურად კი მეფის ხელისუფლება მფარველობდა ღარიბებს. თამარის ერთი ისტორიკოსის ცნობით, „გლახაკთა" შესანახად გადადებული იყო სახელმწიფო შემოსავლის ერთი მეათედი ნაწილი[3]. ქალაქის ძირითადი მოსახლეობის სოციალური უთანასწორობა მისი პოლიტიკური ინტერესების სხვადასხვაობის მიზეზი იყო. მოქალაქეთა უმაღლესი ფენა თანდათანობით გადადიოდა ფეოდალური არისტოკრატიის რიგებში. მათი ინტერესები, ცხადია, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ყმა ვაჭრებისა და ხელოსნების ინტერესებისაგან.

ქალაქების მოსახლეობის გაბატონებულ ფენას ფეოდალური არისტოკრატია შეადგენდა. საქართველოს თითქმის ყველა ქალაქი მეფისა და დიდებულების ხელში იყო[4].

მეფის ხელისუფლებისა და ქალაქების ურთიერთდამოკიდებულების ისტორიიდან ცხადი ხდება, რომ ბაგრატ IV-ის დროიდან, განსაკუთრებით კი დავით აღმაშენებლისა და გიორგი III-ის დროს, სამეფო ხელისუფლება იბრძოდა ქალაქების დაუფლებისათვის. დავით აღმაშენებელმა, გაათავისუფლა რა თურქ-სელჩუკებისაგან თბილისი, რუსთავი, დმანისი და სხვ., ისინი მსხვილ ფეოდალებს კი არ უწყალობა, არამედ უშუალოდ მეფის ხელისუფლებას დაუმორჩილა. ასევე აკეთებდა გიორგი III, რომელიც ყოველგვარი საბაბით ცდილობდა ჩამოერთმია ქალაქები მსხვილი ფეოდალებისათვის. მეფის ხელისუფლებას ამ ბრძოლაში ეხმარებოდა ქალაქის მოსახლეობის ნაწილი. შემთხვევითი არ იყო, რომ თბილისის და ანი-

---

[1] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, გვ. 293.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სამშენებლო ხელოვნება ძველ საქართველოში, გვ. 63.

[3] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 147.

[4] უფრო დაწვრილებით იხ. შ. მ ე ს ხ ი ა, საქართველოს ქალაქებში სოციალურ ურთიერთობათა ისტორიისათვის (ქალაქი და ფეოდალური არისტოკრატია XI—XIII სს.), „მიმომხილველი", ტ. II, 1952, გვ. 83 — 107.

სის „ბერებმა“ (ე. ი. ქალაქის მოსახლეობის უმაღლესმა ფენამ) არაერთხელ მიმართეს დავით IV-ს ამ ქალაქების ხელში აღების წინადადებით. მეფის ხელისუფლება, თავის მხრივ, ზრუნავდა ქალაქის ზედაფენის მდგომარეობის განმტკიცებისათვის და ამავე დროს ღებულობდა ზომებს ახალი ქალაქების დაარსებისათვის. იქმნება შედარებით მყარი კავშირი მეფის ხელისუფლებასა და სამეფო ხელისუფლებას შორის, რის შედეგად უმთავრესი ქალაქები — თბილისი, რუსთავი, გორი, ქუთაისი, სამშვილდე, დმანისი, ატენი, ხუნანი და სხვ. მეფის ხელში რჩება. მეფის ხელისუფლებისა და ქალაქების კავშირი პოლიტიკურ წარმატებასაც აღწევს: დავით IV-მ და გიორგი III-მ შეძლეს მსხვილი ფეოდალების დამარცხება, თუმცა ეს გამარჯვება დროებითი აღმოჩნდა[1]. ვითარება შეიცვალა თამარის მეფობის ბოლო ხანებში, როცა სამეფო ხელისუფლებისა და ქალაქთა კავშირი შესუსტდა. ამ პროცესის შემდგომ განვითარებას ხელი შეუწყვეს მონღოლმა დამპყრობლებმა. შედეგი ის იყო, რომ ქალაქები დანაწილებული აღმოჩნდა სამეფო ხელისუფლებასა და მსხვილ ფეოდალებს შორის.

დიდებულები სამსახურის სანაცვლოდ მეფისაგან ქალაქებსაც იღებდნენ — ზოგნი მემკვიდრეობით მფლობელობაში, ზოგნი კი დროებით, მათ მიერ რომელიმე სახელმწიფო სამსახურის შესრულების დროის განმავლობაში. მეფის წინაშე რაიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მეფეს შეეძლო ჩამოერთმია დიდებულისათვის სამემკვიდრეო ან დროებით სარგებლობაში მიცემული ქალაქი.

უფრო ხშირად ქალაქები გაიცემოდა დროებით სარგებლობაში. ასეთი გადაცემა სხვადასხვა პირობით ხდებოდა. ქალაქების „სახარაჯოდ“ გაცემა იმას ნიშნავდა, რომ მოქალაქეები „ხარაჯას“, ე. ი. განსაზღვრულ გადასახადს ქალაქის მფლობელს უხდიდნენ. „სახარაჯო ქალაქები“ უმრავლეს შემთხვევაში სამეფო კარის მსხვილი მოხელეების — ამირსპასალარის, მანდატურთუხუცესის და სხვ. ხელში იყო. ქალაქების სახარაჯოდ გაცემა მათი სამსახურის ანაზღაურების ერთ-ერთი ფორმა იყო. მაგალითად, თამარის ისტორიკოსის სიტყვით, სარგისის შვილს ივანეს მსახურთუხუცესის თანამდებობასთან ერთად მისცეს მრავალი სახარაჯო ქალაქი და ციხესიმაგრე[2].

სახარაჯოდ ქალაქები გაიცემოდა როგორც მთლიანად, ისე სანახევროდ. მაგალითად, თამარ მეფემ ზაქარია ვარამის ძეს, სხვათა შორის, უწყალობა მრავალი ქალაქი სრულ და სანახევრო მფლობელობაში[3]. ქა-

---

[1] უფრო დაწვრილებით იხ. შ. მ ე ს ხ ი ა, საქართველოს ფეოდალური ქალაქების ისტორიისათვის IX — XIII სს., საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. II, 1956, გვ. 135 — 136, 145 და სხვ.

[2] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 54.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 54.

ლაქის სრულ მფლობელობაში გაცემა ნიშნავდა ქალაქის მთელი შემოსავლის სახარაჯო ქალაქის მფლობელის ხელში გადასვლას. სანახევროდ გაცემის შემთხვევაში კი ქალაქის შემოსავლის ნახევარი სამეფო ხაზინაში შედიოდა.

თამარის ისტორიკოსის სიტყვით, ზოგიერთი დიდებული სხვადასხვა გზით ქალაქის მფლობელი ხდებოდა. ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ ერთ-ერთი ქართველი ფეოდალი — შანშე მხარგრძელი 15 ქალაქის მფლობელი იყო[1].

ქალაქის მფლობელი დიდებული ამ ქალაქის ბატონად ითვლებოდა. ზოგჯერ ეს ბატონობა ვრცელდებოდა ქალაქის ირგვლივ მდებარე მიწაწყალზედაც და ატარებდა როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ ხასიათს.

ქალაქები დიდებულთა და გავლენიან მოხელეთა მფლობელობაში გადადიოდა აგრეთვე მეფეთა წყალობის და ყიდვის გზით.

ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლები დაკავშირებულნი იყვნენ არა მარტო ქალაქის ვაჭრობასთან, არამედ აბანდებდნენ სახსრებს მსხვილ საბითუმო-საქარავნო საგარეო ვაჭრობაში, მსხვილ ვაჭართა კომპანიებში — ურტაღებში. ზემოხსენებული კახა ერისთავთერისთავი და მეჭურჭლეთუხუცესი, ერთ-ერთი უძლიერესი დიდებულთაგანი თავისი თანამდებობით, დაკავშირებული იყო ქალაქის მოსახლეობასთან, მაგრამ მისი მოქალაქეებთან კავშირი ამით არ ამოიწურებოდა. ის აქტიურად მონაწილეობდა ქალაქის ვაჭრობაში და ამ გზით დიდ მოგებას ღებულობდა. ფეოდალური არისტოკრატიის ასეთივე წარმომადგენელი იყო თამარის მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუ-არსლანი. იგი, მოხვდა რა ფეოდალური არისტოკრატიის რიგებში, მჭიდრო კავშირში იყო ქალაქის სავაჭრო წრეებთან, რის გამოც ზოგი წყარო მას თვლის სიმდიდრის წყალობით აღზევებულ პიროვნებად.

თბილისის საქალაქო ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული აგრეთვე ქართლის ერისთავი და თბილისის ამირა აბულასანი. მის ხელში იყო ქალაქი რუსთავიც. ვახუშტი ბაგრატიონი ამ მსხვილ ფეოდალს თბილისელ ვაჭარს უწოდებს[2].

ქალაქის ფეოდალური არისტოკრატიის მჭიდრო კავშირი მსხვილ ვაჭრებთან თანდათანობით აშორებდა მათ მოქალაქეებისაგან და ფეოდალური არისტოკრატიის რიგებში აქცევდა. ეს პროცესი განსაკუთრებით ღრმავდება მონღოლთა ბატონობის დამყარების დროიდან. ფეოდალური არის-

---

[1] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902, გვ. 9.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, დ. ბ ა ქ რ ა ძ ი ს გამოცემა, თბ., 1885, გვ. 188.

ტოკრატიის წარმომადგენელთა კავშირი მოქალაქეთა ზედაფენასთან, ამ უკანასკნელის წარმომადგენელთა ფეოდალური არისტოკრატიის რიგებში გადასვლა, მათი ინტერესების დაახლოება და სხვა დიდ გავლენას ახდენდა საქალაქო ცხოვრებასა და წყობილებაზე.

ფეოდალური არისტოკრატიის როლი ქალაქებში აღნიშნულით არ ამოიწურებოდა. მისი წარმომადგენლები თავიანთი მსხვილი სავაჭრო ოპერაციებით გავლენას ახდენდნენ ქალაქების ეკონომიკაზე და პოლიტიკურ ცხოვრებაზე, როგორც მეფის უმაღლესი მოხელეები. ფეოდალური არისტოკრატია ბატონობდა არა მარტო ქალაქში, არამედ მის მიმდებარე რაიონშიც, რომელსაც დიდებული მეფისაგან იღებდა ქალაქთან ერთად. მაგალითად, დავით აღმაშენებელმა ივანე ორბელს მისცა ქ. სამშვილდე გარეუბნებით. რუსთავის მფლობელს ამავე დროს მის ირგვლივ მდებარე დასახლებული პუნქტებიც ეკუთვნოდა. დამახასიათებელია, რომ ქართველმა ფეოდალმა გრიგოლ ბაკურიანის ძემ, რომელიც ბიზანტიაში მსახურობდა, საქართველოს მეფეს გიორგი II-ს (1072 — 1089) გადასცა ქ. ყარსი მიმდებარე რაიონებით[1].

ფეოდალური არისტოკრატიის ბატონობა ქალაქის მიმდებარე რაიონებში, რომელთაგან დიდად იყო დამოკიდებული ფეოდალური ქალაქის ეკონომიკა, ხელს უწყობდა ქალაქების პოლიტიკურად დამორჩილებას ფეოდალების მიერ.

გარდა ამისა, ქალაქის მფლობელი დიდებული ცდილობდა გადაექცია ეს ქალაქი მის კერძო საკუთრებად.

ფეოდალური არისტოკრატიის ბატონობა ქალაქებში და მისი მჭიდრო კავშირი ქალაქის მოსახლეობის ზედაფენასთან იყო იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომელმაც თანდათანობით შეასუსტა, ხოლო შემდეგ განხეთქილებამდე მიიყვანა ქალაქებისა და მეფის ხელისუფლების კავშირი.

3. საქალაქო მმართველობა

ფეოდალური საქართველოს ქალაქების მმართველობისა და პოლიტიკური წყობილების საკითხი ჯერ კიდევ არაა სრულყოფილად შესწავლილი, რაც გამოწვეულია სათანადო წყაროების უქონლობით. განსაკუთრებით ეს ითქმის იმ ქალაქებზე, რომლებიც დიდებულების ხელში იყო და რომელთა შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ ისინი დიდებულის ხელისუფლებას ემორჩილებოდნენ. რაც შეეხება მეფის ქალაქებს მათი მმართველობის სისტემის წარმოდგენა შესაძლებელია.

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 318.

ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნის შემდეგ ქალაქის გამგებელს მეფე ნიშნავდა.

ქ. თბილისის მმართველს ამირა ან ამირთა ამირა ეწოდებოდა. ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში ეს ტერმინი არაბთა ბატონობის დროიდან ჩნდება. თავდაპირველად ამირა ქართლში არაბთა უმაღლეს მოხელეს ერქვა, მაგრამ თბილისის საამიროს ტერიტორიის შემცირების შემდეგ ამირა ქ. თბილისისა და მიმდებარე რაიონის მმართველად იქცა.

თბილისის განთავისუფლების (1122 წ.) შემდეგ თბილისის ამირას საქართველოს მეფეები ნიშნავდნენ ქართველ დიდებულთა წრიდან. თამარის დროს თბილისის ამირა იყო აბულასანი, რომელიც ერთ-ერთ წარწერაში იხსენიება როგორც ქართლის ერისთავთერისთავი და ამირთა ამირა[1]. ცხადია, რომ თბილისის ამირა XII — XIII სს., ძველი ჩვეულების თანახმად, ამავე დროს ქართლის მმართველად — ერისთავად ითვლებოდა, ე. ი. თბილისთან ერთად ის განაგებდა ქალაქის ახლომდებარე რაიონებს.

ამირა საქართველოს სხვა ქალაქებშიც ინიშნებოდა. XIII ს. იხსენიებიან გორის ამირთა ამირა[2], ჟინვანის ამირა[3], ქუთაისის ამირა[4].

ქართველი მეფეები ამირებს ნიშნავდნენ აგრეთვე მათ მიერ საქართველოსთან შემოერთებულ მსხვილ ქალაქებში. გიორგი III-მ მის მიერ შემოერთებული ანისის ამირად დანიშნა ერთ-ერთი ქართველი დიდებული. თამარის ისტორიკოსის სიტყვით, კარის (ყარსის) შემოერთების შემდეგ ამ ქალაქის ამირად დანიშნა ივანე ახალციხელი[5].

არაბული წარმოშობის ამ ტერმინთან ერთად („ამირა") ქალაქის მმართველის აღსანიშნავად იხმარებოდა ქართული ტერმინიც — „მოურავი".

მოურავის ინსტიტუტი ქართულ სახელმწიფო აპარატში, თუ ადრე არა, XI ს-დან მაინც არსებობს[6]. მოურავები ეწოდებოდათ აგრეთვე მეფის მიერ ცალკეული რაიონების მმართველებად დანიშნულ მოხელეებს. ამირა-მოურავის უფლება-მოვალეობათა შესახებ მასალები XI — XIII სს. არ მოგვეპოვება, მაგრამ უნდა დავუშვათ, რომ მათი ფუნქციები იმ დროს ისეთივე იყო, როგორიც უფრო გვიანდელ საუკუნეებში.

ამირა-მოურავის გარდა ქალაქის მმართველობაში მონაწილეობას იღებდნენ სხვა მოხელეებიც, მაგალითად, ციხისთავი, ე. ი. ციხესიმაგრის გარ-

---

[1] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური ექსკურსიები, ნ. IV, გვ. 148 — 152.
[2] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 225.
[3] „საისტორიო მოამბე", ტ. I, თბ., 1924, გვ. 141.
[4] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 160.
[5] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 92.
[6] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, შიომღვიმის მონასტრის ისტორიული დოკუმენტები, გვ. 14.

ნიზონის უფროსი, რომელიც დადასტურებულია IV — VII სს-დან[1]. ქალაქის ციხისთავის მოვალეობა იყო ქალაქის ციხესიმაგრის უშიშროების დაცვა. ამ მიზნით მას ჰყავდა სპეციალური სამხედრო გარნიზონი, რომელიც ციხეში იდგა.

XI — XII სს. დოკუმენტებში ქალაქის მოხელეთა შორის ხშირად იხსენიება „შურტა"[2]. დოკუმენტების მიხედვით ძნელია დავადგინოთ ამ მოხელის ფუნქციები. ა. კრემერის განმარტებით, აღმოსავლეთის ქალაქებში შურტა პოლიციის მოხელე იყო, რომელიც ქალაქის წესრიგს იცავდა[3]. შურტა, როგორც მეფის მოხელე, იხსენიება ჯერ კიდევ 1072 წ. გიორგი II-ის მეფობაში, ე. ი. თბილისის შემოერთებამდე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ შურტა თბილისის გარდა სხვა ქალაქებშიც იყო.

ქალაქის მოხელენი იყვნენ აგრეთვე მწონავები და მებაჟენი, რომლებიც, ივ. ჯავახიშვილის აზრით, შურტას ხელქვეითნი უნდა ყოფილიყვნენ[4].

გიორგი III-ის 1170 წლის საბუთით დასტურდება თბილისში გუსტასიბის თანამდებობის არსებობა. ქართული „გუსტასიბი", უეჭველია, წარმომდგარია არაბული „მუხთასიბიდან". მუსლიმანურ აღმოსავლეთში მუხთასიბი იყო წონისა და ზომის მეთვალყურე ბაზრებში, ხოლო გარდა ამისა, იგი პოლიციურ მოვალეობასაც ასრულებდა[5]. სომხური წყაროების მიხედვით მუხთასიბის მოვალეობაში შედიოდა აგრეთვე ქალაქის გამოსაღებთა შეგროვება[6].

გიორგი III-ის ზემოხსენებულ სიგელში მოხსენიებულია გადასახადები — საამიდო და სარაისო, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს ქალაქებში არსებობდა შესაბამისი თანამდებობანი. ეს ტერმინებიც არაბული წარმოშობისაა. პირველი „ამიდასაგან" წარმოდგება, მეორე — „რაისიდან", რომლებიც, როგორც თანამდებობები, ცნობილი იყო მუსლიმანური აღმოსავლეთის ქალაქებში[7].

---

[1] მოქცევა ქართლისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, თბ., 1964.

[2] თ. ჟორდანია, შიომღვიმის მონასტრის ისტორიული დოკუმენტები, გვ. 11, 12.

[3] Kremer A. Kulturgeschichte des Orients unter den Chalifen, I, Wien, 1875, გვ. 163; Enzyklopedie des islam IV, გვ. 423; Бартольд В. В. Туркестан в эпоху монгольского нашествия. с. 236 — 237; შრდ. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, გვ. 26 — 27.

[4] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, გვ. 26 — 27.

[5] Низам ал-Мулк, Сиасет-намо, М.-Л., с. 47; Enzyklopedie des jslam, III, 423—426; Бартольд В. В., Туркестан..., с 240—241; Гордлевский В., Государство сельджуков в Средней Азии, с. 126.

[6] Манандян Я., О торговле и городах Армении, Ереван, 1954, с. 164.

[7] ნიზამ ალ-მულკი, დასახ. ნაშრ., გვ. 49, 160, 305; Бартольд В. В., Туркестан..., с. 244, 249; Гордлевский В., Государство сельджуков..., с. 63, 141, 172.

როგორც ვხედავთ, არაბთა ხანგრძლივი ბატონობისა და მუსლიმანურ აღმოსავლეთთან მჭიდრო კავშირურთიერთობის გამო საქართველოს ქალაქებში სამოხელეო ინსტიტუტები XI — XIII სს. საბუთების მიხედვით არაბულ სახელებს ატარებენ. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ საქალაქო ცხოვრება საქართველოში მუსლიმანური სამყაროს მიბაძვით იყო მოწყობილი. არაბული სახელის მატარებელი ქართული სამოხელეო ინსტიტუტები არსებითად განსხვავდებოდა იმავე სახელწოდებით ცნობილი აღმოსავლური ინსტიტუტებისაგან. მაგალითად, მუსლიმანურ სამყაროში ამირა, რომელიც იქ ცალკეული პროვინციის მმართველი იყო, თავისი მოვალეობითა და უფლებებით არსებითად განსხვავდებოდა ქართული ქალაქების ამირასაგან, რომელიც აქ სავსებით შეესაბამებოდა მოურავის ქართულ ინსტიტუტს. ასევე შეიძლება ითქვას შურტას შესახებაც. ეთნოგრაფიული მასალებით ქართლის მთიან რაიონებში დადასტურებული შულტა (შურტა) სავსებით სხვა ბუნებისაა, ვიდრე აღმოსავლური შურტა.

ის ფაქტი, რომ XI — XII სს. საქართველოს სამოხელეო ინსტიტუტებმა სინამდვილეში მხოლოდ სახელები შეიცვალეს და არსებითად იგივე ძველი ქართული ინსტიტუტები იყვნენ, კარგად მტკიცდება გუსტასიბის თანამდებობის მაგალითზე.

გუსტასიბის მოვალეობა, როგორც მისი სამოხელეო ფუნქციის შესწავლა გვარწმუნებს, სავსებით შეესატყვისება ძველი ქართული სამოხელეო ინსტიტუტის — ქალაქის ნაცვალის მოვალეობას. ქალაქის ნაცვალი საქართველოს ქალაქებში და მუხთასიბი მუსლიმანური აღმოსავლეთის ქალაქებში ამოწმებდნენ სასწორების სიზუსტეს და საქონელზე დაწესებულ ნიხრს; ისინი ასამართლებდნენ დამნაშავეს ქალაქის წესების დარღვევისათვის, აგრეთვე იცავდნენ ქალაქში საერთო წესრიგს[1].

როგორც ვხედავთ, მოცემულ შემთხვევაში ქართული ინსტიტუტი „ნაცვალი“ სახელდებულ იქნა არაბული წარმოშობის ტერმინით — „გუსტასიბი“.

საინტერესოა, რომ XI — XII სს. ქართულ საბუთებში ქალაქების მოხელეთა შორის არ მოიხსენიება „მამასახლისი“, რომლის არსებობა დოკუმენტურად VI ს-დან მაინც არის დადასტურებული. ეს, ალბათ, იმით აიხსნება, რომ მამასახლისიც, ისე როგორც ნაცვალი, XI — XII სს. რომელიმე არაბული ტერმინით იყო შეცვლილი.

ამრიგად, აღნიშნულ შემთხვევებში საქმე გვაქვს ქართული სამოხელეო ტერმინების არაბული წარმოშობის ტერმინებით შეცვლასთან, ე. ი. სახეზეა

---

[1] ნიზამ ალ-მულკი, დასახ. ნაშრ., გვ. 47; ა. კრემერი, დასახ. ნაშრ., გვ. 423 — 426; ვ. ბარტოლდი, დასახ. ნაშრ., გვ. 240 — 241.

ტერმინების სესხება და არა აღმოსავლური ქალაქური წყობის გადმოტანა.

უნდა აღინიშნოს, რომ არაბული წარმოშობის ტერმინებმა საბოლოოდ ვერ განდევნეს სახელოების ქართული სახელწოდებანი. მაგალითად, „ამირა“ ზოგჯერ XVII ს. დამდეგამდე მხოლოდ თბილისის გამგებლის აღსანიშნავად იხმარებოდა. სხვა ქალაქების გამგებლების მიმართ კი XIV ს. შემდეგ ეს ტერმინი აღარ იხმარებოდა, ქართულ საბუთებში ისინი ყველგან მოურავის სახელს ატარებენ.

XII ს. დასასრულიდან ქართულ წყაროებში სრულებით აღარ ჩანს „გუსტასიბი“, „რაისი“, „ამადი“ და „შურტა“. XIII — XVI სს. კვლავ მკვიდრდება ქართული სამოხელეო ტერმინები: მამასახლისი, ნაცვალი, ქალაქის მწერალი, ქალაქის მეჭურჭლე და სხვ.

ქალაქის ზემოხსენებული მოხელეები — ციხისთავი, შურტა, გუსტასიბი (ნაცვალი) და სხვ. ქალაქის მოურავს („ამირას“) ემორჩილებოდნენ. თვით სამეფო ქალაქები და მათი მოურავები „ხელმწიფის კარის გარიგების“ (XIV ს.) მიხედვით მეჭურჭლეთუხუცესს ემორჩილებოდნენ.

მოურავი (ამირა) ინიშნებოდა მსხვილი ფეოდალების წრიდან, ხოლო თბილისის ამირთა ამირას XII ს. დასასრულიდან მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სამეფო დარბაზში. ქალაქის სხვა მოხელეებს მეფე ნიშნავდა ქალაქის ზედაფენის წრიდან. ქალაქის დაბალი ფენების შევიწროებასა და ექსპლოატაციაში ქალაქის მოხელენი არაფრით ჩამოუვარდებოდნენ მსხვილ ფეოდალებს. ფეოდალური ქალაქის აპარატის შენახვა ქალაქის ქვედაფენებს აწვა ზურგზე.

მოურავის (ამირას) სასარგებლოდ მშრომელი მოსახლეობისაგან იკრიფებოდა გადასახადი — სამოურავო[1]. ციხისთავის სასარგებლოდ დაწესებულ გადასახადს საციხისთავო ეწოდებოდა. გარდა ამისა, ცალკე იკრიფებოდა გადასახადი საციხო[2], რომელიც ციხესიმაგრის მოვლა-შეკეთებისათვის იყო გამიზნული. მსგავსი გადასახადები იყო დაწესებული ქალაქის სხვა მოხელეებისთვისაც. ქალაქის ვაჭრულ-ხელოსნური მოსახლეობა, ცხადია, სხვა გადასახადებსაც იხდიდა, რომლებიც ქალაქისა და მეფის საჭიროებისათვის იხარჯებოდა.

ვაჭრებისა და ხელოსნების აღნიშნული გადასახადებისაგან განთავისუფლება შესაძლებელი იყო მხოლოდ მეფის ბრძანებით. მეფეზე იყო დამოკიდებული აგრეთვე ქალაქში შემოტანილი საქონლის ბაჟისაგან განთავისუფლებაც[3].

როგორც ვნახეთ, ქალაქის მმართველობა ძირითადად მეფის მოხელეთა ხელში იყო. ამასთან, ქალაქებში იმყოფებოდნენ მოქალაქეთა ხელისუფ-

---

[1] საქართველოს სიძველენი, III, დამატება, გვ. 5.

[2] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, შიომღვიმის მონასტრის ისტორიული საბუთები, გვ. 11.

[3] უფრო დაწვრილებით იხ. М е с х и а Ш. А., Города и городской строй феодальной Грузии, с. 83—84.

ლების წარმომადგენლებიც. საქართველოს ზოგ ქალაქში X — XI სს. (შესაძლებელია უფრო ადრეც) ქალაქის მოსახლეობის შეძლებული ნაწილის წარმომადგენლები იყვნენ „ქალაქის უხუცესები", ანუ „ქალაქის ბერები", ისტორიულ ძეგლებში ეს უკანასკნელი გვხვდება მხოლოდ თბილისში.

ამირას შემდეგ თბილისში ყველაზე გავლენიანი პირები „ბერები" იყვნენ. ამირას ხელისუფლების დროებითი ან საბოლოო შეწყვეტის შემთხვევაში მათ შეეძლოთ თავიანთი შეხედულებით ქალაქი გადაეცათ სხვა პატრონისათვის. თბილისის ამირა ჯაფარის გარდაცვალების შემდეგ „ტფილელმა ბერებმა" რამდენჯერმე მოიწვიეს ბაგრატ IV და თხოვეს მას ჩაებარებინა ქალაქი.

ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებამ გამოიწვია თბილისში ამირას ხელისუფლების გვერდით საქალაქო თვითმმართველობის ჩამოყალიბება. XI ს. 80-იანი წლებიდან ქალაქის თვითმმართველობა ქალაქის დამოუკიდებლობაში გადაიზარდა და, ამრიგად, თბილისი ქალაქ-კომუნად იქცა. კომუნის დროს ქალაქის გამგებლობა „ქალაქის უხუცესთა კრებულის" (საბჭოს) ხელში იყო. თბილისის საქალაქო კომუნის ისტორია დასრულდა 1122 წელს დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის აღებით[1].

§ 5. საზოგადოებრივი კლასები და კლასობრივი ბრძოლა

საქართველოს მოსახლეობა XI — XII საუკუნეებში რამდენიმე სოციალურ ფენად იყოფოდა. ეს ფენები ამ ხანის მანძილზე ერთნაირი არ იყო და თუ XI ს-ის დასაწყისისათვის არსებობდა სოციალური კიბის რამდენიმე საფეხური, XI ს-ის ბოლოსათვის და განსაკუთრებით XII ს-ში იგი შედარებით გამარტივდა, მასში მოისპო ის საფეხურები, რომლებიც ერთი სოციალური ფენიდან მეორეში გარდამავალ, საშუალო ფენებს ეჭირათ.

ბ ლ ე ხ ი. საზოგადოების ყველაზე დაბალ საფეხურზე ბლეხები იდგნენ. ბლეხი სპეციალური ტერმინია და ამ ხანისათვის აღნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ პირად თავისუფლებამოკლებულ, პირად დამოკიდებულებაში მყოფ ადამიანს. ბლეხი სხვის საკუთრებაში გადასული პირია. ამ მნიშვნელობით იხმარება სიტყვა ბლეხი დღიდან მისი შემოსვლისა ჩვენს საისტორიო წყაროებში.

XI — XIII სს. ყველა წყაროში, სადაც კი ბლეხი იხსენიება, გარკვევით ჩანს, რომ ბლეხი სხვისი საკუთრებაა, პირადი თავისუფლება არა

---

[1] უფრო დაწვრილებით იხ. შ. მ ე ს ხ ი ა, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962.

აქვს და მის პატრონს თავისუფლად შეუძლია გაყიდოს, შეწიროს და გაბოძოს.

ჩვენამდე არ მოუღწევია X ს-ის უადრესი ხანის არც დოკუმენტურ მასალას და არც ნარატიულ წყაროებს, სადაც სწორედ მოსალოდნელი იქნებოდა გლეხის ხსენება. პირველად ტერმინი გლეხი გვხვდება VIII — X სს. შესრულებულ საღვთისმეტყველო და ჰაგიოგრაფიული ხასიათის, უპირატესად ნათარგმნ ხელნაწერებში.

„გლეხის" შემცველი ძველი ქართული ტექსტები მიმოიხილა პროფ. ილია აბულაძემ. მისი დაკვირვებით, სომხურიდან ნათარგმნი ერთ-ერთი უძველესი ხელნაწერი, რომელშიც ხმარებულია სიტყვა გლეხი, არის „რიფსიმეანთა წამების წიგნი" (ეს წიგნი ი. აბულაძის დათარიღებით არ უნდა იყოს VIII ს-ზე უადრესი და IX ს-ზე გვიანდელი[1]). ამ ტექსტში ვკითხულობთ: „და მთავარნი მათგანი... სრბით მივიდოდეს ხილვად სიკეთესა მისსა და ა ზ ნ ა უ რ ნ ი იგი აღრეულად გ ლ ე ხ ი თ უ რ თ ეტენებოდეს..."[2]. სომხურ ტექსტში აზნაურის შესაბამისად ნახმარია აზატ, ხოლო გლეხისა — ამბოხ. ამბოხი კი სომხურად ბრბოს, უბრალო ხალხს, ხალხის მასას ნიშნავს. სომხურში ამბოხი უპირისპირდება თავისუფალს — აზატს (აზნაურს). ქართველმა მთარგმნელმა კი აზატის საპირისპირო ცნებად გამოიყენა გლეხი. ამით მთარგმნელმა დაგვანახა არა მარტო ის, რომ „გლეხს" სოციალური მნიშვნელობა აქვს, არამედ ისიც, რომ გლეხი მისი დროის ქართველი მკითხველისათვის ყოვლად გასაგები და ამასთან ერთადერთი ცნებაა აზნაურთან დასაპირისპირებლად. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ სომხური „ამბოხის" ძველი ქართული შესატყვისებია „ერი", „შფოთი", „ამბოხი". მთარგმნელმა კი იხმარა გლეხი იმიტომ, რომ „ერი" „აზატის" საპირისპირო ცნებად არ გამოდგებოდა. „ერი" მისი წარმოდგენით თავისუფალი იყო[3].

გრიგოლ ღვთისმეტყველის ერთი ნაწარმოების გრიგოლ ოშკელისეულ თარგმანში (დადგენილია, რომ ეს ტექსტი სომხურიდან არის ქართულად ნათარგმნი X საუკუნეში)[4] სომხური სიტყვა „შნაკან" (შუნ—ძაღლი, შნაკან — ცინიკი) მთარგმნელისაგან შეცდომით გაიგივებულია სომხურ სიტყვასთან „შინაკან" (შენ — დაბა, შინაკან — მდაბიური) და თარგმნილია როგორც გლეხი (თუმცა კონტექსტი გლეხს სრულიადაც არ გულისხმობს). „შინაკან" გრიგოლ ოშკელმა თარგმნა სიტყვით „გლეხი" ნაცვლად

---

[1] ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ლექსიკიდან, საქ. სსრ მეცნ. აკადემია, ხელნაწერთა ინსტიტუტი, მოამბე, I, თბ., 1959, გვ. 170.

[2] ი ქ ვ ე.

[3] ი ქ ვ ე.

[4] ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში, თბ., 1944, გვ. 0194—0199.

იმისა, რომ ეხმარა „მდაბიო“, „მსოფლიო“. ეს კი იმას უნდა მიუთითებდეს, რომ X ს-ის მწიგნობრისათვის „გლეხი“ და „მდაბიო“ ერთი და იგივეა, ე. ი. მისი დროის სოფლის მიწისმოქმედი საზოგადოება ძირითადად გლეხებისაგან შედგება და მდაბიური უმცირესობაღაა, რომ „გლეხი“ უფრო გასაგები და ცოცხალი ტერმინია, „მდაბიო“ კი მხოლოდ ტრადიციული.

ქრონოლოგიურად პირველი ქართული საბუთი, რომელშიც სიტყვა გლეხი იხსენიება, არის IX საუკუნის, ე. წ. „ფავნელთა სიგელი“. ამ საბუთით ფავნელმა — მსხვილმა ფეოდალმა შიდა ქართლიდან — მეფისაგან ნაბოძებ სოფელ ქვემო გუელდესში მცხოვრები ორი გლეხი შულაიას ძე და ტარიკას ძე შიომღვიმის მონასტერს მიჰყიდა[1]. ამ უძველეს საბუთში გლეხი გვევლინება ისეთ პირად, რომლის შეწირვა თუ გაყიდვა მის პატრონს თავისუფლად შეუძლია. მეფე უბოძებს გლეხებს ფავნელს, ფავნელი კი ამ გლეხებს შიომღვიმის მონასტერს მიჰყიდის. ცხადია, რომ გლეხი თავისუფლებამოკლებულია, იგი სხვისი საკუთრებაა. ჩვენს მაგალითში მოხსენებული გლეხები ჯერ მეფის, ე. ი. სახელმწიფოსი იყვნენ, შემდეგ ფეოდალისა და, ბოლოს, საეკლესიო გლეხებად იქცნენ.

შემდეგი საბუთი, სადაც სიტყვა გლეხი იხსენიება, არის მელქისედეკ კათალიკოსის დაწერილი 1029 წლისა. ამ საბუთით კათალიკოსი სამწირველოს იჩენს და თავის ჟამისმწირველს უბოძებს ხუთ კომლ გლეხს, რომელთაგან სამი სოფელ თეძში ცხოვრობს, ერთი სოფელ ოტათლოანს და ერთიც ციხედიდში. ეს ხუთი კომლი გლეხი თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისაგან და სამაგიეროდ მელქისედეკის მწირველის შენახვა ევალება. საბუთით კათალიკოსის ჟამისმწირველისა და გლეხების მოვალეობა მუდმივად და უცვლელად უნდა გადავიდეს მათ შთამომავლობაზე[2]. აქაც ხდება გლეხის ერთი პატრონისაგან მეორის ხელში გადასვლა, ე. ი. ამ შემთხვევაშიაც გლეხი თავისუფლებადაკარგულია და მისი პატრონი განაგებს გლეხისა და მისი ჩამომავლობის ბედსაც.

ყველაზე მეტყველი საბუთი გლეხის, როგორც პირად თავისუფლებადაკარგული ადამიანისა, არის ნიკორწმიდელის დაწერილი. XI ს-ის მეორე ნახევრის ეს საბუთი წარმოადგენს წინამძღვრის ნამოღვაწარის აღნუსხვას. ამ საბუთში ჩამოთვლილია გლეხის გაყიდვის ან შეწირვის რამდენიმე შემთხვევა. გლეხის გაყიდვის და შეწირვის ფაქტები თავისთავად მეტყველებს, რომ გაყიდული და შეწირული პირად თავისუფლებას მოკლებულია. მაგრამ ამას გარდა ნიკორწმიდელის დაწერილში გლეხები მოიხსენიებიან არა

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დ ო ლ ი ძ ი ს გამოც., თბ., 1965, გვ. 3.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, III, ი. დ ო ლ ი ძ ი ს გამოც., თბ., 1970, გვ. 24 — 25.

საკუთარი, არამედ პატრონის სახელით: „ჯინჭარაის ძის გლეხი“, „ვახტანგის გლეხი“, „ღვთისმშობლის გლეხი“, რომელთაგან ნიკორწმიდელი ყიდულობს ყანას, ვენახს და ადგენს სათანადო საბუთს — ნასყიდობის წიგნს. მიუხედავად ამისა, ნიკორწმიდელი ამ გლეხებს ასახელებს არა საკუთარი, არამედ პატრონის სახელით. ეს გარემოება, ერთი მხრივ, იმის მაჩვენებელია, რომ გლეხს პატრონი ჰყავს, თავისუფლება დაკარგული აქვს და, მეორე მხრივ, იმისა, რომ გლეხს თავისი მიწის გაყიდვა არ შეუძლია პატრონის ნებართვის გარეშე. გლეხის პატრონი არის იურიდიული პასუხისმგებელი გლეხის მიერ ჩატარებული ყიდვა-გაყიდვის აქტისა.

საერთოდ, XI — XII სს. „გლეხის“ შემცველი საბუთები ორ ათეულს ძლივს აღწევს, მაგრამ ყველა ამ საბუთში გლეხი იხსენიება როგორც სხვისი საკუთრება, ხდება გლეხის შეწირვა თუ გაყიდვა. ორივე ეს აქტი გლეხის მიმართ მხოლოდ და მხოლოდ იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ გლეხი პირად თავისუფლებას მოკლებულია და მის პატრონს მისი გასხვისება შეუძლია.

პირადი თავისუფლების ულონლობა არის გლეხის ძირითადი ნიშანი, რომელიც მოქმედებს არა დროებით, არამედ საერთოდ, გლეხის ცხოვრების მთელ მანძილზე და გადადის მის მემკვიდრეებზე.

სწორედ ასეთად წარმოგვიდგება გლეხი არა მარტო დოკუმენტურ მასალებში, არამედ ნარატიულ წყაროებშიაც. XI საუკუნის ავტორი ჯუანშერი, როცა ვახტანგ გორგასლის დროინდელ ამბებს გადმოგვცემს, აღნიშნავს, რომ „პირველად მოვიდეს ჯორჯანეთს, და წარმოტყუენენ ჯორჯანეთი და ყოვლად უმკვიდრო ქნეს და დასხნეს ადგილსა მათსა ნათესავნი სპარსთანი. და მიერითგან იქმნეს ჯორჯანნი გლეხად, რომელნი აწ არიან მებეგრენი სპარსთანი“[1]. დაპყრობილი ჯორჯანელნი სპარსთა გლეხებად არიან სახელდებული. აქაც თავისუფლების არქონა (ამ შემთხვევაში პოლიტიკური თავისუფლების არქონა) ისტორიკოსის ხატოვანი სიტყვით გაიგივებულია გლეხის მდგომარეობასთან. მოყვანილი ტექსტის ვარიანტი იძლევა ასეთ კითხვა-სხვაობას: „და მიერითგან იქმნენ ჯორჯანნი მებეგრედ და გლეხ სპარსთანი“[2]. პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვა და დამპყრობელისადმი ხარკის (ბეგარის) გადახდის ვალდებულება გლეხის მდგომარეობას უდრის. აქედან, გლეხი არის ის, ვინც პირად თავისუფლებას მოკლებულია და ვინც ბეგარას იხდის.

ბეგარის გადახდა გლეხის მეორე ძირითადი ნიშანია. თუ პირადი დამოკიდებულებისაგან მომდინარეობს გლეხის ვალდებულება ემსახუროს პატრონს (შრომითი ბეგარა), გადასახადის გადახდის ვალდებულება მომ-

---

[1] ჯ უ ა ნ შ ე რ ი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქ. ცხ., I, გვ. 187.
[2] ი ქ ვ ე, სქოლიო.

დანარეობს გლეხის ეკონომიკური დამოკიდებულებიდან პატრონისაგან. გლეხი პატრონის მიწაზე ზის და რაკი მიწა პატრონისაა, გლეხი ვალდებულია მოყვანილი მოსავლის ნაწილი მიწის პატრონს გადაუხადოს. ეს ვალდებულება პატრონისა და გლეხის პირადი გარიგების საფუძველზე ხდება და ამიტომაც არ შეიძლება ყოველთვის და ყველგან ერთნაირი იყოს. პირადი გარიგების გარდა ამ ვალდებულების გადაკვეთას ტრადიცია და ისტორიულად ჩამოყალიბებული მიზეზები საზღვრავენ, რაც, თავის მხრივ, იწვევს გლეხის ეკონომიკურ ვალდებულებათა სხვადასხვაობას და აქედან თვით გლეხთა ეკონომიკური მდგომარეობის ნაირსახეობას.

ბეგარა (გადასახადი) რომ ფეოდალის მიწის ჭერისაგან მომდინარეობს, ე. ი. მიწაზე ფეოდალური საკუთრება განსაზღვრავს გლეხის მებეგრეობას, ეს მრავალი საბუთით მტკიცდება.

უძველესი ცნობა გლეხის მიერ ნაკისრი ბეგარის შესახებ დაცულია ე. წ. ფავნელთა სიგელში. ამ საბუთში აღწერილია, თუ რა ვალდებულება აწევთ სოფ. ცხევერის მცხოვრებთ პატრონის (ამ შემთხვევაში შიომღვიმის მონასტრის) მიმართ. სიცხადისათვის უნდა აღინიშნოს, რომ სოფელი ცხევერი მეფემ უბოძა ფავნელს, ამ უკანასკნელმა კი ეს სოფელი (იგულისხმება სოფლის მიწა-წყალი მცხოვრებლებითურთ) შიომღვიმეს შესწირა. შემდეგში (X ს.) მიქელ მემღვიმე, როგორც ამ სოფლის მიწა-წყლისა და მცხოვრებთა პატრონი, საზღვრავს ცხევერელთა ვალდებულებას მღვიმის წინაშე: „დაგიდევ ერთი დღე ანეული, ციხის ბეგარი, ერთი დღე სამკალი, ერთი დღე სალეწავი. თუ ათი გრივი გამოვიდეს, ცხრა გრივი პატრონსა და მეათე ცხევერელთა. წელიწადსა შიგან ერთი დღე ნადირობა არის. ბეგარა ჩუენი მოსაცემელი: კაცისა თავსა ორ-ორი ჯამი შეჭამანდი, ორ-ორი პური, ორ-ორი პირი ღვინო“[1]. ამ შემთხვევაში ცხევერელთ ვალად ედებათ როგორც შრომითი სამსახური (ანეული, მკა, ლეწვა, ციხის ბეგარა, ნადირობაში მონაწილეობა), აგრეთვე გამოსაღები ნატურით — მოსავლის ცხრა მეათედი და აგრეთვე კაცის თავზე პური, ღვინო, შეჭამანდი. ვალდებულებათა ამ ჩამოთვლაში ნათლად არ ჩანს მიწაზე ფეოდალის საკუთრება რომელ გამოსაღებს იწვევს და გლეხის ფლობა რომელს.

ბეგარის, როგორც მიწაზე დადებული გადასახადის, შესახებ ნათელ სურათს იძლევა ნიკორწმიდელის დაწერილი. აქ ბეგარის შესახებ შემდეგ ცნობებს ვპოულობთ: „ეფრემ შემოსწირა ყანაი ორი ხოტეველისა სულისათვის. იგი და ნასყიდი ერთად შევკრიბე და გლეხი დავასახლე აგარასა შინა და ბეგარასა გარდაჴდიდის“[2]. „ჴივშს ზოსქლელისაგან ვიყიდე

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ი. დ ო ლ ი ძ ი ს გამოც., II, გვ. 4.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 30.

ვენახი... და მივეც გლეხსა ს ა ბ ე გ რ ო დ"[1]. „საწირეს... მოვიგე მიწაი... და მივეც გლეხსა ს ა ბ ე გ რ ო დ"[2]. ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ ნიკორწმიდელი — მიწის პატრონი — თავის, ე. ი. მონასტრის მიწაზე ასახლებს გლეხს და სამაგიეროდ მას ბეგარის გადახდას აკისრებს.

მიწა, ფეოდალის საკუთრება, გადაცემული გლეხისათვის არის გლეხისაგან ბეგარის გადახდის საფუძველი, ეს უფრო ნათლად ჩანს ჩვენში გავრცელებული ორი ბატონის ყმობის მაგალითებიდან. საბუთებში ხშირია შემთხვევები, როცა ერთი გლეხი ორი სხვადასხვა ფეოდალის მიმართ არის ვალდებული: ერთს ემსახურება პირადი შრომით, მეორეს კი მიწიდან აღებული მოსავლის ნაწილს უხდის. პირველს ეს გლეხი პირადად ეკუთვნის, მეორე კი მისი მიწის მესაკუთრეა. ეს მომენტი გარკვევით ჩანს კახა თორელის საბუთიდან (XIII ს.).

ამ საბუთით კახა თორელმა სოფელი ხოვლე მასში მცხოვრები გლეხებითურთ რკონის მონასტერს შესწირა და ამ გლეხებს რკონის მონასტრის სასარგებლოდ ბეგარა და სამსახური დააკისრა. მაგრამ ამ სოფელში რამდენიმე მიწა სხვა მონასტრებზე იყო შეწირული: „ორი მიწა მეტეხთა ღ'ის მშობლისდა იყო შეწირული, მორბედის ძის მიწა ვარძიის ღ'ის მშობლისა იყო შეწირული და მასვე მოვახსენე. ხოხლაის ძე და აბესას ძე კავთას შეწირული იყვნენ და მასვე შევსწირენ. ესენი ბეგარს რაითაც შეწირულნი არიან, მუნ მიიღებდენ და სამართალი და მამითადი განაღამცა თქვენივე (ე. ი. რკონის) იყო"[3]. ეს გლეხები ბეგარას (მიწაზე დადებულ გადასახადს) იმას გადაუხდიან, ვისაც მათი მიწა ეკუთვნის, პირადი შრომით კი (მამითადი, სამართალი) უნდა ემსახურონ თავის საკუთარ პატრონს — რკონის მონასტერს. აქ ნათლად ჩანს, რომ ბეგარა მიწაზე დადებული გადასახადია, ბეგარას იმას უხდიან, ვისიც მიწაა; დაბეგრილ მიწაზე მცხოვრები გლეხი კი შესაძლებელი ყოფილა მიწის პატრონის საკუთრება არც ყოფილიყო. გლეხი სხვას ეკუთვნის და ვისაც ეკუთვნის, პირადი შრომითაც მას ემსახურება. ცხადი ხდება, რომ გლეხის პირადი ფლობა სამსახურის საფუძველია, მიწის ჭერა კი ბეგარის საფუძველი.

ბეგარის გადახდა, მებეგრეობა გლეხის საერთო დამახასიათებელი ნიშანია[4].

გლეხის ვალდებულება ფეოდალის მიმართ გაერთიანებულია ბეგარა-სამსახურის ზოგად ცნებაში. სამსახური გულისხმობს გლეხის შრომითს ვალდებულებას ფეოდალის წინაშე, ბეგარა კი გამოხატავს იმ ვალდებუ-

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ი. დ ო ლ ი ძ ე ს გამოც., II, გვ. 32.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 33.

[3] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 59.

[4] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 51.

ლებებს, რომლებიც გლეხს აწვა როგორც პატრონის მიწაზე მჯდომს, პატრონის მიწის დამმუშავებელს.

ამრიგად, გლეხი არის პირად თავისუფლებამოკლებული ადამიანი, რომელიც ფეოდალის მიწაზე ზის და პატრონის წინაშე ბეგარა-სამსახური მართებს.

ამ ზოგადი თვისებებით გაერთიანებული გლეხთა მასა, რასაკვირველია, ერთფეროვანი არ იყო.

ეკონომიკური მდგომარეობით განსხვავებული გლეხობა მრავალფეროვანი იყო სოციალურადაც. ერთი მთავარი საერთო ნიშნით — პირადი თავისუფლების უქონლობით — გაერთიანებული გლეხობა ერთიმეორისაგან განსხვავდებოდა. ეს განსხვავება მომდინარეობდა ყმობის იმ პირობიდან, რომლითაც ამა თუ იმ გლეხის წინაპარი ეყმო ფეოდალს. XI — XII სს-ში ჯერ კიდევ შემორჩენილია გლეხთა სახელწოდებანი, რომლებშიც ამ გლეხის თავდაპირველი ყმობის პირობები ჩანს და ამ დროისათვის მხოლოდ ტრადიციულადღა იხმარება, მათი შინაარსი კი გლეხის ახლანდელ მდგომარეობას სრულიად აღარ შეეფერება. მხედველობაში გვაქვს საბუთებში შემორჩენილი გლეხის სახელწოდებანი — „მეორშაფათე გლეხი“ (1202 წ. საბუთი)[1] და „საკვირაო გლეხი“ (გიორგი II-ის ან გიორგი III-ის დროის საბუთი)[2].

მეორშაფათე გლეხის სახელწოდების მატარებელი, უნდა ვიფიქროთ, ამ სახელწოდების ქვეშ ნაგულისხმევ მდგომარეობამდე მივიდა როგორც პირადად თავისუფალი. იგი ეკონომიკური სიდუხჭირის გამო კარგავს თავისუფლებას და ფეოდალს მიუდის როგორც გლეხი, რომელიც პატრონის სასარგებლოდ იმუშავებს მხოლოდ ორშაბათობით. სახელწოდება „მეორშაფათე“ თავისთავად გულისხმობს, რომ იქნებოდნენ „მესამშაფათე“, „მეოთხშაფათე“ და ა. შ. გლეხებიც, რომელთა დასაქმება ფეოდალის მამულში კვირაში ერთი დღის მუშაობით გამოიხატებოდა. „საკვირაო გლეხის“ ყმობის პირობებში კი კვირადღეს მუშაობა გამორიცხული უნდა იყოს (ქრისტიანული რელიგია კრძალავს კვირადღეს მუშაობას). აქ უნდა იგულისხმებოდეს გლეხის მოვალეობა, პატრონის სასარგებლოდ იმუშაოს წელიწადში რამდენიმე კვირა.

მაგრამ XII საუკუნისათვის ორივე ეს სახელწოდება მხოლოდ გადმონაშთის სახითღაა ნახმარი. მეორშაფათე გლეხი ისეთსავე პირობებში მოქცეულად მოიხსენიება, როგორც ყველა სხვა გლეხი. მისი სახელწოდება კი მხოლოდ მისი წინაპრის გაგლეხების ისტორიის მაუწყებელია.

ასეთი გლეხების გაქრობა და მათი ყმობის პირობების გაუარესება,

---

[1] ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 27.

[2] იქვე, გვ. 13.

ე. ი. გათანაბრება დანარჩენ გლეხობასთან, მაჩვენებელია ბატონყმური ურთიერთობის ყოვლისმომცველობისა. ბატონყმური ურთიერთობის განვითარება კულმინაციას აღწევს; ეს ურთიერთობა თავის შიგნით იქცევს მიწისმოქმედთა მთელ მასას და ათანაბრებს გლეხთა ფეოდალისაგან დამოკიდებულების სახეებს გლეხთა ყმობის პირობების გაუარესების გზით.

XII საუკუნე წარმოგვიდგება როგორც ხანა, როდესაც ხდება გლეხობის ამა თუ იმ სახით შემორჩენილი შეღავათების საბოლოო გაქრობა. მაგრამ აღებულ ხანაში გლეხობა (პირად თავისუფლებას მოკლებული მებეგრე) მიწისმოქმედ საზოგადოებაში ერთადერთი არ იყო. XI საუკუნის საქართველოში ჯერ კიდევ მრავლად ჩანან თავისუფალი მიწისმოქმედნი, რომელთა დამოკიდებულება პატრონისაგან წმინდა სოციალური იყო — მათ ვალს შეადგენდა პატრონის ხლება და ლაშქრობით სამსახური. ეკონომიკურად კი მოსახლეობის ეს ნაწილი ჯერ კიდევ თავისუფალი იყო, ანუ თავის საკუთარ მიწაზე იჯდა და ამდენად ბეგარის (გამოსაღები მიწაზე) გადახდაც არ ედო ვალად. მოსახლეობის ეს ფენა ჩვენს ისტორიოგრაფიაში „მდაბიურ-მოლაშქრეთა“ ტექნიკური ტერმინით აღნიშნული[1], XI საუკუნეში საკმაოდ მძლავრი ჩანს. შემდგომი განვითარება ფეოდალური ურთიერთობისა იქითკენ მიდის, რომ ხდება ამ ფენის სოციალური და ეკონომიკური დამორჩილება ფეოდალთაგან. თავისუფალი მწარმოებელი ჯერ მიწას კარგავს, ეკონომიკურად შეუძლებელი ხდება და იძულებულია თავისი სამუშაო ძალით სხვას ემსახუროს, სხვისი ყმა გახდეს; ფეოდალის მიწაზე დასმული ასეთი „შეუძლებელი“ შემდეგში ყმაგლეხის მდგომარეობაში ვარდება.

გლეხად ქცევა პირადი თავისუფლების დაკარგვასთან არის დაკავშირებული. გლეხთა მასას ქმნიდნენ[2] ტყვე, მიწაზე დასმული მონა და ვალში გაყიდული შეუძლებელი მოვალე.

ეს პროცესი, რომელიც დამახასიათებელი იყო ადრეფეოდალური ხანისათვის, XI საუკუნეშიც გრძელდება და დადასტურებულია ამ ხანის მრავალმეტყველ საბუთში — ნიკორწმიდელის დაწერილში. ამ საბუთით გლეხად ქცევის, ანუ პირადი თავისუფლების დაკარგვის ერთ-ერთი გზა იყო კაბალა. არაბული წარმოშობის ეს სიტყვა (არაბულად ნიშნავს იჯარას) ქართულ დოკუმენტურ მასალაში მხოლოდ ნიკორწმიდელის „დაწერილში“ გვხვდება შემდეგ კონტექსტში: „მუნვე ცხილათს მოვიგე მიწაი და მივეც მათვე საკაბალოდ და მოწამე არიან კაცნი“[3].

ამ ტექსტის შესწავლით ასეთი სურათი წარმოგვიდგება: ნიკორწმიდელ-

---

[1] ეს ტერმინი ნ. ბერძენიშვილმა შემოიღო.

[2] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, შრომები, I, გვ. 162.

[3] თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 48; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დ ო ლ ი ძ ი ს გამოც., III, გვ. 32.

მა ცხილათში მოიგო მიწა. მოგება ყიდვისაგან განსხვავებული სახეა შეძენისა (მოგებისას მიწის საფასურის გადახდა არა ხდება). მოგება შეიძლება მოხდეს ვალში მიწის აღებით. უნდა ვიფიქროთ, რომ ცხილათელ კაცს ვალი ემართა ნიკორწმიდელისა, მისი გადახდა ვერ მოახერხა და ნიკორწმიდელმა მისი მიწა ვალში გაუბარა — „მოიგო მიწა". ეს კაცი, მიწის თავდაპირველი პატრონი, თავისუფალია (ყოველ შემთხვევაში, ნიკორწმიდელისაგან), მიწა კი აღარ აქვს, მიწა ნიკორწმიდელმა წაიღო. ეს უკანასკნელიც ამ მიწას „მათვე", ე. ი. მიწის თავდაპირველ მესაკუთრეთ აძლევს საკაბალოდ („მივეც მათვე საკაბალოდ"), ე. ი. მიწის დაკარგვით ამ მიწის პატრონი ჯერჯერობით თავის პირად თავისუფლებას არ კარგავს, იგი ისევ თავისუფალია, ოღონდ უმიწოდ, მაგრამ იძულებულია თავისი ყოფილი მიწისათვის ამ მიწის ახალ პატრონს კაბალა უხადოს. ამ შემთხვევაში ჩვენს წინაა გაგლეხების დასაწყისი სტადია — ცხილათელი კაცი ჯერ მიწას კარგავს და ეკონომიკურად სხვისგან ხდება დამოკიდებული. სოციალური დამოკიდებულება მათ შორის კი შემდეგი თაობების საქმეა.

ნიკორწმიდელის „დაწერილში" იხსენიება 56 პირი, რომელთა უმრავლესობა მიწის გამყიდველს შეადგენს. ნიკორწმიდელი მათგან ყიდულობს მიწას (ასეთია 29 პირი), 7 გლეხის გამყიდველია, 3 მოიხსენიება როგორც გლეხის პატრონი. დანარჩენთაგან 13 მოიხსენიება როგორც მონასტრის შემწირველი, 4 კი სხვადასხვა კონტექსტითაა წარმოდგენილი.

ამათგან, რასაკვირველია, შემწირველები დაწინაურებული ფენის წარმომადგენლები არიან. ასეთივე არიან გლეხის გამყიდველები. გლეხის ფლობა თავისთავად მეტყველებს გლეხის მფლობელის სოციალურ აღზევებულობას. ჩვენ შეძლებისდაგვარად შევეცადეთ დაგვედგინა, რომ შემწირველებად მოხსენიებული პირები რაჭისა და არგვეთის აზნაურთა წარმომადგენლები არიან, რომელთაგან ზოგი ერისთავთერისთავ კახაბერიძისა და მასთან ახლოს მდგომი საგვარეულოს წარმომადგენელია.

სხვაგვარად დგას საქმე მიწის გამყიდველთა სოციალური ბუნების დადგენაში. გაყიდვის ობიექტი არის მიწა ყანისა და ვენახის სახით. გაყიდული მიწის ოდენობა ყიდვის ყველა აქტში თითქმის ერთნაირია, ამ მიწაში გადახდილი საფასური კი სხვადასხვა: ზოგი გამყიდველი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარსა და პროდუქტს იღებს, ზოგი საომარ საჭურველს, ძვირფასეულობას და ფულს. ამ ნიშნით შესაძლებელი ხდება მიწის გამყიდველთა შორის სოციალური განსხვავებანიც დავინახოთ. ის პირი, რომელიც გაყიდული მიწის სანაცვლოდ სახნისს და ხორბალს იღებს, ცხადია, განსხვავებულ მდგომარეობაშია იმისგან, ვინც გაყიდული მიწის სანუქფოდ იღებს ჯაჭვს, სტავრას, ლაფაჩას და დრაჰკანს. პირველნი უნდა წარმოადგენდნენ მოსახლეობის ისეთ ნაწილს, რომლის ძირითადი საქმი-

ანობა მიწათმოქმედება იყო, მეორენი კი საზოგადოების უფრო დაწინაურებულ ფენას.

ამგვარად, მიწათმოქმედნი პირადად თავისუფალ პირებად უნდა ჩაითვალონ ნიკორწმიდელის დაწერილის მიხედვით, რომლებიც გაყიდული მიწის საფასურში იღებენ ხარს, ძროხას, ფურს, ცხვარს, ხორბალს, ხაჭოს, ქალამანს, ხარის ტყავს, მატყლს, რკინას. ცხადია, ამ რიგის საქონელი ჭირდება ისეთ პირს, რომლის ძირითად საქმიანობას მიწათმოქმედება წარმოადგენს. მაგრამ რომ ეს პირი ამავე დროს თავისუფალიც არის, ამაზე მკაფიოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ „დაწერილში" ყველა ასეთი პირი საკუთარი სახელით არის მოხსენიებული, ე. ი. აღიარებულია ამ პირთა იურიდიული უფლებამოსილება, მაშინ როცა თავისუფლების არმქონე ადამიანი ამავე საბუთში იხსენიება მისი მფლობელის სახელით („ვახტანგის გლეხი", „ჯინჯინოძის გლეხი", „ღ ის მშობლის გლეხი").

ამ ნიშნით თავისუფალ მიწისმოქმედად უნდა ჩაითვალონ კეპოის ძე (ზნაკვაში), ნავარქაი (შხროში), ნეჩრელი, სგოჯაისძე, შუბავნი (კაჩაეთში), ოტობოისძე, კოროფხიშვილი (აგარაში), ჭარტლისძე (ძირგეულში), ლატკაი, გუნაფაისძე, ზოსქლელი (ხივშში), კასალის ძე (მეტეხარას).

ასეთები გვხვდებიან რაჭის მრავალ სოფელში, ამასთან ზოგ სოფელში რამდენიმე, რაც უკვე იმის მაჩვენებელია, რომ ეს ფენა (თავისუფალი მიწისმოქმედი) საკმაოდ მრავალრიცხოვანია XI საუკუნეში.

ამას გარდა, იმავე ნიკორწმიდელის „დაწერილში" მოიპოვება რამდენიმე ცნობა პირადად თავისუფალი (მაგრამ არამიწისმოქმედი და არადიდკაცი) პირის არსებობის შესახებ.

ესაა საბუთში მოხსენიებული ჩიხას მცხოვრები წონელა. მის შესახებ საბუთში ნათქვამია: „წონელამან მოჰკიდა ჩიხას სახლი მისი წმიდასა ნიკოლაოსს და ყოველთა წელიწადთა მისცემს მარილსა ლიტრასა ოცდაათსა"[1]. ნ. ბერძენიშვილმა გაარკვია ტერმინ „მოკიდების" მნიშვნელობა და ნიკორწმიდელის „დაწერილის" ამ ადგილით თავისუფალი პირის მონასტრის მფარველობაში შესვლის სურათი აღადგინა: „თავისუფალი კაცი, ჩიხელი ვაჭარი წონელა თავისი სახლით ნიკოლაოზ წმიდის მოკიდული შეიქნა. ამიერიდან ნიკორწმიდის მონასტერი წონელას მფარველია. მონასტერი იცავს წმიდა ნიკოლაოზის მოკიდულს, ხოლო ეს უკანასკნელი ყოველწლიურად მიართმევს მფარველს 30 ლიტრა მარილს"[2]. ჩანს, ცხოვრების პირობები ისეთია ამ დროისათვის, რომ წონელამ თავი ვეღარ გაიტანა მფარველის გარეშე და მფარველად შოულობს თავისი ადგილსამყო-

---

[1] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 48; ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 32.

[2] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, „მოკიდებული"-სათვის, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, 1966, გვ. 125.

ფელის ჩიხას (არგვეთაში) ახლომდებარე ერთ-ერთ უძლიერეს მონასტერს — ნიკორწმიდას. ამ შემთხვევაში წონელა მონასტრის ხელდებული ხდება პირადად, მისი ქონება კი ჯერჯერობით მონასტრისაგან თავისუფალია.

ამ მაგალითებიდან ცხადი ხდება თავისუფალთა არსებობა XI საუკუნეში. მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ეს თავისუფალნი ეკონომიურ სიდუხჭირეს განიცდიან და სოციალურადაც ვეღარ იცავენ თავს.

ეკონომიკურად დამოუკიდებელი პირები სენიორის მფარველობის ქვეშ შედიან; სენიორი მათ იცავს, ესენი კი სენიორს ემსახურებიან. ასეთი დამოკიდებულება წმინდა სოციალურია და იგი წარმოადგენს სენიორისა და ვასალის დამოკიდებულებას. ნიკორწმიდის მონასტერი სენიორია, პატრონია, ხოლო წონელა მისი ყმა, ვასალი. ყმა — თავისუფალი მიწისმოქმედი, ვასალი, შედარებით სუსტი უფრო ძლიერი ადამიანის მფარველობაში შესული პირია[1]. ყმა წონელას მდგომარეობა საგრძნობლად განსხვავდება მონასტრის კუთვნილი გლეხების მდგომარეობისაგან იმით, რომ ის პირადად თავისუფალია და არც ბეგარა-სამსახური მართებს მონასტრისა. XI საუკუნესა და მომდევნო ხანებშიაც განსხვავება ყმასა და გლეხს შორის ჯერ კიდევ საგრძნობია. XIII საუკუნისათვის, განსაკუთრებით კი ამ საუკუნის ბოლოსათვის, ყმათა მდგომარეობა თანდათან უახლოვდება გლეხისას, ყმაც ისევე მებეგრე და პირად თავისუფლებას მოკლებული ხდება, როგორც გლეხი.

XIII ს-ის მეორე ნახევრის ერთ საჩივრის წიგნში მომჩივანი ასეთ ბრალს სდებს მოპასუხეს (აქ უნდა აღინიშნოს, რომ მომჩივანიცა და მოპასუხეც ორივე არიან ქართლის სოფლის — ფანვისის მფლობელი საგვარეულოს წევრები, რომელთაც ნათესაური კავშირი აქვთ სურამელთა გვართან): „მერმე რაი ჩუენსა მამულსა შიგა სხუა აღარ იპოვნებოდა, კაცებს დაუწყო პყრობა მისად, თავსა ასყიდინებდის. ესეთი არც ყმა და არც გლეხი არ იპოების, თუმც არ ყუელა თავნასყიდი იყო და ვერჩი ამასაცა და გაუკაცნა (ე. ი. გაგვაუკაცრიელა) და გაგუასხნა, ატენითაცა ყმები წამოგუისხა“[2].

ამ კონტექსტით ფანვისის მფლობელ საგვარეულო მამულში მცხოვრებთ ყველას ერთად კაცები ეწოდებათ („ჩუენსა მამულსა შიგა... კაცებს დაუწყო პყრობა“); მაგრამ კაცები ერთფეროვანი მასა არ არის. ამათგან ზოგი გლეხია და ზოგი ყმა („ესეთი არც ყმა და არც გლეხი არ იპოების,

---

[1] ყმა საერთოდ ვასალის აღმნიშვნელი ტერმინია. ყმად იწოდება არა მარტო თავისუფალი მიწისმოქმედი, არამედ დიდი აზნაურიც—დიდებული აზნაურის მფარველობაში შესული. თვით დიდებულებიც მეფის ყმებად იწოდებიან.

[2] საისტორიო კრებული, III, 1928, გვ. 98.

თუმც ყველა თავნასყიდი იყო"). მოძალადეს, რაკი სხვა აღარაფერი იყო მომჩივანის მამულში, ახლა აქ მცხოვრებთა შეპყრობა დაუწყია. ფეოდალისაგან დამოკიდებული მოსახლეობა ორი ნაწილისაგან შედგება — ესაა გლეხები და ყმები. იგივე საბუთი უფრო კონკრეტულ ცნობებს იძლევა, თუ, სახელდობრ, რა მოვალეობა ედოთ ყმებს. ყმა პატრონს თან ახლავს, ამასთან, ყმა ცხენზე ზის („ჩვენისა სიძისა ყმა შეიპყრა და ცხენისაგან გარდაგდო"); ყმათა შორისაც არ ყოფილა ერთგვაროვნება: „დაიპყრნა სამნი ყმანი. ერთი მომართებული გაძარცვა და გოშაურნი თანა წამოიტანნა, ერთი გაეპარა და მათ თავი ასყიდინა, აღარ მოკლა და ვერჩით ამასაცა ჩუენდა სისხლად". ამ შემთხვევაში დამნაშავე პასუხს აგებს არა მარტო მომჩივნის, არამედ ამ მომჩივნის ყმების წინაალმდეგ ჩადენილ საქციელზეც. ყმათა პატრონი კი ყმების დამცველად და მფარველად გვევლინება. ყმათა შორის საბუთი ასახელებს მომართებულ ყმას და გოშაურ ყმებს. მომართებული ყმა (ეს ტერმინი ბექა-აღბუღას სამართალშიაც იხსენიება) ისეთი ყმაა, რომელიც თავისი თხოვნით პირადად მიუვიდა პატრონს. დამნაშავე მომართებულ ყმას სხვანაირად ექცევა; გოშაურთ კიდევ სხვანაირად (გოშაური — ადგილის სახელწოდებიდან უნდა მომდინარეობდეს. ჩანს, ეს ადგილი მომჩივანის საპატრონოა და მკვიდრის სინონიმად უნდა იგულისხმებოდეს).

ყმა და გლეხი, როგორც განსხვავებულ მდგომარეობაში მყოფი პირები, ჩანან გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დებაში" (XIV ს.). ამ ძეგლში თუ გლეხი სოციალურად ისეთი წრის წევრია, რომლის გასხვისება ხდება (ძეგლში იხსენიებიან „შეწირული გლეხები" — მუხ. 41), ყმა უკვე ისეთ პირს ჰქვია, რომელიც თავისუფალი პირის საქმიანობაში დამხმარე და შემწედ გამოდის. ყმა მეორეს მიჰყვება ვინმეს დასარბევად. მაგრამ ამ რბევის დროს ყმისგან ნაშოვნი ნივთეულობა შეიძლება დარბეულის სისხლად იქნას გადახდილი, ე. ი. ყმა მატერიალურად მონაწილეობს იმ ჯარიმის გადახდაში, რაც დაეკისრა მას, ვისიც ყმა თვითონ არის.

მაგრამ ძირითადად XIII—XIV სს. ყმები, როგორც გლეხისაგან განსხვავებულ სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი პირები უკვე აღარ ჩანან.

თუ XI საუკუნეში მრავლად გვხვდებიან თავისუფალი მიწისმოქმედნი, XII — XIII სს. ასეთთა დაყმევება-გაგლეხების ხანას წარმოადგენდა. თუმცა მომდევნო ხანებშიაც შიგადაშიგ ჩანან ისეთი მიწისმოქმედნი, რომელნიც პირადად თავისუფალი არიან, მაგრამ გარკვევა იმისა ეს თავისუფლება ძველთაგანვე მომდინარეა თუ შემდეგ მოპოვებული, ძნელია.

მ ს ა ხ ურ ნ ი. ცალკე სოციალურ ფენას შეადგენდნენ მსახურები. მსახური ესაა პირადად თავისუფალი, ვასალი, რომელსაც პატრონის სასარგებლოდ მართებს სამსახური, რაც ხლებასა, ლაშქრობაში და აგრეთვე

გამასპინძლებაში გამოიხატება. სამაგიეროდ პატრონი მფარველობს და იცავს მას.

მსახური, როგორც სოციალური კატეგორია, ჩანს XI ს-ის ბოლოს გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ პეტრიწონის მონასტრისათვის შედგენილ ტიპიკონში (წესდებაში). ბაკურიანისძის ტიპიკონი ჩამოთვლის დიდი აზნაურის დამოკიდებული მოსახლეობის სამ ფენას: ყმას, მსახურს, გლეხს[1]. ტექსტზე დაკვირვება ცხადს ხდის, რომ „ყმა" ტიპიკონში სოციალურად უფრო მაღალ საფეხურზეა, ვიდრე მსახური. ყმა ამ ტექსტით წვრილი აზნაურია დიდი აზნაურის მფარველობაში შესული, მსახური კი ყმა-აზნაურზე დაბლა დგას და გლეხზე მაღლა. ტიპიკონის ბერძნული ტექსტი ყმასა და მსახურს ერთი ტერმინით გადმოსცემს — „ანთროპოსით". ანთროპოსი კი ამ შემთხვევაში ნიშნავს ვასალს, ე. ი. მათ შორის ყოფილა ისეთი საერთო რამ, რითაც ეს ორი ფენა ბერძენი მწერლის გონებაში ერთიანდება. ესაა ვალდებულება პატრონის წინაშე სამსახურისა. ასეთივე შინაარსისაა მსახური შემდეგი დროის წყაროებშიც.

მსახური როგორც სოციალური კატეგორია ჩანს XIV ს-ის საკანონმდებლო ძეგლებში.

გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დებაში", რომელიც მთიულეთისათვის არის შედგენილი, მსახური იხსენიება როგორც აზნაურის ქვემოთ მდგომი. „განმგებელი თუ ქვეყანამ მოკლას... მსახური იყო განმგებლად, ექვსიათასი თეთრი დაიურვოს". „და თუ აზნაური იყოს განმგებლად და მოკლან, მის გუარსა ზედა დაიურვონ სისხლი"[2]. ამრიგად, განმგებლის ხელი (თანამდებობა) შესაძლებელი ყოფილა ჰქონოდა აზნაურსაც და მსახურსაც. ამასთან, მსახურის სისხლი 6000 თეთრი ღირს და მისი სისხლი ხევისბერის სისხლს უთანასწორდება; ხევისბერის სისხლიც 6000 ღირს, თუმცა ხევისბერის განაყოფის სისხლი 3000 თეთრად ფასობდა.

მსახურის შესახებ ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა: „ფეოდალური ურთიერთობის ხანაში საერთოდ მსახურები გარდამავალ საზოგადოებრივ ფენას შეადგენდნენ. ისინი მიწისმოქმედნი არიან და ამით გლეხებს ჰგვანან, ხოლო მათი წოდებრივი ფუნქცია აზნაურულია — ლაშქრობა და სამსახური"[3]. მსახური იხსენიება ბექა-აღბუღას სამართალში. ამ სამართლით მსახური სხვადასხვა მდგომარეობაში შეიძლება ყოფილიყო. მსახური შესაძლებელია მის პატრონს ჰყოლოდა ან აზნაურიშვილად, ან მსახურად

---

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თბ., 1971. 1, 5. 2, 17. 4, 6. 5, 15. 25, 3.

[2] ი. დ ო ლ ი ძ ე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957, მუხ. 2 და 4, გვ. 105.

[3] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 51.

(მუხ. 9)[1]. ამ შემთხვევაში მის მსგავსებას აზნაურთან თუ მსახურთან განსაზღვრავდა მისი სამსახურის ხარისხი. მსახურს შესაძლებელია ჰქონოდა რაიმე ხელი (მუხ. 9). ამას გარდა, მსახურს შეიძლება თავადაც ჰყოლოდა ყმა: „თუ დიდებულსა, გინა აზნაურსა, გინა მსახურსა და ვისაცა მომართებული ყმა ყვეს და კიდევ წაუვიდეს“ (მუხ. 78)[2]. ამ მუხლიდან აშკარა ხდება, რომ მსახური დიდებულისა და აზნაურის მსგავსად ყმის პატრონია.

სამართლის მე-7 მუხლი: „თუ მსახური მოკლას, რომელი მისსა პატრონსა აზნაურის შვილად ჰყვეს — 12000 თეთრი დაუურვოს. და თუ მსახურად ჰყვეს — 1000 თეთრი დაუურვოს“[3] — მაჩვენებელია მსახურის ბუნების ორმაგი ტენდენციისა: ერთი მხრივ, მსახური აზნაურს უტოლდება, აზნაურის ფუნქციებს ასრულებს და ე. ი. ეკონომიკურად ძლიერია, მეორე მხრივ, მსახური „მსახურად“ არის, ე. ი. თავის სოციალურ წრეში რჩება და მისი ფუნქციები იმ სოციალურ წრეს არ სცილდება. სწორედ ამ ორმაგი ტენდენციის გამო მსახური გარდამავალი საფეხურია სოციალურ კიბეში — ერთი მხრივ, ის ლამობს აზნაურთა წრეს გაუტოლდეს, მეორე მხრივ, ეკონომიკური შეუძლებლობა მას გლეხების საფეხურისაკენ ეზიდება.

ამ გარდამავალი ხასიათისა და ორმაგი ტენდენციის ბუნების გამო მსახური ქართულ საბუთებში არც იყო მკვეთრად გამოსახული ურთიერთდაპირისპირებული სოციალური ფენების მოხსენებისას. მაგალითად, დავითის ანდერძში ერთმანეთს უპირისპირდება გლეხი და აზნაური, მსახური კი საერთოდ გამოტოვებულია: „აწ შემდგომად ამისსა ანუ მეფემან, ანუ მთავარმან, ანუ ეპისკოპოზმან, გინა მონაზონმან, გინა ხ ე ლ ი ს უ ფ ა ლ მ ა ნ — ვ ი ნ, თ უ ნ დ ა გ ლ ე ხ მ ა ნ დ ა თ უ ნ დ ა ა ზ ნ ა ურ მ ა ნ ანუ ანდერძი ესე ჩემი შეცვალებად იურვოს“[4].

მსახური, როგორც ფეოდალისაგან დამოკიდებული სოციალური ფენა, იხსენიება „ვაჰანის ქვაბთა განგებაში“. ძეგლის დამდები ერისთავთ-ერისთავი მხარგრძელი (XIII ს-ის პირველი მესამედი) ასეთ პირობას უდებს მონასტერს: „ჩვენისა სახლისა აზნაურნი და თუნდა მსახურნი შემოლაზუნდებოდენ და... მონასტერს შეშვებასა... ღირს იქმნებოდენ, ესე მონასტრისა პატრონთაგან გაიჩინებოდეს: თუ ნამსახური იყოს და საპატიოდ აზნაურიშვილი, მწირველთავე თანა დაიწესებოდეს... და მსახური...

---

[1] ბექა მანდატურთუხუცესის სამართალი. ი. დ ო ლ ი ძ ე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 289.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 324.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 289.

[4] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 19.

მწირთა თანა დაეწესებოდეს"[1]. აქ, გარდა იმისა, რომ სახელდებულია ფეოდალისაგან (ამ შემთხვევაში მხარგრძელთ სახლისაგან) დამოკიდებული ორი სოციალური ფენა („ჩვენისა სახლისა") — აზნაურები და მსახურები, ხაზგასმულია ამ ორ ფენას შორის სოციალური განსხვავებაც. აზნაურს მწირველთან ერთად მიიღებენ (მწირველი — მეორე დასის მონაზონი), ხოლო მსახურს მწირთან ერთად (მწირი — მესამე დასის მონაზონი).

ბექას სამართალი იძლევა იმის წარმოდგენას, თუ რა ვალდებულება-მოვალეობა აწევს მსახურს: „ქოთლოსნისა და აბჯროსნისა და კარვოსნისა და პატრონთან რომ ჯელი აქვნდეს ანუ ჰქონებოდეს, მისი სისხლი 12000 თეთრი იყოს, ამად რომე კარვოსნობა ესე ყოველთა წესია, აზნაურული სჭირს და რომელსა მსახურსა ისი ყველა საქმე სჭირს, ისრე სრულად" (მუხ. 9). ამ მუხლში ჩამოთვლილია, თუ, სახელდობრ, რა მოვალეობა შეიძლება ჰქონდეს მსახურს. ესაა ქოთლოსნობა (ციხის დაცვა), აბჯროსნობა (შეიარაღებული ხლება პატრონისა) და კარვოსნობა (კარვის დადგმა და მოვლა). ამასთან, ამ მუხლში ხაზგასმულია, რომ კარვოსნობა „ყოველთა წესია", ე. ი. ყველას ერთნაირად ევალება, მაგრამ ამ მოვალეობას „აზნაურული სჭიროსო", ე. ი. იმდენად რთული ყოფილა ამ მოვალეობის შესრულება მატერიალურად თუ სხვა მხრივ, რომ ამ მოვალეობის შემსრულებელი თავისთავად აზნაურს უტოლდება.

თანდათანობით მსახურთა ნაწილი აზნაურთა რიგებში გადადის, უმრაკლესობა კი ყმა გლეხების მდგომარეობაში ვარდება. მაგრამ ამ შემთხვევაშიც მსახური გლეხთა შორის არის ყველაზე უფრო პრივილეგირებული, გადასახადებისგან მეტნაწილად თავისუფალი და ბატონის წინაშე საპატიო სამსახურისა და ლაშქრობის მოვალე პირი.

ადრეული ფეოდალიზმის დროს მსახურები ძირითადად სამეურნეო-ადმინისტრაციულ უბანზე არიან დასაქმებული[2]. ამავე საქმიანობას ეწევიან ისინი მომდევნო ხანებშიც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მათი ერთი ნაწილი გააზნაურებულია ან თავისი ეკონომიკური მდგომარეობის გამო გააზნაურებას ლამობს, დიდი ნაწილი კი უკვე დაბეგრილია და გლეხთა ფენაში მოხვედრილი.

ადმინისტრაციული მოხელე-მსახური ჩანს განვითარებული ფეოდალიზმის ხანის რამდენიმე ძეგლში.

დავით აღმაშენებლის ანდერძში, რომელიც შიომღვიმის მონასტრისადმია დადებული, იხსენიებიან „მსახურნი მონასტრისანი", რომლებიც მონასტერში გაერთიანებულ ძმათა რიცხვში არ შედიან, მაგრამ მათდამი

---

[1] ვაჟანის ქვაბთა განგება, გამოც. ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, თბ., 1939, გვ. 85.

[2] ა. ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე, ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1961, გვ. 109.

დაკისრებული საქმიანობის გამო მონასტერი ვალდებულია შესაფერისი მატერიალური პირობები შეუქმნას მათ („ღვინოი... შინაი მოართვან მსახურთა მონასტრისათა ყოველთა ერთი საწყაური“... „მატყლი — მსახურთა მონასტრისათა... მიეცემოდის“[1]. მონასტერში გაერთიანებული საერო პირები — მსახურები იხსენიებიან ვაჰანის ქვაბთა განგებაშიც[2].

მსახური, როგორც ფეოდალის მოხელე, რომელსაც გადასახადების აკრეფა ევალება, იხსენიება გრიგოლ სურამელის 1227 — 1230 წწ. საბუთში[3].

ფეოდალთა კლასი. ფეოდალები წარმოგვიდგება მეფის, ეკლესიისა და აზნაურების სახით.

XI ს-ის ისტორიკოსი „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი მისი დროის გაბატონებულ საზოგადოებას წარჩინებულებს ან დიდებულებს უწოდებს[4]. ამავე დროს ეს ავტორი უჩვენებს დიდებულთა წრის შემადგენელ ელემენტებსაც. „ივანე მარუშის ძემან ინება, რათა მოიყვანოს ბაგრატ მეფედ აფხაზეთისა და ქართლისათა და მის თანა ყოველთა დიდებულთა, ერისთავთა და აზნაურთა აფხაზეთისა და ქართლისათა“[5]. ამ ფრაზაში დახასიათებულია ის სოციალური წრე, რომელიც მოსურნეა ბაგრატის გამეფებისა. ესენი არიან „ყოველნი დიდებულნი“, „ერისთავნი და აზნაურნი აფხაზეთისა და ქართლისათა“.

გაბატონებული ფენის შემადგენელ ელემენტთა კონკრეტული ჩვენება დაცულია გიორგი II-ის 1072 წლის სიგელის დამამტკიცებელ ნაწილში. აქ ნათქვამია: „აწ ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩვენი შემდგომად ჩუენსა მომავალთა მეფეთა, ერისთავთ-ერისთავთა, ერისთავთა, აზნაურთა, მემამულეთა და მოსაკარგავეთა... დაუმტკიცეთ“[6]. ამ ფორმულაში იგულისხმება გაბატონებული კლასის ასეთი იერარქიული სქემა: მეფე — ერისთავთერისთავი — ერისთავი — აზნაური მემამულე — აზნაური მოსაკარგავე. ამ სქემით აზნაურთა მასისაგან გამოყოფილია ერისთავთერისთავი და ერისთავი. ესენი ისეთი აზნაურები არიან, რომელთაც მეფისაგან ბოძებული აქვთ ამა თუ იმ მხარის, პროვინციის გამგებლობა. ერისთავთერისთავს ჰქონდა „მთავრობა ყოველთა დიდებულთა და აზნაურთა, რომელნი მკვიდრნ არიან“ მის საბრძანებელში[7]. ერისთავთერისთავს ექვემ-

---

[1] დავითის ანდერძი, ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 14 — 15.

[2] ვაჰანის ქვაბთა განგება, ლ. მუსხელიშვილის გამოც., გვ. 64, 71.

[3] ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 59.

[4] მატიანე ქართლისაჲ, ქ. ცხ., I, გვ. 275.

[5] იქვე.

[6] თ. ყორდანია, ისტორიული საბუთი შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 12.

[7] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, I, გვ. 204 („ძეგლი ერისთავთას“ მიხედვით).

დებარება ერისთავიც. ერისთავთერისთავთა საგამგეო მსხვილი ტერიტორიული გაერთიანებანი იყო, ამიტომაც თამარ მეფის დროს ერისთავთერისთავთა რიცხვი არცთუ ისე დიდი ჩანს. მაგრამ ადრიდანვე შეიმჩნევა საერისთავთსაერისთავოს გამგებლის თანამდებობის ერთი და იგივე ფეოდალურ სახლზე დამკვიდრება. მაგალითად, კახაბერისძენი რაჭისა და არგვეთის ერისთავთერისთავებად ჩანან უკვე XI ს-ის დასაწყისიდან; შანშიანთ სახლს, ანუ მხარგრძელთა სახლს შერჩა სომხეთის ერისთავთერისთავობა, სურამელებს — ქართლის ერისთავთერისთავობა, ჯაყელებს — სამცხის ერისთავობა და ა. შ.

აზნაურთა ნაწილს, რომელსაც მეფისაგან „დიდება" ჰქონდა მინიჭებული, ე. ი. უმაღლეს ადმინისტრაციულ სახელოს ფლობდა, დიდებული აზნაურები წარმოადგენდნენ.

დიდებულ აზნაურებს ან მარტივად დიდებულებს, ქართული საისტორიო წყაროები ზოგჯერ მთავრებსაც უწოდებენ. გიორგი ხუცესმონაზონი, მაგალითად, დიდებულებს, ანუ ერისთავთერისთავებს მთავრების ტიტულით მოიხსენიებს. თურქებისაგან ახალქალაქის აკლების მოთხრობისას იგი დასძენს: „არათუ ახალქალაქისა მკვიდრნი მოისრნეს, არამედ დიდდიდნი და წარჩინებულნი მთავარნი და ერისთავნი სამეფოსა ჩუჱნისანი ძვირძვირად მოისრნეს და წარწყმდეს"[1]. კონტექსტით ახალქალაქის მთელი მოსახლეობა (იგულისხმება საერთოდ ჯავახეთის მოსახლეობა) შედგება მკვიდრთაგან, რომელთაც გამოეყოფიან წარჩინებულნი მთავარნი და ერისთავნი. აქ მთავარი ერისთავთერისთავს, ანუ ერისმთავარს უდრის. ამავე მნიშვნელობით აქვს ნახმარი ეს სიტყვა იმავე ავტორს სხვა ადგილასაც: „მოვიწიენით ქუეყანად ქართლისა, სადა იგი იყო მეფე მთავართა თავისთა თან"[2]. მთავარი რომ განსხვავებული წოდებაა ერისთავისაგან, ეს გარკვევით ჩანს „მატიანე ქართლისაჲს" შემდეგი ადგილიდან: „იძლინეს აფხაზნი, ხოლო მოკლეს ნასრა და ბაყათარ, მთავარი ოვსთა, და ერისთავი აფხაზთა"[3]. აქ ერთდროულად იხსენიება ოსთა მთავარი და აფხაზთა ერისთავი. ამ შემთხვევაში მთავარი პოლიტიკურად დამოუკიდებელი ქვეყნის მმართველს უდრის, მაშინ როცა ერისთავთერისთავი და ერისთავი მეფის ხელქვეითნი არიან. ამ შემთხვევის გარდა, მთავარი ყველგან დიდებულ აზნაურს, ერისთავთერისთავს უდრის. ვახუშტი სიტყვა „მთავარს" ხმარობს ძველი დროის ერისთავთერისთავის და მისი დროის დიდებული თავადის აღსანიშნავად.

ვახუშტის ხაზგასმული აქვს, რომ ერისთავად ინიშნებოდნენ და არა იბადებოდნენ. მაგრამ ამასთან ერთად მისთვის ისიც ნათელია, რომ ერის-

---

[1] ცხორება გიორგი მთაწმიდელისა, ათონის კრებული, გვ. 329.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 319.

[3] მატიანე ქართლისაჲ, ქ. ცხ., I, გვ. 261.

თავად ინიშნებოდნენ მხოლოდ და მხოლოდ გარკვეული წრის წარმომადგენელნი — მთავარნი და წარჩინებულნი. „ესე ერისთავნი დაიდგინებოდნენ მთავარნი და წარჩინებულნი“ — ამბობს ვახუშტი და თან განმარტავს, თუ რა ნიშნები უნდა ჰქონოდა მთავარს: „მთავრისა ჯერ იყო, რათა აქუნდეს ჩამომავლობა და გვარი იგი და ამის მიმართ ციხე-ქალაქი, სიმაგრე და ხეობანი. და თვინიერ ამისა არა ისახელებოდა მთავრად“[1].

ერისთავთერისთავს, ანუ მთავარს ემორჩილებოდა მის საგამგეოში მცხოვრები ყველა დიდებული და აზნაური. ამასთან, ყველა ეს დიდებული და აზნაური დანარჩენ მკვიდრებთან ერთად უნდა ყოფილიყვნენ „თანამოლაშქრე ერისთავთერისთავისა“[2].

დიდებულის, ერისთავის სიძლიერის ერთ-ერთი მაჩვენებელი იყო მისი ხელქვეითი ხალხის, მის საგამგეოში მცხოვრებთა სიმრავლე. ამას ვახუშტის ზემომოყვანილი სიტყვების გარდა („მთავარს... აქუნდეს... ხეობანი“) ხაზგასმით მეტყველებს გიორგი ხუცესმონაზვნის თხზულებაში დაცული ერთი ეპიზოდი. აქ შემდეგნაირადაა დახასიათებული ბაგრატ IV-ის მოწინააღმდეგე ერთი საგვარეულო აბაზაასძენი: „ესე კაცნი ძლიერნი და ახოვანნი, სიმდიდრესა ზედა მკლავისა თვისისა მოქადულნი და სიმრავლესა ზედა ერისასა აღზუავებულნი“[3]. მაშასადამე, ერის სიმრავლით აღზევება ყოფილა უპირველესი ნიშანი სიძლიერისა.

ერის სიმრავლის გარდა აზნაურის სიძლიერეს მოწმობდა ციხესიმაგრეც. ციხის ფლობა ეს აზნაურის ფართო წრიდან გამოყოფის მაჩვენებელია. სუმბატ დავითის ძის თხზულებაში გარკვევითაა აღნიშნული, რომ აზნაურთა ფენა ორ ნაწილად იყოფოდა — ციხოვანნი და უციხონი („აზნაურნი ტაოელნი წარვიდეს საბერძნეთს: ვაჩე კარიჭის ძე და ბანელი ეპისკოპოსი იოვანე და ამათ თანა უმრავლესნი აზნაურნი ტაოსა, რომელნიმე ციხოვანნი და რომელნიმე უციხონი“)[4]. ციხოვანი აზნაურების პარალელურად ქართული საისტორიო წყაროები ასახელებენ აგრეთვე „ციხეთაუფალთ“[5]. სოციალური განსხვავების მაუწყებელი ნიშანი — ციხის ფლობა — განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში სულ უფრო მკვეთრ სახეს იღებს, რისი გამომხატველიცაა ბექა-აღბუღას სამართალი, რომელიც აზნაურთა შორის შემდეგ გრადაციებს ასახელებს:

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა... გვ. 14.

[2] ძეგლი ერისთავთა, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო შ ო თ ა მ ე ს ხ ი ა მ. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 346. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, ნაწ. II, ნაკვ. I, გვ. 205.

[3] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. II, თბ., 1967, გვ. 160.

[4] ს უ მ ბ ა ტ დ ა ვ ი თ ი ს ძ ე, ქ. ცხ., I, გვ. 385.

[5] მატიანე ქართლისაჲ, ქ. ცხ., I, გვ. 307.

დიდებული აზნაური, აზნაური ტაძრეული, ციხოსან-მონასტროსანი, მამული დიდი; აზნაური უციხო, უმონასტრო; აზნაური დამცრობილი[1].

დიდებულთა შემდეგ სოციალურ კიბეზე ის აზნაურები დგანან, რომლებიც სამეფო აზნაურებად ითვლებიან (ტაძრეული), აქვთ საკუთარი ციხე, მონასტერი და საკმაო მამული.

ციხის პატრონი აზნაურების შემდეგ უციხონი და უმონასტრო აზნაურები არიან. ასეთი აზნაურების რიცხვი მრავალი იყო. ამ აზნაურთა პატრონი შეიძლებოდა ყოფილიყო მეფე (სახელმწიფო), ეკლესია ან დიდებული აზნაური.

დიდებულის, ერისთავთერისთავის აზნაურები იხსენიებიან ვაჰანის ქვაბთა განგებაში. ამ ძეგლით მხარგრძელთა სახლი გამოდის აზნაურთა მფლობელად („ჩვენისა სახლისა აზნაურნი"). ამასთან, მხარგრძელთა აზნაურნი შეიძლება ყოფილიყვნენ „ნამსახური და საპატიო აზნაურისშვილები" ან „დიდად საპატიო... და ნამსახური არ იყოს"[2]. ამავე ძეგლში დიდებული აზნაურისაგან განსხვავებული და მასზე მაღალ სოციალურ საფეხურზე მდგომი პირია — „დიდებულისა შვილი იყოს, ანუ აზნაურისა".

აზნაური, რომელიც თავის ყმა-მამულს მემკვიდრეობით ფლობდა, აზნაური მემამულე ერქვა, ხოლო ისეთ აზნაურს, რომელსაც ყმა-მამული ჩაბარებული ჰქონდა დროებით, როგორც სამსახურისათვის გასამრჯელო, აზნაური მოსაკარგავე ერქვა. ეს გარემოება ზემომოტანილ დავითის ანდერძის გარდა მკაფიოდ ჩანს რკონის დაწერილში: „უკეთუ ვინმე ესე... შეცვალოს... ანუ მემამულემან ვინ, ანუ მოსაკარგავემან... შენ, ღმრთისმშობელო რკონისაო, რისხვით აღიძარ მას ზედა"[3]. აქაც მემამულე და მესაკარგავე ერთიმეორის საწინააღმდეგო ცნებებია.

აზნაურთა ფენა მეტად მრავალრიცხოვანი იყო საქართველოში. „ხელმწიფის კარის გარიგება" ასახელებს მარტო მესაწოლე აზნაურის თითქმის 700 სახლს („შვიდასი სახლი მესაწოლე არის და გლეხი რვა სახლია და სხვა ყოველივე აზნაური")[4]. აზნაურთა ფენის მრავალრიცხოვნობას მოწმობს აზნაურთა შორის სხვადასხვა კატეგორიათა არსებობა.

აზნაურის ძირითადი მოვალეობა პატრონის სამსახური იყო. პატრონი კი აზნაურს სამნაირი შეიძლებოდა ჰყოლოდა — მეფე, ეკლესია-მონასტრები, დიდებული. უპირატესი მდგომარეობა იმ აზნაურებს ეჭირათ, რომელნიც მეფის, ანუ სახელმწიფოს საკუთრებას შეადგენდნენ. სამეფო (ტაძრეული) აზნაურები ზოგჯერ რაიმე განსაკუთრებულ სამსახურს ეწე-

---

[1] სამართალი ბექა მანდატურთუხუცესისა, ი. დ ო ლ ი ძ ე, ძველი ქართული სამართალი, მუხლი 2, 3.

[2] ვაჰანის ქვაბთა განგება, ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ს გამოც., გვ. 85.

[3] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 64.

[4] ხელმწიფის კარის გარიგება, ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს გამოც., გვ. 125.

ოდნენ (მოხელეები). ასევე საეკლესიო და დიდებულთა აზნაურებს შორისაც ზოგი საპატიო სამსახურს — რაიმე მოხელეობას ეწეოდა, უმრავლესობა კი ხლება-ლაშქრობა-ძღვენით გამოხატავდა თავის ვალდებულებას პატრონის წინაშე. ამათგან პირველნი უფრო უპირატეს მდგომარეობაში იყვნენ და სწორედ ამის გამო გამოირჩეოდნენ აზნაურთა დანარჩენი მასისაგან.

აზნაურის სიძლიერე, როგორც ითქვა, ერის სიმრავლეზე იყო დამოკიდებული. რაც უფრო მეტი ჰყავდა ყმა და რაც უფრო დიდ მამულს ფლობდა აზნაური, მით უფრო ძლიერი იყო.

ფეოდალის მამული ორი ნაწილისაგან შედგებოდა: ერთი ნაწილი მთლიანი იყო. იგი ზვრებისა და ხოდაბუნებისაგან შედგებოდა და მას ფეოდალი ამუშავებდა გლეხების შრომით ბეგარაზე გამოყვანით. მამულის ამ ნაწილს „სასეფო ყანა“ და „სასეფო ვენახი“ ერქვა. მამულის დანარჩენი ნაწილი ცალკეულ ნაკვეთებად იყოფოდა და თითოეულ ნაკვეთზე ყმა გლეხი იჯდა. გლეხი ამუშავებდა ამ მიწას და ფეოდალს უხდიდა მოყვანილი მოსავლის გარკვეულ ნაწილს, დანარჩენს კი გლეხი თვით მოიხმარდა. გლეხებზე დანაწილებულ აზნაურის მიწა-წყალს „საგლეხო მიწა“, „ფუძე“ ან „საგლეხო მამული“ ერქვა.

ქართულ საისტორიო წყაროებში გვხვდება რამდენიმე მაგალითი, თუ როგორ ხდებოდა მიწის პატრონისაგან (მეფე იქნებოდა ის თუ აზნაური) მიწის დამუშავება გლეხების შრომითი ბეგარით. ყოველი ცალკეული აზნაურის მამულში მცხოვრებ გლეხებს ვალად ედოთ აზნაურის ყანებსა და ვენახებში მუშაობა. წესად ყოფილა ცალკეული მხარის, ხეობის მცხოვრებთა ერთდროული გამოსვლა პატრონის მიწების დასამუშავებლად. ეს გარკვევით ჩანს XIII საუკუნის ერთი საბუთიდან. ამ საბუთის გამცემი ბეგა სურამელის რძალი ქანანა სოფ. ნოსტეს მცხოვრებლებს „თავისუფლებს სურამელთა სახლის ყოველგვარი გადასახადისაგან და უტოვებს მხოლოდ ერთ ვალდებულებას — ხეობის მცხოვრებლებთან ერთად გამოვიდნენ ბატონის (სურამელის) მიწების დასამუშავებლად: „რაი ხეობაი გამოვიდოდეს და შეიყრებოდეს, სახნავს და სამკალს გამოჰყვებოდეთ“[1]. დაუნაწილებელი მიწების (ზვარი, ხოდაბუნი) დასამუშავებლად გლეხების გამოყვანა ტერიტორიული ნიშნით რომ ხდებოდა, ეს უფრო გარკვევით ჩანს „ხელმწიფის კარის გარიგებიდან“, სადაც ნათქვამია, რომ სამეფო ზვრებში სამუშაოდ გამოჰყავთ ცალკეული ქვეყნები, რომელთა მცხოვრებთა მორიგეობას მანდატურთუხუცესი აწესრიგებდა[2].

აზნაურის ადგილსამყოფელს, რეზიდენციას წყაროები საჯდომს უწოდებენ. ამასთან, ზოგ აზნაურს შეიძლებოდა ჰქონოდა რამდენიმე საჯდო-

---

[1] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 170.

[2] ხელმწიფის კარის გარიგება, ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს გამოც., გვ. II.

მი — ციხის საჯდომი (თუ აზნაური ციხის მფლობელი იყო) და ვაკის საჯდომი. ამ უკანასკნელში იგულისხმება ციხისაგან განსხვავებული გაუმაგრებელი ადგილი, უბრალო სოფელში მოთავსებული სასახლე. ორივე ეს ტერმინი დაცულია ბექა-აღბუღას სამართალში („თუ კაცმან ციხესა ანუ ვაკისა საჯდომსა უღალატოს"...)[1].

საჯდომი სახლი რამდენიმე ჰქონდა თითოეულ აზნაურს. მაგალითად, ბექა სურამელი ერთ-ერთი საბუთით ცდილობს საჯდომი სახლი შეიძინოს (რასაკვირველია, სურამელს ამ საბუთის დადებამდე ექნებოდა უკვე რეზიდენცია): „მომინდა თქუენი მკუიდრი მამული, პატარა ადგილი, ჩემდა დასაჯდომად... და მოგეც მისდა სანაცვლოდა შენისა განაყოფისა მამული მისი საჯდომი სახლითა"[2].

საჯდომი სახლის გარდა, თუ რისგან შედგებოდა აზნაურის სამყოფელი, ეს კარგად ჩანს ალექსანდრე მეფის 1425 წლის სიგელიდან. ამ სიგელით მეფე ზედგენიძეებს უბოძებს აზნაურ ქარუმიძეს: „მიუბოძეთ ქარუმის ძე ქავთარ და მისი შვილი და მომავალნი სახლისა მათისანი, მათითა მამულითა, საჯდომითა სახლითა, ყანითა, ვენახითა, წყლითა და ბარითა"[3].

საჯდომი სახლი სამეურნეო-საცხოვრებელ ნაგებობათა კომპლექსი იყო. გარდა საცხოვრებელი სახლისა, ამ კომპლექსში შედიოდა ბეღელი, მარანი, ბოსელი, სამზარეულო, სამეხრეო სახლი, ფარეხი. ეს კომპლექსი გალავანშემოვლებული იყო, გალავანს დატანებული ჰქონდა ქვითკირის ჭიშკარი[4]. აზნაურის სახლ-კარში შედიოდა კარის ეკლესია და მონასტერიც, თუკი ეს აზნაური მონასტრის მფლობელ აზნაურთა ფენის (ციხოსან-მონასტროსანი) წარმომადგენელი იყო. ისეთ აზნაურს კი, რომელსაც საკუთარი მონასტერი არ გააჩნდა, თავის კარმიდამოში გამოყოფილი ჰქონდა სპეციალური „სახლი საჯვარე", სადაც საოჯახო ხატები ინახებოდა და რომელიც სამლოცველოს ფუნქციას ატარებდა. ასეთი „სახლი საჯვარე" ჰქონდათ, მაგალითად, ხეთას ციხეში ქორთოძეებს („ერთი მომცრო ხატი ჩემს ხეთას ციხეს საჯვარეშიდ დავასვენეთ")[5].

საერო ფეოდალების, როგორც მეურნისა და მემამულის, მსგავსნი იყვნენ საეკლესიო ფეოდალები. ეკლესია-მონასტრები დიდძალ ყმა-მამულს ფლობდნენ, ჰქონდათ საკუთარი ხოდაბუნები და ზვრები.

---

[1] ი. დ ო ლ ო ძ ე, ძველი ქართული სამართალი, ბექა მანდატურთუხუცესის სამართალი, მუხ. 33.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 77; ქრონიკები, II, გვ. 169.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 118; საქართველოს სიძველენი, III, დამატება, გვ. 8—9.

[4] ფეოდალის სასახლის შესახებ მეტყველ ცნობებს იძლევა ნიკორწმიდელის დაწერილი.

[5] როსტომ ქორთოძის ქალის მინაწერი ცაიშის სახარებაზე, ქრონიკები, II, გვ. 457.

ვ ა ჭ რ ე ბ ი. ივ. ჯავახიშვილს ცალკე წოდებად მიაჩნია ვაჭარნიც[1], თუმცა ცალკე წოდებად შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ ვაჭართა ერთი ნაწილი — დიდვაჭრები, რომლებიც პირადად თავისუფალი იყვნენ და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ საქმეებშიც იღებდნენ მონაწილეობას. ასეთი დიდვაჭრის სისხლი, ბექა-აღბუღა'ს სამართლით, მესამე ხარისხის აზნაურს უტოლდება. „თუ ვაჭარი მოკლას ვაჭარმა, საპატიოსა ვაჭრისა თორმეტი ათასი თეთრი იყოს ასეთისა, რომე პატრონთა კარგად და საპატიოთ ყვეს და საქმის მქმნელად. და მას ქვეშეთისა, რომე გზით მოვიდეს და პატრონთა ნახვისა და ძღვნის მიღებასა ღირს იყოს, მისი ექვსი ათასი თეთრი იყოს"[2]. ამ მუხლით დახასიათებულია ორგვარი ვაჭარი: 1. საპატიო ვაჭარი, რომელიც პატრონს „საპატიოდ ყვეს და საქმის მქნელად", ე. ი. პატრონს ის რაიმე საქმეზე ჰყავს გამოყენებული; ასეთი ვაჭრის სისხლი 12000 თეთრად ფასობს, ისევე როგორც უმონასტრო აზნაურისა[3]. ვაჭარი, რომელიც წინა ვაჭარზე დაბლა დგას, ე. ი. მხოლოდ ვაჭრობს და პატრონის არავითარი დავალება არ აკისრია, მოვალეა მგზავრობიდან დაბრუნებისას პატრონს ძღვენი მიართვას. ასეთი ვაჭრის სისხლი 6000 თეთრი ღირს და ამით ის უტოლდება მსახურთა იმ კატეგორიას, რომელსაც ხელი არა აქვს.

საპატიო ვაჭართა უმაღლეს წრეს — „დიდ-ვაჭრებს" — შეეძლო მონაწილეობა სახელმწიფო საქმეებში, იგზავნებოდნენ დესპანებად უცხოეთში. თამარის დროის დიდვაჭარი ზანქან ზორაბაბელი თამარის საქმროს ჩამოსაყვანადაც იყო გაგზავნილი ყიჩაყებთან სუნჯას.

ვაჭრების უმრავლესობა კი პირად თავისუფლებას მოკლებული იყო და სოციალურად ყმა გლეხის მდგომარეობაში იდგა. მისი შეწირვა და გაყიდვა ისევე თავისუფლად შეიძლებოდა, როგორც გლეხისა. ამასთან, ასეთი ვაჭრების მფლობელებად ჩანან არა მარტო სახელმწიფო და ეკლესია, არამედ კერძო პირებიც. მელქისედეკ კათალიკოსმა, მაგალითად, მცხეთის ეკლესიისათვის იყიდა „კაკს ვაჭარნი ათორმეტნი"[4].

ვაჭრების მფლობელია შიომღვიმის მონასტერიც. ამ მონასტრის ვაჭრების მოვალეობაა მონასტრისათვის ცვილის მიტანა... „ცვილი, ვითა გამიჩენიან ვაჭართა ზედა ჟამად-ჟამად"[5]. შიომღვიმის კუთვნილი ვაჭრები ისევე სარგებლობენ შეუვალობით, რომელიც მეფემ ამ მონასტერს მია-

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვეთი I, ტფ. 1928, გვ. 35.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 36.

[3] ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ. 463.

[4] მელქისედეკის დაწერილი, ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 23.

[5] დავითის ანდერძი, ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 14.

ნიჭა, როგორც მონასტრის გლეხები: „გაგვითავისუფლებიან ბაჟისაგან ვაჭარნი და გლეხნი მათნი"[1] (მონასტრისა — მ. ბ.).

ვაჭართა მფლობელია ჭიაბერ მანდატურთუხუცესი. მისი კუთვნილი ვაჭრები ჟინოვანს ცხოვრობენ. ჭიაბერმა ესენი თავისი ადგილ-მამულით შიომღვიმის მონასტერს შესწირა და დაავალა მონასტრისათვის მიეტანათ წელიწადში 30 ლიტრა ცვილი[2].

აქ მოტანილი მაგალითებით ვაჭრები ყმა გლეხის მდგომარეობაში არიან. მათი საქმიანობა ვაჭრულია, ისინი მოვალენი არიან თავიანთი საქმიანობის შედეგი — ნავაჭრის ერთი ნაწილი პატრონს უხადონ. ისინი პატრონის საკუთრებაა, პატრონს შეუძლია მათი გაყიდვაც და შეწირვაც. ეს ვაჭრები ვალდებული არიან პატრონს ემსახურონ.

XI საუკუნეში კლასთა ბრძოლა გამოიხატებოდა, ერთი მხრივ, აზნაურთაგან მდაბიურ-მოლაშქრეთა — ყმათა — გაგლეხებაში და, მეორე მხრივ, თავისუფალთა ცდაში როგორმე შეენარჩუნებინათ ეს თავისუფლება და, უკეთეს შემთხვევაში, მიეღწიათ საზოგადოების უფრო მაღალი საფეხურისათვის. არც საზოგადოების უმდაბლესი ნაწილი — გლეხობა — შეიძლება ყოფილიყო თავის ბედს შეგუებული. ისიც ცდილობდა გლეხის მდგომარეობიდან თავის დაღწევას. ამიტომ ფეოდალურ ურთიერთობებთან ბრძოლის სხვადასხვა ფორმა სულ არსებობდა ფეოდალიზმის ისტორიის მთელ ხანაში. სამწუხაროდ, ჩვენს საისტორიო წყაროებში არ არის შემონახული ამ ბრძოლის — არც გლეხთა წინააღმდეგობებისა და არც აზნაურთაგან თავისუფალთა დამორჩილების ამსახველი მასალა. კანტიკუნტი და საკმაოდ არაპირდაპირი ცნობების საშუალებით მხოლოდ მიახლოებითი სურათის წარმოდგენა შეიძლება.

აზნაურს ყმა-მამულის შეძენის რამდენიმე საშუალება აქვს — მემკვიდრეობით დაუფლება, მეფისაგან წყალობით მიღება, ყიდვა. ზოგ საეკლესიო და საერო ფეოდალს (საეკლესიო ფეოდალად იგულისხმება ეკლესია-მონასტერი ეპისკოპოს-წინამძღვრით სათავეში) მინიჭებული ჰქონდა სასამართლო შეუვალობა, რასაც ის ადგილ-მამულის გასაფართოებლად იყენებს (სასამართლო შეუვალობა ნიშნავს სამართლის წარმოებისა და სამართლის წარმოებისათვის დაკისრებული გადასახადის მიღების უფლებას).

ნიკორწმიდის მონასტრის წინამძღვარი XI საუკუნის ბოლო მესამედში სამართლის წარმოებისათვის მიწის ნაკვეთებს იღებს დამნაშავეთაგან დანაშაულის საზღაურად და ამ გზით აფართოებს ნიკორწმიდის მონასტრის ადგილ-მამულს. მაგალითად, „გლეხსა ჩუენსა ცხენი მოჰპარეს მუნვე

---

[1] გიორგი III-ის 1170 წ. სიგელი, ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 22.

[2] ჭიაბერის დაწერილი, იქვე, გვ. 29.

ხნაკვას და საზღავად ავიღეთ მიწა ნაკვეთი ორი"[1]. ეს ორი ნაკვეთი მიწა, რომელიც მანამდე ცხენის ქურდს ეკუთვნოდა, ახლა მონასტრის კუთვნილებაში გადადის. მონასტრის — საეკლესიო ფეოდალის — ადგილ-მამული ფართოვდება, მეორე მხარე კი მიწას კარგავს.

„ქველაჲს ძისა შვილთაგან ავიღეთ საზღავად მიწა შხროს ზედა"[2]. ქველაჲს ძის შვილებს რაღაც დანაშაული ჩაუდენიათ, რის საზღაურადაც მონასტერმა მათ მიწა ააართვა.

„მღილა დაკოდნა ეკლესიისა კაცნი და მისდა საზღავად ავიღეთ ველიჭრულსა რაჲცა იყო მისი კერძი"[3]. ეკლესიის კაცების, ალბათ ეკლესიის მოხელეების, წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის მღილას ჩამოერთვა ადგილ-მამული, რაც კი ველიჭრულში ჰქონდა. ეს მიწები ახლა მონასტრის მფლობელობაში გადადის.

„კაჩაეთს სქელაეთგან ავიღეთ ყანა ცხენისა საზღავად"[4]. სქელაელებს ცხენი მოუპარავთ და ამ დანაშაულის საზღაურად მონასტერმა აიღო მათი კუთვნილი ყანა სოფელ კაჩაეთში.

ყველა ამ მაგალითით მონასტერი სამართლის წარმოებისათვის ადგილ-მამულს იფართოებს, იგი საზღაურს იღებს არა ფულით ან ნივთიერად, არამედ მიწით. მოპირდაპირე მხარე კი, დანაშაულის ჩამდენი მღილა, ქველაჲს ძის შვილნი, სქელაეთნი მიწას კარგავენ. დანაშაულის აქ ჩამოთვლილი ჩამდენნი არც ერთი არ არის გლეხი, ისინი თავისუფალი პირები არიან. მონასტერი — ფეოდალი — უტევს მათ, ნელ-ნელა და სხვადასხვა გზით მათ მიწებს ეპატრონება. ესენი კი ამ გზით მიწანაკლულნი ხდებიან. მიწანაკლულობა გაჭირვებას იწვევს, გაჭირვება კი ან ახალი დანაშაულის ჩადენას, ან უმიწოდ დარჩენილის მუშაობას მიწის პატრონთან, რასაც თანდათანობით გაგლეხება მოჰყვება.

ნიკორწმიდის მონასტრის საქმიანობაში ყურადღებას იქცევს კიდეკ ერთი მომენტი: „ლეითის ძროხა საჩხეორს სასკესა დაესხა და დაკოდნა და მისთუნ საზღავად ავიღე სახადს სახლი ჯავთაგაეთი და ზედა კაბალა დავსდევით"[5]. ამ შემთხვევაში დანაშაულის ჩამდენი მხარე თავისი დანაშაულის ანაზღაურებას აკისრებს სხვას — ჯავთაგაეთის სახლს. ცხადია, დამნაშავე ამას სჩადის იმიტომ, რომ მას ამის უფლება აქვს. ჯავთაგაეთის სახლი ისეთ დამოკიდებულებაშია დამნაშავესთან, რომ ამ უკანასკნელს

---

[1] ნიკორწმიდის დაწერილი, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 34, თბ., 1962, გვ. 34, IV. 9.

[2] იქვე, VII. 6.

[3] იქვე, VII. 8.

[4] იქვე, XI. 1.

[5] იქვე, XX. 1.

შეუძლია თავის ნებაზე გადაწყვიტოს ჯავთაგაეთის ბედი, დააკისროს თავისი დანაშაულის მატერიალური ანაზღაურება, ანუ ჯავთაგაეთი დამნაშავის გლეხი ყოფილა. ახლა ამ გლეხს პატრონმა დააკისრა მონასტერს აუნაზღაუროს დანაშაულით მიყენებული ზარალი. მონასტერმა კი გლეხის პატრონის ეს გადაწყვეტილება გამოიყენა და გლეხს „ზედა კაბალა" დასდო, ე. ი. მონასტერმა სხვის გლეხს თავის სასარგებლოდ გადასახადის გადახდა დაავალა. ლეითის გლეხი, ე. ი. სოციალურად ლეითისაგან დამოკიდებული პირი, ახლა ეკონომიკურად ნიკორწმიდელზე დამოკიდებული ხდება. ეს დამოკიდებულება კი კაბალის გადახდაში გამოიხატება.

კაბალის დადება იყო ერთ-ერთი საშუალება ძლიერისაგან სუსტის დამორჩილებისა. კაბალის გადახდას კისრულობს ის პირი, რომელიც კაბალის ამღებისაგან სოციალურად დამოკიდებული არ არის, ე. ი. რომლის გლეხი ის არ არის. კაბალის ამღები კი შეეცდება კაბალა მუდმივ გადასახადად აქციოს და კაბალის გადამხდელი თანდათან გლეხად აქციოს. XI საუკუნე არის ის ხანა, როდესაც სუსტები თავისუფლებას კარგავენ, ძლიერები კი მათ ეპატრონებიან. ამ სოციალური ბრძოლის გამოძახილი უნდა იყოს ნიკორწმიდის დაწერილში შემონახული ფრაზა „მღილა დაკოდნა ეკლესიისა კაცნი".

იმასთან დაკავშირებით, რომ XI საუკუნეში ხშირია ომები, ყმას მუდმივად სამხედრო სამსახურის შესრულება უხდება. მოვალეობის გართულება იწვევს ყმათა შორის უკმაყოფილებას.

უკმაყოფილო ყმები პატრონს თავს ანებებენ და უფრო შეღავათიანი პირობების მისაღწევად სხვა პატრონს ეძებენ. იმდენად გახშირებულია პატრონისაგან ყმის წასვლა, რომ ხელისუფლება ცდილობს კანონით შეაჩეროს ყმათა ბრძოლის ეს ფორმა. კანონმდებლობა მოითხოვს, რომ ყმა პატრონისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში წავიდეს, თუ სამართალი გადაუწყვეტს. თუ ყმა სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე წაუვა პატრონს, მაშინ ეს ყმა მოვალეა პატრონს გარკვეული ჯარიმა გადაუხადოს. ეს გარემოება კარგად ჩანს ბაგრატ კურაპალატის სამართალში[1] დაცული ერთი მუხლით: „თუ უსამართლოდ პატრონსა ყმაჲ წაუვიდეს, თორმეტი გლეხი შეეკაზმოს"[2]. ამავე დროს გავრცელებულია პატრონისაგან ყმის გაძარცვა, რის წინააღმდეგაც იბრძვის იგივე კანონმდებელი: „თუ უსამართლოდ პატრონმან ყმაჲ გაძარცოს, თორმეტი გლეხი დაუურვოს"[3].

---

[1] ამ სამართალს მკვლევარები სხვადასხვანაირად ათარიღებენ. ერთნი მას ბაგრატ III-ს მიაწერენ, მეორენი ბაგრატ IV-ს, სხვანი კიდევ X საუკუნისად თვლიან.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, თბ., 1963, გვ. 468. სამართალი ბაგრატ კურაპალატისა, მუხლი 149.

[3] იქვე. მუხლი 148.

სამწუხაროდ, კანონმდებლობა არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ როგორ ისჯებოდა ურჩი გლეხი.

XII ს-ში, როდესაც უკვე ძირითადად დამთავრდა თავისუფალ მიწისმოქმედთა გაგლეხების ან გააზნაურების პროცესი, თავისუფალთა იმ ნაწილმა, რომელმაც ვერც გააზნაურება შეძლო და არც გაგლეხებას შეურიგდა, მეკობრეობას და გლახაკობას მიჰყო ხელი. XII ს-ში მეკობრეთა და გლახაკთა რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა. ესენი არიან ფეოდალურ ურთიერთობას გამოთიშული და კლასობრივ ბრძოლაში დამარცხებული ადამიანები[1].

მეკობრეობა იმდენად გახშირდა, რომ მის წინააღმდეგ გიორგი III-ს სპეციალური საკანონმდებლო კრების მოწვევა მოუხდა. საკანონმდებლო კრებამ ქურდობა-ავაზაკობისათვის მკაცრი სასჯელი — ძელზე ჩამოხრჩობა დაადგინა[2].

ასევე ხშირი იყო გლახაკობაც. გლახაკები იმდენად ბევრნი იყვნენ XII ს-ის საქართველოში, რომ სახელმწიფოს უხდებოდა საკმაო თანხა გაეღო გლახაკთა სარჩენად. სახელმწიფო შემოსავლის მეათედი გლახაკთათვის საბოძებლად იყო განკუთვნილი და ამ თანხას „გლახაკთა ნაათალი“ ერქვა[3]. გლახაკთათვის სპეციალური თანხა ჯერ კიდევ ბაგრატ კურაპალატმა გამოჰყო IX საუკუნის ბოლოს, რასაც „გლახაკთა ნაწილი“[4] ერქვა.

ხელისუფლების ეს ზომები, მიმართული, ერთი მხრივ, მეკობრეობის აღმოსაფხვრელად და, მეორე მხრივ, გლახაკთა შემწეობისაკენ, მაჩვენებელია სახელმწიფოს შიგნით წარმოებული დიდი სოციალური ბრძოლებისა.

განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში, როდესაც ფეოდალური სახელმწიფო თავისი განვითარების კულმინაციას აღწევს, გაბატონებული კლასი—აზნაურები — თავის ძალაუფლებას უქვემდებარებს მიწათმოქმედ საზოგადოებას არა მარტო რიცხობრივად, არამედ ხარისხობრივადაც. თითქმის მთელი მიწათმოქმედი საზოგადოება გლეხად არის ქცეული, ამავე დროს ისპობა ის უფლებრივ-ეკონომიკური განსხვავებანი, რაც ადრე გლეხობის სხვადასხვა კატეგორიას შორის არსებობდა. განსხვავებათა წაშლა ხდება გლეხობის მდგომარეობის გაუარესების ხარჯზე. იზრდება გადასახადების ოდენობა და მატულობს ფეოდალის მამულში გლეხის სამუშაო დღეთა რიცხვიც. თუ ადრე ზოგი გლეხი პატრონის მამულში მუშაობდა

---

[1] საქართველოს ისტორია, I, მაკეტი ხელნაწერის უფლებით, თბ., 1956, გვ. 167.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, გვ. 307.

[3] ქ. ცხ., II, გვ. 147.

[4] გიორგი მერჩულე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1964, გვ. 276.

კვირაში ერთ დღეს, ახლა იგივე გლეხი კვირაში ხუთ დღეს ბატონის მიწაზეა დაკავებული.

ამავე დროს შეიმჩნევა ფუძენაკლებობა. ფუძენაკლებობა ორი სახისაა: ერთი, როცა ფუძეზე — გლეხის საცხოვრებელ მიწის ნაკვეთზე, რომელიც ამავე დროს საგადასახადო ერთეულიც არის, ერთის ნაცვლად ორი ან რამდენიმე კომლი გლეხი ცხოვრობს და, მეორე, როცა გლეხის კომლი ცხოვრობს მიწის ისეთ ნაკვეთზე, რომელიც უფრო ნაკლებია, ვიდრე ფუძე.

ფუძენაკლებობა არ ნიშნავდა გადასახადების შემცირებას. ნაკლულ ფუძეზე მცხოვრები გლეხი იმდენსავე გადასახადს იხდიდა, რამდენსაც სრული ფუძის პატრონი. ფუძენაკლებობა ექსპლოატაციის გაძლიერებას ნიშნავდა.

გაზრდილ ექსპლოატაციას არ შეიძლება არ გამოეწვია გლეხთა უკმაყოფილება. გადასახადის გადაუხდელობა, შრომითი ბეგარისათვის თავის არიდება და, ბოლოს, ბატონის მიწიდან აყრა და სხვაგან გადახვეწა იყო ის, რითაც გლეხი უძალიანდებოდა ბატონყმური ურთიერთობის გადამეტებულ სისასტიკეს.

გადასახადის გადაუხდელობა ზოგჯერ მასობრივ ხასიათს იღებდა. ჩვენ გვაქვს ცნობა, რომ XIII ს-ის დასაწყისში ერთი მხარის მოსახლეობამ უარი თქვა საეკლესიო გადასახადების გადახდაზე. ამ მნიშვნელოვანი ფაქტის შესახებ მოგვითხრობს 1218 წლის წარწერა, გაკეთებული ეტიფანე ქართლის კათალიკოსის ბრძანებით ანისის ერთ-ერთ ეკლესიაზე[1].

ქ. ანისის ხუცესთ XIII ს-ის დასაწყისში ანისის ქართველი და ქალკიდონიანი სომეხი მოსახლეობისათვის გაუდიდებიათ საეკლესიო მისაცემლების ოდენობა. გვირგვინის კურთხევისა და მიცვალებულის დამარხვისათვის 100 დრამა დაუწესებიათ. ასეთი დიდი მისაცემლის გადახდა მოსახლეობას გაუჭირდა და იგი ამ გადასახადს უკვე აღარ იხდიდა. სამღვდელოება კი ძალით ცდილობდა წაერთმია მრევლისათვის ეს გადასახადი. მაშინ მრევლმა უარი თქვა საერთოდ ეკლესიაში სიარულზე. სამღვდელოება კი, რომ ხალხი როგორმე დაეყოლიებინა გაზრდილი გადასახადების გადახდაზე, თვითონაც აკლებდა წირვა-ლოცვას[2].

იმდენად გამწვავდა ურთიერთობა მრევლსა და სამღვდელოებას შორის, რომ საქმის მოგვარება ანისში ახალი ეკლესიის გასანათლავად

---

[1] ეს წარწერა პირველად ნ. მარმა გამოსცა (Изв. Академии наук, 1910, с. 1433). წარწერის წაკითხვაში შესწორებანი შეიტანა ვ. დონდუამ (К социально-экономической жизни средневековой Грузии по Анийской надписи (1218) Епифания, საისტორიო ძიებანი, I, თბ., 1967, გვ. 48 — 78).

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX—XIII საუკუნეებში, ტფ., 1934, გვ. 11—13.

ჩასულმა ქართლის კათალიკოსმა ეტიფანემ ითავა. კათალიკოსი იძულებული გახდა მრევლის მსარე დაეჭირა და საეკლესიო მისაცემლები ისევ ძველი ოდენობისა აღადგინა. ამიერიდან გვირგვინის კურთხევისა და მიცვალებულის დამარხვისათვის ნაცვლად 100 დრამისა, ისევ 50 დრამა დაწესდა[1]; მიცვალებულის დამარხვისათვის ხუცესი აქამდე გარდა ფულადი მისაცემელისა, მთლიან „ზროხის ტყავს“ იღებდა, ახლა კი კათალიკოსმა აღადგინა თავდაპირველი წესი და ეს მისაცემელი ერთი მტკაველი სიგანის ტყავის ანაჭერის ოდენობით შეცვალა (ამ ანაჭერს შოლტი ერქვა). ასევე შეიზღუდა ქორწილ-ქელეხში მღვდლის გამასპინძლების ფარგლები. როგორც ჩანს, ანელი სამღვდელოება მრევლისაგან მოჭარბებულ მასპინძლობას მოითხოვდა, რაც მოსახლეობისათვის ერთობ სამძიმო იყო. ახლა კი დაწესდა, რომ ყოველმა ოჯახმა მღვდელს „რაოდენიც ძალი ედვას (იმდენი) პური აჭამოს“.

ამრიგად, საეკლესიო გადასახადები ხელისუფლების ჩარევის შედეგად საგრძნობლად შემსუბუქდა.

ის გარემოება, რომ კონფლიქტში, რომელიც მრევლსა და სამღვდელოებას შორის წარმოიშვა, ერევა კათალიკოსი, მაჩვენებელია იმისა, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ხელისუფლება ამ მოძრაობას, იგი ეცდებოდა, რაც შეიძლება მალე ამოეკვეთა ეს კონფლიქტი, რათა მას სხვაგანაც არ მიეღო გამოძახილი.

ფეოდალური ურთიერთობის წინააღმდეგ ბრძოლის მაგალითია დიდოეთისა და ფხოეთის აჯანყება თამარის მეფობის ბოლო წლებში.

ფეოდალურ ბარს თავისი გავლენა შეჰქონდა მთიან საქართველოსა და კავკასიის მთიანეთშიც. საქართველოს მთისათვის ფეოდალური ურთიერთობა ბუნებრივი განვითარების შედეგი კი არ იყო, არამედ ბარისაგან ძალით დანერგილი. მეფისაგან მთის მოსახლეობის ბარელ აზნაურთათვის ბოძება და ამ უკანასკნელთაგან მთიელთა ფეოდალური ექსპლოატაცია — მოსახლეობაზე ფეოდალური გადასახადების დადება — ძნელად შესაგუებელი იყო მთის მოსახლეობისათვის.

მთის იმ ნაწილს, რომლის მეურნეობა ბარის მეურნეობას უახლოვდებოდა, ფეოდალური ურთიერთობა დიდი ხნის ნაზიარები ჰქონდა.

მემატიანის („ისტორიანი და აზმანის“ ავტორის) თქმით, თამარის მეფობის ბოლო ხანებში „იწყეს მთეულთა განდგომად, კაცთა ფხოველთა და დიდოთა“[2]. მემატიანე ახასიათებს ამ ორი განდგომილი ტომის—დიდოე-

---

[1] წარწერის ის ადგილი, სადაც ძველი ოდენობის გადასახადების აღდგენაზეა ლაპარაკი, ნაკლულია. ნაკლულის აღდგენა ეკუთვნის ვ. ფონდუას, საისტორიო ძიებანი, I, გვ. 52.

[2] ქ. ცხ., II, 111.

ლების და ფხოველების (თანამედროვე ფშავლების და ხევსურების წინაპრებს ფხოველები ერქვათ) რელიგიურ შეხედულებებს. დიდონნი „რომელნიმე უჩინარსა რასამე თაყუანისცემენ და ზოგნი უნიშნოსა შავსა ძაღლსა“. დიდოელებზე მაღლა დგანან ფხოველები: „ხოლო ფხოველნი ჯუარის მსახურნი არიან და ქრისტიანობ̣ასა იჩემებენ“[1], ე. ი. ისინი მხოლოდ იჩემებენ ქრისტიანობას, გარეგნულად აქვთ შეთვისებული ეს რელიგია, სინამდვილეში კი ქრისტიანები არ არიან.

განდგომილმა მთიელებმა — დიდოელებმა და ფხოველებმა — „იწყეს რბევად და ხოცად და ტყუეობად ცხადად და ღამით“[2]. ვინ უნდა დაერბიათ, დაეხოცათ და დაეტყვევებინათ მთიელებს? ცხადია ის, ვინც მათი ცხოვრებისათვის უცხო იყო და ვინც მათში ფეოდალური ურთიერთობის შემომტანი იქნებოდა. ასეთი კი იყო მეფის მოხელე-აზნაურები. მთიელთა განდგომამ საშიში და ფართო ხასიათი მიიღო. მთიელთა დამორჩილება ძალის გამოყენების გარეშე შეუძლებელი გახდა. თამარ მეფემ მთიელთა წინააღმდეგ ლაშქრობა ივანე ათაბაგს მიანდო და საგანგებო ჯარიც შეჰყარა: „მოუწოდა მეფემან ათაბაგსა და ყოველთა მთეულთა: დვალთა, ცხრაზმელთა, მოჯევეთა, ჯადელთა, ცხავატელთა, ჭართალთა, ერწოთიანელთა, მისცა ივანე ათაბაგსა და წარავლინა მათ ზედა“[3]. განდგომილთა დასამორჩილებლად მისულ მთიელთა ჯარს გვერდში ამოუდგა საქართველოს სახელმწიფოს ჩრდილოელი ყმადნაფიცი ქვეყნის — დურძუკეთის ლაშქარი. ეს გაერთიანებული ლაშქარი სამი თვე მოუნდა დიდოელთა და ფხოველთა დამორჩილებას. ბრძოლის მსვლელობაში ათაბაგის მოლაშქრეებმა „იწყეს ბრძოლად, და რბევად, და კლვად, და ტყუეობად და დაწუათ“[4]. საომარი მოქმედების შედეგად „მოსწყვიდეს ურიცხვი კაცი დიდი და ფხოვი“[5]. განდგომილი მხარე იძულებული იყო დამორჩილებოდა.

დამორჩილებულმა დიდოელებმა და ფხოველებმა ათაბაგს მორჩილების ნიშნად მძევლები მისცეს და „აღუთქვეს მსახურებად ხარაჯა“[6]. ხარაჯა — სახელმწიფო გადასახადი — იყო სწორედ ის, რის წინააღმდეგაც იბრძოდნენ მთიელები. საქართველოს სახელმწიფომ აღადგინა არსებული ვითარება — დიდოელებმა და ფხოველებმა იკისრეს „ხარაჯით მსახურება“, ე. ი. კვლავ ჩადგნენ ფეოდალური ქვეყნის სამსახურში.

---

[1] ქ. ცხ. II, გვ. 111.
[2] ი ქ ვ ე.
[3] ი ქ ვ ე.
[4] ი ქ ვ ე.
[5] ი ქ ვ ე.
[6] ი ქ ვ ე.

თავი მეორე საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან XI ს. 80-იან წლებამდე

§ 1. ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის (X ს. დასასრ. — XI ს. 60-იანი წლები)

X — XI სს. მიჯნაზე საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა დასავლეთი საქართველო და შიდა ქართლი. კახეთის საქორეპისკოპოსო და ჰერეთის სამეფო დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულების სახით არსებობდნენ. საზღვარი კახეთსა და საქართველოს სამეფოს შორის ამ დროს მდ. ქსანზე გადიოდა. თბილისი და ქვემო ქართლის ნაწილი თბილისის მაჰმადიანი ამირას გამგებლობას ემორჩილებოდა. ჩრდილოეთით საამიროს საზღვარი დიღმის ხევამდე ვრცელდებოდა, სამხრეთით ამირას ეკუთვნოდა ციხეები: ბირთვისი, ორბეთი, ფარცხისი. დასავლეთით საამიროს კლდეკარის საერისთავო ესაზღვრებოდა. X ს. დასასრულიდან ქვემო ქართლის დიდი ნაწილი — სამშვილდე, ბოლნისი, დმანისი, ლორე, ლორეტაშირის (იგივე ტაშირ-ძორაკერტის) კვირიკეან მეფეთა სამფლობელო იყო, რომლის მეფენი სომეხთა მეფეებად ან ტაშირ-ძორაკერტელებად იწოდებოდნენ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგენლების ხელში იყო. მის ერთ ნაწილს (ამიერტაო, შავშეთ-კლარჯეთი, სამცხე-ჯავახეთი და სხვ.) ჯერ ბაგრატ III-ის პაპა „ქართველთა მეფე“ ბაგრატ II ფლობდა, ხოლო მისი გარდაცვალების (994 წ.) შემდეგ მისი ძე (ბაგრატ III-ის მამა) გურგენ მეფეთ მეფე. სამხრეთ საქართველოს მეორე ნაწილს ბაგრატიონთა შორის ყველაზე ძლიერი და სახელმოხვეჭილი ტაოს მეფე დავით III კურაპალატი ფლობდა, რომელმაც გაამეფა ბაგრატ III ქართლსა და დასავლეთ საქართველოში. დავითის სამფლობელოს სამხრეთი საზღვარი ვანის ტბამდე აღწევდა.

ასეთი იყო საქართველოს პოლიტიკური რუკა X ს. ბოლოსა და XI ს. დასაწყისისათვის და ბაგრატ III-ის (975 — 1014 წწ.) უმთავრესი საზრუ-

ნავი ქართული მიწა-წყლის გაერთიანება იყო. XI ს. საქართველოს პოლიტიკური განვითარება ძირითადად ამ ნიშნის ქვეშ მიიმართებოდა.

ახლად გამეფებული ბაგრატის წინაშე რთული ამოცანა იდგა. მას პირველ რიგში, უნდა განემტკიცებინა თავისი ხელისუფლება შიდა ქართლსა და დასავლეთ საქართველოში.

ხელისუფლების განმტკიცება და დანარჩენი ქართული ქვეყნების შემოერთება დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა როგორც ქვეყნის შიგნით (ფეოდალური არისტოკრატია), ასევე მის გაოეთაც (ბიზანტია, მაჰმადიანი მეზობლები).

ბაგრატის გამეფებისას ეგრის-აფხაზეთის სამეფოში ბაგრატის დედის ძმა უსინათლო თეოდოსი მეფობდა. ერთდროულად ორი მეფის არსებობა წინ ეღობებოდა ხელისუფლების ცენტრალიზაციას და ბაგრატის პირველი ღონისძიებაც ამ მდგომარეობის გამოსწორებას ისახავდა მიზნად. შესაძლებელია, თვითონ თეოდოსის არც ჰქონდა ქვეყნის მართვის დიდი პრეტენზია, მაგრამ ფეოდალურ ქვეყანაში, სადაც თითქმის ყოველთვის არის წინააღმდეგობა ცენტრალურ ხელისუფლებასა და ფეოდალურ არისტოკრატიას შორის, ბაგრატის გვერდით უსინათლო თეოდოსის არსებობა იძლეოდა საბაბს შეთქმულებისა თუ აშკარა გამოსვლებისათვის. ბაგრატმა თავისი უსინათლო ბიძა ტაოს გაგზავნა დავით კურაპალატთან და თვითონ გახდა ერთადერთი მეფე[1].

ისევე როგორც ქართულ სამეფო-სამთავროთა შორის გაერთიანებისათვის წარმოებული ბრძოლის დროს ახლაც უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა „ბრძოლა ქართლსა ზედა“, გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ხელისუფლება მხოლოდ მას შემდეგ გახდებოდა რეალური, რაც ის თავისი იურიდიული უფლებების ფაქტიურ რეალიზაციას მოახდენდა ქართლში. ნომინალურად შიდა ქართლს ამ დროს ბაგრატის დედა გურანდუხტ დედოფალი განაგებდა, რომელიც უფლისცისეში იჯდა, ხოლო რეალურად ქართლის მიწა-წყალი ტბელებს, ძამელებს, ფავნელებს, კორინთლებს, ფხვნელებს და სხვა დიდ აზნაურებს ჰქონდათ ურთიერთშორის დანაწილებული, რომელნიც „თითოეულად განაგებდეს საქმეთა ქართლისათა“[2]. ისინი წინააღუდგნენ მეფის ხელისუფლების განმტკიცებას. ქართლის დიდი აზნაურების ბრძოლას ბაგრატის წინააღმდეგ სათავეში ჩაუდგა ქავთარ ტბელი, რომლის საგვარეულოც ამ დროს შიდა ქართლის ერისთავობაზე აცხადებდა პრეტენზიებს[3].

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 124.

[2] მატიანე ქართლისაჲ, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი 1, თბილისი, 1955, გვ. 276.

[3] მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბილისი, 1963, გვ. 252—255.

980 წ.[1] ბაგრატი ქართლში გადმოვიდა დასავლეთ საქართველოდან, სადაც ის აქამდე იმყოფებოდა და თიღვას დადგა. ქართლის აზნაურები ქავთარ ტბელის წინამძღოლობით მას ბრძოლით დახვდნენ. მოღრისთან ბრძოლაში ბაგრატმა გაიმარჯვა და „იოტნეს ქართველნი (ქართლის აზნაურები — მ. ლ.): რომელნიმე დაიჴოცნეს, რომელნიმე დაიპყრეს და სხუანი კუალად მეოტნი გარდაიხუეწნეს, და დაიფანჩნეს"[2]. ბაგრატმა ჩაიბარა დედისაგან უფლისციხე, განამტკიცა რა თავისი ხელისუფლება შიდა ქართლში, და ქვეყნის მმართველობა თავის ერთგულ მოხელეებს ჩააბარა, ბაგრატი დასავლეთ საქართველოში გადავიდა.

ქართლში შექმნილი გართულებული ვითარება ხელსაყრელი იყო დასავლეთ საქართველოს ფეოდალებისათვის, რომელთაც არ დააყოვნეს და გამოამჟღავნეს თავისი ურჩობა. მაგრამ ბაგრატმა ამხილა ურჩნი, ჩამოართვა „დიდება" (მოხელეობა) და მათ მაგიერ თავისი ერთგულნი და სანდონი განადიდა. „ურჩნი თჳსნი შეცვალნა დიდებისაგან და ადგილთა მათთა დაადგინნა ერთგულნი და მოსწრაფედ მორჩილნი ბრძანებათა მისთა"[3].

ბაგრატ III თავის მემკვიდრედ გამოაცხადა ტაოს მეფემ დავით III დიდმა კურაპალატმა, მაგრამ ბაგრატს დავით III-ის სამფლობელოზე რეალურად ხელი არ მიუწვდებოდა და 988 წ. მან გადაწყვიტა დავით კურაპალატის წინააღმდეგ გალაშქრება[4]. ბაგრატს ამ წამოწყებაში მისი მამა გურგენი ეხმარებოდა თავისი ჯარით.

ქართველ ისტორიკოსს, რომელიც მოგვითხრობს აღნიშნულ მოვლენებზე, ჩანს, ბაგრატის ეს განზრახვა არ მიაჩნია კეთილშობილურ ნაბიჯად, მაგრამ რადგან ის საერთოდ ამ მეფის თაყვანისმცემელი და მისი მოღვაწეობის აღფრთოვანებული შემფასებელია, ცდილობს თხრობა გააბუნდოვნოს და მიჩქმალოს რეალური ამბავი. ისტორიკოსი ისე გადმოგვცემს ამ ფაქტს, თითქოს ბაგრატი კლდეკარის ერისთავის რატი ბაღვაშის წინააღმდეგ გასალაშქრებლად ემზადებოდა და მისმა მტრებმა ჩააგონეს დავით კურაპალატს, რომ ბაგრატი „არა სადა წარვალს სხუაგან, არამედ ვანმზა-

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, თბილისი, 1948, გვ. 124.

[2] მატიანე ქართლისაჲ, გვ. 276. თიღვაზე გადიოდა გზა დასავლეთ საქართველოდან შიდა ქართლში, რომელიც ზედა მოღრისის გავლით უფლისციხისაკენ მიემართებოდა; იხ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966, გვ. 31. ნიშანდობლივია, რომ უფლისციხისაკენ მიმავალ გზაზე დახვდნენ ბაგრატს მოწინააღმდეგენი.

[3] მატიანე ქართლისაჲ, გვ. 278.

[4] И. А. Джавахишвили, В. Д. Дондуа, Грузия в IX-XIII вв., Очерки истории СССР, IX-XIII вв., М., 1953, с. 558. შდრ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, თბ., 1974, გვ. 13 — 14.

დებულ არს სიკუდილად შენდა"[1]. დავით კურაპალატმაც ჯარი შეჰყარა და უხმო მოკავშირეებს. მის დასახმარებლად მოვიდნენ: ბაგრატ III-ის პაპა ბაგრატ II ქართველთა მეფე (958 — 994 წწ.), რომელსაც ეშინოდა, რომ მის შვილს გურგენს მისთვის მეფობა არ მიეტაცნა[2], სომეხთა მეფე სუმბატი, მისი ძმა გაგიკი და კარის მეფე აბასი[3].

დავით კურაპალატი თავის მოკავშირეებითურთ ჯავახეთში, ლიკვს დაბანაკდა[4]. აქედან მან გაგზავნა ლაშქარი გურგენის წინააღმდეგ და დაამარცხა ის. ამასობაში ბაგრატი თრიალეთს მისულიყო და კარუშეთში იდგა.

როგორც აღვნიშნეთ, ისტორიკოსი ბაგრატის ნამდვილი განზრახვის მიჩქმალვას ცდილობს, მაგრამ ფაქტიური ვითარების გადმოცემისას ბოლომდე ვერ ახერხებს სინამდვილის დაფარვას. მისი სიტყვით, კარუშეთს დაბანაკებულმა ბაგრატმა დავით კურაპალატის ბანაკში მზვერავი გაგზავნა და როდესაც დარწმუნდა, რომ ძალით ვერაფერს გახდებოდა, ისევ გაცლა არჩია, მაგრამ კონფლიქტის მოგვარება უნდოდა და ბაგრატი თვითონ გამოცხადდა დავით კურაპალატთან, შენდობა ითხოვა და მოახსენა, რომ: „სხჳსა არა რომლისათჳს მოვედ, გარნა არა მორჩილებისათჳს რატისა"[5]. ძნელია გარკვევა, დაუჯერა თუ არა დავითმა, მაგრამ ასეა თუ ისე, კონფლიქტი თავიდან იქნა აცილებული. დავითმა ბაგრატს რატის წინააღმდეგ გალაშქრების უფლება მისცა და დაშალა თავისი ლაშქარი[6].

თავისთავად ბაგრატ III-ის სურვილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შემოერთებისა სრულიად კანონზომიერი იყო და ბუნებრივად გამომდინარეობდა იმ საერთო ღონისძიებებიდან, რომელთაც ეს მეფე თავისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობის მანძილზე ახორციელებდა. მაგრამ ამ ეტაპზე ეს ნაბიჯი ნაადრევი იყო, რადგან ძლიერი და სახელმოხვეჭილი დავითის დამარცხება ბაგრატის ძალას აღემატებოდა. ჩანს, ბაგრატმა ეს სათანადოდ ვერ გაითვალისწინა, მაგრამ მალე მიხვდა თავის შეცდომას და უკან დახევა არჩია. ბაგრატს ნამდვილად დავითის წინააღმდეგ გალაშქრება რომ სურდა, ეს ჩვენი მემატიანეს თხრობიდანაც ჩანს და XI ს. სომეხი ისტორიკოსის სტეფანოს ტარონელის (ასოლიკის) ჩვენებითაც დასტურდება. ასოლიკი, რომელიც კარგად გათვითცნობიერებული უნდა იყოს ამ ეპოქის საქართველოს საქმეებში, სრულიად გარკვევით აღნიშ-

---

[1] მატიანე, გვ. 276—277.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 277.

[3] Всеобщая история Степаноса Таронского, Асохика по прозванию, пер. Н. Э м и н а, М., 1865, с. 182 (შემდეგში ასოლიკი).

[4] მატიანე, გვ. 277.

[5] ი ქ ვ ე.

[6] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს ვარაუდით, რატი ბაღვაშმა მიმართა დავით კურაპალატს (იხ. საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, 1974, გვ. 14).

ნავს, რომ აქ ბაგრატის და დავითის ლაშქარი იდგა ერთმანეთის საპირისპიროდ[1].

სავარაუდოა, რომ ბაგრატის გალაშქრებას დავით კურაპალატის წინააღმდეგ ბაგრატ ქართველთა მეფესა და მის შვილ გურგენს შორის არსებულმა უთანხმოებებმაც შეუწყო ხელი. სომეხი ისტორიკოსი ასოლიკი ამ კონფლიქტის მთავარ მიზეზად აღნიშნულ უთანხმოებას თვლის. ასოლიკის სიტყვით, ბაგრატ II თავის შვილს გურგენს (ბაგრატ III-ის მამას) აძევებდა მისი მამულიდან, რის გამოც ბაგრატმა გაილაშქრა დავით კურაპალატისა და თავისი პაპის ბაგრატის წინააღმდეგ.[2] ნიშანდობლივია, რომ ცნობა მამა-შვილს (ბაგრატ II-სა და გურგენს) შორის არსებულ სამამულო უთანხმოებაზე ქართველ მემატიანესაც მოეპოვება. „შეკაზმულ იყო გურგენ, — წერს მემატიანე, — მამა ბაგრატისი, მისვლად შვილისა თჳსისა თანა"[3]. და იმ დროს, როდესაც გურგენი ბაგრატ III-ის მხარეზე იყო, პაპა ბაგრატისი, ბაგრატ ქართველთა მეფე „მოვიდა დავით კურაპალატის წინაშე, რამეთუ ეშინოდა ძისა თჳსისა გურგენისაგან წაღებასა მეფობისასა"[4]. ამრიგად, ტაოს სამეფოს შემოერთება ამჯერად ვერ განხორციელდა და ბაგრატს ეს ცდა გარკვეულ საფასურადაც დაუჯდა. დავით კურაპალატმა ბაგრატს სკორეთის ციხე მოსთხოვა, რათა სუმბატ სომეხთა მეფისათვის (977 — 989 წწ.) გადაეცა დახმარების სამაგიეროდ. ბაგრატი იძულებული გახდა დაეთმო ეს ციხე, რომელიც ქართველებმა სუმბატის გარდაცვალების შემდეგ ისევ დაიბრუნეს[5].

როგორც ცნობილია, 987 წ. დავით კურაპალატმა დახმარება აღმოუჩინა ბიზანტიის იმპერატორ ბასილის წინააღმდეგ აჯანყებულ ბარდა ფოკას. 989 წ. აბიდოსთან ბრძოლაში ფოკა დამარცხდა. 990 წ. იმპერატორმა ბასილმა დავითის დასასჯელად გამოილაშქრა. დავით III იძულებული გახდა მორჩილება გამოეცხადებინა და პირობა დადო, რომ გარდაცვალების შემდეგ თავის სამფლობელოს ბიზანტიას გადასცემდა.

იმ დროს, როდესაც ბასილ კეისარი ყოველგვარ ზომებს იღებდა ფოკას აჯანყების ჩასაქრობად, შეიძლება მას მიეცა ბაგრატისთვის წინადადება, რათა გაელაშქრა დავითის წინააღმდეგ, რომლის სამხედრო რაზმიც მეამბოხეთა მხარეზე იბრძოდა[6].

---

[1] ა ს ო ლ ი კ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 180 — 181.

[2] ი ქ ვ ე.

[3] მატიანე, გვ. 277.

[4] ი ქ ვ ე.

[5] ა ს ო ლ ი კ ი, გვ. 181.

[6] დაწვრილებით იხ. М. Л о р д к и п а н и д з е, Из истории грузино-византийских взаимоотношений на грани X — XI вв., კრებ. „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები", II, თბ., 1972.

ქართლსა და დას. საქართველოში მდგომარეობის განმტკიცებისა და დავით III ტაოს მეფესთან კონფლიქტის მოგვარების შემდეგ ბაგრატ III-ის მთავარ საზრუნავს კლდეკარის ერისთავის რატი ბაღვაშის დამორჩილება შეადგენდა, რომელსაც „ჰქონდა ციხე ატენისა და ქართლისაგან მტკუარსა სამხრით — კერძო ყოველივე, თრიალეთი, მანგლის-ჯეკი და სკვრეთი“[1]. რატი ბაღვაში, როგორც მემატიანე გადმოგვცემს, „არა მორჩილებდა კეთილად ბაგრატ მეფესა“[2].

ჩამოთვლილ ქვეყანათაგან რატის, როგორც ბაღვაშთა სახლის ჩამომავალს, ეკუთვნოდა თრიალეთი, დანარჩენი კი მის მიერ მიტაცებული ქართველთა მეფის სამფლობელო იყო.

რატი ბაღვაშთან ბრძოლა ძნელი იყო და ბაგრატი წინდახედულად ემზადებოდა მისთვის. მეფე დასავლეთ საქართველოში გადავიდა, რათა რატის ყურადღება მოედუნებინა და 989 წ. ზამთარს მოულოდნელად მიადგა კლდეკარის ციხეს. რატი დანებდა მეფეს, გადასცა ქართლის სამფლობელოები, შეავედრა შვილი და „თვთ დაჯდა მამულსა თჳსსა არგუეთს“[3]. ნიშანდობლივია მემატიანეს გამოთქმა „არა მორჩილებდა კეთილად“ და შემდეგ იქვე დავით კურაპალატის სიტყვები ბაგრატის მიმართ: „დაიმორჩილე (რატი — მ. ლ.) ვითარცა სახედ გწადიან“. მართალია, რატი არ უარყოფდა თავის მორჩილებას ბაგრატის მიმართ, მაგრამ ბაგრატს არ აკმაყოფილებდა მორჩილების ეს ფორმა. ბაგრატი ერთიან საქართველოს ქმნიდა, კლდეკარის ერისთავების ყმადნაფიცობის პირობით მორჩილება კი ვერ ეგუებოდა ერთიანი სახელმწიფოს წყობილებას.

ამგვარად, X საუკუნის დასასრულისათვის ბაგრატ III-ის ხელისუფლება ქართლსა და დასავლეთ საქართველოში უკვე სრულიად რეალური იყო. დამარცხებული კლდეკარის პატრონის სამფლობელო ბაგრატ III თავის ერთგულ ზვიად მარუშიანს გადასცა, როგორც მოხელე ერისთავს.

994 წ. ბაგრატ II ქართველთა მეფე გარდაიცვალა. ბაგრატის ძე გურგენი კი მეფეთ მეფედ იწოდა, რადგან ამაზე ადრე მეფის ტიტული მის ძეს ბაგრატს ჰქონდა მიღებული.

1001 წ. როდესაც გარდაიცვალა დავით კურაპალატი, კეისარი ტაოში მოვიდა. დავითის აზნაურებმა თავიანთი ციხეები ბასილ კეისარს გადასცეს, არსებული შეთანხმების თანახმად, „და დაიპყრა ბასილი მეფემან მამული დავით კურაპალატისა“[4]. მოვიდნენ მასთან ბაგრატ III და მისი

[1] მატიანე ქართლისაჲ, გვ. 276.

[2] ი ბ ე ვ ე.

[3] ი ბ ე ვ ე, გვ. 277—278. როგორც ცნობილია, ბაღვაშები წარმოშობით არგვეთიდან არიან და მამული არგვეთში ჰქონდათ.

[4] ს უ მ ბ ა ტ დ ა ვ ი თ ი ს ძ ე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით დადგენილია ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი, I, თბილისი, 1955, გვ. 382.

მამა გურგენი, რომელთაც იმედი ჰქონდათ, რომ დავით III-ის სამფლობელოს მიიღებდნენ, მაგრამ იმპერატორმა ტაო თვითონ დაიჭირა, ხოლო შვილს კურაპალატის, მამას კი მაგისტროსის ტიტულები უწყალობა. დავით კურაპალატის მემკვიდრეობა ბიზანტიის ხელში დარჩა, რის გამოც XI საუკუნეში მძიმე და სისხლისმღვრელი ომი ატყდა საქართველოსა და ბიზანტიას შორის.

1008 წელს გურგენ მეფეთ მეფის გარდაცვალების შემდეგ, ბაგრატმა მემკვიდრეობით მიიღო მამამისის სამფლობელო — ამიერტაო, შავშეთი, კლარჯეთი, სამცხე, ჯავახეთი და ბაგრატ III იწოდა აფხაზთა და ქართველთა მეფედ.

ამის შემდეგ ბაგრატმა ყურადღება კახეთს მიაპყრო და პირველ რიგში მოითხოვა ქართლის ციხეები, გრუა და წირქვალი ქსნის ხეობაში, რომელნიც კახეთის მთავარს ეპყრა. დავით ქორეპისკოპოსმა არ ისურვა ციხეთა დათმობა, რის საპასუხოდ ბაგრატმა კახეთს გაილაშქრა. ბაგრატმა შემუსრა კახეთი, გაილაშქრა ჰერეთს, დაიპყრო ჰერეთი და იქ თავისი მთავარი დაადგინა (აბულალი), მაგრამ ბაგრატის წასვლისთანავე ჰერმა დიდებულებმა თავისი ქვეყანა დავით კახეთის ქორეპისკოპოსს გადასცეს. ბაგრატმა ხელმეორედ გაილაშქრა, 2 წლის განმავლობაში დაიპყრო კახეთის ყველა ციხე (1008 — 1010 წწ.) და გარდაცვლილი დავით ქორეპისკოპოსის მემკვიდრე კვირიკე ქორეპისკოპოსი ბოჭორმის ციხეში შეამწყვდია. ბაგრატმა, — წერს მემატიანე, — „დაიპყრა სრულიად ჰერეთი და კახეთი წარმოიყვანა კვრიკე და დაიჭირა თჳსსა კარსა ზედა“[1]. ბაგრატი საქართველოს გაერთიანებისა და ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლების შექმნისათვის ბრძოლაში არავითარ ზომებს არ ერიდებოდა. 1010 წ. მან „მოიყვანნა კლარჯი ჴელმწიფენი სუმბატ და გურგენ, ძენი ბაგრატ არტანუჯელისანი, თჳსნი მამის დისწულისანი, დარბაზობად მის წინაშე ციხესა ფანასკერტისასა“[2] და სადარბაზოდ მოწვეულნი შეიპყრო, ხოლო მათი ქვეყანა თვითონ შემოიმტკიცა. ნიშანდობლივია, რომ „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი ამ ფაქტს საერთოდ არ ახსენებს. ჩანს, დავითის წინააღმდეგ ამხედრებისა არ იყოს, ბაგრატის ეს მოქმედება მას ზნეობრივად გაუმართლებლად მიაჩნია.

ამგვარად, XI ს. დასაწყისისათვის საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში კახეთ-ჰერეთიც შემოვიდა. მაგრამ ბაგრატ III-ის მემკვიდრეების დროს ქართული მიწა-წყლის გაერთიანებისათვის წარმატებით დაწყებული საქმე გართულებული საშინაო და საგარეო მიზეზების გამო შეფერხდა.

---

[1] მატიანე ქართლისაჲ, გვ. 279.

[2] სუმბატ დავითის ძე, გვ. 382.

ბაგრატ III-ის მემკვიდრე იყო მისი ძე გიორგი I (1014 — 1027 წწ.), რომელმაც თავისი მეფობის უმთავრესი დრო ტაოს შემოერთებისათვის ბიზანტიასთან უშედეგო ომს შეალია. გიორგის გამეფებისთანავე განუდგა კახეთ-ჰერეთი. კახეთ-ჰერეთის დიდებულებმა, ეტყობა, იმით ისარგებლეს, რომ გიორგის ყურადღება მთლიანად ტაოსაკენ იყო მიპყრობილი. „დაჯდა ესე გიორგი მეფედ, — წერს სუმბატ დავითის ძე, — განუდგა ამას ქუეყანა ჰერეთ-კახეთისა, და ღადრობითა აზნაურთათა შეპყრობილ იქმნეს ერისთავნი. მათ ქუეყანათ კუალადვე ეუფლნეს მათნი უფალნი, რომელთა პირველ აქუნდა იგი“[1]. ქართული მიწა-წყლის შემოერთების თვალსაზრისით ქვეყანამ მარცხი განიცადა. ერთიან საქართველოს ისევ ჩამოშორდა კახეთ-ჰერეთი. გიორგი I-მა ვერც ტაო დაიბრუნა და კახეთ-ჰერეთიც დაკარგა.

კახეთ-ჰერეთისათვის ბრძოლა გიორგი I-ის შემდეგ წითელ ზოლად გასდევს მთელი XI საუკუნის საქართველოს ისტორიას.

სწორედ XI ს. პირველ მეოთხედში კახეთის მეფე კვირიკემ (1010 — 1037 წწ.) ჰერეთი დაიპყრო. ქართველი მემატიანე კახეთ-ჰერეთის გამაერთიანებელ კვირიკეს რანთა (ე. ი. ჰერეთის) და კახთა მეფეს უწოდებს[2]. გაერთიანებული კახეთ-ჰერეთის სამეფო დასაწყისში საერთო მტრის წინააღმდეგ საქართველოს მეფეების მოკავშირედ გამოდიოდა როგორც ბიზანტიასთან[3], ისე თბილისის ამირასა[4] და განძის ამირა ფადლონთან წარმოებულ ბრძოლებში[5]. ეს ასე იყო, სანამ საქართველოს სახელმწიფო სხვა საქმეებით იყო დაკავებული და კახეთისათვის არ ეცალა. როგორც კი მდგომარეობა შეიცვალა, ბაგრატ IV-მ (1027—1072 წწ.) დაიწყო ბრძოლა კახეთის შემოერთებისათვის. კახეთის მეფე ბაგრატ IV-ის ძლიერ მოწინააღმდეგეს ლიპარიტ ბაღვაშს დაუკავშირდა, ბაგრატი კი კახეთის მეფით უკმაყოფილო კახ აზნაურებზე დაყრდნობით ცდილობდა კახეთის სამეფოს შემოერთებას: „და იბირნა აფხაზთა მეფემან (ბაგრატ IV — **მ. ლ.**) კახნი, აშოტ მთავარი მარილელი, დისი ძე კუირიკე მეფისა, და ხახუილა გურთა ჯუარისციხითა“[6]. კახეთისათვის ბრძოლაში (დაახლოებით 1040 წ.) ბაგრატმა დიდ წარმატებას მიაღწია. მან მის წინააღმდეგ მებრძოლი რამდენიმე ერისთავი შეიპყრო: „სტეფანოზ ვარჯანის ძე პანკისისა ერისთავი, და ვაჩე, ძე გურგენ ბერისა, ხორნაბუჯის ერისთავი; და ჯედი დისწული გოდერ-

---

[1] სუმბატი, გვ. 383.
[2] მატიანე... გვ. 296.
[3] იქვე, გვ 285.
[4] იქვე, გვ. 297.
[5] იქვე, გვ. 296.
[6] იქვე, გვ. 298.

ძისა, შტორის ერისთავი და მაჭელისა"[1], გადაწვა მეფეთა რეზიდენცია სახელოვანი ბოდოჯის სასახლე (თიანეთის მახლობლად), რის შემდეგ ერისთავნი ზედიზედ აძლევდნენ ბაგრატს კახეთის ციხეებს[2]. მიუხედავად ამისა, ბაგრატ IV-მ ვერ განახორციელა კახეთის შემოერთება, რადგან მის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლა დაიწყო ლიპარიტ ბაღვაშმა. ბაგრატი „ველარა ჩავიდეს კახეთს და შემოიქცა"[3]. გართულებული საშინაო მდგომარეობის გამო ბაგრატმა კახეთს თავი დაანება, მაგრამ როგორც კი საშინაო მდგომარეობა გამოსწორდა, მაშინვე კახეთის დასაპყრობად გაილაშქრა. XI საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ბაგრატმა დაიპყრო ჰერეთი და კახეთის უდიდესი ნაწილი[4]. კახეთის მეფე აღსართანი ალაზნის ზემო წელზე, ილტო-პანკისის და შტორის ხეობებში გამაგრდა.

კახეთის შემოერთებისათვის ბრძოლის ამ გადამწყვეტ მომენტში საქართველოს თურქ-სელჩუკები შემოესივნენ და ბაგრატ IV იძულებული გახდა ქართლში დაბრუნებულიყო. აღსართან კახთა მეფე თურქ-სელჩუკთა სულთანს ეახლა, ხარაჯაც იკისრა, რის სამაგიეროდ „მისცნა ყოველნი ციხენი დაყრილნი სულტანმან მასვე: და რომელნი აფხაზთა მეფისა კაცთა დაეყარნეს"[5]. თავისი სამეფოს მთლიანობის აღსადგენად აღსართანს კიდევ ბევრის დაბრუნება ჭირდება და ამიტომ ის თურქების მხარეზე იბრძვის ბაგრატ მეფის წინააღმდეგ. ბაგრატს უპყრია საკუთრივ კახეთი (ვიწრო გაგებით), მის ხელშია ციხეები ბოჭორმა და უჯარმა, რომელთაც მალე აღსართანი იგდებს ხელთ[6].

მართალია, კახეთის სამეფოს საქართველოს ერთიან სამეფოსთან შემოერთება უაღრესად საშური საქმე იყო, მაგრამ თურქ-სელჩუკთა შემოსევებისა და საქართველოში გაბატონების პირობებში ეს დიდი ეროვნული საქმე ხანგრძლივი დროით გადაიდო.

გაერთიანებული საქართველოს ფარგლებს გარეთ იმყოფებოდა თბილისის საამიროც. მისი ტერიტორია XI ს. დასაწყისისათვის ქალაქ თბილისითა და მის გარშემო მდებარე ტერიტორიის ვიწრო რკალით შემოიფარგლებოდა. საამიროს სათავეში ჯაფარიანების დინასტია იდგა.

საქართველოს შუაგული თბილისი, ბუნებრივია, იმთავითვე უნდა მოქცეულიყო ქვეყნის გაერთიანებისთვის მებრძოლ ხელისუფალთა ყურადღების ცენტრში და მართლაც ქართული მიწების შემოერთებისათვის ბაგრატ IV-ის ბრძოლის დროს თბილისს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი

---

[1] მ ა ტ ი ა ნ ე... გვ. 298.
[2] ი ქ ვ ე.
[3] ი ქ ვ ე.
[4] ი ქ ვ ე, გვ. 298 — 306.
[5] ი ქ ვ ე, გვ. 309.
[6] ი ქ ვ ე, გვ. 312.

ეკავა. მაგრამ თბილისის საამიროსადმი ცხოველ ინტერესს XI საუკუნის დასაწყისიდანვე იჩენდა ქართლის ერთ-ერთი უძლიერესი ფეოდალი კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ბაღვაში.

ბაგრატ III-ის მიერ კლდეკარის საერისთავოს დამორჩილების შემდეგ პირველ ხანებში დამარცხებული ბაღვაშები მეფეთა ერთგულებას იცავდნენ და, ჩანს, ამ გზით ცდილობდნენ გაძლიერებას. ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ ბიზანტიასთან ომის (1021 — 1022 წწ.) დროს გიორგი I-თან ერთად იბრძოდნენ და 1021 წ. სოფ. შირიმთან მომხდარ ბრძოლაში „მოკლნეს ერისთავნი და დიდებულნი: რატი, ძე ლიპარიტისა და ხურსი"[1]. ამ ომში ზვიად ერისთავი, რომელიც ბაგრატ III-მ კლდეკარის ერისთავად დანიშნა რატის შემდეგ, საქართველოს მეწინავე ლაშქარს სარდლობდა, მაგრამ შემდეგში, ჩანს, ზვიადსა და გიორგი I-ს შორის კონფლიქტი მოხდა და მეფემ შეიპყრო ერისთავი[2]. ეტყობა, ამ დროს დაიბრუნეს ბაღვაშებმა თრიალეთის ერისთავობა[3].

ლიპარიტ ბაღვაშს კარგად ესმოდა, რომ მეფისაგან დამოუკიდებლად თბილისის საამიროს ხელში ჩაგდებას ვერ განახორციელებდა. ამიტომ ის ცდილობდა თბილისის დაპყრობის ინიციატორის როლში გამოსულიყო და მეფესთან ერთად ებრძოლა, რათა შემდეგ სათანადო ანაზღაურება მიეღო. 1032 წელს კლდეკარის ერისთავმა „ლიპარიტ ლიპარიტის ძემან და ივანე აბაზას ძემან, ქართლის ერისთავმან, მუხათგუერდსა გამოიტყუეს ტფილელი ამირა ჯაფარ და შეიპყრეს"[4]. შეპყრობილ ამირას ჩამოართვეს ბირთვისის ციხე[5]. მაგრამ, როგორც მემატიანე გადმოგვცემს, „შეიწყალა... მეფემან და გაუტევა ტფილისს ზედა ამირად"[6].

თბილისის საამირო უშუალოდ ეკვროდა კლდეკარის საერისთავოს და ძლიერ ერისთავს სურდა თავისი სამფლობელოების გაზრდა თბილისის საამიროს ხარჯზე (იქნებ ქალაქი თბილისიც თავისთვის უნდოდა ლიპარიტ

---

[1] მ ა ტ ი ა ნ ე, გვ. 284. ამ ბრძოლას დაწვრილებით აღწერს კედრენეც, რომელიც მოკლულად ასახელებს არა რატის, არამედ ლიპარიტს (გეორგიკა, V, გვ. 48), ხოლო არისტაკეს ლასტივერტეცი ქართული წყაროს მსგავსად რატის ასახელებს (იხ. ა რ ი ს ტ ა კ ე ს ლ ა ს ტ ი ვ ე რ ტ ე ც ი, ისტორია. ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1974, გვ. 46).

[2] გომარეთის წარწერა, იხ. Е. Т а к а й ш в и л и, Археологические экскурсии, разыскания и заметки. IV, 1913, с. 83.

[3] ვ. ც ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959, გვ. 13; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს ვარაუდით, ბაგრატმა რატისთან შეთანხმებით., მის შვილს ლიპარიტს უწყალობა კლდეკარი და თრიალეთი, რომელსაც ამიერიდან ეს ქვეყანა მამისაგან მემკვიდრეობად მიღებული კი აღარ ჰქონდა, არამედ მეფისაგან ნაწყალობევი. იხ. საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, გვ. 14.

[4] მ ა ტ ი ა ნ ე... გვ. 296.

[5] ი ქ ვ ე, გვ. 296—297.

[6] ი ქ ვ ე, გვ. 297.

ბაღვაშს?), მაგრამ ლიპარიტის ზრახვებს სხვებიც იყვნენ მიხვედრილნი და სწორედ იმიტომ გაათავისუფლა ბაგრატმა დატყვევებული ამირა ჯაფარი. მაინც თბილისის საკითხი დიდი ხნით გადადებას ვერ მოითმენდა და როდესაც 5 წლის შემდეგ ლიპარიტმა შესთავაზა ბაგრატს თბილისზე გალაშქრება, მეფემ მოუხმო მოკავშირეებს და თბილისს ალყა შემოარტყა. „მოადგეს ტფილისსა მტკუარსა ამიერით, ზემოთ და ქუემოთ, აფხაზთა მეფისა ლაშქარნი, და წყალსა იმიერით, ისნით კერძო, მოადგეს ლაშქარნი კახნი და ჰერნი"[1]. თბილისის ალყა ორ წელიწადს გაგრძელდა (1037 — 1039 წწ.). ამ ხნის განმავლობაში თბილისის საამიროს ჩამოართვეს ციხეები ორბეთი და ფარცხისი. თბილისში საშინელი გაჭირვება და შიმშილი მძვინვარებდა. ქალაქის თავკაცებმა თბილისის მეფისათვის გადაცემა გადაწყვიტეს, ხოლო ამირა ჯაფარ ალის ძე განძას გაქცევას აპირებდა[2]. სწორედ ამ დროს შესთავაზა ზავი ბაგრატ IV-მ ამირა ჯაფარს. ბაგრატის ეს მოულოდნელი საქციელი გაკვირვებას და აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა მკვლევართა შორის. სადღეისოდ თითქოს სადავო აღარ უნდა იყოს, რომ გადამწყვეტი გავლენა ბაგრატზე ლიპარიტის მოწინააღმდეგე დაჯგუფებამ მოახდინა, რომელსაც არ მიაჩნდა სასურველად ლიპარიტის კიდევ უფრო მეტად გაძლიერება. შესაძლებელია, გარკვეული გავლენა ბაგრატის გადაწყვეტილებაზე მოახდინა ცნობამ ამირას დასახმარებლად სელჩუკიანთა ლაშქრის წამოსვლის შესახებ[3]. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ 1039/40 წ. ბაგრატმა მოხსნა ალყა თბილისს და თბილისის შემოერთების პრობლემა ისევ გადაუჭრელი დარჩა. ბაგრატ მეფეს, რასაკვირველია, შესანიშნავად ჰქონდა შეგნებული ერთიანი საქართველოსათვის თბილისის მნიშვნელობა და თბილისის დაპყრობის აუცილებლობა, მაგრამ არა ისეთ ფასად, როგორც ეს მას ლიპარიტის დახმარებით თბილისის დაპყრობის შემთხვევაში დაუჯდებოდა. ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ ლიპარიტის დახმარების გარეშე ბაგრატი ვერ ახერხებს თბილისზე გალაშქრებას. 1046 წ. ამირა ჯაფარის გარდაცვალების შემდეგ ქ. თბილისში ხელისუფლება ფაქტიურად „ტფილელ ბერთა" ხელში გადავიდა, რომელნიც შექმნილ ვითარებაში იძულებულნი იყვნენ ქალაქისათვის ძლიერი მფარველი ეძებნათ[4]. „თბილელმა ბერებმა" ბაგრატ IV-ს მიმართეს, რომელიც ამ დროს დასავლეთ საქართველოში ბიზანტიელების მიერ მიტაცებული ანაკოფიის ციხის ასაღებად იყო გალაშქრებული[5]. რადგან თბი-

[1] მ ა ტ ი ა ნ ე..., გვ. 297.

[2] ი ქ ვ ე, იხ. შ. მ ე ს ხ ი ა, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962, გვ. 52.

[3] იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 140; ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, სელჩუკები და საქართველო, თბ., 1968, გვ. 174.

[4] შ. მ ე ს ხ ი ა, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, გვ. 53.

[5] მ ა ტ ი ა ნ ე, გვ. 299.

ლისის საკითხი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, ბაგრატმა თავი მიანება ანაკოფიის ციხეს და „წარემართა ტფილისად“. თბილისში ბაგრატმა თბილელ ბერთაგან ჩაიბარა ქალაქის ციხეების გასაღებები, სადაც თავისი მეციხოვნენი ჩააყენა. მაგრამ მტკვრის მარცხენა ნაპირზე ისანში მაჰმადიანური არისტოკრატია იყო გამაგრებული, რომელიც ბაგრატ IV-ს სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა. მართალია, ისანი ბაგრატმა ვერ აიღო, მაგრამ ქალაქის დანარჩენი ნაწილი მის ხელთ იყო[1]. ამჯერადაც ბაგრატმა თბილისი კლდეკარის ერისთავის ლიპარიტის გამო დაკარგა. ლიპარიტმა აშკარა ბრძოლა დაიწყო ბაგრატის წინააღმდეგ და მეფე იძულებული გახდა თავი მიენებებინა თბილისისათვის და ლიპარიტის წინააღმდეგ გასულიყო. ლიპარიტს მხარს უჭერდა და პოზიციებს უმაგრებდა ბიზანტიის იმპერია თავისი ჯარით, ფულით... დაახლოებით 1045 — 1047 წწ. ლიპარიტმა ბაგრატის წინააღმდეგ აჯანყება მოაწყო[2]. მისი მოკავშირეები ამ ბრძოლაში კახეთი და ბიზანტია იყო. ბიზანტიელებმა და ლიპარიტმა ბაგრატს მისი ნახევარძმა დემეტრე დაუპირისპირეს. მოკავშირეთა ლაშქარი ატენის ციხეს მიადგა, მაგრამ „ვერ წაიღეს ატენი, რამეთუ ციხეთა უფალნი კაცნი მტკიცე იყვნეს ერთგულობასა ზედა ბაგრატისსა“[3]. ზამთრის მოახლოებისას ბიზანტიელთა ლაშქარი წავიდა, მოკავშირეთა გარეშე ლიპარიტს, ეტყობა, ბრძოლის გაგრძელება არ შეეძლო ბაგრატთან და „დაეზავა ლიპარიტ აფხაზთა მეფეს“[4]. ლიპარიტს „უბოძა მეფემან ქართლის ერისთავობა“[5]. ბაგრატი ფიქრობდა ქართლის ერისთავის დიდი თანამდებობით მოებრუნებინა ურჩი ყმის გული, მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა. რამდენიმე ხნის შემდეგ (1047 — 1048 წწ.)[6] ლიპარიტი ისევ ამხედრდა ბაგრატ მეფის წინააღმდეგ. მას მოკავშირეებად ჰყავდა „კახნი ძალითა მათითა, და დავით სომეხთა მეფე ძალითა მისითა“[7]. ამავე დროს „ბერძენთა მეფისა განძი და ლაშქარი შემწე იყო“[8]. ამჯერადაც ბაგრატს მისი ძმა დემეტრე დაუპირისპირა ლიპარიტმა. ბრძოლა დაუნდობელი იყო, მებრძოლი მხარეები ერთმანეთის ღირსების შეურაცხყოფასაც არ ერიდებოდნენ[9]. ბაგრატი ამჯერადაც დამარცხდა ლიპარიტთან ომში და ქვეყნის ფაქ-

---

[1] რ. კიკნაძე, XI — XII საუკუნეთა თბილისის ისტორიიდან, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, V, 1960, გვ. 112.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 141.

[3] მატიანე, გვ. 298.

[4] იქვე.

[5] იქვე.

[6] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 143 — 145.

[7] მატიანე, გვ. 300 — 301.

[8] იქვე, გვ. 300.

[9] კედრენე, გეორგიკა, V, გვ. 67; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 147.

ტიური ბატონ-პატრონი ლიპარიტი გახდა. მხოლოდ 1048 წელს, როდესაც ლიპარიტი თურქებს ჩაუვარდა ტყვედ, „დიდებულთა ამის სამეფოსა და შვილთა ლიპარიტისთა, ივანე და ნიანიამ იძებნეს უშიშროება და გამოიყვანეს მეფე მეფედ"[1].

1048 წ. თბილელმა ბერებმა ისევ მიმართეს ბაგრატს დაეკავებინა თბილისი. ბაგრატმა დაიკავა ქალაქი, მაგრამ მხოლოდ 3 წელს შეინარჩუნა. 1051 წ., როგორც კი ლიპარიტი თურქთა ტყვეობიდან განთავისუფლდა, ბაგრატი იძულებული გახდა დაეტოვებინა თბილისი[2].

ლიპარიტი ბიზანტიის იმპერიის დახმარებით კიდევ უფრო გაძლიერდა. ბაგრატი ხედავდა, რომ ბრძოლით მასთან ვერას გააწყობდა და ისევ ბიზანტიის იმპერატორის შუამდგომლობას მიმართა ლიპარიტთან მოსარიგებლად. როგორც ქართველი მემატიანე გადმოგვცემს, ბაგრატმა მეფედ თავისი მცირეწლოვანი შვილი გიორგი აკურთხა და დატოვა ქუთაისს, თვითონ კი 1054 წ. ბიზანტიისაკენ გაემგზავრა. ტრაპიზონში ჩასულმა ბაგრატმა იმპერატორს მიღების უფლება სთხოვა და ბიზანტიონში გამოცხადდა[3]. ბაგრატი თითქოს პატივით მიიღეს, მაგრამ ფაქტიურად საპატიო ტყვეობაში ჰყავდათ 3 წლის განმავლობაში. ქართველ მემატიანეს კარგად ესმის, რომ „ლიპარიტის სათნოთა სწრაფით ვერღარა შემოიქცა ბაგრატ თავის მამულსა ზედა"[4]. ამ ხნის განმავლობაში ქვეყნის ერთადერთი ბატონი ლიპარიტ ბაღვაში იყო. მან წამოიყვანა მცირეწლოვანი უფლისწული გიორგი და მამის მიერ ქუთაისს ერთხელ უკვე ნაკურთხი მეფედ რუისს ხელმეორედ აკურთხა. ასეთი მდგომარეობის ატანა აღარ შეიძლებოდა. ბაგრატის დამ დედოფალმა გურანდუხტმა, რომელიც უფლისწულის აღმზრდელად და პატრონად იყო დადგენილი, იმპერატორს სთხოვა დაებრუნებინა ბაგრატი. ეტყობა, იმპერატორისათვის უკვე სასურველი აღარ იყო ბაგრატის კიდევ დაკავება ან შეიძლება ახლა აღარც მას აწყობდა ლიპარიტის მეტისმეტი გაძლიერება და ბაგრატი სამშობლოში გამოუშვა. ქართველი მემატიანე ნიშანდობლივ უთითებს, რომ ბაგრატი ბიზანტიაში იმყოფებოდა კონსტანტინე მონომახისა და მიხეილის დროს. ის წერს: ბაგრატმა გიორგი „დაუტევა ქუთათისს მეფედ სამეფოსა ზედა აფხაზეთისასა და წავიდა საბერძნეთსა. მას ჟამსა იყო ბერძენთა მეფე კონსტანტინე მონომახი და (შემდგომად) მიხაელი"[5]. როგორც ცნობილია, ეს არის კონსტანტინე მონომახისა (1041 — 1055 წწ.) და მიხეილ VI-ის (1056—1057 წწ.) ხანა. მემატიანე არ ახსენებს ამათ შორის თეოდორა დე-

---

[1] მ ა ტ ი ა ნ ე, გვ. 302.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 303.
[3] კ ე დ რ ე ნ ე, გეორგიკა, V, გვ. 67—68.
[4] მ ა ტ ი ა ნ ე, გვ. 303.
[5] ი ქ ვ ე.

დოფლის (1055—1056 წწ.) დამოუკიდებელი მეფობის პერიოდს. შესაძლებელია, ის უთითებს იმ იმპერატორებზე, რომელთა დროს დაიწყო და დამთავრდა ბაგრატის ე. წ. სტუმრობა კონსტანტინოპოლს. როგორც ცნობილია, კონსტანტინე მონომახის შემდეგ განსაკუთრებით გართულდა საიმპერატორო კარის მდგომარეობა, ხოლო 1057 წ. იმპერიაში ანარქიის ხანგრძლივი პერიოდი დამყარდა[1], რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ალბათ ბაგრატის წამოსვლას ბიზანტიიდან[2].

იმპერატორის შუამდგომლობით მოხდა შეთანხმება ბაგრატსა და ლიპარიტს შორის „იმ პირობით, რომ ბაგრატი იქნება ბატონი და მთავარი მთელი იბერიისა[3] და აბაზგიისა[4], ხოლო ლიპარიტი — ერთი ნაწილის — მესხეთის მთავარი იქნება სიკვდილამდე, ხოლო ბაგრატს სცნობს ბატონად და მეფედ"[5]. ნიშანდობლივია, რომ ლიპარიტი „ზრდიდა ბაგრატის ძესა გიორგის მცირესა სახელითა მეფობისათა"[6].

როგორც ვხედავთ, ამ შეთანხმებით ლიპარიტი მთელი მესხეთის ხელისუფლად შეიქნა და მისი მთავრობა ნიშნავდა ერთიანი ქართული სახელმწიფოს შიგნით ფაქტიურად დამოუკიდებელი სამთავროს არსებობას. ეს, რასაკვირველია, დიდი მარცხი იყო, რომელიც ცენტრალურმა ხელისუფლებამ განიცადა ურჩ ფეოდალთან ბრძოლაში, მაგრამ მეფეს, ჩანს, სხვა გზა არ ჰქონდა.

მაგრამ ლიპარიტის ბატონობა მალე დაემხო. ნიშანდობლივია, რომ ლიპარიტს ბოლო მოუღეს მესხმა ფეოდალებმა, რომელთაც ვეღარ აიტანეს მისი მეტისმეტად თავგასული თვითნებობა. „ამის სამეფოსა დიდებულთა, — წერს მემატიანე, — მოეწყინა პატრონობა ლიპარიტისი. სულა კალმახელი და ყოველნი მესხნი გამოექცეს ლიპარიტს, და შეიპყრეს დლივს ლიპარიტ და ძე მისი ივანე"[7]. ლიპარიტი ბერად აღიკვეცა და ბიზანტიას გაემგზავრა. მისი ერთი ვაჟი ნიანია ანისს გარდაიცვალა, ხოლო მე-

---

[1] Н. Скабаланович, Византийское государство и церковь, с. 65—86; М. В. Левченко, История Византии, 1940, с. 195.

[2] მეფე ბაგრატ IV იმპერიაში ყოფნის სხვაგვარ დათარიღებას გვთავაზობს მ ა ქ ს ი მ ე ბ ერ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი სტატიაში „ტურინოს კომპილაციის გამო". იხ. კრ. „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები", თბ., 1966, გვ. 164, ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი იზიარებს ჯაჯანიშვილისეულ დათარიღებას — საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970 — 1070 წლებში, თბ., 1969, გვ. 260, ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ფიქრობს, რომ კეისარმა ბაგრატი „ლიპარიტის თანხმობით" გამოისტუმრა საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, გვ. 21.

[3] ე. ი. აღმოსავლეთ საქართველოსი.

[4] ე. ი. დასავლეთ საქართველოსი.

[5] კ ე დ რ ე ნ ე, გეორგიკა, V, გვ. 68.

[6] მ ა ტ ი ა ნ ე, გვ. 304.

[7] ი ქ ვ ე.

ორე ვაჟმა ივანემ, ბაგრატისაგან მიიღო მათი „ძამული ერგუეთისა და ქართლისა“[1].

„ბოლოს და ბოლოს, ბაგრატმა ლიპარიტი ხელთ იგდო, მაგრამ ეს არ იყო მეფის სტრატეგიული გამარჯვება, — წერს ნ. ბერძენიშვილი, — ლიპარიტი იმ დიდმა აზნაურებმა დასცეს, რომელთაც მას ამას წინ მეფეზე გაამარჯვებინეს, ხოლო ეხლა „მოეწყინათ“ მისი ბატონობა“[2]. ნიშანდობლივია, რომ ლიპარიტის გამცემმა სულა კალმახელმა იმდენი საზღაური მიიღო მეფისაგან, რომ ახლა უკვე თვითონ გახდა სამცხეში ახალი პოლიტიკური ერთეულის ფუძემდებელი. „ასე რომ, თუ ბაგრატმა ერთი „კლდეკარი“ მოშალა (ვერც მოშალა), მეორე „კლდეკარი“ (ოძრხე-ციხის-ჯვარი) შექმნა...“[3].

ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ მხოლოდ ბაღვაშები როდი იბრძოდნენ. ბაგრატ IV-ის გამეფებისთანავე „წარვიდეს აზნაურნი ტაოელნი საბერძნეთს. ვაჩე კარიჭისძე და ბანელი ეპისკოპოსი იოვანე, და მათ თანა სიმრავლე აზნაურთა ტაოელთა“[4], ხოლო 1028 წ., როდესაც ბიზანტიის იმპერიის ლაშქარი საქართველოს მოადგა, დიდი ფეოდალები ჩანჩახი ფალელი და არჯევან ჰოლოლის ძე ბიზანტიელთა მხარეზე გადავიდნენ და თავისი ციხეებიც გადასცეს მათ[5].

ბაგრატ IV-ის დროს ცენტრალურ ხელისუფლებასა და დიდგვარიან აზნაურთა შორის წარმოებული ბრძოლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აბაზასძეთა ფეოდალური სახლის დამხობა ბაგრატის მიერ, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1060 წელს[6]. ხუთნი ძმანი აბაზასძენი, რომელთაც მეფის შეპყრობაც კი განუზრახავთ, იყვნენ „კაცნი ძლიერნი და ახოვანნი, სიმდიდრესა ზედა მკლავისა თჳსისასა მოქადულნი და სიმრავლესა ზედა ერისასა აზღვავებულნი“[7]. აბაზასძეთაგან ერთი, სახელდობრ, ივანე, ბაგრატ IV-ის გამეფების პირველ წლებში ქართლის ერისთავი იყო. მან ლიპარიტთან ერთად შეიპყრო 1032 წ. თბილისის ამირა ჯაფარი და მოჰგვარა ბაგრატს, მაგრამ შემდეგ (1044 — 1045 წწ.), როგორც ცნობილია, ბაგრატმა ქართლის ერისთავობა ლიპარიტ ბაღვაშს უბოძა, რაც შეიძლებოდა გამხდარიყო აბაზასძეთა და მეფეს შორის უთანხმოების ჩამოგდების სა-

---

[1] მ ა ტ ი ა ნ ე, გვ. 305.

[2] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965. გვ. 26.

[3] ი ქ ვ ე.

[4] მ ა ტ ი ა ნ ე, გვ. 291; „მატიანეს“ ამ ცნობას მთლიანად ადასტურებს სუმბატი, ი ქ ვ ე, გვ. 395.

[5] მ ა ტ ი ა ნ ე, გვ. 292.

[6] გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, 1967, გვ. 160.

[7] ი ქ ვ ე, გვ. 205.

ბაბი. საინტერესოა, რომ თბილისის ამირას წინააღმდეგ ბრძოლის დაწყების ინიციატორი ქართლის ერისთავი ივანე აბაზაძეა ლიპარიტთან ერთად, და ეს ორივე ფეოდალი შემდეგ მეფის უძლიერეს მოწინააღმდეგედ ხდება. თბილისის საამიროს ტერიტორია იმთავითვე შეიქნა გაერთიანებული საქართველოს მეფესა და გაძლიერებულ ფეოდალთა შორის ქიშპის საბაბი, რის გამოც ბაგრატ IV-მ ვერ შეძლო თბილისის შემომტკიცება. ქალაქისთვის აუცილებელი იყო ძლიერი მფარველი და 1062 წ. თბილისის მოქალაქენი იძულებულნი გამხდარან შედადიან აბულ-ასვარისთვის ეთხოვათ შემწეობა და შეეძლიათ ქალაქი[1]. აბულ-ასვარმა ბაგრატის შიშით უარი თქვა თბილისის დაკავებაზე, რის შემდეგ მოქალაქეთა წარმომადგენლებმა ქალაქი კახეთის მეფე აღსართან გაგიკის ძეს შესთავაზეს, რომელმაც ჩაიბარა კიდეც იგი[2]. მაგრამ მალე ქ. თბილისი აღსართანისაგან დიდი საფასურის გადახდით იყიდა მეფე ბაგრატ IV-მ[3]. წყაროს ცნობით, ბაგრატმა თბილისში „სასწრაფოდ გაგზავნა გარნიზონი და მოამარაგა ის (შიჰნა) ხალხით, იარაღით და სურსათ-სანოვაგით"[4]. როგორც ჩანს, საქალაქო მმართველობა ბერების, ქალაქის უხუცესთა ხელთ დარჩა. ბაგრატს კი ქალაქი პოლიტიკურად დაემორჩილა, რაც იქ სათანადო მოხელის, შიჰნას (მეფის წარმომადგენლის) და დამცველი რაზმის გაგზავნაში გამოიხატა[5].

როგორც ვხედავთ, თითქმის მთელი XI საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა დაძაბული ბრძოლა ცენტრალურ ხელისუფლებასა და დიდგვარიან ფეოდალებს შორის. დიდებულნი პრინციპში მეფის ხელისუფლების წინააღმდეგნი არ იყვნენ. ბაგრატის ყველაზე ძლიერი მოწინააღმდეგე ლიპარიტი მას ყოველთვის ვინმეს უპირისპირებდა მეფედ (მისი ძმა დემეტრე, მცირეწლოვანი გიორგი). ლიპარიტ ბაღვაში არც საქართველოს გაერთიანების წინააღმდეგ იბრძოდა. „ასეთი იდეა ეხლა არაპოპულარულია"[6]. ლიპარიტის მიზანი იყო მეფისადმი ყმადნაფიცობის პირობით მორჩილება და ფაქტიურად დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, რაც შეუთანხმებელი იყო გაერთიანებული საქართველოს პოლიტიკური წყობილე-

[1] რ. კიკნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 113.

[2] იქვე, გვ. 112.

[3] V. Minorsky, Studies in Caucasian history, London, 1953, გვ. 20; რ. კიკნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 113, 114; შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, გვ. 57. რ. კიკნაძის ვარაუდით, ბაგრატს ეს ქალაქი ამ შესყიდვის შემდეგ საკუთრად კი არ დაუპერია, არამედ შერიგებია ჯაფარის შვილებს და ქალაქის გამგებლებად ისინი დაუსვამს (რ. კიკნაძე, იქვე, გვ. 114). მაგრამ ჩვენ უფრო მართებულად მიგვაჩნია შ. მესხიას აზრი, რომელიც თვლის, რომ ჯაფარიანთა ხელისუფლება თბილისში ალფ-არსლანის შემოსევის დროს და მისი ხელშეწყობით უნდა აღდგენილიყო (შ. მესხია, იქვე, გვ. 57).

[4] Minorsky, Studies... გვ. 20.

[5] იხ. შ. მესხია, საქალაქო კომუნა... გვ. 92 — 93.

[6] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 25.

ბისათვის. ამას ისახავს მიზნად დაზავება-შეთანხმების ის პირობა, რომელიც ბიზანტიაში საპატიო ტყვეობაში მყოფ ბაგრატსა და ლიპარიტს შორის დაიდო იმპერატორის შუამდგომლობით. ეჭვი არაა, რომ ამ შეთანხმების ფორმულა ლიპარიტის სურვილით მოახვიეს თავს ბაგრატს. როგორც კედრენეს ზემოთ მოტანილი ცნობიდან ჩანს, ლიპარიტი მესხეთის ხელისუფლად დაადგინეს და ბაგრატის „ბატონობას" ის მხოლოდ გარეგნულად ცნობდა. სწორედ ამან აამხედრა ლიპარიტის წინააღმდეგ მესხი ფეოდალები, რომელთაც ვერ აიტანეს მისი ასეთი გადიდკაცება და დაამხეს კიდეც ის.

XI საუკუნის 60-იანი წლებისათვის დამთავრდა სამეფო ხელისუფლებასა და დიდგვარიან ფეოდალთა შორის ბრძოლის ერთი დიდი პერიოდი, როდესაც ცენტრალურმა ხელისუფლებამ აზნაურთა სხვადასხვა დაჯგუფების ინტერესთა დაპირისპირებით შეძლო ქვეყნის შიგნით თავისი მდგომარეობის დროებით განმტკიცება. ცენტრალური ხელისუფლება ამ დროს დიდგვარიანთა წინააღმდეგ ბრძოლაში უკვე გაძლიერებულ და ახლად წარმოქმნილ ქალაქებსაც ეყრდნობოდა.

სამეფო ხელისუფლების ცენტრალიზაციის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეკლესიის მდგომარეობას სახელმწიფოში.

ეკლესია საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლ ძალებს უჭერდა მხარს. გარკვეულ ეტაპზე ეს ეკლესიის ინტერესებს პასუხობდა, რადგან ავრცელებდა და ამტკიცებდა მის იურისდიქციას გაერთიანებულ ქართულ მიწებზე, მაგრამ ქვეყნის გაერთიანების შემდეგ ქართული ეკლესია პირველი ფეოდალური ორგანიზაცია იყო, რომელმაც შეუვალობისათვის დაიწყო ბრძოლა და ამ მიმართულებით დიდ წარმატებებს მიაღწია უკვე XI საუკუნის დასაწყისში. მელქისედეკ კათალიკოსი თავის 1029 წ. შედგენილ „დაწერილში" აღნიშავს: „და რომელნი ძუელად ჰქონდეს ამას წმიდასა დედაქალაქსა, შესავალნი იყუნეს და მე მოვაჯსენე გამზრდელსა ჩემსა ბაგრატ კურაპალატსა და შეუვალად გამიჯადნეს და მიბოძეს სიმტკიცე შეუვალობისა და რომელი ქალაქისა გასავალი იყო ამის წმიდისა დედაქალაქისაგან ცხუარი, ცხენი, ღვნო ზედანი და რაჲცა იყო, ყოველი ალი ამირამან ამგჳგდო და ავჰჯადე ამის წმიდისა დედაქალაქისაგან"[1]. სიგელში მოხსენიებული ბაგრატ კურაპალატი ბაგრატ III-ა, ალი ამირა მისი თანამედროვე თბილისის ამირაა, ხოლო შეუვალობის მინიჭება ეკლესიისათვის 1011 — 1014 წლებში მომხდარა[2]. ასე რომ, ბაგრატ III, რომელიც იბრძოდა ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის და ამ მხრივ ზოგიერთ წარმატებასაც აღწევდა ფეოდალურ არისტოკრატიასთან ბრძოლაში, იძულებულია ეკლესიას დაუთმოს და შეუვალობა მიანიჭოს მას.

---

[1] მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, ნ. ბერძენიშვილის გამოც., იხ. მისი „საქართველოს ისტორიის საკითხები", IV, თბ., 1967, გვ. 283.

[2] ნ. ბერძენიშვილი, იქვე, გვ. 244 — 245.

ქართული ეკლესია და მისი უმაღლესი ფენა თანდათან დეცენტრალიზაციისკენ მსწრაფ ძალთა თავშესაფრად გადაიქცა. ეკლესიის დამორჩილება სახელმწიფოსადმი სცადა ბაგრატ IV-მ, რომელმაც ამ მიზნით XI ს. 60-იანი წლების დასაწყისში ათონის მთიდან სახელგანთქმული საეკლესიო მოღვაწე გიორგი მთაწმინდელიც კი მოიწვია საქართველოში.

ამ დროს უმაღლესი საეკლესიო თანამდებობანი ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელთა ხელში იყო. გავრცელდა საეკლესიო თანამდებობათა გაყიდვაც. ზოგიერთი იმდროინდელი მოღვაწე თვით მეფესაც ადანაშაულებს საეკლესიო თანამდებობათა გაყიდვაში. გიორგი მთაწმინდელი, ათონის ქართველთა მონასტრის წინამძღვარი, დიდი საზოგადო მოღვაწე, მეფემ საქართველოში მოიწვია, რათა მისი დახმარებით გადაეყენებინა უმაღლეს საეკლესიო თანამდებობათაგან ის პირნი, რომელთაც აღზევებას მიაღწიეს არა პირადი თვისებებით, განათლებით, მოღვაწეობით, არამედ სოციალური მდგომარეობით. რასაკვირველია, ასეთთაგან მეფის წყრომას იმსახურებდნენ განსაკუთრებით ისინი, ვინც ეწინააღმდეგებოდა ბაგრატ მეფის პოლიტიკას. ხუთი წლის დაუღალავი მუშაობის შედეგად გიორგი მთაწმინდელმა ბევრი გააკეთა, საეკლესიო საქმეებში წოდებრივი უპირატესობის პრინციპი უარყო. მაგრამ ამჯერად ქვეყნის საერთო მძიმე მდგომარეობის (შიმშილობა, რომელიც უკვე მთელ ქვეყანაში მძვინვარებდა, საგარეო მდგომარეობის გართულება...) გამო ყველა საჭირო ღონისძიების გატარება ვერ მოხერხდა.

ამგვარად, საქართველოს გაერთიანებისა და ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის ბრძოლამ X ს. დასასრულიდან XI ს. 60-იან წლებამდე გარკვეული წარმატებები მოიპოვა. მეფის ხელისუფლებამ საშუალო და წვრილ აზნაურობაზე დაყრდნობით და მსხვილ ფეოდალთა სხვადასხვა დაჯგუფების ინტერესთა ერთმანეთისადმი დაპირისპირებით შეძლო შეექმნა აშკარა უპირატესობა ქვეყნის გამაერთიანებელი ძალებისათვის, მაგრამ თურქ-სელჩუკთა შემოჭრის გამო ვერ მოხერხდა მიღწევების ბოლომდე მიყვანა.

§ 2. მონარქიის საგარეო პოლიტიკა
(X ს. დასასრ. — XI ს. 60-იანი წლები)

ა) ურთიერთობა ბიზანტიასთან. XI საუკუნის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი კარდინალური საკითხი ბიზანტიის იმპერიასთან ურთიერთობა იყო.

სანამ ბიზანტიის იმპერიას ამიერკავკასიის ქრისტიანული ქვეყნები არაბთა სახალიფოსათვის დასაპირისპირებლად ესაჭიროებოდა, ის საქართველოს და სომხეთს ზურგს უმაგრებდა და ხელს უწყობდა მათ გაძლი-

ერებას. მაგრამ XI საუკუნისათვის ძალთა თანაფარდობა მახლობელ აღმოსავლეთში შეცვლილი იყო. არაბთა სახალიფო და მის ნანგრევებზე აღმოცენებული მაჰმადიანური საამიროები სერიოზულ მეტოქეს აღარ წარმოადგენდნენ ბიზანტიისათვის. ახლა უკვე თვით საქართველოსა და სომხეთის გაერთიანება უქმნიდა საფრთხეს ბიზანტიის ოდინდელ ჰეგემონობას ამიერკავკასიაში და ამიტომ ბიზანტია მათ გაძლიერებას მხარს ვეღარ დაუჭერდა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ XI საუკუნის მანძილზე (60-იან წლებამდე) საქართველოს სახელმწიფომ მოახერხა ქვეყნის შიგნით მეტ-ნაკლები თანაფარდობის დამყარება, ყველაზე ძლიერი ფეოდალური ოპოზიციის აბაზასძეთა და ბაღვაშთა სახლის დროებით დამხობა, აგრეთვე ძირითადი ქართული მიწების გაერთიანება, ბიზანტიის ჰეგემონობა და ბიზანტიის იმპერიის უშუალო ჩარევა ამ ხანებში ქვეყნის საშინაო საქმეებში მაინც ვერ მოიცილა თავიდან. უფრო მეტიც, როგორც საშინაო (ქართული თუ ამიერკავკასიური სამყაროს მასშტაბით), ისე საერთაშორისო სარბიელზე ჯერ კიდევ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმპერიის მხარდაჭერა-წყალობას, რის გარეგნულ გამოხატულებასაც ამიერკავკასიის მეფე-მთავართა ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულები წარმოადგენდნენ.

XI საუკუნეში უკვე იგრძნობა ბიზანტიის იმპერიის თანდათანობით დასუსტების დასაწყისი. მაგრამ XI ს. I ნახევარში იმპერია ჯერ კიდევ ახერხებს თავისი სამფლობელოების ფარგლების ასე თუ ისე დაცვას და ქვეყნის შიგნით ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებას[1].

საქართველოსა და სომხეთის მიმართ ბიზანტიის იმპერია აქტიურ პოლიტიკას აწარმოებდა. მას არ აკმაყოფილებდა მხოლოდ ფორმალური აღიარება ბიზანტიის სუვერენობისა და იგი რეალურად ცდილობდა თავისი მდგომარეობის განმტკიცებას. ბიზანტიის იმპერიის ამ მისწრაფების განხორციელება იყო XI ს. დასაწყისში დავით კურაპალატის ყოფილ სამფლობელოთაგან იბერიის თემის შექმნა და აქტიური შეტევა სომხეთზე, მაგრამ ამ ხანებში შეიმჩნევა განსაკუთრებული დაძაბვა ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობისა, რაც გამოწვეული იყო ქართული სახელმწიფოს განუხრელი ზრდითა და გაძლიერებით. ბიზანტია ყოველმხრივ ხელს უშლიდა საქართველოს გაძლიერებას.

იმპერატორმა კონსტანტინე VIII-მ (1025 — 1028 წწ.) დავით კურაპალატის სამფლობელოთაგან შექმნილ იბერიის თემს — საკატეპანოს სხვა ქართული მიწებიც მიუმატა. აქედან იწყებოდა ინტრიგებისა და პოლიტიკური მოსყიდვა-გადაბირების ის ქსელი, რომელიც საქართველოს მეფის

---

[1] М. В. Левченко, История Византии, М., 1949, с. 137 — 155.

ცენტრალისტური პოლიტიკით უკმაყოფილო ფეოდალების გადაბირებას ისახავდა მიზნად. ბიზანტია ყოველგვარი საშუალებებით ცდილობდა საქართველოს გაერთიანება-გაძლიერების პროცესის შეჩერებას, მის დასუსტებას და მოსაზღვრე სამფლობელოების ხელში ჩაგდებას[1].

საეჭვო არ უნდა იყოს, რომ ბიზანტიის იმპერიის მხარდაჭერის გარეშე ბაღვაშები ვერ შეძლებდნენ სერიოზული ზიანის მიყენებას საქართველოს გაერთიანების საქმისათვის, ისევე როგორც ბიზანტიაც ბაღვაშების მხარდაჭერის გარეშე ვერ შეძლებდა ასე აშკარად ჩარევას საქართველოს საშინაო საქმეებში. ამ საშინაო და საგარეო ურთიერთობის გადახლართვის შედეგი იყო ის, რომ XI ს. მანძილზე (დავით აღმაშენებლამდე) საქართველოს მეფეები არა მარტო იღებდნენ, არამედ ეძიებდნენ ბიზანტიის იმპერიის საკარისკაცო ტიტულებს.

როგორც აღნიშნული იყო, დავით III კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ იმპერატორმა ბასილ II-მ დაიპყრო დავითის სამფლობელო, რომელიც იქცა ბიზანტიის პლაცდარმად საქართველოს შიდა რაიონებში შესაჭრელად. ამ დროსვე იმპერატორმა ბაგრატ III-ს კურაპალატობა, ხოლო მის მამას გურგენს მაგისტროსობა უბოძა. მემატიანეს სიტყვით, შვილისათვის კურაპალატობის, ხოლო მამისათვის მასზე დაბალი, მაგისტროსის პატივის მინიჭებით ბიზანტიის იმპერატორს მამა-შვილს შორის უთანხმოების ჩამოგდება სდომებია. მართლა სურდა ბასილს ასე თუ არა, არ ვიცით, მაგრამ ამ ამბების თანამედროვე მემატიანემ რომ ეს ფაქტი ასე გაიგო, დამახასიათებელია იმდროინდელი საზოგადოების ამ პატივისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით. მართალია, მამა-შვილს შორის კონფლიქტი არ მომხდარა ამის გამო, მაგრამ ეს მემატიანეს გურგენის პირად დამსახურებად მიაჩნია — „ხოლო გურგენ ჭეშმარიტი და მართალი იყო და ვერა აღძრა გული მისი ზაკჳთა ამით მიზეზითა და ვერა უძლო ღონისძიებათა"[2]. კურაპალატობა ერთ-ერთი უმაღლესი საკარისკაცო პატივი იყო ბიზანტიაში, მაგრამ კურაპალატობის და სხვა ბიზანტიური საკარისკაცო პატივის წყალობა, თავისთავად, ყმობის დამამტკიცებელი არ იყო, რადგან ამ პატივებს ბიზანტიის იმპერატორები ისეთ მეფეებსაც უწყალობებდნენ, რომელნიც მათი ყმები არასოდეს არ ყოფილან[3]. XI საუკუნის მანძილზე (დავით აღმაშენებლამდე), როგორც ცნობილია, ქართველი მეფეები დიდად ებღაუჭებოდნენ ამ პატივს. როგორც ჩანს, კურაპალატის ტიტულს გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა იმდროინდელ საერთაშორისო არენაზე, რადგან მას ბიზანტიის იმპერატორები ევროპელ

---

[1] Очерки истории СССР, III, с. 559.

[2] სუმბატ დავითის ძე, გვ. 382.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 108.

მბრძანებლებსაც ანიჭებდნენ ხოლმე[1] და საკუთარ ძმებსაც[2]. რეალურად თითქოს ამ ტიტულს რაიმე უპირატესობის მოტანა საქართველოს მეფეებისათვის არ უნდა შეძლებოდა, მაგრამ მაინც უაღრესად ნიშანდობლივია მეფეთა ასეთი მისწრაფება კურაპალატობისადმი. როგორც სამართლიანად შენიშნავს XI ს. ქართველი ისტორიკოსი, კურაპალატობის პატივის ძიება „არს ჩვეულება და წესი სახლისა მათისა (ე. ი. ბაგრატიონთა — **მ. ლ.**)"[3]. მეორე მხრივ, კურაპალატობას რომ არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონოდა, მაშინ ალბათ არც ეძიებდნენ მას ეს მეფეები. კურაპალატობის მინიჭება პატივს გარდა მიუთითებდა იმაზე, რომ ბიზანტიის იმპერია ცნობდა საქართველოს მეფეთა მემკვიდრეობით უფლებებს ტაო-კლარჯეთში[4]. მაგრამ ამავე დროს ფაქტია ისიც, რომ ბაგრატ-ლიპარიტის ურთიერთობაში ბიზანტიის იმპერია ყოველმხრივ მეფის წინააღმდეგ მებრძოლ ლიპარიტს უჭერდა მხარს. ალბათ სწორედ იმიტომ, რომ კურაპალატობა ამ პატივის მატარებელს რეალურად არაფერს აკისრებდა მისი მბოძებლის წინაშე. და იმპერატორები, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, კურაპალატებს კი არ უჭერდნენ მხარს, არამედ იმ ქვეშევრდომებს, რომელნიც ამ კურაპალატების დასუსტებაში ეხმარებოდნენ იმპერიას. უაღრესად ნიშანდობლივია აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ შენიშნული და სათანადოდ შეფასებული ის გარემოება, რომ ოფიციალურ მიწერ-მოწერასა და საისტორიო თხზულებებში ბიზანტიელები XI ს. გაერთიანებული საქართველოს მეფეებს „მეფის" ტიტულით არ იხსენიებდნენ და მათ „მთავარზე" („არხონ") მაღლა არ აყენებდნენ. ესეც ერთ-ერთი მანიშნებელი ფაქტია იმპერიის კურსისა საქართველოს მიმართ. ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ერთი სომხური წყარო კურაპალატის ტიტულით იხსენიებს ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ მებრძოლ ლიპარიტ ბაღვაშს[5]. უნდა შევნიშნოთ, რომ არც ერთი ქართული წყარო და არც ბერძენი ისტორიკოსი კედრენე ლიპარიტის კურაპალატობას არ ახსენებენ. წყაროები მას იხსე-

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 109.

[2] ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულების და, კერძოდ, კურაპალატის შესახებ იხ. Н. С к а б а л а н о в и ч, Византийское государство и церковь в XI в., Пет., 1884; I. B u r y, The imperial administrative system in the ninth century, London, 1911; Cyril T o u m a n o f f, Studies in Christian Coucasian, history, Georgtawn University Press, 1963.

[3] მ ა ტ ი ა ნ ე, გვ. 294.

[4] Очерки истории СССР, III, с. 558.

[5] Н. С к а б а л а н о в и ч, Византийское государство и церковь, с. 152; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი წყაროზე მიუთითებლად წერს: „1048 წელს აფხაზთა მეფის ერისთავი ლიპარიტი ბიზანტიის საკარისკაცო პატივს ატარებს.— „მაგისტროსი", საქართველოს ისტორიის საკითხები, VII გვ. 25.

ნიებენ როგორც ერისთავთერისთავს, მთავარს. კედრენე, როგორც წესი, ლიპარიტს მთავარს (არხონს) უწოდებს. ასე რომ, სომეხი ისტორიკოსის ეს ცნობა თავისთავად საეჭვო შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ უაღრესად ნიშანდობლივია, რადგან XII საუკუნის დასაწყისის სომეხი ისტორიკოსი შესაძლებლად თვლის ლიპარიტს კურაპალატი უწოდოს. ეს შეცდომა ისტორიკოსისა (თუ ის ნამდვილად შეცდომაა) კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ლიპარიტის მდგომარეობას ბიზანტიასთან ურთიერთობის თვალსაზრისით და იმ რეზონანსს, რომელიც ამ ურთიერთობას თანამედროვე საზოგადოებაში ჰქონდა.

XI საუკუნის 60-იან წლებამდე ბიზანტიის აგრესია საქართველოს მიმართ ორი ძირითადი მიმართულებით ხორციელდებოდა. ერთი მხრივ, ბიზანტია ცდილობდა საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევას, რისთვისაც მას იმპერიის მორჩილი და მისი ნება-სურვილის ამსრულებელი მეფე ესაჭიროებოდა ტახტზე. ამ მიზნის მისაღწევად ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლება მხარს უჭერდა მეფის წინააღმდეგ მებრძოლ დიდგვარიან ფეოდალებს და თავის კარზე თავშესაფარს აძლევდა ბაგრატიონთა გვარის უფლისწულებს, რომელთაც შემდეგ, როგორც ტახტის მაძიებლებს, უპირისპირებდა კანონიერ მეფეებს. ამ ღონისძიებებისათვის იმპერია მიმართავდა დაპირება-ქრთამის ყოველგვარ საშუალებას. მეორე მხრივ, ბიზანტიის იმპერია იპყრობდა საკუთრივ ქართულ მიწა-წყალს.

ამგვარად, XI ს. მანძილზე ბიზანტიის იმპერიის აგრესია საქართველოს მიმართ ორ მთავარ მიზანს ისახავდა: 1. ქართული მიწა-წყლის დაკავებას; 2. სამეფოს საშინაო საქმეებში ჩარევას.

ყველაზე მნიშვნელოვანი ტერიტორია, რომელიც XI ს. დასაწყისში ბიზანტიის იმპერიამ საქართველოს ჩამოაჭრა, იყო იმიერტაო (სამხრეთი ტაო), ე. ი. დავით კურაპალატის სამემკვიდრეო. ამ სამფლობელოზე იურიდიულად ბაგრატ III-ს უფლება აღარ ჰქონდა, რადგან დავით კურაპალატმა არა მარტო თვითონ მისცა პირობა ბასილს, რომ სიკვდილის შემდეგ თავის სამფლობელოს მას უანდერძებდა, არამედ ბასილთან გაგზავნა თავისი აზნაურები, რომელთაც მას ფიცით პირობა მისცეს, რომ დავითის გარდაცვალების შემდეგ თავის ციხეებს ბასილს გადასცემდნენ[1]. არაბი ისტორიკოსი იაჰია ანტიოქიელის ამ ცნობის სისწორეს მთლიანად ადასტურებს ქართველი ისტორიკოსის ცნობა იმის შესახებ, რომ დავითის გარდაცვალების შემდეგ „გამოვიდა ბასილი ბერძენთა მეფე, და მისცნეს მას ციხენი აზნაურთა ამა დავითისთა, და დაიპყრა ბასილი მეფემან მამული დავით კურაპალატისა"[2]. სრულიად აშკარაა, რომ დავითის აზნაურებმა მიცემული პირობის საფუძველზე გადასცეს ციხეები ბასილს, რომელმაც

[1] В. Р. Розен, Император Василий Болгаробойца, Пет., 1883, с. 27.

[2] სუმბატი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 382.

სამხრეთ ტაოსაგან შექმნა იბერიის თემი — საკატაბანო და იქ მმართველად ბერძენი მოხელე კატაბანი დანიშნა[1].

სამხრეთ ტაოს ბიზანტიის ხელში გადასვლით საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ზღუდე მოერღვა. ამ ტერიტორიას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ბიზანტიისათვის, რომელიც აქედან ავრცელებდა თავის ექსპანსიას საქართველოსა და სომხეთზე, ისე საქართველოსა და სომხეთისთვისაც. ამიტომ იყო, რომ როდესაც საქართველოს სახელმწიფო ცდილობდა თავისი ტერიტორიის დაბრუნებას, მას ამ საქმეში სომხური სამეფო-სამთავროები უჭერდნენ მხარს, ხოლო ბიზანტიის იმპერია, თავის მხრივ, ენერგიულად იმაგრებდა პოზიციებს ამ რაიონში.

იმიერტაოს დაკარგვა მძიმე მარცხი იყო საქართველოს სახელმწიფოსათვის და ამიტომ გასაგებია, რომ გაერთიანება-გაძლიერების გზაზე მდგარი ქვეყანა ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში ეცდებოდა ამ მარცხის გამოსწორებას. ამისთვის ხელსაყრელ მომენტად გიორგი I-მა ჩათვალა ბასილ II-ის ბულგარელებთან ომი და 1014 — 1016 წწ. შეიჭრა სამხრეთ ტაოში „და დაიკავა ის სიმაგრეები და მხარეები, რომელნიც მისმა ბიძამ, დავით კურაპალატმა, დაუთმო მეფე ბასილს"[2]. ბულგარელებთან ომიდან ძლევამოსილებით დაბრუნებულმა ბასილმა გიორგის დაკავებული ტერიტორიის დაცლა მოსთხოვა. გიორგიმ იმპერატორის მოთხოვნაზე უარი განაცხადა, რასაც მოჰყვა ბიზანტია-საქართველოს ომი 1021 — 1022 წწ.

---

[1] იხ. В. Р. Розен, დასახ. ნაშრ., გვ. 41.

როგორც ცნობილია, ქართულ ისტორიოგრაფიაში არ არის აზრთა ერთიანობა იმ საკითხზე, თუ სახელდობრ რისი პირობა მისცა დავით კურაპალატმა იმპერატორ ბასილს, რას გადასცემდა ანდერძით თავისი სიკვდილის შემდეგ ბიზანტიას — მთელ თავის სამეფოს, თუ ბარდა სკლიაროსის აჯანყებაში დახმარებისათვის მიღებულ მიწებს. წყაროები, სამწუხაროდ, არ იძლევა შესაძლებლობას ზუსტად გაირკვეს ეს სადავო საკითხი. დავით კურაპალატის მემკვიდრეობისაგან შექმნილი იბერიის საკატაბანო ჩორმაირის, არცნის, კარინის, ხალტო-არიჭის, ბასიანის თემებს მოიცავდა. ნიშანდობლივია ისიც, რომ ნიკიფორე ფოკას ბასილ იმპერატორის წინააღმდეგ აჯანყების დროს, რომელშიც ქართველი ფეოდალებიც (მათ შორის ფერის ჯოჯიკის ძე) მონაწილეობდნენ, აჯანყებულნი კავშირს კრავენ მეფე გიორგი I-თან და „აღუთქვეს მას იმ ადგილამდე (მთელი ტერიტორიის) მიცემა, ვინაიდან ჯერ კიდევ წინათ ეს (ადგილები) დავით კურაპალატს ეპყრა, მაგრამ არა როგორც თავისი მშობლიური მემკვიდრეობა, არამედ მას იგი ძღვნად ჰქონდა მიღებული ერთგული მორჩილებისათვის. (დავითმა) აღთქმა დადო, რომ თავისი სიკვდილის შემდეგ ეს გავარი გადაეცემოდა მეფეს. მათ კი ეს ვეღარ მოისაზრეს, არამედ გულუხვნი იყვნენ იმ ძღვენით, რომელიც არ იყო მათი" (არისტაკეს ლასტივერტეცი, დასახ. ნაშრ., გვ. 50). ამ ცნობიდან თითქოს ისე ჩანს, რომ ე. წ. დავით კურაპალატის მემკვიდრეობა, ბიზანტია-საქართველოს შორის სადავო მიწა-წყალი, მოიცავდა დავითის მიერ ბარდა სკლიაროსის აჯანყებისას იმპერატორ ბასილისათვის გაწეული დახმარების გამო მიცემულ საზღაურს და არა დავით III-ის მთელ სამფლობელოს.

[2] იაჰია ანტიოქიელი, იხ. В. Р. Розен, დასახ. ნაშრ., გვ. 51; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 132, ვ. კოპალიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 90.

წყაროები ერთნაირად არ გადმოგვცემენ ბიზანტია-საქართველოს შორის ამ ომის დაწყებას და მიმდინარეობას. მაგრამ ქართული (მატიანე ქართლისაჲ), სომხური (არისტაკეს ლასტივერტეცი), არაბული (იაჰია ანტიოქიელი) და ბიზანტიური (კედრენე-სკილიცა) წყაროების მონაცემები ამ მძიმე და სისხლისმღვრელი ომის მთელი მსვლელობის წარმოდგენის შესაძლებლობას იძლევიან.

როგორც ჩანს, ბიზანტია-საქართველოს შორის XI ს. დასაწყისში დადებული ხელშეკრულება, დავით კურაპალატის მემკვიდრეობას რომ ეხებოდა, გიორგი I-მა დაარღვია, იმ იმედით, რომ იმპერატორი ბასილ II ბულგარელებთან ხანგრძლივ და მომქანცველ ომში იყო ჩაბმული, გიორგი I-მა იმიერტაოს ციხეები დაიჭირა[1]. ამ ამბების თარიღად ივ. ჯავახიშვილს 1014—1016 წწ. მიაჩნია, როდესაც მისი ვარაუდით, ბულგარელებთან ომში ჩაბმულ ბასილს აღმოსავლეთის საქმეებისათვის არ ეცალა[2].

გიორგი I-მა კარგად იცოდა, თუ რაოდენ ძნელი იყო ბრძოლა ბიზანტიის იმპერატორ ბასილ II-ის წინააღმდეგ და ამიტომ ის საომრად დიდი მონდომებით ემზადებოდა. მან საგანგებო ელჩების მეოხებით თხოვნით

---

[1] იაჰია ანტიოქიელი, В. Р. Розен, დასახ. ნაშრ., გვ. 7; კედრენე, გეორგიკა, V, გვ. 46.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 133—134; უკანასკნელ ხანს (იხ. ო. ცქიტიშვილი, მასალები · საქართველოს საგარეო პოლიტიკის..., გვ. 118 — 119) ეს თარიღი ეჭვის ქვეშ იქნა დაყენებული და გამოითქვა ვარაუდი, რომ გიორგი I-ის მიერ ტაოს ციხეების დაკავების თარიღად 1014 — 1016 წლების ნაცვლად 1014 — 1018 წლები იქნას მიჩნეული. და ეს იმიტომ, რომ თავისი ბრძოლა ბულგარეთში ბასილ II-მ სწორედ 1018 წ. დაასრულა წარმატებით. ვფიქრობთ, უფრო აზრიანი იქნებოდა გიორგი I-ს ტაოს ციხეები დაეჭირა მანამ, სანამ ბასილ II იბრძოდა ბულგარეთში და საქართველოსათვის არ ეცალა, ე. ი. 1018 წლამდე და არა ბულგარეთის ომის წარმატებით დასრულების შემდეგ, როდესაც მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, რომ ბასილი გიორგის ამ აქტს უპასუხოდ არ დატოვებდა. რაც შეეხება ო. ცქიტიშვილის ეჭვს იმის შესახებ, რომ გიორგის ჯერ კახეთ-ჰერეთის შემოერთებაზე უნდა ეზრუნა და მერე ეფიქრა ტაოზე (იქვე, გვ. 118 — 119), შეიძლება შევნიშნოთ, რომ ამჯერად ტაოს პრობლემა კახეთ-ჰერეთზე ნაკლებმნიშვნელოვანი არ იყო და იქნებ უფრო საშურიც საქართველოს ამ სამხრეთ-დასავლეთი ზღუდის გასამაგრებლად, რადგან ბიზანტიის იმპერია ძლიერ უტევდა ამ მხარიდან ქართულ-სომხურ პოლიტიკურ ერთეულებს და დიდ წარმატებებსაც აღწევდა ამ ფრონტზე. უშუალო საგარეო საფრთხე აქედან უფრო რეალური და საშიში იყო ამჯერად, ვიდრე აღმოსავლეთიდან. რასაკვირველია, კახეთ-ჰერეთის შემოერთება ფრიად სასურველი იქნებოდა საქართველოსათვის, მაგრამ აქედან საქართველოს დიდი საფრთხე ჯერ არ ემუქრებოდა (განძის საამირო ბიზანტიის შეტოქის როლში ვერ გამოვიდოდა). ამ მიმართულებით საქართველო თვითონ წარმოადგენდა შემტევ ძალას. როგორც ჩანს, გიორგიმ ჯერ ტაოს საკითხის მოგვარება ჩათვალა საჭიროდ და ეტყობა ამ მიზნით მშვიდობიანი ურთიერთობაც დაამყარა კახეთისა და ჰერეთის მმართველებთან, რადგან ბიზანტიასთან წარმოებული ომის დროს ეს პოლიტიკური ერთეულები გიორგის მოკავშირეებად გამოდიოდნენ (იხ. მატიანე, გვ. 285; სუმბატი, გვ. 383).

მიმართა ბიზანტიასთან მტრულ დამოკიდებულებაში მყოფ ეგვიპტის სულთან ალ-ჰაქიმს, რომელსაც ერთობლივი საომარი ოპერაციების დაწყება შესთავაზა[1]. მართალია, არ არის ცნობილი, თუ როგორ მიიღეს ქაიროში საქართველოს მეფის ეს წინადადება, მაგრამ სწორედ იმპერატორ ბასილის აღმოსავლეთში გამოლაშქრების წინ ეგვიპტის სულთანი უგზოუკვლოდ დაიკარგა[2]. ბიზანტიის წინააღმდეგ გამართულ ომში გიორგის მოკავშირეები იყვნენ კახეთ-ჰერეთი, მეზობელი სომეხი მეფეები — ანისის მეფე იოანე-სუმბატი, ანისის სამეფოს ვასალი ვანანდის სამეფო და ვასპურაკანის მეფე სენექერემი[3].

ბიზანტიის იმპერატორმა ბასილ II-მ გიორგი I-ს დაკავებული მიწაწყლის დაცლა მოსთხოვა და რადგან გიორგისაგან უარი მიიღო, 1021 წ. ურიცხვი ლაშქრით საქართველოში შემოიჭრა. „გიორგი მეფე განვიდა სპითა დიდითა წინააღდგომად მისსა"[4]. მოწინააღმდეგენი ბასიანს დაბანაკდნენ, მაგრამ გიორგიმ, ჩანს, ბრძოლისათვის თავის არიდება არჩია, გადაწვა ქ. ოლთისი და კოლას მოვიდა[5]. ბასილი კვალდაკვალ გამოჰყვა მას და სოფ. შირიმთან ბასილის წინამავალნი (ე. ი. ავანგარდი) და გიორგის უკანმავალნი (ე. ი. არიერგარდი) დაუპირისპირდნენ ერთმანეთს[6]. ამ ბრძოლაში დაიღუპნენ ქართველი „ერისთავნი და დიდებულნი: რატი ძე ლიპარიტისი, და ხურსი"[7]. საბოლოოდ ქართველები დამარცხდნენ და დაიხიეს უკან. ბასილი ფეხდაფეხ მოსდევდა გიორგის და გზაზე ყველაფერს ანადგურებდა. ბიზანტიელებმა „ტყუე ყვეს და მოაოჯრეს არტანი..." იმპერატორმა „ასწყვდა ქუეყანა ჯავახეთისა და გარდავიდა თრიალეთს... თრიალეთით, უკუმოიარა ჯავახეთი და არტანი. და კუალად უბოროტესადრე შურის-გებით მოაოხრნა ქვეყანანი იგი". ზამთარი დადგა, ბასილი

---

[1] Очерки истории СССР, т. III, с. 559; ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან, კრებ. „XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები", თბ., 1968, გვ. 64 — 68; ო. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის გიორგი I-ის მეფობის ხანაში, „მაცნე", № 4, 1968, გვ. 119.

[2] იქნებ მართებულია ეჭვი, რომ ალ-ჰაქიმის საიდუმლო გაქრობა მის ანტიბიზანტიურ პოლიტიკასთანაა დაკავშირებული (ო. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, მასალები საქართველოს საგარეო... გვ. 121).

[3] В. Р. Розен, დასახ. ნაშრ., გვ. 373; ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 104 — 106; ო. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის... გვ. 121—122.

[4] მ ა ტ ი ა ნ ე, გვ. 284.

[5] ი ქ ვ ე.

[6] ი ქ ვ ე, გვ. 285; შირიმთან მომხდარი ბრძოლის შესახებ განსხვავებულ თვალსაზრისს გვთავაზობს ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, იხ. „შირიმნის" — „შირიმთას" ბრძოლისა და ადგილმდებარეობის შესახებ, „მნათობი", № 7, 1972, გვ. 176 — 182.

[7] მ ა ტ ი ა ნ ე, გვ. 294; არისტაკეს ლასტივერტელი, გვ. 46.

სამხრეთით წავიდა და ტრაპიზონთან დაბანაკდა[1]. დაიწყო საზავო მოლაპარაკება. გიორგი I მოლაპარაკებას აჭიანურებდა, რომ ხელსაყრელ მომენტში დაეწყო შეტევა. ამ დროს ბასილმა მიიღო ცნობა, რომ მის წინააღმდეგ ბიზანტიაში აჯანყება მოაწყვეს ქსიფემ და ფოკამ.

არსებობს ვარაუდი, რომ ბასილი იმპერატორის წინააღმდეგ მოწყობილ ამ აჯანყებაში, რომელშიც ქართველი აზნაურებიც მონაწილეობდნენ, გიორგი მეფის ხელიც ერია, ყოველ შემთხვევაში, ბიზანტიელი ისტორიკოსი არცთუ ისე ორაზროვნად აცხადებს: „ხმები დადიოდა, ქსიფიას კაცები ამის (ე. ი. თავისი აჯანყების) შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებენ აბაზგიის მთავართანო"[2] (ე. ი. გიორგი მეფესთან). აჯანყებით ისარგებლა გიორგი I-მა და ისევ დაიწყო საომარი სამზადისი. მაგრამ იმპერატორმა სძლია აჯანყებულებს და ფოკას მოკვეთილი თავი გიორგის გამოუგზავნა, რითაც აშკარად აგრძნობინა, რომ მის ზრახვებს მიხვედრილი იყო. გიორგის მოლაპარაკებით დროის მოგების ტაქტიკამ არ გაუმართლა, ბასილმა დაასწრო და ქართველები დამარცხდნენ: „კუალად მეოტ იქმნნეს სპანი ქართველნი, და წარმოვიდეს მეოტად, მოისრნეს ურიცხუნი პირითა მახვილთა; და რომელნიმე ტყუე იქმნნეს და წარიღეს ავარი დიდძალი და განძი სამეფო რომელი ჰქონდა თანა"[3].

1023 წ. ბიზანტიასთან დადებული ზავი საკმაოდ მძიმე პირობებს ითვალისწინებდა საქართველოსთვის. გიორგისადმი უნდობლად განწყობილმა იმპერატორმა მას მძევლად უფლისწული მოსთხოვა, ამასთანავე ბიზანტიამ დაიკავა ყველა ის ციხე, რაც მანამდე პირობით თუ ძალით ჰქონდა დაპერილი. ქართველი ისტორიკოსის სიტყვით, იმპერატორს „მისცა გიორგი მეფემან მძევლად ძე თჳსი ბაგრატ წელიწდისა სამისა და ციხენი რომელი პირველი გაეცნეს აზნაურთა დაუცალნა და მისცნა; სხუანიცა ციხენი პირველ მიცემულნი და უკანის თოთხმეტი; და ქუეყანა, რომელი ჰქონდა დავით კურაპალატსა ტაოსთა, ბასიანს, კოლა-არტანსა და ჯავახეთს"[4]. იმავე მემატიანის ცნობით, „ხოლო რომელნიმე ამა ქუეყანათაგან ეკლესიანი, სოფელნი და ადგილნი დაულოცა გიორგი მეფესა"[5]. სამწუხაროდ, წყაროებიდან არ ჩანს, თუ სახელდობრ რომელ სოფლებსა და ეკლესიებს ეხება ისტორიკოსის ეს ცნობა.

იმიერტაოში განმტკიცების შემდეგ ბასილ კეისარს აღარ უცდია სა-

---

[1] მ ა ტ ი ა ნ ე, გვ. 285.

[2] გ ი ო რ გ ი კ ე დ რ ე ნ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 47.

[3] მ ა ტ ი ა ნ ე, გვ. 287 — 288.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 288.

[5] ი ქ ვ ე. ბიზანტია-საქართველოს ამ ომის მიმდინარეობის შესახებ ვრცელი ლიტერატურა არსებობს. ბოლო ხანებში გამოსულ ნაშრომთაგან ყველაზე სრულია ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი ს მითითებული წიგნი, სადაც საკითხის ისტორიოგრაფიაც არის წარმოდგენილი.

ქართველოს შუაგულში შეჭრა და პირობისამებრ 2 წლის შემდეგ უფლისწულიც გამოისტუმრა საქართველოში. სწორედ იმ დროს (1025 წ. 15. XII) გარდაიცვალა ბასილ II და მისმა ძმამ, ახალმა იმპერატორმა კონსტანტინე VIII-მ (1025 — 1028) გააქტიურა თავისი პოლიტიკა საქართველოს მიმართ. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ამ დროს გამომჟღავნდა იმპერატორის წინააღმდეგ შეთქმულება, რომელსაც ბასილ II-ის მიერ დაპყრობილი ვასპურაკანის ყოფილი სამეფოს მმართველი ნიკიფორე კომნენოსი მეთაურობდა და რომელთანაც დაკავშირებული იყო გიორგი I[1]. შეთქმულების გამომჟღავნებას მოჰყვა კონსტანტინეს მიერ ბაგრატ უფლისწულის უკან დაბრუნების ცდა, რაც მარცხით დამთავრდა[2]. ასეთ რთულ ვითარებაში მოუხდა გამეფება ბაგრატ IV-ს. გამეფებისთანავე მას უღალატეს ტაოელმა დიდაზნაურებმა და ბიზანტიის მხარეზე გადავიდნენ[3].

1028 წელს კონსტანტინე VIII-მ საქართველოს წინააღმდეგ ბიზანტიის ჯარი გამოგზავნა. მტრის ჯარმა „მოვლო და მოაოჯრა ქუეყანანი იგი, რომელნი პირველ მოეოჯრნეს ქუეყანანი ბასილი მეფესცა და უმეტესცა"[4]. ნიშანდობლივია მემატიანის ცნობა, რომ საჭირო ხდება იმავე ქვეყნის განადგურება, რომელიც ბასილს მოუოხრებია თავის დროზე, ე. ი. აწიოკებული ქვეყანა მაინც ურჩობდა და ბიზანტიის მომხრე აზნაურებს იმპერიაში გადახვეწას აიძულებდა, ხოლო იმპერატორისაგან ახალი დამსჯელი ექსპედიციების გამოგზავნას მოითხოვდა. კონსტანტინე კეისრის მიერ ტაოში ლაშქრის გამოგზავნის შესახებ საყურადღებო ცნობა მოეპოვება არაბ მემატიანეს იაჰია ანტიოქიელს, რომელიც გვაუწყებს, რომ ბაგრატ IV-ის გამეფების ჟამს მისთვის ურჩევიათ: ხელსაყრელი იქნებოდა მას ბიზანტიის კეისრისათვის „იმ ციხეების დაბრუნება მოეთხოვა, რომლებიც მისმა მამამ ბასილი მეფეს დაუთმო, და დაეკავებინა ისინი"[5]. ქართული წყაროებიდან არ ჩანს, თუ რატომ დაარღვია კონსტანტინე კეისარმა გიორგი I-სა და ბასილს შორის დადებული შეთანხმება. ამ ცნობით თითქოს ფარდა ეხდება ამ საიდუმლოებას, რადგან გასაკვირი არაფერია იმაში, რომ ქართველ მოღვაწეებს ბიზანტიის მიერ მიტაცებული ტაოს დაბრუნების სურვილი ჰქონოდათ.

ბიზანტიელთა ექსპანსიის შემდგომი პუნქტი თრიალეთი იყო და ბიზანტიის ლაშქარი კლდეკარის ციხეს შემოადგა. ლიპარიტ ერისთავმა თავის მომხრეთა თანადგომით შეძლო კლდეკარის დაცვა და ბიზანტიელთა ჯარი

---

[1] არისტაკესი... გვ. 54.
[2] მატიანე... გვ. 292.
[3] იქვე, გვ. 291.
[4] სუმბატი, გვ. 385.
[5] იაჰია ანტიოქიელი, გვ. 70.

უკან გაბრუნდა[1]. მართალია, კლდეკარი ბიზანტიელებმა ვერ დაიკავეს, მაგრამ სამაგიეროდ ჩანჩახი ფალელმა და არჯევან ჰოლოლისძემან გარულობის და წეფთის ციხეები გადასცეს ბერძნებს, თვითონ კი ბიზანტიაში წავიდნენ[2].

ტაოში გამაგრებული ბიზანტია კლარჯეთსა და შავშეთს უტევდა. თუ შავშეთის აზნაურთა ნაწილმა მტრის მხარე დაიკავა, მეორე ნაწილმა ბაგრატ IV-ს უერთგულა. სუმბატ დავითის ძის ცნობით, „აღაშენა სიმაგრე საბა მტბევარ ეპისკოპოსმან, მახლობლად ტბეთის ეკლესიასა და სახელ-ადვა მას სუეტი, და შეკრიბა მაშინ მან ერი თჳსი და შევიდეს მას შინა თჳთ საბა მტბევარ ეპისკოპოსი, და ეზრა ანჩელ ეპისკოპოსი, და შავშეთის აზნაურნი, და განძლიერდა მას შინა“[3]. დიდად უერთგულა აგრეთვე მეფეს იოვანე ერისთავმა, არტანუჯის მფლობელმა[4].

ბიზანტიელებმა მარცხი განიცადეს, რადგან „ვერ წარუღეს ქუეყანა მტერთა“, წერს მემატიანე[5], და სხვა საშუალებებს მიმართეს. პირველ რიგში ნაცადი ხერხი ამოქმედდა: ბერძნები ქრთამითა და დაპირებებით იბირებდნენ ხალხს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისაგან შეევიწროებული დიდი აზნაურობა ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლებაში თავისი შელახული უფლებების დამცველს ხედავდა[6]. ამასთანავე, ბიზანტიის ხელისუფლებამ ბაგრატ IV-ს დაუპირისპირა დემეტრე ბაგრატიონი, იმ გურგენ ბაგრატიონის შვილი, რომელიც ბაგრატ III-მ ფანასკერტის ციხეში სადარბაზოდ მიწვეული შეიპყრო და ციხეში გარდაიცვალა[7]. დემეტრეს გამოყვანა ბიზანტიის პრეტენზიებს კანონიერების იერს აძლევდა და კლარჯი ბაგრატიონების ქვეშევრდომების გრძნობებზე მოქმედებდა. ამ ხერხმა მოსყიდვა-მოქრთამვასთან ერთად მოსახლეობის გარკვეულ ნაწილზე იმოქმედა და როგორც ქართველი მემატიანეები აღნიშნავენ, „მიიქცეს ერნი, სოფელნი უგუნურ-უსუსურნი ცნობითა და გონებითა“[8], „ამით მიზეზითა მოიქცეს მრავალნი კაცნი მის ქუეყანისანი წურილისა ერისაგან“[9]. სუმბატ დავითის ძეს შესანიშ-

---

[1] მ ა ტ ი ა ნ ე, გვ. 292.

[2] ი ქ ვ ე, ს უ მ ბ ა ტ ი, გვ. 385, ეს ციხეები შავშეთ-კლარჯეთშია; იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 60.

[3] ს უ მ ბ ა ტ ი, გვ. 386.

[4] მ ა ტ ი ა ნ ე, გვ. 293.

[5] ი ქ ვ ე, გვ. 292.

[6] იმდროინდელი საქართველოს სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენელთა ბიზანტიის იმპერიის მხარეზე გადასელის მოტივების შესახებ იხ. ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 136 — 164.

[7] ს უ მ ბ ა ტ ი, გვ. 382.

[8] ი ქ ვ ე, 386.

[9] მ ა ტ ი ა ნ ე, გვ. 292.

ნავად ესმის ბიზანტიელთა ამ ხერხის მიზანი და წერს კიდეც, რომ „რეცა შესატყუენებლად ქუეყანისა მკჳდართა“[1] მიმართეს ბერძნებმა ამ ხერხს. ბრძოლა ბიზანტიელებთან გაძნელდა, მაგრამ ამჯერად კონსტანტინე კეისრის გარდაცვალებამ გადაწყვიტა ბრძოლის ბედი. „და ვითარ დიდად იღელვებოდა ქუეყანა ესე, — წერს ქართველი მემატიანე, — კუალადცა პატივ-სცა ღმერთმან ბაგრატს, აფხაზთა და ქართველთა მეფესა. ეწია სენი სასიკუდინე კონსტანტინე მეფესა, მოუწერა პარკიმანოზს პროედოსსა უკმო შეღმართ. ხოლო იგი წარემართა მსწრაფლ და ვიდრე მოვიდოდა, მიიცვალა კონსტანტინე მეფე“[2].

კონსტანტინეს შემდეგ გამეფებულმა რომანოზ კეისარმა (1028 — 1034), როგორც ცნობილია, თავისი მთავარი ყურადღება ედესისა და სიცილიისაკენ მიმართა[3], რამაც დროებით შეამსუბუქა საქართველოს მდგომარეობა.

XI ს. 30-იანი წლების დასაწყისში საქართველოს სახელმწიფოს მდგომარეობა მეტად რთული და მძიმე იყო. გადაუდებელ ამოცანად იდგა ქართული მიწების შემოერთების (კახეთ-ჰერეთის, თბილისის საამიროს) და დიდგვარიან ფეოდალთა თვითნებობის ალაგმვა. ასეთ ვითარებაში აუცილებელი იყო ბიზანტიის იმპერიასთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება და დროებით ხელის აღება პრეტენზიებზე იმიერტაოს მიმართ. ჩანს, საქართველოს სახელმწიფო კარმა თბილისისა და კახეთ-ჰერეთის საკითხი უფრო საშურ საქმედ მიიჩნია, ვიდრე სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ქართული მიწების შემოერთების საკითხი, რომელიც ბიზანტიასთან ომს იწვევდა, ამის ძალა კი ამჯერად საქართველოს არ შესწევდა. ამიტომ გადაწყდა ბიზანტიასთან მორიგება და ხელების გახსნა სხვა მიმართულებით. ამ მიზნით 1031 წ. ბაგრატ მეფემ ბიზანტიაში დიდი ელჩობა გაგზავნა, რომელსაც მისი დედა მარიამ დედოფალი ედგა სათავეში. ამ ამბების თანამედროვე ქართველი ისტორიკოსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მარიამის ელჩობას. სუმბატ დავითის ძე წერს: „დედოფალმან მარიამ, დედამან ბაგრატ მეფისამან, შეიმოსა სიმჴნე და ახოვნება, რამეთუ ნაშობი იყო ბრწყინვალეთა მათ ძლიერთა და დიდთა მეფეთა არშაკუნიანთა და წარვიდა კონსტანტინეპოლედ წინაშე რომანოზ მეფისა, ვედრებად მისა, რათა მშჳდობა ყოს აღმოსავლეთს და რათა არღარა იყოს ბრძოლა ბერძენთა და ქართველთა, და გლახაკნი დაწყნარებულ და მყუდრო იყვნენ, და რათა მიუთხრეს პატივი ძესა თჳსსა ბაგრატს მეფესა წესისაებრ სახელისა“[4].

სრულიად აშკარაა, რომ ბიზანტიასთან ომი ამ ეტაპზე შეუძლებლად

---

[1] სუმბატი, გვ. 386.
[2] მატიანე, გვ. 293.
[3] М. В. Левченко, История Византии, М., 1940, с. 172.
[4] სუმბატი, გვ. 386.

მიიჩნია სახელმწიფო კარმა. სამხრეთ ტაოზე საბოლოოდ საქართველო, რასაკვირველია, ხელს ვერ აიღებდა, მაგრამ ჯერჯერობით სხვა გამოსავალი არ ჩანდა. საჭირო იყო პოზიციების გამაგრება სულ სხვა მხრივ, ქვეყნის საერთო მდგომარეობის განმტკიცება და სამხრეთ ტაოს საკითხი ალბათ მხოლოდ ამის შემდეგ დადგებოდა.

ამგვარად, 1031 წ. მარიამ დედოფალი გაემგზავრა კონსტანტინოპოლს მშვიდობისა და ერთობის ჩამოსაგდებად, თავისი ვაჟისათვის კურაპალატობის პატივის მოსაპოვებლად და ბაგრატისათვის შესაფერისი სადედოფლოს მოსაყვანად[1].

ნიშანდობლივია, რომ არც მატიანეს ავტორი და არც სუმბატი მარიამის ამ ელჩობის წევრებს არ ასახელებენ. უდავოა, რომ დედოფალს მისი პატივისა და შესასრულებელი მისიის შესაფერისი ამალა უნდა ჰყოლოდა. „ქართლის ცხოვრების" თეიმურაზისეული ნუსხა მატიანეს ამ ჩვენებას წინ ურთავს ჩანართს „წარვიდა კათალიკოზ-პატრიარქი მელქისედეკ წინაშე რომანოზ ბერძენთა მეფისა კონსტანტინეპოლედ. შეიწყნარა და მისცა შესამკობელნი ეკლესიათანი, ხატნი და ჯუარნი, სამღვდელთმთავრო და სამღვდელო სამკაული, და წარმოვიდა ქუეყანასა და სამწყოსოსავე თჳსსა"[2]. როგორც ცნობილია, ეს ჩანართი ამოღებულია მელქისედეკ კათალიკოსის „დაწერილიდან"[3]. ჩანს, მცხეთის საბუთის ამ ცნობის საფუძველზე ასკვნის ნ. ბერძენიშვილიც, „ქართლის ცხოვრების" რედაქტორებთან ერთად, რომ მოლაპარაკებას კონსტანტინოპოლში საქართველოს მხრივ ბაგრატ მეფის დედა მარიამ დედოფალი და მცხეთის კათალიკოსი მელქისედეკი აწარმოებდნენ[4].

ბიზანტიის იმპერია ამ დროს იძულებული იყო მიეღო საქართველოს მიერ შემოთავაზებული მშვიდობა, რადგან მას სხვა მხრივაც გართულებული მდგომარეობა ჰქონდა[5]. ბიზანტიისათვის სასურველი უნდა ყოფი-

---

[1] მ ა ტ ი ა ნ ე, გვ. 294.

[2] ი ქ ვ ე.

[3] იხ. მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, თბილისი, 1967.

[4] საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, I, 1958, გვ. 193. მართლაც, როგორც მითითებული საბუთებიდან ჩანს, 1031 წ., იმ დროს, როდესაც მარიამი იყო კონსტანტინოპოლში, იქ იმყოფებოდა მელქისედეკიც. ასე რომ, შესაძლებელია ისიც იყო ამ ელჩობის წევრი, თუმცა არც ნარატიული წყაროები და არც ეს დოკუმენტი მელქისედეკის ამ საქმიანობის შესახებ არას ამბობენ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კედრენეს თანახმად, მარიამი კი არ წავიდა კონსტანტინოპოლს, არამედ მან „მეფესთან (ე. ი. იმპერატორ რომანოზთან) ელჩები გაგზავნა საჩუქრებით და თხოვდა საზავო ხელშეკრულებას და თავისი ვაჟისათვის, ბაგრატისათვის საცოლეს — დასახ. ნაშრ., გვ. 55. ამ ელჩობის შესახებ იხ. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა, V, გვ. 57. ვფიქრობთ, ქართველ მემატიანის ცნობა უფრო სწორი უნდა იყოს.

[5] М. В. Левченко, История Византии, с. 172.

ლიყო ვასალური საქართველო და ამიტომ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა. ბიზანტიის იმპერატორმა მარიამ დედოფალს „აღუსრულა ყოველი სათხოველი სიხარულით: მოსცნა ფიცნი და სიმტკიცენი ერთობისა და სიყუარულისათჳს, დაუწერნა ოქრო-ბეჭედნი, მოსცა პატივი კურაპალატობისა და მოსცა ცოლად ბაგრატისათჳს ელენე დედოფალი“[1]. ქართველი მემატიანის ამ ცნობის რიგ დეტალებს ადასტურებს ბიზანტიელი ისტორიკოსი კედრენე, როდესაც აღნიშნავს, რომ „მეფემ (ე. ი. იმპერატორმა რომანოზ III არგიროსმა — **მ. ლ.**) მისი (დედოფალ მარიამის — **მ. ლ.**) თხოვნა შეიწყნარა, ზავი განუმტკიცა და თავისი ძმისწული ელენე, თავისი ძმის ბასილის ქალიშვილი, აფხაზეთში გაგზავნა სარძლოდ, ხოლო სასიძო ბაგრატი კურაპალატის წოდებაში აღაზევა“[2].

მართალია, ელენე დედოფალი მალე გარდაიცვალა[3] და ნათესაური კავშირი ბიზანტიისა და საქართველოს სამეფო სახლებს შორის გაწყდა, მაგრამ არსებული შეთანხმება ისედაც დაირღვეოდა, რადგან არც ერთი მხარის საბოლოო ინტერესებს არ პასუხობდა.

საქართველო პოლიტიკური აღმავლობის გზაზე იდგა. ის თავის გარშემო ქართული მიწების შემოკრებას ცდილობდა და ამიერკავკასიურ სარბიელზე გამოსასვლელად ემზადებოდა. გაძლიერებული საქართველო, უეჭველია, თვით ბიზანტიის ინტერესებს შელახავდა პირველ რიგში ამიერკავკასიაში და ამიტომ იყო რომ ბიზანტია, მიუხედავად დაზავებისა, საქართველოს წინააღმდეგ მოკავშირეებს ეძებდა ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც. სწორედ ამ დროს შეიქმნა ისეთი ხელსაყრელი ვითარება, რომელმაც ბიზანტიას ხელში ჩაუგდო საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ საზღვარზე მდებარე მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი ანაკოფია.

ანაკოფიის ციხე ბაგრატის ნახევარძმას დემეტრეს ეკუთვნოდა, რომელიც გიორგი I-ს ოსთა მეფის ასულ ალდესთან ჰყავდა. ბაგრატს, გასაგებია, რომ ამ მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტის ხელში ჩაგდება სურდა. მაგრამ, ეტყობა, დემეტრე ვერ ენდობოდა ძმას. დემეტრეს ბაგრატის წინააღმდეგ გამოყენებას და გამეფებას ბაგრატის შინაური მტრებიც ცდილობდნენ, მაგრამ „ვერცა გაამეფეს, თუმცა ვის გულსა ედვა, და ვერცაღა გამოინდვეს ბაგრატ მეფემან და დედამან მისმან“ (მარიამ დედოფალმა — **მ. ლ.**)[4]. ეტყობა, ის დიდი დაინტერესება, რასაც ორივე მხარე (მეფეც და მისი მოწინააღმდეგე აზნაურებიც) იჩენდა დემეტრეს მიმართ,

---

[1] მ ა ტ ი ა ნ ე, გვ. 294.

[2] კ ე დ რ ე ნ ე, გეორგიკა, V, გვ. 55; როგორც სამართლიანად შენიშნავს პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, ელენე იმპერატორ რომანოზ III-ის ძმის ბასილის ქალიშვილია და არა იმპერატორ ბასილ II-ისა, იხ. გეორგიკა, V, გვ. 56 — 57.

[3] მ ა ტ ი ა ნ ე. გვ. 295.

[4] ი ქ ვ ე.

გახდა იმის საბაბი, რომ მას 1032 წ. ანაკოფიის ციხე ბიზანტიისათვის გადაეცა, ხოლო თვითონ ბიზანტიაში წასულიყო: „მიმართა მეფესა, და წარუტანა თან ანაკოფია"[1], რისთვისაც „დემეტრეს მეფემ (ბიზანტიის იმპერატორმა — მ. ლ.) უბოძა მაგისტროსის პატივი"[2].

ანაკოფიის დაკარგვა მძიმე დანაკლისი იყო საქართველოსთვის. როგორც სამართლიანად შენიშნავს ივ. ჯავახიშვილი, „ბერძნებმა ახლა მარტო საქართველოს დასავლეთ-სამხრეთ ნაწილი კი არ ჩაიგდეს ხელში, არამედ ჩრდილოეთითგანაც მოუარეს და საზღვარზე ფეხი ჩადგეს"[3]. "შეიქმნა საქართველო-ბიზანტიის კონფლიქტის კიდევ ერთი საბაბი. მაგრამ ცოტა ხნით ოფიციალური ზავი არ დარღვეულა.

ბაგრატ IV-ის სახელმწიფოებრივი საქმიანობის დღის წესრიგში აქტიურად დადგა თბილისის საკითხი. მართალია, მან თბილისი ვერ შემოიერთა, მაგრამ გარკვეული წარმატებები მოიპოვა. შემდეგ ბაგრატმა კახეთის დაპყრობა განიზრახა. ბაგრატის ასეთი გაძლიერება კი სრულიად არ ეთანხმებოდა არც ბიზანტიის და არც ბაგრატის ძლიერი და უკმაყოფილო ყმის ლიპარიტ ბაღვაშის მიზნებს. სწორედ ამ დროისათვის (XI ს. 40-იანი წლები) შეუთანხმდა ერთმანეთს ეს ორი ძალა გაძლიერების გზაზე დამდგარი საქართველოს მეფის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მართალია, ოფიციალურად ბიზანტია-საქართველოს შორის ოქრობეჭდით შემაგრებული სამშვიდობო ხელშეკრულება იყო დადებული, მაგრამ საქართველოში არავისთვის არ წარმოადგენდა საიდუმლოებას ბიზანტიის ზრახვები. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ბაგრატზე განაწყენებულმა ლიპარიტმა ბიზანტიას მიმართა. ბიზანტიისათვის კი კარგად იყო ცნობილი კლდეკარის საერისთავოს მნიშვნელობა.

კლდეკარის ციხე წარმოადგენდა გასაღებს ბიზანტიისათვის ქართლში შესაჭრელად, მაგრამ ამ ციხის ძალით აღება თითქმის შეუძლებელი იყო. ბიზანტიის ხელისუფლება ბაგრატის გამეფების პირველ წელს კლდეკართან დამარცხებით კარგად მიხვდა ამ ციხისა და მისი მფლობელის მნიშვნელობას ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის საკითხში და ამიტომ იყო, რომ ყოველნაირად შეეცადა მისი მფლობელის გადაბირებას[4]. ხოლო იმ ოპოზიციამ, რომელიც ლიპარიტს ჰყავდა აქ აზნაურთა დაჯგუფების სახით და, რაც მთავარია, მეფისა და ლიპარიტის ინტერესების შეჯახებამ თბილისის საამიროს გამო, როგორც ცნობილია, განაპირობა ბაგრატ-ლიპარიტის კონფლიქტი, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ლიპარიტ-ბი-

---

[1] მ ა ტ ი ა ნ ე, გვ. 294.

[2] კ ე დ რ ე ნ ე, გეორგიკა, V, გვ. 58.

[3] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 138.

[4] ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, ბაგრატ მეოთხის და ლიპარიტ ლიპარიტის ძის ურთიერთობიდან, თსუ შრომები, 45, გვ. 243.

ზანტიის დაახლოებას და სწორედ იმ დროს, 1044 — 1045 წწ.[1], როდესაც ბაგრატი კახეთისათვის იბრძოდა, „გამოიყვანა ლიპარიტ დემეტრე, ძმა ბაგრატისი, საბერძნეთით ბერძენთა მეფისა ლაშქრითა“, „მიერთნეს სხუანიცა ვინმე დიდებულნი და აზნაურნი“[2]. ახლა როდესაც კლდეკარის პატრონი ბიზანტიელების მხარეზე იყო, მათ აღარ გაუჭირდათ ქართლში შემოჭრა, „მოვლეს ზემო ქუეყანა და ჩამოვიდეს ქართლს, მოადგეს ატენს, არე-არე მოწუეს ქართლი“[3].

ბიზანტიელებთან ერთად ლიპარიტის მხარეს კახელებიც იბრძოდნენ, მაგრამ მოწინააღმდეგეებმა ვერ აიღეს ატენის ციხე, „რამეთუ ციხეთა-უფალნი კაცნი მტკიცე იყვნეს ერთგულებასა ზედა ბაგრატისა“[4].

ამის შემდეგ ბაგრატი უფრო გაძლიერდა და აქტიურ პოლიტიკაზე გადავიდა ბიზანტიის მიმართ. როგორც ცნობილია, 1045 წ. ბიზანტიელებმა ანისის უკანასკნელი მეფე გაგიკი კონსტანტინოპოლში გაიტყუეს და ანისის სამეფო გაუქმებულად გამოაცხადეს[5]. მაგრამ სომხეთში ამ აქტმა დიდი მოძრაობა გამოიწვია. სხვადასხვა ორიენტაციის დაჯგუფებანი ერთმანეთს ებრძოდნენ. ჩანს, ამ ბრძოლაში საქართველოს ხელიც ერია და ბოლოს ანისის დიდებულებმა ეს ქალაქი საქართველოს მეფეს გადასცეს, რაც ბიზანტიის პოლიტიკის დიდი მარცხი იყო ამიერკავკასიაში.

ამის შემდეგ ბაგრატმა ანაკოფიის და ხუფათის ციხის წართმევა განიზრახა ბიზანტიელებისათვის[6], რათა ქართული მიწა-წყლის შავი ზღვის სამხრეთ და ჩრდილო სანაპიროებზე მოწინააღმდეგისათვის მოეშალა დასაყრდენი პუნქტები. ამავე დროს ბაგრატმა თბილისისათვის ბრძოლაშიც დიდ წარმატებებს მიაღწია. ბაგრატის ასეთი გაძლიერება ბიზანტიისა და ლიპარიტისათვის მოსათმენი არ იყო და ისევ გამოიყვანეს ბაგრატის ტახტის მეტოქე დემეტრე. ამ გარემოებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, „განხეთქნა ამის სამეფოსა კაცნი: რომელნიმე წარუდგინა დემეტრეს, და რომელნიმე დარჩეს ბაგრატის ერთგულებასა შინა“[7]. ლიპარიტს მიემხრო ბაგრატის გაძლიერებით შეშინებული კახეთის მეფე. იმპერატორმაც მას

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 141. ვ. კოპალიანი ამ მოვლენას 1042 წლით ათარიღებს — იხ. ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970 — 1070 წლებში, გვ. 188 — 192.

[2] მატიანე, გვ. 298.

[3] იქვე.

[4] იქვე.

[5] Всеобщая история Вардана Великого, пер. Эмина, М., 1861, с. 124.

[6] მატიანე, გვ. 299. მოვლენების ქრონოლოგიის დაზუსტება, იხ. ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა, გვ. 217 — 220.

[7] მატიანე, გვ. 300.

დიდი დამხმარე ძალა გამოუგზავნა. ბაგრატი დამარცხდა და დასავლეთ საქართველოში გადავიდა. იმპერიის ლაშქარი საქართველოში დარჩა[1].

დემეტრეს გარდაცვალების შემდეგ იმპერიას ასეთი ფორმალური საბაბი აღარ ჰქონდა ბაგრატთან საბრძოლველად, მაგრამ ის ბაგრატის დასუსტების მიზნით ბრძოლას თავს არ ანებებდა და თავის ზრახვას უმთავრესად ლიპარიტ ბაღვაშისა და მეფის მოღალატე სხვა ფეოდალების მეშვეობით ახორციელებდა. მაგრამ თურქ-სელჩუკთა შემოტევებმა მდგომარეობა შეცვალა. იმპერიამ თავისი ერთგული ლიპარიტ ბაღვაში სელჩუკთა წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიყენა. 1048 წ., როდესაც ბიზანტიის მოკავშირე ლიპარიტ ბაღვაში თურქ-სელჩუკებს ჩაუვარდა ტყვედ, ბაგრატმა სცადა ბიზანტიასთან ურთიერთობის მოგვარება და თავისი საშინაო მდგომარეობის გამოსწორება. ლიპარიტის დატყვევება ბიზანტიის პოლიტიკის დიდი მარცხი იყო ამიერკავკასიაში, რამაც აიძულა იმპერატორი კონსტანტინე მონომახი ახალი მოკავშირე ეძებნა. ბაგრატსაც ეს უნდოდა. ის ერთგულების დასამტკიცებლად ბიზანტიელებს თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაშიც დაეხმარა. მაგრამ ლიპარიტის მოკავშირეობას სულ სხვა და უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საკეისროსთვის, ვიდრე ბაგრატის მოკავშირეობას. ლიპარიტი მხოლოდ თურქთა წინააღმდეგ არ სურდა გამოეყენა ბიზანტიას; ის პირველ რიგში, საქართველოს შიგნით ესაჭიროებოდა საკეისროს და ამიტომ ცდილობდა იმპერატორი მის გამოხსნას[2]. ბიზანტიის იმპერატორმა 1051 წ. მიაღწია ლიპარიტის განთავისუფლებას, რამაც კვლავ გაართულა ბაგრატის მდგომარეობა.

როგორც ცნობილია, იმ მხარდაჭერის გამო, რომელსაც ბიზანტია ფულით და ჯარით ბაგრატის წინააღმდეგ მებრძოლ აზნაურებს და განსაკუთრებით ლიპარიტს უწევდა, ბაგრატ მეფეს რამდენიმე მნიშვნელოვანი წამოწყება ჩაეშალა. მან ანისიც დაკარგა, ვერც ანაკოფიის და ხუფათის ციხეები აიღო და ვერც თბილისი შემოიერთა. 1051 წ. ლიპარიტი იმპერიის ლაშქრით ისევ შემოვიდა საქართველოში. მან თავისი ძველი მდგომარეობა აღადგინა და გაძლიერდა. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ბაგრატი თვით ეწვია იმპერატორს. ეს უკვე მეორე ელჩობაა კონსტანტინოპოლს ბაგრატის მეფობაში. ამჯერად ბაგრატის ამალაში იმყოფებოდა მარიამ დედოფალიც[3], რომელსაც ბიზანტიაში ელჩობის გამოცდილება ჰქონდა.

ამიერკავკასიაში რთული ვითარება შექმნილიყო. საქართველოს სახელმწიფო განუხრელად ადგა გაერთიანება-აღმავლობის გზას, რაც საგრძნობლად ლახავდა ბიზანტიის ინტერესებს. ფორმალურად ბიზანტიის

---

[1] ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა, გვ. 220—242.

[2] ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 254.

[3] გ ი ო რ გ ი ხ უ ც ე ს მ ო ნ ა ზ ო ნ ი, გიორგი ათონელის ცხოვრება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 141.

ვასალი და კურაპალატი ბაგრატი არა მარტო საკუთარ ქვეყანაში არ ცნობს იმპერიის სუვერენობას, არამედ ფაქტიურად უტევს ბიზანტიას, ცდილობს ხელიდან გამოაცალოს მას საყრდენი პუნქტები (ანაკოფია, ხუფათი) და სომხეთზეც მეტოქეობას უწევს (ანისი).

საქართველო ბიზანტიის მეტოქედ გამოდის ამიერკავკასიაში. ასეთი მდგომარეობა სრულიად მიუღებელია იმპერიისათვის და მას სურს თავიდან მოიშოროს ბაგრატი. საერთოდ მეფობას საქართველოში რომ ვერ მოსპობს, ეს იმპერიის ხელისუფლებას შესანიშნავად ესმის და ისიც იცის. რომ ბაგრატიონთა დინასტიას ვერ წაართმევს მეფობას, ამიტომ არც ცდილობს ამას. მას მხოლოდ სურს ძლიერი და ენერგიული ბაგრატის თავიდან მოშორება და საქართველოს ტახტზე თავისი მორჩილი და მის ხელებში შემყურე ბაგრატიონის გამეფება. ამიტომაა იმპერიის ხელისუფლება თავშესაფარს რომ აძლევს და მფარველობს ბაგრატიონთა სახლის ყველა უკმაყოფილო ელემენტს და ტახტის მაძიებლებად გამოჰყავს ისინი. ასეთ როლში მან ჯერ დემეტრე კლარჯი გამოიყვანა, ხოლო შემდეგ ბაგრატის ნახევარძმა დემეტრე. ცხადია, რომ ბიზანტიის შეწევნით გამეფებული დემეტრე იმპერიის ნება-სურვილის გამტარებელი იქნებოდა. ამავე მიზნისათვის იჩენს ბიზანტია საქართველოში მომხრე აზნაურებს.

XI ს. მანძილზე (ბაგრატ III, ბაგრატ IV) საქართველოს სამეფო კარი მკაცრ ცენტრალისტურ პოლიტიკას აწარმოებს. სამეფო ხელისუფლება იბრძვის თავნება დიდგვარიანი ფეოდალების წინააღმდეგ. რიგ შემთხვევაში აუქმებს მეფის ურჩ მსხვილ საფეოდალო ერთეულებს, მემკვიდრე ფეოდალებს მეფის მოხელეებით ცვლის, რაც საგრძნობლად ამწვავებს მდგომარეობას ქვეყნის შიგნით. ბიზანტიის იმპერიის მრავალრიცხოვანი აგენტები იმპერიის მხარეზე იბირებენ ასეთ აზნაურებს. მოქმედებს ქრთამი, დაპირება. იმ დროს, როდესაც საქართველოში ასეთი ცენტრალისტური პოლიტიკა ტარდება, ბიზანტიაში ფეოდალურ არისტოკრატიას მნიშვნელოვანი უფლებები ეძლევა[1]. ამავე დროს ბიზანტიის მხარეზე გადასული ქართველი ფეოდალები მეტ შეღავათებს ელოდნენ და იღებდნენ კიდეც იმპერიისაგან. ასე რომ, რიგი ქართველი ფეოდალის გადასვლას ბიზანტიის იმპერიის მხარეზე, პირველ რიგში, ის შინაკლასობრივი ბრძოლა განსაზღვრავს, რომელიც განსაკუთრებით დაიძაბა საქართველოში XI ს. ხელისუფლების ცენტრალიზაციასთან დაკავშირებით[2].

ამასთანავე, როგორც სამართლიანადაა აღნიშნული ჩვენს ისტორიოგრაფიაში, ყველა ქართველი ფეოდალი როდი გადადიოდა ბიზანტიის მხარეზე. ფეოდალთა ძლიერი დაჯგუფება სწორედ რომ მეფეს უჭერდა მხარს.

---

[1] М. В. Левченко, История Византии, с. 168—170.

[2] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, 1965, გვ. 23—27.

ბაგრატის გამეფებისას, როდესაც ტაოელი აზნაურები ვაჩე კარიჭის ძე, ბანელი ეპისკოპოსი იოვანე და სხვანი ბიზანტიას მიემხრნენ, საბა მტბევარმა ეპისკოპოსმა და სხვა აზნაურებმა მეფეს უერთგულეს და ქვეყანა გადაარჩინეს[1]. როდესაც ბიზანტიელებმა ბაგრატის წინააღმდეგ დემეტრე კლარჯი გამოიყვანეს და ბევრი ქართველი გადაიბირეს, ეზრა ანჩელი, იოვანე სუმბატის ძე, არტანუჯის ერისთავი და სხვანი მეფის ერთგულებაზე იდგნენ[2].

იმ დროს, როდესაც ბიზანტიის აგრესიას საქართველოს მიმართ ლიპარიტ ბაღვაში და სხვა ფეოდალები უმაგრებდნენ პოზიციას, ბაგრატ IV ისევ ქართველ ფეოდალთა მხარდაჭერით მოქმედებდა მათ წინააღმდეგ.

ბიზანტიის მხარეზე გადასული დიდი აზნაურები მთელ რიგ შემთხვევებში იძულებული იყვნენ მიეტოვებინათ სამშობლო. მათ მამულს აქ ბიზანტიის მოხელეები იკავებდნენ. მართალია, იქ, იმპერატორის კარზე მათ მაღალ თანამდებობებს და პატივს აძლევდნენ, ყმა-მამულსაც ურიგებდნენ იმპერიის სხვადასხვა კუთხეში, მაგრამ კომპენსაცია, რასაკვირველია, სრულფასოვანი არ იყო. გარკვეულ როლს აზნაურთა ორიენტაციის საკითხში მამულიშვილობის გრძნობაც განსაზღვრავდა.

მეფე ბაგრატი იძულებული შეიქნა ბიზანტიას გამგზავრებულიყო. ქართული წყაროს ცნობით, ბაგრატმა დატოვა მეფედ თავისი მცირეწლოვანი ძე და „წარვიდა საბერძნეთს. მას ჟამსა იყო ბერძენთა მეფე კონსტანტინე, მონომახი და (შემდგომად) მიხაელი“[3]. ქართული წყარო არაფერს ამბობს ბაგრატის გამგზავრების მიზეზების შესახებ. ბიზანტიელი ისტორიკოსის ცნობის თანახმად, „როდესაც ბაგრატი კეისარმა სადარბაზოდ მიიღო, მან კეისარს უსაყვედურა, მე მეფე ვარ და არა მცირედის ქვეყნის — აფხაზეთის — მფლობელი და მაინც ლიპარიტს, ჩემს მეამბოხე ყმასა და ქვეშევრდომს, უპირატესობას აძლევთო“[4]. ამ ცნობიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ბაგრატი მხოლოდ ლიპარიტთან ურთიერთობის მოსაგვარებლად ჩავიდა კონსტანტინოპოლს. მაგრამ ფაქტიურად ხომ საქმე ეხებოდა საქართველოსა და ბიზანტიის იმპერიას შორის ურთიერთობის საკითხის გადაწყვეტას, რაშიც, რასაკვირველია, ლიპარიტი უმნიშვნელო როლს არ ასრულებდა. ბიზანტიისათვის ლიპარიტი მაინც იყო ხელსაყრელი საშუალება ბაგრატის წინააღმდეგ. მაგრამ რათა მისი ჩივილი თუ საყ-

---

[1] მ ა ტ ი ა ნ ე, გვ. 291—292.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 292 — 293.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 302.

[4] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 147; პროფ. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი კედრენეს „ისტორიის“ ამ ადგილს სხვაგვარად თარგმნის, მაგრამ კონტექსტის გათვალისწინებით ჩვენ აკად. ივ. ჯავახიშვილის თარგმანი უფრო მისაღებად გვეჩვენება; გეორგიკა, V, გვ. 68.

ვედური მაინც უფრო შერბილებული ფორმით ყოფილიყო გამოთქმული, ბაგრატი აქცენტს ლიპარიტზე აკეთებს, მით უმეტეს, რომ ბაგრატის უფლებების შეზღუდვას იმპერია ლიპარიტის უფლებების გაზრდის ხარჯზე აწარმოებდა. მაგრამ არც თვით ლიპარიტს ჰქონია მეფობის პრეტენზიები და არც ბიზანტია აპირებდა მის გამეფებას[1]. სამეფოდ ბაგრატის მაგიერ მათ ჯერ ორი დემეტრე გამოიყვანეს (ცლარჯი და ბაგრატის ნახევარძმა), ხოლო შემდეგ ბაგრატის მცირეწლოვანი შვილი გიორგი. სრულიად აშკარაა, რომ ბიზანტიას არ აწყობდა ტახტზე ძლიერი ბაგრატი; მას ისეთი მეფე უნდოდა, რომელიც მთლიანად მის პოლიტიკას აწარმოებდა. ძლიერი მეფე არც ლიპარიტს უნდოდა; ლიპარიტს ისეთი მეფე ესაჭიროებოდა, რომელიც არ შეზღუდავდა მის დამოუკიდებლობას და მასზე იქნებოდა დამოკიდებული.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, ბაგრატი სამი წელი ბიზანტიაში ფაქტიურად საპატიო ტყვეობაში ჰყავდათ. ბიზანტიის იმპერია მახლობელ აღმოსავლეთში პოლიტიკური მოვლენების განვითარებას უწევდა ანგარიშს. თურქ-სელჩუკთა მომძლავრება სულ უფრო მეტად იგრძნობოდა. ასეთ ვითარებაში ბაგრატის დაყოვნება იმპერიაში აღარ შეიძლებოდა. იმპერიის დიპლომატიას ბაგრატის მოკავშირეობის დაკარგვა არ უნდოდა, მაგრამ არც ლიპარიტის განაწყენება შეიძლებოდა, რადგან ის სელჩუკებს გარდა ბაგრატის წინააღმდეგაც ჭირდებოდა მას. ამიტომ ბაგრატი და ლიპარიტი თითქოს მოარიგეს[2].

იმ შეთანხმებით, რომელიც ბიზანტიის იმპერატორის უშუალო მონაწილეობით დაიდო ბაგრატსა და ლიპარიტს შორის, თითქოს გატარდა ბიზანტიის და ლიპარიტის სურვილი, რადგან ლიპარიტმა და ბაგრატმა „ერთმანეთში ზავი შეკრეს იმ პირობით, რომ ბაგრატი იქნება ბატონი და მთავარი მთელი იბერიისა და აბაზგიისა, ხოლო ლიპარიტი — ერთი ნაწილის — მესხეთის მთავარი იქნება სიკვდილამდე, ხოლო ბაგრატს სცნობს ბატონად და მეფედ“[3].

ნიშანდობლივია ამავე საკითხზე ქართული წყაროს ცნობა, რომ „ლიპარიტ მოირჭუნა ზემოსა კერძოსა დაუკლებელად და იყო მოყუარე მისა ხუარასანს დოღლუბეგ სულტანი და საბერძნეთს ბერძენთა მეფე, და ზრდიდა ბაგრატის ძესა, გიორგის მცირესა სახელითა მეფობისათა. ხოლო

---

[1] ბაგრატიონთა სამეფო გვარს ამ დროს ისეთი მდგომარეობა ჰქონდა საქართველოში, რომ მისთვის სხვა გვარის წარმომადგენლის დაპირისპირებას აზრი არ ჰქონდა. ქართველი დიდი აზნაურები თავიანთ შორის არც ერთს არ მისცემდნენ ასეთი აღზევების უფლებას. ეს კარგად იცოდა ლიპარიტმაც და ბიზანტიის ხელისუფლებამაც. ალბათ შემთხვევითი არაა, რომ ერთიანი საქართველოს არსებობის მთელ მანძილზე არ ჰქონია ადგილი ასეთ ფაქტს.

[2] ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, გვ. 266.

[3] გეორგიკა, V, გვ. 68.

ბაგრატს აქუნდა ლიხსა ქუემოთი კერძი დაწყობით"[1]. ქართველი მემატიანე ხაზგასმით აღნიშნავს ლიპარიტის უზომო გაძლიერებას, რომელსაც ბიზანტიის იმპერატორი და სულთანი ერთნაირად ემოყვრებოდნენ, რადგან იმ ვითარებაში, რომელიც მაშინ მახლობელ აღმოსავლეთში შეიქმნა თურქთა და ბიზანტიელთა დაპირისპირების თვალსაზრისით, ძლიერი ლიპარიტის მომხრეობას ორივე მხარისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ქართული წყარო მთლიანად ეთანხმება ბერძნულს, რომ ლიპარიტი მესხეთის მთავარი იქნებოდა: „მოირჭუნა ზემოსა კერძოსა" და იმასაც აღნიშნავს, რომ მეფის ძეს ლიპარიტი ზრდიდა მეფედ, ხოლო ბაგრატს „აქუნდა ლიხსა ქუემოთი კერძი დაწყობით". ბაგრატის უფლებები საგრძნობლად შეიზღუდა. იგი ფაქტიურად მხოლოდ დასავლეთ საქართველოში მეფობდა. ასე უფლებაშეკვეწროებული ბაგრატი, რასაკვირველია, უკვე ვეღარ იბრძოლებდა ხუფათ-ანაკოფიისა და სომხეთისათვის, ე. ი. ვეღარ გამოიღებდა ხელს ბიზანტიის პოზიციების შესარყევად. ამ შეთანხმების ხასიათი აჩვენებს, რომ ბიზანტიას საქართველოს მიმართ უფრო შორს მიმავალი გეგმებიც ჰქონდა. „ამ მზაკვრულ ღონისძიებიდან (დადებული ხელშეკრულებაა მხედველობაში — **მ. ლ.**) კარგად ჩანდა, — წერს ნ. ბერძენიშვილი, — რომ კეისარი საქართველოსაც იმას უმზადებდა, რაც სომხეთის სამეფოს შეამთხვია"[2]. მართლაც, თუ გადავხედავთ ბიზანტიის კურსს სომხეთ-საქართველოს მიმართ, ჩანს, რომ მას ნელ-ნელა ყველა სომხურ-ქართული ქვეყნის თავის უშუალო ქვეშევრდომად გადაქცევა სურდა.

X ს. დასასრულს, როდესაც საამისო ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა, იმპერატორმა ბასილმა სათანადო დოკუმენტით დაიმკვიდრა იმიერტაო და შემდეგ ამ დოკუმენტს იყენებდა იმ იურიდიული უფლების ნიშნად, რომელსაც ის იმიერტაოში ბრძოლით თუ მშვიდობიანი მოლაპარაკებით აღწევდა. ასეთი დოკუმენტით განიმტკიცა მან უფლება ანისის სამეფოში. როდესაც გიორგი I დამარცხდა ბასილთან ომში, გიორგის მოკავშირე ანისის მეფე „იოვანესიკეს შეეშინდა, ვაი თუ მეფემ განრისხებულმა, რომ გიორგის მოკავშირე ვიყავი, საშინელი რამ არ დამმართოსო, ქალაქის გასაღებებით ეახლა მეფეს, დანებდა მას და გასაღებებიც გადასცა"[3]. იმპერატორმა ბასილმა მიიღო სომხეთის მეფე, მოუწონა საქციელი, ძველი ცოდვები არ მოჰკითხა, მაგისტროსობა უბოძა, მაგრამ ამავე დროს უთხრა: „სანამ ცოცხალი ხარ, ანისის და ეგრეთ წოდებული დიდი არმენიის მმართველად იყავიო, ხოლო მოსთხოვა წერილობითი საბუთი, რომ მისი გარ-

---

[1] მ ა ტ ი ა ნ ე, გვ. 304.

[2] საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, I, გვ. 147.

[3] კ ე დ რ ე ნ ე, გეორგიკა, V, გვ. 59.

დაცვალების შემდეგ მთელი ეს სამფლობელო გადავიდოდა მის (მეფის) განკარგულებაში და რომაული სახელმწიფოს ნაწილი იქნებოდა"[1].

როგორც ცნობილია, იოვანეს გარდაცვალების შემდეგ მისმა მემკვიდრე გაგიკმა არ მოინდომა სამეფოს ბიზანტიელებისათვის გადაცემა, მაგრამ იმპერიის ხელისუფლებამ თავისი იურიდიული უფლებების განაღდება, რაც მას დოკუმენტურად ჰქონდა დადასტურებული, ძალით შეძლო[2].

როგორც ვხედავთ, ბიზანტიის იმპერია ერთნაირ პოლიტიკას აწარმოებდა სომხურ-ქართული ქვეყნების მიმართ და მათ იმპერიასთან შეერთებას ცდილობდა. ამ დროს საქართველოს მეფე არამცთუ თავისი ქვეყნის შეერთებაზე არ ფიქრობს ბიზანტიისათვის, არამედ იმპერიის მეტოქედაც გამოდის სომხეთისათვის ბრძოლაში. გასაგებია, რომ იმპერიის ხელისუფლება ამას ვერ მოითმენდა.

50-იან წლებში ლიპარიტსა და ბაგრატს (ე. ი. ფაქტიურად ბიზანტია-საქართველოს) შორის დადებული ხელშეკრულება საქართველოს მეფეს, რასაკვირველია, არ აწყობდა, მაგრამ ის, ეტყობა, იძულებული იყო ამჯერად შერიგებოდა შექმნილ ვითარებას.

მალე მდგომარეობა შეიცვალა. სელჩუკთა შემოტევების გააქტიურებისა და იმპერიის შიგნით შინაკლასობრივი და ტახტისათვის წარმოებული ბრძოლების შედეგად ბიზანტიის იმპერია მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. ის უკვე ისე აქტიურად ველარ ეხმარებოდა ლიპარიტს, რომელიც ბაგრატ IV-მ საშობლოდან გააძევა. იმპერიამ ისღა შეძლო, რომ შეიკედლა ბერად აღკვეცილი ლიპარიტი და მისი ვაჟი ივანე. იმპერიის პოზიციები საქართველოში შეირყა.

XI ს. 60-იანი წლებიდან ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობაში არსებითი ხასიათის გარდატეხა ხდება. თურქ-სელჩუკთაგან შევიწროებული ბიზანტია იძულებულია მეტი ანგარიში გაუწიოს საქართველოს. ამ დროიდან საქართველოსა და ბიზანტიას შორის მშვიდობიანობის და მოკავშირეობის ურთიერთობა მყარდება. საქართველო და ბიზანტია ერთად იბრძვიან საერთო მტრის წინააღმდეგ.

ბ) ურთიერთობა სომხეთთან. ქართული ფეოდალური მონარქიის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მეზობელ სომხეთთან ურთიერთობის საკითხს.

საქართველო-სომხეთის ურთიერთობა, რომელსაც დიდი ხნის ისტორია აქვს, განსაკუთრებით მჭიდროდ გადაეჯაჭვა ერთმანეთს IX — X საუკუნეებიდან, როდესაც საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლა ამიერკავკასიაში ერთიანი ქრისტიანული სახელმწიფოს შექმნისათვის ბრძოლაში გადაიზარდა. მართალია, X ს. პირველ ნახევარში სომხეთის სამეფო-სამ-

---

[1] კედრენე, გეორგიკა, V, გვ. 59 — 60.

[2] იქვე.

თავროები აქტიურად მონაწილეობდნენ ამ ბრძოლაში და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევდნენ, მაგრამ თანდათან ამიერკავკასიაში ეს უპირატესობა საქართველოს ხელში გადადიოდა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება X ს. 70-იან წლებში ბაგრატ III-ის გამეფებას ეგრის-აფხაზეთ-ქართლში, რითაც შეიქმნა ძლიერი ბირთვი, რომლის ირგვლივ მიმდინარეობდა ქართული მიწების შემდგომი კონსოლიდაცია. ბაგრატის გამეფება ეგრის-აფხაზეთ-ქართლში სომხეთის მეფეთა მისწრაფებების საბოლოო მარცხი იყო. ამით სათავე დაედო, ერთი მხრივ, მათი პრეტენზიების შეკვეცას ქართული მიწა-წყლის მიმართ, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს პრეტენზიების გაფართოებას სომხური მიწა-წყლისათვის. მაგრამ ჯერჯერობით ეს ტენდენციები მხოლოდ პერსპექტივაში იყო. პრაქტიკულად კი სომხეთ-საქართველოს ურთიერთობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მოვლენა იყო სუმბატ სომეხთა მეფის მონაწილეობა ბაგრატ III-ის გამეფებაში. სომეხი ისტორიკოსი ასოლიკი მოგვითხრობს თეოდოსის დაბრმავებასა და იმ შფოთზე, რომელიც დასავლეთ საქართველოში იყო, და დასძენს, რომ დავით კურაპალატმა და სომეხთა მეფე სუმბატმა გურგენის შვილი და ქართველთა მეფის ბაგრატის შვილიშვილი ბაგრატი აფხაზთა მეფედ აკურთხესო[1]. ასოლიკის ეს ცნობა საეჭვო არ უნდა იყოს, რადგან სუმბატ II სომეხთა მეფე (977—989 წწ.) დავით კურაპალატის მოკავშირე იყო იმ დიდ საქმიანობაში, რომელსაც დავითი ახორციელებდა. და რადგან ბაგრატის დასავლეთ საქართველოში გამეფება გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, მოულოდნელი არაფერია იმაში, რომ დავითს ამ საქმეში დამხმარედ თავისი ძლიერი მოკავშირეც მოეწვია.

ამასთან ერთად, X — XI სს. გრძელდებოდა ის დავა ქართულ-სომხურ პოლიტიკურ ერთეულთა შორის, რომელიც უძველესი დროიდანვე მიმდინარეობდა მომიჯნავე ტერიტორიათა გამო. ამ დროისათვის „ქართველთა ველი“ (ქვემო ქართლის ნაწილი) და ტაშირი ეკავა დავითს — სომეხთა მეფეების სუმბატის და გაგიკ I-ის (989—1020 წწ.) ძმის გურგენის შვილს, რომლის რეზიდენციაც ქ. სამშვილდეში იყო[2]. დავითმა დაიქვემდებარა ქ. დმანისი და იმავე ისტორიკოსის ცნობით, დაიმორჩილა თბილისის ამირაც[3]. სომეხთა მეფე დავითი საკმაოდ ენერგიულად ებრძოდა განძის ამირა ფადლონსაც. ტაშირ-ძორაკეტის მეფის დავითის გაძლიერება, ეტყობა, ლახავდა სხვა მფლობელების ინტერესებს. გაგის მფლობელმა დემეტრე მარზპანმა ქართველთა მხარე დაიჭირა, ქართულადაც კი მოინათლა და თა-

---

[1] ასოლიკი, გვ. 180.

[2] იქვე, გვ. 184; იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 129.

[3] იქვე; შდრ. ივ. ჯავახიშვილი.

ვისი შვილი ტაშირის „მამფალი“ ჰ3ნენეს ვანში[1] დაადგინა[2]. დავით გურგენის ძემ გაილაშქრა მის წინააღმდეგ, განდევნა ის გაგის ციხიდან და წაართვა მას ყველა ციხე და მემკვიდრეობითი სამფლობელო[3]. დავით გურგენის ძის ასეთი გაძლიერება არც გაგიკ სომეხთა მეფისათვის უნდა ყოფილიყო სასურველი. იმავე სომეხი ისტორიკოსის სიტყვით, დავით გურგენის ძე გაამაყდა ამდენი გამარჯვების გამო და გაგიკის ურჩობაც კი გადაწყვიტა. ამით გაგულისებულმა ბიძამისმა—გაგიკმა 1001 წ. გაილაშქრა ტაშირს, სამშვილდეს და „ქართველთა ველს“ და დაიმორჩილა ტაშირ-ძორაკეტის მეფე[4].

ამგვარად, უშუალოდ საქართველოს სამხრეთით გაძლიერებული სომხური სამეფო ქართული მიწების მნიშვნელოვან ნაწილს ფლობდა XI ს. დასაწყისში. მაგრამ ამ დროს ახლად გაერთიანებული საქართველოს მესვეურთა წინაშე სხვა უფრო გადაუდებელი ამოცანები იდგა და ამიტომ საქართველოს მეფეები. გაგიკ I სომეხთა მეფესთან მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნებას ამჯობინებდნენ. მეფე ბაგრატ III ცდილობდა ძლიერი გაგიკის გამოყენებას მათი საერთო მტრის განძის ამირა ფადლონის წინააღმდეგ. დავით გურგენის ძემ (გაგიკის ძმისშვილმა) ილაშქრა ფადლონის წინააღმდეგ. ამ დროს ის, რასაკვირველია, გაგიკის განკარგულებით მოქმედებდა, როგორც მისი ქვეშევრდომი; მაგრამ რა შედეგი მოიტანა ამ ლაშქრობამ არ ჩანს.

ფადლონის ინტერესებს დიდად ლახავდა ბაგრატ III-ის მიერ ჰერეთისა და კახეთის შეერთება და ამიტომ „იწყო კირთებად ერისთავთა ჰერეთისა და კახეთისათა, ჟამითი-ჟამად მეკობრობით და პარვით რბევად და ტყუევნად ადგილითი-ადგილად“[5]. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ვარემოებამ დიდად შეაშფოთა ბაგრატ მეფე, მაგრამ ფადლონთან ბრძოლა არც ისე ადვილი იყო და გამარჯვების უზრუნველსაყოფად ბაგრატმა ძლიერი მოკავშირის შოვნა გადაწყვიტა, ასეთად კი მან, სრულიად მარ-

---

[1] ჰ ჯ უ ნ ე-ვ ა ნ ი, იგივე ვანანა-ვანჭი, ბამბაკის წყალზე (მდ. დებედას ზემო დინება).

[2] ა ს ო ლ ი კ ი, გვ. 181 — 182; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 129. შემდეგ ამ დემეტრეს ვაჟმა, უკვე ვანანა-ვანელმა მთავარეპისკოპოსმა, ქალკედონიანმა პოლიტიკურად სომეხთადმი დაქვემდებარებულ ტაშირ-ძორაკეტის სამეფოში ქართული ეკლესია ააგო. იხ. დ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან, „მაცნე“, № 6, 1969, გვ. 102 — 104.

[3] ა ს ო ლ ი კ ი, გვ. 182.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 201 — 203; შდრ., ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 129; ეს ის გაგიკია, რომელიც X ს. დასასრულს აქტიურად ემხრობოდა დავით კურაპალატს ბრძოლებში მაჰმადიანი ამირების წინააღმდეგ. იხ. ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთობის წარსულიდან, გვ. 140 — 142.

[5] მ ა ტ ი ა ნ ე, გვ. 279.

თებულად, სომეხთა მეფე გაგიკ I მიიჩნია. ბაგრატი მოემზადა განძის ამირასთან საბრძოლველად — „წარგზავნა მოციქული წინაშე გაგიკ შაჰანშა სომეხთა მეფისა“[1]. ქართველთა მეფის წინადადება ხელსაყრელი იყო გაგიკისათვის და მანაც „მოსწრაფედ მოუწოდა ყოველთა სპათა თჳსთა, წარმოემართა და მოვიდა წინაშე ბაგრატ აფხაზთა მეფისა. შეკრბეს ორნივე ძოროაკერტს“[2]. შეშინებული ფადლონი შამქორში ჩაიკეტა. ბაგრატ III-მ მოარბია რანი და ფადლონმა ზავი ითხოვა. ზავის პირობად მან ხარაჯა გადაუკვეთა საქართველოს მეფეს და სამხედრო დახმარება იკისრა.

კავშირი საქართველოსა და ანისის მეფეთა შორის ამის შემდეგაც გრძელდებოდა. როცა 1021—1023 წწ. საქართველოს მეფე გიორგი I ბიზანტიის აგრესიის წინააღმდეგ იბრძოდა, მისი მოკავშირე იყო გაგიკ I-ის მემკვიდრე იოანე[3].

1020 წ. გაგიკის გარდაცვალების შემდეგ მის შვილებს იოანე-სუმბატსა და აშოტს შორის ტახტისთვის ატეხილ ბრძოლაში აქტიურად ჩაერია გიორგი I, რომელმაც მოარიგა ძმები, „ორი სახელის მქონე სუმბატს უფროსობის გამო მისცა წილი: ანისის ციხე, მის გარშემო მდებარე გავარებითურთ, ხოლო აშოტს — ქვეყნის შიდა მხარე, რომელიც სპარსეთსა და საქართველოს უყურებდა“[4]. ძმებს შორის ომი სწორედ მაშინ მოხდა, როდესაც გიორგი I იმპერატორ ბასილს ეომებოდა და მისთვის ძნელი იყო ისეთი მოკავშირის დაკარგვა, როგორიც ანისის სომხეთის სამეფო იყო. გიორგიმ შეძლო ანისის სამეფოში მშვიდობის ჩამოგდება, რის შემდეგ იოანე-სუმბატი მას ეხმარებოდა ბასილთან ომში. მაგრამ ბიზანტიასთან ომში გიორგის დამარცხების შემდეგ იოანე იძულებული შეიქნა დაედო პირობა, რომ სიკვდილის შემდეგ ის თავის სამეფოს იმპერიას უანდერძებდა, რისი განაღდებაც მოითხოვა იმპერატორმა იოანესა და აშოტის შემდეგ გამეფებულ გაგიკ II-საგან.

სამწუხაროდ, წყაროებიდან არ ჩანს საქართველოს პოზიცია და მონაწილეობა იმ ამბებში, რაც ამის შემდეგ სომხეთში დატრიალდა და რის შედეგად 1045 წ. ბიზანტიელებმა გააუქმეს სომხეთში მეფობა და ანისის სამეფო თვით დაიკავეს. საკუთრივ საქართველოში ამ დროს არსებული ვითარების გათვალისწინება (ლიპარიტის განდგომა, ბერძენთა ლაშქრისა და ბაგრატის ძმის დემეტრეს საქართველოში შემოსვლა...) თითქოს გამორიცხავს საქართველოს რეალურ მონაწილეობას სომხეთში დატრიალებულ მოვლენებში, მაგრამ საერთოდ საქართველოს პოზიცია სომხეთის

---

[1] მატიანე, გვ. 279.

[2] იქვე გვ. 279 — 280.

[3] ვ. კოპალიანი, ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთობის წარსულიდან, გვ. 153.

[4] არისტაკეს ლასტივერტელი, გვ. 44; შდრ. ვ. კოპალიანი, ამიერკავკასიის ხალხთა... გვ. 153.

მიმართ და სომხეთის საზოგადოების გარკვეული ნაწილის პროქართული ორიენტაცია აშკარად გამოვლინდა 1045 წ. ანისის „ქალაქის უხუცესთა“ მიერ ქ. ანისის სამეფოს ბაგრატ IV-თვის გადაცემაში[1]. ამ აქტის შედეგად საქართველოს სამეფოს შირაქის სამეფოს ვრცელ მიწა-წყალზე მიუწვდებოდა ხელი. ბაგრატმა იქ თავისი მმართველები დააყენა, მაგრამ ანისი მან ერთ ზაფხულსაც ვერ შეირჩინა. ბიზანტიის იმპერია ვერ შეურიგდებოდა ანისის სამეფოს საქართველოს ხელში გადასვლას. მან აამოძრავა ყველა საშუალება, მათ შორის ლიპარიტ ბაღვაშიც, რომელმაც მოტყუებით შეიპყრო ბაგრატის მიერ ანისში დაყენებული მოხელეები და 1045 წ. ანისის სამეფო ბიზანტიის იმპერიამ შეიერთა.

ამის შემდგომ ხანებში ბაგრატ IV-ს სომხეთისათვის ბრძოლის საშუალება აღარ ჰქონია. სომხეთის მდგომარეობა კი საგრძნობლად გაუარესდა. სომხეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი (უმთავრესად ფეოდალური ზედაფენა) ბიზანტიის ხელისუფლების ხელშეწყობით ტოვებდა მშობლიურ მიწა-წყალს და მცირე აზიასა და იმპერიის სხვა პროვინციებში სახლდებოდა. ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლებამ გაიყვანა სომხეთიდან სომხური ლაშქარი, რითაც სომხებს მოუსპო ახალი მტრისთვის წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობა. სომხური სამეფო-სამთავროები ან დამარცხდნენ სელჩუკებთან ბრძოლაში, ან უბრძოლველად დანებდნენ მათ.

ბ) ურთიერთობა განძის საამიროსთან. საქართველოს მეზობელ სახელმწიფოთაგან ამ დროს აქტიურ ძალას წარმოადგენდა განძის საამირო, რომელიც კახეთსა და ჰერეთს უტევდა ძირითადად. განძის წინააღმდეგ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1010-იან წლებში ილაშქრა ბაგრატ III-მ. ქართველი მემატიანის ცნობით, ამირა შამქორში გამაგრდა და ჩაიკეტა. „მეფემან ბაგრატ წარმოტყუენა ქუეყანა რანისა, მოადგა ქალაქსა შანქორსა, დაუდგნა ფილაკავანნი, და მცირედთა დღეთა დალეწნეს ზღუდენი შანქორისანი. ხვალისა დღე ეგულებრდა შემუსრვად და წარტყუენვად ქალაქისა მისს“[2]. მაგრამ ბაგრატს ფადლონის ელჩები მოუვიდნენ. ელჩების პირით ფადლონმა „ითხოვა შენდობა, აღუთქვა დღეთა შინა სიცოცხლისა მისისათა მსახურება, გაუკუეთა ხარაჯა და დაუწერა თავის-თავითა ლაშქრობა მტერთა მისთა ზედა“[3]. ბაგრატმა მოიწვია დიდებულნი. მეფისა და დიდებულთა თათბირმა შემოთავაზებული პირობებით ფადლონთან დაზავება გადაწყვიტა. აღნიშნული პირობა დიპლომატიურ ენაზე ვასალურ ურთიერთობას ნიშნავდა[4]. სამწუხაროდ, წყაროებიდან არ ჩანს,

---

[1] მატიანე, გვ. 299. არისტაკეს ლასტივერტელი, მით. გამ., გვ. 85.

[2] მატიანე, გვ. 280.

[3] იქვე.

[4] პ. თოფურია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI—XII სს., თბილისი, 1975, გვ. 190 — 191.

როდემდე იცავდა ამირა ფადლონი ამ პირობას, თუმცა ბაგრატ IV-ის გამეფების პირველ წლებში, როგორც ჩანს, ფადლონი ისევ საქართველოს მეფის მოხარკედ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ფადლონი არ ასრულებდა თავის ვასალურ მოვალეობას, რისთვისაც „შეკრბეს ლაშქარნი ამის სამეფოსანი", რომელთაც „გააქციეს ფადლონ და აუწყჳდეს ლაშქარი"[1]. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს ლაშქართან ერთად ფადლონის წინააღმდეგ ამ გალაშქრებაში მონაწილეობენ რანთა და კახთა მეფე კვირიკე, დავით სომეხთა (სამშვილდის) მეფე, ჯაფარ თბილისის ამირა და ყველა ის მეზობელი, რომელთაც ავიწროვებდა გაძლიერებული ფადლონი. 1038 — 1040 წლებში ბაგრატ IV როცა თბილისისათვის იბრძოდა, განძის ამირა, ახლა უკვე ფადლონის შვილი, თბილისის ამირა ჯაფარს ეხმარებოდა. ასე რომ, XI ს. 40-იანი წლებისათვის განძის ამირა უკვე არ ასრულებდა ვასალურ პირობებს საქართველოს მიმართ[2].

ამავე დროს, როდესაც თურქები შემოადგნენ ამიერკავკასიის მისადგომებს და აქ დაიწყო ბრძოლა ბიზანტიასა და თურქ-სელჩუკებს შორის, ბაგრატ მეფე, როგორც ბიზანტიის მოკავშირე, 1049 — 1050 წწ. თურქებს განძასთან ებრძვის. თურქებს „წასაღებელად მიეწურა განძა", წერს ქართველი მემატიანე[3]. ბაგრატი თავისი ლაშქრით და ბიზანტიელთა ლაშქარი „მივიდეს განძის კარსა, და მირიდეს თურქთა, და დაარჩინეს განძის ქუეყანა, და შემოიქციეს მშჳდობით"[4]. როგორც უკვე აღნიშნული გვაქვს, ეს ის დროა, როდესაც ლიპარიტ ბაღვაში თურქთა ტყვეობაშია, ბაგრატი ცდილობს ბიზანტიასთან კეთილი განწყობილების ჩამოგდებას და თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაშიც ეხმარება მათ. მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ განძას მომდგარი თურქები თვით საქართველოსაც უქმნიდნენ უშუალო საფრთხეს. ასე რომ, განძის დაცვით ბაგრატი თავის ქვეყანასაც იცავდა იმ ახალი და ძლიერი მტრისაგან, რომელიც უკვე უახლოვდებოდა საქართველოს მისადგომებს.

§ 3. თურქ-სელჩუკთა შემოსევები

თურქ-სელჩუკთა შემოსევები ამიერკავკასიაში დაიწყო XI ს. 30-იან წლებში. ისინი დაპყრობით ემუქრებოდნენ ირანს, ბიზანტიას, კავკასიას.

სელჩუკები ოგუზთა მოდგმის თურქების ჩამომავალნი იყვნენ. სელჩუკიანთა სახელწოდება მათ თავისი მეთაურის სელჩუკის სახელიდან

---

[1] მატიანე, გვ. 296.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 302.
[4] იქვე.

მიიღეს. „ოღუზური თურქული ტომები ჯერ ცენტრალური აზიის სტეპებიდან, ხოლო შემდეგ შუა აზიიდან საძოვრების კრიზისმა გამოიყვანა. მათი ელჩები ღაზნევიანებთან „მშვიდობიანი“ მოლაპარაკების დროს აღნიშნავდნენ, რომ „მათ დედამიწაზე ადგილი არა აქვთ“[1]. სულთან თოღრულ ბეგის (1038 — 1063 წწ.) დროს მათ დაიპყრეს ირანი, ერაყი, ქურთისტანი და ამიერკავკასიაში შემოიჭრნენ. 1055 წ. თოღრულ ბეგმა დაიპყრო არაბთა სახალიფოს დედაქალაქი ბაღდადი და ხალიფამ ის სულთნად დალოცა.

თურქ-სელჩუკები სოციალური და ეკონომიკური განვითარების დაბალ საფეხურზე იმყოფებოდნენ. X ს. მათ ადრეკლასობრივი წყობა გააჩნდათ. ამ დროს მიიღეს მათ ახალი რელიგია ისლამი, რომელმაც თურქ-სელჩუკებში წარმართული რწმენა შეცვალა.

დამპყრობელი „თურქ-სელჩუკები მოდიოდნენ თავიანთი ოჯახებითა და ჯოგებით. ისინი ინტენსიური მეურნეობისათვის გამოყენებულ მიწებს საძოვრებისათვის იჭერდნენ, ხოლო დამარცხებული ბინადარი მოსახლეობა მთებსა და ხეობებში იხიზნებოდა“[2].

1048 წ. თურქ-სელჩუკები სომხეთში შეიჭრნენ. სომხეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო ამ დროს უკვე არ არსებობდა. თითქმის მთელი სომხეთი ბიზანტიის იმპერიას ეპყრა. ბიზანტიის იმპერია შეძლებისდაგვარად იგერიებდა ამიერკავკასიის მისადგომებზე თურქ-სელჩუკებს. მას ამ ბრძოლაში ლიპარიტ ბაღვაში ეხმარებოდა. ზოგი ავტორის ცნობით, თავდაპირველად ბიზანტიის ლაშქარმა, რომელთანაც ლიპარიტი იბრძოდა, თითქოს რამდენიმე გამარჯვებას მიაღწია თურქებთან ბრძოლაში[3], მაგრამ შემდეგ ბიზანტიამ სასტიკი დამარცხება განიცადა. 1071 წ. მანაზკერტთან ბრძოლაში თურქ-სელჩუკებმა გაანადგურეს ბიზანტიის არმია. 1074 წ. საზავო ხელშეკრულებით ბიზანტიის იმპერიამ თავისი აღმოსავლეთის პროვინციების დიდი ნაწილი სელჩუკებს დაუთმო.

საქართველო მარტო აღმოჩნდა თურქ-სელჩუკთა პირისპირ. ფეოდალურ საქართველოს მისი ინტენსიური მეურნეობითა და განვითარებული საქალაქო ცხოვრებით გადაგვარების საფრთხე ემუქრებოდა. საფრთხე ემუქრებოდა ქართველი ხალხის ეთნიკურ სახესაც. დაიწყო დაუნდობელი ბრძოლა ადგილობრივ (კავკასიურ) ფეოდალურ საზოგადოებასა და მომ-

---

[1] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, თურქ-სელჩუკთა შემოსევები და ბატონობა, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 123.

[2] ი ქ ვ ე.

[3] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ტურინოს კომპილაციისათვის, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე. IV, 1924, გვ. 354.

თაბარე თურქებს შორის. საჭირო იყო საერთო ბრძოლის მეთაურობა და ეს მისია საქართველოს ხვდა წილად[1].

საქართველოში ლაშქრობას თვითონ სულთანი ალფ-არსლანი (1063 — 1072 წწ.) უდგა სათავეში. მან ჯერ თავისი ვაჟი მალიქ შაჰი და დიდი ვაზირი ნიზამ ალ-მულქი გაგზავნა სამხრეთ საქართველოში მოსარბევად და დასაზვერად, ხოლო შემდეგ მთელი თავისი ლაშქრით თვითონ გამოემგზავრა საქართველოსკენ[2]. 1064 წ.[3] ალფ-არსლანი გაძლიერებული ლაშქრით საქართველოში შემოიჭრა და ახალქალაქს მოადგა სამხრეთიდან. საქართველოში, ეტყობა, ემზადებოდნენ თურქთა დასახვედრად. ქალაქის მისასვლელთან ხიდი აეღოთ. სელჩუკები მიხვდნენ, რომ ქალაქის აღება გაძნელდებოდა, ამიტომ იქვე გაშალეს ბანაკი და დაიწყეს სამზადისი ბრძოლისათვის. სელჩუკებმა მდინარეზე დიდი ხიდი ააგეს, გადავიდნენ და ბრძოლაც დაიწყეს[4]. სამ დღეს იცავდნენ მესხნი ახალქალაქს, შემდეგ რადგან ახალქალაქის მტკიცე ზღუდის მშენებლობა მტრის შემოსევის დროისთვის დამთავრებული არ იყო და ამის გამო ქალაქში გამაგრება შეუძლებელი ჩანდა, ახალქალაქის დამცველებმა ქალაქის კარები გააღეს და პირდაპირ ეკვეთნენ მტერს. ხელჩართულ ბრძოლაში ქართველებმა მტრის დიდი ნაწილი გაწყვიტეს, მაგრამ სულთანი თვითონ ჩაუდგა სათავეში ბრძოლას და იერიში მოიგერია. მტერი ქალაქში შევიდა. ქართველები მაინც არ ნებდებოდნენ. მეომართა ერთი ჯგუფი ციხის ერთ-ერთ კოშკში გამაგრებულიყო და მედგრად იცავდა თავს. სულთანმა კოშკს ცეცხლი წაუკიდა და კოშკის დამცველნი გაანადგურა[5]. უთანასწორო ბრძოლა მტრის გამარჯვებით დამთავრდა. „შევიდეს ქალაქად თურქნი და ტყუე ყვნეს ურიცხუნი სულნი ქრისტიანეთანი, აღიღეს განძი და ტყუე ძლიერი, და შეიღება წყალი ახალქალაქისა სისხლითა“[6].

მიუხედავად მიღწეული წარმატებისა, სულთანმა არ განაგრძო საქართველოს დასაპყრობად ბრძოლა. შეიძლება გაწეულმა დიდმა წინააღმდეგობამ დაიფიქრა ის. მან ახალქალაქიდან მოციქული გაუგზავნა ბაგრატს და დამოყვრება შესთავაზა—დისწული სთხოვა ცოლად[7]. ამასთანავე

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, „მნათობი“, № 6, 1954, გვ. 123.

[2] ნ. შენგელია, სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, თბ., 1968, გვ. 221—222.

[3] იქვე, გვ. 228.

[4] იქვე, გვ. 223 — 224.

[5] იქვე.

[6] მატიანე, გვ. 306.

[7] იქვე, გვ. 306 — 307.

სულთანი ანისს გაბრუნდა, აიღო ანისი, ჩამოართვა ბიზანტიელებს და თავის მოხელეს მანუჩარ აბულსუარის ძეს გადასცა[1]. ბაგრატ IV-ის დისწული ამავე დროს სომეხთა მეფის (ტაშირ-ძორაკეტის მეფის) კვირიკეს ძმისწულიც იყო და ბაგრატმა თხოვა კვირიკეს მისი სულთანზე გათხოვების თანხმობა. მაგრამ კვირიკემ უარი შეუთვალა. ამით ისარგებლა ბაგრატმა, შეიპყრო სომეხთა მეფე კვირიკე და მისი ძმა სუმბატი და ჩამოართვა კვირიკეს სამშვილდე და როგორც მემატიანე წერს, „სამშვილდე ოდენ იურვა სახლად თჳსად"[2]. 1066 წ. ბაგრატმა თვისი დისწული სულთანს მიჰგვარა ცოლად[3]. ცოტა ამაზე ადრე თავისი ასული მართა მან ბიზანტიას გაათხოვა. ბაგრატი წინდახედულად მოქმედებდა და ორივე მხრივ იმტკიცებდა მდგომარეობას.

ალფ-არსლანის ამ პირველი შემოსევებით ყველაზე მეტად სამხრეთ საქართველო დაზარალდა, მაგრამ თურქთა დაუნდობლობისა და სისასტიკის ხმა მთელ საქართველოს მოედო. სამხრეთ საქართველოდან ლტოლვილი მოსახლეობა, რომელიც ქართლის შიდა რაიონებს აფარებდა თავს, შიშის გრძნობას ავრცელებდა და მთელი ქვეყანა თავდაცვისათვის ემზადებოდა[4]. ამ დროს საქართველოში მყოფი გიორგი ხუცესმონაზონი დამწუხრებული აღნიშნავს, რომ სამცხეში თურქთა ამ შემოსევის დროს „არათუ ახალქალაქისა მკვიდრნი მოისრნეს, არამედ დიდ-დიდნი და წარჩინებულნი მთავარნი და ერისთავნი სამეფოსა ჩუენისანი ძჳრძჳრად მოისრნეს და წარწყმდეს, რომლისა მიერ ღუთის მსახური მეფე ბაგრატ დიდსა მწუხარებათა შთავარდა"[5].

როგორც აღვნიშნეთ, ახალქალაქიდან ალფ-არსლანი სომხეთს გაბრუნდა, ხოლო სომხეთის მნიშვნელოვანი ნაწილის შემომტკიცების შემდეგ ანატოლიისა და აღმოსავლეთის ქვეყნების საქმეების მოგვარებას შეუდგა. ალფ-არსლანის ერთგული მოკავშირე ანისის გამგებელი აბულ-ასვარი, რომელსაც ალფ-არსლანისაგან განკარგულება ჰქონდა ანისის გარშემო და მახლობელ ქვეყნებში ელაშქრა სელჩუკთა პოზიციების დაცვის მიზნით, საქართველოს შემოესია, რის პასუხადაც ბაგრატ IV-მ 1067/8 წელს არანში გაილაშქრა და ბარდავი დაარბია. ამის საპასუხოდ ალფ-არსლანი 1068 წ. ქართველთა დასასჯელად გამოემართა[6]. ამ დროს ბაგრატ IV კახე-

---

[1] ანისის აღების შესახებ იხ. პ. თ ო ფ უ რ ი ა, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI — XII სს., გვ. 92 — 93.

[2] მ ა ტ ი ა ნ ე, გვ. 306.

[3] ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 226.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 228—230.

[5] გ ი ო რ გ ი მ თ ა წ მ ი დ ე ლ ი ს ცხოვრება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 174.

[6] რ. კ ი კ ნ ა ძ ე, XI — XIII საუკუნეთა თბილისის ისტორიიდან, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, V, 1960, გვ. 115.

თის შემოერთებისათვის იბრძოდა. მას აცნობეს სულთნის ჰერეთში შემოსვლა და ბაგრატი იძულებული გახდა ქართლში დაბრუნებულიყო[1]. ბაგრატის ყველა მტერი სულთანს ეახლა. კახეთის მეფე აღსართანმა დიდი ძღვენი მიართვა სულთანს, ისლამიც მიიღო და ხარკიც აღუთქვა. სამაგიეროდ ალფ-არსლანმა მას გადასცა კახეთის ყველა ციხე. ბაგრატის წინააღმდეგ წამოსულ ალფ-არსლანს შეუერთდნენ სომეხთა მეფე კვირიკე, თბილისის ამირა ჯაფარი და აღსართან კახთა მეფე. შეერთებული მხედრობა ქართლს შემოვიდა და ქვეყანა საშინლად ააოხრა. შემდეგ თურქთა რაზმები დასავლეთ საქართველოში გადავიდნენ და ზემო იმერეთიც დალაშქრეს, სვერის ციხეს შემოადგნენ. აქ იყო თავმოყრილი ქართველების უმთავრესი ძალები. დიდი მსხვერპლის ფასად თურქებმა სვერის ციხე მაინც აიღეს. სულთანმა ამჯერად „დაყო ექუსი კჳრა, და იწყო ოჴრებად და ჴოცად კაცისა"[2]. მძიმე მდგომარეობა შეიქმნა, აურაცხელი ხალხი დაიღუპა და ტყვედ წაასხეს, დაიქცა და დაინგრა სოფლები და ქალაქები. ამასობაში საშინელი ზამთარი დადგა და თურქებს გაუჭირდათ. ბაგრატს, ეტყობა, იმედი მიეცა, რომ სულთანი ვეღარ გაძლებდა დიდხანს და მოციქულად ივანე ლიპარიტის ძე გაგზავნა[3] და ზავი შესთავაზა. სულთანმა ზავის ფასად ხარკი ითხოვა. ბაგრატმა არ ისურვა ხარკის დადება ქვეყნისათვის. სულთანმა ზამთრის სიცივეს ვეღარ გაუძლო და წავიდა. წასვლის წინ მან თბილისი და რუსთავი ჩამოართვა მათ მფლობელებს და განძის პატრონს—ფადლონს გადასცა[4]. ამით ალფ-არსლანი ცდილობდა ბაგრატ IV-სა და განძის ამირას შორის წინააღმდეგობის უფრო გამწვავებას. თბილისიდან ფადლონი ქართლს არბევდა. 1069 წლის გაზაფხულზე ბაგრატ IV-მ სასტიკად დაამარცხა ქართლში შემოჭრილი ფადლონი, თვით ამირა ხელში ჩაიგდო და თბილისი აიღო, მაგრამ ქალაქი თვითონ კი არ დაიჭირა, არამედ საგამგეოდ გადასცა თბილისის ამირათა ჩამომავალს სითილარაბს. ამის შემდეგ ბაგრატმა ალფ-არსლანის შუამდგომლობით ტყვე ფადლონი გაათავისუფლა[5], სამაგიეროდ გაგის ციხე ჩამოართვა მას. მაგრამ ფადლო-

---

[1] მატიანე, გვ. 308.

[2] იქვე, გვ. 309.

[3] ეს ის ივანე ლიპარიტის ძეა, რომელიც ლიპარიტის ბერად აღკვეცის შემდეგ ბიზანტიის იმპერიას შეეკედლა. მას იქ დიდი მამულები და ტიტულები მისცეს, მაგრამ ივანე იქ დიდხანს არ გაჩერდა და ის სიამოვნებით მიიღო ბაგრატ IV-მ, რომელმაც მას მამისეული სამფლობელოები დაუბრუნა და სპასალარობა უწყალობა (იხ. ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა, გვ. 272—273).

[4] რ. კიკნაძის აზრით, სულთანს ამ დროს თბილისის ამირასთან ერთად რუსთავის ამირაც ახლდა (იხ. რ. კიკნაძე, XI—XIII სს. თბილისის ისტორიიდან, გვ. 117).

[5] მატიანე, გვ. 309—312; რ. კიკნაძე, XI—XIII საუკუნეთა თბილისის ისტორიიდან, გვ. 117—119; ნ. შენგელია, სელჩუკები და საქართველო, გვ. 243—248.

ნი მაინც არ ისვენებდა და ბაგრატმა მისი საგანგებოდ დასჯა გადაწყვიტა. ბაგრატი სათანადოდ მოემზადა, ჩრდილო კავკასიიდან ოსთა დამხმარე რაზმები გადმოიყვანა. ბაგრატის ცოლისძმა ოსთა მეფე დორღოლელი მის დასახმარებლად დიდი ლაშქრით მოვიდა. ბაგრატმა ჯარს უფლისწულ გიორგი უთავა; ქართველთა მხედრობამ „მოაოჯრა განძა, და აღიღო ტყუე და ნატყუენავი ურიცხვ"[1]. განძის მბრძანებლის დამარცხება დიდი წარმატება იყო ბაგრატისათვის. არც სულთან ალფ-არსლანს შესწევდა ძალა ამჯერად ხელახალი გამოლაშქრებისათვის; ის მოციქულებს და ძღვენს გზავნიდა საქართველოს მეფესთან და ხარკს ითხოვდა. მაგრამ ბაგრატიც დიპლომატიურად მოქმედებდა — ისიც ძღვენსა და მოციქულებს უგზავნიდა სულთანს და ხარკს არ კისრულობდა.

პირველი და მეორე ლაშქრობების (1064, 1068 წწ.) დროს სელჩუკებმა საქართველოს სამხრეთი პროვინციები დაიკავეს, ამასთანავე მთელი რიგი პუნქტები — ხორნაბუჯი, არადეთი, გაგი, აგარანი, გავაზნი და სხვ. — სულთანმა განძის ამირას გადასცა. მართალია, ზოგიერთი პუნქტი ბაგრატმა წაართვა განძის ამირას და ისევ საქართველოს შემოუერთა, მაგრამ, როგორც ჩანს, უკვე ამ დროს დაიწყო სელჩუკთა ურდოების ჩამოსახლება საქართველოს სამხრეთ რაიონებში, დაიწყო ქართულ მიწა-წყალზე თურქული ეთნიკური ელემენტის მომრავლება, რასაც ხელს უწყობდა ანატოლიის დაპყრობა თურქთა მიერ და მათი იქ დასახლება[2]. მანაზკერტთან 1071 წ. მომხდარი ბრძოლა, როგორც ცნობილია, იმპერიის დამარცხებით დამთავრდა. ტყვე იმპერატორის რომან დიოგენის მიერ მიღებული საზავო პირობებით იმპერიამ სელჩუკებს დაუთმო მანაზკერტი, ედესა, ანტიოქია და ხარკიც იკისრა. იმპერიაში ტახტისათვის სხვადასხვა დაჯგუფებას შორის დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობდა[3]. სელჩუკებმა დაიკავეს შარვანი, სომხეთი და ანატოლიის ძირითადი ნაწილი. საქართველო მარტო აღმოჩნდა ძლიერი მტრის პირისპირ.

1072 წ. ბაგრატ IV გარდაიცვალა. იმავე წელს შეთქმულებმა მოკლეს ალფ-არსლანი და ქართველი მემატიანე დასძენს: „და ვერღარა ცნეს ბაგრატ და სულტანმან ერთმანეთისა სიკუდილი"[4]. მძიმე პირობებში მოუხდა მეფობა გიორგი II-ს (1072 — 1089 წწ.). დაახლოებით 1073 წ. ზაფხულში ადგილი ჰქონდა დიდგვარიან ფეოდალთა გამოსვლას მეფის წინააღმდეგ. ივანე ბაღვაშმა კახელები მიიმხრო და ქსნის პირი დაიკავა, ვარდან სვანთა ერისთავმა ეგრისი დაარბია, ხოლო ნიანია ქუაბულისძე სამეფო ქალაქ ქუთაისს დადგა და საჭურჭლე გაძარცვა. ისტორიკოსის სიტყვით,

---

[1] მ ა ტ ი ა ნ ე, გვ. 313.
[2] ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, სელჩუკები და საქართველო, გვ. 248.
[3] История Византии, II, 1967, с. 286—287.
[4] მ ა ტ ი ა ნ ე, გვ. 314.

„თავადთა ამის სამეფოსა ნიანია ქუაბულის-ძემან, და ივანე ლიპარიტის ძემან, და ვარდან სუანთა ერისთავმან, რეცა თუ იკლეს რამე სიყრმით გიორგი მეფისთა და აუშალეს ქუეყანა: ივანე მოირთნა კახნი და დადგა ქსნის პირსა; და ნიანია წარულო ქუთათისისა საჭურჭლე და შედგა ქუთათისს შიგა; და ვარდან გაადგინნა სუანნი ავისა მოხარკულნი, დაარბიეს და ამოსწყუჴდეს საეგრო"[1]. მეფემ დაამარცხა აჯანყებული ფეოდალები, მაგრამ არ დასაჯა ისინი. როგორც მემატიანე ამბობს, „მეფემან სძლო სიკეთითა, სიბრძნითა, და ძჯრ უჯსენებელ იქმნა"[2]. დასჯის მაგიერ გიორგიმ ივანე ბალვაშს სამშვილდე უბოძა, მის ძეს ლიპარიტს—ლოწობნის ციხე, ნიანიას—თმოგვი, ვარდან სვანთა ერისთავს—ასკალანა და სხვ.[3]. გიორგის ასეთი დამოკიდებულება აჯანყებისადმი გამოწვეული უნდა იყოს იმ მძიმე საფრთხით, რომელიც ქვეყანას ემუქრებოდა. გარს მომდგარი მტრის წინააღმდეგ მას, ჩანს, ქვეყნის შიგნით მშვიდობის დამყარება სურდა, მაგრამ არ კაუმართლდა. ივანე ლიპარიტის ძემ დაარღვია პირობა და ისევ განუდგა მეფეს. მან გაგის ციხე გამოსტყუა მეფის მეციხოვნეებს და განძის ამირა ფადლონს მიჰყიდა, ხოლო მალიქ შაჰის (1072 — 1092 წწ.) შემოსევისას „მიაგება ივანე ძე მისი ლიპარიტ წინა, შეაწყნარა სულტანსა, და დაყო მის თანა მცირედი ხანი"[4]. ლიპარიტ ივანეს ძის სულთნის მხარეზე გადასვლა, მაშინ როდესაც სელჩუკთა ლაშქარი საქართველოს მისადგომებთან იყო მომდგარი, დიდად შეუწყობდა მტერს ხელს ჩვენი ქვეყნის დარბევაში, მაგრამ, ჩანს, კლდეკარის ერისთავის ვაჟი და სულთანი ვერ მორიგდნენ და ლიპარიტი სულთანს გამოეპარა. სულთანი მალიქ შაჰი სამშვილდის ციხეს მოადგა, აიღო სამშვილდე, ივანე ლიპარიტის ძე მთელი ოჯახით ტყვედ ჩაიგდო, მოარბია ქართლი და დიდი ნადავლით დატვირთული უკან გაბრუნდა[5]. გზად მიმავალმა ააოხრა განძა, დაატყვევა ამირა ფადლონი, ხოლო განძის გამგებლობა სარანგს ჩააბარა, რომელსაც ორმოცდარვა ათასი მხედარი დაუტოვა და ქართლის რბევა დაავალა[6]. როდესაც 1074 წ. სულთნის სარანგი გიორგი მეფის წინააღმდეგ გამოემართა, მას თან ახლდნენ დვინის და დმანისის ამირები. გიორგიმაც ჯარი შეკრიბა, მის მოკავშირედ კახთა მეფე აღსართანი გამოვიდა. ბრძოლა ფარცხისს მოხდა; გიორგიმ მტერი დაამარცხა და განდევნა თავისი ქვეყნის საზღვრებიდან[7].

---

[1] მ ა ტ ი ა ნ ე, გვ. 315—316.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 316.
[3] ი ქ ვ ე.
[4] ი ქ ვ ე.
[5] ი ქ ვ ე, გვ. 317.
[6] ი ქ ვ ე.
[7] ი ქ ვ ე.

ამ გამარჯვებით გულგამაგრებულმა გიორგიმ გადაწყვიტა ესარგებლა ბიზანტიის იმპერიის დასუსტებით და დაებრუნებინა იმპერიის მიერ სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს მიტაცებული მიწა-წყალი. გიორგი II-მ გაილაშქრა და „წაუხუნა ბერძენთა ანაკოფია, თავადი ციხეთა აფხაზეთისა და მრავალნი ციხენი კლარჯეთისა, შავშეთისა და არტანისა“[1].

ამავე ხანებში შემოუერთდა საქართველოს კარის ციხე და მისი მიმდგომი ქვეყნები. გიორგი მეფემ დაიკავა აგრეთვე „ქალაქი კარისა, ციხე-ქუეყანა, და სიმაგრენი ვანანდისა და კარნიფორისა“[2]. ეს ის ტერიტორიაა, რომელიც 1065 წელს თურქთაგან შევიწროებულმა კარის მეფე გაგიკ აბასის ძემ ბიზანტიელებს გადასცა, მაგრამ XI ს. 70-იან წლებში ეს მიწა-წყალი სელჩუკებმა დაიკავეს. მართალია, „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი ამ ტერიტორიის თურქთაგან წართმევას გიორგის მიაწერს, მაგრამ დავითის ისტორიკოსის სიტყვით, ეს მიწები გიორგი მეფეს გადასცა გრიგოლ ბაკურიანის ძემ[3]. ვფიქრობთ, ამ ორი ცნობის შეთანხმება შესაძლებელია, რადგან გრიგოლ ბაკურიანის ძემ, როგორც ბიზანტიის იმპერიის მოხელემ, გიორგი მეფეს სელჩუკთაგან ამ მიწების წართმევის უფლება მისცა, რაც საქართველოს მეფემ განახორციელა კიდეც[4].

მაგრამ მიღწეული წარმატებების დიდი ხნით შენარჩუნება ვეღარ მოხერხდა. „საქართველოს მეზობლად ჩამოსახლებული სელჩუკები, რა თქმა უნდა, ვერ მოითმენდნენ გიორგი მეფის ასეთ წარმატებას. სწორედ ეს იყო უმთავრესი მიზეზი სულთან მალიქ შაჰის ხელმეორედ ლაშქრობისა ამიერკავკასიასა და საქართველოში“[5]. ეს ლაშქრობა და საერთოდ მანაზკერტის ბრძოლის შემდეგ საქართველოს მიმართ საომარ მოქმედებათა გააქტიურება მიზნად ისახავდა დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ამიერკავკასიაში გაბატონებას.

გიორგი მეფის მიერ კარის აღებისთანავე მალიქ შაჰმა დიდძალი ლაშქრით გამოგზავნა საქართველოში ამირა აჰმადი. სელჩუკებმა აიღეს ციხე-ქალაქი კარი. შინაგანმცემელთა წყალობით მოულოდნელად დაესხნენ თავს ყუელს (ჯავახეთში) მდგომ მეფეს და დაამარცხეს ის[6].

თურქებმა აუარებელი სიმდიდრე გაიტაცეს „საჭურჭლენი დიდნი და სამსახურებელნი სამეფოთა ტაბლათანი, ოქროსა და ვერცხლისანი, ბაგრატეულნი სასმურნი და სამწდეონი პატიოსანნი, კარავნი სამეფონი და

---

[1] მ ა ტ ი ა ნ ე, გვ. 317.

[2] ი ქ ვ ე.

[3] ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი (შემდეგში დავითის ისტორიკოსი), ქართლის ცხოვრება, I, გვ. 318.

[4] შდრ. ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა... გვ. 284.

[5] ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, სელჩუკები და საქართველო, გვ. 308.

[6] დავითის ისტორიკოსი, გვ. 319.

ყოველთა დიდებულთანი აიხუნეს იავარად და წარვიდეს"[1]. დამარცხებული გიორგი მეფე დასავლეთ საქართველოში შეიხიზნა. მეფის ლტოლვამ და ალაფის სიმდიდრემ კიდევ უფრო გააქტიურა სელჩუკთა თარეშები და ისინი „მოეფინნეს პირსა ყოვლისა ქუეყანისასა, ვითარცა მკალნი. და დღესა ივანობისასა ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქითა. მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქუეყანათა მკვდრი ყოველი"[2]. ამ დროს მათ გადაწვეს ქალაქები ქუთაისი და არტანუჯი და კლარჯეთის უდაბნონი[3]. „მოჭამეს ქუეყანა და მოსწყვდეს, თუ სადღა ვინ დარჩომილი იყო ტყეთა, კლდეთა, ქუაბთა და ჯურელთა ქუეყანისათა. და ესე იყო პირველი დიდი თურქობა, რამეთუ ქორონიკონი იყო სამასი"[4] (ე. ი. 1080 წელი). დაიწყო „დიდი თურქობა". სელჩუკებმა ამ დროიდან უკვე წესად შემოიღეს ყოველწლიური შემოსევა საქართველოში. გაზაფხულიდან ზამთრის დადგომამდე თარეშობდნენ, არბევდნენ, რის წაღებასაც ახერხებდნენ — მიჰქონდათ და ისე მიდიოდნენ.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ძალიან მუქ და მძიმე ფერებში ხატავს სელჩუკთა თარეშების შედეგად შექმნილ მდგომარეობას: „არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა, მოოჯრდა ქუეყანა და ტყედ გარდაიქცა, და ნაცვლად კაცთა მჯეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვდრნეს მას შინა". მისი სიტყვით, ასეთი საშინელი უბედურება საქართველოს არასოდეს დასტეხია თავს. ეკლესიანი თურქებმა თავის ცხენთა სადგომად აქციეს, წაიბილწა წმინდა ადგილები, დაიხოცნენ ეკლესიის მსახურნი, „მოხუცებულნი არა შეწყალებულ იქნეს, ხოლო ქალწულნი გინებულ, ჭაბუკნი დაკუეთებულ, ხოლო ჩჩვლნი მიმოდატაცებულ. ცეცხლი უცხო და მბრძოლი, რომლითა მოიწუა შენებული ყოველი, მდინარენი სისხლთანი, ნაცვლად წყლის ნაკადულთა, მრწყველნი ქუეყანისანი"[5].

აღწერილი სურათი მართლაც რომ შემაძრწუნებელია. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ დავითის ისტორიკოსი აზვიადებს და ამუქებს ფერებს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ სხვა წყაროთა და განსაკუთრებით სომეხი ისტორიკოსის არისტაკეს ლასტივერტეცის მიერ დახატულ სურათს სომხეთში სელჩუკთა მიერ ჩადენილ საშინელებათა შესახებ, ჩვენი ისტორიკოსის ცნობა გაზვიადებულად აღარ მოგვეჩვენება.

თურქ-სელჩუკთა შემოსევებით შექმნილი მდგომარეობა კიდევ უფრო

---

[1] დავითის ისტორიკოსი, ქ. ცხ., I, გვ. 319.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 320.
[5] იქვე.

დამძიმდა და გართულდა მათი აქ დასახლების გამო. როგორც უკვე აღნიშნულია, სელჩუკები მოდიოდნენ თავიანთი ოჯახებითა და ჯოგებით, სახლდებოდნენ დაპყრობილ მიწა-წყალზე და სამეურნეოდ ვარგის მთელ ფართობს საძოვრებად აქცევდნენ. ნადგურდებოდა საუკუნოვანი ტრადიციების მქონე ინტენსიური სოფლის მეურნეობა. მემინდვრეობა-მებაღეობა-მევენახეობის ადგილს ექსტენსიური მომთაბარულ-მეჯოგური მესაქონლეობა იჭერდა, ადგილობრივი ფეოდალური კლასის ადგილს კი მოსული მომთაბარული არისტოკრატია.

მომთაბარული ელემენტის გაბატონებით ირანში შექმნილი მძიმე მდგომარეობის შესამსუბუქებლად და ირანის ტერიტორიის სელჩუკთაგან გაწმენდის მიზნით, თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს მესვეურნი, სულთანი მალიქ შაჰი და მისი ვაზირი ნიზამ ალ-მულქი, მომთაბარულ მასებს ბიზანტიისა და საქართველოს საზღვრებისაკენ ერეკებოდნენ[1].

განსაკუთრებით დამძიმდა თურქ-სელჩუკთა უღელი მალიქ შაჰის სულთნობის დროს. განსხვავებით თოღრილ ბეგისა და ალფ-არსლანის სულთნობის ხანისაგან, როდესაც ძირითადად მიმდინარეობდა დიდი დაპყრობითი ომები და მიწების გადანაწილება მომთაბარულ არისტოკრატიას შორის, უკვე XI ს. 70-იანი წლებიდან იწყება თურქ-სელჩუკთა ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება ადრედაპყრობილ ქვეყნებზე, აგრეთვე მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ტარდება დაპყრობილი ქვეყნების ადმინისტრაციული და პოლიტიკური დაქვემდებარებისათვის. ამ მიზნით მალიქ შაჰი დიდი არმიით ლაშქრობდა დაპყრობილ ქვეყნებში და მათი მმართველებისაგან მოითხოვდა მორჩილების ფორმისა და ხასიათის ზუსტ განსაზღვრას, ხარკის ოდენობის მტკიცედ დადგენას და სხვ.[2] ამ რიგის ღონისძიებებს კიდევ უფრო უნდა დაემძიმებინა საქართველოს მდგომარეობა.

ამგვარად, XI ს. 80-იან წლებში საქართველოში დაიწყო ე. წ. „დიდი თურქობა". თურქული ტომები დიდი რაოდენობით შემოვიდნენ საქართველოს მიწა-წყალზე. მათ წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელი შეიქმნა და გიორგი II-მ 1083 წ.[3] თავი დამარცხებულად ცნო. იგი ეახლა სულთან მალიქ შაჰს, მორჩილება გამოუცხადა და ყოველწლიურად ხარკის საფასურად ზავი და მშვიდობა ითხოვა. ის მოთხოვნა სულთნისა, რომლის შეს-

---

[1] А. Ю. Якубовский, Сельджукское движение и туркмены в XI в., Известия АН СССР, Отд. общ. наук, 1937, № 4, с. 945. ვ. გაბაშვილი, თურქ-სელჩუკთა შემოსევები და ბატონობა, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 125.

[2] А. А. Али-Заде, К некоторым вопросам, относящимся к истории владычества сельджуков, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966. გვ. 271.

[3] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 229.

რულებაც ბაგრატ IV-ს შეუძლებლად მიაჩნდა, გიორგი II-სათვის სათხოვნელი შეიქნა, მაგრამ შექმნილ ვითარებაში ხარკი შვება უნდა ყოფილიყო ხალხისათვის, რადგან გამუდმებითი თავდასხმები უკანასკნელ ძალას და საარსებო საშუალებას აცლიდა მოსახლეობას. ყოველწლიური და ამასთან ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული ხარკი რაღაც წესრიგს მაინც დაამყარებდა. ასე ფიქრობდა, როგორც ჩანს, გიორგი II, როდესაც რჩევას ეკითხებოდა თავის დიდებულებს და, ეტყობა, ასევე განსაჯა დიდებულთა საკრებულომ, როცა „დაამტკიცეს წარსვლა მაღალსა სულტანსა მალიქშას წინაშე"[1]. გიორგი II სულთანს ეახლა ისფაჰანში. დადებული პირობით საქართველო თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს მოხარკე გახდა. სამაგიეროდ მალიქ შაჰმა „ყოველი სათხოვნელი აღუსრულა მეფესა გიორგის... და სამეფო მისი განათავისუფლა ზედამარბეველთაგან და მოსცა კახეთი და ჰერეთი, გარნა ხარაჯა ითხოვა სამეფოსა მისისა, რომელსა აიღებდეს ჟამთა მრავალთა. და ესრე განდიდებითა და მრავლითა დიდებითა გამოგზავნა თჳსად სამეფოდ და წარმოაყოლნა სპანი დიდნი, რათა წარვლონ გზა მშვიდობისა და რათა აართვან კახეთი"[2].

როგორც ვხედავთ, სულთანმა მალიქ შაჰმა მასთან ზავის სათხოვნელად მისული გიორგი მეფე, ასე ვთქვათ, სულთნურად დაასაჩუქრა და მას კახეთ-ჰერეთი უწყალობა, ე. ი. უწყალობა ის, რაც არ ეკუთვნოდა და რაც გიორგის ბრძოლით უნდა მოეპოვებინა. სულთანმა საერთოდ ძალიან კარგად ისარგებლა საქართველოში შექმნილი მძიმე მდგომარეობით და ბიძგი მისცა ძმათა შორის ახალი ბრძოლის დაწყებას. სამხედრო დავლა და ალაფი ძირითადად მოლაშქრეებს რჩებოდათ, სახელმწიფო ხაზინაში სამხედრო ნადავლის მხოლოდ მეხუთედი შედიოდა, ხარაჯა კი მთლიანად სახელმწიფო სალაროს შემოსავალს შეადგენდა. ასე რომ, თვით სულთნისათვის საქართველოს მიერ ხარაჯის დადება დიდად სასურველი იყო. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ალაფის რაოდენობა ცვალებადი იყო და ის მსხვერპლთანაც იყო დაკავშირებული, ხარაჯა კი ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული ოდენობით მიდიოდა სულთნის სალაროში. ამასთანავე, „ნაჩუქარი" კახეთ-ჰერეთის დასაპყრობად სულთანმა გიორგის სელჩუკთა დიდი ძალა გამოატანა თან, რითაც განახორციელა სელჩუკთა ახალი ტალღების შემოსვლა საქართველოში.

საქართველოში მობრუნებული გიორგი მეფე სულთნის ლაშქრით კახეთს მოვიდა და დაიწყო ბრძოლა კახეთისა და ჰერეთისათვის. მეფე გიორგი ვეჟინის ციხეს შემოადგა. „ჟამსა სთულისასა მოვიდეს კახეთად, — წერს დავითის ისტორიკოსი, — და მოადგეს ციხესა ვეჟინისასა და, ვიდრე

---

[1] დავითის ისტორიკოსი, გვ. 321.

[2] იქვე.

ბრძოდეს-ღა, მოვიდა თოვლი"[1]. კახეთისათვის დაწყებული ბრძოლა გიორგიმ ბოლომდე ვერ მიიყვანა, თვითონ დასავლეთ საქართველოში გადავიდა და ივრისა და ალაზნის ნოყიერი ველები თურქებს დაუტოვა „საჭმელად"[2].

ამგვარად, გიორგიმ ვერც კახეთი და ჰერეთი შემოიერთა და თურქთა ლაშქარს ქართული მიწა-წყალი საძარცვად მისცა. შევიწროებულმა კახეთის მეფემ აღსართანმა ძველი გზა გაიხსენა. იგი ეახლა მალიქ შაჰს, მისი და მამამისის ალფ-არსლანის მეგობრული ურთიერთობა შეახსენა სულთანს, ხელმეორედ მიიღო ისლამი და სულთანმაც კახეთი ახლა უკვე უკეთ ნამსახურ აღსართანს მისცა, რომელმაც „აიღო სულთანისაგან კახეთი"[3]. ისტორიკოსის სიტყვით, „ამათ ესევითართა ჟამთა არავე დამშვდნა ქუეყანა, არცა რა იქმნა ლხინება კაცთა"[4].

ამ ამბების აღმწერი ისტორიკოსი შექმნილი მძიმე უბედურების უმთავრეს მიზეზად გიორგის უგუნურ საქციელს თვლის. ისტორიკოსის განცხადებით, სულთანმა მალიქ შაჰმა მასთან მისული გიორგი მეფე დიდი პატივით მიიღო, გიორგი „შეწყნარებულ იქმნა მისგან (ე. ი. სულთნისგან — მ. ლ.) ვითარცა შვილი საყვარელი". მისივე სიტყვით, მან „ყოველი სათხოველი აღუსრულა მეფესა გიორგის" და ყოველივე მოიმოქმედა „რამეთუ იყო კაცი იგი მალიქშა ვითარცა სიდიდითა კიდეთა მპყრობელობისათა შეუსწორებელ, აგრეთვე სახითა სიტკბოებისათა და სახიერებითა აღმატებულ ყოველთა კაცთასა, მრავალ არიან და სხუანიცა ურიცხვნი საცნაურობანი, მართლ მსაჯულებანი, მოწყალებანი, ქრისტიანეთა სიყუარულნი და, რათა არა განვაგრძოთ სიტყუა, ყოვლად უბოროტო რამე გონება ყოვლით-კერძო აქუნდა"[5]. და ამას წერს ისტორიკოსი, რომელიც თვითონ აღწერს მთელ იმ საშინელებას, რაც მალიქ შაჰის დროს სელჩუკებმა საქართველოს დაატეხეს თავს. იმავე ისტორიკოსის სიტყვით, გიორგიმ საშინელი ქარაფშუტობა გამოიჩინა, როდესაც ის ვეჟინის ციხის ალყად იდგა. მოვიდა თოვლი, „ხოლო მეფესა გიორგის მოეკსენა ნადირობა აჯამეთისა, არასდროს ზრუნავდეს სხუასა, არცა ელოდა აღებასა ვეჟინისასა და კახეთისა, არამედ ლაშქართა თურქთასა, რომელ ჰყვა, მისცა ნიჭად სუჯეთი და ყოველი ქუეყანა იორის პირი კუხეთი, რომელი მოოჯრდა მუნ დღეინდელად დღემდე. ხოლო თჳთ გარდავლო მთა ლიხთა და შთავიდა აფხაზეთად"[6]. როგორც ვხედავთ, ისტორიკოსის განცხადებით, მალიქ

---

[1] დავითის ისტორიკოსი, გვ. 321.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 322.
[5] იქვე, გვ. 321.
[6] იქვე, გვ. 322.

შაჰს გიორგისთვის მხოლოდ სიკეთე უნდოდა, გიორგიმ კი მის ლაშქარს ქვეყანა ააოხრებინა და თვითონ აჯამეთის ტყეში სანადიროდ წავიდა. დავითის ისტორიკოსის ამ განცხადების საფუძველზე ჩვენს ისტორიოგრაფიაში გიორგის სახელს დაუკავშირდა ეს მძიმე დანაშაული. მაგრამ უკანასკნელ ხანს არის ცდა აიხსნას ეს, ერთი შეხედვით მართლაც დაუფიქრებელი და მძიმე ნაბიჯი გიორგი მეფისა. გასათვალისწინებელია ის, რომ სულთანთან მისულ გიორგი მეფეს არავითარი საშუალება არ ჰქონდა უარი ეთქვა მის წყალობაზე და არ წამოეყვანა თან სელჩუკთა ლაშქარი „ნაჩუქარი" კახეთისა და ჰერეთის დაპყრობის მიზნით, მაგრამ ამასთანავე გიორგის უნდა სცოდნოდა, თუ რა მოყვებოდა შედეგად სელჩუკთა მიერ კახეთისა და ჰერეთის აღებას. ამიტომ ერთადერთი, რაც მას შეეძლო გაეკეთებინა, თვითონ მაინც არ მიეღო მონაწილეობა ამ ქართული კუთხის აღებაში და თავისი ლაშქრით არ შეეწყო ხელი სელჩუკებისათვის. ალბათ ამიტომ გაეცალა მათ და დასავლეთ საქართველოში გადავიდა[1].

განცვიფრებას იწვევს დავითის ისტორიკოსის მიერ მალიქ შაჰის დახასიათება და გიორგის ამ ნაბიჯის ასეთი შეფასება. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ისტორიკოსი თავისი გულუბრყვილობის გამო ცდება, მაგრამ დავითის ისტორიკოსი საერთოდ ძალიან კარგად არის გათვითცნობიერებული თავისი დროის პოლიტიკურ მოვლენებში, მშვენივრად ერკვევა სელჩუკთა მიზნებსა და მათი მფლობელობის შედეგად შექმნილ მდგომარეობაში. ამიტომ ვფიქრობთ, რომ გიორგის მიმართ ის ტენდენციურია. მისი ტენდენციურობა მეფე გიორგის მიმართ საერთოდაც იგრძნობა, და ამჯერად კი განსაკუთრებით აშკარად ჩანს. საქმე იმაშია, რომ მისი მიზანი დავითის საქმეთა აღწერაა. მას სურს დახატოს დავითის გამეფების დროისათვის სრულიად გამოუვალი სურათი და, რაც მთავარია, შეამზადოს მკითხველი გიორგის სიცოცხლეშივე სამეფო ტახტზე დავითის აყვანის კანონზომიერებაში, შთააგონოს მას ის, რაც ასეთი ტენდენციური გადახვევების გარეშეც აშკარა გახდა მემკვიდრეებისათვის დავითის საქმიანობის მეოხებით.

მალიქ შაჰთან დადებულმა ზავმა ქვეყანას მშვიდობა ვერ მოუტანა. საქართველოში ჩამომსხდარი მომთაბარენი განაგრძობდნენ ჩვენი ქვეყნის განადგურებას. ყოველწლიურად მომთაბარეთა ახალ-ახალი ტალღები შემოდიოდა საქართველოს მიწა-წყალზე. ასე რომ, მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. თურქთა თარეშით შექმნილ მძიმე მდგომარეობას ზედ საშინელი მიწისძვრა დაერთო — „ქ ̄ კსა ტთ (ე. ი. 1089 წ. — **მ. ლ.**) დასაბამითგან: ხქეგ-აქა დთ (დავით) მეფე დაჯდა და ძვრა იყო"[2].

დავითის ისტორიკოსი ვრცლად აღწერს ამ საშინელ მიწისძვრას: „შეძ-

[1] ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 316 — 317; შდრ. რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ნარკვევები ფეოდალური საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1972, გვ. 53 — 57.

[2] ქრონიკები, I, გვ. 233.

რა ქუეყანა საფუძველითურთ, ესოდენ სასტიკად, ვიდრემდის მთანი მაღალნი და კლდენი მყარნი სახედ მტუერისა დაიგალნეს, ქალაქნი და სოფელნი დაირღუეს, ეკლესიანი დაეცნეს, და სახლნი დაინთქეს და დაზუელეს, და იქმნეს საფლავ მას შინა მკჳდრთა. რომელთა თმოგჳცა დაიქცა და დაიპყრნა ქუეშე კახაბერი ძე ნიანისი ცოლითურთ. და განგრძელდა ესევითარი ძრვა ქუეყანისა საშინელი ვიდრე წელიწდამდის, რომელსა შინა მოსწყდა სიმრავლე ურიცხჳ"[1].

ამგვარად, თურქებმა დაიკავეს საქართველოს მიწა-წყლის დიდი ნაწილი. საქართველოს მეფის ხელისუფლება დასავლეთ საქართველოს ფარგლებს ვერ სცილდებოდა. აღმოსავლეთ საქართველო მათ საძოვრებად და სანადირო ადგილად იქცა.

ქვეყნის მძიმე მდგომარეობა მთელი ძალების მობილიზაციას და საშინაო და საგარეო მტრის წინააღმდეგ ბრძოლას მოითხოვდა.

ამ საშინელი საერთო უბედურების ჟამს, დავითის ისტორიკოსის ლაკონური თქმით, დავითს, რომელიც „მას ჟამსა იყო ჰასაკითა თექუსმეტისა წლისა, ხოლო ქრონიკონი სამას და ცხრა (ე. ი. 1089 წ.) ამას მარტოდ შობილს გიორგისგან თჳთ მამამან დაადგა გჳრგჳნი მეფობისა"[2]. დავითის ისტორიკოსი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რატომ დაუთმო ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა გიორგიმ ტახტი შვილს[3], მაგრამ ამაში, უნდა ვიფიქროთ, გარკვეული როლი იმან შეასრულა, რომ ქვეყანა თურქთა წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის ორგანიზატორს საჭიროებდა. გიორგი მეფე კი საამისო ღირსებებს მოკლებული ჩანდა და დიდმა აზნაურთა წრემ პოლიტიკური გადატრიალება მოახდინა სამეფო კარზე[4].

ქართველ ხალხს უდიდესი საფრთხე ემუქრებოდა. „თურქების შემოსევა არსებითად განსხვავდებოდა ბიზანტიელების თუ არაბების ბატონობისაგან. თურქები მომთაბარე-მეჯოგენი იყვნენ. ისინი გადმოსახლებით მოდიოდნენ და დაპყრობილ ქვეყნებში თავისი მეურნეობისათვის საჭირო მიწებს იჭერდნენ. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ხაზგასმით აღნიშნავს, თუ როგორი შეუთავსებელი და ერთმანეთის გამომრიცხველი იყო ორი მეურნეობა — თურქულ-მომთაბარული და ქართულ-ფეოდალური"[5]. თურქთა ჩამოსახლების ყველაზე მძიმე შედეგი ის იყო, რომ ის „ქართულ მეურნეობას საფუძველს (მიწას) აცლიდა და მას ერთიანად გადაშენების საფრთხეს უქმნიდა"[6].

---

[1] დავითის ისტორიკოსი, გვ. 323.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 324.

[3] გიორგი II ცოცხალია 1112 წლამდე. თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, გვ. 233 — 234, 239.

[4] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, გვ. 25 — 27.

[5] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, 1971, გვ. 158.

[6] ი ქ ვ ე.

თავი მესამე

საქართველო XI ს. ბოლოსა და XII ს. პირველ მეოთხედში. დავით IV აღმაშენებელი

ახლად გაერთიანებული საქართველო კატასტროფის პირამდე მივიდა თურქ-სელჩუკთა შემოსევების შედეგად. XI ს. სელჩუკთა მფლობელობის ქვეშ იმყოფებოდა ვრცელი ტერიტორია ცენტრით ისპაჰანში (შუა აზია, ირანი, არაბეთის ერაყი, თითქმის მთელი მცირე აზია, სომხეთი, საქართველო, აზერბაიჯანი, ბიზანტიის იმპერიის ნაწილი).

განვითარების საკმაოდ დაბალ საფეხურზე მდგომმა თურქ-სელჩუკებმა შედარებით ადვილად დაიპყრეს მათზე მეტად განვითარებული ხალხები. თურქ-სელჩუკები არც რიცხობრივად იყვნენ ბევრად მეტნი მათ მიერ დაპყრობილ ხალხებზე და არც შეიარაღებით ჯობნიდნენ მათ, მაგრამ მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ფეოდალური დეცენტრალიზაცია ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა მტკიცედ ცენტრალიზებულ თურქებს და უადვილებდა მათ წინააღმდეგ ბრძოლას. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ჯარის ორგანიზაციის სისტემას. თურქ-სელჩუკებს მუდმივი ლაშქრის ტიპის ცენტრალურ ხელისუფლებაზე დამოკიდებული ლაშქარი ჰყავდათ, მათ წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნების ლაშქრის ორგანიზაცია ფეოდალურად დაქუცმაცებულ საწყისებზე იყო მოწყობილი, რაც აძნელებდა თურქებთან ბრძოლას.

კერძოდ, საქართველოს დაპყრობა მათ მიერ მრავალი საშინაო და საგარეო მნიშვნელობის ფაქტორით იყო განპირობებული. XI საუკუნეში ჩვენში სრულდებოდა ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნისა და ხელისუფლების ცენტრალიზაციის პროცესი. უშუალოდ თურქთა შემოსევების დროისათვის (XI ს. 60-იანი წლები) მეფე ბაგრატ IV-მ შეძლო ქართული მიწების უდიდესი ნაწილის ერთ სამეფოდ გაერთიანება და ხანგრძლივი ბრძოლიდან ფეოდალური არისტოკრატიის იმ დაჯგუფების წინააღმდეგ, რომელიც მეფის ძლიერ ერთპიროვნულ ხელისუფლებას არ ემორჩილებოდა, გამარჯვებული გამოვიდა. ეს შინაკლასობრივი ბრძოლა, როგორც უკვე აღნიშნული იყო, მჭიდროდ ეხლართებოდა ბიზანტიასთან ურთიერთობას. ბიზანტიასთან ომიც საკუთრივ ქართული მიწებისათვის

მთელი XI ს. მანძილზე წარმოებდა. ფაქტიურად საქართველომ ეს ომიც მოიგო, მაგრამ ხანგრძლივი და მომქანცველი ბრძოლები დიდ მსხვერპლს მოითხოვდა და ეს გამარჯვება ახლად გაერთიანებულ საქართველოს ძვირად დაუჯდა.

ასე რომ, თურქ-სელჩუკთა შემოსევების დროისათვის საქართველოს ამ ბრძოლების ჭრილობები არ ჰქონდა ჯერ მოშუშებული, გაერთიანებისათვის ბრძოლაც არ იყო ბოლომდე მიყვანილი — თბილისი და მისი ოლქი ისევ მაჰმადიან მფლობელებს ეპყრათ, ხოლო კახეთ-ჰერეთის შემოერთებას ის-ის იყო ამთავრებდა ბაგრატი. თურქ-სელჩუკების შემოსვლამ საქართველოს მიწა-წყალზე ერთბაშად აამოძრავა მეფის ძლიერი ცენტრალისტური ხელისუფლებით უკმაყოფილო ფეოდალები და ხელსაყრელი პირობები შექმნა ჯერ კიდევ არცთუ ისე მტკიცედ შემოერთებული კახეთისა და ჰერეთის განდგომისათვის.

არახელსაყრელი მდგომარეობა იყო საქართველოს ირგვლივაც. XI ს. 80-იანი წლებისათვის თურქ-სელჩუკებმა მთლიანად დაიპყრეს რან-შარვანი. დამოუკიდებელი სომხეთი აღარ არსებობდა. XI საუკუნის მანძილზე ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლების შემდეგ სომხური სამეფო-სამთავროები ბიზანტიის ხელში აღმოჩნდა, ხოლო შემდეგ სელჩუკებმა დაიპყრეს. ასე რომ, აქედან საქართველოს მისადგომებს არავინ არ ამაგრებდა. ბიზანტიის იმპერიამ X — XI საუკუნეების მანძილზე მთელი თავისი ძალები ბულგარელებთან, ჩრდილო კავკასიელ მომთაბარეებთან და სომხეთსა და საქართველოსთან ომს შეალია. საგრძნობლად დაასუსტა იმპერია გაუთავებელმა შინაპოლიტიკურმა ბრძოლამაც, რამაც შეუწყო ხელი ბიზანტიის დამარცხებას სელჩუკებთან ბრძოლაში.

საქართველო ენერგიულ წინააღმდეგობას უწევდა თურქებს, მაგრამ მარტო დარჩენილი და ყოველი მხრიდან სელჩუკებით გარშემომდგარი, ამასთან შინა უთანხმოებებით დასუსტებული ქვეყანა დამარცხდა მტერთან ბრძოლაში. დავითს მძიმე მემკვიდრეობა ხვდა წილად — დანგრეული და აშლილი ქვეყანა, ამოწყვეტილი და აყრილ-გახიზნული მოსახლეობა.

დავითის პოლიტიკური საქმიანობა გეგმაზომიერი და მიზანდასახული იყო. პირველ რიგში, საჭირო იყო წესრიგის დამყარება ქვეყნის შიგნით, დიდგვარიან საერო და საეკლესიო ფეოდალთა ალაგმვა, სახელმწიფოს მმართველობის აპარატის ცენტრალიზაცია და ჯარის რეორგანიზაცია იმ ტიპის ლაშქრად, რომელიც უკეთ დაუპირისპირდებოდა თურქ-სელჩუკთა ლაშქარს.

ამგვარად, დავითის პოლიტიკური ღონისძიებანი ორი ძირითადი მიმართულებით წარიმართა: ქვეყნის საშინაო საქმეების მოწესრიგება და თურქ-სელჩუკების განდევნა.

§ 1. საქართველოს ფეოდალური მონარქიის გაძლიერება. დავით IV-ის რეფორმები

დავითმა თავის გარშემო შემოიკრიბა ერთგული, საქვეყნო საქმისათვის თავდადებული მოღვაწენი, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავი იყვნენ მეფის მწიგნობართუხუცესი გიორგი და მეფის მოძღვარი არსენი. ახასიათებს რა გიორგის, დავითის ისტორიკოსი წერს, რომ ის იყო „კაცი სრული ყოვლითა, სიკეთითა სულისა და ჯორცთასა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა, განმზრახი, სჯანი და ფრთხილი, თანააღზრდილი აღმზრდელი პატრონისა და თანაგანმკაფველი ყოველთა გზათა, საქმეთა და ღუაწლთა მისთა“[1]. გიორგი, ისტორიკოსის სიტყვით, „თავადგა სიყრმითგანა პატრონისა მსახურებათათჳს“[2].

უპირველეს ამოცანად დავითმა დაისახა საკუთრივ ქართლის გაწმენდა ჩამოსახლებულ თურქთაგან და აყრილ-გაქცეული მოსახლეობის მამა-პაპათა ნასახლარებზე დაბრუნება.

დავითმა ნელ-ნელა შეადგინა ერთგული სამხედრო რაზმები, რომელნიც ძირითადად ყმა მოლაშქრეებისა და წვრილი მსახურეული აზნაურებისაგან შედგებოდა. დავითის რაზმები გუნდ-გუნდად დაყოფილნი თავს ესხმოდნენ ქართლში ჩამომსხდარ თურქებს, ერეკებოდნენ მათ და გაქცეულ და აყრილ მოსახლეობას დაბრუნებისა და მეურნეობის აღდგენის საშუალებას აძლევდნენ.

ფართო საქმიანობისა და თურქთა წინააღმდეგ შეტევაზე გადასვლისათვის აუცილებელი იყო ქვეყნის შიგნით მდგომარეობის განმტკიცება და ურჩი დიდგვარიანი ფეოდალების სახელმწიფოს ცენტრალური მმართველობისათვის დაქვემდებარება. ასეთ ურჩ ფეოდალთაგან ყველაზე დაუმორჩილებელი და ძლიერი ისევ კლდეკარის ბაღვაშთა სახლი, კერძოდ, ერისთავი ლიპარიტ IV რჩებოდა, რომელიც, როგორც ისტორიკოსი გვაუწყებს, „მეფესა დავითს წინაშე იყო რეცა ერთგულად“[3]. მაგრამ ლიპარიტმა მალე გამოამჟღავნა თავისი სახე და 1093 წ. დავითისათვის აშკარა გახდა, რომ „ლიპარიტ ამირამ იწყო მათვე მამულ-პაპურთა კუალთა სლვა“[4]. არ ჩანს კონკრეტულად რაში გამოიხატა ლიპარიტის „მამულ-პაპურთა კუალთა სლვა“, მაგრამ აშკარაა, რომ დავითის წინააღმდეგ რაღაც მზადდებოდა და „დავით ინება გაწურთა მისი“, და შეიპყრო ლიპარიტი. ამ უკანასკნელმა მოინანია ცოდვები და შუამდგომელთა მეცადინეობით მეფემ ფიცით შემომტკიცებული ლიპარიტი გაათავისუფლა და თავის

---

[1] დავითის ისტორიკოსი, გვ. 336.

[2] იქვე, გვ. 337.

[3] იქვე, გვ. 324.

[4] იქვე, გვ. 325.

ძველ დიდებაში აღადგინა. მაგრამ ლიპარიტი 1095 წ. დავითმა ისევ შეიპყრო და ორი წლის პატიმრობის შემდეგ 1097 წ. ბიზანტიაში გააძევა[1]. 1103 წ., როდესაც გარდაიცვალა რატი, ძე ლიპარიტისი, დავითმა გააუქმა კლდეკარის საერისთავო, როგორც ადმინისტრაციული ერთეული. რატის გარდაცვალებით „დასრულდა სახლი ბაღვიეაშთა, სახლი განმამწარებელთა, რამეთუ სუა უკანასკნელი თხლე რისხვისა, სასუმელი ცოდვილთა ქუეყანისათა, და არღარავინ დაშთა საყოფელთა მათთა მკჳდრი"[2].

კლდეკარის საერისთავო მეფემ თავისად დაიჭირა. დავითის ეს ღონისძიება სრულიად ეთანხმება მისი სახელმწიფოებრივი საქმიანობის საერთო ხაზს, რომლის მიზანი საქართველოს საბოლოო გაერთიანება და ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნა იყო მეფის ძლიერი ერთპიროვნული ხელისუფლებით. ამ ძლიერი საერისთავოს გაუქმებით მან მნიშვნელოვნად დაასუსტა ოპოზიცია და გააძლიერა სამეფო ხელისუფლება. საქართველოს ერთ სამეფოდ შეკვრისათვის აუცილებელი იყო, რომ თრიალეთი მეფის ხელთ ყოფილიყო, რადგან აქ გადიოდა უმოკლესი გზა, რომლითაც საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი მის სამხრეთ-დასავლეთ მხარეს უკავშირდებოდა. ამასთანავე, თრიალეთს დიდი სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა და ამან განაპირობა საქართველოს გაერთიანების დაწყებისთანავე ჯერ აფხაზთა მეფეების, ხოლო შემდეგ გაერთიანებული საქართველოს მეფეების გამუდმებული ბრძოლა ამ პროვინციისათვის[3]. ბაღვაშთა მსგავსად, დავითის პოლიტიკის მოწინააღმდეგე იყო აბულეთისძეთა ფეოდალური სახლი, რომლის წარმომადგენელს ძაგანს დავითმა ყველაფერი ჩამოართვა[4]. ლიპარიტის და სხვათა ბედი სამაგალითოც იქნებოდა დიდგვარიანებისათვის, რომელთათვისაც აშკარა იყო, რომ დავითი არ იმეორებს თავის მამის მეთოდებს მეამბოხე ფეოდალთა მიმართ და ურჩებს კი არ ასაჩუქრებს, პირიქით, სათანადოდ უსწორდება. ჩანს, გრძელდება ზემოთ აღნიშნული საქართველოს გაერ-

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 195. დავითის ისტორიკოსი, გვ. 325. განსხვავებულ ქრონოლოგიას გვთავაზობს რ. მეტრეველი: ლიპარიტის ხელმეორედ შეპყრობას ის 1094 წლით ათარიღებს, ხოლო გაძევებას 1096 წ. (იხ. რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1973, გვ. 78 — 82).

[2] დავითის ისტორიკოსი, გვ. 326. შდრ. რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 80 და სხვ.

[3] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966, გვ. 65 — 66.

[4] ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი, ქართული სამართლის ძეგლები, II, გამოც. ი. დოლიძის მიერ, თბ., 1966, გვ. 13. რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 84 და სხვ.

თიანებისთანავე დაწყებული პროცესი ძველ ადმინისტრაციულ ერთეულთა, საერისთავოთა გაუქმებისა[1].

საქართველოს სამეფოს საზღვრების გაფართოებასთან ერთად დავითის დროსვე შეიძლება შექმნილიყო მონაპირე-მოსაზღვრე ქვეყანათა საგანგებო ერთეულები, რომელთაც თამარის ეპოქაში „სანაპირო“, ხოლო მათ მმართველებს „მონაპირენი“ ეწოდებათ[2].

ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის ბრძოლა არ შეიძლებოდა მხოლოდ დიდგვარიან საერო ფეოდალთა წინააღმდეგ ბრძოლით შემოფარგლულიყო, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ეკლესიის ადგილს და მის მდგომარეობას სახელმწიფოში. საქართველოს საბოლოო გაერთიანება და ერთიანი ცენტრალური მმართველობის დამყარება ეკლესიის სახელმწიფოსადმი დამორჩილებას გულისხმობდა.

X — XI საუკუნეებში ქართულ ეკლესიაში გაძლიერდა ფეოდალური არისტოკრატიის გავლენა, რასაც განსაკუთრებით შეუწყო ხელი ამ დროისათვის აქ საბოლოოდ ფესვგამდგარმა მემკვიდრეობითმა წესმა, რომლის ძალით უმაღლეს საეკლესიო თანამდებობათა დაკავება მხოლოდ მაღალი წოდების წარმომადგენლებს შეეძლოთ[3].

იმუნიტეტმოპოვებულ და გაძლიერებულ ეკლესიას უკვე აღარ აწყობდა ძლიერი საერო ხელისუფალი. სახელმწიფო ცდილობდა ეკლესია თავის მოკავშირედ შეენარჩუნებინა. ისევე როგორც საერო ფეოდალებში, ეკლესიაშიც სახელმწიფო ხელისუფლებას ჰყავდა თავისი მომხრენიც და მოწინააღმდეგენიც. დავითმა თავისი მომხრეების მხარდაჭერით შეძლო იმ დიდი ღონისძიების გატარება, რომელიც რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ განახორციელა. დავითის მომხრეთა შორის უნდა ყოფილიყვნენ გიორგი ჭყონდიდელი, არსენ ბერი, დავითის მოძღვარი, კათალიკოსი და სხვა საეკლე-

---

[1] ძნელია თქმა, რა დაუპირისპირა დავითმა საერისთავოს. შ. მ ე ს ხ ი ა ს ვარაუდით, ასეთის როლში „საკარგავი“ უნდა გამოსულიყო, რომელიც მას, წინააღმდეგ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული მოსაზრებისა, ფეოდალის სამსახურის სანაცვლოდ სამეფო ხაზინიდან მიღებულ ფულად სარგოდ მიაჩნია (იხ. „ძლევაჲ საკვირველი“, თბ., 1972, გვ. 31). ჩვენ უფრო იმ აზრს ვემხრობით, რომ ძირძველ ერისთავებს დავითმა „მოსაკარგავე აზნაურები“ და მფლობელობის სამამულო სისტემას საკარგავების სისტემა დაუპირისპირა. „საკარგავი“ კი გვესმის როგორც სამსახურის სანაცვლოდ მიღებული პირობითი მფლობელობა.

[2] შ. მ ე ს ხ ი ა, „ძლევაჲ საკვირველი“, გვ. 32; შ. მესხიას დავითის დროინდელი ასეთი სანაპირო ერთეულების მმართველების სახელწოდებად „მარზპანი“ და, შესაბამისად, ერთეულის სახელად „სამარზპანო“ მიაჩნია (იქვე, გვ. 32—33). აღნიშნულ საკითხებზე იხ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII.

[3] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. II, თბ., 1929, გვ. 72.

სიო მოღვაწენი. ცალკეულ სასულიერო პირთა გარდა, მეფის პოლიტიკის მხარდამჭერად, ჩანს, ზოგი ეკლესია-მონასტერიც გამოდიოდა.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ძალიან მუქ ფერებში აღწერს ეკლესიაში შექმნილ ვითარებას. მისი სიტყვით, „წმინდანი ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი, ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნეს"[1]. ყოველგვარი უწესოება ეკლესიებიდან მომდინარეობდა, „რომელნი ნაცვლად სჯულთა საღმრთოთა ურჯულებასა აწურთიდეს მათ ქუეშეთა ყოველთა"[2]. მთელი ამ უბედურების უმთავრეს მიზეზად ისტორიკოსს ის მიაჩნია, რომ „უღირსთა და უწესოთა მამულობით უფრო, ვიდრე ღირსებით დაეპყრნეს უფროსნი საეპისკოპოსონი, ვითარცა ავაზაკთა, და მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსნი დაედგინნეს", სწორედ აქედან გამომდინარეობდა ის, რომ „სახლით უფლისათ და მღდელთაგან გამოვიდოდა ყოველი ურჯულოება და ცოდვა"[3].

ყურადღებას იქცევს ყველა წყაროს ერთნაირი შეფასება საეკლესიო პირებისა, როგორც „უღირსებისა". რატომ არიან ისინი უღირსნი ან ვისი თვალსაზრისით არიან „უღირსნი"?!

ცნობილია, რომ გარკვეული ნაწილი ალბათ მართლაც უღირსი იყო იმ თანამდებობისა, რომელიც მას ეკლესიაში ეკავა, რადგან უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტი ხანია, რაც წყაროებით დასტურდება საეკლესიო თანამდებობათა გაყიდვა. მაგრამ საქმე ხომ მარტო მათ არ შეეხებათ. ასეთებთან ბრძოლა არც ისე ძნელი უნდა ყოფილიყო, მით უმეტეს ისეთი ძლიერი მეფისათვის, როგორიც დავით აღმაშენებელია. მაგრამ აქ „უღირსად" მარტო ისინი კი არ ითვლებიან, ვინც თავიანთი განათლებითა თუ ცენზით არ არიან მათ მიერ დაკავებულ თანამდებობათა შესაფერნი, არამედ უმთავრესად ისინი, ვინც მეფის თვალსაზრისით, სამეფო დასის შეხედულებითა და სახელმწიფოს ცენტრალისტური პოლიტიკის აზრით არიან „უღირსნი". მოწინააღმდეგე დაჯგუფების თვალსაზრისით კი ისინი ალბათ სრულიად ღირსეულნი არიან. ასეთ „უღირსთა" ოპოზიცია, ჩანს, ძალიან ძლიერი იყო. მეფის წინააღმდეგ მთელი მონასტრები გამოდიან, რომელნიც დავითმა ამის გამო „გაამწარა"[4] და, რაც მთავარია, ამ „უღირსთა" გადასაყენებლად საჭირო გახდა საგანგებო საეკლესიო კრების მოწვევა. ნიშანდობლივია, რომ ამ საეკლესიო კრების ოქმის პირველი მუხლი სწორედ ამ „უღირსთაგან" ეკლესიის გაწმენდის ფიქსირებას ახდენს.

1103 წ. დავით აღმაშენებელმა საგანგებოდ ჩატარებული დიდი სამზა-

---

[1] დავითის ისტორიკოსი, გვ. 327.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] ანდერძი დავით აღმაშენებლისა, ქართული სამართლის ძეგლები, II, გამოც. ი. დ ო ლ ი ძ ი ს მიერ, თბ., 1966, გვ. 20.

დისის შემდეგ განახორციელა რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მოწვევა, რომლის მიზანი იყო ეკლესიაში მოკალათებული მეფის მოწინააღმდეგე დასის განდევნა და უმაღლეს საეკლესიო თანამდებობებზე მეფის ცენტრალისტური პოლიტიკის მომხრეთა დანიშვნა-აღზევება. ამ მნიშვნელოვანი საქმის მომზადებისას, როგორც ითქვა, დავითს მხარში უდგნენ გიორგი მწიგნობართუხუცესი, რომელსაც ამ საეკლესიო კრების „ძეგლის წერა" კრების „თვალს"[1] უწოდებს, იოვანე კათალიკოსი, ამავე დოკუმენტით დახასიათებულია, როგორც „ყოვლად ღირსი მთავარეპისკოპოსი, კათალიკოსი და ყოვლისა საქართველოსა დიდი მამათ მთავარი"[2], წმინდა ბერი და სულიერი მამა ევსტრატი, არსენ მონაზონი და სიმრავლე „მამათა მღდელთმთავართა მღდელთა და მონაზონთა"[3].

რუის-ურბნისის კრების დადგენილებით, ეკლესიიდან განდევნილ იქნენ არაღირსებისამებრ აღზევებული მღვდელმსახურები და მათ მაგიერ ღირსნი და მეფის ხელისუფლების მომხრე პირები დაინიშნენ[4]. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მაღალ შეფასებას აძლევს რუის-ურბნისის საეკლესიო კრებასა და მის დადგენილებას: „ძეგლი შუენიერი ჰეშმარიტისა სარწმუნოებისა აღწერეს, მიმდგომი და მოწამე წმიდათა ათორმეტთა კრებათა"[5]. ისტორიკოსი არ მალავს, რომ ძნელი იყო უღირს მღვდელთმთავრებთან ბრძოლა, რადგან ისინი „იყვნეს კაცნი მთავართა და წარჩინებულთა შვილნი"[6]. მაგრამ, მიუხედავად ამისა, „უღირსად გამოჩინებულნი განკუეთნეს და შეაჩუენნეს, გარდამოსთხინეს საყდართაგან"[7], ხოლო მათ მაგიერ საეკლესიო კრებამ სხვანი დაადგინა: „ჰეშმარიტნი მწყემსნი და სათნონი ღმრთისანი"[8]. „ამით დავით მეფის პოლიტიკური მიზანი მიღწეული იყო. მან დიდგვარიანთა რეაქციულ ოპოზიციას ჩამოაშორა დიდი ზნეობრივი და ნივთიერი ძალის მქონე მოკავშირე. მას შემდეგ საქართველოს ეკლესია მთელი თავისი შეძლებით მხარში ამოუდგა მეფეს გარეშე თუ შინაურ მტრებთან ბრძოლაში"[9].

მართალია, დავით აღმაშენებელმა მიაღწია იმას, რომ მეფემ მოიპოვა უფლებები ეკლესიაზე, ეკლესიაც შეურიგდა დავითის ჩარევას მის საქ-

---

[1] რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლის წერა, ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 126.

[2] იქვე, გვ. 114.

[3] იქვე, გვ. 126.

[4] იქვე, გვ. 114 — 115.

[5] დავითის ისტორიკოსი, გვ. 328.

[6] იქვე.

[7] იქვე.

[8] იქვე.

[9] საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, I, 1958, გვ. 157 — 158.

მეებში[1], მაგრამ ამ უფლებას განმტკიცება-შენარჩუნება ესაჭიროებოდა და სწორედ ამას ისახავდა მიზნად მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდელის თანამდებობათა გაერთიანება.

მწიგნობართუხუცესის, როგორც მეფის ხელშინაური მოხელის არსებობა, წყაროებით XI საუკუნიდანაა დადასტურებული[2], თუმც გამორიცხული არ არის მისი უფრო ადრე არსებობის შესაძლებლობაც.

მწიგნობართუხუცესად, როგორც ჩანს, თავიდანვე ბერი ინიშნებოდა[3]. ამავე დროს მეფის ეს „ხელშინაური" მოხელენი იმთავითვე მეფის ერთგულებით იყვნენ ცნობილნი. „მწიგნობართუხუცესობა სავსებით ცენტრალური ხელისუფლებისაგან იყო დამოკიდებული. ამ ჯელსა და მეფის უფლების ძლიერებას შორის პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება იყო: რაც უფრო ძლიერი იყო მეფე (და სამეფო კარი), მით უფრო ძლიერი და მნიშვნელოვანი იყო მწიგნობართუხუცესობა და პირუკუ. ბუნებრივია, ამიტომ, რომ მწიგნობართუხუცესი ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება-განდიდების თავდადებული მომხრე და მოღვაწე უნდა ყოფილიყო"[4]. მწიგნობართუხუცესის ერთგულება მეფისადმი ამ ჯელის ბუნებით და მისი მდგომარეობითაა განპირობებული. ფეოდალურ ქვეყანაში კარის მოხელეებს სამსახურის სანაცვლოდ მეფისაგან ეძლეოდათ დიდი სამფლობელოები, ხოლო კარის მოხელე დიდი ფეოდალები, როგორც წესი, ამჟღავნებდნენ როგორც მაღალი თანამდებობების, ისე ამ თანამდებობასთან დაკავშირებული სამფლობელოების მემკვიდრეობით საკუთრებად გადაქცევის ტენდენციას. მწიგნობართუხუცესი კი როგორც ბერი, ასეთი ტენდენციისაგან თავისუფალი იყო.

მეფის პოლიტიკის მომხრეობით ხასიათდება თავისი მდგომარეობით ჭყონდიდის ეპისკოპოსი.

ჭყონდიდის საეპისკოპოსო კათედრა X ს. პირველ ნახევარში დააარსა ეგრის-აფხაზეთის მეფემ გიორგიმ. ჭყონდიდის საეპისკოპოსო, ისევე როგორც აფხაზთა მეფეების მიერ დაარსებული რიგი სხვა ქართული კათედ-

---

[1] ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა VIII — XII საუკუნეების საქართველოში, კრ. „საქართველო რუსთაველის ხანაში", თბ., 1966, გვ. 84. იხ. აგრეთვე რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, შინაკლასობრივი ბრძოლა... გვ. 229 და სხვ.

[2] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 6; მართალია, ჩვენთვის არ არის ცნობილი, თუ როდის გაჩნდა მწიგნობართუხუცესობა ჩვენში, მაგრამ რადგან მისი არსებობა შესაბამისი ბიუროკრატიული მმართველობის არსებობას გულისხმობდა და რადგან XI ს. 40-იან წლებში მწიგნობართუხუცესი უკვე დადასტურებულია, შეიძლება ამ ინსტიტუტის შემოღება გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის სახელს დავუკავშიროთ.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 7—10.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 32.

რები დასავლეთ საქართველოში, ბერძნული ეკლესიის გავლენის საპირისპიროდ იყვნენ აღზევებულნი და ამდენად სრულიად კანონზომიერია ჭყონდიდის ეპისკოპოსის ერთგულება მეფის ხელისუფლებისადმი[1]. ჭყონდიდის ეპისკოპოსი ამავე დროს ყველაზე წარჩინებული იყო დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსთა შორის და „მას ახასიათებდა მეფის ხელისუფლებისადმი ერთგულობის ორსაუკუნოვანი ტრადიცია"[2]. მწიგნობართუხუცესს, როგორც ბერს, ხოლო ჭყონდიდელს, როგორც ეპისკოპოსს, ხელი მიუწვდებოდათ საეკლესიო საქმეებზე. სწორედ ამიტომ რუის-ურბნისის კრების შემდეგ, 1103 — 1110 წლებს შუა[3] ან უფრო უშუალოდ კრების შემდეგ 1103 — 1104 წწ.[4] დავით აღმაშენებელმა ეს ორი „ჯელი" გააერთიანა და შექმნა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის ინსტიტუტი. ამიერიდან კიდევ უფრო გაიზარდა ჭყონდიდელის როლი ეკლესიაში და თუ მწიგნობართუხუცესი, როგორც მეფის სამდივანმწიგნობროს მეთაური, მეფის შემდეგ პირველი პირი იყო სახელმწიფოში, ეკლესიაში კათალიკოსის შემდეგ ყველაზე დიდი გავლენით ჭყონდიდელი სარგებლობდა. ამ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის მეშვეობით მეფე უშუალოდ ერეოდა ეკლესიის საშინაო საქმეებში და კარნახობდა ეკლესიას თავის ნებას.

ნიშანდობლივია, რომ ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის არსებობის შანძილზე ეს ჯელი თითქმის უცვლელად განაგრძობდა არსებობას და დავით IV-ის მიერ გატარებული ღონისძიება, იშვიათი გამონაკლისის გარდა, თითქმის არ დარღვეულა. ესეც, თავის მხრივ, მოწმობს ამ რეორგანიზაციის დროულობასა და საჭიროებას.

იმთავითვე ნათელი უნდა ყოფილიყო დავითის ამ ღონისძიების მნიშვნელობა ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისათვის. ამიტომ ის არასასურველი იქნებოდა დიდგვარიანი ფეოდალებისათვის. მეფის პოლიტიკასა და ამ დიდგვარიანთა შორის ბრძოლის გამოძახილი შეიძლება იყოს ის გარემოება, რომ 1118 წლიდან (გიორგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის გარდაცვალებიდან) 1125 წლამდე ჭყონდიდელი ჩვენთვის უცნობი და, როგორც ჩანს, დავითისათვის არცთუ სასურველი პირია[5]. გიორგის გარდაცვალებისას მწიგნობართუხუცესობა დავითმა გიორგის დისწულს სვიმონ ბედიელ-ალავერდელს მისცა და მხოლოდ 1125 წ. მიუმატა მას ჭყონდიდლობაც[6]. ნიშანდობლივია თვით ამ სვიმონის ბედიელ-ალა-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 53—54.

[2] იქვე, გვ. 55 — 56.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი პირველი, გვ. 126.

[4] რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, თბ., 1965, გვ. 50.

[5] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., წ. III, გვ. 11.

[6] იქვე.

ვერდელობაც, რადგან ერთი პირის ხელშია გაერთიანებული დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორეული (ბედია, ალავერდი) კათედრები, რაც დავითის გამაერთიანებელი პოლიტიკის ერთ-ერთი აშკარა გამოვლინებაა[1].

ამგვარად, დავითის ღონისძიებათა შედეგად ეკლესია მეფის ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს დაუქვემდებარდა[2]. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა დავითის ისტორიკოსის განცხადება, რომ „კუალად მონასტერნი და საეპისკოპოსონი და ყოველნი ეკლესიანი წესსა და რიგსა ლოცვისასა და ყოვლისა საეკლესიო განგებისასა დარბაზის კარით მიიღებდიან, ვითარც კანონსა უცთომელსა, ყოვლად შუენიერსა და დაწყობილსა, კეთილწესიერებასა ლოცვისა და მარხვისასა“[3]. სახელმწიფო ხელისუფლებისაგან ეკლესიის დამოკიდებულების უფრო ნათლად დადასტურება ალბათ გაძნელდებოდა! ამავე დროს, სასულიერო წრეების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ სახელმწიფოს უზენაესი ორგანოების საქმიანობაში, მაგალითად, კათალიკოსი, მონასტერთა წინამძღვარი და სხვა მაღალი სასულიერო პირნი სამეფო დარბაზსაც ესწრებოდნენ[4].

მეფეც დიდად ზრუნავდა ეკლესია-მონასტრებზე და საგრძნობ შეღავათებსაც აძლევდა მათ; ეწეოდა საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობას, სწირავდა ეკლესია-მონასტრებს მამულებს და, რაც მთავარია, ანიჭებდა სრულ საგადასახადო შეუვალობას[5]. როგორც დავითის ისტორიკოსი გვაუწყებს, დავითმა „განათავისუფლნა არა მონასტერნი ოდენ და ლავრანი მოსაკარგავეთა მაჭირვებელთაგან, არამედ ხუცესნიცა სამეფოსა შინა მისსა ყოვლისა ჭირისა და ბეგრისაგან, რათა თავისუფალთა საღმრთო მსახურება მიუპყრან ღმერთსა“[6]. ეკონომიკურად წელმაგარ და პოლიტიკურად გამარჯვებული ქვეყნის მმართველს უფლება აქვს ასეთი ნაბიჯი გადადგას და მის ხელქვეით მყოფ ეკლესიას ეს დიდი შეღავათი მისცეს. ეკლესიის დამორჩილება სახელმწიფოსადმი იყო უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა ხელისუფლების ცენტრალიზაციის თვალსაზრისით. „საეკლესიო რეფორმებს მოჰყვა უმნიშვნელოვანესი ცვლილებანი სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, რომელთაც ჩაუყარეს საძირკველი ქართული სახელმწიფოს ძლიერებასა და მეფის შეუზღუდველ ხელისუფლებას, თვითმპყრობელობას“[7].

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, 1974, გვ. 29, 90.

[2] ბ. ლომინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 85.

[3] დავითის ისტორიკოსი, გვ. 352.

[4] ბ. ლომინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 86.

[5] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, 1907, გვ. 53—54, ბ. ლომინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 86.

[6] დავითის ისტორიკოსი, გვ. 353.

[7] საქართველოს ისტორია, I, 1946, გვ. 183.

* * *

დავით IV-ის მიერ გატარებული ღონისძიებანი სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ცენტრალიზაციის ხაზით მარტო ჭყონდიდელ-მწიგნობართ-უხუცესის გაერთიანებული ინსტიტუტის შექმნით არ ამოიწურებოდა. „დავით აღმაშენებელმა, — წერს ნ. ბერძენიშვილი, — ფეოდალური საქართველო სახელმწიფო განვითარების ახალ გზაზე გამოიყვანა. უეჭველია, სახელმწიფო წყობილების ძლიერი გარდატეხისას სათანადო ცვლილება უნდა განეცადა ხელისუფალთა უფლება-მოვალეობასაც“[1].

საქართველოს გაერთიანებისა და ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნასთან ერთად იწყებს ჩამოყალიბებას სახელმწიფო მმართველობის ერთიანი სისტემა. ამ მხრივ ზოგი რამ, ალბათ, ამ გაერთიანებულმა სახელმწიფომ ადრეფეოდალური ქართული პოლიტიკური ერთეულებიდან გადმოიღო, მაგრამ ბევრი რამ უკვე ახალ ვითარებაში ახლებურად ეწყობოდა[2]. გაერთიანებული სახელმწიფოს მმართველობის აპარატის ჩამოყალიბებას უშუალოდ უკავშირდება ჩვენში ვაზირის ინსტიტუტის შექმნა[3].

როგორც ცნობილია, ტერმინი „ვაზირი“ ქართული წარმოშობის არ არის. „ვაზირი“ არაბულ-სპარსული სიტყვაა და ირანულ სამოხელეო სამყაროში უძველესი დროიდან არსებობს.

ვაზირი სახელმწიფოს უმაღლესი მოხელეა პირველი აბასიანი ხალიფების დროს. მაგრამ შემდეგ აქ ვაზირის ხელისუფლება მნიშვნელობას კარგავს და მისი სამოხელეო ასპარეზი საგრძნობლად იზღუდება. ვაზირის ხელისუფლების აღორძინება სახალიფოს დაშლის შემდეგ ხდება. პირველი ნიშნები სამანიდთა სახელმწიფოში შეინიშნება და საბოლოო ჩამოყალიბებულ სახეს ვაზირის ინსტიტუტი თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოში იღებს, სადაც სახელმწიფოს მმართველობის ძირითადი საკითხები — ჯარი, გადასახადები, ფინანსები, მშენებლობა, გარეშე სამყაროსთან ურთიერთო-

---

[1] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, გვ. 38—39.

[2] მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ქართული ფეოდალური მონარქიის კარის მოხელენი (ვაზირი), მსკი, ნაკვ. 32, 1955, გვ. 67—73.

[3] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი „ვაზირის“ არსებობას მეფე გიორგი III-ის დროიდან ვარაუდობდა (იხ. ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაწ. I, გვ. 120). ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი „ვაზირის“ ინსტიტუტის დამკვიდრებას სახელმწიფოს მმართველობის აპარატში დავით აღმაშენებლის დროს მომხდარ ცვლილებებს უკავშირებს და თვლის, რომ პირველი „ვაზირი მეფისა“ იყო გიორგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი (იხ. საქართველოს ისტორიის საკითხები, III, 1966, გვ. 39); ამ თვალსაზრისს იზიარებს შ. ვ ე ს ხ ი ა (იხ. „ძლევაჲ საკვირველი“, თბ., 1972, გვ. 33).

ბა—ყველაფერი ვაზირს ეხება[1]. მმართველობის ცენტრალიზაციის მიზნით დავით აღმაშენებელმა ძირითადი უწყებები (საშინაო, ფინანსთა, სამხედრო) გამოყო სხვა დარგებისაგან და ისინი უშუალოდ მეფის ვაზირს, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს დაუქვემდებარა. მათი მეთაურები კი (მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი, ამირსპასალარი) წინ წამოსწია სხვა „უხუცესებთან“ შედარებით. „უხუცესობის“ ინსტიტუტი ჩვენში ძველი მოვლენა უნდა იყოს. ამის მაუწყებელია „უხუცესების“ მოხსენიება უძველეს წერილობით წყაროებში[2] და „მწიგნობართუხუცესის“ არსებობა XI ს. საქართველოში[3]. მაგრამ ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნის შემდეგ ხდება როგორც ახალი სახელმწიფო უწყებების შექმნა, ისე ძველ „უხუცესთა“ ნაწილის უშუალო დაკავშირება ქართულ სამოხელეო წყობილებასთან. გაერთიანებული საქართველოს სამეფო კარზე სწორედ ეს „უხუცესები“ — მწიგნობართუხუცესი, ამირსპასალარი (ესეც „უხუცესია“ შინაარსით — მხოლოდ სიტყვაწარმოებაა უცხოური), მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი, მსახურთუხუცესი, მეღვინეთუხუცესი, მონადირეთუხუცესი, ტყისმცველთუხუცესი და სხვანი არიან წარმოდგენილი მათ ხელქვეით მოხელეებთან ერთად. ყოველ „უხუცესს“ გარკვეული უწყება აბარია და XII — XIII საუკუნეების მანძილზე ხდება ამ „უხუცესთაგან“ ნაწილის გავაზირება. პირველი ვაზირი უხუცესთაგან მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი იყო, უკანასკნელი — მსახურთუხუცესი[4].

დავით აღმაშენებლამდე სასამართლო საქმეს საქართველოში მეფე აწარ-

---

[1] Спасет-Нама, Книга о правлении вазира XI столетия Низам аль-Мулька. Перевод, введение в изучение памятника и примечания проф. Б. Заходера, М.—Л., 1949.

[2] მაგალითად, მხატვართუხუცესი მცხეთის IV ს. წარწერაში; იხ. თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951, გვ. 155.

[3] ბაგრატ IV-ის დროს მოხსენიებულია „მწიგნობართუხუცესი მეფისა“ (იხ. სიტყვსგება ბერისა ეფთვმე გრძელისა, სოსთენის მიმართ, სომეხთ მოძღურისა; მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, სპბ, 1882, გვ. 616) და „მწიგნობართუხუცესი ლიპარიტისი“ (იხ. მატიანე ქართლისაჲ, გვ. 305). შ. მესხიას აზრით, მანდატურთუხუცესის, მეჭურჭლეთუხუცესის, ამირსპასალარის თანამდებობანი ჩვენში დავითის დროს შეიქმნა (იხ. „ძლევაჲ საკვირველი“, გვ. 34 — 36). ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ეს „უხუცესები“ ადრეე არსებობდნენ, როგორც სხვა უწყებათა „უხუცესები“, დავითის დროს მხოლოდ მათი უწყებები უშუალოდ სახელმწიფო ადმინისტრაციის აპარატში შემოდის (დაწვრ. იხ. მ. ლორთქიფანიძე, მსკი, ნაკვ. 32).

[4] ამ „უხუცესთა“ გავაზირების დროის საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. იხ. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 124 — 190; მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 68 — 73; შ. მესხია, „ძლევაჲ საკვირველი“, გვ. 33.

მოებდა, უმაღლეს სასამართლოში შეტანილი ყველა საქმე მეფეს უნდა გაერჩია[1].

ქართული სახელმწიფოს ადრეულ ეტაპზე სასამართლოს წარმოების ასეთი მარტივი წესი, ჩანს, მისაღები იყო. მაგრამ სახელმწიფოს მმართველობის აპარატის გართულებასა და, რაც მთავარია, ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების და ამასთან დაკავშირებით მეფის უშუალო განსაგებელთა გამრავლების შემდეგ, სასამართლოს წარმოების ტრადიციული წესი ვეღარ ამართლებდა. დავითის ისტორიკოსი ჩივის, რომ „სლვათა შინა თჳსთა სამეფოთასა და სიმრავლითა სპათათა და სიმალითა სლავისასა ვერ ადვილად მიემხთუეოდიან მოჩივარნი და დაჭირებულნი და მიმძლავრებულნი"[2]. ვისაც ძალიან ესაჭიროებოდა „განკითხვა და შეწევნა მეფობრივი, ნუ უკუე და ვინმე აღვიდის ბორცუსა ზედა რასმე, გზისა მახლობელსა, ანუ კლდესა, გინა თუ ხესა, ვითარცა ზაქე. უკეთ თუ ოდენ ეპოვის ესევითარი რამე, და მუნით საცნაურ ყოეს ჭრტინვა თჳსი"[3].

დავითის ისტორიკოსის ეს მსჯელობა, რასაკვირველია, თავისთავად სწორია, მაგრამ მთლად სრული არაა. დავითს სასამართლო რეფორმის ჩატარებას მოუცლელობასთან ერთად ალბათ ამ მნიშვნელოვანი საქმის მოწესრიგების სურვილიც კარნახობდა და „ამისთჳს დაედგინნეს კაცნი მართლად მცნობელნი და განმკითხვარნი მოჩივართანი"[4].

უმაღლესი სააპელაციო სასამართლო ჩვენში ე. წ. „სააჯო კარი" იყო, რომელშიც დავით აღმაშენებლამდე თვით მეფე აწარმოებდა სამართალს. დავითმა კი „სააჯო კარში" სამი მოსამართლე დასვა: მწიგნობართუხუცესი, (უფროსი) საწოლისა და ზარდახნის მწიგნობარნი. ეს სამეული აწარმოებდა უმაღლეს სასამართლოში შემოსულ საქმეთა გამოძიებას და მათი საშუალებით მოჩივარნი „მიიღებდეს კურნებასა"[5].

„ამ ახალი დაწესებულების შექმნას, — წერს ივ. ჯავახიშვილი, — დიდი პრინციპიალური მნიშვნელობა ჰქონდა: იმის გარდა, რომ ამ გზით სასამართლოს წესიერ წარმოებას აღარავითარი გარეშე პირობები აღარ შეაფერხებდნენ, თვით მარტო ის გარემოება, რომ სასამართლო უზენაეს საფეხურშიაც მართვა-გამგეობასთან განცალკევებული იყო და განსაკუთრებულ დაწესებულებად იქცა, ქართული სამართლის დიდ წარმატებად და ღირებულებად უნდა ჩაითვალოს"[6].

„სააჯო კარი" ქართული ფეოდალური სახელმწიფოს შინაგანი წეს-

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 217.

[2] დავითის ისტორიკოსი, გვ. 354.

[3] ი ბ ი ვ ე.

[4] ი ბ ი ვ ე.

[5] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საეაზირო..., გვ. 41.

[6] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 218.

რიგის დაცვის სადარაჯოზე იდგა. როგორც დავითის ისტორიკოსი წერს, ამ დაწესებულების მიზანი მომჩივანთა, დაჭირებულთა და მიმძლავრებულთა განკითხვა და კურნება იყო. ფეოდალურ სახელმწიფოში ძალადობა-უსამართლობის საფუძველი მრავალია. მოძალადის როლში გამოდიოდნენ „დიდი აზნაურები თავისი სახლისკაცებით, დიდმოხელე-ერისთავი თავისი აგენტებით, მეკობრენი, იჯარადარ-ხარკის ამკრეფნი, მეზვერე-მებაჟენი და სხვა“[1].

ამ დაწესებულების დანიშნულება იყო ფეოდალური ანარქიის წინააღმდეგ ბრძოლა და სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვა. ის მეფისა და მისი ძირითადი დასაყრდენი ძალის — მოსაკარგავე აზნაურთა ინტერესებს ემსახურებოდა და „მოზარდ ბატონყმურ ურთიერთობას იცავდა როგორც მთავართა მძლავრობისაგან, ისე მდაბიორთა ურჩობისაგან“[2]. „სააჯო კარის“ მუშაობას მეფე მეთვალყურეობდა და წარმართავდა ისე, როგორც ამას სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვდა.

სახელმწიფოს მმართველობის მოწესრიგებისა და ხელისუფლების ცენტრალიზაციის თვალსაზრისით დავით IV-ის მიერ გატარებულ ღონისძიებათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ე. წ. მსტოვართა ინსტიტუტის შექმნას. ისტორიკოსი მოგვითხრობს, თუ როგორ იყო მეფე ყოველივე იმის კურსში, რაც მის სამეფოში ხდებოდა. მეფემ ყველაფერი იცოდა, რაც ხდებოდა ლაშქარში, მონასტრებში, დიდ ფეოდალთა სახლებში[3]. ასე კარგად აწყობილი სამეთვალყურეო აპარატი საგრძნობლად ზღუდავდა მეფისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებათა შესაძლებლობებს, მეფე დროზე ახერხებდა მის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა ლიკვიდაციას. ერთი ასეთი მაგალითთაგანი უნდა იყოს ლიპარიტ ბაღვაშის ორგზის შეპყრობა დავითის მიერ. როგორც უკვე ითქვა, არ ჩანს, რომ ლიპარიტს რაიმე მოემოქმედოს დავითის წინააღმდეგ, მაგრამ მეფე მას მაინც იპყრობს. საფიქრებელია, რომ დავითისათვის ცნობილი გახდა ლიპარიტის განზრახვა და მან ის დროზე მოიცილა თავიდან. ისტორიკოსი ნიშანდობლივ აცხადებს — „მრავალნი განპატიჟებულნცა იყვნეს და მხილებულ ესევითართათჳს. ამისთჳსცა ვერ ოდეს ვინ განიზრახა ღალატი რაჲთურთით დღეთა მისთა, არამედ იყო ყოველთაგან საკრძალავ და საროიდო“[4].

სამეთვალყურეო აპარატი რომ დავითის შექმნილია, ეს თითქოს უდავოდ ჩანს მისი ისტორიკოსის ჩვენებიდან. ისტორიკოსს ეუხერხულება იმის აღნიშვნა, რომ მეფეს მეთვალყურენი ჰყავდა ყველგან მიჩენილნი

---

[1] საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, I, გვ. 164.

[2] იქვე.

[3] დავითის ისტორიკოსი, გვ. 355.

[4] იქვე.

და მას შემდეგ, რაც აღნიშნავს დავითის მიერ ყოველივე იმის ცოდნას, რაც მის სახელმწიფოში ხდებოდა, მიმართავს მკითხველს, „ნუ ამას ეძიებ, მკითხველო, თუ ვითარ იქმნებოდა ესე, არამედ ამას სცნობდი, თუ რა სარგებელი პოვის ამათ მიერ"[1]. ისტორიკოსი ამართლებს ამ ღონისძიებებს მათივე შედეგების მიხედვით და დასძენს: „დიდნი საქმენი და ფრიად სასწრაფონი წარმართნა ამით, და მრავალთა კეთილთა მიზეზ იქმნა ესე: პირველად ორგულებასა და ზაკუასა, და ღალატსა რასამე ვერვინ დიდთა ანუ მცირეთაგანი იკადრებდა მოგონებადცა, არა თუ თქმად ვისდა, არცა თუ მეუღლესა და ცხედრეულსა თუისსა თანა, ანუ მოყუასსა თუისსა, გინა ყრმათა თუისთა თანა, ვინათგან ესე მტკიცედ უწყოდა ყოველმან კაცმან, რომელ პირით აღმოსლვასავე თანა სიტყუისასა საცნაურ ქმნილ არს უეჭველად წინაშე მეფისა"[2].

სავარაუდებელია, რომ სამეთვალყურეო აპარატი ქვეყნის გარეთაც მოქმედებდა და ხელს უწყობდა დავითის ინფორმირებას მისი მეზობლებისა და მტრების საქმიანობისა და მდგომარეობის შესახებ. ეს სამეთვალყურეო აპარატი შინაგან საქმეთა უწყებაში შედიოდა, რომელსაც სათავეში მანდატურთუხუცესი ედგა.

იმ ღონისძიებათა შორის, რომელნიც დავით IV-მ გაატარა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამხედრო რეფორმას, რომლის მიზანიც ლაშქრის რეორგანიზაცია და საქართველოს სამხედრო სიძლიერის გაზრდა იყო. ხანგრძლივი და მძიმე ომების შედეგად, რომელსაც საქართველო თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ აწარმოებდა, სახელმწიფოს სამხედრო ძალა საგრძნობლად დასუსტდა. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის საერთო დაქვეითებამ და მოსახლეობის შემცირებამ ჯარის რიცხობრივი შემცირებაც გამოიწვია. მეფის ხელისუფლების დასუსტებამ და ფეოდალთა თვითნებობამ, განსაკუთრებით გიორგი II-ის მეფობაში, საგრძნობლად მოშალა დისციპლინა ჯარში და ხელი შეუწყო ფეოდალური ლაშქრის დეზორგანიზაციას. საჭირო იყო ლაშქრის ორგანიზაცია, ჯარის სათანადო გაწვრთნა და დისციპლინის განმტკიცება.

დავითის ისტორიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ დავითს ჰყავდა „მცირე გუნდი მჯედრობისა და იგინიცა დაჯაბნებულნი მრავალგზის მტერთაგან სივლტოლითა უცხენო და უსაჭურველონი და თურქთა მიმართ წყობისა ყოვლად უმეცარნი და ფრიად მოშიშნი"[3]. დავითმა პირველ რიგში იზრუნა სამხედრო ნაწილების იარაღ-საჭურვლითა და ცხენებით მომარაგებაზე, სწავლა-გაწვრთნასა, ჯარისათვის მხნეობისა და საკუთარი

---

[1] დავითის ისტორიკოსი, გვ. 355.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 358.

შესაძლებლობისადმი რწმენის ჩანერგვაზე. ჯარში დისციპლინისა და მხნეობის აღსადგენად დავითი ვინც ვაჟკაცობას გამოიჩენდა იმათ „ქებითა და ნიჭთა მიცემითა“ ამხნევებდა, ხოლო ჯაბანთ და მშიშრებს არცხვენდა დედაკაცთა ტანსაცმლის „შთაცუმითა და კიცხევით ძაგებითა“[1].

ჩანს, ლაშქარი განცხრომას მისცემოდა, სამხედრო ნაწილებში დროსტარება-გართობას ჰქონდა ადგილი, მტკიცედ არ სრულდებოდა რელიგიური სამსახურის ნორმები, რაც საერთოდ დისციპლინის დაცემას უწყობდა ხელს და ამიტომ დავითმა „საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი და გინება ღმრთისა საძულელი, და ყოველი უწესობა მოსპობილ ყო ლაშქართა შინა მისთა“[2]. დავითმა თავის გარშემო შემოიკრიბა ერთგულნი მოლაშქრენი და ჩამოაყალიბა მეფის პირადი გვარდია „მონასპა“. მონა-სპის შექმნის მიზანი იყო მეფის საკუთარი, ფეოდალთაგან დამოუკიდებელი ძლიერი სამხედრო ნაწილის შექმნა, რომელიც, პირველ რიგში, დაიცავდა მეფის პიროვნებას, მუდამ მასთან იქნებოდა და უზრუნველყოფდა გადაუდებელ სასწრაფო სამხედრო ღონისძიებათა ოპერატიულად განხორციელებას. დავით აღმაშენებლის სამხედრო დარგში გატარებულ ღონისძიებათა უმთავრესი მიზანი იყო ქართველთა ლაშქრის რიცხობრივი გამრავლება, ლაშქრის სათანადოდ გაწვრთნა და შეიარაღება, მასში დისციპლინის განმტკიცება. დავითმა მის მიერ შექმნილი სამეთვალყურეო აპარატი სამხედრო ნაწილებში ორგულობა-ღალატის აღმოსაფხვრელადაც გამოიყენა.

მთელი ქართული ლაშქარი დავით აღმაშენებელმა ძირითადად სამ ნაწილად გაყო. ერთ ნაწილს, როგორც აღვნიშნეთ, მეფის გვარდია, მონასპა წარმოადგენდა; მეორე ნაწილს მეციხოვნენი შეადგენდნენ, რომელთა მოვალეობას „ქალაქთა და ციხეთა შინა“ დგომა და ციხე-ქალაქების გამაგრება შეადგენდა; ხოლო მესამეს — საკუთრივ მოლაშქრეები, რომელნიც, დავითის ისტორიკოსის სიტყვით, იყვნენ „დაუცხრომლად მიმოსლვასა ლაშქრობასა მისსა ზამთარ და ზაფხულ“[3].

ჩატარებულ ღონისძიებათა შედეგად დავითმა უზრუნველყო ქვეყნის სამხედრო შესაძლებლობის მობილიზება და მთელი ფეოდალური ლაშქრის ფეხზე დაყენება. ასე ორგანიზებული და სათანადოდ გაწვრთნილი და დისციპლინებული ლაშქრით მან მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა და ფაქტიურად თითქმის მთელი ქართული მიწა-წყალი გაწმიხდა ჩამოსახლებულ თურქთაგან. XII ს. დასაწყისიდან ვიდრე 1118 წლამდე მრავალი ქართული ქალაქი და ციხესიმაგრე გადავიდა ქართველების ხელში. „მაგრამ საქმე მარტო დაპყრობა ხომ არ იყო; თავი და თავი დაპყრობილის

---

[1] დავითის ისტორიკოსი, გვ. 358.
[2] იქვე, გვ. 352.
[3] იქვე, გვ. 358.

შენარჩუნება იყო"[1]. დიდი მონაპოვრის შენარჩუნებისა და აგრეთვე იმ გეგმების განხორციელებისათვის, რომელსაც მეფე ისახავდა, არსებული ლაშქარი საკმარისი არ იყო. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს ლაშქარი ფეოდალურ სისტემაზე იყო დაფუძნებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველთვის არ იყო უზრუნველყოფილი მთელი ჯარის მეფის დროშის ქვეშ გამოსვლა[2]. მართალია, დავითის მიერ გატარებულ ღონისძიებათა შედეგად ფეოდალთა ურჩობას თითქოს აღარ უნდა ჰქონოდა ადგილი, მაგრამ ამ მიღწევასაც შენარჩუნება უნდოდა. აუცილებელი იყო საკუთრივ მეფის განკარგულებაში მყოფი ლაშქრის სიჭარბე ცალკე აღებულ ყველა უძლიერესი ფეოდალის ლაშქარზე. საამისოდ მუდმივი ლაშქრის დაარსება იყო საჭირო, მაგრამ ფეოდალური საქართველოს ეკონომიკა ვერ უზრუნველყოფდა ასეთი ჯარის შენახვას და დავით აღმაშენებელმა ეს რთული პრობლემა ძალიან წინდახედულად და ეფექტურად გადაჭრა.

1118 წ. დავითმა ჩრდილო კავკასიიდან 40000 ყივჩაყის ოჯახი გადმოასახლა საქართველოში. გადმოსახლებულ ყივჩაყებს მისცეს მიწის ნაკვეთები, მიუჩინეს საზაფხულო და საზამთრო საძოვრები, უზრუნველყვეს ეკონომიკურად, რის სამაგიეროდ ყოველ ოჯახს ერთი შეიარაღებული მოლაშქრის გამოყვანა დაევალა. ყივჩაყთა 40000 მოლაშქრე მთლიანად მეფეზე იყო დამოკიდებული და არ იყო დაკავშირებული ფეოდალთა კლასთან. ეს დიდ უპირატესობას ანიჭებდა მეფეს. ამიერიდან საქართველოს მეფე ნაკლებად იყო დამოკიდებული ფეოდალურ ლაშქარზე.

დავითის არჩევანი ყივჩაყებზე იმიტომ შეჩერდა, რომ მათ საქართველოში იცნობდნენ როგორც კარგ მეომრებს. ამავე დროს მათი შენახვა შედარებით ადვილი იყო. დავითმა „უწყოდა კეთილად ყივჩაყთა ნათესავისა სიმრავლე, და წყობათა შინა სიმჯნე, სისუბუქე და მიმოსვლა სიფიცხე მიმართებისა"[3]. ამას გარდა, დავითს ცოლად ყივჩაყთა მთავრის ასული ჰყავდა, რაც ხელს უწყობდა სიძე-სიმამრს შორის შეთანხმებას.

ყოველივე ამის საფუძველზე დავით მეფემ „წარავლინნა კაცნი სარწმუნონი და მოუწოდა ყივჩაყთა და სიმამრსა თჳსსა.

ხოლო მათ სიხარულით მიითუალეს"[4].

საქართველოში ალბათ ცნობილი იყო ის მძიმე მდგომარეობაც, რაც ამ დროს ყივჩაყებს შეექმნათ. გაძლიერებული კიევის რუსეთი გამუდმე-

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 198.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 199.
[3] დავითის ისტორიკოსი, გვ. 336.
[4] ი ქ ვ ე.

ბით უტევდა ყივჩაყებს, არბევდა მათ, დევნიდა ჩრდილო კავკასიის ველებიდან და ავიწროებდა[1]. ასეთ მდგომარეობაში მყოფ ყივჩაყთათვის სასურველი უნდა ყოფილიყო საქართველოს მეფის წინადადება საქართველოში გადმოსახლების შესახებ.

განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ყივჩაყების მატერიალური უზრუნველყოფა ადვილი უნდა ყოფილიყო. ამავე დროს შედარებით ადვილადვე განხორციელდებოდა მათი ასიმილაცია მაღალგანვითარებულ ქართულ მოსახლეობასთან[2].

საქართველოში გადმოსახლებული ყივჩაყების ასიმილაციის პროცესი ძალიან სწრაფად განვითარდა, მათ შეითვისეს ქართული ენა „და თჳთ ყივჩაყნიცა უმრავლესნი ქრისტიანე იქმნებოდეს დღითი-დღე; და სიმრავლე ურიცხჳ შეეძინებოდა ქრისტესა“[3].

ყივჩაყების ნაწილი დავით აღმაშენებელმა დაასახლა ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში, თურქ-სელჩუკთა შემოსევების შედეგად დაცარიელებულ შიდა ქართლში[4], ჩრდილო სომხეთში[5], ჰერეთში[6], საქართველოს სასაზღვრო-სანაპირო ზოლში, სადაც მათ მოვალეობას სახელმწიფო საზღვრის გამაგრება შეადგენდა[7].

ჩამოსახლებული ყივჩაყები დავითმა „განასრულნა ცხენებითა და საჭურველითა... დააწყუნა გუარად-გუარად და დაუდგინნა სპასალარნი და მმართებელნი“[8].

დავით აღმაშენებლის მიერ ყივჩაყთა გადმოსახლება და მათგან მუდმივი ლაშქრის შექმნა მიზნად ისახავდა ქვეყნის სამხედრო შესაძლებლობათა გაზრდას, რასაც უნდა უზრუნველეყო როგორც უკვე მოპოვებული წარმატებების შენარჩუნება, ასევე მომავალი დიდი გეგმების განხორციელება, რაც გულისხმობდა გადამწყვეტ შეტევას ამიერკავკასიაში (სომხე-

---

[1] ი. ც ი ნ ც ა ძ ე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1965, გვ. 68.

[2] რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, დავით აღმაშენებელი, გვ. 67; შ. მ ე ს ხ ი ა, ძლევაჲ საკვირველი, გვ. 40.

[3] დავითის ისტორიკოსი, გვ. 337.

[4] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ 209.

[5] С. Еремян, Агарцинская надпись 1184 г., Исследования по истории культуры народов Востока, Сборник в честь акад. И. Орбели, 1960, с. 83—86; Мелиева, Юрий Боголюбский в армянских и грузинских источниках, Научные труды Ереванского гос. университета, т. XXIII, 1946, с. 393—394.

[6] ქ. ჩ ხ ა ტ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი, უცხოელები XII საუკუნის საქართველოს ლაშქარში, კრ. „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966, გვ. 174.

[7] ი ქ ვ ე, გვ. 175. ყივჩაყთა დასახლების საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურის გარჩევა. იხ. შ. მ ე ს ხ ი ა, ძლევაჲ... გვ. 40—41.

[8] დავითის ისტორიკოსი, გვ. 337.

თი, შარვანი) გაბატონებულ თურქ-სელჩუკებზე. რადგან XI ს. II ნახ. თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოში სულთან მალიქ შაჰის დროს (1072—1092) გატარდა სამხედრო რეფორმა, რომლის შედეგად დაარსდა ცენტრალურ ხელისუფლებაზე დამოკიდებული მუდმივი ჯარი, შესაძლებელია, დავითის მიერ მუდმივი ჯარის შექმნის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ „თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში აუცილებელი იყო სელჩუკთა ახალი ორგანიზაციისათვის ახალი ძალის დაპირისპირება"[1].

40 ათასი ყივჩაყის გარდა დავითს 20 ათასი ქართველი მუდმივი მოლაშქრეც ჰყოლია[2], ე. ი. მისი მუდმივი ჯარი სულ 60 ათას მეომარს ითვლიდა[3]. ამასთან, დავითის ჯარში საჭიროების შემთხვევაში დაქირავებული ოსი, ლეკი, ქურთი და სხვა მოლაშქრეებიც იყვნენ.

ყივჩაყთა ასეთი მნიშვნელოვანი ძალის ჩამოსახლებას საქართველოში, ჩანს, დავითის მოწინააღმდეგეთა მხრივ უკმაყოფილება გამოუწვევია და დავითის ისტორიკოსი მათ გასაგონად აღნიშნავს, რომ ყივჩაყთა ჩამოსახლებით მეფე „არა ცუდად დაშურეს; არც ცუდ იქმნა გამოყვანა მათი"[4], და შემდეგ საგანგებოდ უთითებს ყივჩაყთა მეშვეობით მიღწეულ წარმატებებზე.

ყივჩაყთა ჩამოსახლება მართლაც დიდი მნიშვნელობის ღონისძიება იყო და შედეგიც სათანადო მოიტანა. მაგრამ, რასაკვირველია, არ არის სწორი საქართველოს მიერ დავითის მეფობაში მიღწეული წარმატებები და განსაკუთრებით ქვეყნის შიგნით წესრიგის დამყარება მაინცდამაინც საქართველოს ლაშქარში მყოფი უცხოელების დამსახურებად მივიჩნიოთ[5]. ყივჩაყთა ჩამოსახლებას ბევრ დადებითთან ერთად უარყოფითი მხარეებიც ჰქონდა. მომთაბარულ ცხოვრებას მიჩვეულ ყივჩაყებზე დაყრდნობა ძნელი იყო. ამავე დროს ისინი მიჩვეულნი იყვნენ სხვადასხვა სახელმწიფოთა მხარეზე ქირით ბრძოლას და ერთი მხრიდან მეორეზე გადასვლაც მათთვის უცხო არ იყო. მართალია, დავით აღმაშენებელმა ყივჩაყებს მიწები მისცა და მკვიდრ ბინადრებად აქცია, რითაც ფაქტიურად საკუთარი მიწა-წყლის დაცვა დააკისრა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ძნელად მოსავლელნი იყვნენ[6]. ყივჩაყნი დავით მეფის ღალატსაც არ თაკილობდნენ. ისტორიკოსის სიტყვით, „რაოდენგზის ყივჩაყთა თჳსთა განიზრახეს ღა-

---

[1] ვ. გაბაშვილი, დიდ სელჩუკთა სახელმწიფო, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, გვ. 125.

[2] შ. მესხია, ძლევაი... გვ. 44.

[3] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 14; იხ. შ. მესხია, დასახ. ნაშრ., გვ. 44.

[4] დავითის ისტორიკოსი, გვ. 336.

[5] ამ მოსაზრების კრიტიკა იხ. შ. მესხიას დასახ. ნაშრ-ში, გვ. 46—47.

[6] ქ. ჩხატარაიშვილი, უცხოელები XII ს. საქართველოს ლაშქარში, გვ. 175. 185.

ლატი, და განაჩინეს კაცნი მჯნენი რომელნიმე ჯრმლითა, რომელნიმე შუბითა, სხვანი ისრითა; და ესე არა ერთ და ორ, გინა სამ, არამედ მრავალგზის"[1].

როგორც ცნობილია, დავითმა ყივჩაყნი 1118 წელს გადმოასახლა, ე. ი. იმ დროს, როდესაც მას საქართველოს მიწა-წყალი თითქმის მთლიანად გაწმენდილი ჰქონდა თურქთაგან, ხოლო ქვეყნის შიგნით დიდი ხანია წესრიგი იყო დამყარებული; დავითმა სახელმწიფოებრივი რეფორმები XII საუკუნის დასაწყისში განახორციელა და სამხედრო რეფორმაც ჯარის რეორგანიზაციის თვალსაზრისით ამ დროს გაატარა, მხოლოდ ყივჩაყები გადმოასახლა გვიან. ეს სწორედ იმიტომ, რომ მას ყივჩაყები იმ დიდი შეტევითი ომებისათვის ესაჭიროებოდა, რომელთა განხორციელებას 20-იანი წლებიდან შეუდგა. როგორც ყივჩაყნი, ასევე დაქირავებული ოსნი, ქურთნი, ლეკნი და სხვანი დავითს მხოლოდ დამხმარე ძალად ჰყავდა. „დავით აღმაშენებელს ყივჩაყთა მუდმივი ლაშქარი არასოდეს არ გაუხდია თავის ძირითად და დასაყრდენ ძალად"[2]. და რომ ეს ასეა, ამის უტყუარი დადასტურებაა დიდგორის ბრძოლა, რომელშიც დავითმა 40000-დან მხოლოდ 15000 ყივჩაყი გამოიყვანა, რადგან ის თავის ძირითად საყრდენ ძალად მაინც „სამეფო სპას", ქართველთა ლაშქარს თვლიდა.

დავითმა საქართველოს სახელმწიფოს ლაშქარი გასტუმრების ახალ წესზე გადაიყვანა. მანამდე ხდებოდა სამხედრო ალაფად მოპოვებული ნადავლის განაწილება მოლაშქრეთა შორის. დავითმა ეს აკრძალა და სამაგიეროდ ლაშქარს სახელმწიფო ისტუმრებდა ულუფითა და სარგოთი (ჯამაგირით)[3].

ზემოაღნიშნული სამხედრო რეფორმის გატარების შემდეგ დავით აღმაშენებლის სახელმწიფოს ლაშქარი შედგებოდა მეფის პირადი (მონა-სპა) 5000-იანი გვარდიისაგან, 60-ათასიანი მუდმივი ჯარის, ფეოდალური ლაშქრისა და, საჭიროების შემთხვევაში, დაქირავებული როქის სპისაგან. „ჯარის ასეთი ორგანიზაცია, რომელიც დავით აღმაშენებლის რეფორმების შედეგი იყო, ძირითადად შენარჩუნებულ იქნა XII საუკუნის მთელ სიგრძეზე"[4].

ეს ღონისძიებანი, რომელნიც სახელმწიფოს ხელისუფლების ცენტრალიზაციას ისახავდნენ მიზნად, მთლიანად, გარდა ყივჩაყთა გადმოსახლებისა, განხორციელდა XI საუკუნის დასასრულსა და XII საუკუნის დასაწყისში.

---

[1] დავითის ისტორიკოსი, გვ. 362.

[2] შ. მ ე ს ხ ი ა, ძლევაჲ..., გვ. 46.

[3] ი ქ ვ ე.

[4] შ. მ ე ს ხ ი ა, საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარება... გვ. 90.

* * *

როგორც ცნობილია, ერთიანი საქართველო სხვადასხვა „საქართველოსაგან“ შედგა, რომელსაც ერთ ქვეყნად გაერთიანების დროისათვის სახელმწიფოებრივი მმართველობის საკუთარი ხანგრძლივი ტრადიცია გააჩნდა. თავის მხრივ, კახთა თუ აფხაზთა სამეფოები, ჰერეთი და ქართველთა სამეფო სხვადასხვა ქართული ქვეყნის გაერთიანების შედეგად შეიქმნენ. ასე რომ, ამ ქართულმა სახელმწიფოებმა ერთიან საქართველოში მმართველობის თავისი ფორმები მოიტანეს და საქართველოს გაერთიანება და მასში შემავალი ქვეყნების საერთო მეფისადმი დამორჩილება მათი მმართველობის სისტემის ერთ პრინციპზე აწყობას გულისხმობდა. ეს ღონისძიება ერთბაშად ვერ გადაწყდებოდა, მაგრამ ქვეყნის საბოლოო გაერთიანებისათვის მმართველობის ერთიან პრინციპზე მოწყობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა[1].

საამისოდ პირველი ნაბიჯები უკვე ბაგრატ III-მ გადადგა, როდესაც დაპყრობილი კახეთისა და ჰერეთის მეფენი დაატყვევა და იქ მმართველებად თავისი ერისთავები დანიშნა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ მხოლოდ უზენაეს ხელისუფალთა მიმართ გატარებული ასეთი ღონისძიება ამ მდგომარეობას საბოლოოდ მაინც ვერ შეცვლიდა. როგორც ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, „მაშინ გამგეებსა სცვლიდნენ ხოლმე, მართვა-გამგეობის წინანდელ წყობილებას კი იშვიათად თუ მიაკარებდნენ ხოლმე ხელს. იმ დროს წარსულის ტრადიციას მოწიწებით ეპყრობოდნენ და თემობრივ განსხვავებას არ ერიდებოდნენ.

მაშინ ჯერ კიდევ კარგად შეგნებული არა ჰქონდათ, თუ რამდენად საჭიროა ერის გაერთიანებისათვის მთელ სამეფოში თანაბარი და ერთიან დაწესებულებათა არსებობა“[2]. რასაკვირველია, ტრადიციისათვის ანგარიშის გაწევა აუცილებელი იყო და ეს არა მხოლოდ ტრადიციის პატივისცემის გამო, არამედ იმიტომაც, რომ მის დარღვევას ისეთი ძალა უნდოდა, როგორიც ბაგრატ III-ს ჯერ კიდევ არ გააჩნდა. ჩვენში მმართველობის თემობრივი პრინციპი გარკვეული თვალსაზრისით ფეოდალიზმის ხანაში არასოდეს არ მოშლილა და დავითის მიერ გატარებულ ღონისძიებათა მიუხედავად, „მართვა-გამგეობა მარტო საუწყებო პრინციპზე კი არ იყო დამყარებული, არამედ სათემო პრინციპზეც“[3]. ფეოდალიზმის ხანაში სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო. არც ერთ ფეოდალურ ქვეყანაში თემობრივი პრინციპი ქვეყნის მმართველობაში საბოლოოდ ლიკვიდირებული არ ყოფილა, ეს განვითარების შემდგომი საფეხურისათვის დამა-

---

[1] იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. II, გვ. 114.

[2] ი ქ ვ ე.

[3] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 115.

ხასიათებელი მოვლენაა. მაგრამ იმავე ფეოდალიზმის ხანაში ცენტრალიზებულ მონარქიებში ხორციელდება სახელმწიფოებრივი მმართველობის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი უწყებების ერთ სისტემაზე აწყობა და მათი უშუალოდ სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლებისათვის დაქვემდებარება. სწორედ ასეთ, მთელი ქართული სახელმწიფოს მასშტაბით უზენაეს ხელისუფლებას დაუქვემდებარდა ჩვენში დავითის დროიდან მმართველობის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი უწყებები.

დავითის დროს გატარებულ ღონისძიებათა დროულობა და მნიშვნელობა საქართველოსთვის აშკარა გახდება, თუ გავითვალისწინებთ, „რომ სანამ საქართველოს გაერთიანებული სამეფო არსებობდა, მისი სამმართველო ორგანიზაცია არსებითად იგივე დარჩა, როგორც თავის დროზე დავით აღმაშენებელმა ჩამოაყალიბა“[1].

§ 2. თურქ-სელჩუკების განდევნა. საქართველოს სახელმწიფოს საზღვრების გაფართოება

დავით IV აღმაშენებელმა გამეფების პირველი წლებიდანვე გადადგა გარკვეული ნაბიჯები თურქ-სელჩუკთა ბატონობისაგან საქართველოს გასათავისუფლებლად. ამ დროს საქართველოს მეფის ხელისუფლება დასავლეთ საქართველოს ფარგლებს არ სცილდებოდა: „და იყო მაშინ საზღვარი სამეფოსა მთა მცირე ლიხთა“[2].

დავითი თავისი ერთგული რაზმებით თავს ესხმოდა ქართლში ჩამოსახლებულ თურქებს და აყრილ-გაქცეულ მოსახლეობას მამა-პაპათა ნასახლარებზე დაბრუნების საშუალებას უქმნიდა. მოსახლეობა ნელ-ნელა იკრიბებოდა; „და სოფლებადცა იწყეს შთამოსვლად და დასხდომად“, წერს დავითის ისტორიკოსი[3]. ამ გზით დავითმა გაწმინდა საქართველო თურქთა ცალკეული მოხეტიალე გუნდებისაგან და „თურქნი ვერ დაიზამთრებდეს ქართლს“[4].

1092 წ. გარდაიცვალა თურქ-სელჩუკთა სულთანი მალიქ შაჰ I. მისი სულთნობის ბოლო წლებში თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოში მდგომარეობა უაღრესად გართულდა, დაიწყო დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ფეოდალური დაშლა, რაც თავდაპირველად უფლისწულთა შორის ტახტისათვის წარმოებულ ბრძოლაში ვლინდებოდა.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, I, 1946, გვ. 196.

[2] დავითის ისტორიკოსი, გვ. 324.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 325.

1080 წ. დაედო საფუძველი რუმის სასულთნოს — სელჩუკთა სახელმწიფოს მცირე აზიაში, დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს გამოეთიშა ქერმანი, სელჩუკური ფეოდალური სამთავრო შეიქმნა სირიაშიც. განკერძოების გზას დაადგნენ სხვადასხვა ქვეყნის მმართველი ფეოდალებიც. შინაგანი წინააღმდეგობანი თანდათან მწვავდებოდა. 1092 წ. მოკლეს თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს ვაზირი და მალიქ შაჰის მარჯვენა ხელი ნიზამ ალ-მულქი. საიდუმლოებითაა მოცული თვით სულთნის სიკვდილის ვითარებაც. გაძლიერდა ისმაილიტთა სექტის ბრძოლა, გააქტიურდა ხალიფას მტრული მოქმედება სულთნის მიმართ, დაიწყო უფლისწულთა ქიშპი, გლეხთა აჯანყებები.

თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოში შექმნილი მძიმე ვითარება ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა საქართველოს და მის ბრძოლას პერსპექტივიანს ხდიდა. ამავე ხანებში საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა სხვა მხრიდანაც გაუმჯობესდა. 1095 წ. შემოდგომაზე კლერმონში (სამხრ. საფრანგეთი) შეკრებილ საეკლესიო კრებაზე პაპმა ურბან II-მ საზეიმოდ გამოაცხადა ჯვაროსნული ომების დაწყება და 1096 წ. პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობაში დაიძრა ევროპის ფეოდალური რაინდობა, რომელმაც 1097 წ. მიაღწია უკვე აზიას, აიღო ედესა, ანტიოქია (1098 წ.), იერუსალიმი (1099 წ.) და დააარსა ჯვაროსნული სახელმწიფოები.

ჩანს, დავით IV კარგად იყო ინფორმირებული ყოველივე იმის შესახებ, რაც მახლობელ აღმოსავლეთში ხდებოდა. მან სათანადოდ შეაფასა შექმნილი ხელსაყრელი ვითარება და 1097 წ. შეუწყვიტა სულთანს ხარაჯა. ეს ფაქტიურად ომის გამოცხადებას ნიშნავდა, მაგრამ სულთანმა დავითის გამოწვევა უპასუხოდ დატოვა. ამრიგად, ქვეყანა განთავისუფლდა იმ მძიმე და სამარცხვინო ხარკისაგან, რომელიც 80-იან წლებში ქვეყნისათვის ხსნად მიაჩნდა დავითის მამას გიორგი მეფეს.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს შესანიშნავად ესმის მთელი ის რთული სიტუაცია, რომელიც ამ დროს იქმნება და რითაც კარგად სარგებლობს დავითი. ისტორიკოსი ორგანულ კავშირს ხედავს ქვეყნის საშინაო მდგომარეობასა და საერთაშორისო ვითარებას შორის. „ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი[1], — წერს ის, — აღიღეს იერუსალიმი[2] და ანტიოქია[3], და შეწევნითა ღმრთისათა მოეშენა ქუეყანა ქართლისა"[4]. აქვე მოგვი-

---

[1] ე. ი. ჯვაროსნები.

[2] 1099 წ.

[3] 1098 წ.

[4] დავითის ისტორიკოსი, გვ. 325. ვ. კოპალიანის თვალსაზრისით (იხ. ვ. კოპალიანი, საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან, კრებ. „XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები", თბ., 1968, გვ. 92 — 93) არ შეიძლება დავითის მიერ ხარკის შეწყვეტა თურქებისათვის ჯვაროსანთა მიერ ანტიოქიისა და

თხრობს ის დავითის გაძლიერებასა და თურქთათვის ხარკის შეწყვეტაზე: „განძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი. და არღარა მისცა სულტანსა ხარაჯა, და თურქნი ვერღარა დაიზამთრებდნენ ქართლს“[1].

მართალია, მცირე აზიაში შემოჭრილ ჯვაროსნებს თურქ-სელჩუკები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ და XI საუკუნეში მათი გავლენა ამიერკავკასიაზე ძალიან შორეული იყო, რადგან ამ დროს ჯვაროსნებს სასულთნოებთან ჰქონდათ ბრძოლა, მაგრამ ასეთი დიდი ძალის შემოჭრა მახლობელ აღმოსავლეთში მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო და შემთხვევითი არაა ის გარემოება, რომ დავითის ისტორიკოსი საგანგებოდ უთითებს „ფრანგთა“ მიერ იერუსალიმისა და ანტიოქიის აღებას. რასაკვირველია, საქართველოს საგარეო მდგომარეობას ამ დროს უმთავრესად ირანის თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს დასუსტება განსაზღვრავდა, მაგრამ ის გამოძახილი, რაც ჯვაროსანთა ლაშქრობებს აქვს, ქართულ მწერლობაში გარკვეულ საფუძველს მაინც არ არის მოკლებული.

ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა ამ დროს საქართველოსთვის ბიზანტიასთან ურთიერთობის თვალსაზრისითაც. როგორც აღნიშნულია, XI ს. დასასრულამდე საქართველო ფორმალურად ბიზანტიის ვასალობას აღიარებდა. დავითი უფლისწულობაში და მეფობის პირველ წლებში ატარებდა კიდეც ბიზანტიის საკარისკაცო ტიტულებს (სევასტოსი, პანიპერსევასტოსი), მაგრამ უკვე XII ს. დასაწყისიდან დავითი აღარ იხსენიება ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულებით. სელჩუკებისა და ჯვაროსნებისაგან შევიწროებული იმპერია საქართველოსთვის საშიში აღარ იყო. ის სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირედაც აღარ ვარგოდა. შესაძლებელია, მთლად უსაფუძვლო არ იყოს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ვარაუდი XII ს. დასაწყისში დავით აღმაშენებლის ტრაპიზონს ლაშქრობის შესახებაც. მიუხედავად იმპერიის დასუსტებისა, საქართველოს სამეფო ცდილობდა ბიზანტიასთან დიპლომატიური ურთიერთობის შენარჩუნებას, რასაც უნდა ისახავდეს მიზნად 1116 — 1118 წწ. დავითის ქალიშვილის კატას კომნენოსთა საიმპერიო სახლის წევრზე დაქორწინება[2].

იერუსალიმის აღებას დავუკავშიროთ, რადგან იგი წინ უსწრებს ჯვაროსანთა ამ წარმატებებს. მაგრამ შესაძლებელია დავითის ისტორიკოსი აქ საერთოდ ჯვაროსანთა ლაშქრობების დაწყების შედეგად შექმნილ ხელსაყრელ სიტუაციას გულისხმობს და ზოგადად მსჯელობს ამ საშინაო და საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენების ურთიერთზეგავლენაზე. ამ მოვლენების განსხვავებული ქრონოლოგია იხ. რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ნარკვევები ფეოდალური საქართველოს ისტორიიდან, გვ. 17 — 19.

[1] დავითის ისტორიკოსი, გვ. 326.

[2] საქართველო-ბიზანტიის ამდროინდელი ერთი ომის შესახებ, იხ. ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი ს დასახელებული ნაშრომი კრებულში: „XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები“, გვ. 109 — 121.

მას შემდეგ, რაც თურქთა მარბიელ გუნდებს ფეხი ამოეკვეთათ და ქართლში დაზამთრების საშუალება მოესპოთ, დავით აღმაშენებლის წინაშე რეალურად დადგა გაერთიანებული საქართველოს ფარგლებს გარეთ დარჩენილი ქართული მიწა-წყლის შემოერთების საკითხი. ასეთ მიწა-წყალს კი ქვემო ქართლი, თბილისი და მისი ოლქი, აგრეთვე კახეთ-ჰერეთი წარმოადგენდა. თურქების წინააღმდეგ მთელი ფრონტით შეტევაზე გადასვლისათვის აუცილებელი იყო მთელი ძალების მობილიზაცია.

დავითმა კახეთ-ჰერეთით დაიწყო. ბრძოლას კახეთისათვის იგი იწყებს ზედაზნის ციხით. მან „წარუღო კვრიკეს (კახეთის მეფეს — **მ. ლ.**) ციხე ზედაზადენი"[1]. ერთი წლის შემდეგ კვირიკე გარდაიცვალა და კახეთში გამეფდა მისი ძმისწული აღსართანი.

დავითმა კახეთსა და ჰერეთზე გადამწყვეტი შეტევის დაწყებამდე იქ თავისი მომხრენი გაიმრავლა. დავითის მომხრე ჰერმა დიდებულებმა აღსართან კახთა მეფე შეიპყრეს და მეფეს გადასცეს[2]. რის შემდეგ მეფემ დაიკავა ჰერეთი და კახეთი.

საქართველოს მეფის მიერ კახეთ-ჰერეთის დაპყრობას უყურადღებოდ ვერ დატოვებდნენ მეზობელი მაჰმადიანი მფლობელები და განძის ათაბაგის მოთავეობით მის წინააღმდეგ აღსდგა „სულტანისა იგი ურიცხუნი სპანი, ათაბაგი განძისა და უმრავლესი კახთა და ქუეყანისა ერი"[3]. ბრძოლა მოხდა ერწუხს[4] 1104—1105 წლებში და დავითმა ძლევამოსილი გა-

---

[1] დავითის ისტორიკოსი, გვ. 326.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 328.

[3] ი ქ ვ ე.

[4] აწინდელ საინგილოში. აღნიშნული მოვლენების ქრონოლოგია აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. „ქართლის ცხოვრების" ნუსხებში ზედაზნის აღების თარიღად ზოგან 1101 წ. დასახელებული და ზოგან 1103 წ. (იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 326). ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ზედაზნის აღების თარიღად 1101 წ. დებდა (იხ. ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 195), თუმცა დავითის ისტორიკოსის თხზულებიდან მოტანილ ციტატში უთითებს 323 ქორონიკონს, რაც 1103 წ. უდრის. უკანასკნელ ხანს აღნიშნული მოვლენების ქრონოლოგიას საგანგებოდ შეეხო რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი (იხ. ნარკვევები ფეოდალური საქართველოს ისტორიიდან, 1972, გვ. 20—27). დავითის ისტორიკოსის თხზულებაში კვირიკეს გარდაცვალებისა და აღსართანის გამეფების შემდეგ (ე. ი. 1102 ან 1104 წწ.) მოთხრობილია რუის-ურბნისის საეკლესიო კრების შესახებ, ხოლო შემდეგ ჰერეთ-კახეთის შემოერთებასა და ერწუხის ომზე (იხ. გვ. 326 — 328), კახეთ-ჰერეთის შემოერთების შემდეგ — გელათის მშენებლობის დაწყებაზე (გვ. 239), რაც 1106 წლით თარიღდება (იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 216). აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენს ისტორიოგრაფიაში მოცემულია თვალსაზრისი, რომ კახეთ-ჰერეთის შემოერთება დავითმა რუის-ურბნისის კრების შემდეგ განახორციელა, რასაც არ უნდა უეჭერდეს მხარს კრების „ძეგლისწერაში" დავითის მოხსენიება ტიტულით მეფე „აფხაზთა და ქართველთა რანთა და კახთა" (იხ. ქართული სამართლის ძეგლები, III, ი. დოლიძის გამოც., გვ. 106), ე. ი. როდესაც ეს „ძეგლისწერა" დაიწერა, დავითს კახეთი და ჰერეთი უკვე შემოერთებული ჰქონდა.

მარჯვება მოიპოვა თავის მოწინააღმდეგეებზე, რის შემდეგ მან „თვით-მპყრობელობით დაიპყრა ჰერეთი და კახეთი, და ნებიერად აღიხუნა ციხენი და სიმაგრენი მათნი“[1].

კახეთ-ჰერეთის შემოერთების შემდეგ დავითმა ქვემო ქართლზე დაიწყო შეტევა. აქ თურქი ურდოები მომთაბარეობდნენ. დავითის ისტორიკოსის სიტყვით, „სთუელთა ჩამოიარიან თურქთა სომხითი, ყოვლითა ფალანგითა მათითა, ჩამოდგიან გაჩიანთა, პირსა მტკურისასა, ტფილისითგან ვიდრე ბარდავადმდე, და იორის პირთა, და ყოველთა ამათ შუენიერთა ადგილთა საზამთროთა რომელთა შინა ზამთარს, ვითარცა არესა გაზაფხულისასა, ითიბების თივა, და აქუს შეშა და წყალი უხუებით, და მუნ არს სიმრავლე ნადირთა თვთოფერი და საშუებელი ყოველი. ამათ ადგილთა შინა დადგებიან ხარგებითა. ცხენისა, ჯორისა, ცხუარისა და აქლემისა მათისა არა იყო რიცხვ, და აქუნდა ცხოვრება სანატრელი, ნადირობდიან, განისუენებდიან და იხარებდიან, და არა იყო ნაკლოვანება მათ თანა. თვსთა ქალაქთა ვაჭრობდიან, ხოლო ჩუენთა ნაპირთა არბევდიან ტყვთა და ალაფითა სავსეთა. გაზაფხულსა თანა იწყიან სლვა აღმართ მთათა სომხითისა და არარატისათა. ეგრეთვე ზაფხულისცა ჰქონდის შუება და განსუენება, თივათა და ველთა შუენიერთა; წყაროთა და ადგილთა ყუავილოვანთა“[2]. როგორც ვხედავთ, მთლიანად ქვემო ქართლი ქ. თბილისი-თურთ თურქთა სათარეშო ასპარეზად იყო ქცეული. აქ იყო თავმოყრილი მათი დიდი ძალა და ოხრდებოდა ეს მხარე. დავითმა დაიწყო ბრძოლა ქვემო ქართლისათვის, მაგრამ არა თბილისიდან, სადაც მათი უმთავრესი ძალები იყო თავმოყრილი. მან თბილისს სამხრეთიდან შემოუარა და 1110 წ. აიღო თურქთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი ციხე-ქალაქი სამშვილდე. სამშვილდეს დაკარგვით თავზარდაცემულმა თურქებმა „უმრავლესნი ციხენი სომხითისანი დაუტევნეს, და ღამით მეოტ იქმნნეს, და ჩუენ თანა მოითუალნეს იგინი“[3]. მაშინვე დაუკავებიათ ქართველებს ციხე ძერნაც[4].

როგორც მოსალოდნელი იყო, ამას მოჰყვა სულთნის ლაშქრის საპასუხო შემოსევა. თურქები შეუმჩნევლად შემოიპარნენ, მაგრამ დავითი დაუყოჰნებლივ გამოვიდა მათ წინააღმდეგ და დაამარცხა მტერი თრიალეთში.

ამის შემდეგ ჯერი რუსთავზე მიდგა, რომელიც 1115 წელს წაართვეს თურქებს.

---

[1] დავითის ისტორიკოსი, გვ. 329.
[2] იქვე, გვ. 332.
[3] იქვე, გვ. 331—332.
[4] იქვე, გვ. 332.

ქვემო ქართლის პარალელურად დავითი საქართველოს უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხეებისათვისაც იბრძოდა. 1116 წ. მან ტაოში დაზამთრებულ თურქებს შეუტია და გადარეკა საქართველოს საზღვრებიდან.

კახეთ-ჰერეთის შემოერთების შემდეგ საქართველო უშუალოდ დაუმეზობლდა შარვანს. ამიერიდან შარვანის შაჰებთან ურთიერთობას დიდი ყურადღება ეთმობა დავით მეფის საგარეო პოლიტიკაში. 1116 წ., ტაოდან თურქთა განდევნის შემდეგ, დავითმა „ასული თჳსი კატა გაგზავნა საბერძნეთს სძლად ბერძენთა მეფისად. რამეთუ პირველად ამისსა პირმშო ასული თჳსი თამარი გაეგზავნა დედოფლად შარვანისა[1], რათა ვითარცა ორნი მნათობნი — ერთი აღმოსავლეთს, ხოლო მეორე დასავლეთს — ცისკროვან ჰყოფდნენ სფეროსა, მამისაგან მიმღებელნი მზეებრთა შარავანდედთანი"[2]. საქართველოს მეფის ეს ნაბიჯი მიზნად ისახავდა შარვან შაჰთან შეთანხმებას და სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში მის გადმობირებას[3]. ასევე ცდილობდნენ შარვან შაჰების გადაბირებას სელჩუკი სულთნებიც[4], რადგან იმ ბრძოლაში, რომელიც საქართველოსა და სელჩუკებს შორის ისახებოდა, შარვანის პოზიციას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, დავითმა შარვან შაჰი საბოლოოდ მაინც ვერ გადმოიბირა და 1117 წლიდან დაიწყო ბრძოლა მის წინააღმდეგ. უშუალოდ შარვანზე გალაშქრებამდე დავითმა დაიპყრო ჰერეთის ციხე-ქალაქი გიში[5] (ახლ. აზერბ. სსრ-ში), რომელიც, ჩანს, თურქთა მოკავშირეობით ინარჩუნებდა საქართველოს მეფისაგან დამოუკიდებლობას[6]. ამით დამთავრდა ჰერეთის შემოერთება.

ჰერეთში საბოლოოდ განმტკიცების შემდეგ დავით აღმაშენებელმა უკვე შარვანს შეუტია, სადაც თავისი ძე დემეტრე გაგზავნა, რომელმაც აიღო ციხე-ქალაქი ქალაძორი და ძლევამოსილი შემობრუნდა. 1120 წ. 14 თებერვალს დავითმა აიღო შარვანის ქალაქი ყაბალა[7], შემდეგ დაბრუნდა ქართლს, შეკრიბა ახალი ძალები და მაისში გაილაშქრა შარვანის შიდა ტერიტორიების დასარბევად. „დაარბია ლიჟათათ ვიდრე ქურდევანამდე

---

[1] ნ. ასათიანის ვარაუდით, ეს ქორწინება 1105 — 1106 წლებში უნდა მომხდარიყო (ნ. ასათიანი, საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 125, „XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები", თბილისი, 1968, გვ. 26 — 29.

[2] დავითის ისტორიკოსი, გვ. 334.

[3] ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 256.

[4] ნ. ასათიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 29.

[5] დავითის ისტორიკოსი, გვ. 334.

[6] ნ. ასათიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 30.

[7] დავითის ისტორიკოსი, გვ. 339.

და ხიშტალანთამდე"[1]. ამასთანავე, როგორც ჩანს, დავითმა აამხედრა შარვანის წინააღმდეგ დარუბანდის მმართველი[2]. ბრძოლაში შარვან შაჰსა და დარუბანდელს შორის შარვანის შაჰი მოკლეს[3] და ამის შემდეგ შარვანის ტახტზე საქართველოს მეფის სასურველი კანდიდატი ავიდა, რომელიც ამიერიდან საქართველოს მეფის ერთგული იყო[4].

1118 წელს დავით მეფე რაჯსის ნაპირებზე დაბანაკებულ თურქებს დაესხა თავს და დაამარცხა. იმავე წელს აიღო მან ციხე-ქალაქები ლორე და აგარანი, რითაც დაამთავრა ქვემო ქართლის შემოერთება.

განიმტკიცა რა მდგომარეობა ყოველმხრივ, 1120 წელს დავითი გადავიდა გადამწყვეტ შეტევაზე თურქთა წინააღმდეგ.

დავითის ისტორიკოსი ლაკონურად, მაგრამ უაღრესად მრავლისმეტყველად მოგვითხრობს სელჩუკთა წინააღმდეგ დავითის ამ გაშლილ შეტევაზე. ჯერ ის დავითის ერთ-ერთ საბრძოლო ხერხს გვამცნობს: მეფე, რომელსაც თურქთა მსტოვარნი „ზედა ადგიან" და „ეძებდიან გზათა მისთა", სელჩუკთა სიფხიზლის მოდუნების მიზნით გადადის დასავლეთ საქართველოში, ხოლო მისი სიშორით გულდამშვიდებული მტერი იწყებს საქართველოს ნაპირთა რბევას. მაშინ მეფე ზამთარში მოულოდნელად ესხმის თავს მათ და ამარცხებს. 1120 წლიდან იწყება, შეიძლება ითქვას, შეუსვენებელი ბრძოლა თურქთა წინააღმდეგ.

ერთი წლის განმავლობაში, 1120 წ. თებერვლიდან 1121 წ. ივნისამდე, ბრძოლა არ შეწყვეტილა. თურქ-სელჩუკები თავგამოდებით იცავდნენ თავიანთ პოზიციებს საქართველოს მისადგომებთან და ქართველებიც გამუდმებული იერიშებით ერეკებოდნენ მტერს საყრდენი პუნქტებიდან. ამასთანავე, საქართველოს მეფე ენერგიულად უტევდა და ავიწროებდა დიდ ქალაქებს. მაგალითად, თბილისის შევიწროება მან უკვე 1120 წელს დაიწყო. XI ს. 80-იანი წლებიდან, ჩვენში სელჩუკთა საერთო მომძლავრების ხანიდან, თბილისი მათ ხელში უნდა გადასულიყო[5], როგორც ცნობილია, ამ პერიოდში შეწყვიტა არსებობა თბილისის ჯაფარიან ამირათა დინასტიამ და მმართველობა ქალაქის „ბერების" ხელში გადავიდა. 1110 — 1115

---

[1] დავითის ისტორიკოსი, გვ. 339; პუნქტების—ლიქათი, ქურდევანი—ლოკალიზაცია, იხ. В. Минорский, История Ширвана и Дербенда, с. 107; პ. თოფურია, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულების ერთი ადგილის დაზუსტებისათვის, თსუ შრომები, ტ. 116, 1965, გვ. 268; ნ. ასათიანი, საქართველო-შარვანის ურთიერთობა XII ს., გვ. 31.

[2] ნ. ასათიანი, საქართველო-შარვანის... გვ. 31.

[3] დავითის ისტორიკოსი, გვ. 339.

[4] ნ. ასათიანი, საქართველო-შარვანის... გვ. 31 — 34.

[5] V. Minorsky, Caucasica in the history... გვ. 29 — 30; რ. კიკნაძე, XI — XIII საუკუნეთა თბილისის ისტორიიდან, გვ. 120.

წლებში დავითმა გამოსტაცა სელჩუკებს თბილისის გარშემო მდებარე ციხე-ქალაქები და თბილისი ფაქტიურად ალყაში მოაქცია. საქართველოს მეფის მიერ შევიწროებული თბილისის მაჰმადიანური მოვაჭრე-მოსაქმე ზედაფენა, რომელიც დიდი გავლენით სარგებლობდა ქალაქში, საქართველოს მეფისაგან თავდაცვის მიზნით მფარველს ეძებდა. მათ მოციქული გაუგზავნეს არანისა და განძის გამგებელ თოღრულ მუჰამედის ძეს, რომელმაც თბილისს ციხისთავი (შიჰნე) გამოუგზავნა. დავითი განაგრძობდა ბრძოლას თბილისისათვის და თბილისელები იძულებული შეიქნენ დათანხმებოდნენ საქართველოს სამეფოს სასარგებლოდ ყოველწლიურად ათი ათასი დინარის გადახდას, ამასთან ქალაქში ქართველი მეფის ციხისთავის (შიჰნეს) ყოფნას ათი მხედრით[1]. ასეთი მდგომარეობა, რასაკვირველია არცერთ მხარეს არ აწყობდა და საქართველოს მეფისაგან თავდაცვის მიზნით თბილისელებმა, არაბი ისტორიკოსის ცნობით, ახლა უკვე მაიაფარიკინის მმართველთან ნეჯმ ად-დინ ილღაზისთან გაგზავნეს კაცი და თბილისის ჩაბარება შესთავაზეს[2]. ქართული წყაროს ცნობით, საქართველოს მეფის დავითის მიერ „შეიწროებულნი თურქმანნი და კუალად ვაჭარნი განძელ-ტფილელ-დმანელნი წარვიდეს სულტანსა წინაშე“ და მას დახმარება სთხოვეს[3]. როგორც ჩანს, საქართველოს სამეფოს ენერგიულმა ღონისძიებებმა ამიერკავკასიაში ჩამომსხდარი თურქებისა და ამიერკავკასიის ქალაქების მესვეურთა შეშფოთება გამოიწვია. ერთი მხრივ, ქალაქების ვაჭართა წრეების წარმომადგენლებმა, რომელნიც საქართველოს მისადგომებიდან თურქთა განდევნის გამო კარგავდნენ როგორც მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობის საშუალებას, ასევე საკუთარ მფლობელობას ქალაქებში, ხოლო, მეორე მხრივ, აქაურმა სელჩუკებმა, საყრდენი პუნქტების დაკარგვის გამო საერთო ენა გამონახეს და საერთო მტრის წინააღმდეგ დახმარება სულთანს თხოვეს. დავითის ისტორიკოსის სიტყვით, „ესე ვითართა ჭირთაგან შეიწრებულნი თურქმანნი და კუალად ვაჭარნი განძელ-ტფილელ-დმანელნი წარვიდეს სულტანსა წინაშე, და ყოველსა სპარსეთსა შეიღებნეს შავად, რომელთამე პირნი, და რომელთამე ჭელ[illegible]ები, და რომელნიმე სრულიად, და ესრეთ მიუთხრნეს ყოველნი ჭირნი, მოწევნულნი მათ ზედა“[4].

---

[1] V. Minorsky, Caucasica in the history... გვ. 31. გასაგებია, რომ ციხისთავი და ათი მხედარი საქართველოს მეფის ხელისუფლების სიმბოლური გამოსახულება იყო, თორემ რეალურად ეს არავითარ ძალას არ წარმოადგენდა.

[2] V. Minorsky, იქვე, რ. კიკნაძე, XI — XIII სს. თბილისის ისტორიიდან, გვ. 121. შ. მესხია, საქალაქო კომუნა, გვ. 88.

[3] დავითის ისტორიკოსი, გვ. 340.

[4] იქვე.

ქართული[1] და არაბულ-სპარსული[2] წყაროების ცნობით, სულთნის განკარგულებით მოეწყო კოალიციური ლაშქრობა საქართველოს წინააღმდეგ ნეჯმ ედ-დინ ილ-ღაზის მეთაურობით[3]. თურქთა მხედრობას თბილისის გარნიზონიც შეუერთდა და სელჩუკთა ლაშქარი საქართველოში მანგლის-თრიალეთის გზით შემოვიდა[4]. 1121 წ. 10 აგვისტოსთვის, როგორც ვარაუდობენ, მტრის დაახლოებით 300000-იანმა ლაშქარმა თავი მოიყარა მანგლის-დიდგორში[5]. თურქთა ლაშქრის აქ განლაგება განპირობებული იყო შემდეგი მთავარი მიზნით: საქართველოში სელჩუკთა ბატონობის აღდგენა და თბილისის გამაგრება. დიდგორს მეფის ერთ-ერთი რეზიდენცია იყო, აქედან იკეტებოდა გზა ქართლის შუაგული რაიონებისაკენ და თბილისისაკენ[6].

დავითმა ბრძოლის ველზე 40 ათასი ქართველი მოლაშქრე გამოიყვანა, 15 ათასი ყივჩაყი, აგრეთვე დაქირავებულ ოსთა 500-კაციანი რაზმი და დაახლოებით 200-მდე „ფრანგი" (ჯვაროსანთა რაზმი). როგორც ვხედავთ, ამ დიდად მნიშვნელოვანი ბრძოლისათვის მთავარი იმედი დავითმა საკუთრივ ქართულ ლაშქარზე დაამყარა. რაც შეეხება ჯვაროსანთა 200-კაციანი რაზმის მონაწილეობას ამ ბრძოლაში, გარდა წმინდა სამხედრო მნიშვნელობისა (ჯვაროსნებს ხომ სელჩუკებთან ბრძოლის დიდი გამოცდილებაც ჰქონდათ) გარკვეული სიმბოლური და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ქართველთა ლაშქარი ნიჩბისის ხევში დაბანაკდა. დავითმა უკან დასახევი გზა ჩახერგა. ლაშქრის ძირითად ნაწილს, რომელსაც პირველი ბრძოლა უნდა მიეღო, დავითი სარდლობდა, დანარჩენი ნაწილი დავითის ვაჟის დემეტრეს სარდლობით მთას იყო ამოფარებული და იქიდან მოულოდნელად უნდა დაერტყა მტრისათვის[7]. ბრძოლის დაწყების წინ დავითმა ლაშქარს სიტყვით მიმართა, თავგანწირული ბრძოლისათვის სამშობლოს დასაცავად მოუწოდა და უკან დახევის შეუძლებლობაც შეახ-

---

[1] დავითის ისტორიკოსი, გვ. 340.

[2] რ. კიკნაძე, XI—XIII საუკუნეთა თბილისის ისტორიიდან, გვ. 120—123.

[3] სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა ლაშქრის შემადგენლობის საკითხზე. იხ. V. Minorsky, Caucasica... გვ. 32, რ. კიკნაძე, XI — XIII სს. თბილისის ისტორიიდან, გვ. 122 — 123, შ. მესხია, ძლევაი საკვირველი, გვ. 93 — 105; ქ. ჩხატარაიშვილი, დიდგორის ბრძოლის ისტორიული მნიშვნელობა. ქ. ჩხატარაიშვილი, ი. შაიშმელაშვილი, დიდგორის ბრძოლა, თბ., 1973, გვ. 13.

[4] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 202.

[5] იქვე; შ. მესხია, ძლევაი... გვ. 93 — 105.

[6] ქ. ჩხატარაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 15, 78 — 85.

[7] შ. მესხია, ძლევაი... გვ. 108 — 109.

სენა[1]. ბრძოლის დაწყებას საისტორიო წყაროები განსხვავებულად გადმოგვცემენ[2]. სელჩუკებმა თავის ნაცად ხერხს მიმართეს და ფსიქიური ზეგავლენის მოსახდენად ხმაური ატეხეს, მათ ყიჟინას, იარაღის ჟღარუნს, ცხენთა ჭიხვინს მთა და ბარი ბანს აძლევდა. დიდი მხედართმთავარი დავითი თავის მოლაშქრეებს ამშვიდებდა და მტრის მოახლოებას ელოდა. დავითმა ტაქტიკურ ხერხს მიმართა, ბრძოლის დაწყების წინ ქართველთა მხრიდან 200 მხედარი მტრის ბანაკისაკენ გაემართა; მაჰმადიანებს ისინი მოღალატენი ეგონათ და თავის ბანაკში შეუშვეს, სადაც მათ ერთბაშად ბრძოლის ყიჟინა დასცეს. მტრის ბანაკში არეულობა დაიწყო. ამ დროს საქართველოს ლაშქარმა მტერს ორი მხრიდან შეუტია — დასავლეთიდან დავითი, ხოლო დიდგორის მთიდან დემეტრე გადავიდა შეტევაზე. სისხლისმღვრელი ბრძოლა სამ საათს გაგრძელდა. მტერი შედრკა და გაიქცა.

დიდგორის ველზე 12 აგვისტოს ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. დავით მეფე არ დაკმაყოფილდა ბრძოლის ველზე მოპოვებული გამარჯვებით. ქართველებმა ფეხდაფეხ სდიეს უკუქცეულ მტერს, და უკვე მათ მიერ დაკავებულ მიწა-წყალზე ანადგურებდნენ მტრის უკანასკნელ რაზმებს. თურქ-სელჩუკთა ზარალი საგრძნობი იყო. ქართველებმა შედარებით მცირე მსხვერპლით შეძლეს ამ დიდი წარმატების მოპოვება. უდიდესი იყო ნადავლი იარაღ-საჭურვლის, ძვირფასი ნივთების, ტყვეების, სამხედრო დროშებისა თუ სხვათა სახით, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ქ. ჰილას (მდ. ევფრატზე) მბრძანებლის, ქართული წყაროების მიხედვით, „არაბთა მეფის“ დუბეის სადაყასძეს ძვირფასი ქვებით მოჭედილი და მისი სიძლიერის სიმბოლური გამომხატველი ყელსაბამი („ოქროს მანიაკი“), რომელიც დავითმა გამარჯვების ნიშნად გელათის მონასტერს შესწირა[3].

დიდგორის ველზე ბრწყინვალე გამარჯვება ქართველი ხალხის თავგანწირული ბრძოლის შედეგად იქნა მოპოვებული. აქ თავი იჩინა ქართველი ხალხის უშრეტმა ბრძოლისუნარიანობამ და გამარჯვების დიდმა წყურვილმა, დავითის დიდმა სამხედრო ნიჭმა, ბრძოლის ადგილისა და მტრის ლაშქრის შემადგენლობის მოხერხებულად გამოყენებამ, ბრძოლის ტაქტიკურმა ხერხმა[4].

---

[1] ნ. კანდელაკი, ქართული მჭერმეტყველება, თბ., 1968, გვ. 159—160; შ. მესხია, ძლევაჲ..., გვ. 109 — 110.

[2] ბრძოლის მიმდინარეობის შესახებ, იხ. შ. მესხია, ძლევაჲ..., გვ. 111 — 114; ქ. ჩხატარაიშვილი, დიდგორის ბრძოლის ისტორიული მნიშვნელობა; ქ. ჩხატარაიშვილი, ი. შაიშმელაშვილი, დიდგორის ბრძოლა, გვ. 16 — 19.

[3] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 74.

[4] დიდგორის ბრძოლაში ქართველთა ამ დიდ წარმატებას ზოგიერთი მკვლევარი ქართველთა ლაშქარში 200 ფრანგის მონაწილეობით ხსნის, ზოგი მაჰმადიანთა კოალიციის ჩაშლით. აღნიშნულ საკითხზე იხ. შ. მესხია, ძლევაჲ... გვ. 119 — 126.

დიდგორის ომში გამარჯვებას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნისათვის. ამ ომმა ცხადყო, რომ საქართველოს სახით მახლობელი აღმოსავლეთის მაჰმადიანურ სამყაროს სერიოზული მეტოქე გაუჩნდა. დიდგორის ბრძოლამ სახელი გაუტეხა მითს თურქთა უძლეველობის შესახებ და მათ უღელქვეშ მყოფ ხალხს განთავისუფლების იმედი ჩაუსახა. დიდგორის გამარჯვებამ გზა გაუხსნა დავითს თბილისისაკენ და მომავალი სხვა გამარჯვებებისაკენ.

დიდგორის ბრძოლის შემდეგ დავითმა გეზი თბილისისაკენ აიღო. ქალაქის ბედი ფაქტიურად გადაწყვეტილი იყო, მაგრამ თბილისის მოსახლეობა უბრძოლველად არ თმობდა საკუთარ დამოუკიდებლობას. ქართველთა ლაშქარმა 1122 წ. დიდი ბრძოლის შემდეგ თბილისი აიღო. „აიღო მეფემან ქალაქი ტფილისი, — წერს ისტორიკოსი, — პირველსავე ომსა, ოთხას წელ ქონებული სპარსთა, და დაუმკვიდრა შვილთა თჳისთა საჭურჭლედ და სახლად თჳსად საუკუნოდ“[1]. დავით აღმაშენებელმა საქართველოს სამეფოს დედაქალაქი ქუთაისიდან თბილისში გადმოიტანა, გააუქმა ქალაქის თვითმმართველობა და თბილისი მეფის მოხელეებს დაუქვემდებარა[2].

თბილისის დამორჩილების შემდეგ ჯერი ქ. დმანისზე მიდგა. 1123 წ. მარტში დავითმა „აღიღო ქალაქი დმანისი“[3].

დასრულდა ქართველი ხალხის ხანგრძლივი და დიდმსხვერპლიანი ბრძოლა ქართული მიწების საბოლოო გაერთიანებისათვის. თბილისისა და დმანისის შემოერთებით საქართველოს სამეფოს შემოემატნენ უკანასკნელი პუნქტები, რომლებიც კიდევ წარმოადგენდნენ სელჩუკთა საყრდენ პუნქტებს საქართველოში.

დიდგორის გამარჯვებამ შესაძლებელი გახადა საომარი ოპერაციების საქართველოს ფარგლებს გარეთ გატანა.

საკუთრივ ქართული მიწების შემომტკიცების შემდეგ დავითმა საომარი ოპერაციები სომხეთსა და შარვანში გადაიტანა. სანამ კავკასიის მისადგომები სელჩუკთა ხელთ იყო, საქართველო დაცული ვერ იქნებოდა მათი შემოტევებისაგან. საქართველოს სახელმწიფოს ინტერესების შემდგომი ეტაპი სომხეთსა და შარვანთან იყო დაკავშირებული.

ნიშანდობლივია, რომ თბილისის შემდეგ მეფე უტევს დმანისსა და გან-

---

[1] დავითის ისტორიკოსი, გვ. 342. ალ-ფარიკი და იბნ ალ-ასირი მოგვითხრობენ ქალაქის ალყაზე, რომელიც 1121 წლის ბოლოდან 1122 წლამდე გაგრძელდა. მათი ცნობით, მხოლოდ ამ ხანგრძლივი ალყის შემდეგ აიღო დავითმა თბილისი იერიშით და სასტიკად გაუსწორდა ქალაქის მოსახლეობას (იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 204; შ. მ ე ს ხ ი ა, ძველაჲ... გვ. 129 — 131).

[2] შ. მ ე ს ხ ი ა, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, გვ. 97 — 99.

[3] დავითის ისტორიკოსი, გვ. 344.

ძას, ქალაქებს, რომელთაც შეკრეს კავშირი და უცხო ძალა მოიწვიეს საქართველოში მის წინააღმდეგ. განძა ამ დროს მხოლოდ დალაშქრა დავითმა[1], ხოლო დმანისი, როგორც აღვნიშნეთ, შემოიერთა. ამის შემდეგ იწყება გადამწყვეტი ბრძოლა შარვანისა და სომხეთისათვის, ბრძოლა ჩრდილოეთ კავკასიისათვის, რომელიც, როგორც სამხედრო-სტრატეგიულ, ისევე ეკონომიკურ მიზნებს ისახავდა. თუ, ერთი მხრივ, სამხრეთში გაჭრა ეს იყო საქართველოს სახელმწიფო საზღვრების დაცვა, მეორე მხრივ, იგი სომხეთზე, დარუბანდსა და სხვა პუნქტებზე გამავალი დიდი სავაჭრო გზების დაუფლებას (ანისი, განჯა, კახი, შემახია, დარუბანდი...) ნიშნავდა, რითაც საქართველოს გზა ეხსნებოდა მსოფლიო სავაჭრო მაგისტრალებისაკენ[2].

დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის აღებას ახლო აღმოსავლეთის სელჩუკმა მბრძანებლებმა ახალი ლაშქრობით უპასუხეს. 1123 წ. სულთანი მაჰმუდი, საქართველოს მოკავშირე, შარვანში შეიჭრა[3]. სულთანმა შეიპყრო შარვან შაჰი, აიღო შამახია „და მოგზავნა მოციქული მეფის წინაშე, და მიუწერა წიგნი და მორქუა, ვითარმედ: „შენ ტყეთა მეფე ხარ და ვერა ოდეს გამოხვალ ველთა, ხოლო მე ესე-რა შარვან-შაჰ შევიპყარ ჯელთა და ხარაჯასა ვითხოვ. შენ თუ გენებოს, ძღუენი ჯეროვანი გამოგზავნე, და თუ გინდა სამალავთათ გამოვედ და მნახეო"[4].

დავით მეფემ გაილაშქრა შამახიაში დაბანაკებული სულთნის წინააღმდეგ, დაამარცხა სულთნის დასახმარებლად მოსული რანის ათაბაგი[5] და დავითის ლაშქრის მრავალრიცხოვნობით შეშინებული სულთანი „ღამესა გაიპარა და სასდუნით[6] მეოტი სხვთ გზით წარვიდა სოფლად თჳსად"[7]. დავითის ლაშქარში ყივჩაყებსა და ქართველებს შორის არსებული უთანხმოების გამო დავითმა ვერ ისარგებლა ამ მდგომარეობით. იგი ვერც გაქ-

---

[1] როგორც ჩანს, თავდასხმები და შეტევები განძაზე დავით აღმაშენებელს XII ს. დასაწყისიდანვე დაუწყია (იხ. ნ. ასათიანი, საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში, კრებ. „XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები", თბ., 1968, გვ. 25—26).

[2] სავაჭრო გზების დაუფლების საკითხთან დაკავშირებით იხ. ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966; ვ. გაბაშვილი, საქართველოს საგაჭრო ურთიერთობანი XI ს., თსუ შრომები, 1967, № 121, გვ. 201—223.

[3] ნ. ასათიანი ვარაუდობს, რომ ამ დროს უკვე შარვან შაჰები საქართველოს მეფის მოხარკენი იყვნენ (იხ. საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა..., გვ. 34).

[4] დავითის ისტორიკოსი, გვ. 343.

[5] იქვე, გვ. 344.

[6] საკანალიზაციო მილით.

[7] დავითის ისტორიკოსი, გვ. 344.

ცეულ სულთანს დაედევნა და ვერც შარვანი დაიპყრო[1]. როგორც ჩანს, დავითი სათანადოდ მოემზადა შარვანისათვის საბრძოლველად და ერთი თვის შემდეგ, ე. ი. 1123 წლის ივნისში, ხელმეორედ ილაშქრა მასზე. „აღიღო გულისტანი, სახლი თავადი შარვანისა, სიცხეთა მათ საშინელთა, მოირთო შარვანი და აღავსნა კეთილთა ყოველნი მორჩილნი ბრძანებათა მისთანი"[2].

ამგვარად, დავითმა განდევნა შარვანიდან თურქები. მაგრამ შარვანის შემოსამტკიცებლად მხოლოდ თურქების განდევნა არ კმაროდა, საჭირო იყო ქვეყნის დაპყრობა. როგორც შარვანში საქართველოს მეფესა და თურქ-სელჩუკებს შორის წარმოებული ბრძოლის დროს მიმდინარე მოვლენებიდან ჩანს, შარვანის მოსახლეობის ქრისტიანული ნაწილი საქართველოს მეფეს უჭერდა მხარს, ხოლო მაჰმადიანური ნაწილი თხოვს სულთანს დაიცვას „მართლმორწმუნე მუსლიმანები" ქრისტიანი მეფის მოძალებისაგან და იბრძოლოს საქართველოს მეფის წინააღმდეგ[3]. ასეთი მოწინააღმდეგე დაჯგუფების არსებობის პირობებში შარვანის ყმადნაფიცობა დავითისათვის არ იყო ურთიერთობის მისაღები ფორმა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სელჩუკთა მიერ დატყვევებული შარვან შაჰი აღარ ჩანს ისტორიის სარბიელზე, ამიტომ დავითი საქართველოს სახელმწიფოსათვის შარვანში მტკიცე პოზიციების შესაქმნელად იკავებს შარვანის მთავარ ციხეებს, სიკეთით ავსებს მომხრეებს და დარუბანდს ლაშქრობს. 1124 წლის აპრილში დავითი მიემართება „შაბურანს, დარუბანდელთა". აქ მან გაანადგურა „ქურდნი, ლეკნი და ყივჩაყნი დარუბანდელისანი", ხოლო შემდეგ აიღო „შარვანისა ციხენი ღასანნი და ხაზაონდი და მიმდგომი მათი ქუეყანა"[4].

1124 წელს დავითი განაგრძობს ბრძოლას შარვანისათვის. „წარემართა შარვანს და აღიღო ქალაქი შამახია და ციხე ბირიტი". ნიშანდობლივია ისტორიკოსის სიტყვები, რომ მეფემ აიღო „სრულად ყოველი შარვანი", ე. ი. დასრულდა შარვანისათვის ბრძოლა. ამის შემდეგ დავითმა შარვანში თავისი ლაშქარი ჩააყენა და იქ თავისივე მმართველები დანიშნა. „დაუტევნა ციხეთა და ქალაქთა შინა ლაშქარნი დიდნი, ჰერნი და კახნი. და განმგებელად და ზედამხედველად ყოველთა საქმეთა მანდაურთა აჩინა მწიგნობართუხუცესი თჳსი სჳმონ, ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი, მაშინ ბედიელ-ალავერდელი"[5]. როგორც ვხედავთ, შარვანი დავით აღმაშე-

---

[1] ამ ბრძოლის შესახებ ქართული და სპარსულ-არაბული წყაროების განხილვა და მათი შეფასება, იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 205—207.

[2] დავითის ისტორიკოსი, გვ. 344.

[3] ნ. ა ს ა თ ი ა ნ ი, საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა, გვ. 35 — 63.

[4] დავითის ისტორიკოსი, გვ. 344.

[5] ი ქ ვ ე, გვ. 345.

ნებელმა უშუალოდ შემოუერთა საქართველოს სახელმწიფოს, ხოლო მისი მმართველობა მეფის კარს, სამეფოს მწიგნობართუხუცესს დაუქვემდებარა[1].

შარვანისათვის წარმოებული ბრძოლის პარალელურად მიმდინარეობდა ბრძოლა სომხეთისთვისაც. 1124 წ. მაისში საქართველოს მეფემ გაილაშქრა სომხეთს და აიღო „ციხენი სომხითისანი: გაგი, ტერონაკალი, ქავაზინნი, ნორბედი, მანასგომნი და ტალინჯაქარი“[2]. დავითის ისტორიკოსის ამ ცნობას მთლიანად ადასტურებენ სომეხი ისტორიკოსები: ვარდანი, რომელიც დავითის მიერ გაგის, ტერუნაკანის, მანკაბერდისა და სომხეთის უმეტესი ნაწილის აღებას უთითებს[3], და სტეფანოს ორბელიანი, რომელიც ლაპარაკობს ტავუშის, გაგის, ტერუნაკანისა და ლორეს შემოერთებაზე[4]. 1124 წლის 20 აგვისტოს დავითთან „მოვიდეს მწიგნობარნი ანელთა თავადთანი და მოაჯსენეს მიცემა ქალაქისა“[5]. სომეხი ისტორიკოსის ვარდანის ცნობით, ანელთა ეს ნაბიჯი ანისის შედადიდი ამირას აბულსუარის მოქმედებამ გამოიწვია, რომელმაც გადაწყვიტა ანისი 60000 დინარად მიეყიდა კარის ამირასათვის. ამასთანავე, აბულსაურს ანისის კათედრალი შეჩეთად უქცევია[6]. მართალია, ანელებმა მოიწვიეს დავითი, მაგრამ ანისის შედადიდები უბრძოლველად მაინც არ დათმობდნენ ქალაქს; ამიტომ დავით მეფე სათანადოდ მოემზადა. მან დაგზავნა ლაშქრის წვევის წიგნები და როდესაც უკვე 60 ათასი მხედარი გამზადებული ჰყავდა, „წარემართა და, ვითარცა მიიწია მესამესა დღესა აიღო ქალაქი ანისი და ციხენი მისნი უჭირველად, და სოფელნი და ქვეყანანი მიმდგომნი ანისისანი“[7], ხოლო ანისის ამირა აბულსუარი მანუჩარის ძე „რვათა ძეთა მისთა თანა და მჯევალთა და სძალთა“ თანხლებით დაატყვევა და დასავლეთ საქართველოში გაგზავნა[8]. მათე ურჰაელის ცნობით, „ქართველთა მეფე დავითმა მოახდინა სპარსთა ჯარების სასტიკი ულეტა, თითქმის 20000 კაცი მოსპო და აიღო სომეხთა სატახტო ქალაქი ანი, ხოლო მანუჩეს შვილები გააძევა ანიდან და თბილისს გაგზავნა. მან გაათავისუფლა მონობისაგან სატახტო

[1] იმ მოსაზრებების განხილვა, რომელნიც უარყოფენ ამ დროს შარვანის უშუალოდ დაქვემდებარებას საქართველოს სამეფოსადმი, იხ. ნ. ასათიანის დასახ. ნაშრ., აგრეთვე შ. მესხია, ძლევაჲ... გვ. 42.

[2] დავითის ისტორიკოსი, გვ. 344.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 207.

[4] იქვე.

[5] დავითის ისტორიკოსი, გვ. 344.

[6] Вардан, Всеобщая история; ჩანს, მიუხედავად მაჰმადიანთა ხანგრძლივი ბატონობისა, ქრისტიანი მოსახლეობისადმი ანგარიშის გაწევის გამო შედადიდები ანისის კათედრალს ხელს არ ახლებდნენ. ანისის კათედრალის ასეთი განსაკუთრებული მდგომარეობა მაჰმადიანთა ბატონობის ხანაში შემდეგაც იჩენს თავს.

[7] დავითის ისტორიკოსი, გვ. 345.

[8] იქვე.

ქალაქი ანი, რომელიც 60 წელს იმყოფებოდა ტყვეობაში"[1]. ანისში დავითმა თავისი ლაშქარი ჩააყენა და მოხელეებიც მისიანი დანიშნა, ხოლო ყოფილი შირაქის სამეფო, ანისის ბაგრატუნ შაჰინშაჰების სამფლობელო, უშუალოდ საქართველოს სამეფოს შემოუერთა, „ანისისა მცველად დაუტევნა აზნაურნი მესხნი", წერს დავითის ისტორიკოსი[2]. ვარდანის ცნობით კი, ქალაქ ანისის და მისი ოლქის გამგებლობა დავითმა ქართველ დიდებულებს აბულეთს და მის შვილს ივანეს ჩააბარა. ანისის შემდეგ საქართველოს მეფემ გაათავისუფლა ვანანდისა და არარატის პროვინციები და საქართველოს შემოუერთა სელჩუკთა მიერ დაპყრობილი სომხეთის დიდი ნაწილი.

დავით IV აღმაშენებელს არ დასცალდა თავისი გეგმების სრული განხორციელება, ის გარდაიცვალა 1125 წლის 24 იანვარს 52 წლის ასაკში.

* * *

დავით აღმაშენებლის სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა დღის წესრიგში იმთავითვე იდგა საქართველოს ჩრდილო მისადგომების საკითხი, რისთვისაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ჩრდილო კავკასიაში გადასასვლელების და, კერძოდ, დარიალის გზის გამაგრებას. ამ გზის ხელში ჩაგდება-გამაგრება მნიშვნელოვანი ამოცანა იყო გაერთიანებული საქართველოსათვის და ამისათვის ბრძოლა გაერთიანებული საქართველოს მეფეებმა უკვე XI საუკუნეში დაიწყეს და, ჩანს, ეს საქმე დავით აღმაშენებელმა დაამთავრა კიდეც[3]. ამ გზის დაუფლებას ისახავდა მიზნად ხევსურეთის სახასოდ ქცევა, სამეფო ციხეთა და სასახლეთა აგება დარიალის გზაზე[4], მეფეთა დიდი მშენებლობა მუხრანს.

დავითმა 1118 წელს „აღიხუნა ციხენი დარიალისა და ყოველთა კართა ოვსეთისათა და კავკასიისა მთისათანი"[5]. გარდა არსებული ციხეების დაკავებისა, ის აშენებდა კიდეც აქ ციხეებს. ვახუშტის ცნობით, გველეთს ქვეით „არს ციხე დავითისა, არაგვის აღმოსავლეთ კიდესა ზედა, აღმაშენებლის აღშენებული"[6], ხოლო „ამას ქვეით ნასასახლევი მეფეთა ოდეს გაილაშქრიან ოვსეთად, მუნ დადგიან"[7].

---

[1] ლ. დავლიანიძე, მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ, კრებ. „საქართველო რუსთაველის ხანაში", თბ., 1966, გვ. 248.

[2] დავითის ისტორიკოსი, გვ. 345.

[3] ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 62.

[4] იქვე.

[5] დავითის ისტორიკოსი, გვ. 336.

[6] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 358.

[7] იქვე.

ამ გზის დაკავება და გამაგრება აუცილებელი პირობა იყო იმ ცხოველი ეკონომიკური თუ კულტურული ურთიერთობისათვის, რომელიც ამ დროს საქართველოსა და ჩრდილო კავკასიას შორის არსებობდა, „დარიალის კარების ხელში აღება იყო არა თავდაცვის აქტი ჩრდილოეთიდან მოწოლილ მომთაბარეთა შემოსევის წინააღმდეგ, არამედ ღონისძიება შეტევისა და გავლენის მიზნით კავკასიის მთიანეთსა და იბერიკავკასიის ხალხებზე"[1]. ისევე როგორც ადრე, XI — XII საუკუნეებშიც ჩრდილო კავკასიაში ეთნიკურად მეტად ჭრელი მოსახლეობა იყო და ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოც არ არსებობდა, რაც ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა გაძლიერებულ ქართულ სახელმწიფოს იქ თავისი გავლენის გავრცელებისათვის. ჩრდილო კავკასია ყურადღებას იქცევდა თავისი ეკონომიკური სიმდიდრით და მასზე გამავალი უდიდესი სავაჭრო-სტრატეგიული გზების მნიშვნელობით. საქართველოსათვის მცირედი მნიშვნელობა როდი ენიჭებოდა ჩრდილო კავკასიის სამხედრო ძალების გამოყენებას საკუთარი ინტერესებისათვის.

ჩრდილო კავკასიაზე საქართველო ადრიდანვე ახორციელებდა თავის კულტურულ გავლენას აქ მოსახლე ხალხებში ქრისტიანობის შეტანა-გავრცელებით, რისი უტყუარი ნაკვალევია X — XI საუკუნეთა მიჯნაზე და მომდევნო წლებში აგებული ქართული ეკლესიები[2]. ჩრდილო კავკასიის, კერძოდ, ოსთა სამხედრო ძალის გამოყენება განსაკუთრებით კარგად ჩანს XI ს. მეფე ბაგრატ IV-ის დროს. ბაგრატ IV ოსთა მეფე დორღოლელს ნათესაურადაც დაუკავშირდა, შეირთო რა ცოლად მისი და ბორენა[3]. ბაგრატ IV აქტიურად იყენებს ოსთა მეფის სამხედრო დახმარებას თავისი მტრების წინააღმდეგ[4].

ჩრდილო კავკასიელ ხალხებს შორის ქართველებთან ყველაზე მეტად დაკავშირებულნი „ისტორიულად ოსები იყვნენ, მაგრამ ოსეთზე საქართველოს გავლენა განსაკუთრებით გაიზარდა დავითის დროს და ამიერიდან ოსნი უკვე საქართველოს ყმადნაფიცნი იყვნენ"[5].

ჩრდილო კავკასიის „ხალხებს საკუთარი ინტერესები ამოძრავებდა საქართველოს მიმართ. განვითარებული მეურნეობის მქონე და ძლიერი საქართველო სულ უფრო მეტად იზიდავდა თავისკენ მთის მოსახლეობას"[6].

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 56.

[2] იხ. Р. Шмерлинг, Церковь в сел. Датуна в Дагестане, „მაცნე", № 2, 1969, გვ. 211—218, იქვეა საკითხის ლიტერატურაც.

[3] მატიანე, გვ. 295.

[4] იქვე, გვ. 313.

[5] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1949, გვ. 245.

[6] ზ. ანჩაბაძე, მ. ცინცაძე, საქართველო და ჩრდილოეთ კავკასია XII საუკუნესა და XIII საუკუნის I ნახევარში, კრებ. „საქართველო რუსთაველის ხანაში", გვ. 147.

საქართველოს უძველესი დროიდანვე აინტერესებდა ჩრდილო კავკასიაში გადამავალი გზების გამაგრება და კეთილმეზობლური ურთიერთობა ჩრდილო კავკასიელ ხალხებთან, იქიდან სამხედრო დახმარების უზრუნველყოფა[1]. ჩანს, დავით მეფე აგრძელებდა მისი წინაპრების ოსებთან დანათესავების ტრადიციას. ამ მხრივ ნიშანდობლივია ცნობა დავითის ქალიშვილის ოსეთს გათხოვების შესახებ. თუმცა, ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ ცნობას დიდ ნდობას არ უცხადებენ[2], მაგრამ ამ ფაქტის არსებობა არ უნდა იყოს საეჭვო.

ოსთა სამხედრო ძალას საქართველოს მეფეები იყენებდნენ როგორც გარეშე მტრის, ისე შინაური მტრების — ურჩი ფეოდალების წინააღმდეგ საბრძოლველადაც.

დავით აღმაშენებელმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა დარუბანდზე გამავალი გზის მიმართ, რამაც განაპირობა მისი ყურადღება ჩრდილო აზერბაიჯანის მიმართაც. ბრძოლამ შარვანსა და დარუბანდის გასასელელის გამო დავითსა და თურქ-სელჩუკებს შორის დაძაბული ხასიათი მიიღო. დავით აღმაშენებელი სათანადოდ აფასებდა კასპიის კარის დიდ სტრატეგიულ და სავაჭრო-ეკონომიკურ მნიშვნელობას და ამიტომ იბრძოდა მისთვის. დარუბანდისათვის ბრძოლაში დავითი ძალასთან ერთად ქურდთა, ლეკთა და თარასთა დასაჩუქრება-გადმობირების მეთოდსაც მიმართავდა[3]. ქართული სახელმწიფო ქართული ენის, ქრისტიანობის, ქართული კულტურის შეტანით ცდილობდა ეს ხალხები თანდათან მჭიდროდ დაეკავშირებინა საქართველოსთან და ქართულ-პოლიტიკურ-კულტურულ სამყაროში შემოეყვანა[4]. ჩრდილო კავკასიის მეშვეობით საქართველო თა-

---

[1] გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, 1958, გვ. 127. ჯ. სტეფნაძე, საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან XII საუკუნეში, 1974, გვ. 105.

[2] შ. მესხია, ძლევაი საკვირველი..., გვ. 60.

[3] დავითის ისტორიკოსი, გვ. 344.

[4] იხ. Ю. Колаковский, Христианство у алан, «Византийский Временник", т. V, с. 3; ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, I, გვ. 246—247; Г. Читая, Некоторые итоги экспедиционных работ 1957 г. отдела этнографии Института истории АН ГССР, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XI, 1960, გვ. 191; Т. Е. Гудава, Две надписи (грузинская и грузино-аварийская) из Дагестана, Сообщения АН ГССР, т. I, № 4, 1940, с. 324 — 327; მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, გვ. 198 — 199; გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, 1958; А. И. Шавхелишвили, Из истории взаимоотношений между грузинами и чечено-ингушским народами, Грозный, 1963; ზ. ანჩაბაძე, მ. ცინცაძე, საქართველო და ჩრდილოეთ კავკასია... და სხვ.

ვის პოლიტიკურ კავშირებს უფრო შორს, კიევის რუსეთთანაც ახორციელებდა.

როგორც ცნობილია, სამხრეთ რუსეთის ვრცელ ტერიტორიაზე მოსახლე ყივჩაყებს გამუდმებული ბრძოლა ჰქონდათ კიევის რუსეთთან. 1103 წელს კიევის მთავარმა ვლადიმერ მონომახოსმა დაამარცხა ყივჩაყები და მათი ერთი ნაწილი დონს გადაღმა გადავიდა, ხოლო მეორე ნაწილი ჩრდილო კავკასიაში ოსების მეზობლად დასახლდა. სწორედ ყივჩაყთა ამ მეორე ნაწილთან, რომელსაც მეთაურობდა ოტროკი (რუსულ წყაროებში), ანუ იგივე ათრაქა (ქართული წყაროებით) დაამყარა დავით აღმაშენებელმა ურთიერთობა, შეირთო რა ცოლად ამ მთავრის ასული და შემდეგ კი ეს ტომი ჩამოასახლა საქართველოში. როგორც ვარაუდობენ, ყივჩაყთა ტომის გადმოსახლების საკითხის მოსაგვარებლად დავითის მიერ საგანგებოდ წარგზავნილნი კიევშიც უნდა მისულიყვნენ მის მთავართან მოსალაპარაკებლად, რათა წინასწარ განემარტათ მთავრისათვის, რომ საქართველოს ყივჩაყებთან დაკავშირება საქართველოში მათ ჩამოსახლებას ისახავდა მიზნად და, რომ ეს კავშირი არ იყო მიმართული კიევის მთავრის წინააღმდეგ[1]. ურთიერთობა საქართველოსა და კიევის სამთავროს შორის შემდგომშიც გრძელდებოდა. ჩანს, საქართველოს, როგორც ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოს, ავტორიტეტი საკმაოდ მაღალი იყო ჩრდილოეთისა და დასავლეთის ქრისტიანულ სამყაროშიც, რის მოწმობასაც უნდა წარმოადგენდეს კიევის მთავრის იზიასლავ მსტისლავის ძის ქორწინება დავითის შვილიშვილზე, მეფე დემეტრეს ასულზე[2]. აღნიშნული ქორწინება კიევის მთავარს ესაჭიროებოდა თავისი პოლიტიკური პრესტიჟის ამაღლებისათვის[3]. ქართველი მეფის ასულზე დაქორწინებით და ამდენად ძლიერი მართლმადიდებლური სახელმწიფოს საქართველოს მხარდაჭერით კიევის მთავარი ფიქრობდა ბიზანტიის იმპერიის გვერდის ავლით მოეგვარებინა სამთავროს ეკლესიაში შექმნილი რთული ვითარება და მოეხდინა კიევის რუსეთის ეკლესიის გაეროვნულება. ნიშანდობლივია, რომ კიევის რუსეთი ბიზანტიის საპირისპიროდ კავშირს ეძიებდა და ამყარებდა სწორედ საქართველოსთან, რომელიც ამ დროს უკვე ბიზანტიის მეტოქედ და მემკვიდრედ გამოდიოდა წინა აზიაში[4].

საქართველოს სახელმწიფოს გაზრდილ ავტორიტეტზე მიუთითებს

---

[1] Ш. А. Месхиа, Я. З. Цинцадзе, Из истории русско-грузинских взаимоотношений, с. 15—16.

[2] ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 172 — 176, 185 — 186.

[3] იქვე.

[4] ო. ჟუჟუნაძე, საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან XII საუკუნეში, კრებ. „საქართველო რუსთაველის ხანაში", გვ. 268 — 279.

აგრეთვე საქართველოსა და ჯვაროსნებს შორის არსებული ურთიერთობაც[1]. საქართველოსა და ჯვაროსნების დაახლოებისათვის ხელსაყრელი ვითარება უნდა შეექმნა იმ გარემოებას, რომ ორივენი საერთო მტრის, თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ იბრძოდნენ. მართალია, ამ ორი მხარის საბოლოო მიზნები და ინტერესები განსხვავებული იყო, მაგრამ XI საუკუნის დასასრულსა და XII საუკუნის დასაწყისში საქართველოსა და ჯვაროსნების ბრძოლა თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ ობიექტურად ეხმარებოდა ერთმანეთს. ამდენად, რეალური საფუძველი უნდა ჰქონდეს ცნობებს დავით აღმაშენებლის ურთიერთობის შესახებ ჯვაროსანთა ერთერთ ბელადთან, იერუსალიმის მეფე ბოლდუინთან. ჯვაროსნებთან საქართველოს ურთიერთობის მანიშნებელია ჯვაროსანთა რაზმის მონაწილეობაც დიდგორის ბრძოლაში[2].

ამგვარად, იმ ღონისძიებათა შედეგად, რომლებიც საქართველოში გატარდა XI ს. დასასრულსა და XII ს. დასაწყისში, მეფე დავით IV აღმაშენებლის ხელმძღვანელობით, სრულიად რეალური ჩანს დავითის ანდერძის ფორმულა, რომ მან თავის ძეს დემეტრეს მემკვიდრეობით დაუტოვა ქვეყანა „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოსეთიდან არეგაწამდე“.

* * *

დავითის პოლიტიკა მიზნად ისახავდა ხელისუფლების მაქსიმალურ ცენტრალიზაციას, რასაც ემსახურებოდა ყველა მისი ღონისძიება: ურჩი ფეოდალების მამულების და მტრისაგან გაწმენდილი ქართული მიწების სამეფოდ დაჭერა, სამხრეთ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის (სომხეთი, შარვანი) მიწა-წყლის მეფის ტახტისათვის დაქვემდებარება და სხვა საშინაო ღონისძიებანი.

ურთიერთობის განსხვავებული ფორმა შეიმუშავა დავით აღმაშენებელმა იმიერკავკასიის მიმართ. იმ დროს, როდესაც თურქ-სელჩუკთაგან განთავისუფლებული სამხრეთ ამიერკავკასიის მიწა-წყალი მან უშუალოდ შემოუერთა საქართველოს, იმიერკავკასიის, კერძოდ, ოსთა მფლობელებთან ურთიერთობა მან ყმადნაფიცობის პრინციპზე დაამყარა.

ასევე ყმადნაფიცობის პირობით შემოიმტკიცა ლეკნი და ჩრდილო კავკასიის სხვა მკვიდრნიც. აღნიშნული გარემოება, პირველ რიგში, საქართ-

---

[1] შ. მ ე ს ხ ი ა, „მნათობი“, № 9, 1966, გვ. 79; მ ი ს ი ვ ე, დიდგორის ბრძოლა, გვ. 27; ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან, კრებ. „XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები“, გვ. 84 — 121; შ. ბ ა დ რ ი ძ ე, ჯვაროსნული თქმულება დავით აღმაშენებელსა და დემეტრე პირველზე, ი ქ ვ ე, გვ. 365—400.

[2] შ. მ ე ს ხ ი ა, ძლევაი საკვირველი..., გვ. 72 — 81.

ველოს ჩრდილო საზღვრის გამაგრების საქმეს ისახავდა მიზნად. მართალია, საქართველოს ძლიერი ბუნებრივი ბურჯი კავკასიონის ქედი იცავდა, მაგრამ ამ ქედის გადასასვლელებს დიდი ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნისათვის და ამიტომ იყო დავით აღმაშენებელი ამ გადასასვლელებს რომ იკავებდა, ხოლო გადაღმა მცხოვრებ სახლებს ყმადნაფიცობით იმტკიცებდა.

ამ თავის სახელმწიფოებრივ პოლიტიკას გულისხმობს დავითი, როდესაც წერს: „ბოროტად გარდავხედ საზღუართა და შევრთე სახლი სახლსა და აგარაკი აგარაკსა და უუძლურესთა მივხვეჭე ნაწილი მათი და ვიღწუოდ უმეზობლობასა, ვითარცა მარტო მკჳდრობდი ქუჴყანასა ზედა“[1].

მართლაც, დავითმა გადალახა საზღვარნი, გააერთიანა მამულები და სამეფოები, რადგან ერთმეფობისათვის იღვწოდა. საგარეო პოლიტიკაში „ის მხარს უჭერდა ქვეყნების უშუალოდ სამეფოდ დაპყრობას. ყმადნაფიცობას დავითი არ იწყნარებდა. და მან, მართლაც, არაერთი „სახლი“ შერთო“ „თავის სახლს“. დავითმა დაიპყრო ჰერეთ-კახეთის სამეფო, ლორეტაშირის სამეფო, ანისის სამეფო, შარვანის სამეფო. და ყველგან თავისი მოხელეები დასხა“. ხოლო საკუთრივ ქვეყნის შიგნით „დავითმა დაამხო დიდებულთა ქედმაღლობა (ბაღვაშები, აბულეთის ძენი და სხვ.) და ერისთავს მეფის მოხელეობა აკმარა.

დავითის პოლიტიკის მიხედვით მთელი ქვეყანა უნდა სამეფო საქონებელი ყოფილიყო, რომელიც აზნაურების სარგებლობაში იქნებოდა გადაცემული პირადი სამსახურის პირობით (მოსაკარგავე)“[2]. რასაკვირველია, სრულიად მართებულია ნ. ბერძენიშვილის შენიშვნა, რომ მან „შეიძლება ვერ შეძლო ამ პოლიტიკის მთლიანად განხორციელება[3], რადგან არ გააჩნდა სათანადო სოციალური დასაყრდენი, მაგრამ ძირითადად მან ასეთი კურსი რომ გაატარა და სწორედ სამეფო ხელისუფლებას დაუმორჩილა საშინაო და საგარეო საქმეების განმგებლობა, ეს სრულიად აშკარად ჩანს.

დავითი შორს გამიზნულ ცენტრალისტურ პოლიტიკას ატარებდა. ამ მხრივ მის მიერ ჩატარებულ ლაშქრობებთან და ქვეყნების შემოერთებასთან ერთად ფრიად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მმართველობის რეორგანიზაციისათვის გატარებული ღონისძიებანი. სახელდობრ, ხელმწიფის კარის რეორგანიზაცია, რაც ერისთავისადმი ვაზირის დაპირისპირებას და სხვა ამგვარ ღონისძიებებს გულისხმობს. როგორც ცნობილია, დავით აღმაშენებელმა ადრეფეოდალური დაშლილობის ხანისათვის დამა-

---

[1] დ ა ვ ი თ ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი, გალობანი სინანულისანი, მ. ს ა ბ ი ნ ი ნ ი, საქართველოს საბოთხე, სპბ, 1882, გვ. 516.

[2] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 41.

[3] ი ქ ვ ე, შენიშვნა 50.

ხასიათებელი ერისთავის ხელისუფლებას კარის უმაღლესი მოხელის — ვაზირის ხელისუფლება დაუპირისპირა და წინ სწორედ ვაზირი წამოსწია[1].

საქართველოს ცალკეული კუთხეების ერთმანეთთან უფრო მჭიდროდ დაკავშირებით და მათი მეფის კარისადმი დაქვემდებარების მიზნით გატარებულ ღონისძიებათა შორის საინტერესოდ გამოიყურება ბედიისა და ალავერდის მღვდელმთავრობის ხელისუფლების ერთი პირის ხელში გაერთიანება[2], სამთავნელ-მაწყვერელ-ჭყონდიდლის სახელოს შექმნა, ხონის მცხეთის მთავარეპისკოპოსისათვის დაქვემდებარება, აფხაზთა კათალიკოსის ინსტიტუტის ფაქტიური გაუქმება[3]. დავითმა საქართველოს ორი უკიდურესი საეპისკოპოსო კათედრა ბედია და ალავერდი იმიტომ დაუქვემდებარა ერთ პირს, რომ ამით ამ ორი კუთხის ერთიანობას და მათ ცენტრზე დამოკიდებულებას გაუსვა ხაზი.

საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში საკუთრივ ქართულ მიწა-წყალთან ერთად არაქართული ქვეყნებიც (სომხეთი, შარვანი...) და საკუთრივ ქართულ მართლმადიდებლურ მოსახლეობასთან ერთად მაჰმადიანური, ებრაული და სომხური გრიგორიანული მოსახლეობაც შემოდიოდა.

შემოერთებულ სომხეთ-შარვანის გარდა, არაქართული, მაჰმადიანური, ებრაული თუ სომხური მოსახლეობა მრავლად იყო საქართველოს ქალაქებშიც (განსაკუთრებით თბილისში).

აღნიშნულმა გარემოებამ იმთავითვე დააყენა სხვა ეროვნებისა თუ სხვა სარწმუნოების აღმსარებელი ხალხებისადმი დამოკიდებულების საკითხი და საქართველოს მეფის კარმა საზოგადოდ შემწყნარებლური კურსი შეიმუშავა. ამ კურსის შესანიშნავი გამოვლინებაა ის შეღავათები, რაც დავით აღმაშენებელმა ქ. თბილისის მაჰმადიანებს მიანიჭა, და ის დიდი ზრუნვა, რასაც ის სომხებისა თუ მაჰმადიანების მიმართ იჩენდა.

ქართული სახელმწიფო, დავით აღმაშენებლის დროიდან მოყოლებული, ცდილობდა პოლიტიკურად შემოერთებული ქვეყნების მტკიცედ შემოყვანას ქართულ სამყაროში, და ამ მიზნის მისაღწევად ზემოქმედების სხვადასხვა საშუალებას მიმართავდა.

ამ თვალსაზრისით თავიდანვე თანამიმდევრული პოლიტიკა ტარდებოდა სომხეთის მიმართ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სომხური მოსახლეობა ქართული ლაშქრის მხარდამხარ იბრძოდა თავისი მიწა-წყლის თურქთაგან გასათავისუფლებლად წარმოებულ ბრძოლაში. თანამედროვე ისტორიკოსები დიდად უმად-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 223 — 224.

[2] დავითის ისტორიკოსი, გვ. 345; ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი, ქართული სამართლის ძეგლები, II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, გვ. 17.

[3] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, გვ. 29—30, 90.

ლიან ქართველებს სომხეთის თურქთაგან განთავისუფლებას. ქ. ანისის განთავისუფლებასთან დაკავშირებით სომეხი ისტორიკოსი მათე ურჰაელი წერს, დავითმა „გაათავისუფლა მონობისაგან სატახტო ქალაქი ანი, რომელიც 60 წელს იმყოფებოდა ტყვეობაში, აგრეთვე საკვირველი და დიდებული ეკლესია — ანისა — წმიდა კათოლიკე, რომელიც მიზგითად ექციათ. შეკრიბა სომეხთა ქვეყნის ეპისკოპოსნი, მღვდელნი და მოწესენი და აკურთხა წმინდა კათოლიკე დიდის ზეიმით.

იყო სიხარული ყოველი სომხის სახლში, რადგან იხილეს განთავისუფლებული წმინდა კათოლიკე მონობისაგან"[1].

სომეხი ისტორიკოსები დავით აღმაშენებელს სომხეთის მხსნელად თვლიან და დიდის დიდებით იხსენიებენ მას. „იყო მეფე დავით წმინდა და სათნო,— წერს მათე ურჰაელი,— ყოვლად შემკული ღვთის მოსავობით და კეთილი სამართლიანობით. ის აღმოჩნდა მიმღები და მოყვარული სომეხთა ტომისა და მის გარშემო შეიკრიბა სომეხთა გადარჩენილი ლაშქარი"[2]. ასევე ახასიათებენ დავითს ვარდან დიდი[3] და სხვა სომეხი ისტორიკოსები.

ქართული სახელმწიფო ზრუნავდა სომხური ქალაქების აღდგენაზე, სომხეთში გზების მშენებლობასა და კეთილმოწყობაზე.

ამრიგად, საქართველო კავკასიის ხალხთა შემკრების როლში გამოდიოდა. ის თავის გარშემო ახდენდა კავკასიის მონათესავე და მეზობელი ხალხებისა და ტომების კონსოლიდაციას. ასეთი მისია თავის თავზე მან საქართველოს გაერთიანების პროცესის დაწყებისთანავე აიღო.

როგორც ჩანს, საერთო შემწყნარებლურ პოლიტიკასთან ერთად, ქართული სახელმწიფო ძალიან ფრთხილად, მაგრამ მაინც გრიგორიან სომეხთა მართლმადიდებლობაზე მოქცევასაც ცდილობდა. სომეხთა გამართლმადიდებლობის სურვილი მხოლოდ ქართველებს არ გასჩენიათ. ამ მიმართულებით დაახლოებით XI საუკუნიდან საკმაოდ ენერგიულ ღონისძიებებს ატარებს ბიზანტიის იმპერია. ასეთ დამოკიდებულებას სომხური სარწმუნოებისადმი განსაზღვრავდა სომხეთის პოლიტიკური მდგომარეობა. ბიზანტიაც და საქართველოც სომხეთის დაუფლებისათვის ბრძოლაში აქტიურად მიმართავდნენ იდეოლოგიის სფეროს და ცდილობდნენ საეკლესიო ერთიანობით განემტკიცებინათ თავისი პოზიციები.

იმ შემწყნარებლურ ხაზთან ერთად, რომელსაც საქართველოს სახელმწიფო ატარებდა სხვა აღსარების ხალხთა მიმართ, ის ცდილობდა აგრეთვე პოლიტიკურად დამორჩილებულ სახელმწიფოთა მჭიდროდ შემოკავშირე-

---

[1] ლ. დავლიანიძე, მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ, იხ. კრებ. „საქართველო რუსთაველის ხანაში", გვ. 248.

[2] იქვე, გვ. 247.

[3] Вардан Великий, Всеобщая история, М., 1861, с. 146—147.

ბას და ამ მიმართულებით ყველაზე უფრო თანამიმდევრულ ღონისძიებებს სომხეთის მიმართ ახორციელებდა. ამ ღონისძიებათა შორის მნიშვნელოვანი იყო სომხეთის ეკლესიის შემოერთების ცდა.

სომხებთან სარწმუნოებრივ ურთიერთობას თავისებურ დაღს ასვამდა საკუთრივ საქართველოში არცთუ ისე მცირერიცხოვანი მართლმადიდებელი სომხების არსებობა. ამავე დროს, ამ ურთიერთობას თავისებურ ელფერს ანიჭებდა ისტორიული ვითარება. თავდაპირველად, როგორც ცნობილია, სომეხ-ქართველთა სარწმუნოებრივი განხეთქილების შემდეგ, ქართველები მხოლოდ თავს იცავდნენ, მას შემდეგ კი, რაც სომხეთზე საქართველოს პოლიტიკური გავლენა გავრცელდა, მდგომარეობა შეიცვალა. ამიერიდან უკვე სომხური საეკლესიო წრეების წარმომადგენელნი იცავდნენ თავს ქართველთა თავდასხმებისაგან[1].

სრულიად კანონზომიერია, რომ ქართულ სახელმწიფოს სომხეთის პოლიტიკურ დაქვემდებარებასთან ერთად სომხეთის ეკლესიის შემოერთების სურვილიც გასჩენოდა. მაგრამ გასაგები მიზეზების გამო ქართული სახელმწიფო ამ თავისი სურვილის რეალიზაციას ძალიან ფრთხილად და მოფიქრებულად აპირებდა[2].

მართალია, სომხების „გაქართველება" არცთუ ისე ადვილი იყო, რადგან დიდი ისტორიისა და მაღალი კულტურის მქონე სომხებს თავისი ეროვნულ-სარწმუნოებრივი სახე მკვეთრად ჰქონდათ გამოხატული იმ დროისათვის, მაგრამ პოლიტიკური ვითარება ამ ეტაპზე საქართველოს სასარგებლოდ იყო შექმნილი და ისიც ყოველნაირად ცდილობდა თავისი ფართო გეგმების რეალიზაციას.

როგორც ჩანს, ასეთ ხაზს არ ატარებდა იგი საქართველოს მაჰმადიანების მიმართ, რადგან მაჰმადიანური ქვეყნები არ შემოსულა უშუალოდ საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში[3]. ჩვენში მხოლოდ მაჰმადიანური ვაჭარ-ხელოსნური მოსახლეობა სახლობდა უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში (თბილისში, დმანისში, რუსთავში...), ამავე დროს მაჰმადიანური სამყარო ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა იმდროინდელ საერთაშორისო ურთიერთობაში და ქართული სახელმწიფო ამასაც ითვალისწინებდა, მათ რელიგიურ შევიწროებას ერიდებოდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დავით აღმაშენებელმა თბილისის შემოერთების შემდეგ ჯერ წელში გაწყვიტა თბილისის მაჰმადიანური მო-

[1] ლეონ მელიქსეთ-ბეგი, ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი და მათი ვინაობა, თბ., 1928, გვ. 84.

[2] მ. ლორთქიფანიძე, საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობის წარსულიდან, კრ. „XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები", გვ. 123—140.

[3] ამ მხრივ მცირეოდენ გამონაკლისს შარვანის მოსახლეობის მაჰმადიანური ნაწილი წარმოადგენს, მაგრამ, როგორც ცნობილია, შარვანის ეს ნაწილი მალე ჩამოშორდა საქართველოს.

სახლეობა, სამი დღე დასაბრევად მიუგდო ქართულ ლაშქარს და შემდეგ მისცა ზოგიერთი შეღავათი[1].

XII ს. პირველ მეოთხედში საქართველო იქცა გადამწყვეტ ძალად ამიერკავკასიასა და წინა აზიაში და ის ბიზანტიას დაუპირისპირდა, ე. ი. მის მეტოქედ და მემკვიდრედ გამოვიდა მახლობელ აღმოსავლეთში[2]. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, რომ „საქართველოს მეფეები უცხო-ქვეყნელ ხელმწიფეებს თავის სწორად აღარა სთვლიდნენ, თვით ბიზანტიის კეისრის სახლის შვილებსაც კი"[3]. ნიშანდობლივია, რომ თუ XI ს. ქართველი მეფეებისათვის ბიზანტიის საკარისკაცო ტიტული კურაპალატისა სასურველი და საძიებელი იყო, დავით აღმაშენებელმა, მიუხედავად იმისა, რომ მას უკვე უფლისწულობის დროს ჰქონდა „სევასტოსისა" და „პანიპერსევასტოსის" ტიტულები მიღებული, ყველა ისინი უარყო როგორც თავისი მდგომარეობისათვის დამამცირებელი[4].

XII ს. დასაწყისში დავითი აღარ ატარებს ბიზანტიურ ტიტულებს და არსენის მიერ რუის-ურბნისის კრების სახელით დაწერილ „შესხმაში" გიორგი მეფე მოიხსენიება როგორც „მეფეთ-მეფე და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთის კესაროსი"[5], ხოლო დავითი, როგორც „მეფე აფხაზთა და ქართველთა რანთა და კახთა თჳთმპყრობელი"[6]. ჩანს, გამეფების პირველი წლებიდან, მას შემდეგ, რაც დავითმა განამტკიცა სამეფო ხელისუფლება, ხარკი შეუწყვიტა თურქებს, დაიწყო თურქთა განდევნა საქართველოდან და დაისახა ის დიდი ამოცანა, რომელიც ახლო მომავალში სისრულეში მოიყვანა, მან თავისთვის შეუფერებლად ჩათვალა ბიზანტიური ტიტულების ტარება და იწოდა თვითმპყრობელ მეფედ აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა. როგორც მართებულად შენიშნულიც არის ქართულ ისტორიოგრაფიაში, საქართველოს მეფეთა ტიტულატურა შესანიშნავად ასახავს ქვეყნის თანდათანობითი გაერთიანების პროცესს და საქართველოს სახელმწიფოს საზღვრების ზრდას. ეს ტიტულატურა „საქართველოს სახელმწიფოს თანდათანი ზრდისა და ნაწილობრივ წეს-წყობილების უტყუარი გამომხატველი იყო და ამ თვალსაზრისით რეალური მნიშვნელობაც ჰქონდა"[7].

---

[1] ამ შეღავათების ხასიათისა და ხანგრძლივობის შესახებაც არ არსებობს აზრთა ერთიანობა ჩვენს ისტორიოგრაფიაში. იხ. ქ. ჩ ხ ა ტ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 25 — 27. შ. მ ე ს ხ ი ა, ძლევაჲ საკვირველი, გვ. 134 — 136.

[2] საქართველოს ისტორია, I, 1946, გვ. 197. საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, I, 1958, გვ. 166.

[3] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 303.

[4] ი ქ ვ ე.

[5] ქრონიკები, II, გვ. 70.

[6] ი ქ ვ ე.

[7] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, გვ. 116.

გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფეების ტიტულებში ასახულია მათი „აფხაზთა“ (დას. საქართველო) და „ქართველთა“ (ქართლ-მესხეთი) მეფობა და ამასთანავე მითითებულია ბიზანტიასთან ურთიერთობის ფორმა. ბაგრატ III იწოდება „აფხაზთა და ქართველთა მეფედ და კურაპალატად“[1]. ბაგრატ IV, რომელიც ისევ აფხაზთა და ქართველთა მეფედ იწოდება, ატარებს ჯერ კურაპალატის, შემდეგ ნოველისიმოსის (40-იანი წლები), და ბოლოს (60-იანი წლებიდან) სევასტოსის ტიტულებს. ნიშანდობლივია, რომ მფლობელობის შესაბამისად ასევე აფხაზთა და ქართველთა მეფედ იწოდება მეფე გიორგი II, რომლის ტიტულატურაში თანდათან ნოველისიმოსს ჯერ სევასტოსი ცვლის, ხოლო შემდეგ კესაროსი[2]. ასე რომ, სანამ კახეთ-ჰერეთი გაერთიანებული საქართველოს ფარგლებს გარეთ იმყოფება, საქართველოს მეფეები იწოდებიან „აფხაზთა და ქართველთა“ მეფეებად, სადაც „აფხაზთა“ დასავლეთ საქართველოს გულისხმობს, ხოლო „ქართველთა“ — ისტორიულ აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლ-მესხეთს კახეთ-ჰერეთის გარეშე). „კურაპალატი“ კი ბიზანტიის იმპერიასთან არსებული ურთიერთობის ფორმაზე მიუთითებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კარდინალურად იცვლება საქართველოს მეფის ტიტული დავით აღმაშენებლის დროს. მართალია, მეფობის პირველ წლებში დავითი ძველებურად იწოდება „მეფედ აფხაზთა და ქართველთა“ და ატარებს ბიზანტიურ ტიტულსაც, მაგრამ შემდეგ ბიზანტიური ტიტულები ქრება და აფხაზთა და ქართველთა მეფეს ემატება რანთა (ე. ი. ჰერეთის) და კახთა მეფის ტიტული, რაც ამ პროვინციების შემოერთებას ასახავს[3]. იმავე დავით მეფის ტიტულებში ჩნდება „სომეხთა“ მეფის წოდება.

---

[1] მ ა ტ ი ა ნ ე, გვ. 278.

[2] დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1959, გვ. 43.

[3] საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში ბაგრატ III-ის დროს ჩნდება ტიტული „მეფე რანთა“ (იხ. თ. პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი, ჰერეთის ისტორიის საკითხები, გვ. 216). რიგი მკვლევარებისა ამას ბაგრატ III-ის მიერ 1008 — 1010 წწ. ჰერეთის შემოერთებას უკავშირებს, ხოლო რიგი — საკუთრივ არრანის, ე. ი. შარვანის შემოერთებას (იხ. ი ქ ვ ე, გვ. 216—221). „მეფე რანთა“ რომ არ ნიშნავს შარვანის შემოერთებას, ამას ისიც ამტკიცებს, რომ ბაგრატ III-ს შარვანი (რანი) არ შემოუერთებია საქართველოსთვის. მაგრამ ქართველ მეფეთა ტიტულატურაში „მეფე რანთა“ რომ იდენტურია „მეფე ჰერთასი“, ამის მოწმობას ისიც უნდა წარმოადგენდეს, რომ დავით აღმაშენებლის ტიტულატურაში „მეფე რანთას“ მისი ჯვრის წარწერაში ცვლის „მეფე ჰერთა“. თუ დავითის 1222 — 24 წწ. მონეტაზე აწერია „ქრისტე, დავით მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა“, მის ჯვარზე აწერია „ღმერთო, ყოვლისა დამბადებელო ადიდე შენ მიერ გუირგუნოსანი დავით, აფხაზთა და ქართველთა, ჰერთა და კახთა მეფე — მზე ქრისტიანობისა. ამინ“. ნიშანდობლივია ისიც, რომ ტიტულატურაში ჯერ არის რანთა (ჰერთა) მეფე და შემდეგ კახთა, რასაც აპირობებს ის, რომ დავითმა ჯერ ჰერეთი დაიპყრო და მერე კახეთი. „რანთა მეფის“ ტიტულთან დაკავშირებით იხ. პ. თ ო ფ უ რ ი ა, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის... გვ. 191 — 192.

ეს წოდებები დადასტურებულია დავითის მიერ მოჭრილ მონეტაზე, სადაც ის იწოდება „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა“[1] და დავით აღმაშენებლის საალამო ჯვარზე, რომელიც ქართული ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. ამ ჯვარზე ამოკვეთილია ასომთავრული წარწერა — „პატიოსანო ჯვარო! ადიდე უძლეველი აფხაზთა და ქართველთა რანთა კახთა და სომეხთა მეფე დავით“[2]. დავითის ტიტულებში „სომეხთა მეფის“ გაჩენა მის მიერ სომხითის და „სომეხთა მეფეთა“ სამფლობელოს — ლორეს სამეფოს — შემოერთებას უკავშირდება („სომეხთა მეფის“ ტიტულს სწორედ ეს მეფეები ატარებდნენ) და არა ანისის შემოერთებას, რომლის მეფენი შაჰანშას ტიტულს ატარებდნენ[3], რომელიც ჩნდება კიდეც ქართველ მეფეთა ტიტულატურაში ალბათ ანისის შემოერთებასთან ერთად. მაგრამ ჩვენ წყაროებში მხოლოდ გიორგი III-ის დროსაა დადასტურებული[4]. ქართველ მეფეთა ტიტულებში როგორც „შაჰანშა“, ასევე „შარვანშა“ დავითის დროს უნდა იყოს შესული, რადგან ანისის სამეფოც და შარვანიც, როგორც ცნობილია, დავით აღმაშენებლის დროს შემოუერთდა საქართველოს. ასე რომ, ის ფორმა წოდებებისა, რომელიც ჩვენ პირველად გიორგი III-ის სიგელში გვაქვს დამოწმებული, რეალურად დავით აღმაშენებლის დროსაა შექმნილი[5]. დავითის დროიდანვე მკვიდრდება ქართველ მეფეთა ოფიციალურ ტიტულატურაში „თვითმპყრობელი“. „თვითმპყრობელობის“ ტენდენცია გაერთიანებული საქართველოს პირველსავე მეფეებს აქვთ, რის გამოხატულებასაც წარმოადგენს ბაგრატიონთა მემატიანის მაღალფარდოვანი განცხადება, რომ მეფე ბაგრატ III-მ „დაიპყრა ყოველი კავკასია თვითმპყრობელობით ჯიქეთითგან ვიდრე გურგენადმდე, ხოლო ადარბადაგანი და შარვანი მოხარკე ყო, სომხეთისა ჴელმწიფებითა ნებიერად განაგებდა“[6]. მართალია, ბაგრატ III-ზე დამოკიდებული მართლაც იყო ზოგიერთი მეზობელი მხარე, მაგრამ თავისი თვითმპყრობელობა მან ფაქტიურად მხოლოდ საკუთრივ საქართველოს დიდ ნაწილზე გაავრცელა[7]. როგორც ვხედავთ, ეს ტენდენცია იმთავითვე ისახება და რეალობად დავითის დროს იქცევა. დავით აღმაშენებელი ხომ მართლაც პირველი და ნამდვილი თვით-

---

[1] დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკის სიახლენი, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 64; რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, გვ. 98.

[2] დ. კაპანაძე, იქვე, გვ. 64.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, გვ. 121—122.

[4] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 20.

[5] შდრ. შ. მესხია, „მნათობი“, № 9, 1966, გვ. 99.

[6] სუმბატ დავითის ძე, გვ. 382.

[7] ს. ჯანაშია, მონარქია ბაგრატ III და მისი მემკვიდრეების დროს. საქართველოს ისტორია, I, 1946, გვ. 192.

მპყრობელი მეფე იყო და სწორედ ამას ასახავს მისი ტიტულიც „მეფე აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა თვითმპყრობელი“[1]. ნიშანდობლივია, რომ თვითმპყრობელად იწოდება დავითი უკვე XII ს. დასაწყისშივე.

დავით აღმაშენებლის დროსვე ჩნდება საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში „მესიის მახვილი“. დავითის სპილენძის მონეტაზე არაბულად ამოკვეთილი „მეფეთა მეფე დავით ძე გიორგისა, მესიის მახვილი“[2] დავითის პოლიტიკის შესანიშნავი გამოხატულებაა.

ეს ტიტული ბევრ რამეზე მეტყველებს. დავითი თავის თავს „მესიის მახვილს“ უწოდებს. ამით ის აცხადებს, რომ „მისი სახით თვით ღმერთი მოქმედებს და ამდენადვე მეფის წინააღმდეგ მოქმედება ღმერთის წინააღმდეგ მოქმედებაა“[3]. ეს „მესიის მახვილი“ მიმართულია საშინაო მტრების წინააღმდეგ. ამ ფორმულაში აშკარად ვლინდება დავითის საშინაო პოლიტიკის მთელი არსი, მეფის მოქმედება ღვთის მიერაა ნაკურთხ-ნაკარნახევი, მის წინააღმდეგ ბრძოლა ღვთის გმობა და ერის ღალატია.

„მესიის მახვილი“ გარეშე მტრების წინააღმდეგაცაა მიმართული. დავითი თურქ დამპყრობლებს ამიერკავკასიიდან ერეკებოდა და მეზობელ ქრისტიან ხალხებს „მესიის მახვილად“ ევლინებოდა ურწმუნო მაჰმადიანთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს იყო შესანიშნავი ფორმულა, რომლითაც მეფე ამართლებდა თავის აშკარად გამოხატულ კლასობრივ საშინაო და საგარეო პოლიტიკას. „მესიის მახვილი“ პოლიტიკური ბრძოლის რელიგიური საფარველი იყო. ეს იყო ფეოდალთა კლასის ხელში იარაღი თავისი პოლიტიკური და სოციალური ბატონობის გასამართლებლად[4]. ნიშანდობლივია, რომ „მესიის მახვილი“ დავით აღმაშენებელმა თავის მონეტაზე ამოკვეთა არაბულად, ვინაიდან ეს მონეტა მთელი მახლობელი აღმოსავლეთის ბაზარზე გადიოდა და ის ყველაზე უკეთესი საშუალება იყო დავითის ამ ზეწოდების ფართოდ გახმაურებისათვის, ხოლო ამ ფორმულის სწორედ არაბულად ამოკვეთა მაჰმადიანებს მათსავე ენაზე ეუბნებოდა, რომ დავითი „მესიის მახვილია“, რომ ის ქრისტიანთა მცველი და ქომაგია და ისინი უნდა ძრწოდნენ შიშით მის წინაშე.

მეფის ხელისუფლების თვითმპყრობელობისათვის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა სამეფო ხელისუფლების მემკვიდრეობისა და მეფედ კურთხევის წესს.

---

[1] ქრონიკები, II, გვ. 70.

[2] Д. Капанадзе, Медная монета грузинского царя Давида, сына Георгия, «Эпиграфика Востока», XII, 1958, с. 39—47.

[3] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 29.

[4] მ. დუმბაძე, რუსთაველის საქართველო, გვ. 3.

ჩანს, გაერთიანებული საქართველოს მეფეები ცდილობდნენ დაეკანონებინათ ტახტის უფროსი ვაჟისათვის გადაცემის ტრადიცია და ამიტომ თავის მემკვიდრეებს თავისივე სიცოცხლეში თანამოსაყდრეებად აცხადებდნენ და ამეფებდნენ[1]. ამასთანავე, ამ ღონისძიებას უფრო ღრმა ფესვებიც ჰქონდა.

ფეოდალურ საქართველოში არსებული მეფედ კურთხევის ცერემონიალი აშკარად გამოხატავდა უმაღლესი ფეოდალური არისტოკრატიის უფლებებს მეფეთა კურთხევაში. ეს ძველი წესი შემუშავებული იყო ადრეფეოდალურ ხანაში და, ჩანს, დასავლეთ საქართველოში, მაშინ როდესაც მეფე ხელისუფლებას არა მხოლოდ ფორმალურად, არამედ ნაწილობრივ ფაქტიურადაც ფეოდალთა ხელიდან იღებდა[2]. მეფის კურთხევის ცერემონიალში ხაზგასმული იყო მეფის ხელისუფლების დამოკიდებულება ფეოდალებისაგან. თვითმპყრობელური ხელისუფლების განმტკიცების გზაზე შემდგარი მეფისათვის არ უნდა ყოფილიყო სასურველი დიდებულ ფეოდალთა ასეთი უფლებამოსილების გამხსენებელი აქტისათვის ხაზგასმა და ალბათ ამ გადმონაშთის ლიკვიდაციასაც ისახავდა მიზნად დავით აღმაშენებლიდან მოყოლებული[3] მეფეები თავიანთ მემკვიდრეებს სიცოცხლეშივე რომ აკურთხებდნენ მეფედ[4]. დავით აღმაშენებელმა თავისი ვაჟი დემეტრე თვითონ აკურთხა მეფედ — „დაადგა გჳრგჳნი თჳთ მისითა ჴელითა"[5] და თვითონ „შეარტყა წელთა ძლიერთა მახვილი"[6].

დავითის დროიდან წესად შემოღებული მემკვიდრის კურთხევა მეფის მიერ თვითმპყრობელური ხელისუფლების გამოვლინების ერთ-ერთი თვალნათელი მაგალითია.

სამეფო ხელისუფლების ასეთი გაზრდა და მეფის თვითმპყრობელობის განმტკიცება იდეოლოგიურ დასაბუთებასაც მოითხოვდა. ამ მხრივ სამსახური სამეფო ხელისუფლებისათვის ქრისტიანულ იდეოლოგიას უნდა გაეწია. ქართულმა ქრისტიანულმა იდეოლოგიამ მეფის ხელისუფლების უზენაესობა სამეფო დინასტიის ღვთიური წარმოშობითა და მეფის ხელისუფლების ზეგარდმო განჩინებით დაასაბუთა.

კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს არსებობის დროიდან კაცობრიობის ისტორიაში ცნობილია სხვადასხვა მოარული ლეგენდა, რომ-

---

[1] ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, I, გვ. 192.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, გვ. 195—196.

[3] მართალია, დავითიც მამამისმა თვითონ აკურთხა მეფედ, მაგრამ, ჩანს, აქ იძულებას ჰქონდა ადგილი.

[4] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, გვ. 197.

[5] ცხოვრება დემეტრე მეფისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 365.

[6] დავითის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 363.

ლებიც ასაბუთებენ სახელმწიფოთა სათავეში მდგომ პირთა ზეადამიანურ, ღვთაებრივ წარმოშობას. ქრისტიანული იდეოლოგიისათვის მიუღებელი იყო ცოცხალი ადამიანის ღმერთად გამოცხადება, სამაგიეროდ, ქრისტიანობის ხანაში განსაკუთრებით გავრცელდა თეორიები სამეფო საგვარეულოთა ღვთიური წარმოშობის შესახებ.

განვითარების გარკვეულ საფეხურზე საქართველოშიც იქმნება ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის ღვთიური წარმოშობის თეორია. ეს ლეგენდა ჩვენში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში შექმნილი ამ ტიპის ლეგენდები, მიზნად ისახავდა მმართველი დინასტიის მდგომარეობის განმტკიცებას — ერთი მხრივ, ის ანიჭებდა მას უპირატესობას სხვა საგვარეულოთა წინაშე და, რაც მთავარია, იდეოლოგიურად ასაბუთებდა მმართველი გვარის კლასობრივ ბატონობას[1].

მეფის ხელისუფლების შემდგომი გაძლიერების საფეხურზე საქართველოს მეფეებმა ესეც არ იკმარეს და თავის „ხელისუფლებას ღვთაებრივი ძალის მფარველობა და ხელმძღვანელობა მოუპოვეს"[2]. ეს თვალსაზრისი უკვე დავით აღმაშენებლის დროს შემუშავდა და გამოთქმულია მის ანდერძში, სადაც ის პირდაპირ აცხადებს, რომ მეფის ხელისუფლება პირადად ღმერთმა „არწმუნა". მისი სიტყვით, ქვეყნის მართვა-გამგეობაში მას ღმერთი თანაუდგა. ის აძლევდა მას მის მტრებს „მოსასრველად". მართალია, ხორციელად საქართველოს დავითი განაგებდა, მაგრამ სულიერად ღმერთი უძღოდა წინ. „მაშასადამე ისე გამოდის, რომ საქართველოს მართვა-გამგეობა ღმერთსავე ეკუთვნოდა... ვინც მეფის მართვა-გამგეობის წინააღმდგომი იყო, ის ღვთის წინააღმდეგ მიდიოდა, თვით ზეციურ მეუფის მტერი გახლდათ"[3]. როგორც ვხედავთ, განვითარების ამ ეტაპზე რეალურ ვითარებასთან შეფარდებით და ამ ვითარების განსამტკიცებლად

---

[1] იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, გვ. 120 — 122; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, წ. 27, 1949, გვ. 24. E. T a q a i s c h v i l i, Georgien chronology and the beginings of Bagratid rule in Georgia. „Georgica", A gournal of georgian and Caucasian Studies. vol I.№ 2, 1935, გვ. 18. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I. თბ., 1960, გვ. 154; ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობები ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, თსუ შრომები, XVIII, 1941, გვ. 69 — 85; პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 76—77. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV, თბ., 1955, გვ. 255 — 256; საქართველოს ისტორია, I, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს რედ., თბ., 1946, გვ. 190—191; მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ლეგენდა ბაგრატიონთა წარმოშობის შესახებ, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 144 — 149.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, გვ. 119.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 120.

„მეფის უფლება, მისი მოქმედება და მისი პიროვნება... ღვთაებამდეა ატანილი“[1].

შეგნება იმისა, რომ მეფის ხელისუფლება „თვითმპყრობელურია“, დავით აღმაშენებლის ხანაში საბოლოოდ მკვიდრდება ქართველ მეფეთა აზროვნებასა და, შესაბამისად, ტიტულატურაში.

საქართველოს ფეოდალური მონარქიის გაძლიერება-განმტკიცების საქმეში დიდი როლი მიუძღვის დავით IV-ს, როგორც სახელმწიფო მოღვაწესა და დიდ მხედართმთავარს.

დავით IV თავისი დროისათვის დიდად განათლებული ადამიანი იყო. მას შეთვისებული ჰქონდა ქართული საერო და სასულიერო მწერლობა, იცნობდა აგრეთვე აღმოსავლური და ანტიკური მწერლობის ძეგლებს. ჩანს, იცოდა არაბული და სპარსული ენები. კარგად იცნობდა როგორც მართლმადიდებლური, ასევე გრიგორიანული და მაჰმადიანური სარწმუნოების ნორმებს.

მეფეს იტაცებდა ვარსკვლავთმრიცხველობა, ღვთისმეტყველება და განსაკუთრებით საისტორიო მწერლობა[2]. მისი ისტორიკოსის ენით რომ ვთქვათ, ის იცნობდა „გარდასულთა საქმეთა პირველ ყოვლისა მეფეთა“ და მათ გამოცდილებას ითვალისწინებდა, რამაც დიდად შეუწყო ხელი სწორად განეკვრიტა სახელმწიფო საქმეები, გაეთვალისწინებინა წინამორბედთა შეცდომა-დამსახურებანი და ისე წარემართა სახელმწიფოს მართვა-გამგეობა[3].

მაღალი საერო და სასულიერო განათლება საშუალებას აძლევდა სათანადოდ შეეფასებინა მეცნიერებისა თუ კულტურის დარგის თანამედროვე მოღვაწენი და ჯეროვანი პატივი მიეზღო მათთვის. ქრისტიანული და მაჰმადიანური, მართლმადიდებლური თუ გრიგორიანული საღვთისმეტყველო ლიტერატურის საფუძვლიანი ცოდნა საშუალებას აძლევდა საქმიანად ჩარეულიყო სომეხ-ქართველთა თუ მაჰმადიანთა შორის მიმდინარე პაექრობებში და სასურველი მიმართულება მიეცა მათთვის.

დავით IV-მ ყველაფერი იცოდა, რაც მეზობელ სახელმწიფოებში ხდებოდა და საჭიროების შემთხვევაში სათანადოდ იყენებდა სხვათა გამოცდილებასა თუ მონაპოვარს.

დავით IV-ს ბევრი და ძლიერი მოწინააღმდეგე უნდა ჰყოლოდა. მაგრამ წყაროები, სამწუხაროდ, ძალიან ძუნწად და ზოგადად მოგვითხრობენ მეფის მოწინააღმდეგე დაჯგუფებათა შესახებ. მეფეს უსაყვედურებდნენ გამუდმებულ მოლაშქრეობას, სიმკაცრეს, ზოგთა დასჯას,

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 29.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 210 — 212; საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 168.

[3] დავითის ისტორიკოსი, გვ. 350 — 351.

ზოგთა ამაღლებას და სხვა, მაგრამ მეფის დასის წარმომადგენელი ისტორიკოსი დასციონის მათ და დიდის პათეტიურობით აცხადებს: „ეჰა, უსამართლოებასა, ოი, უგუნურებასა!“[1].

დავითის „დიდნი საქმენი“ კარგად ესმოდათ პროგრესულად მოაზროვნე თანამედროვეებს. სწორედ მათი აზრის გამომხატველია მისი ისტორიკოსის თხზულება. დავითი თვითონაც შესანიშნავად ერკვეოდა მის მიერ გატარებულ ღონისძიებათა მნიშვნელობაში და წერდა კიდეც ამის თაობაზე ანდერძში, რომ თავის შვილს დემეტრეს სამემკვიდრეოდ უტოვებს მისი ღვაწლით მოგებულ მამულს „ნიკოფსიითგან დარუბანდისა ზღუადმდე და ოვსეთიდგან — სოერად და არეგაწამდე“[2]. იმავე ანდერძში დავითი ამბობს, რომ შვილს დემეტრეს „მივეც დროშა ჩემი სვიანი, აბჯარნი ჩემნი სამეფონი და საჭურჭლენი ჩემნი ზემონი და ქუემონი“[3].

დავითის „დროშა სვიანი“ მის დიდ საქმეთა სიმბოლოს წარმოადგენდა მომდევნო ხანებშიც და იგი საქართველოს სახელმწიფოს ძლიერებას გამოხატავდა.

საქართველოს სახელმწიფო დროშა სახელმწიფოებრივი ხელისუფლებისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის სიმბოლო იყო და სხვა სამეფო ნიშნებთან ერთად ტახტის მემკვიდრეს გადაეცემოდა[4]. დავითის ძლიერების ხანაში ამ დროშას ეწოდებოდა „დროშა სჯანად ჴმარებული, გორგასლიანი და დავითიანი“[5].

დავითის დროშა და ტახტი ფეოდალური საქართველოს ძლიერების სიმბოლოდ იქცა. მის უშუალო მემკვიდრეებს შეგნებული ჰქონდათ, რომ საქართველოს ისტორიაში, ისე როგორც თავის დროზე ვახტანგ გორგასლის მეფობის ხანა იყო გარდამტეხი და ახალი ხანის მაუწყებელი, ასევე დავითის მეფობაც ეტაპური ხასიათის მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და ამიტომ უწოდებდნენ ისინი სამეფო ტახტსა და დროშას ვახტანგურსა და დავითიანს, გორგასლიანსა და დავითიანს. შესაძლებელია ნივთიერად არც მოუღწევია ვახტანგის დროინდელ ტახტს და დროშას დავითის ხანამდე, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ ქართველმა ხალხმა სიმბოლურად დააკავშირა ამ ორი მეფის სახელი, ქვეყნის სიდიადე და სიძლიერე. თამარის კურთხევის დროს „დასცეს საყვირი, ვითარცა ოდესმე სოლომონისთჳს, და დადგეს სჯანი ტახტი ვახტანგეთი, საყდარი დავითიანი... აღმართეს სკიპტრა დიდებულთა, ძელი ჯუარისა და მის თანა დრო-

---

[1] დავითის ისტორიკოსი, გვ. 359.

[2] ანდერძი დავით აღმაშენებლისა, ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 19.

[3] ი ქ ვ ე.

[4] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, II, გვ. 207.

[5] ისტორიანი და აზმანი..., ქართლის ცხოვრება, II, გვ. 104.

შა დავითის, არაოდეს მობერილი წინააღმდგომთაგან ნიავთა"[1], ე. ი. დროშა, რომელიც არაოდეს არ დამარცხებულა.

საქართველოს სამეფოს როგორც გამარჯვება, ასევე დამარცხებაც გადაექსოვა ამ „დავითიანი" დროშის ისტორიას. ქართველთა პირველი დამარცხება ამ ძლევამოსილებათა შემდგომ იყო ამ სვიანი „დავითიანი" დროშის უკუქცევა[2]. „იქმნა უკუქცევა სვესვიანისა ბედისა, მაღლისა და საჩინოსა დავითიანისა დროშისა გამარჯვებულისა"—წერს დიდი შინაგანი განცდით ჟამთააღმწერელი, „რამეთუ ვინათგან მიეცა ღმერთსა დიდსუესა და დიდბედსა დავითისდა გამარჯვება, აქა ჟამამდე სვანი იგი ბრძოლათა შინა დროშა დავითიანი და გორგასლიანი გამარჯვებული არასადა ძლეული იყო. ხოლო აქა, ვითარ იქმნა ცვალება ბედისა ქართველთა ნათესავისა, არღარა მიეცა ძლევა თათართა ზედა ვიდრე ჟამთამდე ჩუენთა"[3].

იმ დიდ გამარჯვებათა შედეგად, რომელსაც ქართველმა ხალხმა დავით IV-ის დროს მიაღწია, საქართველო ფართო ისტორიულ ასპარეზზე გამოვიდა. იმდროინდელი ევროპელი მოღვაწეები საქართველოს ქრისტიანთა „წინა ბურჯად" თვლიდნენ მაჰმადიანთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ხოლო დასავლეთში გავრცელებული თქმულებების თანახმად, დავით მეფე იყო ქრისტიანობის მხსნელი ურწმუნოთაგან.

---

[1] ბასილ ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისა, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 115—116.

[2] ს. ბარნაველი, ქართული დროშები, თბ., 1953, გვ. 18.

[3] ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 165.

თავი მეოთხე

საქართველოს საგარეო და შინაპოლიტიკური ვითარება XII ს. მეორე მეოთხედიდან 80-იანი წლების დასაწყისამდე

§ 1. საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი

XII ს. მეორე და მესამე მეოთხედში დავით აღმაშენებლის მემკვიდრეების დემეტრე I-ისა (1125 — 1156) და გიორგი III-ის (1156 — 1184) დროს საგარეო ომების მთავარი მიზანდასახულობა სომხეთისა და რანშარვანის საკითხის მოგვარება იყო.

მართალია, დავით აღმაშენებელმა ანისი და შარვანი უშუალოდ საქართველოს სამეფო ტახტს დაუქვემდებარა, მაგრამ საქართველოს მეზობელი მაჰმადიანური სახელმწიფოები, თურქული საამირო-სასულთნოები არ თმობდნენ თავიანთ პოზიციებს და ბრძოლა ხანგრძლივი და დაუნდობელი ხდებოდა, ხოლო ბრძოლის შედეგები ცვალებადი.

დავით აღმაშენებლის საგარეო-პოლიტიკური კურსი, რომელიც დაპყრობილი ქვეყნების უშუალოდ სამეფოდ დაჭერას, საქართველოს სახელმწიფოსთან შემოერთებას ისახავდა მიზნად, მისი უშუალო მემკვიდრეების დროს დაირღვა ნაწილობრივ იმიტომ, რომ ძალიან ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა.

მართალია, XI საუკუნის დასასრულიდან საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა ნაწილობრივ გაუმჯობესდა, შინასოციალურმა კრიზისმა და ჯვაროსანთა შემოტევებმა დაასუსტა თურქ-სელჩუკთა ძალა და სელჩუკთა ერთიანმა იმპერიამ თანდათან დაშლა იწყო, მაგრამ ახლად აღმოცენებული თურქული საამირო-სასულთნოები არ თმობდნენ თავიანთ პოზიციებს ამიერკავკასიაში და იმხანად გაძლიერებულ ქრისტიანულ საქართველოს საკმაოდ უძნელდებოდა მათთან ბრძოლა. საქართველოს პოზიციებს მნიშვნელოვნად აძლიერებდა ის გარემოება, რომ საქართველოძ თავის გარშემო დარაზმა ამიერკავკასიის ქრისტიანი ხალხები, სომხები, შარვანელები, რომლებიც საქართველოს ლაშქრის მხარდამხარ იბრძოდნენ და ერეკებოდნენ თურქ დამპყრობლებს, მაგრამ ბრძოლა ერთი

და იმავე ქალაქისა თუ მხარისთვის ხანდახან ათეული წლები გრძელდებოდა და ესა თუ ის პუნქტი ხელიდან ხელში გადადიოდა.

როგორც აღნიშნული იყო, დავით აღმაშენებელმა თავისი მეფობის უკანასკნელ წლებში თურქებს გამოსტაცა ისეთი მნიშვნელოვანი პუნქტები ამიერკავკასიაში, როგორიც იყო დმანისი, ანისი, შარვანი. ჩანს, დმანისი მალე დაუბრუნებიათ უკან სელჩუკებს. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ 1125 წ. დემეტრეს გამეფებისთანავე გაულაშქრია დმანისს[1]. ნიშანდობლივია, რომ სომეხი ისტორიკოსის ვარდანის ცნობით, „დემეტრემ არა მხოლოდ შეინარჩუნა მამის მიერ დატოვებული მემკვიდრეობა, მან მიუმატა კიდეც მას დმანისი და ხუნანი"[2]. დმანისისათვის ბრძოლა დემეტრე I-ის ამ ლაშქრობით არ დამთავრებულა, რადგან 30-იან წლებში დმანისის ხელმეორედ აღება ხდება საჭირო[3], ხოლო ხუნანი დემეტრეს 1128 წელს აუღია[4]. დმანისისა და ხუნანის აღებით მან თრიალეთის მისასვლელები დაიკავა[5]. ჩანს, ამიერიდან ეს ორი პუნქტი მყარად შემოვიდა ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში.

1130 წ. საქართველოზე გამოილაშქრა სამხრეთ სომხეთის მაჰმადიანმა მფლობელმა ხლათის სულთანმა შაჰ არმენმა ნასირ ად-დინ სუქმან II-მ (1128 — 1183), საქართველოს გაძლიერება მნიშვნელოვნად აზარალებდა შაჰ არმენს, სამხრეთ სომხეთის მაჰმადიან მფლობელს, რომლის რეზიდენცია ქ. ხლათი იყო. ჯერ XII ს. 30-იან წლებში, ხოლო შემდეგ ამავე საუკუნის 60-იან წლებში ურთიერთობა შაჰ არმენებსა და საქართველოს სახელმწიფოს შორის საგრძნობლად გამწვავდა. შეიძლება ითქვას, რომ შაჰ არმენები მონაწილეობდნენ თითქმის ყველა იმ ბრძოლაში, რაც დემეტრესა და შემდეგ გიორგი III-ის დროს საქართველოს წინააღმდეგ იყო მიმართული. შაჰ არმენები საქართველოს მეფეთა პოლიტიკით უკმაყოფილო ფეოდალების გადმობირება-შეკედლებასაც ცდილობდნენ და ამიტომაც იყო, რომ მეფე გიორგი III ტახტზე ასვლისთანავე ლაშქრავს,

---

[1] მოკლე ცნობები საქართველოს ისტორიიდან; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, ძველი საქართველო, II, გვ. 63.

[2] В а р д а н В е л и к и й, Всеобщая история, пер. Н. Эмина, М., с. 147. როგორც ვიცით, დავითმა 1121 წელს ილაშქრა ხუნანს, მაგრამ მისი ისტორიკოსის ცნობიდან არ ჩანს, რომ ის აეღოს. დმანისი კი, ეტყობა, ისე მალე დაკარგეს, რომ ვარდანს დმანისის აღება დემეტრეს მიერ მამისაგან დატოვებული მემკვიდრეობის გაფართოებად მიაჩნია.

[3] ლ ე ო ნ მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი, სტეფანე სიუნიელის „ორბელთა ისტორიის" ქართული ვერსია, „საისტორიო მოამბე", № 6, თბ., 1952, გვ. 58.

[4] ი ქ ვ ე.

[5] З. М. Б у н н я т о в, Грузия и Ширван в первой половине XII в., კრ. „საქართველო რუსთაველის ხანაში", გვ. 284.

შაჰ არმენის სამფლობელოს[1]. როგორც აღვნიშნეთ, 1130 წ. შაჰ არმენი სუქმან II თავს დაესხა საქართველოს. ეს თავდასხმა ანისის საქართველოს მეფის ხელში გადასვლის წინააღმდეგაც იყო მიმართული, მაგრამ დემეტრემ „განაქცივნა სუქმანეთნი"[2].

განსაკუთრებით ხანგრძლივი და მწვავე აღმოჩნდა ბრძოლა ანისისათვის. როგორც აღნიშნული იყო, 1124 წელს დავით აღმაშენებელმა გაათავისუფლა ანისი მაჰმადიან მფლობელთაგან, ანისის მაჰმადიანი მფლობელი ამირა მანუჩეს შვილი აბულსუარი ოჯახითურთ საქართველოში ტყვედ წამოიყვანა, ხოლო ანისი სამეფოდ შემოიერთა და ანისის განმგებლობა აბულეთსა და მის შვილს ივანეს ჩააბარა. მაგრამ მაჰმადიანი მფლობელები არ თმობდნენ ანისს, რადგან ამ ქალაქის დაკარგვა საგრძნობლად შეასუსტებდა მათ პოზიციებს ამიერკავკასიაში და საფრთხეს შეუქმნიდა მათ საყრდენ პუნქტებს ცენტრალურ და სამხრეთ სომხეთში. საქართველოსთვის ანისის მფლობელობა ჩრდილოეთ სომხეთზე ბატონობას ნიშნავდა. ამას კი ეკონომიკურთან ერთად სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობაც ჰქონდა.

ამიტომ, ჩანს, დავითის გარდაცვალებისთანავე თურქებმა ენერგიულად შეუტიეს ანისს და „მრავალი შევიწროვება განიცადა ანიმ სპარსელთა ლაშქრისაგან"[3]. დემეტრე I იძულებული გამხდარა ანისი მისი წინანდელი მფლობელის შვილისათვის დაებრუნებინა ყმადნაფიცობის პირობით. ანისის ახალი მფლობელი დავით IV-ის მიერ დატყვევებული ამირას აბულ-ასვარ შავურ II-ის შვილი ფადლონი იყო (ფადლონ IV). სომეხი ისტორიკოსის ვარდანის ცნობით, ფადლონმა, რომელიც ხორასანში იმყოფებოდა, „მამისა და ძმების თავგადასავალი და დავით მეფის სიკვდილის ამბავი შეიტყო თუ არა, მამისეული ქალაქის ანისის სათხოვნელად მოვიდა და თხოვნით მიმართა აბულეთსა და ქალაქის უხუცესებს. და რაკი ქალაქი თურქთაგან დიდს გაჭირვებაში იყო, ამიტომ აბულეთმა დაუთმო იგი (ანისი ფადლონს)"[4].

ფადლონ IV-მ ანისი 1126 წელს დაიბრუნა[5].

როგორც სამართლიანად შენიშნავს ივ. ჯავახიშვილი, ვარდანის ცნობიდან არ ჩანს აბულეთმა, როგორც დავითის მიერ ანისის განმგებლად

---

[1] ისტორიანი და აზმანი..., ქართლის ცხოვრება, II, გვ. 5.

[2] ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 366. იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 222.

[3] ლ. დ ა ვ ლ ი ა ნ ი ძ ე, მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ, კრებული „საქართველო რუსთაველის ხანაში", გვ. 249.

[4] Всеобщая история Вардана Великого, с. 147.

[5] История армянского народа, ч. I, под ред. Б. П. Аракеляна и А. Р. Иоаннисяна, Ереван, 1951, с. 160.

დანიშნულმა მოხელემ, მეფესთან შეთანხმებით გადასცა ფადლონს ანისი, თუ მეფის ნებართვის გარეშე[1]. ვარდანი მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ ქალაქი დიდად იყო შევიწროებული თურქთაგან და როდესაც აბულეთი მას ფადლონს უთმობდა, მხოლოდ ქრისტიანთა და თავისი შვილის ივანეს ხსნაზე ფიქრობდა, რათა ის არ დაღუპულიყო მუდმივ ბრძოლებში[2].

ფადლონი ძალიან გაძლიერებულა. მას ანისთან ერთად დაუკავებია დვინი და განძა[3]. მაგრამ, როგორც ჩანს, საქართველოს მეფემ ზოგი მოთხოვნა მაინც წაუყენა ფადლონს, რომელთა შესრულება უკისრია კიდეც მას. მათე ურჰაელის ცნობით, „მანუჩეს შვილებმა (ე. ი. ფადლონმა და მისმა მემკვიდრეებმა) დასდეს მტკიცე ფიცი, რომ წმინდა კათოლიკე, რომელიც ანიში მდებარეობდა, სამუდამოდ სომხებს ექნებოდათ და არ შეუშვებდნენ მასში ტაჩიკებს ან სხვა მუსულმან ხალხს"[4]. ამ ფაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან საქართველოს მეფეები დავითი და დემეტრე მაჰმადიანური მძლავრობისაგან ქრისტიანთა დამცველის როლს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და კარგადაც იყენებდნენ ამ პოზიციას სომხებისა და კავკასიის სხვა ქრისტიანი ხალხების დასარაზმავად თურქსელჩუკთა წინააღმდეგ საბრძოლველად. დავითის და ამჯერად დემეტრეს ზრუნვა სომეხი ხალხის ერთ-ერთი უდიდესი ტაძრის — ანისის კათედრალისათვის დემეტრეს მიერ მამის პოლიტიკის კარგად გაგებასა და მის მიერ იმავე ხაზის გატარების სურვილის მანიშნებელია.

როგორც აღვნიშნეთ, ვარდანის მოტანილი ცნობიდან არ ჩანს როგორი იყო აბულეთის როლი ფადლონისათვის ანისის გადაცემის საქმეში, მაგრამ იგივე ისტორიკოსი მოგვითხრობს დემეტრეს წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების შესახებ და აღნიშნავს, რომ იმ დროს აბულეთი და მისი შვილი ივანე შეპყრობილნი დმანისის ციხეში იმყოფებოდნენ[5]. ეს ფაქტი და, საერთოდ, აბულეთისა და ივანეს პოზიცია იმ შინა ომში, რომელიც დემეტრეს დროს საქართველოში ატყდა, გვაფიქრებინებს, რომ ანისის ფადლონისათვის გადაცემაში აბულეთის პოზიცია არ იყო მთლად მისაღები დემეტრესათვის.

ამგვარად, მეფე დემეტრე იძულებული შეიქნა დავით IV-ის მიერ უშუალოდ საქართველოსთან შემოერთებული ანისი გადაეცა მისი ძველი მფლობელის შედადიანთა მემკვიდრეებისათვის ყმადნაფიცობის და ქალაქში ქრისტიანთა გარკვეული პრივილეგიების დაცვის პირობით. მაგრამ

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. II. გვ. 222—223

[2] Вардан... с. 147. იხ. აგრეთვე, З. М. Бунятов, Грузия и Ширван в первой половине XII века, კრ. „საქართველო რუსთაველის ხანაში", გვ. 284.

[3] Вардан..., с. 148.

[4] მათე ურჰაელის ცნობები..., გვ. 249.

[5] Вардан..., с. 150.

შაჰმადიანთ არც ასეთი ნახევარმფლობელობა აწყობდათ და 1153—1154 წლებში ანისის ხელში ჩაგდება განუზრახავს არზრუმის მფლობელს ამირა სალდუხს[1]. დემეტრე მეფე თავისი ვასალის, ანისის მფლობელის დასახმარებლად და ქ. ანისის დასაცავად წასულა. არზრუმის ამირას ცდა მარცხით დამთავრდა. დემეტრემ თვით ამირაც კი ჩაიგდო ხელში, მაგრამ შემდეგ გაათავისუფლა იგი და ანისი ისევ ძველი პირობებისამებრ დარჩა შანუჩეს შთამომავლობას[2].

წყაროებიდან არ ჩანს გარკვევით, თუ რატომ გაათავისუფლა დემეტრემ დატყვევებული არზრუმის ამირა სალდუხი. ამ ბრძოლის შესახებ სხვა ავტორებთან შედარებით უფრო ვრცლად მოგვითხრობს ალ-ფარიკი. ფარიკის თანახმად, ანისის მფლობელს ფახრ ად-დინ შადადს მოციქული გაუგზავნია არზრუმის მფლობელ ამირა იზ ად-დინ სალდუხთან და უთხოვია გაეთავისუფლებინა ის ქართველთაგან; ხოლო როდესაც სალდუხი ჯარით ანისისაკენ წამოსულა, შედადს სალდუხის მოსვლის ამბავი დემეტრესათვის შეუტყობინებია, რომელიც ქ. ანისიდან ერთი დღის სავალზე მდგარა. დემეტრე ჯარით გამოვიდა შედადის დასახმარებლად და დაამარცხა სალდუხი. სალდუხი ტყვედ ჩავარდა, მასთან ერთად მრავალი მაჰმადიანი ჩაიგდეს ქართველებმა ხელთ, მაგრამ შემდეგ მაჰმადიან მფლობელთა შუამდგომლობით საქართველოს მეფემ სალდუხი გაათავისუფლა, რის საფასურად მიიღო 100 000 დინარი[3]. ბუნდოვანი და გაუგებარია, თუ რატომ უმუხთლა ანისის მმართველმა სალდუხს. რა მოხდა, ვერ შეთანხმდნენ პირობებზე? ალ-ფარიკის ცნობით, შედადმა არზრუმის ამირას შესთავაზა: შენი მსახური (ე. ი. ვასალი) შევიქნები და ხარკს გადაგიხდიო. აქედან აშკარად ჩანს, რომ შედადიანები საქართველოს მეფეს უხდიდნენ ხარკს და მისი ვასალები იყვნენ, მაგრამ, შეიძლება, არზრუმის ამირამ უფრო დიდი ხარკი მოითხოვა. ფარიკის ამ ცნობას ავსებს მხითარ გოში, რომელიც სალდუხის განთავისუფლების საქმეში მონაწილედ ადგილობრივ ფეოდალებსაც სახავს. მხითარ გოშის ცნობით, მეფე გიორგი III-მ გამეფებისთანავე შეიპყრო მთავარი ვასაკი, რომლის წინააღმდეგ ბოღმა ჰქონდა გულში, რადგან ის (ვასაკი), როდესაც ქალაქის უფროსი იყო, არ სცემდა მას ისეთ პატივს, როგორსაც მის ძმას დავითს, არ ეპსახურებოდა

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 225—226; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 7; Мхитар Гош, Албанская хроника, пер. З. М. Буниятова, Баку, 1960, с. 18.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 226; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 41.

[3] ალ-ფარიკი, იხ. V. Minorsky, Studies... გვ. 87. პ. თოფურია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI—XII საუკუნეებში, თბ., 1975, გვ. 100—102.

მას და არ ემორჩილებოდა... ვასაკი თავის ძმასთან ერთად გაიქცა და მივიდა თეოდოსიოპოლს ამირა სალდუხთან, რომელმაც იგი პატივით მიიღო, რადგან, როდესაც დამარცხებული სალდუხი დატყვევებული მიიყვანეს თბილისში მეფე დემეტრესთან, ვასაკმა მას დიდი სამსახური გაუწია[1]. როგორც ვხედავთ, არზრუმის ამირას განთავისუფლების საქმეში საქართველოს მეფის ქვეშევრდომი ფეოდალებიც ყოფილან ჩარეულნი და, ჩანს, ის ფეოდალები, რომელნიც დემეტრეს მიმართ არც თუ მთლად ერთგულად იყვნენ განწყობილნი, ეტყობა, სწორედ ამიტომაც შეიპყრო გიორგიმ ისინი.

ვასაკი შემდეგაც ჩანს ასპარეზზე. გიორგისაგან გაქცეულმა თავშესაფარი საქართველოს მტერ არზრუმის ამირასთან პოვა და 1160 წ. მონაწილეობდა ლაშქრობაში საქართველოს წინააღმდეგ, რომელსაც მოთავეობდა „ამირ მირანი, შვილი ამირა იბრეჰიმისა სუქმანის შვილისა, რომელიც იყო მპყრობელი მრავალი ქალაქისა და მხარისა, — ხლათში, არჭეშში, მანასკერტში"[2]. მაგრამ ქართველებმა მომხდური მტერი სასტიკად დაამარცხეს.

ქ. ანისში, ჩანს, უთანხმოება იყო ანისის ქრისტიან სამღვდელოებასა და შედადიან მფლობელებს შორის, ხოლო დემეტრე მეფის ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა, როდესაც მან ანისი შედადიანთა საგვარეულოს ყმადნაფიცობის პირობით დაუბრუნა, ანისის კათედრალის მაჰმადიანთაგან დაცვა იყო, რაც ქალაქის ქრისტიანული მოსახლეობის ინტერესების დაცვას გულისხმობდა. მაგრამ, ეტყობა, შედადიანი მმართველებით არ იყო კმაყოფილი ანისის ქრისტიანული მოსახლეობა, რომელიც 1155/6 წელს აუჯანყდა ამირა შედადს, წაართვა მას ქალაქი და მის ძმას ფალდონს გადასცა[3]. ჩანს, ვერც ფადლონმა გაამართლა მათი იმედები და 1161 წ. იგივე სამღვდელოება ახლა ფადლონს აუჯანყდა. ანისის სამღვდელოებამ დაამარცხა ფადლონი და ქალაქი მეფე გიორგი III-ს შესთავაზა. მეფე გიორგი III საგარეო პოლიტიკაში მთლიანად დავითის კურსის გაგრძელებას ცდილობდა, რომლის უმთავრესი მიზანიც საქართველოს სამხრეთით, სომხეთსა და აზერბაიჯანიდან თურქთა განდევნა იყო. გიორგიმ საომარი ოპერაციებიც იქითკენ მიმართა. პირველ რიგში, აუცილებელი იყო ანისის პრობლემის გადაჭრა. გიორგიმ ისარგებლა ხელსაყრელი ვითარებით და ქალაქი დაიკავა, შედადიანთა მთელი ოჯახი ფადლონითურთ დაატყვევა და

---

[1] მ ხ ი თ ა რ გ ო შ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 18.

[2] მ ა თ ე უ რ ჰ ა ე ლ ი, ქრონოგრაფია, ვაღარშაპატი, 1898, გვ. 425 (თარგმანი ლ. დავლიანიძისა).

[3] ი ბ ნ ა ლ-ა ს ი რ ი, იხ. ი. მაჭავარიანი, არაბელ და სპარსელ მწერალთა გეოგრაფიული და ისტორიული ცნობანი საქართველოს შესახებ, „მოამბე", თბილისი, 1898, № 1, გვ. 9.

1161 წ. მაისში ქალაქის მმართველად (ამირად) დანიშნა სადუნი[1]. სადუნს ქალაქის გამაგრება დაუწყია. ამან დააეჭვა მეფე მის ღალატში და ჩამოართვა თანამდებობა. განრისხებული სადუნი (სალტუნი, როგორც ვარდანი უწოდებს) გადაუდგა გიორგი III-ს, მაგრამ იგი შეიპყრეს და მიჰგვარეს გიორგის, რომელმაც მისი სიკვდილით დასჯა ბრძანა[2]. ამის შემდეგ მეფემ უკვე „ჴელთ იგდო ქალაქი ნებისაებრ თჳსისა და არა დამბრუნებელმან და შემტყობელმან დაიმჭირა სადგომად, ტახტისა მისისა შესანახავად და გასამაგრებლად. დამგდებელმან ივანე ორბელისა, მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარის თანაშემწეობითა სარგის მხარგრძელისთა“[3]. როგორც ჩანს, მეფე გიორგიმ ანისში ამირას თანამდებობა დატოვა და ამირად ჯერ სადუნი დანიშნა, ხოლო შემდეგ სარგის მხარგრძელი[4], რომელიც ივანე ორბელის თანაშემწე უნდა ყოფილიყო. მაგრამ ეს, რასაკვირველია, არ იყო ანისის საკითხის საბოლოო გადაწყვეტა. დაიწყო ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლა ამიერკავკასიის ამ მნიშვნელოვანი პუნქტისათვის.

ქართველთა მიერ ანისის აღებისთანავე შედგა ძლიერი კოალიცია, რომლის უმთავრესი მონაწილენი იყვნენ ხლათის მმართველი შაჰ არმენი ნასირ ალ-დინ სუქმან II, დიარბექირის მმართველი არდოხის ძე კოტბ ად-დინ ილღაზი, არზრუმის მთავარი ალ-მალიქ სალდუხი და სხვანი[5], მაგრამ საქართველოს მხედრობამ გიორგის მხედართმთავრობით, რომელსაც მხარში უდგნენ და ზურგს უმაგრებდნენ სახელოვანი ქართველი სარდლები და სახელმწიფო მოღვაწენი — მწიგნობართუხუცესი იოვანე, ამირახორი ლიპარიტ სუმბატის ძე, ბეგა სურამელი, ქირქიშ აბულეთის ძე და სხვანი, სძლია მრავალრიცხოვან და ძლიერ მტერს. გამარჯვებულმა გიორგიმ მტრის მიერ ანისიდან ტყვედ წაყვანილი ქრისტიანები და მაჰმადიანები გაათავისუფლა, ხოლო ქალაქს დიდი თანხა მისცა[6], ალბათ ომების შედეგად მიყენებულ ჭრილობათა მოსაშუშებლად.

ანისში ფეხის მტკიცედ მოკიდების შემდეგ გიორგიმ არზრუმზე გაილაშქრა. იბნ ალ-ასირის ცნობით, 1163 წელს „გაიმართა ბრძოლა ქართველებსა და არზან არ-რუმის მფლობელ მეფე სალთიკს შორის. ქართვე-

---

[1] ალ-ფარიკი, დასახ. ნაშრ., გვ. 89; ვ. მინორსკი უთითებს, რომ „ქართული ქრონიკა“ (ე. ი. „ქართლის ცხოვრება“) ანისის სამღვდელოების აჯანყების დროს ვინმე შანშე დადიანის განდგომაზე მოგვითხრობსო (იხ. Studies... გვ. 89, შენიშ. I). მაგრამ აქ შეცდომასთან გვაქვს საქმე, რომელიც მ. ბროსესაგან მომდინარეობს, რომელმაც სარწმუნოდ ცნო აქ შედადიანთა ნაცვლად ვახტანგისეული გამოცემის „შანშე დადიანთას“ წაკითხვა.

[2] Варда н..., გვ. 155.

[3] ისტორიანი და აზმანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 6.

[4] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 231.

[5] იქვე, გვ. 232.

[6] იქვე.

ლებმა სძლიეს მოწინააღმდეგეს და გაანადგურეს სალთიკის ლაშქარი. თვითონ სალთიკი შეიპყრეს და ტყვეობიდან მხოლოდ მაშინ გაათავისუფლეს, როდესაც მისმა დამ შაჰ-ბანუვარმა, რომელიც ცოლად ჰყავდა ხლათის მპყრობელ შაჰ არმენ ბენ სუქმან ბენ იბრაჰიმ ბენ სუქმანს, ქართველთა მეფეს ძვირფასი საჩუქრები გაუგზავნა და ძმის განთავისუფლება სთხოვა"[1].

სომხეთის საკითხი ანისით არ ამოიწურებოდა. ანისში ფეხის მომაგრებამ და არზრუმში მოპოვებულმა გამარჯვებამ საქართველოს სახელმწიფოს საშუალება მისცა დვინისაკენ დაძრულიყო. დიდი იყო დვინის სტრატეგიული მნიშვნელობა. ქართველი ისტორიკოსის სიტყვით, დვინი „არს არარატის ძირსა ზღუარი სომხეთისა და ადარბადაგანისა"[2]. 1172 წ. ივლის-აგვისტოში დიდი ბრძოლა მოხდა დვინისათვის, საქართველოს მეფემ გაიმარჯვა, ქალაქი აიღო და მრავალრიცხოვანი დავლა-ალაფით დატვირთული უკან დაბრუნდა[3]. დვინის მმართველად გიორგი III-მ ადგილობრივი ფეოდალი ანანია დანიშნა[4].

სომხეთის მიმართ საქართველოს მეფის პოლიტიკური კურსი მაჰმადიან მფლობელთაგან საპასუხო ღონისძიებას მოითხოვდა.

1163 წ. იანვარ-თებერვალში სამხრეთ აზერბაიჯანის, ალ-ჯაბალისა და ისფაჰანის გამგებელმა შამს ად-დინ ილდეგიზმა ლაშქარი შეყარა საქართველოს წინააღმდეგ. მას შეუერთდნენ ხლათის მფლობელი შაჰ არმენ სუქმან კუტუბის ძე, მარაღის პატრონი აყსანკორის ძე, აგრეთვე სხვები და 50 000-იანი ლაშქრით საქართველოს წინააღმდეგ დაიძრნენ. ქართველთა ლაშქარი დამარცხდა ამ ომში. მაჰმადიანებმა აიკლეს გაგის მხარე, აიღეს ციხე გაგი, ავიდნენ გელაქუნს და ანისისაკენ წავიდნენ, თან მრავალრიცხოვანი ტყვე წაიყვანეს და დიდძალი ალაფი გაიტაცეს[5]. 1163 წლის ამ გამარჯვებამ მაჰმადიანურ სამყაროში საყოველთაო ზეიმი გამოიწვია. გათამამებული მაჰმადიანები შეუდგნენ მზადებას საქართველოზე თავდასასხმელად, მაგრამ გიორგი III-მ დაასწრო მათ. 1165 წლის ბოლოს ან 1166 წლის დასაწყისში გიორგი III აზერბაიჯანისკენ დაიძრა და დაი-

---

[1] ბ. სილაგაძე, XII — XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ ალ-ასირის ცნობათა შუქზე, კრებ. „საქართველო რუსთაველის ხანაში", გვ. 109.

[2] ისტორიანი და აზმანი..., გვ. 5.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 232—233; ისტორიანი და აზმანი... გვ. 6; ალ-ფარიკი, დასახ. ნაშრ., გვ. 92; ვარდანი... გვ. 155; მათე ურჰაელი, დასახ. ნაშრ., გვ. 429; იბნ ალ-ასირი, გვ. 10—11; მხითარ გოში, გვ. 19.

[4] Очерки истории СССР, IX—XIII вв., ч. I, М., 1953, с. 626.

[5] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 233 — 237. ალ-ფარიკი, გვ. 93; ვარდანი... გვ. 155; ბ. სილაგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 110; მხითარ გოში, გვ. 19.

ქავა აზერბაიჯანი განჯამდე[1]. ბრძოლა ანისისათვის არ ცხრებოდა. 4 წლის განმავლობაში ანისი გამუდმებული იერიშის ობიექტად იქცა. ელდიგუზ ათაბაგსა და გიორგის შორის ომს ბოლო არ უჩანდა. ჩანს, ელდიგუზსაც გაუძნელდა, რადგან ამ უკანასკნელმა დამარცხებამ იგი დიდად დააფიქრა, მაგრამ საქართველოს მეფის მდგომარეობა უფრო მძიმე იყო. დაზარალდა და აწიოკდა ანისის და მთელი შირაქის მხარის მოსახლეობა. გამუდმებული ომების გამო შეუძლებელი გახდა მიწის დამუშავება და მეურნეობის წარმოება. ელდიგუზმა გიორგის ზავი შესთავაზა. მათ შორის ზავის ჩამოგდების მთხოვნელად გამოვიდა მეფე გიორგის და სულთნის ცოლყოფილი დედოფალი რუსუდანი. გიორგიმ დათმო ანისი, რომელიც 1164/5 წელს გადასცა ყმადნაფიცობის პირობით მის ძველ მფლობელთ შედადიდთა ჩამომავლებს[2], „უბოძა ანისი თჳსსავე მემამულესა და ითაყუანა თავისა თჳსისა ყმად“[3]. ეს „მემამულე“ იყო შაჰანშა შედადიდი, შედადისა და ფადლონის ძმა[4]. გიორგი მეფესა და ელდიგუზ ათაბაგსა თუ მის მოკავშირე სულთან არსლან მაჰმუდის ძეს შორის შეთანხმება 1165 წელს მომხდარა. დაახლოებით ათი წელი ანისს შაჰანშა მართავდა, მაგრამ 1174 წელს მეფე გიორგიმ კვლავ ილაშქრა ანისს. დაატყვევა შაჰანშა, რომელსაც ამიერიდან აღარ ეწერა ანისში დაბრუნება. ანისის გამგებლად ამჯერადაც გიორგიმ, როგორც ჩანს, ისევ ივანე ორბელი დანიშნა[5]. ალ-ფარიკი უთითებს, რომ 1174 წ. გიორგიმ ილაშქრა ანისს, ჩამოართვა ის შაჰანშას და ქალაქში საკუთარი მმართველები დანიშნა. ამიერიდან ქალაქი საქართველოს მფლობელობაში შემოვიდა[6].

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ აქტს საპასუხო მოქმედება მოჰყვა. 1174/5 წელს ათაბაგი ელდიგუზი და სულთანი არსლანი თავს დაესხნენ ანისს, დაარბიეს შირაქის ველი, მაგრამ დამარცხდნენ და უკუიქცნენ[7].

ანისისათვის ბრძოლაში გამცემლური როლი შეასრულა ივანე ორბელმა, რომელსაც გიორგი მეფემ ქალაქი სამმართველოდ ჩააბარა. ის მზად

---

[1] ბ. სილაგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 111.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 237. ალ-ფარიკი, გვ. 95—96; ისტორიანი და აზმანი..., გვ. 5; ვარდანი, გვ. 656; მხითარ გოში, გვ. 19.

ბ. სილაგაძე ამ დაზავების თარიღად 1167 წელს გვთავაზობს (იხ. ბ. სილაგაძე, XII—XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ ალ-ასირის ცნობათა შუქზე, გვ. 112). ამ თარიღს იზიარებს ჯ. სტეფნაძეც (იხ. საქართველოს ურთიერთობა..., გვ. 54).

[3] ისტორიანი და აზმანი..., ქართლის ცხოვრება, II, გვ. 15.

[4] ალ-ფარიკი, გვ. 96. ნიშანდობლივი დეტალია, რომ ალ-ფარიკი ქართული წყაროს მსგავსად შედადიდებს „მანუჩეს შვილებს“ უწოდებს.

[5] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 239; ვარდანი, გვ. 158.

[6] ალ-ფარიკი, გვ. 96.

[7] იქვე, ვარდანი, გვ. 159.

იყო დაეთმო ანისი თურქებისთვის, მაგრამ ვერ განახორციელა, რადგან მოქალაქეებმა გაიგეს და სათანადო ზომები მიიღეს[1]. შესაძლებელია, ივანე ორბელი ვარაუდობდა, რომ, თუ ის გადასცემდა ანისს თურქებს, მათგან შეღავათიანი პირობებით მიიღებდა ქალაქს სამმართველოდ. როგორც მოვლენების განვითარებიდან ჩანს, თურქი მფლობელები ეგუებოდნენ ანისის საქართველოს საყმადნაფიცოდ ყოფნას და ისინი მხოლოდ მაშინ აქტიურობდნენ, როდესაც საქართველოს მეფე უშუალოდ სამეფოდ იკავებდა მას. ამიტომ გასაგებია, რომ თურქებისათვის უფრო სასურველი იქნებოდა ივანე ორბელის მმართველობა ანისში, როგორც მათი ქვეშევრდომისა. ივანეს კი, ჩანს, გიორგის მოხელეობას მაჰმადიანთა ყმობა ერჩია. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ივანე ორბელის ეს ავანტიურა ვერ განხორციელდა[2].

ანისისათვის ბრძოლაში, ეტყობა, საქართველოს მეფეს ამჯერადაც მხარს უჭერდა ანისის სამღვდელოება ანისის ეპისკოპოსის ბარსეღის სახით, რისთვისაც გიორგი მეფეს გარკვეული საზღაურის გადახდაც მოუხდა. ეპისკოპოს ბარსეღის თხოვნით გიორგი მეფემ გამოისყიდა ტყვეობიდან მისი ძმა, მთავარი აპირატი, და ის ანისის ამირად დანიშნა[3].

ამის შემდეგ 1175 წ. შედგა ძლიერი კოალიცია ათაბაგ ელდიგუზის, სულთან არსლან შაჰის, ხლათის მმართველ შაჰ არმენის, ელდიგუზის შვილის ფაჰლავანის მონაწილეობით, რომელიც დიარბექირის, აზერბაიჯანის, ჰამადანის ლაშქრით შემოიჭრა საქართველოს მიწა-წყალზე და შემოესია ლორეს და დმანისის მიდამოებს[4]. დაიწყო მძიმე და სისხლისმღვრელი ომი. მაჰმადიანნი აწიოკებდნენ და არბევდნენ ქვეყანას. შედეგი ამ ბრძოლისა გარკვევით არც ერთ წყაროში არ არის მითითებული.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს ბრძოლები და მისი შედეგები საერთოდ არ განხილულა. ივ. ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიის“ II წიგნში, სადაც ვრცლად მსჯელობს ანისისათვის წარმოებულ ბრძოლებზე, ამ ამბების თხრობას ასრულებს ვარდანის ცნობით გიორგის მიერ ანისის ხელახლა შემოერთებისა და ქალაქის ამირად აპირატის დანიშვნის შესახებ. ამის შემდეგ ის ანისის საკითხს მხოლოდ 1208 წლის ამბების გამო უბრუნდება.

საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ „1173 წლიდან დვინ-ანისი და მათი მიმდგომი მხარეები მტკიცედ შემოვი-

---

[1] ვ ა რ დ ა ნ ი, გვ. 159.

[2] ნიშანდობლივია, რომ ივანეს გამცემლობაზე მხითარ გოშიც მოგვითხრობს, გვ. 19.

[3] ვ ა რ დ ა ნ ი, გვ. 159.

[4] ა ლ-ფ ა რ ი ქ ი, გვ. 97 — 98.

და საქართველოს სახელმწიფოში"[1]. ქართველი ისტორიკოსის ცნობით, გიორგი III-მ 1162 წელს აიღო დვინი[2]. მაგრამ იგივე ავტორი XII ს. 80-იან წლებში არაერთხელ მოგვითხრობს დვინის ლაშქრობაზე[3] და შემდეგ ასახელებს ელდიგუზ ათაბაგის გაზრდილს ბალშანს, დვინის პატრონს[4]. დვინის აღებას ქართველთა მიერ 1202—1203 წლებით ათარიღებს იბნ ალ-ასირი[5]. დვინის ამ ლაშქრობაზე ცნობები მოეპოვებათ მათე ურჰაელს[6], ვარდანს[7], მხითარ გოშს[8], ალ-ფარიკს[9]. მაგრამ არც ერთი ავტორი არ ამბობს არაფერს დვინის საქართველოს სამეფოსთან შემოერთების შესახებ. ასე რომ, ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია მოსაზრება იმ დროს დვინის საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შემოსვლის შესახებ. მაგრამ თუ ასეთი რამ მოხდა კიდეც 60-იან წლებში, დვინი ძალიან მალე დაუკარგავს საქართველოს სამეფოს, რადგან ანისის საყმადნაფიცოდ გადაცემის შემდეგ საეჭვოა, რომ დვინი უშუალოდ შემოერთებულად დარჩენილიყო. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ანისისათვის წარმოებული ბრძოლების დროს 1175 წელს საქართველოს წინააღმდეგ მებრძოლი სულთანი არსლან შაჰი ლორე-დმანისის მოოხრების შემდეგ დვინს ბრუნდება[10], ხოლო 80-იან წლებში მხარგრძელები დვინს ლაშქრობენ[11].

1174—1175 წლების ბრძოლების შედეგი არ არის გარკვეული, მაგრამ ბედმა, ეტყობა, ისევ შედადიდებს გაუღიმა, როგორც ამას ანისის 1198/9 წლების წარწერა გვიჩვენებს[12]. ამ წარწერის თანახმად, 1198/9 წლებში

---

[1] საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, I, 1958, გვ. 179.

[2] ისტორიანი და აზმანი..., გვ. 5.

[3] იქვე, გვ. 99.

[4] იქვე, გვ. 77.

[5] იბნ ალ-ასირი, დასახ. ნაშრ., გვ. 15; ბ. სილაგაძე, XII—XIII სს. საქართველოს..., გვ. 113—114.

[6] მათე ურჰაელი, გვ. 429.

[7] ვარდანი, გვ. 155.

[8] მხითარ გოში, გვ. 19.

[9] ალ-ფარიკი, გვ. 92.

[10] იქვე, გვ. 98.

[11] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 77. აქეე უნდა შევნიშნოთ, რომ იქ, სადაც „ისტორიათა და აზმანთა" ავტორი მოგვითხრობს თამარ მეფის მიერ შამქორის ომს მიმავალ მეომართა გაცილებაზე (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 77), ჩანს, მიუღებელია ქართლის ცხოვრების იმ ვარიანტების წაკითხვა, სადაც ნათქვამია, რომ თამარი „ჩავიდა დვინამდი", რადგან დვინი ჯერ არ არის შემოერთებული საქართველოსთან და აქ „დვინის" მაგიერ „დვირი" უნდა იყოს (იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 314, შენიშ. 27).

[12] V. Minorsky, Studies... გვ. 100—101.

ანისის გამგებლობა მუჰამადის ძის შადადის ხელთაა, რომელიც აქ აწესებს თავისუფალ ვაჭრობას ბამბის ნაწარმზე[1].

ამრიგად, 1174 წ. გიორგი III-ის მიერ შაჰანშას დატყვევებისა და იქ თავისი მოხელის დანიშვნის შემდეგ ანისში ისევ აღმდგარა შედადიდთა ხელისუფლება და საბოლოოდ მათ ეს ქალაქი და მისი ოლქი მხოლოდ 1199 წლის შემდეგ დაკარგეს, როდესაც ეს მხარე თამარ მეფემ მხარგრძელებს გადასცა.

სომხეთის პარალელურად საქართველოს სახელმწიფოს მესვეურნი დავით აღმაშენებლის შემდეგ რან-შარვანის მიმართულებითაც ცდილობდნენ მიღწეულ წარმატებათა განმტკიცებას. დავით IV აღმაშენებელმა ვერ მოასწრო ამიერკავკასიიდან თურქ-სელჩუკების განდევნა. დავითის შემდეგ საქართველოს წინააღმდეგ მტრის ბრძოლის მთავარი დასაყრდენი ქ. განძა იყო.

1137 წელს აზერბაიჯანის ამირობა (რანის ჩათვლით) ბრძოლით მოიპოვა შემს ად-დინ ელდიგუზმა[2], რომელსაც რანისათვის ებრძოდა დემეტრე I. განძა-რანისათვის ბრძოლა გიორგი III-ის და თამარის დროსაც გრძელდება.

1139 წელს რანში ძლიერი მიწისძვრა მოხდა, ქ. განძა დაინგრა და მრავალი მცხოვრები დაიღუპა[3]. ამ მდგომარეობით ისარგებლა დემეტრემ და განძას ილაშქრა. გამარჯვების ნიშნად დემეტრემ ჩამოხსნა და თან წამოიღო განძის კარი, რომელზედაც თავისი გამარჯვების უკვდავყოფისათვის წარწერა ამოკვეთა[4]. საქართველოს მეფის ამ ლაშქრობის საწინააღმდეგოდ თურქ-სელჩუკთა სულთანმა და აზერბაიჯანის ათაბაგმა რამდენჯერმე დალაშქრეს განძა. 1143 წელს განძა სულთანს დაექვემდებარა[5]. მხითარ გოშის ცნობით, განძისათვის ბრძოლაში დემეტრეს წარმატება მოუპოვებია, მაგრამ როდესაც მეფემ თავისი ქალი რუსუდანი სულთანს მიათხოვა ცოლად, განძა მისთვის მზითვად მიუცია და სულთანს იქ თავისი ამირა დაუნიშნავს[6].

რაც შეეხება შარვანს, აქ რთული მდგომარეობა შეიქნა. 1124 წელს, დავით IV-მ შარვანისათვის ბრძოლა წარმატებით დაამთავრა და ის უშუალოდ თავის ხელისუფლებას დაუქვემდებარა. წყაროები (ქართულიც და უცხოურიც) ძალიან ძუნწად მოგვითხრობენ 1124 წლის შემდეგ შარვანის

---

[1] Л. Т. Гюзальянь, Персидская надпись Кей-Султана Шедада в Ани, Сборник Академику Н. Я. Марру, М.—Л., 1935, с. 663; ვ. მინორსკი, იქვე.

[2] მხითარ გოში, გვ. 17.

[3] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 223; იბნ ალ-ასირი, დასახ. ნაშრ., გვ. 9. Вардан... с. 152; Мхитар Гош, Албанская хроника, с. 11—12.

[4] თ. ჟორდანია, ქრონიკები, 1, გვ. 248.

[5] მხითარ გოში, გვ. 13.

[6] იქვე, გვ. 15.

მდგომარეობაზე. როგორც ჩანს, შარვანში მდგომარეობა დაიძაბა. სელჩუკიანი სულთნები იბრძოდნენ შარვანის შაჰების ხელისუფლების აღსადგენად. ამავე დროს შარვანის მრავალრიცხოვანი შაჰმადიანური მოსახლეობაც იბრძოდა შარვანის საქართველოს სახელმწიფო შემადგენლობაში ყოფნის წინააღმდეგ[1] და დემეტრე I აქაც იძულებული შეიქნა კომპრომისზე წასულიყო, „შარვანის ქვეყანა ორად გაყვეს. აღმოსავლეთ ნაწილში შარვან შაჰის უფლება აღადგინეს და ეს ქვეყანა ამიერიდან, ისევე როგორც დარუბანდის ქვეყანა, საქართველოს მეფის მიმართ ყმადნაფიცის მდგომარეობაში იმყოფებოდა. შარვანის დასავლეთი ნაწილი კი საარიშიანოს შემოუერთეს, ე. ი. საკუთრივ საქართველოს საზღვრებში შემოიტანეს. ასე რომ, ამიერიდან საკუთრივ საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვარი ქ. შამახიის ახლოს, მისგან ოდნავ დასავლეთით, მდინარე თეთრწყალზედ (აწინდელი აყსუ) გადიოდა"[2]. ეს ღონისძიება, ე. ი. შარვანის ორად გაყოფა 1129/30 წლებში უნდა განხორციელებულიყო, როდესაც დემეტრემ შარვანის აღმოსავლეთ ნაწილში აღადგინა შარვან შაჰის ხელისუფლება და შარვანის შაჰად თავის დის რუსუდანის ქმარი მანუჩეჰარ II დასვა[3]. ამის შემდეგ, როგორც უკვე აღნიშნულია, შარვანის ჩრდილო-დასავლეთი ოლქები (ყაბალა-შაქი) თავისი მართლმადიდებლური ქრისტიანული მოსახლეობით მყარად შემოვიდა საქართველოს შემადგენლობაში, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ შარვანი მთელი XII საუკუნის მანძილზე საქართველოს ვასალ-ყმადნაფიც სახელმწიფოს წარმოადგენდა. შარვან შაჰი ვალდებული იყო საჭიროების შემთხვევაში გამოეყვანა საქართველოს მეფის განკარგულებით „რაოდენი ათასი კაცი უბრძანის"[4].

საქართველოს ვასალი ჩანს ამ დროს დარუბანდიც. ბრძოლას დარუბანდისათვის, შარვანისა და სომხეთისათვის ბრძოლის პარალელურად, ჯერ კიდევ დავით აღმაშენებელი იწყებს. სამწუხაროდ, ჩვენს ხელთ არსებული წყაროები არ იძლევიან შესაძლებლობას ამ დროს საქართველო-და-

---

[1] იმდროინდელ შარვანის ისტორიასთან დაკავშირებული მოსაზრებების კრიტიკული განხილვა იხ. ნ. ასათიანის შრომაში: საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII ს., გვ. 40 — 54.

[2] ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 257. როგორც ცნობილია, აქ გადიოდა საქართველოს სახელმწიფოს საზღვარი XIV საუკუნეშიც. შარვანის ორად გაყოფისა და მისი ნაწილის საქართველოსადმი დამორჩილების შესახებ იხ. აგრეთვე В. Бартольд, Соч., т. II, с. 691.

[3] ნ. ასათიანი, საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა, გვ. 46 — 47.

[4] ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, ცხოვრება გიორგი მეფისა, გვ. 367.

რუბანდს შორის დამყარებული ურთიერთობის ხასიათისა და ფორმის გარკვევისათვის, მაგრამ სავარაუდებელია, რომ ის ვასალური დამოკიდებულება, რომელიც აშკარაა დემეტრეს დროს, ამ დროს შეიქმნა. დავით აღმაშენებელს რომ დარუბანდი თავის გამგებლობაში მყოფ ქვეყნად მიაჩნდა, ეს თითქოს ჩანს მისივე ანდერძიდან, სადაც ამბობს, რომ მან თავის მემკვიდრეობით დაუტოვა ქვეყანა „დარუბანდის ზღვამდე"[1]. თუმცა ძნელია გადაჭრით თქმა, აქ დარუბანდის ზღვა, კასპიის ზღვის დარუბანდის სანაპიროს გულისხმობს, თუ საერთოდ კასპიის ზღვას. თუ უკანასკნელს, მაშინ ეს ანდერძი ამ საკითხის გარკვევისათვის ვერ გამოგვადგება. აღსანიშნავია ისიც, რომ თ. ჟორდანიას მიერ გამოცემულ ანდერძში ამ ადგილას არის „ნიკოფსიითგან დარუბანდისა საზღურამდე"[2]. კიდევაც რომ მივანიჭოთ უპირატესობა ჟორდანიასეულ ვარიანტს, მაინც რას ნიშნავს გამოთქმა „დარუბანდის საზღურამდე", დარუბანდის ჩათვლით, თუ დარუბანდამდე? თითქოს უფრო სავარაუდო ჩანს დარუბანდის ჩათვლით, რადგან შემდეგ, როდესაც დარუბანდის საქართველოსადმი ვასალობა სადავო აღარ არის, ეს ფორმულა ისევ ასე იხმარება ჩვენს წყაროებში. საკითხის ამგვარად გადაჭრის შესაძლებლობას მხარს უჭერს ალ-ფარიკის ცნობა, რომლის თანახმად, XII ს. შუა წლებში დარუბანდი აშკარად საქართველოს ვასალია და დემეტრეს დროს არ ჩანს ბრძოლა დარუბანდის დასაპყრობად. XII ს. ცნობილი არაბი ისტორიკოსი ალ-ფარიკი 1154/5 წლებში საქართველოში დემეტრეს კარზე იმყოფებოდა და თან ახლდა მას მისი სამფლობელოების შემოვლის დროს. მათ რამდენიმე დღე გაუტარებიათ ერთად დარუბანდშიც, რომლის მალიქი ამირი აბუ-მუზაფარი, დემეტრეს სიძე (მისი ქალიშვილის ქმარი) ეახლა დემეტრეს თავისი პატივისცემის დასადასტურებლად და მეფისათვის სამსახურის გასაწევად[3]. იმავე ალ-ფარიკის ცნობით, დარუბანდის ციხეში დამწყვდეული ყოფილა დიდგორის ბრძოლის მონაწილე ილ-ღაზის ლაშქრიდან დატყვევებული ერთი მაჰმადიანი[4]. როგორც ვხედავთ, ქართული სახელმწიფოს პოზიციები დარუბანდში მყარია, დარუბანდის მალიქი (მეფე) საქართველოს მეფის ქვეშევრდომია, საქართველოს მეფეს თავისი ტყვე (სამხედრო პირი) დარუბანდის ციხეში გამოუკეტია. ქვეშევრდომებთან ურთიერთობის განმტკიცების მიზნით დემეტრე მეფე, მეფე დავით აღმაშენებლის მსგავსად,

---

[1] ანდერძი დავით აღმაშენებლისა, ქართული სამართლის ძეგლები, II, გამოც. ი. დოლიძის მიერ, გვ. 19.

[2] ქრონიკები, II, გვ. 51.

[3] В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда, М., 1963, с. 222—223.

[4] იქვე.

დამოყვრებასაც იყენებს (დარუბანდის მალიქს ცოლად დემეტრეს ასული ჰყავდა)[1].

დარუბანდი იცავდა ამიერკავკასიას ჩრდილო კავკასიიდან და ამდენად კეთილმეზობლური ურთიერთობა ამ პოლიტიკურ ერთეულთან სასურველი იყო. მაგრამ როდესაც დარუბანდის ამირები ჩრდილო კავკასიელ მფლობელებთან ერთად უტევდნენ შარვანს, მაშინ საქართველო შარვან შაჰის დასახმარებლად გამოდიოდა. ჩრდილოეთიდან შემოტევებისაგან იცავდნენ შარვანს დავით აღმაშენებელი, დემეტრე და გიორგი III. 1173 წელს[2] გიორგი III-ს დარუბანდელთაგან დახმარება თხოვა დემეტრეს დისშვილმა, შარვანის შაჰმა, აღსართანმა: „ესე შარვანშა შემოეხუეწა ოდესმე დაჭირებული დარუბანდელთა ხაზართაგან"[3]. გიორგიმ გაილაშქრა, „მივიდა კართამდის დარუბანდისათა მოაოჯრა ქუეყანა მუსკურისა და შარაბამისა, და აიღო ქალაქი შაბურანი... და უბოძა ქალაქი იგი მამის დისწულს მისსა შარვანშას"[4]. გიორგი III-ს ამ ბრძოლაში თან ახლდა ბიზანტიის მომავალი იმპერატორი ანდრონიკე კომნენი, რომელიც ამ დროს მეუღლითურთ სტუმრად იყო თავის ნათესავ საქართველოს მეფესთან[5]. ანდრონიკე კომნენს უსახელებია თავი ამ ბრძოლაში[6]. ალბათ საქართველოს სამეფოს ასეთი დახმარების შედეგი იყო, რომ XII ს. II ნახევარში შარვან შაჰები დარუბანდის ტერიტორიის ნაწილსაც ფლობდნენ. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ქართველი ისტორიკოსის ცნობა, რომ შარვან შაჰი აღსართანი (აღსართან I) „მეფე იყო შარვანისა და ზღვის პირისა დარუბანდით ხირხალამდის"[7].

დემეტრე I-ის ბრძოლა განძა-რანისათვის უშედეგო იყო. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამიერკავკასიაში დამკვიდრდა ელდიგიზიდთა დინას-

---

[1] ფარიკის ეს ცნობა ნ. ასათიანს გამოყენებული აქვს საქართველოსადმი შარვანის ვასალობის საბუთად. ჩვენ, რასაკვირველია, მთლიანად ვიზიარებთ მოსაზრებას შარვან შაჰების საქართველოს ვასალობის შესახებ, მაგრამ, ვფიქრობთ, სიზუსტისათვის ჯობია ამ ცნობის საფუძველზე ვილაპარაკოთ დარუბანდის შესახებ და არა „შარვან-დარუბანდზე" (იხ. ნ. ასათიანი, საქართველო-შარვანის..., გვ. 54 — 55), რადგან ამ დროს ეს ორი სხვადასხვა პოლიტიკური ერთეულია (იხ. В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда).

[2] მინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 186.

[3] ისტორიანი და აზმანი..., გვ. 17.

[4] იქვე, ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 239; ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 186.

[5] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 239; ისტორიანი და აზმანი..., გვ. 17; ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 186.

[6] ისტორიანი და აზმანი..., გვ. 17.

[7] იქვე, აღნიშნულ საკითხზე იხ. პ. თოფურია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის..., გვ. 216—217.

ტია[1], რომლის დამაარსებელმა შემს ად-დინ ელდიგუზმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი და ფაქტიურად თავის ხელისუფლებას დაუქვემდებარა სამხრეთი აზერბაიჯანი, არანი, ნახიჩევანი და ირანის დასავლეთი პროვინციები[2], საქართველოს ბრძოლამ განძა-რანისათვის ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღო.

XII ს. 60-იანი წლების დასაწყისში ელდიგიზიდები საქართველოს წინააღმდეგ კავშირს კრავენ სელჩუკის მფლობელებთან. მაგრამ წყაროებიდან არ ჩანს, რომ მათ შარვანი დაემორჩილებინოთ და იქ საქართველოს პოლიტიკური გავლენა მოეშალოთ. შარვანის შაჰები საქართველოს მეფის მორჩილნი არიან როგორც გიორგი III-ის დროს, ასევე თამარის მეფობაშიც, როდესაც შარვანშა „მონებდა და მსახურებდა იგი მონებითა ყმებრივითა"[3].

დიდი საომარი ოპერაციების პარალელურად, რომელთა მიზანი გიორგის მეფობაში ძირითადად სომხეთის შემომტკიცება და შარვანის ყმადნაფიცად შენარჩუნება იყო, საქართველოს ჯარი დროდადრო თავს ესხმოდა და არბევდა საქართველოსა და მისი უშუალო მეზობლების მიწაწყალზე ჩამოსახლებულ თურქებს და ცდილობდა მათ თანდათან შევიწროებას.

ქართველი ისტორიკოსი იწყებს რა გიორგის მეფობის აღწერას, მაღალფარდოვნად აცხადებს, რომ გიორგიმ „აღიჭურნა მკლავნიცა მუსრვად და მოწყუშდად წინააღმდგომთა ქრისტეს სჯულისათა: აგარიანთა ისმაიტელთა და მამადიანთა"[4]. იმ დიდ ბრძოლათა პარალელურად, რომელთაც

---

[1] 1137 წლიდან. К. Э. Босворт, Мусульманские династии, с. 49. История Азербайджана, გვ. 142.

[2] იქვე.

[3] ისტორიანი და აზმანი..., ქართლის ცხოვრება, II, გვ. 39. ჩვენ ვერ გაეიზიარებთ პროფ. ა. ალიზადეს შენიშვნას პროფ. ვ. მინორსკის მიმართ, რომელიც ცდილობს უარყოს ის ფაქტი, რომ დაახლოებით ასი წლის მანძილზე, XII ს. დასაწყისიდან XIII ს. 20-იან წლებამდე, შარვანი განიცდიდა საქართველოს პოლიტიკურ გაელენას (იხ. История Ширвана и Дербенда, с. 8—11). ამ აზრის უარსაყოფად, რომელიც დიდი ხანია ცნობილია ისტორიოგრაფიაში, ა. ალიზადე იშველიებს X საუკუნის ავტორების ცნობებს შარვანის სიძლიერის შესახებ (იხ. მ. ბერძნიშვილი, საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები XII ს. დამდეგს, კრებული „საქართველო რუსთაველის ხანაში", თბ., 1966, გვ. 53—54, შენიშ. 2) და უთითებს XII ს. შარვანის კულტურულ აღმავლობაზე. ვფიქრობთ, რომ X ს. ვითარება არ ხსნის XII ს. მოვლენებს, ხოლო კულტურულ აღმავლობას საქართველოს გავლენა ხელს თუ შეუწყობდა მხოლოდ. ამდენად, ქართველ მეფეთა მიერ თავისი ტიტულატურისათვის XII ს. „შარვანშას" მიმატებას სრულიად რეალური საფუძველი ჰქონდა (იხ. მელიქსეთ-ბეგი, შანშა-შარვანში, თსუ შრომები, 73, 1959, გვ. 116—129) და სხვ. ამავე საკითხზე იხ. ნ. ასათიანი, საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში. ჯ. სტეფნაძე, საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა..., გვ. 89.

[4] ისტორიანი და აზმანი..., გვ. 5.

გიორგი ანისისა და დვინისათვის აწარმოებდა, მისი ლაშქარი შედარებით უფრო ადგილობრივი მნიშვნელობის ლაშქრობებსაც აწყობდა.

XII ს. 70-იან წლებში, როდესაც დამთავრდა სომხეთისათვის ბრძოლის ერთი ეტაპი და, ჩანს, მცირე ხნით მშვიდობა ჩამოვარდა, ლაშქარმა და დიდებულებმა მეფეს მოახსენეს, რომ „არა არს ღონე დარჩომისა ჩუენისა თჳნიერ ლაშქრობისა და რბევისა“[1]. გიორგიმ ანგარიში გაუწია დიდებულთა მოთხოვნას, ქვეყნის შიგნით მშვიდობა დაამყარა „წარსცნა ზავნი და ფიცნი შინა“ და ლაშქარი რამდენიმე მიმართულებით გაგზავნა. ტაოელთ, შავშთ და კლარჯთ უბრძანა ოლთისის და ბანას ოლქების მორბევა, მესხთ და თორელთ — კარისა და აშორნიის მხარეების, ამირსპასალარს სომხითართა (ე. ი. ქვემო ქართლის) ლაშქრით — მტკვრის მარჯვენა სანაპიროსი განძამდე, ხასაგანიანთ[2], ლიხთიმერთ და ქართლის ლაშქარს— განძიდან მოყოლებული მტკვრის ორივე ნაპირის მორბევა ხლათამდე, შაჰ არმენის სამფლობელომდე, ჰერ და კახ მოლაშქრეებს — ალაზნის შესართავიდან შარვანამდე[3]. როგორც ვხედავთ, სამხრეთ-დასავლეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით ქართველნი არბევენ საქართველოს მიწა-წყალზე (ბანა, ოლთისი) ან მისი უშუალო მეზობლების მიწა-წყალზე ჩამომსხდარ თურქებს. ეს ლაშქრობა, ერთი მხრივ, მიზნად ისახავდა დავლა-ალაფს და, მეორე მხრივ, მტრის ზურგის დაზვერვას ბრძოლით. ეს ხომ ის მხარეებია, რომელთა საქართველოსათვის შემოერთება ან რომლებზედაც საქართველოს პოლიტიკური გავლენის გავრცელება აუცილებელი იყო მისი სამხედრო-პოლიტიკური და სტრატეგიული უზრუნველყოფისათვის და გა-

---

[1] ისტორიანი და აზმანი..., გვ. 15.

[2] ხასაგანიანნი, თ. ჟორდანიას აზრით, „ხაჩინიანნი“ აწინდელი კარაბახელნი უნდა იყვნენ (ქრონიკები, I, § 27, შენიშ. 14). კ. კეკელიძის აზრით, „ხასაგიანი — რჩეული, შერჩეული, საგანგებო, განსაკუთრებული, სამეფისკარო“ (იხ. მისი „ისტორიანი და აზმანი“, გვ. 154). კონტექსტით აქ თითქოს კეკელიძისეული განმარტება უფრო გამართლებული ჩანს, რადგან, თუ სხვა მიმართულებით მტრის მიწა-წყალს საქართველოს მოსაზღვრე თემთა ნაწილები არბევენ, აქ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მხარის (მტკვრის ორივე ნაპირის — განძიდან ხლათამდე) მორბევა ევალება ქართლის ლაშქარს, ლიხთიმერთ და ხასაგანიანთ. იგივე ხასაგანიანნი (ფორმით ხასაგიანნი) იხსენიებიან შამქორს გალაშქრების წინ, როდესაც მათზე განსაკუთრებული პატივისცემითაა საუბარი მოკავშირე ამირ-მირმანის მოლაშქრეებთან ერთად („ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 76), ხოლო „ხასაგანიანნი“ თუ „ხაჩენელებს“ გულისხმობს, მაშინ გაუგებარი იქნებოდა მათი ასე განსაკუთრებულად გამოყოფა ომის წინ და მათი მოკავშირე ამირ-მირმანის ლაშქართან ერთად დასახელება, რადგან ხაჩენი ამ დროს უშუალოდ საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში შემოდიოდა. იხ. მ. ბერძნიშვილი, საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები XIII საუკუნის დამდეგს, კრებ. „საქართველო რუსთაველის ხანაში“, გვ. 60 — 61.

[3] ისტორიანი და აზმანი..., გვ. 16.

დამწყვეტი ლაშქრობის წინ ასეთი დაზვერვითი თავდასხმების მოწყობა ჩვეულებრივი ტაქტიკური ხერხი იყო[1].

ქართველი ისტორიკოსის ამ ცნობიდან კარგად ჩანს საქართველოს სახელმწიფოს საზღვრების მდგომარეობა XII ს. 70-იანი წლებისათვის.

იმიერტაო ჯერ კიდევ თურქთა ხელთაა, მათვე ეკუთვნის კარის ოლქიც. სამხრეთით ანისის სამეფო გაუთავებელი ბრძოლის ობიექტია და, როგორც აღვნიშნეთ, საბოლოოდ ისევ შედადიდთა ხელში რჩება საქართველოს ყმადნაფიცობის პირობით. განძა-რანიც ილდეგიზიდების ხელთაა, ხოლო შარვანი საქართველოს ყმადნაფიცია. საქართველო უფრო სამხრეთით ცდილობს თავისი პოლიტიკური გავლენის გავრცელებას. როგორც აღვნიშნეთ, განძა-რანისათვის წარმოებული ბრძოლა უშედეგოდ დამთავრდა, ხოლო ანისის, ოლთისის, კარის მხარეთა საკითხის მოგვარება გიორგიმ თავის მემკვიდრეს უანდერძა.

§ 2, შინაპოლიტიკური ვითარება

საქართველოს მიწა-წყლის თურქთაგან გაწმენდამ და ქვეყნის შიგნით მშვიდობის დამყარებამ ხელი შეუწყო ეკონომიკურ-მატერიალური მდგომარეობის გამოსწორებას და შესაძლებელი გახადა აღდგენითი ღონისძიებების გატარება. მაგრამ დავითის მემკვიდრეთა ხანაში არაქართული მიწებისათვის წარმოებული ბრძოლები ისეთი დიდი წარმატებით ვეღარ ხორციელდებოდა, როგორც დავითის დროს. ამის უმთავრესი მიზეზი ის უნდა ყოფილიყო, რომ ახლა უკვე ბრძოლა შორეული, სამშობლოსაგან დაშორებული მიწებისათვის წარმოებდა. მართალია, ქართველი ფეოდალები დავლა-ალაფის მოსაპოვებლად სიამოვნებით ლაშქრობდნენ, მაგრამ გალაშქრება ერთია და ქვეყნის შემომტკიცება მეორე. გარდა იმისა, რომ შემომტკიცებულ ქვეყნებში მმართველებად დანიშნული ფეოდალები თვალყურის დევნებას და კონტროლს მოითხოვდნენ, რათა მათ ვერ მოეხდინათ თავიანთი ფეოდალურ-პარტიკულარული ტენდენციების რეალიზაცია, ამასთანავე ეს ქვეყანა მეცხოვნე-საოკუპაციო ლაშქარს მოითხოვდა, რისი უზრუნველყოფაც არც ისე ადვილი იყო საქართველოსათვის, რადგან ეს მის რეალურ შესაძლებლობებს აღემატებოდა. ესეც იყო იმის მიზეზი, რომ დავით აღმაშენებლის მემკვიდრენი მაინცდამაინც ვეღარ

[1] მართალია, ასეთი ლაშქრობები ამწვავებდა მეზობელ მაჰმადიანებთან ურთიერთობას, მაგრამ, თავის მხრივ, არც მეზობელი მაჰმადიანები იზღუდავდნენ თავს ამ სახის ლაშქრობათაგან საქართველოს მიწა-წყალზე და, რაც მთავარია, ეს გალაშქრებანი ამ ორი ძალის ერთმანეთის გვერდით არსებობის დროს არ შეიძლება გამორიცხული ყოფილიყო.

ახორციელებდნენ დამორჩილებულ ქვეყანათა უშუალოდ შემოერთებას და ხშირად იქ საკუთარი ფეოდალის დანიშვნას ადგილობრივ ხელისუფლებასთან საყმადნაფიცო პირობით მორიგებას არჩევდნენ. ამავე დროს გასათვალისწინებელია ისიც, რომ თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს დაშლის შემდეგ მახლობელ აღმოსავლეთში XII ს. თანდათან ძლიერი ფეოდალური ერთეულები შეიქმნა, რომელნიც აზერბაიჯანის, სამხრეთ სომხეთის (ხლათის) და სხვა საათაბაგო-სასულთნოებად ჩამოყალიბდნენ, გაძლიერდნენ და ენერგიულად ებრძოდნენ საქართველოს რან-შარვან-სომხეთისათვის. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ დავითის მემკვიდრეთა დროს შედარებით გაძნელდა დიდი ომების წარმოება.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება ქვეყნის საშინაო მდგომარეობის განმტკიცების მიზნით გატარებული, ეს იყო უკვე შემოერთებულ ქვეყნებში მოსახლეობისათვის ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნა.

„ოდეს დიდმან დავით ტფილისი აიღო, ჰერეთი და კახეთი მოირთო, წერს ლაშა გიორგისდროინდელი მემატიანე, — ციხეთა და ქალაქთაგან კიდე კაცი არსადა იყო“[1]. საჭირო იყო გაუკაცრიელებულ სოფლებში ხალხის ჩასახლება, სოფლის მეურნეობის აღდგენა-განვითარება. დემეტრე I-მა ამ მხრივ დიდი ღონისძიება გაატარა, რის შედეგად მის მეფობაში განახლდა და მოშენდა ჰერეთი, სომხითი, ტაშირი, ჯავახეთი, „ქუენა არტანი და ზენა არტანი... და ტაოს ნაპირნი“[2]. როგორც ვხედავთ, ისტორიკოსი საქართველოს განაპირა სამხრეთ ოლქებს ჩამოთვლის, იმ ოლქებს, რომელნიც ყველაზე მეტად დაზარალდნენ თურქთა შემოსევა-თარეშებისაგან. დემეტრე მეფის ეს ღონისძიება დავით აღმაშენებლის ღონისძიებათა გაგრძელებას წარმოადგენდა და მიზნად ისახავდა მტრის შემოსევათა შედეგად გაჩანაგებულ-გავერანებული მიწა-წყლის მოშენებას. დავითმა საქართველოს შიდა რაიონების დასახლებას შეუწყო ხელი, დემეტრემ შედარებით უფრო განაპირა კუთხეებს მიხედა.

სახელმწიფოს საშინაო მდგომარეობის მოწესრიგებისა და განმტკიცების მიზნით გატარებულ ღონისძიებათა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კანონს მეკობრე-მპარავთა მიმართ. გიორგი III-ის 1170 წ. სიგელი[3] ადასტურებს „სამართალი სამპარავთმეძებლობის“ და „მპარავთმეძებელთა“ არსებობას. ეს ინსტიტუტი, „სამართალი სამპარავთმეძებლო“, როგორც ჩანს, გიორგი III-მდე არსებულა და საგანგებო მოხელეები — „მპარავთმეძებელნი“ დამნაშავეთა ძებნა-შეპყრობას ახორცი-

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 365.

[2] ი ქ ვ ე.

[3] ქართული სამართლის ძეგლები, II, გამოც. ი. დოლიძის მიერ, გვ. 22.

ელებდნენ[1]. მაგრამ გიორგის მეფობაში „მეკობრეებისა და გაუსწორებელი ქურდებისათვის მკაცრი სასჯელი დაუწესებიათ და ამავე დროს ამ ბოროტმოქმედთა აღმოსაფხვრელად და დამნაშავეთა დევნის გასაადვილებლად „სამპარავთმეძებლო სამართლის“ თანამდებობის პირთა უფლება-მოვალეობანი გაუფართოებიათ“[2]. ისტორიკოს ვარდანის ცნობით, 1180 წ. (სომხ. წელთაღრიცხვით 629 წ.) გიორგი მეფემ „მპარავი და მეკობრე მოსპო, რათგან ყოველთა ლაშქართა თანადგომითა სჯულად დასდო მცირისა და დიდისა საქმისათვის უწყალოდ ყოვლისა კაცისა ძელზე აღბმა“[3]. ქურდობა-ავაზაკობისათვის ჩამოხრჩობასთან ერთად ძელზე ჰკიდებდნენ მის ნიერ მოპარულ საქონელსაც[4]. ვარდანის ცნობით დასტურდება, რომ იმ კრების გადაწყვეტილებით, რომელზედაც ასეთი მკაცრი სასჯელი დაწესდა, ეს სასჯელი ეხებოდა არა მხოლოდ მპარავთ, რომლებზედაც 1170 წ. სიგელშიც არის ლაპარაკი, არამედ მეკობრეებსაც[5]. ასე რომ, გიორგი III-ის დროს არა მხოლოდ მპარავთმძებნელთა მოხელეების უფლება-მოვალეობანი გაფართოვდა, არამედ შეიქმნა საგანგებო განწესება მეკობრეთა მიმართ[6]. ნიშანდობლივია, რომ ეს კანონი ჩვენში განუხრელად ხორციელდებოდა მომდევნო ხანაში, რაც თამარის ისტორიკოსის[7] და ყამთააღმწერლის[8] სათანადო ცნობებით დასტურდება.

მეკობრეობა სოციალურ-კლასობრივი ხასიათის მოვლენა იყო აღნიშნული ხანის საქართველოში და ეს კანონიც სოციალურ-კლასობრივი მტრის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებას წარმოადგენდა[9]. აღნიშნული კანონმდებლობა უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების თვალსაზრისით. მპარავთმძებნელთა მოვალეობას შეადგენდა მპარავთა ძებნა, აღმოჩენა, დევნა, გასამართლება, ხოლო „ჩენილთა“ მოვალეობას, რომელნიც მპარავთმძებნელთა ხელქვეითი მოხელეები იყვნენ, როგორც დევნა და შეპყრობა, ასევე განაჩენის სისრულეში მოყვანა[10]. ასე რომ, ამ დროს ჩვენში სისხლის სამართლის დევნის აღძვრა კერძო პირთა ინიციატივაზე, დაზარალებულთა მოთხოვნაზე კი არ არის დამყარებული, არამედ სამძებრო პრინციპზე, რაც ქარ-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, გვ. 482.

[2] იქვე.

[3] ვარდანი..., გვ. 161; იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, გვ. 307.

[4] ვარდანი, იქვე.

[5] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ 481—482.

[6] იქვე.

[7] ისტორიანი და აზმანი..., ქართლის ცხოვრება, II, გვ. 81; ბასილ ეზოსმოძღვარი, იქვე, გვ. 141.

[8] ყამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 230.

[9] საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, I, 1958, გვ. 195.

[10] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, გვ. 481.

თული სახელმწიფოებრიობის და, კერძოდ, სასამართლოს წარმოების საფუძვლების მაღალი განვითარების მაუწყებელია[1].

სამძებრო პროცესის არსებობა ბოროტებასთან საბრძოლველად ცენტრალური ხელისუფლების სიძლიერის მანიშნებელი ფაქტია. ევროპის ქვეყნებში და, კერძოდ, საფრანგეთში, ასეთი სამძებრო პროცესის შემუშავება სამეფო ხელისუფლების აღმავლობასა და სახელმწიფოებრივი ცენტრალიზმის გაძლიერებას უკავშირდება. სამეფო ხელისუფლება სხვა საშუალებებთან ერთად სამძებრო პროცესითაც იბრძვის ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც სამეფო ხელისუფლების გაძლიერებასა და ცენტრალიზაციას უშლის ხელს[2].

ჩვენს ისტორიოგრაფიაში არ არის აზრთა ერთიანობა ამ ღონისძიების გატარების თარიღის თაობაზე. სომეხი ისტორიკოსი ვარდანი გიორგი III-ის მიერ მოწვეული საკანონმდებლო კრების თარიღად 1180 წ. ასახელებს. აკად. ივ. ჯავახიშვილი იმის გამო, რომ გიორგი III-ის 1170 წ. საბუთში უკვე დადასტურებულია „სამპარავთმძებნელოს" არსებობა, თვლის, რომ ვარდანისეული თარიღი—სომხური წელთაღრიცხვით 629 წ. — შეცდომაა და რომ თავდაპირველად 619 წ. უნდა ყოფილიყო, რაც ჩვენი წელთაღრიცხვის 1170 წ. შეესაბამება[3]. მაგრამ იგივე ივ. ჯავახიშვილი შემდეგ გიორგი III-ის მიერ საკანონმდებლო კრების მოწვევას და მეკობრეთა წინააღმდეგ კანონის გამოცემას 1179 წლით ათარიღებს[4]. ეს თარიღი—1179 წ.— შესულია საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოში, ხოლო პროფ. ალ. ვაჩეიშვილი, ივ. ჯავახიშვილის „ქართული სამართლის ისტორიაზე" დაყრდნობით, ამ მოვლენას 1170 წლით ათარიღებს[5].

როგორც თვით ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, 1170 წ. ახალი სასამართლო დაწესებულება არ შექმნილა. „სამპარავთმძებნელო" ადრიდანვე არსებობდა ჩვენში, გიორგი III-ის დროს გარკვეული რეფორმა გატარდა სასამართლოში, რომლის ძალით, ვარდანის ცნობით, სასჯელის უმაღლესი ზომა მპარავებთან ერთად მეკობრეებზედაც დაწესდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ვარდანი სწორედ ამ რეფორმის შესახებ მოგვითხრობს. თუ ასეთ თვალსაზრისზე დავდგებით, მაშინ 1170 წ. სიგელი, სადაც მხოლოდ მპარავებზეა ლაპარაკი, ვერ შეუშლის ხელს გიორგი III-ის მიერ გატარებული ღონისძიებების დათარიღებას 1180 წლით.

---

[1] ალ. ვაჩეიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, II, 1948. გვ. 33.

[2] იქვე, გვ. 33.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, გვ. 481.

[4] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 244.

[5] ალ. ვაჩეიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, II, გვ. 31 — 32.

XII ს. 30 — 70-იან წლებში საქართველოს საშინაო-პოლიტიკური ვითარების ერთ-ერთ ურთულეს პრობლემას ფეოდალთა წრის შინაკლასობრივი ბრძოლა წარმოადგენდა.

ბაგრატ III-დან მოყოლებული, დიდი ბრძოლის შემდეგ, დავით აღმაშენებლის მიერ გატარებულ ღონისძიებათა შედეგად გამოიკვეთა მეფის როგორც ერთპიროვნული მმართველის ხელისუფლება. აღებული ხანის საქართველოს განვითარება გამორიცხავდა ფეოდალური საზოგადოებისაგან განსხვავებული სოციალური ძალების არსებობას. ქართული საზოგადოება ამ დროისათვის მთლიანად ფეოდალიზებულია. ამასთანავე, ჩვენში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ფეოდალური საზოგადოებისადმი დაპირისპირებული ისეთი ახალი ძალა, რომლის გამოყენებაც შეიძლება ფეოდალურ პარტიკულარიზმთან ბრძოლაში და ამიტომაც არის, რომ XI — XII საუკუნეებში სამეფო ხელისუფლება ფეოდალური არისტოკრატიის შიგნით არსებულ წინააღმდეგობას იყენებს და ფეოდალთა ერთი დაჯგუფების თუ ცალკეული გაძლიერებული ფეოდალის წინააღმდეგ ისევ ფეოდალთა მხარდაჭერას ეყრდნობა. ის შინაკლასობრივი ბრძოლა, რომელიც წითელ ხაზად გასდევს საერთოდ ფეოდალური საზოგადოების ისტორიას, ფეოდალური საქართველოს ისტორიის მთელ სიგრძეზე არსებობს, მაგრამ ისტორიული განვითარების სხვადასხვა მონაკვეთში განსხვავებული ძალითა და ფორმით ვლინდება. როგორც აღნიშნული იყო, 1125 წელს დავით მეფე გარდაიცვალა და ტახტზე მის მიერვე მეფედ კურთხეული დემეტრე ავიდა. დავით აღმაშენებლის მტკიცე მმართველობის შემდეგ ახალგაზრდა დემეტრეს გამეფება ხელსაყრელ მომენტად უნდა მიეჩნიათ მეფის ცენტრალისტური პოლიტიკის მოწინააღმდეგე ძალებს.

როგორც მოსალოდნელი იყო, დემეტრეს მეფობაში ფეოდალურმა არისტოკრატიამ სცადა თავისი შეკვეცილი უფლებების გაფართოება. ამ ხნის განმავლობაში მეფის წინააღმდეგ მებრძოლი ძალები ცდილობდნენ თავიანთ ბრძოლისათვის „კანონიერი“ საფუძველი მოეძებნათ. დემეტრესთან ან მის მემკვიდრეებთან „კანონიერი“ ბრძოლის საფუძვლის მოძებნის შესაძლებლობას ქმნიდა დავით აღმაშენებლის ანდერძის ერთი ადგილი, რომელიც მის უმცროს ძეს ვახტანგს ეხება. დავითი უანდერძებს თავის უფროს შვილს დემეტრეს, რათა მან „ძმა მისი გაზარდოს. და თუ ინებოს ღმერთმან და ვარგ-იყოს ცოტა, შემდგომად მისსა მეფე-ჰყოს მამულსა ზედა“[1].

---

[1] ანდერძი დავით აღმაშენებლისა, ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის გამოც., გვ. 19. ცვატა-ცოტას წაკითხვაში ვიზიარებთ ე. გაბიძაშვილის მოსაზრებას, იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, თბ., 1968, გვ. 280 — 283.

აკად. ნ. ბერძენიშვილი თვლის, რომ დავითის ანდერძის ეს აღგილი ვახტანგის გამეფების შესახებ ყალბია[1]. ეს მოსაზრება მართებული ჩანს, რადგან ძმიდან ძმაზე ტახტის გადაცემა არღვევდა საქართველოში უკვე დაკანონებულ ტრადიციას ტახტის მამიდან უფროს ვაჟზე გადასვლისა, რაც სამეფო ხელისუფლების ცენტრალიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენდა და რისთვისაც აგრე თავგამოდებით იღვწოდა თვით დავით მეფე. დავითის მოღვაწეობის მთელი ხასიათი გამორიცხავს მისგან ასეთი განკარგულების გაცემას. ეჭვს ბადებს თვით ფორმაც ანდერძისა, „თუ ინებოს ღმერთმან და ვარგ-იყოს". რას ნიშნავს ეს „ვარგ-იყოს"? ვისი თვალსაზრისით შეიძლება იყოს ვახტანგი „ვარგი" ან „უვარგი" ფეოდალურ საზოგადოებაში? უკვე ეს ფორმულა ქმნის საცდურს დაჯგუფებისათვის და მისი გამოყენებისათვის მეფისა და მის მემკვიდრეთა წინააღმდეგ. იგივე ფორმულა ეჭვის ქვეშ აყენებს ცნებას „ტახტის კანონიერი მემკვიდრე!". ვინ შეიძლება ასეთად ჩაითვალოს: დემეტრეს უფროსი ვაჟი, თუ მისი ძმა ვახტანგი? ამდენად საფიქრებელია, რომ ანდერძის ეს ფორმულა დემეტრეს მოწინააღმდეგეებმა შეთხზეს. დემეტრეს რომ ასეთი მოწინააღმდეგენი ჰყავდა, ეს კარგად ჩანს მომდევნო მოვლენებიდან და იქიდან, რომ დემეტრეს მისივე ძმა ეცილებოდა ტახტს. დემეტრეს ძმას ამ ბრძოლაში მეფის წინააღმდეგ მხარს უჭერდა ივანე აბულეთის ძე. ეს ის ივანე აბულეთის ძეა, რომელსაც მამასთან აბულეთთან ერთად 1124 წელს დავით აღმაშენებელმა ჩააბარა ქ. ანისი. როგორც ცნობილია, ანისისათვის წარმოებულ ბრძოლაში დავითის გარდაცვალების შემდეგ აბულეთმა ვერ უერთგულა დემეტრეს და როდესაც აბულსუარი ქალაქს მოადგა, აბულეთმა ანისი მას გადასცა[2]. აბულეთ-დემეტრეს დაპირისპირება შემდეგ უფრო აშკარად იჩენს თავს. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც დემეტრეს ძმის პრეტენზიებს ხელს უწყობდა ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელთა, ამ შემთხვევაში აბულეთისა და ივანეს ბრძოლა დემეტრეს წინააღმდეგ. ვარდანის ცნობით, დაახლოებით 1130 წელს „უფლისწულს (და) ივანე აბულეთის ძეს უნდოდა(თ) დემეტრე (მეფისა) და თავის ძმის მოკვლა"[3]. მკვლელობას ხელი შეუშალა აბულეთმა, რომელმაც, ჩანს, შეაპყრობინა კიდეც დემეტრეს ტახტის მაძიებელი ძმა, მაგრამ მიუხედავად ამისა, აბულეთი და მისი ვაჟი ივანე ორივე შეიპყრეს და დმანისის ციხეში დაამწყვდიეს[4].

---

[1] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 133. შდრ., რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 144 — 146.

[2] ვ ა რ დ ა ნ ი, გვ. 147.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 150; იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 223.

[4] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ი ქ ვ ე.

მეფე დემეტრემ ტახტის მაძიებელ უფლისწულს თვალნი დასწვა. ივანე აბულეთის ძემ, ეტყობა, შეძლო თავის გამართლება. 1131 წ. ის ლაშქრობს გარნისს. მაგრამ დემეტრემ ივანე აბულეთის ძე მოაკვლევინა[1]. ბოლოს შეიპყრო მისი შვილი თირქაშიც, რომელიც გაიქცა შაჰ არმენთან, მიიღო მისგან არშარუნიკის ოლქი და იქიდან ესხმოდა თავს საქართველოს[2]. დემეტრეს დროს მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა ამით არ დამთავრებულა[3].

განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო ტახტისათვის ბრძოლამ დემეტრესა და მის უფროს ვაჟს დავითს შორის. როგორც ცნობილია, დემეტრე მეფე უპირატესობას ანიჭებდა თავის უმცროს ვაჟს გიორგის. მიზეზი ამ გარემოებისა უცნობია. ჩვენ არ ვიცით, რითი ვერ დაიმსახურა დავითმა მამის ნდობა, მაგრამ ის კი ეჭვმიუტანელია, რომ გიორგიმ კარგად გაამართლა დემეტრეს იმედები და, ჩანს, ამ დადებით თვისებებს მამა ადრევე ამჩნევდა უმცროს ვაჟს. როგორც მოსალოდნელი იყო, დავით უფლისწულს ფეოდალთა გარკვეული დაჯგუფება უჭერდა მხარს. საფიქრებელია, რომ იგივე დაჯგუფება დემეტრეს წინააღმდეგ უფლისწულ ვახტანგსაც უმართავდა ხელს. ჩანს, ვახტანგის დაბრმავების შემდეგ (შესაძლებელია გარდაიცვალა კიდეც ტახტის მაძიებელი უფლისწული) ის აღარ იყო სასურველი კანდიდატურა და მეფით უკმაყოფილო დიდებულებმა გამოიყენეს ის ფაქტი, რომ დემეტრე, მიუხედავად განმტკიცებული ტრადიციისა, იყო „მარჩეველი ძისა უმცროსისა", გადაიბირეს დავითი და 1150 წ. აამხედრეს მამის წინააღმდეგ. თავდაპირველად დემეტრემ სძლია ურჩ უფლისწულს, მეამბოხე ფეოდალები დასაჯა, მაგრამ ბრძოლა არ შემწყდარა. დავითის მომხრენი კვლავ აჯანყდნენ და 1155 წ. დემეტრე იძულებული შეიქნა ბერად აღკვეცილიყო[4].

დავითმა ტახტი დაიკავა, საპყრობილედან გაათავისუფლა ივანე აბულეთის ძის ვაჟი თირქაში, რომელსაც ამირსპასალარობაც უწყალობა[5].

დავით V-მ მხოლოდ 6 თვე იმეფა. ზოგის ვარაუდით იგი მოკლეს, ზოგის ცნობით, გარდაიცვალა. მაგრამ თითქოს ეჭვს არ უნდა იწვევდეს ცნობა დავითის მოკვლის შესახებ. ქართული წყარო პირდაპირ არაფერს

---

[1] ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, გვ. 367; ვ ა რ დ ა ნ ი, გვ. 155; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 224.

[2] ვ ა რ დ ა ნ ი, გვ. 154.

[3] აკად. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ვარდანის მოტანილ ცნობას კრიტიკულად იხილავს, უჯერებს მას ქართულ წყაროს და ეჭვის ქვეშ აყენებს დემეტრეს წინააღმდეგ მისი ძმის გაშოსელას. იგი ფიქრობს, რომ ვარდანი აქ დემეტრეს წინააღმდეგ უფლისწულ დავითის ბრძოლას შეიძლება გულისხმობდესო. იხ. ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 223 — 225.

[4] აღნიშნულ საკითხზე იხ. რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, გვ. 113 და სხვ.

[5] ვ ა რ დ ა ნ ი, გვ. 154.

ამბობს, მაგრამ გადაკვრით კი მიგვანიშნებს, რომ დემეტრე მეფე ურჩი შვილის სიკვდილს ემუდარებოდა ღმერთს, მანაც ისმინა მისი ვედრება და „დავითის დღეთა შემცირებითა სრულ ყო"[1] მამის სურვილი. ვარდანი კი გარკვევით ასახელებს დავითის მკვლელებად სუმბატ და ივანე ორბელებს, რომელთაც ეს მკვლელობა გიორგი უფლისწულთან შეთანხმებით ჩაიდინეს[2]. ორბელები იმით იყვნენ უკმაყოფილონი, რომ დავითმა ამირსპასალარობა თირქაშს მისცა, გიორგი კი ორბელებს ამ ჯელის დაბრუნებას შეპირდა და აუსრულა კიდეც გამეფების შემდეგ[3]. დავით V-ის შემდეგ ტახტზე ისევ დემეტრე I დაბრუნდა, რომელმაც თვითონვე აკურთხა გიორგი მეფედ, მაგრამ გიორგის ტახტი ფაქტიურად ბრძოლით და არც მთლად კანონიერად ჰქონდა მოპოვებული, რადგან დავითს დარჩა ვაჟი დემეტრე, რომელიც ყოველთვის ქმნიდა საბაბს შეთქმულება-აჯანყებისათვის, მაშინ როდესაც საამისო სოციალური საფუძველი რეალურად არსებობდა.

როგორც აღნიშნულია, წყაროები არ იძლევა საშუალებას გაირკვეს დემეტრე მეფისა და მისი შვილის დავითის კონფლიქტის მიზეზი. არც ის ჩანს, თუ ვინ იყო დავითის მომხრე, ვინ უჭერდა მას მხარს. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ დემეტრემ დავითის მომხრენი დასაჯა და ამოწყვიტა. მაგრამ თითქოს უნდა ივარაუდებოდეს დავითის დროინდელ აჯანყებასა და დემნა-ორბელთა შეთქმულებას შორის რაღაც კავშირის არსებობა. ასეთი ვარაუდის უფლებას იძლევა სომხური ფეოდალური საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობა ამ ორივე შეთქმულება-აჯანყებაში და სომხური საისტორიო წყაროების დამოკიდებულება ორივე აჯანყებისადმი. მართალია, სომეხი ისტორიკოსების პოზიციას, განსაკუთრებით სტეფანოზ ორბელიანისას, ორბელთა გვარის შემდეგდროინდელი ისტორია განსაზღვრავს ძირითადად, მაგრამ მაინც ნიშანდობლივია, რომ ვარდანი და მხითარ გოში სიმპათიურად არიან განწყობილნი დემეტრეს წინააღმდეგ მეამბოხე დავითის მიმართ და ამ შეთქმულებათა მონაწილეებად სომეხ ფეოდალებსაც ასახელებენ.

როგორც ქართული, ისე სომხური საისტორიო მწერლობა მიკერძოებით აშუქებს ამ მოვლენას. ქართული წყარო მხოლოდ იმას გვაუწყებს, რომ დემეტრე მეფე იყო — „მარჩეველი ძისა უმცროსისა"[4], რატომ, ამის

---

[1] ისტორიანი და აზმანი..., გვ. 3.

[2] ვ ა რ დ ა ნ ი, გვ. 154.

[3] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს ეპვი ეპარება ვარდანის ამ ცნობის სისწორეში იმის გამო, რომ ორბელნი შემდეგ დემნას აჯანყების მოთავედ გამოდიან. მაგრამ დემნა-ორბელთა გამოსვლა გიორგის წინააღმდეგ დაახლოებით ოცი წლის შემდეგ არ უნდა უშლიდეს ხელს მათ კავშირს გიორგისთან დავითის წინააღმდეგ.

[4] ისტორიანი და აზმანი..., გვ. 3.

ახსნას ისტორიკოსი არ ცდილობს. იმავე წყაროს ცნობით, დავითმა „ღალატსა და განდგომილებასა შინა მამისა მის დემეტრესსა ამოსწყვიტნა ამის სამეფოსა დიდებულნი“[1], მაგრამ რა მიზეზით, ისტორიკოსი დუმს. ქართული წყაროს ცნობით, დემეტრე „შემონაზვნდა“ და „დასუეს მეფედ ძე მისი დავითი“[2]. რატომ დაანება დემეტრემ მეფობას თავი, არ ჩანს. იმავე წყაროს ცნობით, დავითმა „იმეფა ექუს თუე და მოკუდა“[3] და ამის შემდეგ დემეტრე დაბრუნდა ტახტზე და თანამოსაყდრედ გიორგი დასვა[4]. რატომ დაუბრუნდა დემეტრე ტახტს, ანდა რატომ დაარღვია ტახტის მემკვიდრეობის წესი და მეფობა დავითის ვაჟს დემეტრეს კი არ უანდერძა, არამედ მეფედ გიორგი აკურთხა, ამაზე წყარო არაფერს ამბობს. დემეტრეს, ეტყობა, გარკვეული მოტივები ამოძრავებდა, მაგრამ, ჩანს, ეს მოტივები ისტორიკოსს არ მიაჩნდა სათანადოდ გამართლებულად და ამიტომ ის ამ საკითხს გვერდს უვლის. თუმცა, შეიძლება ამ მოვლენის სხვაგვარი ახსნაც. დავით მეფე გარდაიცვალა; მისი გარდაცვალების შემდეგ, მართალია, ტახტი მის შვილს დემნას ეკუთვნოდა, მაგრამ დავითის შემდეგ ისევ დემეტრე დაბრუნდა ტახტზე და ახლა დემეტრეს გარდაცვალების შემდეგ უკვე ტახტის კანონიერი მემკვიდრე მისი შვილი გიორგი იყო და არა შვილიშვილი დემნა. სომხური წყარო, სახელდობრ, სტეფანოს ორბელიანი, ვითარებას სხვაგვარად გადმოგვცემს. ამ ისტორიკოსის თანახმად, მეფე დემეტრე გარდაიცვალა და გამეფდა მისი ძე დავითი. დავითმა სიკვდილის წინ მოუხმო დიდებულებს და თავისი მცირეწლოვანი დემნა მათ ჩააბარა, კერძოდ, ივანე ორბელს, დავითის ძმა გიორგი მეფის მეურვედ დანიშნა დემნას სრულწლოვანებამდე. ივ. ჯავახიშვილს ეჭვი ეპარება სტეფანოს ორბელიანის ამ ცნობის სისწორეში, რადგან დავითსა და გიორგის შორის არსებული მტრული ურთიერთობის პირობებში არ არის მოსალოდნელი, რომ მომაკვდავ დავითს თავისი მცირეწლოვანი შვილის მეურვედ გიორგი დაენიშნა[5]. არსებული წყაროებიდან თითქოს უფრო მართებული ჩანს ვარდანის ცნობა, რომელიც აღნიშნავს, რომ დემეტრეს გარდაცვალების შემდეგ გამეფდა დავითი, რომელმაც, პირველ რიგში, მამამისის ციერ დატყვევებული თირქაში გაათავისუფლა, მაგრამ თვითონ დავითი გიორგიმ ორბელებს მოაკვლევინა. თუმცა, ჩვენ არ გვაქვს უფლება არ ვენდოთ „ისტორიათა და აზმათა“ ავტორს, რომელიც გვაუწყებს, რომ ბერად აღკვეცილი დემეტრე დაუბრუნდა მეფობას დავითის გარდაცვალების შემდეგ და მანვე აკურთხა მეფედ გიორგი. მაგრამ ვარდანი

---

[1] ისტორიანი და აზმანი..., გვ. 18.

[2] ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, გვ. 367.

[3] ი ქ ვ ე.

[4] ისტორიანი და აზმანი..., გვ. 3.

[5] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 243.

იმაში ჩანს მართალი, რომ დავითი გიორგის მომხრეებმა მოკლეს და არ ჰქონია ადგილი დავითის მიერ არავითარი ანდერძების დატოვებას. ეს ანდერძი, როგორც სამართლიანად ფიქრობს ივ. ჯავახიშვილი, სტეფანოს ორბელიანის შეთხზული უნდა იყოს ორბელთა შეთქმულების გასამართლებლად. როგორც ჩანს, ორბელნი, რომელნიც თავიდან გიორგის მომხრენი იყვნენ და რომელთაც მიიღეს მისგან ამირსპასალარობა, გიორგისაგან დახმარების საფასურად უფრო მეტ საზღაურს ელოდნენ და რადგან არ გაუმართლდათ, ახლა მის წინააღმდეგ დემნას კანდიდატურა წამოაყენეს.

დემეტრესა და გიორგის მეფობაში სამეფო კარზე რამდენიმე შეთქმულება-აჯანყება ეწყობა. დიდგვარიან ფეოდალთა შინაკლასობრივი ბრძოლის ფორმად იქცა ბრძოლა სამეფო კარისათვის[1]. ეს იმ ბრძოლის გაგრძელებაა, რომელიც ჯერ კიდევ XI საუკუნეში დაიწყო. საქართველოს გაერთიანებისა და მთელი საქართველოს მასშტაბით ერთიანი სამეფო ხელისუფლების შექმნის შემდეგ დიდებული ფეოდალები თავისი წოდებრივი ინტერესების უზრუნველსაყოფად ცდილობდნენ სამეფო კარის დაუფლებას, დიდების, მაღალი თანამდებობებისა და მეფეზე გავლენის მოპოვებას[2]. დემეტრე ძლიერი ხელისუფალი ჩანს, რადგან არ იძლევა იმის საშუალებას, რომ დიდებულმა ფეოდალებმა ის მათი ნება-სურვილის ამსრულებლად აქციონ. ამიტომ ეს უკმაყოფილო ფეოდალები ტახტის მემკვიდრის დავითის გარშემო ჯგუფდებიან. სადავო ამ დროის საქართველოს როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკის საკითხებში ბევრია. სახელდობრ, რაში ვერ თანხმდებოდნენ მამა-შვილი და მათი უთანხმოების რომელი მხარით ისარგებლეს დიდებულმა ფეოდალებმა გაურკვეველია, მაგრამ უდავოა, რომ მათ შორის ატეხილი დავა რაღაც დიდად მნიშვნელოვანი პრინციპული საკითხით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. ერთ-ერთი რთული საკითხი ამდროინდელი პოლიტიკისა ანისის პრობლემა იყო. დავითის შემდეგ ეს ქალაქი და მისი ოლქი გაუთავებელი ბრძოლის ობიექტად იქცა. ამ ბრძოლაში ალბათ ქართველი და სომეხი დიდებულებიც მონაწილეობდნენ. არ ჩანს, რომ სომეხ ფეოდალებს ანისის მაჰმადიანთა მმართველებისათვის გადაცემის სურვილი ჰქონოდათ, ეს თითქოს გამორიცხულიც უნდა იყოს, მაგრამ რა პოზიცია ეკავათ ამ დიდებულებს ანისის პოლიტიკური მდგომარეობის საკითხში ან, სახელდობრ, რა უფრო სასურველი იყო მათთვის — ანისი უშუალოდ შემოსულიყო ქართულ

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო ურთიერთობაში, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, 1965, გვ. 34.

[2] იქვე, გვ. 34 — 35.

სახელმწიფოში, თუ ის ვასალურ სამეფოდ ქცეულიყო, გაურკვეველია. მაგრამ სავარაუდებელია, რომ დიდებულ ფეოდალთა განსაზღვრული წრე ანისის ვასალობის მომხრე უნდა ყოფილიყო. ნიშანდობლივია, რომ ამ დროის შეთქმულებანი ასე თუ ისე უკავშირდებიან ანისის პრობლემას. როდესაც დემეტრეს მეფობაში დავითის მიერ ანისის გამგებლად დანიშნული აბულეთი ანისს ფადლონს გადასცემს, სწორედ ამის შემდეგ აქვს ადგილი აბულეთისა და მისი შვილის ივანეს შეთქმულებას დემეტრეს ძმასთან ვახტანგთან ერთად[1]. შესაძლებელია, აბულეთსა და მის ვაჟს ანისში არა საქართველოს მეფის მოხელეობა სურდათ, არამედ პოლიტიკური ხელისუფლება, რაშიც მათ მეფის ძმაც უჭერდა მხარს[2].

ანისის საკითხში დემეტრე-გიორგის პოლიტიკური ხაზის მოწინააღმდეგე უნდა იყოს დავით უფლისწულიც. ანისისათვის წარმოებული ბრძოლის დროს მეფე დემეტრემ ხელში ჩაიგდო არზრუმის ამირა სალდუხი[3]. როგორც უკვე აღნიშნული გვაქვს, დემეტრემ სალდუხი შემდეგ გაათავისუფლა და ამ საქმეში აქტიურად მონაწილეობდა მთავარი ვასაკი, რომელიც გამეფებისთანავე შეიპყრო მეფე გიორგიმ, რადგან ის მისი მეტოქე ძმის დავითის მომხრეობით იყო ცნობილი[4], ე. ი. მთავარი ვასაკი, დავითის დასის წარმომადგენელი, დახმარებას აღმოუჩენს ანისისათვის მებრძოლ არზრუმის ამირას.

ანგარიშგასაწევია ისიც, რომ, როგორც წესი, სომეხი ისტორიკოსები ვარდანი, მხითარ გოში და სტეფანოზ ორბელიანი სიმპათიურად არიან განწყობილნი დავით V-ის მიმართ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ალბათ ორბელთა შემდგომმა ბედმა განსაზღვრა ძირითადად, მაგრამ მაინც ნიშანდობლივია, რომ, მაგალითად, ვარდანი, რომელიც თითქოს ნეიტრალურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს დემნა-ორბელთა შეთქმულების მიმართ, დავით მეფეს (დემეტრეს ძეს) დიდებით იხსენიებს[5], ხოლო მხითარ გოში, როგორც წესი, აქებს დავითს და იმასაც კი წერს, რომ დავით დემეტრეს ძე სიმპათიებს ავლენდა სომხების მიმართო[6].

საქართველოს მეფის მიერ ანისის მმართველად დანიშნული დიდებულები არ სჯერდებოდნენ მეფის მოხელეობას. ანისში გამთავრება მოინდომა გიორგის მიერ 1161 წ. დანიშნულმა სადუნმა, რომელიც ამის გამო

---

[1] ვ ა რ დ ა ნ ი, გვ. 148 — 150.

[2] შეიძლება სწორედ ამ ვითარებაში შეიქმნა დავითის ანდერძის ის ადგილი ვახტანგის გამეფების შესაძლებლობის შესახებ, რომელიც ნაყალბევის შთაბეჭდილებას ტოვებს.

[3] ა ლ-ფ ა რ ი კ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 87.

[4] მ ხ ი თ ა რ გ ო შ ი, გვ. 18.

[5] ვ ა რ დ ა ნ ი, გვ. 154.

[6] მ ხ ი თ ა რ გ ო შ ი, გვ. 18.

სიკვდილით დაისაჯა[1]. სადუნის შემდეგ მეფემ ანისი ივანე ორბელს ჩააბარა.

1177 წ. გიორგი III-ის წინააღმდეგ დიდი აჯანყება მოეწყო. სათავეში დიდგვარიანი ფეოდალები — ორბელები იდგნენ, რომლებიც დავით V-ის შვილის დემნას (დემეტრეს) უფლების დაცვის საბაბით მოქმედებდნენ. აჯანყების ყველაზე აქტიური ხელმძღვანელი იყო ივანე ორბელი.

ივანე ორბელმა დავით-გიორგის ბრძოლაში გიორგის მხარე დაიჭირა, რის საფასურადაც ამირსპასალარობა მიიღო. დემნა უფლისწულს ივანე ზრდიდა და ის მისი სიძეც გახდა. შესაძლებელია, თავდაპირველად ეს გიორგისა და ივანეს შეთანხმების შედეგად მოხდა დემნას გაუვნებლობის მიზნით, რათა ორბელთა სიძე უფლისწულს გამეფების გზა მოჭრილი ჰქონოდა. ივანე ორბელისათვის ამირსპასალარობა არ აღმოჩნდა საკმარისი. მას ანისის მმართველობა სურდა. ანისი ემიჯნებოდა ლორე-ტაშირს, ე. ი. ყოფილი ტაშირ-ძორაკეტის სამეფოს, რომლის მფლობელიც ივანე იყო როგორც ამირსპასალარი. ვარდანის ცნობით, 1174 წ. ივანე ორბელმა შესთავაზა გიორგი III-ს ანისს გალაშქრება, რადგან მას თვითონ სურდა იქ დამკვიდრება[2]. ანისის აღების შემდეგ მეფემ იგი ივანეს ჩააბარა. მაგრამ ივანეს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანისში პოლიტიკური ხელისუფლება სურდა და არა საქართველოს მეფის მოხელეობა. ივანემ მაჰმადიან მფლობელებთან გააბა კავშირი. გიორგიმ დაამარცხა მომხდური სულთანი, მოქალაქეებმა არ მისცეს ივანე ორბელს ქალაქის გაცემის საშუალება[3] და ამის შემდეგ ივანე ორბელი აღარ არის ანისის გამგებელი. ივანეს გამცემლობაზე მხითარ გოშიც ლაპარაკობს[4]. მიუხედავად ამისა, ორბელი რჩება საქართველოს მეფის ამირსპასალარად. ეტყობა გიორგიმ ვერ მოახერხა ამ ძლიერი ფეოდალის მთლად დამხობა, მაგრამ ურთიერთობა მათ შორის, რასაკვირველია, უკვე დაძაბული უნდა ყოფილიყო და ანისის ამბებს მოჰყვა კიდეც დემნა-ორბელთა შეთქმულება. ახლა უკვე დემნას სიძეობა და მის ოჯახში ყოფნა ივანე ორბელმა გიორგის წინააღმდეგ გამოიყენა.

გიორგი მეფის მტკიცე ნებისყოფა, მიმართული ხელისუფლების ცენტრალიზაციისა და შემოერთებულ მხარეთა უშუალოდ სამეფო ტახტისათვის დაქვემდებარების ხაზის გატარებისათვის, არ იყო სასურველი დიდებულებისათვის. გიორგი დაპყრობილ-შემოერთებულ ქვეყნებში დიდებულებს პოლიტიკურ ხელისუფლებას არ აძლევდა, მეფის კარზე დიდ უფლებებს არ ანიჭებდა. დემნა ბატონიშვილი კი მათი ასეთი სურვილებისა-

---

[1] ვ ა რ დ ა ნ ი, გვ. 155.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 158 — 159.
[3] ი ქ ვ ე.
[4] მ ხ ი თ ა რ გ ო შ ი, გვ. 19.

თვის ბევრად უფრო შესაფერისი კანდიდატი უნდა ყოფილიყო. ამიტომაც მოხდა, რომ ამ შეთქმულებაში გარეული აღმოჩნდა ფეოდალთა უდიდესი ნაწილი. შესაძლებელია, 70-იან წლებში ანისისათვის წარმოებული ხანგრძლივი ბრძოლა გიორგიმ იმიტომაც წააგო, რომ დიდი ოპოზიცია ჰყავდა ქვეყნის შიგნით ივანე ორბელის მეთაურობით, რომელიც მხარს არ უჭერდა მეფის პოლიტიკას ანისის საკითხში.

გიორგის პოლიტიკური კურსით უკმაყოფილო იყო დიდებულ ფეოდალთა დიდი უმრავლესობა. გიორგის წინააღმდეგ შეთქმულთა მეთაურების უკმაყოფილების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ანისის, სომხური პროვინციის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მოწყობის საკითხი ჩანს. საერთოდ, ქართველ ფეოდალთა მისწრაფება მეფის მოხელეობა პოლიტიკურ ხელისუფლებად ექციათ, განსაკუთრებით ანისში, ამ არაქართულ პროვინციაში მყღავნდება, სადაც ამ ტენდენციას მეტი მხარდაჭერა უნდა ჰქონოდა. გიორგის წინააღმდეგ აჯანყება ძნელი იყო, ამიტომ ის დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა. აჯანყება 1177 წ. დაიწყო[1]. მეფის წინააღმდეგ გამოვიდნენ ივანე ორბელი და ყოველნი ორბელნი მათი „მოკიდებულ-მიმდგომითურთ", ივანე ვარდანის ძე, შოთა ძე ართავაჩოსძისა, ქართლის ერისთავი სუმბატ ლიპარიტის ძე, მეჯინიბეთუხუცესი ქავთარ ივანეს ძე, ანანია დვინელი, მხარგრძელი, დიდი გამრეკელი, მემნა ჯაყელი, ჰასან კაენის პატრონი, გრიგოლ ანელი აპირატის ძე და სხვანი. შეთქმულთ ხელსაყრელი დრო შეურჩევიათ, როდესაც მეფე სახატეს მდგარა და მოულოდნელად მისი შეპყრობა განუზრახავთ, მაგრამ ვიღაც მეფის მისანდობ კაცს გაუგია ეს და გიორგისათვის შეუტყობინებია[2]. შეთქმულნი კოჯორს მდგარან. გიორგის მოუსწრია თბილისს მისვლა და გამაგრება.

---

[1] დემნა-ორბელთა აჯანყება სტეფანოზ ორბელიანისა და ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის ცნობაზე დაყრდნობით ქართულ ისტორიოგრაფიაში დათარიღებულია 1177 წლით. აღნიშნულ თარიღს მხარს უჭერს გიორგი III-ის ერთი სიგელი (იხ. თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, უფლისწულ დემნას ამბოხების თარიღისათვის, საქართველოს სახ. მუზეუმის „მოამბე" XIX — XXI, თბ., 1957, გვ. 107 — III). უკანასკნელ ხანს გ. მაისურაძემ გამოაქვეყნა XII ს. სომეხი მოღვაწის დავით ქობაირელის „მოსახსენებელის" ქართული თარგმანი შესავალი წერილით და შენიშვნებით. აღნიშნულ ძეგლში ამ აჯანყების თარიღად მითითებულია 1178 წელი. როგორც ავტორი თვლის, ეს თარიღი უფრო სწორი უნდა იყოს (იხ. მითითებული ნაშრომი). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ნ. ბერძენიშვილი ერთ-ერთ თავის წერილში (იხ. საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 75) ამ აჯანყებას 1178 წ. ათარიღებს. ნ. ბერძენიშვილი არ უთითებს ამ თარიღის წყაროს, მაგრამ შესაძლებელია, ის ეყრდნობა დ. ქობაირელის „მოსახსენებელს". დემნა-ორბელთა აჯანყებაზე, იხ. რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, გვ. 134—137.

[2] იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, III; გ. მ ა ი ს ურ ა ძ ე, ერთი სომხური წყარო დემნა უფლისწულის აჯანყების შესახებ, კრ. „საქართველო რუსთაველის ხანაში", გვ. 254—255.

მეფეს დიდად უერთგულა ყივჩაყთა მუდმივი ლაშქრის მეთაურმა ყუბასარმა, რომელიც 500 მეომრით მოუვიდა მას. მეფის მოულოდნელად შეპყრობის გეგმის ჩაშლამ შეთქმულთა შორის ყოყმანი გამოიწვია. გიორგიმ შეუტია აჯანყებულებს და კოჯრიდან გააქცია ისინი, სამშვილდის ციხეც დაიკავა. დემნა უფლისწული და მისი მომხრენი ლორეს ციხეში გამაგრდნენ. აჯანყებულთა რიგებში მერყეობა შეიქნა. გიორგის გაძლიერებამ ბევრი მეამბოხე შეაფიქრიანა; აჯანყებას უღალატეს და მეფეს მიუვიდნენ გამრეკელი, გრიგოლ ანელი, მხარგრძელი.

აჯანყებულებმა გარეშე ძალის მოწვევით სცადეს თავიანთი პოზიციების გამაგრება, მათ შაჰ არმენს და აზერბაიჯანის ათაბაგს ელდიგუზის ძეს მიმართეს. ამ საქმის მოსაგვარებლად გააგზავნეს ქართლის ერისთავი სუმბატის ძე ლიპარიტი, მეჯინიბეთუხუცესი ქავთარ ივანეს ძე, ანანია დვინელი, მაგრამ დახმარება არ ჩანდა. მიუხედავად იმისა, რომ აჯანყებულები ლორეს ციხეში რამდენიმე თვეს ისხდნენ ალყაშემორტყმულნი, დახმარებამ მაინც ვერ მოუსწრო. აზერბაიჯანის ათაბაგი, ჩანს, ფრთხილად იქცეოდა, უცდიდა შედეგს და როდესაც მეფის გამარჯვება აშკარა შეიქნა, არ მოინდომა გიორგისთან ურთიერთობის გაფუჭება[1].

შეთქმულთა ლაშქარი 30 000-მდე აღწევდა. მათ სურდათ გიორგის შეპყრობა და დემნას გამეფება[2]. მაგრამ მდგომარეობის გაუარესების შემდეგ ივანე ორბელი სამეფოს გაყოფას მოითხოვდა დემნასა და გიორგის შორის[3]. ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად მეფემ გაიმარჯვა. უფლისწული ამასთან გამოცხადდა და სასტიკადაც დაისაჯა. მას თვალები დასთხარეს და დაასაჭურისეს. დემნამ ვერ გაუძლო სასჯელს და გარდაიცვალა. გიორგი III-მ შეიპყრო და თვალები დასთხარა ივანე ორბელს, სიკვდილით დაისაჯნენ ივანეს უმცროსი ძმა ქავთარ ორბელი და მისი შვილი სუმბატი; დამნაშავეთა ნაწილი გააძევეს. ეს სასჯელი მეფემ დარბაზის გადაწყვეტილებით გამოიტანა და საეკლესიო შეჩვენებით დაამტკიცა. ეკლესიის მიერ შეჩვენებულ-დაკრულვილი კი ლაშქარში არ შეიშვებოდა და მამულიც ერთმეოდა. მეამბოხეთათვის ჩამორთმეული მამულები მეფემ თავის ერთგულთ დაუნაწილა და მოღალატეთა მაღალი თანამდებობანიც გადასცა. ამ დროს მიიღო მეფის ერთგულმა ნაყივჩაყარმა ყუბასარმა ამირსპასალარობა, აზნაურის ნაყმევმა აფრიდონმა — მსახურთუხუცესობა და ერისთავთ-ერისთავობა... მაგრამ, რასაკვირველია, ეს არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ფეოდალური შინაკლასობრივი წინააღმდეგობის დაძლევა.

---

[1] სტეფანოს ორბელიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 60.
[2] დავით ქობაირელი, საქართველო რუსთაველის ხანაში, გვ. 265 და სხვ.
[3] იქვე.

შინაკლასობრივი ურთიერთობის მნიშვნელოვან საკითხს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის პრობლემა წარმოადგენდა. როგორც ცნობილია, დავითის მეფობაში ეკლესია დაუქვემდებარდა სახელმწიფოს, მაგრამ იმავე დავითის მეფობაში ეკლესიამ საგადასახადო შეუვალობა მიიღო.

ეკლესიის საგადასახადო შეუვალობა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზარალს აძლევდა სახელმწიფოს და, ალბათ, ამიტომ გიორგი III-მ გააუქმა ეს შეუვალობა[1]. ახლა, როდესაც გიორგიმ სძლია შეთქმულთ, ეკლესიამ მეფეს გამარჯვება მიულოცა და ამასთანავე შესაძლებლად ჩასთვალა საგადასახადო შეუვალობის მოთხოვნა. ეკლესიის მესვეურებმა დრო ძალიან მოხერხებულად შეარჩიეს. გიორგიმ, მართალია, გაიმარჯვა, მაგრამ ეს გამარჯვება მას იოლად არ მოუპოვებია. ამიტომ მისთვის არ იყო ხელსაყრელი ეკლესიასთან ურთიერთობის გამწვავება და მისი მოთხოვნა დაუყოვნებლივ შეასრულა — საგანგებო სიგელით დაამტკიცა ეკლესიის მამულების საგადასახადო შეუვალობა. მეფე ცდილობს ისე დახატოს საქმის ვითარება, თითქოს მან თვითონ გადაწყვიტა ამ საკითხის მოგვარება.

როდესაც გავიმარჯვეთ შეთქმულებზეო, წერს მეფე გიორგი, „განსადიდებლად ღმრთაებისა მისისად და კეთილად დაცვისათვის მეფობისა ჩუენისა, და სულიერად ჴსნისათუის სატანჯველთასა, მოვიგონეთ ეკლესიათა სამეფოსა ჩუენისათა ყოვლისა ბეგრის უსამართლოებისათა და დაჭირებულისაგან ჴსნა და განთავისუფლება“[2]. მაგრამ იმავე სიგელში მეფე აღნიშნავს, რომ „ამისვე მიზეზისათუის[3] შეკრბეს ყოველნი სამეფოსა ჩუენისა მონაზონნი და ებისკოპოსნი იმერნი და ამერნი, კათალიკოზი, მოძღუარი და ყოველნი მეუდაბნოენი და მათცა გუიბრძანეს და მოგუაჴსენეს დაჭირებულობა ეკლესიათა და განრყუნა ს(ა)სჯულოთა საქმეთა“[4]. როგორც აღნიშნეთ, მეფემ ეკლესიის მესვეურთა მოთხოვნა დაუყოვნებლივ შეასრულა და ეკლესიის მამულებს საგადასახადო შეუვალობა მიანიჭა.

ამგვარად, საერო ფეოდალთა გამოსვლას მეფის წინააღმდეგ ზედ დაერთო ეკლესიის გამოსვლა. თუ პირველი მეფემ იარაღით ჩაახშო, მეორე მორიგებითა და დათმობით დააკმაყოფილა. მაგრამ მეფისათვის აშკარა გახდა ფეოდალური არისტოკრატიის დიდი უკმაყოფილება. მას არ შეიძლება არ სცოდნოდა, რომ დამარცხებული საგვარეულოები დროებით მიყუჩდნენ და ხელსაყრელ მომენტს ელოდნენ; ამ გარემოებას

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, გვ. 53 — 54.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის გამოც., გვ. 24.

[3] ე. ი. ეკლესიის გადასახადისაგან განთავისუფლების საკითხის გამო.

[4] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 24.

კიდევ უფრო ართულებდა ის, რომ გიორგის ვაჟიშვილი არ ჰყავდა და ტახტის მემკვიდრე ქალი, თამარი იყო.

ქალის გამეფების ტრადიცია ფეოდალურ საქართველოში არ არსებობდა. გიორგიმ გადაწყვიტა თავისი ასულის გამეფება და რათა მისი სიკვდილის შემდეგ ეს საკითხი სადავოდ არ ექციათ, თამარი მეფედ აკურთხა. „თანადგომითა ყოველთა პატრიარქთა და ეპისკოპოზთა დიდებულთა იმიერთა და ამიერთა, ვაზირთა და სპასალართა და სპასპეტთა“[1]. ამგვარად, თამარის გამეფება საერო და სასულიერო მოღვაწეთა დასტურით მოხდა, მაგრამ გვირგვინი თამარს თვით გიორგიმ დაადგა, თვითონვე გადასცა თავის შვილს მეფობა.

---

[1] ისტორიანი და აზმანი... გვ. 21.

§ 1. საშინაო პოლიტიკური ვითარება თამარის მეფობაში

ა) დიდგვარიანთა პირველი გამოსვლები. გიორგი III-ის გარდაცვალებისთანავე (1184) საქართველოში კვლავ დაიწყო დიდგვარიან აზნაურთა გამოსვლა.

ვითარებაც თითქოს შესაფერისი იყო; ძლიერი მეფე გიორგი, რომელმაც დროებით, მაგრამ მაინც დიდგვარიანთა ოპოზიციის დაცხრომა და მისთვის საფუძვლების შერყევა შეძლო, ცოცხალი აღარ იყო; ქვეყნის სათავეშიც გამოუცდელი ახალგაზრდა მეფე-ქალი იდგა. ასეთ პირობებში დიდგვარიანთა ნაწილი, გიორგის დროს მოჩვენებითი სიმშვიდით რომ ინიღბებოდა, ენერგიულად შეუდგა ცენტრალური ხელისუფლების უმაღლეს თანამდებობათა დაუფლებისათვის ბრძოლას. დაიწყო, კერძოდ, ბრძოლა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ხელისათვის.

ოპოზიციამ ერთსულოვნად შეუტია ამ ხელის მფლობელს, გიორგი III-ისა და თამარის უერთგულეს პირს ანტონ გნოლისთავის ძეს. კახაბერის ძეთა სახლიშვილებმა მას ამ ხანებში ორი ძმა მოუკლეს[1], კათალიკოსმა მიქაელმა კი თამარის „თანაგამზრახთა" (მეფის ახლო მრჩეველთა) დახმარებით ანტონის თანამდებობაც კი იგდო ხელთ[2].

აღნიშნული აქტი, უეჭველია, სამეფო ხელისუფლების მნიშვნელოვან მარცხს მოასწავებდა, რადგანაც ამიერიდან გიორგი III-ის პოლიტიკური ორიენტაციის ცნობილი მოწინააღმდეგის, საკმაოდ ენერგიული და თანაც სახელოთა მიმხვეჭელობისაკენ მიდრეკილი სასულიერო მწყემსმთავრის

---

[1] ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი (შემდეგში, ცხოვრება... თამარისა), ქ. ცხ. II, გვ. 131.

[2] იქვე, გვ. 122.

ხელში საერო და საეკლესიო ხელისუფლების მთელი სადავეები იყრიდა თავს[1].

გიორგი III-ის გარდაცვალების შემდეგ სახელმწიფოს თავკაცებმა მოითხოვეს თამარი მეფედ კურთხეულიყო. თამარის პირველი ისტორიკოსის თქმით, „შემყრელთა შვიდთავე ამის სამეფოსა“ მოსთხოვეს თამარის მამიდას, რომ თამარმა „ჴელ-ყოს ჴელითა მეფობასა და კურთხევითა გჳრგჳნოსან-ყოფად“, „ამაღლდეს და დაჯდეს საყდარსა თჳსთა მამათასა“[2]. აღნიშნული მოთხოვნის შესრულებას დარბაზმა დადებითი დასკვნა მისცა, რის შემდეგაც მოხდა თამარის მეფედ კურთხევა.

მაგრამ თამარი ხომ ერთხელ უკვე იყო კურთხეული მეფედ მამის სიცოცხლეშივე და რაღა საჭირო იყო ამ აქტის გამეორება? ამასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, გაგვახსენდება ლიტერატურაში დამკვიდრებული აზრი, რომ გიორგი III-მ თამარი თავის თანამოსაყდრედ დასვა[3]. თანამოსაყდრედ დასმა კი მიზნად ისახავდა არა მარტო ტახტის მემკვიდრის უფლებების წინდაწინვე განმტკიცებას, არამედ, ივ. ჯავახიშვილის აზრით, მისთვის იმ მოქმედების აცილებას, რომელიც მას შეხვდებოდა მეფედ კურთხევის დროს დიდგვარიან აზნაურთაგან მეფისადმი ხელისუფლების გადაცემის სიმბოლურად გამოხატვის შემთხვევაში[4].

მიუხედავად ამისა, შემონახული ცნობებიდან ჩანს, რომ თამარის მეფედ კურთხევა მაინც იმ წესით შესრულდა, რომელშიაც დიდგვარიანთაგან ხელისუფლების გადაცემა სიმბოლური თვალსაზრისით მკვეთრად იქნა ასახული. კურთხევის ცერემონიალში განსაკუთრებით გაესვა ხაზი ძველი ფეოდალური საგვარეულოების მნიშვნელობას. მეფედ კურთხევის ერთ-ერთი დეტალი — მეფისადმი ხმლის „მოღება“ და „დადება“ დასავლეთ საქართველოს დიდგვაროვნების ვარდანის ძეთა, საღირის ძეთა და ამანელის ძეთა მიერ იქნა შესრულებული. ივ. ჯავახიშვილის აზრით, საფიქრებელია, რომ ზემოაღნიშნულ საგვარეულოთა დიდებულები, როგორც მეფის დიდებულ აზნაურთა უმაღლესი წრე, „ლოცავდნენ“ და „სრულჰყოფდნენ“ „ხრმლის“ „მოღებად“. უფლება ამგვარად დიდგვარიან აზნაურებს ეკუთვნოდათ, მაგრამ ისინი თავიანთ, ანუ დიდებულ აზნაურთა უფლებებს მეფეს უთმობდნენ. ასეთი აზრი და მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ხმლის გადაცემას[5].

ზემოაღნიშნული ფაქტის მნიშვნელობა ლიტერატურაში სხვადასხვანაირადაა შეფასებული. ივ. ჯავახიშვილის აზრით, მაგალითად, თამარის მეფედ

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკვ. II, გვ. 146.

[2] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი (შემდეგში: ისტორიანი და აზმანი...), ქ. ცხ. II, გვ. 26.

[3] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკვ. II, გვ. 191.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 192.

[5] ი ქ ვ ე, გვ. 196.

კურთხევის აქტის ხელმეორედ ჩატარების მსურველები დიდგვარიანები იყვნენ, რომლებმაც, უეჭველია, ამით თამარის როგორც ქალის მეფობის უფლება კვლავ საცილობლად გახადეს. მართალია, თამარი მაინც მეფე გახდა და საამისო დასტური თვით ხელმეორედ კურთხევის მსურველების მიერვე იქნა გაცემული, მაგრამ, საფიქრებელია, რომ მათი ასეთნაირი შემოტრიალებისათვის თამარის მომხრეთა მიერ სათანადო მსხვერპლიც იქნა გაღებული. კერძოდ, მიქაელისათვის ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობის მიცემა ერთგვარი კომპენსაცია უნდა ყოფილიყო ამ შემოტრიალებისათვის[1]. ნ. ბერძენიშვილის აზრითაც, გიორგი III-ის გარდაცვალების შემდეგ დიდგვარიანებმა „თამარის, როგორც მეფის, უფლება საცილობლად გადააქციეს". 1184 წელს შესრულებულ იქნა თამარის მეორედ კურთხევა და „მეფის კურთხევის ცერემონია ისეთი წესით შეასრულეს, რომ ძველი დიდგვარიანი სახლების განსაკუთრებული მნიშვნელობა ტახტის მემკვიდრის სამეფო უფლებით აღჭურვის საქმეში საგანგებოდ იყო ხაზგასმული"[2].

მიუხედავად ამისა, ზოგი რამ ხელს გვიშლის ასეთი დასკვნის გამოტანისათვის და ირკვევა, რომ ხელმეორედ კურთხევა თუ მისი მოთხოვნა არ უნდა ყოფილიყო რაიმე განსაკუთრებული სიახლე და იგი იმას არ მოასწავებდა, რომ ამით ვინმე სადავოდ ხდიდა თამარის, როგორც ქალის, მეფობის უფლებას. ასეთი კურთხევა ერთმმართველობის დაწყების შემდეგ, საფიქრებელია, აუცილებელი იყო ხოლმე ერთხელ თანამოსაყდრედ უკვე კურთხეულისთვისაც კი. მაგალითად, დემეტრე I თანამოსაყდრედ თვით დავით აღმაშენებლის მიერვე იყო დასმული და მას ხელისუფლების ერთ-ერთი ინსიგნია-მახვილიც მისგან ჰქონდა წელზე შემორტყმული[3]. მაგრამ იგივე დემეტრე შემდეგშიც იქნა მეფედ კურთხეული და ამ დროს მას კვლავ შეაბეს ხმალი. კურთხევის აქტი კი თითქმის ისევე ჩაატარეს, როგორც თამარის დროს. ხმლის მომღებნიც დასავლეთ საქართველოს დიდი ხელისუფლები, ვარდანის ძენი იყვნენ. ეს ფაქტი საკმაოდ ვრცლადაა ასახული მაცხვარიშის ფრესკულ გამოსახულებასა და მის წარწერებში[4]. აქედან გამომდინარე, თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთხელ

---

[1] ფ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 142—145.

[2] საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, I, ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ის რედაქციით, გვ. 196.

[3] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქ. ცხ., I, გვ. 363.

[4] მაცხვარიშის ფრესკულ მხატვრობაში (შესრულებულია 1140 წ.) წარმოდგენილია დემეტრე I-ის (1125 — 1156) მეფედ კურთხევის სცენა. მას მეფედ კურთხევის ცერემონიალის შესაბამისად ერისთავები ხმალს აბამენ წელზე. აქვეა სათანადო წარწერებიც: ა) „მოიხატა საყდარი ესე მეფობასა დემეტრესა წელსა იე ჯელითა მიქაელ მაღ(ლ) აკელისათა"; ბ) „ჯრმ(ალსა) აბმე(ნ) დავითისს(ა) ერისთავნ-ი", იხ. Т. В и р с а л а д з е, Фресковая роспись художника Микаела Маглакели в Мацхвариши, კრ. „ქართული ხელოვნება", ტ. 4, თბ., 1955, გვ. 169 — 186.

თანამოსაყდრედ კურთხეული დემეტრესათვის საგანგებოდ მოაწყვეს ხელმეორე კურთხევა, უნდა ვიფიქროთ, რომ თამარის ერთმმართველად კურთხევაც არაფერ განსაკუთრებულ სიახლეს არ წარმოადგენდა და არ ნიშნავდა, რომ კურთხევის მომთხოვნელები ეჭვქვეშ აყენებდნენ თამარის, როგორც ქალის, უფლებებს.

თამარის მეფედ კურთხევას დიდგვარიანთა ახალი ამოძრავება მოჰყვა. ამ უკანასკნელებმა ახლა მეფის იმ მოხელეებს შეუტიეს, რომლებიც 1177 წლის პოლიტიკური კრიზისის შემდეგ გიორგი III-ის მიერ არადიდგვაროვანთა წრიდან პირადი ერთგულების საფუძველზე იყვნენ დაწინაურებული. პირველი იერიშები მიტანილ იქნა ნაყივჩაყარ ყუბასარზე, რომელსაც ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის თანამდებობები ეკავა, და აზნაურის ყმობიდან აღზევებულ მსახურთუხუცეს აფრიდონზე. ოპოზიციონერები ერთმანეთთან შეიფიცნენ, რომ აღარ იქნებოდნენ ძველ ხელისუფალთა გამგონე, ვინაიდან გვარიანი მსახურეული სახლები „დაძრცვილნი" და გაძევებული იყვნენ უგვაროთაგან[1].

დიდგვარიანები იმდენად ერთსულოვნად მოითხოვდნენ უგვაროთა გადაყენებას, რომ თამარმა დიდი სურვილის მიუხედავად, მაინც ვერ მოახერხა მათი დაცვა. ყუბასარის მიმართ მეფემ ის მაინც შეძლო, რომ გარდა თანამდებობებისა და ლორესი, რომელიც საერთოდ ამირსპასალარის კუთვნილი იყო, „არა რა დააკლო". „მოიშალა და დაიმჯო აფრიდონიც"[2].

ეს, აშკარაა, გიორგი III-ის პოლიტიკური კურსის მარცხი იყო.

საერთოდ, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, დიდგვარიანებმა განთავისუფლებული თანამდებობების დაკავებისათვის ურთიერთს დაუწყეს ბრძოლა. სწორედ ამ დროს გამოვიდა სარბიელზე მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუ-არსლანი, რომელიც ამირსპასალარის თანამდებობის დასაკავებლად ემზადებოდა[3].

ბ) ყ უ თ ლ უ-ა რ ს ლ ა ნ ი ს დ ა ს ი ს გ ა მ ო ს ვ ლ ა. ძველი ოფიციალური თვალსაზრისით, რომელსაც თამარის ხელისუფლების აპოლოგეტი „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორი გვამცნობს, ყუთლუ-არსლანმა „უცხოდ მოსაგონებელი"[4] რამ განიზრახა და მოიმოქმედა.

ყუთლუ-არსლანს „თანაშეფიცულთა და თანაშემწეთა", „მოქმედთა" საკმაოდ დიდი წრე ჰყავდა. თვით ყუთლუ-არსლანი კი იყო „თავი იგი მოქმედთა", რაც ნიშნავს, რომ მისი მომხრეები ერთმანეთთან გარკვეული

---

[1] ისტორიანი და აზმანი..., ქ. ცხ., II, გვ. 30; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 153 — 155.

[2] ისტორიანი და აზმანი..., ი ქ ვ ე.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 31.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 30.

ორგანიზაციის პრინციპით უნდა ყოფილიყვნენ დაკავშირებულნი[1]. ყუთლუ-არსლანი და მისი დასელები მოითხოვდნენ, რომ ისანში, სადაც სამეფო სასახლე და სახლობაც იმყოფებოდა, დაარსებულიყო „კარავი“— საკანონმდებლო ხელისუფლებით აღჭურვილი ორგანო. ყუთლუს დასის პროგრამით, „კარავს“ უნდა ჰქონოდა უზენაესი მართლმსაჯულებისა და უმაღლეს მოხელეთა დანიშვნა-გადაყენების უფლება. მეფე არ უნდა დასწრებოდა „კარავის“ სხდომებს და მას მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლება რჩებოდა[2].

თამარმა რეალურად შეაფასა გაფიცულთა მოთხოვნები და იგი მიიჩნია თავისი მეფობის აღსასრულის დასაწყისად. ამის გამო მან ჯერ თავის ერთგულ პირებთან ითათბირა გაფიცვის თაობაზე, რის შემდეგაც გადაწყვიტა ხელთ ეგდო ყუთლუ-არსლანი და იგი დააპატიმრა კიდეც[3], უეჭველია იმ იმედით, რომ ხელმძღვანელის შეპყრობა გაფიცულებს შეაჩერებდა. მაგრამ ყუთლუ-არსლანთან თანაშეფიცულებმა მხარი მისცეს ერთმანეთს და თამარს თავიანთი მოთავის უვნებლად განთავისუფლება მოთხოვეს, ხოლო ყოველი შემთხვევისათვის ისნის წინააღმდეგ გასალაშქრებლადაც მოემზადნენ.

ეს იმას მოწმობს, რომ ყუთლუ-არსლანთან თანაშეფიცულები საკმაოდ ძლიერები და საკუთარ თავზე დაიმედებულებიც იყვნენ; ამას ეტყობა, თამარიც კარგად გრძნობდა, რამაც აიძულა იგი მოლაპარაკება დაეწყო გაფიცულებთან და მათთან შუამავლებად თუ შემრიგებლებად წარჩინებული მანდილოსნები—ქართლის ერისთავთერისთავის რატის დედა ხუაშაქი ცოქილი და სამძივართა დედა კრავაი ჯაყელი მიგზავნა. მოციქულთა პირით თამარმა გაფიცულებს მოსთხოვა „ფიცით მონდობა და სხვსა არავისი ბრალობა“, ე. ი. თუ გაფიცულები მეფეს ერთგულებას შეჰფიცავდნენ, ის ყუთლუ-არსლანის გარდა სხვას არავის ჩათვლიდა ბრალდებულად.

მოლაპარაკება შეთანხმებით დამთავრდა. გაფიცულებმა თამარს მისცეს „პირი ერთგულობისა“, თამარმა კი გაფიცულებს ფიცი — უვნებლობის პირობა დაუდო[5]. ჩანს, ყუთლუ-არსლანიც გადაურჩა დასჯას[6].

მაინც რა იყო მხარეთა შეთანხმების მთავარი შინაარსი?

როგორც ჩანს, ორივე მხარე ურთიერთდათმობაზე წავიდა: „კარავის“

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 163.

[2] ისტორიანი და აზმანი... გვ. 30—31. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 168 — 171.

[3] ისტორიანი და აზმანი..., გვ. 31.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 32.

[5] ი ქ ვ ე.

[6] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 174 — 175.

დაარსების მოთხოვნა უარყოფილ იქნა. მეორე მხრივ, მეფემაც ზოგიერთი დათმობა გააკეთა.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ყუთლუ-არსლანის მოძრაობის შემდეგ მეფემ ოპოზიციონერებს დიდი უფლებები მისცა. ამიერიდან დიდმნიშვნელოვან საკითხებს თამარი მხოლოდ დარბაზის წევრთა თანადგომით, ერთნებობით და გამორჩევით, მათთან დათათბირებით წყვეტდა. ასე მიიღო, მაგალითად, მან გადაწყვეტილება, როცა მოძრაობის შემდეგ სახელოები დაურიგა ანტონ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს და სარგის მხარგრძელს, როცა შამქორისა და რუქნ ად-დინის წინააღმდეგ ლაშქრობები გადაწყვიტა[1]. ამის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილი ასკვნის, რომ „თამარის მეფობის დროს საქართველოში დამყარებულა შეზღუდული მონარქია"[2]. მაგრამ მარტოოდენ იმ ფაქტზე მითითებით, რომ თამარი გადაწყვეტილებებს დარბაზის წევრებთან თათბირით, მათი თანადგომითა და ერთნებობით იღებდა ხოლმე, ძნელია ვამტკიცოთ ყუთლუს გამოსვლის შემდეგ დარბაზის იურიდიულ კომპეტენციაში რაიმე არსებითი ხასიათის ცვლილებების შეტანა, ვინაიდან, როგორც ჩანს, მეფისადმი დარბაზის წევრთა თუ დიდებულთა თანადგომა და ერთნებობა, ფორმალურ-იურიდიული თვალსაზრისით, ძველი დროიდანვე იყო წესად. მაგალითად, გიორგი III და თვით თამარი ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლამდე კარგა ხნით ადრეც დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებზე სამეფოს თაეკაცებს ეთათბირებოდნენ და გადაწყვეტილებებსაც მათთან ერთად, მათი რჩევითა და თანადგომით იღებდნენ ხოლმე[3]. თუმცა რამდენადაც უფრო მეტად იყო მეფე ერთმმართველი, იმდენად ერთნებობისა და თანადგომის წესიც იურიდიულად ფიქციას წარმოადგენდა, ხოლო სამეფო ხელისუფლების დასუსტების შემთხვევაში ეს პრინციპი უკვე რეალურად არსებულ შინაარსს იძენდა.

ასეთი რეალური შინაარსი შეიძინა, მაგალითად, ხსენებულმა პრინციპმა ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შემდგომ ხანაში; ეს იმაში გამოიხატება, რომ ამ დროიდან სამეფო კარზე მოსული არისტოკრატიის ერთი ნაწილი თავისი ინტერესების შესაბამისად წყვეტს მეფის სახლობის საკითხსაც კი, თამარს თვითონვე შეურჩევს საქმროს და აქორწინებს. თა-

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 177 — 180.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 181.

[3] სათანადო მაგალითებისათვის იხ. გ. ს ო ს ე ლ ი ა, ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამის შესახებ, ა. მ. გორკის სახ. სოხუმის პედინსტიტუტის შრომები, ტ. X — XI, 1958, გვ. 98. „ისტორიანი და აზმანის" თქმით, გიორგი III-მ, მაგალითად, „განრჩევითა და გამორჩევითა, განგებითა და გაგონებითა ზენისა მის ხუედრისა შარავანდედთა მნებებელისათა მეფე ყო თამარ, თანამდგომითა ყოველთა პატრიარქთა და ებისკოპოსთა, დიდებულთა იმიერთა და ამიერთა, ვაზირთა და სპასალართა და სპასპეტთა", ქ. ცხ., II, გვ. 21. შდრ. გ. ს ო ს ე ლ ი ა, ი ქ ვ ე.

მარი კი იძულებულია მათ არჩევანს დაჰყვეს და მათივე მორჩილი იყოს (იხ. შემდეგ).

ყუთლუ-არსლანის დასელებს სურდათ სამეფო ხელისუფლების უფლებათა ერთობლიობის დანაწილება, კერძოდ, საკანონმდებლო უფლებათა მითვისება და ამ გზით სამეფო ხელისუფლების შეზღუდვა. ეს სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ დიდგვარიანთა ხანგრძლივი ბრძოლის ისტორიაში არსებითად ახალი მოვლენა იყო, ვინაიდან ადრე დიდგვარიანი აზნაურები ბრძოლას ეწეოდნენ საერთოდ სამეფო ხელისუფლების, როგორც ერთიანი უფლებების მქონე ინსტიტუტის წინააღმდეგ, ახლა კი მის მხოლოდ შეზღუდვას და მისი უფლებების ერთი ნაწილის (საკანონმდებლო უფლებები) მითვისებას მოითხოვდნენ.

მითითება ამ სიახლეზე კარგად აისახა თვით თამარის ისტორიკოსის ცნობაში, რომ ყუთლუ-არსლანის მოთხოვნა სპარსთა წესის მიმბაძველობას წარმოადგენდა.

როგორ უნდა გავიგოთ ეს ცნობა?

ივ. ჯავახიშვილის აზრით, სპარსეთში არავითარი ამის მსგავსი წესიც არ ყოფილა და თვით ისტორიკოსსაც ეს მოვლენა კონკრეტული სახით არ ჰქონდა წარმოდგენილი. ამიტომ, საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა გასაწბილებლად და სახელის გასატეხად ნახმარ ფანდთან უნდა გვქონდეს საქმე და არა ცხოვრების უტყუარ ანარეკლთან. ცნობილია, რომ ხშირად მოწინააღმდეგე ბანაკის სახელის გასატეხად მის პროგრამას უცხოელთაგან ნაკარნახევად ან ნასესხებად აცხადებდნენ ხოლმე[1]. თუმცა, ჩვენი აზრით, არც ისაა გამორიცხული, რომ ეს გამოთქმა კონკრეტულ შინაარსსაც გულისხმობდეს. „წესი" ძველ ქართულ იურიდიულ ტერმინოლოგიაში უმთავრესად წესდებას, კანონთა კრებულს ნიშნავდა, თუმცა მას სხვა შინაარსიც ჰქონდა ტრადიციის, ჩვეულების გაგებით. ასეთ შემთხვევაში, არაა გამორიცხული, ტერმინი „სპარსთა წესი", თამარის ისტორიკოსის აზრით, ნიშნავდეს რაიმე ლიტერატურულ ძეგლს, საკანონმდებლო ნორმას ან ტრაქტატსაც კი, რომლის პრინციპებიც სპარსულ წესად იგულისხმება. თუ ეს ასეა, პირველ რიგში, ბუნებრივია, უნდა გაგვახსენდეს ნიზამ ალ-მულქის განთქმული „სიასათ-ნამე" — წიგნი მმართველობის შესახებ. „სიასათ-ნამე", როგორც ცნობილია, წარმოადგენდა ტრაქტატს, თუმცა შეიცავდა იმ აზრებსაც, რომელთა ცხოვრებაში განხორციელებასაც წარმოადგენდნენ ნიზამ ალ-მულქისა და მალიქ-შაჰის ცნობილი რეფორმები ირანში. ერთგან „სიასათ-ნამეში" მისი ავტორი რჩევას იძლევა, რომ ჭეშმარიტი ხელმწიფე „ვალდებულია ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებამდე ეთათბირებოდეს მეცნიერებსა და ბრძენ

[1] იხ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 182.

ხალხს და არაა კარგი არც ერთი საქმე დათათბირების გარეშე"[1]. ხომ არ ფიქრობს თამარის ისტორიკოსი, რომ ყუთლუ-არსლანის მოთხოვნა (მეფემ არაფერი არ უნდა მოიმოქმედოს პირადი სურვილისამებრ, მან მხოლოდ კარვისელთა თათბირზე მიღებული გადაწყვეტილებები უნდა აღასრულოს) ნიზამ ალ-მულქთან დაცული მოთხოვნის (ე. წ. სპარსთა წესის) ანალოგიაა? კატეგორიული ფორმით ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია, მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, ერთი კი ცხადია, რომ ტერმინი „სპარსთა წესი" ერთპიროვნული მმართველობის მომხრე თამარის ისტორიკოსს ყუთლუ-არსლანის მიერ წამოყენებული პროგრამის უარყოფით ფერებში წარმოსადგენად ჭირდება[2].

ვინ იყვნენ სოციალური შემადგენლობის თვალსაზრისით ყუთლუ-არსლანი და მისი დასელები?

ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისით (მ. ჯანაშვილი, ნ. ბერძენიშვილი, პ. ინგოროყვა, გ. სოსელია), ყუთლუ-არსლანი დიდგვარიანი ფეოდალია, მეორე თვალსაზრისით კი (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ს. კაკაბაძე, შ. მესხია და სხვ.) — დაბალი სოციალური წარმოშობის პირი. ივ. ჯავახიშვილი ეყრდნობა თამარის ისტორიკოსის ცნობას, რომელშიაც ყუთლუ-არსლანი წოდებულია ბიჭად, ვინც ჯორივით ორბუნებოვნება გამოიჩინა. ბიჭი ძველ ქართულში უკანონო შვილს, ბუშს, ნაბიჭვარს ნიშნავს. ამიტომ ყუთლუ-არსლანს მამაც რომ დიდგვარიანი ჰყოლოდა, კანონით იგი, უეჭველია, მამაზე დაბალი წოდების (ყმა) უნდა გამხდარიყო. ნაბიჭვრობაზე უნდა მიუთითებდეს შეხედულება ორბუნებიანობაზეც, ჯორობაზეც, ვინაიდან ჯორი ცხენისა და ვირის ნაშობია. ვირი დაბალი სოციალური წარმოშობის სიმბოლო უნდა იყოს, ცხენი კი მაღლისა[3]. ყუთლუ-არსლანის დაბალი წარმოშობის დასადგენად ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ იგი ხელისუფალი უნდა გამხდარიყო გიორგი III-ის მეფო-

---

[1] Спасет-Намэ. Книга о правлении везира XI столетия Низам ал-Мулька. Перевод, введение и изучение памятника Н. Б. Заходера, М.—Л., 1949, с. 98.

[2] დამახასიათებელია, რომ ერთმმართველობის მოტრფიალე თამარის ისტორიკოსი საერთოდაც ნეგატიურადაა განწყობილი ისეთი „სპარსული" მოვლენისადმი (სპარსული ამ შემთხვევაში თურქულ-მაჰმადიანური მნიშვნელობითაა გააზრებული), როგორიცაა XII ს. მთელი მახლობელი და შუა აღმოსავლეთის პოლიტიკური წყობილება დაფუძნებული „მრავალმთავრობაზე". ამ უკანასკნელს, ისტორიკოსის კონცეფციით, ახასიათებს „შური" და „ხდომა", იგი არის „სპარსთა" დაქსაქსულობისა და სისუსტის საფუძველი. „მრავალმთავრობას" უპირისპირდება „ერთმთავრობა", ქართველთა სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც აღებულ ხანაში ამ უკანასკნელის წარმატებათა საწინდარია (იხ. ვ. გაბაშვილი, აღმოსავლეთი XI — XII სს. ქართული საისტორიო მწერლობის ფურცლებზე, კრ. XII ს. საქართველოს ისტორიის საკითხები, შ. მესხიას რედაქციით, თბ., 1968, გვ. 299 — 300).

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკვ. II, გვ. 159.

ბის ბოლო პერიოდში, როცა სახელმწიფო სარბიელზე უგვაროებს აწინაურებდნენ[1].

გარდა ამისა, ივ. ჯავახიშვილის თქმით, „ქართლის ცხოვრების“ შევსებულ რედაქციაში, სადაც საუბარია ყუთლუ-არსლანზე, დართულია მინიშნება, რომ „გვარითა უაზნოთა სიმდიდრე აღამაღლებს“[2]. ეს ცნობა სანდოა, ვინაიდან ყველაფერი, რაც შევსებულ „ქართლის ცხოვრებაში“ ჩანართების სახითაა შეტანილი, ძველი წყაროებიდანაა ამოღებული. მაშასადამე, ამ ცნობის მიხედვითაც ყუთლუ-არსლანი გვარითა უაზნო არის[3].

ორგვარადაა გაგებული ყუთლუ-არსლანის დასის სოციალური დეტერმინაციის საკითხიც.

პირველი თვალსაზრისით, ყუთლუ-არსლანის დასელები დიდგვარიანი ოპოზიციონერები არიან, რომელთა მოძრაობაც მიზნად ისახავს მათი საგვარეულო ინტერესების შემდგომ გაფართოებას. ამ კუთხიდან ცდილობს ეს მოძრაობა ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების შეცვლას[4].

მეორე თვალსაზრისის თანახმად კი, გაფიცულები უგვარო, დაბალი სოციალური წარმოშობის, „სიმდიდრით აღზევებულნი“[5], ანუ მესამე წოდების წარმომადგენლები არიან და დასში არსებითად შედიან მდიდარი მოქალაქეები[6]. ამ თვალსაზრისის ავტორიც ივ. ჯავახიშვილია, რომელმაც საკუთარი თვალსაზრისი უმთავრესად დააფუძნა თამარის მეორე ისტორიკოსის ერთი ფრაზის თავისებურ გაგებაზე. ამ ფრაზაში, თითქოს იკითხება, რომ „დაწყებასა ამის (ე. ი. თამარის) მეფობისასა“ ვიღაც „სიმდიდრით ალაღებულნი“ „სხუათა განზრახვათა დამოეკიდნენ“. ამ ადგილის მიხედვით თვლიან, რომ შეუძლებელია ეს ცნობა ეხებოდეს დიდგვარიან აზნაურ-ხელისუფალთა გაფიცვას. ამიტომ უნდა ვიფიქროთ,

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკვ. II, გვ. 159.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 160.

[3] ი ქ ვ ე.

[4] მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, თამარ მეფე, თბ., 1917, გვ. 76—77. გ. ს ო ს ე ლ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 99. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ბრძოლა საქართველოს სახელმწიფო წყობილების შესაცვლელად, საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1958, გვ. 197; შდრ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, 1974, გვ. 176—178. ზ. ა ნ ჩ ა ბ ა ძ ე, შ. ბ ა დ რ ი ძ ე, ფეოდალური საქართველოს ისტორიის სწორი გაგებისათვის, ლიტერატურული საქართველო, 1971, № 12, გვ. 2—3.

[5] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 161.

[6] შ. მ ე ს ხ ი ა, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962, გვ. 106—144.

რომ მასში სწორედ ყუთლუ-არსლანის დასელები, „სიმდიდრით აღზევებულები“ უნდა იგულისხმებოდნენ[1].

აღნიშნული კონცეფცია ლიტერატურაში ფართოდაა გავრცელებული[2]. განსაკუთრებით მიუთითებენ იმ არგუმენტზე, რომ ყუთლუ-არსლანის გაფიცვის შემდეგ დაწინაურებულ პირთაგან ისეთი, როგორიც იყო, მაგალითად, აბულასანი, მესამე წოდების — მოქალაქეთა წრიდანაა გამოსული. ეს კი საკმარისი გარანტიაა იმის საფიქრებლად, რომ თვით დასელებიც მდიდარი მოქალაქეები იყვნენ, თუმცა ყუთლუ-არსლანის გამოსვლა არ შეიძლება მივიჩნიოთ მარტოოდენ მდიდარი მოქალაქეების მოძრაობად, ვინაიდან დასელთა მოთხოვნები შეუძლებელია არ დამთხვეოდა დიდგვარიან ფეოდალთა სწრაფვას სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ. ამიტომ ამ ჯგუფში შედიოდნენ ის დიდებულებიც, რომელთა ინტერესებიც გარკვეულ ვითარებაში ემთხვეოდნენ საქალაქო წრეების ინტერესებს[3].

ყუთლუ-არსლანის დასი მესამე წოდების წარმომადგენელთაგან რომ შედგებოდა, თითქოსდა იქიდანაც ჩანს, რომ დასი გამოდიოდა ტიპიური მესამე წოდების პროგრამით. ამ უკანასკნელში მთავარი ელემენტი იყო ხელისუფლების დანაწილების მოთხოვნა. ასეთ მოთხოვნას კი, პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის თანახმად, ყველგან და ყოველთვის მხოლოდ მესამე წოდების წარმომადგენლები იყენებდნენ. ლოკი, მონტესკიე, კონსტანი, ჰეგელი და ა. შ. ხელისუფლების დანაწილების თეორიის შემქმნელები, ყველანი მესამე წოდების ინტერესების გამომხატველნი იყვნენ[4].

მიუხედავად პოპულარობისა, აზრი, რომ ყუთლუ-არსლანი და მისი დასელები „სიმდიდრით აღზევებულები“, უგვაროთა, მესამე წოდების წარმომადგენლები იყვნენ, უცილობელი სახით ძნელი მისაღებია. ძნელია, მაგალითად, ყუთლუ-არსლანის მდაბიო წარმოშობის წარმოდგენა მარტოოდენ თამარის ისტორიკოსის ოდიოზული გამოთქმების (ჯორი, ბიჭი)

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 161.

[2] Грузинская Советская Социалистическая Республика, исторический очерк, сост. И. Джавахишвили, Ф. Махарадзе, С. Какабадзе, С. Хундадзе. БСЭ, I изд., т. 19, с. 564, ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, 1952, გვ. 427—428; ა. კიკვიძე, საქართველო XII საუკუნეში, თსუ შრომები, IX, 1939, გვ. 167; ს. მაკალათია, თამარ მეფე, გვ. 15—17; შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. II, თბ., 1958, გვ. 9 — 10.

[3] შ. მესხია, საქალაქო კომუნა, გვ. 106—107 და სხვ. მისივე, შენიშვნები ძველი რუსეთისა და საქართველოს ისტორიიდან, „მნათობი“, № 1, 1971, გვ. 150—167.

[4] ვ. აბაშმაძე, ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ., 1969, გვ. 436—441. მისივე, XII ს. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, კრ. „XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები“, თბ., 1968, გვ. 336—338.

მიხედვით, ვინაიდან, თუ ამ გამოთქმებით იმის მტკიცება შეიძლება, რომ ყუთლუ-არსლანი მდაბიო წარმოშობისა იყო, იმის ფიქრიც შეიძლება, რომ ამით ავტორს, როგორც ივ. ჯავახიშვილიც ფიქრობს, უბრალოდ მიზნად ჰქონდა ყუთლუს დამცირება. ასევე ძნელია ყუთლუ-არსლანის მდაბიო წარმოშობის პირად მიჩნევა იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ გიორგი III-მ თავისი მეფობის ბოლო პერიოდში სახელმწიფო თანამდებობებზე მხოლოდ დაბალი სოციალური წარმოშობის პირები—უგვაროები დააწინაურა და რადგან ყუთლუც მეჭურჭლეთუხუცესად ამ დროს იქნა დანიშნული, საფიქრებელია, რომ ისიც უგვარო უნდა ყოფილიყო. ასეთი მტკიცება მოკლებულია დამაჯერებლობას, ვინაიდან არსაიდან არაა ცნობილი, რომ გიორგი III-ის მიერ დანიშნული მოხელეები მისი მეფობის ბოლო ხანებში ყველანი უკლებლივ უგვაროები იყვნენ. ასეთებად თამარის ისტორიკოსის ცნობათა მიხედვით მხოლოდ რამდენიმე პირი იყო (ყუბასარი, აფრიდონი) და არა ყველა. მაშასადამე, ის, ვინც თანამდებობაზე დაინიშნა გიორგი III-ის მმართველობის ბოლოს, უთუოდ უგვარო როდი იყო.

ასევე, ჩვენ არ ვიცით ყუთლუ-არსლანზე „ქართლის ცხოვრების" შევსებული ვერსიის შენიშვნის წარმომავლობა-სანდოობა, რომ მის მიხედვით რაიმე გარკვეული ვთქვათ ყუთლუ-არსლანის სოციალური წარმოშობის ფაქტზე.

გარდა ამისა, ის ფაქტი, რომ 1184 წელს თავიანთი პირველი გაფიცვის დროს დიდგვარიანი ოპოზიციონერები, რომლებიც უგვაროების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ, არსად არ მოითხოვდნენ ყუთლუ-არსლანის გადაყენებას, უფრო იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ იგი არ იყო უგვარო და ამიტომაც ოპოზიციონერები არ აყენებდნენ მისი მოხსნის საკითხს. თანაც ყუთლუ-არსლანი სწორედ იმ დროს გააქტიურდა და შეეცადა ამირსპასალარი გამხდარიყო, როცა ოპოზიციონერების ბრძოლა უგვაროების წინააღმდეგ წარმატებით დასრულდა. ასეთ ვითარებაში ყუთლუ-არსლანის მხრივ, ის რომ მართლა უგვარო ყოფილიყო, წარმოუდგენელი იქნებოდა ამირსპასალარობაზე ფიქრი. თამარის ისტორიკოსის თხრობიდანვე კარგად ჩანს, ყუთლუ-არსლანი იმათ შორის იმყოფებოდა, რომლებმაც აქტიური როლი შეასრულეს უგვაროთა დამხობაში, ხოლო შემდეგ კი ერთმანეთშიაც ატეხეს ბრძოლა განთავისუფლებული თანამდებობების ხელში ჩაგდების მიზნით. ეს უკანასკნელები კი, უეჭველია, დიდგვარიანები იყვნენ და წუხდნენ, რომ გიორგი III-ის დროს განდევნილი იყვნენ პოლიტიკური ხელისუფლებისაგან. ეს გარემოებაც უფრო ყუთლუ-არსლანის დიდგვარიანობას უნდა ემოწმებოდეს[1].

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, გვ. 139 — 140.

კატეგორიულად ვერ მტკიცდება, აგრეთვე, რომ ყუთლუ-არსლანის მომხრეები უგვაროები და „სიმდიდრით ალაღებულები“ იყვნენ.

მართალია, თამარის მეორე ისტორიკოსი ერთგან ხმარობს სიტყვებს „სიმდიდრით ალაღებულები“, მაგრამ ეს სიტყვები არ ეხება ყუთლუ-არსლანს და მის დასელებს. ისტორიკოსის სიტყვებში ნათქვამია მხოლოდ შემდეგი: „თამარი კუალად ამისთჳს არა უდებებდა (თავის ქვეშევრდომებს), რათა არა მოცლილთა განსვენებად სიჩუკნედ განსცენ თავი და სხუათა განზრახვათა დამოეკიდნენ, ვითარცა სიმდიდრით ალაღებულთა, ანუ ერთი-ერთსა მტერობად მოიცლიდეს და ბრძოლად, ვითარ ყოველსცა ვიეთმე დაწყებასავე ამისსა მეფობისასა მისვე დრკუსა ძირისა ნაყოფთა ლიპარიტეტთა, შვილთა კახაბერთა, რამეთუ იწყეს ძმაცუად და ბრძოლად მახლობელთა თჳსთა“[1].

ამ სიტყვებში მხოლოდ ერთი რამეა ნათქვამი; კერძოდ, თამარი იმიტომ „არ უდებებდა“ (ზარმაცობაში არ ამყოფებდა) თავის ქვეშევრდომებს, რომ მათ „სიჩუკნედ“ ან სხვა განზრახვისთვის („სხუათა განზრახვათა“) არ მიეცათ თავიანთი თავი, ისე, როგორც ეს სიმდიდრით ალაღებულებსა სჩვევიათ. ამის დასადასტურებლად ისტორიკოსი მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ თამარის მეფობის დასაწყისში ლიპარიტის დრკუ ძირისაგან მომდინარე კახაბერის ძეებმა ანტონ გნოლისთავის ძეს, მაგალითად, ძმებიც კი დაუხოცეს. ზემომოყვანილ ფრაზაში ტერმინი „სიმდიდრით ალაღებულნი“ ზოგადი შინაარსისაა და კონკრეტულად არ გულისხმობს ყუთლუ-არსლანის დასელებს, რომლებიც, თითქოს, სხვების განზრახვებს აჰყვნენ. ისე რომ, თამარის ისტორიკოსის სიტყვებში მოცემული დახასიათება კარგად თავსდება დიდგვარიანთა მიმართაც[2].

ყუთლუ-არსლანის დასელთა მესამე წოდებისადმი მიკუთვნება არ ხერხდება მარტოოდენ მათი მეთაურის პოლიტიკური იდეოლოგიის მიხედვითაც, ვინაიდან მისი იდეოლოგიის ძირითადი ელემენტი — ხელისუფლების დანაწილების თეორია საკმაოდ ძველია. მას იცნობდნენ ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში, ისე როგორც შუა საუკუნეებში და ამასთანავე თავიანთ პოლიტიკურ ბრძოლაში იყენებდნენ არა მარტო მესამე წოდების, არამედ ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლებიც. მესამე წოდების განსაკუთრებული მიმართება ხელისუფლების დანაწილების თეორიასთან მხოლოდ ისაა, რომ მან ამ თეორიას დასრულებული სახე მისცა და თავისი პოლიტიკური იდეოლოგიის ძირითადი საყრდენის როლი მიანიჭა[3]. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლების დანაწილების მოთხოვნა სავსებით

---

[1] ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი... გვ. 131.

[2] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, გვ. 141.

[3] В. А б а ш м а д з е, Учение о разделении государственной власти и его критика, Тб., 1972.

შესაძლებელი იყო წამოეყენებინათ ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლებსაც, როგორადაც ჩვენ მიგვაჩნია ყუთლუს დასელები.

მკვლევართა ერთი ნაწილის მსგავსად, ჩვენც ყუთლუ-არსლანის დასის შემადგენლობა და მოძრაობა არსებითად დიდგვარიანთა მოძრაობად მიგვაჩნია, პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ სხვაგვარი დასკვნის უფლებას წყაროები თითქოს არ იძლევიან.

მართლაც, ერთადერთ ცნობაში, რომელიც მოგვითხრობს ყუთლუ-არსლანის გამოსვლაზე (იხ. „ისტორიანი და აზმანი") პირდაპირ მითითებულია, რომ ყუთლუს თანაშეფიცულები იყვნენ „დიდებულები" და, აგრეთვე „ლაშქარნი"[1].

ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, „დიდებულები" ხელისუფალ აზნაურთა და დიდ მოხელეთა წრეს ეწოდებოდა[2]. ასევე „ლაშქარნიც" უმაღლეს სამხედრო წრეს შეადგენდა, რომელსაც უფლება ჰქონდა დიდი სამხედრო წამოწყების თაობაზე თვით მეფისთვისაც კი მიემართა. „ლაშქარნში" უმეტესად დიდებულები იგულისხმებოდნენ[3]. იქ კი, სადაც ყუთლუ-არსლანის დასელებზე საუბრობს, ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ „ლაშქარნის" თუ „დიდებულების" წიაღში ყველანი ყოველთვის მაღალი წარმოშობისანი არ იყვნენ და ზოგი მათგანი უაზნოთაგანაც იყო გამოსული[4]. მიუხედავად ამისა, „ისტორიანი და აზმანის" ჩვენთვის საინტერესო ცნობები სავსებით გასაგებია. საქმე იმაშია, რომ ვიდრე ყუთლუ-არსლანის ამბავზე გადავიდოდეს, ისტორიკოსი ყვება, რომ უგვარო აფრიდონი, მაგალითად, „თნევითა ლაშქართათა" დაიმხო[5]. აშკარაა, ამ შემთხვევაში ისტორიკოსს სურს მიგვანიშნოს, რომ „ლაშქარნი" ძირძველი ფეოდალური საგვარეულოების წარმომადგენლები იყვნენ. ყოველ შემთხვევაში, აფრიდონი დაიმხო „ლაშქართა" დიდგვარიანი ფენის მიერ, რამდენადაც ბრძოლა წარმოებდა მისი, როგორც „უგვაროს" წინააღმდეგ. ამიტომ სავსებით სწორია ივ. ჯავახიშვილის აზრი, რომ ამ შემთხვევაში „ლაშქარნი" უბრალო ჯარს კი არ ნიშნავს, არამედ „გუარიან და დიდებულ" „ხელისუფლებს"[6]. მას შემდეგ კი, რაც დაამთავრებს საუბარს აფრიდონის დამხობაზე, „ისტორიანი და აზმანის" ავტორი ამ „ლაშქართას" კვლავ ახსენებს, როგორც ყუთლუ-არსლანის თანაშეფიცულებს. აშკარაა, რომ ამ ტერმინს აქაც ისეთივე აზრი აქვს, როგორც ზემოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, როცა დიდებუ-

---

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 31 — 32.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I, ტფილისი, 1928, გვ. 43 — 46.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 57—60.

[4] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I[3], ნაკვ. II, გვ. 164.

[5] ისტორიანი და აზმანი... გვ. 30.

[6] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I, გვ. 58.

ლებმა, ანუ ლაშქარმა აფრიდონის დამხობის შემდეგ ერთგვარ წარმატებებს მიაღწიეს, ამ „ლაშქართას“ ცნება ისე არ შეიცვლებოდა, რომ მასში დიდგვარიანთა ნაცვლად ისტორიკოსის მიერ უგვაროები ყოფილიყვნენ ნაგულისხმევი[1]. იგივე ითქმის დიდებულებზეც. მართალია, „ლაშქართა“ და „დიდებულთა“ წრე გარკვეულ ვითარებაში სხვა სოციალური წრეების ხარჯზეც ივსებოდა, მაგრამ მასში მოქცეულები თავის ყოფილ თანამოძმეებს აღარ ეკუთვნოდნენ მდგომარეობით და წოდებით. „ლაშქართა“ და „დიდებულთა“ კატეგორია იმით კი არ განისაზღვრებოდა, თუ ვინ იყვნენ მისი წევრები ადრე, არამედ იმით, თუ რას წარმოადგენდნენ ისინი ახლა. დასის უგვაროთა ორგანიზაციად მიჩნევის თეზისს ისიც ეწინააღმდეგება, რომ პოლიტიკური ბრძოლის ამ ეტაპზე უგვაროები სამეფო ხელისუფლების შეზღუდვის მოთხოვნით ვერ გამოვიდოდნენ, ვინაიდან უგვაროების უმთავრესი მოწინააღმდეგეები სწორედ დიდგვარიანები იყვნენ, რომლებმაც თავის დროზე ენერგიულად შეუტიეს უგვარო მოხელეებს და დაამხეს კიდევაც.

ყველაფერი ეს თითქოს დამარწმუნებლად უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ ყუთლუ-არსლანის „დიდებულები“ და „ლაშქარნი“ მსხვილი საგვარეულო არისტოკრატიის წარმომადგენლები იყვნენ[2].

ქართულ ისტორიოგრაფიაში ყუთლუ-არსლანის დასელთა მოძრაობის ისტორიული შეფასების საკითხში აზრთა სხვადასხვაობაა. ისინი, ვინც ყუთლუს დასელებს მესამე წოდების წარმომადგენლებად თვლიან, ამ მოძრაობას პროგრესულად მიიჩნევენ, რადგანაც, მათი აზრით, ყუთლუს მოძრაობა გზას უხსნიდა მესამე წოდების წარმომადგენლებს ქვეყნის მართვა-გამგებლობაში.

მაგრამ რადგანაც ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა ეს იყო დიდგვარიანთა პოლიტიკური გაფიცვა მათი წოდებრივი პრივილეგიების გაფართოებისათვის, ეს მოძრაობა რეაქციულ ელფერს ატარებდა: ის ასუსტებდა და ზღუდავდა სამეფო ხელისუფლებას, რომელიც იმ ხანებში პროგრესული სახელმწიფოებრივი კურსის გატარებას ცდილობდა (ფეოდალური პარტიკულარიზმის ალაგმვა, ფეოდალური ეკონომიკისა და კულტურის მოწესრიგება, ფეოდალთა კლასის მოწინავე ფენის — მსახურეულ-აზნაურთა — სოციალური და ეკონომიკური ინტერესებისათვის მხარდაჭერა, ბრძოლა „თურქობის“ გადმონაშთების წინააღმდეგ კავკასიაში...).

გ) საშინაო-პოლიტიკური ვითარება ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შემდეგ. აღნიშნული ამბების

---

[1] იხ. გ. სოსელია, დასახ. ნაშრ., გვ. 82 — 83.

[2] ზ. ანჩაბაძე, შ. ბადრიძე, ფეოდალური საქართველოს ისტორიის სწორი გაგებისათვის, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, № 12, 1971, გვ. 3.

შემდეგ ცენტრალისტური პოლიტიკის მოწინააღმდეგენი შესამჩნევად მომაგრდნენ, მაგრამ გიორგი III-ის პოლიტიკური კურსის მომხრეთა მხარდაჭერით თამარი კვლავ ენერგიულად და მეთოდურად განაგრძობდა ბრძოლას.

ყუთლუ-არსლანის მოძრაობის დამთავრებისთანავე თამარმა სწორედ ამ მოღვაწეებზე დაყრდნობით სცადა ხელისუფლების წართმევა მიქაელ კათალიკოსისათვის, რისთვისაც მან საეკლესიო კრება მოაწვევინა[1]. კრების სული და გული იყვნენ ადრე მიქაელის მიერ კათალიკოსობიდან განდევნილი ნიკოლოზ გულაბერიძე და ქუთათელი ანტონ საღირისძე, რომლებმაც ისიც კი არ მოისურვეს, რომ მიქაელი თუნდაც კრებას დასწრებოდა[2]. საამისოდ იმ ფაქტს იმიზეზებდნენ, რომ მიქაელი „წინაუკმოდ" იქცეოდა, ე. ი. საეკლესიო წესთა შემშლელი იყო და ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობა უფლისაგან ვერაგობით, სიცბიერით ჰქონდა მოპოვებული[3]. მაგრამ შეუძლებელია ეს ბრალდებები სასურველ არგუმენტებად გამომდგარიყო, ვინაიდან ისეთ ვითარებაში, როცა ჭყონდიდლობა მიქაელს თვით „უფლისა"[4], „ვიეთმე მეფისა განმზრახთათა"[5] მიერ ჰქონდა მიღებული, თავის დაცვა არ უნდა გასჭირვებოდა. ამიტომაც, უეჭველია, რომ საეკლესიო კრებამ მიქაელი კათალიკოსობიდან ვერ გადააყენა[6], რაც იმასაც უნდა მივაწეროთ, რომ მას, ალბათ, კრებაზეც საკმაოდ ბევრი მომხრე გამოუჩნდებოდა. მიუხედავად ამისა, თამარის მხარდამჭერებმა ის მაინც შეძლეს, რომ თავიანთთვის არასასურველი ბევრი ეპისკოპოსი გადააყენეს თანამდებობიდან და საეკლესიო წესებშიაც ზოგიერთი ცვლილება მოახდინეს.

სამეფო ხელისუფლების აქტიურობა ამით არ დამთავრებულა. მალე თამარმა სასწრაფოდ დაიწყო მიქაელზე შეტევა იმ უფლებით, რომელიც ფორმალურად უკვე მეფის კომპეტენციაში შედიოდა და საეკლესიო კრების გარეშეც მოგვარდებოდა. თამარმა მიქაელს ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობა ჩამოართვა[7]. ამასთანავე, დააპატიმრა და ექსორია უყო ანტონ გნოლისთავის ძის ყოფილ მოწინააღმდეგეებს — კახაბერის შვილებს[8]. დაბოლოს, მთავარი ის იყო, რომ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდ-

---

[1] ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, გვ. 118.

[2] ი ქ ვ ე.

[3] ი ქ ვ ე.

[4] ი ქ ვ ე.

[5] ი ქ ვ ე, გვ. 122.

[6] ი ქ ვ ე, გვ. 118. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკვ. II, გვ. 150.

[7] შ. მ ე ს ხ ი ა, თამარის პირველი ისტორიკოსის ერთი ცნობის გაგებისათვის, ქართული წყაროთმცოდნეობა, III, გვ. 136.

[8] ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, გვ. 131. შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 136.

ლობის თანამდებობაზე თამარმა კვლავ აღადგინა და დაამტკიცა ანტონ გნოლისთავის ძე. ასევე, თანამდებობებზე დაამტკიცა უმეტესად თავისი ორიენტაციის მომხრე პირები: სარგის მხარგრძელი, ჭიაბერი და სხვები[1]. ამგვარად, თუმცა გიორგი III-ის მიერ დანიშნულ მოხელეებს თამარის გამეფების დაწყებისას დიდი წინააღმდეგობები დახვდათ, მაგრამ სამეფო ხელისუფლების ძირითადი მიმართულება ამით მაინც არ შეცვლილა და იგი კვლავ მის მომხრეთა ხელში რჩებოდა. ყოველივე ეს და, განსაკუთრებით კი, მწიგნობართუხუცესს-ჭყონდიდელის თანამდებობაზე გიორგი III-ის უერთგულესი ვაზირის აღდგენა ოპოზიციურ ძალებზე თამარის სამეფო ხელისუფლების მნიშვნელოვანი გამარჯვების უტყუარი მოწმობა იყო[2].

მიუხედავად მომხდარი ამბებისა, ცენტრალიზმის მოწინააღმდეგე პოლიტიკურმა ჯგუფმა, რომელშიაც შედიოდნენ, მაგალითად, მეჭურჭლეთ-უხუცესი აბულასანი, მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი და სხვ., ფარხმალი მაინც არ დაყარა და სცადა მთელი თავისი იმედები ახალგაზრდა მეფე-ქალის მომავალი სახლობის საკითხისათვის დაეკავშირებინა. კერძოდ, ამ ჯგუფმა მოახერხა თამარის ქმრად თავისი სასურველი კანდიდატი გამოენახა და უმაღლეს საეკლესიო და საერო წრეებზე გავლენის მოხდენის შედეგად დაეყოლიებინა თამარი დაქორწინებულიყო და საქმროც თვითონვე შეარჩია[3]. თამარს ქმრად შერთეს ვლადიმერ-სუზდალის მთავრის ანდრია ბოგოლუბსკის ძე იური, ანუ გიორგი, რომელიც შინაფეოდალურ ომში მამის დაღუპვის შემდეგ ყივჩაყეთში აფარებდა თავს[4]. გიორგის კანდიდატურის შერჩევა თამარის სურვილის საწინააღმდეგოდ ხდებოდა, მაგრამ მოთავეებმა მაინც თავისი გაიტანეს, საქმრო ჩამოიყვანეს და 1185 წელს თამარზე დააქორწინეს კიდეც[5].

ყველაფერი ეს თამარის მოწინააღმდეგეთა ხელახალი წარმატება იყო, რასაც მათი შემდგომი გაძლიერებაც მოსდევდა.

თავდაპირველად, თამარზე დაქორწინების შემდეგ გიორგი რუსი და მისი მომხრეები მშვიდობიანად გრძნობდნენ თავს, მაგრამ სულ მალე, რაღაც ორიოდე წელიწადში, მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ახლა უკვე თამარმა და მისმა „პარტიამ“ შეუტიეს ენერგიულად გიორგისა და მის მომხრეებს. მათ გიორგის მთელი რიგი ბრალდებები წაუყენეს და უკეთური ჩვეულებებისადმი, კერძოდ კი, სოდომური ცოდვისაკენ მიდ-

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 32—33; შ. მ ე ს ხ ი ა. დასახ. ნაშრ., გვ. 145—146.

[2] შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 146.

[3] ი. ც ი ნ ც ა ძ ე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X — XV სს.), თბ., 1956, გვ. 67 — 80.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 89 — 96.

[5] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, თბ., 1965, გვ. 254.

რეკილებაც კი დააბრალეს. აღნიშნული ბრალდებებით „აშავებს“ გიორგი რუსს „ისტორიანი და აზმანის“ ავტორიც[1], რაც, უეჭველია, თამარის „წრის“ პოლიტიკური თვალსაზრისის დასაბუთების ერთ-ერთ მაგალითს უნდა წარმოადგენდეს[2].

უეჭველია, გიორგი რუსის მოწინააღმდეგეებმა კარგად იცოდნენ, რომ ასეთი ბრალდების წინაშე თავის მართლება არცთუ სავსებით მოსახერხებელი იყო. თანაც, თუ სხვა შემთხვევაში გიორგი რუსთან გაცილება სხვა საბაბით გაძნელდებოდა, ახლა „სოდომია“ ქმართან განქორწინება, პირიქით, სამართლიანი აქტი უნდა ყოფილიყო. ამიტომაც იყო, რომ სულ მალე თამარმა დაუბრკოლებლად უარყო გიორგი, სამეფო კარს თუ თავის ოჯახს ჩამოაშორა და ექსორიობაშიც განდევნა ბიზანტიას. ამ დროიდან დაიწყო გიორგი რუსის მომხრეთა დაქვეითებაც[3].

1188 წელს[4] თამარი მისმა პოლიტიკურმა მომხრეებმა დავით სოსლანზე დააქორწინეს[5]. დავითი დედითაც და მამითაც მაღალი წარმოშობის პირი იყო. იგი ოვსთა სამეფო კარის წარმომადგენელი იყო და ამავე დროს ქართველ ბაგრატიონთა ნათესავადაც ითვლებოდა. დავითი თავისი დროისათვის კარგად მომზადებული პირი იყო — აღზრდა საქართველოს სამეფო ოჯახში მიიღო და, როგორც თამარის საქმრო, ყოველმხრივ შესაფერის კანდიდატს წარმოადგენდა.

თამარს დავითთან ორი შვილი შეეძინა: გიორგი ლაშა და რუსუდანი.

გიორგი რუსი და მისი მომხრეები ასე ადვილად არ შერიგებიან თავიანთ ხვედრს. მათ კიდევ ორჯერ სცადეს დაბრუნებოდნენ და დაუფლებოდნენ სამეფო კარს, რისთვისაც გიორგი რუსის ფორმალური მეთავეობით დიდი აჯანყებაც კი მოაწყვეს.

პირველად, ეს მოხდა 1191 წელს, გიორგი რუსი არზრუმში გამოჩნდა, სადაც მას შეხვდა გარკვეული დიპლომატიური მისიით ჩასული საქართველოს მეჯურჭლეთუხუცესისნაცვალი. ამ უკანასკნელის მეშვეობით გიორგიმ კავშირი დაამყარა თავის მოიმედეებზე. პირველსავე ნიშანზე გიორგის მიემხრნენ კლარჯეთისა და შავშეთის ერისთავთერისთავი გუზანი, სხვა მესხი დიდებული აზნაურები, სამცხის სპასალარი ბოცო, მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი „პატრონი ორბეთისა და კაენისა, ლიხთიქით

---

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი..., გვ. 40 — 41.

[2] ნ. ბერძენიშვილი, რეცენზია ი. ცინცაძის ნაშრომზე „ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X — XV სს.)“, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, 1971, გვ. 219—220.

[3] შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962, გვ. 138.

[4] П. Мурадян, К хронологии некоторых событий в Грузии и Армении конца XII в., მატენადარინის მოამბე (სომხურ ენაზე), т. IX, Ереван, 1969, с. 134.

[5] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 259 — 260.

ნიკოფსამდის უცილობლად" მქონებელი. ამ უკანასკნელმა მიიმხრო და გადაიბირა დასავლეთ საქართველოს უდიდესი ნაწილი.

ყველა ესენი, უეჭველია, თავისი სამსახურის წილ გიორგისგან მომხრეობის საფასურად „ან პოლიტიკური უფლებების დათმობას ელოდებოდნენ, ან კერძო სარგებლობას"[1].

აჯანყებულთა გაერთიანებულმა ძალებმა გეგუთს მიაღწიეს და გიორგი რუსი მეფედ გამოაცხადეს[2].

თამარმა სწრაფად შეკრიბა თავისი მომხრეები და ფიცი დაადებინა, რომ მისი ერთგული იქნებოდნენ, თან შეეცადა აჯანყებულებს მშვიდობიანად მორიგებოდა, რისთვისაც მოლაპარაკების მიზნით მათთან ანტონ ქუთათელი და სხვა ეპისკოპოსები მიაგზავნა[3]. მაგრამ ამაოდ. აჯანყებულთა ერთმა ნაწილმა ლიხის მთა გადმოლახა და ნაჭარმაგევამდე თუ გორამდე ყველაფერი ააოხრა. მეორე ნაწილი კი ციხისჯვარს მივიდა და ოძრხე დაწვა. აქვე გადაწყვიტეს მათ აეღოთ ჯავახეთი, თმოგვი, ახალქალაქი, თრიალეთი და სომხითი, მაგრამ სწორედ ამ ადგილებში წაადგა თავს აჯანყებულებს თამარის ერთგული მხედრობა, რომელმაც გიორგი რუსის მომხრეებს პირველი სერიოზული დარტყმა მიაყენა. ასეთივე დღე დაადგათ ქართლში მყოფ აჯანყებულებსაც, რის გამოც ისინი იძულებული გახდნენ იარაღი დაეყარათ და გამარჯვებულებისათვის გიორგი რუსიც კი გადაეცათ, მხოლოდ იმ პირობით, რომ იგი უვნებელი დარჩებოდა. თამარმა სათანადოდ აასრულა პირობა და გიორგი ცოცხალი დატოვა, თუმცა კვლავ ეჭსორია უყო.

ამის შემდეგ ბრძოლას მხოლოდ მცირერიცხოვანი მოწინააღმდეგეები განაგრძობდნენ, მაგალითად, გუზან ტაოსკარელი. იგი შაჰარმენთა კარზე წავიდა და საქართველოს სამეფოს ჩამოაშორა ტაოსკარი, ვაშლოვანი და მთელი რიგი სხვა ციხეები. გუზანს რამდენიმე აზნაურიც მიემხრო.

განდგომილები გავიდნენ „მთასა კოლისასა" გუზანთან, რომელიც შაჰარმენთა დიდი მხედრობით იყო მოსული. მიუხედავად ამისა, გუზანი ვერაფერს გახდა. თამარის მონაპირე მხედრობამ ზაქარია ფანასკერტელის მეთაურობით სძლია მას, ხოლო მისი ცოლ-შვილი ტყვედ იგდო[4]. თვითონ გუზანი კი მოგვიანებით იქნა ხელში ჩაგდებული და დასჯილი: იგი დააბრმავეს[5]. გუზანის დამარცხების შემდეგ მის მიერ საქართველოს საზღვრებს მოწყვეტილი ციხეები კვლავ დაბრუნებულ იქნა[6].

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 260.

[2] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი... გვ. 48 — 49.

[3] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 261.

[4] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 261.

[5] ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი..., გვ. 141.

[6] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 263.

1193 წელს გიორგი რუსი ისევ გამოჩნდა საქართველოს აღმოსავლეთ საზღვრებთან. იგი რანიდან იყო შემოსული, მაგრამ ხორნაბუჯის სანაპირო მხედრობის მიერ ამჯერადაც დამარცხებულ და უკუგდებულ იქნა[1], რის შემდეგაც გიორგი აღარ იხსენიება წყაროებში.

ამ ამბების შემდეგ აშკარა პოლიტიკური ბრძოლები თამარის ხელისუფლების წინააღმდეგ თანდათან მინელდა, რაც იმას მოასწავებდა, რომ პოლიტიკური კრიზისი — მკაცრი, აშკარა ბრძოლა თამარსა და მის მოწინააღმდეგეს შორის პირველის სასარგებლოდ დამთავრდა. დამთავრდა, უეჭველია, სამეფო ხელისუფლების მომხრეთა ძლიერებისა და უკეთ ორგანიზებულობის მეოხებით, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა იმას, რომ ლიკვიდირებული იყო საერთოდ მომავლისათვის შესაძლებელი ოპოზიციის საფუძვლები, ვინაიდან თამარის ხანა ქართული ფეოდალური სამყაროს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ის ეტაპია, როცა მსხვილი ფეოდალური ზედაფენების მიერ საკუთრების ყოველგვარ ობიექტზე (მიწა-წყალი, მწარმოებელი საზოგადოება, სახელმწიფო თანამდებობები...) სამამულე უფლებების მიტაცება-დამკვიდრების პროცესმა თანდათან არსებითი გარდაქმნები გამოიწვიეს ფეოდალური კლასის შინაგან განლაგებაში. ხანგრძლივ ბრძოლაში სამეფო ხელისუფლებასა და მსხვილ საგვარეულო არისტოკრატიას შორის ეს უკანასკნელი ერთგვარად თითქოსდა გამარჯვებული გამოვიდა. თამარმა დათმო. ამიერიდან სამეფო ხელისუფლება იძულებული იყო, მაგალითად, მონაპირეებისთვისვე ებოძებინა ხოლმე „წყალობად თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლებული ქვეყნები". „თანდათან ქვეყნის შიგნით თუ მის სანაპიროებზე წარმოიშვნენ დიდი ერისთავთ-ერისთავნი, მთელი ქვეყნის „უცილობლად მქონებელნი". აგრე გაძლიერებული ერისთავთ-ერისთავი გახელმწიფება-გამთავრებისათვის იწყებდა ბრძოლას და თავისი სამმართველო ქვეყნისათვის საგადასახადო და სასამართლო შეუვალობის მოპოვებას ცდილობდა. ასეთი იყვნენ ყველა ეს ერისთავთ-ერისთავები, რომელთაგან ზოგიერთს კიდევ უფრო მაღალი პატივისათვის მიეღწიათ — „მთავრები" და „მეფეთა ადგილზე მჯდომნი" გამხდარიყვნენ. რა თქმა უნდა, ასეთი დიდმოხელე მეფისადმი მორჩილებას ყმადნაფიცობის პირზე განიზრახავდა და თუ განდგომას არ აწყობდა და მეფის „ერთგული" რჩებოდა, ამის მიზეზი ის იყო, რომ თითოეული ასეთი სამთავრო მრავალნაირად იყო დაკავშირებული საქართველოს სხვა ნაწილებთან და თითოეულ სამთავროში მოიპოვებოდნენ განდგომა-განცალკევების მოწინააღმდეგე ძალები. ასეთი იყვნენ სამთავროს ქალაქები, რომელთა ეკონომიკური ინტერესები დიდი და მოწესრიგებული ქვეყნის ერთიანობას მოითხოვდა; ასეთი იყვნენ სამთავროს მცირე ერისთავები და

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 265.

დიდებული აზნაურები (მათი „მოკიდებულებითურთ“), რომელთაც თვალში არ მოსდიოდათ ერისთავთ-ერისთავის გახელმწიფება, ებრძოდნენ მას და ამ ბრძოლაში დასაყრდენს მეფისადმი ერთგულებაში ეძებდნენ“[1]. ასეთ ვითარებაში სამეფო ხელისუფლება ახერხებდა თავისი პირველობის შენარჩუნებას ფეოდალურ სახელმწიფოში. საამისოდ იგი რთულ პოლიტიკურ სვლებს აკეთებდა, ლავირებდა როგორც ფეოდალურ, ასევე არაფეოდალურ ფენებს შორის (მოქალაქეები, მდაბიო-მოლაშქრეები); თავისი ინტერესების შესაბამისად სამეფო ხელისუფლება ზემოდასახელებულთაგან ხან ერთს მფარველობდა, ხან მეორეს. სამეფო ხელისუფლება მაქსიმალურად იყენებდა თავის სამხედრო-ეკონომიკურ რესურსებს და სამართლებრივ-იდეოლოგიურ პრეროგატივებს, თუმცა არსებითად იგი მაინც ფეოდალთა კლასის სოციალური ინტერესების მსახურად და აღმასრულებლად გამოდიოდა. თავის მხრივ, ფეოდალთა კლასიც სამეფო ხელისუფლების გარშემო ირაზმებოდა, ვინაიდან მას სამეფო ხელისუფლება მუდმივად ესაჭიროებოდა მაორგანიზებელ ძალად საშინაო თუ საგარეო-პოლიტიკური ინტერესებისათვის ბრძოლის დროს. ასეთ ვითარებაში ბრძოლა სამეფო ხელისუფლებასა და ფეოდალებს შორის, რომელიც წითელ ზოლად გასდევს ფეოდალურ ხანას, წმინდა შინაკლასობრივი ბრძოლა იყო და იგივე ფეოდალები მუდამ მეფესთან ერთად იყვნენ, როცა საქმე საგარეო პოლიტიკასა თუ სოციალური სოლიდარობის სფეროში მათი საერთო ინტერესების დაცვას ეხებოდა.

თამარის ეპოქის საშინაო-პოლიტიკური ვითარების თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა ქართველ მთიელთა ცნობილი აჯანყება. საქართველოს სახელმწიფოებრივი ცენტრი გამუდმებით ცდილობდა ხელის დადებას მთაზე და მის ფეოდალურ ექსპლოატაციაში ჩაბმას. მიუხედავად ფეოდალიზაციის საერთო გაძლიერებისა, მთაში დიდხანს ინახავდნენ თავს წინაფეოდალური და ადრეფეოდალური სოციალური ურთიერთობები, რის გამოც ბარის ექსპანსიას და მისი იდეოლოგიური თუ პოლიტიკური ინსტიტუტების გადმონერგვას აქ დიდი წინააღმდეგობების გადალახვა უხდებოდა. „თავისუფლებას“ მიჩვეული მთიელები ენერგიულად იცავდნენ თავს ბარის (ფეოდალების) შემოტევისაგან.

ამ ნიადაგზე წარმოშობილად უნდა ვიგულისხმოთ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელ-ფხოველთა (დღევანდელი ფშავ-ხევსურთა წინაპრების) და დიდოელთა დიდი აჯანყება, რომელიც XIII ს. 10-იანი წლების დამდეგს უნდა მომხდარიყო, მაგრამ სამეფო მხედრობის მიერ, რომელსაც

---

[1] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 219—220.

სათავეში ედგა ამირსპასალარ-ათაბაგი ივანე მხარგრძელი, ეს აჯანყება სამთვიანი ბრძოლის შემდეგ სასტიკად იქნა ჩახშობილი[1].

§ 2 საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი თამარის მეფობაში

XII ს. უკანასკნელ მეოთხედსა და XIII ს. დამდეგს საქართველო მთელ მახლობელ აღმოსავლეთში უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო ცხოვრებაში და საკუთარ პოლიტიკას ატარებდა. დავით აღმაშენებელი, როგორც აღნიშნული იყო, ქართველთა ლაშქრის მიერ დაპყრობილ ქვეყნებს უშუალოდ უერთებდა თავის სამეფოს — ყმადნაფიცობა (ვასალობა) მისთვის მიუღებელი იყო. მისი მემკვიდრენი ამგვარი პოლიტიკური ღონისძიების გამგრძელებლები აღარ აღმოჩნდნენ. მხოლოდ გიორგი III იყო დავითის საგარეო პოლიტიკური კურსის შედარებით აქტიური მიმდევარი, მაგრამ ვერც მან მოახერხა აღებული საგარეო პოლიტიკური კურსის ბოლომდე განხორციელება. იგი იძულებული გახდა დავით აღმაშენებლის დროს შემოერთებული შარვანის მნიშვნელოვანი ნაწილი დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად ეცნო, შარვან შაჰები თავისი უფლებებით აღედგინა და ყმადნაფიცობის საფუძველზე საქართველოს სამეფო ხელისუფლებისათვის დაექვემდებარებინა. ჩანს, რომ ყმადნაფიცობის პრინციპი, რომელსაც სასტიკად ებრძოდა დავით აღმაშენებელი, თანდათანობით ღრმად იკიდებდა ფეხს და თამარის მეფობის წლებში საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითად ნიშან-თვისებად იქცა.

თამარის მეფობის დროს საქართველოს საგარეო პოლიტიკა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა დავით აღმაშენებლისა და გიორგი III-ის საგარეო-პოლიტიკური ხაზისაგან. ამ ორ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ საგარეო-პოლიტიკურ გეზს შესანიშნავად ხედავდა თამარის ისტორიკოსი ბასილ ეზოსმოძღვარი. მისი სიტყვით, წინააღმდეგ დავით აღმაშენებლისა, თამარი „არ იღუწიდა უმეზობლობასა, არცა შერთვიდა სახლსა სახლსა ზედა, აგარაკსა აგარაკსა ზედა უცხოსა, არამედ თჳსი მამული ძუელი კმა იყო, რათა არა უსამართლოდ ჰგონონ და მიმხუეჭელად... შორს განიოტა წურბლისა მსგავსი ვერ მაძღრისობა... ბჭედ ჯდა შორის თავისა თჳსისა და

---

[1] ისტორიანი და აზმანი... გვ. 111; შდრ. ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 430. ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1946, გვ. 212—213; ზ. ანჩაბაძე, შ. ბადრიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 3.

მეზობელთა მეფეთა"[1]. ამავე ისტორიკოსის განმარტებით, თამარმა დავითისაგან განსხვავებით არათუ მოშალა მეზობელი სამფლობელოები და შეუერთა „სახლი სახლსა ზედა", არამედ, პირიქით, „რაოდენი დაგლახაკებულნი მეფენი განამდიდრნა, რაოდენთა მიმძლავრებულთა უკან სცა სამეფო თჳსი, რაოდენნი განდევნილნი სამეფოდვე თჳსად კუალად აგნა და რაოდენნი სიკუდილად დასჯილნი განათავისუფლნა. და ამისი მოწამე არს სახლი შარვანშეთი და დარუბანდელთა, ღუნძთა, ოვსთა, ქაშაგთა, კარნუქალაქელთა და ტრაპიზონელთა"[2].

თამარის ისტორიკოსისათვის ცნობილია დავით აღმაშენებლის საგარეო-პოლიტიკური კურსი. მისი სიტყვით, თუ დავით აღმაშენებლის საგარეო პოლიტიკისათვის დამახასიათებელი იყო „წურბლისებრი ვერ მაძღრისობა", „მიმხუეჭელობა", „სახლის შერთვა სახლსა ზედა, აგარაკის შერთვა აგარაკსა ზედა" და უმეზობლობა (ე. ი. ქვეყანათა და სამფლობელოების უშუალო შემოერთება), თამარის საგარეო პოლიტიკასთან ნიშანდობლივი იყო ის, რომ იგი, გამონაკლისის გარდა, უშუალოდ არ იერთებდა დაპყრობილ ქვეყნებს, არამედ ყმადნაფიცობის პირობით იმორჩილებდა. „ასეთ ყმადნაფიცსა და საკუთრივ საქართველოს დიდგვარიანს შორის მეტად დიდი მსგავსება იყო"[3]. ქვეყნის შიგნით მყოფი დიდგვარიანები ყმადნაფიცობისკენ მიისწრაფოდნენ და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევდნენ. ამიტომ სამეფო ხელისუფლება ცდილობდა ესა თუ ის შემოერთებული ქვეყანა არ მიეცა ისედაც გაძლიერებული დიდგვარიანებისათვის და იგი ისევ ძველი მფლობელის ხელში დაეტოვებინა ყმადნაფიცობის საფუძველზე. ამით სამეფო ხელისუფლება ერთგვარად გზას უხშობდა ქვეყნის შიგნით განდიდებული დიდგვარიანების დაწინაურებას, ხოლო ქვეყნის გარეთ ამჯობინებდა ამა თუ იმ დაპყრობილი პოლიტიკური ერთეულის გამგებელთან დამოკიდებულების გარკვეული ფორმით—ყმადნაფიცობით დატოვებას.

ამრიგად, ქვეყნის შიგნით მიმდინარე კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლები განსაზღვრავდნენ სამეფო ხელისუფლების საგარეო პოლიტიკას. სამეფო ხელისუფლებას ურჩევნია დაპყრობილი ქვეყანა ყმადნაფიცობის თუ მოხარკეობის საფუძველზე დაუტოვოს თავის ძველ გამგებელს და ყოველწლიური ხარკი და სხვა ვალდებულება დააკისროს, ვიდრე განდიდებულ დიდგვარიანს გადასცეს ახლად დაპყრობილი ტერიტო-

---

[1] ბასილ ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქ. ცხ., II, გვ. 148. (შემდეგში: ბასილ ეზოსმოძღვარი).

[2] იქვე, გვ. 147.

[3] ნ. ბერძენიშვილი, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 41.

რია, ამით უფრო განადიდოს იგი და საბოლოო ანგარიშში თავისი ხელისუფლების წინააღმდეგ აიმხედროს.

საქართველოს სამეფო კარის საგარეო პოლიტიკისათვის უცხო არ იყო დაპყრობილი ქვეყნების უშუალოდ შემოერთებაც. სამეფო ხელისუფლებამ დაპყრობის შემდეგ უშუალოდ შემოიერთა ანისი, ამბერდი, ბიჯნი, დვინი, კარი. „როცა თამარს ამა თუ იმ პუნქტის უშუალო შემოერთების შესაძლებლობა ჰქონდა, იგი უკან არასოდეს არ იხევდა უშუალო შემოერთების პოლიტიკისაგან"[1].

დავით აღმაშენებლიდან თამარის დრომდე საქართველოს საგარეო პოლიტიკის ასეთი ცვლილება ძირითადად სამეფო ხელისუფლებასა და დიდგვარიანთა შორის არსებული დაუნდობელი ბრძოლებით იყო გამოწვეული. ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური კურსი უშუალოდ დაკავშირებული იყო კლასობრივ და შინაკლასობრივ ბრძოლებთან. როგორც დავითის, ასევე თამარის საგარეო პოლიტიკა უშუალოდ კავშირში იყო მათ საშინაო პოლიტიკასთან. დავით აღმაშენებელი ქვეყნის შიგნით ანადგურებდა დიდებულთა სახლებს, ასევე ამხობდა იგი მეზობელ ქვეყნებს და უშუალოდ საქართველოს სამეფოს უერთებდა, თუმცა ზოგჯერ ვერც დავით აღმაშენებელი იერთებდა ყველა ტერიტორიას უშუალოდ. იგი ყმადნაფიცობას დასჯერდა დარუბახდთან და ოსებთან ურთიერთობისას. განჯას ხარკიც კი ვერ აკისრებინა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დავით აღმაშენებელმა მოახერხა ძლიერი ფეოდალური მონარქიის ჩამოყალიბება და საქართველოს სამეფოს საბოლოო პოლიტიკური გაერთიანება.

თამარის დროს კი დიდებულები იმარჯვებენ, მეფის საქმიანობას კონტროლს უწევენ და ქვეყნის შიგნით მძლავრ ძალას წარმოადგენენ. ამის შესაბამისად ყალიბდება საგარეო-პოლიტიკური კურსი ყმადნაფიცობისა. აკად. ნ. ბერძენიშვილის დასკვნით, „დავითის საგარეო პოლიტიკა „წურილი ერის", წვრილ აზნაურ-მოლაშქრეთა მეფის პოლიტიკაა, თამარის საგარეო პოლიტიკა გამარჯვებულ დიდებულთა მეფის პოლიტიკაა"[2].

საქართველოს სამეფო კარის აქტიური საგარეო პოლიტიკის შედეგად XII ს. უკანასკნელი მეოთხედისა და XIII ს. დამდეგის საქართველოს სახელმწიფო თამარის ხანის სახელგანთქმული ომებით იყო შემომტკიცებული. საქართველოს სამეფო ხელისუფლება რელიგიური თვალსაზრისითაც უდგებოდა დაპყრობილ ქვეყნებთან ურთიერთობას: ქრისტიანებით დასახლებულ ტერიტორიებს უშუალოდ იერთებდა და იქ მართვა-გამგებ-

---

[1] ჯ. სტეფნაძე, საქართველოს საგარეო პოლიტიკისათვის XII საუკუნეში, საისტორიო კრებული, III, თბ., 1970, გვ. 49.

[2] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 42.

ლობის ისეთსავე წესებს ამყარებდა, როგორც საკუთრივ საქართველოში, ხოლო მაჰმადიანებით დასახლებულ ქვეყნებს „ყმადნაფიცობის“ ან მოხარკეობის საფუძველზე ხდიდა დამოკიდებულს. „მოხარკე და ყმადნაფიცი ქვეყნების რიცხვი საქართველოს პოლიტიკურ ერთეულში უფრო მეტი იყო, ვიდრე „სამეფოდ დაჭერილი“, უშუალოდ „შემოერთებული ტერიტორია“[1].

პოლიტიკურად გაერთიანებული და ეკონომიკურად გაძლიერებული XI—XII სს. ქართული ფეოდალური სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა მიზნად ისახავდა აგრეთვე ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების უზრუნველყოფას. „მისი კავკასიური და ახლოაღმოსავლური პოლიტიკის საერთო მიმართულებას აპირობებდა ეკონომიკური ფაქტორებიც, კერძოდ კი, მთავარ სავაჭრო მაგისტრალებზე გასვლისა და გაბატონების საჭიროება“[2].

თამარის გამეფების პირველსავე წლებში ქვეყნის შიგნით მიმდინარე კლასობრივი და შინაკლასობრივი მწვავე ბრძოლებით ისარგებლეს მაჰმადიანურმა პოლიტიკურმა ერთეულებმა და დაიწყეს განუწყვეტელი თავდასხმები მოსაზღვრე რაიონებში. „მოვიდეს ლაშქარნი არანისა და გელაქუნისა თურქთანი ქუეყანასა პალაკაციოს და ძაღლის ხევად წოდებულსა“[3]. ქართველებმა შემოსეული მტერი გამრეკელ კახას ძის მეთაურობით განდევნეს. იმავე ხანებში სამხრეთ საქართველოს — შავშეთსა და კლარჯეთს შეესივნენ „კარნუქალაქელნი, შამელნი და თურქნი გარმიანისანი“. მტრის შემოსეული ლაშქარი დაამარცხა და განდევნა სამხრეთ საქართველოს ჯარმა გუზან აბულასანის ძე ტაოელისა და ბოცო ჯაყელის მეთაურობით.

მტრის შემოსევათა აღკვეთის მიზნით საქართველოს ჯარი თვითონაც ლაშქრობდა მეზობელ მხარეებში. ასეთი იყო გიორგი რუსის ლაშქრობა კარისა და კარნიფორის ქვეყანაში, მხარგრძელების ლაშქრობა დვინს, ლაშქრობა გელაქუნს და სხვ. 1185 — 1186 წლებში[4].

თამარის აქტიური საგარეო პოლიტიკის ნათელი დადასტურებაა ირანელი ავტორის მ. იუნესის მიერ გამოქვეყნებული სპარსული დოკუმენტის ფრაგმენტი, რომელიც თარიღდება 1185 წ. 15 აგვისტოთი ან 1190 წ. 21 ივნისით. დოკუმენტის მიხედვით, თამარი „ფიცს დებს“ და აიუბიანთა დინასტიის მეთაურის სალაჰ ად-დინის (1171 — 1193) მეშვეობით უგზავნის რომელიღაც სახელმწიფოს მეთაურს. იგი აღნიშნავს, რომ ყოველთვის

---

[1] მ. ბერძნიშვილი, საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები XIII საუკუნის დამდეგს, კრ. „საქართველო რუსთაველის ხანაში“, გვ. 52.

[2] ვ. გაბაშვილი, საქართველოს სავაჭრო ურთიერთობანი XII საუკუნეში, თსუ შრომები, ტ. 121, თბ., 1967, გვ. 203.

[3] ისტორიანი და აზმანი..., ქ. ცხ., II, გვ, 38.

[4] იქვე, გვ. 38 — 40.

იქნება კეთილმეგობრულად განწყობილი ადრესატის მიმართ, ამასთანავე იქნება მოყვარე მისი მეგობრებისადმი და მტერი მისი მტრების მიმართ. თამარი იძლევა პირობას, რომ არასოდეს არ დაესხმის თავს მის ქვეყანას. კერძოდ, დოკუმენტში ნათქვამია: „სახელითა ერთადერთი ღმრთისა, მამისა, ძისა და წმინდა სულისა, ეს პირობაა, რომელსაც ვიძლევით და ხელშეკრულებაა (კავშირია), რომელსაც ვდებთ. მე, რომელიც ვარ თამარ გიორგის ასული, ვამბობ: (ვფიცავ) უფლის წმინდა სულსა და ბუნებას... რომ დღეიდან და ამ საათიდან... სანამ ვიქნები ცოცხალი ამა და ამ პიროვნების მავანის ძის მიმართ მექნება კეთილი ზრახვები და შეხედულებანი, მის მოყვრისათვის ვიქნები მოყვარე და მის მტრისადმი — მტერი და არასდროს ხელვყოფ მის მავან ქალაქს, ვილაიეთსა და ციხეებს“[1].

მეტად საყურადღებო ცნობაა. მართალია, კონტექსტიდან არ ჩანს, თუ ვის მიმართავს თამარი. შესაძლებელია თამარის „ფიცის წიგნის“ ადრესატი მცირე აზიის სელჩუკი სულთანი ყილიჩ არსლან II (1155 — 1192) იყოს, რომელთანაც არც თამარს და არც გიორგი III-ს რაიმე მწვავე კონფლიქტი არ ჰქონია. ამასთანავე, აიუბიანთა დინასტიის მეთაურს ყოველთვის ახლო ურთიერთობა ჰქონდა მცირე აზიის ამ სელჩუკ სულთანთან[2].

ქართველთა ლაშქარმა 1192—1193 წწ. თამარის მემკვიდრის — ლაშა გიორგის დაბადების აღსანიშნავად ილაშქრა ბარდავს. გამარჯვებული ჯარის დიდი ნადავლით დაბრუნების შემდეგ მოეწყო ლაშქრობა არზრუმს. ქართველთა ლაშქარმა დავით სოსლანის მეთაურობით სძლია ძლიერ მოწინააღმდეგეს. ამის შემდეგ გელაქუნისკენაც გაილაშქრეს, გაიარეს ხაჩენი და ბაილაყანამდის მიაღწიეს, შემდეგ მოარბიეს არეზის პირის თურქ-სელჩუკები, განძას მიადგნენ და აქედან შამქორამდე მთელი რიგი ტერიტორიები დალაშქრეს.

1193—1194 წლებისათვის ზაქარია ამირსპასალარისა და მისი ძმის ივანე მსახურთუხუცესის მეთაურობით ქართველთა ლაშქარი გაემართა „მორბევად რახსის პირისა“. ქართველთა ლაშქარს გზად დვინელთა, ბიჯნელთა და ამბერდელთა მეკობრეები შეხვდნენ. ძლიერ ბრძოლაში ქართველებმა გაიმარჯვეს და შინ დიდი ნაალაფარით დაბრუნდნენ. ასევე წარმატებით დასრულდა გელაქუნის, სპარსი-ბაზრისა (ნახიჩევანთანაა — ნ. შ.) და გორალაუქის მოსარბევად მოწყობილი ლაშქრობა. გამარჯვებულმა ქართველმა მხედრებმა „სპარსი-ბაზრისა სულტნის მოედანს შინა ხელ-ყვეს სიხარულად და ასპარეზობად, რომელი ესეცა არადეს ვისგან ქმნილ

---

[1] ჯ. გიუნაშვილი, რედ.: Abu Bahr al-Motatbher alqunyavi, Rauzat al-Koltab... Corrige et annote par M. W. Younessi. Tabriz. 1970, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1975, № 2: გვ. 174.

[2] Osman Turan, Selçuklular Zamanında Türkiye, Istanbul, 1971, გვ. 211—213.

იყო"[1]. ქართველთა მიერ თურქული მოდგმის ტომებზე განუწყვეტელი თავდასხმების შედეგად საქართველოს განაპირა ტერიტორიებიდან თურქთა ნაშთები იდევნებოდა. ამიერიდან მტრები ისე ადვილად ვერ ბედავდნენ საქართველოზე თავდასხმას. „და ვერცა თურქნი იორის პირსა და მტკურის პირსა საძოვარსა აწყენდეს"[2].

ქართველთა ლაშქრის სისტემატური წარმატებანი, ერთი მხრივ, განპირობებული იყო საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური სიძლიერით. ამასთანავე მნიშვნელოვანი გარემოება იყო მოწინააღმდეგე საამირო-სასულთნოების დაკნინება-დაქუცმაცებულობაც. ქართველთა ლაშქრის მიერ შევიწროებული მუსლიმანური პოლიტიკური ერთეულები ხელსაყრელ დროს ელოდნენ საქართველოს წინააღმდეგ კოალიციური ლაშქრობის მოსაწყობად.

ამ პერიოდისათვის აზერბაიჯანის ელდეგიზიდების დინასტია მძლავრ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა ერაყის სელჩუკთა სახელმწიფოში. ელდეგიზიდების დინასტიის წარმომადგენლის მუზაფერ ად-დინ ყიზილ-არსლანის დროს (1186—1191) ათაბაგთა სახელმწიფო ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. პირველ ხანებში ყიზილ-არსლანი ერთგულებასა და პატივისცემას იჩენდა ერაყის სელჩუკთა სულთნის რუქნ ად-დინ თოღრულ III-ისადმი (1176—1194). მაგრამ მალე მათ შორის მტრობა ჩამოვარდა და ყიზილ-არსლანმა სულთან რუქნ ად-დინ თოღრულს მთელი ძალაუფლება წაართვა. 1191 წ. ყიზილ-არსლანი მოკლულ იქნა და მისი სამფლობელოები მისმა ძმისწულებმა გაიყვეს. ძმებს შორის ჩამოვარდნილი მტრობის შედეგად ყიზილ-არსლანის ნაშვილებმა აბუ-ბექრმა დაამარცხა თავისი ძმები და მათ ტერიტორიებს დაეპატრონა. აბუ-ბექრის მიერ შევიწროებული ერთ-ერთი ძმა — არანისა და გელაქუნის პატრონი ამირ-მირანი შარვანის შაჰს შეეხიზნა. „შირვან-შაჰმა იგი კარგად მიიღო, პატივისცემითა და მოწყალებით მოეპყრო და თავისი ქალიც მასზე დააქორწინა"[3]. შარვან შაჰი კი საქართველოს მეფის ყმადნაფიცი იყო. ამას პირდაპირ აღნიშნავს არაბი ავტორი ჰუსეინი. მისი სიტყვით, „შირვან-შაჰიც საქართველოს მორჩილებაში იყო შესული"[4] და ამირ-მირანი შარვან

---

[1] ისტორიანი და აზმანი..., ქ. ცხ., II, გვ. 60—61.

[2] ბასილ ეზოსმოძღვარი, ქ. ცხ., II, გვ. 130.

[3] Sadruddin Ebul-Hasan Ali ibn Naşir ibn Ali El Hüseyni, Ahbar üd-Devlet is Selçukiye. Pencap Üniversitesi Farsça Prõfesõrü Muhammed Jkbalin 1933-de Lahorda Neşrettiği Metinden Tercume eden Necatı Lügal. Ankara, 1943, გვ. 130.

[4] იქვე. საწინააღმდეგო მოსაზრება გამოთქვა აზერბაიჯანელმა მეცნიერმა ალი-ზადემ, რომელიც სამართლიანად გააკრიტიკა დოც. ნ. ასათიანმა (იხ. ნ. ასათიანი, საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში, წერილი I, XII საუკუნის პირველი ნახევარი. XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1968, თსუ შრომები, ტ. 125, ისტორიულ მეცნიერებათა სერია, VI, გვ. 7—54).

შაჰთან დამოყვრებით გარკვეულ ურთიერთობას ამყარებდა საქართველოსთან.

შარვან შაჰს შეფარებულ და სიძედ მოკიდებულ ამირ-მირანს არც აქ ასვენებდა აბუ-ბექრ ათაბაგი. იგი შარვან შაჰსაც ავიწროებდა. აბუ-ბექრი შარვან შაჰსა და ამირ-მირანს „ბელაყნის კარსა ზედა დაესხა და გააქციენა"[1]. ამ თავდასხმის შემდეგ შარვან შაჰმა და ამირ-მირანმა საქართველოს სამეფო კარს თავი „შეავედრეს" და აბუ-ბექრის წინააღმდეგ გალაშქრება თხოვეს, რადგანაც „ულონო იქმნეს შარვანშა და ამირ-მირან" აბუ-ბექრის შემოტევისაგან თავის დასაცავად.

შარვან შაჰისა და ამირ-მირანის მხარეზე საქართველოს ლაშქრის გამოსვლა აბუ-ბექრ ათაბაგის წინააღმდეგ უდავოდ დიდი მნიშვნელობის მოვლენა უნდა ყოფილიყო. საქართველოს ერთ-ერთი ძირითადი მოწინააღმდეგე — აზერბაიჯანის ელდეგიზიანთა საათაბაგოში ძმათა შორის საშინაო ბრძოლები მიმდინარეობდა და საქართველოს სამეფო კარს ამ ურთიერთობაში გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინა.

ამირ-მირანი საქართველოს ხელისუფლებისაგან ითხოვდა, რომ ელაშქრათ სპარსეთში და თვითონ დაესვათ იქ გამგებლად. იგი საქართველოს სამეფო კართან დანათესავებას ესწრაფოდა. ჰუსეინის ცნობით, ამირ-მირანი საქართველოს ხელისუფალთ თხოვდა დახმარებას და აღუთქვამდა: „მე თუ გავიმარჯვე და განვდევნე იმ ქვეყნებიდან, სადაც ის (აბუ-ბექრი — ნ. ზ.) იმყოფება, მაშინ ჩემს მიერ აღებული ქვეყნები თქვენია. თქვენ რომელი გსურთ, ის აიღეთ"[2].

საქართველოს სამეფო ხელისუფლებას ხელსაყრელი შემთხვევა ეძლეოდა აქტიურად ჩარეულიყო სამხრეთ აზერბაიჯანის საქმეებში და იქ თავისი ძალაუფლება გაევრცელებინა. ქართველებმა ამირ-მირანი სიძედ დაიწუნეს, ამასთანავე უარი თქვეს მთელი სპარსეთის დაპყრობაზე და იქ ამირ-მირანის გასულთნებაზე. ჩანს, ამ ღონისძიების გატარება ქართველი პოლიტიკოსებისათვის საკმაოდ ძნელი და, რაც მთავარია, ამჯერად მათთვის ხელსაყრელი არ უნდა ყოფილიყო. სამაგიეროდ, ამირ-მირანს აღუთქვეს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების საქმეში დახმარების აღმოჩენა. ასეთი საჩსახურის შედეგად ამირ-მირანიც საქართველოს ყმადნაფიცი ხდებოდა.

აბუ-ბექრ ათაბაგს მხედველობიდან არ გამორჩენია ქართველ-შარვანელთა მოლაპარაკება მის წინააღმდეგ. ათაბაგი განსაკუთრებით მოემზადა ომისათვის. იგი, უპირველეს ყოვლისა, საქართველოში თავშეფარებულ აღსართან შარვან შაჰისა და მისი სიძის ამირ-მირანის დასასჯელად

---

[1] ისტორიანი და აზმანი..., ქ. ცხ., II, გვ. 63.

[2] Sadruddin Ebul-Hasan Ali ibn Naşir ibn Ali El Hüseyni, დასახ. ნაშრ., გვ. 130

მოდიოდა. ამასთანავე, იგი ქართველ მონაპირეთა განუწყვეტელი თავდასხმებითაც იყო შეწუხებული და გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოს წინააღმდეგ გაერთიანებული ლაშქრობის მოწყობა. ამ მიზნით მან დახმარებისათვის ბაღდადის ხალიფას მიმართა. ხალიფამ მას მხარი დაუჭირა და უხვად გაიღო თანხები ამ ღონისძიებისათვის და ამასთანავე მოუწოდა მთელ მუსლიმანურ სამყაროს. ამ ღონისძიებათა შედეგად აბუ-ბექრ ათაბაგმა თურქთა ურიცხვი ლაშქარი შემოიყარა და საქართველოს წინააღმდეგ გამოემართა.

ქართველთა მხედრობა სასწრაფოდ შეიყარა და აღსართან შარვან შაჰისა და ამირ-მირანის სამხედრო ძალებთან ერთად აბუ-ბექრ ათაბაგის წინააღმდეგ გაემართა. ჰუსეინის ცნობით, ქართველებს „შეუერთდნენ აგრეთვე ერანის ჯარებიდან ისინიც, რომელთაც იმედი ჰქონდათ, რომ მელიქი (საქართველოს მეფე — ნ. შ.) თავისთვის ხელსაყრელ პირობებში მათ თავისთან რაიმე ადგილს მისცემდა. თურქმენებიდანაც ერთი ჯამაათი შეგროვდა. ესენი ყველანი ერთად გაემართნენ აბუ-ბექრ ბინ ათაბაგ მუჰამედ ფეჰლივანის წინააღმდეგ ისეთი ჯარით, რომელსაც ცა და დედამიწა ვერ იტევდა“[1].

როდესაც ქართველთა გაერთიანებული ლაშქარი ქალაქს მიუახლოვდა, აბუ-ბექრ ათაბაგმა „პოზიცია დაიკავა და ომისათვის მოემზადა“[2]. ციხე-ქალაქ შამქორთან ორი უზარმაზარი ლაშქარი ერთმანეთს შეება.

ჰუსეინის გადმოცემით, ქართველებმა „აბუ-ბექრს ისე შეუტიეს, რომ იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი ადგილი. მასთან მყოფ მეომართაგან ზოგი გაიქცა, ზოგი კიდევ მკვდარი დაეცა მიწაზე. აბუ-ბექრს უნდოდა თავი დაენებებინა ბრძოლისათვის, მაგრამ ქართველთა და მუსლიმანთა ლაშქარმა მის ჯარებს ყოველი მხრიდან ალყა შემოარტყა. ამის გამო მან ვერ შეძლო უკან დაბრუნება“[3]. აბუ-ბექრი კინაღამ ტყვედ ჩაუვარდა ქართველებს. დამარცხებული აბუ-ბექრი ბაილაყანს წავიდა, იქიდან კი ნახიჩევანს გადავიდა. შამქორის ბრძოლის თარიღად მიღებულია 1195 წ.[4].

გამარჯვებულ ქართველთა ლაშქარს მრავალ ტყვესა და ალაფთან ერთად ხელთ ჩაუვარდა ხალიფასაგან წარგზავნილი დროშაც. თამარმა

---

[1] Sadruddin Ebul-Hasan Ali ibn Naşir ibn Ali El Hüseyni, დასახ. ნაშრ., გვ. 130.

[2] ი ბ ი ვ ე, გვ. 131.

[3] ი ბ ი ვ ე.

[4] ერთი სომხური უსახელო ქრონიკის მონაცემებზე დაყრდნობით ალ. აბდალაძე ვარაუდობს, რომ შამქორის ომი უნდა მომხდარიყო 1194 წ. (იხ. ალ. ა ბ დ ა ლ ა ძ ე, შამქორის ბრძოლის თარიღისათვის, „მაცნე“, 1973, № 1).

„დროშა იგი ხალიფასი, რომელი მოიღო შალვა ახალციხელმან, წარგზავნა ესე მონასტერსა დიდსა წინაშე ხახულისა ღმრთისმშობლისასა“[1].

შამქორის მცხოვრებლებმა საქართველოს მეფეს „მოართუნეს კლიტენი“ და ამით მას მორჩილება გამოუცხადეს. მეფემ ქალაქთან ერთად მისი გარეუბნებიც დაიჭირა, მაგრამ ქალაქი თავისთვის არ დაუტოვებია — გარკვეული პოლიტიკური დამოკიდებულების საფუძველზე იგი ამირ-მირანს გადასცა, თვითონ კი თავისი ლაშქრით განძას გაემართა.

განძა ამირ-მირანის ყოფილი ტერიტორია იყო და საქართველოს სამეფო კარს მისი უკან დაბრუნება და თავისი ხელდებულისათვის — ამირ-მირანისათვის გადაცემა უნდოდა. ქართველთა მხედრობამ შამქორის ომის დამთავრებისთანავე ეს ამოცანა ბრწყინვალედ შეასრულა — განძა მოხარკეობის საფუძველზე ამირ-მირანს გადასცა. ამიერიდან განძის განმგებელი ამირ-მირანი საქართველოს მოხარკედ იქცა.

შამქორში გამარჯვებამ და განძის აღებამ საქართველოს დიდი ავტორიტეტი მოუპოვა. შამქორთან გამარჯვებით აშკარა გახდა ქართველთა სამხედრო ძლიერების უპირატესობა მთელს მახლობელ აღმოსავლეთში. შამქორის ბრძოლის უპირველესი შედეგი იყო შამქორისა და განძის მოხარკედ გადაქცევა, „თავთავის ადგილას“ შარვან შაჰ აღსართანისა და მისი სიძე ამირ-მირანის დასმა[2]. შამქორის ომის შედეგებმა საქართველოს „ე გ ო დ ე ნ მ კ ვ ი დ რ ი ს ა მ ხ ე დ რ ო ძ ლ ი ე რ ე ბ ა გ ა მ ო ა ა შ კ ა რ ა ვ ა, რ ო მ ე ლ ს ა ც მ ა ჰ მ ა დ ი ა ნ თ ა შ ე ე რ თ ე ბ უ ლ ი ლ ა შ ქ რ ი ს ა თ ვ ი ს ჯ ე რ ო ვ ა ნ ი პ ა ს უ ხ ი ს გ ა ც ე მ ა შ ე ე ძ ლ ო“[3].

ქართველთა მიერ შამქორთან გამარჯვებისა და განძის მოხარკედ გადაქცევის შემდეგ აბუ-ბექრ ათაბაგი არ ისვენებდა. იგი ყოველნაირად ცდილობდა თავისი უფლებების აღდგენას განძაში. მან თავისი მეტოქე ძმა ამირ-მირანი, რომელმაც მხოლოდ 22 დღე მოახერხა განძაში გამგებლობა, მოაკვლევინა და ქალაქს დაეპატრონა. განძის დაკარგვა საქართველოს სამეფო კარის მარცხი იყო. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭირო იყო ინიციატივის კვლავ ხელში აღება. საქართველოს ხელისუფლებამ ისევ დაიწყო სისტემატური ლაშქრობები აბუ-ბექრ ათაბაგის წინააღმდეგ. ვიდრე დავით სოსლანი მოემზადებოდა სალაშქროდ, ივანე მხარგრძელი მცირე ლაშქრით გელაქუნისაკენ გაემართა. მას გზაზე შეხვდა განძიდან დვირისკენ მიმავალი მტრის დიდი ჯარი. ივანე მხარგრძელი შეებრძოლა მათ და დაჰფანტა ისინი. მან ამ ლაშქრობისას (1196 წ.) გელაქუნ-ამბერდი შემოიერთა.

---

[1] ისტორიანი და აზმანი..., ქ. ცხ., II, გვ. 74.

[2] ი ქ ე ე, გვ. 73.

[3] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 271.

ივანე მხარგრძელის დაბრუნების შემდეგ ქართველთა მეფემ ჯარი შეჰყარა და აბუ-ბექრ ათაბაგის სამაგალითოდ დასასჯელად გაემართა, დვირამდე ჩავიდა, სადაც მას შეუერთდა შარვან შაჰი თავისი ლაშქრით. აქედან თამარმა ლაშქარი განძისაკენ გაგზავნა.

ქართველთა ლაშქარი განძის კარებთან შეებრძოლა აბუ-ბექრის შვილს. ამ უკანასკნელმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია და ქართველებს ქალაქის აღების საშუალება არ მისცა. ჰუსეინი მას აბუ-ბექრის შვილის გამარჯვებად თვლის[1]. განძიდან ქართველები ნახიჩევნისკენ გაემართნენ, სადაც აბუ-ბექრი იმყოფებოდა. აბუ-ბექრი იძულებული გახდა თავრიზში გაქცეულიყო. ქართველები მას იქაც დაესხნენ თავს. ქართველთა ლაშქარი აბუ-ბექრს ფეხდაფეხ მისდევდა. ამ ლაშქრობის დროს ქართველებმა მთელი რიგი ციხე-ქალაქები გაანადგურეს და დიდძალი სიმდიდრე იგდეს ხელთ. მათ „ერთიმეორეზე მიყოლებით დაიპყრეს ციხეები და ქალაქები გაძარცვეს. გარდა იმისა, რომ ბევრი ციხე დაიპყრეს, ნახიჩევანსა და ბაილაყანს ხარაჯა დაადეს"[2].

გამუდმებული ლაშქრობების შედეგად არაერთი ციხე-ქალაქი შემოვიდა საქართველოს მფლობელობის ქვეშ. 1199 წ. ქართველებმა ანისი შემოიერთეს, 1201 წ. — ბიჯნისი, ხოლო 1203 წ. — დვინი[3]. მთელი XII ს. მანძილზე საქართველოს სამეფო ხელისუფლება დაჟინებით ცდილობდა მაჰმადიანთა მფლობელობისაგან ანისის, დვინისა და სხვა ქალაქების განთავისუფლებას. მათთვის ნათელი იყო ის სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობა, რომელიც ამ ქალაქებს ენიჭებოდა მთელი მახლობელი აღმოსავლეთის ეკონომიკაში. არანაკლები პოლიტიკურ-ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა შარვანის ვაჭრობით სახელგანთქმულ ქალაქებს — შემახას, შაბურანს, დარუბანდს, რომელთა დაუფლებით საქართველოს სამეფო ხელისუფლება დღენიადაგ დაინტერესებული იყო. საქართველოს სამეფო ხელისუფლების ეს პოლიტიკურ-ეკონომიკური მისწრაფებანი განხორციელდა XII — XIII სს. მიჯნაზე. პოლიტიკურად გაერთიანებულმა და ეკონომიკურად გაძლიერებულმა საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ თავის კონტროლს დაუქვემდებარა აღმოსავლეთ და დასავლეთ ამიერკავკასიის სავაჭრო გზები, კერძოდ, დვინ-არზრუმისა და დარუბანდ-შამახიის სავაჭრო გზები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქვეყნის საერთო ეკონომიკური განვითარების საქმეში.

ჰუსეინი ნათლად გვიხატავს ქართველთა მხედრობის ძლევამოსილ ლაშქრობებს და მათ მიერ ერანის ქალაქების დაპყრობას. ქართველთა

---

[1] Sadruddin Ebul-Hasan Ali ibn Naşir ibn Ali El Hüseyni, დასახ. ნაშრ., გვ. 132 — 133.

[2] ◦ქ ვ ე, გვ. 133.

[3] ◦ქ ვ ე.

სიძლიერე და უპირატესობა ცხადი იყო აბუ-ბექრ ათაბაგისათვის და იგი იმდენად იყო იმედდაკარგული, რომ ბრძანება გასცა, რაც უნდა ჩაედინათ ქართველებს მათ ტერიტორიაზე, მისთვის არ მოეხსენებინათ[1].

საქართველოს სამხედრო და პოლიტიკური უპირატესობანი აზერბაიჯანის მხარეში აშკარა იყო, მაგრამ ქართველ პოლიტიკოსთა ყურადღება უფრო ფართო ტერიტორიებისაკენ იყო მიმართული. საქართველოს სამეფო კარი ცდილობდა სამხრეთ სომხეთის ტერიტორიების შემოერთებას და ტრაპიზონის თავის გავლენის სფეროში მოქცევას.

სამხრეთ-დასავლეთით საქართველოს ბიზანტიის ნაცვლად უკვე კარგა ხნის გამეზობლებული ჰყავდა თურქ-სელჩუკები, რომლებიც არბევდნენ და იტაცებდნენ საქართველოს მიწა-წყალს. სამეფო კარი მედგარ წინააღმდეგობას უწევდა სელჩუკთა მომთაბარე ტომების შემოსევა-ჩამოსახლებას და სისტემატურად ერეკებოდა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ჩამოსახლებულ მომთაბარეებს. მაგრამ სამხრეთ-დასავლეთით საქართველოს სამეფო კარის პოლიტიკური გეგმების განხორციელებას წინ ეღობებოდა გაძლიერებული მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფო.

მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფო განსაკუთრებით გაძლიერდა სულთან რუქნ ად-დინ სულეიმან შაჰის (1196 — 1204) დროს. წყაროების ცნობით, მის დროს მცირე აზიის სელჩუკების ძლიერებას საზღვარი არ ჰქონდა. მაჰმუდ ქერიმუდდინ აყსარაილის ცნობას იმის შესახებ, რომ „რუქნ ად-დინის სულთნობით ქვეყნად დიდებული ხანა დაიწყო"[2], ადასტურებს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორიც. მისი სიტყვით, რუქნ ად-დინი „უმაღლეს და უდიდეს იყო სხუათა ყოველთა სულთანთა, რომელი მთავრობს დიდსა საბერძნეთსა, ასიასა და კაბადუკიასა, ვიდრე პონტოდ ზღუადმდე"[3]. ასევე საგანგებოდ უსვამს ხაზს იბნ-ბიბი რუქნ ად-დინის ძლიერებას და აღნიშნავს, რომ ყილიჩ არსლანის მემკვიდრეთაგან ისეთი სიძლიერისათვის არავის მიუღწევია, როგორსაც რუქნ ად-დინმა მიაღწია[4].

რუქნ ად-დინ სულეიმან შაჰმა თავისი მოღვაწეობის მცირე პერიოდში უპირველეს ამოცანად დაისახა მამის — ყილიჩ არსლან II-ის (1156 — 1192) მიერ ცალკეულ სამთავროებად დანაწილებული პროვინციების გა-

---

[1] Sadruddin Ebul-Hasan Ali ibn Naşir ibn Ali El Hüseyni, დასახ. ნაშრ., გვ. 133.

[2] Selçuki Devletleri Tarihi, Aksaraylı Kerimeddin Mahmud'un Müsamerat-al ahyar Adlı Farsça Tarihinin Tercumesi, Türkçeye çeviren M. Nuri Gencosman, Ön Söz ve Notlar Yazan F. N. Uzluk, Ankara, 1943, გვ. 128.

[3] ისტორიანი და აზმანი..., ქ. ცხ., II, გვ. 92.

[4] Anadolu Selçuki Devleti Tarihi, Ibn Bibi'nin Farsça Muhtasar Selçuknamesinden Türkçeye Çeviren M. Nuri Gencosman, Notlar ilave eden F. N. Uzluk, Ankara, 1941, გვ. 34 — 35.

ერთიანება. მან თითქმის აღადგინა მთელი იმპერია. ქვეყნის შიგნით ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ შეუდგა მზადებას მეზობელ ქვეყნებზე სალაშქროდ. მისი უმთავრესი ამოცანა სწორედ საქართველოს წინააღმდეგ გალაშქრება იყო. მისთვის ნათელი იყო საქართველოს სამეფო ხელისუფლების თანამიმდევრული შეტევითი ხასიათის საგარეო პოლიტიკა. იგი დიდხანს ადევნებდა თვალყურს საქართველოს საგარეო პოლიტიკის წარმატებებს და მოჩვენებით „იჩემებდა ზაკვით სიყვარულსა და გზავნიდა მოციქულთა მშვიდობისათვის მრავალჟამ და ძღუენთა შუენიერთა მრავალთა"[1].

რუქნ ად-დინის მიერ ძღვენით „მრავალჟამ", გამოგზავნილ ელჩებს თამარი ასეთივე ძღვენითა და პატივით ისტუმრებდა, მაგრამ სელჩუკების გულწრფელი ურთიერთობისა არ სჯეროდა. რუქნ ად-დინისათვის სავსებით მიუღებელი იყო საქართველოს სამეფო კარის საგარეო-პოლიტიკური კურსის წარმატებანი. იბნ-ბიბი შენიშნავს, რომ რუქნ ად-დინ სულეიმან შაჰმა საქართველოს დაპყრობა განიზრახა. ამ ლაშქრობის მიზეზი ის იყო, რომ ქართველთა დედოფალი (თამარი) აფხაზეთსა და თბილისს მთლიანად განაგებდა და დაუმორჩილებელი ფადიშაჰი იყო[2]. რუქნ ად-დინი თამარ მეფეს გაძლიერებასა და სხვა ხალხებზე ხარკის დადებას დანაშაულად უთვლიდა. რუქნ ად-დინის ელჩი თამარს მოახსენებდა, რომ „გიბრძანებია ნათესავსა ზედა თავისუფალსა დადებად ხარკი"[3].

რუქნ ად-დინი სასულთნო ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ საგანგებოდ მოემზადა საქართველოს წინააღმდეგ სალაშქროდ. მან „მოუწოდა ყოველსა სიმრავლესა სპასა მისსა და შეკრბა კაცი ორმოცი ბევრი, რომელ არს ოთხასი ათასი"[4].

იბნ-ბიბის ცნობით, საქართველოში ლაშქრობის წინ რუქნ ად-დინმა პროვინციებში მყოფ თავის ძმებს ლაშქრობისათვის მზადყოფნის თაობაზე აუწყა. უპირველეს ყოვლისა, მისი ძმა მელიქი მოღის ედ-დინ თოღრულ შაჰი მოვიდა თავისი ლაშქრით, ასევე სულთნის სიძე — ერზინჯანის მელიქი ფაჰრ ედ-დინი მას შეუერთდა. არზრუმის მელიქმა ალა ედ-დინ სალთუკ-ოღლუმ ლაშქრის შეკრებისა და სულთნის ლაშქარში მოსვლაზე უარი განაცხადა[5]. არზრუმის გამგებლის ასეთი ურჩობა ალბათ გამოწვე-

---

[1] ისტორიანი და აზმანი..., ქ. ცხ., II, გვ. 92.

[2] Anadolu Selçuki Devleti Tarihi, გვ. 36.

[3] ბ ა ს ი ლ ე ზ ო ს მ ო ძ ღ ვ ა რ ი, ქ. ცხ., II, გვ. 133.

[4] ისტორიანი და აზმანი..., ქ. ცხ., II, გვ. 93. ტენდენციური ჩანს მაჰმუდ ქერიმუდდინ აყსარაილის ცნობა იმის შესახებ, თითქოს რუქნ ად-დინმა საქართველოში ილაშქრა 20000-იანი ჯარით (იხ. აყსარაილის დასახ. ნაშრ., გვ. 128). ამით მას სურს ქართველებთან რუქნ ად-დინის ლაშქრის დამარცხება მისი ლაშქრის სიმცირით ახსნას.

[5] Anadolu Selçuki Devleti Tarihi, გვ. 37 — 38.

ული იყო იმით, რომ იგი საქართველოს სამეფო კართან ყმადნაფიცობის პირობით იყო დაკავშირებული და არ სურდა ძლიერ სახელმწიფოსთან პირობის დარღვევა.

რუქნ ად-დინმა 1201 წ. სასწრაფოდ გაილაშქრა არზრუმს, გადააყენა მისი გამგებელი და იქ თავისი ძმა — მოღის ედ-დინ თოღრულ შაჰი დანიშნა[1]. ამით ბოლო მოუღო სალთუკიდების დინასტიას და ქვეყანაც სელჩუკთა სახელმწიფოს საზღვრებში მოაქცია. მალათიის გამგებლის — თავისი ძმის მოღის ედ-დინ თოღრულ შაჰის არზრუმში დანიშვნით სათავე დაუდო სელჩუკთა ახალ დინასტიას. მოღის ედ-დინ თოღრულ შაჰი დიდხანს განმგებლობდა სელჩუკთა ქვეყანაში და მას ქართველთაგან იცავდა[2].

ამ ლაშქრობისათვის რუქნ ად-დინმა არაფერი დაიშურა. მან „განახუნა პაპა-მამურნი საუნჯენი და გამოყარნა ოქრო აურაცხელნი, და წარგზავნიდა ოქროთა შეკრებისათჳს მხედრობისა“[3]. თურქი ისტორიკოსი ოსმან თურანი დოკუმენტურ და ნარატიულ წყაროებზე დაყრდნობით მიუთითებს, რომ რუქნ ად-დინი საქართველოში ლაშქრობის წინ ჯერ ერზინჯანში მოემზადა, იქიდან არზრუმს გადავიდა და 1202 წ. მზად იყო საქართველოს საზღვრების გადასალახავად[4]. რუქნ ად-დინის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობისათვის დიდი სამზადისი მიზნად ისახავდა საქართველოსა და ამიერკავკასიის დაპყრობას და მთელს წინა აზიაში გაბატონებას.

არზრუმიდან გამოსული სელჩუკთა უზარმაზარი ლაშქარი ბასიანის ველზე დაბანაკდა[5]. აქედან წარუვლინა რუქნ ად-დინმა საქართველოს სამეფო კარს ელჩი მუქარით სავსე ბრიყვული წერილით. რუქნ ად-დინი ამ წერილში თამარ მეფეს თავის თავს მედიდურად უძლიერეს და უძლეველ განმგებლად წარმოუდგენდა, იგი შეურაცხყოფას აყენებდა და აბუჩად იგდებდა საქართველოს მეფესა და მთელ საქართველოს. თამარ მეფეს იგი რეგვენ დედაკაცს უწოდებდა. ქართველთა დედოფალს ბრალს დებდა იმაში, რომ მას უბრძანებია მუსლიმანთა ხოცვა და ხარკის დადება. იგი მთელ საქართველოს ამოწყვეტით ემუქრებოდა და სიცოცხლის შენარჩუნებას პირდებოდა იმათ, ვინც თაყვანს სცემდა მის სარწმუნოებას. იგი ქართველებისაგან ითხოვდა დამორჩილებას, სჯულის დათმობას. „და

---

[1] Anadolu Selçuki Devleti Tarihi, გვ. 38. შდრ. ბასილ ეზოსმოძღვარი, ქ. ცხ., II, გვ. 133.

[2] Osman Turan, Selçuklular Zamanında Türkiye; Istanbul, 1971, გვ. 253.

[3] ბასილ ეზოსმოძღვარი, ქ. ცხ., II, გვ. 132.

[4] Osman Turan, დასახ. ნაშრ., 254.

[5] იქვე, გვ. 258.

აწ მე მოვალ... განგწუართო შენ და ერი ეგე შენი არაოდეს კადრებად აღებად ჯრმლისა"[1].

ამ შეურაცხმყოფელი წერილის გარდა მის მომტანს დავალებული ჰქონია ზეპირადაც მოეხსენებინა თამარისათვის სულთნის დანაბარები. რუქნ ად-დინის მოციქული როდესაც წარსდგა სამეფო ხელისუფლების წინაშე, მან ამპარტავნულად დაიწყო უკადრისი სიტყვის თქმა. მისი სიტყვით, თუ თამარი სარწმუნოებას გამოიცვლიდა, მაშინ სულთანი მას შეიწყნარებდა და ცოლად შეირთავდა, თუ არა და სულთნის ხასა გახდებოდა. „უკეთუ მეფემან თქვენმან დაუტეოს სჯული, იპყრას სულტანმან ცოლად, და უკეთუ არა დაუტეოს სჯული, იყოს ხარჭად სულტნისა"[2].

რუქნ ად-დინის დესპანის ასეთი შეურაცხმყოფელი სიტყვები ვერ მოითმინა ამირსპასალარმა ზაქარია მხარგრძელმა და სახეში ისე მაგრად გააწნა სილა, რომ სულთნის ელჩი გონდაკარგული იქვე დაეცა. როდესაც მოასულიერეს და ფეხზე წამოაყენეს, ამირსპასალარმა უთხრა — მოციქული რომ არ ყოფილიყავი, ასეთი უკადრისი სიტყვებისათვის შენი სამართალი ჯერ ენის მოკვეთა იყო და მერე თავისაო: „თუ მოციქული არა იყავ, პირველად ენისა აღმოკუეთა იყო შენი სამართალი და მერმეღა თავისა, კადნიერად კადრებისათვის"[3].

საპასუხო წერილში თამარი აუწყებდა რუქნ ად-დინს, რომ „შენ ოქროსა მევირეთა სიმრავლისად მინდობილ ხარ, ხოლო მე არცა სიმდიდრესა და არცა ძალსა სპათა ჩემთასა, არამედ ძალსა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისასა და ჯუარისა წმიდისა, რომელი შენ ჰგმე. აწ წარმომივლენია ყოველი მხედრობა ჩემი წინამოგებებად შენდა"[4].

რუქნ ად-დინისა და მისი ელჩის მოულოდნელი და თავხედური მოთხოვნების საპასუხოდ საქართველოს ჯარი „ნიკოფსიით დარუბანდამდის" სწრაფად შეიყარა და ბასიანისაკენ გაემართა. თვით თამარ მეფემ სამცხემდე მიაცილა ლაშქარი. ქართველთა მხედრობის გეგმა იყო, მტერს თავის ბანაკშივე მოულოდნელად თავს დასხმოდნენ.

ბასიანში უდარდელად დაბანაკებულ („არა უდგა დარაჯანი სულტანსა") სელჩუკთა უზარმაზარ ლაშქარს ქართველთა მხედრობა მოულოდნელად თავს დაესხა. ქართველი მემატიანეების გადმოცემით, საქართველოს ლაშქარი სამ ნაწილად იყო დაყოფილი. ქართველთა ლაშქრის წინამებრძოლებად ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი, ახალციხელი შალვა

---

[1] ბ ა ს ი ლ ე ზ ო ს მ ო ძ ღ ვ ა რ ი, ქ. ცხ., II, გვ. 133. შდრ. ისტორიანი და აზმანი. ქ. ცხ., II, გვ. 93.

[2] ისტორიანი და აზმანი... ქ. ცხ., II, გვ. 94.

[3] ი ქ ვ ე.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 93 — 94.

და ივანე თორელნი იყვნენ. ერთი ფრთა აფხაზებისა და დასავლეთის ლაშქარს ეჭირა, მეორე კი ჰერეთ-კახეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს რაზმებს: „ერთ კერძო აფხაზნი და იმერნი, და ერთ კერძო ამერნი და ჰერ-კახნი". როდესაც ქართველთა ლაშქარი სელჩუკთა ბანაკს მიუახლოვდა, „ცოტად ცხენი ააჩქარნეს და მიმართეს".

სელჩუკთა უდარდელად დაბანაკებულმა ლაშქარმა როგორც კი შეიტყო ქართველთა მოულოდნელი გამოჩენა, მაშინვე „სიმაგრეებს შეაფარა თავი". პირველად თურქნი „განკრთეს და მოიღეს ჯოგი, აღიჭურნეს და აღსხდეს „ჰუნეთა" და საომრად მოემზადნენ. მართალია, ქართველთა ავანგარდის იერიშის გამო მტერი პირველ ხანებში დაბნეულა, მაგრამ სელჩუკ სულთანს მოუხერხებია ჯარის საომრად განლაგება და ომში ჩაბმა. ქართველი მემატიანის გადმოცემით, „ეახლნეს წინამბრძოლნი ორთავე, და იქმნა ომი ფიცხელი და ძლიერი"[1]. ასეთი სასტიკი ბრძოლა დიდხანს გაგრძელებულა. ორივე მხარე დიდად დაზარალებულა, „უმეტეს სულტნისა სპანი მოსრვიდესო", — შენიშნავს ქართველი მემატიანე.

შემდეგ ბრძოლა ისე წარიმართა, რომ ქართველთა ავანგარდის მეთაურებს ცხენები დაუხოცეს და ქვეითად დარჩენილებმა გააგრძელეს ომი. მათთან ერთად რიგითი მებრძოლებიც ჩამოქვეითდნენ და მათ მხარში ამოუდგნენ. ქვეითად დარჩენილი ქართველთა მეწინავე ლაშქარი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. ქართველი მემატიანის ცნობით, ისინი „კნინლა სივლტოლად მიდრიკნეს". ამასვე ადასტურებს იბნ-ბიბიც. მისი სიტყვით, როდესაც სელჩუკთა ლაშქრის გამარჯვება უკვე მოახლოებული იყო და ქართველები ის-ის იყო უნდა გაქცეულიყვნენ, გამარჯვების ხელსაყრელი შემთხვევა სელჩუკებს ხელიდან წაუვიდათ[2].

სწორედ ამ დროს ქართველთა მეწინავე ლაშქარს მიეშველა მარჯვენა და მარცხენა ფრთაზე განლაგებული ჯარი. ქართველთა ლაშქრის გამოჩენამ ბრძოლის ველზე არსებითად გადაწყვიტა ბრძოლის ბედი. ქართველი მემატიანის ცნობით, „პირველსა მოკიდებასა და ხეთქებასა ჯრმალთასა... ანასდათ ეგოდენი სიმრავლე განსქდა, იძლია, დაიპანტა" სელჩუკთა ლაშქარი[3]. იმდენად მოულოდნელი იყო სელჩუკებისათვის ქართველთა ორი მხრიდან შემოტევა, რომ მათ ვერ მოახერხეს მთელი თავიანთი ქონების უკან წაღება, მათ გაქცევით ძლივს უშველეს თავს. როდესაც დამარცხებული სელჩუკები გაიქცნენ, ქართველთა ქვეითად მებრძოლი მეწინავენი კვლავ ამხედრდნენ და მტერს გამოუდგნენ. მემატიანის გადმო-

---

[1] ისტორიანი და აზმანი..., ქ. ცხ., II, გვ. 96.

[2] Anadolu Selçuki Devleti Tarihi, Ibn Bibi'nin Fârsça Muhtasar Selçuknamesinden Türkçeye Çeviren M. Nuri Gencosman, Notlar Ilave eden F. N. Uzluk. Ankara, 1941, გვ. 38.

[3] ისტორიანი და აზმანი... ქ. ცხ., II, გვ. 97.

ცემით, ქართველთა წინამებრძოლნი „აღსხდეს ჰუნეთა და, ვიდრე ღამედმდე, დევნა უყვეს და ჯოცდეს, ჩამოჰყრიდეს და იპყრობდეს“[1].

იბნ-ბიბი სულ სხვანაირად ხსნის ბასიანთან სელჩუკთა დამარცხებას. მისი სიტყვით, როდესაც ქართველთა ლაშქარს გაუჭირდა და თითქოს სელჩუკთა გამარჯვება გარდაუვალი იყო, მაშინ სულთნის კარავის მატარებელ ცხენს ფეხი ჭაობში ჩაუვარდა და კარავი დაემხო. ეს როგორც კი დაინახა სელჩუკთა ლაშქარმა, სულთნისათვის უბედურების მომასწავებლად მიიჩნია და გაიქცა[2]. იბნ-ბიბიც ვერ უარყოფს ამ ბრძოლაში სელჩუკთა ლაშქრის გაწყვეტას, მათ განადგურებასა და წარჩინებულების დატყვევებას.

ქართველებს ხელიდან არ გაუშვიათ ინიციატივა, ვიდრე საბოლოოდ არ დაამარცხეს და არ გააქციეს საიერიშოდ საგანგებოდ მომზადებული სელჩუკთა მრავალრიცხოვანი არმია. ქართველებმა სელჩუკთა ბანაკი ხელთ იგდეს. რუქნ ად-დინი მოღის ედ-დინ თოღრულ შაჰთან და სხვა ემირებთან ერთად არზრუმში გაიქცა. ერზინჯანისა და მენგუჯიკის გამგებელი ბაჰრამ შაჰი ტყვედ ჩაუვარდა ქართველებს.

გამარჯვებულმა ქართველთა ლაშქარმა და ქვეყნის წარჩინებულებმა უამრავი სიმდიდრე იგდეს ხელთ. სასულთნო დროშაც ხელთ ჩაუვარდათ ქართველებს. ქართველებმა ხელთ იგდეს აღმოსავლურ სამყაროში ცნობილი სამედიცინო ტრაქტატი — კარაბადინი[3], რომელიც მწიგნობართუხუცესის ბრძანებით მაშინვე ითარგმნა ქართულად.

სასტიკად დამარცხებული, საქართველოდან უკან დაბრუნებული სულთან რუქნ ად-დინ სულეიმან შაჰი მალე გარდაიცვალა. წყაროებში მოიპოვება ცნობა იმის შესახებ, რომ იგი შურის საძიებლად ქართველების წინააღმდეგ ისევ ემზადებოდა სალაშქროდ, მაგრამ მოულოდნელმა სიკვდილმა შეუშალა ხელი (1204 წ.). ბასიანის ბრძოლა უნდა მომხდარიყო 1202 წელს[4].

---

[1] ისტორიანი და აზმანი... ქ. ცხ., II, გვ. 97.

[2] Anadolu Selçuki Devleti Tarihi..., გვ. 38.

[3] წიგნი საკითხოი, ლ. კოტეტიშვილის გამოცემა, თბ., 1936.

[4] ბასიანის ბრძოლის თარიღად აღმოსავლურ წყაროებში (ი ბ ნ-ბ ი ბ ი, კონსტანტინოპოლის დაპყრობამდე შედგენილი ისტორიული ქრონიკები, მუნეჯიმ-ბაში) ერთხმად დასახელებულია ჰიჯრის 598 წ. (ჰიჯრის 598 წელი შეესაბამება 1201 წ. I. X. — 1202 წ. 19. IX.). ბასიანის ბრძოლის თარიღად 1202 წ. მიიჩნევდა თედო ჟორდანია. სომეხი მეცნიერი ა. აბრამიანიც 1202 წ. თვლის ბასიანის ომის თარიღად. აღმოსავლურ და სხვა ჩვენთვის ხელმიუწვდომელ წყაროებზე დაყრდნობით ბასიანის ბრძოლის თარიღად 1202 წ. მიიჩნევს თურქი ისტორიკოსი ოსმან თურანი. მეორე თურქი ისტორიკოსი მ. ფაჰრ ედ-დინ კირზიოღლუ ბასიანის ბრძოლის თარიღად თვლის 1202 წ. 23—31 ივლისს. ალ. გამყრელიძის მტკიცებით, „ბასიანის დიდი ბრძოლა უკვე 1202 წლის გაზაფხულზე თუ არა და უკიდურეს შემთხვევაში 1203 წლის გაზაფხულზე მაინც უნდა

ამ ომში ქართველთა გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტის კიდევ უფრო განმტკიცებისათვის. ამ გამარჯვების შემდეგ საქართველოს აღმოსავლეთით და დასავლეთით აღარ ჰყავდა საშიში მტერი. საქართველოს მხედრობამ უმოკლეს დროში დაამარცხა აღმოსავლეთისა და დასავლეთის თურქთა ორი დიდი კოალიციური არმია და ახლო აღმოსავლეთის ამ ორი უდიდესი ძალის დამარცხების შემდეგ იგი ერთადერთი უძლიერესი სახელმწიფო ხდებოდა მთელს მახლობელ აღმოსავლეთში.

ბასიანში გამარჯვებამ და ბიზანტიის იმპერიის დასუსტებამ საქართველოს სამეფო კარს გაუადვილა თავისი გავლენა განემტკიცებინა შავი ზღვის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე. ამ მხრივ საქართველოს სამეფო კარის საგარეო პოლიტიკის ხანგრძლივი და ფრთხილი მოფიქრების შედეგი იყო 1204 წ. ტრაპიზონის საკეისროს დაარსება. შავი ზღვის სამხრეთ სანაპირო ტერიტორიების მოსახლეობა თავისი წარმოშობით, ეთნიკური შემადგენლობით ბერძნულთან ერთად ქართველური ტომებით — ლაზურ-ჭანური მოსახლეობით იყო წარმოდგენილი. ამას კი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს სამეფო ხელისუფლების ღონისძიების გასატარებლად.

მომხდარიყო". ალ. აბდალაძის მიერ გამოქვეყნებული სომხური ანდერძ-მინაწერის მიხედვით კი 1203 წ. მაინც უნდა ვივარაუდოთ თუ უფრო ადრე არა. 1203 წელს მიიჩნევს მარი ბროსე. ასევე 1203 წ. გადაჭრით მიიჩნევდა აკად. კუნიკი. ბ. სილაგაძის აზრით, ბასიანის ომი უნდა მომხდარიყო 1203 — 4 წლებში. არის სხვა მკვლევართა მოსაზრებანიც, რომელთა მიხედვით ბასიანის ბრძოლა უნდა მომხდარიყო 1204, 1205 ან 1206 წწ. (თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 291; ალ. გამყრელიძე, ბასიანის ომის თარიღი და ტრაპიზონის იმპერიის დაარსების ზოგიერთი საკითხი, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 256; ალ. აბდალაძე, ერთი სომხური ანდერძ-მინაწერი ბასიანის ბრძოლის შესახებ, „მაცნე", 1972, № 1, გვ. 133 — 139; ბ. სილაგაძე, XII — XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ ალ-ასირის ცნობათა შუქზე; „საქართველო რუსთაველის ხანაში", გვ. 119 — 120; А. Г. Абрамян, Разгром Рукн-эд-дина, Известия Арм. ФАН ССС.Ѯ1941. № 5—6 (10 — 11), с. 77 — 83. Куник, Исторические материалы и разыскания, Основание Трапезундской империи в 1204 году, Учен. Записки Императорской Академии наук по первому и третьему Отделениям, том II, выпуск 5, СПб., 1854, с. 727. Anadolu Selçuki Devleti Tarihi..., 1941, გვ. 38: Istanbul Fethinden Once Yazilmels Tarihi Takvimler, Yaylnlayan Prōf. Osman Turan, Ankara. 1954, c. 76; Münecçim Başi, Anadolu Selçuklulari ve Karahanlıları, trc. H. F. Turgal, nşr. N. Atsiz. Istanbul, 1939, გვ. 12; Osman Turan, Selçuklular Zamanında Tūrkiye, გვ. 259; M. F. Kirzioğlu, Kars Tarihi, Istanbul, 1953, cilt I, გვ. 413. M. Brosset, Additions et éc'aircissements à L'histoire de la Géorgie, St.-Petersb. 1851, გვ. 296, შდრ. მისივე, Histoire de la Géorgie, 1854, გვ. 456, 463.

გარდა ამისა, საქართველოს სამეფო ხელისუფლებისათვის მნიშვნელოვანი მომენტი იყო ისიც, რომ XII ს. უკანასკნელ ათეულ წლებში და XIII ს. დასაწყისში ბიზანტიის იმპერიაში დაძაბული კლასობრივი და პოლიტიკური ბრძოლები მიმდინარეობდა და მწიფდებოდა პირობები ტრაპიზონის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოყოფისათვის. საამისო ხელსაყრელი მომენტი 1204 წელს დადგა, როდესაც ჯვაროსანთა მიერ კონსტანტინოპოლის აღებით ბოლო მოეღო ბიზანტიის იმპერიის ერთიანობას.

საქართველოს სამეფო კარმა ისარგებლა ბიზანტიაში შექმნილი მეტად მძიმე მდგომარეობით, ქართველთა ლაშქარი შავი ზღვის სამხრეთ ტერიტორიებს შეუსია და ადვილად დაიპყრო. დაპყრობილ ტერიტორიაზე საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ შექმნა ცალკე სახელმწიფო — ტრაპიზონის სამეფო. მის მეთაურად დასვეს ბერძენი უფლისწული ალექსი კომნენოსი. ის დედის მხრივ თამარის ნათესავი იყო და თავის ძმასთან— დავითთან ერთად ბავშვობიდანვე საქართველოში აღიზარდა ქართული წეს-ჩვეულებით. ალექსი კომნენოსი საქართველოს მეფის ნების აღმსრულებელი იყო. საქართველოს სამეფო კარის უშუალო მონაწილეობითა და ხელშეწყობით დაარსებული ტრაპიზონის იმპერია საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი იყო. ტრაპიზონის იმპერია, ერთი მხრივ, უპირისპირდებოდა კონსტანტინოპოლის ლათინთა იმპერიას, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს უშუალოდ გამეზობლებულ მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს.

ამ გამარჯვებათა შემდეგ დაიწყო ბრძოლა სამხრეთ სომხეთის მიწაწყლისათვის. იბნ ალ-ასირისა და აბულ ფარაჯის ცნობების მიხედვით, 1204—1205 წწ. ქართველთა ლაშქარი აზერბაიჯანიდან ხლათში გადავიდა. ამასთან ისე ღრმად შეიჭრა ქვეყანაში, რომ მანასკერტამდე მივიდა და უკან გამობრუნდა. იმავე წელს ქართველთა ლაშქარი ხელმეორედ მივიდა ხლათის მხარეს, არჭეში და ზოგიერთი სხვა გამაგრებული ციხესიმაგრე დაიკავა. შემდეგ ხლათისა და არზრუმის მახლობლად დაბანაკდა[1]. ქართველთა დაბანაკებულ ლაშქარს ხლათისა და არზრუმის გამგებელთა გაერთიანებული ლაშქარი თავს დაესხა და დამარცხებული ქართველები იძულებული გახდნენ გაქცეულიყვნენ. ამ ბრძოლაში მოკლეს უმცროსი ზაქარია მხარგრძელი[2].

---

[1] Материалы по истории Азербайджана из Тарих-ал-Камиль (полного свода истории) Ибн-ал-Асира, Баку, 1940, с. 128. Gregory Abu'l Farac (Bar Hebraeus), Abu'l Farac Tarihi, cilt II, Türkçeye Çeviren Omer Riza Doğrul, Ankara, 1950, ss. 487.

[2] Материалы по истории Азербайджана..., с. 128; Gregory Abu'l Farac... ss. 487.

მეორე წელს — 1205/6 წ. ქართველები კვლავ გამოჩნდნენ სომხეთში და ხლათის აღება განიზრახეს. აბულ ფარაჯის ცნობით, ქართველებმა ხლათი გაანადგურეს და უკან გამობრუნდნენ[1]. იბნ ალ-ასირის მიხედვით კი, როდესაც ქართველებმა ხლათი გაანადგურეს, მთელი მხარის მუსლიმანები გაერთიანდნენ და ქართველებს იერიში დაასწრეს, დაარბიეს და დაამარცხეს, მუსლიმანებმა ხლათი გაათავისუფლეს[2]. ხლათის დაკარგვით უკმაყოფილო ქართველთა მხედრობამ შელახული პრესტიჟის აღსადგენად კვლავ დალაშქრა ხლათი, ალყა შემოარტყა კარის ციხესიმაგრეს, ხოლო მისი გამგებელი აიბულა ქალაქი ჩაებარებინა და მის სანაცვლოდ მიეღო დიდძალი ფული[3]. კარი საქართველოს შემოუერთდა. ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის თქმით, ქართველებმა „ამისსა შემდგომად (ბასიანის ომის შემდეგ — ნ. შ.) აიღო კარი, და ციხენი კარნიფორისა და ვანანდისნი, და რახსის პირის ციხენი"[4].

კარის ქართველთა ხელში გადასვლას ქვეყნისათვის უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა. კარი იმთავითვე თურქ-სელჩუკთა დასაყრდენი და ერთგვარი პლაცდარმი იყო საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებზე თავდასხმისათვის. ამასთანავე, კარს დიდი სავაჭრო ეკონომიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. იგი ანის-არზრუმის დიდ სავაჭრო მაგისტრალზე მდებარეობდა და ფეოდალური საქართველოს ეკონომიკისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

ქართველთა გამუდმებული ლაშქრობები სამხრეთის მიმართულებით, ძირითადად მიზნად ისახავდა ხარკისა და ალაფის აღებას, ამასთანავე, შემოერთებული ქვეყნების შემომტკიცებას. ამ მიზნით წარმოებული ლაშქრობების წარმატების ერთ-ერთი პირობა მახლობელ აღმოსავლეთში შექმნილი ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარებაც იყო. მეზობელი მაჰმადიანი გამგებლები დაკნინებულ-დასუსტებულნი იყვნენ და ქართველებისათვის ჯეროვანი პასუხის გაცემის შესაძლებლობა არ გააჩნდათ.

ქართველთა ხელში კარის გადასვლით თურქ-სელჩუკებს დასაყრდენი ხელიდან გამოეცალათ და მათი თავდაცვის ხაზმაც უფრო სამხრეთით გადაინაცვლა. ქართველთა მხედრობას ამიერიდან გზა ხსნილი ჰქონდა სამხრეთისაკენ სალაშქროდ. თამარ მეფემ კარი უშუალოდ საქართველოს სამეფო ტახტს დაუქვემდებარა. „მიითუალა კარი და დაუტევა კარის მცველად ახალციხელი ივანე, და აჩინა მონაპირედ"[5].

აღმოსავლური წყაროების მიხედვით, კარის დაკარგვა სელჩუკებისათ-

---

[1] Gregory Abu'l Farac, დასახ. ნაშრ., გვ. 488.

[2] Материалы по истории Азербайджана... с. 130—131.

[3] იქვე, გვ. 131.

[4] ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე..., ქ. ცხ., I, გვ. 365.

[5] ისტორიანი და აზმანი..., ქ. ცხ., II, გვ. 92.

ვის დიდი უბედურება იყო. კარის დაკარგვა, ხლათისა და არზრუმის რაიონში ქართველთა არაერთგზის წარმატებანი და განსაკუთრებით ბასიანის ომის შედეგები მცირე აზიის სელჩუკ სულთნებს გამოუვალ მდგომარეობაში აყენებდა.

ბასიანის ბრძოლის შემდეგ საქართველოს მეზობელი მაჰმადიანი მფლობელები ქართველთა წინააღმდეგ პირდაპირი ბრძოლის ნაცვლად საქართველოს მოსაზღვრე სომხური პროვინციების დარბევისა და შეერთების გზას დაადგნენ. საქართველოს სამეფო ხელისუფლება იძულებული იყო აქტიურად ჩარეულიყო სომხურ პროვინციებზე სელჩუკთა თავდასხმების ასალაგმავად.

სომხეთის ტერიტორიაზე წარმოქმნილ მაჰმადიანურ პოლიტიკურ ერთეულებს შორის არსებულმა განუწყვეტელმა ომებმა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ადგილობრივი სომხური მოსახლეობა. მაჰმადიანთა ბატონობის ქვეშ მყოფ სომხურ მოსახლეობას ყოველთვის დახმარების ხელს უწვდიდა საქართველოს სამეფო კარი. ქართველები მუდამ მხარში ედგნენ ადგილობრივ სომხურ მოსახლეობას მაჰმადიანთა ბატონობისაგან თავის დასაღწევად.

იბნ ალ-ასირისა და აბულ ფარაჯის ცნობით, 1208—1209 წწ., როდესაც მაჰმადიანთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებული სომხური მოსახლეობა დამარცხდა, ქართველები მათ მაშინვე მიეშველნენ, ხლათში მივიდნენ. ჯერ არჭეშზე მიიტანეს იერიში, გაანადგურეს და შემდეგ ხლათისკენ გაემართნენ[1]. ხლათის გამგებელი ნეჯმ ედ-დინ აუჰადი ქალაქის ციხესიმაგრეში ჩაიკეტა და გარეთ არ გამოსულა იმის შიშით, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მას აუჯანყდებოდა და ხლათს ქართველებს ჩააბარებდა[2].

ხლათი იმთავითვე იზიდავდა აიუბიელთა ეგვიპტის სახელმწიფოს. ხლათზე ეჭირათ თვალი აზერბაიჯანის ათაბაგებსა და თვით მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოსაც, რამდენადაც ხლათი მნიშვნელოვან ეკონომიკურ და სავაჭრო გზაჯვარედინზე მდებარეობდა. საქართველოს სამეფო ხელისუფლების დამოკიდებულებას ხლათის მიმართ განაპირობებდა ეკონომიკური ხასიათის ფაქტორები[3], კერძოდ, საქართველოს სამეფო კარი მიზნად ისახავდა მთავარ სავაჭრო-საქარავნო მაგისტრალებზე გაბატონებას, ირანიდან ლევანტისაკენ მიმავალი სავაჭრო გზის დაპყრობას. ამით

---

[1] Материалы по истории Азербайджана..., с. 134. Gregory Abu'l Farac, დასახ. ნაშრ., გვ. 491.

[2] Gregory Abu'l Farac, დასახ. ნაშრ., გვ. 491.

[3] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია XIII — XIV სს. (კონსპექტი), საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 54.

საქართველოს შუამავლის როლი უნდა შეესრულებინა დასავლეთისა და აღმოსავლეთის სავაჭრო ურთიერთობაში[1]. ხლათის ხელში ჩაგდება კი მნიშვნელოვანწილად ხელს შეუწყობდა ამ ამოცანის წარმატებით განხორციელებას.

აიუბიანთა სულთანმა სალადინმა ვერ მოახერხა ხლათში გაბატონება, მაგრამ მის მემკვიდრეთა აგრესიულ გეგმებში ხლათმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა. ამიტომ „საქართველოსა და აიუბიანთა უშუალო შეხების ერთადერთი წერტილი იყო ხლათის ქვეყანა და მეტოქეობის მთავარი ობიექტი — თავად ხლათი"[2].

ქართველებმა, მართალია, ხლათი ვერ აიღეს, მაგრამ ხანგრძლივი დროით — 30 წლით ზავი დადეს და ამით „დასრულდა ქართველთა გამათავისუფლებელი ლაშქრობა სომხეთში, რომლის ჩრდილოეთი ნაწილი მანასკერტამდე და ცახკანცის მთებამდე გაიწმინდა სელჩუკებისაგან. ჩრდილოეთი სომხეთი, კერძოდ ანისის, ტაშირ-ძორაგეთისა და სიუნიკის ყოფილი სამეფოები შევიდა საქართველოს შემადგენლობაში"[3].

ამის შემდეგ დროებით შეწყდა ომები და შედარებით მშვიდობიანი პერიოდი დადგა. ამ ზავმა კირაკოს განძაკელის სიტყვით, მშვიდობა და მეგობრობა დაამყარა საქართველოსა და აიუბიანთა სახელმწიფოებს შორის. მაგრამ დროებით შეწყვეტილი ომები ქართველებმა ისევ განაახლეს. დაირღვა კეთილმეზობლური და მშვიდობიანი ურთიერთობა ერანის აზერბაიჯანის გამგებელთან.

არდებილის სულთანმა საქართველოს წინააღმდეგ გაილაშქრა. იგი მოულოდნელად დაესხა თავს ანისს, გაანადგურა, მოსახლეობა დახოცა და კვლავ ერანში დაბრუნდა. საქართველოს სამეფო კარი იძულებული იყო არდებილის სულთნის დასასჯელად სასწრაფოდ ჯარი შეეყარა და გალაშქრებულიყო. ქართველთა ლაშქარი სასტიკად გაუსწორდა არდებილის სულთანს, იგი სიკვდილით დასაჯეს, მისი ცოლ-შვილი ტყვედ წა-

---

[1] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს სავაჭრო ურთიერთობანი XII საუკუნეში, თსუ შრომები, ტ. 121, 1967, გვ. 205.

[2] თ. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი, გ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ცდა ერთი თარიღის დადგენისა. „მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია, № 2, 1974, გვ. 174. ხლათის გარემოცვის თარიღად ეს უკანასკნელნი მიიჩნევენ 1210/1211 წწ. (ი ბ ი ვ ე, გვ. 177). ხლათის აღების თარიღად 1210/11 წწ. მიიჩნევს შ. დარჩიაშვილიც (იხ. შ. დ ა რ ჩ ი ა შ ვ ი ლ ი, XIII საუკუნის I მეოთხედის საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის ზოგიერთი საკითხი, ხელნაწერი, გვ. 39. წაკითხულია თსუ-ს არმენოლოგთა სემინარზე). ბ. სილაგაძის მიხედვით, ქართველებმა ხლათი გარემოიცვეს 1208 ან 1209 წწ. (იხ. ბ. ს ი ლ ა გ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 121 — 123).

[3] ბ. ს ი ლ ა გ ა ძ ე, დასახ., ნაშრ., გვ. 124.

მოასხეს და დიდი ნადავლით, გამარჯვებულნი საქართველოში დაბრუნდნენ.

არდებილში გალაშქრებამ ქართველთა მხედრობა დაარწმუნა, რომ მთელს ირანში არ არსებობდა ერთიანი ძალა, რომელსაც შეეძლო ქართველთა ლაშქარს გამკლავებოდა. იმისათვის, რომ მახლობელ აღმოსავლეთში ეცნოთ საქართველოს სამხედრო ძლევამოსილება, „ცნან ყოველთა სპათა აღმოსავლეთისათა ძალი და სიმხნე ჩუენი"[1], საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ გადაწყვიტა მოეწყო შორეული ლაშქრობა ირანს. ეს იყო თამარის მეფობის დროს უკანასკნელი დიდი ლაშქრობა. ქართველთა ხელისუფლების მიერ წამოწყებული ღონისძიება — ირანს გალაშქრება მთელ რიგ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მიზნებს ისახავდა.

ქართველთა საგანგებოდ მომზადებული ლაშქარი ჯერ მარანდს მიადგა, მარანდელები სასტიკად დაამარცხა და თავრიზისაკენ გაემართა. ქართველთა ლაშქრის მიახლოებით თავზარდაცემულმა თავრიზელებმა გადაწყვიტეს „რათა ხარკის მიცემითა, და ძღუნითა და შევრდომითა და ზენარისა თხოვნით დაამშჳდნეს ქართველნი"[2]. თავრიზელებმა ქალაქი უბრძოლველად ჩააბარეს ქართველებს, მიართვეს უამრავი საჩუქარი და ლაშქრისათვის სურსათ-სანოვაგე.

ქართველებმა ქალაქში დატოვეს მცველები და თვითონ გზა განაგრძეს სალაშქროდ. თავრიზის შემდეგ ქართველთა მხედრობას ასევე უბრძოლველად დამორჩილდა მიანაც. მიანას შემდეგ ლაშქარი ზენჯანს მიადგა, რომელიც ბრძოლით აიღეს. მცირე შესვენების შემდეგ ქართველთა ჯარი ყაზვინს ჩავიდა. „მოარბიეს და აღივსნეს საქონლითა". ყაზვინიდან ქართველები უფრო ღრმად შეიჭრნენ, „უშინაგანესისა რომ-გურისა მიმართ მიიწივნეს, რომელ არს ხორასანი"[3]. ქართველთა ლაშქარი „მიიწივნეს ვიდრე გურგანისად ქალაქად და მოაოხრეს ქუეყანა იგი"[4].

ამ შორეულ ლაშქრობაში საქართველოს ლაშქარს უამრავი ნადავლი დაუგროვდა და შემდგომი წინსვლა შეუძლებელი შეიქნა. უკან მობრუნებული მხედრობა იძულებული გახდა მიანის გამგებელი სასტიკად დაესაჯა იქ მცველად დატოვებული ქართველთა რაზმის ამოწყვეტის გამო. ასეთი ხანგრძლივი და შორეული ლაშქრობა ქართველებს მანამდე არ ჩაუტარებიათ. ქართველები „ესდენად სიშორესა შინა მივიდნენ, რომელ არცა თუ სახელი ქართველობისა ისმოდა"[5].

---

[1] ისტორიანი და აზმანი..., ქ. ცხ., გვ. 103.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 105—106.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 107. რომ-გურისა და ხორასნის იდენტურობისა და ლოკალიზაციის შესახებ იხ. ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული წყაროების „რომ-გური", „მაცნე", 1971, № 4, გვ. 124—130.

[4] ისტორიანი და აზმანი..., ქ. ცხ., II, გვ. 107.

[5] ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე..., ქ. ცხ., I, გვ. 369.

1210 — 1211 წწ.[1] ამ ლაშქრობებმა საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტი უფრო გაზარდა. საქართველოს სამეფო ხელისუფლების როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური მისწრაფებანი რეალური ჩანდა მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკური დაქსაქსულობის პირობებში. ბიზანტიას თავისი გასაჭირი ადგა. მახლობელი და შუა აღმოსავლეთის სასულთნოები და საამირო-საათაბაგოები დასუსტებულნი იყვნენ. ეს კი მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს საქართველოს სამეფო ხელისუფლების სამხედრო წარმატებებს როგორც სამხრეთ ამიერკავკასიაში, ისე ირანში და სხვაგან.

საქართველოს სამეფო კარის საგარეო-პოლიტიკური კურსი აშკარად მიუთითებდა იმაზე, რომ საქართველო პრეტენზიას აცხადებდა ბიზანტიის ადგილი დაეკავებინა. „ამიერიდან საქართველო არა მარტო აღმოსავლეთის ქვეყნების გამათავისუფლებლის, არამედ დასავლეთის კულტურის დამცველის როლში გამოდიოდა“[2]. საქართველოს სამეფო ხელისუფლება ალექსანდრე მაკედონელისა და ავგუსტ კეისრის საქმეთა ისტორიულ მემკვიდრედ ცხადდებოდა. ამიტომაც იყო, რომ საქართველოს სამეფო დროშაზე „გორგასლიანისა“ და „დავითიანის“ გვერდით გაჩნდა „ალექსანდრიანიცა“ და „ავღუსტიანიც“[3].

ქართული ფეოდალური მონარქიის საგარეო პოლიტიკის შედეგად ქვეყნის ტერიტორიების ერთიორად გაზრდამ და გავლენის სფეროების გადიდებამ თავისი ასახვა პოვა ერთიანი საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში. თუკი გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III „მეფედ“, „აფხაზთა მეფედ და კუროპალატად“ ან კიდევ „მეფეთა მეფედ“ იწოდებოდა, თამარი „აბხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფე და დედოფალი, შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთის თვითმპყრობელის“[4] ტიტულს ატარებდა.

ამრიგად, თამარის მეფობაში აქტიური საგარეო პოლიტიკის შედეგად

---

[1] თ. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი ს ა და გ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ი ს გამოკვლევით, ირანში ლაშქრობის ყველაზე სარწმუნო თარიღად უნდა ჩაითვალოს 1209 წელი (თ. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი, გ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ცდა ერთი თარიღის დადგენისა, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, № 1, 1974, გვ. 158.

[2] შ. მ ე ს ხ ი ა, შოთა რუსთაველის ეპოქა (საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარება XII ს-ში), თსუ კრებული, 1966, გვ. 20.

[3] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ქართული ფეოდალური მონარქია XII ს-ში. საქართველოს ისტორია, I, 1948, თბ., გვ. 219. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, თათართა ბატონობის ხანა, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. III, თბ., 1966, გვ. 60.

[4] თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 37. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, თფ., 1926, გვ. 88—89.

XII ს. უკანასკნელ მეოთხედსა და XIII ს. დასაწყისში საქართველოსთან დამოკიდებულების სხვადასხვა ფორმით იყო დაკავშირებული აღმოსავლეთ ამიერკავკასია, ირანის აზერბაიჯანი, მთელი სომხეთი, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო. თამარმა „იპყრნა ზღჳთ პონტოსით ზღუადმდე გურგანისად და სპერითგან დარუბანდამდის და ყოველნი კავკასიის იმერნი და ამერნი ხაზარეთამდის და სკჳთეთამდის“[1].

§ 8. საშინაო და საგარეო პოლიტიკა XIII ს. 10—20-იან წლებში

თამარის გარდაცვალებისთანავე[2] საქართველოს ერთმმართველი გახდა მისი ძე გიორგი, ლაშად წოდებული[3], რომელიც დედის სიცოცხლეშივე იყო დასმული თანამოსაყდრედ[4].

გიორგი IV-ის მმართველობის (1213—1223 წწ.) დამდეგსვე საქართველოს ყმადნაფიცმა ქვეყნებმა დამოუკიდებლობა მოინდომეს. თავდაპირველად საქართველოს განუდგა განძა, რომელმაც ხარკის გადახდა შეწყვიტა. მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ და პირადად გიორგი-

---

[1] ისტორიანი და აზმანი... ქართლის ცხოვრება, II, გვ. 79 — 80. აკად. კ. კეკელიძის მართებული შენიშვნით, თამარის ისტორიკოსის ამ ცნობაში უფრო მეტი იგულისხმება, ვიდრე შავი ზღვიდან კასპიის (გურგანის) ზღვამდე არსებული ტერიტორია, რომელიც ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის დროიდან საქართველოს შემადგენლობაში იყო მოქცეული. კერძოდ, სპერი შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს გულისხმობს, ე. ი. იმ ტერიტორიებს, რომელიც თამარმა „იპყრა“ და ტრაპიზონის იმპერიად აქცია 1204 წ., ხოლო „ზღვადმდე გურგანისად“ იგულისხმება ის ქვეყანა, სადაც თამარის დრომდე „ქართველთა ნათესავი ვერავინ მიწევნილ იყო ლაშქრად, არა მეფე, არა მთავარი“, ე. ი. კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი ქვეყანა გურგანისა (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, აკად. კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1941, გვ. 19).

[2] თამარის გარდაცვალების დროის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთიანი აზრი არ არსებობს. ამ ტომში მიღებულია ტრადიციული თარიღი — 1213 წ. უფრო სარწმუნო ჩანს 1207 წ. ამის შესახებ იხ. ჯ. ოდიშელი, ქართული ისტორიული ქრონოლოგიის ერთი საკითხი, ჟურნ. „ცისკარი“, № 1, 1976, გვ. 118 — 125.

[3] ლაშა საალერსო ზედმეტი სახელია და სიტყვასიტყვით აფსართა (ერთ-ერთი აფხაზურ-ჩერქეზული ეთნიკური ჯგუფის) ენაზე „განმანათლებელს სოფლისა“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 58), ნ. მარის აზრით, „блестящий“-ს ნიშნავდა (Н. Марр, К определению племенного происхождения Георгия, сына Тамары. Изв. Академии наук, VI серия, т. 20, № 7 — 8, 1926, с. 476, 477). აფხაზურ-ჩერქეზული „ა“ თავსართით მოიხსენიება ლაშა ბაგავანის სომხურ წარწერაშიც. მას აქ „ალაშა“ ეწოდება (И. А. Орбели. Багаванский храм и его надписи. Христианский Восток, V, 1917, вып. II, с. 141).

[4] ეამთააღმწერელი, ქ. ცხ., II, გვ. 151.

ლაშამ იმთავითვე რადიკალური ზომები მიიღეს. ქართველთა მხედრობა განძისაკენ გაემართა, განძის ქვეყანა მოაოხრა და ქალაქს სამხრეთიდან ალყა შემოარტყა. განძის მისადგომებთან ბრძოლა და ქალაქის ალყა მრავალ დღეს გრძელდებოდა[1].

ყამთააღმწერლის მიხედვით, გიორგი ლაშამ 4000 მხედრით სამხედრო ხელისუფალთა, კერძოდ, ივანე ათაბაგის უკითხავად ქალაქის „გარეშემოვლა" დაიწყო[2]. ეს განძელებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ, მოულოდნელად გააღეს ქალაქის კარი და 10000 მხედრობით გიორგი ლაშასა და მის მხედრობას ეკვეთნენ[3].

მცირერიცხოვნობის გამო ქართველებისათვის ეს ბრძოლა, უეჭველია, მძიმე შედეგის მომტანი აღმოჩნდებოდა, თავგანწირვა რომ არ გამოეჩინათ. მალე განძელები უკუიქცნენ, ქართველები კი მისდევდნენ მათ, ხოცავდნენ და ატყვევებდნენ[4].

გაიგეს თუ არა, რომ გიორგი ლაშამ ბრძოლა დაიწყო, განძასთან მდგომი ქართველთა მხედრობის დანარჩენი ნაწილებიც სამხედრო ხელისუფალთა მეთაურობით ბრძოლის ადგილისაკენ გაემართნენ, მაგრამ ბრძოლა უკვე დამთავრებული იყო.

მაშინ, ყამთააღმწერლის მიხედვით, სამხედრო ხელისუფლებმა დაუწყეს ყვედრება მეფეს, უეჭველია, იმის გამო, რომ მან დაუკითხავად დაიწყო ბრძოლა. „დიდებულნი მებრძოლნი და ლაშქარნი დაამტკიცებდეს არღარა ყოფად მოლაშქრედ და არცა ყოფად კარსა მეფისასა"[5]. მეფე იძულებული გახდა დაემშვიდებინა ისინი: იგი ცხენიდან ჩამოხტა და „უმეცრებით ქმნულისათჳს" შენდობა ითხოვა[6].

საბოლოოდ განძა მაინც ხანგრძლივი გარემოდგომით იქნა დაძლეული და ათაბაგი ისეთ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, ისე „შემჭირდა", რომ იძულებული გახდა ძველებურად ხარკის გადახდისა და კვლავ საქართველოს ყმადნაფიცობის პირობა დაედო[7].

გიორგი ლაშას დროს ქართველთა მხედრობის მიერ მთელი რიგი სხვა ლაშქრობებიც მოეწყო აგრეთვე საქართველოს საზღვრების სამხრეთით, რადგანაც აქაურ მფლობელთაგან ბევრმა განძელებივით მოინდომა საქართველოს ყმადნაფიცობისაგან თავის დაღწევა. განდგომის ლიკვიდაციის მიზნით 1219 წელს ქართველები ენერგიულად შეუდგნენ

---

[1] ყამთააღმწერელი, ქ. ცხ., II, გვ. 152—153.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 152.
[5] იქვე, გვ. 154.
[6] იქვე.
[7] იქვე.

ამ ქვეყნების შემომტკიცებას და აიღეს ოროტნი და მისი მიმდგომი ციხეები, ვიდრე ნახიჩევნამდე[1].

ანალოგიური მიზნით მოეწყო ლაშქრობა და დაიმორჩილეს ხლათი, კარნუ-ქალაქი და კეჩრორი[2].

აღნიშნულ ღონისძიებათა შემდეგ საქართველოს პოლიტიკური სტატუსი ყმადნაფიცებთან მიმართებაში ერთგვარად კვლავ სტაბილური გახდა.

გიორგი ლაშას დროის საქართველოს საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ურთიერთობებს ჯვაროსნებთან, ამ უკანასკნელთა V ლაშქრობის პერიოდში.

ჯვაროსანთა ლაშქრობის ინიციატორებმა ძირითადი დარტყმა ეგვიპტეში დამიეტას წინააღმდეგ მიმართეს და პირველ ხანებშივე ერთგვარ წარმატებებს მიაღწიეს. ეგვიპტის სულთანი მალიქ ალ-ქამილი იძულებული გახდა ჯვაროსნებს დიდ დათმობებს შეჰპირებოდა, თუ ეს უკანასკნელები დამიეტას დაეხსნებოდნენ, მაგრამ ჯვაროსანთა მთავარსარდლის კარდინალ პელაგიუსის დაჟინებით დამიეტას აღება ბოლომდე იქნა მიყვანილი (1219 წ.). ამის შემდეგ იწყება განხეთქილება ჯვაროსანთა წრეებში, რომელთა ერთი ფრთაც აშკარად წინააღმდეგია პელაგიუსის სამხედრო გეგმისა და მიზნად ისახავს ეგვიპტის შუაგულში შეჭრას. მიუხედავად ამისა, პელაგიუსი ბოლომდე ენერგიულად ახორციელებს თავის გეგმას, რისთვისაც ახალ მოკავშირეებს ეძებს და საამისოდ, სხვათა შორის, ჩინგის ყაენთანაც კი ცდილობს მოლაპარაკების გაბმას.

1221 წლის გაზაფხულზე დაიწყო ახალი ძალების დენა პელაგიუსთან, რამაც ჯვაროსნები ერთგვარად გააძლიერა, მაგრამ იმავე წლის ივნისიდან მათი საქმე უკან წავიდა. ჯვაროსნები ეგვიპტელებთან შეტაკებისას დამარცხდნენ, 1221 წლის სექტემბრის დასასრულიდან კი დამიეტიდან აიყარნენ[3].

სწორედ ამ ხანებში (თუ მოვლენათა მსვლელობას გავითვალისწინებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს იყო 1221 წლის გაზაფხულამდე და უფრო ადრეც, როცა პელაგიუსი ახალ მოკავშირეებს აგროვებდა) ჯვაროსნებმა დახმარებისათვის გიორგი ლაშას მიმართეს. ქართველებს ამ ომში უშუალოდ პელაგიუსი იწვევდა[4]. საამისოდ საქართველოს მეფეს და მის

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 12.

[2] ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, ქ. ცხ., I, გვ. 370. აქ შეცდომით კეჩროლია მოხსენიებული.

[3] აღნიშნულ საკითხზე იხ. J. P. Donovan, Pelagius and the Fifth Crusade, Philadelphia, 1950; М. А. Заборов, Крестовые походы, М., 1956, с. 246 — 252.

[4] Chronica Alberici Monachi Novi monasterii Hoiensis interpolata. Monumenta Germaniae historia, t. XXIII p. 911. იხ. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902, გვ. 7.

დიდებულებს დამიეტიდან პაპის სახელით სათანადო რჩევა და ბრძანებაც მოუვიდათ.

ქართველებმაც, როგორც ირკვევა, სათანადო თანხმობა განაცხადეს და შორეული ლაშქრობისათვის კონკრეტული სამზადისიც დაიწყეს. ეს კარგად ჩანს რუსუდან მეფისა და ივანე მხარგრძელის ეპისტოლეებიდან[1].

ქართველთა თანხმობას ჯვაროსნები კმაყოფილებით შეხვდნენ. უეჭველია, სწორედ ამიტომაც იყო, რომ ჯვაროსანთა ფართო წრეებში ამ დროისათვის ხელახლა ჩნდება ხმები ლეგენდარულ იოანე პრესვიტერზე; ქართული სინამდვილის მიხედვით, ამჟამად ლეგენდარულ პრესვიტერს დავითსაც უწოდებდნენ და ამბობდნენ, თითქოს იგი ჯვაროსანთა დასახმარებლად გამოემართა და უკვე დიდი წარმატებებიც მოიპოვა[2]. გადმოცემა იოანე პრესვიტერზე, რომელიც ჯერ კიდევ XII ს. შუა ხანებში დავით აღმაშენებელსა და დემეტრე I-ზე გავრცელებული ცნობების თავისებური გააზრების გზით შეიქმნა, ამ ლეგენდარულ პირად ახლა გიორგი ლაშას მიიჩნევდა[3], თუმცა ხსენებული ლეგენდის ტრანსფორმაციის ამ ეტაპზე ძლევამოსილ პრესვიტერზე ხელახლა გავრცელებული ხმების რესტავრაციის მიზეზთაგან არც ჩინგიზ-ხანისა და მისი პირველი წარმატებების თუ მასზე ევროპაში მოღწეული ინფორმაციების გამორიცხვაა მართებული[4]. კარგად ცნობილია, რომ აზიის ამ დამპყრობელს და მონღოლებს ევროპელები პირველად ქრისტიანებად მიიჩნევდნენ და მაჰმადიანობის შემმუსვრელ ძალად სახავდნენ.

მიუხედავად დიდი სამზადისისა, ქართველთა მონაწილეობა ჯვარო-

---

[1] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902, გვ. 8—9.

[2] აღნიშნული პრობლემის შესახებ იხ. შ. ბ ა დ რ ი ძ ე, ჯვაროსნული თქმულება დავით აღმაშენებელსა და დემეტრე პირველზე. კრ. „XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები", თბ., 1968, გვ. 365—400. 1221 წლის ამბებთან დაკავშირებით იხ. ამავე ნაშრომის გვ. 395—396, სადაც მოყვანილია როდოლფ კოგეშალის ქრონიკის ცნობა, რომ 1221 წელს „მთელ საქრისტიანოში გავრცელდა ხმა: დავით მეფემ, რომელიც იოვანე მეფე-მღვდლად იწოდება და რომელიც ინდოეთიდან დიდი მხედრობით წამოვიდა, გაანადგურა მიდიელები და სპარსელები". იხ. ზ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი. ჯვაროსანთა დროიდან, პარიზი, 1929, გვ. 151. შდრ. Al. Nikuradze, Skandinavier und Georgier auf der pontisch-baltischen Landsbrücke. Bedi Karthlisa, Paris. 1958. № 30 — 31. გვ. 80.

[3] შ. ბ ა დ რ ი ძ ე, ჯვაროსნული თქმულება... გვ. 396; მ ი ს ი ვ ე, საქართველო და ჯვაროსნები, თბ., 1973, გვ. 34.

[4] უკანასკნელ ხანებში საკითხის ამ ასპექტში დასმის ტრადიციული თვალსაზრისისათვის იხ. В. И. Гумилев, В поисках вымышленного царства, М., 1970. ბ. გუმილევისათვის უცნობია ლეგენდის ამოხსნის ქართული ვერსია.

სანთა მეხუთე ლაშქრობაში ვეღარ შედგა საქართველოში მონღოლთა შემოსევების გამო.

გიორგი ლაშას პოლიტიკურ კურსსა და თვით პიროვნებაზე იმთავითვე სხვადასხვა შეხედულება არსებობდა. რადგანაც გიორგი ლაშას მეფობას უშუალოდ მოჰყვა ქართველთა სახელმწიფოებრიობის დაცემის ხანა, მომდევნო თაობებმა მის მეფობაში იმთავითვე დაიწყეს იმ მიზეზების ძებნა, რომლებმაც, ვითომც ეს პროცესი გამოიწვიეს; და მართლაც, რომ ეს საკითხი უშუალოდ გიორგი ლაშას დროს არ დასმულა და მაშინ თამარის ეპოქის ოპტიმისტური სული ჯერ კიდევ შეურყეველი იყო, ამას ამჟღავნებს თვით გიორგი ლაშას მემატიანის თხზულება, რომელშიც ახალგაზრდა მეფის მმართველობა მხოლოდ წარმატებების ხანადაა მიჩნეული, ლაშა კი თვით დავით აღმაშენებელთანაც კია შედარებული. თანაც მემატიანეს ისიც კი არა აქვს აღნიშნული, რომ ქართველები მონღოლების მიერ იქნენ დამარცხებული[1].

XIII საუკუნის შუა ხანებიდან კი, როცა მონღოლთა ბატონობის პირობებში დაიწყო ქართველთა სახელმწიფოს დაცემა, თანდათან შეიქმნა პოლიტიკური რომანტიზმით შეფერადებული, თამარის ეპოქის გამაიდეალებელი კონცეფცია, რომელიც შემდგომი დაცემის ერთ-ერთ მიზეზად იმასაც მიიჩნევდა, რომ გიორგი ლაშამ და მისი დროის ქართველებმა სათანადოდ ვერ მოუარეს თავიანთ ქვეყანას.

იმთავითვე ზემოაღნიშნულ კონცეფციაში ჭარბად ჩნდება ისეთი დეტალები, რომლებიც გიორგი ლაშას უარყოფითი ფერებით ამკობენ. მაგალითად, ჟამთააღმწერელი, რომელთანაც ეს კონცეფციაა დაცული, თვლის, რომ მმართველობის დასაწყისში გიორგი ლაშა სანიმუშო პიროვნება იყო, მაგრამ ბოლოს „მიდრკა სიბოროტედ თანამიყოლითა უწესოთა კაცთა“[2]. ამ დროიდან იგი უკვე გახდა უკეთური პიროვნება, ლაღი, ამპარტავანი, თავხედი, თვითბუნება, „მსმურთა თანამიდრეკილი“ და სხვ.[3]. იმავე ისტორიკოსის სიტყვით, გიორგი ლაშა „სიბილწესა უმეტეს გარდაირია“, სანატრელი დედის ვაზირები და დედისა წესის მასწავლებელნი განიშორა, სამაგიეროდ კი შეიყვარა თანამოასაკენი, რინდები და „სმურობათა და დედათა უწესოთა თანა აღრევას“ მისცა თავი, იმდენად, რომ ერთ-ერთი „მემთვრალეობის“ დროს მისმა თანამოინახეებმა მას სცემეს და მარჯვენა თვალიც კი დაუბრმავეს[4].

ასევე მუქი ფერითაა დახატული გიორგი ლაშას დამოკიდებულება ქორწინებისადმი. მან არ ინება სამეფოს თავკაცთა მიერ შემოთავაზებუ-

---

[1] ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, ქ. ცხ., I, გვ. 370.

[2] ჟამთააღმწერელი, გვ. 154.

[3] იქვე, გვ. 156—157.

[4] იქვე, გვ. 155.

ლი ქორწინება, „არცა უსმინა“ მათ და ბოლომდე დაკავშირებული იყო ვიღაც ველისციხელ ქმრიან ქალთან[1], რომელთანაც მას ვაჟი (შემდეგში დავით VII, ულუ) შეეძინა[2]. ეს კი მაშინდელი სახელმწიფო სამართლის თვალსაზრისით დიდ მკრეხელობას წარმოადგენდა, ვინაიდან მეფე ვალდებული იყო თანამეცხედრედ მეფეთა ასული, ანდა საქართველოს მეფეთა გვარეულობის რძლობის ღირსი მოეყვანა[3].

პოლიტიკური მესაჭის ეს უკეთური ქცევა, ისტორიკოსის მიხედვით, საქართველოს გახრწნის მიზეზი გახდა და, როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე, ქვეყანა ღვთიურ სასჯელს ვერ ასცდა[4].

ჟამთააღმწერლის თვალსაზრისი გიორგი ლაშაზე იმთავითვე ფეხმოკიდებული იყო ფეოდალურ ქართულ ისტორიოგრაფიაში. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ფარსადან გორგიჯანიძემ სცადა გიორგი ლაშას მეფობის ერთგვარი პოზიტიური წარმოდგენა[5].

მსგავსი გაიმეორა შემდეგში იოანე ბატონიშვილმაც[6].

გიორგი ლაშას პიროვნების საკითხს საგანგებოდ შეეხო ივ. ჯავახიშვილიც, რომელმაც ის აზრი გამოთქვა, რომ ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში გიორგი ლაშას შესახებ ორგვარი ურთიერთგამომრიცხავი შეფასებაა დაცული, თანაც ამ შეფასების შემცველი ცნობები ძალზე მცირერიცხოვანია, მაგრამ ამის მიხედვითაც შეიძლება დავასკვნათ, რომ მეფე თითქმის თავისუფალ მოაზროვნედ და თავისებურ პიროვნებად მოჩანს, რისი დამამტკიცებელი ფაქტიცაა, მაგალითად, გიორგი ლაშას დამოკიდებულება ქორწინებისადმი[7]. ასევე უნდა გავიგოთ მისი რინდებთან დამოკიდებულებაც. რინდები („რინდ“ სიტყვასიტყვით ნიშნავს „მემთვრალეს“), ივ. ჯავახიშვილის აზრით, სუფიები, ისლამის წიაღში წარმოშობილი მისტიკურ-ფილოსოფიური მოძღვრების მიმდევრები იყვნენ. ამ მიმდინარეობამ თავის დროზე მრავალი თვალსაჩინო პიროვნება წარმოშვა[8].

იმთავითვე ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ გიორგი ლაშას შესახებ ნეგატიური შეფასების შემცველი დეტალები სათანადო ასახვას არ პოვებენ XIII ს. სომეხ და სპარსელ მწერლებ-

---

[1] ჟამთააღმწერელი, გვ. 155.

[2] იქვე.

[3] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, 1966, გვ. 31.

[4] ჟამთააღმწერელი, გვ. 167.

[5] რ. კ ი კ ნ ა ძ ე, კიდევ ერთი ქართული წყარო ლაშა გიორგის ისტორიისათვის. კრ. „საქართველო რუსთაველის ხანაში“, გვ. 93—104.

[6] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ახალი ლიტერატურული წყაროები ლაშა გიორგის ისტორიისათვის, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. I, გვ. 290—295.

[7] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 33.

[8] იქვე, გვ. 33 — 36.

თან, ამიტომაც იგი შენიშნავდა, რომ იქნებ მთელი ეს ამბავიც ლაშა გიორგის სააუგო საქციელზე „მოწინააღმდეგე დასისაგან შეთხზული ცილისწამება იყოს და ნამდვილად არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარიყოს“. მაგრამ აქვე ისტორიკოსს მოჰყავს ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის სიტყვები: „ვიტყოდეთ ქებასა მისსა წინაშე ყოველთა კაცთა, არა ვტყუოდეთ, არცა გვრცხვენოდისო“, რაც უეჭველად მოწმობს, რომ ჭაბუკი მეფის გარშემო ქების მაგიერ გმობაც ისმოდა; ამიტომ, უეჭველია, ქამთააღმწერლისა და მისი წყაროს ზემომოყვანილი დახასიათების მთლად უსაფუძვლო ზღაპრად მიჩნევა არ შეიძლება. თუმცა, ასეთი შეუთანხმებლობა სხვადასხვა წყაროს შორის, თანაც თვით ქამთააღმწერლისაგან მოთხრობილი ცნობები თანამედროვე მკვლევარს მსჯელობის დროს უაღრეს სიფრთხილეს უკარნახებს და ავალებს ამ უთანხმოებას სათანადო განმარტება მოუძებნოს[1].

საიდან შეიძლება მომდინარეობდეს ასეთი ნეგატიური დეტალები გიორგი ლაშაზე, რომელ წრეებში უნდა შექმნილიყო ეს თვალსაზრისი, ან ვინ უნდა ყოფილიყვნენ მისი აუგად მომხსენებლები?

ამის გაგება ერთგვარად შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ თვალს გავადევნებთ გიორგი ლაშას საშინაო პოლიტიკურ კურსს.

აღნიშნულ საკითხზე ლიტერატურაში გამოთქმულია ნ. ბერძენიშვილის საყურადღებო მოსაზრება, რომ გიორგი ლაშა იყო ცენტრალისტური ტენდენციებისკენ მიდრეკილი ადამიანი, რომელმაც, თუმცა დროებით, მაგრამ მაინც სცადა ერთგვარი რევანში დიდგვაროვანთა პოლიტიკურ წრეებზე, რომლებიც ცენტრალურ ხელისუფლებასთან მიმართებაში ძალიან იყვნენ განდიდებულნი[2]. აღნიშნული აზრი ნ. ბერძენიშვილს საგანგებოდ არა აქვს დასაბუთებული, მაგრამ, უეჭველია, იგი წყაროების საკმაოდ ნათლად აღსაქმელი ჩვენებების გაგებაზეა დაფუძნებული.

მთელი რიგი დეტალები, რომლებსაც ქამთააღმწერელი გადმოგვცემს, უეჭველად გვიჩვენებენ, რომ გიორგი ლაშას თავისი დიდებულების წინააღმდეგ ერთგვარი შინაპოლიტიკური ომი აქვს გაჩაღებული. ეს წინააღმდეგობა, თუ ჩვენ მხოლოდ ქამთააღმწერლის ცნობებს დავეყრდნობით, შეიძლება განძის კედლებთანვე შევამჩნიოთ, როცა გიორგი ლაშა ივანე ათაბაგისა და სხვა სამხედრო ხელისუფალთა გვერდის ავლით განძის გარშემოვლას იწყებს. უკვე აქვე ლაშასთან ჩანან ახალგაზრდა მებრძოლები და არა თამარის ძლევამოსილი ომების ვეტერანები. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ ვეტერანებისათვის, რომლებიც ერთგვარ

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 32—33.

[2] Н. Бердзенишвили, Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XVI вв.); საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 76.

სამხედრო-სარაინდო ფენად არიან ორგანიზებული, ომი ყველაფერთან ერთად სოციალურ-პოლიტიკური ძლიერების წყაროცაა, რის გამოც ამ ფენაში მოხვედრა ადვილი არაა. შემთხვევითი როდია, რომ ისეთ სამხედრო-ტაქტიკურ ერთეულებში, რომლებსაც წინამბრძოლები ეწოდებათ, თამარის ომების დროს უმთავრესად ერთი და იგივე სახლების წევრები ჩანან და აი, ახლა სწორედ ეს წრე უტევს ლაშას და ემუქრება კიდეც, რომ ლაშქარსა და სამეფო კარსაც მიატოვებს. რამდენად ანგარიშგასაწევი ძალა საყვედურობს მეფეს, იქიდან ჩანს, რომ ეს უკანასკნელი ბოდიშსაც იხდის მის წინაშე.

იმავე ჟამთააღმწერლის მიხედვით, გიორგი ლაშამ განიშორა სანატრელი დედის ვაზირები, დედის წესისა მასწავლებელნი და მათ ნაცვლად თანამოასაკეები, უეჭველია, თავისი ორიენტაციის მომხრეები დაიახლოვა. დაიახლოვა მან აგრეთვე რინდები. „რინდ“, როგორც ვთქვით, სიტყვასიტყვით ნიშნავს „მემთვრალეს“ და, პირველ რიგში, ეს გარეგნული ატრიბუტი ჰქონდა მხედველობაში ყველას, ვინც რინდებს შეეხებოდა. მაგრამ როგორც ვ. გაბაშვილმა შენიშნა, „რინდ“ კლასიკური შუა საუკუნეების ხანაში გადატანითი მნიშვნელობითაც იხმარებოდა ხოლმე. ფეოდალური სახელმწიფოსა და იდეოლოგიის ოფიციალური დამცველები ამ ტერმინით ხშირად აღნიშნავდნენ იმ მოქალაქეებს, რომლებიც ფართოდ მონაწილეობდნენ ფეოდალური საზოგადოების გაბატონებული ფენების წინააღმდეგ მიმართულ სოციალურ მოძრაობებში. „რინდ“ ტერმინის ოდიოზური ფორმიდან ჩანს, რომ ფეოდალური არისტოკრატია ზიზღით ცდილობდა მისთვის საძულველი, ოპოზიციურად განწყობილი საქალაქო წრეების დამცირებას და სახელის გატეხას[1].

საინტერესო და ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ჟამთააღმწერლის კონცეფციითაც რინდები ოდიოზურ წრეს წარმოადგენენ და მათთან სიახლოვეც, ვითომც მეფისათვის სახელის გამტეხი ფაქტი იყო. უეჭველია, ისე როგორც სხვა ავტორებთან, ჟამთააღმწერელთან მოხსენიებული რინდებიც მოქალაქეები, ფეოდალური არისტოკრატიისადმი ოპოზიციურად განწყობილი ელემენტები არიან[2]. აქედან კი მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ გიორგი ლაშამ შინაპოლიტიკური მოღვაწეობისას თავის საყრდენად გაიჩინა არა მარტო ფეოდალური ზედაფენის ერთი ნაწილი (თანამოასაკენი), არამედ მოქალაქეთა ერთი ნაწილიც, ისე როგორც ეს არაერთხელ გაუკეთებიათ გაერთიანებული საქართველოს სხვა მეფეებსაც.

---

[1] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქ თბილისის სოციალური ისტორიიდან (ჟამთააღმწერლის ერთი ცნობის განმარტება), იხ. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, გვ. 122—144.

[2] ი ქ ვ ე.

აღნიშნული პოლიტიკური კურსი, ჟამთააღმწერლის მიხედვით, გახდა ახალი კონფლიქტის მიზეზი, ისე რომ „თავადნი საქართველოსანი, ფრიად მწუხარენი იყვნეს და უმეტეს ივანე ათაბაგი და ვარამ გაგელი ზაქარიას ძე განეყენებოდეს დარბაზს ყოფისაგან“. ამ უკანასკნელებმა, ჟამთააღმწერლის მიხედვით, თითქოს ულტიმატუმადაც კი მიმართეს ჭაბუკ მეფეს: „არა თავს ვიდებთო... შენს მეფედ ყოფასა, უკეთუ არა განეყენო ბოროტთა კაცთა სიახლესა და მათსა წესსა, რომელსა იქმ“[1]. მეფემ თითქოს დაუთმო კიდეც მათ; ჟამთააღმწერლის თქმით, „მეფემან შეინანა და აღუთქვა სიმტკიცეთა მიერ არარასა ქმნა თუინიერ მათისა განზრახვისა“[2], ე. ი. ოპოზიციონერებს სურთ მეფემ მათი განზრახვისა და თათბირის გარეშე არაფერი გააკეთოს, რისთვისაც მას საამისო პირობასაც კი ადებინებენ. მაგრამ ყველაფერი ესეც, აშკარაა, მხოლოდ გარეგნული დათმობაა და გიორგი ლაშაც ისევ ძველებურად იქცევა. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტია ის, რომ იგი არაფრით არ თანხმდება ქორწინებაზე მას შემდეგაც, რაც მის ველისციხელ უკანონო ქალს ძალით განიყვანენ სამეფო სასახლიდან. ყველაფერი ეს, აგრეთვე „მიდრეკა“ ხორციელი ცხოვრებისა და განცხრომისადმი, ჟამთააღმწერლის პროვიდენციული თვალსაზრისის მიხედვით, საფუძვლად დაედო საერთოდ ქართველთა ქვეყნის გახრწნას და შესაბამისად ღვთისაგან მოვლენილ სასჯელს[3].

ამრიგად, ჟამთააღმწერლის თვალსაზრისით, გიორგი ლაშას კურსი იყო ქართველთა უბედურების ერთ-ერთი მიზეზი. ჩვენთვის ამ შემთხვევაში მთავარია არა მოვლენის პროვიდენციული ახსნა, რასაც ჟამთააღმწერელი გვთავაზობს, არამედ იმის შემჩნევა, რომ გიორგი ლაშას მძაფრი წინააღმდეგობები ჰქონდა თამარის ეპოქაში აღზევებულ ფეოდალურ არისტოკრატიასთან. ამიტომ ისიც უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ეს არისტოკრატული ფენები ქმნიდნენ გიორგი ლაშაზე უარყოფით პოლიტიკურ განწყობილებებს და ერთგვარად ანგარიშს უსწორებდნენ ამ გზით. ჟამთააღმწერელთან დაცული მთელი რიგი ცნობებიც, რომლებიც გიორგი ლაშას „შავად“ წარმოადგენენ, ამ განწყობილებებიდან უნდა მომდინარეობდეს. ისე კი, გიორგი ლაშას საშინაო პოლიტიკური კურსი საკმაოდ შეიცავს ისეთ მომენტებს, რომლებიც გვაფიქრებინებს, რომ თამარის ძეს სურდა აღედგინა დავით აღმაშენებლისა და მისი უახლოესი მემკვიდრეების დროინდელი მძლავრი სამეფო ხელისუფლება, დიდგვარიანი არისტოკრატიისადმი უკომპრომისოდ განწყობილი, რაც,

---

[1] ჟამთააღმწერელი, გვ. 155.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 156.

ბუნებრივია, ამ უკანასკნელთა მხრივაც მძაფრ რეაქციას წარმოშობდა; მით უმეტეს, თამარის მეფობის დროიდან იგი საკმაოდ მომძლავრებულ ფენას წარმოადგენდა, რისი ერთ-ერთი მოწმობაცაა ის გამბედაობა და ფართო პრეტენზიები, რომლითაც ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ლაშას თვითბუნებოვნების გამო.

გიორგი ლაშას დროის ბოლო პერიოდის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის ფაქტები ჩვენთვის შედარებით ნაკლებადაა ცნობილი. ვიცით, რომ ამ დროს საქართველოში პირველად ჩნდებიან მონღოლები (იხ. აქვე, თავი IX), რომლებთანაც ერთ-ერთ ბრძოლაში გიორგი ლაშა დაიჭრა. ამის შემდეგ მას დიდხანს არ უცოცხლია. ის, ჩანს, 1223 წ. გარდაიცვალა.

თავი მეექვსე

სახელმწიფო წყობილება

საქართველოს გაერთიანებასთან ერთად იქმნებოდა ქვეყნის მართვისა და სამოხელეო წყობის ერთიანი სისტემა. ცენტრალისტური ხელისუფლების თანდათანობითი განვითარება იწვევდა აგრეთვე ამ ხელისუფლებისათვის შესაფერისი სამოხელეო აპარატისა და საგამგეო უწყებების შექმნას. საქართველოს ცალკეულ მხარეებში არსებული ინსტიტუტები თანდათანობით ვითარდებოდნენ ერთ საერთო, მთლიანი საქართველოსათვის შესაფერის უწყებებად, ხოლო საქართველოს შემადგენლობაში არაქართული ტერიტორიების შემოსვლა იწვევდა ახალი ინსტიტუტების შექმნის აუცილებლობას.

ქართული სახელმწიფოებრივი წყობილების სამოხელეო სისტემის განვითარება უკავშირდება დავით აღმაშენებლის სახელს. დავით აღმაშენებელმა შექმნა რამდენიმე ახალი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტი, მანამდე უკვე არსებულს ახალი ძალა და შინაარსი მისცა და ამით საფუძველი ჩაუყარა ცენტრალისტური სახელმწიფოსათვის შესაფერისი სამოხელეო აპარატის და მართვის სისტემის შექმნას. გიორგი III-ის დროსა და მის მომდევნო ხანებში თანდათანობითი დამატება-შესწორებებით ამ სისტემამ დასრულებული სახე მიიღო.

საქართველოს სახელმწიფოს სათავეში მეფე იდგა. მეფე იყო ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალი. საქართველოს გაერთიანებიდან მოკიდებული მეფის ძალაუფლება სულ იზრდება და დავით აღმაშენებლის ხანაში მეფე თითქმის აბსოლუტური მონარქია. ამავე დროს, ისევ საქართველოს გაერთიანებიდან დაწყებული, მეფეს გამუდმებული ბრძოლა უხდება დიდგვარიანებთან, რომლებიც მეფის ძლიერების შეზღუდვისა და სამეფო ხელისუფლების გაზიარებისათვის იბრძვიან. ორსაუკუნოვანი ბრძოლა მეფესა და დიდგვარიანებს შორის XII ს. დასასრულისათვის დიდგვარიანთა ერთგვარი გამარჯვებით მთავრდება: დიდგვარიანებმა მიაღწიეს მეფის ხელისუფლების შედარებით შეზღუდვასა და დარბაზის

ძალაუფლების გაზრდას. ამიერიდან მეფე ყველა დიდმნიშვნელოვან საკითხს მხოლოდ დარბაზის „თანადგომითა და ერთნებობით“ გადაწყვეტს[1].

დ ა რ ბ ა ზ ი საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებაში განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო. დარბაზი შედგებოდა დარბაზის ერისაგან. დარბაზის ერი (აქედან სიტყვა „დარბაისელი“) გულისხმობდა ყველა ვაზირს და მათ ხელქვეით მოხელეს, აგრეთვე საქვეყნოდ გამრიგე დიდ მოხელეებსა და სასულიერო მესვეურებს. „მეფის კურთხევის წესი“ და „გარიგება ხელმწიფის კარისა“ გვამცნობს დარბაზის ერის „დგომისა და ჯდომის წესს“. „ისტორიანი და აზმანის“ ტექსტის სათანადო ადგილები გვირკვევენ დარბაზის წესის ზოგ საკითხს. ამ წყაროთა ჩვენებების გათვალისწინებით ივ. ჯავახიშვილს აღდგენილი აქვს დარბაზის შემადგენლობისა და დარბაზობის ცერემონიალის სურათი.

დარბაზი — სახელმწიფო საბჭო — იკრიბებოდა მეფის თავმჯდომარეობით. დარბაზის შემადგენლობის ერთ ნაწილს ჯდომის უფლება ჰქონდა, მეორე ნაწილს კი არა, იგი ფეხზე უნდა მდგარიყო. მოხელეთა იმ ნაწილში, რომელსაც ჯდომის უფლება ჰქონდა, ყველა ერთი უფლებისა არ იყო. ვაზირები ოქროჭედილ სელებზე ისხდნენ, მომდევნო რანგის ხელისუფალნი ჩვეულებრივ დასაჯდომებზე — ამათგან ზოგს „სასთაულიც“ (ბალიში) ედო, ზოგს კი არა[2]. ჯდომის წესის ამ გარეგნულ გამოხატულებაში ჩანდა თვით მოხელეთა იერარქიული წყობაც.

დარბაზის კომპეტენციაში შედიოდა კანონმდებლობა და უზენაესი მართლმსაჯულება, ომის გამოცხადების, დიდ ხელისუფალთა არჩევადანიშვნის, ზავის დადების და სხვა საკითხები.

დავით აღმაშენებლის დროიდან, როდესაც მეფის ძალაუფლება სულ უფრო ძლიერდება, დარბაზის მნიშვნელობა ფორმალურ ხასიათს ატარებს, მაგრამ დიდგვარიან აზნაურთა გამუდმებული ცდები მიმართული მეფის ხელისუფლების შეზღუდვისა და საკუთარი როლის გაძლიერებისაკენ, თანდათანობით იწვევენ დარბაზის, როგორც დიდგვარიანთა ნების გამომხატველი ორგანიზაციის, მნიშვნელობის გაზრდას. თამარის მეფობაში ყუთლუ არსლანის დასის გამოსვლის შემდეგ მეფეს ჩამოსცილდა სახელმწიფო საკითხების ერთპიროვნული გადაწყვეტის უფლება და დარბაზი შეიქმნა ყოველგვარი სახელმწიფოებრივი საქმის გადაწყვეტის მონაწილე და ორგანიზატორი. დარბაზი იღებს მეფის თანამდგომელის და ერთი ნების გამოხატულებას. მეფე ყოველ მნიშვნელოვან ღონისძიებას ატარებს მხოლოდ და მხოლოდ დარბაზის ერთა „თანადგომითა და ერთნებაობით“. ამ შემთხვევაში სამეფო ხელისუფლება ერთგვარ კომ-

---

[1] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, გვ. 111.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, გვ. 240.

პრომისზე წავიდა; ყუთლუ არსლანის დასი მოითხოვდა „მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვის“ უფლებას. ამ დასმა ეს წადილი ვერ შეისრულა, მაგრამ არც სამეფო ხელისუფლება დარჩენილა წინანდელ პოზიციებზე — იგი ერთგვარ დათმობაზე წავიდა, რაც დარბაზის ერთა მნიშვნელობის გაზრდასა და სამეფო ხელისუფლების შედარებით შესუსტებაში გამოიხატა (დარბაზმა მიაღწია მნიშვნელოვან. ღონისძიებათა გატარებისას მეფესთან „თანადგომას და ერთნებაობას“).

მართვა-გამგეობა საქართველოში სავაზიროს ხელით ხორციელდებოდა. „სავაზირო“ ადგილობრივი წარმოშობის უწყებათა მეთაურების გაერთიანებას ერქვა და წარმოადგენდა ვაზირთა საბჭოს. ამ საბჭოში შემავალი თითოეული ვაზირი ცალკე უწყებას განაგებდა.

სავაზიროს ჩამოყალიბებამდე საქართველოში არსებობდა ცალკეული საგეგმო უწყებები, რომელთა მეთაურებსაც უხუცესები ერქვათ. უხუცესის წოდება ემატებოდა ცალკეული დარგის მოხელეთა უფროსს, მაგალითად, მეაბჯრეთუხუცესი, მანდატურთუხუცესი, განმგეთუხუცესი, მეღვინეთუხუცესი, მოლარეთუხუცესი, მონადირეთუხუცესი, მწიგნობართუხუცესი, მსახურთუხუცესი და სხვ. ეს უხუცესები უფროსობდნენ არა მარტო თავის ხელქვეით მოხელეებს (მანდატურთუხუცესი—მანდატურებს, მეღვინეთუხუცესი — მეღვინეებს, მოლარეთუხუცესი — მოლარეებს და ა. შ.), არამედ მთლიანად ამ უწყებასაც, რომელსაც ეს მოხელეები ემსახურებოდნენ.

ამ უხუცესთა საგამგეო უწყებანი ზოგი დიდი მნიშვნელობისა იყო, ზოგი ნაკლების. მართვა-გამგეობაში აღზევებასა და დანარჩენ უხუცესთა შორის გამორჩევას იწყებენ ის საუხუცესოები, რომელნიც საგამგეო ქვეყნის მმართველობაში უპირატესი მნიშვნელობისანი იყვნენ. ასეთი უხუცესების დანარჩენთაგან გამოსარჩევად შემოდის სპეციალური ტერმინი „ვაზირი“. არაბული წარმოშობის ეს ტერმინი მთლიანად ქართული სინამდვილის აღმნიშვნელია მხოლოდ და თავის შინაარსში არაფერს აღმოსავლურს (გარდა ფორმისა) არ ატარებს[1]. ვაზირი ქართულ საისტორიო წყაროებში, როგორც მეფის მინისტრის აღმნიშვნელი, გიორგი III-ის დრომდე არ გვხვდება (მანამდე იხსენიება ვაზირი სპარსთა მეფისა)[2]. ამ დროიდან კი იწყება ვაზირის, როგორც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი საგამგეო უწყების მეთაურის, აღმნიშვნელი ტერმინის ხმარება. იმასთან დაკავშირებით, რომ თანდათანობით რთულდება ქვეყნის მართვა, იზრდება საგამგეო ქვეყანათა რიცხვი და ცალკეულ უწყებათა როლი ქვეყნის მართვა-გამგებლობაში, იზრდება ვაზირის ტიტულის მა-

[1] „ვაზირის“ მნიშვნელობის შესახებ აღმოსავლეთსა და საქართველოში — იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკვ. I, ტფ., 1928, გვ. 117 — 120.

[2] მ. ს ა ბ ი ნ ი ნ ი, საქართველოს სამოთხე, 1882, გვ. 617 (სიტყვისგება ბერისა ეფთვიმე გრძელისა სოსთენის მიმართ სომეხთ მოძღვრისა).

ტარებელ უხუცესთა რიცხვიც. თავდაპირველად ვაზირად იწოდებოდა მხოლოდ მწიგნობართუხუცესი[1], შემდეგ ამირსპასალარი და მეჭურჭლეთ-უხუცესი, თამარის მეფობის უკანასკნელი წლებიდან ათაბაგი და ბოლოს, რუსუდანის მეფობაში, მსახურთუხუცესი. ასე რომ, საბოლოო სახით სავაზირო 6 ვაზირისაგან შედგებოდა.

ამ ვაზირთა შორის ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი ითვლებოდა პირველ ვაზირად, ანუ ვაზირთა შორის უპირველესად. დანარჩენი ვაზირები კი ორ მთავარ ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი. ერთი იყო „სამთა ვაზირთა“ ჯგუფი, მეორე — „ორთა ვაზირთა“ ჯგუფი[2].

„სამთა ვაზირთა“ ჯგუფში შედიოდნენ ათაბაგი, ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი, „ორთა ვაზირთა“ ჯგუფს კი მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი ქმნიდნენ[3].

ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი. ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი პირველი ვაზირი, ვაზირთა შორის უპირველესი იყო. ეს თანამდებობა სამეფო კარზე დავით აღმაშენებლის დროს დაარსდა. მანამდე არსებობდა მწიგნობართუხუცესის თანამდებობა ცალკე და ჭყონდიდელობა ცალკე.

მწიგნობართუხუცესი, როგორც მეფის მოხელე, იხსენიება ბაგრატ IV-ის დროს ღრტილას გამართულ საეკლესიო კრებაზე. „იყო ვინმე მწიგნობართუხუცესი მეფისა, სახელით ეფთვიმე“ — ნათქვამია „სიტყვისგებაში ბერისა ეფთვიმე გრძელისა სოსთენის მიმართ“[4]. შემდგომში მწიგნობართუხუცესი იხსენიება 1085 წელს გადაწერილი ერთ-ერთი ხელნაწერის მინაწერში[5]. დაბოლოს, ამ თანამდებობის პირი იხსენიება რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლის წერაში[6]. მაგრამ მწიგნობართუხუცესის შემცველი ეს ცნობები არ იძლევა მასალას იმის შესახებ, თუ რა კონკრეტული უფლება-მოვალეობა ჰქონდა ამ ხელის პატრონს.

დავით აღმაშენებლის დროს, 1103 — 1110 წლებში, როგორც ამას არკვევს ივ. ჯავახიშვილი, მწიგნობართუხუცესის თანამდებობა ჭყონდიდლობას შეუერთდა. ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით, მწიგნობართუხუცე-

---

[1] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, გვ. 79.

[2] ხელმწიფის კარის გარიგება, ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა ი. ს ურ გ უ ლ ა ძ ე მ, თბ., 1970, გვ. 43—44.

[3] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 123.

[4] საქართველოს სამოთხე, გვ. 616.

[5] ქრონიკები, I, გვ. 232; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია. წ. II, ნაკვ. I, გვ. 124.

[6] ქრონიკები, II, გვ. 71; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 7.

სი მეფისა, ამ ხელის ჭყონდიდელობასთან (ჭყონდიდის ეპისკოპოსობასთან) შეერთებამდისაც სასულიერო პირი — მონაზონი უნდა ყოფილიყო[1].

ამ თავისებური „ხელის“ (რომლის სრულ ანალოგიას არც ერთ მეზობელ ხალხთა სახელმწიფო წყობილებაში არა აქვს ადგილი)[2] მატარებელი პირის ფუნქციები გარკვეული აქვს ივ. ჯავახიშვილს. დავითის ისტორიკოსის ჩვენებათა და სხვა საისტორიო წყაროთა მონაცემების საფუძველზე ივ. ჯავახიშვილი ადგენს, რომ მწიგნობართუხუცესი იყო მეფის „გამზრახი“, ანუ მრჩეველი და მეფის სახელმწიფო მოღვაწეობის „თანაგანმკაფელი“, ანუ თანამშრომელი[3], აგრეთვე „მართლმსაჯული და ჴელისამპყრობელი უღონოთა და ქვრივთა“. ამას გარდა, მწიგნობართუხუცესი იყო სამეფო სპისა და სახლის გამგებელი და იგი ითვლებოდა მეფის პირადი ქონების უზენაეს მმართველადაც[4].

მწიგნობართუხუცესის გარეშე არ წყდებოდა არცერთი სახელმწიფოებრივი საქმე, „ყველა საურავი უმისოდ არ იქნების“ (ხელმწიფის კარის გარიგება, გვ. 34). მართალია, მწიგნობართუხუცესი მონაწილეობდა ყოველგვარი სახელმწიფოებრივი საქმეების გადაწყვეტაში, მაგრამ მეფის გარეშე რაიმე გადაწყვეტილების მიღება დამოუკიდებლად არ შეეძლო. სწორედ ამიტომაც დავით ულუს დროინდელ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს ბასილის ჟამთააღმწერელი დანაშაულად უთვლის თავის უფლებებზე გადასვლას, რაც იმაში გამოიხატა, რომ მან „იწყო საურავთაცა ქმნად თვინიერ მეფისა კითხვისა“ (ჟამთააღმწერელი, ქ. ცხ., II, გვ. 253).

მწიგნობართუხუცესს ექვემდებარებოდა სამეფო სპაც. იგი მეფესთან ერთად წყვეტდა ომის დაწყება-არდაწყების საკითხს და ზოგჯერ ომშიაც მიდიოდა.

ამას გარდა, ამ მოხელეს როგორც ჭყონდიდელს, საეკლესიო საქმეებიც ეკითხებოდა. ხელმწიფის კარის გარიგებით „მონასტერნი და ეკლესიანი, ხუცესნი და მონაზონნი და რაც საეკლესიონი დასნი არიან, ყველა ჭყონდიდლისა და საწოლის მწიგნობრის საჴელოჲსაა“[5].

მწიგნობართუხუცესის უშუალო თანამშრომლები მწიგნობარნი იყვნენ. საბუთებში იხსენიება საწოლის მწიგნობარი, ზარდახნის მწიგნობარი და საჭურჭლის მწიგნობარი. ხელმწიფის კარის გარიგებით, სულ 26

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 7—10.

[2] იქვე, გვ. 7.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I, გვ. 127.

[4] იქვე, გვ. 128.

[5] ხელმწიფის კარის გარიგება, გვ. 34_{20}.

მწიგნობარი ყოფილა. უპირატესი მნიშვნელობა საწოლის მწიგნობარს ჰქონდა. ვაზირთა ბჭობას მხოლოდ საწოლის მწიგნობარი ესწრებოდა. ზარდახნის მწიგნობარი კი დარბაზს გარეთ იდგა და დარბაზში შესვლა მხოლოდ მაშინ შეეძლო, როცა ვაზირები დაიბარებდნენ[1].

საწოლის მწიგნობარი მწიგნობართუხუცესის თანაშემწე იყო მართლმსაჯულების საქმეში. „სააჯო კარს" მჯდომ მწიგნობართუხუცესს გვერდით საწოლის მწიგნობარი ეჯდა ყოველთვის[2]. მწიგნობართუხუცესის დამხმარე, მაგრამ ნაკლები მნიშვნელობისა ჩანს ზარდახნის მწიგნობარი. მის ერთ-ერთ მოვალეობად ჩანს ზარდახნის (ზარადხანა), ანუ მეფის იარაღის საწყობის აღწერა წელიწადში ერთხელ. ამ აღწერის სამაგიეროდ ზარდახნის მწიგნობარს ერთი უნაგირი ეძლევა (ხელმწიფის კარის გარიგება).

საწოლისა და ზარდახნის მწიგნობრების მოვალეობა იყო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამეფო სიგელების შედგენა. მაგალითად, საწოლის მწიგნობარი არსენ სამძივარი ადგენს თამარ მეფის 1188 წ. სიგელს[3], ზარდახნის მწიგნობარი მიქაელ ეზეკიელის ძე—დავით ნარინის 1261 წ. სიგელს[4], ზარდახნის მწიგნობარ დაბნედილის ხელითაა შედგენილი დავით ნარინის მეუღლის თამარის სიგელი გელათისადმი[5].

მწიგნობართუხუცესი და მისი სახელო მრავალ სხვადასხვა უბანს მოიცავს და სწორედ უფლებათა ამ მრავალფეროვნების გამო ეს მოხელე ვაზირთა შორის უპირველესია. სხვა ვაზირთაგან განსხვავებით, მწიგნობართუხუცესობა მიწისმფლობელობასთან არ იყო დაკავშირებული. თუ სხვა ვაზირი სამსახურის სანაცვლოდ ცალკეულ მხარეს ან ქალაქს იღებდა მეფისაგან (მაგალითად, ლორეს — ამირსპასალარი), მწიგნობართუხუცესის ხელი არავითარ მიწის მფლობელობას არ გულისხმობდა. ამასთან, რაკი მწიგნობართუხუცესი უეჭველად მონაზონი უნდა ყოფილიყო, მას არც მემკვიდრეები გააჩნდა და არც თავისი მდგომარეობის „მამულობით" შენარჩუნებით იყო დაინტერესებული. ამიტომ მწიგნობართუხუცესი არსებითად იყო მეფის უერთგულესი მოხელე და მისი სიძლიერე მეფეზე იყო დამოკიდებული. ამ ხელსა და მეფის უფლების ძლიერებას შორის პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება არსებობდა. რაც უფრო ძლიერი იყო მეფე, მით უფრო მნიშვნელოვანი იყო მწიგნობართუხუცესობა და

---

[1] ხელმწიფის კარის გარიგება, გვ. 50.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 34_{12-14}.

[3] ქართული სამართლის ძეგლები, II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და. საძიებლები დაურთო ი. დ ო ლ ი ძ ე მ, თბ., 1965, გვ. 26.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 73.

[5] ი ქ ვ ე, გვ. 76.

პირუკუ[1]. მწიგნობართუხუცესის ხელის ჭყონდიდლობასთან გაერთიანების საფუძველი საქართველოს მეფეთა საეკლესიო პოლიტიკაშია. ეგრისაფხაზეთის მეფეები ცდილობდნენ ბერძნული ეკლესიისათვის საყრდენი გამოეცალათ დასავლეთ საქართველოში და ამიტომ მთელი X საუკუნის შანძილზე ახალ-ახალ საეპისკოპოსოებს აარსებდნენ. ერთ-ერთი ასეთი საეპისკოპოსო იყო ჭყონდიდი; ეს კათედრა დავით აღმაშენებელმა ხელთ მისცა მწიგნობართუხუცესს და ამით ეკლესიაზეც განავრცო ცენტრალური ხელისუფლების გავლენა[2]. ჭყონდიდელი იყო უწარჩინებულესი დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსთა შორის. ამრიგად, მწიგნობართუხუცესის ხელში გაერთიანდა უმაღლესი საერო და საეკლესიო ხელისუფლება[3], რაც ცენტრალური ხელისუფლების შემდგომი გამარჯვების მაჩვენებელია.

ა მ ი რ ს პ ა ს ა ლ ა რ ი. ამირსპასალარი სამთა ვაზირთა ჯგუფში შემავალი ვაზირი იყო. ქართულ ნარატიულ წყაროებში ტერმინი ამირსპასალარი პირველად „ისტორიანსა და აზმანში" დასტურდება გიორგი III-ის დროის აღწერისას[4]. ეს ტერმინი სხვა სახის წყაროებშიაც გვხვდება. მაგალითად, ძელი ჰეშმარიტის ეკლესიის გუმბათის ყელის ქართულ ასომთავრულ წარწერაში იხსენიება „სუმბატ (ძე ივანე) ამირსპასალარისა"[5]. ერთი სომხური ხელნაწერის 1172 წლის მინაწერში ნახსენებია „დიდი ამირსპასალარი ივანე"[6]. ივ. ჯავახიშვილს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ სამხედრო საქმის მეთაურს საქართველოში შესაძლოა სწორედ XII ს-დან ეწოდა ამირსპასალარი[7].

არაბული წარმოშობის ტერმინი ამირსპასალარი აღნიშნავს ლაშქრის სარდალს, წინამძღოლს. ამირსპასალარი, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, მეფის სამხედრო მინისტრი იყო. იგი ლაშქრობის საქმეს განაგებდა. ქართული საისტორიო წყაროებით ირკვევა, რომ სამხედრო

---

[1] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 32.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 54.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 56.

[4] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 16.

[5] ამ სუმბატს წარწერის გამომცემელი ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი ჯერ დემეტრე მეფის დავით აღმაშენებლის ძის თანამედროვედ თვლიდა („ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი" და მათი ვინაობა სომეხ-ქართველთა ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებით. ტფ., 1928. გვ. 33), შემდეგ კი გიორგი III-ის თანამედროვედ და ამ წარწერის შესრულების უგვიანეს თარიღად 1177 წელს ვარაუდობდა („ლორე-ტაშირის ეპიგრაფიკა", თსუ შრომები, 1964. № 108.).

[6] ა. ა ბ დ ა ლ ა ძ ე, X — XII საუკუნეთა სომხურ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები როგორც წყარო საქართველოს ისტორიისათვის (ხელნაწ.). გვ. 33.

[7] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II. ნაკვ. II, გვ. 141.

მოქმედებაში მეფე უშუალო მონაწილეობას იღებდა, მაგრამ როცა მეფე ომში არ იყო, ჯარის წინამძღოლობა და სარდლობა ამირსპასალარს ედო ვალად[1]. ამირსპასალარის მოვალეობა იყო ლაშქრობის გეგმის შედგენა. „ლაშქრობა და ლაშქრობის ვეზირობა ამირსპასალარის ჴელთ არის. მას წინათ არავინ იტყვის“[2], — ნათქვამია „ხელმწიფის კარის გარიგებაში“. იგივე წყარო უფრო დეტალურ ცნობებს იძლევა ამირსპასალარის ფუნქციათა შესახებ: „ამირსპასალარი საბატიო ვეზირი არის და თავადი ლაშქართა და უამისოდ ქვეყანა არ გაიცემის, არცა ვინ სამამულოდ შეიწყალების“[3], ე. ი. თუ მეფე ვინმეს საგამგეოდ ქვეყანას აძლევს, ანდა ვინმეს მამულს უწყალობებს, ამ გადაწყვეტილების მიღებაში ამირსპასალარიც უეჭველად მონაწილეობს. ეს გარემოება ივ. ჯავახიშვილს იმითა აქვს ახსნილი, რომ რაკი ლაშქრობა-ნადირობის საქმე მამულზე იყო დამოკიდებული, ქვეყნის გაცემით რომ ეს საქმე არ შეფერხებულიყო, ამიტომ ამირსპასალარსაც უეჭველად ეკითხებოდნენ[4].

ამირსპასალარს ემორჩილებოდა საქართველოს მთელი ჯარი, რაკი ის „ლაშქრისა თავადი“ იყო. ეს ლაშქარი შემდეგი ნაწილებისაგან შედგებოდა: 1. სამეფო სპა — საქართველოს ცალკეული კუთხეებიდან გამოყვანილი მოლაშქრენი; 2. ყივჩაყთა ჯარი; 3. კავკასიის მთიელთა და სხვა ყმადნაფიც ქვეყანათაგან „სამსახურში“ გამოყვანილი ჯარი; 4. მონასპა. მთელი ამ ჯარის „თავადი“ ამირსპასალარი იყო.

ამირსპასალარი, როგორც ამას მისი სახელწოდება ამტკიცებს, სპასალართა მეთაური უნდა ყოფილიყო, მაგრამ „ხელმწიფის კარის გარიგებასა“ და „მეფის კურთხევის წესში“ სპასალარები არ ჩანან; სამაგიეროდ იქ იხსენიებიან ამირსპასალარს დაქვემდებარებული მოხელენი: ამირახორი და მეაბჯრეთუხუცესი. ამათ გარდა, ამირსპასალარს ექვემდებარებოდნენ აჩუხჩი (სამეჯინიბოს მოხელე), ამირჩქარი (შიკრიკთუხუცესი) და მერემეთუხუცესები[5].

ამირსპასალარისავე სახელოშია ამირახორსა და მეაბჯრეთუხუცესზე დაქვემდებარებული ზარადხანა, ანუ სამეფო აბჯარ-იარაღის საწყობი.

მ ა ნ დ ა ტ უ რ თ უ ხ უ ც ე ს ი. მანდატურთუხუცესი როგორც ვაზირი გიორგი III-ის დროიდან ჩანს. თვით მანდატური კი XI ს-დან უკვე სისტემატურად მოიხსენიება. ივ. ჯავახიშვილი მანდატურთუხუცესს —

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვეთი II, გვ. 144.

[2] ხელმწიფის კარის გარიგება, გვ. 40.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 49.

[4] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ ნაშრ., გვ. 150.

[5] ხელმწიფის კარის გარიგება, გვ. 40.

ობერცერემონიმეისტერს — სახელმწიფო ფოსტისა და მიმოსვლის უფროსს ამსგავსებს[1].

„ხელმწიფის კარის გარიგებიდან“ ნათლად ჩანს, რომ მანდატურთუხუცესი აწესრიგებს სამეფო დარბაზობისა და პურობის რიგს[2].

მაგრამ გარდა ადმინისტრაციული და ცერემონიალური ფუნქციებისა, მანდატურთუხუცესს სამეურნეო ფუნქციებიც ჰქონია. ეს კარგად ჩანს იმავე „ხელმწიფის კარის გარიგებიდან“: „ზვარნი ამად არიან და მანდატურთუხუცესისა ხელისანი. სამუშაოსა ზედამდგომელად მანდატურს მისცემს ბრძანებასა და დააწერინებს გამოსაჩვენიერსა, უჩვენებს მუშად ვითა ესე ქვეყანა მოასხითო. მანდატური და ერთი მეღვინეთუხუცესისაგან ჩენილი მეღვინე წავლენ, მუშაობენ და ღვინის მკრეფელნიცა. ერთი მანდატური იქნების“[3]. აქედან ჩანს, რომ მანდატურთუხუცესის საგამგეოშია სამეფო ზვრები, აგრეთვე იგი აწესრიგებს ამ სამეფო ზვრების დასამუშავებლად გლეხთა შრომით ბეგარაზე გამოყვანის საქმეს: იგი აწესებს თუ, სახელდობრ, რომელი ქვეყნის მკვიდრნი რომელ ზვარში გამოდიან სამუშაოდ.

მანდატურთუხუცესს, როგორც ეს თვით სახელწოდებიდანაც ჩანს, მანდატურნი ექვემდებარებოდნენ. „ხელმწიფის კარის გარიგებით“ „მანდატური 300 სახლი არის ამიერ და იმიერ, ხოლო სამნი აზნაურნი არიან. იკუნკელისძე, შერაქისძე და ჯარნასძე და სხვა ყველა გლეხია“. 300 სახლი მანდატური მთელ საქართველოშია გაბნეული (ამიერ და იმიერ) და ყველა მანდატურთუხუცესს ექვემდებარება.

ივ. ჯავახიშვილს სხვადასხვა წყაროს ჩვენებებზე დაკვირვებით გარკვეული აქვს მანდატურთა მოვალეობანი. ესაა სავაზირო ოთახის მცველის მოვალეობა, საპატიო კაცის გაყოლა მგზავრობაში, სამუშაოზე ზედამდგომელობა.

მანდატურთუხუცესის ნიშანი იყო ოქროს არგანი (საბჯენი ჯოხი), რომელსაც „სამანდატურო არგანი“ ერქვა (თამარის ისტორიკოსი).

მანდატურთუხუცესი მონაწილეობდა სამეფო სიგელის გაცემაში და მას ამ საქმეში სიგელის „ქრთამის“ (გასამრჯელო) წილი ერგებოდა, ამირსპასალარის მსგავსი. „ქრთამი სიგლისა მანდატურთუხუცესსა და ამირსპასალარსა სწორი მართებს“[4].

მანდატურთუხუცესის ხელქვეითი მოხელეები იყვნენ ამირეჯიბი და განმგებელთუხუცესი. მათ, თავის მხრივ, ექვემდებარებოდნენ ეჯიბები

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 158 — 159.
[2] ხელმწიფის კარის გარიგება, გვ. 47_{11-14}.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 35_{6-11}.
[4] ი ქ ვ ე, გვ. 36.

(მეკარე), მესტუმრე, მერიგე, მეჯამე და სხვა მოხელეები, რომელთაც სამეფო სამზარეულო ებარათ.

მ ე ჭ უ რ ჭ ლ ე თ უ ხ უ ც ე ს ი. მეჭურჭლეთუხუცესიც, მსგავსად სხვა ვაზირებისა, XII საუკუნეზე უწინარეს ძეგლებში არ გვხვდება. მაგრამ „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ ნათქვამია, რომ „მეჭურჭლეთუხუცესი ძ ვ ე ლ ი ვ ა ზ ი რ ი არისო“[1].

მეჭურჭლეთუხუცესი ფინანსთა მინისტრს უდრიდა და იგი შედიოდა „ორთა ვაზირთა“ ჯგუფში. მეჭურჭლეთუხუცესი საჭურჭლის გამგე იყო. საჭურჭლე კი, როგორც ეს გამორკვეული აქვს ივ. ჯავახიშვილს, განძეულობის, სიმდიდრის, სახელმწიფო ხაზინის მნიშვნელობით იხმარებოდა[2]. ამასთან, საჭურჭლეში ინახავდნენ ყოველდღიურ სახარჯავს, ხელუხლებელი ძვირფასეულობა კი სალაროში თავსდებოდა.

მეჭურჭლეთუხუცესს ექვემდებარებოდნენ საჭურჭლის ნაცვალი, მუშრიბი (ქალაქთა ბაჟის და სავაჭრო გადასახადის ამკრები), საჭურჭლის მუქიფი (ძღვენთ გამგე), მეჭურჭლენი, მეჭურჭლეთუხუცესის სახელო იყო ძველი ქალაქები, ქალაქის ამირანი — „მეჭურჭლენი ქალაქისანი“, ვაჭარნი, სავაჭრო გადასახადები და ბაჟი.

ა თ ა ბ ა გ ი. პირველი ათაბაგი საქართველოში ივანე მხარგრძელი იყო. როცა ზაქარია ამირსპასალარის სიკვდილის შემდეგ თამარ მეფემ ამირსპასალარობა მის ძმას ივანეს შესთავაზა, ამ უკანასკნელმა იცოტავა ეს პატივი და მეფესა სთხოვა: „ახალსა და უაღრესსა პატივსა ღირს მყო და ათაბაგობა მიბოძო“[3]. თამარმაც ახალი პატივი ათაბაგობა დააარსა და იგი ივანე მხარგრძელს უბოძა.

ათაბაგობა ქართული ინსტიტუტი არ არის და ჩვენში ხელოვნური გზით შემოიტანეს. „ისტორიათა და აზმანთა“ ავტორი ამბობს, რომ „საქართველოსა არა არს წესად და ჴელად... ათაბაგობა... სულტანთა წესი არს ათაბაგი, რომელი მამად და გამზრდელად მეფეთა და სულტანთა იწოდების ათაბაგიო“[4]. საქართველოს სინამდვილეში ათაბაგს ასეთი მნიშვნელობა არ მისცემია. აქ მაინც ვაზირთა შორის უპირველესობა ისევ მწიგნობართუხუცესს რჩება და ათაბაგი პატივის მიხედვით ვაზირთა შორის მხოლოდ მეორეა („ჭყონდიდელის ქვემოთ ნოხთა ზედა ათაბაგი და ამირსპასალარი დასხდენ“)[5].

თუ მწიგნობართუხუცესის გავაზირება მეფის ცენტრალისტური ხე-

---

[1] ხელმწიფის კარის გარიგება, გვ. 49.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკე. I. გვ 169—170.

[3] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ტ. ცხ., II, გვ. 110.

[4] ი ქ ვ ე.

[5] ხელმწიფის კარის გარიგება. გვ. 49.

ლისუფლების გაძლიერების მაჩვენებელი იყო, ათაბაგის ვაზირთა რიცხვში შეყვანა უკვე მოწმობს სამეფო ხელისუფლების შესუსტებას და ამ ხელისუფლებაში მხოლოდ აღმასრულებელი ფუნქციების არსებობას.

მ ს ა ხ ურ თ უ ხ უ ც ე ს ი. მსახურთუხუცესი სამეფო სახლსა და სახასო მეურნეობას ხელმძღვანელობდა. ეს მოხელე მხოლოდ გიორგი III-ის დროიდან იხსენიება (თუმცა მისი არსებობა ადრევეა საგულისხმებელი) და მხოლოდ რუსუდანის მეფობაში იქნა ვაზირის თანამდებობაზე აყვანილი. მსახურთუხუცესი, მას შემდეგ, რაც გავაზირდა, მეჭურჭლეთუხუცესთან ერთად „ორთა ვაზირთა" ჯგუფში შევიდა.

მსახურთუხუცესს ექვემდებარებოდა მეფის სალარო და საწოლი, მოლარეთუხუცესი, მესაწოლეთუხუცესი, ციცხვთაუხუცესი, ფარეშთუხუცესი და მათი ქვეშეთი მოხელეები.

მსახურთუხუცესის ერთ-ერთი მოვალეობა იყო მეფის „შეკაზმა".

ქართული სამოხელეო აპარატი ორი ნაწილისაგან შედგებოდა: ერთი იყო „დარბაზის კარს მყოფი" მოხელენი და მეორენი — „საქვეყნოდ გამრიგენი". ამათგან, თუ პირველნი სამეფო კარზე მსახურობდნენ და აქედან განაგებდნენ მათთვის მინდობილ უწყებებს, მეორენი ადგილებზე იყვნენ დანიშნულნი და ცენტრს იქიდან ემსახურებოდნენ.

დარბაზის კარზე მყოფი მოხელეები იყვნენ ვაზირები და მათზე დაქვემდებარებული ცალკეული სხვადასხვა რიგისა და რანგის მოხელენი.

საქვეყნოდ გამრიგე მოხელენი ქვეყნის ადმინისტრაციული ერთეულების სათავეში მდგომი ცალკეული მოხელენი და მათი ხელქვეითი პირები იყვნენ.

„საქვეყნოდ გამრიგე" მოხელე (ეს ტერმინი პირველად ვახტანგ VI-ის სამართალში იხსენიება) წარმოადგენდა ცენტრის ნება-სურვილის აღმასრულებელს ადმინისტრაციულ ერთეულში. მის ამ ფუნქციას თვით სახელწოდებაც უჩვენებს: საქვეყნოდ გამრიგე, ე. ი. ცალკეულ ქვეყანაში, ადმინისტრაციულ ერთეულში მომქმედი მეფის მოხელეა.

საქართველოს ადმინისტრაციულ დაყოფას ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები ედო საფუძვლად; ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები კი თავის დასაბამს გვაროვნული წყობილების ხანაში პოულობენ, ხოლო მათი საზღვრები მეტ-ნაკლებად შეესაბამება ქართველური ტომების ეთნიკურ საზღვრებს. საქართველოს ტერიტორიაზე კლასობრივი საზოგადოების წარმოშობის პერიოდში ეს პროვინციები წარმოადგენდნენ ქვეყნის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფის საფუძველს. ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინცია მსხვილ ადმინისტრაციულ ერთეულს — საერისთავთსაერისთავოს ქმნიდა, რომელიც, თავის მხრივ, იყოფოდა უფრო წვრილ ერთეულებად. ამ დაყოფასაც ისევ გეოგრაფიული პირობები ედო საფუძვლად. ეს იყო ხეობა, ერთი მდინარის აუზში

მდებარე სოფლები თავისი სარწყავი და ურწყავი მიწებით. ამ მდინარის შენაკადები, ხევები ირგვლივ მდებარე სოფლებით და მიწებით კი იყო ხეობაში შემავალი უფრო მცირე ადმინისტრაციული ერთეული — ხევი.

ამ გეოგრაფიულ დანაწევრებას შესაფერისი ადმინისტრაციული დაყოფა შეესაბამებოდა. ხევი შეადგენდა სახევისთავოს, ხეობა — სახევისუფლოს, ქვეყანა ხეობა-ხევებით — საერისთავოს; რამდენიმე საერისთავო — საერისთავთსაერისთავოს.

საერისთავთსაერისთავოს განაგებდა ერისთავთერისთავი — მეფის მოხელე, სხვა დანარჩენ აზნაურებზე აღზევებული სოციალურად და მატერიალურადაც. ერისთავთერისთავს თავის საგამგეოში ეკუთვნოდა „მთავრობა ყოველთა დიდებულთა და აზნაურთა, რომელნი მკვიდრ არიან“ მის ქვეყანაში[1].

ერისთავთერისთავი იყო არა მარტო ადმინისტრაციული მოხელე. მის ხელთ იყო აგრეთვე თავისი საერისთავთსაერისთავოსაგან ლაშქრის გამოყვანა. ამდენად საერისთავთსაერისთავო სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული იყო. ლაშქარი არა მარტო ერისთავის ხელმძღვანელობით იკრიბებოდა, არამედ ომშიაც თითოეული „ქვეყნის“ ლაშქარი თავისი ერისთავის ხელმძღვანელობით ომობდა („და იხილეს ლ ა შ ქ ა რ თ ა თ ა ვ ი ს თ ა ვ ი ს ნ ი პ ა ტ რ ო ნ ნ ი ქვეითნი... ჩამოჴდეს ცხენისაგან და პატრონთა მათთა გვერდსა დაუდგეს“)[2].

საქართველოს სამეფოში რამდენიმე მსხვილი საერისთავთსაერისთავო იყო. თამარის დროს „ისტორიანი და აზმანის“ მიხედვით, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა შემდეგი საერისთავთსაერისთავოები: 1. სვანთა საერისთავთსაერისთავო (ერისთავი ბარამ ვარდანისძე), 2. რაჭისა და თაკვერისა (კახაბერ კახაბერისძე), 3. ცხუმისა (ოთაღო შარვაშიძე), 4. ოდიშისა (ბედიანი). დანარჩენი ტერიტორია დასავლეთ საქართველოსი მეფის საუფლისწულო, ანდა ფეოდალისაგან სამეფოდ „ახმული“ ტერიტორია იყო (გურია, სამოქალაქო, არგვეთი).

აღმოსავლეთ საქართველოში, იმავე წყაროს ჩვენებით, შემდეგი მსხვილი საერისთავთსაერისთავოები იყო: 1. ქართლისა (ერისთავი რატი სურამელი), 2. კახეთისა (ბაკურ ძაგანის ძე), 3. ჰერეთისა (ასათ გრიგოლის ძე), 4. სამცხისა (სპასალარი ბოცო ჯაყელი)[3]. დანარჩენი ტერიტორია აღმ. საქართველოსი ან საუფლისწულო იყო, ანდა ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულებს — სანაპიროებს ქმნიდნენ. ამას გარდა, აქვე იყო შექმნილი ანისისა და დვინის საერისთავოები (მხარგრძელებით სათავეში).

---

[1] ძეგლი ერისთავთა, ქრონიკები, II, გვ. 4.

[2] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქ. ცხ., II, გვ. 137.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 33—34.

ერისთავთერისთავის ტიტულისა და ჯელის მქონე აზნაური ცდილობდა ეს თანამდებობა თავისი გვარისათვის სამამულოდ, სამემკვიდრეოდ დაენარჩუნებინა. ერისთავთა ეს ზრახვა მეტწილად მიზანს აღწევდა და ფაქტიურად საერისთავთსაერისთავოს ერთი და იგივე გვარის წარმომადგენლები განაგებდნენ. მაგალითად, კახაბერისძენი რაჭისა და თაკვერის—საერისთავოს, სურამელები — ქართლის საერისთავოს, ჯაყელები—სამცხისას და ა. შ.

საერისთავთსაერისთავო იყოფოდა ცალკე სამთავროებად. მაგალითად, ქართლის საერისთავთსაერისთავოში შედიოდა არაგვისა და ქსნის საერისთავოები.

საერისთავოები, როგორც ითქვა, თავის მხრივ იყოფოდნენ სახევისთავთსახევისუფლოებად. ყველაზე მცირე ერთეული საციხისთავო იყო. საციხისთავო ცალკეულ ხევში შემავალ მიკრორაიონს წარმოადგენდა, რომელიც ერთ სამეთვალყურეო ციხეს ერტყა გარს. მისი ადმინისტრაციული მიკროცენტრი სწორედ ეს ციხე იყო.

წყაროების უქონლობის გამო ჭირს საერისთავთსაერისთავოებში შემავალი საერისთავოების, სახევისუფლოების და სახევისთავოების საზღვრების დადგენა, მით უფრო საციხისთავოთა (რომელთა რიცხვი საკმაოდ ბევრი იქნებოდა ფეოდალურ საქართველოში) არა მარტო ადგილმდებარეობის, არამედ სახელწოდებათა დადგენაც კი.

ჩვენს ხელთ არსებულ დოკუმენტებში რამდენიმე საციხისთავო იხსენიება. როდესაც თამარ მეფემ ანტონ ჭყონდიდელს უბოძა ორი გლეხი სოფ. სხალტბაში შიომღვიმის მონასტრისადმი შესაწირად, მან ეს გლეხები წინასწარ გაათავისუფლა ყოველგვარი გადასახადებისაგან. მეფის ეს აქტი მისმა მოხელეებმაც უნდა დაამტკიცონ: „აწ ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი... ესე ჩვენი: ზედაზნის ციხისთავთა, მპარავთ მძებნელთა, მოხარაჯეთა, მესაბანჯრეთა და ყოველთა საქმის მოქმედთა ჩუენთა, დიდთა და მცირეთა, დაუმტკიცეთ“[1]. ამ კონტექსტით ზედაზნის ციხისთავი გამოდის ისეთ ხელისუფლად, რომლის კომპეტენციაში შედის სხალტბას მცხოვრები გლეხებისაგან სახელმწიფო გადასახადების აკრეფა-შეწერა.

ლაშა გიორგიმ სოფელი აგარა გაათავისუფლა სახელმწიფო ბეგარისაგან და ეს სოფელი მღვიმის მონასტერს მიაკუთვნა. „აწ ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი ესე ჩვენი: საგამგეოისა ჩვენისა მოურავთა, მუხნარისა ციხისთავთა, მეზრეთა, და ყოველთა საქმის მოქმედთა ჩუენთა; დიდთა და მცირეთა, დაამტკიცეთ“[2]. აქაც მუხნარის ციხისთავი გვეელინება იმ ხელისუფლად, რომლის უშუალო გამგეობაში შედის სოფელი აგარა.

---

[1] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, თბ., 1896, გვ. 26.

[2] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, შიომღვიმის სამი სიგელი, თბ., 1912, გვ. 11.

ორივე ამ მაგალითით ციხისთავი ადმინისტრაციული მიკრორაიონის უფროსია და მის კომპეტენციაში შედის არა მარტო ციხის დაცვა (ციხისთავი — უპირველესად ამას გულისხმობს), არამედ აგრეთვე ციხის ირგვლივ მდებარე სოფლებზე გადასახადების აკრეფა-შეწერა და ამ სოფლების მცხოვრებთა შრომით ბეგარაზე გამოყვანა. თითოეული ციხისთავი თავის სამოქმედო რაიონში მოქმედებს მთლიანად სახევისთავოსა და საერისთავოზე დადებულ ნორმათა შესაბამისად.

XII საუკუნეში ქვეყნის ტერიტორიის ზრდამ, შემოერთებული მიწების განსაკუთრებული განმგებლობის საჭიროებამ და მეზობელ ქვეყნებთან მუდმივი საომარი მოქმედებისათვის მზადყოფნის აუცილებლობამ გამოიწვია ახალი ინსტიტუტის — მონაპირეთა ინსტიტუტის დაარსება.

მონაპირე ერისთავი თავის საგამგეოში ისეთივე ერისთავი იყო, როგორც ყველა დანარჩენი. მაგრამ მას სხვებისაგან განსხვავებით ემატებოდა სამხედრო-საომარი ფუნქცია. მონაპირე საერისთავოები, როგორც ამას თვით ტერმინი „მონაპირეც" უჩვენებს, ქვეყნის განაპირა, საზღვრისპირა რაიონებში არსებობდა. ვინაიდან ეს რაიონები ახლად შემოერთებული იყო, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვდნენ, ამას გარდა, როგორც საზღვრისპირა ოლქები. მათი საშუალებით ხდებოდა მეზობელ ქვეყნებზე გამუდმებული მეთვალყურეობა.

მონაპირე საერისთავოები საქართველოს სახელმწიფოს სამხრეთ საზღვრებში დაარსდა მხოლოდ. არც ჩრდილოეთით და არც ჩრდილო-აღმოსავლეთით ასეთი საერისთავოები არ დაარსებულა. ეს მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ ქვეყნის ჩრდილო და აღმოსავლეთი საზღვრები არ მოითხოვდნენ განსაკუთრებულ დაცვას; მათ ესაზღვრებოდა საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყნების მეტად ერთგული ზოლი, რითაც საქართველოს დაცვა ამ მხრივ უზრუნველყოფილი იყო (ჩრდილო კავკასიის ყმადნაფიცი ქვეყნები და შარვან-დარუბანდი).

სამხრეთით კი მდგომარეობა სხვანაირი იყო და ამიტომაც გახდა აუცილებელი ამ ახალი ინსტიტუტის დაარსება.

ბასილ ეზოსმოძღვარი საქართველოს სახელმწიფოს სამხრეთში ასახელებს შემდეგ სანაპირო საერისთავოებს (ჩამოთვლა აღმოსავლეთიდან დასავლეთით): 1. გაგი (ტერიტორია მტკვრის მარჯვენა ნაპირზე შამქორამდე), 2. ჰერეთი (ცენტრი გიში), 3. ზორაკერტ-ტაშირი (ჩრდილო სომხეთი), 4. ჯავახეთი (ცენტრი თმოგვი), 5. არტაანი, 6. შავშეთ-სპერი (ცენტრი ფანასკერტი), 7. კარი.

ბასილ ეზოსმოძღვარი გადმოგვცემს, თუ რა ძირითადი მოვალეობა ჰქონდა მონაპირე ერისთავს: „მონაპირეთა მონახიან საქმე, ანუ ციხე ასაღები, ანუ თურქმანი შემოდგომილი, ანუ ქალაქი განსატეხელი, ანუ ქვეყანა მოსარბეველი, მოაჯსენიან თამარს და მან გასინჯის საქმე იგი და

გამოიკითხის. უკეთუ ღირს იყვის შეყრასა ლაშქართასა, უბრძანის ზაქარიას და ივანეს და შეყარნიან ლაშქარნი... უკეთუ უმცირესი რამე იყვის, მყის შესხნის დარბაზის ერნი თუისნი და ვითარ შავარდენთა, მოისაქმიან"[1].

მონაპირე ამ შემთხვევაში ინფორმატორად გვევლინება. მონაპირისაგან ინფორმირებული მეფე შემდგომი მოქმედების გეგმას დასახავს. მაგრამ ამ მოქმედებაში მონაპირის როლი მნიშვნელოვანია. ზოგ შემთხვევაში მონაპირე ერთპიროვნულად მოქმედებდა. მაგალითად, შავშეთის სანაპიროს ერისთავი ზაქარია „მარტოდ იქმოდა მრავალთა და დიდთა საქმეთა: აიღო ბანა, ხახული და სხუანი მრავალნი სახელოვანნი ციხენი და ადგილნი"[2]. მონაპირის ფხიზელი მოქმედების შედეგად თურქები ვერ ბედავდნენ სახელმწიფოს საზღვრების რაიმე შელახვას: „ქვემოთ, ნაპირის კერძ, გრიგოლის ძენი და უფროსღა ტბელნი და მაჯატლისძენი მონაპირობდეს, რომელთა შიშითა განძას და ბარდავს ყრმა მცირე ვერ აუტირდებოდა დედასა, და ვერცა თურქნი იორის პირსა და მტკვრის პირსა საძოვარსა აწყენდეს"[3].

ისტორიკოსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მონაპირის მოქმედება მეფის ნება-სურვილისა და დასტურის გარეშე გამორიცხული იყო: „ესე ყოველი რა გესმოდის, ნუ ვინ ესრეთ ჰგონებთ, თუმცა თვინიერ თამარისსა რაიმე ქმნილ იყო ვისგანცა"[4].

სანაპირო საერისთავოების მნიშვნელობა მეტად დიდი იყო ქვეყნის დაცვისა და მეზობელ ქვეყნებზე ლაშქრობების საქმეში. სწორედ ამიტომ ხდებოდა, რომ ერისთავნი, „რომელნი შიგნით იყვნეს, იგინი სანაპიროთა იაჯდეს"[5]. სანაპირო საერისთავოები და მონაპირე ერისთავი, როგორც ქართული სინამდვილის ერთ-ერთი გამომხატველი, ნახსენებია „ვეფხისტყაოსანშიც". აქ ავთანდილის სიტყვით მონაპირის მოვალეობა ასეა გამოხატული:

„მე წავიდე, მოვიარო, ვილაშქრო და ვინაპირო,
თინათინის ხელმწიფობა მტერთა თქვენთა გულსა ვგმირო,
მორჩილ-ქმნილი გავახარო, ურჩი ყოველი ავატირო,
ძღვენნი გკადრნე ზედა-ზედა, არ სალამი დავაძვირო"[6].

როდესაც ავთანდილი თავის ნაცვლად შერმადინს ტოვებს, ის მის მოვალეობას შემდეგით საზღვრავს:

---

[1] ბასილ ეზოსმოძღვარი, ქ. ცხ., II, გვ. 130.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე.
[5] იქვე, გვ. 129.
[6] „ვეფხისტყაოსანი", კ. ჭიჭინაძის გამოცემა, სტრ. 152.

„ჩემ წილ დაგაგდებ პატრონად, თავადად ჩემთა სპათასა“[1].
„— ლაშქარსა და დიდებულთა ალაშქრებდი, ჰპატრონობდი,
დარბაზს კაცსა გაგზავნიდი და ამბავსა მათსა სცნობდი;
წიგნსა სწერდი ჩემმაგიერ, უფასოსა ძღვენსა სძღვნობდი“[2].
„სანაპირო გაამაგრე, მტერმან ახლოს არ იბარგა“[3].

პოლიტიკური სიძლიერის კულმინაციის პერიოდში საქართველოს სახელმწიფოს ჭირდებოდა განსაკუთრებული ზომების მიღება საქართველოზე დამოკიდებული ქვეყნების სამართავად.

მას შემდეგ, რაც ერთ სამეფოდ გაერთიანდა საკუთრივ ქართული ტერიტორია და საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში იწყეს შემოსვლა არაქართულმა ტერიტორიებმა, დადგა საკითხი ამ უკანასკნელთა მართვის სისტემის შესახებ. საქართველოს სახელმწიფო არაქართული ტერიტორიების მიმართ ორგვარ პოლიტიკას ატარებდა: ან უშუალოდ იერთებდა მას, ე. ი. „სამეფოდ იჭერდა“ და საკუთრივ სახელმწიფოს საზღვრებში აქცევდა, ანდა ყმადნაფიცის, მოხარკის მდგომარეობაში აყენებდა. პირველ შემთხვევაში შემოერთებული ტერიტორია ქმნიდა გარკვეულ ადმინისტრაციულ ერთეულს, რომლის მეთაურობა მეტწილად ჩაბარდებოდა ადგილობრივი წრიდან გამოსულ ფეოდალს. ასეთი ადმინისტრაციული ერთეულები შექმნეს ანისისა და დვინის მხარეებმა. ზოგჯერ შემოერთებული ტერიტორიის გარკვეულ ნაწილს თვით მეფე იტოვებდა თავის უშუალო გამგებლობაში. ასეთ შემთხვევაში ამ ტერიტორიაზე აკრეფილი გადასახადები სამეფო ხაზინაში შედიოდა, მაშინ როცა საერისთავოდ ორგანიზებული ტერიტორიის მოსახლეობა გადასახადს უხდიდა სამეფო ხელისუფლებასაც და ერისთავსაც. ამდენად, მოსახლეობისათვის გაცილებით სასარგებლო იყო, რომ ტერიტორია „სამეფოდ“ ყოფილიყო „დაჭერილი“ და არა საერისთავოდ, „საპატრონოდ“ გაცემული. ამიტომაცაა, რომ როდესაც ქართველთა ჯარმა ქალაქი კარი აიღო, კარის მცხოვრებლები და ციხოვანნი „ითხოვდეს მშვიდობასა და ფიცსა, რათა არაი განსცეს კარი, ვითარ ანისი და დვინი, არამედ სამეფოდ დაიმჭიროს“[4]. ისტორიკოსის ამ ფრაზაში განმარტებულია თამარის ხანაში შემოერთებულ ტერიტორიებში წარმოებული პოლიტიკის ორი სახე: ერთი — გაცემა, „ვითარ ანისი და დვინი“, მეორე — „სამეფოდ დაჭერა“.

დაპყრობილი ქვეყნების შემოერთებას განსაზღვრავდა თვით ამ ტერიტორიის მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობა. ტერიტორიებს, სადაც ქრისტიანი მოსახლეობა ჭარბობდა, საქართველოს სახელმწიფო

[1] „ვეფხისტყაოსანი“, კ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ი ს გამოცემა, სტრ. 166.
[2] ი ქ ვ ე, სტრ. 167.
[3] ი ქ ვ ე, სტრ. 178.
[4] ბ ა ს ი ლ ე ზ ო ს მ ო ძ ღ ვ ა რ ი, ქ. ცხ., II, გვ. 144.

თავის უშუალო საზღვრებში აქცევდა და იერთებდა. ასეთი იყო, მაგალითად, დასავლეთი შარვანი და ჩრდილოეთი სომხეთი. სხვაგვარად იყო საქმე იმ ქვეყნებში, სადაც ქრისტიანი მოსახლეობა უმცირესობას შეადგენდა. ასეთ ქვეყნებს საქართველოს სამეფო უშუალოდ არ იერთებდა, იქ ისევ ტოვებდა ადგილობრივ ხელისუფლებას, მაგრამ ამ ხელისუფლებას საქართველოს სახელმწიფოსაგან დამოკიდებულ მდგომარეობაში აყენებდა.

დაპყრობილ ქვეყანათა და საქართველოს სამეფოს შორის დამოკიდებულების ორი სახე გამოირჩევა — ესაა ყმადნაფიცობა და მოხარკეობა. ყმადნაფიცი ქვეყანა საქართველოსთან იმდაგვარსავე დამოკიდებულებაშია, როგორც ყმა პატრონის მიმართ. ყმადნაფიცი ქვეყნის მმართველი თავის ქვეყანაში ისეთივე მმართველია, როგორც ყმადნაფიცობამდე იყო, მაგრამ იგი მოვალეა თავის პატრონს (ამ შემთხვევაში საქართველოს სამეფოს, მეფეს) ემსახუროს „მონობითა ყმებრივითა"[1]. ყმებრივი სამსახური კი გამოიხატებოდა მეფისადმი ერთგულებაში, „ნიჭისა და ძღვნის" მიცემასა და საჭიროებისას სამხედრო ძალის გამოყვანაში. პატრონი კი (საქართველოს მეფე) მოვალე იყო დაეცვა თავისი ყმა და აგრეთვე „უბოძის საბოძვართა სიმრავლეს"[2].

ყმადნაფიცის დამოკიდებულებაში იყო საქართველოს მიმართ შარვანი, დარუბანდი და ჩრდილო კავკასიის ტომები: ღუნძნი, ოვსნი, ქაშაგნი, დიდონი, დურძუკნი, ლეკნი. ბასილი ეზოსმოძღვრის თქმით, ყმადნაფიცის მდგომარეობაშია საქართველოს მიმართ „ყოველი მახლობელი სამეფონი გარეშემო ქართლისა". ყმადნაფიცი ქვეყნის საშინაო მმართველობას მეფე არ ცვლის, პირიქით, პატრონი (საქართველო) ცდილობს გააძლიეროს ყმადნაფიცი ქვეყნის მეფეთა ძალაუფლება და თავისუფალი ცხოვრება შეუნარჩუნოს. ამ ქვეყანათა ერთგულების სამაგიეროდ საქართველო უზრუნველყოფს მათ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. ყმადნაფიცი ქვეყნები „თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ (ე. ი. თამარის მიერ — მ. ბ.) იყუნეს და მტერთაგან უზრუნველობასა"[3]. ამ გამოთქმაში მოცემულია ყმადნაფიცისა და მეფის ურთიერთობის არსი — ყმადნაფიცს შინაურ ცხოვრებაში საქართველოს მეფისაგან მინიჭებული აქვს სრული დამოუკიდებლობა „თავისუფლებითი ცხოვრება", საგარეო ურთიერთობაში კი საქართველო მისი დამხმარე და დამცველია „მტერთაგან უზრუნველობასა".

საქართველოსაგან დამოკიდებულ ქვეყანათა მეორე სახეობას შეადგენდა მოხარკე ქვეყნები. ამ ქვეყანათა ძირითადი ვალდებულება საქართველოს მიმართ ყოველწლიური ხარკის გადახდა იყო, „ნათესავსა ზედა

---

[1] ისტორიანი და აზმანი... ქ. ცხ., II, გვ. 39_{17}.
[2] იქვე, გვ. 39.
[3] ბასილ ეზოსმოძღვარი, ქ. ცხ., II, გვ. 147.

თავისუფალსა დადებად ხარკი ყმებური"[1]. ხარკით საქართველოს სამეფოს დიდძალი შემოსავალი შემოსდიოდა. ამასთან დაკავშირებით საქართველოში შემუშავდა ხარკის აკრეფის თავისებური სისტემა. საქართველოს სამეფოს გაზრდასთან დაკავშირებით ცენტრალური ხელისუფლებისათვის ძნელი იყო ცენტრიდან ქვეყნის მართვა, ამიტომ წესად ჰქონდათ შემოღებული მეფის ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა და მართლმსაჯულების იქვე ჩატარება. ამას ემსახურებოდა მეფის რეზიდენციებისა და საჯდომი ადგილების სიმრავლე. ისევე როგორც სამოქალაქო საქმეს, სახელმწიფო საქმესაც მეფე ზოგჯერ ცენტრიდან მოშორებით რომელიმე ცალკეულ მხარეში წყვეტდა. ასევე იყო მოწყობილი ხარკის აღების საქმეც. ხარკის აღების ორგანიზაცია აღწერილია „ისტორიანსა და აზმანში". „ამას შინა იშვებდეს და იხარებდეს სამეფოსა შინა თჳსსა; ჟამ გარდვიდიან აფხაზეთს, განაგიან საქმენი მადაურნი და მოინადირიან კეთილი იგი სანადირო, გეგუთი და აჯამეთი, მერმე გარდმოვიდიან ქართლს, სომხითს და დადგიან დურს. მუნ მოვიდიან ხარაჯითა განძელნი და აღმართ-ქალაქელნი. გაზაფხულს აღმოვლიან სომხითი, მოიღიან ხარაჯა ნახჩევნელთა და წარვიდიან კოლას, თავსა არტაანისასა, და მან მოიღიან ხარაჯა კარნუ-ქალაქით და ეზინკით და სხუათა გარემოსა ქალაქთა"[2].

აქ, გარდა იმისა, რომ ჩამოთვლილია, სახელდობრ, რომელი ქვეყანა იხდიდა ხარკს, ისიცაა გარკვეული, რომელი ქვეყნიდან და რა ადგილას იკრიბებოდა იგი. დურში[3] მეფეს მიართმევდნენ ხარკს განძელი და სხვა აღმართ-ქალაქელნი; სომხითში — ნახიჩევნელები; კოლას — კარნუ-ქალაქელები (ერზერუმი), ეზინკელები და სხვა დასავლეთით მდებარე მოხარკე ქალაქები. გამოდის, რომ მეფე ტერიტორიულად უახლოვდებოდა იმ ქვეყანას, საიდანაც ხარკი უნდა მიეღო. „მეფე ნებივრად იყოფოდა და მოუდიოდა გარეშემოთა დაღმა ხარაჯა და ძღვენი ურიცხვი"[4].

სახელმწიფო ეკონომიკაში, გარდა ხარკისა, დიდი როლი ჰქონდა აგრეთვე მეზობელი ქვეყნების რბევით ნაშოვნ-ნაალაფევს, რომლის ერთი მეხუთედიც მეფის ხაზინაში შედიოდა.

საგარეო ხარკი (ნაალაფევი) და საშინაო გამოსაღებები ქმნიდნენ სამეფო შემოსავლის ჯამს.

გადასახადთა ასაკრებად არსებობდა ფისკალურ მოხელეთა მრავალ-

---

[1] ბასილ ეზოსმოძღვარი, ქ. ცხ., II, გვ. 133.

[2] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 99 — 100.

[3] დურის ადგილმდებარეობა გარკვეული არ არის. ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით, ეს პუნქტი უნდა ყოფილიყო „რანისაკენ მიმავალ გზაზე, სადღაც საქართველოსა და განძის ქვეყნის საზღვრისაკენ საქართველოში" (საქართველოს ისტორიის საკითხები, I, 1964, გვ. 314).

[4] ისტორიანი და აზმანი..., ქ. ცხ., II, გვ. 103.

რიცხოვანი შტატი, რომელიც „დარბაზით გამოსულ“ მოხელეთა რიცხვში შედიოდა და, საბოლოო ანგარიშში, ცალკეული უწყებების ვაზირებს ემორჩილებოდა.

თითოეულ სოფელს, საციხისთავოს, სახევისთავოს, საერისთავოს თავ-თავისი მოხელეები ჰყავდა მიმაგრებული. ეს მოხელეები იმავე იერარქიით ექვემდებარებოდნენ ერთმანეთს, როგორი წესიც არსებობდა ადმინისტრაციული ერთეულების ურთიერთდაქვემდებარებაში.

ფისკალურ მოხელეთა ზოგადი სახელები იყო „მაწყინარი“, „მესაკმარე“ და „მენუკვარი“. სამივე ეს ტერმინი მომდინარეობს თვით გადასახადის ზოგადი სახელისაგან. მაწყინარი — წყენისაგან (წყაროები გლეხზე გადასახადის დადებას „წყენას“ უწოდებდნენ: „თუმცა ვის უკადრებია წყენა“). მესაკმარე მომდინარეობს სიტყვა „საკმარისაგან“, რაც ნიშნავს ზოგად სახელს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროდუქტზე დადებული გადასახადისას, რისი მოხმარებაც შეიძლება, ხოლო ტერმინი „მენუკვარი“ — „ნუკვასაგან“, რაც თხოვას ნიშნავს. გლეხის გადასახადიც თხოვას გულისხმობს[1].

ფისკალურ მოხელეთა კონკრეტული სახელწოდებანი დაცულია ფავნელთა სიგელის მეორე ნაწილში: „...მითავისუფლებიან ყოველთავე ჯელოსანთაგან, მოლარეთაგან, მეულუფეთა, მეჯინიბეთა, მესაბანჯრეთა, მეგოდრეთა, მეჯამეთა, ყოველთავე დარბაზით გამოსულთა ჯელოსანთაგან“[2]. ამ ჩამოთვლით „დარბაზით გამოსულ ჯელოსანთა“ რიცხვში შედიან მოლარე, მეულუფე, მეჯინიბე, მესაბანჯრე, მეგოდრე, მეჯამე.

შემდეგი დროის საბუთებში იხსენიება ახალი მოხელე „პურისა და საკლავის მკრებელი“. ამ მოხელის გვერდით, როგორც გადასახადის ამკრები, იხსენიება „მეულუფე“. რაკი პური და საკლავი, როგორც საგადასახადო ობიექტები, ცალკეა გამოყოფილი, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მეულუფე ღვინის გადასახადის ამკრებს გულისხმობს.

ალექსანდრე I-ის (1412—1443 წწ.) საბუთების დამამტკიცებელ ნაწილებში მოხსენიებულია შემდეგი მოხელეები: „მოსაქმეთა, მეჯინიბეთა, მერემაეთა, მეულუფეთა, პურისა და საკლავის მკრებელთა, ტყუისა მპარავთა, მეულაყეთა, მემეძებრეთა, მესაბანჯრეთა და ყოველივე კარით ჩუენით წარვლენილთა მსახურთა“[3]. აქ ჩამოთვლილ მოხელეთაგან მერემე, მეულაყე, მემეძებრე და მეჯინიბე ფისკალურ მოხელეთა რიცხვს არ

---

[1] უფრო ვრცლად იხ. მ. ბერძენიშვილი, გლეხთა გამოსაღებები XI—XIII სს. საქართველოში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1963, გვ. 131—132.

[2] თ. ჟორდანია, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 3.

[3] წყალობის სიგელი ალექსანდრე მეფისა ავთანდილ ზერდგინიძისადმი, ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 118.

ეკუთვნიან. მათი მოვალეობაა სოფელს ულაყის, მეძებრის, რემის შენახვა-გამოყვანის საქმე გაურიგონ. დანარჩენი მოხელეები კი აშკარად გადასახადის სხვადასხვა სახეობის შემწერ-შემკრებლები ჩანან.

ძირითადი სახელმწიფო გადასახადი ხარაჯა ჩანს. ამ გადასახადის ამკრებს კი მოხარაჯე ეწოდება. ხარაჯის ამკრები მოხელე-მოხარაჯე იხსენიება XIII საუკუნის რამდენიმე საბუთში. ხარაჯა, როგორც ძირითადი გამოსაღები, ნახსენებია „ისტორიანსა და აზმანში": თამარ მეფემ „თავისუფალ ყენა ეკლესიანი ხარაჯისა და ბეგარისაგან"[1]. აქ ხარაჯა ნატურალურ გადასახადს, ე. ი. მიწაზე დადებულ გადასახადს გამოხატავს.

გარდა მიწაზე დადებული გადასახადისა, არსებობდა აგრეთვე საქმიანობაზე დადებული გადასახადიც. ვგულისხმობთ ქალაქის მოსახლეობაზე დადებულ გადასახადს. ქალაქის მოსახლეობა — ვაჭარ-ხელოსნები — სახელმწიფოს ყმებად ითვლებოდნენ და მოვალენი იყვნენ თავიანთი შრომის შედეგის ნაწილი სახელმწიფოსათვის ეხადათ. ამიტომაც ქალაქებიდან სახელმწიფოს დიდძალი შემოსავალი შემოსდიოდა. თამარის ისტორიკოსი მოგვითხრობს თამარის დროს წარმოებული ძლევამოსილი ლაშქრობების შესახებ და აღნიშნავს, რომ იმდენად მრავალი იყო ამ სახის გამარჯვებები, რომ ამ ძლევათა მახარობლებს არც კი ჰყოფნიდათ თბილისიდან შემოსული შემოსავალიო: „დიდად სახელ-განთქმულისა ქალაქისა ტფილისისა შემოსავალი წელიწადისა მასვე და ერთსა წელიწადსა არა ეყვის გასაცემად მახარობელთა ზედა"[2]. ამით ისტორიკოსს სურს დაარწმუნოს მკითხველი მახარობელთაგან ამბის მოტანათა სიხშირეში. თბილისისაგან მიღებული შემოსავალი ისეთი ოდენობისა ყოფილა, რომ მასთან შედარება რაიმესი თავისთავად ააშკარავებდა შესადარებლის სიდიდესაც.

მაგრამ გადასახადებით შეგროვილი შემოსავალი არ იყო ყოველთვის ერთნაირი. სამეფო ხელისუფლება ზოგ სამონასტრო მამულს თუ ცალკეულ ფეოდალს შეუვალობას ანიჭებდა; ამით სახელმწიფო ხაზინაში გადასახადებით შექმნილი შემოსავალი მცირდებოდა. შემოსავალი მცირდებოდა იმითაც, რომ მეფე ზოგჯერ დახარკულ ხალხს, ქვეყანას ხარკისაგან ათავისუფლებდა[3].

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 34₉₋₁₀.

[2] ბასილ ეზოსმოძღვარი, ქ. ცხ., II, გვ. 130.

[3] იქვე. გვ. 142.

თავი მეშვიდე

კულტურა

XI—XII სს-ისა და XIII ს. დასაწყისის საქართველოს კულტურული ვითარება მისი ეკონომიკური და პოლიტიკური წინსვლის შესაბამისი იყო. აღნიშნული ხანის ქართული კულტურა სავსებით შეესაბამებოდა და გამოხატავდა ფეოდალური საზოგადოების ინტერესებსა და მოთხოვნილებებს.

XII ს. საქართველო აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო ცხოვრებაში და მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებთან. ქვეყნის ეკონომიკურმა და სახელმწიფოებრივმა ძლიერებამ ხელი შეუწყო ქართული ფეოდალური კულტურის სწრაფ განვითარებას. აღორძინდნენ კულტურის ძველი ცენტრები, აღმოცენდნენ ახლები; გამოჩნდა მთელი პლეადა საზოგადო მოღვაწეებისა, მეცნიერებისა, მხატვრებისა, მწერლებისა და პოეტებისა, რომლებმაც ახალ სიმაღლეზე აიყვანეს ფეოდალური საქართველოს კულტურა.

„საქართველოს, ძველი ქართული კულტურის გარდა, ამ ხანაში ელინური კულტურის მემკვიდრეობაც საკმაოდ ჰქონდა შეთვისებული... ბერძნულის საფუძვლიანმა ცოდნამ ქართველ მეცნიერებს საშუალება მისცათ ბერძნული თხზულებები ბერძნულადვე წაეკითხათ. ამგვარად. ელინიზმის აყვავებისათვის მათ შესაფერისი მომზადებაც მოეპოვებოდათ და თვით საქართველოშიც ამისათვის ხელშემწყობი პირობებიც ჰქონდათ, რამდენადაც, საქართველოს მაღალი კულტურული დონის წყალობით, არაერთი ის საკითხი, რომელსაც ელინიზმი დასტრიალებდა, საქართველოსათვის საგულისხმო და გასაგები იყო. და ამით აიხსნება, რომ ქართველმა მეცნიერებმა (ექვთიმე ათონელმა, იოანე პეტრიწმა და სხვებმა) არა ერთი ძვირფასი ნაწარმოებები შესძინეს ბიზანტიურ მწერლობას“[1].

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორია, XI—XV საუკუნეები, თბ., 1949, გვ. 91.

საქართველოს, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიჯნაზე მდებარე ქვეყანას, საშუალება ჰქონდა დასავლური ქრისტიანული კულტურის გარდა, ისლამის ნიადაგზე შექმნილ ახალ მეტად თავისებურსა და მრავალფეროვან არაბულ-სპარსულ კულტურასაც გასცნობოდა და ამით თავისი მწერლობა და ხელოვნება კიდევ უფრო გაემდიდრებინა.

ქართულმა კულტურამ უაღრესად დიდი როლი შეასრულა საქართველოს გაერთიანების საქმეში. ამ თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა, თუ რა უნდა ვიგულისხმოთ ცნება „ქართველობაში".

X საუკუნეში, გიორგი მერჩულეს სიტყვით, „ქართლად ფრიადი ქვეყანაჲ აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების", ე. ი. მაშინ „ქართველად" მხოლოდ ორთოდოქსი იგულისხმებოდა. სულ სხვა ვითარება გვაქვს ამ მხრივ XI საუკუნიდან. ეს ფორმულა ამჯერად შინაარსობრივ ერთობ გამდიდრებული ჩანს და „ქართველში" მარტო სარწმუნოებრივი მომენტი კი არა, მთელი ფეოდალური კულტურა იგულისხმებოდა, რომლის იდეალური გამოსახულება „ვეფხისტყაოსანი" იყო. ასე რომ, მერჩულეს ფორმულა ამ დროისათვის სათანადოდ უნდა შეიცვალოს: საქართველოდ ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, სადაც ქართული ფეოდალური კულტურა სუფევს[1], და მართლაც, როდესაც ქართული სტილით და ქართული წარწერებით ეკლესიები შენდებოდა სომხეთში, არსდებოდა კარის, დვინის, ვალაშკერტის, ანისის საეპისკოპოსოები, საფუძველი ეყრებოდა საკათალიკოსოს დაღესტანში ან ოსეთ-ალანებში (თხაბაერდი), ამას აშენებდნენ არა ქართველი მისიონერები, არა საქართველოს სამეფო ხელისუფლება, არამედ ადგილობრივი ფეოდალური საზოგადოება, რომელიც ამ ნიშნით ქართველობას იჩემებდა. მაგრამ მათ ამ ქართველობაში ახლა უკვე, უპირველეს ყოვლისა, ქართული ფეოდალური კულტურა იგულისხმებოდა[2].

აღნიშნული პერიოდის საქართველოში განვითარდა და დაწინაურდა მეცნიერული ცოდნის ისეთი დარგები, როგორიცაა: იურისპრუდენცია, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მედიცინა, გრამატიკა, ასტრონომია. განსაკუთრებით დიდი სიცხოველე, წინსვლა დაეტყო ისტორიოგრაფიას, ფილოსოფიას, მხატვრულ ლიტერატურას, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებას, ხუროთმოძღვრებას, ფერწერას, ჭედურ ხელოვნებას, მუსიკასა და ხელოვნების სხვა დარგებს.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, თბ., 1974, გვ. 90—91.

[2] იქვე, გვ. 91.

§ 1. სწავლა-განათლება და კულტურის ცენტრები

იმ ფაქტორთა შორის, რომელნიც ხელს უწყობდნენ ქართული კულტურის ზრდა-განვითარებას, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა სწავლა-განათლების საქმესაც. ფეოდალური სწავლა-განათლების სისტემა მოიცავდა საერო და სასულიერო სწავლა-აღზრდის სფეროს. აღნიშნულ ხანაშიც სწავლა-განათლების საქმე ეკლესიას ეპყრა და ქრისტიანული იდეოლოგიის შემზღუდველ გავლენას განიცდიდა. სწავლება ძირითადად ეკლესია-მონასტრებთან წარმოებდა და მას, უპირველეს ყოვლისა, პრაქტიკული საქმიანობა ჰქონდა მიზნად, კერძოდ, მწიგნობარი ბერ-მონაზვნის, ეკლესიის მსახურის აღზრდა, ე. ი. ისევე, როგორც ეს ხდებოდა იმდროინდელ ქრისტიანულ სამყაროში საერთოდ. თუმცა, აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ამ დროს საერო განათლების ძლიერი ნაკადი, მისი ხალხური საწყისი შეუჩერებლივ უტევდა შუასაუკუნეობრივ სქოლასტიკას და აზრის თავისუფლებისათვის იბრძოდა.

სწავლა-აღზრდის იმდროინდელი სისტემა ფეოდალური სახელმწიფოსა და გაბატონებული კლასის ინტერესებს ემსახურებოდა.

XI—XII სს-ისა და XIII ს. დასაწყისის საქართველოში კულტურის საერთო დონის განვითარებას სწავლა-განათლების საქმის აღმავლობაც კვალდაკვალ მიჰყვებოდა. კერძოდ, შესამჩნევად დაწინაურებულა ამ პერიოდში სასკოლო განათლება. სკოლები არსებობდნენ ეკლესია-მონასტრებთან, საეპისკოპოსო კათედრებთან და აგრეთვე ცალკეც, როგორც დამოუკიდებელი დაწესებულება.

გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფის ცნობით, გიორგის მშობლებმა, როცა მათი ქალიშვილი თეკლე (გიორგი მთაწმინდელის და) შვიდი წლის შეიქნა, ტაძრისის დედათა მონასტერში (სამცხეს) მიიყვანეს და მის წინამძღვარს ჩააბარეს, რომელმაც „შეითვისა იგი“ და „კეთილად აღზარდა“[1]. როცა გიორგი შვიდი წლისა გახდა, მშობლებმა ისიც ტაძრისში მიიყვანეს. აქ გიორგი იზრდებოდა „მონასტერსა მას შინა, და ისწავლიდა წერილთა საღმრთოთა დედაკაცისა მისგან, აწ უკვე გაზრდილი და განსწავლული „დისა მისისაგან“[2]. დაწყებითი განათლების მისაღებად გიორგიმ ტაძრისში სამი წელი დაჰყო. ათი წლის რომ შეიქნა, ბიძებმა ახლა უკვე ხახულს წაიყვანეს, ლავრისა „მოძღუარს“ და „ეგრეთვე დიდსა ბასილის, ბაგრატის ძესა“ წარუდგინეს, რის შემდეგაც ჩააბარეს „მოძღურე-

---

[1] ცხორებაჲ გიორგი მთაწმიდელისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI—XV სს.), ილ. ა ბ უ ლ ა ძ ი ს რედ., თბ., 1967, გვ. 111.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 112—113.

ბათა შინა“ განთქმულ ილარიონ თუალელს, რომელიც იმ დროს ხახულში დამკვიდრებულიყო და მან გიორგის „წურთა იწყო“[1].

ზემოთ მოტანილი ცნობები აშკარად ცხადყოფენ, რომ ხახული არა მარტო საკულტო-სამონასტრო, არამედ სასწავლო-სასკოლო ცენტრსაც წარმოადგენდა, სადაც საკმაოდ კარგად მომზადებული „მოძღუარნი“ (მასწავლებლები) ეწეოდნენ პედაგოგიურ მოღვაწეობას. საფიქრებელია, რომ ასეთივე სასწავლო დანიშნულების მისია უნდა ჰქონოდა დაკისრებული იმხანად ბევრ სხვა საკულტო-სამონასტრო ცენტრსაც საქართველოში[2].

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ადრეული ხანის დიდ მონასტრებთან (ოშკის, ოპიზას, შატბერდის, ბერთას, ხანძთას, ოთხთთა ეკლესია) ხშირად გვხვდება ფართო მოცულობის მქონე შენობები. აკად. ექვთიმე თაყაიშვილის დაკვირვებით, ეს შენობები მონასტრებთან არსებული სემინარიებისათვის იყო განკუთვნილი, სადაც მომავალ ეკლესიის მსახურთ ამზადებდნენ. მაგალითად, ოშკის მონასტრის კომპლექსში ძირითადი ტაძრის ჩრდილოეთით მდგარი ასეთი შენობა ოთხკუთხა დარბაზია, რომელიც ერთი შეხედვით ქართველი გლეხის დარბაზს მოგვაგონებს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ შენობის დარბაზს ბოძები არა აქვს. თვით დარბაზი საკმაოდ ნათელი ყოფილა. ასეთივე თაღოვანი ოთხი ფანჯრით იყო განათებული ოთხთა ეკლესიის სემინარია და სხვ.[3]. სემინარიების შენობები აღნიშნულ მონასტრებთან ცალკე დგას.

თუ რა საგნები ისწავლებოდა ზემოაღნიშნულ სკოლებში, ამის შესახებ ცნობები შემონახული აქვს გიორგი მცირეს „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში“. როდესაც ბიოგრაფი გიორგი მთაწმიდელის ხახულის მონასტერთან არსებულ სკოლაში სწავლაზე მოგვითხრობს, ამის მიხედვით ირკვევა, რომ ხახულში გიორგისათვის უსწავლებიათ თეოლოგია — „ესრეთ ყოველნივე საღმრთონი წერილნი ძუელსა და ახლისა შჯულისანი, რომელნი ოდენ ჩუენსა ენასა პოვნა, ყოველნივე კეთილად გულად იხუნა“[4]. გარდა ამისა, გიორგისათვის გალობა, ჰიმნოგრაფია უსწავლებიათ. ბიოგრაფის სიტყვით, „უწყეს სწავლათაცა საეკლესიოთა და სამღდელოთა, რომელთა შინა უმეტეს ყოველთა ჰასაკის-სწორთა მისთასა წარემატა. და საგალობელნი იგი საწელიწდონი და შეწყობილებანი იგი გალობათანი ყოველნივე მეყსა შინა ზეპირით დაისწავნა“[5].

---

[1] ცხორებაჲ გიორგი მთაწმიდელისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI—XV სს.), ილ. აბულაძის რედ. თბ., 1967. გვ. 115—116.

[2] ს. გამსახურდია, სწავლა-განათლება ძველ საქართველოში, თბ., 1975, გვ. 37.

[3] Е. Такайшвили, Археологическая экспедиция в южной провинции Грузии, Тб., 1952, с. 55, 86.

[4] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 117.

[5] იქვე, გვ. 116.

რაც შეეხება „სწავლათა საეკლესიოთა და სამღვდელოთას“, ამაში გიორგი მცირეს ნაგულისხმევი აქვს ლიტურგიკა. გიორგი მთაწმინდელის სწავლაზე საუბრისას ბიოგრაფი ცდილობს წარმოაჩინოს მისი მისწრაფება „საეკლესიო სწავლასა“ და თეოლოგიისადმი.

ხახულში გიორგი ათი წლისა მიიყვანეს. აქედან გამომდინარე, ზემოდასახელებული საგნები (რომლებთან ერთად, რა თქმა უნდა, ქართული მწიგნობრობაც უნდა ვიგულისხმოთ) მას 10-დან 12-13 წლამდე შეასწავლეს. „თუ ამ ფაქტს განვაზოგადებთ, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თეოლოგიის, ჰიმნოგრაფიის, ლიტურგიკისა და ქართული მწიგნობრობის შესწავლა ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლებში საშუალო ასაკის მოსწავლეთა მიერ ხდებოდა“[1].

ეკლესია-მონასტრებთან არსებული სკოლები ერთ-ერთი ოფიციალური სახის სკოლები იყო XI — XII საუკუნეების საქართველოში. ამავე დროისათვის გავრცელებული ყოფილა აგრეთვე კერძო სახის საშინაო სწავლება. საშინაო სწავლების ტრადიცია ძველთაგანვე არსებობდა საქართველოში და იგი უმთავრესად სამეფო კარისა და დიდგვარიანი ოჯახის შვილების აღზრდასთან დაკავშირებით გვხვდება.

XII საუკუნეში თამარ მეფის აღზრდას მეთვალყურეობდა მისი მამიდა რუსუდანი. რუსუდანისავე სახლში იზრდებოდა დავით სოსლანი, შემდგომში თამარის ქმარი, რომელიც რუსუდანს „მოეყვანა საზდელად სახლსა შინა მისსა“.

XI—XII სს-ისა და XIII ს. დასაწყისის საქართველოში სასკოლო განათლების დაწინაურებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ამ პერიოდში ქართველებმა კარგად გაიცნეს ბიზანტიური სკოლა. მრავალი ქართველი, განსაკუთრებით დიდგვარიან ფეოდალთა ოჯახების წარმომადგენელნი, დროებით ან სამუდამოდ სახლდება ბიზანტიაში და იქაურ სკოლებში იძენს ბერძნულ სწავლა-განათლებას. მაგალითად, XI საუკუნის დამდეგს, ბაგრატ IV-ის გამეფების პირველსავე წელს, „წარვიდეს აზნაურნი ტაოელნი საბერძნეთს: ვაჩე კარიჭის ძე და ბანელი ეპისკოპოსი იოვანე, და მათ თანა სიმრავლე აზნაურთა ტაოელთა“[2]. ტაოელი აზნაურის ვაჩე კარიჭის ძის ოჯახმა, ბიზანტიის სკოლებში აღზრდილმა, მოგვცა ისეთი შესანიშნავი მოღვაწე, როგორიცაა ეფრემ მცირე. ცნობილია აგრეთვე, რომ გიორგი მთაწმინდელმა საქართველოდან წაიყვანა ბიზანტიაში 80 ყმაწვილი. მართალია, როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავს, გიორგი მთაწმინდელს „განზრახვა ჰქონდა ისინი ივერიის მონასტრის სამსახურისათვის აღეზარდა, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, მათგან არა ერთმა და ორმა მიიღო შესაფერისი

---

[1] ს. გამსახურდია, სწავლა-განათლება ძველ საქართველოში, გვ. 40.
[2] მატიანე ქართლისაჲ, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 291.

განათლება მაშინდელი ბიზანტიის სკოლებშიც"[1]. სომეხი ისტორიკოსის ვარდან დიდის ცნობით, დავით აღმაშენებელმა საბერძნეთში გაგზავნა 40 ახალგაზრდა იქაურ სკოლებში სწავლის მისაღებად და მთარგმნელობით ხელოვნებაში გასაწვრთნელად[2].

ისეთ სკოლებს, როგორსაც ადგილი ჰქონდა ბიზანტიაში, საფიქრებელია, რომ თვით ქართველებიც მოაწყობდნენ საქართველოში[3] და, რა თქმა უნდა, ეცდებოდნენ, რომ ქართული სკოლებიც თავისი სასწავლო-პედაგოგიური და სამეცნიერო მიღწევებით იმ დონეზე ყოფილიყო, რა დონეზედაც იყო სკოლა მაშინდელ მოწინავე ქვეყანაში — ბიზანტიაში.

დღეისათვის ქართულ მეცნიერებაში საცილობელი აღარაა, რომ XII საუკუნის საქართველოში არსებობდა უმაღლესი სკოლები, აკადემიები. ერთ-ერთ ასეთ უმაღლეს სკოლას წარმოადგენდა გელათის აკადემია.

გელათი დავით აღმაშენებლისავე ხანაში თვალსაჩინო სასწავლო-სამეცნიერო ცენტრად იყო მიჩნეული. მონასტრის დამაარსებელმა დროულად დაიჭირა სათანადო თადარიგი და განსწავლული პირები მიიწვია იქ, საქართველოსა თუ უცხოეთში მოღვაწე გამოჩენილ ქართველ მწიგნობრებს თავი მოუყარა და შემოქმედებითი მუშაობისათვის უაღრესად ხელსაყრელი პირობები შეუქმნა მათ. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, დავითმა „მუნვე შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა, არა თჳსთა ოდენ სამეფოთა შინა პოვნილნი, არამედ ქუეყანისა კიდეთათ სადათცა ესმა ვიეთმე სიწმიდე, სიკეთე, სისრულე, სულიერთა და ჯორციელთა სათნოებითა აღსავსეობა, იძინა და კეთილად გამოიძინა, მოიყვანნა და დაამკვიდრნა მას შინა". „მამული ლიპარიტეტი" შესწირა და მონასტერში დამკვიდრებულთ „უზრუნველი ტრაპეზი განუჩინა"[4].

მემატიანის თხრობიდან ნათლად ჩანს, რომ დავითს გელათის მონასტრის დაარსებისას ფართო მიზანი ჰქონდა დასახული. ის საფუძველს უყრიდა და ქმნიდა არა მხოლოდ საკულტო დაწესებულებას, არამედ კულტურულ-საგანმანათლებლო და სასწავლო-სამეცნიერო შემოქმედების დიდ ცენტრს.

ცნობილია, რომ დავით აღმაშენებლის ხანამდეც მონასტრები ფეოდალური საქართველოს კულტურულ განვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობის როლს ასრულებდნენ. მონასტრები საშუალო საუკუნეების საზოგადოების სწავლების ცენტრებს წარმოადგენდნენ, არაერთი მონას-

---

[1] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I[3], გვ. 71.

[2] ვარდან ბარძრბერდელი, მსოფლიო ისტორია, გამოცემული მ. ემინის მიერ, მოსკოვი, 1861, გვ. 157 (სომხურ ენაზე).

[3] კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 71.

[4] დავითის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 330.

ტერი იყო ამ დროს საქართველოში და მის გარეთ (პალესტინაში, სირიაში, ბიზანტიაში, ბულგარეთსა და სხვაგან), სადაც დიდი წარმატებით იყო გაშლილი შემოქმედებითი მუშაობა შუასაუკუნეობრივ საქრისტიანო მეცნიერებაში. ენა, ლიტერატურა, ისტორია, პოეზია, ფილოსოფია, ფილოლოგია და ცოდნის სხვა დარგები ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა ცხოველი ინტერესის საგანს წარმოადგენდნენ. ქართველი ფეოდალური საზოგადოება დიდ ყურადღებას იჩენდა ქართული ქრისტიანული მეცნიერების წარმატებისადმი და ესა თუ ის სასულიერო მოღვაწე-მეცნიერი ყოველთვის დიდი სახელითა და პატივისცემით სარგებლობდა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან საერო ხელისუფალნი, ბუნებრივია, ცდილობდნენ ქრისტიანული სწავლების ეს ავტორიტეტული წარმომადგენლები თავიანთ თანაშემწეებად ჰყოლოდათ ქვეყნის მართვა-გამგეობაში. სავსებით გასაგებია, რომ დავით აღმაშენებელმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ცხოვრების ამ მხარეს. მაგრამ ის, რაც დავითმა გელათის აშენებით დააპირა, არსებითად განსხვავდებოდა აქამდე არსებული პრაქტიკისაგან. დავითი შეეცადა ყოველივე ამის „ორგანიზებას ქვეყნის ცენტრალისტურად გაერთიანების სამსახურად. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ახალგაზრდა მეფეს, ის ამ დროს 30 წელს ძლივს იყო მიღწეული, ეს დიდი საქმე განუზრახეს მისმა უერთგულესმა მრჩეველ-თანაშემწეებმა საერო თუ საეკლესიო პოლიტიკის საქმეებში, — გიორგი მწიგნობართუხუცესმა და სხვა მონაზვნებმა. და მოწიფულ საქმეს თავი მოება. გონებრივ მუშაკთა საუკეთესო ძალები შემოკრიბეს ყველა იმ ადგილებიდან, სადაც კი ქართველები მოღვაწეობდნენ. დაარსდა აკადემია — გონებრივი ცენტრი ქართული ქრისტიანული მეცნიერებისა. გასაგებია, თუ რაოდენ არსებითი და მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო ეს ავტორიტეტი იმ დიდი საქმის შესრულებისათვის (ქვეყნის ცენტრალისტურად გაერთიანება და თურქთა განდევნა), რომელიც დავითმა წამოიწყო“[1]. მრავალგან დაქსაქსული კულტურული კერების ნაცვლად ერთი კერა შეიქმნა, საუკეთესო ძალები შემოკრებილ იქნა და პირდაპირ ჩადგა გაერთიანებული ქვეყნის კულტურის სამსახურში.

დავითის ისტორიკოსი გელათის აკადემიის შესახებ წერს, რომ იგი არის „ყოვლისა აღმოსავალისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა საღმრთოთა შინა წესთა, დიაკონად ყოვლისა საეკლესიოსა შუენიერებისად“[2]. ეს ცნობა გვაძლევს იმის სრულ საფუძველს, რომ გელათი მივიჩნიოთ როგორც საერო-ფილოსოფიური მეცნიერების (ათენი),

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, თბ., 1974, გვ. 40-41.

[2] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 330-331.

ისე სასულიერო-საეკლესიო განათლების (იერუსალიმი) თვალსაჩინო ცენტრად. ისტორიკოსი გელათს ათენზე მაღლაც კი აყენებს. „ის გელათს ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორედ იერუსალიმად სახავს. იერუსალიმი არა მარტო ყოვლისა აღმოსავლისა, არამედ ყოვლისა დასავლეთისა თუ ქვეყნის ყველა მხარეთა სიბრძნის წყარო იყო. ასე რომ ჩვენი ისტორიკოსი ამბობს, რომ გელათი ყოველ აღმოსავლეთში (მთელ აღმოსავლეთში) იერუსალიმობას გასწევს, ათინობას გასწევს. ასე რომ გელათის დანიშნულება და როლი საქართველოთი როდი ამოიწურება, ის მთელ აღმოსავლეთს მიჰფენს ქრისტიანულ სწავლას, ქრისტიანულ მეცნიერებას. ასეთი ფართო მიზნების სამსახურში ეხატებოდათ, ჩანს, დავითს და მის თანაშემწეებს გელათი მისი აკადემიით. მეცნიერების სწავლების ცენტრი სჭირდებოდა ახალ ქრისტიანულ ქართულ პოლიტიკურ ერთეულს, რომელიც ახლო აღმოსავლეთში ბიზანტიის მონაცვლეობას ლამობდა“[1].

ისტორიულ წყაროებში (მაგალითად, შემოქმედის გულანის მინაწერში) დაცული ცნობების მიხედვით, დავითი 1106 წელს შეუდგა გელათის ანსამბლის მშენებლობას[2]. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს გელათის მონასტრის მშენებლობის დაწყების შესახებ ამბავი 1103—1110 წლებს შუა აქვს მოთხრობილი. გელათის მონასტრის მშენებლობა კარგა ხანს გაგრძელებულა. დავითს მისი დამთავრება ვეღარ მოუსწრია. თავის ანდერძში ის გულისტკივილით აღნიშნავს, რომ დაუმთავრებელი დარჩა წამოწყებული მშენებლობა. მონასტრის მშენებლობის დასრულება დავითმა თავის ვაჟს დემეტრე I-ს (1125—1156) დაავალა და უანდერძა: „ხოლო დამრჩა მონასტერი სამარხავი ჩემი და საძვალე შჳლთა ჩემთა უსრულად და წარმყუა მისთჳსცა ტკივილი სამარადისო. აწ შჳლმან ჩემმან მეფემან დიმიტრი სრულჰყოს ყოვლითურთ საუკუნოდ ჩემთჳს და მისთჳს და მომავალთა ჩემთათჳს“[3]. საფიქრებელია, 1125 წლისათვის, როდესაც დავით აღმაშენებელი გარდაიცვალა, მონასტრის მშენებლობის დასრულებას ბევრი აღარაფერი აკლდა. ყოველ შემთხვევაში, დავითის მემატიანე, რომელიც თავის თხზულებას 1123—1126 წლებში წერდა[4], გელათის ტაძარს დამთავრებულად ასახელებს და მას ხოტბასაც კი ასხამს. ყოველივე ეს შესაძლებელს ხდის, რომ მშენებლობის დასასრული დაახლოებით 1126 წლით დათარიღდეს. აქედან გამომდინარე, საგულისხმოა, რომ მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობა გელათში ადრევე, დავითის სიცოცხლეშივე გაჩაღდა. სწავლულმა და განათლებულმა მეფემ აღარ დაუცადა

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, გვ. 42.

[2] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 238-239.

[3] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 52.

[4] ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 208-211.

მონასტრის მშენებლობის დასრულებას და ქართველ მწიგნობრებს ადრევე მოუყარა თავი[1].

გელათის აკადემია თავის კედლებში აერთიანებდა ქართული კულტურის ყველაზე უფრო გამოჩენილ და პროგრესულ წარმომადგენლებს. XII საუკუნეში იგი გადაიქცა ქართული რენესანსის ერთ-ერთ მძლავრ კერად. ამით აიხსნება ის დიდი ავტორიტეტი, რომლითაც ის სარგებლობდა. ცნობილი ქართველი მეხოტბე პოეტი იოანე შავთელი გელათს რომსა და ელადას ადარებს:

„ახალო რომო, შენთვის თქვეს, რომო უფროს იქმნესო მყოფთა ყოველთა:
ვნატრი ელადსა, თვით მას გელათსა, სად რომ დაჰკრძალვენ წმიდათ სხეულთა“[2].

გელათის აკადემიაში დავით აღმაშენებელმა მოიწვია ქართული კულტურის წარმომადგენლები, რომელნიც იმ დროს ათონის, პეტრიწონის, აგრეთვე კონსტანტინოპოლის და ბიზანტიის სხვა აკადემიებში მოღვაწეობდნენ. მოწვეულთა შორის იყვნენ: იოანე პეტრიწი, თეოფილე ხუცესმონაზონი, იოანე ტარიჭისძე[3] და სხვები, რომელთაც გელათში მეტად ნაყოფიერი სამეცნიერო-ფილოსოფიური მოღვაწეობა გაშალეს.

ქართულ წყაროებში შემონახული ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ გელათის აკადემიას საგანგებო თანამდებობის პირი ხელმძღვანელობდა, რომელიც „მოძღუართ-მოძღუარის“ ტიტულს ატარებდა. „იგი მეცნიერი ბერია. უფლებით და ავტორიტეტით მოძღვართ-მოძღვარი მაღლა დგას კორპორაციის ყველა ადმინისტრაციულ და საეკლესიო ხელისუფლებაზე, მათ შორის მონასტრის წინამძღვარზეც“[4]. მოძღვართმოძღვარს მთელს საქართველოში უდიდესი პატივისცემა ჰქონდა მოპოვებული, უაღრესად განათლებული პირი იყო. იგი აშკარად გელათში ზის და არის იქ არსებული აკადემიის უფროსი, ანუ, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, „რექტორი“[5]. გელათის მოძღვართმოძღვარი, როგორც აკადემიის რექტორი, დიდმოხელე სასულიერო პირთა (ეპისკოპოსი, „კათალიკოზნი

---

[1] ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვ. II, თბ., 1962, გვ. 532.

[2] აბდულმესიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, II, შედგენილი ს. უ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, თბ., 1949, გვ. 209.

[3] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, გვ. 225, 249.

[4] ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, გელათი, თბ., 1955, გვ. 79.

[5] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, ხელმწიფის კარის გარიგება, ტფილისი, 1920, გვ. XXXII.

ქართლისა და აფხაზეთისა“ და სხვ.) შორის ყველგან პირველი იხსენიება. „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, მას მათზე მეტი უფლება და პატივი აქვს მინიჭებული. მაგალითად, დიდ დარბაზზე დასასწრებლად მოძღვართმოძღვარს საგანგებოდ ეგზავნება ერთი ჯორი და სამი ცხენი (ორი ცხენი მოწაფეებისათვის), დარბაზში პირველად ის შედის, შემდეგ კი კათალიკოსი. მეფეც ყველაზე მეტი პატივისცემით მას ესალმება („მეფე ნოხთა პირსა მოეგებოს და მიესალმოს“), ვიდრე კათალიკოსებს და ჭყონდიდელს[1].

აქვე ის ფაქტიც უნდა აღინიშნოს, რომ „მოძღუართ-მოძღუარი“ სრულიადაც არ გულისხმობდა „მოძღვრების“ მოძღვარს. „ამ ცნებაში „მოძღვარი“ ნაგულისხმევია აღმატებით ხარისხში. ე. ი. „მოძღვარი“, რომელიც ყველაზე წარჩინებულია, ჩვეულებრივ მოძღვარზე მეტად ნასწავლია („მოძღვარი“ ძველად მასწავლებელს ნიშნავდა)... „მოძღვარი“ ძველ მონასტრებში მეცნიერ ბერს ეწოდებოდა, რომელსაც მოწაფეები ჰყავდა და მათ მეცნიერებას, მწერლობას და რაიმე ხელოვნებას ასწავლიდა. გელათის მოძღვართმოძღვარიც ასეთივე მასწავლებელი იყო, მაგრამ ჩვეულებრივ მოძღვრებთან შედარებით მას უფრო მეტი ცოდნა ჰქონდა და სკოლის უფროსიც იყო“[2].

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ტერმინი „მოძღუართ-მოძღუარი“, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ძალზე ენათესავება ბიზანტიური უმაღლესი სკოლის მეთაურის („დიდასკალოს ტონ დიდასკალონ“) სახელწოდებას[3].

ჩვენამდე მოღწეულ ისტორიულ წყაროებში XII საუკუნის საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის არსებობის შესახებ ერთადერთი პირდაპირი და უტყუარი ცნობა მხოლოდ გელათის აკადემიას ეხება.

არსებობს გვიანდელი ხანის ცნობები იმის შესახებ, რომ XII საუკუნის საქართველოში, გარდა გელათისა, უმაღლესი სასწავლებელი არსებობდა იყალთოში აკადემიის სახით, რომელსაც არსენ იყალთოელი ხელმძღვანელობდა. იყალთოში ქართული უმაღლესი სკოლის არსებობის ფაქტზე მიუთითებენ დავით რექტორი[4] და თეიმურაზ ბაგრატიონი[5]. იყალთოში აკადემიის არსებობის შესახებ მტკიცე ხალხური გადმოცემაც არსებობს. იმ ფაქტს, რომ XII საუკუნეში იყალთოში არსებობდა უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულების შენობა, ადასტურებს ის ნაგებობა, რომელიც ნანგრევების სახით დღემდე დაცულია სოფელ იყალთოში. ყველა

---

[1] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, ხელმწიფის კარის გარიგება, ტფილისი, 1920, გვ. 13 (23).
[2] ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 80.
[3] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გელათის აკადემია, თბ., 1948, გვ. 18.
[4] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები, I, გვ. 94.
[5] თ ე ი მ ურ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, ისტორია იერიისა, სპბ, 1848, გვ. 282—283.

ამ ზემოაღნიშნული მონაცემის გათვალისწინების საფუძველზე ქართულ მეცნიერებაში უკვე საეჭვო აღარაა, რომ იყალთოს ღვთაების მონასტრის გალავნის შიგნით, სამხრეთ ნაწილში დაცული გრძელი ორსართულიანი სამოქალაქო ნაგებობა, რომელსაც აღმოსავლეთიდან საწნახელი ეკვრის, არის ქართული საერო ხუროთმოძღვრების ღირსშესანიშნავი ძეგლი — XII საუკუნის ქართული აკადემიის შენობა.

გადმოცემით, უმაღლესი სკოლა უნდა არსებულიყო გრემშიც, მაგრამ ამის შესახებ რაიმე ძველი სარწმუნო წერილობითი წყარო ან დოკუმენტური მოწმობა არ მოგვეპოვება.

ისმის კითხვა: რა საგნები ისწავლებოდა ქართულ უმაღლეს სკოლებში?

მკვლევართა აზრით, გელათისა და იყალთოს აკადემიებში ძირითადად სწავლების ისეთივე სისტემა უნდა ყოფილიყო შემოღებული, როგორიც საერთოდ იმდროინდელ ქრისტიანულ აღმოსავლეთში. კერძოდ, ბიზანტიაში უმაღლესი სკოლის სასწავლო გეგმაში შვიდი დისციპლინა იყო საყოველთაოდ სავალდებულო. ეს სამეცნიერო დისციპლინები გახლავთ ე. წ. trivium — quadrivium-ის (სამი+ოთხი) ციკლი: გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა, რიტორიკა, გრამატიკა, ფილოსოფია, ასტრონომია. „ამ შვიდი დისციპლინის სწავლება სავალდებულო იყო ყველგან, მაგრამ ამა თუ იმ სასწავლებელში, ადგილობრივი საჭიროებისდა მიხედვით, შეიძლებოდა დამატებითი საგანი ყოფილიყო გეგმაში შეტანილი. ჩვენ ვიცნობთ ბიზანტიის უმაღლესი სკოლების ისეთ გეგმას, სადაც, იმ შვიდი დისციპლინის გარდა, იყო მედიცინა; ზოგან შეტანილი იყო (მაგალითად, ბეირუთში) სამართლის მეცნიერება, სხვაგან კიდევ სხვა“[1]. რაც შეეხება საქართველოს უმაღლეს სკოლებს, ქართულ წყაროებში დაცული ცნობების საფუძველზე მკვლევარნი გამოთქვამენ ვარაუდს, რომ აქ, კერძოდ, გელათში, სავალდებულო უნდა ყოფილიყო ზემოხსენებული შვიდი დისციპლინა. ასეთი ვარაუდის გამოთქმისას მკვლევართ მხედველობაში აქვთ იოანე პეტრიწის ორიგინალური ფილოსოფიური ნაწარმოები „განმარტება პროკლე დიადოხოსის და პლატონური ფილოსოფიისათვის“, რომლის ბოლოსიტყვაობაშიც იგი დაწვრილებით მსჯელობს ზემოაღნიშნულ შვიდ სამეცნიერო დისციპლინაზე, თუ რომელი მათგანი რისთვის არის საჭირო, რომელი მათგანი რა დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას ქმნის[2].

პეტრიწი ჯერ trivium-ში შემავალ დისციპლინებზე — გეომეტრიაზე (ქვეყნის სამზომლო), არითმეტიკაზე (რიცხუნი) და მუსიკაზე (სამუსო)

---

[1] ს. ყაუხჩიშვილი, ქართული უმაღლესი სკოლები შოთა რუსთაველის ეპოქაში, „სკოლა და ცხოვრება“, 1966, № 9, გვ. 34.

[2] იოანე პეტრიწის შრომები, ტ. II, თბ., 1937, გამოცემა შ. ნუცუბიძისა და ს. ყაუხჩიშვილისა, გვ. 207-227.

მსჯელობს, რომლებიც საღვთისმეტყველო განათლების პირველ ციკლად აქვს წარმოდგენილი. ცოტა უფრო ქვემოთ იოანე პეტრიწი მეორე ციკლის (quadrivium) თითოეული სამეცნიერო დისციპლინის (ღრამატიკოსობა, რიტორობა, ფილოსოფოსობა, ვარსკვლავთმრიცხუელობა) განმარტებას იძლევა.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: რაში დაჭირდა იოანე პეტრიწს ეხსენებინა ეს შვიდი დისციპლინა (ქუეყნის სამზომლოჲ, რიცხუნი, სამუსოჲ, ღრამატიკოსობა, რიტორობა, ფილოსოფოსობა, ვარსკვლავთმრიცხუელობა)? სავსებით ნათელია, რომ მან საქრისტიანო დებულებების განსამარტავად მოიშველია სწორედ ის დისციპლინები, რომლებიც ისწავლებოდა გელათის აკადემიაში, ე. ი. იქ, სადაც სხვებთან ერთად მანგანის აკადემიაში აღზრდილი იოანე პეტრიწი თვითონაც მოღვაწეობდა. „სხვა გამართლება არ შეიძლება ჰქონდეს ფილოსოფიური ტრაქტატის დასკვნით ნაწილში მსჯელობას შვიდი დისციპლინის შესახებ: ეს ის ტრივიუმ-კვადრივიუმია, რომელიც წარმოადგენდა უმაღლესი განათლების საფუძველს ყველგან მაშინდელ მსოფლიოში, მათ შორის გელათშიც"[1].

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი trivium quadrivium-ის საგნებისა, გელათის აკადემიაში, როგორც ჩანს, მედიცინაც ისწავლებოდა. მკვლევართა აზრით, XIII საუკუნის დასაწყისში თარგმნილი სამედიცინო ხასიათის „წიგნი სააქიმოჲ", სასწავლო დანიშნულების სახელმძღვანელო ნაშრომი უნდა ყოფილიყო, რომელიც ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში, კერძოდ, გელათში, მედიცინის საგნის სწავლებასთან დაკავშირებით იხმარებოდა[2]. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ერთი მეტად საგულისხმო ფაქტი. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, როგორც კი დაამთავრებს თხრობას გელათის მონასტრისა და აკადემიის აშენების შესახებ, იქვე უმალ დასძენს: „აღაშენა ქსენონი ადგილსა შემსგავსებულსა და შუენიერსა, რომელსა შინა შეკრიბნა ძმანი თვითოსახითა სენითა განცდილნი"[3], ესე იგი: დააარსა საავადმყოფო სხვადასხვა სენთა სამკურნალოდო. და აი, ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებით, ეს ქსენონი („საავადმყოფო") დაარსებულ იქნა გელათში, როგორც კლინიკა (ანუ პოლიკლინიკა: შდრ. „თვითოსახითა სენითა", ე. ი. სხვადასხვა დაავადებათა), რომელიც ემსახურებოდა გელათის აკადემიის სამედიცინო კათედრას[4].

XII საუკუნის ქართულ უმაღლეს სკოლებში სწავლა-განათლების საქ-

---

[1] ს. ყაუხჩიშვილი, ქართული უმაღლესი სკოლები შოთა რუსთაველის ეპოქაში, გვ. 35.

[2] მ. შენგელია, რუსთაველი და გელათი, ჟურნ. „ცისკარი", 1968, № 12, გვ. 131.

[3] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 331.

[4] ს. ყაუხჩიშვილი, ქართული უმაღლესი სკოლები შოთა რუსთაველის ეპოქაში, გვ. 35.

მე თავისი დროისათვის მაღალი აკადემიური დონით ხასიათდებოდა. ეს სკოლები თავის მეცნიერულსა და პრაქტიკულ საქმიანობას აწარმოებდნენ იმდროინდელი პროგრესული იდეების საფუძველზე.

განათლების, ლიტერატურული შემოქმედებისა და, საერთოდ, ქართული კულტურის განვითარების საქმეში დიდი როლი ენიჭებოდა აგრეთვე აღნიშნული ეპოქის საზღვარგარეთულ ქართულ სავანეებს. მეტად ფართოა ამ საზღვარგარეთული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრების ქსელი: დაწყებული განაპირა სამხრეთით — სინას მთა, პალესტინა, იერუსალიმი, კვიპროსი, შავი მთა ანტიოქიის მახლობლად (სირიაში), რომანა კონსტანტინოპოლის ახლოს და დამთავრებული ათონის მთით ქალკედონის ნახევარკუნძულზე. აქ მოღვაწეობდა მთელი პლეადა გამოჩენილ ქართველ მთარგმნელთა, მწერალთა, ფილოლოგთა და სხვა მეცნიერთა; მათი შრომების წყალობით იმდროინდელმა ქართულმა განათლებულმა საზოგადოებამ ზედმიწევნით იცოდა ყოველივე ის ახალი და ფუნდამენტური რამ, რაც ბიზანტიასა და მახლობელი აღმოსავლეთის ქრისტიანულ სამყაროში იქმნებოდა.

ქართული ფეოდალური სახელმწიფოს მესვეურნი დიდ ყურადღებას აქცევდნენ სწავლა-განათლებისა და კულტურის ცენტრების გამრავლებას. ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელი იყო დიდად განათლებული პიროვნება, ქრისტიანულ ბერძნულ-რომაულსა და მუსლიმანურ არაბულ-სპარსულ კულტურას თანაბრად ზიარებული, თვითონაც შემოქმედი, ეროვნული კულტურის განვითარებისათვის თავდადებულად მზრუნველი. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი საგანგებოდ გვაუწყებს: დავითმა „ლავრანი და საკრებულონი და მონასტერნი არა თჳსთა ოდენ სამეფოთა, არამედ საბერძნეთისნიცა, მთაწმიდისა და ბორღალეთისანი, მერმეცა ასურეთისა და კუიპრისა, შავი მთისა, პალესტინისანი, აღავსნა კეთილითა, უფროსღა საფლავი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, და მყოფნი იერუსალემისანი თჳთოფერთა მიერ შესაწირავთა განამდიდრნა. კუალად უშორესცა ამათსა: რამეთუ მთასა სინასა... აღაშენა მონასტერი, და წარსცა ოქრო მრავალათასეული... და წიგნები საეკლესიაო სრულებით“[1].

დიდ ყურადღებასა და ზრუნვას იჩენდა საზღვარგარეთული კულტურის ცენტრებისადმი თამარიც. იგი იქაურ ქართველებსა და მათ სავანეებს უხვ შესაწირავებს უგზავნიდა. ბასილ ეზოსმოძღვარი წერს, რომ თამარი „წარავლენდის სარწმუნოთა თჳსთა და დაავედრის ესრეთ: „იწყეთ ალექსანდრიით ყოვლისა თანა ლუბიისა, სინისა მთისა“, და მათ კერძოთა ეკლესიათა, მონასტერთა და ერთა ქრისტიანეთა მოიკითხვიდის. ხოლო

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 352—353.

იერუსალიმისათჳს რადღა საჴმარ არს თქმად, რამეთუ წარგზავნიდის ამათ ყოველთა შინა ეკლესიათა ბარძიმ-ფეშხუმებსა, და სიწმიდეთა საბურავებსა და მონაზონთა და გლახაკთათჳს ოქროთა აურაცხელთა"[1].

საზღვარგარეთ მრავალრიცხოვანი ქართული სავანეების არსებობა ქართველთა პოლიტიკური გავლენის ნათელი დადასტურებაც იყო საერთაშორისო ასპარეზზე. უცხოეთში არსებული ეს სავანეები განსაკუთრებულ ზრუნვასა და დაცვას მოითხოვდა. დავით აღმაშენებლისა და თამარის ხანის საქართველოს საამისოდ პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაც კარგად შესწევდა.

ამ პერიოდის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან და მსხვილ საზღვარგარეთულ ცენტრებად უნდა ჩაითვალოს: ივერიის მონასტერი ათონის მთაზე, შავი მთა (ანტიოქიის მახლობლად, სირიაში), ჯვრის მონასტერი (პალესტინაში) და პეტრიწონის მონასტერი (დღევანდელ ბულგარეთში).

ქართული კულტურის სახელგანთქმული ცენტრი ათონის ივერიის მონასტერი დაარსებულია X საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი ქართველი მოღვაწეების იოანე და ექვთიმე ათონელების მიერ. მათ შემდეგ, XI საუკუნეში, გიორგი ათონელის დროს მონასტერმა მიაღწია თავისი აყვავების უმაღლეს საფეხურს და გადაიქცა ლავრად, მსხვილი სამეცნიერო-სასწავლო ცენტრით, რომელიც ცნობილია აგრეთვე ათონის აკადემიის სახელით. აქ „თავმოყრილი იყო ქართველთა საუკეთესო კულტურული ძალები, რომელთაც მიზნად დაისახეს გაეცნოთ თავიანთ თანამემამულეთათვის დასავლეთის ლიტერატურული სიმდიდრე და მემკვიდრეობა. აქ ითარგმნა და გადაიწერა მომეტებული ნაწილი იმ ლიტერატურული განძეულობისა, რომლითაც სამართლიანად ამაყობს ჩვენი ძველი მწერლობის ისტორია. აქ, ათონზე, შეიქმნა და ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სალიტერატურო, საგრამატიკო და საკალიგრაფიო სკოლა, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენს წარსულში. ერთი სიტყვით, არც ერთ სამონასტრო დაწესებულებას ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონია ჩვენი მწერლობისა და კულტურის ისტორიაში, როგორიც ათონის ივერიის მონასტერს"[2].

და აი სწორედ აქ, ათონზე მთელი სიდიადით გამოავლინა გიორგი მთაწმინდელმა (1009—1065 წწ.) თავისი დიდი ნიჭი. გიორგის პრაქტიკულ-ორგანიზატორული მოღვაწეობა სცილდება მონასტრის კედლებს და ფართო სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას იღებს.

გიორგი ათონელი (მთაწმინდელი) გამოჩენილი მწიგნობარი და პრაქ-

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 141.

[2] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, 1[3], გვ. 88—89; მისივე, ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან, თსუ შრომები, VI, გვ. 139—160; მისივე, ეტიუდები, II, გვ. 218-236.

ტიკული მოღვაწე ათონის ლიტერატურული ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელია. ექვთიმე ათონელის საქმის ღირსეული განმგრძობი, იგი წარმატებით აგრძელებს მის ფართო წამოწყებას ქართული მწერლობის თარგმანებითა და ორიგინალური ნაწარმოებებით გამდიდრებისათვის. გიორგი ათონელისა და ათონის მთაზე მოღვაწე სხვა ქართველი სწავლულების საოცარი ენთუზიაზმის შედეგად XI—XII საუკუნეებში ჩვენში უკვე თარგმნილი იყო მსოფლიო კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლები, რაც უაღრესად დიდი კულტურული მოვლენა იყო და მნიშვნელოვანი ფაქტორი ეროვნულ-ორიგინალური მწერლობისა და მეცნიერების განვითარებისათვის.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გიორგი ათონელის პატრიოტული მოღვაწეობა. იგი მედგრად იდგა ქართული ეკლესიისა და სახელმწიფოს ინტერესების დაცვის სადარაჯოზე. საქმე იმაშია, რომ ათონის მონასტრის შესანიშნავმა ტაძარმა და იქ გაშლილმა ფართო მასშტაბის მოღვაწეობამ თავიდანვე მიიპყრო უცხოელთა ყურადღება, ხოლო ბერძენ ბერებს გაუჩნდათ სურვილი ამ ტაძრის მითვისებისა. ბერძნებმა დაიწყეს ყოველნაირი შევიწროება ქართველი ბერებისა, სურდათ რა მათი გამოძევება ათონიდან და აგრეთვე სხვა ქართული მონასტრებიდან, რომლებიც საბერძნეთში მდებარეობდა. ამ მიზნით ბერძნებმა თავიანთი შეტევა ათონზე ჯერ კიდევ 1019—1029 წლებში დაიწყეს, როდესაც მონასტრის წინამძღვრად გიორგი I ვარაზვაჩე იყო. ბერძნებმა გიორგი ვარაზვაჩეს ბიზანტიის იმპერატორ რომანოზ არგვირას წინააღმდეგ განდგომილობა და ღალატი დასწამეს. ამ დაბეზღების შედეგად გიორგი გადასახლებულ იქნა მონოვატის კუნძულზე, სადაც აღესრულა კიდევაც 1029 წელს. ამ მომენტით ისარგებლეს ბერძნებმა. მონასტერი სამჯერ გაძარცვეს ზედიზედ და ყოველი სიმდიდრე „მამათა ჩუენთა მოგებული, იავარიქმნა", მოგვითხრობს გიორგი მთაწმინდელი[1]. მისივე გადმოცემით, ბერძნებმა ჯერ იყო და „მთაჲ ყოველი თანა-შეიწიეს", ხოლო შემდეგ „საბერძნეთისა დიდებულნი და პალატისა წარჩინებულნი ყოველნი მიდრიკნეს", ამას ზედ ერთვოდა მათ მიერ ქართველთა ყოველდღიური გინებანი, ყვედრებანი და ფიზიკური შეურაცხყოფანიც კი. მაგალითად, მამა არსენი, რომელიც 1039—1041 წლებში ათონის მონასტრის წინამძღვარი იყო და რომელიც ქართველების დევნის წინააღმდეგ „ბერძენთა მეფეთა წინაშე" შუამდგომლობდა, ბერძნებისაგან „იგუემაცა და მრავალი შრომაჲ დაითმინა და საპყრობილედ შეწყუდევაჲ და კიცხევაჲ და ბასრობაჲ" იგემა[2].

---

[1] ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. II, ი ლ. ა ბ უ ლ ა ძ ი ს რედაქციით, თბ., 1967, გვ. 93.

[2] ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. II, გვ. 96-97.

ბოლოს ბერძნებმა ისიც კი სცადეს, რომ მთლიანად წაეშალათ მონასტრის მაშენებელთა სახელი. ყოველივე ამან „დიდსა ურვასა შინა“ ჩააყენა ათონის ქართველი პატრიოტები, რომლებსაც ისეთი აუტანელი ვითარება შეექმნათ, უფალს რომ არ მოეხედაო, — ამბობს გიორგი მთაწმინდელი, — დღეს არცერთი ქართველი არ იქნებოდა „ესევითარსა ამას ვრცელსა და დიდებულსა ლავრასა შინა, რომელი — ესე ფრიადითა წარსაგებელითა და მრავალითა ოფლითა მათ წმიდათა მამათა ჩუენთაჲთა ჩუენ ქართველთათჳს აღშენებულ იყო და აღმართებულ“[1].

მართალია, ამ სასტიკი შემოტევის დროს ქართველებმა მონასტერი დაინარჩუნეს ბერძენთა მიტაცებისაგან, მაგრამ ათონელი მოღვაწეები გრძნობდნენ, რომ ბერძენთა ეს შემოტევა უკანასკნელი არ იქნებოდა და რომ მომავალ თაობას დარჩენოდა წერილობითი დოკუმენტი ათონის მონასტერზე ქართველთა უცილობელი უფლებების შესახებ, სვიმეონის წინამძღვრობის დროს (1041—1042 წწ.) შეადგინეს მოსახსენებელი, რომელშიც მოთხრობილია მოკლედ ისტორია ათონის ივერიის მონასტრისა, რომლის „სახელი და ღირსებაჲ“ არა მარტო „ყოველსა საქართველოსა განეფინა“, „არამედ საბერძნეთსაცა“[2]. ამ მოსახსენებელში ათონელი ძმები ხაზგასმით აღნიშნავენ აგრეთვე იმასაც, თუ რა მიზნით იქნენ დაშვებულნი თავდაპირველად მონასტერში ბერძნები; გადმოცემულია ექვთიმეს შემდგომი წინამძღვრის გიორგი I ვარაზვაჩეს საქმიანობა, რომელმაც განსაკუთრებით შეუწყო ხელი ბერძენთა მომრავლებას ამ მონასტერში; აღწერილია ქართველთა უიმედო მდგომარეობა გიორგი I ვარაზვაჩეს ექსორიობის ჟამს მონოვატის კუნძულზე, მონასტრის დარბევა ბერძნების მიერ, ქართველების დასმენა ბიზანტიის კეისრის წინაშე და ქართველთა უფლებრივი მდგომარეობის აღდგენა ათონის მონასტერზე.

ათონზე ამტყდარი ბრძოლის გამოძახილმა შავ მთამდეც მიაღწია და იქ მყოფი ბიზანტიელი ბერებიც განიმსჭვალნენ სურვილით იქაური ქართული მონასტრიდან მისი კანონიერი მემკვიდრენი და პატრონი გამოეძევებინათ. ამ მიზნით სვიმეონ წმინდის მონასტერში ქართველებს ბერძნებმა ცილისწამება დაუწყეს, რომ ისინი არ არიან „ჭეშმარიტი“ სარწმუნოების მატარებელნი, „მწვალებელთა“ ჯგუფს ეკუთვნიან და არ იცავენ მართლმადიდებლური ეკლესიის წეს-ჩვეულებებსო. გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფი გიორგი მცირე (ხუცესმონაზონი) ამ ცილისწამებით აღშფოთებული თავის თხზულებაში წერს: ბერძნებმა „განიზრახეს გულარძნილობით, რაჲთა წმიდასა ამას და მართალსა სარწმუნოებასა ჩუენსა ბიწი რაჲმე დასწამონ. და ესრეთმცა სრულიად აღმოგუფხურნეს

[1] ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. II, გვ. 94.

[2] იქვე, გვ. 95.

საკათალიკოსო ტაძარი სვეტიცხოველი, ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან,
ხუროთმოძღვარი არსუკისძე, მცხეთა, 1010 — 1029 წწ.



სამთავისის ტაძარი (კასპის რაიონი), 1030 წ.
ხედი სამხრ.-აღმოსავლეთიდან.

მცხეთა. საერთო ხედი. წინა პლანზე — სამთავროს ტაძარი, მარჯვნივ — სვეტიცხოველი, მთაზე — მცხეთის ჯვრის ტაძარი.

ეკვთიმე მთაწმინდელის სვინაქსარი — მენელსაცხებლე დედები
მაცხოვრის საფლავთან, 1030 წ.



ალავერდის ოთხთავი — ქრისტე წერს
ეპისტოლეს ავგაროზს, 1054 წ.

ალავერდის ოთხთავის ყდის მოჭედილობა წმ. გიორგის
გამოსახულებით (ტიხრული მინანქარი), 1054 წ.

ალავერდის ოთხთავი — მათე მახარებელი, 1054 წ.

ჯრუჭის 11 ოთხთავი — დღე განკითხვისა, XII ს.



ჯრუჭის II ოთხთავი — ეგვიპტედ ლტოლვა, XII ს.



გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებანი — გაზაფხული, XII ს.

ასტრონომიული ტრაქტატი — ქალწული, ზოდიაქის გამოსახულება (აგვისტო), 1188 წ.

ლარგვისის ოთხთავი — ხარება, XIII ს.

ჩუკულის ეკლესიის (ლენტეხის რაიონი)
ხის კარი. XI ს., საქ. სახ. მუზეუმი.





ჩუკულის ეკლესიის ხის კარის დეტალი, XI ს., საქ. სახ. მუზეუმი.



ქართული ქსოვილის ფრაგმენტი (სვანეთი) X — XI სს.,
ქართ. ხელოვნ. ისტ. ინსტიტუტი.

ბიზანტიური ქსოვილის ფრაგმენტი (სვანეთი) VIII — XI სს.,
ქართ. ხელოვნ. ისტ. ინსტიტუტი.

სპარსული ქსოვილის ფრაგმენტი (სვანეთი) XI — XII სს.,
ქართ. ხელოვნ. ისტ. ინსტიტუტი.

დიდებულისა ამისაგან ლავრისა პირველითგან თჳთ წმიდისა სჳმეონის მიერ დამკვიდრებულნი"[1].

განსაკუთრებით რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ შავი მთის ქართველები პატრიარქ თეოდოსის დროს. სიძულვილითა და შურით გაბოროტებულმა ბერძნებმა ახლად დანიშნულ თეოდოს პატრიარქს მიმართეს თხოვნით: „შეგუეწიენ, წმიდაო მეფეო, და გჳსენ დიდისა ჭირისაგან, და განგუათავისუფლენ კაცთაგან ამაოთა და უცხო თესლთა, რამეთუ არს მონასტერსა შინა ჩუენსა ვითარ სამეოცი კაცი, რომელნი ქართველად სახელ-იდებენ თავთა თჳსთა და არა უწყით, თუ რასა ზრახჳენ, ანუ რაჲ არს სარწმუნოებაჲ მათი"[2].

ახლად დანიშნულ პატრიარქს ერთობ დიდი გაკვირვება გამოუთქვამს, როდესაც ქართველების შესახებ ასეთი ცნობა მოუსმენია და დამბეზღებელი ბერძნებისათვის უპასუხნია: „ვითარ ეგების ესე, რომელმცა ქართველნი არა მართლმადიდებელნი იყჳნეს". იმის გამო, რომ პატრიარქმა ეჭვი შეიტანა ქართველთა არამართლმადიდებლობაში, ბერძნებმა თავიანთი „უკეთურებისა საფარველად" მას მოახსენეს, რომ ჩვენ არ ვიცით ისინი მართლა ქართველები არიან თუ სომხები, მაგრამ ერთი კი ცხადია: მათი ხუცესი ჩვენს მონასტერში ჟამს ვერ სწირავსო[3].

გიორგი მცირე-ხუცესმონაზონის თხზულებიდან ჩვენს მიერ ზემომოტანილ ნაწყვეტში ის არის საყურადღებო, თუ რა იარაღით ებრძოდნენ ბერძნები ქართველ ბერებს. კანონის მიხედვით, ქართველებს სრული უფლება ჰქონდათ სვიმონწმიდის მონასტერში ეცხოვრათ, რადგან ისინი, როგორც ზემოთ ვნახეთ, „პირველითგან თჳთ წმიდისა სჳმეონის მიერ დამკვიდრებულნი" იყჳნენ იქ. მაგრამ ბერძნები ამ საკითხს არც კი შეხებიან; ისინი თავიანთ ჩვეულებრივ გზას დაადგნენ და ამ შემთხვევაშიც ბრძოლის ძველებურ მეთოდს მიმართეს: მათ ქართველებს „მწვალებლობის" ბრალდება წამოუყენეს. მეტად სერიოზული მდგომარეობა შეიქმნა: ქართველების „მწვალებლობის" დასამტკიცებლად ბერძნებმა პატრიარქს თავისებური საბუთიც კი წარუდგინეს.

პატრიარქი საქმის გამოძიებას შეუდგა, რისთვისაც ქართველთა მხრიდან ისეთი პიროვნების გამოძახება მოითხოვა, რომელიც ბერძნული ენისა და მწერლობის მცოდნე იქნებოდა. ასეთად კი ბერძნებმა გიორგი მთა-

---

[1] გ ი ო რ გ ი მ ც ი რ ე, ცხორებაჲ გიორგი მთაწმიდელისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 149; იხ. აგრეთვე, ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 180.

[2] გ ი ო რ გ ი მ ც ი რ ე, ცხორებაჲ... გვ. 150; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ერის ისტორია, II, 1965, გვ. 180 — 181.

[3] ი ქ ვ ე.

წმინდელი დაუსახელეს პატრიარქს, რომლის შესახებაც მოახსენეს: „ჰე, არს ერთი ვინმე მონაზონი ღრამატიკოსი და ბერძულთა წიგნთა ქართულად თარგმნის“[1]. პატრიარქმა უმალვე გიორგი ათონელის მოყვანა ბრძანა და რადგანაც ის, გიორგი ათონელის ბიოგრაფის სიტყვით, „წუთ უმეცარ იყო ნათესავსა ჩუენსა“, ამიტომ მან ჯერ „ღმრთივსულიერთა წიგნთაგან“ დაუწყო გამოკითხვა გიორგის. ეს უკანასკნელი ამომწურავ პასუხს იძლეოდა ყველაფერზე. მაშინ პატრიარქი დარწმუნდა, რომ გიორგი ათონელთან „მადლი ღმრთისაჲ დამკვიდრებულ არს“ და ამიტომ პირდაპირ მისთვის საინტერესო საკითხზე დაუწყო მსჯელობა. მან ასე მიმართა გიორგი ათონელს: მართალია, შენ „ნათესავით ქართველი ხარ“, მაგრამ „სხჳთა კულა ყოვლითა სწავლულებითა სრულიად ბერძენი ხარ“, ამიტომ გთხოვთ მიპასუხოთ ქართველების შესახებ „არს რაჲ ნაკლულევანებაჲ მართლისა სარწმუნოებისაჲ მათ თანა? გინა ურთიერთარს განყოფილებაჲ მათ შორის და ჩუენ შორის?“[2]. პატრიარქის მიერ დასმული საკითხის ირგვლივ გიორგი ათონელმა ისეთი საფუძვლიანი და დაწვრილებითი ახსნა-განმარტება გააკეთა, რომ, მისივე ბიოგრაფის სიტყვით, „განაკჳრნა მსმენელნი“. თვით პატრიარქიც თავის მხრივ დარწმუნდა ქართველთა „მართალ სარწმუნოებაში“. იგი იმასაც კარგად მიხვდა, რომ ყოველივე ის, რაც მას მოახსენეს ქართველების შესახებ ბერძნებმა, აშკარა სიცრუე და ცილისწამება იყო. ამიტომ ქართველების ცუდისმზრახველნი სვიმონწმინდელი „ამაო კაცნი“ პატრიარქმა „ფრიად შეჰრისხნა და კანონსა ქუეშე საეკლესიოსა შეყარნა“[3], ხოლო გიორგი ათონელს თვით მან და სხვებმაც „ქებაჲ და ნეტარებაჲ შეასხეს“[4].

გიორგი ათონელთან საჯარო დისპუტის შემდეგ პატრიარქმა ნება დართო ქართველებს სვიმონწმიდის მონასტერში ჟამის წირვისა, რის უფლებაც მათ წინათ არ ჰქონდათ. გიორგი მცირე-ხუცესმონაზონი აღფრთოვანებულია ამ გამარჯვების მოპოვებით და აღტაცებული წერს: ბერძნები, „რომელსა იგი რეცა სავნებლად ჩუენდა ჰგონებდეს, ესე ჩუენდა სარგებელად იქმნა“[5].

1057 წელს ბრძოლამ შავი მთის ბიზანტიელ ბერებსა და ქართველებს შორის ახალი ძალით იფეთქა. ბრძოლისა და პაექრობის დროს ბერძნებმა ერთი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი წამოჭრეს, რომელსაც ანტიოქიელი სასულიერო პირების აზრით, ქართველების მარცხი უნდა გამოეწვია. ეს

---

[1] გ ი ო რ გ ი მ ც ი რ ე, ცხორებაჲ გიორგი მთაწმიდელისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 151.

[2] ი ქ ვ ე.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 152.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 151.

[5] ი ქ ვ ე, გვ. 152.

საკითხი ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისა და თვითმმართველობის კანონიერ უფლებას შეეხებოდა. რა თქმა უნდა, ეს საკითხი პირველად გიორგი ათონელის დროს არ დაისმებოდა. სრულიად მოულოდნელად ამგვარ საგანზე პაექრობის დაწყება შეუძლებელია. თავიდანვე უნდა გავითვალისწინოთ ერთი გარემოება: როდესაც ანტიოქიელი სასულიერო პირნი ამ საკითხზე დისპუტს იწყებდნენ, მათ აუცილებლად კარგად უნდა სცოდნოდათ, რომ სწორედ აღნიშნული საკითხი იყო ქართული ეკლესიისათვის სახიფათო და რომ სწორედ ამ მხრივ შეიძლებოდა ქართველებზე გამარჯვების მოპოვება და მათი საბოლოო დამარცხება. სამწუხაროდ, ისტორიულ წყაროებში არ ჩანს, თუ ვინ ან როდის ჩააგონა ასეთი აზრი ანტიოქიის საპატრიარქოს; ისტორიული ცნობები უკვე გამწვავებული ბრძოლის სტადიას ასახავენ. გიორგი მცირეს გადმოცემით, გიორგი ათონელის დროს თურმე „კაცთა ვიეთმე მრავალღონეთა და მანქანათა მოაჯსენეს და აუწყეს პატრეარქსა, ვითარმედ: „ვითარ ესე, მეუფეო, რომელ ეკლესიანი და მღვდელთ-მოძღუარნი ქართლისანი არა რომელისა პატრიარქისა ჯელმწიფებასა ქუეშე არიან და ყოველნი საეკლესიონი წესნი მათ მიერ განეგებიან და თჳთ დაისუმენ კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა“. ეს კი არაკანონიერია, იმიტომ რომ მათ ქვეყანაში ქრისტეს არცერთ მოციქულთაგანს არ უქადაგნია, და რაკი ეს ასეა, თანაც ქართველები „უმეცარი და სამწყსოჲ მცირე“ არიან, ამას გარდა, ჩვენს მახლობლადაც იმყოფებიან, ამიტომ „ჯერარს, რაჲთა ჯელმწიფებასა ქუეშე ანტიოქელი პატრეარქისასა იმწყსებოდინ“, აქ იკურთხებოდეს მათი კათალიკოსი და ერთ სამწყსოში ვიმყოფებოდეთო[1]. ამრიგად, როგორც ვხედავთ, საკითხი ეხებოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერებას.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ, რა თქმა უნდა, ანტიოქიის პატრიარქი ყოველნაირად შეეცდებოდა ქართული ეკლესიის დამორჩილებას და საამისოდ მხურვალედ დაუჭერდა მხარს იმ პირთ, რომელთაც მას ეს საქმე ჩააგონეს. თავდაპირველად პატრიარქმა გადაწყვიტა, რომ ბრძოლის მშვიდობიანი მეთოდები გამოეყენებინა: მოლაპარაკება, ჩაგონება და რჩევა. ამ მიზნით ანტიოქიის პატრიარქმა ისევ გიორგი ათონელი მოიწვია, როგორც სწავლულობით და მეცნიერებით განთქმული პირი, და ურჩია: „შენ, ჰ ნეტარო მამაო, დაღაცათუ ნათესავით ქართველი ხარ, ხოლო სწავლულებითა და მეცნიერებითა ჩუენივე სწორი ხარ, ჯერ არს, რომელ ეკლესიანი და მღვდელთმოძღუარნი თქუენნი ჯელსა ქუეშე სამოციქულოჲსა ამის საყდრისასა იმწყსებოდინ, და ჰმართებსცა ესრეთ მიზე-

---

[1] გ ი ო რ გ ი მ ც ი რ ე, ცხორებაჲ გიორგი მთაწმიდელისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 152; იხ. აგრეთვე, ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 181 — 182.

ზითა მახლობელობისაჲთა"[1]. პატრიარქის ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ იგი ამ საკითხის შესახებ საქმის გამოძიების დაწყებას არც კი აპირებდა. ის პირდაპირ, აშკარად და დაუფარავად უცხადებს გიორგი ათონელს თავის მისწრაფებას: საქართველოს ეკლესია ანტიოქიის საპატრიარქოს უნდა დაექვემდებაროს და თხოვს მას დახმარებას: „უწყი, ვითარმედ გისმენს მეფე თქუენი, უკეთუ მიუწერო და აუწყო უმჯობესი"[2].

როგორც ირკვევა, ანტიოქიის პატრიარქს კარგად სცოდნია, თუ რა დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა გიორგი ათონელი მეფე ბაგრატ IV-ის წინაშე და მოუსურვებია ჯერ გიორგის დათანხმება ამ საკითხში, ხოლო შემდეგ მისი გამოყენება საქართველოს მეფისა და სამღვდელოების წინაშე. იმ შემთხვევაში, თუ მისი რჩევა-დარიგება არ გასჭრიდა და საქართველოს მეფე ქედს არ მოიხრიდა და ანტიოქიის პატრიარქის მოთხოვნაზე უარს განაცხადებდა, მაშინ პატრიარქი შეუპოვარ ბრძოლას გამოუცხადებდა ქართველებს და უკიდურესი ხასიათის ღონისძიებებს მიმართავდა. აი, ანტიოქიელი მამამთავრის მუქარის სიტყვებიც: „ხოლო უკუეთუ არა ისმინოს, მიუწერო ოთხთავე პატრიარქთა საყდრის-მოდგამთა ჩუენთა და ვაუწყო თჳთრჩულობაჲ და ქედფიცხელობაჲ ნათესავისა თქუნისაჲ, და ვითარმედ თჳნიერ სამოციქულოჲსა კანონისა თჳთ იმწყსებიან და მოციქულთაგანი არავინ მისრულ არს ქუეყანასა მათსა" და ისეთ მწუხარებას შეგამთხვევთ, აშინებდა ანტიოქიის პატრიარქი გიორგი ათონელს, რომ თვით თქვენი მეფე იძულებული გახდეს ჩვენს წინაშე მოვიდეს და ჩვენ ხელმწიფობას დაემორჩილოსო[3].

ამრიგად, ანტიოქიის საპატრიარქო ტახტი ამტკიცებდა: ქართული ეკლესია სრულიად უკანონოდ სარგებლობს ავტოკეფალიით, რადგან არც ერთი თორმეტი მოციქულთაგანი არ ყოფილა საქართველოში და არ დაუარსებია იქ ეკლესიებიო. ეს უკანასკნელი გარემოება კი, საეკლესიო კანონების მიხედვით, აუცილებელი პირობა იყო ეკლესიური ავტოკეფალიისათვის.

როგორც ვხედავთ, ქართველები მეტად სახიფათო ვითარებაში აღმოჩნდნენ: აუცილებელი გახდა ისეთი დოკუმენტის გამოძებნა, რომელშიც ფიქსირებული იქნებოდა საქართველოში რომელიმე მოციქულის მი-

---

[1] გ ი ო რ გ ი მ ც ი რ ე, ცხორებაჲ გიორგი მთაწმიდელისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 153; იხ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 182.

[2] გ ი ო რ გ ი მ ც ი რ ე, ცხორებაჲ გიორგი მთაწმიდელისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 153.

[3] ი ქ ვ ე, იხ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 182 — 183.

ერ ქრისტიანობის ქადაგება. თუ ასეთი საბუთი აღმოჩნდებოდა, ქართველების საქმე გამარჯვებით დამთავრდებოდა, და თუ არა, მაშინ ანტიოქიის პატრიარქს ადვილად შეეძლო თავისი მუქარა სისრულეში მოეყვანა და მოესპო ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა.

ამ უაღრესად კრიტიკულ მომენტში გიორგი ათონელმა ქართული ეროვნული ეკლესიის დამოუკიდებლობას იმ დროისათვის შეურყეველი კანონიერი საბუთი მოუპოვა და იხსნა იგი ბერძენთა სამღვდელოების მიმტაცებლობისაგან. მიუხედავად იმისა, რომ პატრიარქის საქციელმა ის ძალზე აღაშფოთა, მან მაინც თავი შეიკავა და მშვიდად, მაგრამ გაბედულად მოახსენა მას: „ჵ წმიდაო მეუფეო, რაჲსათჳს — მე ესრეთ ადვილად ჴელჰყავ დიდისა ამისა და მაღლისა საქმისა მოგონებად და აღსრულებად, და ვინ-მე არიან უგუნურნი იგი გამზრახნი შენნი, ანუ რად ესრეთ უგუნურად შეგირაცხიეს ნათესავი ქართველთაჲ, წრფელი და უმანკოჲ? აჰა ესერა ვარ მე უნარჩევესი და უმდაბლესი ყოველთა ძმათა ჩემთაჲ. მე მოგეც მათ ყოველთა წილ პასუხი“[1], — და მოითხოვა წიგნი „მიმოსლვაჲ ანდრია მოციქულისაჲ“. როდესაც პატრიარქმა ბრძანა და ეს წიგნი გიორგი ათონელს მოუტანეს, სანამ იგი შესაფერის ადგილს წაიკითხავდა, პატრიარქს უთხრა: „წმიდაო მეუფეო, შენ იტყჳ, ვითარმედ თავისა მის მოციქულთაჲსა პეტრეს საყდარსა ვზიო. ხოლო ჩუენ პირველწოდებულისა და ძმისა თჳსისა მწოდებელისა ნაწილნი ვართ და სამწყსონი და მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი. და ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი, სიმონს ვიტყჳ კანანელსა, ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების“. აი, „ამათ წმიდათა მოციქულთა განათლებულნი ვართ“ ჩვენ, ქართველები, „ამას საფუძველსა ზედა მართლმადიდებლობისასა და მცნებათა და ქადაგებათა ზედა წმიდათა მათ მოციქულთასა მტკიცე ვართ“[2]. გიორგი ათონელის საბუთიანობა იმდენად დამაჯერებელი და მტკიცე საფუძველზე იყო დამყარებული, რომ პატრიარქმა ხმის ამოღებაც კი ვეღარ შეძლო გიორგის დებულების საწინააღმდეგოდ. ამიტომ ახლა მან თვით მიიტანა იერიში ბერძნებზე და ასეთი კითხვა დაუსვა პატრიარქს: რაკი თქვენ სიტყვა დამორჩილებაზე ჩამოაგდეთ, „შუენის ესრეთ, რაჲთა წოდებული იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესი ჯერ-არს, რაჲთა დაემორჩილოს მწოდებელსა თჳსსა და ძმასა ანდრეას, და რაჲთა თქუენ ჩუენ დაგუემორჩილნეთ“[3].

---

[1] გ ი ო რ გ ი მ ც ი რ ე, ცხორებაჲ... გვ. 153. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II. გვ. 183.

[2] გ ი ო რ გ ი მ ც ი რ ე, ცხორებაჲ..., გვ. 154.

[3] ი ქ ვ ე, ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 184 — 185.

გიორგი ათონელმა, რა თქმა უნდა, კარგად იცოდა, რომ ანტიოქიის პატრიარქი საქართველოს საეკლესიო იერარქს არ დაექვემდებარებოდა, მაგრამ თავისი პასუხით მაინც ჩააგონა პატრიარქს, რომ თქვენ მოგაქციათ წოდებულმა პეტრემ, ხოლო ჩვენ მისმა მწოდებელმა ანდრიამ. ანდრია, როგორც პირველწოდებული, უფროსია პეტრეზე, ამიტომ პეტრეს მოქცეული ერი, ჯერ არს, ემორჩილებოდეს ანდრიას მოქცეულ ერსო. ასეთი ლოგიკური დასკვნით გიორგი ათონელმა არათუ გვერდით ამოუყენა ქართველები ბერძნებს, არამედ მათზე მაღლაც კი დააყენა ისინი.

გიორგი ათონელი ამაზე უფრო შორს მიდის ბერძნებთან პაექრობაში. მან ანტიოქიის პატრიარქს ისიც შეახსენა, რომ ქართველები არასოდეს ყოფილან „წვალებისა მიმართ მიდრეკილ", ხოლო თქვენ ნუ დაგავიწყდებათ, რომ „იყო ჟამი, რომელ ყოველსა საბერძნეთსა შინა მართლმადიდებლობაჲ არაჲ იპოებოდა" და მართლმადიდებლობის კერად მხოლოდ ქართლის საკათალიკოსო და საყდარი ითვლებოდა, ისე რომ VIII საუკუნეში თვით „იოანე, გუთელი ეპისკოპოსი, მცხეთას იკურთხა ეპისკოპოსად, ვითარცა სწერია დიდსა სვნაქსარსა". ყოველივე ამის შემდეგ თქვენ, ბერძნები, ჩვენ, ქართველებს, მაინც „უმეცრად და სუბუქად გუხედავთ", ხოლო „თავნი თქუენნი ბრძენ და მძიმე გიყოფიან"[1]. პატრიარქი სრულებითაც არ მოელოდა ასე მკაცრად თავის დამარცხებას, პირიქით, თავის გამარჯვებაში მას ეჭვიც კი არ ეპარებოდა, მაგრამ რაკი გიორგი ათონელის მიერ ის ძლეულ იქნა, მას მხოლოდ ისღა დარჩენოდა, რომ პაექრობაზე მყოფ მღვდელთ-მოძღვრებისა და ერისკაცებისათვის ღიმილით ეთქვა: „ხედავთ ბერსა ამას, ვითარ მარტო ესოდენსა სიმრავლესა გუერევის. ვეკრძალნეთ, ნუუკუე წინააღმდეგობა შეგუემთხჳოს და არა ხოლო თუ სიტყჳთ, არამედ საქმით გუამხილოს ძლეულებაჲ ჩუენი და დაგჳმრწემნეს და დაგჳმრემლნეს"[2].

ამრიგად, გიორგი ათონელმა აღამაღლა ქართველები უცხოელთა თვალში, განამტკიცა მათი მდგომარეობა ათონის ივერიისა და შავი მთის მონასტრებში. მან საჯარო დისპუტზე გამოავლინა საუცხოო ცოდნა ისტორიისა, დოგმატიკისა, საეკლესიო სამართლისა და შესანიშნავად დაიცვა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერება. აქვე განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ იმ დროისათვის ქვეყნის ავტოკეფალის საკითხი ვიწრო ეკლესიურ-აღმსარებლობითი საკითხი როდი იყო, იგი ერის თვითმყოფადი კულტურის ერთ-ერთ მთავარ და-

---

[1] გ ი ო რ გ ი მ ც ი რ ე, ცხორებაჲ გიორგი მთაწმიდელისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 154; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 185.

[2] გ ი ო რ გ ი მ ც ი რ ე, ცხორებაჲ გიორგი მთაწმიდელისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 155.

მადასტურებელ არგუმენტად უნდა მივიჩნიოთ. ასე რომ, სარწმუნოებრივი საკითხი უშუალოდ ეჯაჭვებოდა დიდ ეროვნულ პრობლემას.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ათონის ივერიის მონასტერში გიორგი ათონელის სახით ეროვნული ღირსების სადარაჯოზე იდგა პიროვნება, რომელიც ნათელყოფდა, რომ მშობლიური კულტურის დაცვა საჭიროა არა მარტო ხმლით ხელში, არამედ სიბრძნითა და განსწავლულობით. ის არა მარტო იკვლევდა, არამედ თვით ქმნიდა ეროვნულ კულტურას. მისმა მრავალფეროვანმა და ნაყოფიერმა შემოქმედებითმა მოღვაწეობამ ათონის მთაზე შექმნა მტკიცე საფუძველი XI—XII საუკუნეების ქართული კულტურისათვის.

ათონის ივერთა ლავრის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა აგრეთვე გიორგი მცირემ (ხუცესმონაზონი, XI ს.). იგი გიორგი ათონელის მოწაფე და მისი ერთგული თანამოღვაწე იყო. ანტიოქიასა თუ შავ მთაზე, იერუსალემსა თუ საქართველოში, კონსტანტინოპოლსა თუ ათონზე — გიორგი მცირე მუდამ განუყრელი თანამგზავრი იყო თავისი დიდი მოძღვრისა. გიორგი ათონელის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც მისი ცხედარი კონსტანტინოპოლიდან ათონზე გადაასვენეს, გიორგი მცირეც ათონის „ივერში" გადავიდა და იქ დამკვიდრდა სამუდამოდ თავისი სახელოვანი მასწავლებლის წმინდა საფლავის ახლოს. გიორგი მცირეს ერთ-ერთი დიდი დამსახურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან თავის ნაწარმოებში („ცხორებაჲ გიორგი მთაწმიდელისაჲ") მომავალ თაობას პირუთვნელად შემოუნახა ათონის დიდი მოღვაწის გიორგი ათონელის ცხოვრება და შემოქმედება.

XI საუკუნეში ათონზე მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი ჰიმნოგრაფები: ეზრა, ბასილი და ზოსიმე.

ათონის სკოლამ თავისი ფასდაუდებელი საქმიანობით დიდად შეუწყო ხელი ქართული კულტურის აყვავებას XI—XII საუკუნეებში. ათონის ივერთა მონასტერი თავისი არსებობის მანძილზე მუდამ წარმოადგენდა ქართველთა ეროვნული იდეალების მატარებელს ბიზანტიაში. ათონის მთის მოღვაწეთა მიზანი იყო: საქართველოს ეროვნული პრესტიჟის ამაღლება და ქართველ მოღვაწეთა ავტორიტეტის განმტკიცება ბიზანტიელთა თვალში. ამ მიმართებით ყურადღებას იპყრობს ათონზე მყოფი ბერძენი და სლავი ბერების საქმიანობის ხასიათი. „ათონზე ბერძენი და სლავი ბერები IX საუკუნის ბოლოდან ვიდრე დღემდე მთელ თავის სიცოცხლეს ატარებენ ღმერთზე ფიქრსა და ლოცვაში, და ამიტომ მეცნიერებას არ ეტანებოდნენ. ერიდან მოსული მეცნიერული ცოდნის მქონენიც კი უგულვებელყოფდნენ მეცნიერებას და მხოლოდ სულის ცხონებაზე ზრუნავდნენ"[1].

[1] П. Успенский, История Афона, часть II, отд. II, СПб., 1892, с. 447.

სულ სხვანაირად იქცეოდნენ ქართველი ბერები: ისინი მეცნიერულ და ლიტერატურულ მუშაობას ყველა სხვა საქმიანობაზე მაღლა აყენებდნენ. განუზომელია ამ მხრივ ათონის მთის ქართველთა დამსახურება. და თუ ქართულმა კულტურამ თავის უმაღლეს გაფურჩქვნას სწორედ XI—XII საუკუნეებში მიაღწია, საამისოდ ნაყოფიერი ნიადაგი მოამზადა ათონის ლავრის მოღვაწეობამ. ამ უკანასკნელის გარეშე „ჩვენი კულტურის ისტორიას, შეიძლება სხვა სახე და ხასიათი მიეღო"[1].

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ქართველთა სამონასტრო კოლონიას შავ მთაზე, ისტორიულ სირიაში, ანტიოქიის მახლობლად (ამჟამად თურქეთის ფარგლებშია). შავი მთის მონასტრებში მრავლად იყრიდნენ თავს ბერძნები, სირიელები, სომხები და სხვ. ძველთაგანვე აქეთკენ მრისწრაფოდნენ ქართველი მოღვაწენიც. მას შემდეგ, რაც სირია არაბებმა დაიპყრეს, ქართველთა კავშირი ანტიოქიასთან შედარებით შესუსტდა, მაგრამ არ შეწყვეტილა. შავ მთაზე მცხოვრებ ქართველთა რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა XI საუკუნეში. სწორედ ამ პერიოდში აქვს ადგილი მათი კულტურულ-ლიტერატურული მოღვაწეობის გაძლიერებას, რასაც ხელი შეუწყო, ერთი მხრივ, სირიის განთავისუფლებამ მუსლიმანი დამპყრობლებისაგან და მისმა ბიზანტიის ხელისუფლების ქვეშ მოქცევამ (969—1084 წწ.), ხოლო, მეორე მხრივ, იმ ფაქტმა, რომ ანტიოქია გადაიქცა ქრისტიანული ლიტერატურის ცენტრად.

ქართული სამონასტრო კოლონიზაცია შავ მთაზე ფართოდ გაიშალა XI საუკუნის 30-იან წლებში, როდესაც აქ დასახლდა მრავალი ცნობილი მოღვაწე სამხრეთ საქართველოდან (შატბერდი, ო'მკი, ტბეთი და სხვ.). მრავალი ქართველი ცხოვრობდა შავი მთის ისეთ სავანეებში, როგორიც იყო: სვიმეონ საკვირველმოქმედის ლავრა, კასტანა, კალიპოსი და სხვ. სვიმეონის ლავრაში ქართველებს საკუთარი ეკლესიაც კი ჰქონიათ; კასტანაში დაახლოებით 1091 წლისათვის წინამძღვრად ყოფილა ეფრემ მცირე; კალიპოსში XI საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობდა არსენ კალიპოსელი[2]. ქართველთა სამოღვაწეო ობიექტი ყოფილა ალექსანდრიის მონასტერი — „უდაბნო ლერწმის ხევისა ზღვის პირსა, რომელ არს დასასრულსა შავისა მთისასა, მახლობელად სელევკიისა"[3].

ზემოაღნიშნულ სავანეებში დასახლებული ქართული კულტურის მოღვაწენი აგრძელებდნენ და ავითარებდნენ ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული სკოლის ტრადიციებს. ისინი მჭიდრო ურთიერთობას ამყარებდნენ ბიზანტიაში მდებარე ქართულ სავანეებთან, განსაკუთრებით კი მაშინ-

---

[1] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I[3], გვ. 89.
[2] იქვე.
[3] თ. ყორდანია, ქრონიკები, I, გვ. 208 — 209.

დელი ქართული ლიტერატურის ისეთ მნიშვნელოვან კერასთან, როგორიც იყო ათონის ივერიის მონასტერი. შავი მთის სავანეებში მცხოვრები ქართველები ეცნობოდნენ ბერძნულ-სირიულ-არაბულ სამყაროში შექმნილ ზოგადქრისტიანულ ლიტერატურას, ეწეოდნენ მეტად ნაყოფიერ და მრავალმხრივ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას, ენერგიულად ებრძოდნენ ბერძენთა მოძალებას, თავგანწირვით იცავდნენ თავისი სამშობლოს საეკლესიო და კულტურულ დამოუკიდებლობას[1].

გაცხოველებული შემოქმედებითი მუშაობა გაჩაღდა შავი მთის ქართულ კოლონიაში XI საუკუნის შუახანებში, როდესაც აქ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გიორგი დაყუდებული (გიორგი შავმთელად წოდებული). იგი იყო გამოჩენილი მეცნიერი ბერი, რომელიც აღფრთოვანებული იყო სამშობლოსადმი ღრმა და გულწრფელი სიყვარულით. სვიმეონ წმინდის ლავრაში მოღვაწე ქართველი მწიგნობარი ბერი გიორგი დაყუდებული, გიორგი მცირეს დახასიათებით, იყო კაცი „ვითარცა გურიტი უბიწოჲ და ტრედი უმანკოჲ, კაცი ზეცისაჲ და ანგელოზი ქუეყანისაჲ". ჰაგიოგრაფი ერთგან მას საქართველოს დიდ მნათობს უწოდებს („დიდი მნათობი ნათესავისა ჩუენისა")[2].

გიორგი დაყუდებული გამოირჩეოდა თავისი ფართო მწიგნობრულ-ლიტერატურული ინტერესებით. მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ქართული კულტურის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენლის გიორგი ათონელის (1009—1065) ტალანტი, რომელმაც თავისი ზოგიერთი შესანიშნავი ნაშრომი აქ, შავ მთაზე შექმნა. აქვე ეწეოდა ლიტერატურულ-შემოქმედებით საქმიანობას ცნობილი ჰაგიოგრაფი გიორგი მცირე (XI ს.). მართალია, გიორგი ათონელისა და გიორგი მცირეს ცხოვრება და შემოქმედება ძირითადად ათონის მთაზე მიმდინარეობდა და ისინი ქართული კულტურის ისტორიაში შესული არიან როგორც ე. წ. ათონელი მოღვაწენი, მაგრამ სწორედ შავ მთაზე გაიარეს მათ თავდაპირველად შესანიშნავი ლიტერატურული სკოლა[3].

შავ მთაზე არსებულმა ქართულმა სავანემ კიდევ უფრო გააძლიერა თავისი მუშაობა XI საუკუნის II ნახევარში, როდესაც აქაურ ლიტერატურულ სკოლას სათავეში ჩაუდგა ღრმად ერუდირებული მწერალი და მეცნიერი, ფილოლოგი და ფილოსოფოსი ეფრემ მცირე, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა ქართული კულტურის ისტორიაში. ეფრემ მცირემ მჭიდრო კავშირი დაამყარა ადგილობრივ ბერძნულ-სირიულ-არაბულ ლიტერატურულ წრეებთან. მაგალითად, მას მეგობრული განწყობილება ჰქონია

---

[1] Л. Менабде, Очаги древнегрузинской культуры, Тб., 1968, с. 45—46.

[2] გ ი ო რ გ ი მ ც ი რ ე, ცხორებაჲ გიორგი მთაწმიდელისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 121.

[3] Л. Менабде, Очаги древнегрузинской культуры, с. 46.

ცნობილ ნიკონ შავმთელთან და იოანე დამასკელის ცხოვრების არაბული ვერსიის ავტორ მიქაელთან. აღსანიშნავია, რომ შავი მთის ქართველთა განკარგულებაში ყოფილა ანტიოქიის პატრიარქ თეოდორეს მიერ სვიმეონ საკვირველმოქმედის მონასტერში დაარსებული წიგნთსაცავი, რომელშიც ეფრემ მცირის დროს 420 წიგნი ყოფილა[1].

ამ პერიოდში შავ მთაზე ეფრემთან ერთად და მისი ხელმძღვანელობით აქტიურად მოღვაწეობდა ქართველ მწიგნობართა მრავალრიცხოვანი ჯგუფი (არსენ კალიპოსელი, საბა სულაის ძე თუხარელი, ანტონ ტბელი, იოანე მთვარაის ძე და სხვანი).

შავი მთის ქართულ სავანეში შეიქმნა ძლიერი ფილოსოფიურ-თეოლოგიური სკოლა, განვითარდა ქართული ლიტერატურული აზროვნება, იწერებოდა და ითარგმნებოდა ათეულობით პირველხარისხოვანი ნიმუშები საეკლესიო ლიტერატურისა სხვადასხვა დარგში (ბიბლიოლოგია, ეგზეგეტიკა, დოგმატიკა, პოლემიკა, ჰაგიოგრაფია, ჰომილეტიკა და ა. შ.). შავი მთის ქართველი მოღვაწენი წარმატებით ამუშავებდნენ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებულ პრობლემებს; მათ შეიმუშავეს თარგმნის საგანგებო თეორია; ამზადებდნენ მრავალრიცხოვან ხელნაწერებს[2].

ქართული კულტურის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაარსებას. ქრისტიანული სამყაროს ცენტრში — იერუსალიმში — ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქართული კულტურის კერის ჯვრის მონასტრის დაარსება დიდი მოვლენა იყო შუა საუკუნეების საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში.

როგორც ცნობილია, საქართველოს ურთიერთობას პალესტინასთან უძველესი ტრადიციები აქვს. ტიმოთე გაბაშვილის ცნობით, ჯვრის მონასტრის ადგილი მოიპოვა ნინოს მიერ იერუსალიმში წარგზავნილმა მირიან მეფემ. მართალია, ეს გვიანდელი ლეგენდარული ცნობა ჯვრის მონასტრის აშენების პროცესშია შექმნილი[3], მაგრამ იგი მაინც კარგად ასახავს ამ ურთიერთობის უძველეს ტრადიციებზე მინიშნებას.

სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ ქართველები ჯერ კიდევ V საუკუნიდან მონაწილეობდნენ საბა განწმენდილის ლავრის დიდ სამონასტრო ცხოვრებაში. ამ ურთიერთობის ნათელი დადასტურებაა აგრეთვე პეტრე იბერიელის მიერ პალესტინაში რამდენიმე ქართული მონასტრისა და სასტუმრო სახლის დაარსება[4]. IX — X საუკუნეებში არაბთა

---

[1] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I[3], გვ. 89—90.

[2] Л. Менабде, Очаги древнегрузинской культуры, с. 46.

[3] ტ. გაბაშვილი, მიმოსვლა, ელ. მეტრეველის გამოცემა, თბ., 1956, გვ. 0215—0217.

[4] გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, 1960.

ძალმომრეობის გაძლიერებასთან დაკავშირებით ქართული ელემენტი საბა განწმენდილის ლავრიდან სინას მთაზე გახიზნულა, სადაც შედარებით მყუდროება სუფევდა. არაბთა რეაქცია პალესტინის ქართული კულტურის კერებისა და ქართველების მიმართ XI საუკუნის დასაწყისიდან თანდათანობით შენელდა, რამაც კვლავ გააძლიერა ქართველების დაინტერესება პალესტინის „წმინდა“ ადგილებით და იქ საკუთარი ეკლესია-მონასტრების დაფუძნება მომდევნო ხანებში კიდევ უფრო მეტი ინტენსივობით წარიმართა. პალესტინის ქართული კოლონიის ისტორიაში ამ ორიენტაციის დაგვირგვინებად მაინც იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაარსება უნდა მივიჩნიოთ, რომელმაც „დიდი წვლილი შეიტანა ქართული მწერლობის განვითარებაში და ხელი შეუწყო ქართული სახელმწიფოს საერთაშორისო პრესტიჟის ზრდას და განმტკიცებას“[1]. კულტურის ამ კერისადმი განსაკუთრებული ინტერესი გამოწვეულია იმითაც, რომ ის იყო პალესტინის ყველა ქართული მონასტრისა და ეკლესიის ადმინისტრაციული და სულიერ-კულტურული ცენტრი[2].

როგორც ვარაუდობენ, ჯვრის მონასტერი პალესტინაში ქართველების მიერ აშენებულ იქნა XI საუკუნის 40—50-იან წლებში. იგი მდებარეობდა იერუსალიმის მახლობლად (ამჟამად მოქცეულია იერუსალიმის ახალი საცხოვრებელი კვარტალების ცენტრში). ეს მონასტერი ექვთიმე მთაწმინდელის ბრძანებით აუშენებია ვინმე პროხორე ქართველს, რომელიც წარმოშობით შავშეთის ქვეყნიდან ყოფილა. პროხორეს ცხოვრების სვინაქსარული რედაქციის ანონიმი ავტორი მოგვითხრობს, რომ პროხორემ „იწყო შენებად მონასტრისა მახლობელად იერუსალიმსა, დასავალით კერძო, რომელსა უწოდიან ჯუარისა მონასტერი. და აღაშენა, და განასრულა, და შეამკო ეკლესია ყოვლითა სამკაულითა“. აქ მას შემოუკრებია ოთხმოცამდე „ძმანი მოღუაწენი“, უზრუნველუყვია ისინი ყოველივე სახმარით და განუჩენია მათთვის „წესი და კანონი მონასტრისაჲ მსგავსადვე წმიდისა საბაჲს ლავრისა“[3]. მონასტრის შენებაში პროხორეს მატერიალურ დახმარებას უწევდა მეფე ბაგრატ IV, განსაკუთრებით კი დედამისი მარიამი. გიორგი მცირეს მოთხრობით, როდესაც „ნეტარი მაშაჲ პროხორე... ჯუარისა მონასტერსა აშენებდა“, მარიამ დედოფალმა მას

---

[1] ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 5.

[2] Д. Кипшидзе, Житие Прохора, муч. Луки и муч. Николая Двали, «Известия Кавказского Историко-Археологического Института», т. II, 1927, с. 32.

[3] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბ., 1946, გვ. 215.

გიორგი ათონელის ხელით უხვი შეწირულება გაუგზავნა: „საფასითა ფრიად შეეწია“, — წერს ჰაგიოგრაფი[1].

თავდაპირველად სანამ მონასტრის მშენებლობა დამთავრდებოდა, საჭირო წიგნებს ამ მონასტერს სწირავდნენ ათონის მოღვაწენი, ხოლო შემდეგ კი თვით ჯვრის მონასტერში გაჩაღდა დიდი მწიგნობრულ-ლიტერატურული მუშაობა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა პროხორე ქართველმა. მისი მეთაურობით აქ მრავალი მწერალი და მწიგნობარი ეწეოდა აქტიურ მრავალმხრივ კულტურულ საქმიანობას. სულ მალე იერუსალიმის ჯვრის მონასტერი გადაიქცა ქართული კულტურის მძლავრ კერად. აქ წარმოებდა თხზულებათა გადაწერა, რომელთაც შემდეგში ფართოდ ავრცელებდნენ საქართველოს ეკლესია-მონასტრებში. ჯვრის მონასტრის ქართული მწერლობა თავისი ხასიათითაც და შინაარსითაც აგრძელებდა ათონის ლიტერატურული სკოლის ტრადიციებს[2]. საუკუნეთა განმავლობაში ჯვრის მონასტერი წარმოადგენდა პალესტინის ქართველთა საიმედო თავშესაფარსა და დასაყრდენ პუნქტს. იგი იყო იერუსალიმის ქართულ სავანეთა ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული ცენტრი. ჯვრის მონასტერში გაჩაღებული შემოქმედებითი მუშაობის შედეგად შეიქმნა არაერთი ორიგინალური თხზულება. სწორედ ამ მონასტრის კედლებშია შექმნილი XI საუკუნის 70—80-იან წლებში თვით ამ მონასტრის მშენებლის პროხორე ქართველის სვინაქსარული ცხოვრება[3]. მისი ავტორი უნდა იყოს ჯვრის მონასტრის თვითმხილველი ქართველი მოღვაწე.

იერუსალიმის ჯვრის მონასტერს „მუდმივი კავშირი ჰქონდა მოწინავე ქრისტიანულ ქვეყნებთან, რომელთაც თავისი წარმომადგენლები ჰყავდათ იერუსალიმში. ჯვარს გაჰქონდა საერთაშორისო ასპარეზზე ქართული კულტურის მონაპოვარი საქართველოს პოლიტიკური პრესტიჟის გაზრდის მიზნით, ამიტომ ჯვრის მონასტრის ეკონომიკურ თუ უფლებრივ მდგომარეობაზე ზრუნვა ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური და კულტურული პროგრამის ნაწილი იყო“[4]. ქართველი მეფენი, მათ შორის დავით აღმაშენებელი და თამარი, დიდად ზრუნავდნენ ჯვრის მონასტრის კეთილდღეობაზე და მას დიდ შესაწირავებს უგზავნიდნენ.

როგორც ცნობილია, ჯვაროსანთა მიერ იერუსალიმის აღებისა და იერუსალიმის სამეფოს შექმნის შემდეგ (1099—1187 წწ.) მართლმადიდებლური ტაძრების დიდი უმრავლესობა ლათინებმა დაისაკუთრეს.

---

[1] გ ი ო რ გ ი მ ც ი რ ე, ცხორებაჲ გიორგი მთაწმიდელისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 144—145.

[2] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I[3], გვ. 91.

[3] ელ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, გვ. 31.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 14.

იერუსალიმში ჯვაროსანთა ბატონობის ხანაში ჯვრის მონასტერი კვლავ ქართველთა ხელში იყო და ლათინთა დიდი პატივისცემითაც სარგებლობდა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლათინთა სამეფოს არსებობის ბოლო პერიოდში ჯვაროსნები ცდილობდნენ გარკვეული უფლებები მოეპოვებინათ ჯვრის მონასტერზე და მას მძიმე გადასახადებით ბეგრავენ[1]. როგორც ჩანს, სწორედ ამავე პერიოდში ჯვრის მონასტრის მამულებისა და ზვრების ნაწილი იერუსალიმის მეფის ბალდუინ IV-ის ხელში ყოფილა[2]. მაგრამ მამულებისა და ვენახების დაკარგვას ჯვრის მონასტრის ბერები ადვილად ვერ შეჰგუებიან. 1178—1184 წლებში იერუსალიმში ყოფნის დროს ნიკოლოზ გულაბერიძეს ყველა ზომა მიუღია იმისათვის, რომ დაეცვა ჯვრის მონასტრის ქონება და მამულები განიავებისაგან. ნ. გულაბერიძის აღაპიდან ირკვევა, რომ მას „უკმოუსყიდია", ე. ი. გამოუსყიდია მონასტრის ვენახი და სხვაც მრავალი წარუგია მონასტრისადმი[3].

1187 წელს იერუსალიმი მუსლიმანებმა დაიპყრეს. ჯვაროსანთა მეფეებისაგან შეწუხებული ადგილობრივი მოსახლეობა სულთან სალადინის მიერ იერუსალიმის დაპყრობას სიხარულით შეხვდა. იერუსალიმის ქართულ სავანეებს იმედი მიეცათ, რომ სალადინის შემწეობით ისინი დაიბრუნებდნენ ლათინთაგან ჩამორთმეულ მონასტრებს, მამულებსა და უფლებებს წმინდა ადგილებზე.

სალადინის ისტორიკოსის ბეჰა ედ-დინის ცნობით, 1187 წელს იერუსალიმში თამარი ელჩობას აგზავნის საგანგებო ინსტრუქციით, რომელიც შეეხებოდა ქართველების მიერ იერუსალიმში მოპოვებულ წმინდა ადგილებს. ქართველები ჩიოდნენ, რომ მათ ჩამოართვეს წმინდა ადგილები. ქართველთა დესპანი მოითხოვდა სულთანისაგან ამ ადგილებზე ქართველთა უფლებების აღდგენას[4]. როგორც ვხედავთ, აქ უკვე ჩვენ საქმე გვაქვს ქართული ფეოდალური მონარქიის მესვეურთა სახელმწიფოებრივ ღონისძიებასთან. თამარის დიპლომატიურმა ჩარევამ უზრუნველყო იერუსალიმის ქართული სავანეების შეუვალობა და მასში მცხოვრები ქართველების ხელშეუხებლობა.

იერუსალიმის ქართული კოლონიის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც მონღოლთა შემოსევებ-

---

[1] А. Попов, Латинская Иерусалимская патриархия эпохи крестоносцев, т. I, 1903, с. 280; ელ. მეტრეველი, დასახ. ნაშრ., გვ. 56.

[2] А. Попов, Латинская Иерусалимская патриархия эпохи крестоносцев, т. II, с. 177; ელ. მეტრეველი, დასახ. ნაშრ., გვ. 56—57.

[3] ელ. მეტრეველი, დასახ. ნაშრ., გვ. 57.

[4] დამოწმებულია გ. ფერაძის ნაშრომის მიხედვით—An account of the georgian monks and monasteries in Palestine. Georgica, 1937, № 4 — 5, გვ.186. ელ. მეტრეველი, დასახ. ნაშრ., გვ. 57.

მა შეარყიეს ქართული სახელმწიფოს ძლიერება და მას წინანდებურად აღარ შესწევდა ძალა ეზრუნა და მტკიცედ დაეცვა თავისი წმინდა ადგილები იერუსალიმში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აგრეთვე პეტრიწონის მონასტრის დიდი როლი ქართული კულტურის ისტორიაში. ეს მონასტერი 1083 წელს აუშენებია ტაოელ ქართველს, ბიზანტიის ისტორიაში კარგად ცნობილ პიროვნებას, გამოჩენილ პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეს „დასავლეთის დიდ დომესტიკოსს" გრიგოლ ბაკურიანისძეს. მის მიერ დაარსებული მონასტერი მდებარეობს ბულგარეთში, როდოპის მთებში ჩეპელარსკას ხევზე ქ. ფილიპოპოლის (ახლანდელი პლოვდივი) მახლობლად სოფელ პეტრიწონში, სადაც ამჟამად არის ბულგარეთის სოფელი ბაჩკოვო. მონასტერი შედგებოდა სამი ეკლესიისა და საცხოვრებელი სენაკებისაგან საჭირო სათავსებითურთ. ეკლესიათაგან მთავარი იყო ღვთისმშობლის სახელზე აგებული, ხოლო ორი მომცრო კი ატარებდა იოანე ნათლისმცემელისა და წმ. გიორგის სახელს. ამას გარდა, მონასტრის გალავნის გარეთ, 200-ოდე ნაბიჯის მოშორებით გრიგოლმა ააშენა „სამარხო" (ანუ საძვალე). აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ საძვალეში გადმოასვენა გრიგოლმა თავისი ძმა აბაზ მაგისტროსი, რომელიც მონასტრის აგებამდე გარდაიცვალა. აქვეა დასაფლავებული თვით გრიგოლ ბაკურიანის ძეც, რომელიც გმირულად დაეცა პაჭანიკებთან ბრძოლაში 1086 წელს[1]. გრიგოლ ბაკურიანისძემ შესანიშნავად მოაწყო თავისი დაარსებული მონასტერი: აუგო ერთი სასნეულო (საავადმყოფო) და სამი სასტუმრო სხვადასხვა ადგილას. უზრუნველყო ეკონომიკურადაც: შესწირა სოფლები გლეხებითურთ, ციხე-ქალაქები, საძოვრები, ზვრები, სათევზაო ტბა, წისქვილი და სხვ. ამას გარდა, გრიგოლმა მონასტერს შესწირა საეკლესიო წიგნები, ხატები, ჯვრები, სამოსელი. განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ გრიგოლ ბაკურიანისძეს მონასტერთან დაუარსებია სემინარია, სადაც ქართველი ახალგაზრდები სწავლობდნენ ყველაფერს, რაც საჭირო იყო საეკლესიო მსახურებისათვის. სემინარის მოსწავლეები სასმელ-საჭმელს და ტანისამოსს მონასტრისაგან იღებდნენ. სწავლის დასრულების შემდეგ ვინც ღირსი იქნებოდა, ეკლესიის მსახური ხდებოდა და მოღვაწეობდა კულტურულ-საგანმანათლებლო ასპარეზზე.

აღსანიშნავია, რომ ქართულ ექსტერიტორიულ დასახლებათა შორის ცნობები ერთადერთი სასწავლებლის არსებობის შესახებ მხოლოდ პეტრიწონის მონასტერთან გვხვდება. თვით გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ 1084 წელს მონასტრისათვის დაწერილი ტიპიკონის (წესდების) 31-ე პარაგრაფში გარკვეულია სემინარიის მიზნები, ხელმძღვანელთა ამოცა-

---

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში, თბ., 1971, გვ. 14—15.

ნები. აღნიშნული პარაგრაფის სათაურია: „მოყმეთათჳს დიაკონთა, თუ სადა იყვნენ, ანუ ვითარ განისწავლნენ“. ამ პარაგრაფის მიხედვით, გათვალისწინებული იყო უწვერულვაშო მოზარდების მოთავსება წმინდა ნიკოლოზის მონასტერში, სადაც მათთვის მოხუცებულ მღვდელთაგანს საღვთო წერილი უნდა ესწავლებინა. მეტად საყურადღებოა ტიპიკონის 31-ე პარაგრაფის ის მუხლები, რომლებშიც მოცემულია მსჯელობა იმაზე, თუ როგორ იყო ორგანიზებული სწავლება პეტრიწონის სემინარიაში. მაგალითად, მეოთხე მუხლში აღნიშნულია: „და იყვნენ წმიდასა მას ეკლესიასა ნიკოლწმიდისასა მღდელსა მას თანა სასწავლოდ ყრმანი ექუსნი. და აიღებდენ მონასტრისაგან საზრდელსა თჳსსა და სამოსელსა, ვითარ-იგი შეჰგვანდეს, ვიდრემდის დაისწავლონ სრულიად ყოველი წესი სამღდელოჲ“. მე-5—6 მუხლები კი სემინარიის კურსდამთავრებულთ ეხებოდა: „და ოდეს ჰასაკად მოიწინენ და წუერითა გასრულდნენ, მაშინღა რომელნიცა ღირს მღდელობისა იყვნენ მათგანნი, ხუცად იკურთხნენ და შეწყნარებულ იქმნენ დიდსა მონასტერსა და ჟამსა წირვიდენ სხუათა თანა მღდელთა, თუცა თუ არა დაჰკლებოდის რიცხუსა პირველ განწესებულთა მღდელთასა. და აიღებდნენ იგინიცა ყოველსა მისაცჭმელსა ვითარ სხუანი იგი ჟამის მწირველნი.

ხოლო რომელნი არა ღირს იყვნენ მათგანნი მღდელობასა, განისხნენ მიერ, გარნა რიცხუსა ყრმათასა ნუმცა ოდეს დაკლებულა ნიკოლწმიდას სწავლისაგან“[1].

აი, რას წერს პეტრიწონის სემინარიის შესახებ ფრანგი მეცნიერი ლუი პეტიტი: «Мы имеем здесь крайне редкий, если не единственный пример функционирования в Византии семинарии в новейшем смысле этого слова»[2].

აქვე ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ პეტრიწონის მონასტრისათვის დაწერილი ტიპიკონის მიხედვით, ეს მონასტერი მხოლოდ ქართველთათვის იყო განკუთვნილი. წესდების 24-ე მუხლის თანახმად, გრიგოლმა აუკრძალა ბერძნებს მონასტერში დამკვიდრება. ბერძენი შიგ შეიძლებოდა მხოლოდ ერთი ყოფილიყო, სახელდობრ, მწერალი, რომელსაც მიმოწერა უნდა ეწარმოებინა მონასტერსა და ადგილობრივ საერო ხელისუფლებას შორის[3]. ღვთისმსახურება მონასტერში უნდა წარმოებულიყო მხოლოდ ქართულ ენაზე, მონასტრის

---

[1] ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში, გვ. 116; Н. Я. Марр, Иоанн Петрицский, грузинский неоплатоник XI—XII века, Записки ВО ИРАО, т. XIX, СПб., 1909, с. 54—56.

[2] Louis Petit, Tunikòv de Gregoire Pacourianos pour le monastére de Petritzos (Bachovo) en Bulgarie, Византийский временник, т. XI, приложение № 1, 1904, 83. XXI.

[3] ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 14, 22.

ბერებადაც მხოლოდ ქართული ენისა და წერა-კითხვის მცოდნეებს ღებულობდნენ. მონასტრის მთელი ლიტერატურულ-შემოქმედებითი მუშაობა და აგრეთვე მონასტერთან არსებულ სემინარიაში სწავლა-განათლება მიმდინარეობდა ქართულ ენაზე.

როგორც ცნობილია, პეტრიწონის სემინარიაში მთელი ოცი წლის განმავლობაში მოღვაწეობდა ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი. იგი იყო მისი პირველი რექტორი, რომელმაც, როგორც ფიქრობენ, ამ მონასტრისაგან მიიღო სახელი პეტრიწი. იოანე აქტიური მონაწილე იყო იმ ფილოსოფიური მოძრაობისა, რომელიც გაიშალა ბიზანტიაში მიხეილ ფსელოსისა და იოანე იტალოსის ხელმძღვანელობით. იოანე პეტრიწმა თავისი თავისუფალი ფილოსოფიური აზროვნების გამო განიცადა დევნა ოფიციალური ლიტერატურული წრეების მხრიდან, რის გამოც იგი იძულებული შეიქნა დაეტოვებინა პეტრიწონის სემინარია და სამშობლოში დაბრუნებულიყო.

პეტრიწონის ლიტერატურულმა სკოლამ კიდევ უფრო დააახლოვა ქართული ლიტერატურა ბიზანტიურთან. პეტრიწონის მონასტერი გადაიქცა ქართული კულტურის მსხვილ ცენტრად და XI—XII საუკუნეების ქართული მწერლობის მძლავრ კერად. „აქ ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სალიტერატურო სკოლა, რომელსაც პეტრიწონულ სკოლას უწოდებენ... განსაკუთრებული ყურადღება ამ სკოლაში მიქცეული ჰქონდა განყენებული დოგმატიკური და ფილოსოფიური ხასიათის თხზულებათა დამუშავებას, რამაც ხელი შეუწყო ქართული ფილოსოფიური ენისა და ტერმინოლოგიის შექმნას. ამ სკოლამ შექმნა მთელი ეპოქა ჩვენს მწერლობაში, მეტად ნაყოფიერი და საყურადღებო“[1].

პეტრიწონის მონასტერი 1189 წელს გაუძარცვავთ და დაურბევიათ ჯვაროსნებს, მაგრამ, როგორც ირკვევა, ქართული ელემენტი აქ XIV საუკუნის დამდეგამდეც არის სავარაუდებელი[2].

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ XI საუკუნეში ქართველები ნაყოფიერ კულტურულ-შემოქმედებით მუშაობას აწარმოებდნენ კონსტანტინოპოლის მონასტრებში. კერძოდ, აქ უნდა მოვიხსენიოთ ისეთი კერები, როგორიც იყო ჰრომანა, ხორა, ტრიანფლიუსი, მანგანი. მაგალითად, ჩვენ გვხვდება ლიტერატურული ძეგლები, რომელნიც გადაწერილი თუ ნათარგმნია „ღმრთისმშობლისა მონასტერსა ტრიანფლიუსს“[3] და „მონასტერსა წმიდისა გიორგისასა მანგანას“[4].

---

[1] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I[3], გვ 94.

[2] А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, вып. III, СПб., 1894, с. XII—XIII.

[3] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 228—229.

[4] იქვე, გვ. 237.

ვანის ქვაბები, XII ს.

წუნდის ეკლესია, XII — XIII სს.



თამარის გამოსახულება, ვარძიის ტაძრის კედლის მხატვრობა, XII ს.

დავით აღმაშენებლის გამოსახულება მთავარი ტაძრის ჩრდილოეთის კედელზე. გელათი. XII ს., განახლებულია XVI ს.

დავით გარეჯი, ლავრა. საერთო ხედი, VI—XVIII სს.

მეტეხის ტაძარი (თბილისი), 1289 — 1293 წწ.

დმანისის კერამიკული სახელოსნოს ნაშთები
(თიხის კაუჭი), XII — XIII სს.

დმანისის კერამიკული სახელოსნოს ნაშთები (თიხის სოლის ნატეხი ზედადაღებული ფაიანსის ნატეხებით), XII—XIII სს., საქ. სახ. მუზეუმი



მოჭიქული ჭურჭლის ნიმუში — ჯამი ფრინველის გამოსახულებით თბილისიდან, XII—XIII სს., საქ. სახ. მუზეუმი.

მოჭიქული ჭურჭლის ნიმუში — ჯამი ფრინველის გამოსახულებით დმანისიდან, XII—XIII სს., საქ. სახ. მუზეუმი.

მოჭიქული ჭურჭლის ნიმუში — ჯამი ლომის გამოსახულებით ქასპიდან, XII—XIII სს., საქ. სახ. მუზეუმი.

ვერცხლის სამაჯურები დმანისის სამკაულების განძიდან,
XII — XIII სს., საქ. სახ. მუზეუმი.

ვერცხლის სამაჯურები და საკიდები დმანისის სამკაულების განძიდან,
XII — XIII სს., საქ. სახ. მუზეუმი.

ოქროს საკიდები დმანისის სამკაულების განძიდან,
XII — XIII სს., საქ. სახ. მუზეუმი.

ვერცხლის საკიდები (ფრაგმენტები) დმანისიდან, ვერცხლის
საყურე რუსთავიდან, XII — XIII სს., საქ. სახ. მუზეუმი.



ვერცხლის ყელსაბამის ფრაგმენტი ვარდულებით და მარჯნის მძივებით დმანისიდან, XII—XIII სს., საქ. სახ. მუზეუმი.

მინის სასმისი ივრის ხეობიდან, XIII ს., საქ. სახ. მუზეუმი.

რუსთავის მოჭიქული ჭურჭლის ნიმუში — ჯამი ფრინველის გამოსახულებით, XII — XIII სს., რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

რუსთავის მოჭიქული ჭურჭლის ნიმუში — ჯამი ფრინველის გამოსახულებით, XII — XIII სს., რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

რუსთავის მოჭიქული ჭურჭლის ნიმუში — ლარნაკი ცისფრად მოჭიქული, XII—XIII სს., რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

თბილისის კერამიკული სახელოსნოს წუნის ნიმუში — კაუჭის ნატეხი მიდუღებული ჭურჭლის ფრაგმენტით, XIII ს., საქ. სახ. მუზეუმი.



თბილისის კერამიკული სახელოსნოს წუნის ნიმუში — დეფორმირებული ჯამი მწვანედ მოჭიქული, XIII ს., საქ. სახ. მუზეუმი.

დმანისის კერამიკული სახელოსნოს პროდუქციის ნიმუში — ჯამი ფრინველის გამოსახულებით, XIII ს., საქ. სახ. მუზეუმი.

თბილისის კერამიკული სახელოსნოს პროდუქციის ნიმუში — ჯამი მწვანედ მოჭიქული ექვსკუთხედით., XIII ს., საქ. სახ. მუზეუმი.

ცისფრად მოჭიქული ლარნაკი თბილისიდან, XIII ს., საქ. სახ. მუზეუმი.

თბილისის კერამიკული სახელოსნოს პროდუქციის ნიმუში — ჯამი რადიალური ზოლებით, XIII ს., საქ. სახ. მუზეუმი.

თბილისის კერამიკული სახელოსნოს პროდუქციის ნიმუში — ჯამი ფრინველის გამოსახულებით, XIII ს., საქ. სახ. მუზეუმი.

თბილისის კერამიკული სახელოსნოს პროდუქციის ნიმუში — ფეხიანი ფიალა მწვანედ მოჭიქული, XIII ს., საქ. სახ. მუზეუმი.



თბილისის კერამიკული სახელოსნოს პროდუქციის ნიმუში — ჯამი ყავისფერი „ხალებით“, XIII ს., საქ. სახ. მუზეუმი.

ვერცხლის ფიალები ვანის ქვაბიდან, XIII ს., საქ. სახ. მუზეუმი.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველებს ბიზანტიაში იზიდავდა არა მარტო მონასტრები, არამედ სასწავლო დაწესებულებანიც. ამ მხრივ პირველ რიგში დასახელებული უნდა იქნას კონსტანტინე IX მონომახოსის (1042—1055) მიერ კონსტანტინოპოლში 1044—1047 წლებში დაარსებული მანგანის აკადემია, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ბიზანტიური კულტურის ისტორიაში, როგორც რენესანსის მძლავრმა კერამ. XI—XII საუკუნეებში კონსტანტინოპოლის ეს უმაღლესი სკოლა იყო პროგრესული იდეების ქადაგების ცენტრი. მისტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში წარმოიშვა და გავრცელდა რაციონალისტური ფილოსოფიური მოძღვრებანი, რომელთა მიმდევარნიც თავიანთ ნაწერებში არ ეთანხმებიან სქოლასტიკური დოგმატიზმის მიერ სავალდებულოდ აღიარებული ქრისტიანული დებულებების აპრიორულ უეჭველობას და ანტიკური სამყაროს (ე. ი. ძველი საბერძნეთისა და რომის) კულტურულ მონაპოვართა მოშველიებით ცდილობენ თავი დააღწიონ შუასაუკუნეობრივ სქოლასტიკურ გონებადახშულობას. ეს ის დრო იყო, როდესაც მანგანის აკადემიაში მოღვაწეობდნენ სახელგანთქმული მეცნიერები: მიქელ პსელოსი, იოანე იტალოსი, იოანე ქსიფილინოსი და სხვ.[1].

მანგანის აკადემია იმდროინდელი მოწინავე მსოფლიოს უმაღლესი განათლების კერად იქცა. აქ თავს იყრიდა სხვადასხვა ქვეყნიდან სასწავლებლად ჩამოსული ახალგაზრდობა, რომელთა შორის ქართული კულტურის მომავალი გამოჩენილი მოღვაწენიც იყვნენ (იოანე პეტრიწი, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი და სხვ.). აქ მათ შეისწავლეს თეოლოგია და ფილოსოფია, მიიღეს ყოველმხრივი განათლება, ხოლო შემდეგში კი, ამ მოწინავე უმაღლესი სასწავლებლის ტრადიციები დანერგეს ქართულ სავანეებში (პეტრიწონი, შავი მთა, გელათი, იყალთო).

ამავე ხანაში დიდი ლიტერატურული და შემოქმედებითი მუშაობა იყო გაშლილი აგრეთვე კუნძულ კვიპროსზე არსებულ ქართულ სავანეში. აქ იყო „ქართველთა მონასტერი ჟალია“ resp. „ღალია“, სადაც გადაწერილია დავითნის თარგმანი[2]. ჟალიის resp. ღალიის მონასტერი განუახლებია თამარს. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორის მოთხრობით, თამარმა „კუალად კვპრეს ღალია შეამკო და უყიდნა შესავალნი და აღაშენა მონასტერი და შეამკო ყოვლითა წესითა პატიოსნისა მონასტრისათა“[3].

კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ამ პერიოდში ქართველები სინას მთაზედაც ეწეოდნენ. სინას მთა, რომელიც არაბეთის ნახე-

---

[1] История Византии в трех томах, т. 2, М., 1967. с. 354—386; ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1973, გვ. 248—263.

[2] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 128, 130—131.

[3] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 91.

ვარკუნძულის დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა, ქართველთა სამოღვაწეო ასპარეზის ყველაზე უფრო შორეულ პუნქტს წარმოადგენდა მახლობელ აღმოსავლეთში. მართალია, სინას მთის, როგორც ქართული კულტურის კერის, აყვავებისა და გაფურჩქვნის ხანა ძირითადად X საუკუნე იყო, მაგრამ აქ ქართველები XI—XII საუკუნეებშიც ინტენსიურად მოღვაწეობდნენ. ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელმა სინას მთაზე ააგო ახალი ეკლესია-სენაკები, გაუგზავნა მათ მრავალი ათასი ოქრო, „მოსაკიდელნი ოქსინონი" („ოქროსჭედილი ხავერდის ხელსახოცები") და საეკლესიო წიგნები[1]. საფიქრებელია, რომ სწორედ ამ პერიოდში უნდა მოხვედრილიყო სინას მთაზე XI საუკუნის ბოლოს შესრულებული ქართული თარგმანი ანდრია კრიტელის „დიდი კანონისა", რომელიც ნ. მარმა აღმოაჩინა სინას მთის ხელნაწერთა შორის 1902 წელს. აღნიშნული თხზულების ხელნაწერში ნ. მარის მიერ მიკვლეულ იქნა მეტად საყურადღებო ჩანაწერი, საიდანაც ირკვევა, რომ თარგმანი შეუსრულებია თვალსაჩინო ქართველ მწიგნობარს არსენ ბერს (საღირისძეს). არსენ ბერი, უაღრესად განათლებული მწერალი, დავით აღმაშენებლისა და მისი ძის — დემეტრე I-ის თანამედროვე იყო. მას მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი მშობლიური კულტურის საგანძურში. და აი, ზემოხსენებულ მინაწერში არსენ ბერი გვამცნობს, რომ მან ანდრია კრიტელის საგალობლები მესამედ თარგმნა; არც პირველი თარგმანი ექვთიმესი, და არც მეორე — გიორგი მთაწმინდელისა, არ იყო დამაკმაყოფილებელი სიზუსტის მხრივ, და ამიტომ „ბრძანებითა და ჯერ ჩინებითა... დავით აფხაზთა და ქართველთა და რანთა და კახთა მეფისაჲთა" არსენ ბერმა მესამედ გადმოიღო ტექსტი ხმათა შეუცვლელად და მათთან საგალობელთა შეფარდებით. დავით მეფემ მე მომანდოო, — ამბობს არსენი, — ტექსტის გადმოთარგმნა, ხოლო „მწყემსთა მწყემსსა იოანე კათალიკოზს, ვითარცა კეთილად მორთულსა ორღანოსა ჴელოვანთ მთავარს" კი უბრძანა „ჴმისა დადებისა ჴელყოფაჲ", რადგანაც ანდრია კრიტელის ბერძნული საგალობლების კილო „უცხონი იყვნეს ენისა ჩუენისა"-თვისო[2].

სრულიად ზედმეტია აქ იმ ფაქტის ხაზგასმა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი ცნობაა ჩვენს ხელთ სინას მთის მონასტრის სკრიპტორიუმში აღმოჩენილი არსენ ბერის ჩანაწერის სახით. უპირველეს ყოვლისა, XI საუკუნის ეს გამოწვლილვითი ჩანაწერი ნათლად მეტყველებს ქართველ მწიგნობართა კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობის ეროვნულ სულისკვე-

---

[1] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 353.

[2] Н. Я. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, М.—Л. 1940, с. 203—204; Вісовэ. Предварительный отчет о работах на Синае и в Иерусалиме в поездку 1902 г., Сообщения Палестинского общества, т. XIV, ч. II, 1903, с. 42.

თებაზე; ამ ჩანაწერში დაცულია აგრეთვე მეტად საყურადღებო ჩვენება XI საუკუნის ქართული საეკლესიო გალობის თვითმყოფადი ხასიათის შესახებ; დასასრულ, ზემოაღნიშნული ჩანაწერი ერთ-ერთი უტყუარი მოწმობაა იმის დასადასტურებლად, თუ როგორი თავგამოდებით ზრუნავდა დავით აღმაშენებელი ეროვნული კულტურის განვითარებაზე: იგი ქართველ მწერლებს მხარში ედგა, ეხმარებოდა მათ, არ აკლებდა ყურადღებას ქართულ ეკლესიას და შეუნელებელი ინტერესით ადევნებდა თვალს მის საქმიანობას, დიდ ყურადღებას იჩენდა საზღვარგარეთ არსებული ქართული ეკლესია-მონასტრებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო კერების მიმართ.

დიდი გულუხვობით ეხმარებოდა სინას მთის ქართულ საეანეებს თამარიც[1], რომელსაც კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ შორეულ სინაზე მდებარე ქართველთა მონასტერი წარმოადგენდა არა მხოლოდ საკულტო, არამედ სამეცნიერო-მწიგნობრულ დაწესებულებასაც, რომელიც ღირსი იყო ქართული ფეოდალური სახელმწიფოს მესვეურთა ყურადღებისა და მფარველობისა.

§ 2. ИСТОРИОГРАФИА

XI—XIII სს. ქართული ისტორიოგრაფია დაწინაურებული საზოგადოებრივი ურთიერთობის შესაფერისი იყო. სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, მწვავე კლასობრივი ბრძოლა, რთული საერთაშორისო მოვლენები მოწინავე საზოგადოების პოლიტიკურ აზროვნებას ზრდიდა და ამახვილებდა. ამ ხანის ქართულ საისტორიო მწერლობას ცხოველად აინტერესებდა საკითხები: „ნათესავის“ (ხალხის) რაობისა, ხალხთა მონათესაეობისა, ქართული ენის გაჩენისა და ქართული დამწერლობის შემოღებისა, სახელმწიფოს წარმოშობისა, წოდებათა გაჩენისა. ისტორიკოსთა ნაწარმოებებში აშკარად ჩანს ქვეყნის შიგნით მიმდინარე ბრძოლა ფეოდალურ არისტოკრატიასა და სამეფო ხელისუფლებას შორის.

ე. წ. პოლიტიკურ-რიტორიკული მიმართულების ისტორიკოსთა რიცხვს ეკუთვნოდნენ „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი (XI ს.), დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი (XII ს.), თამარის ისტორიკოსები (XII—XIII სს.); ყველა ისინი მეფის ერთმმართველობის იდეის მატარებელნი იყვნენ. ეს ავტორები თავიანთ ნაშრომებში გვაძლევენ მეფეთა და დიდებულთა სახელმწიფოებრივ, სამხედრო და კულტურული მოღვაწეობის დახასია-

---

[1] ბასილ ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 141.

თებას; დაწვრილებით აგვიწერენ მათ მიერ გატარებული იმ ღონისძიებების მიზეზებს, მნიშვნელობასა და შედეგებს, რომლებიც ქართული სახელმწიფოს ძლიერებას განამტკიცებდნენ. ამ ისტორიკოსთა თხრობის მთავარ საგანს მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენები და ომები შეადგენდა. საყურადღებოა, რომ მეფეთა ბიოგრაფიისა და სამეფო საქმეებს გარდა მათ საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ამბებიც ცხოვლად აინტერესებდათ. შინაარსის მრავალფეროვნებამ და თვით ისტორიის წერის მაღალმა ტექნიკამ ამ ნაშრომებს პირველხარისხოვანი ისტორიული ძეგლების სახელი დაუმკვიდრა. ანტიკური ისტორიული ლიტერატურიდან აღნიშნულმა ისტორიკოსებმა გადმოიღეს რიტორიკული თხრობის მეთოდები, რომლებსაც იყენებდნენ საკუთარი პოლიტიკური ტენდენციებისა და შეხედულებების გამოსახატავად.

XI—XIII სს. სამართლიანად ითვლება ქართული ისტორიული აზროვნების განვითარებისა და დიდი მიღწევა-წარმატებების ხანად. აღსანიშნავია, რომ ამ ეპოქაში ისტორიული თხზულების აღმნიშვნელ სახელად საქართველოში პირველად შემოდის ტერმინი „ისტორია". იგი შემოიღო თამარის ისტორიკოსმა, ხოლო ტერმინი „ისტორიათა-აღმწერლობა", რომელიც იმავე თამარის ისტორიკოსსა აქვს ნახმარი, თავისი მნიშვნელობით, როგორც ამას აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, ისტორიოგრაფიას უნდა უდრიდეს[1]. XI—XIII სს. ისტორიკოსთა განკარგულებაში იყო საკმაოდ დიდი რაოდენობის სხვადასხვა სახის წყარო. ისინი სარგებლობდნენ ანტიკური, ბიზანტიელი, სომეხი და მუსლიმანი მწერლების ცხობებით. მათ ნაწარმოებებში ხშირად შეხვდებით ანტიკურ ღვთაებათა (კრონოსი, ზევსი, აფროდიტე, ერმი, აპოლონი, არესი), გმირთა (აქილევსი, ჰექტორი, პრიამოსი, აგამემნონი, ოდისევსი, ორესტე), პირთა (ჰომეროსი, არისტოტელე, პლატონი, თემისტოკლე) სახელებს. თამარ მეფის ისტორიკოსი „ელინური მწერლობის ისეთი მოტრფიალე ყოფილა, რომ გიორგი მეფეს იმნაირად ალაპარაკებს, თითქოს მეფე ბერძენთა მბრძანებელი იყოს"[2]. „ანტიკური კულტურისადმი დამოკიდებულება იყო არა მწიგნობრული, არამედ ესთეტიკური აღქმისა და განწყობილების შედეგი"[3].

ზემოთ აღნიშნული გარემოებანი სრულიადაც არ იყო მოულოდნელი, რადგან XI—XII სს. ქართული კულტურის რენესანსის ხანა იყო. „ამ

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V — XVIII სს.), თბ., 1945, გვ. 15.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 231.

[3] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ვახუშტი მე-17—18 სს. ევროპული ისტორიოგრაფიის სინათლეზე, იხ. ანალები, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, 1947, გვ. 59.

დროს ქართულ ისტორიოგრაფიას მოეპოვებოდა ისეთი რიგის ნიშნები, რაც რამდენიმე საუკუნით გვიან დამახასიათებელი იყო XV—XVI სს. იტალიური ჰუმანისტური ისტორიოგრაფიისათვის. ეს ნიშნებია: წყაროთა დამოწმების წესის არსებობა, საისტორიო თხზულებების კომპოზიციური მთლიანობა, ისტორიული კრიტიკის მარტივი წესების გამოყენების შემთხვევები, ტექსტების ფილოლოგიური ინტერპრეტაცია და, განსაკუთრებით, ანტიკური მწერლობით გატაცება"[1].

XI საუკუნის ცნობილმა მოღვაწეებმა (გიორგი ათონელი, გიორგი მცირე, ანუ ხუცესმონაზონი, ეფრემ მცირე) განავითარეს ბიოგრაფიულ-ისტორიული ჟანრის მწერლობა, „გააფართოვეს ისტორიული წყაროების წრე და მეტ-ნაკლები სისრულით მოიმარჯვეს ისტორიული კრიტიკა. მართალია, ყოველივე ეს იმით იყო ნაკარნახევი, რომ უკეთ და დამაჯერებლად ყოფილიყო დაცული ქართული ეკლესიის ისტორიული უფლებები ან საეკლესიო-სამონასტრო ქონების ხელშეუხებლობა, მაგრამ ამას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული საისტორიო მეთოდების შემუშავებისათვის. მომდევნო საუკუნეების დასავლეთ ევროპაშიც ისტორიული წყაროებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება კონფესიონალური და კლასობრივი ბრძოლის იარაღად იყო გამოყენებული, რაც თავისთავად ხელს უწყობდა ისტორიოგრაფიის დაწინაურება-განვითარებას"[2].

გიორგი ათონელი (1009—1065 წწ.) ათონის ლიტერატურული სკოლის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელია. მის კალამს ეკუთვნის შესანიშნავი ნაწარმოები „ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი"[3]. ექვთიმე ათონელი, ანუ მთაწმინდელი (გარდ. 1028 წ.) იყო ათონის ლიტერატურული სკოლის მამამთავარი, რომელმაც თავისი ლიტერატურული შრომებით — „განანათლა ქართველთა ენაჲ და ქუეყანაჲ", მან წარუშლელი კვალი დატოვა ქართული კულტურისა და მწერლობის ისტორიაში. ექვთიმესა და მისი მამის იოანეს ცხოვრება გიორგი ათონელს აღუწერია 1042—1044 წლებში. თხზულება გამსჭვალულია მაღალი ეროვნული აზრებით, მასში სისწორითაა აღწერილი ათონის ქართველ მოღვაწეთა ცხოვრება,

---

[1] ვ. გაბაშვილი, ვახუშტი მე-17—18 სს. ევროპული ისტორიოგრაფიის სინათლეზე, გვ. 59.

[2] იქვე, გვ. 60.

[3] მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, თბ., 1882, გვ. 401—432; მ. ჯანაშვილი, ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, თბ., 1902, გვ. 1—68; „ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი", ივ. ჯავახიშვილის გამოცემა, თბ., 1946, გვ. 13—61; М. Сабинин, Полное жизнеописание святых грузинской церкви, ч. II. Тб., 1872, с. 127—160; P. Peeters, Histoires monastiques Georgiennes, 1923, Bruxelles.

მონასტრის აშენება და მისი თავგადასავალი, ქართლისა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა XI საუკუნის პირველ ნახევარში. თხზულებაში გვხვდება აგრეთვე საყურადღებო ცნობები სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პრობლემების გასაშუქებლად[1].

გიორგი ათონელის თხზულებაში დამოწმებულია სამივე რიგის წყაროს გამოყენების ფაქტები: წერილობითის, ნივთიერისა და ზეპირის. მას „საჭიროდ მიაჩნდა თავისი თხზულება დაეწერა... ისეთი ნივთიერი საბუთებით, რომელნიც დუმილითაც კი მოღვაწეთა დიდ საქმეებს ამტკიცებდნენ. საყურადღებოა, რომ ავტორი ნივთიერ წყაროებად ყოველგვარ მასალებს თვლიდა როგორც სამეურნეო ქონებას, რომელიც მათ ივერთა მონასტერს შესძინეს, მაგალითად, ლავრა, ეკლესიანი, დაბანი, სოფელნი, მონასტერნი და დასაყუდებულონი, ისე სხვადასხვა სამწერლობო ძეგლსა და იურიდიულ საბუთებს, მაგალითად, წიგნები, რომლებითაც მათ ლავრა აავსეს, მათი თარგმანებით შემკული და აყვავებული ქართული ენა, მათ მიერ დადგენილი სამონასტრო წესნი და კანონნი, მფლობელობის სიმტკიცენი, ხელნაწერნი და ბიზანტიის კეისართა ოქრო-ბეჭედნი, ანუ ხრიზობულნი. ერთი სიტყვით, გიორგი ათონელს უსარგებლია მათი მოღვაწეობის დამახასიათებელი ყოველგვარი ნაშთებით და საბუთებით“[2].

გიორგი ათონელი უხვად სარგებლობს აგრეთვე ყოველგვარი წერილობითი საბუთებით და „სარწმუნო კაცთა“ ზეპირი ცნობებით[3]. ამასთან, გიორგი ათონელს „ჭეშმარიტ“, „უტყუველ“ და გამოსადეგ მასალად მხოლოდ საბუთის დედანი მიაჩნდა. მას კარგად ესმოდა, რა დიდი განსხვავებაა საბუთის დედანსა და მის პირს შორის[4]. XI საუკუნეში გამოყენებულ წყაროთა თვისების გამო აკად. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, რომ „თანამედროვე საისტორიო მეთოდოლოგია ამ მხრივ ასეთისავე წყაროებითა და ამგვარისავე საშუალებით სარგებლობს. ქართულ მწერლობაში, მაშასადამე, მეთერთმეტე საუკუნეში გიორგი ათონელის წყალობით საისტორიო თხზულებათა მეთოდოლოგიური მხარე იმდენად განვითარებული

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945, გვ. 135—144; კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1951, გვ. 189—210; მ ი ს ი ვ ე, ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, 1945, გვ. 218—236; მ ი ს ი ვ ე, ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ერთი ნიმუში, იქვე, გვ. 237—268; მ ი ს ი ვ ე, ორი ექვთიმე ძველ ქართულ მწერლობაში, „ჩვენი მეცნიერება“, № 2—3, 1923, გვ. 102—121; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, „ათონის კრებულის“ რედაქცია, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XI—B, 1941, გვ. 25—40; ა. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული სიტყვიერების ისტორია, 1919, გვ. 164—173.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 139—140.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 140.

[4] ი ქ ვ ე.

და დამთავრებული იყო უკვე, რომ თანამედროვე მკაცრ სამეცნიერო მოთხოვნილებასაც კი დააკმაყოფილებდა"[1].

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი ათონელი და სხვა საეკლესიო მწერლები მონაწილეობას ღებულობდნენ ეკლესიათა შორის გამართულ კონფესიონალურ პაექრობებში. აწყობდნენ პოლემიკას საეკლესიო პრაქტიკისა და ისტორიის სადავო საკითხებზე. მათ ამოცანას, რა თქმა უნდა, შეადგენდა აგრეთვე მონასტრის სამფლობელოთა ხელშეუხებლობის დაცვა. ამიტომ, საეკლესიო წრიდან გამოსულ ისტორიკოსთა ნაწარმოებებში აშკარად იჩენს თავს მსხვილ საეკლესიო ფეოდალთა ტენდენციები, რომლებიც მიისწრაფოდნენ მამულებზე თავიანთი უფლებების განმტკიცებისაკენ. ამიტომ იყო, რომ ისინი ასე უხვად უთითებდნენ წყალობის სიგელებს და სხვადასხვა სახის დოკუმენტურ წყაროებს[2]. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, „საყურადღებოა თვითონ იმ ფაქტის დადასტურება, თუ რამდენად სრული იყო XI ს. ქართველი ისტორიკოსის წყაროების წრე, რადგან თვით XV—XVI სს. ევროპულ ისტორიოგრაფიაში წერილობითი წყაროების გვერდით ნივთიერი საბუთების გამოყენების მხოლოდ ერთეული მაგალითების დასახელება შეიძლება[3].

გამოყენებულ წყაროებს ასახელებდნენ აგრეთვე ჯუანშერი, ლეონტი მროველი, სუმბატ დავითის ძე, ქართლის მატიანის ავტორი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, თამარ მეფის ისტორიკოსები.

XI—XII სს. ქართველ ისტორიკოსთა დამოკიდებულება ისტორიული წყაროებისადმი ფრთხილი და საკმაოდ კრიტიკული იყო. მარტივი ისტორიული კრიტიკის მკაფიო ნიმუშებს გვაწვდის იგივე გიორგი ათონელი, როცა გაბრიელ ქართველისა და ლეონ ჰრომის ურთიერთობის ამბავს მოგვითხრობს. ავტორი ეჭვს გამოთქვამს იმის გამო, რომ ქართულის უცოდინარ რომაელ ლეონს და ლათინურის უცოდინარ ქართველ გაბრიელს ერთმანეთთან თავისუფლად საუბარი შეეძლოთ. მას ეს ამბავი თავის თხზულებაში მხოლოდ მონასტრის ბერების, გაბრიელისა და ლეონის თანამედროვეების ფიცის შემდეგ შეუტანია[4].

უკვე XI—XII სს. ქართველმა ისტორიკოსებმა ისიც კარგად იცოდნენ, რომ თვით ამბის „თანადამხდურის" და „თვითმხილველის" ცნობა შეიძლებოდა განგებ შეთხზული ან გაზვიადებული ყოფილიყო. ამიტომ მათ საჭიროდ მიაჩნდათ საეჭვო ცნობის წინასწარ შემოწმება მისი ნა-

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 140.

[2] В. Н. Г а б а ш в и л и, Историография Грузии (XI—XVII вв.). Очерки истории исторической науки в СССР, т. I, М., 1955, с. 139—140.

[3] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ვახუშტი მე-17 — 18 სს. ევროპული ისტორიოგრაფიის სინათლეზე, გვ. 56.

[4] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 139.

ტყუარობის თუ სინამდვილის გამოსარკვევად. გიორგი ათონელის აზრით, ამა თუ იმ მოღვაწის ცხოვრება ან ამბის აღწერა თუ იწერებოდა „შემდგომად მრავლისა ჟამისა“, მკითხველს შეეძლო „ურწმუნო ყოფილიყო და ექვის თვალით შეეხედნა ამგვარი თხზულებისათვის“[1]. ზეპირი წყაროებით სარგებლობისას საჭირო იყო იმ კაცის ვინაობის გამორკვევა, რომელიც ისტორიკოსს რომელსამე მოღვაწეზე ან შემთხვევაზე უამბობდა; ცნობის მიმწოდებელს მოღვაწეც და შემთხვევაც თავისი თვალით უნდა ენახა და ამასთან მოღვაწესთან დაახლოებული კაცი უნდა ყოფილიყო, „ემსახურა მათდა“, როგორც ეს გიორგი ათონელს აქვს აღნიშნული. მაგრამ არც ეს კმაროდა: თვითონ მომთხრობელიც ნდობის ღირსი, „სარწმუნო“ უნდა ყოფილიყო, „რომელნი იგი უცხო იყვნეს ყოველითურთ ტყუვილსაგან“. აი, ასეთი პირობების აღსრულება იყო საჭირო ზეპირი წყაროებით სარგებლობის დროს[2].

აღნიშნული ხანის ქართულ მწერლობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გიორგი მცირეს (ხუცესმონაზონს), რომელმაც დაწერა „ცხორებაჲ და მოქალაქეობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისაჲ[3]“. გიორგი მცირეს გიორგი ათონელის ცხოვრება და მოღვაწეობა დაუწერია გიორგი შავმთელის დავალებით 1066—1068 წწ. გიორგი მცირე იყო გიორგი ათონელის „თუალით მხილველი და ჴელით მსახური მისი და ყურით მომსმენელი სიტყუათა წმიდისა პირისა მისისასა“. მთელი თხზულება გამსჭვალულია სამშობლოსადმი ღრმა და გულწრფელი სიყვარულით, შემკულია ისტორიულ-ლიტერატურული მასალის სიუხვით და გაფორმებულია მაღალი მხატვრული გემოვნებით. ისტორიკოს გიორგი მცირეს მიერ თავის ნაშრომში მოტანილი დიდძალი მასალა ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ათონის ივერიის მონასტერში ექვთიმე ათონელის მოღვაწეობის ღირსეული გამგრძელებლის, გიორგი ათონელის ღვაწლსა და დამსახურებაზე, რომელმაც თავისი დაუღალავი ნაყოფიერი შრომით აღამაღლა ქართველები უცხოელთა თვალში, განამტკიცა მათი მდგომარეობა ათონის ივერიისა და შავი მთის მონასტრებში, გადაარჩინა ქართლის ეკლესია ანტიოქიის საპატრიარქოზე დამოკიდებულებისაგან და შეუნარჩუნა მას თვითმმართველობის უფლებები. გიორგი მცირეს განსაკუთრებული დამსახურება იმაშია, რომ იგი, განსხვავებით მისი წინამორბედი ისტორიკოსებისაგან, ანალოგიის მეთოდით სარგებლობს. ამა თუ იმ განსახილველ ისტორიულ მოვლენაზე მარტო მისი თანამედროვე საზოგადოებრივი პირობების მიხედვით კი არ მსჯელობს, არამედ მას წარსულისა

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 138.

[2] იქვე.

[3] მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, 1882, გვ. 437 — 488; მ. ჯანაშვილი, ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპებით, 1901, გვ. 279—351.

და უცხო ქვეყნების მაგალითებსაც ადარებს და მხოლოდ ამის შემდეგ იძლევა მის საბოლოო შეფასებას[1]. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ათონელთა ისტორიულ-ბიოგრაფიული თხზულებანი, როგორც ისტორიული წყარო, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ.

ქართული ისტორიოგრაფიის შემდგომი განვითარება დაკავშირებულია XI საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწის ეფრემ მცირის სახელთან (გარდაიცვალა დაახლოებით 1103 წ.). ეფრემ მცირე მეტად ოსტატურად ფლობს ანალოგიის მეთოდს, ახდენს ტექსტების რთულ ფილოლოგიურ ინტერპრეტაციას. მის გამოკვლევებში გვხვდება ისტორიული კრიტიკის ელემენტები. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მისი საისტორიო გამოკვლევა „უწყებაჲ მიზეზისა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების"[2]. ნაშრომი მიზნად ისახავს გაარკვიოს და დაასაბუთოს ბერძნული წყაროების მიხედვით საქართველოს საეკლესიო ისტორიიდან ზოგიერთი სადავო საკითხი ქართველთა მოქცევისა და ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის კანონიერების შესახებ.

ბუნებრივია ისმის კითხვა: რამ გამოიწვია ასეთი ნაწარმოების შექმნა?

XI საუკუნის საქართველო პოლიტიკურად ძლიერ და კულტურულად მოწინავე ქვეყანას წარმოადგენდა. საქართველოს ანგარიშს უწევდნენ უცხო სახელმწიფოები საერთაშორისო პოლიტიკურ საკითხებში. ცნობილი და სახელგანთქმული იყო ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები როგორც შინ, ისე გარეთ. ჯერ კიდევ ადრიდანვე არსებობდა მრავალი ისეთი სამწიგნობრო ცენტრი უცხოეთში, სადაც თავისი სწავლულობითა და პოლიტიკური მომზადებით თავი გამოიჩინა ბევრმა ქართველმა მოღვაწემ (ილარიონ ქართველი, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები და სხვ.). საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ძლიერება, რა თქმა უნდა, სასურველი არ იქნებოდა დაპყრობითი პოლიტიკის მატარებელი ისეთი ქვეყნისათვის, როგორიც ბიზანტია იყო.

იმისათვის, რომ შეენარჩუნებინა თავისი გავლენის სფერო მეზობელ ქვეყნებზე, ბიზანტიის სახელმწიფო ბრძოლის სხვადასხვა ხერხს მიმარ-

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 145 — 151; კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 227—230; ა. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული სიტყვიერების ისტორია, გვ. 173—185; პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, „მნათობი", 1939, № 10 — 11, გვ. 232—235; П. Успенский, История Афона, т. III, Киев, 1877; А. Натроев, Иверский монастырь на Афоне; М. Джанашвили, Грузинские обители вне Грузии, 1899.

[2] ე ფ რ ე მ მ ც ი რ ე, უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენიების, ტექსტი გამოსცა, შესავალი და ლექსიკონ-საძიებლები დურთო თ. ბ რ ე გ ა ძ ე მ, თბ., 1959.

თავდა. ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ და საიმედო საშუალებას ბიზანტიელებისათვის ასეთ ბრძოლაში წარმოადგენდა ქრისტიანობის მქადაგებლის როლში გამოსვლა. ეფარებოდნენ რა ქრისტიანობის დროშას, ისინი „მასწავლებლის" როლში გამოდიოდნენ „ბარბაროსების", ე. ი. არაბერძნების მიმართ და მოითხოვდნენ სათანადო „პატივისცემასა" და „ყურადღებას". მათ ეჭვი შეჰქონდათ ქართველების მართლმადიდებლობაში და აბრალებდნენ მწვალებლობას. სურდათ დაემტკიცებინათ ქართველთა ეკლესიის დამოუკიდებლობის უკანონობა, ავიწროებდნენ უცხოეთში მოღვაწე ქართველებს, აწიოკებდნენ ქართულ მონასტრებს და სხვ. ამის შესახებ კარგად მოგვითხრობს გიორგი მცირე (ხუცესმონაზონი) თავის თხზულებაში „ცხორებაჲ და მოქალაქეობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისაჲ".

უცხოეთში მყოფ ქართველებს, რომელნიც ეწეოდნენ ლიტერატურულ მოღვაწეობას, ბრძოლა უხდებოდათ ასეთი და აგრეთვე მრავალი სხვა სახის გამოხტომების წინააღმდეგ. ისინი მტკიცედ იცავდნენ ქართველი ხალხის მონაპოვარსა და მათ სურვილს მდგარიყვნენ მოწინავეთა რიგებში. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ქართველი მოღვაწეები არაფრით ჩამოუვარდებოდნენ სხვა არაქართველ წმინდანებს, კერძოდ, ბერძნებს. იმისათვის, რომ არ დაკარგულიყო ქართველ მოღვაწეთა ღვაწლი, წერდნენ მათ ბიოგრაფიებს; რომ არ დაეწამებინათ მწვალებლობა და დამახინჯება ნათარგმნი ლიტერატურისა, ცდილობდნენ ზუსტად გადმოეცათ თარგმანები. ცდილობდნენ თითქმის ყველაფერი ეთარგმნათ, რაც კი ბერძნულ ენაზე არსებობდა. იცავდნენ რა ქართული ეკლესიის პრესტიჟს, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ქართველთა მოქცევის საკითხს, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის კანონიერებისათვის.

მაგრამ ქართველთა მოქცევის შესახებ მასალების ძიებამ მრავალი სხვადასხვა და ერთმანეთისადმი საწინააღმდეგო ფაქტი დააგროვა. ეს ითქმის, უპირველეს ყოვლისა, ქართველთა მოქცევის ამბავზე, ერთი მხრივ, ანდრია მოციქულისა და, მეორე მხრივ, წმინდა ნინოს მიერ.

უცხოეთში მოღვაწე ქართველები, რომლებიც უშუალოდ იღებდნენ მონაწილეობას საღვთისმეტყველო პაექრობებში, გრძნობდნენ ამ საკითხებში წინააღმდეგობის მოგვარების აუცილებლობას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია გიორგი ათონელის მოღვაწეობა. ამ საქმეს ემსახურებოდა ეფრემ მცირის თხზულება — „უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენიების". ეფრემ მცირეს ამ შრომის წერის დროს გამოუყენებია მისგან მოწონებული იოანე დამასკელის მეთოდი — მოწინააღმდეგეს მისივე საკუთარი იარაღით უნდა ებრძოლოო. ასეთი იარაღი ამ შემთხვევაში ეფრემ მცირესათვის იყვნენ

ძველი ბერძენი ავტორები და მათი გადმოცემები ქართველთა მოქცევის შესახებ, რომლებიც ქართველების და ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის უფლებების სასარგებლოდ ლაპარაკობდნენ. ეფრემ მცირემ მინდობილი საქმე საუცხოოდ აასრულა: მან ყველა ის წყარო, სადაც კი ქართველების გაქრისტიანებისა და ეკლესიის შესახებ ცნობები მოიპოვებოდა, შეკრიბა და თავისი მიზნისათვის გამოიყენა.

განსაკუთრებით დამახასიათებელია ეფრემ მცირეს მიერ გამოყენებული წყაროების დასახელება-დამოწმების წესი; იგი თავის საისტორიო თხზულებაში ასახელებს წიგნის სათაურს, ავტორის სახელს და დამოწმებულ ადგილს: „მოიხსენებს თეოდორიტე საეკლესიოჲსა მოთხრობასა წიგნსა შინა თჳსსა ოცდამეოთხე თავსა“[1] ან კიდევ „ევაგრე ეპიფანესი საეკლესიო მოთხრობასა შინა თჳსსა აღწერს ოცდამეორე თავსა შინა“[2].

ეფრემ მცირეს საისტორიო თხზულებაში საგნობრივი კრიტიკის ელემენტებსაც ვხვდებით. ამ მეთოდს იგი მოვლენის შესაძლებლობის დასადგენად მიმართავს იმასთან დაკავშირებით, რომ ქართულ წერილობით წყაროებში საქართველოში მირონის კურთხევის შემოღების უფლების დამადასტურებელი ცნობისათვის ვერ მიუგნია. ეფრემ მცირეს აზრით, „საგონებელ არს, ვითარმედ სიშორისათვის გზისა და რომელ ფრიად საშიშ არს უცხო თესლთა შორის ჴმელით ანტიოქიით ქართლს წაღება წ~ისა მიჰრონისა, ამისათჳს თჳთ ადგილსა დაწესებულ არს მათდა კურთხევაჲ მიჰრონისა“[3]. „აღსანიშნავია, რომ საგნობრივი კრიტიკის პირველი შემთხვევა დადასტურებულია XV საუკუნის იტალიელი ისტორიკოსის ჯუსტინიანის საისტორიო თხზულებაში... ამ მხრივ იგი რამდენიმე საუკუნით წინ უსწრებს იტალიელ ჰუმანისტ ისტორიკოსებს“[4].

XI—XII სს. ქართული საისტორიო მწერლობისათვის უცხო არ იყო ანალოგიის მეთოდიც. „თუ გავიხსენებთ, რომ ისტორიულ-შედარებითი მეთოდი XVII საუკუნის ევროპული ისტორიოგრაფიის წარმონაქმნია, გასაგები გახდება, რამდენად რთული იყო XI—XII საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფიის საისტორიო მეთოდოლოგია“[5].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეფრემ მცირე ისტორიული მოვლენის ასახსნელად ანალოგიის მეთოდსაც იყენებდა. მაგალითად, ანდრია მოციქულის საქართველოში ყოფნისა და წმიდა ნინოს ქადაგების საჭიროების დასამტკიცებლად იგი ყურადღებას აქცევდა იმ გარემოებას, რომ გაქრის-

---

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 34.

[2] იქვე, გვ. 53.

[3] იქვე, გვ. 47.

[4] ვ. გაბაშვილი, ვახუშტი მე-17—18 სს. ევროპული ისტორიოგრაფიის სინათლეზე, გვ. 57.

[5] იქვე.

ტიანებულ ხალხებში ზოგჯერ თავს იჩენდა წარმართობისადმი მიდრეკილება, რისთვისაც საჭირო ხდებოდა ქრისტეს სარწმუნოების ქადაგებათა განახლება „მეკერპეთა ღვარძლის“ ამოსაგდებად: „ამათ წმიდათა სამოციქულონი მოძღურებისა თესლთა ანეულნი მრავალჟამ დაიპყრნა ღუარძლმან მეკერპეთამან, — ამბობს ეფრემ მცირე, — არა თუ ჩუენ შორის, არამედ თჳთ მათ ბერძენთაცა შორის“[1]. „აქ, რა თქმა უნდა, საინტერესოა ეფრემ მცირეს მსჯელობის მეთოდოლოგიური მხარე და არამისი რწმენა ანდრია მოციქულის საქართველოში ყოფნის შესახებ... XI—XIII საუკუნეების ქართულ საისტორიო მწერლობაში შედარებითი მეთოდის გამოყენება უეჭველად განვითარებული ისტორიული აზროვნების მკაფიო მოწმობაა“[2].

ეფრემ მცირეს თავის შრომაში საკითხები არაჩვეულებრივი თანამიმდევრობით აქვს დალაგებული. თხრობის დროს საკითხები ერთიმეორიდან გამომდინარეობს და შეძლებისდაგვარად უპასუხოდ არც ერთ წამოჭრილ საკითხს არ ტოვებს. საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ იგი სხვა ქვეყნების ისტორიის საზოგადოებრივი მოვლენების მიხედვით მსჯელობს, ანალოგიით სარგებლობს და სათანადო დასკვნებიც გამოაქვს[3].

XI საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართული ისტორიოგრაფია განვითარების ახალ გზაზე დგება. თუ აქამდე ისტორიკოსები თავიანთ ყურადღებას ამახვილებდნენ საქართველოს ისტორიის ერთ რომელიმე საკითხზე ან მომენტზე, ამიერიდან ჩნდება მოთხოვნილება შეიქმნას უფრო ფართო მოცულობისა და განმაზოგადებელი ხასიათის შრომები, რომლებშიაც საქართველოს ისტორიული წარსული მოთხრობილი იქნებოდა უძველესი ხანიდან.

ასეთ მიზანს ისახავს XI ს. ისტორიკოსის ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“[4]. იგი ერთადერთი ნაშრომია ქართულ საისტორიო მწერლობაში, რომელიც ქართველ ტომთა ისტორიის ადრეულ პერიოდს შეეხება და მათი წარმოშობის პრობლემის გადაჭრის ცდაშია. ავტორი ეხება აგრეთვე ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ქართული ენისა და მწიგნობრობის გაჩენა, ქართველთა თავდაპირველი რელიგია. ისტორიკოსი ცდილობს განსაზღვროს საქართველოში სამეფო ხელისუფლების გაჩენის დრო და გამოარკვიოს, თუ როდის და რა პირობებში წარმოიქმნა საქართველოში სოციალური უთა-

---

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 34; ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 109.

[2] ვ. გაბაშვილი, ვახუშტი მე-17—18 სს. ევროპული ისტორიოგრაფიის სინათლეზე, გვ. 58.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 168 — 170.

[4] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 1 —71.

ნასწორობა. საქართველოს ისტორიის თხრობა ლეონტი მროველს მოჰყავს V საუკუნემდე. თხზულებაში იგი ყველგან ხაზს უსვამს ქართველი ტომების ისტორიულ კავშირს და მათ მონათესაველობას. ამავე აზრებითაა გაჟღენთილი მისი შეხედულებანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნის დროისა და პირობების შესახებ.

ლეონტი მროველის თხზულება, შეიძლება ითქვას, ავტორიტეტულ წყაროდ მიაჩნდათ ვახუშტი და თეიმურაზ ბაგრატიონებს; ისინი ზოგან მოკლედ გადმოსცემენ „მეფეთა ცხოვრების“ ცნობებს და ზოგან თავისებურ კომენტარებსაც უკეთებენ მროველის კონცეფციებს, მაგრამ შეიმჩნევა, რომ კვალდაკვალ მისდევენ მის თხრობას, ხოლო ზოგიერთი ადგილი კი პირდაპირ გადმოაქვთ[1].

გარკვეული კრიტიკული დამოკიდებულება გამოიჩინა ლეონტი მროველის თხზულების განხილვისას XIX საუკუნის ისტორიოგრაფიამ (დ. ბაქრაძე, თ. ჟორდანია, ვ. ლანგლუა და სხვ.)[2]. „მეფეთა ცხოვრება“ მათი შეხედულებით სხვადასხვა დროს დაწერილ მატიანეთაგან უნდა იყოს ლეონტი მროველის მიერ გადაწერილ-აკინძული (დ. ბაქრაძე, თ. ჟორდანია), ხოლო მისი პირველი ნაწილი, თარგამოსიანთა ისტორია, ზღაპრულ ცნობებს შეიცავს (ვ. ლანგლუა).

საგრძნობლად წინ წასწია ლეონტი მროველის თხზულების შესწავლა-შეფასების საქმე XX საუკუნის ქართულმა ისტორიოგრაფიამ (ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, გ. წერეთელი, პ. ინგოროყვა, გ. მელიქიშვილი და სხვ.). კერძოდ, მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს მისი მოღვაწეობის ხანაზე: ერთნი მას XI საუკუნით განსაზღვრავენ (ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე), ხოლო მეორენი VIII საუკუნის ძეგლად მიიჩნევენ (ნ. მარი, პ. ინგოროყვა). ზოგიერთი მკვლევარი ეჭვის ქვეშ აყენებს „მეფეთა ცხოვრებაში“ დაცული ცნობების სისწორეს და ლეონტი მროველის თხზულება, როგორც სანდო მასალა ქართველი ერის უძველესი ისტორიისათვის, გამოუსადეგარად მიაჩნიათ. მაგრამ წლების განმავლობაში მცხეთა-არმაზის მიდამოებში წარმოებული არქეოლოგიური გათხრებით და „მეფეთა ცხოვრების“ ცნობების შეჯერებით ქართულ და უცხოურ წყაროებთან, დღეისათვის ახალი ფურცელი იშლება მის შესწავლა-შეფასების საქმეში. შესაძლებელი ხდება „მეფეთა ცხოვრებაში“ მოცემულ ზოგიერთ ცნობათა სისწორის დადგენა[3]. მართალია, ლეონტი

[1] ს. გამსახურდია, საზოგადოებრივ-ისტორიული აზროვნების განვითარება XI საუკუნის საქართველოში, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნ. განყოფილების მოამბე, I, 1961, გვ. 167—168.

[2] დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, გვ. 59; თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 29; Langlois, Essai de classification des suites monétaires de la Géorgie. Paris, 1860.

[3] Г. Меликишвили, К истории древней Грузии, с. 48—57.

მროველს „უხვად მოეპოვება ეპიკური ხალხური შემოქმედების ელემენტები, მაგრამ მის მიერ გადმოცემული ზოგიერთი ცნობის შესახებ, როგორც ჩანს, მოგვიხდება აზრის შეცვლა, რადგან ისინი, ასე თუ ისე, პოულობენ დასტურს მცხეთა-არმაზის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილ ძეგლებში. კერძოდ, წარწერებში დამოწმებული პოლიტიკური ინსტიტუტები მრავალმხრივ მოგვაგონებენ ლეონტი მროველის მიერ ჩამოთვლილ ინსტიტუტებს და შეიძლება მისი სიტყვები სახელმწიფო სისტემის შესახებ მიმსგავსებულისა „სამეუფოსა სპარსთასა“ რამდენადმე მართლაც შეეფერებოდეს სინამდვილეს. იგივე უნდა ითქვას ლეონტის მიერ შემონახული ცნობის შესახებ, რომ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობამდის „იზრახებოდა ქართლსა შინა ექუს ენა“. ახლა ოთხი თუ ხუთი ამ ენათაგანი უკვე დოკუმენტურად არის დამოწმებული და, ამგვარად, ეს ცნობაც ერთგვარ გამართლებას პოულობს[1].

ლეონტი მროველის მოღვაწეობის ხანაში საქართველოს ცხოვრებაში გარდამტეხ მოვლენებს ჰქონდა ადგილი. საფუძველი ჩაეყარა ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას. ლეონტი მროველის ისტორიული აზროვნებაც თავისი ეპოქის შესაფერისი უნდა ყოფილიყო და მართლაც, ლეონტი მროველი მომხრეა ერთიანი, მტკიცე, პოლიტიკურად გაერთიანებული საქართველოსი. მისი შეხედულებით, საქართველოს ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებს არაფერი აქვთ ერთმანეთთან საბრძოლო. ნათესაური კავშირით მათ ერთი ძირი აქვთ და, რაც კიდევ უფრო განსაკუთრებით დამახასიათებელია, „ერთი იყო მამა“ არა მარტო ქართველთა, არამედ მთელი კავკასიის ხალხებისა. ლეონტი მროველის წარმოდგენაში „კავკასია ერთი კულტურული სამყაროა. კავკასიის პოლიტიკური გაერთიანებისათვის... იბრძვიან არა მარტო ქართველები, არამედ ამ დიდ ბრძოლაში მხურვალედ მონაწილეობენ ქართველთა მოძმენი: სომხები, ალბანელები, კავკასიელი მთიელები... ხანგრძლივი თანაცხოვრებისა და საერთო პოლიტიკური თავგადასავალის საფუძველზე უპირატესად უნდა შემუშავებულიყო ლეონტი მროველის ისტორიული კონცეფცია კავკასიის ხალხთა მონათესავეობისა, კონცეფცია, რომელსაც ქართული ისტორიული აზრი ფეოდალური ურთიერთობის მთელ სიგრძეზე იზიარებდა“[2].

უაღრესად საგულისხმოა ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“ წარმოდგენილი ცნობები საქართველოს მოსახლეობის კლასობრივი დაყოფის შესახებ. ამ მხრივ საინტერესო დაკვირვებები აქვს მოცემული აკად. ნ. ბერძენიშვილს, როცა იგი ლეონტის თხზულებით კლასობრივი

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, არმაზის ბილინგვა, 1942, გვ. 47.

[2] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ისტორიოგრაფიისათვის, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 329—330.

და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინებას იხილავს ადრეულ საქართველოში. მისი დასკვნით „ლეონტით, ქართველი საზოგადოება სულაც არაა ჩაკეტილი და შეუვალი რამ, ამ საზოგადოების შიგნით ბრძოლაა. წარჩინებულნი და მეფე, წარჩინებულნი ურთიერთ შორის, წარჩინებულნი და არაწარჩინებულნი ერთი მეორეს ებრძვიან და „ღონედ უძლურებისა თვისისა“ მიმართავენ მეზობელ ხალხებს: „მთიელებს, იმიერკავკასიელებს, სომხებს, სპარსელებს“... მაგრამ თუკი უცხო ძალის ჩარევა ქვეყნის სიკეთეს ხმარდება და მას დაღუპვას ააცდენს, ლეონტით, „საკუთარი სისუსტის „ღონედ“ უცხო ძალის მოწვევა, უცხო ძალაზე დაყრდნობა, არაფერ საძრახისს არ შეიცავს“[1]. საქმე ისაა, რა მიზანს მოხმარდება ასეთი ძალა. ლეონტი სიმპათიურად უყურებს იმათ, ვინც უცხო ძალას იმ იდეის განსახორციელებლად მოიხმარს, რომელსაც ის (ლეონტი) თანაუგრძნობს. „უცხო ძალის მოშველიების მომენტით არ ხდება ამა თუ იმ პოლიტიკური მოღვაწის შეფასება, არამედ იმით, თუ რა მიზანს მოახმარა ამ პოლიტიკურმა მოღვაწემ ეს ძალა“[2].

საყურადღებო ცნობებს შეიცავს ლეონტი მროველის თხზულება ქართლის საზოგადოების იმ პერიოდის შესახებ, როდესაც იგი წინაკლასობრივ მდგომარეობაში იმყოფებოდა და აშკარად გამოხატული გვაროვნული წყობილება ჰქონდა[3].

არანაკლებ მნიშვნელოვანია ლეონტის ცნობები ქართლში ერისთავთა ინსტიტუტის ისტორიისათვის[4]. ხოლო რაც შეეხება ლეონტი მროველის თეორიას საქართველოში აზნაურობის წარმოშობის შესახებ, იგი, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავდა აკად. ივ. ჯავახიშვილი, ასახავდა იმ ბრძოლას, რომელიც წარმოებდა აზნაურთა და მეფეთა შორის XI—XII საუკუნეებში[5]. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლეონტი მროველის თხზულებას საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის შესწავლისათვის. მასში ძვირფასი ცნობები მოიპოვება ქართულ ფეოდალურ სამთავროთა საზღვრებისა და ცალკეულ გეოგრაფიულ პუნქტთა ლოკალიზაციისათვის. აქ, როგორც ჩანს, ლეონტის რაღაც ძველი ქართული წყაროები ჰქონია ხელთ[6].

XI საუკუნის ისტორიკოსის ჯუანშერის „ცხოვრება და მოქალაქეობა ვახტანგ გორგასალისა“ წარმოადგენს ლეონტი მროველის თხზულების

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 9, 12.

[2] იქვე, გვ. 14.

[3] კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, გვ. 13.

[4] იქვე, გვ. 19—21.

[5] ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 182.

[6] იქვე, გვ. 183.

გაგრძელებას[1]. მასში მოთხრობილია ქართველი ხალხის ისტორია V საუკუნის შუა წლებიდან ვიდრე VIII საუკუნის 40—50-იან წლებამდე.

ჯუანშერის თხზულება წარმოადგენს თავისებურ ისტორიულ ეპოსს, რომელიც აგებულია ერთი მთავარი გმირის — ვახტანგ გორგასალის ცხოვრებაზე და ნახევრად ზღაპრული და ისტორიული ფაქტების ორგანულად შერწყმით მკითხველი ეცნობა ამ შესანიშნავი მოღვაწის როგორც უაღრესად ნაყოფიერ საქმიანობას, ისე მის მდიდარსა და მრავალფეროვან ეპოქას. ამასთანავე მის თხზულებაში კარგადაა გამოკვეთილი თვით ვახტანგის სახე. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ ზღაპარს უფრო გავს, ვიდრე ისტორიას, საგმირო სახალხო ნაწარმოებს უფრო, ვიდრე უტყუარს და სანდო საბუთს“[2]. ასეთ შეფასებაში, ჩვენი აზრით, ერთდროულად ნაკლიცაა აღნიშნული და ღირსებაც. ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ ეს თხზულება თავისი ზღაპრული იერის გამო მეცნიერულად ნაკლებ სანდოა, მაგრამ სწორედ ამ „ზღაპრულობაშია“ მისი ღირსების მეორე მხარეც. კერძოდ, ეს თხზულება წარმოადგენს უაღრესად მნიშვნელოვან ლიტერატურულ ძეგლს, რომელშიც გამოსჭვივის ავტორის თხრობის მაღალი კულტურა, მდიდარი გამომსახველობითი ხერხები, მოქმედ პირთა დახატვის, ხასიათთა გამოკვეთის შესანიშნავი უნარი. ამასთანავე მოვლენათა თუ საგანთა აღწერის დიდოსტატობა. ჯუანშერის თხზულების საშუალებით ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა წარმოდგენა ვიქონიოთ იმის შესახებ, „თუ რა ცნობები ჰქონიათ XI საუკუნეში განათლებულ ქართველ წრეებს ვახტანგ გორგასლის პიროვნებასა და მეფობაზე“[3]. უაღრესად საყურადღებო ცნობები აქვს შემონახული ჯუანშერს ვახტანგ გორგასალის მიერ გატარებულ იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც ქართლის ეკლესიის რეორგანიზაციას ისახავდა მიზნად (კათალიკოსობის დაწესება, ახალი საეპისკოპოსოების დაარსება). მართალია, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, ჯუანშერის თხზულების ცალკეული ადგილები ზღაპრული და მეტისმეტად ლეგენდარული შინაარსისაა[4], მაგრამ იგი მაინც უმთავრესი და ძირითადი წყაროა ვახტანგ გორგასალის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ამას გარდა, ჯუანშერს არაერთი საინტერესო და საგულისხმო მასალა მოეპოვება შემდგომი ხანის საქართველოს ისტორიის შესახებაც. მაგალითად, ისტორიულ სინამდვილესთან ძალზე ახლოს დგას ჯუანშერის ცნობები ირანის სახელგანთქმული სარდლის ბაჰრამ ჩუბინის, ირანის შაჰის ქასრეს (ხოსრო)

---

[1] ჯ უ ა ნ შ ე რ ი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 139—244.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 188.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 191.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 187.



ქუთაისი, ბაგრატის ტაძარი, სამხრეთის კარიბჭე, XI ს. I ნახ.

ქუთაისი, ბაგრატის ტაძარი, სვეტისთავი სამხრეთის კარიბჭეში, XI ს. I ნახ.





ხცისის ტაძარი (ხაშურის რაიონი), 1002 წ.



ხცისის ტაძრის წარწერა, 1002 წ.



მცხეთა. სვეტიცხოველი, ხედი სამხრ.-აღმოსავლეთიდან, 1010—1029 წწ.

სვეტიცხოველი, ვაზის გამოსახულება დასავლეთის ფასადზე.

ლაკლაკიძეთა ხატი, XI ს., საქ. ხელოვნ. სახ. მუზეუმი.



ლაკლაკიძეთა ხატი, მირქმისა და ფერისცვალების სცენები.



ლაკლაკიძეთა ხატი, ქრისტეშობა.

მცხეთა. სამთავროს ტაძარი, სამხრეთის ფასადის შუა ნაწილი, 1010 — 1014 წწ.



სამთავისის ტაძარი, ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, 1030 წ.

ალავერდის ტაძარი (ახმეტის რაიონი). ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, XI ს. I მეოთხედი.



ნიკორწმინდის ტაძარი (ამბროლაურის რაიონი), ხედი დასავლეთიდან. 1010 — 1014 წწ.



ნიკორწმინდის ტაძარი, სამხრეთის კარიბჭე, კამარის რელიეფი, XI ს. I ნახ.

ნიკორწმინდა. „მეორედ მოსვლა“, რელიეფური გამოსახულება
სამხრეთის ფასადზე. XI ს. I ნახ.





მარტვილის წინგასაძღოლი ჯვარი, XI ს. შუა წლები. საქ. ხელოვნ. სახ. მუზეუმი.



მარტვილის წინგასაძღოლი ჯვარი ზურგიდან, XI ს. შუა წლები. საქ. ხელოვნ. სახ. მუზეუმი.

ნიკორწმინდა. სამხრ. შესასვლელის რელიეფი, წმ. თევდორეს გამოსახულება, XI ს. I ნახ.

სავანის წმ. გიორგის ეკლესია (საჩხერის რაიონი), ხედი სამხრ.-დასავლეთიდან, 1046 წ.



ანგელოსი „ხარების“ სცენიდან, ატენის ტაძარი (გორის რაიონი), XI ს.

ლუკა მახარებლის გამოსახულება, ატენის ტაძარი, XI ს.



მანგლისის ტაძარი (თეთრი წყაროს რაიონი), დაარსებული VI ს., დღევანდელი სახით — XI ს.

სპეთის ეკლესია (საჩხერის რაიონი), კანკელი, XI ს.

საფარის ეკლესიის კანკელის ფრაგმენტები: „ხარება“ და „მარიამისა და ელისაბედის შეხვედრა“ (ახალციხის რაიონი), XI ს., საქ. ხელოვნ. სახ. მუზეუმი.

ღვთისმშობელი ყრმით და წმ. ანა, იფარის ეკლესია (მესტიის რაიონი), მეფის კარის მხატვარი თევდორე, 1096 წ.



ლეონტი მროველის სტელა წარწერით სოფ. თრეხვის (ქარელის რაიონი) გამოქვაბულიდან, XI ს.

რკონის ხიდი მდ. თეძამზე, XI — XII სს.

და ბიზანტიის კეისარ მავრიკს (582—602 წწ.) შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებათა შესახებ. ასევე ერთობ დიდ ნდობას იმსახურებს ჯუანშერის ცნობა იმის შესახებ, რომ VI საუკუნეში აზნაურთა ახალმა ხელისუფალმა, ქართლის ერისმთავარმა გუარამმა, „ერისთავნი ქართლისანი ვერ სცვალნა საერისთავოთაგან მათთა, რამეთუ სპარსთა მეფისაგან და ბერძენთა მეფისაგან ჰქონდეს სიგელნი მკვდრობისათჳს საერისთავოთა მათთა“[1]. განსაკუთრებით ნიშანდობლივია აგრეთვე ჯუანშერის ცნობები ქართლის საზღვრების აღწერილობას რომ შეეხება. ჯუანშერის მიხედვით, ქართლის ერისმთავრის ხელისუფლება VIII ს. დამდეგს ვრცელდებოდა არა მარტო საკუთრივ ქართლზე, კახეთსა და ტაო-კლარჯეთზე, არამედ ეგრისზეც, აფხაზეთის სამთავროს საზღვრებამდე[2]. როგორც ს. ჯანაშია აღნიშნავს, ჯუანშერის „ამ შეხედულებასაც ისტორიული მარცვალი უდევს საფუძვლად“[3]. ასე რომ, თუ ჩვენ ჯუანშერის თხზულებას შემოვაცლით ლეგენდარულ სამოსს, გავითვალისწინებთ ყველა ცნობას და მოვახდენთ მათ კრიტიკულ შესწავლას სხვა პარალელურ (უცხო) წყაროებთან ერთად, მაშინ შესაძლებლობა მოგვეცემა მეტ-ნაკლებად სრულად აღვადგინოთ V—VIII სს. საქართველოს პოლიტიკური ისტორიის სურათი.

ჯუანშერს თავისი შრომის დაწერისას გამოუყენებია მრავალნაირი წყარო. ასეთებია, მაგალითად, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, სუმბატ დავითის ძის ქრონიკა — „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“, ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები (შუშანიკის მარტვილობა და სხვ.), ე. წ. „სპარსთა ცხოვრება“ და სხვ. ისტორიულ მოვლენებს ჯუანშერი განიხილავს XI საუკუნის ქართველ ფეოდალთა პოზიციებიდან.

ლეონტი მროველისა და ჯუანშერის საისტორიო თხზულებებს, რომელთა შინაარსი ხშირად ზღაპრულ-ლეგენდარულ ხასიათსაც ატარებს, უფრო ბევრი რამ აქვთ საერთო შუა საუკუნეების ევროპულ „ქრონიკებთან“, ვიდრე XI—XIII სს. ქართველ ისტორიკოსთა ნაშრომებთან, რომლებიც შედგენილია აღსაწერი ამბების თანამედროვეთა მიერ[4].

XI საუკუნეშივეა დაწერილი ბაგრატიონთა საგვარეულოს ისტორიკოსის სუმბატ დავითის ძის ისტორიული ქრონიკა „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“[5]. ავტორმა, რომელიც სამეფო დინასტიის წარმომად-

---

[1] ჯ უ ა ნ შ ე რ ი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 221.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 240 — 241.

[3] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, შრომები, I, გვ. 89.

[4] В. Г а б а ш в и л и. Историография Грузии (XI—XVII вв.), Очерки истории исторической науки в СССР, I, с. 141.

[5] ს უ მ ბ ა ტ დ ა ვ ი თ ი ს ძ ე, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 372 — 386.

გენელია, შეადგინა ისტორია და გენეალოგია ბაგრატიონთა დინასტიისა. მისი თხზულების მიზანს შეადგენდა გამოერკვია, თუ ვინ იყვნენ ბაგრატიონები, საიდან და როდის მოვიდნენ ისინი საქართველოში. როგორც ცნობილია, ავტორი ცდილობს დაასაბუთოს ლეგენდა, რომელიც ამტკიცებდა — ბაგრატიონები ისრაელის განთქმული მეფე-წინასწარმეტყველის დავითის შთამომავალნი არიანო, და რომელიც მათ, ამრიგად, სახარების გენეალოგიის საფუძველზე ღვთისმშობელთან და ქრისტესთან ანათესავებდა. ეს თქმულება, რომელიც საქართველოში ჯერ კიდევ IX საუკუნეში გავრცელდა, ხოლო მალე ცნობილი გახდა მეზობელ ქვეყნებშიც (952 წელს მას იმეორებს ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენეტი), მოჰყავს თავის თხზულებაში სუმბატ დავითის ძეს. საშუალო საუკუნეების საზოგადოების შეგნებაში ასეთი შთამომავლობა ბაგრატიონებს განსაკუთრებული შარავანდედით მოსავდა, მათი პრესტიჟისა და პოპულარობის ზრდას დიდად უწყობდა ხელს.

სუმბატ დავითის ძის თხზულებაში მოთხრობილია ტაო-კლარჯეთის მფლობელთა, ბაგრატიონთა სახლის ხელისუფლების ისტორია. ტაო-კლარჯეთის სამთავრო სახლის, რომელმაც შემდეგში საფუძველი დაუდო ერთიანი ფეოდალური საქართველოს ეროვნულ დინასტიას, თავგადასავალი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სამეფო ხელისუფლების ისტორიისათვის საქართველოში.

როგორც აღვნიშნეთ, ბაგრატიონთა გენეალოგია სუმბატ დავითის ძეს გაშუქებული აქვს ბიბლიის — დაბადების მიხედვით. იგი კაცობრიობის დასაბამითგან დაწყებული ჩამოთვლის ბაგრატიონთა ბიბლიურ წინაპრებს, რომელთა შორის დასახელებული არიან ბიბლიის ცნობილი მამამთავრები: ნოე, აბრაამ, იაკობ და აგრეთვე ებრაელთა გამოჩენილი მეფეებიც: იესე, დავით, სოლომონ. ერთიანობის ხანის ფეოდალური საქართველოს მეფენი სწორედ ამ უკანასკნელთა შთამომავლად თვლიდნენ თავიანთ თავს. ისინი, ჩვეულებრივ, „იესიან-დავითიან-სოლომონიანებად“ იწოდებოდნენ და ასევე იწყებდნენ კიდეც თავის ტიტულატურას. ბაგრატიონთა გენეალოგიის გაშუქებას სუმბატ დავითის ძე ამთავრებს თხრობით იმის შესახებ, რომ ტყვეობაში (იგულისხმება ებრაელთა ტყვეობა — თ. ბ.) მეფე სოლომონს შვიდი ძე ჰყოლია. აღძრულ საკითხთან დაკავშირებით არ შეიძლება ხაზი არ გავუსვათ სუმბატ დავითის ძის თავისებურ კონსტრუქციას, რომლის თანახმადაც ბაგრატიონთა წინაპარნი, სოლომონის შვიდნი ძენი, თუმცა ებრაელები არიან წარმოშობით, მაგრამ თავდაპირველად ეკლეცს (სომხეთი) მკვიდრდებიან: წამოსულა ეს შვიდივე ძმა სამხრეთიდან ფილისტიმელთა ტყვეობიდან. სამი ძმა ეკლეცში დარჩენილა ვინმე რაქაელ დედოფლის წინაშე, რომელსაც ისინი მოუნათლავს „და დაშთეს იგინი ქუეყანათა სომხითისათა და მუნ დღეინდელად დღედმდე

შვილნი მათნი მთავრობენ სომხითს“ — გვაუწყებს სუმბატ დავითის ძე[1]. დანარჩენი ოთხნი კი ჩრდილოეთისაკენ, საქართველოში წასულან: გუარამი ქართლის ბაგრატიონების წინაპარი გამხდარა, მისი ძმა საჰაკი კახეთს დაბინავებულა, ხოლო ასამსა და ვარაზვარდს კამბეჩანისაკენ გაუწევიათ, სადაც მათ მოუკლავთ სპარსთა სპასალარი, დაუპყრიათ კამბეჩანი და მისი მთავრები გამხდარან — „და დასხდეს იგინი მუნ ცხოვრებად ხორნაბუჯს. და ამა ჟამამდე შვილნი მათნი მთავრობენ მას შინა“ — გვამცნობს სუმბატ დავითის ძე[2].

სუმბატ დავითის ძის ზემომოტანილ გადმოცემაში არსებული მითითება იმის შესახებ, რომ ქართველი და სომეხი ბაგრატიონები ერთი და იგივე სახლის შვილები არიან, სავსებით სწორია. ეს აზრი თანამედროვე საისტორიო მეცნიერებაში აღიარებულად ითვლება. რაც შეეხება მათ ებრაელობას და ებრაელთა ტყვეობიდან მოსვლას, ეს, რა თქმა უნდა, არაფერ შუაშია. XI საუკუნის ქართველ მემატიანეს ბიბლიის სქემიდან გადახვევა და მეფეთა გენეალოგიის სხვაგვარად გაშუქება ვერ წარმოედგინა. ბიბლიის მიხედვით კი, როგორც ცნობილია, ღვთის მიერ რჩეულ ხალხად ებრაელები არიან აღიარებულნი. მით უფრო, ბაგრატიონთა სახლიდან გამოსულ ქართველ მეფეებს თვითონ თავიანთი თავი სწორედ ებრაელი მეფეების შთამომავლად მიაჩნდათ. ამიტომაც გასაგებია, რომ ბაგრატიონთა სამეფო სახლის წევრთა აზრით, მათ სხვა ქვეყნების ხელმწიფეებზე ნაკლები უფლება როდი ჰქონდათ თავისი თავისათვის „ღვთივ გვირგვინოსანი“, „ღვთივ დამყარებული“ მეფეები ეწოდებინათ.

ს. ჯანაშიას აზრით, რადგანაც ეკლეცი იგივე აკილისენაა, ამდენად, სუმბატ დავითის ძის თქმულებაში დაცულია რაღაც გამოძახილი ეკლეცაკილისენას, სპერის — ბაგრატიონთა დომენის, და ქართლის გარკვეული ისტორიული კავშირის შესახებ[3]. და მართლაც, მკვლევართა დაკვირვებით, ბაგრატიონთა სახლი თავისი თავდაპირველი წარმოშობით ქართველთა თემიდან — სპერიდან ყოფილა.

მეტად საყურადღებოა სუმბატ დავითის ძის შეხედულება ბაგრატიონთა სამეფო ხელისუფლების საერთო ასპექტში შეფასებისას. ბაგრატიონთა მეფობა მას უფრო დადებით მოვლენად მიაჩნია დიდგვარიან აზნაურთა ხელისუფლებასთან შედარებით. როგორც ჩანს, იგი აზნაურთა მოძულეა და მათდამი უარყოფითადაა განწყობილი[4]. თავის თხზულებაში იქ, სადაც მას უმეფობის ხანა აქვს აღწერილი ქართლში ბაგრატიონთა გაძ-

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 373.

[2] იქვე.

[3] ს. ჯანაშია, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 75.

[4] ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 192.

ლიერებამდე, იგი ვერ მალავს თავის დამოკიდებულებას აზნაურებისადმი და გულწრფელად წერს: „ხოლო ვინათგან მოაკლდა მეფობა შვილთა გორგასლისათა, მით ჟამითგან ეპყრა უფლება ქართლისა აზნაურთა ვიდრე ამათადმდე (ე. ი. ბაგრატიონთა გაძლიერებამდე). არამედ დაესრულა უფლება ქართლისა აზნაურთა ბოროტთა საქმეთა მათგან"[1]. გიორგი I და ბიზანტიის კეისარ ბასილს შორის წარმოებულ სასტიკ ბრძოლებშიც სუმბატ დავითის ძე უმთავრეს ბრალს აზნაურებსა სდებს: „გარნა ორკერძოვე მზაკუარნი იგი აზნაურნი" მხარს არ უჭერდნენ გიორგი მეფესო[2].

ბაგრატიონთა ისტორია სუმბატ დავითის ძეს მოყვანილი აქვს ბაგრატ IV-ის მეფობამდე.

მეტად დიდმნიშვნელოვანი იყო პოლიტიკურ-რიტორიკული მიმართულების ქართველ ისტორიკოსთა (ქართლის მატიანის ავტორი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, თამარ მეფის ისტორიკოსები) მოღვაწეობა. „ისინი, როგორც ერთმეფობის იდეის მატარებლები და დიდგვარიან აზნაურთა ოპოზიციის მოწინააღმდეგენი, ისტორიას პრაქტიკული პოლიტიკური მიზნებისათვის იყენებდნენ და ამის შესაბამისად ქართველ ხელმწიფე-დიდებულების სახელმწიფო, სამხედრო თუ კულტურული მოღვაწეობის მკვეთრ დახასიათებებს იძლეოდნენ. მათ მკაფიოდ აქვთ გადმოცემული სახელმწიფოს განსამტკიცებლად გატარებულ ღონისძიებათა მიზეზები, მნიშვნელობა და შედეგები. რათა უფრო მეტად აემაღლებინათ ქართული სახელმწიფოს გაძლიერების მესვეურნი, ისინი ანტიკური საისტორიო მწერლობიდან სესხულობდნენ თხრობის რიტორიკულ ხერხებს, რაც მხოლოდ მათი პოლიტიკური ტენდენციების გარეგნული ფორმა იყო, რომელშიაც ხელოვნურად თავსდებოდა ანტიკურობისაგან განსხვავებული ფეოდალური საზოგადოების აზრები და იდეები"[3].

XI საუკუნის საისტორიო ნაშრომი „მატიანე ქართლისაჲ"[4] მოგვითხრობს საქართველოს ისტორიას VIII ს-დან XI ს. 80-იან წლებამდე. თხზულების ღირსებას ისიც შეადგენს, რომ აქ ხშირად თავმოყრილია ისეთი ცნობები, რომლებიც სხვაგან არ მოიპოვება. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობს ავტორი ცალკეულ ფეოდალურ სამთავროებს, ნათლად გვიჩვენებს მათი თანდათანობითი გაერთიანების პროცესს ერთ მთლიან სახელმწიფოში.

„მატიანე ქართლისაჲს" უცნობი ავტორი პირდაპირი წინამორბედი იყო XII—XIII საუკუნეების ისტორიკოსთა ბრწყინვალე პლეადისა.

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 373.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 384.

[3] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ვახუშტი მე-17 — 18 სს. ევროპული ისტორიოგრაფიის სინათლეზე, გვ. 60—61.

[4] მატიანე ქართლისაჲ, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 249 — 317.

პოლიტიკურ-რიტორიკული მიმართულების ქართველ ისტორიკოსთა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს. მისი თხზულება „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი"[1] ეპოქის იშვიათ ქმნილებად უნდა ჩაითვალოს.

დავითის ისტორიკოსს ცხოვრება უხდებოდა იმ პერიოდში, როდესაც „აღმავალი ფეოდალური საზოგადოება ახალგაზრდული ბრძოლით მიიწევს წინ, ამსხვრევს ძველ ფორმებს, შობის პროცესშია ახალი ხარისხის საზოგადოება — ბატონყმური საქართველო. ამ საზოგადოებრივი დუღილის შესაფერისია ახალი ეპოქის დიდი მოსარჩლე ისტორიკოსი (დავითის ისტორიკოსი), რომელიც უკომპრომისო პრინციპულობით ასაბუთებს ამ ახალი ურთიერთობის გამარჯვებისათვის წარმართულ სახელმწიფო ღონისძიებებს.

ისტორიკოსის ასეთ პოზიციას იზიარებდა და აქტიურად მხარს უჭერდა მას ძლიერი დასი ქართული ფეოდალური საზოგადოების მოღვაწეთა, რომელთა წრეში განმტკიცდა, ერთი მხრივ, მეფის ხელისუფლების ღმრთისნებითობის თეორია, ხოლო, მეორე მხრივ, შემუშავდა ჩვენს დრომდე ზეპირი სიტყვით შემონახული, ამ დინამიკური ეპოქის ეპიგრაფად გამოსადეგი პოლიტიკური შინაარსის შაირი: „ათასად გვარი დაფასდა, ათიათასად ზრდილობა". ამ პოლიტიკური შინაარსის იშვიათ შაირში არეკლილია წვრილი ერის, წვრილ აზნაურთა, წვრილ მოლაშქრეთა მასების ძლიერი ბრძოლა დიდგვაროვნული არისტოკრატიული ტენდენციების წინააღმდეგ, მოცემულია საუკუნოვანი ბრძოლის კვინტესენცია, ფოლადისებურ ლექსად ჩამოსხმული მაღალნიჭიერი პოეტის მიერ.

XII საუკუნე ამიერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში, დიდი საზოგადოებრივი დუღილის ეპოქა იყო. მზარდი ბატონყმური ურთიერთობა თავის შესაფერის სახელმწიფოებრივ ფორმას მოითხოვდა. ბრძოლა ძველსა და ახალს შორის შეუნელებლად მიმდინარეობდა.

ამ დროის ისტორიკოსები (და მათ შორის, რა თქმა უნდა, დავითის ისტორიკოსიც) პოლიტიკური ცხოვრების „კიდეგან კი არ იმყოფებიან, არამედ მის შიგნით ტრიალებენ, აქტიურად მოდასეობენ და მოძრაობის იდეურ მესაჭეობას იჩემებენ"[2].

დავითის ისტორიკოსის სახელი უცნობია. იგი, როგორც მისი თხზულების შინაარსიდან ჩანს, არის დავითის თანამედროვე, პირადად მასთან და სამეფო კართან ძალზე დაახლოებული პირი. თხზულება დაწერილია 1123 — 1126 წლებში[3].

---

[1] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 318—364.

[2] ნ. ბერძენიშვილი, ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების მთავარი ხაზი (თეზისები), 1964, გვ. 5—6.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 209 — 211.

თხზულების ავტორი მეფის მომხრეთა დასს ეკუთვნოდა და ძლიერი სამეფო ხელისუფლების დამცველი იყო. მისი თხზულების მიზანი იყო, ჯერ ერთი, დავით აღმაშენებლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერა ისე, რომ „მისი პირადი თვისებანი და სახელმწიფო მოღვაწეობა ნათლად და შესაფერისად ყოფილიყო დასურათებული, მეორე ის, რომ მეფის მოწინააღმდეგეთა ჯგუფის ცილისწამება და ხმები, რომელთაც ისინი ავრცელებდნენ მისი მოქმედების შესახებ, უარეყო და დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის დედააზრი და მნიშვნელობა გამოერკვია და თანამედროვე საზოგადოებისათვის ნათელეყო"[1]. ამიტომაც არის, რომ ისტორიკოსი თავის თხზულებაში მეფის მოწინააღმდეგე დასს ეკამათება. მისი სიტყვით, იყვნენ „ვინმე მაბრალობელნი მეფისანი", რომელთაც არ მოსწონდათ მისი მოქმედება და მითქმა-მოთქმის საგნად ხდიდნენ მას. მოწინააღმდეგენი დავითს სხვადასხვა ბრალდებას უყენებდნენ. როგორც იდეური, შეგნებული მომხრე დავითის პოლიტიკისა, ისტორიკოსი აბათილებს ამ ბრალდებებს და ამხელს ბრალმდებლებს, ამართლებს დავით აღმაშენებლის პოლიტიკას და განმარტავს მის დიდ მნიშვნელობასა და სარგებლობას. იგი ამომწურავად და თანამიმდევრულად იხილავს დავითის სამხედრო-პოლიტიკურ, სამოქალაქო-საეკლესიო და კულტურულ მშენებლობას, ან „ხორციელთა და სულიერთა საქმეთა" მისთა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია დავითის ისტორიკოსის დამოკიდებულება მის მიერ აღწერილ მოვლენებთან. განსხვავებით „მატიანე ქართლისაჲ" ავტორისაგან დავითის ისტორიკოსი, როგორც ამას სამართლიანად ხაზს უსვამს ნ. ბერძენიშვილი, „პარტიულია". დიდაზნაურების დამოკიდებულება მეფესთან თუ ეკლესიაში შექმნილი ვითარება, ლაშქრის შექმნის საკითხი თუ ლაშქრობანი, მსტოვართა ინსტიტუტის შექმნა თუ მონასპის გამრავლება, — ყველაფერი, შეიძლება ითქვას, „პარტიული თვალსაზრისით აქვს განხილული: ყველაფერი კარგია და მართებულია, რაც საქართველოს აღდგომა-გაძლიერებას, თურქთა განდევნას, ქვეყანაში წესრიგის და მშვიდობის დამყარებას, მოწესრიგებული სახელმწიფოს შექმნას, თავაშვებულ დიდგვარიანთა დამორჩილებას, მეკობრე-აზნაურთა დაწყნარებას, სამართლიანობის, გამკითხველობის საქმეს ემსახურება. ყველა ამის განსახიერებაა მისი წარმოდგენით დავითი, ეს ღმერთის მაგიური კაცი, ღმრთის ნების ამსრულებელი"[2].

„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისაში" მოიპოვება ისეთი ადგილები, რომლებიდანაც ნათლად ჩანს მისი ავტორის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება. მაგალითად, ჩვენი ისტორიკოსი ერთგან წერს: და-

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 211.
[2] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, გვ. 61.

ვითმა „ესრეთ რა თვითმპყრობელობით დაიპყრა ჰერეთი და კახეთი და ნებიერად აღიხუნა ციხენი და სიმაგრენი მათნი, მზეებრ მიჰფინა წყალობა ყოველთა ზედა მკვდრთა ქვეყანისათა“. ისტორიკოსის ამ მოკლე სიტყვაში კარგად შეინიშნება მისი პოლიტიკური მრწამსი. კახეთ-ჰერეთის მეფე აღსართან დავით აღმაშენებელს შეპყრობილი მისცეს (საფიქრებელია თვით მეფის მიერვე დასაქმებულმა დიდებულებმა). დავითმა ომი მოიგო და თვითმპყრობელობით დაიპყრო ჰერეთი და კახეთი. აქ ჩვენი ისტორიკოსი საგანგებოდ გახაზავს, რომ მეფემ თვითმპყრობელობით დაიპყრო ჰერეთი და კახეთი, როგორც ეს წესად დადებული ჰქონდა დავითს: თვითმპყრობელობით დაპყრობა („შევრთე სახლი სახლსა“) და არა ყმადნაფიცობით. და ეს თვითმპყრობელობით დაპყრობა იმაში გამოიხატებოდა, რომ „ნებიერად აღიხუნა ციხენი და სიმაგრენი მათნი“ და, რა თქმა უნდა, ამ ციხესიმაგრეებში თავისი ერთგულები ჩააყენა (ერთი მათგანი არიშიანი უნდა ყოფილიყო). და ამის შემდეგ როგორც თვითმპყრობელს შეეფერება „მზეებრ მიჰფინა წყალობა ყოველთა ზედა მკვდრთა ქვეყანისათა“. ამრიგად, დავითის ისტორიკოსის იდეალია მეფე დამპყრობელი (მისი წარმოდგენით ჰერეთ-კახეთი საქართველოა და მისი შვილები დავითს უნდა ემორჩილებოდნენ, დავითი საქრისტიანო ამიერკავკასიას ათავისუფლებს), მეფე მზე (სამართლიან-მწყალობელი ერთგულთა და მორჩილთა)[1].

იმდროინდელი ქართული მწერლობისათვის დამახასიათებელი უაღრესად განვითარებული ეროვნული თვითშეგნებით გამოჰყავს დავითის ისტორიკოსს საქართველო და მისი პოლიტიკური მესვეური დავით აღმაშენებელი მსოფლიო-ისტორიულ შედარებათა ფართო ასპარეზზე. დავითის მსგავს მოღვაწეს ის ისტორიაში ვერ პოულობს. იგი განცვიფრებულია მისი ნიჭითა და გამჭრიახობით. მაგრამ აქვე, დავითის ისტორიკოსის სასახელოდ, ერთ მეტად მნიშვნელოვან გარემოებას განსაკუთრებით უნდა გავუსვათ ხაზი: საშუალო საუკუნეების ისტორიკოსებისაგან განსხვავებით, ის ყველაფერს არ აწერს დავითის პირად ღირსებას. მას კარგად ესმის, რომ გამოჩენილი პიროვნების პირად თვისებებს დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსათვის. მაგრამ ესა თუ ის მოღვაწე, რარიგ მაღალი ნიჭითაც არ უნდა იყოს დაჯილდოებული, თავის მოღვაწეობაში შეზღუდულია ქვეყნის საზოგადოებრივი პირობების და თავისი ხალხის მდგომარეობით. მართალია, ამბობს ის, ალექსანდრე მაკედონელმა მთელი ქვეყანა დაიპყრო, დავითს კი ასეთი რამ არ ჩაუდენია, მაგრამ არა იმიტომ, რომ ის ნიჭით ან სხვა რამეთი ალექსანდრეს ჩამოუვარდებოდა, არა „ჩუენი ესე გჳრგჳნოსანი და ახალი ალექსანდრე, დაღათუ იყო ქა-

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, გვ. 39.

მითა შემდგომი, არამედ არა საქმითაცა, არა განზრახვითა არცა სიმჯნითა უმცირეს და უმდაბლეს, არამედ მრავლითა უმაღლეს მგონიეს ესე"[1], — ამბობს ის და ეს მოხდა იმიტომ, რომ დავითის სამეფოს მდგომარეობა ალექსანდრეს სახელმწიფოს მდგომარეობას ვერ შეედრებოდაო. „ქართველთა ოდენ სპითა ვერცარას ალექსანდრე იქმოდა კარგსა. და თუმცა დავითს სპარსთა ჰქონებოდა მეფობა, ანუ ბერძენთა და ჰრომთა ძალა, ანუ სხვათა დიდთა სამეფოთა, მაშინამცა გენახნეს ნაქმარნი მისნი, უაღრესნი სხვათა ქებულთანი"[2]. მიუხედავად ამისა, მოგვითხრობს ჩვენი ისტორიკოსი, დავითმა ისეთი და იმდენი რამ გააკეთა, რომ ვგონებ, მთელი ქვეყნის ბრძენთა და „გამომეტყველთა" ენაც კი ვერ შეძლებს ყოველივე ზედმიწევნით გადმოსცესო.

თავისი პერსონაჟის დასახასიათებლად და მისი სიდიადის გამოსავლინებლად დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი უხვად სარგებლობს შედარებითი მეთოდით; აქ ის ღრმა ერუდიციას იჩენს მსოფლიო ლიტერატურასა და ისტორიაში, კარგად იცნობს და იყენებს ძველი საბერძნეთის, ბიზანტიის და ირანის ლიტერატურულ და ისტორიულ თხზულებებს. კერძოდ, ერთგან იგი ასახელებს რა სამ მწერალს: ჰომეროსს, არისტობულეს და იოსებ ფლავიოსს, რომელთაგან პირველმა შეაქო ტროადელ-აქეველთა ომი, მეორემ ალექსანდრე მაკედონელის გმირობა, ხოლო მესამემ აღწერა რომის კეისრის ტიტეს ბრძოლა ებრაელთა წინააღმდეგ, დასძენს: „და ვინათგან ამით ნივთნი საქმეთანი არა აქუნდეს კმად მისათხრობელად, ამისთჳსცა მის ხელოვანებითა რიტორობისათა განავრცელნეს, ვითარცა იტყჳს თჳთ სადამე ალექსანდრე: „არა დიდ იყავ აქილევი, არამედ დიდსა მიემთხვე მაქებელსა უმიროსს". რამეთუ ოცდარვა წელ განგრძობასა ტროადელთა ბრძოლისასა ვერა-რა ღირსი ქებისა იქმნა. ხოლო მეფისა დავითისი ესეოდენთა მიმართ წინაგანწყობა სამ ჟამადმდე იყო, და ვერცა პირველსა კუეთებასა შეუძლეს წინადადგომად. ჰქონებოდესმცა ამათ ბრძენთა თხრობათა ნივთად საქმენი დავითისანი და მათმცა აღწერნეს ჯეროვნად მათისაებრ რიტორობისა, და მაშინღამცა ღირს ქმნილ იყვნეს ჯეროვანსა ქებასა"[3]. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ზედმეტ თავმდაბლობას იჩენს თავის პირად ღირსებათა უგულებელყოფით, მაგრამ სამაგიეროდ მას არარაობამდე დაჰყავს ძველი საბერძნეთის და რომის სახელგანთქმული გმირები: აქილევსი, აგამემნონი, პრიამოსი, ჰექტორი, ოდისევსი, ორესტე, აგრეთვე ალექსანდრე მაკედონელი და რომის კეისარი ტიტე. ტროადის ომი 28 წელს გაგრძელდა, მაგრამ იქ საქებარი

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ 338.

[2] იქვე, გვ. 359.

[3] იქვე, გვ. 342.

არაფერი მომხდარა და თუ მაინც ზემოჩამოთვლილი სახელმოხვეჭილი პირები დიდების გვირგვინით არიან შემოსილი ისტორიაში, არა იმიტომ, რომ ისინი დავით აღმაშენებელზე უკეთესი ვაჟკაცნი და შემმართებელნი იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ მათ გამოუჩნდათ ნიჭიერი მწერლები, რომლებმაც, მიუხედავად ქების ობიექტის სიმცირისა, თავიანთი რიტორობის საშუალებით ამ მოღვაწეთა დამსახურება გააზვიადეს. ამ ბერძენ და ებრაელ მწერლებს რომ ხელთ ჰქონოდათ მდიდარი მასალა დავითის შესახებ (ე. ი. იმათ რომ დავითი შეექოთ), აი, მაშინ უნდა გენახათ, თუ თავიანთი რიტორული ენით როგორი სისრულით აღწერდნენ და ღვაწლისა და ამაგის შესაფერის ქებას შეუთხზავდნენ ამ დიდებულ პიროვნებას.

დავითის ისტორიკოსის ამ დებულებებში შეიძლება ზოგი რამ სადავო და გაზვიადებული იყოს, მაგრამ მასში აშკარად ჩანს იმდროინდელი მოწინავე ქართული საზოგადოების მისწრაფება: არა მარტო მეტოქეობა გაეწიათ ბერძნებისათვის, არამედ მათზე მაღლაც კი დამდგარიყვნენ. ასეთი მისწრაფება ნაკარნახევი იყო ეროვნული თვითშეგნებისა და მშობელი ხალხის ღირსების ამაღლების სურვილით. ამიტომაც არის, რომ დავითის ისტორიკოსს ბერძნების ეკლესიის „მნათობები და სათაყვანებელი ეროვნული გმირები“ თავისი ქვეყნის მოღვაწეებზე მაღლა მდგომად არ მიაჩნია.

დავითის ისტორიკოსის თხზულებაში ამბების თხრობა მოყვანილია 1126 წლამდე. იგი დაწერილია მშვენიერი მხატვრული ენით და წარმოადგენს პირველხარისხოვან წყაროს XI—XII საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის.

თამარის ეპოქის ისტორიკოსთა ნაშრომებიდან ჩვენამდე მოაღწია ორმა თხზულებამ. პირველი მათგანი ცნობილია „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ სახელწოდებით[1]. თამარის ამ პირველი ისტორიკოსის ვინაობა დღესაც გაურკვეველია[2].

ნაშრომის სახელწოდებიდან კარგად ჩანს თხზულების შინაარსი და ხასიათი. უმთავრესად ის, შეიძლება ითქვას, მეფეების ისტორიაა: თავ-

---

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 1—114.

[2] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 220—241; კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, როგორც ლიტერატურული წყარო, რუსთაველის კრებული, თბ., 1938, გვ. 121—158; კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი (ცდა ტექსტის აღდგენისა), თბ., 1941, შესავალი წერილი, გვ. 1—50; თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, 1892, XL—LII, 285—290; პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, ჩახრუხაძე, პოეტი მოგზაური, კავკასიონი, 1924, თბ., 1—2, გვ. 277; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1927, შესავალი წერილი, გვ. XIX, LXXI—III; მ ი ს ი ვ ე რეცენზია ივ. ჯავახიშვილის შრომაზე: „ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის მეორე აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება, „საისტორიო მოამბე“, 1924. ტ. I. გვ. 285—291.

ში შედარებით მოკლედაა გადმოცემული ისტორია გიორგი III-ის (1156—1184 წწ.) მეფობისა, მეორე უფრო ვრცელ ნაწილში — თამარისა. მასში განსაკუთრებით ვრცლად და დაწვრილებით არის აღწერილი სამხედრო ლაშქრობანი და ომები. არაერთი საყურადღებო ცნობაა დაცული აგრეთვე XII საუკუნის შინაპოლიტიკური ისტორიისათვის. ეს ისტორია ამავე დროს არის „აზმა“ ან ქება, ესე იგი შესხმა, ხოტბა, ნამდვილი პანეგირიკი.

თავისი პოლიტიკური შეხედულებით ავტორი ძლიერი მონარქიის მომხრეა. „მრავალმთავრობას“, მისი აზრით, თან სდევს „შური და ხდომა“, ე. ი. ყოველგვარი უწესობა: „ვითარ არს წესი მრავალმთავრობისა, შეიქმნა შური და ჴდომა“, — ამბობს ერთგან ჩვენი ავტორი. იგი თამარის პოლიტიკის თავგამოდებული დამცველია. მას სრულიად არ მოსწონს ფეოდალური არისტოკრატიის ბრძოლა სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ და უკმაყოფილობით ამბობს: „იწყეს რომელთამე ძუელებრი კაცთა დაუდგომლობისა საქმეო“. მას არც ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის განზრახვა მოსწონს, რომელსაც მეფის უფლებების შეზღუდვა უნდა მოჰყოლოდა. თამარის ანონიმი ისტორიკოსი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მეფის წინააღმდეგ გამოსვლა და მოქმედება ყოველ ძველთა და ახალთა „უბოროტესი“ საქმე იყო და არასდროს კეთილი შედეგი არ მოჰყოლია.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი ღრმად განათლებული პიროვნება ჩანს. მის თხზულებაში რელიეფურად არის წარმოდგენილი იმდროინდელი საქართველოს კულტურული დონე. გარდა მშობლიური კულტურული ტრადიციებისა, ანონიმი ავტორი კარგად იცნობს ორ კულტურულ სამყაროს: დასავლურს, ელინურ-ბიზანტიურ-ქრისტიანულს, და აღმოსავლურს—ირანულ-არაბულ-მუსლიმანურს. ავტორი ამჟღავნებს სასულიერო და საერო (მათ შორის ანტიკურისაც) ლიტერატურის კარგ ცოდნას. თავისი შრომის დაწერისას ისტორიკოსს უსარგებლია პლუტარქეს თხზულებებით. მის ფართო ერუდიციაზე ისიც მეტყველებს, რომ იგი კარგად იცნობს ძველი მწერლობის სხვა ძეგლებსაც (კერძოდ, ჰომეროსის ნაწარმოებებს და სხვ.). რაც შეეხება ისტორიკოსის ენას, აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, „თავისი მაღალფარდოვანი, მოქარგულ-მოგვირისტებული, მხატვრულ-პოეტური ენით, თავისი შედარებებით, მეტაფორებით, ტროპებითა და ფიგურებით, რომლებითაც თხზულება თავიდან ბოლომდე სავსეა, სცილდება ისტორიული ნაწარმოების ფარგლებს და პოეტური შემოქმედების სფეროში გადადის“[1]. ანონიმი ისტორიკოსი, როგორც მოხდენილად შენიშ-

[1] ქ. კეკელიძე, ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, შესავალი წერილი, გვ. I.

ნავს თ. ჟორდანია, „მუსიკობს, მჭევრმეტყველებს, ენაწყლიანობს, სახემეტყველობს, რათა ენამზიანობით რამდენადმე შეგვაგნებინოს დიდებულება მეფობისა, რომლის ვრცლად აღწერას ვერ ჰკადრულობს, ვერ ახერხებს"[1].

თამარის პირველი ისტორია — „ისტორიანი და აზმანი" — ივ. ჯავახიშვილის დასკვნით, „შინაარსიანი თხზულებაა: ამ მხრივ იგი არც ერთი სხვა საუკეთესო ქართულ საისტორიო ძეგლს არ ჩამოუვარდება. ამასთანავე იგი დიდი ნდობის ღირსიც არის და ამის გამო ისტორიისათვის ძვირფას წყაროდ უნდა ჩაითვალოს. რიტორობისა და შემასხმელობისადმი სიყვარულისდა მიუხედავად თამარ მეფის ისტორიკოსი მართალის მთქმელი და პირუთვნელი მატიანეა"[2].

როგორც ცნობილია, გიორგი მესამისა და თამარის მეფობა იმ ხანას ეკუთვნის, როდესაც საქართველო წინა აზიის უძლიერესი სახელმწიფო იყო. საქართველოს ამ სიძლიერეს ჩვენი ისტორიკოსი მიაწერს გიორგისა და თამარის პირად თვისებებს. ეს სავსებით ბუნებრივი მოვლენაა, რადგან „ისტორიანი და აზმანის" ავტორი ხომ კარის ისტორიკოსია. მისი წარმოდგენით, გიორგი III არის „მზე მნათობთა შორის; ალექსანდრე და ქაიხოსრო მპყრობელთა შორის; აქილევ, სამბსონ და ნებროთ გმირთა შორის... სოლომონ, სოკრატ და პლატონ ბრძენთა შორის"[3]. იგი უძლეველი მხედარია.

უფრო მეტი და განსაკუთრებული ეპითეტებით ამკობს ჩვენი ისტორიკოსი თამარ მეფეს. მისი დახასიათებით, თამარი არის სამგზის სანატრელი და სამების მეოთხე წევრი[4], ნათელი და ბრწყინვალება მშობლების თუალთა, გვირგვინი ყოველთა ხელმწიფეთა[5], მზეთა მზე და დედოფალთა-დედოფალი, შარავანდედთა შორის უმეტეს აღმობრწყინებული[6]; ისტორიკოსი აღფრთოვანებულია თამარის საქმეებით და ამბობს: თამარმა თავისი გონება აღაპყრო იმისადმი, ვინც საუკუნოა, და მან, ვინც წყალობათა მომნიჭებელია, წარუმართა თამარს საქმეები, და „ყოველნი გარემოს მყოფნი მეფენი, ქალაქნი და ამირანი ძღუნითა და ხარკითა მოამშვდებდეს" თამარის ჯარებს[7]. „ისტორიანი და აზმანის" ავტორს ხიბლავს თამარის მაღალი ზნეობრივი თვისებები და იქამდე აღტაცებულია თამარის სახებით, რომ ავიწყდება მაშინდელი საეკლესიო დოგმატები და მზად

---

[1] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, გვ. 1.
[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 241.
[3] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 3.
[4] ი ქ ვ ე, გვ. 3, 25.
[5] ი ქ ვ ე, გვ. 20.
[6] ი ქ ვ ე, გვ. 103.
[7] ი ქ ვ ე, გვ. 91 — 92.

არის თამარის პიროვნება ჩაურთოს ქრისტიანულ სამებაში: იგი ორჯერ პათეტიკურად გაიძახის — თამარი იმის ღირსია, რომ წმინდა სამებაში მეოთხე წევრად იყოსო. თავის თავზე კი ამბობს, მე არა ვარ ღირსი მის შესაქებად, „შემსხმელად ჯამს ომიროს“.

ჯერ კიდევ 1913 წელს ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „თამარ მეფის ხანას უეჭველია საქართველოში ბევრი აღმწერელი და ისტორიკოსი ეყოლებოდა, მაგრამ ერთის გარდა სხვების ნაშრომი ჯერჯერობით დაკარგულად უნდა ჩაითვალოს“[1]. ივ. ჯავახიშვილმა 1923 წელს „ქართლის ცხოვრების“ ახლად ნაპოვნ ე. წ. ჭალაშვილისეულ ხელნაწერში მართლაც აღმოაჩინა თამარის მეორე, მანამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება ასეთი სახელწოდებით: „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“. როგორც ივ. ჯავახიშვილმა გამოარკვია, თამარის მეორე ისტორიის ავტორად შეიძლება მივიჩნიოთ ბასილ ეზოსმოძღვარი, რომელიც თვით ამ „ისტორიაში“ იხსენიება. ივ. ჯავახიშვილისავე მოსაზრებით, ეს თხზულება ბასილ ეზოსმოძღვრის მიერ დაწერილი უნდა იყოს 1210—1213 წლებში[2]. პ. ინგოროყვაც ფიქრობს, რომ თამარის მეორე ისტორია „დაწერილია XIII საუკუნის პირველ მეოთხედში“[3], ხოლო კ. კეკელიძის აზრით, თამარის მეორე ისტორია ვერ დაიწერებოდა 1236 წელზე უფრო ადრე, უფრო გვიან კი მოსალოდნელია და საფიქრებელია[4]. ბასილის ნაშრომი მეტად ძვირფას ისტორიულ წყაროს წარმოადგენს რუსთაველის ეპოქის საქართველოს ისტორიის შესასწავლად. იგი მრავალი დამატებითი საყურადღებო ცნობებით ავსებს თამარის პირველი ისტორიკოსის ნაშრომს. იმ დროს, როდესაც ანონიმი კარგად ერკვევა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის საკითხებში, ბასილ ეზოსმოძღვარი ღრმა ცოდნას ამჟღავნებს სამეფო კარის შინაგანი ცხოვრებისა და დედოფლის პირადი ცხოვრების ინტიმური მხარეებისას. მას ხშირად პრინციპული მნიშვნელობის შესწორებანი შეაქვს ანონიმის ამა თუ იმ ცნობაში[5]. მაგალითად, ანონიმი, რომელიც, როგორც ცნობილია, ავლენს გარკვეულ ტენდენციას ხოტბა შეასხას დედოფალს, ქართველთა ლაშქრის ჩარევის ფაქტს იმ ურთიერთშორის ბრძოლაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა აბუბეკრსა და მის ძმებს შორის, ხსნის დედოფლის სურვილით გამოამჟღავნოს კაცთმოყვარეობა და სამართლიანობა დაჩაგრული მხარის მიმართ; სხვანაირად ხსნის ამ

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 220, 393.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 397.

[3] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, ჩახრუხაძე, პოეტი მოგზაური, კავკასიონი, 1924, № 1—2, გვ. 277.

[4] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1958, გვ. 276—277.

[5] В. Д о н д у а, Басили, историк царицы Тамары, Памятники эпохи Руставели, Л., 1938, с. 36.

ფაქტს ბასილი. მის მიხედვით, თბილისის სამეფო კარი ამ შემთხვევაში დაინტერესებული იყო საკუთარი ქვეყნის საზღვრების დაცვის პრობლემით. იმ დროს, როდესაც ანონიმი გატაცებულია უსაზღვრო რიტორიკით, ბასილი იძლევა მის მიერ მოთხრობილი ფაქტების ანალიზს, საჭირო შემთხვევებში იგი მიუკერძოებლად აკრიტიკებს ხოლმე კიდევაც ამა თუ იმ სახელმწიფო მოღვაწის მიერ არასწორად გადადგმულ ნაბიჯს. კერძოდ, იგი გამოთქვამს აშკარა უკმაყოფილებას ზაქარია და ივანე მხარგრძელების მიმართ, რომელთაც განძა „შესანახავად მისცეს“ „კაცსა ვინმე სპარსს“, შარვანშეთ სიძეს, მირმირანს. ბასილ ეზოსმოძღვარი ამ ამბავთან დაკავშირებით წერს: „აქა ვერ კეთილად განაგეს ზაქარია და ივანე, და ესეოდენ იქმნა დაკლება ამას განმარჯუებასა შინა“[1].

ბასილი მთელი თავისი ისტორიული თხრობის მანძილზე თავისი ხალხის ერთგულ შვილად რჩება, იგი ნამდვილი მოქალაქე-ისტორიკოსია, რომელიც მხურვალედ ეხმაურება თავისი ქვეყნის ცხოვრების ყოველ ფაქტს. თხზულების იმ ნაწილში, სადაც მოთხრობილია სპარსელთა წინააღმდეგ ომის დაწყების ამბავი, ბასილს მოჰყავს თამარის სიტყვები, რომლითაც მან მიმართა თავის ლაშქარს: „ძმანო, ჩემნო, ყოვლად ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქუენნი სიმრავლისა მათისათჳს და სიმცირისა თქუენისა, რამეთუ ღმერთი ჩუენთანა არს“[2].

ბასილ ეზოსმოძღვარს კარგად აქვს შეგნებული ის გარემოება, რომ მომავალში მის ნაშრომს, როგორც ისტორიულ ძეგლს, აღმზრდელობითი მნიშვნელობა ექნება; ამიტომაც არის, რომ ბასილი მთელ თავის უნარსა და ოსტატობას ერთი მიზნისაკენ წარმართავს: მკვეთრ ფერებში აღბეჭდოს ყოველივე ის საუკეთესო, რასაც იგი ამჩნევდა ქვეყნისა თუ ცალკეული გმირების ცხოვრებაში. უაღრესად ღრმა შინაარსს იძენს მისი მოწმობა იმის შესახებ, თუ როგორის თავგანწირვით ემსახურებოდნენ მისი საუკეთესო თანამედროვენი სამშობლოს დაცვის საქმეს უცხოელ დამპყრობელთაგან მისი ხელყოფის დროს: „მონაპირენი, — მოგვითხრობს ბასილი, — რომელნი იყვნეს, ღამეთა დღეთავე ზედა დართვიდეს შეუსუენებელად, და რომელნი შიგნით იყვნეს იგინი სანაპიროთა დაჯდეს“[3].

სადა და გასაგები ენით, დიდი სიმართლით მოგვითხრობს ბასილ ეზოსმოძღვარი თამარის დროინდელ საქართველოს წარმატებებზე, მის სიძლიერესა და საგმირო საქმეებზე. ერთგან იგი აღფრთოვანებული გაიძახის: „რომელმან შეუძლოს აღწერასა მიცემად წარმართებანი თამარის საქმეთანი, რამეთუ ვითარ თმანი თავისანი თჳთეულად ვერავინ აღრიცხუ-

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 127.

[2] იქვე, გვ. 126.

[3] იქვე, გვ. 129.

ნეს, აგრეთვე ვერცავინ ესენი აღწერნეს"[1]. მაგრამ თუნდაც რომ ვინმემ შეძლოს, სულ ერთია მომავალი თაობანი ამას არ დაიჯერებენ: „რომელთაცა ოდენ შეუძლონ, საეჭუელ მიჩნს: მომავალთაგან შემდგომად არა დარწმუნებად"[2]. როგორც ვხედავთ, ბასილი, ქართული ფეოდალური სახელმწიფოს ბრწყინვალე ხანის თანამედროვე და მომავალში თავის სამშობლოსათვის კიდევ უფრო მეტ წარმატებებსა და სიძლიერეზე მეოცნებე, ფიქრობდა, რომ მერმინდელი თაობანი ისტორიკოსს არ დაუჯერებდნენ, რომ საქართველო წინათაც, თამარის დროსაც ასე დაწინაურებული იყო. ასეთ „ურწმუნოთა" საყურადღებოდ ჩვენი ისტორიკოსი აცხადებს, რომ მათ გაიხსენონ „ქალაქნი, ციხენი და თემნი სულტანთა სასხდომნი, მისგან (ე. ი. თამარისაგან — თ. პ.) ახმულნი, მზღვარნი, რომელნი მას დახუდეს მას გარეთ მისსა სამეფოსა, ორად განფართოებულნი, და ამისგან ცნას მეძიებელმან საქმეთაგან, მერმე ცნას ერაყამდის ქუემოთ მისგან დადებული ხარაჯა და ბაღდადის კერძ მარღამდის"[3] და მაშინ დარწმუნდებიან, რომ ყველაფერი, რაც ნაამბობია, მართალი არისო. ეს რომ სინამდვილეში ასეა, ამისათვის საკმარისია ადამიანმა ყურადღებით გადაიკითხოს „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი", რომ აშკარად დარწმუნდეს მისი ავტორის გულწრფელ მისწრაფებაში: მართალი სიტყვა მიაწოდოს შთამომავლობას თამარის დროინდელ საქართველოს ცხოვრებაზე. ბასილ ეზოსმოძღვრის ნაწარმოები იმდროინდელი ქართული საისტორიო მწერლობის დიდი წარმატების მაჩვენებელია. იგი ერთერთი საუცხოო ისტორიული თხზულებაა, რომელიც ყოველი ერის საუკეთესო საისტორიო თხზულებათა კრებულს დაამშვენებდა.

როდესაც XII—XIII საუკუნეების ქართულ ფეოდალურ ისტორიოგრაფიაზე ვმსჯელობთ, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ ისტორიკოსები ფეოდალური კლასის ინტერესების თვალსაზრისით აშუქებდნენ აღნიშნული ხანის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას. მაგალითად, თამარის ანონიმი ისტორიკოსი აღტაცებულია იმით, რომ ამ პერიოდში არა მარტო „გადიდებულდეს აზნაურნი და გახელმწიფდეს დიდებულნი", „არამედ გააზნაურდეს ქუეყანისა მოქმედნიო"[4]. ასეთი სიტყვების ხმარება თავისი ქვეყნის მმართველების მიმართ, მეტად ნათლად გვიხასიათებს XII—XIII საუკუნეების ქართველ ისტორიკოსთა კლასობრივსა და ისტორიულ პოზიციებს. წარმოადგენდნენ რა ბატონყმური ურთიერთობის მხურვალე დამცველებს,

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 123.
[2] ◦ ქ ვ ე.
[3] ◦ ქ ვ ე, გვ. 123 — 124.
[4] ◦ ქ ვ ე, გვ. 34.

ისინი თავისი დროის მძაფრ კლასობრივ ბრძოლას „უწესობას“ უწოდებდნენ და მათ გამომწვევ მიზეზებს დიდებულთა და ხელისუფალთა (ერისთავთა) ცალკეულ მოქმედებაში ხედავდნენ.

ტენდენციურობით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანში“ თამარის პიროვნება ერთობ გაზვიადებულია, იგი „წმინდანის“ შარავანდედითაა შემოსილი. თავის ხანგრძლივ მეფობაში თამარს „ტაჯგენაგი“ (მათრახი) არ დაუკრავსო არავისთვის, ნათქვამია იქ: „ვიდრემდის ამისსა განგებასა შინა არცა თუ ტაჯგანაგი უბრძანავის სადმე კრვადო“[1]. ტაჯგენაგის ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, იძულებითი ზომების გარეშე წარმოუდგენელია ფეოდალური სახელმწიფო და ამიტომ ბუნებრივია, მას თამარიც მიმართავდა. ეს რომ ასეა, აშკარად ჩანს თამარის მეორე ისტორიკოსის ბასილ ეზოსმოძღვრის სიტყვებიდან, რომელიც ამბობს: თამარი „სანთელი იყო გონიერთა და უგუნურთა, პირველთა განმანათლებელ და მეორეთა დამწუველ. აღჯრი იყო უწესოდ მკრთომელთა და დეზ უდებთათჳს. კანონი სირცხვილისა მოხუცებულთა და კუერთხი რკინისა ჭაბუკთათჳს; კეთილ-მავალთა სიბრძნით მცველ, ხოლო მბორგალეთა თუალუხუაგად მგუემელ“[2].

ამასთან ერთად, XI—XIII საუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიაში ფეხმოკიდებული იყო ისეთი მოძღვრებაც, რომლის თანახმად სახელმწიფოს ყოველგვარი წარმატება თუ წარუმატებლობანი საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, ყოველგვარი ღირსშესანიშნავი მოვლენა ხალხთა ისტორიაში უმიზეზოდ არ ხდება და ყველაფერი „ღვთის განგების“ შედეგია. ქართველ ისტორიკოსებსაც ღრმად სწამდათ, რომ ომში დამარცხება, მტრის შემოსევა, ქვეყნის აოხრება და სხვა უბედურებანიც ხალხის შეცოდების შედეგია მხოლოდ, რომ ღმერთი დროდადრო სჯის თავის შეცოდებულთ და ამით გამოსწორების მართალ გზაზე აყენებს მათ. ამგვარად, ქართული ისტორიოგრაფიისათვის საერთოდ დამახასიათებელი იყო დუალისტური მსოფლმხედველობა და „პროვიდენციალიზმი“, ისევე როგორც ევროპული „ქრონიკების“ ყველა ავტორისათვის[3]. მაგალითად, ისეთი ისტორიკოსის აზროვნებითაც კი, როგორიც იყო დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ქვეყნის უბედურება, მტრის შემოსევა, ან სხვა რამ განსაცდელი „ზეგარდმონი, ღვთივ მოვლინებულნი“ იყო „ცოდვათა ჩუენთათჳს“[4]. ასევე, თამარის ანონიმი ისტორიკოსი დარწმუნებული იყო,

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 34.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 145.

[3] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ვახუშტი მე-17 — 18 სს. ევროპული ისტორიოგრაფიის სინათლეზე, გვ. 59.

[4] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 213.

რომ ადამიანთა და სამეფოთა ცხოვრებაში ყველაფერი ღვთის წინასწარ განკარგულებაზეა დამოკიდებული. აი, რას ამბობს იგი თავის თხზულებაში, როცა ამთავრებს თხრობას იმის შესახებ, თუ როგორ გადაურჩა გიორგი III და ქართველობა მტრების უეცარ თავდასხმას: „ყოველმან მცნობელმან და წარმკითხველმან ამისმან: „საზღვარი დასდევ და არა გარდაჯდეს". და ვითარ მზე, დიდი ბასილი, მნათი კესარიისა ბუნებითმეტყველობასა შინა არსთა ქმნილებისასა „ექუსთა დღეთასა" იტყჳს, ვითარ: ჩიტი ალკუნი ბაგესა ზედა ზღჳსასა დამსხმელ იქმნების კუერცხთა, ოხრანი და ღელვა-ტეხილობანი ზღჳსანი ვერ გარდახდებიან ბრძანებასა ღმრთისასა; და მცველ ექმნების თესლოვანებასაცა ალკუნისასა". აწ უკუეთუმცა მიშუა ზენასა განგებისასა და არა წინააღმდგომ ჰქონდეს გაქცევასა სულტნისასა, დამცაქცეულ იყვნეს ყოველნი მაღნარნი სარკინოზობისანი. და ეგრეთვე, არათუმცა უკუნ ექცივნეს შიშსა და სიმხნესა მეფისასა და სპათა მისთასა, წარტყუენილ იყვნესმცა უმანკონი არენი და ადგილნი"[1].

„მაინცდამაინც „პროვიდენციალიზმით" XI—XIII საუკუნეების ქართული საისტორიო მწერლობა უახლოვდება მის თანამედროვე ევროპულ ფეოდალურ ისტორიოგრაფიას. საისტორიო მეთოდების მხრით კი... მისგან არსებითად განსხვავდებოდა"[2].

XI—XIII საუკუნეების ქართული ისტორიული აზროვნების მაღალი განვითარებულობის უცილობელი მოწმობაა „ქართლის ცხოვრების" კრებულის შედგენა. „ქართლის ცხოვრების" კრებული თანდათან დგებოდა, როგორც აკად. ი. ჯავახიშვილს აქვს გამორკვეული[3], პირველად ეს კრებული შეადგინეს XII საუკუნეში და იქ შეიტანეს ის თხზულებები, რომლებიც მოგვითხრობენ ქართველი ხალხის ისტორიას უძველესი დროიდან VIII საუკუნემდე; ესენია ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა", მისივე „წამება წმიდისა და დიდებულის მოწამისა არჩილისი" და ჯუანშერის „ცხოვრება და მოქალაქეობა ვახტანგ გორგასლისა". შემდეგ საუკუნეებში, კერძოდ XIII საუკუნის დასაწყისისათვის, ამ კრებულს დაუმატეს VIII—XII საუკუნეთა ისტორიის შემცველი თხზულებები: უცნობი ავტორის „მატიანე ქართლისაჲ" და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ნაწარმოები „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი". ხოლო უფრო გვიან კრებული შეავსეს სუმბატ დავითის ძის ნაშრომით — „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა". დასასრულ, დაახლოებით XVI საუკუნეში, კრებულში შეაქვთ

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 15.

[2] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 60.

[3] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 308 — 312.

დონდალოს ხიდი მდ. აჭარისწყალზე, XI—XII სს.

ბესლეთის ხიდი (სოხუმთან), XI — XII სს.



გელათის მონასტერი (ქუთაისის მახლობლად), საერთო ხედი, 1106 — 1125 წწ.

წმ. მამაჲ ლომზე. ქანდაკება ვერცხლის დისკოზე გელათიდან,
XI ს., საქ. ხელოვნ. სახ. მუზეუმი.

გელათი, ღვთისმშობლის მოზაიკური გამოსახულება მთავარი ტაძრის კედელზე, XII ს.



გელათი, აკადემიის კარიბჭე, XIII ს.

გელათი, აკადემია, კარიბჭის კამარა, XIII ს.





ვარძია (ასპინძის რაიონი), კლდეში ნაკვეთი მონასტერი, XII ს.

ვარძია, გიორგი III და თამარის გამოსახულება, XII ს. დასასრული.



ბეთანიის მონასტერი. საერთო ხედი, XII — XIII სს. მიჯნა.



თამარის გულსაკიდი ჯვარი, XII—XIII სს. მიჯნა.



თამარის გულსაკიდი ჯვარი ზურგიდან, XII — XIII სს. მიჯნა.

შოთა რუსთაველი.

წყاროსთავის ოთხთავის მოქედილობა, ბექა ოპიზარი, XII ს., საქ. სახ. მუზეუმი.

წყاროსთავის ოთხთავის მოქედილობა, ბექა ოპიზარი, XII ს., საქ. სახ. მუზეუმი.

იკორთის ტაძარი (ცხინვალის რაიონი), ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, 1172 წ.



ხახულის კარედი ხატის მოქედილობა (შესრულებულია გელათის მონასტერში), 1125 — 1154 წწ., საქ. ხელოვნ. სახ. მუზეუმი.

ხახულის კარედი ხატის მოჭედილობის დეტალი, 1125 — 1154 წწ.

მინანქრის ხატი — ხახულის კარედის სამკაულის ნაწილი, 1125 — 1154 წწ.

გეგუთის ციხე-დარბაზი (ქუთაისის მახლობლად), XII ს.



გუდარეხი. სასახლის ნანგრევები. გეგმა და ჭრილი. XIII ს., არქიტ. ც. გაბაშვილი, ქართ. ხელოვნ. ისტ. ინსტიტუტი.





გუდარეხი. საცხოვრებელი ჩუქურთმიანი შენობის ფასადი, XIII ს., არქიტ. ც. გაბაშვილი.

გუდარეხი. საცხოვრებელი ჩუქურთმიანი შენობის კარი, XIII ს., არქიტ. ც. გაბაშვილი.



გუდარეხი. საცხოვრებელი ჩუქურთმიანი შენობის ფანჯარა, XIII ს., არქიტ. ც. გაბაშვილი.



ყიხწვისის ტაძარი (ქარელის რაიონი), XII—XIII სს. მიჯნა.

XII—XIV საუკუნეთა ისტორიის მომცველი თხზულებები: თამარის ანონიმი ისტორიკოსის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და ჟამთააღმწერლის „მონღოლთა დროინდელი ისტორია“[1]. ამით დასრულდა „ქართლის ცხოვრებაში“ შესულ საისტორიო თხზულებათა პირველი ციკლი, რომელიც ცნობილი და გავრცელებული ყოფილა ჩვენში ვახტანგ VI-ის დრომდე.

„ქართლის ცხოვრება“ ქართველი ფეოდალური საზოგადოების აღიარებული სახელმძღვანელო წიგნი იყო, რომლითაც საქართველოს თავგადასავალი შეისწავლებოდა. საქართველოს ისტორიის ერთიანი წიგნის შექმნა იყო ქართული ფეოდალური ისტორიული აზროვნებისათვის თავის მობმა და ამდენადვე ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების გარკვეული ეტაპი[2].

„ქართლის ცხოვრება“, ეს „წმინდა და პატიოსანი“ წიგნი, ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვება–აღმავლობის ხანაში ჩამოყალიბდა და მოწოდებული იყო ფეოდალური საქართველოს იდეურ-მორალური დასაყრდენი ყოფილიყო[3].

როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, „იდეურ-პოლიტიკურად ფეოდალური საქართველოს ცივილიზაცია სამ სვეტს ემყარებოდა — სახარება, „ვეფხისტყაოსანი“ და „ქართლის ცხოვრება“ იყო გამარჯვებული ფეოდალური ურთიერთობის სამი „წმინდა წიგნი“. სახარებას (ქრისტიანობას) იმდენი წილი ედო ქართული ფეოდალური კულტურის განმტკიცების საქმეში, რომ „ქართველი“ ქრისტიანობის (ქალკედონურის) სინონიმად იქცა. არანაკლები მნიშვნელობისა იყო ფეოდალური საქართველოს კულტურული ხანის გამოკვეთის საქმეში „ვეფხისტყაოსანი“, ფეოდალური საქართველოს ეს ჰიმნი, ქართული ფეოდალური ზნეობის ეს კოდექსი. „ქართლის ცხოვრება“ კი ფეოდალური საქართველოს მეცნიერულ-ისტორიულ დაფუძნებას ემსახურებოდა (ქართლის წარმოშობა, ზრდა-განვითარება, საქართველოს ეროვნული დადგინება, აყვავება...)“[4].

ამრიგად, XI—XIII საუკუნეებში ქართველმა ხალხმა მდიდარშინაარსიანი ისტორიოგრაფია შექმნა. საზოგადოებრივი ცხოვრების აურაცხელი

---

[1] В. Габашвили, Историография Грузии (XI—XVII вв.), Очерки истории исторической науки в СССР, I, с. 144.

[2] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III. თბ., 1966. გვ. 332.

[3] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. V, თბ., 1971, გვ. 131.

[4] იქვე, გვ. 131 — 132.

საკითხებით დატვირთული აღნიშნული ხანის ქართული ისტორიოგრაფია წარმატებით ახერხებს საზოგადოებას მიაწოდოს მშობლიური ისტორიის აქტიური ცოდნა[1].

§ 3. ლიტერატურა

XI—XIII საუკუნეების ქართული მწერლობა მოიცავდა ორ დიდ უბანს: სასულიეროსა და საერო-მხატვრულს. სასულიერო მწერლობას ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა, საერო კი ახალი აღმოცენებული იყო და სწრაფად ვითარდებოდა. ქართული მწერლობის ამ ორივე დარგს დიდი სიცხოველე, წინსვლა და მაღალი მიღწევა ახასიათებდა.

აღნიშნული ხანის ქართველ მწერლებს ნათელი წარმოდგენა ჰქონდათ იმდროინდელ დასავლურ (ბიზანტიურ) და აღმოსავლურ (არაბულ-სპარსულ) ლიტერატურულ ცხოვრებაზე, ფილოსოფიურ სკოლებსა და მიმდინარეობებზეც. მათ მწერლობის დარგში იგივე საკითხები აინტერესებდათ, რომლებზედაც ფიქრობდნენ მაშინდელი მსოფლიოს მოწინავე ადამიანები. ქართველი მწერლები ფლობდნენ ბერძნულ და არაბულ-სპარსულ ენებს, ორიგინალებში ეცნობოდნენ უცხო ენაზე შექმნილ თხზულებებს, თარგმნიდნენ ქართულად და საკუთარ ნაწარმოებებსაც წერდნენ.

XI საუკუნის ქართული მწერლობის წინაშე დიდი კულტურული ამოცანა იდგა — ქართულ ენაზე მთელი იმ საქრისტიანო ლიტერატურის გადმოღება, რომელიც იმ დროს ბერძნულად მოიპოვებოდა. ამ მიმართებით თავს იჩენს ძლიერი მისწრაფება: კულტურული დონის მხრივ არ ჩამორჩნენ ბიზანტიას. ბერძნულიდან ითარგმნება ყველა თვალსაჩინო ავტორი არა მხოლოდ ქრისტიანული პერიოდისა, არამედ ანტიკური საბერძნეთის წარმომადგენელნიც. ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობა გაჩაღდა როგორც თვით საქართველოში, ისე მის საზღვარგარეთულ კულტურის ცენტრებში, სადაც მოღვაწეობდნენ მაღალგანათლებული ქართველი მეცნიერნი. მათ გასწიეს უაღრესად დიდი შრომატევადი სამუშაო: ახდენდნენ წიგნების გამრავლება-გადაწერას, ქმნიდნენ ორიგინალურ თხზულებებს, თარგმნიდნენ სიტყვაკაზმული ლიტერატურის საუკეთესო ძეგლებს. ამ მეცნიერებს სათავეში ედგნენ ჩვენი მწერლობის ისეთი გამოჩენილი წარმომადგენელნი, როგორებიც იყვნენ: გიორგი ათონელი, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი და სხვ.

გიორგი ათონელის სამწერლო მოღვაწეობის შესახებ მისი ბიოგრაფი გიორგი მცირე (ხუცესმონაზონი) მოგვითხრობს: „რომელნიმე წიგნნი

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 294.

სრულიად არა ყოფილნი და ენისა ჩუენისაგან უცხონი სიღრმეთაგან უმეცრებისათა ნათლად გამოაბრწყინვნა.

ხოლო სხუანი, ოდესმე თარგმნილნი და წუთ-ვერ-კეთილად გადმოღებულნი, გინათუ ჟამთა სიგრძითა უცებთა და უგუნურთა მჴმარებელთაგან დაგესლებულნი, ვითარცა ვთქუთ, ბრძმედსა მას შინა წმინდისა მის გონებისა თჳსისა გამოადვნა და გამოაჴურვნა. ხოლო კუალად სხუანი წიგნნი წმიდისა მამისა ჩუენისა, ეფთჳმის მიერ თარგმნილნი და წუთ უცალოებისაგან ვერ სრულ ქმნულნი, არამედ სულ მცირედ აღწერილნი, განასრულნა და განავრცელნა. კუალად სხუანი, რომელიმე ბერძულსა შეაწამნა და ყოვლისა ნაკლულევანებისაგან განასრულნა, და სიტყვა — დუხჭირობისა და ვერაგობისაგან განაშუენა და განაბრწყინვნა, ვითარცა თჳთ თავადი სახარება და პავლე"[1]. მაშასადამე, გიორგი ათონელს გადმოუთარგმნია ჯერ კიდევ ქართულ ენაზე არარსებული წიგნები, ხოლო უკვე ნათარგმნი და ხმარებისაგან მოძველებული გაუწმენდია და გაუსუფთავებია. ექვთიმეს მიერ დაწყებული და დაუსრულებელი ან მოკლედ ნათარგმნი წიგნები ვრცლად და სავსებით უთარგმნია, და სხვები კიდევ ბერძნულისათვის შეუდარებია და ყოველივე ნაკლისაგან გაუწმენდია. ბიოგრაფი ერთობ განცვიფრებულია გიორგი ათონელის ასეთი ფართო მასშტაბის სამწერლო მოღვაწეობით და შენიშნავს: „მოსაგონებლადაცა დიდ არს, ვითარმცა ესეოდენნი წიგნნი ერთმან კაცმან მზანი თარგმნილნი ცხოვრებასა შინა თჳსსა აღწერნა, არა რომელმცა ბერძნულისაგან სრულიად თარგმნნა, ვითარ ესე კაცმან ამან საკჳრველმან მაღლად და ღმრთივბრწყინვალედ აღწერნა"[2].

გიორგი ათონელმა დაგვიტოვა 60-ზე მეტი სახელწოდების სქელტანიანი ნათარგმნი შრომა, რომლებიც ღვთისმეტყველების თითქმის ყველა დარგს შეეხება.

ბიბლიოლოგიაში გიორგი ათონელს უთარგმნია: „დავითნი", „სახარება-ოთხთავი" და „წიგნი სამოციქულოჲ". აღსანიშნავია, რომ ეს წიგნები ადრეც იყო თარგმნილი, მაგრამ გიორგიმ მოგვცა მათი ახალი თარგმანი, შეაჯერა ისინი ბერძნულ ტექსტთან და გაასწორა ადრე დაშვებული შეცდომები. გიორგი ათონელის სახელის უკვდავსაყოფად და აგრეთვე იმის ნათლად გასაგებად, თუ რაოდენ ფასდაუდებელია ათონის სკოლის მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიაში, მარტო ზემოაღნიშნული ბიბლიის თარგმანის დასახელებაც კი იკმარებდა. ბიბლიის თარგმნას მხოლოდ თეოლოგიურ-კანონიკური დანიშნულება რადი ჰქონდა. ეს იყო იმ

---

[1] გ ი ო რ გ ი მ ც ი რ ე, ცხორებაჲ გიორგი მთაწმიდელისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 146.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 147.

დროისათვის უდიდესი კულტურული მოვლენა. გიორგი ათონელმა ბიბლიის თარგმანით განაპირობა ახალი ქართული ენის განვითარება.

აპოკრიფების დარგში გიორგი ათონელს ეკუთვნის თარგმანი ცნობილი აპოკრიფისა — „ავგაროზი ან მიწერ-მოწერა იესო ქრისტესა და ედესის მეფე ავგაროზს შორის“. ეს აპოკრიფი ექვთიმე ათონელსაც აქვს ნათარგმნი, ისე რომ ჩვენ მოგვეპოვება ამ აპოკრიფის ორი რედაქცია. ვგზეგეტიკური წიგნებიდან გიორგის უთარგმნია ბასილ დიდის „ექუსთა დღეთათჳს“, გრიგოლ ნოსელის „თარგმანებაჲ ქება-ქებათაჲსა“ და სხვ.

ჰაგიოგრაფიული თხზულებებიდან გიორგი ათონელს ქართულად გადმოუღია „წამებაჲ წმიდისა და დიდებულისა მოწამისა თეოდორე ტჳრონისაჲ“ და „წამებაჲ წმიდისა და დიდისა მოწამისა გიორგისი“. გიორგი ათონელის კალამს ეკუთვნის შესანიშნავი ორიგინალური ჰაგიოგრაფიული მხატვრული ნაწარმოები — „ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი“. იგი მიმართულია იმ ბერძენი ბერების წინააღმდეგ, რომლებიც ავიწროებდნენ ქართველებს ათონის ივერიის მონასტერში. გიორგი მოგვითხრობს ამ მონასტრის დაარსების მთელ ისტორიას და ნათლად გვიჩვენებს, თუ რა დიდი შრომა და გარჯა გასწიეს, რა მატერიალური სახსრები მოახმარეს ქართველებმა ათონის ივერიის მონასტრის შექმნას.

გიორგი ათონელს ეკუთვნის აგრეთვე მთელი რიგი თარგმანები დოგმატიკური, ლიტურგიკული და საეკლესიო სამართლის ძეგლებისა[1].

გიორგი ათონელი პოეტური ნიჭითაც იყო დაჯილდოებული. შემორჩენილი გვაქვს მის მიერ თარგმნილი საეკლესიო ჰიმნოგრაფიული სიმღერები და აგრეთვე ორიგინალური ლირიკული ლექსები აკროსტიხის სახით დაწერილი[2].

XI საუკუნის მოღვაწემ ეფრემ მცირემ ბრწყინვალედ დაასრულა ათონის სახელგანთქმული ლიტერატურული სკოლის მწიგნობართა მიერ დაწყებული საქმე. ეფრემ მცირე, რომელიც წარმოშობით კლარჯეთის ცნობილი ფეოდალური სახლის კარიჭისძეთა წარმომადგენელი იყო, ჭაბუკობის წლებიდანვე კონსტანტინოპოლში იზრდებოდა. აქ მან სრულყოფილად შეისწავლა ბერძნული ენა და მიიღო ბერძნული განათლება. სამოღვაწეო ასპარეზად მან შავ მთაზე არსებული ქართველთა მონასტერი აირჩია, სადაც სიცოცხლის ბოლო წლებამდე ეწეოდა ნაყოფიერ ლიტერატურულ მუშაობას. იგი XI საუკუნის ბოლოს უნდა გარდაცვლილიყო, რადგანაც რუის-ურბნისის საეკლესიო კრების (1103 წ.) აქტებში იხსენიება გარდაცვლილთა შორის.

ეფრემ მცირემ თავისი ღრმა განათლება და გასაოცარი ერუდიცია გა-

---

[1] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I², გვ. 189 — 210.
[2] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 351 — 354.

მოავლინა გონებრივი შემოქმედების მრავალ დარგში. განსაკუთრებით სახელგანთქმული იყო იგი როგორც მთარგმნელი. თარგმნაში ეფრემ მცირე იცავდა განსაკუთრებულ, მისი წინამორბედებისაგან განსხვავებულ შეხედულებას: იგი მოითხოვდა, რომ თარგმანი ყოფილიყო ზუსტი, უშუალოდ ორიგინალიდან მომდინარე, ყოველგვარი დამატებებისა და შემცირებების გარეშე, თხზულების სახელწოდების შეუცვლელად. მაგრამ ამავე დროს ის ითვალისწინებდა, რომ ყოველ ენას თავისი განსაკუთრებული, სპეციფიკური ნიშნები ახასიათებს, რის გამოც არ შეიძლება ითარგმნოს ნაწარმოების თითოეული ფრაზა სიტყვასიტყვით. ასეთი პედანტურობით ტექსტი კარგავს თავის ორიგინალობასა და განსაკუთრებულობას. ეფრემი თავდაპირველად ყურადღებით სწავლობდა ორიგინალს, განსაზღვრავდა თითოეული სიტყვის მნიშვნელობას და ფრაზის ხასიათს, ძებნიდა შესაბამის ქართულ გამოთქმას და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგებოდა თარგმნას.

თარგმანში ეფრემი ავლენდა მეტად დიდ წესიერებას და პუნქტუალობას. თუ წიგნი ადრე უკვე სხვის მიერ იყო ნათარგმნი, იგი ხელს აღარ ჰკიდებდა ახალ თარგმანს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ორიგინალი თარგმანში ძალზე დამახინჯებული იყო, ანდა ბევრი იყო მასში გამოტოვებული ადგილები, ეფრემი ასწორებდა თარგმანს, ნაშრომის მინდვრებზე შეჰქონდა შესწორებები სათანადო ახსნა-განმარტებებით.

მართლწერის დარგში ეფრემმა შემოიღო ახალი პუნქტუაცია: ერთი წერტილი, სამი წერტილი და ექვსი წერტილი. ვინაიდან ეფრემამდე სრულიად, ანდა თითქმის არ იყო სასვენი ნიშნები ხმარებაში, ახლა ეფრემის ეს ახალი წამოწყება მნიშვნელოვნად აადვილებდა ტექსტის გაგებას.

ეფრემ მცირე თარგმნიდა წიგნებს, რომლებიც შეეხებოდა საღვთისმეტყველო ლიტერატურის სხვადასხვა სფეროს. ბიბლიოლოგიის დარგში ეფრემს უთარგმნია „სამოციქულო". აღსანიშნავია, რომ მოციქულთა წიგნები ქართულ ენაზე არაერთხელ ყოფილა თარგმნილი ადრეც. უკანასკნელად მისი თარგმანი შეასრულა გიორგი ათონელმა. აქ ჩვენთვის მეტად დამახასიათებელია, თუ როგორ ასაბუთებს ეფრემ მცირე ახალი თარგმანის საჭიროებას: „უწყოდეთ, ვისაც ეს წიგნი ჩაგივარდეს ხელში, რომ „სამოციქულოს" — თარგმნის დროს, მარადხსენებულის, დიდის მოძღვრის და ყოველთა მნათობის გიორგი მთაწმინდლისადმი მე, მის მოწაფეს და უხმარ მტვერს მისი ფეხებისას, ეფრემ მცირეს, არ დამირღვევია შეგირდის მოვალეობა. ჩემ წინ იდვა მის მიერ თარგმნილი „საქმე მოციქულთა" კათოლიკენი და პავლეს ეპისტოლენი, საიდანაც ვწერდი ტექსტს, რათა არ ეფიქრა ვინმეს, რომ „სამოციქულო" მეორედაა თარგმნილი. მაგრამ ბერძნული ენა ღრმაა, ვით უფსკრული, ერთი და იგივე სიტყვა მის სხვადასხვა აზრს გამოხატავს. ასეთ შემთხვევაში ხანდახან საჭირო ხდებოდა ქართული ტექსტის შეცვლა და გადასხვაფერება... იქ,

სადაც სიტყვებს ვცვლიდი, არშიაზე სტრიქონის გასწვრივ, ვსვამდი „იოტას“, ხოლო შიგნით ტექსტში შესწორებული სიტყვის წინ — საგანგებო ნიშანს“[1]. ეფრემი აღნიშნავს გიორგი ათონელის თარგმნის სუსტ მხარეს, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ გიორგიმ ვერ გაწყვიტა კავშირი ძველ ქართულ ტექსტთან და ზუსტად ვერ გადმოსცა ქართულად ბერძნული დედანი. მიუხედავად ამისა, ის მოითხოვს არ შეიტანონ გიორგის ტექსტში მისი, ეფრემის, შესწორებანი.

ეფრემ მცირემ შექმნა თარგმნის თავისებური თეორია, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს თავისი ღირებულება. ამ თვალსაზრისით, არანაკლებ ინტერესს იწვევს აგრეთვე ეფრემის ეპისტოლე კვირიკე ბერისადმი. ეს საყურადღებო დოკუმენტი ნათელ შუქს ჰფენს იმ ვითარებასა და გარემოს, რომელშიაც მუშაობა უხდებოდა XI საუკუნის ქართველ მთარგმნელს და სრული სიცხადით გვიჩვენებს იმას, თუ რაოდენ ფართო იყო XI საუკუნის ბოლო წლებში ქართველთა გონებრივი ჰორიზონტი. ამ დოკუმენტიდან კარგად ირკვევა ისიც, თუ რა მკაცრ მოთხოვნას უყენებდა აღნიშნული ხანის ქართული მწერლობა თარგმანს. ეპისტოლე კვირიკე ბერისადმი, ეფრემის მასწავლებლისადმი, მიკვლეულ იქნა ნ. მარის მიერ ეფრემის თარგმანთა იერუსალიმის ნუსხაში, 1902 წელს. იგი წინ უძღოდა გრიგოლ ღვთისმეტყველის „სიტყუანის“ ეფრემისეულ თარგმანს. ცნობილია, რომ გრიგოლ ღვთისმეტყველის „სიტყუანი“ თარგმნილი იყო ათონზე ექვთიმე მთაწმინდელის მიერ, მაგრამ ეფრემმა იგი ხელახლა თარგმნა შავ მთაზე, რის გამოც მან აქაურ მწიგნობარ ბერთა დიდი საყვედური დაიმსახურა. ეფრემს ბრალს დებდნენ პატივმოყვარეობაში. ეფრემმა მათ ღირსეული პასუხი გასცა ზემოაღნიშნული ეპისტოლეს სახით, რომელიც მიმართული იყო მისი მასწავლებლის, კვირიკე ბერისადმი. თითოეული სტრიქონი ამ წერილისა შეიცავს საგულისხმო ცნობებს იმდროინდელი ქართველი საზოგადოების გონებრივი ინტერესების შესახებ. მოვიტანოთ ნაწყვეტი ამ ეპისტოლედან, რომელიც უშუალოდ ეხება თვით ეფრემის მიერ ხელახლა თარგმნილ ძეგლს.

ეფრემი დიდი სიფრთხილით შედგომია ექვთიმე მთაწმინდელის რედაქციის შეცვლას. მე იმას ვადარებდი ბერძნულსო, — ამბობს ის, — „არა თავისა ჩემისა მინდობითა, არამედ კითხვითა და გამოკითხვითა კაცთა ბრძენთა და სულიერთა“. სხვათა შორის, ვკითხავდი ხოლმე დიდი ანტიოქიის საპატრიარქოს ნასწავლ მიტროპოლიტებსა და თვით მას, ყველაზე უბრძენეს მეუფე პატრიარქსო. ნურავის უკვირს, რომ წმინდამან მამამან ჩვენმან ექვთიმემ გვერდი აუარა ზოგიერთ საეჭვო ადგილს, ის რძითა

[1] Н. Я. Марр, Предварительный отчет о работах на Синае и в Иерусалиме в поездку 1902 г., «Сообщения Палестинского общества», т. XIV, ч. 2, 1903, с. 28—29.

ზრდიდა ჩვენს უსუსურ ერს, რომელიც დღეს, მის მიერ აღორძინებული, მისივე მადლით უფრო მაგარ საჭმელს თხოულობს. ექვთიმე წმიდასა და მაგარ ღვინოს, რომელსაც გრიგოლ ღვთისმეტყველის წიგნი შეიცავდა, აზავებდა წყლით და, ვინაიდან ჩვენი ერი მაშინ ლიტონი და უსუსური იყო, მოძღვრის ნამუშაკევს ავრცობდა; ამიტომ მან შეაზავა წმიდა მამის სიტყვათა განმარტებაც. მაგრამ შენ თვითონ, კვირიკე, მოისურვე რომ ამომეგდო მთარგმნელის დამატებანი და ზედმეტი ადგილები და გადმომეღო მხოლოდ გრიგოლის სიტყვანიო[1]. რადგანაც ძველი თარგმანი მე ზეპირად ვიცოდი, თარგმნისას ძალაუნებურად ძველი სიტყვა შემეპარებოდა, რაც ბერძნულს დედანში არ იყო, მაგრამ მე დაუზარებლად იმწამსვე წავშლიდი იმას და ვწერდი რაც საჭირო იყოო. ბერძნული ტექსტიც, რომლიდანაც მას უთარგმნია, დიდი მეცადინეობით უშოვია ეფრემს. ის გასწორებული ყოფილა და კრიტიკულად დადგენილი ვინმე „ბასილ გრამატიკოსის“ მიერ[2].

ზემომოტანილი ნაწყვეტის გაცნობის შემდეგ ცხადი ხდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ეფრემ მცირის „ეპისტოლეს კვირიკე ბერისადმი“ ქართული კულტურის ისტორიისათვის.

ეფრემ მცირეს ორიგინალური შრომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „მოსახსენებელი მცირე სჳმეონისთჳს ლოღოთეტისა“. ნაწარმოების მნიშვნელობა სცილდება ძველი ქართული მწერლობის ფარგლებს. ამ საყურადღებო ძეგლის საშუალებით შესაძლებელი ხდება გადაიჭრას ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიის მეტად მნიშვნელოვანი საკითხები[3]. აღნიშნულ ნაშრომში ეფრემ მცირეს მოაქვს სრულიად ახალი მასალა, რომელიც შუქს ჰფენს X ს-ის ბიზანტიურ ლიტერატურაში არსებულ ე. წ. მეტაფრასტული მიმდინარეობის ისტორიას. მეტაფრასტული მიმდინარეობის ფუძემდებელი კი სწორედ ზემოხსენებული სვიმეონ ლოღოთეტი იყო, რომელსაც ამის გამო მეტაფრასტი უწოდეს.

ეფრემის ეგზეგეტიკური ნათარგმნი შრომებიდან განსაკუთრებით ძვირფასია „თარგმანებაჲ დავითნისაჲ“ და სოლომონის „ეკლესიასტე“.

ჰაგიოგრაფიის დარგში ეფრემს ეკუთვნის ათზე მეტი მარტიროლოგიური და ცხოვრებითი ჟანრის ძეგლების თარგმანი, რომელთაგანაც შედარებით უფრო ცნობილია „ცხოვრება წმ. იოანე ოქროპირისა“, „ცხოვრება გრიგოლ ნეოკესარიელისა“, „ცხოვრება იოანე დამასკელისა“ და სხვ.[4].

ეფრემ მცირეს ნათარგმნი ნაშრომები, რომელთა რიცხვი დაახლოე-

---

[1] Н. Я. Марр, Предварительный отчет..., с. 30.

[2] იქვე, გვ. 30—31.

[3] К. Кекелидзе, Симеон Метафраст по грузинским источникам, «Труды Киевской Академии», 1910, № 2.

[4] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I[3], გვ. 236 — 242.

ბით 70-ს აღწევს, შესრულებულია უაღრესად მაღალ მეცნიერულ დონეზე. როგორც აკად. ნ. მარი აღნიშნავს, ეფრემ მცირეს კალმიდან გამოსული ძეგლები «обработаны с соблюдением самых строгих и сложных филологических приемов; не забыто ничто, ни установление и критика текста, ни самая скрупулезная точность перевода, ни сопоставление мнении различных ученых комментаторов».[1]

არსენ იყალთოელი (გარდაიცვალა დაახლ. 1125 წ.) ეფრემ მცირეს მოწაფე იყო. ლიტერატურული მოღვაწეობა მან საზღვარგარეთულ (ბიზანტიის) ქართულ კოლონიებში დაიწყო. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, როგორც ფიქრობენ, იგი სათავეში უნდა ჩასდგომოდა იყალთოს აკადემიას, მოღვაწეობდა აგრეთვე შიომღვიმის სავანეში.

არსენ იყალთოელი ცნობილია როგორც მთარგმნელი გიორგი ამარტოლის „ხრონოგრაფისა“ და პატრიარქ ფოტის „დიდი სჯულისკანონისა“. მაგრამ მის განსაკუთრებულ დამსახურებად ქართული სასულიერო მწერლობის წინაშე უნდა ჩაითვალოს დოგმატიკურ-პოლემიკური კრებულის თარგმნა, რომელიც ქართულ მწერლობაში „დოგმატიკონის“ სახელწოდებით არის ცნობილი[2]. ეს კრებული შეიცავს ღვთისმეტყველურ-ფილოსოფიურ, მორალურ-ეთიკურ და პოლემიკური ხასიათის ფუძემდებლურ თხზულებებს.

პოეზიის დარგში არსენ იყალთოელის კალამს ეკუთვნის ორიგინალური და ნათარგმნი თხზულებანი. არსენის ორიგინალური ლექსებიდან აღსანიშნავია „ეპიტაფია დავით აღმაშენებლისა“[3].

არსენ იყალთოელი დიდად განათლებული მწერალი იყო. ეს რომ ასეა, კარგად ჩანს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვებიდან, როდესაც ამბობს: დავითმა სომეხ-ქართველთა პაექრობაზე დასასწრებლად, სხვათა შორის, მოუწოდა „არსენ იყალთოელსა, თარგმანსა და მეცნიერსა ბერძენთა და ქართველთა ენათასა, და განმანათლებელსა ყოველთა ეკლესიათასა“[4].

გიორგი ათონელის, ეფრემ მცირეს, არსენ იყალთოელის და სხვა ქართველ მწერალთა ნათარგმნმა თუ ორიგინალურმა შრომებმა ხელსაყრელი პირობები შექმნეს ეროვნული კულტურისა და ლიტერატურის განვითარებისათვის. მათ ხელი შეუწყვეს კულტურის სხვადასხვა დარგში საერო მოტივების დამუშავებას.

XI საუკუნიდან საქართველოს კულტურული ცხოვრება თავისი გან-

---

[1] Н. Я. Марр, Иоан Петрицский, грузинский неоплатоник XI—XII века. Записки Вост. Отд. Имп. Русск. Арх. Общ., т. XIX, 2—3, с. 88.

[2] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I³, გვ. 256 — 264.

[3] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბ., 1946, გვ. 376—377.

[4] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 356.

ვითარების ახალ ფაზაში შედის. ქართული ფეოდალური საზოგადოების განვითარების ამ ახალ საფეხურზე აღორძინდა ქართული საერო მხატვრული მწერლობა და პოეზია.

ქართული საერო მწერლობის აღმოცენების თარიღად ითვლება დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ხანა, ე. ი. XI საუკუნის დასასრული თუ XII საუკუნის დასაწყისი[1].

აღნიშნულ ხანას უკავშირდება ქართული კულტურის ისტორიაში ისეთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა, როგორიც იყო ახალი ქართული სალიტერატურო ენის საფუძვლების ჩაყრა. არნოლდ ჩიქობავას გამოკვლევის მიხედვით, „ახალ სალიტერატურო ქართულს საძირკველი ეყრება თბილისში: დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის განთავისუფლება თურქთაგან 1122 წელს და პოლიტიკური და კულტურული ცენტრის ქუთაისიდან თბილისში გადმონაცვლება (აქედან გამომდინარე ყველა შედეგით) ის დიდმნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენაა, რომელმაც ახალი ქართული სალიტერატურო ენის წარმოქმნა შეაპირობა"[2]. ახალი ქართული სალიტერატურო ენა ქართული საერო მხატვრული მწერლობის ენაა. რაც შეეხება ძველ ქართულს, ის „საეკლესიო მწერლობას შერჩა და კარგა ხანს იარსება, როგორც სამწერლო ენის საეკლესიო სტილმა"[3].

ქართული საერო მხატვრული მწერლობის მნიშვნელობა და გავლენა, მისი აღმოცენების შემდეგ, სწრაფად იზრდება. განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ XII ს. შეიქმნა საერო მხატვრული პოეზიაც.

სამწუხაროდ, ქართული საერო მხატვრული მწერლობის უდიდესი ნაწილის დაღუპვის გამო საშუალება არა გვაქვს ამ ეპოქის ქართული მხატვრული მწერლობის მრავალფეროვნება და ღირსება მთელი სისრულით წარმოვიდგინოთ; მაგრამ ის, რაც შემოგვრჩა, მაინც საკმარისია ქართული მხატვრული მწერლობის განვითარების მაღალი დონის ცხადსაყოფელად. ეს ძეგლებია: პროზაში „ამირანდარეჯანიანი" და „ვისრამიანი", პოეზიაში — ორი სახოტბო თხზულება („თამარიანი", „აბდულმესიანი") და რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი".

„ამირანდარეჯანიანი" საგმირო-საფალავნო თხზულებაა. დაწერილია

---

[1] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი II (XII—XVIII სს.), ა. ბარამიძის, გ. იმედაშვილის, გ. მიქაძის რედაქციით, თბ., 1966, გვ. 18.

[2] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, 1950, გვ. 981; მ ი ს ი ვ ე, დიალექტიზმების საკითხისათვის ვეფხისტყაოსანში, ენიმკის მოამბე, II, 1939, გვ. 227.

[3] ი. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, მოძღვრება საერო-სახალხო ენისა და დიალექტების შესახებ და ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის საკითხები, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, III, 1952, გვ. 502.

ის XII საუკუნეში. ტრადიციული ცნობით, მისი ავტორი მოსე ხონელია[1]. ეს რაინდული რომანი შედგება ცალკეული, ერთმანეთისაგან მეტნაკლებად დამოუკიდებელი ნოველებისაგან, რომლებიდანაც თითოეული მოგვითხრობს ამა თუ იმ რაინდის სასახელო გმირობაზე, რომელსაც ხშირად უკავშირებენ ამირან დარეჯანის ძის საგმირო საქმეებს.

XIII საუკუნის დამდეგს რომანი იმდენად პოპულარული გამხდარა, რომ მის პერსონაჟებს იხსენიებენ ჩახრუხაძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორი.

ნაწარმოების მიზანია მოგვცეს იდეალური გმირის, ანუ ჭეშმარიტი რაინდის სახე. ამირანი და სხვა ჭაბუკები დაჯილდოებულნი არიან ძლიერი ფიზიკური ძალით, ისინი ერთგულად ემსახურებიან თავიანთ სიუზერენს, ანუ პატრონს. თავდადებით ზრუნავენ ქვეყნის საკეთილდღეოდ, მტკიცედ იცავენ რაინდულ წესებს, ხოლო ამ წესების დამრღვევს მკაცრად სჯიან. რაინდი მოვალეა პატივი სცეს სოციალური კიბით თავისზე მაღლა მდგომს, განსაკუთრებით მეფეს; იყოს სატრფოსათვის თავდადებული, ერთგული, უშიშარი, სუსტთა და ჩაგრულთა დამცველი, სიმართლისათვის მებრძოლი და კეთილი.

ნაწარმოები თავისი ფორმით წარმოადგენს გრძელ ეპიკურ მოთხრობას, რომელიც გადმოგვცემს ამირან დარეჯანის ძის და მის თანამებრძოლთა თავბრუდამხვევ, ხანდახან ზღაპრულ თავგადასავალს.

თხზულების ავტორი სოციალურ-პოლიტიკური იდეებით ფეოდალური ცენტრალიზებული სახელმწიფოს ინტერესებს ეხმაურება. იგი გვისურათებს გაბატონებული ფეოდალური კლასის, განსაკუთრებით კი მისი საშუალო და წვრილაზნაურული ფენის სულისკვეთებასა და იდეალებს. ნაწარმოებში ნათლად არის ასახული იმდროინდელი საქართველოს სოცია-

---

[1] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II[3], თბ., 1952, გვ. 56—82; მისივე, ვახტანგ გორგასალის ისტორიკოსი და მისი ისტორია, „ჩვენი მეცნიერება", 1923, № 4—5, გვ. 17—47; ა. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 1945, გვ. 11—62, 373—378; მ. ჯანაშვილი, მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი, 1895; ა. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, 1919, გვ. 213—223; ი. აბულაძე, ამირან-დარეჯანიანის წარმოშობის საკითხისათვის, „საბჭოთა ხელოვნება", 1936, № 3, გვ. 31—35; დ. კობიძე, ამირან-დარეჯანიანის სადაურობისათვის, „ლიტერატურული ძიებანი", II, 1944, გვ. 249—267; მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, 1947; მისივე, ნიკო მარი და ამირან-დარეჯანიანის პრობლემა, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. VI, № 8, 1945, გვ. 657—662; ზ. ჭიჭინაძე, მოსე ხონელი და მისი „ამირან-დარეჯანიანი"; „ამირან-დარეჯანიანი", მისივე გამოცემა, 1896, გვ. 373—402; Н. Марр, Персидская национальная тенденция в грузинском романе Амиран-Дареджаниане, «Журнал Министерства Народного Просвещения», 1895, т. VI, с. 352—365; К. Дондуа, Амиран-Дареджаниани, «Памятники эпохи Руставели», 1938, с. 91—110; Ш. Нуцубидзе, Руставели и восточный ренессанс, 1947, с. 148—170.

ლურ-პოლიტიკური წყობა, მოცემულია ფეოდალური ურთიერთობის მკაფიო სურათი. სახელმწიფოს სათავეში დგას ყველაზე მსხვილი ფეოდალი, პატრონი, სიუზერენი, რომელიც მეფედ იწოდება. მისი ყმები არიან მსხვილი ფეოდალები, ვასალები, რომელთაც, თავის მხრივ, აგრეთვე ყმები ჰყავთ. ესენიც ფეოდალები არიან, მაგრამ უფრო მცირე მასშტაბის. მხოლოდ მეფე ითვლება მათ შორის უმაღლეს სიუზერენად, რომელიც არავის არ ექვემდებარება. მკაფიოდ არის განსაზღვრული ამ ფეოდალური კიბის წარმომადგენელთა შორის არსებული ურთიერთობა. ასეთია ფეოდალური სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურა, რომელიც „ამირანდარეჯანიანშია“ ასახული.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ მონარქთა პოლიტიკას იდეოლოგიურად მხარს უჭერდა იმდროინდელი მხატვრული მწერლობა. დემოკრატიულ ტენდენციებს (რა თქმა უნდა, მაშინდელი გაგებით) ატარებდნენ თავიანთ შრომებში იმ დროის კულტურის ისეთი მოღვაწენი, როგორებიც იყვნენ ეფრემ მცირე, განსაკუთრებით კი გიორგი ათონელი. ეს უკანასკნელი, დაბრუნდა რა 1060 წელს ათონიდან საქართველოში, მხურვალე მონაწილეობას ღებულობს თავის სამშობლოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. გიორგი ათონელმა გაბედულად დაუწყო მხილება მსხვილ საერო და საეკლესიო ფეოდალებს (ეპისკოპოსებს) მათი სიხარბისა და გულქვაობისათვის და აგრეთვე იმ უწესობისათვის, რომელიც მას საქართველოში დახვდა. მან ქადაგება დაიწყო, სამღვდელო პირებად ღირსების მიხედვით უნდა ავირჩიოთ ხალხი და არა შთამომავლობის მიხედვითო. ბაგრატ IV-ის დახმარებით გიორგიმ ნაწილობრივ განახორციელა კიდეც თავისი მოთხოვნა: მან საეკლესიო თანამდებობაზე ბევრი უგვარო ხალხი დააწინაურა. მეფე ხელს უწყობდა გიორგის ამ საქმეში იმიტომ, რომ ამით ბაგრატ IV თავის შინაურ მტრებს, დიდგვარიან აზნაურებს ასუსტებდა.

„ამირანდარეჯანიანში“ არაერთხელაა ხაზგასმული მეფის — უმაღლესი სიუზერენის, ხელშეუხებლობის იდეალი, მისი ღვთივგვირგვინოსნობა და უზენაესი ავტორიტეტი; ისე რომ, მეფე მტერიც რომ იყოს, მას მოსაკლავად არ გაიმეტებენ. მაგალითად, ორთაბრძოლაში ამირან დარეჯანის ძე სინდთა მეფის ძეს რომ ინდობს, ასევე დელამთა მეფის ძეს, მას გარკვეული თვალსაზრისი ამოძრავებს — „არა კარგი არს აზნაურთაგან ხელმწიფეთა სიკვდილი“.

„ვისრამიანი“ სატრფიალო-სამიჯნურო რომანია, რომელიც შუასაუკუნეთა სპარსულ მწერლობაში ცნობილი რომანის „ვის ო რამინის“ პროზაულ თარგმანს წარმოადგენს. პირველად ის დაწერილი ყოფილა ფალა

სპარსულ ენაზე ტოღრულ-ბეგის მოხელესა და კარის პოეტს ფახრუდდინ გორგანელს, რომელსაც ქართული ვერსია ფახფურ ჯორჯანელს უწოდებს. XII საუკუნეში ჯორჯანელის „ვისრამიანი" გადმოუღია ქართულად სარგის თმოგველს[1]. „ვისრამიანი" სამიჯნურო ფსიქოლოგიური რომანია, რომლის ძირითად იდეას სიყვარულის პრობლემა წარმოადგენს. ავტორის მიზანია გვაჩვენოს სიყვარულის გრძნობის რეალური ბუნება, მისი თვისებები, მისი გავლენა ადამიანის მოღვაწეობაზე და ის როლი, რომელსაც ის ასრულებს ადამიანის ცხოვრებაში.

თავისი მხატვრული ღირსებებით „ვისრამიანი" ქართული ლიტერატურული პროზის უბრწყინვალეს ძეგლს წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ მხატვრულ პროზას იშვიათად თუ მიუღწევია ასეთი სრულყოფილი, პოეტური, ამაღელვებელი სახეებისათვის. შესანიშნავად არის დახატული მოქმედი პირები, მათი ფსიქოლოგია; ფაქიზად არის დამუშავებული დრამატული მომენტები, ოსტატურად ვითარდება თვით მოქმედება. თხრობაში ეპიურ აღწერილობას ენაცვლება ლირიკული სცენები. „ვისრამიანის" ენა უაღრესად მაღალმხატვრულია, მდიდარია მეტაფორებით, ეპითეტებით, შედარებებით; ერთი სიტყვით, იგი წარმოადგენს ორნამენტული პროზის ტიპურ ნიმუშს. ყოველივე ამ თავისებურების გამო, „ვისრამიანი" რუსთაველის ეპოქის ქართული ორიგინალური მწერლობის ძეგლთა შორის ჩადგა.

წარმტაცმა შინაარსმა, მისი გმირების ფათერაკებით აღსავსე სამიჯნურო თავგადასავალმა და ბუნებრივმა ხასიათებმა, მასში გამოხატულმა რაინდულმა სულისკვეთებამ „ვისრამიანს" პოპულარობა მოუპოვეს. „ვისრამიანის" გმირები ქართული კლასიკური მწერლობის თითქმის ყველა ძეგლში არიან მოხსენებულნი: „თამარიანში", „აბდულმესიანსა" და „ვეფხისტყაოსანში". მისი გმირები იქცნენ ზოგადი მნიშვნელობის ტიპებად არამხოლოდ მხატვრულ თხზულებებში. მან გამოხატულება პოვა აგრეთვე ქართული ისტორიოგრაფიის ისეთ შესანიშნავ ძეგლში, როგორიც არის თამარის ანონიმი ისტორიკოსის ნაშრომი „ისტორიანი და აზმანი შარავანდედ-

---

[1] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II³, თბ., 1952, გვ. 41—56; ა. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 1945, გვ. 63—104; იუსტ. აბულაძე, XII ს. საერო მწერლობა და ვეფხისტყაოსანი, 1923, გვ. 19—21; მისივე, „ვისრამიანის ტექსტისათვის", „ლიტერატურული მემკვიდრეობა", I, 1935, გვ. 270—297; ნ. მარი, ქართველი ერის კულტურული შუბლი ენათმეცნიერების მიხედვით, „მნათობი", 1925, № 5—6, გვ. 289—323; ა. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, I, 1919, გვ. 223—236; გ. იმედაშვილი, ვისრამიანისა და ტრისტან-იზოლდას ურთიერთობისათვის, „მნათობი", 1942, № 1, გვ. 132 — 149; Н. Марр, К вопросу о влиянии персидской литературы на грузинскую, ЖМНП, 1897, III, с. 225—237.

თანი". აქ, თამარ მეფის გათხოვებაზე მსჯელობისას ვისი და რამინი დასახელებულნი არიან მსოფლიო მწერლობაში მაშინ ცნობილ თორმეტ შეყვარებულ წყვილთა შორის[1], რაც ამ ძეგლის საკმაო გავრცელებაზე კარგად მეტყველებს კულტურის მქონე ერებს შორის.

„ვისრამიანის" მხატვრულ ღირსებებზე საუბრისას საგანგებოდ უნდა აღინიშნოს აგრეთვე ქართული თარგმანის ზედმიწევნითი სიზუსტე, მისი ადეკვატურობა დედანთან. ქართული ლიტერატურის ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება მეორე ასეთი თარგმნითი ხასიათის ძეგლი, რომელიც ამგვარი მხატვრული ოსტატობით ხასიათდებოდეს და თან ასე ახლოს იდგეს ორიგინალთან. ქართველი მთარგმნელი რომ უპირველესად სიზუსტის დაცვას ცდილა, ამას მოწმობს მის მიერ პოეტური თხზულების პროზაულად თარგმნა. ასე უფრო საიმედოდ შეიძლებოდა სპარსული ტექსტის სრულად გადმოცემა იმგვარად, რომ არ დარღვეულიყო მშობლიური ენის ბუნება. ქართველმა მთარგმნელმა შესანიშნავად გადაწყვიტა ეს ამოცანა და შექმნა ქართული ლიტერატურის სრულფასოვანი მხატვრული ძეგლი. „ვისრამიანის" ქართველ მთარგმნელს ხელეწიფება შესატყვისი ფორმა გამოუძებნოს დედნისეულ ყოველ მხატვრულ აზრსა და სახეს, ცალკეულ ფრაზასა და გამოთქმას, ქართული ჟღერადობა შესძინოს ორიგინალის ყოველ აზრსა თუ ნიუანსს. „ვისრამიანის" ქართველი მთარგმნელი დიდი მხატვრული ზომიერების გრძნობით ახერხებს ჰარმონიულად შეაზავოს ერთად ქართული ტრადიციული მასალა და დედნისეული მხატვრული მონაცემები[2].

აღნიშნული ეპოქის ქართული კულტურა მდიდარი იყო არა მარტო მონუმენტური ეპიკური ნაწარმოებებით, არამედ ლირიკული პოეზიითაც, რომელშიც სახოტბო ოდებს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. აღნიშნული ეპოქა ითვლიდა ათეულობით პოეტ-ლირიკოსს, რომელთაც თავიანთი ნაწარმოებებით გაუმდიდრებიათ ლიტერატურა, მაგრამ მათი პოეტური მემკვიდრეობა დაკარგულია, ისევე როგორც იმ დროის ხალხური ზეპირსიტყვიერების მრავალი ნაწარმოები.

XII საუკუნის ქართული სახოტბო პოეზიიდან ისტორიამ შემოგვინახა მხოლოდ ორი ძეგლი: ჩახრუხაძის „თამარიანი" და იოანე შავთელის „აბდულმესიანი" ან ქება თამარისა და დავითისა.

ყველა ნიშნის მიხედვით ამ ოდების ავტორები კარის პოეტები არიან,

---

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 36.

[2] ვისრამიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ალ. გ ვ ა ხ ა რ ი ა მ და მ. თ ო დ უ ა მ, თბ., 1962, გვ. 302—303; მ. მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ ი, „ვისრამიანის" ქართული თარგმანის მხატვრული სპეციფიკის შესწავლისათვის, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, II, თბ., 1973, გვ. 25—30.

ხოლო მათი ნაწარმოებები კი საკარო პანეგირისტული პოეზიის ნიმუშებს წარმოადგენენ. საკარო პოეზიის ტრადიცია, მომდინარეობს რა უძველესი დროიდან და ვითარდება ფეოდალიზმის პირობებშიც, საქართველოში თავის უმაღლეს აყვავებას XII საუკუნეში აღწევს, როდესაც იგი წარმოადგენს დიდ ფეოდალურ სახელმწიფოს, რომელსაც სათავეში განათლებული მონარქები უდგანან. კარის პოეტი მეფის სამსახურში იმყოფებოდა, მის სამსახურებრივ მოვალეობას შეადგენდა საკარო ცხოვრების ლამაზი ფერებით დახატვა, მეფისა და მისი კარის სახელის განთქმა, საზეიმო შეკრებებზე ლექსების კითხვა. კარის პოეტი, ისე როგორც კარის მსახური სხვა პირი, შეზღუდული იყო თავისი ოფიციალური მდგომარეობით, პატრონზე იყო დამოკიდებული ნივთიერად და უფლებრივად. ეს გარემოება გარკვეულ დაღს ასვამდა მთელს საკარო შემოქმედებას, კერძოდ, საკარო პოეზიას. გადაჭარბება, გაზვიადება, განდიდება მსგავს პირობებში იყო სრულიად ბუნებრივი მოვლენა, ამიტომ საკარო პოეტურ ნაწარმოებებს ჩვეულებრივ აზის ოფიციალურ-საზეიმო განწყობილების ბეჭედი. მათთვის დამახასიათებელია განსაკუთრებული ენაწყლიანობა, მაღალფარდოვანი სტილი. საკარო პირობებში შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებს მისი ავტორი ზომაზე მეტად რთავდა გარეგნული სამკაულებით[1]. საგულისხმოა, რომ პოეტი და მეფე არჩილი (1647—1713), რომელსაც ბევრი მაქებარი პოეტი ჰყავდა, სახოტბო შესხმას უწოდებს მელულობას. სახოტბო პოეზიას არჩილი მკვეთრად უპირისპირებს მართლის მთქმელობას; ყოველივე ეს გათვალისწინებული უნდა იქნეს ქართული საკარო პოეზიის განხილვისას.

„თამარიანი“ ქართული სახოტბო პოეზიის ერთ-ერთი მაღალმხატვრული ძეგლია. მისი ავტორი, ტრადიციული ცნობით, არის ჩახრუხაძე. მას თავისი ოდები დაუწერია სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ისტორიულ ამბებთან დაკავშირებით. კერძოდ, როგორც ფიქრობენ, „თამარიანის“ სახოტბო ლექსები შეთხზული უნდა იყოს 1184—1207 წლების მანძილზე[2].

ჩახრუხაძე მეფესთან დაახლოებული პირი ყოფილა. მას კარგად სცოდ-

---

[1] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II (XII—XVIII სს.), ა. ბარამიძის, გ. იმედაშვილის, გ. მიქაძის რედაქციით, თბ., 1966, გვ. 88.

[2] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II³, თბ., 1952, გვ. 159—173; ნ. მარი, ცდანი ძველ ქართულ მწერლობაზე, ჩახრუხაძის ლექსები. „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, I, 1935, გვ. 257—269; ა. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, I, 1919, გვ. 303—310; Н. Марр, Древне-грузинские одописцы, Т. Р. по армяно-грузинской филологии, книга IV, 1902, с. 28—114; Ш. Нуцубидзе, Чахрухадзе, Тамариани. с. 7—99; მისივე, Руставели и восточный ренессанс, 1947, с. 201—237; ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II (XII—XVIII სს.), ა. ბარამიძის, გ. იმედაშვილის, გ. მიქაძის რედაქციით, თბ., 1966, გვ. 116—134.

ნია ქართული ბიბლიური და ფილოსოფიურ-თეოლოგიური მწერლობა, აღმოსავლური სამიჯნურო რომანები.

„თამარიანში“ შექებულია თამარ მეფე, დავით სოსლანი და მათი შვილი ლაშა გიორგი (თუმცა თხზულება ძირითადად თამარს ეძღვნება). მეხოტბე თავისთან იხმობს ანტიკური ხანის ფილოსოფოსებს, პოეტებს, თეოლოგებს და მათ თამარის საქებრად მოუწოდებს. იგი აღწერს თამარის გარეგნობას, ცხოვრებისა და საქმიანობის ძირითად მხარეებს, მის დამოკიდებულებას ხალხსა და სამეფო კარის არისტოკრატიასთან.

ხოტბის ავტორი აღიარებს, რომ სოკრატის სიბრძნე არ არის საკმარისი თამარის ღირსეულად შემკობისათვის, ვერც ჰომეროსისა და პლატონის მოშველიება შექმნიდა შესაბამის სურათს. ამ შემთხვევაში მხოლოდ არისტოტელის ენა თუ გამოგვადგება, თუმცა — დასძენს იქვე ხოტბის ავტორი სინანულით, — ვერავინ შესძლებს თამარის სრულყოფილად შესხმასო. და აი, ჩახრუხაძეს მოკრძალებით მიუყვია ხელი ხოტბისათვის „კადრებად, ქებად, დარებად“. მეხოტბის სიტყვით, თამარის სახე — ღაწვი „მწყაზარია“, ლამაზი, აყვავებული წალკოტი, ცისკროვანი, მზიური! მას მთვარე გაუხდია „უნათლიერი“ (I, 10—12). „შუქ მფენით ნათლიერ“ თამარს განგებამ „მოხედნა ზენით“, „მისცა დავალნი“ (სახელმწიფოები), „ხმელთა დავალნი“ (დასალიერნი); „სკიპტრა მპყრობელჰყო არსთა მიერსა“ (I, 52—53). გარეგნულად უზადო თამარს „მტკიცედ აქვს სჯული, სჩანს მართლმსაჯული“. მეხოტბის აზრით, თამარი მშვიდი, წრფელი, ლმობიერი, მაგრამ ძლევამოსილი მეფეა. მას „უძრწის ავარი“ (I, 55—56); თამარი ნამდვილი იმქვეყნიური სამოთხეა, სიკეთის მრწყველი წყარო, ამასთან „სიმაღლით ცებრი“ და „მძლეთა მძლეველი, თვით უძლეველი“. მისი ძლევამოსილების ხმა ძლიერად გაისმის „კედრით კედრამდის“.

ჩახრუხაძე ასევე მაღალფარდოვნად აქებს თამარის ქმარს დავით სოსლანს. „მხნესა და ბრძენს“, „ძმათა შვებისა მოუკლებარეს“, „ეფრემის ძირთაგან აღმორჩებულსა“ და „ეფრემის ძირთა ისართა მთლელს“, ხოლო ლაშა გიორგის უწოდებს „ახალ პიროს“ (აქილევსის ძეს), ნოსარ ნისრელივით მძლეს. „ძესა სანდომსა, ვახტანგის ტომსა“, რომელიც მშობლებს მოევლინა „მზედ წარმართებულად“ და „სპარსთა სიმაღლის“ დასამხობად.

ჩახრუხაძე სწორუპოვარი მელექსე იყო; როგორც აკად. ნ. მარი აღნიშნავს, მისი ხელოვნება ზოგჯერ თვალთმაქცობასა ჰგავს და ყოველთვის გასაოცარია, მდიდარი და შეუდარებელი სამაგალითო ლექსწყობა, მშვენიერი მუსიკალური რითმები ამშვენებენ მის რიტორულის მჭერმეტყველებით დატვირთულს თხზულებებს. ჩახრუხაძის ერთადერთ ნაკლს სწორედ ეს გადამეტებული რიტორული ენაწყლიანობა შეადგენს. ჩახრუხაძე მრავალმხრივ და ღრმად განათლებული მწერალი ყოფილა და მისი თხზუ-

ლების ზოგიერთი ადგილის გაგებას ის აძნელებს, რომ მომეტებულს იმ თხზულებათაგანს, რომელთა გმირებსაც იგი გაკვრით, თითო-ოროლა სიტყვით იხსენიებს თავის ხოტბებში, ჩვენამდის არ მოუღწევია და ამის გამო არც მათი შინაარსი ვიცით. ჩახრუხაძე ქართული განათლებული წრეებისათვის წერდა თავის ლექსებს, რომელთაც ყველა ეს თხზულება წაკითხული ჰქონდათ და თითოეული იქიდან დასახელებული გმირი მათ თვალწინ მთელ სურათს უხატავდა. მარტო ის გარემოებაც, რომ ქართველ იმდროინდელ საზოგადოებას ჩახრუხაძის თხზულებების გაგება და დაფასება შეეძლო, უტყუარის მჭერმეტყველობით ამტკიცებს, რამდენად ღრმად განათლებული და უაღრესად განვითარებული ყოფილა იგი[1].

„თამარიანი" მძაფრი პოლიტიკური განწყობილების ამსახველი ძეგლია. ავტორი ავითარებს გარკვეულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თვალსაზრისს. ის გამომხატველია შესაფერისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიისა. თამარი და მასთან ერთად დავით სოსლანი, „თამარიანის" მიხედვით, ასახიერებენ ავტორის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ იდეალს. ერთიანი, ცენტრალიზებული, თვითმპყრობელური და ძლევამოსილი ქართული ფეოდალური სახელმწიფო, რომლის სათავეში დგანან თამარი და დავით სოსლანი — აი, ეს არის ჩახრუხაძის ხოტბის საგანი[2]. მთელი ნაწარმოები გამსჭვალულია საზეიმო, სადღესასწაულო პატრიოტული სულისკვეთებით და, რაც მთავარია, როგორც ამას ნ. მარი აღნიშნავს, ეს პატრიოტიზმი არ არის «надуманный, тенденциозный патриотизм, вклад частных соображений одописца или солидарного с ним кружка людей: вся эпоха, когда жил поэт, представляет высшее жизненное развитие грузинской национальной государственности и военной славы, и он невольно передает современное настроение передового грузинского общества, не представлявшего отрезанной от народных слоев касты»[3].

ჩახრუხაძეს მხარს უმშვენებს იოანე შავთელი. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ცნობით, იოანე შავთელი იყო „კაცი ფილოსოფოსი და რიტორი, ლექსთა გამომთქმელი და მოღუაწებათა შინა განთქმული"[4]. ძველი ქართული ტრადიცია მას იცნობს, როგორც „მოშაჰირე ფილოსოფოსს", „მართალ მესილოგიზმეს", „მოძღვრებითა ბრწყინვალესა" და დიდად განსწავლულ მოღვაწეს. მისი საქმიანობა დაკავშირებული ყოფილა გელათისა და ვარძიის მონასტრების სამწერლო ცენტრებთან. შავთელიც სამეფო კარის მეხოტბეა.

---

[1] Н. Марр, Древне-грузинские одописцы, с. 28—76. განსაკუთრებით 48—51; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 308—309.

[2] ა. ბარამიძე, თამარიანი, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II (XII—XVIII სს.), გვ. 126.

[3] Н. Марр, Древне-грузинские одописцы, с. 49.

[4] ისტორიანი და აზმანი..., ქართლის ცხოვრება, II, გვ. 95.

შავთელის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ „აბდულმესიანი“ (თამარისა და დავით სოსლანის ხოტბა), „გალობანი ვარძიის ღმრთისმშობლისანი“ და რამდენიმე საღვთისმეტყველო შინაარსის იამბიკო; დანარჩენი დაკარგულია. „აბდულმესიანი“ იოანე შავთელის მიერ დაწერილია თამარ მეფის სიცოცხლეში, დაახლოებით 1206 — 1207 წლებში[1]. მასში ასახულია თამარის მეფობის ხანა, სამეფო კარის ცხოვრება, დავით სოსლანის მხედართმთავრობით წარმოებული ბრძოლა რუქნადინის წინააღმდეგ, „კიდე-ლიმონას“ (შავი ზღვის სანაპირო, ტრაპიზონი) დაპყრობის ამბავი და ამ ორი ისტორიული გამარჯვებით საქართველოში შექმნილი საზეიმო განწყობილება. ოდის შინაარსობრივი ანალიზი, მისი შეპირისპირება თამარის ანონიმი ისტორიკოსის ცნობასთან და აგრეთვე ის, რომ იოანე შავთელი სწორედ ამ ბრძოლის დროს თამარის მუდმივი მხლებელია ვარძიასა და ოძრჯეში[2], გვაფიქრებინებს, რომ შავთელმა ბასიანის ომში ქართველთა ისტორიულ გამარჯვებას მიუძღვნა როგორც „აბდულმესიანი“, ასევე „გალობანი ვარძიის ღმრთისმშობლისანი“.

თხზულებაში შექებულია თამარ მეფე და დავით სოსლანი. მთავარი პერსონაჟია თამარი — შავთელის პოეტური შთაგონების წყარო. „აბდულმესია“ (ე. ი. ქრისტეს მონა) თხზულების მთავარი საქები ობიექტის ზედწოდებაა.

პოეტი იჩენს ქართული ბიბლიურ-ჰაგიოგრაფიული, ისტორიული, საერო მხატვრული, ფილოსოფიური და ჰიმნოგრაფიული მწერლობის დიდ ცოდნას; უხვად იყენებს დავითის ფსალმუნებსა და ძველ ქართულ საგალობლებს.

შავთელიც, ჩახრუხაძის მსგავსად, თამარის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის მომხრეა და ერთგულებას უცხადებს სამეფო ტახტს, მხარს უჭერს სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის იდეას. სამეფო ხელისუფლება თავის ნაწარმოებში მან აიყვანა მანამდე არნახულ სიმაღლემდე, აღნიშნავდა რა, ამავე დროს, ქართველი ბაგრატიონების ნათესაურ კავშირს ბიბლიურ წინასწარმეტყველ მეფეებთან.

„თამარიანსა“ და „აბდულმესიანში“ აისახა ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური და საერო-მხატვრული მწერლობის სურათი. ჩახრუხაძე და

---

[1] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II³, გვ. 173 — 188; ა. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 1945, გვ. 105—254, 383 — 400; ა. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, I, 1919, გვ. 191—259; მ. ჯანაშვილი, თამარ მეფის მეხოტბენი, გაზეთი „ტრიბუნა“, 1923, № 462—464; Н. Марр, Древне-грузинские одописцы, с. 1—27; Ш. Нуцубидзе, Абдулмессия, 1942, с. 1—49, 115—135; მისივე, Руставели и восточный ренессанс, 1947, с. 170—201.

[2] ისტორიანი და აზმანი..., ქართლის ცხოვრება, II, გვ. 94.

შავთელი ასახელებენ ჩვენამდე არმოღწეული თხზულებების პერსონაჟთა სახელებს, იყენებენ ფილოსოფიურ ტერმინებს, საკუთარი პოეტური სახეებით შთაბეჭდილებას ქმნიან ჩვენი კულტურის ვითარებაზე. ისინი საყურადღებო ცნობებს გვაწვდიან საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე და ამით გვეხმარებიან ზოგიერთი ისტორიული მოვლენის დადგენა-დაზუსტებაში.

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" ქართული პოეზიის გვირგვინს წარმოადგენს. რუსთაველი მოღვაწეობდა ეროვნული კულტურის განვითარების დიდ ეპოქაში, როდესაც ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება თვალს უსწორებდა მსოფლიო საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის მოძრაობას და ორიგინალური შინაარსისა და ფორმის თვალსაჩინო ნაწარმოებებით თამამად იდგა მის მოწინავეთა რიგებში, ზოგჯერ კი უსწრებდა კიდეც აზროვნების ახალი პრობლემების აღძვრასა და გაღვიძებაში.

საქართველოს ისტორიული ცხოვრების განვითარებაში დიდხანს მზადდებოდა ის მოვლენები, რომელთაც მოჰყვა XII საუკუნე, როდესაც საქართველო გადაიქცა იმდროინდელი მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ. ეს იყო დავით აღმაშენებლის ღვაწლი, რომლის შედეგსაც წარმოადგენდა დიდი სახელმწიფოებრივ-კულტურული აღორძინება გიორგი III-ისა და თამარის დროს, როდესაც ქართულმა გენიამ წარმოშვა „ვეფხისტყაოსანი". ამიტომ ცხადია, რომ „ვეფხისტყაოსნის" ჰეშმარიტი გაგება, რუსთაველის აზროვნების შემეცნება, უწინარეს ყოვლისა, თვით ქართული კულტურის, სოციალური ყოფის, აზრისა და იდეალების პრობლემებია, რომელთა გადაწყვეტაც არ არის მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის" წყაროების, მისი იდეების და მოტივების ამა თუ იმ გზების ძიება და ფესვების დადგენა. ეს არის იმავე დროს ქართული კულტურის და სოციალური ცხოვრების კომპლექსური საკითხების შესწავლა. მათი გადაწყვეტა წინასწარ გულისხმობს საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების, ეროვნული იდეოლოგიის ძირითადი ფაქტორების გათვალისწინებას. რუსთაველის პოემის სიუჟეტი შთაგონებულია ქართული ისტორიული სინამდვილის განცდით, მისი სახეები, თემა, მოტივები და ხასიათები გადაწყვეტილია სინამდვილის ქართული შემეცნების თვალთახედვით.

ამ მხრივ მეტად საყურადღებოა აკად. ივ. ჯავახიშვილის მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ აისახა „ვეფხისტყაოსანში" იმდროინდელი საქართველოს ცხოვრება, სათანადო ისტორიული სინამდვილის რა ასპექტები გამომჟღავნდა პოემაში. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „რუსთაველის ეპოქის საქართველოს სოციალური კულტურა დახასიათებული უნდა იქნეს უწინარეს ყოვლისა იმ სახელმწიფოებრიობის ჩარჩოებში, რომე-

ლიც მაშინ იყო. ამ სახელმწიფოებრიობის მთავარი მიჯნები მოკლედ ასე შეიძლება მოიხაზოს: „საქართველოს ერთიანი სახელმწიფოებრიობის შემქმნელი იყო ბაგრატ III, რომელმაც არა მარტო გააერთიანა საქართველო, არამედ საძირკველი ჩაუყარა სოციალურ კულტურასაც, რამაც შემდეგ XI—XII საუკუნეების განმავლობაში, შეუპოვარი ბრძოლის მეოხებით, უხვი ნაყოფი გამოიღო და მოგვცა საინტერესო შედეგები, რომლებმაც გამოხატულება ჰპოვეს შოთა რუსთაველის გენიალურ პოემაში"[1]. ივ. ჯავახიშვილმა, განიხილა რა რუსთაველის პოემა ისტორიკოსის თვალით, დაასკვნა, რომ „ვეფხისტყაოსანში" აღბეჭდილია „ფეოდალური წყობილების კანონები", „ეპოქის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი საკითხები", სამეფო კარის გარიგების ნორმები, „კარის ცხოვრებისა და ცერემონიალის ყოველი დეტალი", სამხედრო ხელოვნება და განსაკუთრებით სამხედრო ორგანიზაცია, „ვაჭართა კლასის ურთიერთობის საფუძვლები"[2] და ა. შ. მეორე ნაშრომში — „რუსთაველის ეპოქის სოციალური კულტურა და პოემა „ვეფხისტყაოსანი", ივ. ჯავახიშვილის მიერ წინა პლანზეა წამოწეული საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ აისახა პოემაში ის „პოლიტიკური ტენდენციები, რომლებიც იმ დროს საქართველოში არსებობდა"[3].

ივ. ჯავახიშვილი ხაზს უსვამდა აგრეთვე იმ გარემოებას, რომ „პოემაში გადმოცემულია ცხოვრების ზოგიერთი ისეთი პირობები, ისეთი ჩვეულებანი, რომლებიც მაშინდელ საქართველოში არსებობდა. თუმცა იქ დასახელებულნი არიან არაბები, სპარსები, ინდონი, ხატაელნი, მაგრამ ისინი აზროვნებენ, ცხოვრობენ, იბრძვიან სრულებითაც არა ისე, როგორც ეს იქნებოდა იმ ქვეყნებში, რომლებიც იქ დასახელებულია. შოთა რუსთაველის გმირებში ქართველის გული ძგერს, მის გმირებს მაშინდელი საქართველოს საკითხები აღელვებს"[4].

მართლაც, საკმარისია ჩვენ „ვეფხისტყაოსანი" განვიხილოთ ისტორიული თვალსაზრისით და შევუდაროთ იგი ფეოდალიზმის ეპოქის ქართულ ისტორიოგრაფიულ ძეგლებს (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის „ცხოვრება მეფეთა-მეფისი დავითისი", „მატიანე ქართლისაჲ", თამარის ანონიმი ისტორიკოსის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", ბასილ ეზოსმოძღვრის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისა"), რომ აშკარად დავრწმუნდეთ, რამდენად მკაფიო ანარეკლს წარმოადგენს „ვეფხისტყა-

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1956, გვ. 16.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 13.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 18.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 19.

ოსანი" საქართველოს ისტორიული სინამდვილისას. მასში ჩვენ მრავალ შესადარებელ მასალას ვიპოვით.

პოემაში მოცემულია ფეოდალური ურთიერთობის ე. წ. პატრონყმური საფეხურის მკაფიო სურათი, მასში ჩანს იმდროინდელ გაერთიანებულ საქართველოში არსებული სამეფო კარის გარიგების ნორმები, ასახულია მეფის კურთხევის წესები. ძვირფასი რეალიებია დაცული სახელმწიფო თუ სამხედრო-ადმინისტრაციული ცნებების შესახებ: ვაზირი, სავაზირო, ამილახორი, მანდატური, ამირსპასალარი, სპასალარი, სპასპეტი, მეფე, მეფეთ მეფე და სხვ.[1].

ამ მხრივ ავიღოთ თუნდაც „ვეფხისტყაოსნის" ის ადგილი, სადაც (336,3) საკარგავზე და „საკარგყმოზეა" საუბარი, როდესაც მეფე ფარსადანმა შეიწყნარა სარიდანი (ტარიელის მამა) და საპატიო თანამდებობასთან ერთად მას უწყალობა დიდი სამფლობელო — „ერთი სამეფო საკარგყმო" (316,2) და ყველაფერი ეს შეავადაროთ დავითის ისტორიკოსის „მოსაკარგავეთ"[2], ანდა „მატიანე ქართლისაჲს" „საკარგავნი მრავალნის"[3].

აქვე საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ „ვეფხისტყაოსნის" ზოგიერთ ხელნაწერში[4] „საკარგყმოს" ნაცვლად იკითხება „საკარგვად" („ერთი სამეფო საკარგვად, უბოძა ამირბარობა"). საანალიზოდ მოტანილ ტექსტში ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ტერმინი „სამეფო". აშკარაა, რომ აღებულ კონტექსტში სამეფო არ არის ნახმარი თავისი პირდაპირი მნიშვნელობით. აქ სამეფო ნიშნავს კარგ, დიდ, საუკეთესო („საკარგყმო") სამფლობელო ადგილს, დიდ საკარგავს. როგორც ვიცით, სარიდანმა არ ინდომა დამოუკიდებელი მეფობა, თავისი სამფლობელო ინდოეთის სამეფოს შეუერთა, იგი ინდოეთის მეფის სამსახურში შევიდა, რის სანაცვლოდაც მიიღო ამირბარის სახელო და საკარგავი მამული. აქედან გამომდინარე, სავსებით გასაგებია, რომ ეს საკარგავი სამეფოს არ შეადგენდა. ასევე უნდა აღვიქვათ სიტყვა სამეფოს მნიშვნელობა მეორეგანაც; ავთანდილმა მოინახულა თავისი მამული, ამის გამო რუსთაველი ამბობს: „რა მოვიდა, სიხარული შიგან გახდა სამეფოსა" (148, I). ცხადია, აქ სამეფოდ ნაგულისხმევია ავთანდილის საკუთარი სამფლობელო მამული.

ჩვენ აქ აღარ გამოვუდგებით ტერმინ „საკარგავისა" და „საკარგყმოს"

---

[1] ვ. დ ო ნ დ უ ა, „ვეფხისტყაოსანი" და თამარის ისტორიკოსები, კრებული „საქართველო რუსთაველის ხანაში", გვ. 231, 235.

[2] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 353.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 311.

[4] „ვეფხისტყაოსანი" ჩანართი და დანართი ტექსტებით, თბ., 1956, სტროფი 420.

სოციალური შინაარსის გარკვევას. აღვნიშნავთ მხოლოდ „ვეფხისტყაოსნისა“ და ქართული საისტორიო წყაროების ამ მეტად საინტერესო დამთხვევას და განსაკუთრებით ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ ტერმინ „საკარგავის“ მოხსენებაც „ვეფხისტყაოსანში“, სხვა მრავალ მაგალითთან ერთად, ერთხელ კიდევ ნათლად გვიჩვენებს, „თუ როგორი უშუალობით არის „ვეფხისტყაოსანი“ დაკავშირებული საქართველოს სოციალურ სინამდვილესთან და როგორი სიცხოველით ასახავს ამ სინამდვილეს XII საუკუნის დიდი ქართველი პოეტი“[1].

საყურადღებო ცნობებს შეიცავს „ვეფხისტყაოსანი“ საქართველოს სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულების, სანაპიროთა შესახებ. „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, ავთანდილი იყო მონაპირე დიდებული. მას ჰქონდა „ქალაქი მაგარი საზაროდ სანაპიროსა“ (149, 1—2). „ვეფხისტყაოსანში“ დაცული ეს ცნობები პირდაპირ ეხმაურებიან ბასილ ეზოსმოძღვრის თხზულებაში „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ არსებულ ცნობებს საქართველოს სანაპირო სამფლობელოების, ე. წ. „მონაპირეთა“ ინსტიტუტის[2] შესახებ.

რუსთაველი, ისევე როგორც აღმავალი ფეოდალური ურთიერთობის ხანის ისტორიკოსები (დავითის, თამარის „ცხოვრებანი“), თანამიმდევრულად ავითარებს და იცავს ერთიანი, მტკიცე და ცენტრალიზებული სახელმწიფოს ერთმეფობის პრინციპს.

მაგალითების გამრავლება კიდევ შეიძლება, მაგრამ ზემოთქმულიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ პოემის „საშენ“ მასალას მისი შემოქმედი იღებდა იმავე კულტურული ნიადაგიდან, საიდანაც ამავე ეპოქის ისტორიკოსები[3].

„ვეფხისტყაოსანში“ მოცემულია ქართული ფეოდალიზმის საერთო და სპეციფიკური ნიშნები. ეს პოემა საქართველოს ისტორიული სინამდვილის მხატვრული ასახვაა და შინაარსობრივად მხოლოდ ქართულ სინამდვილესთანაა დაკავშირებული.

„ვეფხისტყაოსანი“ ქართველი ხალხისათვის „ცხოვრების სახელმძღვანელო“ იყო. ქართველი კაცი მასში პოულობდა ჩვენი სახელოვანი წინაპრების მიერ ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე მძიმე შრომასა და გმირულ ბრძოლებში შეძენილ ძვირფას გამოცდილებასა და მორალურ იდეალებს.

---

[1] ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბ., 1966, გვ. 170.

[2] ბ ა ს ი ლ ე ზ ო ს მ ო ძ ღ ვ ა რ ი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 129.

[3] ვ. დ ო ნ დ უ ა, „ვეფხისტყაოსანი“ და თამარის ისტორიკოსები, გვ. 235.

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ძნელია მოიძებნოს მეორე ნაწარმოები, რომელსაც თავისი ხალხის ცხოვრებაში ისეთი დიდი პრაქტიკული როლი შეესრულებინოს, როგორიც „ვეფხისტყაოსანს“ ჩვენი ერის ცხოვრებაში. „ვეფხისტყაოსანი“ თუ, ერთი მხრივ, ქართველი ერის ისტორიული ცხოვრების მხატვრული უკუფენაა, მეორე მხრივ, იგი იქცა მძლავრ ფაქტორად ქართველი ხალხის ხასიათის, გმირული სულის აღზრდისა და ჩამოყალიბების საქმეში. „ვეფხისტყაოსნის“ ამ აღმზრდელობით მნიშვნელობას დიდად აფასებდა პოემის პირველი გამომცემელი სწავლული მეფე ვახტანგ VI, რომელიც თავის კომენტარებში აღნიშნავდა: „რაც ამას დაუწერია, თუ კაი გზით ისწავლი, ერთ ოსტატად ღირსო“. პოემის პირველ გამოცემას დართული აქვს სტამბის მუშაკის მიქაელის ასეთი მინაწერი: „უსწავლელსა სიბრძნეს მისცემს, გონიერსა გულს უსრულსა“. „ვეფხისტყაოსანი“ „ფეოდალური საქართველოს ჰიმნი“ „ქართული ფეოდალური ზნეობის კოდექსია“.

რუსთაველმა დიდად გაუსწრო თავის დროსაც და თავის წარმომქმნელ საზოგადოებასაც; იგი ადრეული რენესანსის მოციქულად მოგვევლინა[1].

„ვეფხისტყაოსანი“, მიუხედავად ალეგორიული სიუჟეტური ფორმებისა, ავტორის თანადროულ ქართულ სინამდვილეს ემყარება. პოემის შინაარსში ნათლად მოჩანს XII საუკუნის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ანარეკლი და ავტორის დამოკიდებულება ეპოქის უმთავრესი მოვლენებისადმი.

„რა თქმა უნდა, — აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი, — გენიალური პოეტის ქმნილება პოლიტიკური ტრაქტატი როდია და, როდესაც შოთა რუსთაველი წერდა, მას არ ჰქონია განზრახვა მოეცა ჩვენთვის ყოველივე იმის ამომწურავი ახსნა, რაც იმ დროის ქართველი საზოგადოების მოწინავე ფენებს აღელვებდა. მაგრამ, ქმნიდა რა დიად მხატვრულ პოემას, იგი, თავისი სამშობლოს მწვავე საკითხებით აღელვებული, თავის უკვდავ ნაწარმოებში გადმოგვცემდა ყველა თავის აზრს, ყველა თავის მისწრაფებას, ყველა იმ იდეალს, რომელთა სრული გამარჯვებაც მას სურდა მაშინდელ საქართველოში“[2].

შოთას პოემის მოქმედი პირები მარტო თავის ბედნიერებაზე მზრუნ-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, შესავალი წერილი კრებულში, „აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი“, გვ. 7.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1956, გვ. 18—19.

ველი ადამიანები როდი არიან. „ვეფხისტყაოსნის“ ვაჟებიცა და ქალებიც, საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნებით დაჯილდოებულ გმირებად გვევლინებიან, მათ უკიდურესი განსაცდელის დროსაც კი არ ავიწყდებათ თავისი სამშობლოს ბედნიერება.

რუსთაველი უმღერის სიყვარულს ქალ-ვაჟს შორის, რაინდულ-ვაჟკაცურ თავგანწირვას, ძმადნაფიცობასა და ერთგულებას, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

ზემოაღნიშნულმა ზოგადსაკაცობრიო ჰუმანურმა იდეებმა „ვეფხისტყაოსანს“ სწორუპოვარი თხზულების სახელი მოუპოვეს, გაიტანეს დიდ ასპარეზზე და საპატიო ადგილი დაუმკვიდრეს შუასაუკუნოვან მსოფლიო კულტურაში.

„რუსთაველის მსოფლმხედველობის საფუძველია ჰუმანიზმი. მე-12 საუკუნის დიდი ქართველი პოეტი-მოაზროვნის ყურადღების ცენტრშია ადამიანი, ადამიანობა, ამქვეყნიური ადამიანური ცხოვრების სინამდვილე. მან უზადოდ გამოხატა ადამიანთა ამაღელვებელი ენებათა ღელვანი, ადამიანური ცხოვრების დამამშვენებელი ზნეობრივი იდეალები. რუსთაველმა უკუაგდო ასკეტური მორალი, მიწიერი გრძნობების თვითჩახშობა, სარწმუნოებრივი ფანატიზმი და დოგმატიზმი, ცრუმორწმუნეობრივი სიბეცე, ფატალიზმი. რუსთაველის გმირები პიროვნულად თავისუფლები არიან, მათ ნებელობას არ ზღუდავს არც უზენაესი ძალა და არც ბრმა ბედისწერა. რუსთაველმა გაცილებით ადრე მკაფიოდ გამოხატა ის იდეური მიდრეკილებანი, რაც ჩვეულებრივ ევროპული რენესანსის ნიშანდობლივად დამახასიათებელ თვისებად ითვლება“[1].

რვა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც ეს გენიალური პოემა იწერებოდა, მაგრამ ახლაც, ამ პოემის გადაკითხვისას, თითოეული ჩვენთაგანი არაერთხელ ჩაუფიქრდება გენიალური პოეტის ბრძნულ გამოთქმებს. თითოეულ ჩვენთაგანს არაერთხელ ააღელვებს და გაიტაცებს სამართლიანობისათვის ბრძოლის, ძმობა-მეგობრობის, გმირობის, სამშობლოს სიყვარულის, ამაღელვებელი მიჯნურობისა და სხვა მსგავსი იდეალები. „მანამდე, სანამ ადამიანის ორგანიზმში ადამიანის კეთილშობილი გული ძგერს, მანამდე, სანამ კეთილშობილურ გრძნობებსა და სიყვარულს მიმზიდველი ძალა ექნება, არასოდეს არ მოკვდება რუსთაველი, არასოდეს არ მოკვდება ეს დიადი პოემა „ვეფხისტყაოსანი“[2].

---

[1] კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1969, გვ. 281.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, გვ. 29.

საქართველოს პოლიტიკური და კულტურული აღმავლობის პერიოდში (XI—XII სს.) ადგილი აქვს ფილოსოფიური აზრის განვითარებასა და გაღრმავებას. ქართული ფილოსოფიური აზრი თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს XI—XII საუკუნეებში აღწევს.

ქართულ კულტურულ კერებში, საქართველოსა და მისი ტერიტორიის გარეთ, ძლიერდება ინტერესი ფილოსოფიური აზრისადმი, წარმოებს ინტენსიური მთარგმნელობითი და კომენტატორული მუშაობა ამ მიმართულებით. ანტიკური ფილოსოფოსების სახელები გვხვდება არა მხოლოდ ფილოსოფიურ, არამედ ლიტერატურულ და საისტორიო ძეგლებშიც. წარმოიქმნა რიგი ორიგინალური და თარგმნილი კრებულებისა, რომლებშიც გადმოცემულია „გარეშე" (ანტიკურ) ფილოსოფოსთა (დემოკრიტე, პლატონი, არისტოტელე და სხვ.) აზრები და აფორიზმები.

მეხოტბეთა პოეზიაში მოხმობილია არისტოტელე, დიონისე არეოპაგელი, განსაკუთრებით ენეა გაზელი — ნეოპლატონიკოს ჰიეროკლეს მოწაფე და პეტრე იბერის უმცროსი თანამედროვე და თანამოქალაქე. ქართულად ითარგმნება არისტოტელეს ლოგიკური თხზულებები „ტოპიკა" და „განმარტების შესახებ" (პეტრიწი).

ითარგმნა პროკლეს (410—485) ძირითადი ფილოსოფიური თხზულება „თეოლოგიის ელემენტები" (პეტრიწი); ეს თარგმანი უძველესია ამ თხზულების ცნობილ თარგმანთა შორის მსოფლიოში. იოანე ტარიჭისძემ თარგმნა პროკლეს მოწაფის და თავისი დროისათვის ცნობილი ნეოპლატონიკოსის — ამონიოს ჰერმიასის „პორფირიუსის შესავალის კომენტარები" და „არისტოტელეს 10 კატეგორიის კომენტარები".

ქართულ ენაზე ამ დროს გახდა ცნობილი ნეოპლატონიკოს ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა" (მთარგმ. იოანე პეტრიწი). ითარგმნა მთლიანად ე. წ. არეოპაგიტიკული კორპუსი (ეფრემ მცირე). რამდენჯერმე იყო ამ დროს თარგმნილი იოანე დამასკელის (VIII ს.) „ცოდნის წყარო" (ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი), რომელიც აღმოსავლური აზროვნების ერთ-ერთ ძირითად ძეგლს წარმოადგენდა. არსენ იყალთოელის მიერვე ითარგმნა ანასტასი სინელის (VI ს.) აღმოსავლეთში ფრიად გავრცელებული თხზულება „წინამძღვარი". ქართულ თარგმანში შემოინახა ტრაქტატი „პირმშოსათვის" („პირველის შესახებ"), რომელსაც მთარგმნელი

(არსენ იყალთოელი) მიქაელ პსელოსს მიაწერს და რომლის ორიგინალი დაკარგულად ითვლება.

ამ მოაზროვნეთა და თხზულებათა ის ნაწილი, რომელიც უკვე ქრისტიანულ სულიერ სამყაროს ეკუთვნის, უხვად შეიცავს ანტიკურ ფილოსოფიურ (პლატონის, არისტოტელეს, ნეოპლატონიკოსების) იდეებს. ეს იდეები ხშირად უპირისპირდება შუა საუკუნეების გაბატონებულ შეხედულებებსა და დოგმატიკას. მრავლად მოიპოვება ანტიკური ფილოსოფიური შეხედულებანი ცნობილი მოაზროვნეების ბასილ დიდის, გრიგოლ ნაზიანზელის, გრიგოლ ნოსელის და სხვ. თხზულებებში, რომლებიც ამავე პერიოდში იყო ქართულად თარგმნილი.

ამ გზით შემოსული ანტიკური ფილოსოფიის იდეებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარებაში. მაგრამ თვით ინტერესი ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობისადმი და XI—XII სს-ის საქართველოში ჩამოყალიბებული ფილოსოფიური მიმართულებების თავისებურებანი განსაზღვრულია ქვეყნის საერთო ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და იდეოლოგიური აღმავლობით. ქვეყნის იდეური ცხოვრების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საერო კულტურის მძლავრ განვითარებას და მის მსოფლმხედველობრივ საფუძვლებს. საერო კულტურაში ასახული მსოფლმხედველობა ამქვეყნიური სინამდვილისადმი შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი დამოკიდებულების არსებითი ცვლილებების გამოხატულებაა.

შეხედულებები „ამ სოფელზე", როგორც ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებულ სინამდვილეზე და მოძულების საგანზე, იცვლება ხილული სამყაროს ონტოლოგიური, ეთიკური და ესთეტიკური ღირებულების აღიარებით. ამ ზოგადი შეხედულების შესაბამისად ყალიბდება ახალი შეხედულებანი ადამიანზე და მის დანიშნულებაზე. იმ გრძნობებისა და მისწრაფებების, რომლებითაც ადამიანი რეალურ ცხოვრებასთან არის დაკავშირებული, დათრგუნვის ეთიკური მოთხოვნები და ასკეტიკური იდეალი ზეცისა და მიწის დუალიზმით, მათი მოურიგებლობით არის განსაზღვრული. ეს იდეალი იცვლება ჰუმანიზმით, რომელიც თანამიმდევრულ და შესანიშნავ პოეტურსა და ფილოსოფიურ გამოხატულებას პოულობს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში". ჰუმანისტური იდეები იმდროინდელ საქართველოში ისეთი სიძლიერით არის წარმოდგენილი, რომ საფუძველი მისცა მეცნიერებს მათში რენესანსის ნიშნები და რენესანსი დაენახათ.

ამ დროის ქართული ფილოსოფიური აზროვნება მჭიდროდაა დაკავშირებული იდეურ ცხოვრებასთან და მასში მომხდარ ცვლილებებთან. ფილოსოფია დასაბუთებული მსოფლმხედველობაა, ამდენად მის ამოცანას იდეურ ცხოვრებაში მომხდარი მსოფლმხედველობრივი ცვლილებების თეორიული დასაბუთება წარმოადგენს. XI—XII სს-ის ქართულ ფილოსოფიაში ყალიბდება მიმართულებანი, რომელთა შორის ერთი დოგმატიკური აზროვნების გზას აგრძელებს და ზეცისა და მიწის დუალიზმის თვალსაზრისზე რჩება, მეორე — ამ დუალიზმის დაძლევის, არსის მთლიანობის დასაბუთებისაკენ არის მიმართული და ამით ამქვეყნიური სინამდვილის ღირებულების დასაბუთებას და ადამიანში ადამიანურის გამართლებას წარმოადგენს.

ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც „ქართული ნეოპლატონიზმის" სახელწოდებით არის ცნობილი (ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი, შოთა რუსთაველი) მთავარ, ძირითად მიმართულებას წარმოადგენს და ქვეყნის იდეურ ცხოვრებაში მომხდარ არსებით ცვლილებებს ასახავს. მეორე მიმართულება — მონოთეიზმის ძირითადი იდეებისა და დოგმატიკის დასაბუთებას ისახავს მიზნად.

ამ ეპოქის ქართული ფილოსოფიური აზრის პირველი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია ეფრემ მცირე (XI ს.). მისი მოღვაწეობა მრავალმხრივობით გამოირჩევა, თვალსაჩინოა მისი დამსახურება ფილოსოფიური აზრის განვითარების თვალსაზრისით. მის მიერ შესრულებული თარგმანი იოანე დამასკელის ცნობილი თხზულებისა „ცოდნის წყარო" და განსაკუთრებით მისი პირველი ნაწილისა — „ფილოსოფიური თავები" („დიალექტიკა") აძლიერებს არისტოტელეს ფილოსოფიური იდეების გავლენას ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში.

ეფრემ მცირე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს არისტოტელეს ლოგიკურ და ონტოლოგიურ მოძღვრებას; აღრმავებს და ავითარებს რაციონალისტურ ხაზს. იოანე დამასკელის მსგავსად, ეფრემის აზრით, ფილოსოფიის დანიშნულება მდგომარეობს თეოლოგიის დებულებათა დასაბუთებაში და თეორიულ დაცვაში მოწინააღმდეგეებთან იდეოლოგიური ბრძოლის დროს. „საფილოსოფოსო სწავლა" არის იარაღი, რომლითაც „წინააღუდგებოდინ შვილნი ეკლესიისანი გარეშეთა მათ ფილოსოფოსთა" და მათივე „ისრით", მათივე იარაღით ამარცხებენ მათ. ფილოსოფია მოწოდებულია ღვთისმეტყველების „ვენაჯის... ნაყოფთა შუენიერება" შემოზღუდოს ეკლოვანი ღობით და უძლეველყოს იგი მოწინააღმდეგეები-

საგან[1]. მაგრამ კომენტარებში, რომელიც თარგმანს აქვს დართული, ფილოსოფიისა და თეოლოგიის უნიონი ეფრემს ისეთი პირობის ქვეშ მიაჩნია მისაღებად, როდესაც მათ შორის არსებობს არა სუბორდინაციის (დაქვემდებარება), არამედ კოორდინაციის (თანაბარმნიშვნელობის) მიმართება და ფილოსოფიას თეოლოგიის თანაბარი მნიშვნელობა ექნება მინიჭებული: არც თეოლოგიაა „სრული" ფილოსოფიის გარეშე და არც ფილოსოფია — თეოლოგიის გარეშე[2].

ეფრემ მცირემ თარგმნა აგრეთვე ფსევდო-დიონისე არეოპაგელის (ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორიის მიხედვით იგივე პეტრე იბერის) შრომები, ე. წ. არეოპაგიტული კორპუსი მთლიანად, რომელიც შედგება ოთხი თხზულებისა და ათი ეპისტოლესაგან. არეოპაგიტული მოძღვრება წარმოადგენს ნეოპლატონიზმის მორიგების ცდას ქრისტიანულ მოძღვრებასთან. ამავე დროს ამ მოძღვრებაში ვერ იქნა დაძლეული იდეები, რომლებიც წინააღმდეგობაში იმყოფებოდა ქრისტიანულ დოგმებთან და შუა საუკნეების გაბატონებულ შეხედულებებთან.

ქრისტიანული დოგმები და გაბატონებული შეხედულებანი, ჩამოყალიბებული შუა საუკუნეების მონოთეიზმის სახით, ემყარება პიროვნული აბსოლუტის იდეას; ნეოპლატონიზმის „ერთიანი", როგორც პირველმიზეზი, სავსებით უპიროვნო საწყისია. მონოთეიზმს სამყაროს წარმოშობა ესმის როგორც ღმერთის მიერ სამყაროს დროში არარასაგან შექმნის შედეგი (კრეაციონიზმი) და რჩება არსებითად დუალისტურ მოძღვრებად, რომელიც ვერ ახერხებს ზეციური და მიწიერი სამყაროს გაერთიანებას და მათ დაკავშირებას. ნეოპლატონიზმი რჩება ანტიკური ტრადიციის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც არარასაგან არაფერი არ შეიძლება წარმოიქმნას, და მოძღვრებით სამყაროს ღმერთისაგან ემანაციის (გამომდინარეობის) შესახებ ასაბუთებს სამყაროს აუცილებლობის, მისი მარადიულობის და ღვთაებრიობის იდეას.

ქრისტიანულ-რელიგიური ფორმა, რომელიც ნეოპლატონიზმმა მიიღო არეოპაგიტულ მოძღვრებაში, გზას უხსნიდა ანტიკურ ფილოსოფიას ქრისტიანულ აღმოსავლეთსა და დასავლეთში ანტიკურობის დამარცხებისა და ქრისტიანობის გამარჯვებით შექმნილ ვითარებაში. მაგრამ მისი ნეოპლატონიზმისაგან შეთვისებული იდეები მოურიგებელ წინააღმდეგობაში აღმოჩნდა მონოთეიზმთან და დასავლეთში, სადაც არეოპაგიტიკის

---

[1] ეფრემ მცირე, პუბლიკაცია სერგი გორგაძისა, იხ. „მიმომხილველი", 1926, გვ. 184.

[2] ეფრემი ცალ-ცალკე ურთავს კომენტარს იოანე დამასკელის თხზულების ფილოსოფიურ და თეოლოგიურ ნაწილებს, ამ ნაწილების თავებსა და დასკვნაში წერს: „არცა ესენი სრულ არიან უმათოდ, არცა იგინი უამითოდ" (იქვე, გვ. 187).

გავლენა IX ს-დან იწყება და რიგი საუკუნეების მანძილზე გრძელდება, რიგი მოაზროვნეები აშკარა პანთეიზმამდე მიიყვანა.

არეოპაგიტულმა მოძღვრებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა XI—XII სს-ის საქართველოში და დასაბამი მისცა პროგრესულ ფილოსოფიურ მიმდინარეობას ახალ, კულტურული აღმავლობის ეპოქაში.

არეოპაგიტული მოძღვრების ამოსავალი ღმერთის ცნებაა, როგორც აბსოლუტურად სრულყოფილი და ყოველივეზე ზეაღმატებული საწყისისა. მაგრამ ნეოპლატონიზმის გავლენა მოძღვრებას მიმართავს აღმატებული და სრულყოფილი საწყისის ნაკლოვან, არასრულყოფილ სამყაროსთან დაკავშირებისა და მათი ერთიანობის საფუძვლების ძიებისაკენ. ამ მიმართებით არეოპაგიტულ მოძღვრებაში ღმერთი მოაზრებულია, როგორც არსის პირველი და საყოველთაო მიზეზი და შესაბამისად მიზეზობრიობის ნეოპლატონისტური გაგებისა, როგორც ყოველივეში არსებული საწყისი. ღმერთი „ყოველთა შორის ყოველ არს"[1], „ყოველთა ყოველსა შინა ყოველ ექმნების", ყოველივეს „მისცემს თავსა თჳსსა"[2]. რამდენადაც პირველსაწყისი ყოველივეშია, იგი ყოველივე არსებულში შეიცნობა და მას ყოველი „სახელი" (პრედიკატი) შეიძლება მიეწეროს, დაწყებული უმაღლესი რანგის მოვლენებით (სიკეთე, მშვენიერება, არსებობა) და დამთავრებული არაორგანული, ნივთიერი მოვლენებით.

პირველმიზეზისაგან (ღმერთისაგან) შედეგის გამომდინარეობა სრულყოფილების ისეთსავე კლებას წარმოადგენს, როგორც სინათლის სხივის შესუსტება. ამიტომ არსი (არსებულის სფერო) წარმოადგენს იერარქიულად (რანგობრივად) განლაგებულ საფეხურთა ერთიანობას, რომლის დაბალ საფეხურსაც ხილული სამყარო წარმოადგენს. მაგრამ სამყარო ერთიანობაშია პირველსაწყისთან; მასში მოქმედებს ღმერთიდან გამომდინარე სინათლის სხივი და არაფერია სამყაროში, რასაც ამ სხივის მიღება არ შეეძლოს.

ღმერთის „სახელთა შორის", უმაღლესი პრედიკატი, რომელიც ყველაზე მეტად უახლოვდება მის არსებას — სიკეთეა. საწყისი თავისთავად პირველყოფილისა სიკეთეა და მისგან მხოლოდ სიკეთე მომდინარეობს. ამიტომ ნამდვილი, სუბსტანციური არსებობა მხოლოდ სიკეთეს აქვს და ბოროტება მხოლოდ არარაა („არა არს არს"). ბოროტება არ არსებობს სინამდვილის არც ერთ სფეროში, სინამდვილის არც ერთ მოვლენაში. ის, რასაც ადამიანები ბოროტებას უწოდებენ, არსებითად მხოლოდ სიკეთის კლებას, სიკეთისაგან დაცილებას წარმოადგენს. ყველაზე ბოროტად ის

---

[1] „საღმრთოთა სახელთათვის", VII, 3; პ ე ტ რ ე ი ბ ე რ ი ე ლ ი, შრომები, 1961, გვ. 72.

[2] ი ქ ვ ე, IX, 5, გვ. 81.

გვეჩვენება, რაც სიკეთისაგან ყველაზე უფრო მეტადაა დაცილებული და რაშიც სიკეთე ყველაზე ნაკლებადაა. ეს შეხედულება შემდეგ რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ პოვებს ასახვას და პოემის ცნობილი იდეის — სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების იდეის — საფუძვლად იქცევა. ამ შეხედულების წყარო რუსთაველის პოემაში პირდაპირაა დასახელებული დიონისე არეოპაგელის („ბრძენი დივნოსის“) სახით.

ღმერთისა და სამყაროს მიმართების გაგება, როგორც მიზეზ-შედეგობრივი კავშირისა, განსაზღვრავს არეოპაგიტულ მოძღვრებაში სამყაროს წარმოქმნის აუცილებლობას და სამყაროს მარადიულობის იდეას. როგორც ჩვენი ხილული მზე, წერს ფსევდო-დიონისე, „არა განიზრახავს, არცა წინა-აღირჩევს“, არამედ თავისი ბუნებით, თავისი არსებით ანათებს ყოველივეს, ასევე ღმერთი (როგორც უმაღლესი სიკეთე) თავისი ბუნებით განფენს თავის შარავანდედს სამყაროზე, აძლევს მას არსებობას და სიკეთეს.

ამგვარად, არეოპაგიტულ მოძღვრებაში დაუძლეველი დარჩა რიგი მნიშვნელოვანი იდეებისა, რომლებიც ეწინააღმდეგებიან შუა საუკუნეების გაბატონებულ შეხედულებებს და შეესატყვისება XII ს-ის ქართულ ჰუმანიზმს. ამ იდეათა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა არსის ერთიანობის დასაბუთებას და მიწისა და ზეცის დუალიზმის დაძლევას; ამქვეყნიური სინამდვილის ღირებულების თავისებურ დასაბუთებას და ადამიანურის ჰუმანისტური გაგების გამართლებას.

არეოპაგიტული მოძღვრება წარმოადგენდა ნეოპლატონიზმის (უმთავრესად პროკლეს) ქრისტიანულ გადამუშავებას. ამ მოძღვრებამ გააღვივა ინტერესი უშუალოდ ანტიკური ნეოპლატონიზმისა და, კერძოდ, პროკლეს მოძღვრებისადმი. ქართული ფეოდალური ფილოსოფიური აზრის ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენლის ი ო ა ნ ე პ ე ტ რ ი წ ი ს (XI—XII სს.) ფილოსოფიური მსოფლმხედველობა ნეოპლატონიზმის უკანასკნელი დიდი სისტემატიზატორის პროკლეს მოძღვრების საფუძველზე ჩამოყალიბდა. პეტრიწის ფილოსოფიური თხზულება („განმარტებაჲ პროკლესათჳს დიადოხოსის და პლატონურისა ფილოსოფიისათჳს“) დაწერილია პროკლეს „თეოლოგიის ელემენტების“ („კავშირნი ღვთისმეტყუელებითნი“) ვრცელი კომენტარების სახით. თხზულება შედგება შესავლის, საკუთრივ კომენტარებისა და ბოლოსიტყვისაგან.

იოანე პეტრიწი ძველ საქართველოში სარგებლობდა უდიდესი ავტორიტეტით. უხვად სარგებლობს პეტრიწის ფილოსოფიური თხზულებით სულხან-საბა ორბელიანი ფილოსოფიური ცნებების განმარტების დროს; „კალმასობის“ ავტორი მას უწოდებს „გონება-მაღალ“ მოაზროვნეს; სოლომონ დოდაშვილის სიტყვით, პეტრიწი იყო „ჭეშმარიტი ფილოსოფოსი“, თავისი დროის „სრულის აზრით... დიდი და ჩინებული“ მოაზ-

როვნე, რომელმაც მოიპოვა დიდი პატივისცემა თავის თანამედროვეთა და განათლებულ შთამომავლობას შორის[1].

ახალგაზრდა იოანე პეტრიწი სწავლობდა კონსტანტინოპოლში, მანგანის აკადემიაში. აქვე დაახლოებია იგი აკადემიის პროფესორს იოანე იტალოსს და გამხდარა აქტიური მონაწილე იდეური მოძრაობისა, რომელსაც ბიზანტიის ეს მოაზროვნე და ფილოსოფოსი მეთაურობდა.

1083 წელს იოანე იტალოსი გასამართლებულ იქნა იმის გამო, რომ ქადაგებდა, როგორც სასამართლო აქტებშია აღნიშნული, ოფიციალური წრეების მიერ უარყოფილ და „ანათემას მიცემულ" შეხედულებებს და ამით „გამოუცდელ" მსმენელებს „დაღუპვისაკენ მიაქანებდა". მისი მოძღვრება შეიცავდა, კერძოდ, იდეას „დაუსაბამო მატერიის შესახებ"; იგი აღიარებდა „ამაო ელინურ" შეხედულებას, რომლის მიხედვითაც „ყოველივე წარმოიშვა და გაფორმდა არა არარსისაგან"[2], რაც ეწინააღმდეგებოდა რელიგიურ დოგმატებს[3].

იტალოსის გასამართლების შემდეგ დაიწყო მისი მიმდევრების სასტიკი დევნა, რომელიც მიზნად ისახავდა „ურწმუნოების სრულ მოსპობას". იოანე პეტრიწი იძულებული იყო სატახტო ქალაქი მიეტოვებინა. პეტრიწის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შემდეგი წლები მიმდინარეობს ბულგარეთში, პეტრიწონის ქართულ მონასტერში, რომელიც იმავე 1083 წელს ბიზანტიის იმპერიის ცნობილმა მოღვაწემ გრიგოლ ბაკურიანისძემ დააარსა და, არა უადრეს XII ს-ის დასაწყისისა, გელათის აკადემიაში.

როგორც ჩანს, იოანე პეტრიწის მოღვაწეობამ საკმაოდ მძიმე პირობებში ჩაიარა და ის დევნისა და შევიწროების გარეშე არ დარჩა. თავისი ფილოსოფიური თხზულების ბოლოსიტყვაობაში იოანე პეტრიწი მწუხარებას გამოთქვამს იმ „სენთა, უცხოობათა და შურთა, და ვერაგობათა" გამო, რომელსაც იგი „ქართველთა და ბერძენთა შორის" განიცდიდა და კმაყოფილებისა და მადლობის გრძნობით აღსავსე სიტყვებს წარმოთქვამს დავით აღმაშენებლის მიმართ, რომელმაც იგი გელათის აკადემიაში მიიწვია და შეუქმნა პირობები დამშვიდებული თეორიული მუშაობისათვის[4].

პეტრიწის ფილოსოფიურ ნააზრევში ბევრად უფრო მკვეთრადაა, არეოპაგიტულ მოძღვრებასთან შედარებით, წარმოდგენილი ანტიკური ნეო-

---

[1] სოლ. დოდაშვილი, თხზულებანი, 1961, გვ. 199—200.

[2] Ф. И. Успенский, Синодик в неделю православия, Одесса, 1893, с. 15, 17, 18.

[3] როგორც აკად. უსპენსკი შენიშნავს, იოანე იტალოსის შეხედულებანი „მკაცრ წინააღმდეგობაში იმყოფებოდა საეკლესიო მოძღვრებასთან" (История Византийской империи, III, 1948, с. 128).

[4] იოანე პეტრიწი, შრომები, II, 1937, გამოც. შ. ნუცუბიძის და ს. ყაუხჩიშვილის, გვ. 222.

პლატონიზმის და, კერძოდ, პროკლეს შეხედულებანი. ქართველი ფილოსოფოსის სულიერი სამყარო, უმთავრესად, ანტიკური კულტურით, მითოლოგიით და ფილოსოფიით არის განსაზღვრული. რომ არაფერი ითქვას პროკლეზე, მისი ავტორიტეტები არიან პარმენიდე, პლატონი, არისტოტელე, პლოტინი, პორფირიუსი და სხვ. განსაკუთრებული ყურადღებით პლატონი, პლოტინი და პროკლე სარგებლობენ.

მიმართება ღმერთსა და სამყაროს შორის გარკვეულია ნეოპლატონიზმის ძირითადი ცნებების საფუძველზე და არსის წყობა მოაზრებულია ნეოპლატონიზმის ანალოგიურად. ეს მიმართება მიზეზ-შედეგობრივი მიმართებაა და სამყაროს წარმოქმნა არსებითად პირველმიზეზიდან მისი ემანაციაა (გამომდინარეობა); ამავე დროს პეტრიწის დებულებანი ლოგიკურად დასაბუთებული დებულებებია, მისი აზროვნება შორსაა დოგმატიზმისაგან.

ჩვენ, წერს პეტრიწი თავისი თხზულების დასაწყისში, გვმართებს გავერკვეთ საღვთისმეტყველო თეორიის არსში და შევითვისოთ წინამდებარე წიგნის აზრი, რომელიც ერთიანის, როგორც დასაბამის ნათელყოფაში და სილოგისტური აუცილებლობით დასაბუთებაში მდგომარეობს.

ერთიანი (ღმერთი) არის უმაღლესი სიკეთე, არსის მწვერვალი, მიზეზი და საფუძველი, „ყოველთაგან ზესთ მდებარე" (ყოველივეზე ამაღლებული) და „უცნაური" (შეუცნობადი) საწყისი, რომელსაც პატივის დადების სურვილმა ჰკადრა და „მამა" უწოდა.

ამ ერთიანიდან გამომდინარეობს ღვთაებრივი რიცხვების სფერო და შემდეგ არსის საფეხურები, რომლებიც, მათი სრულყოფილებისა და პირველმიზეზთან სიახლოვის თვალსაზრისით, ასეთი თანამიმდევრობით ლაგდებიან: ნამდვილმყოფი (ნამდვილი, ჭეშმარიტი არსებობის სფერო); გონება; სული; ბუნება (სულის დაბალი საფეხური, რომელიც უშუალოდ ემიჯნება ხილულ სამყაროს); ცა და ოთხი ელემენტი, რომლებიც ქვედა რანგის ქმნადობისა და ხრწნის სფეროს ეკუთვნის. ამგვარად, მოვლენათა რანგობრივი განლაგება ხილული ბუნების თავისებურებასაც წარმოადგენს და მოვლენათა მეტ-ნაკლები სრულყოფილება მათი საფეხურებრივი წყობით არის განსაზღვრული.

ღმერთისა და სამყაროს მიმართება პეტრიწთან, ისევე როგორც ნეოპლატონიზმსა და არეოპაგიტიკაში, დაპირისპირებულთა მიმართებაა (სრულყოფილი, დაუბოლოებელი და ნაკლოვანი, დაბოლოებული საპირისპირო ცნებებია), მაგრამ თუ ნეოპლატონიზმსა და, განსაკუთრებით, არეოპაგიტიკაში ამ დაპირისპირებულ ცნებათა მორიგება მისტიციზმისა და მისტიკური ხილვის საშუალებითაა გადაწყვეტილი, პეტრიწი ამ საკითხის გადაწყვეტას დიალექტიკის საფუძველზე ცდილობს და, როგორც

ქვევით დავინახავთ, ამ მიზნით სპეციალური ცნება („იგივე სხვა“) შემოაქვს.

პირველი მიმართება მიზეზსა (ღმერთსა) და შედეგს (სამყაროს) შორის იგივეობისა და მსგავსების მიმართებაა. განვითარების ამ საფეხურზე შედეგი მიზეზში იმყოფება, იგი არსებობს „თჳსსა მიზეზსა შორის“[1] და განუსხვავებელია თავისი მიზეზისაგან; არაა განცალკევებული, „გათჳთებული“ და განმრავლებული; იმყოფება მიზეზში არა როგორც „სხვაჲ სხვასა შორის“, არამედ როგორც იგივეობრივი („იგივეობაჲ“) მიზეზისა.

მეორე მიმართება მიზეზსა და შედეგს შორის შედეგის გამოყოფაა; მიზეზისაგან განსხვავება, მისგან განცალკევება, „გათჳთება“ და მიზეზთან შედარებით მისი „სხვად“ ყოფნაა (სხვად გახდომაა). ამ მიმართებით მოიპოვებს წარმოებული არსი საკუთარ არსებობას და ესაა წარმოშობა („წარმოება“) ამ სიტყვის საკუთარი მნიშვნელობით.

მაგრამ იმ ფილოსოფიური მოძღვრების მიხედვით, რომლის თვალსაზრისზეც იოანე პეტრიწი დგას, ყოველი შედეგი თავის მიზეზს უბრუნდება. სამყარო, როგორც შედეგი, თავის დასაბამს უნდა დაუბრუნდეს, „უკუნიქცეს“ თავის დასაბამში და სისტემა დასრულდეს (ეს აზრი ნეოპლატონიზმისაგან მომდინარეობს და დამახასიათებელია არეოპაგიტული მოძღვრებისათვისაც). ამიტომ შეუძლებელია შედეგი მთლიანად მოწყდეს თავის მიზეზს, სამყარო — დასაბამს. ამგვარად, თუ ორივე მიმართებას გავითვალისწინებთ, განცალკევებული, წარმოქმნილი შედეგი განსხვავებულიცაა მიზეზისაგან და მისი იგივეობრივიც, განსხვავებულიც და მისი მსგავსიც. პეტრიწს ამ თავისებური, დიალექტიკური მიმართების საკითხის გადაჭრის მიზნით შემოაქვს შესაფერისი ცნება, რომლის მიხედვითაც შედეგი მიზეზთან მიმართებაში „იგივე სხვაა“ (ის არც მსგავსია — სხვაობის გარეშე და არც სხვაობაა — მსგავსების გარეშე: „არცა მსგავსი თჳნიერ უმსგავსობისა და არცა უმსგავსობაჲ — თჳნიერ მსგავსებისა“, თ. 35, გვ. 88).

მიზეზსა და შედეგს შორის მსგავსების, იგივეობის საფუძველს ის წარმოადგენს, რასაც მიზეზი თავის შედეგს აძლევს, რასაც ის თავისაგან შედეგს გაატანს. შედეგის მიზეზთან იგივეობრივი მას მიზეზთან აკავშირებს, მიზეზი თავისკენ „ეწევა“ შედეგს და მსგავსებას მათ შორის შედეგის დაბრუნების („უკუნქცევის“) საფუძველს შეადგენს. ეს კანონზომიერება ვრცელდება პირველდასაბამიდან სამყარომდე და, ამგვარად, მთელი სინამდვილე განსხვავებულთა ერთ მთლიანობას წარმოადგენს. ყოველივე არსებული მონაწილეობს თავის უშუალო მიზეზში და მიზეზთა რიგის მეშვეობით — პირველმიზეზში (პირველდასაბამში).

---

[1] ი ო ა ნ ე პ ე ტ რ ი წ ი, შრომები, II, 1937, გვ. 80.

პირველმიზეზი სამყაროს პირველყოვლისა არსებობას აძლევს. მისგანვე ღებულობს სამყარო სიკეთეს, მშვენიერებას და სიცოცხლეს, რომლის უშუალო მიზეზს სამყაროში სული წარმოადგენს. ამიტომ სამყარო, პეტრიწის მიხედვით, ცოცხალია და გასულიერებული.

პეტრიწი ასხვავებს შემეცნების ორ უნარს — დისკურსიულ, ლოგიკურ აზროვნებას („მიდმოგონება"), რომელიც სულის ფუნქციას შეადგენს და, მეორე მხრივ, შემეცნებას, რომელიც უფრო მაღალ უნარს წარმოადგენს და გონის მეშვეობით ხორციელდება. პირველ შემთხვევაში მოაზროვნე და აზროვნების საგანი გათიშულია და ამიტომ სულს სჭირდება თანდათან („ბიჯთა მიერ გზავნითი გზავნად") მიახლოვება შესაცნობ საგანთან; მეორე შემთხვევაში შემეცნების საგანი თვით აზროვნებაში (გონებაში), მასთან უშუალო მთლიანობაშია და ამიტომ შემეცნება „მარტივად", უშუალოდ არის მოცემული; აზროვნება შემმეცნებელიცაა და შემეცნების საგანიც. გონებით საგნის მოაზრება დროისა და მოძრაობის გარეშე აქტია.

პეტრიწის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა უფრო ახლო მივიდა ანტიკურ ნეოპლატონიზმთან და უფრო თანამიმდევრული ხასიათი მიიღო იდეებმა, რომლებსაც დასაბამი არეოპაგიტულმა მოძღვრებამ მისცა. პეტრიწის აზროვნებისათვის დამახასიათებელია ემანატიზმი (სამყაროს ღმერთიდან გამომდინარეობის იდეა); სამყაროს წარმოქმნის აუცილებლობა და მარადიულობა. XI—XII სს-ის ქართული ფილოსოფიური აზრისა და ჰუმანიზმის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ზეცისა და მიწის დუალიზმის დაძლევას და ამქვეყნიური სინამდვილის ღირებულების დასაბუთების შემდგომ განვითარებასა და გაღრმავებას ჰქონდა.

ნეოპლატონიზმის გვერდით XI—XII სს-ის ქართულ ფილოსოფიაში ვითარდება მეორე მიმდინარეობა, რომელიც, როგორც ითქვა, მონოთეიზმისა და დოგმატიზმის საფუძველზე რჩება.

ა რ ს ე ნ ი ყ ა ლ თ ო ე ლ ი მონაწილეობას ღებულობდა დავით აღმაშენებლის მიერ მოწვეულ ყრილობაზე, რომლის ძირითად საგანს, როგორც ჩანს, მონოფიზიტობისა და დიოფიზიტობის (ქალკედონიტობის) სადისკუსიო საკითხები წარმოადგენდა. მთავარი თხზულება, რომელშიც არსენ იყალთოელის თეოლოგიური და ფილოსოფიური შეხედულებები აისახა, არის მის მიერ შედგენილი კომპენდიუმი „დოგმატიკონი". ამ თხზულების ძირითად მიზანს ორთოდოქსალური (ქალკედონიტური) მიმდინარეობის დაცვა წარმოადგენს. სხვა თხზულებათა შორის კომპენდიუმი შეიცავს მრავალ პოლემიკურ თხზულებას, მიმართულს ებრაული და მაჰმადიანური რელიგიისა და ქრისტიანობის შიგნით წარმოქმნილ სხვადასხვა მწვალებლურ (ერეტიკულ) მიმდინარეობათა წინააღმდეგ.

აღმოსავლეთის ცნობილი მოღვაწის ანასტასი სინელის (გარდ. 599 წ.)

„წინამძღვარის“ თარგმანის კომენტარში არსენ იყალთოელი გამოთქვამს შეხედულებას, რომ ხსენებული თხზულება არის „ნამდვილი“ გზის მაჩვენებელი „წმინდისა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიისა“. ესაა თვალი, რომლითაც იყურება, პირი, რომლითაც გამოთქვამს, სასმენელი, რომლითაც ესმის „უცთომელნი მოძღვრებანი“, საყნოსელი, რომლითაც „იყნოსს სუნნელებასა ღვთივ სულიერთა წერილთა ყუავილისასა“ და მარჯვენა მკლავი, რომლითაც სპობს და სდევნის ერეტიკოს „მხეცთა გესლიანსა ბოროტებასა“[1].

„დოგმატიკონის“ შემადგენელ თხზულებათა შორის ფილოსოფიური თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ტრაქტატი „პირმშოისათვის“, რომლის ძირითად მიზანს შეადგენს გაარკვიოს ქრისტეს, როგორც „პირმშოს“, პირველშობილის თეოლოგიური საკითხები. მაგრამ ეს საკითხები გარკვეულია „პირველის“ ფილოსოფიურ ცნებასთან კავშირში და გამოთქმულია დებულებანი, რომლებიც ეხება ქართული და ბიზანტიური ფილოსოფიური აზრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას[2].

ქართულ და ბიზანტიურ ფილოსოფიურ აზროვნებაში, რომელთანაც ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებას და, კერძოდ, პეტრიწს მჭიდრო კავშირი ჰქონდა, „პირველის“ ორგვარი გაგება ჩამოყალიბდა. ტრაქტატის ავტორის მიხედვით, „პირველი“ აბსოლუტური ცნებაა, მისი შინაარსი ყოველივე არსებულთან (ტრაქტატის სიტყვით „ყოველ აგებულთან“) მიმართებაში ირკვევა და „დასაბამის“ ცნებას ემთხვევა. ღმერთისაგან, როგორც ერთადერთი დასაბამისაგან და „პირველისაგან“ ღებულობს არსებობას („მიუღიებიეს ყოფაჲ“) ყოველივე. „პირველი“ არის უშუალო შემოქმედი მთელი სინამდვილისა, ყოველი სულიერი და სხეულებრივი მოვლენისა. „პირველის“ ამგვარი გაგება დაფუძნებულია დოგმატიკაზე (კერძოდ, ღმერთის მიერ ქვეყნის არაფრისაგან შექმნის დოგმატზე), გამოხატავს შუა საუკუნეების გაბატონებულ შეხედულებას და უპირისპირდება ნეოპლატონიზმს, რომელიც, როგორც ითქვა, საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვან ფილოსოფიურ მიმდინარეობას წარმოადგენდა.

როგორც ვნახეთ, არსი, პეტრიწის მიხედვით, დასაბამიდან (ერთიდან)

---

[1] Ф. Жордания, Описание рукописей Тифлисского церковного музея, т. I, с. 232.

[2] ხსენებულ ტრაქტატს ფილოსოფიური თვალსაზრისით პირველად შეეხო პროფ. შ. ნუცუბიძე ნარკვევში „იდეოლოგიურ წინააღმდეგობათა ახალი ძეგლი XII საუკუნის საქართველოში“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. VII, გვ. 151—162) და გამოთქვა საყურადღებო და მნიშვნელოვანი მოსაზრებები. ამჟამად ტრაქტატი გამოცემულია ივ. ლოლაშვილისა (იხ. „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“, კრებული II, 1964, გვ. 80—84) და ს. ყაუხჩიშვილის მიერ (გეორგიკა, VI, 1966, გვ. 260—264).

გამომდინარე საფეხურთა მთლიანობას წარმოადგენს. არსის ყოველი ცალკეული საფეხური არის მომდევნო საფეხურის მიზეზი, „წარმომაარსებელი", დამბადებელი და უშუალო შემოქმედი, არის ამავე დროს „პირველი" მომდევნო საფეხურთან მიმართებაში.

ტრაქტატის ავტორის მიხედვით, „პირველის" ასეთი (ნეოპლატონიკური) გაგება ნიშნავს არსის ყოველი საფეხურის (და განსაკუთრებით არსის მაღალი მოვლენების) „ღმრთეების პატივში" (ღვთაებრივ რანგში) აყვანას, შემოქმედისა და შექმნილის „შესწორებას" (გათანასწორებას), დამბადებლისა (რომელიც ტრაქტატის მიხედვით ერთადერთია და მხოლოდ ერთადერთი შეიძლება იყოს) და დაბადებულის თანაფარდობის აღიარებას („თანა შეტყუების ყოფას"). ეს თვალსაზრისი მცდარია, ტრაქტატის ავტორის აზრით, და მის მიზანსაც ამ შეხედულების უარყოფა შეადგენს. „უჯერო არს, — წერს ავტორი, — დაბადებულთა თანა-შეტყუების ყოფა დაბადებულისა"[1].

ამ ზოგადი დებულების შემდეგ ტრაქტატის ავტორი გადადის კერძოდ მზისა და ცის საკითხზე. ის გარემოება, რომ მზე სხვებზე უფრო ადრეა შექმნილი, არ იძლევა საფუძველს, მისი აზრით, იმისათვის, რომ ამის გამო ის დამბადებლად და ღმერთად მივიჩნიოთ; არ შეიძლება ვაღიაროთ, რომ „უხუცესობის" გამო მას არსების მეტი სიხრულე ჰქონდეს სხვა მოვლენებთან შედარებით. ბუნების ვერცერთი მოვლენა ვერ დააღწევს თავს („განევლთოს") იმას, რომ ისინი, ისევე როგორც ყოველივე, არაარსისაგან არიან არსად მოყვანილნი.

XI—XII სს-ის ქართული ფილოსოფიური აზრის მოწინავე მიმდინარეობას აგრძელებს შოთა რუსთაველი, რომელზედაც ნეოპლატონიზმმა, კერძოდ, არეოპაგიტულმა მოძღვრებამ და პეტრიწმა დიდი გავლენა მოახდინეს.

შოთა რუსთაველის შემოქმედების იდეური შინაარსის ძირითად თავისებურებას ჰუმანიზმი წარმოადგენს. როგორც ჰუმანისტი, რუსთაველი ასრულებს XI—XII სს-ის საქართველოს იდეოლოგიურ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს, რომლებმაც თავისი ასახვა საერო კულტურაში მოიპოვეს. როგორც ჰუმანისტი, რუსთაველი უსწორდება დასავლეთის რენესანსის კულტურის დიდ წარმომადგენლებს და დგება მათ რიგში.

ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარების თვალსაზრისით, რუსთაველის შემოქმედება საყურადღებოა როგორც სინთეზი შუა საუკუნეების ქართული იდეურ-კულტურული და ფილოსოფიური განვითარე-

---

[1] ძველი ქართული მწერლობის საკითხები, კრებული II, 1964, გვ. 81. აღმოსავლეთში ამ თვალსაზრისის მნიშვნელოვანი წარმომადგენელი საქართველოში კარგად ცნობილი იოანე დამასკელია, დასავლეთში — თომა აქვინელი.

ბისა. თუ რუსთაველამდე ახალი, საერო კულტურის აღმავლობით განსაზღვრული იდეოლოგია და პროგრესული ფილოსოფიური მიმართულება ერთმანეთისაგან გათიშულად მიმდინარეობენ, „ვეფხისტყაოსანში" ჰუმანიზმი და ნეოპლატონიზმი ერთიანდება და ერთიმეორეს ასაბუთებს. რუსთაველის შემოქმედებაში იდეური შემობრუნება ხილული სინამდვილისა და ადამიანისაკენ შესატყვის ფილოსოფიურ დასაბუთებას პოულობს.

ჰუმანიზმითაა გამსჭვალული „ვეფხისტყაოსანი" მთლიანად, როგორც ერთიანი მხატვრული ნაწარმოები, მისი იდეური შინაარსი და იდეური მიზანსწრაფვა. რუსთაველის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია სიცოცხლის ნამდვილი სიყვარული და ადამიანურის ახლებური გაგება. სიცოცხლის სიყვარული პოემაში წარმოდგენილია არა მხოლოდ როგორც რეალური ადამიანური გრძნობა, არამედ როგორც სიბრძნის გამოვლენა:

ბრძენი ხარ და გამორჩევა არა იცი ბრძენთა თქმულებ,
მინდორს სტირ და მხეცთა ახლავ, რას წადილსა აისრულებ?
ვისთვის ჰკვდები, ვერ მიჰხვდები, თუ სოფელსა მოიძულებ,
თავსა მრთელსა რად შეიკრავ, წყლულსა ახლად რა იწყლულებ?
(877)[1]

პოემის ძირითადი მიზანია მხატვრული ასახვა ადამიანურისა იმ ახალი გაგებით, რომელიც ჰუმანიზმის თავისებურებას წარმოადგენს. ადამიანურობა ვლინდება სიცოცხლის განმამტკიცებელ მისწრაფებაში, ცოცხალ სინამდვილესთან, ხილულ სამყაროსთან კავშირში; ადამიანის იდეალებში, რომლებიც ხორციელდება შეუპოვარი ბრძოლით და მრავალ დაბრკოლებათა დაძლევით.

სიყვარული ფართო და ვიწრო მნიშვნელობით („მიჯნურობა") რუსთაველის შემოქმედებაში ატარებს ღრმა ადამიანურობის ნიშნებს. „მიჯნურობა" რუსთაველთან არა მხოლოდ არსებითად განსხვავდება სიყვარულის შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი გაგებისაგან, პოემის პროლოგში „მიჯნურობის" სხვადასხვა გაგების ანალიზის დროს, რუსთაველის კრიტიკული შენიშვნები ეხება, ერთი მხრივ, სიძვას, მეორე მხრივ, მისტიკურ, განყენებულ გრძნობას.

პოემის ძირითად იდეურ მიმართულებასთანაა დაკავშირებული სიცოცხლის განმამტკიცებელი განწყობილება, რომელსაც ქმნის პოემა მთლიანად, და შესატყვისი იდეები, გამოთქმული ცალკეული აფორიზმების სახით:

---

[1] სტრიქონები მოტანილია „ვეფხისტყაოსნის" 1966 წლის გამოცემიდან, რედაქტორები ა. შანიძე და ა. ბარამიძე.

კელა იტყვის: „გულო, რაოდენმცა გაქვს სიკვდილისა წადება,
სჯობს სიცოცხლისა გაძლება, მისთვის თავისა დადება“ (729).
ჯირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა ვით ქვითკირსა (876).

როგორც ითქვა, მიწიერისა და ადამიანურის ღირებულებისა და მნიშვნელობის გამართლება ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში ხდება მიწიერსა და ზეციერს შორის შემაერთებელი გზების ძიებით, ორ სამყაროდ გათიშული სინამდვილის გამთლიანებით, დუალიზმის დაძლევით, მიწიერისა და ზეციურის თავისებური სინთეზის საფუძველზე. ეს სინთეზი ქმნის თეორიულ საფუძველს, რომ მიწიერი აღდგეს მის კანონიერ, მაგრამ შუა საუკუნეების პირობებში დაკარგულ, უფლებებში. რუსთაველის მიერ პოემის პროლოგში გამოთქმული ზეციური და მიწიერი გრძნობების (ზეციური და მიწიერი ვენერა) სინთეზის იდეა ვიწრო, მაგრამ მნიშვნელოვან სფეროში, ქმნის საფუძველს ადამიანური გამართლებისათვის. „ვეფხისტყაოსანში“ შექებული სიყვარული ხორციელი გრძნობაა, რომელიც, რუსთაველის სიტყვით, ზეციურს „ბაძავს“. ბაძვა ნეოპლატონიზმიდან შეთვისებული ცნებაა, რომლის შინაარსი ერთიდან გამომდინარე არსთა „ზიარებას“, ურთიერთმონაწილეობას ემყარება.

რუსთაველის უზოგადესი შეხედულება ღმერთისა და სამყაროს მიმართების საკითხზე გამოხატულია დებულებით, რომ ღმერთი არის „სავსება ყოველთა“.

ასმათ თქვა: „ღმერთო, რომელი არ ითქმი კაცთა ენითა
შენ ხარ სავსება ყოველთა, აგვავსებ მზეებრ ფენითა“ (918).

აქ გამოთქმული დებულებანი ნეოპლატონიკური და არეოპაგიტული წარმოშობისაა. როგორც მზის გამოყენება ერთის (ღმერთის) ხატად, ხოლო გამოსახვებისა (ემანაცია) — ღმერთისა და სამყაროს მიმართების თვალნათლივ გამოხატულებად, ასევე ღმერთის გაგება როგორც სავსებისა — ნეოპლატონიზმისა და მისი ქრისტიანული გადამუშავების დამახასიათებელი თავისებურებაა.

მაგრამ მზე მეტია, ვიდრე ხატი ჩვეულებრივი ქრისტიანული რელიგიური წარმოდგენით. არსის საფეხურებრივ წყობაში, რომელშიც მოვლენათა რიგები განლაგებულია პირველმიზეზისაგან სხვადასხვა დაშორებით, ხილულ მოვლენათა შორის მზე შეიცავს მეტ რეალობას და მსგავსებას ღმერთთან. ამით აიხსნება აზრი პოემის ერთ-ერთი შესანიშნავი ადგილისა:

მომავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა:
„აჰა, მზეო, გეაჯები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა,
ვინ მდაბალთა გაამაღლებ, მეფობასა მისცემ, სვესა,
მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემიცელი ღამედ დღესა“ (958).

„ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენს მხატვრულ განსახიერებას მოქმედებისა („ცდისა“) და გამარჯვების ერთიანობისა, რომელიც განგებით არის დეტერმინირებული. მათი ერთიანობა გამოხატულია არა მხოლოდ პოემის სიუჟეტური განვითარებით; ის მოაზრებულია და დასაბუთებული იმავე მოძღვრებით, რომელიც წარმოადგენს რუსთაველის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის წყაროს და, კერძოდ, იმისა, თუ რა წარმოდგენა აქვს პოეტს სიკეთისა და ბოროტების შესახებ.

გამარჯვება პოემაში განხილულია ფართო, ფილოსოფიურ პლანში, როგორც გამარჯვება სიკეთისა ბოროტებაზე:

ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია! (1361)

სიკეთისა და ბოროტების მიმართების საკითხში რუსთაველი დიონისე არეოპაგელს იმოწმებს და ეს დამოწმება შემთხვევითი არაა: „ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს“ (1491).

სიკეთე და ბოროტება „ვეფხისტყაოსანში“ მხოლოდ ეთიკური კატეგორიები არაა, მათ ონტოლოგიური მნიშვნელობაც აქვთ. თვით გამარჯვება სიკეთისა ბოროტებაზე განსაზღვრულია იმით, რომ სუბსტანციური არსებობა მხოლოდ სიკეთეს აქვს. სიკეთე ერთის (ღმერთის) უპირველესი განსაზღვრულობაა; ღმერთი გამოსხივდება და ემანირებულია სამყაროში, პირველ ყოვლისა, როგორც სიკეთე. ბოროტება „უმყოფოა“, ხანმოკლეა (1434) და ეკუთვნის მეორადი არსის, არსებობის სფეროს[1].

ნეოპლატონიკური და არეოპაგიტული წარმომავლობისაა „ვეფხისტყაოსანში“ დებულებანი, რომლებიც ღმერთის შეუცნობადობისა და გამოუთქმელობის აზრს გამოხატავს: ღმერთი არის „უცნაური და უთქმელი“ (811), „უთქმელი“ და „ყურთაგან მოუსმენელი“ (1250) და სხვ.

პოემაში მოცემული ღმერთის გაგება, როგორც მოპირდაპირე განსაზღვრებათა ერთიანობისა, ადასტურებს რუსთაველის აზროვნების სიღრმეს და ურთულესი ფილოსოფიური პრობლემატიკის მოაზრების მაღალ დონეს.

იტყვის: „ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად,
ერთ-არსებისა ერთისა, მის უჟამოსა ჟამისად,
ვის გმორჩილებენ ციერნი ერთის იოტის წამისად,
ბედსა ნუ მიცვლი, მიაჯე შეყრამდის ჩემად და მისად!
ვის ხატად ღმერთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი“.
(837—838)

---

[1] შდრ. პ ე ტ რ ი წ ი, შრ., II, გვ. 212_{12}. აგრეთვე პ ე ტ რ ე ი ვ ე რ ი ე ლ ი (ფსევდო დიონისე არეოპაგელი), შრ., 1961, გვ. 26_{5-6}.

აქ მოცემულ წარმოდგენათა ფილოსოფიური წარმომავლობა თვით რუსთაველის მიერ არის დადასტურებული, ხოლო ღმერთის მოაზრება ისეთ რთულ წარმოდგენებში, როგორიცაა „მზიანი ღამე“ (ნათელი წყვდიადი) და „უჟამო ჟამი“ (ზედროული დრო) პოულობს როგორც ტექსტობრივ პარალელებს, აგრეთვე აზრობრივ გამართლებას არეოპაგიტულ მოძღვრებაში.

მონღოლთა შემოსევებისა და ერთიანი ფეოდალური მონარქიის დაშლის შემდგომი საუკუნეები წარმოადგენს საქართველოში ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული დაქვეითების პერიოდს. დაქვეითდა ფილოსოფიური შემოქმედებაც.

§ 5. სამართლებრივი კულტურის საკითხები

XI—XII სს. საქართველოში განვითარების მაღალ საფეხურზე ავიდა იურისპრუდენციაც. განსაკუთრებით საყურადღებოა ექვთიმე მთაწმინდელის (955—1028) მოღვაწეობა სამართლის თეორიის დარგში. XI საუკუნის დამდეგს მან თარგმნა „მცირე სჯულის კანონი“, რომელიც საეკლესიო, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობის ერთგვარ ენციკლოპედიას წარმოადგენს. კრებული ექვთიმეს შეუდგენია ქართული ეკლესიის სახელმძღვანელოდ. ამ ძეგლში ლაკონიურად აისახა როგორც ბიზანტიური, ასევე იმდროინდელი ქართული საეკლესიო სამართლებრივი კულტურა. „მცირე სჯულის კანონი“[1] ექვთიმემ ქართულ ნიადაგზე გადაამუშავა, მასში შეიტანა ქართული მასალა და შექმნა სრულიად ახალი, ქართული რედაქცია სჯულის კანონისა; ექვთიმე მთაწმინდელის კანონიკური კრებული, „მცირე სჯულის კანონი“, წმინდა ქართული მოვლენაა. ამ შედგენილობის სხვა კრებული არ იცის არც ბიზანტიური და არც ქრისტიანული აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების საეკლესიო სამართლის ისტორიამ. იგი ქრისტიანული საეკლესიო სამართლის უმნიშვნელოვანესი ძეგლია, რომლის შესწავლის გარეშეც მთლიანობაში ვერ წარმოიდგინება ქრისტიანული საეკლესიო სამართლის ძირითადი საკითხები. ექვთიმეს ეს შრომა საუკუნეების მანძილზე ემსახურებოდა ქართველი კაცის სარწმუნოებრივ ფორმირებას ზოგად ქრისტიანულ საფუძველზე. ზემოაღნიშნულ კრებულს დართული აქვს თვით ექვთიმე მთაწმინდელის ზოგადი მოძღვრება ბოროტმოქმედების შესახებ, კერძოდ, მასში მოცემულია მკვლელობის სხვადასხვა სახეობის კვალიფიკაცია და ზოგადი იურიდიული ცნებების განმარტება.

---

[1] მცირე სჯულის კანონი, ე. გ ი უ ნ ა შ ვ ი ლ ი ს გამოც., თბ., 1972.

როგორც „მცირე სჯულის კანონიდან“ ჩანს, აღნიშნულ ხანაში ქართულ სამართალს უკვე დიდი ხანია შეთვისებული და შემუშავებული ჰქონდა სისხლის სამართლის ისეთი რთული ცნება, როგორიცაა „ბრალი“. ექვთიმეს მიხედვით, საჭიროა „ჯეროვნად განკითხვაჲ სულთაჲ და სამართლად კაცად-კაცადისა წესთა და კანონთა შემსგავსებულთა თითოეულთა ბრალთა განჩინებად“, და რომ კანონმდებელი მიზნად უნდა ისახავდეს „გამოძიებასა და განკითხვასა და განწესებასა კანონთასა და განყოფილებასა ბრალთასა მდიდართა და გლახაკთა, ბერთა და ჭაბუკთა, მეცნიერთა და უმეცართა, მონათა და აზნაურთა, სიმრთელით მყოფთა და სნებათაგან მიჭირვებულთა, გინათუ სიკუდილად მებრ მიწევნულთა, რამეთუ ამათ ყოველთა შორის ფრიადი არის განყოფილებაჲ“[1].

როგორც იურიდიულ მეცნიერებაშია დადგენილი, იმისათვის რომ ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენისათვის ესა თუ ის შერაცხადი პირი ცნობილი იქნეს სისხლის სამართლის წესის მიხედვით პასუხსაგებად, საკმარისი არ არის იმის დადგენა, რომ ეს დანაშაული მან ჩაიდინა. აუცილებლად საჭიროა კიდევ დადგინდეს იმ პირის „ბრალი“ აღნიშნული დანაშაულის ჩადენაში[2].

კულტურის დაბალ საფეხურზე მდგომ ხალხებში, როგორც წესი, ადამიანი ყურადღებას აქცევს მხოლოდ მოქმედების გარეგან მხარეს და ანგარიშს არ უწევს მოქმედის სულიერ მდგომარეობას. „მცირე სჯულის კანონში“ ექვთიმე მთაწმინდელი ხშირად ხმარობს სიტყვა „ბრალს“ დანაშაულის სწორედ შინაგანი, ზნეობრივი მხარის გამოსახატავად. ამ პერიოდის ქართული სამართალი იცნობს არა მხოლოდ ბრალის ცნებას, არამედ იგი ერთმანეთისაგან მკვეთრად განასხვავებს ბრალის სხვადასხვა ფორმას. სპეციალურ ლიტერატურაში გამორკვეულია, რომ ექვთიმე მთაწმინდელი ბრალის ფორმებიდან განასხვავებს განზრახვასა და გაუფრთხილებელ მოქმედებას, გარდა ამისა, მას საუბარი აქვს შემთხვევაზე.

ექვთიმეს მიხედვით, თუ ვინმემ „სტყორცნოს ქვაჲ ანუ შეშაჲ ძაღლისა მიმართ ანუ ხისა მიმართ ჩამოსაყრელად ნაყოფისა მის და მიემთხვოს ქვაჲ იგი ანუ ძელი კაცსა უცნაურად მტყორცნებელისა მის და მოკუდეს კაცი იგი ქვისა მისგან ანუ ძელისა“, ასეთი მოქმედება უნდა შეფასდეს როგორც „უნებელი და გარეშე გონებისა და განზრახვისა“, რადგან „განზრახვაჲ და ნებაჲ მტყორცნელისა მის“ არ იყო კაცის სიკვდილი[3].

„მცირე სჯულის კანონში“ საუბარია აგრეთვე ქმედობათა ისეთ სახე-

---

[1] მცირე სჯულის კანონი, გვ. 90 — 91.

[2] გ. ნ ა დ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლებრივი კულტურის ზოგიერთი საკითხი XI—XII სს. საქართველოში, თბ., 1959, გვ. 29.

[3] მცირე სჯულის კანონი, გვ. 78.

ობაზე, რომელიც „ნებისით თუ უნებლიეთ“ დანაშაულის სფეროს გარეთ დგას და განეკუთვნება ე. წ. შემთხვევითობათა რიგს.

უაღრესად საინტერესოა იმის ხაზგასმაც, რომ ექვთიმე მთაწმინდელი არა მარტო ასხვავებს განზრახვას, გაუფრთხილებლობას და შემთხვევას, არამედ ახდენს აგრეთვე გაუფრთხილებლობის ცნების დიფერენციაციასაც და ცალკე გამოყოფს გაუფრთხილებლობის ისეთ სახეს, რომელიც „მახლობელ არს ნეფსითსა კაცის კლვასა“. ასეთ მოქმედებათა წყებას მიეკუთვნება, მაგალითად, თუ ვინმე შფოთის დროს მოწინააღმდეგეს სცემს „არგნითა ანუ მჯიღითა“ და სურს, რომ „ატკინოს“ რაიმე მას ან მძიმედ დააშავოს, მაგრამ დაზარალებული კვდება[1].

ექვთიმე მთაწმინდელის მიერ ბრალის ცნების ასეთი დამუშავება მოწმობს იმდროინდელი ქართული იურიდიული აზრის მაღალ დონეს. აღნიშნული პერიოდის ქართულ სამართალში ბრალის ფორმების დამუშავების საკითხი ბიზანტიური სამართლის დონეზე იდგა და, მაშასადამე, მსოფლიო ცივილიზაციის მესვეურს — ბიზანტიას მხარდამხარ მიჰყვებოდა.

აღნიშნული ხანის საქართველოში განვითარების მაღალ საფეხურზეა პროცესუალური სამართალიც. ბაგრატ IV-ის (1027 — 1072) ცნობილ ოპიზის სიგელში[2] აღწერილია სასამართლო პროცესი, რომელიც ეხება ორ მონასტერს შორის მამულების შესახებ დავას. სასამართლოში მოპირდაპირე მხარეებს წარმოადგენენ ცნობილი მონასტრები — ოპიზისა და მიჯნაძორის (ჭოროხის ხეობაში), ამიტომ ეს საქმე დიდმნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სასამართლო განსაკუთრებული შემადგენლობისაა და სასამართლო პროცესსაც თვით მეფე ხელმძღვანელობს. ოპიზის სიგელი ერთ-ერთი ბრწყინვალე ძეგლია ქართული სასამართლო წარმოებისა, რომელიც შეიცავს საპროცესო სამართლის ძვირფას ტერმინოლოგიას.

ძეგლის შინაარსი ასეთია: მეფე მოგვითხრობს, რომ „მის წინაშე“ სახელმწიფოს სატახტო ქალაქ ქუთაისში გამოცხადდნენ ორი მონასტრის წარმომადგენელნი („მიჯნაძოროელნი და მამანი ოპიზარნი“) და გვთხოვეს გაგვერჩია მათი საქმე მამულებისა და მისი საზღვრების შესახებო. სადავო მიწების თაობაზე მიჯნაძორელებმა წარმოადგინეს ერისთავთერისთავის გურგენის (ე. თაყაიშვილის აზრით, იგი 968 წელს უნდა იყოს გარდაცვლილი), მეფე გურგენის, მისი შვილის ბაგრატ III კურაპალატის,

---

[1] მცირე სჯულის კანონი, გვ. 79.

[2] საქართველოს სიძველენი, ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, ტ. II, 1909, გვ. 1—5; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ი. დ ო ლ ი ძ ი ს გამოცემა, თბ., 1965, გვ. 8—9.

ბაგრატ III-ის შვილის გიორგი II-ის სიგელები. ამ დოკუმენტების მიხედვით სადავო მიწა მიჯნაძორელთ ეკუთვნოდათ, ე. ი. სიგელის გამცემნი ამ მამულებს მიჯნაძორის მონასტერს უმტკიცებდნენ. მიჯნაძორელთა სიგელებს ახლდა „კრულობითი მოწმობანი კათალიკოსთა და მღვდელთ-მოძღუართანი". მეფე ბაგრატ IV-ის სიტყვით, მიჯნაძორის მონასტრის წარმომადგენლებმა „მოიყვანნეს... ხატნი წმიდათა მოციქულთა პეტრესი და პავლესი და ნაწილნი წმიდისა ბართლომე მოციქულისანი", ალბათ, თავიანთი საბუთიანობის დასამტკიცებლად. მეორე მხარემ, ოპიზის მონასტერმა, თავის მხრივ წარმოადგინა სიგელი „დაწერილი გუარამ მამფლისაჲ", „რომლითა მას ტყესა და ზღვარისა", ე. ი. სადავო მიწებს ოპიზის მონასტერს აკუთვნებს (სწორედ იმ მიწებს, რომლებისთვისაც ის „მიჯნაძოროელთა ერჩოდეს"). მაგრამ აქ თავი იჩინა გარკვეულმა დაბრკოლებამ: ის მიწები, რომლებიც გუარამ მამფლის მიერ ოპიზის მონასტრისათვის არის სიგელში დაწერილი, მიჯნაძორელთა მიერ წარმოდგენილ სიგელებში არ არის მოხსენებული „არცა დამტკიცებულად და არცა გარდაგდებულად" (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გუარამ მამფალი გურგენ ერისთავთერისთავისა და მეფე გურგენის უწინ ცხოვრობდა, ე. ი. ოპიზის მონასტერმა ეს მამულები მიჯნაძორის მონასტერზე უფრო ადრე მიიღო).

ამის შემდეგ მეფე მოგვითხრობს, რომ მონასტრების „შფოთი გუიმძიმდაო", რადგანაც მონასტრები „მშუიდობისა და დაწყნარებისა და ჩუენ მეფეთა ლოცვისათუის აღშენებულნი არიან", ხელი მოვკიდე ამ სადავო საქმის გარჩევას, რისთვისაც შევკრიბე მღვდელთ-მოძღვარნი, ერისთავთ-ერისთავნი, ერისთავნი, აზნაურნი და „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი", მათთან ერთად გავარჩიე საქმე: წავიკითხეთ სიგელები, მოვისმინეთ მხარეების განმარტებანი და დავასკვენით („სამართლად ესე გავიგონეთ"), რომ მიჯნაძორელთა სიგელნი უფრო „მტკიცენი იყუენეს, და ჩუენგან მათი გატეხაჲ არა ჯერ იყო", ამიტომ „ესრეთ განვაგე და დავამტკიცე საქმე მათი: ტყენი და ზღვარნი" მიჯნაძორელთა, როგორც მათ სიგელებში იყო „პირველთა მეფეთა" დაწერილნი, ისე უნდა დარჩესო და ჩამოთვლილია მონასტრებს შორის სიგელებში აღნიშნული საზღვრები. „ეს ზღვარნი მტკიცენი არიან მიჯნაძორელთა ზედა", ხოლო „ამისდა ნაცვლად რათამცა ოპიზარნიცა გულსავსე ვყვენ, სალოცავად სულისა ჩემისა, თავსავე ჩემსა დავათმინე: ავიღე სამამასახლისოისა სამსახურებლისა ჩუენგან ბარევანი სოფელი და მივეც ოპიზართა", წერს მეფე. დასასრულ, მეფე მიმართავს „მომავალთა მეფეთა, ერისთავთ-ერისთავთა, ერისთავთა, ტაოისა და კლარჯეთისა ტანუტერთა და ყოველთა ჴელისუფალთა და საქმის მოქმედთა", რომ გაატარონ ეს გადაწყვეტილება, არ მოშალონ ის, ხოლო

ვინც მოშლის ამ გადაწყვეტილებას, იმათ მეფე წყევლა-კრულვით ემუქრება. ასეთია მოკლედ ჩვენი ძეგლის შინაარსი.

როგორც სიგელიდან ირკვევა, სანამ სასამართლო პროცესი შედგებოდა, მეფეს წინასწარ მიუღია მოდავე მხარეები, მოუსმენია მათთვის და დაუნიშნავს საქმის გარჩევა, რისთვისაც მოუწვევია სათანადო პირები. მაშასადამე, მეფე წინასწარ სწავლობს საქმეს, განიხილავს საბუთებს და მხოლოდ ამის შემდეგ იწვევს სასამართლო სხდომას. სასამართლო პროცესის დროს კითხულობენ მხარეების მიერ წარმოდგენილ ყველა საბუთს („წავიკითხენით მათნიცა და მათნიცა დაწერილნი"). ამრიგად, საქმის წინასწარი შესწავლის შემდეგ ინიშნება პროცესი, რომელზედაც კითხულობენ იმავე საბუთებს სასამართლოს ყველა წევრის საყურადღებოდ. აღსანიშნავია, რომ სასამართლო არ კმაყოფილდება პროცესზე საბუთების საჯარო გამოქვეყნებით, ის უშუალოდ ისმენს მხარეების ახსნა-განმარტებას, მათ პაექრობას („რომელი სიტყუის-გებაი იყო მათ შორის, მოვისმინეთ") და ამის შემდეგ გადადის დამამტკიცებელ საბუთთა შეფასებაზე.

როგორც დავინახეთ, ამ შემთხვევაში ძირითად დამამტკიცებელ საბუთს სიგელები წარმოადგენდნენ. ორივე მხარემ წარმოადგინა საბუთები, მაგრამ სასამართლოს შეფასებით მიჯნაძორელთა მიერ წარმოდგენილი სიგელები უფრო დამაჯერებელი იყო, როგორც სიმრავლით, ისე სიმტკიცით („...სამართლად ესე გავიგონ'ეთ, რომელ ჯელნი ამათნი მრავალნი და მტკიცენი იყუნეს"), ე. ი. განსახილველი სიგელის მიხედვით მნიშვნელოვანი ყოფილა ხელწერების სიმრავლეც; ერთმა მხარემ ერთი სიგელი, ერთი ხელწერა წარმოადგინა (ოპიზის მონასტერმა — გუარამ მამფლის სიგელი), ხოლო მეორე მხარემ (მიჯნაძორის მონასტერმა) — ოთხი სიგელი, ოთხი ხელწერა. ამჟამად ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ოპიზისა და მიჯნაძორის მონასტრების წარმომადგენლებმა თავიანთი დავის საფუძვლიანობის დასამტკიცებლად მთლიანად წერილობითი დამამტკიცებელი საბუთები — სიგელები წარმოადგინეს. სასამართლოს გადაწყვეტილებიდანაც აშკარად და ნათლად ჩანს უმთავრესი და უპირატესი ძალის მქონე დამამტკიცებელ საბუთად წერილობითი მტკიცებულებანის აღიარება.

ცნობილია, რომ შუა საუკუნეების მანძილზე დასავლეთ ევროპისა და რუსეთის სინამდვილეში, აგრეთვე აღმოსავლეთის რიგ ქვეყნებში, სხვა საშუალებებით გადაუჭრელი ბრალდების დროს, დამამტკიცებელ საბუთად ითვლებოდა ორდალიები — შანთითა და მდუღარით გამოცდა, სასამართლო დუელი, ანუ ორთაბრძოლა. მტკიცებულობის ზემოხსენებული სახეები თავისთავად ლაპარაკობს იურიდიული აზროვნების თეო-

ლოგიური არტახებიდან გაუთავისუფლებობაზე, ხალხის იურიდიული კულტურის დაბალ დონეზე[1].

ადრეული და განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდის საქართველოში, როგორც ფიქრობენ, დამამტკიცებელ საბუთთა ზემოხსენებული პრიმიტიული სახეები არ უნდა არსებულიყო. ამასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი წერდა: „IX—XIV სს-ში საქართველოში სასამართლოს წარმოებაში ასეთი საშუალების არსებობის შესახებ არსად არავითარი კვალი არა ჩანს... შესაძლებელია ორდალიები ქართულ მაშინდელ სასამართლო წარმოებას არც ჰქონოდეს"[2]. ეს კი თავისთავად მეტად საგულისხმო ფაქტია და უდავოდ მიგვითითებს იმდროინდელი ქართული სამართლის მაღალ კულტურულ დონეზე. ამ მიმართებით მეტად საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ისევე როგორც კულტურის სხვა სფეროში, პროცესუალური სამართლის დარგშიც საქართველო ბიზანტიის დონეზე იდგა. და მართლაც, როგორც ეს სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე გარკვეულია, ბიზანტიის იმპერიის არსებობის უკანასკნელ ხანებში დასავლეთის წეს-ჩვეულებათა გავლენა ძალიან დიდი იყო, მაგრამ ბიზანტიური სამართლის წყაროებში არ მოიპოვება შურისძიების უფლებისა და ღვთის მსჯავრის (ორდალიები), როგორც დამამტკიცებელი საბუთის, არსებობის კვალი[3].

საყურადღებოა იმის აღნიშვნაც, რომ 1184—1213 წლებს შორის შედგენილი მხითარ გოშის სომხური სამართლის წიგნიც არ იცნობს ორდალიებს („ღვთის მსჯავრს") და მსგავს პრიმიტიულ მოვლენებს დამამტკიცებელ საბუთთა სისტემაში. ე. წ. ჩრდილო სომხეთი, სადაც თავისი ცხოვრების უკანასკნელი ათეული წელი გაატარა მხითარ გოშმა, აღნიშნულ ხანაში, როგორც ცნობილია, მთლიანად საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს ფარგლებში იყო მოქცეული. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ჩრდილო სომხეთი კულტურულად თითქმის უთანაბრდებოდა ან უახლოვდებოდა საქართველოს. ამის შესაბამისად, დამამტკიცებელ საბუთთა სისტემაც, რომელიც მხითარ გოშის სომხური სამართლის წიგნის შესავალშია გადმოცემული[4], იურიდიული კულტურის განვითარების თვალსაზრისით, ქართული სამართლის დონეზე უნდა მდგარიყო.

---

[1] გ. ნადარეიშვილი, ქართული სამართლებრივი კულტურის ზოგიერთი საკითხი XI—XII სს. საქართველოში, გვ. 80.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვ. II, გვ. 496.

[3] იქვე.

[4] Армянский судебник Мхитара Гоша, Изд. АН Арм. ССР, Ереван, 1954, Введение, гл. VI—VII.

ინტერესს იწვევს ბაგრატ IV სიგელის ის ადგილი, სადაც აღნიშნულია, რომ სასამართლო პროცესში მონაწილეობის მისაღებად მეფემ საგანგებოდ მოიწვია „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი", ე. ი. სამართლისმცოდნეები, სამართლის სწავლულები, ანუ იურისტები. ის გარემოება, რომ იურისტებს სასამართლო პროცესზე სპეციალურად იწვევენ მნიშვნელოვანი და რთული საქმის გარჩევის დროს, ნიშნავს იმას, რომ იურისტები ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ. ისინი, როგორც ჩანს, სათანადო ავტორიტეტით სარგებლობდნენ, ამისათვის კი საჭირო იყო სპეციალური მომზადება, რომელსაც ახალგაზრდები მაშინდელ სკოლებში იღებდნენ. სკოლებში სხვა საგნებთან ერთად სამართალსაც ასწავლიდნენ. თვით ის ფაქტი, რომ მაშინდელ საზოგადოებაში ასეთი მოთხოვნილება არსებობდა „საბჭოთა საქმეთა" სპეციალისტებზე, თავისთავად იმის მაუწყებელია, რომ ფეოდალურ საქართველოში სამართლის მეცნიერების შესწავლას სათანადო ყურადღება ექცეოდა[1].

ქართული სამართლებრივი კულტურის საკითხებზე მსჯელობისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ისეთ ღირსშესანიშნავ მოვლენას, როგორიცაა სიკვდილით დასჯის გაუქმების და დამასახიჩრებელი სასჯელების ამოკვეთის ცდა თამარის ეპოქაში. ხსენებულ მოვლენაზე, როგორც კულტურის ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვან ფაქტზე, თავის დროზე ყურადღება გაამახვილა ივ. ჯავახიშვილმა[2].

თამარ მეფემდე ქართული სამართლის სასჯელთა სისტემაში მიღებული იყო როგორც სიკვდილით დასჯა, ისე სხეულებრივი, ასოთდამაზიანებელი სასჯელები. გიორგი III-ის დროს შეიარაღებული ყაჩაღობისათვის და სახელმწიფო დაწესებულებებზე, ქარავნებსა და ჯოგებზე გაძარცვის მიზნით თავდასხმისათვის, გამოუსწორებელ დამნაშავეთათვის შემოღებული იყო სიკვდილით დასჯა ჩამოხრჩობით, და ხელისა და ფეხის მოკვეთა. თამარის ხანაში კი, როგორც ეს ქართულ საისტორიო წყაროებში შემონახული ცნობებიდან ირკვევა, სასამართლო პრაქტიკაში აღიკვეთა როგორც სიკვდილით დასჯა, ასევე სხვადასხვა დამასახიჩრებელი სასჯელები[3].

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორი მოგვითხრობს: „ამისსა განგებასა ათორმეტსა წელიწადსა შინა არცა თუ ტაჯგანაგი უბრძანა ვის რადმე კრვად. კიდემქონებელი ყოვლისა მესისხლეობისა და

---

[1] ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, თბ., 1968, გვ. 25—26.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, ტფილისი, 1929, გვ. 538.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 411.

მბნელობლობისა და ასოთა მიღებისა, ნება-აღმსრულებელი, შიშისა და ზარისა დამდებელი, მშვიდი და მშვიდობისა მყოფელი იშუებს და სუფევს სამეუფოთა და სამფლობელოთა შინა მისთა, რომელი არა სადა ვის უხილავს, თჳნიერ ამისსა, ესევითარსა კაცისა უვნებლობასა შინა უვნებლად და მშვიდობით დაჭირვა და მოწურთა კაცთა ქედფიცხელობისა და გონება-ურჩობისა"[1]. როგორც ზემოთ მოტანილი ადგილიდან ჩანს, თამარს თითქოს საქართველოში არამც თუ სიკვდილით დასჯა მოუსპია, არამედ სხეულებრივი სასჯელებიც ამოუკვეთია, რომლებიც ადამიანს ასახიჩრებდა და მის ღირსებას ამცირებდა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეპოქის მართლმსაჯულებასა და კანონმდებლობაში ექვთიმე მთაწმინდელმა, ხოლო შემდეგ ეფრემ მცირემ სცადეს გაეტარებინათ ჰუმანურობისა და გონივრული ლმობიერების პრინციპები. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ეფრემ მცირის შეხედულება სასჯელის ისტორიული განვითარების შესახებ, რომელიც მას მოცემული აქვს თავისი ნაშრომის — „თარგმანებაჲ ფსალმუნთა წიგნისაჲს" ცნობილ წინასიტყვაობაში. ეს შეხედულება საინტერესოა იმით, რომ გამოხატავს სასჯელის ნამდვილი ფაქტიური განვითარების გზას და ჰუმანურობას. ეფრემ მცირემ კარგად იცის, რომ სასჯელის დანიშნულება სხვადასხვა ეპოქაში სულ სხვადასხვანაირად ესმოდათ. ეფრემი შესანიშნავად ერკვევა აგრეთვე იმაშიც, რომ კულტურის დაბალ საფეხურზე მყოფ ხალხებში სასჯელი არის შურისძიება, ჩადენილი ბოროტმოქმედებისათვის სამაგიეროს გადახდა, ანუ როგორც თვით ეფრემი ამბობს, იგი არის „ადუღებისა სისხლისასათა ქმნილი განძჳნებაჲ მრისხანებისაჲ"[2]. ეფრემი სრულიადაც არ ეთანხმება შურისძიების სულისკვეთებით ნაკარნახევ სასჯელთა ასეთ სისტემას. მისი შეხედულებით, სასჯელი ასეთ მიზნებს კი არ უნდა ისახავდეს, არამედ იგი მართლმსაჯულებისა და სამართლიანობის დამკვიდრების საქმეს უნდა ემსახურებოდეს. როგორც ეფრემ მცირე გვაუწყებს, სასჯელის მიზანია „მართლმსაჯულებითი იგი მიხდაჲ პატიჟისა"[3]. სასჯელთა სისტემის შესახებ ეფრემ მცირის მიერ გამოთქმული ასეთი შეხედულება უდავო მოწმობაა აღნიშნული ეპოქის ქართული კულტურის განვითარების მაღალი დონისა.

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 34—35.

[2] ეფრემ მცირე, თარგმანებაჲ, ფსალმუნთა წიგნისაჲ-ს შესავალი, ძველი საქართველო, ტ. III, განყ. I, ტფ., 1913—1914, გვ. 258.

[3] იქვე.

§ 6. ხელოვნება (XI—XIII სს.)

XI—XIII საუკუნეები ქართული ხუროთმოძღვრებისა და სახვითი ხელოვნების დიდი ეპოქაა. ამ დროს შეიქმნა საერო და საეკლესიო არქიტექტურის, კედლის მხატვრობის, ხელნაწერთა მორთულობისა და მინიატურების, ოქრომჭანდაკებლობის, დეკორაციული სკულპტურის მრავალი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები. ბევრი მათგანი თავისი მხატვრული ღირებულებით, დასახული ამოცანების სიახლით და სირთულით თამამად შეიძლება მივაკუთვნოთ თავისი დროის მსოფლიო ხელოვნების მოწინავე ნიმუშებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ დროის ხელოვნების ნაწარმოებთა მხოლოდ ნაწილი გადარჩა, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რა მდიდარი იყო ამ მხრივ მაშინდელი საქართველო, რა დიდი ადგილი ეჭირა ხელოვნებას ქვეყნის ცხოვრებაში.

ხ უ რ ო თ მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა. XI საუკუნემ — ქართული ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის ხანამ — შექმნა შუა საუკუნეთა საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი და დიდი ტაძრები, რომლებშიაც განსაკუთრებით მკაფიოდ იჩინა თავი ახალმა სტილისტიკურმა ნიშნებმა. ეს ტაძრებია: ბაგრატის ტაძარი ქუთაისში, მცხეთის საკათალიკოსო საყდარი სვეტიცხოველი, ალავერდის კათედრალი კახეთში, სამთავისისა — ქართლში.

ბ ა გ რ ა ტ ი ს ტ ა ძ ა რ ი ძველი ქართული ხელოვნების ერთ-ერთი უმშვენიერესი ნაწარმოები, მისი ერთი მწვერვალთაგანია. იგი აგებულ იქნა გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის დროს. მემატიანე მოგვითხრობს, რომ მეფემ განსაკუთრებული ზეიმით აკურთხა ახალი ეკლესია, რომელიც თავს დაჰყურებდა მთიდან მაშინდელ დედაქალაქს — ქუთაისს. წარწერის თანახმად, „ოდეს განიმტკიცნა იატაკი, ქრონიკონი იყო 223“ (ციფრები არაბულია), ე. ი როცა იატაკი დააგეს, ტაძრის ძირითადი ნაწილი დაამთავრეს, 1003 წელი იყო. სამხრეთისა და დასავლეთის მდიდრულად მოჩუქურთმებული კარიბჭეებიც XI ს. პირველი ნახევრისაა, მაგრამ ორი-სამი ათეული წლით უფრო გვიანდელი. 1691 წელს ბაგრატის ტაძარი ააფეთქეს ახალციხის მხრიდან შემოჭრილმა თურქებმა — ჩამოიქცა მისი გუმბათი, კამარები; უფრო გვიან, XIX ს. დაინგრა დასავლეთი კარიბჭეც, სხვა ექვტერ-სტოები, მაგრამ ძეგლი დღესაც წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს თავისი უფაქიზესი პროპორციების, ნაწილთა დახვეწილი ურთიერთშეფარდებისა და შესრულების უმაღლესი არტისტიზმის წყალობით. ტაძრის გეგმა, ისევე როგორც ოშკში, ტრიკონქია, მაგრამ აქ ყველა ნაწილი კიდევ უფრო ჰარმონიულადაა ერთმანეთთან შეხამებული. განსაკუთრებულ მრავალფეროვნებასა და სიცხოველეს ანიჭებდა შენობას მისი შვერილი მკლავები, კარიბჭეები, კოშკისებრი მინაშენი დასავლეთის მხარეს. შიგნით, დასავლეთითვე, პატ-

რონიკე იყო, როგორც ჩანს, მეფის ოჯახისათვის. საკუთრივ ტაძრისა და კარიბჭის მორთულობა განვითარების სხვადასხვა საფეხურზე დგას: ტაძრის ჩუქურთმა მსუბუქადაა ნაკვეთი, იგი ფაქიზად, თითქოს ობობას ქსელივით ეფინება კედელს, კარიბჭეებისა — ღრმაა, პლასტიკური, მძლავრი. ფოთლოვანსა და გეომეტრიულ სახეებს აქ (სვეტის თავებში) ფრინველთა და ცხოველთა რელიეფური ფიგურებიც ერთვის. წერილობითი წყაროები მოწმობს, რომ წინათ ტაძარი შიგნით მოზაიკით ყოფილა მორთული.

მ ც ხ ე თ ი ს ს ვ ე ტ ი ც ხ ო ვ ე ლ ი იმ ადგილას დგას, სადაც IV ს. პირველი ქართული ეკლესია აუშენებია მირიან მეფეს წმ. ნინოს მითითებით. იმ ეკლესიისა, კვალის გარდა, აღარაფერი დარჩენილა. მის ნაცვლად უკვე V ს. ვახტანგ გორგასლის დროს, აღმართეს ახალი შენობა, რომელსაც აგრეთვე არ მოუღწევია დღემდე (გაწმენდის შედეგად გამოვლინდა მისი გეგმა და აგრეთვე კონსტრუქციებისა და მორთულობის რამდენიმე ფრაგმენტი). ახლანდელი ტაძარი XI ს. პირველი ნახევრის ნაგებობაა. იგი აშენდა მელქისედეკ ქართლის კათალიკოსის თაოსნობით 1010—1029 წლებში. ხუროთმოძღვარი, როგორც თვით ტაძრის ორი წარწერა მოწმობს, არსუკისძე ყოფილა. ის თამამად შეგვიძლია მივაკუთვნოთ ძველი საქართველოს დიდ შემოქმედთა რიცხვს. XIII ს. სვეტიცხოველი მიწისძვრამ დააზიანა, XIV ს. ბოლოს იგი შეურაცხყვეს და დაზიანეს თემურლენგის შემოსევების დროს; XV ს. პირველ ნახევარში ტაძარი ალექსანდრე I-მა აღადგინა (შიგნით — დასავლეთის ნაწილი, გარედან — პერანგის ცალკეული ნაწილები, აგრეთვე გუმბათის ყელი მთლიანად), შემდეგშიაც (განსაკუთრებით XVII ს.) ზოგი რამ წვრილმანი შეკეთდა. კარიბჭე, რომელიც 1965—1966 წლებში გაწმინდეს და აღადგინეს, XI ს. პირველი ნახევრისაა, თვით ტაძრის თანამედროვეა; ასევე გალავნის ნაწილი სამხრეთ-დასავლეთით; უდიდესი ნაწილი კი უფრო გვიანდელია, ერეკლე II-ის დროინდელი.

დაზიანებათა და შეკეთებათა მიუხედავად, სვეტიცხოველმა შეინარჩუნა თავდაპირველი დიდებულება და ფორმათა დახვეწილობა. ეს ძლიერ წაგრძელებული სწორკუთხა ნაგებობაა, ერთადერთი (საკურთხეველის) აფსიდით. გუმბათი ოთხ უზარმაზარ ბურჯს ეყრდნობა, მისი სიმაღლე 45 მეტრს აღემატება. დასავლეთის მხარეს პატრონიკეა, თავდაპირველად იგი სამმხრივ ეკვროდა დასავლეთის მკლავს, ახლა მხოლოდ ერთ მხარესაა. ფასადთა მორთულობა ყველაზე უკეთ დასავლეთითაა გადარჩენილი: აქ ყურადღებას იპყრობს დიდი სარკმლის გარშემო გაშლილი, პლასტიკურად დამუშავებული ჩუქურთმები და ვაზის მშვენიერი სტილიზებული გამოსახულებანი. როგორც ამ, ისე აღმოსავლეთის ფასადზე (რომელსაც იმ დროისათვის უკვე ტრადიციად ქცეული ხუთთაღიანი კომპოზიცია

აქვს) გაბედულადაა ჩართული წითელ ქვაზე ნაკვეთი ჩუქურთმა — ეს დიდად ზრდის საერთო ფერადოვნებას. შენობის საერთო იერი — საფეხურებად აღმართული მასები, დაქანებული სახურავების სისტემა, მძლავრი კონსტრუქციული თაღები დასავლეთის მკლავისა — დიდად მონუმენტურია. გრანდიოზულია შიდა სივრცეც, თუმცა ძველი მხატვრობის დაღუპვა არღვევს შთაბეჭდილების მთლიანობას. სვეტიცხოველი ძველი საქართველოს ყველაზე დიდი საეკლესიო ნაგებობაა.

ალავერდის კათედრალი (თელავთან) XI ს. პირველი მეოთხედისაა. იგი ენათესავება ქუთაისისა და მცხეთის ტაძრებს. ბაგრატის ტაძრის მსგავსად, ესეც ტრიკონქია, მაგრამ ჯვრის მკლავები აქ საერთო სწორკუთხედის ფარგლებს არ სცილდება. აფსიდები მჭიდროდ ეკვრის ერთმანეთს და მძლავრ გუმბათქვეშა ბურჯებს. მთელ ქართულ ხუროთმოძღვრებაში არ მოიძებნება ისეთი გრანდიოზული შიდა სივრცე, როგორიც ალავერდშია. კახეთის ძეგლებს საერთოდ ახასიათებს დიდი სიმაღლე. ალავერდის ეკლესია კი ყველაზე მაღალია საქართველოში. დასავლეთის მხარეს პატრონიკეა, საიდანაც მთელი შიდა სივრცე განსაკუთრებით გრანდიოზულად წარმოგვიდგება. გარედან აქაც ვხვდებით დეკორაციული თაღების სისტემას, მაგრამ სამკაული არ არის და უზარმაზარი „შიშველი" კედლები, ეს კრისტალივით ნათელი, მკაფიო ფორმები, რომლებიც შეუკავებლად მიისწრაფვის ზეცისაკენ, საკვირველი მონუმენტურობის შთაბეჭდილებას ქმნის.

ალავერდის ტაძარი მთელ ალაზნის ველს ადგას გვირგვინად. იგი შორიდანვე ჩანს თოვლიანი კავკასიონის ფონზე. სვეტიცხოვლის მსგავსად, საუკუნეთა განმავლობაში მასაც ბევრი რამ განუცდია, მაგრამ არსებითად იგი მაინც შეუბღალავად ინარჩუნებს თავდაპირველ სახეს. 1966 წელს დაიწყო ტაძრის შიდა კედლების გაწმენდა. გამოჩნდა ძველი მხატვრობის მნიშვნელოვანი ფრაგმენტები, რომლებიც ახლა შესწავლის პროცესშია[1].

სამთავისის ტაძარი (1030 წელი, მშენებელი — სამთავნელი ეპისკოპოსი ილარიონ, ძე ვაჩე ყანჩაელისა) შესანიშნავია არა მარტო თავისი მაღალი მხატვრული ღირსებით (მსუბუქი, ელეგანტური მასები, ბრწყინვალედ შესრულებული ჩუქურთმები — ამ მხრივ ამ ძეგლს ბევრი ვერ შეედრება), არამედ იმითაც, რომ აქ ევოლუციური თვალსაზრისით

---

[1] ბაგრატის ტაძრის, სვეტიცხოველისა და ალავერდის შესახებ იხ.: გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხუროთმოძღვრება საშუალო საუკუნეებში და მისი სამი მთავარი კათედრალი, არილი, ტფ., 1925, გვ. 107—126; მისივე, Архитектура Кахети, Тб., 1959; მისივე და ნ. სევეროვის Мцхета, М., 1946; Р. Гвердцители, Мцхета, Тб., 1952; ვ. ცინცაძე, ბაგრატის ტაძარი, თბ., 1964; ვახტ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974.

მნიშვნელოვანი ზოგი სიახლე ჩნდება: შენობის სიგრძე შემცირდა, გეგმა უფრო მოკლე და კომპაქტურია, ვიდრე ამის წინ განხილულ ძეგლებში; აღმოსავლეთის ფასადის ხუთთაღოვანმა სისტემამ კიდევ უფრო დეკორაციული სახე მიიღო: მთავარი სარკმლის თავზე გაჩნდა დიდი მოჩუქურთმებული ჯვარი, სარკმლის ქვეშ კი კუთხით დაყენებული მოჩუქურთმებული კვადრატები. თაღებს გამოება დამატებითი სამკაულები. ყველაფერი ეს — თაღები, ჯვარი, სარკმლის საპირე, კვადრატები — ერთ უწყვეტ, არაჩვეულებრივად მოძრავსა და დინამიკურ სურათს ქმნის. როგორც მოკლე გეგმა, ისე აღმოსავლეთის ფასადის ამგვარი დამუშავება XII ს. ძეგლებში განსაკუთრებით ვრცელდება. ამ მხრივ სამთავისი განვითარების მთელი საფეხურის წინამორბედია (ტაძრის გუმბათი და მთელი დასავლეთი მხარე XV საუკუნეშია აღდგენილი ამილახორთა მიერ, ზოგი რამ XIX საუკუნეშიაც არის შეკეთებული).

XI ს. ხუროთმოძღვრების მთელი სიმდიდრე რომ წარმოვიდგინოთ, კიდევ ბევრი ძეგლის განხილვა დაგვჭირდება. აქ შეიძლება მხოლოდ ჩამოვთვალოთ ეს ძეგლები: იშხანის ტაძარი, რომელიც ხუროთმოძღვარმა ივანე მორჩაისძემ საფუძვლიანად გადააკეთა და უმდიდრესი ჩუქურთმებით შეამკო; მანგლისის ტაძარი—ესეც XI ს. გაფართოებული და გადაკეთებული; სამთავროს კათედრალი მცხეთაშივე; ნიკორწმინდის ცნობილი ტაძარი — ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლი რაჭისა და ერთი უმდიდრესთაგანი საქართველოში ჩუქურთმებისა და რელიეფური შემკულობის მხრივ (1010—1014 წლები); ერთნავიანი ეკლესიები: ხცისი (ხაშურთან, 1002 წ.), ფოკა ჯავახეთში, სავანე (საჩხერესთან, 1046 წ., ხუროთმოძღვარი ჰარაბაძე), ქორეთი, ეხვევი (სამივე მდინარე ყვირილის ხეობაშია) და ბევრი სხვა. საერთო სურათს ავსებს თაბაშირისა და ქვის მოჩუქურთმებული და რელიეფებით მორთული კანკელები, რომლებიც ეკლესიების შიდა სივრცის ორგანულ ნაწილს შეადგენდა (კანკელი ეწოდება სვეტებითა და თაღებით აღჭურვილ ტიხარს, რომელიც საკურთხეველს ეკლესიის ნავისაგან ყოფს). საუკეთესო ნიმუშებია სპეთის კანკელი (სპეთი სოფელია ყვირილის ხეობაში), საფარის, ატენის, ხოვლესა და შიომღვიმის კანკელთა ფრაგმენტები.

XII ს. პირველი ნახევრის ძეგლთაგან ყველაზე ღირსშესანიშნავია გელათის მონასტრის დიდი ტაძარი. 1106 წელს დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებული მონასტერი XII—XIII სს. მანძილზე იზრდებოდა. იგი დიდ ხუროთმოძღვრულ ანსამბლად გადაიქცა: ღვთისმშობლის სახელობის დიდი ტაძრის გარდა, აქ წმ. გიორგის ეკლესია, წმ. ნიკოლოზის პატარა ორსართულიანი ეკლესია, სამრეკლო და აკადემიის შენობა აშენდა. მთავარ ტაძარს დასავლეთით, სამხრეთითა და ჩრდილოეთით დიდი სტოები ეკვრის, აღმოსავლეთით კი სამი შვერილი აფსიდი აქვს. ეს ძალიან

ამდიდრებს გარეგან მასებს, შენობა განსაკუთრებულ პლასტიკურობას იძენს. ფასადთა მორთულობის საფუძველს აქაც დეკორაციული თაღები შეადგენს, მაგრამ ჩუქურთმა ცოტაა, შესაძლებელია, ძეგლის მორთვა დაუმთავრებელი დარჩათ. თავისებურია შიდა სივრცე — ძალიან ფართო, ჰაერითა და შუქით სავსე; გუმბათის ყელის სარკმელთა გარდა, მას დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედელთა უზარმაზარი სარკმლები ანათებს.

გელათის ტაძარს ვერ წარმოვიდგენთ მისი მოხატულობის გარეშე. შიგ შემსვლელის თვალს მაშინვე იტაცებს საკურთხევლის მოზაიკა: ღვთისმშობელი ყრმით და ორი მთავარანგელოზით. კედელ-კამარებიც მოხატულია, მაგრამ მხატვრობა სულ სხვადასხვა დროისაა — XII საუკუნიდან დაწყებული XVIII საუკუნემდე. წმ. გიორგის ეკლესია შემცირებული ზომით იმეორებს დიდი ტაძრის ფორმებს. სამრეკლო XIII საუკუნისაა და ერთი უძველესთაგანია საქართველოში[1].

XII ს. შუა წლების ძეგლთაგან საყურადღებოა დავით აღმაშენებლის ასულის თამარის მიერ აგებული თ ი ღ ვ ი ს (ახლ. ზნაურის რაიონი) გუმბათოვანი ეკლესია და ს ა ო რ ბ ი ს ი ს პატარა სამლოცველო (თეძმის ხეობაში) მშვენივრად მოჩუქურთმებული სარკმლით — ორივე 1152 წლისა.

XII ს. ბოლო მეოთხედსა და XIII ს. პირველ ნახევარს მიეკუთვნება აღმოსავლეთ საქართველოს გუმბათოვან ტაძართა დიდი ჯგუფი, რომელიც ფრიად თვალსაჩინო მხატვრული ღირსებებით გამოირჩევა. სტილისტიკურად ეს ძეგლები XI ს. შენობებს უახლოვდება, მაგრამ ზომით ყველა უფრო მცირეა. მათი მშენებლები, ჩვეულებრივ, ამქვეყნიური შფოთიანი ცხოვრების ხმაურს გარიდებული, ხშირად ბერად აღკვეცილი ფეოდალები იყვნენ. ყველა ეს ეკლესია ტყიანი ხეობების სიღრმეში, დასახლებული ცენტრებისაგან დაშორებით მდებარეობს და ბევრად უფრო ინტიმურ შთაბეჭდილებას ტოვებს, ვიდრე წინა საუკუნის გრანდიოზული საეპისკოპოსო ტაძრები. მათი გეგმა კვადრატს უახლოვდება, გუმბათი ოთხ ბოძზე კი აღარაა დაბჯენილი, არამედ ორ ბოძსა და საკურთხევლის კედლების შვერილებზე; ფასადებზე თანდათანობით ქრება წინანდელი დეკორაციული თაღები. ეფექტი ემყარება გლუვი კედლის კონტრასტულ დაპირისპირებას ძლიერ ინტენსიურად მოჩუქურთმებულ სარკმელთა საპირეებთან. გუმბათის ყელი მჭიდროდ მიჯრილი სარკმლების წყალობით ერთიან მოჩუქურთმებულ ზედაპირადაა ქცეული. იცვლება შენობის პროპორციებიც: გუმბათის ყელის სიმაღლე შენობის ქვედატანთან შეფარდებით ძლიერ აზიდულია, რის გამოც შეხამება ძალიან გამახვილებულია. ძეგლთა ამ ჯგუფში დეკორაციულობა, რაფინირება მწვერვალს აღწევს.

[1] იხ. ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, გელათი, თბ., 1955; Р. М е л и с а ш в и л и, Гелати, Тб., 1966.

ოსტატობა ძალიან მაღალ დონეზეა, მაგრამ აქა-იქ უკვე თავს იჩენს ჩუქურთმის ერთგვარი სიმშრალე, თითქოს მოდუნებაც.

ამ ჯგუფის ყველაზე უკეთესი ნიმუშებია იკორთის (1172 წ., სოფ. შეჯვრისხევის ახლოს, ქართლში), ბეთანიის (ვერეს ხეობაში), ქვათახევის (კავთურის ხეობაში) ეკლესიები XII—XIII სს. მიჯნისა; ფიტარეთის (თეთრი წყაროს რაიონში) ეკლესია, რომელიც განსაკუთრებული ბრწყინვალებითაა მოჩუქურთმებული, წუღრუღაშენი (ბოლნისის რაიონში), დმანისის კარიბჭე — სამივე ლაშა გიორგის დროისა; XIII ს. პირველი ნახევრის ძეგლები: კაბენი (კოჯორთან, ჭღარ არსებობს), ერთაწმინდა (ქართლში, თეძმის ხეობაში), ახტალა (ახლა სომხეთის ფარგლებშია); აგურით ნაშენი ორი გუმბათიანი ტაძარი, რომლებიც, ბუნებრივია, მოკლებულია ჩუქურთმებს, მაგრამ თავისი აღნაგობით ამავე ჯგუფს მიეკუთვნება — ტიმოთესუბანი (ბორჯომის რაიონი, გუჯარულას ხეობა) და ყინწვისი — ძამის ხეობაში ქარელს ზემოთ (აგურის ეკლესიები იმ დროს გამონაკლისს შეადგენს). ამ ძეგლებს ემხრობა ერთნავიანი ეკლესიებიც: ე. წ. ლამაზისაყდარი ხრამის ხეობაში (მის წარწერაში თამარ მეფე და დავით სოსლანი არიან მოხსენიებული), მაღალაანთ ეკლესია (სოფ. წინარეხს ზემოთ კავთურის ხეობაში, XII—XIII სს. მიჯნა), კაზრეთი (ბოლნისის რაიონი, XIII ს. პირველი მეოთხედი), რუსუდან დედოფლის დროინდელი გუდარეხის მონასტრის ეკლესია (თეთრი წყაროს რაიონი). თამარ მეფის დროინდელია თბილისის ლურჯი მონასტერიც, მაგრამ დროთა განმავლობაში იგი იმდენად დაზიანდა, ხოლო XIX ს-ში ისე დაამახინჯეს, რომ თავდაპირველი შენობის ფრაგმენტებიღა გადარჩა. ამ ჯგუფის საუკეთესო ძეგლები — იკორთა, ბეთანია, ქვათახევი, მაღალაანთ ეკლესია, განსაკუთრებით ფიტარეთი — ხუროთმოძღვართა მკაფიო ინდივიდუალური ნიჭის, მხატვრული ალღოს, მომწიფებული ოსტატობის კვალს ატარებს.

იმდროინდელი ქართული ხუროთმოძღვრების სურათი სრული არ იქნება, თუ არ მოვიხსენიეთ კლდეში ნაკვეთი დიდი სამონასტრო ანსამბლები — დავით-გარეჯი და ვარძია. პირველი ამათგანი, დავით გარეჯელის მიერ დაარსებული, არსებობდა და ვითარდებოდა შუა საუკუნეთა მთელ მანძილზე. დავით-გარეჯი მდებარეობს თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 60—70 კმ-ის დაშორებით, უდაბურ ადგილს. მისი შენობები დიდ ტერიტორიაზეა გაფანტული. არსებითად, აქ რამდენიმე მონასტერია — დავითის ლავრა, ბერთუბანი, უდაბნო, ნათლისმცემელი, ჩიჩხიტური და სხვ. კლდეში გამოკვეთილია რამდენიმე ასეული სენაკი, სატრაპეზო, ეკლესია, სამლოცველო. ბევრი მათგანი მოხატულია და შემკულია მოჩუქურთმებული კანკელებით (უმეტესობა უფ-

რო გვიანდელია) — ეს მთელი მცირე სამყაროა, რომელშიაც ხელოვნების მრავალი დარგია წარმოდგენილი.

ვ ა რ ძ ი ა მდებარეობს მტკვრის მარცხენა ნაპირას, ასპინძიდან 30-ოდე კმ-ის მანძილზე, სამცხისა და ჯავახეთის მიჯნაზე, ისტორიული ძეგლებით მდიდარ კუთხეში. ეს ქალაქი-მონასტერი დაწყებული გიორგი III-ისა და დამთავრებული თამარ მეფის მიერ, შვეულ კლდეშია ნაკვეთი. სენაკების რაოდენობა აქაც რამდენიმე ასეულს აღწევს; ისინი მრავალ სართულად არიან განლაგებული, სიგრძეზე კი რამდენიმე ასეული მეტრი უჭირავთ. სართულები და სადგომთა ცალკეული კომპლექსები კლდეშივე ნაკვეთი გასასვლელებით უკავშირდება ერთმანეთს. გათვალისწინებული იყო მტრისაგან ხანგრძლივი თავდაცვა. მონასტერი უზრუნველყოფილი იყო სასმელი და სარწყავი წყლით (გამოყვანილი იყო წყალსადენი), სენაკების გარდა აქ სამეურნეო დანიშნულების სადგომებიც არსებობდა. მთავარი კი დიდი გამოქვაბული ეკლესიაა, ერთიანად მოხატული (აქაა თამარ მეფის უადრესი პორტრეტი, აგრეთვე გიორგი III-ის პორტრეტი)[1].

ვარძიის მახლობლად მეორე მთაშია გამოკვეთილი „ვ ა ჰ ა ნ ი ს ქ ვ ა ბ ე ბ ი", ანუ „ვ ა ნ ი ს ქ ვ ა ბ ე ბ ი" — ესეც მაშინდელი მონასტერია. ჯავახეთში დარჩენილია კლდეში ნაკვეთი სხვა კომპლექსებიც. მაგ., ს ა მ ს ა რ ი ს გამოქვაბულები, რომლებიც ჯერ კიდევ შეუსწავლელია.

საერო ნაგებობათაგან, უპირველეს ყოვლისა, მოსახსენებელია გელათის აკადემიის შენობა (XII ს. მონასტრის ანსამბლში). იგი ერთსართულიანია, შედგება დიდი საკრებულო დარბაზისა და ორი შესასვლელი კარიბჭისაგან: ერთი, დაბალ ბოძებზე დაყრდნობილი, მონასტრის ეზოსკენაა მიმართული, მეორე — ფერდისკენ[2].

განვითარებული შუა საუკუნეების ხანის უმნიშვნელოვანესი გადარჩენილი სასახლეა გ ე გ უ თ ი ს ე. წ. ც ი ხ ე-დ ა რ ბ ა ზ ი ქუთაისის მახლობლად. მისი ზოგი ნაწილი XII ს. მიეკუთვნება, ზოგი უფრო ძველია. თავდაპირველად აქ ერთი ბუხრიანი ოთახი იყო — მეფის „სანადირო სახლი". დიდი დარბაზი აგურითაა ნაშენი, მაგრამ თლილი ქვის მაღალ (დაახლ. 3-მეტრიან) კვარცხლბეკზე დგას. მისი შუა ნაწილი დიდი გუმბათით იყო გადახურული, გუმბათის ოთხ მხარეს კი დარბაზს თითო ღრმა კამაროვანი უბე („ლივანი") ჰქონდა. მთლიანად დარბაზი დიდ ჯვრისებრ სივრცეს ქმნიდა; მისი სიგრძე-სიგანე 64×43 მ, სიმაღლე 20 მ, ასე რომ, აბსოლუტური ზომები საკმაოდ მნიშვნელოვანია. ეს აუდიენციების (სა-

---

[1] ვარძიის შესახებ გამოქვეყნებულია ც. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ს, კ. მ ე ლ ი თ ა უ რ ი ს ა და გ. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი ს წიგნები.

[2] გელათის აკადემიის შესახებ იხ. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გელათის აკადემია, რ. მ ე ფ ი ს ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი.

ზეიმო მიღებათა) დარბაზი იყო. უეჭველია, უმთავრესი სამეფო სასახლეები დედაქალაქებში — ჯერ ქუთაისში, შემდეგ თბილისში (ისანში, მეტეხის ეკლესიის გვერდით) — კიდევ უფრო დიდი იქნებოდა. წერილობითი ცნობების თანახმად, შიგნით მათი კედლები მოხატული იყო სხვადასხვა ისტორიული კომპოზიციით.

საქალაქო შენობების ნაშთები აღმოჩენილია დმანისის, სამშვილდის, რუსთავის ნაქალაქარებში, გუდარეხის ნამონასტრალში. მათი უმეტესობა იმდენად დანგრეულია, რომ წმინდა არქეოლოგიური აღწერის გარდა, ბევრი აღარაფერი ხერხდება. სადაც კი საკუთრივ „არქიტექტურა" ასე თუ ისე შერჩენილია, ჩანს, რომ ფორმები, ტექნიკა, მორთულობა თავისი ხასიათით საეკლესიო შენობებისას უახლოვდება — სტილი საერთოა, მათ განასხვავებს ნაგებობათა ფუნქციური სხვაობა, რაც იწვევს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებულ გეგმასა და მასებს.

ეპოქის საერთო ხუროთმოძღვრების საინტერესო ნიმუშია სვეტიცხოვლის ძველი კარიბჭე, რომელიც 1964 — 1966 წლებში გაიწმინდა და აღდგა თავდაპირველი სახით. ეს მშვენიერი ნაგებობა — დიდი შესასვლელი თაღით, მეორე სართულის თაღოვანივე სარკმლებით, კედლის სვეტებითა და სკულპტურული დეკორით — აგრეთვე მელქისედეკ კათალიკოსის თაოსნობით აშენდა (ამას მოგვითხრობს ფასადის წარწერა), ალბათ ტაძრის დამთავრებისთანავე. შესაძლებელია მის შექმნაში, მისი პროექტის შედგენაში მაინც, თვით არსუკისძესაც მიუძღოდეს ღვაწლი.

საინჟინრო ნაგებობათაგან მნიშვნელოვანია სხალტბა-შიომღვიმის წყალსადენი თამარის დროისა, ბესლეთისა და დონდალოს ხიდები (პირველი — სოხუმთან, მეორე — აჭარაში) XI — XII საუკუნეებისა.

დიდი ყურადღება ექცეოდა ციხესიმაგრეთა მშენებლობას. სიმაგრეების განლაგება შემუშავებულ სისტემას ექვემდებარებოდა: ისინი იცავდნენ უმთავრეს გზებს, ხეობებს, ქალაქებს. ყოველი მათგანი საინჟინრო ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშია. საკმარისია გავიხსენოთ მათი მდებარეობა თითქმის ყოველთვის მიუვალ კლდეებზე. ძნელი იყო ასეთ ადგილას მასალის მიზიდვაც და შენებაც. მდებარეობის გამო ციხეები მოკლებულია წესიერ გეომეტრიულ მოხაზულობას. ამ ციხეებს, რომლებიც ცეცხლისმფრქვევი იარაღის შემოსვლამდე შენდებოდა, არა აქვს სათოფურები, მათი კოშკები თითქმის არასოდეს არ არის გამოშვერილი საერთო კონტურის გარეთ, რადგანაც მაშინ ჯერ კიდევ არ იყო დასმული ფლანკირების (საკუთარი კედლების გასწვრივი ცეცხლით დაცვის) საკითხი. საშენ მასალად უმეტესად ხმარობდნენ წესიერი ფორმის, თუმცა არც მაინცდამაინც სუფთად გათლილ ქვას. ამ ციხეთა მხატვრული ეფექტი

უმეტესად ემყარება შენობის დაკავშირებას მთასთან, კლდესთან; ციხე ისეა შეზრდილი მათთან (ზოგჯერ სრულიად შვეულ კლდეებთანაც კი), რომ ხშირად ძნელი გასარჩევიც კია ბუნებრივი კლდისა და კედლის მიჯნა. თვით კედლებიც მძლავრი და მონუმენტურია.

ნიმუშებად შეგვიძლია დავასახელოთ სამცხის ციხეები: ხ ე რ თ ვ ი ს ი, ა წ ყ უ რ ი, ო ქ რ ო ს ც ი ხ ე, ციხე-ქალაქი თ მ ო გ ვ ი და სხვ.

ს ა ხ ვ ი თ ი ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა. XI საუკუნიდან, როცა ისახება და სწრაფად ვითარდება საერო მწერლობა, ძლიერდება ინტერესი რეალური, მიწიერი, ხორცშესხმული ადამიანისადმი, პლასტიკაშიც ჩნდება ინტერესი რეალურად გადმოცემული, სწორი პროპორციებისა და ნამდვილი მოცულობის მქონე ადამიანის ფიგურის მიმართ, ისახება სკულპტურულობა. ამ თვალსაზრისით განვითარების მწვერვალს სწორედ XI ს. პირველი ნახევარი შეადგენს, თუმცა, რასაკვირველია, ჩვენში მაშინ ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული პირობები, რომ სახვითი ხელოვნება ნამდვილი რეალიზმის (რენესანსული რეალიზმის) დონეზე ასულიყო.

XI ს. შემდეგ ეს ინტერესი ქანდაკებისადმი ცხრება. რელიეფების რაოდენობა ეკლესიების ფასადებზე მკვეთრად კლებულობს, ოქრომჭედლობაში კი (ხატებზე, წიგნების ყდებზე, ჯვრებზე) XII ს. პირველ პლანზე დეკორაციული ამოცანები გამოდის.

საფასადო სკულპტურის ყველაზე განვითარებული და მნიშვნელოვანი ნიმუშია ნიკორწმინდის რელიეფები XI ს. დასაწყისისა. ეს სიუჟეტიანი რელიეფებია, რომლებიც საღმრთო წერილის სხვადასხვა სიმბოლურ სცენებს გვიხატავს (ფერისცვალება, მეორედ მოსვლა, ტახტზე მჯდომი ქრისტე და სხვ.), აგრეთვე ცალკეულ წმინდანებსაც. რელიეფები მოთავსებულია ფასადთა ფრონტონებზე, შესასვლელების ზემოთ თაღოვან არეებში და სრულიად კანონზომიერადაა ჩართული ფასადთა საერთო დეკორაციულ სისტემაში. იმავე დროს, შინაარსით განზოგადებულ საღვთისმეტყველო იდეას გადმოგვცემს — ქრისტეს დიდების იდეას; გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი ცხოველთა ფიგურებსაც — ზოგი მათგანი სიმბოლურ-ალეგორიული დანიშნულებისაა, ბევრი წარმოშობით უძველეს ხალხურ რწმენასთანაცაა დაკავშირებული. შესრულების მხრივ ყველა რელიეფი ერთნაირი არ არის; გვხვდება სიბრტყობრივი, დეკორაციულ-მონუმენტური სცენებიც და ისეთი ფიგურებიც (განსაკუთრებით შესასვლელების თავზე), სადაც თითქოს უკვე ჩნდება ინტერესი მოცულობისა და ბუნებრივი მოძრაობის გადმოცემისა.

XI ს. ახალი ტენდენციების საუკეთესო ნიმუშია საფარიდან ჩამოტანილი ქვის კანკელის ფრაგმენტები „ხარებისა“ და „ელისაბედისა და მარიამის შეხვედრის“ სცენებით — ნამდვილი შედევრი შუა საუკუნეების ქართული პლასტიკისა.

ოქრომქანდაკებლობის განვითარების საფეხურებს[1] X—XI სს. გვიჩვენებს 973 წლის ჯვარი იშხნიდან, დავით კურაპალატისათვის შესანიშნავი ოსტატის „ასათ მოქმედის“ მიერ შესრულებული, ბედიის ოქროს ბარძიმი 999 წლისა, ლომზე მჯდომი წმ. მამაის ვერცხლის რელიეფი გელათიდან, ღვთისმშობლის დიდი ხატი ცაგერიდან, ლაკლაკიძეთა ხატი — ყველა XI საუკუნისა. ლაკლაკიძეთა ხატს განსაკუთრებით საინტერესო ჩარჩო აქვს: აქ გამოსახულია ე. წ. „ათორმეტი საუფლო დღესასწაული“. მათი კომპოზიციები და განლაგება მოწმობს, რომ უცნობ ოსტატს ხატის მთელი დაფა, ყველა გამოსახულება გააზრებული ჰქონდა ურთიერთკავშირში, როგორც მთლიანი ნაწარმოები. ბევრი მშვენიერი ხატი შემოგვინახა სვანეთმა, რომელიც საერთოდ ძველი ქართული ხელოვნების ნამდვილი საგანძურია. გარდა ფიგურული გამოსახულებისა, XI ს. ოქრომჭედლობის თითქმის ყველა ნაწარმოები ინტერესს იწვევს ოსტატურად შესრულებული ჩუქურთმებით, რომლებიც ამკობს ჩარჩოებსა და ფონს. მათი მოტივები მრავალფეროვანია, ზედაპირის დამუშავების ხასიათი მრავალგვარი, რაც საშუალებას აძლევს ოსტატს საჭიროებისამებრ დაუპირისპიროს ერთმანეთს ნაწარმოების ცალკეული ნაწილები, ხაზი გაუსვას ზოგ მათგანს, უკეთ გამოამჟღავნოს თვით ფიგურები.

XII ს. ხატებში, როგორც ითქვა, ორნამენტის სიმდიდრე მთავარ მხატვრულ საშუალებად იქცევა. ამის საუკეთესო მაგალითია ხახულის ხატი გელათის მონასტრიდან, შუა საუკუნეთა მსოფლიო ოქრომჭედლობის ერთი ყველაზე საკვირველი ნაწარმოებთაგანი, შესრულებული საუკუნის პირველ ნახევარში. ესაა კარედი ჩარჩო ღვთისმშობლის მინანქრის ხატისათვის; გაშლილი კარედი სიგანით ორ მეტრს აღემატება. მისი ზედაპირი ერთიანად დაფარულია არაჩვეულებრივად მდიდარი ორნამენტაციით, რომელიც, მიუხედავად სირთულისა, სიმრავლისა და ინტენსივობისა, მკაფიო კომპოზიციურ სქემას ემორჩილება. ხატი უხვადაა შემკული აგრეთვე ძვირფასი ქვებითა და მინანქრებით — მათი განთავსებაც წინასწარვე იყო გათვალისწინებული და მოფიქრებული. საუკუნეთა მანძილზე ეს სახელგანთქმული ხატი გელათის ტაძარს ამკობდა. ახლა იგი თბილისშია, ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში (თვით მინანქრის ხატი მხოლოდ ფრაგმენტულადაა გადარჩენილი).

XII ს. მიწურულში, თამარ მეფის დროს, მოღვაწეობდნენ ბეშქენ და ბექა ოპიზარნი. პირველის შესრულებულია ბერთის სახარების ყდა (ჯვარცმისა და ვედრების სცენებით), მეორისა — წყაროსთავის სახარების ყდა (იგივე სცენები) და ანჩისხატის მოჭედილობა (ღვთის-

---

[1] ძირითადი ნაშრომი ქართული ოქრომჭედლობის შესახებ არის გ. ჩუბინაშვილის „ქართული ოქრომჭედლობა“, ალბომი შესავალი ტექსტით, თბ., 1958, და მისივე დიდი გამოკვლევა «Грузинское чеканное искусство», Тб., 1959.

მშობლის, იოანე ნათლისმცემლისა და სხვა წმინდანების ფიგურებით და ორნამენტული არშიებით). ამ ორი ოსტატის შემოქმედება უკანასკნელი ფურცელია ქართული ოქრომქანდაკებლობის დიდი ეპოქისა. შემდეგი დროის ნამუშევრები მხატვრული თვალსაზრისით უკვე თვალსაჩინო დაქვეითებას გვიჩვენებს.

განვითარებული შუა საუკუნეების ხანის ქართულ მონუმენტურ მხატვრობაში ორი საფეხური შეიძლება გამოიყოს. თუ მანამდე საქართველოს მჭიდრო კავშირი ჰქონდა სირიისა და პალესტინის კულტურულ ცენტრებთან. ახლა, რაკი ამათ წინანდელი მნიშვნელობა დაკარგეს, წინა პლანზე გამოდის საკუთრივ ბიზანტიურ ცენტრებთან ურთიერთობა. საღვთისმეტყველო და ესთეტიკური პროგრამა, როგორც ითქვა, უმთავრესად შეთვისებული იყო ბიზანტიისაგან, რომელსაც ამ მხრივ უპირველესი ადგილი ეჭირა. ამ ხანას მიეკუთვნება ეკლესიათა მთლიანი მოხატულობის პირველი ნიმუშები.

პირველ საფეხურზე, რომელიც XI—XII საუკუნეებს მოიცავს, დამახასიათებელია მოხატულობის მკაცრი მონუმენტურობა. მოხატულობა ჰარმონიულად ეთანხმება ინტერიერის ხუროთმოძღვრულ დანაწევრებას, სცენებისა და ცალკეულ გამოსახულებათა რაოდენობა განსაზღვრულია, სამაგიეროდ დიდია მათი ზომები, მონუმენტური ხასიათისაა თვით სცენების აგებულებაც. იცვლება ფიგურის გადმოცემის ხასიათიც: პროპორციები უფრო სწორია, მოძრაობა ნაკლებ მკვეთრი და უფრო ბუნებრივი, უფრო დახვეწილია სახის მოდელირება, სახეები ძლიერი და მეტყველია.

ამ დროს საქართველოში ფერწერის რამდენიმე ადგილობრივი სკოლა შეიძლება გამოიყოს. მათ შორის პრინციპული იდეურ-სტილისტური განსხვავება არ არის, მაგრამ მაინც ზოგი რამ განსხვავებული შეინიშნება ნახატისა და კოლორიტის მხრივ. გასათვალისწინებელია ერთგვარი სოციალური დიფერენციაციაც: მაღალპროფესიული, უმაღლესი საზოგადოების გემოვნებისა და მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი, „არისტოკრატიული" მხატვრობის გვერდით ვხვდებით ხალხური შემოქმედების ნაკადსაც, რომლის ნიმუშებიც მიმზიდველია თავისი უშუალო ექსპრესიულობით.

ერთი მნიშვნელოვანი სკოლათაგანი, რომლის ძეგლებიც განსაკუთრებით საზეიმო-მონუმენტური ხასიათისაა, ტაო-კლარჯეთში ჩამოყალიბდა (ოთხთა-ეკლესიის, იშხნის, ხახულის, ოშკის, ტბეთის ფრესკები). სულ სხვანაირია თავისი ხასიათითა და განწყობილებით დავით-გარეჯის მონასტრების მხატვრობა. აქ დიდი ადგილი უჭირავს დავით გარეჯელის ცხოვრების ორიგინალურ ციკლს. საყოფაცხოვრებო ხასიათის თხრობას ასკეტური ცხოვრების სცენებში ერთგვარი საერო და თითქოს ინტიმური იერი შეაქვს. მხატვრობა მცირე გა-

მოქვაბულებს ამკობს, სცენები შედარებით ნაკლებ მონუმენტურია, ნაკლებ საზეიმო, მათი ფერადოვნება — ხალისიანი.

საინტერესო სამხატვრო სკოლა შემუშავდა სვანეთსა და რაჭაში. სვანეთის პატარა ერთნავიანი ეკლესიების მოხატულობას თავისებური იკონოგრაფია ახასიათებს. მაგ., ძალიან გავრცელებულია წმინდა მხედრების — გიორგის, თევდორეს — გამოსახულებები (მათი კულტი სვანეთში დიდად ფესვგადგმული იყო); მათ თითქმის ყოველ ეკლესიაში ვხვდებით. შესრულების ხაზოვანი მანერა, ზომიერი ფერადოვნება, რაც საერთოდ ახასიათებს მაშინდელ ქართულ მხატვრობას, სვანეთში განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს. სვანეთმა შემოგვინახა „მეფის მხატვრის თევდორეს" სახელი — მის მიერ შესრულებულია სამი დათარიღებული ძეგლი (ეს ერთადერთი შემთხვევაა, რომ ჩვენ შუა საუკუნეთა ქართველი მხატვრის რამდენსამე ნაწარმოებს ვიცნობდეთ). ეს ძეგლებია: ი ფ რ ა რ ი ს „თ ა რ ნ გ ზ ე ლ ი" (1096 წ.), კ ვ ი რ ი კ ე ს ა და ი ვ ლ ი ტ ე ს ე კ ლ ე ს ი ა კ ა ლ ა შ ი (1112 წ.), წმ. გიორგისა—ნ ა კ ი ფ ა რ შ ი. დაწვრილებითი განხილვის დროს შესაძლებელი ხდება თვით მხატვრის ევოლუციის დანახვა — იფრარის მკაცრი მონუმენტური სტატიკური კომპოზიციიდან და ნახატიდან — ნაკიფარის მეტ დინამიკურობასა და დეკორაციულობამდე. XII ს. პირველ ნახევარში სვანეთშივე მუშაობდა მხატვარი მიქაელ მაღლაკელი, რომელმაც 1140 წელს მოხატა მ ა ცხ ვ ა რ ი შ ი ს ეკლესია. ყველაზე უფრო საინტერესო აქ ჯგუფური პორტრეტია—სვანი ფეოდალების მიერ მეფე დემეტრე I-სათვის ხმლის შებმა, რაც სიმბოლურად გამოხატავს მეფედ კურთხევას. მნიშვნელოვანია რაჭის სოფ. ზ ე მ ო კ რ ი ხ ი ს ეკლესიის მხატვრობა (XI ს.), აქაც საინტერესო პორტრეტებია ადგილობრივი ფეოდალებისა.

საქართველოს გაერთიანების შემდეგ ხელმძღვანელ როლს ისაკუთრებს დედაქალაქისა და უმთავრესი ცენტრების სკოლები.

XI ს. ქართული მონუმენტური მხატვრობის ერთი ყველაზე შესანიშნავი ძეგლთაგანია ა ტ ე ნ ი ს სიონის მოხატულობა, შესრულებული 60-იან წლებში. ყველაფერი — სცენების განლაგება კედელ-კამარებზე, კომპოზიციური დახვეწილობა, არაჩვეულებრივად ელასტიკური, მეტყველი ნახატი, მდიდარი, თუმცა თავშეკავებული კოლორიტი (მოცისფრო-ვერცხლისფერ-მომწვანო, შეხამებული წითელ სოსანისფერთან და სხვ.), საკვირველი შინაგანი ძალით აღბეჭდილი სახეები მოწმობს, რომ აქ საქმე გვაქვს დიდი ხელოვანის შემოქმედებასთან.

შუა საუკუნეების მონუმენტური მხატვრობის ნამდვილი მუზეუმია გელათის დიდი ტაძარი. გვიანდელ ფრესკებთან ერთად აქ დარჩენილია XII ს. შესანიშნავი მოზაიკა, რომელიც საკურთხევლის კონქს ამკობს (ღვთისმშობელი ყრმით და ორი მთავარანგელოზი), XII ს. ფრესკებია

დასავლეთის მინაშენში — შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრების სცენებით.

მეორე საფეხური განვითარებული შუა საუკუნეთა ხანის მხატვრობისა XII — XIII სს. მიჯნასა და XIII ს. პირველ ნახევარს სწვდება. დამახასიათებელია კომპოზიციის მეტი დეკორაციულობა და დინამიკურობა, დიდი ადგილი უჭირავს არქიტექტურულ ფონს, საუკეთესო ძეგლებში ნახატის დახვეწილობა და ფერების შეხამება უმაღლესი ოსტატობის დონეზეა. ამ დროის უმნიშვნელოვანესი ძეგლებია — ვ ა რ ძ ი ი ს, ბ ე თ ა ნ ი ი ს, ყ ი ნ წ ვ ი ს ი ს, ბ ე რ თ უ ბ ნ ი ს, ა ხ ტ ა ლ ი ს ფ რ ე ს კ ე ბ ი. ჩვეულებრივი სარწმუნოებრივი სიუჟეტებისა და წმინდანთა სურათების გარდა, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ისტორიულ პირთა პორტრეტები, კერძოდ, თამარ მეფის ოთხი პორტრეტი, შესრულებული მისსავე სიცოცხლეში. უადრესი — ვარძიის გამოქვაბულ ეკლესიაშია (1181—1184 წლები): ახალგაზრდა, ჯერ კიდევ გაუთხოვარი თამარის წინ აქ მამამისი გიორგი III დგას. ბეთანიასა და ყინწვისში თამარისა და გიორგი III-ის გარდა ჭაბუკი გიორგი ლაშაცაა, ბერთუბანში კი (ეს ყველაზე გვიანდელია) მხოლოდ თამარი ძითურთ.

იმდროინდელ მხატვრობაში ჩვენ ხშირად ვხვდებით ღრმა ადამიანურობისა და ლირიზმის გადმოცემასაც კი. დაუვიწყარია ამ მხრივ, მაგალითად, ანგელოზის ფიგურა ყინწვისში („აღდგომის" სცენიდან). ქართული მხატვრობა მიადგა იმ ამოცანათა მიჯნას, რომელთაც იტალიური აღორძინების ხელოვნება ისახავდა თავის პირველ საფეხურზე. მაგრამ ამ მონაპოვართა შემდგომი განვითარებისათვის, შექმნილი ისტორიული ვითარების წყალობით, საქართველოში აღარ არსებობდა სათანადო წანამძღვრები.

განვითარებული შუა საუკუნეების ხანის ხელოვნებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ხელნაწერი წიგნის გაფორმებას, ფურცლის სამკაულებსა და მინიატურებს. იმ ხანამ დაგვიტოვა ამ დარგის ყველაზე მნიშვნელოვანი ნიმუშები. წიგნზე დიდი მოთხოვნილება, რომელიც მაშინ არსებობდა, ქართული კულტურის მაღალი დონის უპირველესი მაჩვენებელია. უამრავი ქართული წიგნი მზადდებოდა როგორც თვით საქართველოს მიწა-წყალზე მდებარე მონასტრებში (დიდი როლი მიუძღვის ამ მხრივ ტაო-კლარჯეთის სავანეებს), ისე უცხოეთის ქართულ მონასტრებშიც — ათონის მთაზე, სინას მთაზე, პალესტინაში.

არსებობდა „მწერალთა" და მინიატურისტთა მთელი დინასტიები, მოღვაწეობდნენ კალიგრაფიისა და ნახატის შესანიშნავი ოსტატები, რომელთა ნამუშევრები შუა საუკუნეების საუკეთესო აღმოსავლურ და დასავლურ წიგნთა შორისაა მოსახსენებელი.

წინა ხანასთან შედარებით, ხელნაწერი წიგნის გაფორმება გარკვეულ ცვლილებას განიცდის: X ს. მეორე ნახევრიდან ფურცლის გაფორმება

მდიდრდება. ხმარებაში შემოდის სინგური, რაც იწვევს ნაწერი ტექსტის აფერადებას, ჩნდება და რაც დრო გადის უფრო ვრცელდება ორნამენტული თავსამკაულები და ბოლოსართები, საზედაო ასოები, რომლებიც გამოყოფილია ზომით, ფერითა და დამუშავებით; ტექსტის თავში მრავლდება ე. წ. კამარები საძიებელთა ტექსტისათვის, მრავლდება თვით მინიატურების რიცხვიც. დასაწყისში სამკაულები, განსაკუთრებით საზედაო ასოები, არ „ბღალავენ" ტექსტის სიმკაცრეს, ხელშეუხებლობას; შემდეგ დიდი ასოები იჭრება ტექსტში, მათ ალამაზებენ და აჭრელებენ სხვადასხვა სტილიზებული ფიგურებით, ტექსტში შეჭრილია თვით მინიატურებიც. XII ს. ვრცელდება საზეიმოდ გაფორმებული ბიზანტიური ტიპის ხელნაწერები, რომლებიც ხშირად უმაღლესი არისტოკრატიული ფენების დაკვეთით მზადდებოდა. შესრულების მხრივ შეიძლება გავარჩიოთ „ფერწერული" მანერა — მრავალფენიანი ფერწერა, რომელიც სწორედ ამ მდიდრულ „არისტოკრატიულ" ხელნაწერებში გვხვდება, და გრაფიკული (შეფერილი ნახატი), რომელიც ადგილობრივ ხალხურ ტრადიციებთანაა დაკავშირებული.

ამ ეპოქის მორთული ხელნაწერები, სულ მცირე გამონაკლისით, სასულიერო შინაარსისაა. დარჩენილია მხოლოდ ერთი, დიდად საყურადღებო ხელნაწერი, ასტრონომიული ტრაქტატი XII საუკუნის მიწურულისა (1188 წ.), რომელიც ზოდიაქოს ნიშნებითაა დასურათებული.

სასულიერო შინაარსის მრავალრიცხოვან მორთულ ხელნაწერთაგან უნდა მოვიხსენიოთ ხელნაწერთა ინსტიტუტის სახარება A 28, ე. წ. ალავერდის სახარება (XI ს.), ჯრუჭის მეორე ოთხთავი (H 1667) და გელათის სახარება (A 109) — ეს ორი XII ს. მდიდრული „არისტოკრატიული" ხელნაწერების ყველაზე დამახასიათებელი ნიმუშებია, ორივეს უამრავი მინიატურა ამკობს (ჯრუჭის ოთხთავში 334 მინიატურაა).

როგორც წინათ, XI—XIII საუკუნეებშიაც, თვალსაჩინო ადგილი ეჭირა გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგს. იმ ხანამ დაგვიტოვა ტიხროვანი მინანქრის შესანიშნავი ნიმუშები, მათ შორის შუა საუკუნეების უდიდესი მინანქარი — ხახულის ღვთისმშობლის სახე, რომელიც ზემოთ გაკვრით ვახსენეთ. ქართული მინანქრები კოლორიტის იშვიათი სილამაზით, ფერთა განსაკუთრებული სიღრმითა და ძალით გამოირჩევა. მაშინდელი კერამიკული და ლითონის მრავალგვარი ჭურჭელი მოწმობს, რომ ხელოვნება ყოფა-ცხოვრებაშიაც იყო შეჭრილი. ჭურჭლის დასამზადებელი სახელოსნოები მრავლად არსებობდა საქართველოშივე (აღმოჩენილია ზოგი მათგანის ნაშთი, მაგ., თბილისში), მაგრამ ბევრი იყო იმპორტული ნივთიც. თუმცა რეალურად იმ დროიდან მცირე ფრაგმენტების გარდა აღარაფერს მოუღწევია, სრული დარწმუნე-

ბით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დიდი ადგილი ეჭირა მხატვრულ ქსოვილებსაც, რომლებიც იხმარებოდა სასახლეთა მოსართავად, საერო და სასულიერო პირთა მდიდრული ტანსაცმლისათვის, საეკლესიო ნივთებისათვის და სხვ. აქაც, ადგილობრივი ნაწარმის გარდა, საგულისხმებელია უცხოეთიდან დიდი რაოდენობით შემოტანილი საქონელიც. კვლავინდებურად ვითარდებოდა გლიპტიკაც — ძვირფასი ქვების, საბეჭდავების დამზადება (შესანიშნავი ნიმუში იყო გიორგი III-ის საბეჭდავი მთლიანად ოქროსი, წმ. გიორგის გამოსახულებითა და ორნამენტული სახეებით შემკული).

§ 7. კულტურული ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან

ქართველი ხალხის კულტურულ ურთიერთობას მეზობელ ქვეყნებთან მეტად მყარ ნიადაგს უქმნიდა ქართული ფეოდალური სახელმწიფოს ეკონომიკურ-პოლიტიკური წინსვლა და გაძლიერება, რომელსაც ის XI — XIII სს. განიცდიდა.

XII საუკუნის საქართველო იმდროინდელი მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო იყო. „XII საუკუნეში ფეოდალური საქართველო მსოფლიო პოლიტიკის ასპარეზზე გამოვიდა. თამარის დროშა „დავითიანი“ კი არ იყო მხოლოდ, არამედ „ალექსანდრიან“-„ავღუსტიანიც“. ალექსანდრე მაკედონელისა და ავგუსტუს კეისარის მემკვიდრეობის მითვისებით ქართველები არა მარტო თურქთა მიერ მიტაცებულ მახლობელ აღმოსავლეთის კულტურულ ქვეყნების განთავისუფლებას იჩემებდნენ, არამედ დასავლეთის კულტურული საგანძურის დაცვა-გავრცელების მისიასაც თავს იდებდნენ.

საქართველოს ასეთ როლს ახლო-აღმოსავლეთის კულტურულს თუ პოლიტიკურ სარბიელზე მაშინ არა მარტო ქართველები სცნობდნენ, ამას აღიარებდნენ შორეული თუ ახლობელი მეზობლები“[1].

XI — XIII სს. დასაწყისის საქართველოს ახლო კულტურული ურთიერთობა ჰქონდა, უპირველეს ყოვლისა, ბიზანტიასთან, მის კულტურასთან და მწერლობასთან. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ თითქმის მთლიანად აითვისა დასავლეთის ბერძნულ-ქრისტიანული სიბრძნე და კულტურით მოქადულ ბიზანტიას ღირსეულად გაუსწორა თვალი. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ-ბიზანტიური კულტურული ურთიერთობა ცალმხრივი არ ყოფილა. ქართულმა მწერლობამ

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 59—60.

ბევრი რამ საყურადღებო მისცა ბიზანტიურ მწერლობას და თავისი წვლილი შეიტანა მის ისტორიაში. „დასავლეთის საგანძურთა ქართულ კულტურულ ნიადაგზე გადმოტანით, მათი ორგანული შედუღებით და ამ რთული სინთეზის შემდგომი განვითარება-ამაღლებით (XII ს.) ქართველმა ხალხმა თავისი შემოქმედებითი ძალა ძლიერად გამოამჟღავნა და საკუთარი კულტურული სახე უკვდავყო"[1].

ამ ეპოქის ქართული კულტურა სამხრეთ-აღმოსავლეთით მუსლიმანურ-არაბულ-ირანულ კულტურას ხვდებოდა. არაბთა ხანგრძლივ ბატონობას საქართველოში არ შეიძლება გარკვეული გამოძახილი არ ეპოვა ჩვენს კულტურასა და მწერლობაში. რამდენადაც არაბები გვევლინებიან როგორც აქტიური მოქმედნი მეცნიერებისა და ცოდნის სხვადასხვა დარგში, როგორიცაა მაგალითად, მათემატიკა, მედიცინა, ასტრონომია, ისტორია, ამდენად მათთან ურთიერთობას გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა ქართული კულტურის ისტორიაშიც. ერთობ საინტერესოა, რომ ე. წ. არაბული ციფრების ხმარება საქართველოში ყველაზე ადრეა გამოვლენილი X და XI საუკუნეების (ბაგრატის ტაძარი) ძეგლებით. XII საუკუნის ბოლოს საქართველოში ითარგმნა „კარაბადინის" სახელწოდებით ცნობილი არაბული სამედიცინო თხზულება[2]. არაბულ ენას კარგად იცნობდნენ ქართულ სამეფო კარზე არა მარტო დავით აღმაშენებლამდე, არამედ მის შემდგომაც. ირანელი ისტორიკოსი აბულ-ჰასან ბეიხაკი, მაგალითად, მოგვითხრობს, რომ 543 წელს ჰიჯრით, ე. ი. 1148 წელს, საფარის თვეში აფხაზთა შეფემ დემეტრემ, დავითის ძემ მალიქ შაჰის შვილს სულთან სინჯარს არაბულად და სირიულად დაწერილი ეპისტოლე გაუგზავნა, რომელშიც რამდენიმე საკითხი იყო. საპასუხო ეპისტოლეს შედგენა სულთანს ისტორიკოს ბეიხაკისათვის მიუნდვია და აგრეთვე არაბულად და სირიულად დაწერილი სამაგიერო ეპისტოლე დემეტრე მეფისათვის გამოუგზავნია[3].

ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა საქართველო აგრეთვე ახალ ირანულ კულტურასა და მწერლობასთან. როგორც ცნობილია, საქართველოს მეზობელ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარე ორი პროვინცია — შარვანი და არანი, რომლებიც ირანული კულტურისა და ლიტერატურის ცენტრებს წარმოადგენდნენ, დავით აღმაშენებლის დროიდან ქართველთა პოლიტიკური გავლენის სფეროში ექცევიან. ამათგან შარვანი თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში საქართველოსადმი ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა.

შარვანის შაჰების კარზე ცხოვრობდნენ სახელგანთქმული პოეტები —

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 58.

[2] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 30.

[3] Н. Марр, Древне-грузинские одописцы, с. 25, შენიშვნა 1.

ხაკანი (გარდაიცვალა 1199 წელს) და ნიზამი განჯევი (გარდაიცვალა 1202 წელს).

შარვანის მფლობელნი, როგორც ქართველთა მეფის ვასალნი, ხშირად ჩამოდიოდნენ საქართველოში თავისი ბრწყინვალე ამალით, რომელშიც, რა თქმა უნდა, პოეტებიც იყვნენ. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი გადმოგვცემს, რომ ნიზამი, რომელსაც მფარველობდა აღსართან II, ორჯერ ჩამოსულა საქართველოში; ერთ-ერთი საზეიმო დარბაზობის დროს გამართულა საჯარო ლიტერატურული შეჯიბრება, რომელზედაც საასპარეზოდ გამოსულან ქართველი და ირანელი პოეტები[1].

ქართველი მეფეები დიდ მფარველობას უწევდნენ არაბ და ირანელ პოეტებს. ამ მხრივ განსაკუთრებით ცნობილია დავით აღმაშენებელი, რომელსაც არაბი ისტორიკოსის იბნ ალ-ჯაუზის მოწმობით, ირანელი სუფიებისა და პოეტებისათვის თავშესაფარი აუგია, ხშირად ქონებრივადაც დახმარება გაუწევია და სადღესასწაულო მეჯლისებსაც უმართავდა[2].

ქართველი მონარქების მეცენატობა იქამდისაც კი მიდიოდა, რომ ირანელი პოეტები უპირატესობას აძლევდნენ საქართველოს სამეფო კარის მფარველობას. მაგალითად, პოეტი ხაკანი ერთ-ერთ თავის ხოტბაში, რომელიც დაწერილია 1172 წელს, ამბობს: „აფხაზეთის (საქართველოს) კარები ღიაა ჩემთვის, მე გავემგზავრები ნაჭარმაგევსა და მუხრანს, ბაგრატიონთა შორის მე ვიპოვნი თავშესაფარს... და თუ აფხაზეთში ვერ ვპოვებ მფარველობას, იქიდან მე გადავალ ბიზანტიაში“[3].

არანაკლებ ინტერესს იწვევს საქართველო-შარვანის კულტურული ურთიერთობის შესასწავლად ხაკანის მოწაფის ფელეკი შარვანის (1107/8—1156 წწ.) ისტორიული ოდა, დაწერილი დემეტრე I-ის გარდაცვალების ამბავთან დაკავშირებით. პოეტი გულწრფელ სინანულს და მწუხარებას გამოთქვამს ბაგრატიონთა სახელგანთქმული მეფის გარდაცვალების გამო[4].

ყველა ზემოაღნიშნულ გარემოებათა მეოხებით ირანული პოეზიის გამოჩენილ კლასიკოსთა — ფირდოუსის, გურგანის, ხაკანის, ნიზამისა და სხვ. — ციტატები უკვე XI—XII საუკუნეებიდან მოჰყავდათ ქართულ მხატვრულსა და ისტორიული ლიტერატურის ძეგლებში, ხოლო ზოგიერთი მათგანი ითარგმნება კიდეც. ჩვენამდე მოაღწია გურგანის ვის-ო-რამი-

---

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 64 — 67; განსაკუთრებით გვ. 66.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 217.

[3] З. М. Буниятов, Грузия и Ширван в первой половине XII века, იხ. კრებული „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966, გვ. 283.

[4] Фелеки Ширвани, Ода на смерть царя Деметре I, З. М. Буниятов, დასახ. ნაშრ., გვ. 289—292.

ნის (ვისრამიანის) საუცხოოდ დამუშავებულმა ქართულმა რედაქციამ, რომელიც უნდა ჩამოყალიბებულიყო არაუგვიანეს XII საუკუნის მეორე ნახევრისა. არსებობს საბუთები, რომ XII საუკუნეში უთარგმნიათ ქართულ ენაზე ფირდოუსის „შაჰნამე", ნიზამის „ლეილი და მაჯნუნი", „ხოსროვი და შირინი" და სხვ[1].

მდიდარი ქართული კულტურის ტრადიციები, თავის მხრივ, კეთილ ზემოქმედებას ახდენდნენ ირანულ პოეზიაზე. ირკვევა, რომ ქართულ ენას ფლობდნენ და ქართული მასალებით სარგებლობდნენ ისეთი პოეტები, როგორებიც იყვნენ ნიზამი განჯელი და ხაკანი. ხაკანი ქართულ სიტყვებს მახვილგონივრულად იყენებდა ირანულ ლექსებში მოხდენილი კალამბურების მისაღებად[2]. სპეციალისტების მოსაზრებით, ნიზამის პოემა „ისკანდერ-ნაძე" ვერ შეიქმნებოდა ქართული მასალების გათვალისწინების გარეშე[3].

აღსანიშნავია აგრეთვე ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ აღნიშნული ეს ქის ქართული ხელოვნების კეთილი ზემოქმედება ვრცელდებოდა ძველი რუსეთის სამთავროებზე. მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის მიერ გამოცემული რუსული ლიტერატურის ისტორიაში ვკითხულობთ: «Позволительно думать, что именно через соседившую Тьмутаракани часть Грузии – Абхазию – шло то интенсивное влияние грузинского искусства, следы которого предположительно устанавливаются в архитектуре Киева и Чернигова, в живописи Новгорода, в орнаменте некоторых рукописей»[4].

აღნიშნულ ეპოქაში, როგორც ცნობილია, საქართველო ბრძოლებს აწარმოებდა მოსახღვრე თურქი მმართველებისა და სამფლობელოების წინააღმდეგ, იპყრობდა მათ ქვეყნებს. მაგრამ, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, „ქართველებს მაჰმადიანობასთან და მათ სარწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლა ფიქრადაც არ მოსვლიათ. ქართველ-მაჰმადიანთა ბრძოლას არასდროს წმინდა სარწმუნოებრივი ბრძოლის ხასიათი არა ჰქონია"[5].

„თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში საქართველო სხვადასხვა მაჰმადიანთა სამთავროებს და სპარსეთს ებრძოდა, პოეზია და კულტურა ქართველ-სპარსთა სულიერს ერთობას ჰქმნიდა და მტრობის მაგიერ სიყვარულს სთესავდა"[6].

---

[1] ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 23.

[2] Н. Марр, Грузинские слова в изданиях К. Г. Залеманом четверостишиях Хакани, Бюллетень КИАИ, № 6, Л., 1939, с. 10—13.

[3] Искандер-Наме, перевод и редакция проф. Э. Бертельса, Баку, 1940, с. 18.

[4] История русской литературы I, М. — Л., 1941, с. 16.

[5] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 304 — 305.

[6] იქვე, გვ. 305 — 306.

ივ. ჯავახიშვილი სამართლიანად შენიშნავდა: „ქართველების მაშინდელ მთელს სიძლიერეს ის შეადგენდა, რომ სამხედრო ძლევა-მოსილების გარდა მათ თავიანთ სახელმწიფოში სხვა ერთათვის ისეთი ხელშემწყობი პირობები შეჰქმნეს, რომ ისინიც, როგორც მაგ., სომხები, ოსები, თვით მაჰმადიანნიც, ქართველთა მეთაურობით საქართველოს სახელმწიფოს გაძლიერებისათვის და კეთილდღეობისათვის ქართველებთან ერთად თავგამოდებით იღწვოდნენ"[1].

XII საუკუნის საქართველო წარმოადგენდა მრავალეროვან სახელმწიფოს. საქართველოს სახელმწიფოში შედიოდა ქრისტიანული სომხეთი და მუსლიმანური სამთავროები. მუსლიმანები ბლომად ესახლნენ თბილისშიც. ქართველი მეფეები დიდ ტოლერანტულ (სხვათა მრწამსისა და რწმენის შემწყნარებლობის) დამოკიდებულებას იჩენდნენ თავიანთი არაქართველური ქვეშევრდომი მოსახლეობისადმი. ისინი განსაკუთრებულად მფარველობდნენ სომხობას. აკად. ი. მანანდიანის სიტყვით, «Великие политики Грузии после сельджукской эпохи... отвоевав у мусульман армянские области, всемерно содействовали как восстановлению самостоятельной Армении, так и возраждению её самобытной культуры»[2].

დავით აღმაშენებელმა სომხებით დაასახლა ქალაქი გორი. თამარის დროს სომხური ელემენტი საგრძნობ ძალას წარმოადგენდა სახელმწიფოს სამოქალაქო და სამხედრო სფეროებში.

დიდ ყურადღებას იჩენდა დავით აღმაშენებელი თავის ქვეშევრდომი მუსლიმანების მიმართ. თვით დავითი შესანიშნავად ერკვეოდა ისლამის რელიგიის საკითხებში. ამ მხრივ ერთი მეტად საინტერესო ცნობა შემოუნახავს არაბ ისტორიკოსს მუჰამედ ალ-ჰამავს. მისი ცნობით, დავითი იმდენად კარგად ყოფილა განსწავლული მუსლიმანთა სჯულის საკითხებში, რომ მას განჯის ყადისთან ხშირად კამათიც კი ჰქონია ყორანის წარმოშობის შესახებ[3].

ასევე დიდ ანგარიშს უწევდა დავით აღმაშენებელი თბილისის მუსლიმანებს. არაბი მემატიანე იბნ ალ-ჯაუზი გვაუწყებს: მუსლიმანთა საუფლო დღეს, პარასკევობით იგი ზოგჯერ თვით და შვილებითურთ მაჰმადიანთა მთავარ სამლოცველოში—ჯამეში შედიოდა, ლოცვას, ყორანის კითხვასა და ქადაგებას ისმენდა და მათ სამღვდელოებას ბევრ ოქროს უწყალობებდა ხოლმე... თვით მაჰმადიანთა მეფეებს არ გამოუჩენიათ თავიანთი

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 307.

[2] Я. А. М а н а н д я н, Месроп-Маштоц и борьба армянского народа за культурную самобытность, Ереван, 1941, с. 32.

[3] ვიმოწმებთ ნ. მ ა რ ი ს ნაშრომის — Древне-грузинские одописцы — მიხედვით, გვ. 19.

ერთმორწმუნე ქვეშევრდომებისადმი იმდენი პატივისცემა, რაოდენს მზრუნველობასაც იჩენდა მათდამი საქართველოს ქრისტიანი მეფეთ[1].

საგულისხმო ცნობებს გვაწვდის ამ მხრივ აგრეთვე იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკი, რომელიც 1153 წელს საქართველოში ჩამოსულა მეფე დემეტრე პირველის კარზე სტუმრად. მას მოვლილი ჰქონდა წინა აზიის დიდი კულტურული ცენტრები. ალ-ფარიკი თავის შრომაში — „მარიფირიკინის ისტორია“ გვიამბობს, რომ თბილისში ყოფნის დროს თვით უნახავს მეფე დემეტრე პარასკევ დღეს როგორ შესულა მიზგითში და დაუკავებია თავისი ალაგი მაღალ სკამზე. მიზგითის დატოვებისას მეფეს 200 დინარი შეუწირავს მისთვის. მეფე განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა ხოლმე მეცნიერებს და მუსლიმანური სამღვდელოების წარმომადგენლებს. ფარიკი შეხვედრია მუსლიმანებს, რომელთაც მეფე ისეთი პატივისცემით ექცეოდა თურმე, რომ ასეთს მოპყრობას ისინი ბაღდადშიაც (ე. ი. ხალიფას სატახტო ქალაქშიც) ვერ იხილავდნენო[2].

დავით აღმაშენებლის შორსმჭვრეტელობის, განათლებისა და ფართო გონებრივი ჰორიზონტის წინაშე ეროვნული და რელიგიური ზღვარი წაშლილი იყო.

დავით აღმაშენებლის ასეთი ტოლერანტობა (რჯულშემწყნარებლობა) ერთგვარად დამყარებული უნდა ყოფილიყო სარწმუნოებრივ საკითხებში მის თავისუფალ აზროვნებაზე. როგორც ჩანს, დავითი არ ეკუთვნოდა შუა საუკუნეების იმ პიროვნებათა რიცხვს, რომელთაც ბრმად სწამდათ ქრისტიანული ეკლესიის ყველა დებულება. ამ მიმართებით ყურადღებას იპყრობს ერთი საინტერესო დეტალი მისი ცხოვრებიდან, რომელსაც გადმოგვცემს იმ ეპოქის პროგრესული საეკლესიო მოღვაწე ნიკოლოზ გულაბერიძე. იგი მოგვითხრობს, რომ დავით აღმაშენებელი როდესაც მცხეთის საპატრიარქო ტაძარში შედიოდა, არ მალავდა თავის ეჭვებს იმის თაობაზე, თითქოს ამ ტაძარში უფლის კვართი ყოფილიყო დამარხული. მოვიტანოთ თვით ნ. გულაბერიძის სიტყვები: „დიდი იგი მეფეთა შორის დავით ...ამის სუეტისა ცხოველის მიმართ განდრეკილობდა... და ესრეთ... მეტყუეტლებდა ვითარმედ: რაჲ უწყი თუ რა არს კოქსა ამას

---

[1] M. Defremery, Fragments de geographes et d'historiens arabes et persans Inedits, „Journal asiatique“, Paris, 1848 — 1849, t. XIII — XV, გვ. 486.

[2] ვ. ფუთურიძე, არაბი ისტორიკოსი XII ს. თბილისის შესახებ, ენიმკის მოამბე, ტ. XIII, თბ., 1943, გვ. 140—141; Minorsky, Tiflis, capital de la Georgie, Tirage à part de L'encyclopedie de L'Jslam, Livraison M., 1930, გვ. 795; შდრ. Бартольд, Место прикаспийских областей в истории мусульманского мира, Баку, 1925, с. 46.

შინა ანუ რაჲსა თაყუანისვცემთ?"[1] „იმ ეპოქისათვის ეს არის მეტად გაბედული სკეფსისი, თავისუფალი აზროვნების გამოვლინება"[2].

თუ როგორ პოლიტიკას აწარმოებდა თამარის დროინდელი ქართული ფეოდალური სახელმწიფო მის ფარგლებში შემავალ სხვადასხვა ეროვნებისა და აღსარების ხალხისადმი, ამის შესახებ საგულისხმო ცნობას გვაწვდის სომეხი ისტორიკოსი სტეფანოს ორბელიანი (XIII ს.). ცნობა ეხება ერთ მეტად საყურადღებო სასამართლო პროცესს, რომელიც ივანე ათაბაგის ბრძანებით მოწვეული იყო ორ სომხურ ანტიქალკედონიტურ მონასტერს — ნორავანსა და ტათევს — შორის ჩამოვარდნილი დავის გასარჩევად. სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენდა ნორავანის საკვირველმოქმედი ჯვრის გარშემო ატეხილი ცილობა — ეკუთვნის ის ნორავანსა თუ ტათევს. ჯვარს ეცილება ერთმანეთს ეს ორი ანტიქალკედონიტური სომხური მონასტერი იოვანე ტათეველისა და სარგის ნორავანელის სახით. იმის გადასაწყვეტად, თუ ვის საკუთრებად უნდა ყოფილიყო ეს ძვირფასი ჯვარი, ივანე ათაბაგმა ქ. დვინში განსაკუთრებული სამსჯავრო მოიწვია. სტეფანოს ორბელიანი მოგვითხრობს: ივანე ათაბაგმა დვინს „დასხა თავისი დიდებულები — ბუბაგი და მარწვანი, — ივანე ტბელი და მემნა ჯაყელი, დიდი ჭყონდიდელი, რომელიც მოსულიყო სამეფოდან, ვარძიის წინამძღვარი და პგღნძაჰანქის წინამძღვარი, დიდი მამამთავარი გარესჯისა, გაგელი და მაწნაბერდელი, სხვა აგრეთვე მრავალი დიდებული, ტფილისის ყადი, ანისის ყადი და დვინის ყადი, სურმარიის სახელოვანი შეიხი, რომლებთან ერთად (იყვნენ) ანისის დიდი ეპისკოპოსი და ახპატის ეპისკოპოსი, და უბრძანა გამოეძიათ. ამათ გამოიძიეს სამართალი და განსაჯეს"[3].

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ივანე ათაბაგმა დავის განკითხვა მიანდო კომპეტენტურ პირებს, საქართველოს სახელმწიფოებრივ ფარგლებში შემავალ სხვადასხვა კულტის აღმსარებელთა და ზოგიერთ წარჩინებულ ქართველ და სომეხ საერო წრის წარმომადგენელთ.

ამ მართლაცდა საგანგებო სამსჯავროს მოწვევის ფაქტის ხაზგასმა იმით არის საყურადღებო, რომ მასში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან არა მარტო ქართველი მართლმადიდებელნი და სომხური

---

[1] ნ. გულაბერისძე, საკითხავი სუეტის ცხოველისა, კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა, იხ. მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურღი, 1882, გვ. 110.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 417.

[3] ილ. აბულაძე, სტეფანოს ორბელიანის ისტორიის ერთი ცნობის განმარტების გარშემო, თსუ შრომები, ტ. XXXIII, თბ., 1948, გვ. III.

მონოფიზიტური ეკლესიის წარმომადგენლები, არამედ აგრეთვე მუსლიმანთა შეიხი და ყადი. და „რომ ამგვარი მოვლენის მარტო შესაძლებლობასაც კი დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს ჩვენთვის უფრო ცხადი შეიქმნება, თუ გავიხსენებთ, რომ დავა ქრისტიან სომეხთა ეკლესიას შეეხებოდა, მაგრამ ამ დავის გარჩევაში მოსამართლეებად სომეხთა სამღვდელოების წარმომადგენლებთან ერთად მარტო ქართველი დიდებულნი და სასულიერო პირნი კი არა, არამედ მაჰმადიანთა მოსამართლეებიც, განთქმული ყადიები და შეიხი იღებდნენ მონაწილეობას და ამგვარმა სასამართლომ დავა საბოლოოდ გადაწყვიტა. მეტად საგულისხმოა, რომ მაჰმადიანთა მონაწილეობას ამ საქმეში ქრისტიანთა სარწმუნოებრივი გრძნობა არ შეუძრწუნებია“[1].

ზემოაღნიშნულ დოკუმენტში, რომელიც ქ. დვინში მოწვეული სასამართლოს დადგენილებას წარმოადგენს, აღნიშნულია, რომ ამ სამსჯავროს ესწრებოდა საქართველოს ვაზირთა უპირველესი და მწიგნობართუხუცესი დიდი ჭყონდიდელი. იგი ამ პროცესზე საქართველოს სახელმწიფო ინტერესების დამცველად გვევლინება. აშკარა უნდა იყოს ისიც, რომ სასამართლოს ასეთი შერეული შემადგენლობა სწორედ მისი მითითებით იყო მოწვეული. ამ ნაბიჯით საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება იმაზე ამახვილებდა ყურადღებას, რომ ასეთი საქმის გარჩევის დროს ის არ თვლიდა საჭიროდ ანგარიში გაეწია კონფესიური განსხვავებისათვის, რომ ასეთ შემთხვევაში ქრისტიანები და მუსლიმანები სრულიად თანასწორნი არიან და რომ ის მთავარ მნიშვნელობას ანიჭებს საქმის ცოდნასა და გამოცდილებას და არა იმას, თუ რომელ სარწმუნოებას ეკუთვნის კაცი.

§ 8. საქართველოს მოსახლეობის ყოფა და კულტურა XI—XIII საუკუნეებში

(არქეოლოგიური მასალების მიხედვით)

ა. წყარო-ძეგლების მიმოხილვა

საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს უდიდესი დაწინაურების ხანა — „რუსთაველის ეპოქა“, შეიძლება ითქვას, რომ ქართულ არქეოლოგიაში ერთი ყველაზე უკეთესად გაშუქებული პერიოდთაგანია.

იმდროინდელი არქეოლოგიური ძეგლების გათხრა-გამოვლინება იწყება ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით 1936—1939 წლებში („ვეფხისტყაოს-

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 306—307.

ნის“ 750 წლის იუბილესთან დაკავშირებით[1]) და ახლდება 1948 წლიდან.

სადღეისოდ ჩვენ ხელთ იმყოფება დიდძალი ნივთიერი მასალა, მრავლად გათხრილი ძეგლები და ასევე მრავლად გამოქვეყნებული მეცნიერული ნაკვლევი თუ ანგარიში. უკვე ხერხდება მათი შეჯამება და განზოგადება. ოღონდ უნდა აღინიშნოს, რომ დას. საქართველო ამ სურათში დღესდღეობით ჯერაც ძალიან მკრთალად ჩანს.

ნაქალაქარები. ნაქალაქარები ჯერჯერობით კარგად გვაქვს შესწავლილი აღმოსავლეთსა და სამხრეთ საქართველოში. ნაქალაქარებიდან ყველაზე ადრე დაიწყო ქვემო ქართლის ნაქალაქარის — დმანისის — არქეოლოგიური გათხრები. დმანისი მდებარეობს მდინარეების — მაშავერასა და ფინეზაურის — შესართავთან, გრძელ, მაღალ კონცხზე. დმანისი წარმოადგენდა საკმაოდ მძლავრსა და მიუდგომელ ციხე-ქალაქს. უმნიშვნელოვანეს სავაჭრო გზაზე მდებარეობა ხელს უწყობდა მას, გარდა ადმინისტრაციულ-სტრატეგიული მნიშვნელობისა, ცხოველი ხელოსნობის და ვაჭრობის ცენტრიც ყოფილიყო.

ქალაქად დმანისი VIII საუკუნიდან გვიან შუა საუკუნეებამდე ჩანს, მაგრამ აყვავებას მიაღწია შუა ფეოდალურ ხანაში (XII—XIII სს.). ნაქალაქარი ითხრებოდა 1936—1937 წწ.[2] და კვლავ ითხრება 1960 წლიდან დღემდე[3]. გაითხარა ნაქალაქარის ტერიტორიასა და მის გარეუბანში სა-

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის გამოფენა, გაზ. „კომუნისტი“, 1937, № 55; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, წინასიტყვაობა კრებულისა „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, 1938.

[2] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა), დამოწ. კრებ.; Л. Мусхелишвили, Раскопки в Дманиси, СА, VI, 1940.

[3] დ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დმანელი ამირას უცნობი წარწერა ფინეზაურის ხეობიდან, საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, XXXIII, 3, 1964; ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, შოთა რუსთაველის ეპოქის ნაქალაქარი დმანისი და მისი არქეოლოგიური შესწავლა, „ძეგლის მეგობარი“, კრებ. 8, 1966; ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ნაქალაქარ დმანისის არქეოლოგ. შესწავლა (წინასწარი შედეგები), სსმ მოამბე, XVIII—B, თბ., 1969, გვ. 53—79; მ ი ს ი ვ ე, დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის 1965—1966 წწ. მუშაობის მოკლე ანგარიში, „საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგ. ექსპედიციების ანგარიშები“, I, თბ., 1969, გვ. 57—73; ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ვ. ა რ თ ი ლ ა ყ ვ ა, გათხრები დმანისსა და მის მიდამოებში (1968 წ. მუშაობის წინასწარი შედეგები); ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დმანისის არქეოლოგ. ექსპედ. 1969 წ. მუშაობის მოკლე ანგარიში, დამოწმ. კრებული, II, თბ., 1971, გვ. 63—73 და 75—88; В. В. Джапаридзе, Краткий отчет Дманисской археолог. экспедиции за 1970 г., «Тезисы докладов, посвященных итогам полевых археологических исследований в 1970 г. в СССР (археологич. секция)», Тб., 1971, с. 221—223; ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, მოკლე ანგარიშები დმანისში ჩატარებული თხრისა 1971 და 1972 წწ. (ივ. ჯავახიშვილის სახ. ინსტიტუტის საველე-არქეოლოგიურ სერიათა კრებულებში).

ცხოვრებელი, სამეურნეო, საკულტო, სავაჭრო, ჰიგიენურ-სანიტარიული და სხვა ნაგებობათა ნანგრევები. აღმოჩენილია ეკლესიის ნანგრევები გარეუბანში, წარწერები, მეჩეთის, კერამიკული და ზეთსახდელი სახელოსნოების ნაშთები და სხვ. გათხრილია გარეუბნის სამაროვნის ტერიტორიაზე ქართული ქრისტიანული და მუსლიმანურ ინვენტარიანი სამარხები, შესწავლილია მუსლიმანური სასაფლაოს წარწერიანი ქვები (XIII—XIV სს.); უხვად გამოვლინდა შუა ფეოდალური ხანის კერამიკა, მინის საგნები; დმანისის მანამდე უცნობ ზარაფხანაში აღმოჩნდა დავით ნარინის სახელით მოჭრილი მონეტები და სხვ.[1].

კუხეთის რუსთავის გათხრა დაიწყო ივ. ჯავახიშვილის სახ. ინსტიტუტმა 1944 წელს და მუშაობას ხარვეზებით აწარმოებდა 1965 წლამდე. სადღეისოდ შესწავლილია შუა საუკუნეთა ნაქალაქარიცა და მოზრდილი საინტერესო ნაციხვარიც[2]. რუსთავის გათხრა განახლდა 1972 წლიდან და ამჟამადაც გრძელდება. რუსთავი ერთ-ერთი უძველესი ქართული ქალაქი იყო; ანტიკურ ხანაში აქ ციხე-ქალაქი არ არის საგულისხმებელი და სამოსახლოც არ ჩანს IV—V საუკუნეებამდე, როდესაც ციხეც შენდება და მისი შიდა და გარეთა საცხოვრებელი და საკულტო ნაგებობანიც. ქალაქის უდიდესი გაფურჩქვნის ხანაა XI—XIII სს. 1265 წელს მონღოლები მას ანადგურებენ და შემდეგ იგი სოფლად იქცევა. XVII საუკუნის მიწურულში მცირე ხნით მაჰმადიანი მე-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, დმანისის მონეტების გამო, „ლიტერატურული ძიებანი", II, 1944; ზ. მ ა ი ს ურ ა ძ ე, ქართული მხატვრული კერამიკა XI—XIII სს. (დმანისის ანგობიანი კერამიკა), 1953; З. П. Маисурадзе, Грузинская художественная керамика, Тб., 1954; В. А. Крачковская, Надгробные надписи из Дманиси, «Эпиграфика Востока», т. V, М.-Л., 1951, с. 21—32; ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი, დმანისის სომხური წარწერები, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები (აღმოსავლურ ენათა სერია), I, თბ., 1954, გვ. 158—161; Б. А. Шелковников, Рейнская керамика из раскопок в Дманиси, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XVI—B, თბ., 1950, ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, კერამიკული წარმოება XI—XIII სს. საქართველოში, თბ., 1956; ც. კ ა ხ ი ა ნ ი, დმანისის არაბული წარწერები, თბ., 1965; ე. ლ ე ქ ვ ი ნ ა ძ ე, დმანისის განძი, „საბჭოთა ხელოვნება", № 9, 1966, გვ. 18—20.

[2] М. М. Иващенко, Отчет об археологических раскопках в Рустави, 1946 (ხელნაწერი). გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, რუსთავის არქეოლოგიისათვის, გაზ. „კომუნისტი", 1950, № 107; მ ი ს ი ვ ე, რუსთავში წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები, „მასალები საქ. და კავკ. არქეოლოგიისათვის", I, 1955; ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქი რუსთავი, 1958; გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, მოკლე წინასწარი ანგარიშები კუხეთის რუსთავში 1959, 1960, 1961, 1962 და 1965 წლებში წარმოებული თხრისა (ივ. ჯავახიშვილის სახ. ინსტიტუტის საველე-არქეოლოგიურ სერიათა კრებულებში); მ ი ს ი ვ ე, კუხეთის რუსთავის არქეოლოგიური ისტორია (ხელნაწ.), 1965; მ ი ს ი ვ ე, საქართველოს ნაციხვართა არქეოლოგიისათვის, „ძეგლის მეგობარი", კრებ., 14, 1968; მ ი ს ი ვ ე, რუსთაველის საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, „ძეგლის მეგობარი", კრებ. 8, 1966.

ფის ნაზარ-ალიხანის რეზიდენცია ეწყობა ნაციხვარზე. გათხრილია მრავალი საცხოვრებელი და დამხმარე ნაგებობის ნაშთები, მოპოვებულია დიდძალი ნაირნაირი ყოფითი ინვენტარი (უმთავრესად კერამიკა, მინა), მონეტები და სხვ.[1] გაითხარა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ინვენტარის შემცველი ქართული სამაროვანი XII—XIII სს. გათხრების შედეგად გამოვლინდა საკმაოდ მძლავრი ხელოსნური წარმოება.

ძველ თბილისშიც უკვე რამდენიმე მნიშვნელოვანი განათხარი გვაქვს, შემთხვევით მონაპოვრებზე[2] რომ აღარა ითქვას რა. 1948/49 წლებში 300 არაგველის სახ. ბაღის გაფართოებისას გამოვლენილი ნაშთები გათხარა ივ. ჯავახიშვილის სახ. ინსტიტუტის ექსპედიციამ. აქ აღმოჩნდა მძლავრი საწარმოო კომპლექსი (სათუნე მოჭიქული თიხის ჭურჭლით და აგრეთვე სათუნე წარმოების მცირეოდენი ნაშთებით)[3].

1966—1967 და 1969 წწ. ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები თბილისის დედაციხეზე ივ. ჯავახიშვილის სახ. ინსტიტუტის და თბილისის მუზეუმის გაერთიანებული ექსპედიციის მიერ[4]. ჯერჯერობით გამოვლენილი ნაშთების დიდი უმეტესობა გვიანი შუა საუკუნეების ხანას ეკუთვნის, მაგრამ მონაპოვარში გამოიყოფა შუა ფეოდალური ხანის მოჭიქული თუ მოუჭიქავი თიხის ჭურჭელიც (შედარებით მცირერიცხოვანი).

---

[1] თ. არჩვაძე, მოუჭიქავი თიხის ჭურჭლის წარმოების ისტორიისათვის შუა საუკუნეთა საქართველოში (რუსთავული დერგები), კრებული „ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები", I, თბ., 1969, გვ. 126—135; მ. ჩხატარაშვილი, შუასაუკუნეთა რუსთავში მინის წარმოების ისტორიისათვის, იგივე კრებული, გვ. 136—153; ნ. მამაიაშვილი, ფაიანსის წარმოების ისტორიისათვის ფეოდალური ხანის საქართველოში (რუსთავის ფაიანსი), „მაცნე", 1966, № 2, გვ. 180—199.

[2] ვ. ჯაფარიძე, XI — XIII სს. თბილისის კერამიკა (თიხის ჭურჭელი) საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XVI—B, 1950, მისივე, კერამიკული წარმოება..., 1956.

[3] ი. გძელიშვილი, ო. ტყეშელაშვილი, თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები, 1961.

[4] გ. ლომთათიძე, ო. ტყეშელაშვილი, ი. გძელიშვილი, არქეოლოგები ამეტყველებენ თბილისის დედაციხესაც, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1967, № 2; იგივენი, პირველი არქეოლოგიური კამპანია თბილისის დედაციხეზე, 1966 წ., საველე არქეოლოგ. კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი სესიის კრებულში; Г. А. Ломтатидзе, Тбилисская экспедиция, Археологич. открытия 1967 г., М., 1968; Г. А. Ломтатидзе, Археологич. летопись столицы Грузии, газ. «Вечерний Тбилиси», 1968, 21. IX; გ. ლომთათიძე, საქართველოს ნაციხვართა არქეოლოგიისათვის, „ძეგლის მეგობარი", კრებ. 14, 1968. Г. А. Ломтатидзе, О. В. Ткешелашвили, И. А. Гдзелишвили, В. Е. Артилаква, Археологические раскопки в цитадели Тбилисской крепости, «Тезисы докладов, посвящ. итогам полевых археолог. исследов. в 1970 году в СССР», Тб., 1971, с. 236—242.

ამას გარდა, შენობების ნაშთებს შორის აღსანიშნავია 1966 წ. გამოვლენილი დიდი თლილი ქვებით შემოსილი და უხვად მოჩუქურთმებული ოდესღაც ფრესკიანი ტაძრის ნაშთი, რომელიც XII—XIII და უფრო კი XIV საუკუნეებს მიეკუთვნა.

თ ე ლ ა ვ შ ი 1962 წლიდან წარმოებს მცირე მასშტაბის გათხრები. სადღეისოდ არქეოლოგიურად ყველაზე საყურადღებო ძეგლები სწორედ შუა ფეოდალურ ხანას მიეკუთვნება[1]. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, თელავის უძველესი (X—XI სს. კვირიკე დიდის მიერ აგებული) ციხე „ძველ გალავნად" წოდებული. მის შიგნით აღმოჩნდა (1968 წ.) მერმინდელი — შუა ფეოდალური ხანის — ბურჯებიანი სასახლის(?) ნაშთი.

ჯერჯერობით არქეოლოგიურად უფრო შინაარსიანი გამოდგა განათხარი „ძველი გალავნის" ახლოს, სადაც, ჩანს, ხელოსანთა უბანი ყოფილა თავის დროზე. ძირითადი მასალა აქაც შუა ფეოდალურ ხანას მიეკუთვნება და წარმოდგენილია ტიპური მოუჭიქავი და მოჭიქული ჭურჭლით, მინის სამაჯურებით და ა. შ. აქვე აღმოჩნდა სათუნე ნაშთები და მისი ნაწარმიც.

უ ჯ ა რ მ ა შ ი სამ წელიწადს აწარმოვა თხრა ივ. ჯავახიშვილის სახ. ინსტიტუტისა და თბილისის სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებულმა ექსპედიციამ[2]. მუშაობა მიმდინარეობდა ვახტანგ გორგასლისეულ ივრისპირა ციხე-დარბაზის შიგნით. თხრამ დაადასტურა ამ ძველი ნაგებობის ძლიერ შესამჩნევი აღდგენა-გადაკეთება. ყველაზე მძლავრად წარმოდგენილია XII საუკუნის კულტურული ფენა (მოუჭიქავი და მოჭიქული კერამიკა, მინის სამაჯურები და სხვ.). იმის ნაშთებიც კია, რომ უჯარმაში უწარმოებიათ თიხის ჭურჭელი.

ი ვ რ ი ს ს ი ო ნ შ ი, რომელიც ისტორიულ ქ ა ლ ე თ ს უნდა უდრიდეს, 1962 წელს ივ. ჯავახიშვილის სახ. ინსტიტუტის ექსპედიციამ გათხარა ვრცელი და მრავალფენოვანი სამაროვანი, რომელიც შედგებოდა ადრე, შუა და გვიანი ფეოდალური ხანის სამარხებისაგან. შუა ფეოდა-

---

[1] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, თელავ-ალვანის 1962 წ. არქეოლოგ. ექსპედიციის ანგარიში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ინსტიტუტის საველე-არქეოლოგიური სესიის კრებული, 1963; ც. ჩ ი კ ო ი ძ ე, არქეოლოგიური მასალები თელავის ისტორიისათვის შუაფეოდალურ ხანაში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ინსტიტუტის შრომები, თბ., ტ. 7, 1963, გვ. 141—150; მ ი ს ი ვ ე, ქალაქ თელავის ისტორიისათვის, კრებ. „ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები", I, თბ., 1969, გვ. 27—46.

[2] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, უჯარმაში წარმოებული არქ. თხრის შედეგები, 1953 (ივ. ჯავახიშვილის სახ. ინსტიტუტის საველე-არქეოლოგიური სესიის კრებული); მ ი ს ი ვ ე, შუაფეოდალური ხანა, „საქართველოს არქეოლოგია", 1959; მ ი ს ი ვ ე, საქართველოს ნაციხვართა არქეოლოგიისათვის, „ძეგლის მეგობარი", 14, 1968; დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ციხე-ქალაქი უჯარმა, 1966.

ლური ხანის სამაროვნის მოცულობა, სამარხების სიმჭიდროვე, მათი ინ-ვენტარის შედგენილობა იმას მოასწავებს, რომ ამ ეპოქაში მნიშვნელოვანი ქალაქური სამოსახლო ყოფილა ჟალეთის მხარეში[1].

ჯ ა ვ ა ხ ე თ ი ს ა ხ ა ლ ქ ა ლ ა ქ შ ი (ჯავახეთის მტკვრისა და ახალქალაქის წყლის შესართავთან) ივ. ჯავახიშვილის სახ. ინსტიტუტის ექსპედიციამ ორგზის — 1960 და 1968 წლებში აწარმოვა თხრა მიტოვებულ ციხე-ქალაქში, ახლანდელი ქალაქის გვერდით[2]. ისტორიული ცნობის მიხედვით, ქალაქი თუმცა XI საუკუნეში დაარსებულა, მაგრამ თხრამ გამოავლინა უფრო ადრინდელი სამოსახლოების ნაშთებიც და მერმინდელიც (XVI—XIX სს.). მთავარი მაინც შუა ფეოდალური ხანის ქალაქის ნაშთები გამოდგა. იმდროინდელია გალავნისა და გოდოლ-ბურჯების თავდაპირველი ნაშენობა, შიდაციხის ასეთივე ნაშენობა და არქეოლოგიური მონაპოვრის უდიდესი, თანაც უმნიშვნელოვანესი ნაწილი (კერამიკა, მინა, მონეტები).

ნ ა ს ო ფ ლ ა რ ე ბ ი. ნასოფლარების შესწავლას საფუძველი ჩაუყარა ივ. ჯავახიშვილის სახ. ინსტიტუტის ქვემო ქართლის ისტორიულ-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (1948/49 წწ.). 1949 წ. გაითხარა რამდენიმე გლეხური სახლის ნაშთი თეთრი წყაროს რაიონში, ნაჩიეჭავებსა და ნადარბაზევში (ნასასახლევის გვერდით)[3]. ამავე დროს აღნიშნულ რაიონში აღირიცხა ასეთივე მსგავსი ნასოფლარი, რომელიც შეიცავდა შუა ფეოდალური ხანის მძლავრ კულტურულ ფენებს[4].

ქვემო ქართლის მეორე კუთხეში — ბოლნისის რაიონში 1957/66 წწ. გაითხარა ნასოფლარები, რომელთა შორის 4 გამოდგა მთლიანად ან ნაწილობრივ რუსთაველის ხანისა: მადნეულის გორასთან, სარკინეთის ერთ

---

[1] რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, არქეოლოგიური გათხრები ივრის სიონში 1962 წ., ივ. ჯავახიშვილის სახ. ინსტიტუტის საველე-არქეოლოგ. სესიის კრებული, 1963; რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, I, სიონი, თბ., 1970.

[2] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ჯავახეთ-ახალქალაქის არქეოლოგ. ექსპედიციის პირველი (1960 წ.) კამპანიის შედეგები, ივ. ჯავახიშვილის სახ. ინსტიტუტის საველე-არქეოლოგიური სესიის კრებული, 1961; ე. ჯ ა ნ დ ი ე რ ი, ჯავახეთის ახალქალაქის ისტორიისათვის, „ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები", I, თბ., 1969, გვ. 44—69.

[3] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ქვემო ქართლის 1948/49 წწ. ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიციის არქეოლოგიური საქმიანობის ანგარიში, 1957.

[4] ი. გ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, თეთრიწყაროს რაიონის ნასოფლარები, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, XV, 1954, № 5; მ ი ს ი ვ ე, არქეოლოგიური გათხრა ნაჩიეჭავებში (თეთრიწყაროს რ-ნი), იქვე, XVII, 1956, № 7; მ ი ს ი ვ ე, ნასოფლარი ნაჩიეჭავები, იქვე, XXXIV, 1963, № 4; მ ი ს ი ვ ე, რუსთაველის ეპოქის ქართული სოფელი, კრებული „საქართველო რუსთაველის ხანაში", 1966.

უბანზე („თაქქილისა“), თალაშსა და ისპიანში (კაზრეთთან)[1]. სადღეისოდ უკეთესად არის დამუშავებული და გამოქვეყნებული განათხარები თეთრი წყაროს რაიონში და სწორედ ისინი ედება საფუძვლად და ნიმუშად შუა ფეოდალური ხანის ქართული ნასოფლარების შესწავლას.

მდ. ჭივჭავის ხეობაში და ბედენის ზეგანზე გათხრილი თუ მხოლოდ მოსინჯული ნასოფლარები ყველა XI—XIII სს. მიეკუთვნება, ხოლო სოფელთა უდიდესი განვითარება — XII—XIII საუკუნეებს. თითოეული სახლ-კარი შედგება 5—6 შენობის, ეზოს, კალოსი და პირუტყვის სადგომისაგან. გლეხთა მიერ ნახმარ რიგიან თიხის ჭურჭელს შორის საკმაოდ მრავლად არის მოჭიქული. შენობები აგებულია ამ კუთხისათვის ჩვეული გეგმით და შავი ქანის დიდრონი ლოდებით.

ერთი თავისებური ნასოფლარი, ჯავახეთის კლდეებში შემორჩენილი ქვაბ-საცხოვრისებით (X—XV სს.) გამოქვეყნებული აქვს არქიტ. გ. გაფრინდაშვილს[2]. მათი დანიშნულება იყო გაეძნელებინა მტრისათვის საცხოვრისში შეღწევა. ქვაბთა სარკმლები ზოგი სათვალთვალოა, ზოგი საბრძოლველად განკუთვნილი. გამოიყოფა სხვადასხვა ტიპის ქვაბოვანი სახლები.

მ ც ხ ე თ ი ს ე ქ ს პ ე დ ი ც ი ა მ 1957 წელს მცხეთასთან, კოდმანის ნასოფლარის აღმოსავლეთით აღმოაჩინა შუა ფეოდალური ხანის გლეხის დარბაზული სახლ-კარის ნაშთები. 1963—1964 წლებში მთა-ქართლის ექსპედიციის არმაზის ხევის რაზმმა არმაზის მონასტრის ეზოსა და მის ირგვლივ გამოავლინა შუა ფეოდალური ხანის ნამოსახლარი ქვითა და თიხით ნაშენი სახლების ნაშთებით, მოჭიქული და მოუჭიქავი ჭურჭლით, მინის სამაჯურებით, მონეტებით, ქიმებიანი კრამიტებით და სხვ. ნამოსახლარის ხნოვანება, ჩანს, განსხვავებით ბევრი სხვა განათხარისაგან, XIV საუკუნეში შემოდის[3].

ნასახლევები. შუა ფეოდალური ხანის საქართველოს საზოგადოების ზედა ფენის საერო ნაგებობათა ნაშთები მკაფიოდ ასახავენ იმდროინდელი

---

[1] ი. გ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ს წინასწარი მოკლე ანგარიშები ივ. ჯავახიშვილის სახ. ინსტიტუტის საველე არქეოლოგ. სესიის კრებულებში, 1958—1967 წწ.; გ. ნ ა ს ი ძ ე, რუსთაველის ხანის გლეხის სახლ-კარის განათხარი ქვემო ქართლში, „ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები“, I, თბ., 1969, გვ. 74—84.

[2] გ. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი, კლდის სახლები ნასოფლარ ფიაში (ქვაბთა საცხოვრისის ნიმუშები ფეოდალურ საქართველოში), 1959; გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ქართულ ქვაბ-საცხოვრისთა ერთი საყურადღებო ძეგლი (რეცენზია), „საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები“, სპელეოლოგიური კრებული, I, 1963.

[3] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ნ. უ გ რ ე ლ ი ძ ე, მთა-ქართლის ექსპედიციის არმაზის-ხევისა და ბარტაზის ხევის რაზმის ნამუშევარი 1963, ივ. ჯავახიშვილის სახ. ინსტიტუტის საველე-არქეოლოგიური სესიის კრებული, 1964; მ ა თ ი ვ ე, მთა-ქართლის ექსპედიციის არმაზისხევის რაზმის ნამუშევარი, 1964, იგივე კრებული, 1965.

ხუროთმოძღვრების, დეკორატიული ხელოვნებისა და სამშენებლო საქმის მიღწევასა და დონეს. ერთ-ერთ ასეთ ძეგლს წარმოადგენს სამეფო ციხე-დარბაზის ნაშთები სოფ. გეგუთში (ქუთაისის მახლობლად). წყაროთა ცნობით, ეს დიდი სასახლე გიორგი III-ს აუგია 1150-იან წლებში. ვახუშტი მას უწოდებს „სადგურს ზამთარს მეფეთა“ მრავალპალატოვანს, თლილი ქვისას, ციხე-დარბაზს.

1936 წ. წინასწარმა არქეოლოგიურმა შესწავლამ გამოარკვია, რომ შენობის საერთო ფართობი 1700 კვ. მ-ს უდრის, რომ შუაში 200 კვ. მ ძალზე დიდგუმბათიანი, სინათლიანი დარბაზი ყოფილა; საშენ მასალად გამოყენებულია აგური, ქვა, მოჭიქული და მოუჭიქავი კრამიტი[1]. 1954 წელს გეგუთის სასახლის ნანგრევი გაიწმინდა და ნაწილობრივ აღდგენილ იქნა კიდეც.

1949 წ. ქვემო ქართლის ისტორიულ-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სამშვილდის ნაქალაქარის მახლობლად, მდ. ჭივჭავის აღმა, ტყეში გათხარა სასახლის ნანგრევები, რომელსაც ვახუშტი ნ ა დ ა რ ბ ა ზ ე ვ ს, თამარ მეფის ნასასახლევს უწოდებს. არქეოლოგიურმა გათხრამ დაადგინა, რომ სასახლის უდიდესი „ბინადრობის“ დრო უფრო XII—XIII სს. მოდის (მრავალრიცხოვანი მოჭიქული ჭურჭელი, მინის სამაჯურები, ლაშა გიორგის სპილენძის ფული)[2].

სასახლე შედგებოდა დიდი და მცირე დამხმარე ნაგებობისაგან, რომელთაც ირგვლივ ერტყა სამჭიშკრიანი მაღალი გალავანი. ამრიგად, შემოზღუდული იყო 16000 კვ. მ გალავანი, ნაშენი ანდეზიტ-ბაზალტის ქვითა და კირით. მთავარ ნაგებობას ექვსი სარკმელი ჰქონია და დახურული ყოფილა ბრტყელი, ქიმებიანი კრამიტით.

ნამონასტრევები, აკადემიები. ცნობილია, თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ შუა საუკუნეებში (კერძოდ, ფეოდალურ საქართველოში) დიდრონი მონასტრები როგორც მძლავრი მიწათმფლობელი და, საერთოდ, სამეურნეო და თან პოლიტიკური და იდეოლოგიური ორგანიზაციები, სწავლა-განათლებისა და მწიგნობრობის კერები, რომლებიც სამეფო ხელისუფლების დიდი და შეუნელებელი ზრუნვის საგანს წარმოადგენდნენ.

---

[1] ლ. წ ი ლ ო ს ა ნ ი, გეგუთი, კრებ. „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, 1938; ვ. ც ი ნ ც ა ძ ე, გეგუთის „ციხე-დარბაზი“, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის IX სამეცნ. სესია, მოხსენებათა თეზისები და მუშაობის გეგმა, თბ., 1955.

[2] პ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, ი. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, ნადარბაზევი, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1955; გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ქვემო ქართლის ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიციის არქეოლოგიური საქმიანობის ანგარიში, 1957; პ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, თამარ მეფის ნასასახლევი, „ძეგლის მეგობარი“, 30, 1972, გვ. 78—84.

მონასტრებმა დაგვიტოვეს ხუროთმოძღვრებისა და სამშენებლო დეკორატიული ხელოვნების ძეგლები და გასათხრელად ნაყოფიერი კულტურული ფენები.

არქეოლოგიურად ნაწილობრივ შესწავლილია გუდარეხის, გელათისა და იყალთოს ნამონასტრევები და აგრეთვე ამ ორი უკანასკნელის ანსამბლში შემავალი აკადემიებად მიჩნეული ნაგებობათა ნაშთები. გაუთხრელად, მაგრამ ხელშესახებად აქვს აღწერილი ნიკო მარს ჭოროხის სათავეებში შემორჩენილი რამდენიმე სამონასტრო ანსამბლი[1].

გ უ დ ა რ ე ხ შ ი თხრა ჩატარდა 1938—1939 წწ. გაითხარა საერთო ფართობის 2/3[2].

გუდარეხი მდებარეობს ქვემო ქართლში (მდ. ალგეთის აუზში) დღევანდელი თეთრი წყაროს რაიონში, ცენტრიდან ჩრდილო-დასავლეთით 7—8 კმ-ის დაშორებით. გუდარეხის მონასტერი მისი წარწერების მიხედვით აგებულია XIII საუკუნეში რუსუდანის თაოსნობით.

ძირითადი ანსამბლი — მონასტრის ერთნავიანი ტაძარი და მასთან დაკავშირებული ნაგებობანი — მოქცეულია ბურჯებიანი ზღუდის შიგნით, ხოლო მის გარეთ არის მცირე ნასოფლარი. ტაძარიც, სამრეკლო-ჭიშკარიც და ზღუდეც დიდრონი, ლამაზი ქვათლილებითაა შემოსილი.

გათხრების შედეგად გამოვლინდა მთელი რიგი შენობების ნაშთები, დაზუსტდა მათი გეგმები, თარიღები. ასეთ შენობებს მიეკუთვნება გუდარეხის სასახლე თავისი მარნით, პილასტრებიანი ნაგებობა, ჩუქურთმიანი შენობების კომპლექსი, საჯინიბო, პილასტრებიანი კედელი, სენაკები, ზღუდის ჭიშკარი და სხვ. არქეოლოგიურმა გათხრამ, მოპოვებულმა მასალამ (კერამიკა, მინა, რკინის ნივთები, მონეტები და სხვ.) მკაფიოდ გამოაცალკევა ორი კულტურული ფენა, რომელთაგან უძველესი უშუალოდ კლდეზე მდებარე, XII—XIII სს. თარიღდება. განსაკუთრებით ყურადსაღებია უტყუარი ნიშნები შიგ სამონასტრო სამოსახლოში თიხის ჭურჭლის წარმოებისა (წარმოების ნაშთები და ნახევარფაბრიკატები).

გ ე ლ ა თ ი ს — დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებული და შემდგომ არაერთგზის განაშენიანებული — მონასტერი მრავალმხრივ არის შესწავლილი, მაგრამ არქეოლოგიური მუშაობა (ისიც მხოლოდ გაწმენდა[3]) შეეხო მხოლოდ ერთ შენობას ამ ანსამბლისა, რომელთაგან სხვანი დღე-

---

[1] Н. Марр, Дневник поездки в Шавшию и Кларджию, Труды и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. VII, 1911.

[2] ლ. მუსხელიშვილი, შ. ხიდაშელი, ვ. ჯაფარიძე, გუდარეხის პირველი და მეორე (1938 და 1939 წწ.) არქეოლოგიური კამპანიის ანგარიში, 1954, Н. Г. Чубинашвили, Архитектура главного Гударехского храма в ансамбле средневекового города, Тб., 1945.

[3] ს. ყაუხჩიშვილი, გელათის აკადემია, 1948.

საც მთელი დგანან. ჯერ კიდევ ე. თაყაიშვილმა დაასკვნა, რომ გელათში უნდა ყოფილიყო უმაღლესი სასწავლებელი, აკადემია და მის ხელმძღვანელს უნდა რქმეოდა „მოძღვართ მოძღვარი"[1]. 1945 წელს ს. ყაუხჩიშვილის მიერ ჩატარებულმა ზემოაღნიშნულმა მუშაობამ განამტკიცა ეს აზრი და სახელდობრ აკადემიად მიგვაჩნევინა გრძელი, სასარკმლე თაღების მქონე დარბაზი. დარბაზს შესასვლელად აქვს მოხდენილი ოთხსვეტიანი სტოა, რომელიც დამშვენებულია ჩუქურთმოვანი ჯვრითა და ლომის გამოსახულებით. მთავარი, დიდი შემორჩენილი სენაკის კედლების გასწვრივ ჩამოყოლებულია ქვის მთლიანი განიერი მერხები, ხოლო შუაში — მარმარილოს საჯდომი (მოძღვართა კათედრა?). კედლებში დატანებულია თახჩები. შენობის სახურავი ორფერდა ყოფილა. შენობას ჰქონია სხვა სენაკებიც, რომლებიც მთელ სისტემას ქმნიდნენ. აკადემიის ნანგრევების გაწმენდას არქეოლოგიური მონაპოვარი არ მოუცია.

ი ყ ა ლ თ ო ს (თელავის მახლობლად) სამონასტრო ანსამბლში ნავარაუდევი აკადემიის შენობა გაცილებით უფრო დანგრეული და გაუსახურებულია. ამ შენობის ასეთ განსაზღვრას არ იზიარებდა ე. თაყაიშვილი[2]. გ. ჩუბინაშვილი მას პირობითად მიიჩნევდა აკადემიად. შენობა მიდგმულია გალავანზე. იგი მოგრძო, მრავალსენაკიანი და ორსართულიანია, რომელსაც გვერდით მარანი ახლავს. შენობა გაიწმინდა ორჯერ და თან არქეოლოგიური მეთვალყურეობის ობიექტად იქცა 1938[3] და 1966 წლებში[4]. ორივეჯერ მრავლად აღმოჩნდა მოუჭიქავი და მოჭიქული ჯამ-ჭურჭელი, სადა და წარწერიანი კრამიტები ტიპური შუა ფეოდალური ხანისა.

სახიზარი და სხვა ქვაბები. სახიზარ ქვაბთაგან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ხვამლის, ბეთლემისა და თრეხვისა.

ხ ვ ა მ ლ ი ს ქვაბები ნაკვეთია იმერეთ-ლეჩხუმის საზღვარზე აღმართული კირქვის ვეება კლდეში, ბუნებრივ მღვიმესა და მის ირგვლივ. წერილობითი წყაროები და ხალხური თქმულებები მათ სახელმწიფო ქონების სამალავად მიიჩნევს[5]. ალპინისტურ-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ[6]

---

[1] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, ხელმწიფის კარის გარიგება, 1920, შესავალი წერილი, გვ. XXIX — XXXIV.

[2] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, რჩეული შრომები, I, 1968.

[3] M. M. И в а щ е н к о, Отчет о расчистке развалин внутри Икалтойского монастыря в 1933 г.

[4] რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, გ. ჭ ე ი შ ვ ი ლ ი, აღდგენითი მუშაობა და მასთან დაკავშირებული არქეოლოგიური კვლევა-ძიება იყალთოში 1966 წელს, იხ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ინსტიტუტის საველე-არქეოლოგ. სესიის კრებული, 1967.

[5] ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 243; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 157.

[6] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ხვამლის ქვაბულებში, გაზ. „კომუნისტი", 1945, № 231; მ ი ს ი ვ ე, ხვამლის ციხე-ქვაბის არქეოლოგია, 1967.

გამოარკვია, რომ მთავარი კარსტული წარმოშობისა და გაფართოებული ქვაბი (რომელშიც წყარო გამოდის) წინიდან ამოზღუდული ყოფილა ქვითკირის მკვიდრი კედლით, რომელშიც დატანებულია სხვადასხვა სიმაღლეზე მყოფი სარკმლები და საჭვრეტები. შიგ ორი-სამი სართული ყოფილა გამართული. ამ ქვაბს ზემოთ, კლდეში, გამოჭრილია მცირე, უაღრესად ძნელად შესასვლელი ქვაბი, რომელშიც უნდა შენახულიყო საჭურჭლე. ქვემოთ, კლდეში, გამოჭრილია გრძელი და განიერი ბაქანი, თავის დროზე წინიდან აზღუდული და განივრად დატიხრული ეს მრავალსენაკიანი, ქვითკირ-აგურით ამოყვანილი ნაგებობა მცველი რაზმის სადგომად არის მიჩნეული. ამ ბაქანზე თხრისას თავი იჩინა კერათა ნაშთებმა და ჩვეულებრივმა მოუჭიქავმა კერამიკამ. ესოდენ მიუვალი საგანძურის მოწყობა უფრო XIII საუკუნეში უნდა ვიგულისხმოთ, როდესაც საქართველოში განუწყვეტელმა შიშიანობამ დაისადგურა (ჯალალ ად-დინი, მონღოლები).

კიდევ უფრო მიუწვდენელი იყო მყინვარწვერის სიპ კლდეში 4199 მეტრ სიმაღლეზე გამოკვეთილი ბ ე თ ლ ე მ ი ს ქ ვ ა ბ ი, რომლის რკინით შეჭედილი კარი მხოლოდ მისგან გადმოკიდებული ჯაჭვით იღებოდა. ეს ქვაბი „სვეტიცხოვლის სამკაულის სახიზარი“ ყოფილა დიდი შიშიანობის დროს. მთასვლელთა ექსპედიციამ 1948 წელს „აიღო“ ეს ქვაბი. ანდეზიტ-ბაზალტის კლდოვან კედლებთან ჩამოსაჯდომებია გამოკვეთილი; ერთ კედელთან დგას ტრაპეზის ქვა, რომელზედაც ჯვარია ამოჭრილი. აღმოჩნდა რამდენიმე საგანი: ვერცხლით მოჭედილი და წმინდანებით მოხატული XI—XIII სს. დროშის თავი, შანდლის ძირი (VII—VIII სს.) და სხვ. ეტყობა, XIII საუკუნეშიც იქნებოდა გამოყენებული ეს სწორუპოვარი სახიზარი სვეტიცხოვლის ქონებისათვის.

ქარელის რაიონის სოფ. თ რ ე ხ ვ შ ი, მტკვრის მარჯვენა შენაკად ხვედურულას ნაპირზე, საკმაოდ მაღლა აღმართულ კლდეში არის ქვაბები. იქ შესაღწევად ალპინისტური ტექნიკა დასჭირდათ მთასვლელებსა და სპელეოლოგებს. წინიდან ამოშენებულ ერთ ქვაბში აღმოჩნდა სტელა, რომელზედაც მოხდენილი ქართული ასომთავრული წარწერაა ამოკვეთილი. წარწერა ეკუთვნის რუისის ტაძრის XI საუკუნის ეპისკოპოსს ლეონტი მროველს, რომელსაც სახიზარი მოუწყვია აღნიშნულ საუკუნეში „დიდი თურქობის“ დროს[1]. ეს ყოველმხრივ დიდად ყურადსაღები აღმონაჩენია. არქეოლოგიური მონაპოვარი კი უმნიშვნელო გამოდგა. წარწერა 1066 წლით თარიღდება და შემდეგს ღაღადებს: „მე, ლეონტი მროველმან დიდითა მოჭირვებითა აღვაშენე ესე ქუაბი ხატისათვის ღმრთე-

---

[1] გ. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი, ლეონტი მროველის 1066 წ. სამშენებლო წარწერა თრეხვის ქვაბებიდან, საქ. მეცნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნ. განყ. მოამბე, 1961, № 1.

ებისა და დღესა ჭირისასა ნავთსაყუდელად რუისისა საყდრისა შვილთა-თჳს ჟამთა შინა ალფ-არსლან სულტანისაგან ოხრობისათა“.

დასასრულ, ორი სიტყვით უნდა გავიხსენოთ ისეთი შესანიშნავი ქვაბოვანი ძეგლები, როგორიცაა: უფლისციხის ქალაქი (იქ შედარებით უფერულია იმ დროის ფენა), ვარძიის ქვაბოვანი მონასტერი (არსებითად იმ დროს გამოკვეთილი) და დავით გარეჯელის ქვაბოვანი მონასტრები. ვარძიაში ჩატარდა ორი არქეოლოგიური კამპანია (1970—1971 წ.), გაითხარა 15 გამოქვაბული. დადასტურებულია ორი კულტურული ფენა XII—XIII სს. და XIV—XVI სს. აღმოჩენილია მოუჭიქავი და მოჭიქული კერამიკის მრავალრიცხოვანი ფრაგმენტები, მათ შორის კერამიკული წუნის ნაშთები. გამოვლინდა რკინის ნივთები და ისრისპირები, ნახევარსფერული სხმულები, წიდა და სხვ.[1].

დავით გარეჯელის ქვაბოვანთა არქეოლოგიური შესწავლა უკვე იწყება და ამით ქვაბოვანი ძეგლების ისტორიას მომავალში ახალი სინათლე მოეფინება.

ჰიდროტექნიკური ძეგლები. ჰიდროტექნიკური ძეგლები ორნაირია — წყალსადენები და არხები. არქეოლოგიური კვლევა-ძიება მეტ-ნაკლებად ორივეს შეეხო.

წყალსადენთაგან პირველად შესწავლილ იქნა სხალტბა-შიომღვიმის წყალსადენი, რომელიც სოფ. სხალტბიდან აწვდიდა მანამდე დიდ „იწროებაში“ მყოფ წყაროს წყალს შიომღვიმის მონასტერს. წყალსადენი, შემორჩენილი სიგელის მიხედვით, გაუყვანიათ 1199—1202 წწ. თამარის მწიგნობართუხუცესის ანტონ ჭყონდიდელის თაოსნობითა და სახსრებით, 2 კილომეტრზე, მთაში გავლა-გახვრეტით. შესწავლამ გამოარკვია, რომ მიუხედავად მკვეთრად განსხვავებული რელიეფისა, ეს სამუშაო ძალიან მაღალ ტექნიკურ დონეზე ჩაუტარებიათ. სხალტბა-შიომღვიმის წყალსადენი ერთ-ერთი მჭევრმეტყველი ძეგლია იმდროინდელი ქართული საინჟინრო ხელოვნებისა[2]. წყალსადენს ორი ტრასა ჰქონია მონასტრისათვის და თვით სოფლისათვის. მილებში წყალს დინებით უმოძრავია, ყოველგვარი წნევის გარეშე, დღე-ღამეში 243000 ლიტრის ოდენობით (მონასტრისაკენ) და 86400 ლიტრის ოდენობით (სოფლისაკენ). წყალსადენის ტრასას გარკვეულ მანძილზე დატანებული ჰქონია საკონტ-

---

[1] Г. А. Ломтатидзе, В. Е. Артилаква, Начало археологических раскопок пещерного монастыря Вардзиа, «Тезисы докладов, посвященных итогам полевых археологич. исследований в 1970 г. в СССР (Археолог. секция)», Тб., 1971; Г. А. Ломтатидзе, В. Е. Артилаква, Д. Е. Сарашвили, Раскопки в Вардзиа, Археолог. открытия в 1971 г., М., 1972.

[2] შ. ხიდაშელი, სხალტბა-შიომღვიმის 1202 წ. წყალსადენი (არქეოლ. გათხრის ანგარიში), შოთა რუსთაველის მატერიალური კულტურა, თბ., 1938; იქვე, ა. ლოსაბერიძე, ძველი წყალსადენებისა და არხების ნაშთები.

როლო სპეციალური ჭურჭლები — თანგირები. საქმის ორგანიზაციის დახასიათებისათვის ისიც აღსანიშნავია, რომ წყალსადენის გამართვის შემდეგ ორი კომლი გლეხისათვის დაუკისრებიათ „სამსახური მის წყაროსი", ისე რომ თითო სახლიდან თითო შვილი „ქუქანკად" უნდა გაზრდილიყო და მათ უნდა „ეკაზმათ" ხოლმე წყალსადენი.

სხვაგვარი გამოდგა იმავდროული სასახლის წყალსადენი ნ ა დ ა რ ბ ა ზ ე ვ შ ი, სამშვილდის მიდამოებში[1]. იგი შემოდიოდა ზემოაღწერილი სასახლის გალავნის ქვეშ, შორიახლოს გაუვლიდა წინა მხრიდან სასახლეს და შედიოდა ქართული აგურით ამოყვანილ აუზში. სათავე მიკვლეულ იქნა ნადარბაზევიდან რამდენიმე კილომეტრზე, მთაში. ტრასა ჩამოდიოდა მცირედ ჭაობნარ დაბლობზე და შემდეგ აღიმართებოდა სასახლის მაღლობზე, რომელიც 70 მეტრზე უფრო დაბლაა, ვიდრე სათავე, ამიტომ წყალი დაწნევით მოედინებოდა. შესაბამისად თავისებურია მილსადენიც, რომელსაც მუდამ უნდა გაეძლო ამ ჭარბი წნევისათვის. მისი კვეთი მთელ სიგრძეზე თანდათან მცირდება. მილსადენი მიკლაკნილ-მოკლაკნილია (მკლავების მეშვეობით), რადგან ეგუება კლდოვან რელიეფს. მილები სქელია და ხვრელი ძალიან ვიწრო აქვს, რათა წყლის წნევა გაძლიერებულიყო აღმა დინების გასაადვილებლად. თანგირები ტრასას არ ჰქონია. მილსადენი მოთავსებულია ვიწრო, ფილაქვებით შემოზღუდულ-გადახურულ კალაპოტში. რბილ ნიადაგში მილსადენი ღარისებრი კრამიტით გადახურული და დუღაბით გარშემოსილია. ეს წყალსადენიც კიდევ ერთი მოწმობაა ჰიდროტექნიკური მშენებლობის ძალიან მაღალი დონისა რუსთაველის ხანის საქართველოში.

წყალსადენის ნაწილი გამოვლინდა 1963/64 წლებში ა რ მ ა ზ ი ს ხ ე ვ ი ს მონასტრის მახლობლად, რომელიც ჯერ კიდევ ბოლომდე არაა გათხრილი[2].

იმდროინდელი წყალსადენმშენებლობის კიდევ ერთი შესანიშნავი ნიმუშია ვ ა რ ძ ი ი ს ქვაბოვანი წყარო, რომლის სათავეც ხევშია, მტკვარგაღმა 6 კილომეტრზე, მილსადენი თითქმის მთელ სიგრძეზე მიუყვება კლდეში გაჭრილ გვირაბს, ე. ი. იგი მტრისათვის უჩინარი იქნებოდა, წყალი სულ თვითდინებით მოედინებოდა[3]. შესწავლილია წყალსადენები დავით გარეჯელის ქვაბოვან მონასტრებში და მრავალ სხვა პუნქტში.

იმდროინდელი სარწყავი არხებიდან მეტ-ნაკლები არქეოლოგიური დაკვირვებისა (და არა გათხრის) და საინჟინრო-ჰიდროტექნიკური შეს-

---

[1] ი. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, ნადარბაზევის წყალსადენი, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 1950, XI, № 8; გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ქვემო ქართლის..., ანგარიში, 1957.

[2] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ნ. უ გ რ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრ.

[3] ც. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ვარძია, გზამკვლევი, 1948; კ. მ ე ლ ი თ ა უ რ ი, ნ. შ ო შ ი ა შ ვ ი ლ ი, შ. ხ ა ნ თ ა ძ ე, გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, ვარძია, 1955.

წავლის საგნად ჯერჯერობით მხოლოდ სამი იქცა: ალაზნის, სამგორისა (ორივეს გაყვანას წერილობითი წყაროები თამარ მეფეს მიაწერენ) და გრემისა.

ალაზნის რუს სათავე მიკვლეულია ალავერდის ტაძრის ახლოს. იგი მიედინება ველისციხე-ბაკურციხე-არხილოსკალომდე, სადაც ისევ ალაზანს ერთვის (სიგრძე 119 კმ. მორწყავდა 53000 ჰექტარს). ასეთი არხის გაყვანა დღესაც რთულია და მეტადრე რთული იქნებოდა იმ დროს. ვარდნა მცირე ჰქონია და არაფერს წალეკავდა. წყალგამტარიანობით უდრიდა ალაზნის თანამედროვე არხს[1].

სამგორის „თამარისეული" რუს უშუალო კვალი არსად შემორჩენილა, მაგრამ ფიქრობენ, რომ ერეკლე მეორის მიერ დაწყებული და უსახსრობის გამო შეწყვეტილი, ხოლო ვორონცოვის დროს ინჟ. ბაგრატიონის მიერ დამთავრებული სართიჭალის 20 კმ სიგრძის არხი საუკეთესო ვარიანტია ტრასისა[2].

გრემის არხი გაყვანილი ყოფილა ლოპოტის ზევიდან ნაფარეულზე გავლით, რომელსაც სათავესთან ჯებირი ჰქონია, რათა ხევს არ წაელეკა. გზად რუსხმულებით ან საგუბრებით გადალახავდა ხევებს, მორწყავდა 4000 ჰექტარს, მაგრამ ამდენი სარწყავი არ ჰქონია და დანარჩენი ჩადიოდა გრემში სახარჯოდ, გვალვაში ერთი ხევის წყალს დაუმატებდნენ. არხი ერთი ხეობიდან მეორეში გადადიოდა, რაც დიდ სირთულესთან არის დაკავშირებული. არხს მიაკუთვნებენ XII—XIII სს., რისთვისაც იმოწმებენ ხალხურ გადმოცემას — თამარისეულიაო[3].

წარმოების ნაშთები. ეს ის ჯგუფია არქეოლოგიური ძეგლებისა, რომელნიც, ნასოფლარებისა არ იყოს, სულ ამ 20 წლის წინ მოექცა პირველად ქართული არქეოლოგიის საგანგებო ყურადღების არეში. ეს მოხდა ძველ თბილისში, სადაც არქეოლოგიური გათხრების შედეგად გადაიხსნა ძალზე მეტყველი ნაშთები სათუნე და ნაწილობრივ აგრეთვე მინის წარმოებისა[4].

300 არაგველის ბაღში ქალაქის გალავანზე (თაბორის მთიდან მტკვრამდე ჩამომავალ კლდეზე) გამოვლენილ იქნა შიგნიდან მიშენებულ სახელოსნოთა ნაშთები: 7 სათუნე ქურა, მათში ჩარჩენილი თიხის სოლები, კაკვები და მზა მოჭიქული ჯამები თუ სხვა ნაწარმი; ცალკე დაწყობილი ნახევარფაბრიკატები, ზოგიერთი ხელსაწყო, ნედლეულის ნაშთები და დიდძალი მრავალფეროვანი გადანაყარი, რომელშიც უამრავი

---

[1] ა. ლოსაბერიძე, დასახ. ნაშრ.

[2] იქვე.

[3] ალ. მამულაშვილი, გრემის სარწყავი არხი, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XIV, თბ., 1947, გვ. 167—193.

[4] ლიტერატურა იხ. ზემოთ, სქოლიოებში.

წუნია. ყოველივე ამას მრავლად ახლავს თან ლითონის ფული, თითქმის მხოლოდ ქართული, რომლის უმეტესობა რუსუდანის მიერ არის მოჭრილი, რის გამოც მთელი ეს განათხარი მისი ეპოქით გვითარიღდება. წარმოების გადანაყარში მრავლად იყო გამორეული მინის ნალეწი და წუნი. ეს გვაძლევს უფლებას სათუნე სახელოსნოს გვერდით, სულ ახლოს ვიგულისხმოთ მინის სახელოსნოც, სადაც ჭურჭლეული და სამაჯურები უწარმოებიათ.

ეს საწარმოო კომპლექსი, როგორც ზემოთ ითქვა, განადგურებული ყოფილა ისე მოულოდნელად, რომ მუშაობა შუა გზაზეა შეწყვეტილი, ხოლო ერთი კაცი — ალბათ ხელოსანი — ჩაკლულიც ჩანს. დანახშირებულ ნანგრევებში აღმოჩნდა მისი ჩონჩხი 122 მონეტის (რუსუდანის ფული) თანხლებით.

საბოლოოდ ხერხდება დადგენა მოჭიქული თიხის ჭურჭლისა, კერძოდ, ფაიანსისა და სამშენებლო კერამიკის (კრამიტის, შორენკეცების) ტექნიკის და ტექნოლოგიის, რაც უეჭველად მაღალი მხატვრულ-ესთეტიკური დონისაა. განათხარში ჩანს, რომ ჩვენს წინაშეა ჩამოყალიბებული ტექნიკურ-მხატვრული სკოლა ხელოსნებისა, რომლებიც „ამქრულად" შეამხანაგებულნი შრომობენ. მათ ნაწარმში გამოირჩევა რამდენიმე განსხვავებული ხელი. ეს განათხარი, გარდა იმისა, რომ შუა საუკუნეთა საქართველოს წარმოებითი არქეოლოგიის პირმშოა, მრავალმხრივ საყრდენ და, რაც მთავარია, საიმედო დამათარიღებელ ძეგლად იქცა რუსთაველის ხანის ნივთიერი კულტურის ძეგლთა შორის.

ამ ბოლო დროს დმანისის ნაქალაქარშიც იჩინა თავი სათუნე სახელოსნოს ნაშთებმა და დადგინდა, რომ იქ ძალიან კარგი ფაიანსის ჭურჭელიც უკეთებიათ[1].

ასეთივე მეტყველი ძეგლი გამოდგა მინის საწარმოს ნაშთები ნ ა ტ ბ ე უ რ შ ი (მცხეთის რაიონის სოფ. ნიჩბისის მიდამოები), რომელიც გათხარა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციამ ნ. უგრელიძის ხელმძღვანელობით. 1957, 1959 — 1960 წწ. განათხარმა გამოავლინა მინის სადნობი ღუმელი, ანუ თაკარა, მინის ნაირ-ნაირი ჭურჭლისა და სამაჯურების მრავალრიცხოვანი ნატეხები, ზოგიერთი ხელსაწყო, დიდძალი წუნი და გადანაყარი[2]. გადანაყარში გამორეული მონეტის მიხედვით სახელოსნოს ხნოვანება შეიძლება XIV საუკუნეში შემოდიოდეს.

---

[1] ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, შოთა რუსთაველის ეპოქის ნაქალაქარი დმანისი და მისი არქეოლოგიური შესწავლა, „ძეგლის მეგობარი", 8, 1966; მ ი ს ი ვ ე, ნაქალაქარ დმანისის არქეოლოგიური შესწავლა (წინასწარი შედეგები), სსმ მოამბე, XXVIII—B, თბ., 1969, გვ. 72.

[2] ნ. უ გ რ ე ლ ი ძ ე, ნატბეურის მინის საწარმო, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, III, 1963.

ტექნოლოგიურად და მხატვრულადაც სახელოსნო რიგიანად გამოიყურება. ნამდვილად შუა ფეოდალური ხანის შესაფერისი წარმოება მონღოლების მძიმე ეპოქაშიც განაგრძობს არსებობას და ამასთან არ ეტყობა დაქვეითება.

დიდად დაწინაურდა სამთამადნო და მეტალურგიული წარმოების არქეოლოგია მისი წამომწყების ი. გძელიშვილის ხელში. მან დიდი მუშაობა ჩაატარა ქვემო ქართლსა და აჭარაში და რამდენიმე ნაკვლევიც გამოაქვეყნა. მისი ყურადღების არეში მოექცა რუსთაველის ხანის ძეგლებიც[1]. ქვემო ქართლში ამ მხრივ განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა კვლევა-ძიება ბოლნისის რაიონში, რომელიც სათანადო მადნეულით (კერძოდ, ჰემატიტით) სიმდიდრის გამო ადრეული რკინის ხანიდან XX საუკუნემდე და მეტადრე ფეოდალურ ხანაში, წარმოადგენდა ქართული სახელმწიფოს ძირითად „სარკინეთსა" და საჭურვლის წარმოების საიმედო საყრდენს. იქ გეოლოგიურმა ძიებამ ბევრგან გამოავლინა ძველი სამთო გამონამუშევრები. ერთი მათგანი იყო რკინისწყალზე, სადაც 1948 წ. ჩატარებულმა თხრამ გამოარკვია, რომ ინტენსიურად ხდებოდა მადნის მოპოვება სწორედ XI—XII სს. მეტალურგიული (რკინის მადნის დასაწვავ-გამოსადნობი) დიდი ქურის ნაშთი აღმოჩნდა ნასოფლარ გონბათში. იგი ქვით არის ამოყვანილი და რთული აღნაგობა აქვს. ოთხ სხვა ადგილასაც აღმოჩნდა ასეთი ქურები, რაც მოწმობს, რომ რკინის დნობას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ ქვეყანაში. მაგრამ ასეთი ქურები ვერ ეყოფოდა იმ დიდძალ მადანს, რომელიც მაღაროებიდან ჩანს გამოტანილი (ყოველ მათგანში თითო ჰორიზონტზე 20000 კუბმეტრი). ბოლო დროს აღმოჩნდა კიდევაც სოფ. კაზრეთთან მადანმოპოვების ისეთი მასშტაბის შესატყვისი დიდი ქურა, რომელიც მსოფლიო წარმოებითს არქეოლოგიაშიც კი უნიკალურად შეიძლება ჩაითვალოს იმ დროისათვის.

მოპოვებული დეტალების მიხედვით ქურებს საბერველებით ამუშავებდნენ. მადანი ადგილობრივ უნახავთ. „დამწიფებულ" ლუგვებს წინა კედლის დაშლით იღებდნენ დიდძალი წიდის მიხედვით. იმ სახელოსნოში 1000-ოდე ტონა რკინა უნდა იყოს გამოდნობილი.

იქვე არის პატარა ცილინდრული ქურები XIV საუკუნისა. გამთხრელი ფიქრობს, რომ XI—XII სს. შემდეგ მეტალურგია ქვეითდება და მცირე ქურებზე გადადიან.

---

[1] И. А. Гдзелишвили, Железоплавильное дело в древней Грузии, Тб. 1964. ი. გ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, რკინის სადნობი ძველი სახელოსნოები აღმ. საქართველოში, „მაცნე", 1964, № 1; მ ი ს ი ვ ე, რუსთაველის ეპოქის რკინის მეტალურგია, „მაცნე", 1966, № 5; მ ი ს ი ვ ე, რუსთაველის ეპოქის რკინის მეტალურგია ახალი აღმოჩენების სინათლეზე, კრებ. „შოთა რუსთაველი", თბ., 1968.

როგორც დავინახეთ, არქეოლოგიური ძეგლები, როგორც ამ შემთხვევაში ჩვენი შემეცნების წყაროები, საკმაოდ მრავლადაც არის გათხრილ-შესწავლილი, ნაირ-ნაირიცაა და მეტყველიც.

რა უმნიშვნელოვანეს დასკვნებს გამოგვატანინებს ამ წყაროთაგან მიღებული ცოდნა?

შუა ფეოდალურ ხანაში, მიუხედავად საქართველოს საერთო უდიდესი ძლევამოსილებისა და ნივთიერი სიღონივრისა, როგორც ცნობილია, სოციალური ჭიდილი საკმაოდ მწვავედ მიმდინარეობს და არქეოლოგიაც გვამცნობს, რომ საზოგადოების სხვადასხვა ფენის შეძლებულობაში საკმაოდ მძაფრი კონტრასტებია. თან ისიც უნდა დავძინოთ, რომ წერილობითი წყაროების მიხედვით ცნობილი გ ლ ა ხ ა კ თ ა ფენა არქეოლოგიურ მასალებში არ აისახება. მიუხედავად ყოველივე ამისა, უეჭველია ფეოდალური საქართველოს საერთო ნივთიერი კეთილდღეობა, რამდენადაც განათხარები გვაძლევენ ამის დანახვის საშუალებას. ჩანს, ეს თითქოს პარადოქსული დაკვირვება იმით უნდა აიხსნას, რომ ქვეყანა მართლაც უჩვეულო ყოველმხრივ გაფურჩქვნას განიცდის და დოვლათი უშუალო მწარმოებელთა ჩაგრულ კლასებსაც ხვდებათ მცირე წილის ოდენობით იმ სიმდიდრიდან, რომელიც ეკონომიკის, მეურნეობის აღმავლობის, ნადავლიანი ომიანობისა და სახელმწიფო შემოსავლის უჩვეულო ზრდისაგან გამომდინარეობს და ეს „მცირე წილი“ მათ ქონებრივად წელს უმაგრებს.

ამ მხრივ განსაკუთრებით დამაფიქრებელია მიწათმოქმედ-მესაქონლეთა, მოქალაქეთა, ხელოსანთა თუ მეციხოვნე ჯარისკაცთა ნადგომი შენობების ნაშთების თხრისას დაგროვილი დაკვირვება; ის ადამიანები მკვიდრ (თუმცა კი არქიტექტურულ სამკაულსა და მეტწილად კრამიტის სახურავს მოკლებულ) ბანიან სახლებში ბინადრობდნენ, საკმაო სახნავ-სათესსა თუ სახილ-ვენახე მიწებს ფლობდნენ და ამუშავებდნენ (მოქალაქენიც კი, რაც თვალნათლივ ჩანს, მაგ., კუხეთის რუსთავის განათხარში); რიგიანად იკვებებოდნენ (არც ნაირ-ნაირ ხორცეულს იკლებდნენ, არც პურეულსა და არც ღვინოს). ჩაცმა-დახურვაზე არქეოლოგიური მონაპოვრების მიხედვით თითქმის ვერას ვიტყვით და ეს არც არის აუცილებელი, რადგან ამ დროიდან შემორჩენილი გვაქვს ბევრი ნახატი (ფრესკული თუ მინიატურული, რომლებიც ამ მხრივ შესანიშნავად იყო გამოყენებული ჯერ კიდევ იმ არქეოლოგიურ გამოფენაზე, ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით რომ გაიმართა საქ. სახ. მუზეუმში 1937 წელს). სამაგიეროდ, განათხარებმა მეტადრე რუსთავისა და დმანისის სამაროვნებისამ, საკმაო წარმოდგენა შეგვიქმნა იმის თაობაზე, თუ რა და რანაირ სამკა-

ულს ატარებდნენ მანდილოსნები, ისევ და ისევ საშუალო თუ ნაკლები შეძლების მქონენი: ნაირფერად მინის სამაჯურებს, რომლებიც შედარებით იაფია, ბრინჯაოს სამაჯურებს (ზოგჯერ მინასთან ერთად), მძივთაგან შედგენილ ყელსაბამებს (ხანდახან შიგ სპილენძის გახვრეტილ მონეტებსაც ატანდნენ), ბრინჯაოს მარტივსა და ფარაკიან ბეჭდებს (ზოგიერთ ფარაკზე ამოკაწრულია სქემატური გამოსახულება), ბრინჯაოს, ხოლო ზოგჯერ აგრეთვე ოქროს საყურეებსა და გულსაკიდებს (ამ ორი უკანასკნელის შესანიშნავი ნიმუშები გვაქვს რუსთავის ორი აკლებული სახლის ნაშთებს შორის).

განსაკუთრებით ყურადსაღებია თიხის ჭურჭლეულის მოხმარების სურათი: გარდა ჩვეულებრივი მოუჭიქავი სამეურნეო-სამზარეულო ჭურჭლისა, ეტყობა, ყველგან (სოფლებშიც) მოჭიქულს იყენებდნენ. გამოყენებულია მხატვრულიც — ჯამები; ხოლო ისეთი უძვირფასესი კერამიკა, როგორიც ფაიანსია, ნაქალაქარებს გარდა, ზოგჯერ გვხვდება ნასოფლარებშიც, ოღონდ გამორჩეულ, დარბაზულ ნაგებობათა ნაშთებს შორის.

ასეთი ფართო მოხმარების საგნების შესაბამისი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურებოდა (და, ამრიგად, მიმწოდებელი და მომხმარებელი ერთიმეორეს „აქეზებდნენ“ და გემოვნებას უხვეწავდნენ) ფართოდ განშტოებული ქსელი ნაირ-ნაირი თიხის ჯამ-ჭურჭლის (მათ შორის ფაიანსისაც), მინის ჭურჭლეულისა და სამკაულის (სამაჯურების, ბეჭდების, მძივების) მკეთებელი სახელოსნოებისა, რომლებიც უმთავრესად ქალაქ ადგილებში მოქმედებდნენ (გადაჭრით შეგვიძლია ვიმსჯელოთ თბილისის, კუხეთის რუსთავის, სამშვილდის, დმანისის, თელავის, უჯარმის, ჯავახეთის ახალქალაქის, მცხეთის და სხვ. ასეთ კერებზე), ხოლო ზოგჯერ გვხვდება სოფლებში და მათგან დაშორებულ ადგილებშიც კი. ხანდახან უშუალოდ არცა გვაქვს მიგნებული წარმოების ნაშთები, მაგრამ ამა თუ იმ ნაქალაქარში ან ნასოფლართა ჯგუფში შემონახული თავისებური ნაწარმის მიხედვით ვმსჯელობთ ასე. ის კი არა და ცალ-ცალკე სკოლებისა და ოსტატების „ხელის“ გამოცნობაც კი ხერხდება. თანდათან გამოინაკვთა ქართული ფაიანსის თავისებური სერია და მისი კეთების სავარაუდო კერები.

რაც შეეხება ლითონის საგნების, კერძოდ, ოქრო-ვერცხლის სამკაულის კეთებას, სათანადო საწარმოო კერების, ტორევტიკული და საოქრომჭედლო სახელოსნოების შესახებ ჯერჯერობით ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა გვაქვს, მაგრამ შეგვიძლია ვიგულისხმოთ ისინი თბილისს გარდა დმანისსა (XIII საუკუნის საუცხოო განძია აღმოჩენილი ოქრო-ვერცხლის სამკაულისა) და კუხეთის რუსთავშიც (ოქროს საყურე და გულსაკიდი, ვერცხლის სამკერდული ჯვარი, ბრინჯაოს ასეთივე ჯვარი და საეკლესიო ნივთებია აღმოჩენილი).

ახლა თუ ისევ კერამიკასა და მინას მივუბრუნდებით, უნდა ხაზგასმით აღინიშნოს ერთი გარემოება: რაც არ უნდა მრავალი საწარმოო კერა გამოვიცნოთ, ხოლო მათ მიხედვით ცალკეულ ქალაქთა სკოლები და ა. შ., ისინი თითქმის ყველა არსებითად ერთგვაროვანია და მკაფიოდ გამოხატულ საწარმოო-კულტურულ ერთიანობაზე მიგვანიშნებს. სხვანაირად რომ ითქვას, დაკვირვებული არქეოლოგი მყისვე გამოაცხვავებს ქართულ კერამიკულსა თუ მინის მასობრივ ნაწარმს, მიუხედავად იმისა, რუსთავიდან მომდინარეობს იგი თუ ჯავახეთის ახალქალაქიდან. განსხვავებულია იგი აგრეთვე სომხეთში, აზერბაიჯანში და, მით უმეტეს, სპარსეთში აღმოჩენილი ნაწარმისაგან, როგორც ტექნიკით, ისე ფერადოვნებით, მხატვრული ჩანაფიქრით, სამკაულით (მცენარეული თუ გეომეტრიული ორნამენტით, ფრინველების, ცხოველებისა და ადამიანთა გამოხატულებით). ამ შედარებით მცირე ძეგლების გავრცელება და რაგვარობაც მიგვანიშნებს თავის მხრივ, რომ ქართულ ფეოდალურ სამთავროთა გაერთიანებას და მჭიდროდ შერწყმას უქმად არ ჩაუვლია და საწარმოო-მხატვრული კულტურის მხრივაც ძლიერ დაუახლოვებია ერთიმეორესთან სხვადასხვა მხარე და ქალაქი. ჯერჯერობით ამასვე ვერ ვიტყვით გადაჭრით დასავლეთ საქართველოს შესახებ, სადაც, მაგ., კერამიკა, აღმოსავლურისაგან თავისებურებით გამოირჩევა.

ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა ითქვას, რომ მონაპოვარი კერამიკისა და მინის მცირე, ხოლო ფაიანსის დიდი ნაწილი უცხოური წარმოების ან უცხო ტიპისაა და ადგილობრივ არის ნაწარმოები. ეს გარემოება მიგვანიშნებს ეკონომიკურ-კულტურულ სიახლოვესა და ურთიერთობას მეზობელ თუ უფრო შორეულ ქვეყნებთან, უპირველეს ყოვლისა, სომხეთთან და აზერბაიჯანთან და, რაც მთავარია, სპარსეთთან. აქ უნდა დავასახელოთ ირანული ფაიანსი (თბილისში, რუსთავში, დმანისსა და სხვ. ნაპოვნი), რომლის წარმომავლობა ზოგჯერ ქალაქისა და საწარმოო კერის სიზუსტითაც კი ირკვევა, მინის თითო-ოროლა ჭურჭელი, ღია ფრად გამომწვარი თიხის ხელადა (თბილისის განათხარიდან), რომელზედაც ომარ ხაიამის ლექსია დაწერილი, მუსლიმანური ყაიდის ორნამენტის მქონე ორიოდე მოჭიქული წითელკეციანი ჯამი თელავისა და თბილისის განათხარებიდან და სხვ. აქ ისიც არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ზოგ ძველ ქალაქში (მაგ., თბილისში, დმანისსა და ეგეგ თელავშიც) სრულიად გარკვეული, ისტორიული ვითარების შედეგად დაბუდებული იყვნენ სხვადასხვა ეროვნების მუსლიმანი მოქალაქეები, რომლებიც არ აყრილან (გავიხსენოთ დავით აღმაშენებლის სულგრძელი მოპყრობა მათ მიმართ თბილისის განთავისუფლების შემდეგ) და როგორც საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის ორგანული და საკმაოდ აქტიურად მშრომელი ნაწილი — მაგ., თბილისში დღემდეც დარჩნენ.

ყურადღებას იქცევს საყოველთაო გავრცელება მოხატულ-მოჭიქული თიხის ჯამ-ჭურჭლისა და მინის სამაჯურებისა. როგორც უკვე ითქვა, საკმაოდ გავრცელებული ჩანს აგრეთვე სამშენებლო კერამიკის ზოგი სახეობა („ყვავილიანი კრამიტი", მოჭიქული კრამიტი — ყვავილიანი თუ სადა, შორენკეცები და ა. შ.). „ყვავილიანი კრამიტი", გარდა თბილისის სათუნე სახელოსნოსი, გვხვდება ნადარბაზევის სასახლეში, ქვემო ქართლის ზოგიერთ ტაძარში და სხვ. ასეთი გავრცელება იმის ნიშნადაც არის მიჩნეული, რომ მისი წარმოება სამეფო მონოპოლიას შეადგენდა და ყვავილი ამის ნიშანი იყო (ამიტომ ხომ არ არის მეფეთა კუთვნილ კუთხეში იგი ასე ხშირად?). მოჭიქული კრამიტი გაცილებით უფრო ფართოდ იხმარება, მაგრამ მხოლოდ დიდრონ, უმთავრესად საკულტო ნაგებობათა და სასახლეთა (გეგუთი) დასაბურავად. მოჭიქული შორენკეცები ნასასახლარ ადგილთა (მაგ. კუხეთის რუსთავი) გარდა ტაძრებშიც ყოფილა გამოყენებული (იმავე ქვემო ქართლში). ამასთან დაკავშირებით უთუოდ გასახსენებელია ათონის მონასტრის ერთი აღაპი (XI საუკუნისა), რომლის მიხედვითაც საეკლესიო ნაგებობის დამშვენების ერთ-ერთი აუცილებელი მომენტი ყოფილა მისი „გამოჭიქვა". აქ, ჩანს, უნდა ვიგულისხმოთ შიდა კედლების დაფარვა მოჭიქული ფილებით, ანუ შორენკეცებით.

ფულის მიმოქცევა არქეოლოგიური მასალების მიხედვითაც გაცხოველებული და, რაც მთავარია, ერის თითქმის ყველა ფენის ყოფაშია ღრმად გამჯდარი. ოღონდ, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით ჩანს ეს ნაქალაქარების და აგრეთვე განცალკევებულ საწარმოთა ნაშთების თხრისას. დმანისში, რუსთავსა და თბილისში, შედარებით მცირე გათხრილ არეებზე, ასეულობითაა აღმოჩენილი იმ დროის მონეტები, რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენს ქართული სპილენძის ფული. ვერცხლი ძალიან იშვიათია, ხოლო ოქრო — ჯერჯერობით ორი ცალია აღმოჩენილი (ბიზანტიური — XI საუკუნისა, ერთი დმანისის გარეუბანში, ხოლო მეორე რუსთავის ნაციხვარზე). ქართული ფულის მომჭრელი მეფეები წარმოდგენილი არიან უწყვეტლივ — დემეტრე პირველიდან დავით ნარინის ჩათვლით. ზარაფხანას თბილისის გარდა, დმანისშიც უმუშავნია. ხშირია განძები (ბოლო დროს შიშიანობის გამო). ყოველივე ეს კიდევ ერთი მკაფიო მოწმობაა ქვეყნის ნივთიერი კულტურის აღმავლობისა.

განათხარებმა მოგვცეს ერთი ფრიად მნიშვნელოვანი და თვისებრივად ახალი ჯგუფი მასალებისა, რომელთაც მჭიდროდ უკავშირდება საკითხი მოსახლეობის კულტურული დონისა. დმანისში და მეტადრე რუსთავში მოპოვებულია წარწერიანი საგნები (თიხის ზოგიერთი ჯამ-ჭურჭელი, ქვევრი, კრამიტი) და საფლავის სტელები. ყველა შემთხვევაში ვხვდებით ასომთავრულის საუცხოო ცოდნას და, რაც მთავარია, ფართო გავრცელებას; მას თავისი სახელის დასაწერად (კუთვნილებისა თუ ნახე-

ლაობის აღსანიშნავად) იყენებენ მეთუნე ოსტატები და ნივთთა მფლობელები, კრამიტის გამომწველები და ა. შ. ეპიტაფიებზე ხომ აღარ ღირს საგანგებოდ საუბარი.

ერთი მთავარი კულტურულ-ისტორიული დასკვნა, რომელიც გამომდინარეობს ამ ახალ-ახალ აღმოჩენათაგან, ისაა, რომ სავსებით მცდარია ნ. მარის წინასწარული აზრი, თითქოს ასომთავრული მარტოოდენ საზეიმო-საეკლესიო დამწერლობა იყო და სათანადო ზედაფენის წრეში გავრცელებული. პირიქით, იგი ყოვლად მასობრივი და ნამდვილი ხალხური დამწერლობა ყოფილა. მეორე მხრივ, ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები მოწმობენ მოსახლეობის, განსაკუთრებით კი მოქალაქეთა, აშკარა წიგნიერებას. ეს კი უფლებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ, რომ იმათ შორის, ვისი ნასახლარები და ნაქონები ნივთებიც უკვე მრავლად არის გათხრილ-შესწავლილი, ცოტა როდი იქნებოდა ისეთი ქართველი, რომელიც მოახერხებდა „ვეფხისტყაოსნის“ კითხვით დატკბობას.

შესწავლილი ციხე-ქალაქები (თბილისი, თელავი, უჯარმა, რუსთავი, დმანისი, ახალქალაქი და სხვ.) გარეგნულადაც და განათხართა მიხედვითაც ტიპოლოგიურად სხვადასხვანაირნი არიან და ეს, სხვა მიზეზთა გარდა, სათანადო ადგილების ფიზიკურგეოგრაფიულ ვითარებასაც მიეწერება. მაინც ახლავე შეგვიძლია გამოვასხვაოთ ორი აღნაგობრივ დიამეტრულად საწინააღმდეგო ჯგუფი, რომელთაგან ერთის ნიმუში იქნება კუხეთის რუსთავი, მეორისა კი დმანისი და ჯავახეთის ახალქალაქი (ასეთია ჯერ შეუსწავლელი სამშვილდეც). პირველი გაშენებულია მტკვრის-პირა ვაკეზე, რომელსაც მხოლოდ შორიახლოს დაუყვება ქედები, ხოლო ციხე დგას მდინარესა და არხის სათავეს შორის მდებარე მომცრო გორაზე. მეორენი მოზღუდვილი არიან ორი ხევღრმა მდინარის შესართავის დაყუდებულ მაღალ ციცაბო ზეგნებზე და მათი ბუნებრივი შეუვალობა ბევრად უფრო ეფექტურია, ვიდრე რუსთავის ბორცვზე შემოვლებული მძლავრი ზღუდისა. დმანისშივეა ვიწრო ქუჩები და ერთიმეორეზე მიჯრილი შენობები, დუღაბითა და უსწორმასწორო, ნატეხი კლდისქვით ნაგები (მხოლოდ წარჩინებულთა სახლებს ეტყობა შენება-შემოსვის მეტი გულმოდგინება და გარეგნულ მშვენებაზე ზრუნვა). რუსთავში მჭიდროდ მიჯრილი და რუის ქვით ნაშენი სახლები სამეურნეო მინაშენებითურთ ბანურსახურავიანია. კრამიტი ძალიან იშვიათად ჩანს და, ეტყობა, წარჩინებულთა თუ შეძლებულთა სახლების დასახურავად იხმარებოდა მხოლოდ.

თითქმის ყველა ნაქალაქარში ძალიან ხშირად გვხვდება ქვევრები (ზოგჯერ მარნებად დაჯგუფებული), დერგები, თონეები, მარცვლეულის შესანახი ორმოები, კერები, ხელსაფქვავები, ქილები, კოკები, დოქები, ხელადები, ჯამები, მინის საგნები, მონეტები, ნასუფრალი ძვლები. რუს-

თავში ამათ ემატება შემონახული ბოსტნეულის თესლი და წითლად შეღებილი კვერცხის ნაჭუჭი. ცალკეა აღსანიშნავი წისქვილის ქვები რუსთავში და ზეთსახდელები დმანისსა და ახალქალაქში.

როგორც ვხედავთ, ბევრმა რამემ უნდა გვაფიქრებინოს, რომ შესწავლილ ქალაქთა მოსახლეობა ჯერ კიდევ ფართოდ მისდევს მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას, აგრეთვე მონადირეობას. საერთოდ, სასოფლო მეურნეობა ერთ-ერთ ძირითად თავსარჩენ საქმიანობას უნდა წარმოადგენდეს. მიუხედავად იმისა, რომ ნამდვილად განვითარებული და ღონივრად ფრთაგაშლილია ხელოსნობა (ზოგჯერ ქალაქთა გარეშეც კი), იგი როგორც სასაქონლო წარმოების ფრიად არსებითი და ნაყოფიერი დარგი, ქალაქთა მოსახლეობის დიდი ნაწილის ხვედრია.

კიდევ ერთი საპირისპირო დაკვირვება მოგვეპოვება: თუ, მაგ., დმანისის მოსახლეობა ეროვნულად და სარწმუნოებით ჭრელი უნდა ყოფილიყო (იგივე ვითარებაა საგულისხმო თბილისშიც და მცირედ მაინც თელავშიც), რუსთავში, პირიქით, ერთგვაროვანი, მთლად ქრისტიანული და ქართული (მაინცდამაინც, ქართულად მოუბარი) მოსახლეობა ჩანს. ამ განცხადების უფლებას გვაძლევს: სამაროვნის რაგვარობა, მხოლოდ და მხოლოდ ქართული წარწერები საფლავის ქვებზე, კრამიტზე, ხელადაზე, ქვევრის პირსა და ბათქაშზედაც კი; ძლიერ მცირე პროცენტი უცხოური ან უცხოურ ყაიდაზე ნაკეთები საგნებისა; წმინდა ქართული დეკორი და ორნამენტი ჯამ-ჭურჭელზე და ა. შ.

განათხართა ერთი ჯგუფი (კუხეთის რუსთავი, ძველი თბილისის სათუნე საწარმო, ქვემო ქართლის ნასოფლარები, დმანისი) პირდაპირ თუ ნართაულად გვიმოწმებენ წერილობითი წყაროების ცნობას იმის თაობაზე, რომ მონღოლთა შემოსევა-თარეში საქართველოსა და მეტადრე მისი დიდრონი სამოსახლოებისათვის (თუმცა აგრეთვე სოფლებისათვის) გამანადგურებელი და ამაწიოკებელი ყოფილა. კუხეთის რუსთავი მართლაც ბექა ყაენის და ერანის ილხანების სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილის დროს უნდა იყოს დაღუპული (1265 წ.), განათხარის უახლესი ფენის ხნოვანების მიხედვით. მას შემდეგ იგი ქალაქად აღარც აღმდგარა. დმანისიც ძლიერ ქვეითდება მონღოლების შემდეგ. იგივე ვითარება გამოსჭვივის ახალქალაქში. თბილისის ერთ-ერთ აოხრებას — იმ უბნის ერთი დაკვრით განადგურებას და გადაწვას — ხომ მჭევრმეტყველად გვისურათებს ზემოაღნიშნული განათხარი სახელოსნოსი. ქვემო ქართლის მრავალი სოფელი (მარტო სამშვილდის ქვეყანაში ასიოდე!) სწორედ მონღოლთა შემდეგ ქცეულა ნასოფლარად.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ჯალალ ად-დინის შემოსევასა და ხანმოკლე ბატონობას, აგრეთვე მონღოლების პირველ, შედარებით მშვიდ გამოჩენას არ დაუტოვებიათ თვალნათლივი კვალი არც ნგრე-

ვა-გადაწვისა და კაცთა ჟლეტის და არც მოსახლეობის ნივთიერი დაქვეითების მხრივ. უკანასკნელი განცხადების საფუძველს ის გვიქმნის, რომ თბილისსა და რუსთავში თხრისას მოპოვებულ განძებში თუ მიმობნეულ მონეტებში საკმაოდ მრავლად არის ჯალალ ად-დინის დამღანაკრავი ქართული ფულიცა და პირვანდელი მონღოლური მონეტებიც. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ მოსახლეობაში გარკვეული, არცთუ მცირე ოდენობით ფულის ტრიალისა და დაგროვების შესაძლებლობა არც აღკვეთილა და არც შემცირებულა. ამას ისიც ერთვის, რომ იმ მონეტებით დათარიღებული ფენები განათხარებისა სავსეა ნივთიერი დოვლათის მომასწავებელი არქეოლოგიური მონაპოვრით. თავისთავად განძების დაფლვა კი, ცხადია, საერთოდ მოუსვენარი დროების მოწმობაა.

თითო-ოროლა შემთხვევით (ქალაქთაგან კარგა დაშორებით) შემორჩენილი და გათხრით გამოვლინებული სასახლის ნანგრევი (გეგუთი, ნადარბაზევი) გვამცნობს, რომ ფეოდალური საზოგადოების ზედაფენას — სამეფო სახლსა და დიდრონ ფეოდალთა გვარებს, რასაკვირველია, შესძლებია და კიდევაც უშენებია დიდებული საზეიმო საცხოვრებელი ნაგებობანი, რომლებიც ყოველმხრივ კონტრასტულად უპირისპირდებოდა იმავდროულ (და ნადარბაზევში იქვე, ორიოდე ნაბიჯზე გამოვლენილ) სოფლურ საცხოვრებელ შენობებს. დიდკაცური სასახლეები, გარდა აუცილებელი დამხმარე-სამეურნეო შენობათა — „შრამელების" — თანხლებისა, აღჭურვილია სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობით, რომელიც კარგად ახასიათებს იმდროინდელ საუკეთესო დონეს კომუნალური და სანიტარიულ-ჰიგიენური კულტურისას (აბანო, ბუხრიანი სენაკი, წყაროს წყლის მილსადენი და ა. შ.). თავისთავად ცხადი და ცნობილია, რომ სასახლეების შორიახლოს ყველგან ცხოვრობდნენ (ჩვეულებრივ სახლებში) მათი მომსახურენი, „მოჯალაბეები" (დღესაც არის ასე წოდებული სოფელი რაჭის ერისთავთა რეზიდენციის—ბარაკონის მახლობლად). მკაფიოდ ჩანს ეს სამშვილდის ნადარბაზევში, სადაც გალავანს გადაღმა ასიოდე მეტრზე არის მცირე ნასოფლარი, რომლის თხრით მოსინჯვამ ცხადყო, რომ იქ შუა ფეოდალური ხანის სამოსახლო გვაქვს საგულისხმებელი.

მეორე მხრივ კი ისიცაა აღსანიშნავი, რომ სასახლეები, რომლებიც თავისთავად საუკეთესო ნიმუშებია საერო ხუროთმოძღვრებისა, ნამდვილად ჩამოუვარდებიან (თუკი ეს ნგრევის გამო არ ეჩვენება თვალს) იმავდროული სატაძრო ხუროთმოძღვრების ზოგიერთ მეორეხარისხოვან ნიმუშებსაც კი. ეს დაკვირვება ვრცელდება შემორჩენილთაგან ყველაზე უფრო დიდსა და მდიდრულ გეგუთის სასახლეზედაც[1] (რომელსაც ვახუშ-

[1] 1954 წელს ვ. ცინცაძის მიერ ჩატარებული გაწმენდა-აღდგენითი მუშაობის შემდეგ ძეგლი თითქოს უფრო მიმზიდველი გახდა, მაგრამ ეს ნამუშევარი ჯერაც გამოუქვეყნებელია.

ტი „მეჩითისებრ“ ნაშენს უწოდებს!). ეს მით უმეტეს ითქმის ისეთ, ჩანს, ჩვეულებრივ, სასახლეზე, როგორიც არის ნადარბაზევი. იგი, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ გარეთა პერანგი შემორჩენია, ვერ ტოვებს ბრწყინვალე ნაგებობის შთაბეჭდილებას (სიტლანქე და სრული შეუმკობლობა ვერ ხიბლავს თვალს), თუნდაც წარმოვიდგინოთ ყველა ის ნაწილი (უპირველეს ყოვლისა, ჭერი და სახურავი და ეგებ შიდა კედლების ოდესღაც მორთულობა), რომელიც დროთა ვითარებაში დაუკარგავს.

ამ მხრივ უკეთესად გამოიყურება გელათის აკადემიის ნაგებობა, რომელსაც თითქოს უკეთესი გარეგანი დეკორი მაინც უჩანს. შესაძლოა, ამის მიზეზი ისიც იყოს, რომ აკადემია სამონასტრო ანსამბლში შედიოდა და მის ასე მორთვას თუნდაც მხატვრული მთლიანობის საჭიროება მოითხოვდა.

დიდი სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგნად ქცეული მოვლა-პატრონობა XII საუკუნეში დიდად მოჭარბებული სახელმწიფო საჭურჭლისა განსახილველ ხანაში სხვადასხვანაირად ხორციელდება; გიორგი მესამე უჯარმის ადვილად მისაწვდომ ციხე-დარბაზს აღადგენს და საგანძურს შიგ ათავსებს, მონღოლობის დროს კი მას არწივის საბუდარ ხვამლის კლდეში მალავენ. საერთოდ კი მთელი სისტემაა სამალავ-სახიზარი ქვაბებისა, რომლებიც დიდად საჭირო ხდება ჯერ თურქ-სელჩუკების დროს (XI ს.) და მერე მონღოლობის პერიოდში, რომელსაც არ აკლია თითქოს წერილობითი წყაროებით გაშუქება. მაგრამ ყოველივე ის, რასაც არქეოლოგიური კვლევა-ძიება გვაწვდის, ამ წერილობითი ისტორიის მიღმა რჩება. უმეტესად ეს ითქმის ნივთიერი დოვლათის უშუალო მწარმოებელთა ყოფისა და კულტურის შესახებ. ჩვენი ისტორიის ამ დიდ ნაკლოვნებას და ცალმხრივობას გულისტკივილით აღნიშნავდა ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე, რომელიც მას უწოდებდა „მეფეების ისტორიას, რომელშიც ერი არა ჩანს“.

არ იქნება გაზვიადებული იმის თქმა, რომ ამ ხარვეზის შევსებაში ჩვენ მიერ განხილულ არქეოლოგიურ ძეგლებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს.

ნაწილი II

საქართველო XIII—XV სს.

თავი მეოთხე

საქართველოს დაპყრობა მონღოლების მიერ

§ 1. მონღოლები და მათი დაპყრობითი ომები

XIII საუკუნის დამდეგს ცენტრალური აზიის ველებიდან გამოვიდნენ მომთაბარე თათარ-მონღოლთა ხალხმრავალი ურდოები, რომლებმაც შედარებით მოკლე ხანში აზიისა და ევროპის ბევრი ქვეყანა დაარბიეს და დაიპყრეს და მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნიეს მათ შემდგომ ისტორიას[1].

XI საუკუნეში თანამედროვე მონღოლეთის ტერიტორიაზე მომთაბარეობდნენ მონღოლურ ენაზე მოლაპარაკე ტომები, რომელთაც ერთი საერთო სახელი ჯერ კიდევ არ ჰქონდათ. ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ტომის, თათრების სახელი მეზობელმა ხალხებმა სხვა ტომებზეც გაავრცელეს, ოღონდ საკუთრივ თათრებისაგან (ანუ თეთრი თათრებისაგან) განსხვავებით, მონღოლური მოდგმის სხვა ტომებს „შავ თათრებს“ უწოდებდნენ. ტერმინი „მონღოლი“ ოფიციალურად შემოღებულ იქნა მხოლოდ XIII საუკუნეში და მონღოლთა გაერთიანებულ სახელმწიფოში შემავალი ყველა ტომის აღმნიშვნელი სახელი გახდა. XIV საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ჟამთააღმწერელი შენიშნავს, რომ „ესენი ენითა მათითა უწოდიან თავთა მათთა მანღოლ, ხოლო ქართველნი თათრად, რომელთა ვგონებ ერთსოფლელად“[2].

---

[1] მონღოლთა სოციალურ-ეკონომიკური წყობის შესწავლაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს საბჭოთა ისტორიკოსებმა, რომელთაც მრავალი პირველწყაროს მონაცემების საფუძველზე შეიმუშავეს სწორი, მარქსისტული შეხედულება მონღოლური საზოგადოების განვითარების შესახებ XI—XIII საუკუნეებში (იხ. Б. Я. Владимирцов, Общественный строй монголов, Л., 1934; Б. Д. Греков, А. Ю. Якубовский, Золотая Орда и ее падение, М.—Л., 1950; А. Ю. Якубовский, Из истории изучения монголов периода XI—XIII вв., «Очерки из истории русского востоковедения», М., 1953; ვ. გაბაშვილი, მონღოლები, „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან“, თბ., 1957).

[2] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 160.

ყოველ მონღოლურ ტომს ჰქონდა საკუთარი სამომთაბარო რაიონი ყიშლაღ-იალაღებით (საზამთრო და საზაფხულო საძოვრებით). „ყოველმა მეთაურმა, იმისდა მიხედვით, მეტი თუ ნაკლები ადამიანი ჰყავს მას ხელქვეით, იცის თავისი საძოვრების საზღვრები და სად უნდა წაიყვანოს თავისი ჯოგები ზამთარსა და ზაფხულში, გაზაფხულსა და შემოდგომაზე"[1].

მომთაბარენი ცხოვრობდნენ ქეჩის კარვებში, რომლებსაც თან დაატარებდნენ. ზოგიერთი კარავი ადვილად იშლებოდა და ნაწილ-ნაწილ გადაჰქონდათ, ზოგს კი ურმებზე დგამდნენ.

მონღოლები ძირითადად ხორცითა და რძის ნაწარმით იკვებებოდნენ. „პურისა გემო არა იციან, ჯორცითა და პირუტყუთა სძითა ცხოვნდებოდეს" — შენიშნავს ქართველი ჟამთააღმწერელი[2]. ფრანცისკელი ბერის პლანო კარპინის სიტყვით კი „ისინი სჭამენ ყველაფერს, რისი დაღეჭვაც შეიძლება"[3].

XIII საუკუნის დამდეგისათვის მონღოლეთში ადრეფეოდალური ურთიერთობა დამკვიდრდა. ძირითადი საწარმოო საშუალება — საძოვრები — ხელში ჩაიგდო ახლად წარმოქმნილმა მომთაბარულმა არისტოკრატიამ, რომელმაც მიითვისა საძოვრების განაწილების უფლება. რამდენადაც ჯოგების შენახვა შეუძლებელი •ყო საძოვრების გარეშე, უშუალო მწარმოებელი — რიგითი მონღოლი მეჯოგე, ფეოდალურ კლასად ჩამოყალიბების პროცესში მყოფმა ნოინებმა დამოკიდებულ მდგომარეობაში ჩააყენეს: სამწყემსავად ურიგებდნენ თავიანთ ჯოგებს, აიძულებდნენ მარეკებად გამოსულიყვნენ ჯერგით ნადირობის დროს და ბევრი სხვა სამუშაოც შეესრულებინათ.

მონღოლთა სამხედრო-მომთაბარული არისტოკრატია ხშირად აწყობდა მარბიელ ლაშქრობებს როგორც საკუთრივ მონღოლეთში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ამ ომების შედეგად მათ ხელში უვარდებოდათ მრავალი სამხედრო ტყვე, რომლებსაც მონებად აქცევდნენ. მონებს მონღოლი ფეოდალები იყენებდნენ შინამოსამსახურეებად, მწყემსებად, ხელოსნებად. მაგრამ მონობა მონღოლეთში არ განვითარდა, იგი არ შეადგენდა წარმოების საფუძველს; ძირითადი მწარმოებელი იყო არაქი, რომელიც თავის წვრილ მომთაბარულ მეურნეობას ეწეოდა.

---

[1] გ უ ი ლ ი ო მ რ უ ბ რ უ კ ვ ი ს ი, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის" (შემდეგში: მსკი), 1942, ნაკვ. V, გვ. 17. (ფრანცისკელმა ბერმა გ. რ უ ბ რ უ კ ვ ი ს მ ა 1253—1255 წლებში იმოგზაურა მონღოლეთში საფრანგეთის მეფის ლუი IX-ის დავალებით, იყო ყარაყორუმშიც, მანგუ ყაენის კარზე. ევროპაში დაბრუნების შემდეგ აღწერა თავისი მოგზაურობა).

[2] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 158.

[3] პ ლ ა ნ ო კ ა რ პ ი ნ ი, ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ თათრებს ეუწოდებთ, მსკი, 1942, ნაკვ. II, გვ. 10.

მონღოლთა ძირითადი მასის რელიგიას შამანიზმი წარმოადგენდა. მათი მთავარი ღვთაება იყო მარადიული ზეცა. გარდა ამისა, ისინი თაყვანს სცემდნენ მიწის ღვთაებას, სხვადასხვა სულებს. XIII—XIV საუკუნეთა წყაროების მიხედვით (პლანო კარპინი, რუბრუკვისი, ჟამთააღმწერელი), მონღოლებს ერთი ღმერთი ჰყოლიათ, რომელიც მთელი სამყაროს შემოქმედად მიაჩნდათ.

ქერაითების ტომის ზედაფენას ჯერ კიდევ XI საუკუნეში მიუღია ნესტორიანობა, ხოლო ნაიმანებს შორის გავრცელებული ყოფილა როგორც ბუდიზმი, ისე ნესტორიანული ქრისტიანობაც.

კულტურული განვითარების დონითაც მონღოლთა ტომები ერთგვაროვანი არ ყოფილან. განსაკუთრებით ჩამორჩენილი იყვნენ ე. წ. ტყის მონღოლები.

ამგვარად, XI—XII საუკუნეებში მონღოლურ საზოგადოებაში მომწიფდა წანამძღვრები ფეოდალურ ურთიერთობათა სრული გამარჯვებისათვის. მზადდებოდა პირობები მიწის (საძოვრების) ფეოდალთა ხელში გადასვლისა და უშუალო მწარმოებელთა ფეოდალურ დამოკიდებულ კლასად გადაქცევისათვის.

XIII საუკუნის დამდეგს მონღოლეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომთა შიგნით გაჩაღებული მძაფრი სოციალური ბრძოლის შედეგად წარმოიქმნა მონღოლთა გაერთიანებული სახელმწიფო, რომელსაც თემუჩინი — ჩინგიზ-ხანი ჩაუდგა სათავეში. 1206 წელს მდინარე ონონის ნაპირზე მოწვეულ იქნა მონღოლური არისტოკრატიის წარმომადგენელთა ყრილობა, ყურულთაი, რომელმაც თემუჩინი მონღოლთა სახელმწიფოს უზენაეს მბრძანებლად აირჩია. ამრიგად, მონღოლეთის ველებში მცხოვრები მრავალი ტომი, რომელიც მანამდე ერთმანეთს მტრობდა და ეომებოდა, ერთ სახელმწიფოში გაერთიანდა. ახლად წარმოქმნილ სახელმწიფოს იმთავითვე მკვეთრად გამოსახული კლასობრივი ხასიათი ჰქონდა. „ჩინგიზ-ხანი არ ყოფილა „სახალხო გმირი" ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით და მის მიერ შექმნილი სახელმწიფო წყობილებაც არისტოკრატული ხასიათის მატარებელი იყო"[1].

მონღოლური მოდგმის ტომთა გაერთიანება უთუოდ პროგრესული მოვლენა იყო. ამით ბოლო მოეღო დაუსრულებელ სისხლისმღვრელ შინაომებს და შეიქმნა წინაპირობები ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის. მაგრამ მონღოლთა ფეოდალურმა არისტოკრატიამ მეურნეობისა და კულტურის განვითარების ნაცვლად მეზობელი ხალხების დაპყრობა-დამორჩილებისათვის გამოიყენა თავისი ძალები.

მონღოლ ფეოდალთა ასეთი აგრესიულობისა და დაპყრობითი ომები-

---

[1] В. В. Бартольд, Образование империи Чингиз-хана. Сочинения, т. V, М., 1968, с. 261.

საკენ მისწრაფების მიზეზი თვით მონღოლეთის მეურნეობის თავისებურებებშია საძიებელი. საქმე ის არის, რომ მონღოლეთის მეურნეობის ძირითადი დარგი—მეჯოგეობა, ნაკლებპროდუქტიული იყო და ვერ აკმაყოფილებდა მომთაბარული არისტოკრატიის მზარდ მოთხოვნილებებს. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში, როცა სახელმწიფო შემოსავლის შინაგან წყაროს მხოლოდ მეჯოგეობა შეადგენდა, სამხედრო-მომთაბარული არისტოკრატია ნადავლისა და ხარკის საშუალებით ცდილობდა შემოსავლის ახალი წყაროს გაჩენას.

აკად. ვ. ბარტოლდი აღნიშნავდა, რომ „მონღოლეთში მცხოვრებ მომთაბარე ხალხთა გაერთიანებას ყოველთვის თან სდევდა ჩინეთზე თავდასხმა"[1]. მართლაც, თანგუთებისა და უიღურთა ქვეყნების მოთარეშებისა და დამორჩილების შემდეგ ჩინგიზ-ხანმა 1211—1215 წლებში ორგზის ილაშქრა ჩრდილოეთ ჩინეთში. მეორე ლაშქრობის დროს მან აიღო დედაქალაქი პეკინი, დაამხო ცინის დინასტიის ბატონობა და თავის სახელმწიფოს შეუერთა მისი სამფლობელო.

ჩინგიზ-ხანი მდიდარი ნადავლით დატვირთული დაბრუნდა ჩინეთიდან. მთავარი შედეგი ამ ლაშქრობისა ის იყო, რომ მონღოლები გაეცნენ ჩინურ სამხედრო ტექნიკას და დიდძალი საომარი იარაღი და საჭურველი წამოიღეს თან, მათ შორის ლოდსატყორცნი და კედელსანგრევი მანქანები. ამავე დროს, მათ ჩინეთიდან წამოიყვანეს ათასობით ოსტატი, რომელთაც ამ მანქანების დამზადება და გამართვა-გამოყენება შეეძლოთ.

ჩინგიზ-ხანს ჰყავდა მტკიცე. დისციპლინიანი ლაშქარი, რომელიც ათეულებად, ასეულებად, ათასეულებად და ათიათასეულებად (დუმანებად) იყო დაყოფილი (რა თქმა უნდა, ასეთი დაყოფა პირობითი იყო და ყოველთვის როდი შეესაბამებოდა ფაქტიურ რაოდენობას). ამ სამხედრო განაყოფთა სათავეში მონღოლთა მომთაბარული არისტოკრატიის წარმომადგენლები იდგნენ, ხოლო ათიათასეულების მეთაურებად, ანუ დუმანნოინებად ხშირად უფლისწულებიც ინიშნებოდნენ.

ყოველ მეომარს თვითონ უნდა ეზრუნა სალაშქროდ საჭირო აუცილებელ იარაღ-საჭურველსა და საგზალზე. ეს დიდად უწყობდა ხელს მონღოლთა ლაშქრის სწრაფ მოძრაობას, რადგან საჭირო აღარ იყო მძიმე აღალის თან ტარება.

გარდა ძირითადი, საგარეო ბრძოლებისათვის განკუთვნილი ლაშქრისა, ჩინგიზ-ხანს ჰყავდა აგრეთვე პრივილეგიური გვარდია — ქეშიკის რაზმი, რომელსაც პირადად ყაენის დაცვა და ქვეყნის შიგნით წესრიგის დამყარება ევალებოდა.

ჩინეთის დაპყრობის შემდეგ ჩინგიზ-ხანმა ნაიმანების ტომის მეთა-

---

[1] В. В. Бартольд, Туркестан в эпоху монгольского нашествия. Сочинения, т. I, М., 1963, с. 461.

ურის ქუჩლუქის მიერ ყარახითაების სამეფოს ნანგრევებზე შექმნილი საკმაოდ ვრცელი სახელმწიფო გაანადგურა. ამის შემდეგ მონღოლთა ურდოებს გზა ხსნილი ჰქონდათ დასავლეთისაკენ.

XIII საუკუნის დამდეგისათვის მთელ მუსლიმანურ აღმოსავლეთში ყველაზე ვრცელი პოლიტიკური ერთეული იყო ხორეზმშაჰების სახელმწიფო, რომლის გაძლიერება დაკავშირებულია თექეშის სახელთან (1172—1200). მან ბევრი წარმატებული ბრძოლა გადაიხადა როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში, რომელთა შედეგად ირანის დიდი ნაწილი ხორეზმის სამეფოს შემადგენლობაში აღმოჩნდა. მოჰამედ ხორეზმშაჰის დროს (1200—1220) სახელმწიფოს ტერიტორია კიდევ უფრო მეტად გაიზარდა. ამიერიდან მის შემადგენლობაში შედიოდა შუა აზია (მდ. სირ-დარიამდე), თითქმის მთელი ირანი და ავღანეთის ჩრდილოდასავლეთი ნაწილი.

მაგრამ, ამავე დროს, ხორეზმშაჰების სახელმწიფოში მძაფრი შინაგანი წინააღმდეგობები არსებობდა, რაც ძირს უთხრიდა მის ძლიერებას. მოჰამედს მთელს მუსლიმანურ აღმოსავლეთში უდიდესი ჯარი ჰყავდა, მაგრამ ლაშქრის ძირითადი ბირთვი — ყივჩაყთა და, ნაწილობრივ, თურქმანთაგან შემდგარი რაზმები — არ იყო სანდო. ძლიერი ფეოდალები ვერ ურიგდებოდნენ მოჰამედის პოლიტიკას, რომელიც თავგამზიდავ დიდებულთა ალაგმვისაკენ იყო მიმართული. სახელმწიფოს განაპირა მხარეებში ხშირი იყო აჯანყებები და ა. შ.

ჩინგიზ-ხანმა თავისი აგენტების, მუსლიმანი ვაჭრების მეშვეობით შესანიშნავად იცოდა პოლიტიკური სიტუაცია მახლობელ აღმოსავლეთში. იგი საგანგებოდ მოემზადა დასავლეთისაკენ სალაშქროდ და 1219 წელს შუა აზიისაკენ დასძრა თავისი ურდოები. 1220 წლის მაისისთვის მონღოლებს მთელი შუა აზია დაპყრობილი ჰქონდათ მდ. ამუ-დარიამდე. შიშით შეპყრობილი მოჰამედ ხორეზმშაჰი შეუჩერებლად გარბოდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩინგიზ-ხანზე უფრო დიდი ლაშქრის შეგროვება შეეძლო. მოჰამედმა დაქსაქსა თავისი ძალები და ისე დამარცხდა, რომ გადამწყვეტი ბრძოლა არ გაუმართავს მონღოლებთან.

სამარყანდიდან ჩინგიზ-ხანმა თავისი ორი საუკეთესო სარდალი ჯებე და სუბუდაი გაგზავნა 30 ათასი რჩეული მეომრით და ხორეზმშაჰის შეპყრობა დაავალა მათ[1]. ეს რაზმი არსად არ უნდა შეჩერებულიყო დი-

[1] ჯ უ ვ ე ი ნ ი, თარიხე ჯაჰანგოშა, მ. ყაზვინის გამოც., სპარსული ტექსტი, ტ. 1, გვ. 113; ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, რ. კ ი კ ნ ა ძ ი ს გამოც., 1974, გვ. 20. მონღოლური თქმულებისა და რაშიდ ად-დინის მიხედვით, ჩინგიზ-ხანმა ჯებე, სუბუდაი და თოღაჩარი დაადევნა ხორეზმშაჰს თითო დუმანი მეომრით (Сокровенное сказание. Юань чао бы ши, т. I, М.—Л., 1941, 187; Р а ш и д-а д-д и н, Сборник летописей, I, 2, с. 209). ჟამთააღმწერლის აზრით, ჯებესა და სუბუდაის მხოლოდ თორმეტი ათასი მხედარი ჰყოლიათ თან (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 164).

დი ხნით ქალაქების ასაღებად, მისი მიზანი მოჰამედის დატყვევება იყო.

ირანში მოსული პირველი მონღოლი მეომრები ჯებესა და სუბუდაის მხედრები იყვნენ. წყაროების მონაცემებიდან ჩანს, რომ ეს ლაშქარი მართლაც არსად შეჩერებულა დიდი ხნით, ქალაქების ალყით ასაღებად. „სადაც არ უნდა მისულიყვნენ (მონღოლები), არსად ჩერდებოდნენ, ძალით იღებდნენ სურსათსა და ტანსაცმელს და გზას განაგრძობდნენ"[1]. ისინი დღედაღამ გაუჩერებლად მიდიოდნენ, გზადაგზა გებულობდნენ მოჰამედ ხორეზმშაჰის ადგილსამყოფელს და ფეხდაფეხ მისდევდნენ მას[2]. რა თქმა უნდა, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ჯებესა და სუბუდაის რაზმებს არავითარი ზიანი არ მიეყენებინოთ ირანისათვის.

საბოლოოდ ძალაგამოცლილმა ხორეზმშაჰმა თავი შეაფარა კასპიის ზღვის ერთ-ერთ კუნძულს, სადაც მალე გარდაიცვალა კიდეც. რაშიდ ად-დინის სიტყვით, როდესაც ჩინგიზ-ხანმა საქმე მოათავა სულთან მოჰამედსა და მის შვილ ჯალალ ად-დინთან, რამდენადაც ერთი მოკვდა, მეორეკი სადღაც დაეხეტებოდა, მან ჯებე და სუბუდაი გაგზავნა ხორეზმშაჰის იმ სამფლობელოთა დასაპყრობად, რომელსაც შეადგენდნენ არანი, აზერბაიჯანი, ერაყი და შარვანი[3]. ჯებემ და სუბუდაიმ ჩრდილო ირანი გადაიარეს, ძლიერ ააოხრეს იქაურობა და ამიერკავკასიაში შემოვიდნენ.

1220 წლის ზამთარში მონღოლები აზერბაიჯანში გამოჩნდნენ. გზად ისინი იპყრობდნენ და აოხრებდნენ ქალაქებსა და სოფლებს, ძარცვავდნენ და ჟლეტდნენ მოსახლეობას.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მონღოლები მოულოდნელად მოადგნენ ჩვენს ქვეყანას და, რომ თითქოს ქართველმა პოლიტიკოსებმა მანამდე არაფერი იცოდნენ მათი დასავლეთისაკენ გამოლაშქრების შესახებ[4]. მართალია, ეს მოსაზრება ზოგიერთი წყაროს მონაცემს ემყარება, მაგრამ ამ შემთხვევაში ქართული წყაროები უთუოდ ტენდენციურია და მტრის მოულოდნელი გამოჩენით ცდილობენ ამ მძიმე მარცხის ახსნას. საერთოდ, წარმოუდგენელია, რომ ამიერკავკასიის ქვეყნებში და, კერძოდ, საქართველოში არაფერი სცოდნოდათ მოახლოებული საფრთხის შესახებ. სხვა რომ არა იყოს-რა, საქართველოში სწორედ ამისათვის არსებობდა მენაპირეთა სპეციალური ინსტიტუტი, რომლის შესახებ ზემოთ იყო ვრცლად საუბარი. გარდა ამისა,

---

[1] Рашид-ад-дин, Сборник летописей, (შემდეგში: Рашид-ад-дин), I, 2, с. 212.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 225.

[4] „მოულოდნელად სრულებით უცნობი და შორეული ქვეყნებითგან მოსული მტერი, მონღოლთა ლაშქარი საქართველოს საზღვრებს მოადგა" (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966, გვ. 13).

აღმოსავლეთიდან მოსული ვაჭრებიც მოიტანდნენ მონღოლთა გამოლაშქრების ამბავს. მაგრამ, როგორც ჩანს, საქართველოში სათანადოდ ვერ შეაფასეს მოახლოებული საშიშროება. ყოველ შემთხვევაში, როგორც რუსუდან მეფისა და ივანე ათაბაგის მიერ რომის პაპისათვის 1223 წელს გაგზავნილი წერილებიდან ირკვევა, გიორგი IV მონღოლთა შემოსევების წინ ჯვაროსანთა ომში მონაწილეობისა და „წმიდა ადგილების" დასახსნელად ლაშქრობისათვის ემზადებოდა[1]. სწორედ ამ დროს მოადგნენ მონღოლები საქართველოს საზღვრებს.

საქართველოსა და, საერთოდ, ამიერკავკასიაში მონღოლთა შემოსევების შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული ქართულ, სომხურ, არაბულ, სპარსულ წყაროებში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ საისტორიო თხზულებებში საკმაოდ განსხვავებულად არის გადმოცემული შემოსევათა თანამიმდევრობა. საკმარისია ითქვას, რომ ზოგიერთი ავტორი მხოლოდ ერთი ბრძოლის შესახებ გვაწვდის ცნობას (ჟამთააღმწერელი, კირაკოს განძაკეცი, გრიგოლ აკნეცი[2]), ზოგი ორ ბრძოლას აღწერს (ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, რაშიდ ად-დინი[3]), ზოგიც სამს (იბნ ალ-ასირი[4]), ხოლო ჯუვეინი საერთოდ არ ახსენებს ჯებესა და სუბუდაის ქართველებთან შეტაკების ამბავს. დასახელებული წყაროების მონაცემთა ურთიერთშეჯერების საფუძველზე შესაძლებელი ხდება საქართველოში მონღოლთა პირველი გამოჩენის სურათის აღდგენა.

1220 წლის ზამთარმა მონღოლებს რეის მიდამოებში მოუსწრო. დიდი სიცივეები დაიჭირა და მონღოლებმა გამოსაზამთრებლად აზერბაიჯანს მიაშურეს. აზერბაიჯანის ილდეგიზიანმა ათაბეგმა უზბეგმა თავრიზს შეაფარა თავი. იგი დაეზავა მონღოლებს და დიდძალი ფულისა და საქონლის გადახდით დაიხსნა თავი. აქედან მონღოლებმა ჩრდილოეთისაკენ გააგრძელეს გზა. იბნ ალ-ასირის ცნობით, ისინი მუღანში აპირებდნენ გამოზამთრებას, ხოლო რაშიდ ად-დინის მიხედვით კი — არანში[5]. გზად მათ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა მოუხდათ, რომელიც იმხანად მდინარე არაქსს გასდევდა. მონღოლებთან შესაბრძოლებლად ქართველებმა 10-ათასიანი ლაშქარი გამოიყვანეს, მაგრამ დამარცხდნენ და

---

[1] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902, გვ. 7—9.

[2] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 164 — 165; Киракос Гандзакеци, История, с. 104 — 105; გრიგოლ აკანელი, მოისართა ტომის ისტორია, გვ. 9 — 10.

[3] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 370; Рашид-ад-дин, 1, 2, с. 227—228.

[4] Ибн ал-Асир, Тарих ал-камиль (შემდეგში: Ибн ал-Асир), с. 137 — 138; 140—141.

[5] იქვე, გვ. 137; Рашид-ад-дин, I, 2, с. 227.

ბევრი მეომარი დაკარგეს[1]. ამის შემდეგ მონღოლები მუღანში წავიდნენ და იქ გაატარეს ზამთარი.

ამავე შემთხვევას უნდა გულისხმობდეს ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე როცა წერს: „და შემოვიდეს უცხოთესლნი ვინმე ლაშქარნი სომხითს და ჰერეთს, ევნო რამე მცირედი მათგანცა"[2]. როგორც ჩანს, ლაშა გიორგის სასწრაფოდ შეუკრებია ლაშქარი და დასდევნებია გაბრუნებულ მონღოლებს. „შექცეულთა მიეწია ბალის წყალთა ზედა", — აღნიშნავს ქართველი მემატიანე[3].

მონღოლთა პირველმა შემოსევებმა, მათმა დაუნდობლობამ და სრულიად უმიზნო სისასტიკემ შეაძრწუნა მახლობელი აღმოსავლეთისა და ამიერკავკასიის ხალხები. მონღოლთა პირველი შემოსევების მომსწრე არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ასირი წერდა, ადამის დროიდან დღემდე ქვეყნიერებას არ განუცდიაო ასეთი უბედურება. თათრები არავის არ ინდობდნენ; ისინი ხოცავდნენ ქალებს, მამაკაცებსა და ბავშვებს, ხოლო ფეხმძიმე ქალებს მუცელს უფატრავდნენ[4].

ასეთ მძიმე ვითარებაში საქართველოს სახელმწიფოს მესვეურებმა ჯეროვნად შეაფასეს საფრთხე და გადაწყვიტეს კოალიციური ლაშქარი შეედგინათ მონღოლთა წინააღმდეგ. მათ ელჩები გაუგზავნეს აზერბაიჯანის ილდეგიზიან გამგებელს უზბეგსა და ხლათის პატრონს მალიქ აშრაფს და მონღოლთა წინააღმდეგ საერთო ძალით გამოსვლა შესთავაზეს[5]. მოკავშირენი ვარაუდობდნენ, რომ მონღოლები იმ ზამთარს მუღანში გაატარებდნენ და ამიტომ გაზაფხულისთვის დათქვეს ლაშქრობის დაწყება. მაგრამ, შესაძლებელია, ვინმემ გასცა მოკავშირეები. ყოველ შემთხვევაში, 1221 წლის დამდეგს მონღოლებმა კვლავ შეუტიეს საქართველოს და ჩაშალეს კოალიციური ლაშქრობის მოწყობის გეგმა. ჯებესა და სუბუდაის რაზმების მეგზურობა იკისრა ათაბეგ უზბეგის ერთმა თურქმა მამლუქმა, სახელად აკუშმა, რომელმაც ახლომახლო მცხოვრები თურქებისა და თურქმანების რაზმიც მიაშველა საქართველოს ასაოხრებლად მიმავალ მონღოლებს. იბნ ალ-ასირის ცნობით, მტრის ლაშქარმა თითქოს თბილისამდე მიაღწია, სადაც მას ქართველთა რაზმი გამოეგება. ქართველები მედგრად ეკვეთნენ აკუშის მეომრებს და დიდად შეავიწროვეს ისინი, მაგრამ ამ უკანასკნელთ მონღოლები წამოეშველნენ, გაერთიანებული ძალით შეძლეს ქართველების დამარცხება და ბევრი მებრძოლიც დაუხოცეს. ეს ბრძოლა ქართველებსა და მონღოლებს შორის, რომლის

---

[1] Ибн ал-Асир, с. 137; Рашид-ад-дин, I, 2, с. 227.
[2] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 370.
[3] იქვე.
[4] Ибн ал-Асир, с. 135.
[5] იქვე, გვ. 137.

შესახებ მხოლოდ იბნ ალ-ასირს მოეპოვება ცნობა, 1221 წლის იანვარში მომხდარა (617 წ. ზულ-კადას თვეში ჰიჯრით)[1].

მიუხედავად ქართველთა ლაშქრის მეორედ დამარცხებისა, მონღოლები არც ამჯერად გაჩერებულან დიდხანს ჩვენს ქვეყანაში. ისინი უკანვე გაბრუნდნენ და მარაღას მიაშურეს. გზად ჯებემ და სუბუდაიმ თავრიზში შეიარეს, სადაც იმ დროს შამს ად-დინ თუღრაი იყო დატოვებული გამგებლად. თავრიზი ამჯერადაც დიდი ხარკის გადახდით გადაურჩა მონღოლთაგან აოხრებას. აქედან მონღოლები მარაღას მიადგნენ, ბრძოლით აიღეს და გაძარცვეს ქალაქი. შემდეგ მათ დიარბექირისა და ირბილისკენ დააპირეს გალაშქრება, მაგრამ ათაბეგ მოზაფარ ად-დინის (1190—1233) მრავალრიცხოვანი ჯარის ამბავი რომ შეიტყვეს, უკანვე გამობრუნდნენ და აჯანყებულ ჰამადანს მიაშურეს. 1221 წლის აგვისტოსექტემბერში მონღოლებმა დაიკავეს ქალაქი ჰამადანი და ერთიანად გაჟლიტეს მოსახლეობა. შემდეგ მათ აიღეს ნახიჩევანი, სარავი, არდებილი, ბაილაყანი, განძა და ყველგან დიდძალი ხალხი დახოცეს. აქედან ჯებემ და სუბუდაიმ ისევ საქართველოსკენ აიღეს გეზი[2]. ამჯერად ქართველები თავის დასაცავად მომზადებული დახვდნენ მათ. ჟამთააღმწერლის სიტყვით, ლაშა გიორგიმ „მოუწოდა სპათა თჳსთა, იმერთა და ამერთა და შეკრიბა ოთხმოცდაათი ათასი მჯედარი“[3]. გრიგოლ აკნელის მიხედვით კი მას 60 ათასი მეომარი გამოუყვანია[4].

ჟამთააღმწერლის ცნობით, ბრძოლა მოხდა „წყალსა ზედა ბერდუჯსა და აწ საგიმად წოდებულსა“[5], კირაკოს განძაკეცის მიხედვით კი ქართველები და მონღოლები ხუნანის ველზე შებმიან ერთმანეთს[6]. მონღოლებმა თავისი ჩვეული სამხედრო ხერხი იხმარეს: სუბუდაი ბრძოლაში ჩაება ლაშქრის ძირითადი ნაწილით, ჯებე კი რამდენადმე მოშორებით ერთ მოფარებულ ადგილას იდგა ხუთი ათასი მეომრით. მცირე ბრძოლის

---

[1] Ибн ал-Асир, с. 138.

[2] Рашид-ад-дин, I, 2, с. 227—228.

[3] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 164.

[4] გრიგოლ აკანელი, მოისართა ტომის ისტორია, გვ. 9. ი. ცინცაძეს ქართველი ისტორიკოსის ცნობა უფრო სარწმუნო ჰგონია (ი. ცინცაძე, მონღოლები და მონღოლთა დაპყრობები, თბ., 1960, გვ. 119). ი. სიხარულიძის აზრით კი, ძლიერ საეჭვოა, რომ ქართველთა მეფეს 90-ათასიანი ლაშქრის გამოყვანა მოეხერხებინა (ი. სიხარულიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XIII—XIV საუკუნეებში, თბ., 1967, გვ. 48).

[5] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 164.

[6] Киракос Гандзакеци, История, с. 104; სხვადასხვა წყაროს მონაცემების განხილვისა და ურთიერთშეჯერების შედეგად ი. სიხარულიძე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ბრძოლა ხუნანის წინა დიდ ველზე უნდა გამართულიყო (ი. სიხარულიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XIII—XIV საუკუნეებში, გვ. 50—55).

შემდეგ სუბუდაიმ უკან დაიხია და ქართველები იქით გაიტყუა, სადაც ჯებეს რაზმი იყო ჩასაფრებული. მონღოლებმა შუაში მოიქციეს ქართველები და სასტიკ ბრძოლაში ოცდაათი ათასი კაცი დაუხოცეს[1]. „ნახევარი ივლტოდეს თათარნი, და ნახევარი მზირი ეყო, და უკანით მოუჯდეს... და ივლტოდეს ქართველნი და სპანი და თჳთ მეფე ლაშა, ურიცხჳ სული ქრისტიანე მოკუდა“ — აღნიშნავს ქამთააღმწერელი[2].

ეს ბრძოლა 1221 წლის მიწურულს უნდა მომხდარიყო.

ჯებე და სუბუდაი საქართველოდან გამობრუნდნენ და დარუბანდისკენ გაემართნენ[3]. გზად მათ შემახა აიღეს გარემოცვით, მრავალი მცხოვრები გაჟლიტეს და ბევრიც ტყვედ წაიყვანეს. შემდეგ მონღოლებმა „განვლეს კარი დარუბანდისა და შევიდეს ყივჩაყეთს, რომელთა ბრძოლა აჰკიდეს და მრავალგან შემოებნეს ყივჩაყნი, და ყოველგან თათარნი მძლე ექმნნეს“[4]. 1223 წელს მონღოლებმა მდინარე კალკასთან სასტიკად დაამარცხეს ყივჩაყებისა და რუს მთავართა გაერთიანებული ლაშქარი, შემდეგ კი „შემოუარეს ამა დარუბანდისა ზღუასა გარე, და მიიწივნეს ჴელმწიფესა მათსა ჩინგიზ-ყაენს წინაშე“[5].

ამგვარად, წყაროების მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ ჯებესა და სუბუდაის მეთაურობით გამოგზავნილ რაზმებს სამჯერ ჰქონიათ შეტაკება ქართველებთან 1220 — 1221 წლებში და სამივეჯერ გაუმარჯვნიათ[6]. მიუხედავად ამისა, მონღოლებს არც ერთხელ არ უცდიათ საქართველოში დარჩენა და ფეხის მოკიდება. შესაძლებელია ამან აფიქრებინა ქართველებს, რომ მათ დაამარცხეს და ქვეყნის საზღვრებიდან განდევნეს მომხდური მონღოლები. ყოველ შემთხვევაში, 1223 წელს მეფე რუსუდანი ატყობინებდა რომის პაპს: „ოცდახუთი ათასი კაცი გავუწყვიტეთ, ბევრიც დავატყვევეთ და დანარჩენი მათი მხედრობა ჩვენის ქვეყნიდგან გავდევნეთ“[7].

---

[1] Рашид-ад-дин, 1, 2, с. 228; ამდენსავე მოკლულს ასახელებს იბნ ალ-ასირიც, თუმცა მონღოლთა მიერ გამოყენებულ ხერხზე არაფერს ამბობს (Ибн ал-Асир, с. 140).

[2] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 164 — 165.

[3] როგორც ითქვა, ჯებესა და სუბუდაის დავალებული არ ჰქონიათ საქართველოს დაპყრობა და ქვეყნის ძნელად სავალი გზები და მაღალი მთებიც აშინებდათ. გარდა ამისა, უკვე იწურებოდა ჩინგიზ-ხანის მიერ მათთვის მიცემული ვადა — სამი წელიწადი.

[4] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 165.

[5] ი ქ ვ ე.

[6] ბ. ს ი ლ ა გ ა ძ ე, XII—XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ ალ-ასირის ცნობათა შუქზე, კრებ. „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966, გვ. 130 — 137.

[7] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 7. იხ. ი ქ ვ ე, ივანე ათაბაგის ანალოგიური შინაარსის წერილი (გვ. 9).

მონღოლები რომ საქართველოდან საბოლოოდ წასულებად ჩათვალა, ლაშა გიორგიმ შინაურ საქმეებს მიხედა. სწორედ ამ დროს მისი და რუსუდანი ჯერ ხლათის სულთანმა ითხოვა, ხოლო შემდეგ შარვანშაჰმა. ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის სიტყვით, მეფე დათანხმებულა თავისი დის შარვანშაჰთან ქორწინებაზე. „უქადეს და უბრძანეს მიცემისა პირი"[1]. საქმის გასარიგებლად გიორგი ბაგავანს მივიდა, სადაც, როგორც ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობს, რუსუდანის ქორწილიც გადაუხდია[2]. უკვე გამობრუნებას აპირებდა გიორგი IV, რომ 1222 წლის 18 იანვარს იქვე გარდაიცვალა[3].

გიორგი IV-ის დაკრძალვის შემდეგ შეიკრიბნენ სრულიად საქართველოს დიდებულნი, „მეფე ყვეს რუსუდან, და დასუეს საყდართა სამეფოთა, და მიულოცეს მეფობა წესისაებრ"[4].

რუსუდანის მეფობის პირველსავე წელს ამიერკავკასიაში გადმოვიდნენ მონღოლთა მიერ ჩრდილო კავკასიიდან დევნილი ყივჩაყები. მათ ჯერ დარუბანდი დაიკავეს, მერე კი შარვანისა და არანისკენ დაიძრნენ[5]. კირაკოს განძაკეცის ცნობით, ყივჩაყები საქართველოში მოსულან და დასასახლებელი ადგილი უთხოვიათ მეფისა და ივანე ათაბაგისთვის. უარი რომ მიიღეს, შემდეგ განძაში წავიდნენ[6].

იბნ ალ-ასირი მოგვითხრობს, რომ ყივჩაყებმა ალყა შემოარტყეს ქართველთა მფლობელობაში მყოფ ქალაქ ყაბალას და დაარბიეს იქაურობა. ქართველთა ლაშქარი ივანე ათაბაგის სარდლობით დაიძრა მათ დასასჯელად, მაგრამ ყივჩაყთა ერთი რაზმი მოულოდნელად თავს დაესხა ქართველებს, დაამარცხა ისინი და დიდი ნადავლიც აიღო[7]. ამის შემდეგ ყივჩაყნი კიდევ ერთხელ დაესხნენ თავს ქართველთა ქვეყანას და ააოხრეს მოსაზღვრე მხარე. უკან გაბრუნებულ მარბიელ ჯარს ქართველები დაეწივნენ, სასტიკად დაამარცხეს და ნადავლიც წაართვეს. ამის მერე მალე ყივჩაყები იძულებული გამხდარან ამიერკავკასიას გასცლოდნენ[8]. ამავე წლებში ქართველებმა რამდენიმე მარბიელი ლაშქრობა მოაწყვეს მეზობელ მხარეებში. კერძოდ, 1222 წლის შემოდგომაზე მათ აიღეს და საშინლად გაძარცვეს ქალაქი ბაილაყანი. 1223 წელს ქართველთა რაზმებს ბრძოლა ჰქონდათ სომხეთის ციხესიმაგრის სურმარის პატრონთან და და-

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 371.
[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 27.
[3] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 371.
[4] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 168.
[5] И б н а л-А с и р, с. 145.
[6] К и р а к о с Г а н д з а к е ц и, История, с. 105.
[7] ი ქ ვ ე, გვ. 146—148.
[8] И б н а л-А с и р, с. 148.

მარცხდნენ[1]. 1225 წელს ისინი თავს დაესხნენ განძას, მაგრამ ვერ შეძლეს ქალაქის აღება და ხელცარიელი გამობრუნდნენ უკან[2]. ეს იყო ჩვეულებრივი მარბიელი ლაშქრობანი, რომლებიც საუკეთესო შემთხვევაში სამხედრო ნადავლის აღებით და შეთანხმებით მთავრდებოდა. ასეთ წვრილ-წვრილ უმიზნო ომებში ხარჯავდნენ ძალებს ამიერკავკასიის ქვეყნები მაშინ, როცა გაცილებით უფრო დიდი საფრთხე მოელოდათ ახლო ხანში.

§ 2. ხორეზმელები საქართველოში

ხორეზმშაჰ მოჰამედს თავის მემკვიდრედ ადრევე ჰყავდა დანიშნული ოზლაღ-შაჰი, მაგრამ სიკვდილის წინ უფროსი ვაჟი ჯალალ ად-დინი დაამტკიცა ფაქტიურად უკვე არარსებული სახელმწიფოს ტახტის მემკვიდრედ[3]. მამის სიკვდილის შემდეგ (1220 წ.) ჯალალ ად-დინი ხორეზმში მივიდა, მაგრამ ადგილობრივი არისტოკრატია მტრულად შეხვდა მას და იძულებული შეიქნა თავის საუფლისწულო მამულში — ღაზნაში წასულიყო. იქ მან სცადა გაეერთიანებინა ძალები და სათავეში ჩადგომოდა მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლას. მალე ჯალალ ად-დინმა მრავალრიცხოვან ლაშქარს მოუყარა თავი და მტერთან შესახვედრად დაიძრა. ბრძოლა მოხდა ფერვანის ველზე, მდ. ფანჯშირის ხეობაში (თანამედროვე ავღანეთის ტერიტორიაზე, ქაბულის ჩრდილოეთით). ორი დღის ხელჩართული ბრძოლის შემდეგ მონღოლთა 30-ათასიანი რაზმი, რომელსაც ჩინგიზ-ხანის ერთ-ერთი საუკეთესო სარდალი შიქი-ყუთუყუ მეთაურობდა, სასტიკად დამარცხდა[4]. ეს იყო მონღოლთა ყველაზე დიდი მარცხი დასავლეთში ლაშქრობის დროს. ჯალალ ად-დინის ლაშქარი სხვადასხვა ტომის მეომართაგან შედგებოდა, რომელთა შორის ხშირი იყო წინააღმდეგობები. მალე მის მხედართმთავრებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა მდიდარი ნადავლის გაყოფის გამო და რამდენიმე ამირმა დატოვა ხორეზმშაჰის ბანაკი თავის მეომრებიანად[5].

ჩინგიზ-ხანი, რომელსაც ვერ მოენელებინა ფერვანთან განცდილი დამარცხება, მთელი თავისი ლაშქრით დაიძრა ჯალალ ად-დინის წინააღმდეგ. ხორეზმშაჰი იძულებული შეიქნა მდინარე ინდისკენ დაეხია, რათა

---

[1] Ибн ал-Асир, с. 148—150.

[2] იქვე, გვ. 151.

[3] Рашид-ад-дин, I, 2, с. 213; Насави, Жизнеописание султана Джалал ад-дина Манкбурны (შემდეგში: Насави), с. 69—70, 100.

[4] ჯუვეინი, თარიხი ჯაჰანგოშა, II, გვ. 135—138; Насави, с. 124—125; Рашид-ад-дин, I, 2, с. 220—222.

[5] ჯუვეინი, დასახ. ნაშრ., გვ. 138 — 139; Насави, с. 125 — 126; Рашид-ад-дин, I, 2, с. 222.

მეორე ნაპირზე გადასულიყო გემებით. მონღოლებმა არ აცალეს მას და იძულებული გახადეს ბრძოლაში ჩაბმულიყო. მდ. ინდის ნაპირზე 1221 წლის 25 ნოემბერს[1] გამართულ ბრძოლაში ჯალალ ად-დინმა სასტიკი მარცხი განიცადა. მან ცხენით გადაცურა მდინარე და ინდოეთს მიაშურა. მას თან ახლდა სულ ოთხი ათასამდე მეომარი, რომლებიც ცოცხლები გადარჩნენ ამ მძიმე ბრძოლის შემდეგ[2].

მალე ჩინგიზ-ხანი შუა აზიიდან უკან გაბრუნდა და 1225 წელს მივიდა მონღოლეთში, სადაც ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა კიდეც (1227 წ.). ჩინგიზ-ხანის წასვლის შემდეგ ჯალალ ად-დინი ირანში დაბრუნდა და მისი ხელისუფლება ცნეს ფარსში, ქერმანსა და ირანის ერაყში.

1225 წელს ჯალალ ად-დინი აზერბაიჯანში მოვიდა. ათაბეგმა ოჯახი თავრიზში მიატოვა, თვითონ კი გაიქცა და ალინჯის ციხეს შეაფარა თავი, სადაც გარდაიცვალა კიდეც მცირე ხნის შემდეგ. ხორეზმშაჰმა ალყა შემოარტყა ქალაქს. უზბეგის ცოლმა მალიქამ რამდენიმე დღის შემდეგ უბრძოლველად ჩააბარა ხორეზმშაჰს თავრიზი[3]. მოკლე ხანში ჯალალ ად-დინმა თითქმის მთელი აზერბაიჯანი ისე დაიკავა (შარვანის გამოკლებით), რომ სერიოზული წინააღმდეგობა არ შეხვედრია.

ამის შემდეგ საქართველოს ჯერიც დადგა. იბნ ალ-ასირის ცნობებიდან ჩანს, რომ ქართველ პოლიტიკოსებს ამჯერად დროულად შეუფასებიათ ჯალალ ად-დინის შემოსევის მოსალოდნელი საფრთხე. სულთანი ჯერ კიდევ მარაღაში იმყოფებოდა, რომ მათ მოწოდებით მიუმართავთ ათაბეგ უზბეგისათვის ხორეზმშაჰის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის თაობაზე. მაგრამ ჯალალ ად-დინმა არ მისცა მათ ამის განხორციელების საშუალება[4]. სულ მალე მან აზერბაიჯანი დაიჭირა და საქართველოსაც დაემუქრა. ის აცხადებდა, ქვეყანას პატრონი გაუჩნდაო, და სამაგიეროს გადახდას პირდებოდა ქართველებს[5]. იბნ ალ-ასირის სიტყვით, ის ხშირად იმეორებდა თურმე, „საქართველოში უნდა ვილაშქრო და მათი ქვეყანა დავიპყროო"[6]. ცხადია, ეს ხმები საქართველომდეც მოაღწევდა, ამიტომ, ჩვენი აზრით, სწორი არ უნდა იყოს ჟამთააღმწერლის ცნობა, თითქოს ქართველებმა მხოლოდ იმის შემდეგ დაიწყეს ლაშქრის შეყრა, როცა

---

[1] თარიღი ნაჩვენები აქვს ნასავის (Насави, с. 127—128).

[2] ჯუვეინი, დასახ. ნაშრომი, გვ. 140—143; Насави, с. 127—129; Рашид-ад-дин, 1, 2, с. 223—244; В. В. Бартольд. Туркестан в эпоху монгольского нашествия, с. 510—513.

[3] ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 27—28; Рашид-ад-дин, 1, 2, с. 242; იბნ ალ-ასირის ცნობით, ჯალალ ად-დინს ხუთი დღის ბრძოლის შემდეგ აუღია თავრიზი (Ибн ал-Асир, с. 154—155).

[4] Ибн ал-Асир, с. 153.

[5] Насави, с. 155.

[6] Ибн ал-Асир, с. 156.

ჯალალ ად-დინი საქართველოში შემოიჭრა და დვინისა და მისი სანახე-ბის დარბევა დაიწყო[1]. საქართველოს სახელმწიფოს მესვეურთა გამჭრია-ხობისა და ოპერატიულობის დასახასიათებლად უფრო მისაღები ჩანს ნასავისა და ჯუვეინის ცნობა, რომლის მიხედვით, ქართველებს ადრევე შეუკრებიათ 60 (ჯუვეინის მიხედვით, 30) ათასი მეომარი და გარნისში მიგეგებიან მომხდურ მტერს[2]. ჯალალ ად-დინს კი, ჟამთააღმწერლის ცნო-ბით, ჰყოლია „კაცი ვითარ ას ორმოცი ათასი"[3].

რუსუდანმა ქართველთა ლაშქარს უსარდლა ივანე ათაბაგი „და წარავ-ლინა ბრძოლად სულტნისა მის ჯალალდინისა". ბრძოლა მოხდა 1225 წ. აგვისტოში[4] სომხეთში, სოფ. გარნისთან; ქართველებმა მარცხი განიცადეს ამ ბრძოლაში. შესაძლებელია, მარცხის მიზეზი ის იყო, რომ როგორც ჯუვეინი მოგვითხრობს, ხორეზმელები მოულოდნელად დასხმიან თავს ქართველთა ლაშქარს („სანამ ქართველები ხელს აღმართავდნენ საომრად, სულთანი თავს დაესხა და კარგი გამარჯვება მოიპოვა მათზე"[5]). ბრძოლის შედეგზე უთუოდ გავლენა იქონია ივანე ათაბაგის მერყეობამ და ორმო-ფულმა მოქმედებამ, რაც მისი ხანდაზმულობით შეიძლება აიხსნას[6].

ქართველთა ზარალი ძალიან დიდი იყო. იბნ ალ-ასირის სიტყვით, მათ 20 ათასი მეომარი დაკარგეს[7]. ამავე ბრძოლაში ქართველებს მეწინავე ლაშქრის ორი შესანიშნავი სარდალიც დააკლდათ. ივანე ახალციხელი უკანდახევის დროს „გარნისისა კლდეთა შელტოლვილი, ზენაკერძო მო-ტევებულითა ქვითა მოიკლა"[8], ხოლო მისი ძმა შალვა ტყვედ ჩაუვარდა ხორეზმელებს. ჯალალ ად-დინს იმედი ჰქონდა საქართველოს დაპყრობის საქმეში გამოეყენებინა შალვა ახალციხელი და ერთ ხანს დიდი პატივით ინახავდა მას[9].

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 169. იხ. აგრეთვე ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 48.

[2] Н а с а в и, с. 156; ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 28—29.

[3] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 169.

[4] ამ თარიღს ასახელებს ი ბ ნ ა ლ-ა ს ი რ ი (Ибн ал-Асир, с. 156). შდრ. აგ-რეთვე К и р а к о с Г а н д з а к е ц и, История, с. 114.

[5] ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 29.

[6] ჟამთააღმწერლის ცნობით, ივანე „მას ჟამსა მიმჯოვნებულ იყო" (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 169). სამართლიანად შენიშნავს ი. სიხარულიძე, რომ „ივანე ათაბაგი თამარის დროის დიდი სამხედრო მოღვაწე იყო, მაგრამ ჯალალ ად-დინთან ღირსეული პაექრობა ვეღარ შეძლო" (ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკ-დებლობისათვის XIII—XIV სს-ში, გვ. 66).

[7] И б н а л-А с и р, с. 157; ნასავი ოთხი ათას მოკლულს ასახელებს (Н а с а в и, с. 158).

[8] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 170.

[9] ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 29; Р а ш и д-а д-д и н, 1, 2, с. 243.

გარნისთან გამარჯვების შემდეგ ჯალალ ად-დინი დვინს მიუბრუნდა და აიღო ქალაქი, მერე კი თბილისზე გალაშქრებას აპირებდა. სწორედ ამ დროს მიიღო მან თავრიზიდან თავისი ვაზირის შარაფ ალ-მულქის წერილი მოსალოდნელი აჯანყების შესახებ და იძულებული შეიქნა აზერბაიჯანში დაბრუნებულიყო. საქართველოში ხორეზმშაჰმა თავისი რაზმები დატოვა, რომლებიც სამი თვის განმავლობაში არბევდნენ, ძარცვავდნენ და აწიოკებდნენ მოსახლეობას[1]. „სულტანი მიიქცა ადარბადაგანს და ნახჭევანს. და მიერ აღაოჯრებდეს საქართველოსა, არბევდეს და ტყუე ჰყოფდეს და სრულიად უწყალოდ ჯოცდეს, და არავინ იყო ნუგეშისმცემელი მათი"[2].

ჯალალ ად-დინმა მალე მოაგვარა საქმეები აზერბაიჯანში და იმავე წლის გვიან შემოდგომაზე ისევ საქართველოსკენ წამოვიდა. მდინარე არაქსს რომ მოადგა, ჯალალ ად-დინმა გაიგო, რომ დატყვევებული შალვა ახალციხელი წერილებს უგზავნიდა თურმე თავისიანებს და მტრის ლაშქრის მოძრაობის ამბებს ატყობინებდა. განრისხებულმა სულთანმა იქვე მოაკვლევინა შესანიშნავი ქართველი მხედართმთავარი[3].

ქართველები ამ დროისათვის ჯალალ ად-დინთან საბრძოლველად მომზადებულიყვნენ და ოსების, ლეკებისა და ყივჩაყებისთვისაც ეხმოთ საშველად. ჯალალ ად-დინმა სამხედრო ეშმაკობა იხმარა, სხვადასხვა ადგილას ჩაასაფრა თავისი რაზმები, იქით გაიტყუა ქართველები და მოულოდნელად დაესხა თავს. გამართულ ბრძოლებში კვლავ ხორეზმელებმა გაიმარჯვეს[4]. ამის შემდეგ ჯალალ ად-დინმა თბილისისკენ დასძრა თავისი ჯარი. საქართველოს სამეფო კარმა მეფის დასავლეთ საქართველოში გადასვლა გადაწყვიტა. ქამთააღმწერლის სიტყვით, „ვითარ ცნა მეფემან მოსლვა სულტნისა, აიყარა და წარვიდა ქუთათისს, ხოლო ტფილისს მცველად დაუტევა ლაშქარი და თავად ორნი ძმანი ბოცოს ძენი, მემნა და ბოცო"[5].

1226 წლის დამდეგს ჯალალ ად-დინი საქართველოს დედაქალაქს მოადგა. მან ნახა, რომ თბილისი კარგად გამაგრებული და მიუდგომელი იყო[6], ამიტომ იანვარ-თებერვლის განმავლობაში ის ძალებს იკრებდა და ქალაქის ასაღებად ემზადებოდა[7]. მხოლოდ მარტის პირველ რიცხვებში

---

[1] Насави, с. 159—161.

[2] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 171.

[3] Насави, с. 167; ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 30; Рашид-ад-дин, I, 2, с. 243.

[4] Ибн ал-Асир, с. 159.

[5] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 174.

[6] Насави, с. 167.

[7] ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 31.

დაიწყო სულთანმა ბრძოლა თბილისის ასაღებად. იბნ ალ-ასირის ცნობით, მან ამჯერადაც სამხედრო ხერხი იხმარა, რამდენიმე ადგილას ჩაასაფრა თავისი მეომრები, თვითონ კი სამათასიანი რაზმით ქალაქისკენ გაემართა. მისი რაზმის მცირერიცხოვნობით გათამამებული ქართველები ქალაქიდან გამოცვივდნენ, მომხდურ მტერს შეებნენ, გააქციეს და დაედევნენ კიდეც. აქ ბრძოლაში ჩაებნენ ჩასაფრებული ხორეზმელი მეომრები, სასტიკად დაამარცხეს ქართველნი; ქალაქისკენ აბრუნებინეს პირი, ფეხდაფეხ მიჰყვნენ და მათთან ერთად შევიდნენ თბილისში[1].

ნასავის მიხედვითაც, ქალაქის დამცველნი თბილისის კარიდან მოშორებით გაიტყუეს ხორეზმელებმა და იქ გაუმართეს სასტიკი ბრძოლა, უკან დახევისას კი კართან მიასწრეს და ხელთ იგდეს ქალაქი[2].

ქართველი ჟამთააღმწერლის სიტყვით, პირველ დღეს „ბრწყინვალე ძლევა აჩვენეს ქართველთა“[3] ხორეზმელებთან ბრძოლაში. მხოლოდ მეორე დღეს შეძლო მტერმა ქალაქის აღება და ისიც თბილისელ „სპარსთა შინაგანცემის“ გამო. მათ შიგნიდან „განახუნეს კარნი“ და ქალაქში შემოუშვეს ხორეზმელები. მემნა ბოცოს ძე ამ ბრძოლაში მოღალატურად მოიკლა ერთი თბილისელი მუსლიმანის ხელით, მისი ძმა ბოცო კი ქალაქის მცველებთან ერთად ისნის ციხეში შეიკეტა[4].

ამგვარად, თბილისი ხორეზმელების ხელთ აღმოჩნდა. იბნ ალ-ასირის მიხედვით, ეს მოხდა 1226 წლს 9 მარტს[5].

თბილისის მეციხოვნენი ბოცო ბოცოს ძის მეთაურობით ერთხანს მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ ჯალალ ად-დინს, მაგრამ როცა შეატყვეს, რომ მდგომარეობა უიმედო იყო, „და ვითარ მრავალგზის მოავლინა დასტური მეფემან დატევებად ქალაქისა“[6], დაცალეს ციხე[7].

ხორეზმელებმა საშინლად ააოხრეს და გაძარცვეს თბილისი, ხოლო მცხოვრებნი უმოწყალოდ გაჟლიტეს. ისინი არ ინდობდნენ არც მამაკაცებს, არც ქალებს და არც ბავშვებს. ჟამთააღმწერელი შეძრწუნებული მოგვითხრობს: „ესოდენ მძუნვარედ იწყეს მოსრვად, ვითარ ჩჩჳლნიცა ძუძუთაგან დედისათა აღიტაცნიან და წინაშე დედისა ქვაზედა დაანარცხიან, და რომელსამე თუალნი წასცჳვდიან და რომელსამე ტჳნი დაე-

---

[1] Ибн ал-Асир, с. 159—160.
[2] Насави, с. 167—168.
[3] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 174.
[4] იქვე, გვ. 174—177. კირაკოს განძაკეციც აღნიშნავს, რომ თბილისელი მუსლიმანები ეხმარებოდნენ ჯალალ ად-დინს ქალაქის აღებაში (Киракос Гандзакеци, История, с. 115).
[5] Ибн ал-Асир, с. 158.
[6] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 177.
[7] იქვე, Насави, с. 168; ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 32.

თხიოს, და უკანის დედანი მოიკვლოდიან"[1]. ქალაქის ქუჩებში „სისხლისა მდინარენი დიოდეს. ტჯნი კაცთა, დედათა, ბერთა, ჩჩვლთა თმა და სისხლი, თავი მჯართაგან განშორებული, ნაწლევნი ცხენთა მიერ დათრგუნვილნი ურთიერთას აღრეულ იყო"[2]. სომეხი და არაბი ისტორიკოსებიც ამოწმებენ, რომ ჯალალ ად-დინმა ენით აუწერელი სიმხეცე და სისასტიკე გამოიჩინა თბილისში[3]. ჟამთააღმწერლის ცნობით, დახოცილ მოქალაქეთა რაოდენობამ ასი ათასს მიაღწია[4]. რაოდენ გაზვიადებულიც არ უნდა იყოს ეს რიცხვი, მაინც მოწმობს, თუ როგორი საშინელი რბევა-განადგურება გადახდა ჩვენს დედაქალაქს. ხორეზმელებმა აუარებელი სიმდიდრე იგდეს ხელთ. ჯუვეინის ცნობით, ჯალალ ად-დინის „ამალას უსაზღვრო და უზომო ნადავლი ერგო"[5], ხოლო ნასავის მოსწრებული თქმით, სულთანმა ხელთ იგდო ქალაქში საუკუნეთა განმავლობაში დაგროვილი საუნჯე, რომელსაც ყველაზე დახელოვნებული ადამიანის თითებიც ვერ გადათვლიდა და ნუსხების მთელი დასტა ვერ დაიტევდა მის აღწერას[6].

თბილისში ჯალალ ად-დინს ამბავი მოუვიდა, ქერმანის გამგებელმა ბარაყ ჰაჯიბმა მონღოლებთან გაბა მოლაპარაკება და ერაყის დასაპყრობადაც ემზადებაო. სულთანმა ვაზირი შარაფ ალ-მულქი დატოვა საქართველოში, თვითონ კი დაუყოვნებლივ ქერმანს მიაშურა[7]. საქართველოში დარჩენილმა ხორეზმელებმა „იწყეს რბევად, ტყუენვად, ჯოცად და კლვად სომხითისა და კამბეჩიანისა და იორის პირთა, ქართლს და თრიალეთს, ჯავახეთს და არტანს, ზოგი სამცხეს და ტაოს, კარნიფორას და ანისის მიმდგომთა ქუეყანათა"[8].

1226 წ. სექტემბერში ჯალალ ად-დინი თბილისში დაბრუნდა. აქედან მან თვითონ ანისზე გაილაშქრა, ხოლო ერთი რაზმი ყარსისკენ გაგზავნა, მაგრამ ვერ შეძლო ამ კარგად გამაგრებული ქალაქების აღება, ლაშქარი დატოვა ალყისათვის და ისევ თბილისს მოაშურა. აქ მან რაზმები დაგზავნა და გააგრძელა ქვეყნის რბევა-აოხრება[9]. რამდენიმე ხნის შემდეგ ჯალალ ად-დინი ხლათის ასაღებად გაეშურა. მან სამგზის მიიტანა იერიში ქალაქზე, მაგრამ ხლათელები მედგრად იცავდნენ თავს და არ დათმეს ქალაქი. ჯალალ ად-დინის მარცხით ისარგებლეს ქართველებმა, თბილისში დატოვებულ გარნიზონს შეუტიეს და დაიბრუნეს ქალაქი (1227 წ. თებერ-

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 175.
[2] იქვე, გვ. 176.
[3] Киракос Гандзакеци, с. 115; Ибн ал-Асир, с. 160.
[4] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 176.
[5] ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 32.
[6] Насави, с. 168.
[7] იქვე, გვ. 168 — 170; ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 32.
[8] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 178.
[9] Ибн ал-Асир, с. 162.

ვალში). ჯალალ ად-დინმა ამ ამბის გაგებაზე სასწრაფოდ საქართველოს მოაშურა. ქართველებს სხვა გზა არა ჰქონდათ, ქალაქს ცეცხლი წაუკიდეს და გაეცალნენ[1].

1228 წელს სულთან ჯალალ ად-დინს რამდენიმე შეტაკება ჰქონდა მონღოლებთან ირანის ტერიტორიაზე და ყოველთვის მარცხი განიცადა[2]. მან სცადა შემწეობა მიეღო ბაღდადის ხალიფის, ხლათის სულთნისა და ზოგიერთი სხვა გამგებლისაგან და თხოვნით მიმართა მათ, „რათა შეეწივნენ მასცა და თავთაცა მათთაცა", მაგრამ იმათ „არა ინებეს ბრძოლა თათართა"[3].

პირიქით, ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის მუსლიმანი გამგებლები დარწმუნდნენ, რომ ჯალალ ად-დინი მათი მხსნელი კი არა, ჩვეულებრივი დამპყრობელი და მძარცველი იყო, და კვლავ საქართველოსკენ იბრუნეს პირი. ჯუვეინის სიტყვით, „რაკი რუმის, შამის, სომხეთისა და იმ მხარეთა სულთნებს ეშინოდათ მისი სიმკაცრის და შურისძიების, მძვინვარე იერიშისა და გაბედული თავდასხმის, ერთმანეთს შეუთანხმდნენ და მის განსადევნად გაერთიანდნენ"[4]. საქართველოს მეთაურობით იქმნება კოალიცია ხორეზმშაჰის წინააღმდეგ. ქამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ მეფე რუსუდანმა „მოუწოდა ყოველთა სპათა თჳსთა, იმერთა და ამერთა"[5]. ამავე დროს მან „განუხუნა კარნი დარიალისანი და გარდამოიყუანნა ოსნი, დურძუკნი, ამათ თანა ყოველნი მთიულნი"[6]. ჩრდილოკავკასიელი ხალხების მონაწილეობას კოალიციურ ლაშქარში ადასტურებენ აგრეთვე ნასავი, ჯუვეინი და რაშიდ ად-დინი[7]. ქამთააღმწერლის სიტყვით, „შეკრბეს ნაჭარმაგევს სიმრავლე ურიცხჳ, და წარავლინა მეფემან ბრძოლად ხუარაზმელთა"[8]. მაგრამ, როგორც ჩანს, გაერთიანებული ლაშქარი ჯერ არ იყო სრულად შეკრებილი, როცა ბრძოლაში ჩაბმა მოუხდათ. ყოველ შემთხვევაში, ნასავის ცნობით, კოალიციური ლაშქრის რაოდენობა 40 ათას კაცს ძლივს აღემატებოდა[9].

ბრძოლა მოხდა ბოლნისის მახლობლად. შეტაკების დაწყების წინ ჯალალ ად-დინმა მოწინააღმდეგის ლაშქარში ყივჩაყთა დროშები და მრავალრიცხოვანი მეომარი შენიშნა. მან კაცი გაუგზავნა მათ პურითა და

---

[1] Ибн ал-Асир, с. 164—165; Насави, с. 172.

[2] ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 33—34.

[3] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 182.

[4] ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 35; შდრ. Рашид-ад-дин, Сборник летописей, т. II, М. — Л., 1960, с. 27—28.

[5] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 182.

[6] იქვე, გვ. 183.

[7] Насави, გვ. 224; ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 35; Рашид-ад-дин, II, с. 28.

[8] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 183.

[9] Насави, с. 224.

მარილით და მოაგონა ის სიკეთე, ერთ დროს რომ გაეწია მათთვის. ამის გამო ყივჩაყნი განზე გადგნენ და მონაწილეობა აღარ მიიღეს ბრძოლაში[1]. თუ სწორია ნასავის ცნობა კოალიციური ლაშქრის რაოდენობის შესახებ, მაშინ ყივჩაყთა ღალატის გამო მისი რიცხვი ერთბაშად განახევრებულა, რასაც არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა ბრძოლის შედეგზე.

ქამთააღმწერლის ცნობით, „იქმნა ომი სასტიკი", რომლის დროსაც „მოსწყდა ორგნითვე ურიცხვ კაცი". ჯერ თითქოს მოკავშირეებმა მოიპოვეს უპირატესობა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ჯალალ ად-დინმა გაიმარჯვა. „იძლივნეს სპანი მეფისანი და ხუარაზმელთა მიერ ივლტოდეს"[2]. ამის შემდეგ ჯალალ ად-დინმა ერთხანს კიდევ ითარეშა საქართველოში[3], მერე კი ისევ ხლათს მიაშურა. ხანგრძლივი და მძიმე ალყის შემდეგ 1230 წლის 14 აპრილს მან აიღო და საშინლად ააოხრა ქალაქი[4].

მალე ჯალალ ად-დინის ბედის ჩარხი კვლავ უკუღმა დატრიალდა. იმავე წლის ზაფხულში ის რუმის სულთნის ალა ად-დინ ქეიყობადისა და მალიქ აშრაფის[5] გაერთიანებულ ლაშქარს გაექცა[6]. ამასობაში ამბავიც მოუვიდა, მონღოლთა ახალი უზენაესი მბრძანებლის უგედეი ყაენის (1229—1241) მიერ გამოგზავნილმა რაზმებმა მდინარე ამუ-დარია გადმოლახესო. ჯალალ ად-დინი გრძნობდა, რომ ძალა აღარ შესწევდა მონღოლებთან ბრძოლისა. მან სცადა მოლაპარაკებოდა რუმისა და სირიის გამგებლებს და მათი ლაშქარი გამოეყენებინა მონღოლების წინააღმდეგ, მაგრამ ამ მოლაპარაკებამ შედეგი ვერ გამოიღო[7].

1230 — 1231 წწ. ზამთარი ჯალალ ად-დინმა აზერბაიჯანში გაატარა, როცა მონღოლები აზერბაიჯანს მოუახლოვდნენ, იგი „მსწრაფლ აიყარა დედაწულითა და ივლტოდა საბერძნეთად, ხოლო თათართა დევნა უყვეს"[8]. მალე მონღოლები იქაც წამოეწივნენ ჯალალ ად-დინს და მძინარეს წაადგნენ თავზე დიარბექირის მიდამოებში. მხლებლებმა ძლივს გაიღვიძეს მთვრალი ხორეზმშაჰი და მან გაქცევით უშველა თავს, მაგრამ სულ მალე, 1231 წლის აგვისტოში, ის ქურთებმა მოკლეს მთაში.

---

[1] ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 36; Рашид-ад-дин, II, с. 28.

[2] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 183.

[3] Насави, с. 225—226.

[4] Ибн ал-Асир, с. 167—168; Насави, с. 248—249; ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 38—40.

[5] ხლათის პატრონი აშრაფ მოზაფარ ად-დინ მუსა იმ დროს დამასკოსაც განაგებდა.

[6] Насави, с. 256—257; Ибн ал-Асир, с. 169—170; ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 40—41.

[7] Насави, с. 287—289; ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 41—42.

[8] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 185.

ჯალალ ად-დინი კარგი სარდალი და გაბედული მეომარი იყო[1], მაგრამ, ამავე დროს, ის ძალიან ცუდი პოლიტიკოსი გამოდგა. ხორეზმშაჰი ქრისტიანების შეურიგებელი დევნის პოლიტიკას ატარებდა და ხშირად მონღოლებზე უფრო მეტი ულმობელობით არბევდა და აოხრებდა აღებულ ქალაქებსა თუ სოფლებს. ამასთან ერთად, ჯალალ ად-დინი დაპყრობილ ქვეყნებში მოსახლეობის აღვირახსნილი ფეოდალური ექსპლოატაციისა და აშკარა ძარცვის გზას ადგა, რის გამოც მუსლიმანებიც საბოლოოდ გადაიმტერა. იბნ ალ-ასირი აღნიშნავს, რომ ჯალალ ად-დინი ცუდი საქციელის კაცი იყო და უხეიროდ უძღვებოდა თავის სახელმწიფოს. არ იყო მის მეზობლად არც ერთი გამგებელი, ვისთანაც მტრობა არ ჰქონოდა და ვის სამფლობელოზეც თვალი არ სჭეროდა[2]. ამიტომაც იყო, რომ ჯალალ ად-დინმა ვერ შეძლო მონღოლთა წინააღმდეგ ირანისა და ამიერკავკასიის ძალთა გაერთიანება და საბოლოოდ მარცხი განიცადა ამ ბრძოლაში. ივ. ჯავახიშვილის შეფასებით, ირანისა და ამიერკავკასიის ქვეყნებისთვის ჯალალ ად-დინს „ზიანის მეტი არა მიუყენებია რა: დანგრეული და აოხრებული ციხე-ქალაქები, დიდძალი უწყალოდ და უგუნურად ამოწყვეტილი ხალხი, გაცარცული ქვეყნები და განადგურებული ეკონომიური კეთილდღეობა, აი რა დასტოვა თავის შემდეგ ხვარაზმშაჰმა“[3].

§ 3. საქართველოს დაპყრობა მონღოლთა მიერ

ჩინგიზ-ხანი ისე გარდაიცვალა, რომ არ დაუმთავრებია დაპყრობითი ომები. ახალი ტერიტორიების შემომტკიცება მისი მემკვიდრის, უგედეი ყაენის დროსაც გრძელდებოდა. მან საგანგებო რაზმები გამოჰყო აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიმართულებით სალაშქროდ. ირანში უგედეიმ ორმოცათასიანი ლაშქარი გამოგზავნა ჩორმაღან ნოინის სარდლობით. ამ ლაშქრობაში ჩორმაღანს თან ახლდნენ სხვა მონღოლი ამირებიც, დუმანებისა და ათასეულების მეთაურები[4]. ყამთააღმწერლის სიტყვით, ყაენმა „მოუწოდა ოთხთა ერისმთავართა, რომელთა ქართველნი ნოინობით უჭმობენ, სახელით: ჩორმაღანსა უპირველესსა და მეორესა ჩაღატას, იოსურსა, ბიჩოსა. და ამათ ათი ათას-ათასი კაცი მისცეს დედაწულითა

---

[1] ყამთააღმწერლის სიტყვით, ჯალალ ად-დინი „იყო კაცი მკნე და ქველი, შემმართებელი, უშიში ვითარ უკორცო, ძალითა საჩინო, წყობათა შინა უცხო“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 163—164).

[2] Ибн ал-Асир, с. 171.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 75.

[4] Рашид-ад-дин, Джами ат-таварих, т. I, ч. I, с. 150—151; Рашид-ад-дин, Сборник летописей, т. I, кн. 1, с. 98—99.

მათითა"[1]. ეს უკვე არ იყო ქვეყნის დასაზვერად ან დასარბევად გამოგზავნილი რაზმები. ჩორმაღანს ირანისა და ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრობა ჰქონდა დავალებული. ამიტომაც იყო, რომ ლაშქარს „დედაწულიც" მოჰყვებოდა თან.

მონღოლთა ახალმა რაზმებმა დაამარცხეს და მცირე აზიაში განდევნეს ჯალალ ად-დინი, სადაც ის მალე დაიღუპა კიდეც. შემდეგ მონღოლებმა შედარებით მოკლე ხანში დაიპყრეს თითქმის მთელი ირანი და ამიერკავკასიაშიც შემოიჭრნენ. მათ „აღიღეს თავრეჟი და მიმდგომი მისი ქუეყანა. და მეორესა წელსა წარვიდეს ბარდავს, განძას და მუღანს"[2]. 1235 წელს მონღოლებმა, მძაფრი წინააღმდეგობის მიუხედავად, აიღეს, გაძარცვეს და დააქციეს განძა, მოსახლეობა კი გაჟლიტეს ან დაატყვევეს[3]. აქედან ისინი მიადგნენ შამქორს, რომელიც იმ დროს საქართველოს ეკუთვნოდა და ვარამ გაგელის საგამგებლოში შედიოდა. შამქორელები ქალაქის დასაცავად მოემზადნენ და დახმარება სთხოვეს გარდმანის ციხეში მყოფ ვარამს, მაგრამ ის არც თვითონ მიეშველა და არც შვილს მისცა ამის ნება. შამქორის მცხოვრებნი გმირულად იცავდნენ თავს მტრისაგან, მაგრამ ბოლოს მაინც დათმეს ქალაქი[4]. მონღოლებმა მერე ვარამის კუთვნილ სხვა ციხესიმაგრეებსაც შეუტიეს და დაიმორჩილეს ისინი, მათ შორის გარდმანიც. ვარამ გაგელმა ბრძოლას თავი აარიდა და, კირაკოსის სიტყვით, ღამით გაიპარა[5]. ჟამთააღმწერელი გვამცნობს, რომ ის დასავლეთ საქართველოში გადასულა („ვარამ გაგელი შეივლტოდა ქუთათისს"[6]).

მეფე რუსუდანი ჯალალ ად-დინის წასვლის შემდეგ ახალი დაბრუნებული იყო თბილისში, მაგრამ მონღოლთა მოახლოების ამბავი რომ შეიტყო, ისევ დასავლეთ საქართველოს მიაშურა. თბილისის დასაცავად მან დატოვა მუხას ძე, რომელსაც უბრძანა, როგორც კი მონღოლები ახლოს მოვიდოდნენ, გადაეწვა ქალაქი, რათა მტერს არ ჩავარდნოდა ხელში[7]. რაკი მეფემ დასავლეთ საქართველოს შეაფარა თავი და არსებითად უარი თქვა მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციაზე, ქართველმა დიდებულებმაც მტერთან ბრძოლის აშკარად მცდარი, პასიური ტაქტიკა აირჩიეს. საქართველოს სამეფო კარის ვაზირნი, ცალკეულ მხარეთა გამგებელი სახელოვანი სარდლები სხვადასხვა ციხეებში შეიკეტნენ და იქი-

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 184.
[2] იქვე, გვ. 186.
[3] Киракос Гандзакеци, История, с. 119—120.
[4] იქვე, გვ. 122 — 123.
[5] იქვე, გვ. 123.
[6] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 187.
[7] იქვე.

დან ადევნებდნენ თვალყურს მოვლენათა განვითარებას[1]. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ბრძოლის ასეთი ფორმა ძალიან დიდ მსხვერპლს მოითხოვდა ქართველთაგან და, თანაც, ამჯერად სრულიად უპერსპექტივო ჩანდა[2]. ჟამთააღმწერლის ცნობით, მონღოლები „შემოვიდნენ ქართლს, თრიალეთს, სომხითს, ჯავახეთს, სამცხეთს, შავშეთს, კლარჯეთს, ტაოს, კოლას, არტანს, ანისს, და მოეფინეს მსგავსად მკალთა ოკრებად და ჯოცად, და არსად იყო ლხინება, უწყალოდ მოისრეოდა ყოველი ესე ქუეყანა“[3]. აღსანიშნავია, რომ ქართველთა არჩეული ტაქტიკის შესაბამისად მონღოლებმა თავიანთი ლაშქარი ცალ-ცალკე რაზმებად დაანაწილეს და სხვადასხვა მხარეს გაუსიეს. მოკლე ხანში მათ აიღეს ისეთი მნიშვნელოვანი ქალაქები, როგორიც არის ლორე, დმანისი, სამშვილდე. ლორეში შანშე მანდატურთ-უხუცესი იყო გამაგრებული, მაგრამ როგორც კი ჩაღათაი ნოინი ქალაქს მიადგა, შანშემ თავისი ოჯახის წევრებთან ერთად მიატოვა იქაურობა და საიმედო ადგილას შეაფარა თავი[4]. მის მიერ ლორეში დატოვებულმა პირებმა უდარდელობა გამოიჩინეს და ვერ დაიცვეს ქალაქი, რომელიც მონღოლებს ჩაუვარდა ხელში[5]. „ამირსპასალარი ავაგ შევიდა ციხესა კაენისასა“, მაგრამ როცა მტერმა ციხეს ალყა შემოარტყა და შიგ მყოფნი უწყლობამ შეაწუხა, ამირსპასალარი დამორჩილდა მონღოლებს[6]. 1238—1239 წლებში მონღოლებმა ანისი და კარიც აიღეს, გაძარცვეს და დაანგრიეს[7].

ამის შემდეგ „ამათ ულხინებელთა ჭირთაგან შეიწრებულნი მთავარნი საქართველოსანი ყოველნი მიენდვნენ თათართა“[8]. მხოლოდ მესხები განაგრძობდნენ მტრის წინააღმდეგ გმირულად ბრძოლას. ივანე ციხისჯვარელი-ჯაყელი მაშინღა დამორჩილდა მონღოლებს, როცა ბრძოლა ნამდვილად უიმედო შეიქნა, რადგან „მოისრა და ტყუე იქმნა სული მრავალი

---

[1] ი. ცინცაძე ფიქრობს, რომ ციხეებში ჩაკეტილი ქართველი დიდებულები უთუოდ პარტიზანული წესით იბრძოდნენ მონღოლების წინააღმდეგ (ი. ცინცაძე, მონღოლები და მონღოლთა დაპყრობები, გვ. 154).

[2] ი. სიხარულიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XIII—XIV საუკუნეებში, გვ. 75.

[3] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 187.

[4] Киракос Гандзакеци, История, с. 128; ჟამთააღმწერლის ცნობით, „მანდატურთ-უხუცესი შანშე შეიელტოდა ქუეყნად აჟარისა“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 187).

[5] Киракос Гандзакеци, История, с. 128.

[6] იქვე, გვ. 129 — 130.

[7] იქვე, გვ. 130 — 132.

[8] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 191.

სამცხეს, და ბევრი ერი მოიკლა"[1]. რუსუდან მეფის ნებართვით „მაშინ წარვიდა ივანე და იხილა ჩაღატა, რომელმან პატივითა შეიწყნარა და დაუდგინა მცველნი ქუეყანისანი"[2]. ამით დაამთავრეს XIII საუკუნის 30-იანი წლების მიწურულს მონღოლებმა აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობა და ხანგრძლივად გაბატონდნენ აქ. დასავლეთ საქართველოში შეჭრა მათ ვერ შეძლეს.

ამგვარად, ჯალალ ად-დინის ხუთწლიანი სისხლიანი თარეშის შედეგად დასუსტებულ საქართველოში ვეღარ აღმოჩნდა ისეთი პიროვნება, ვინც შეძლებდა მომხდური მტრის წინააღმდეგ ძალთა გაერთიანებას. მონღოლებმა ფაქტიურად უბრძოლველად დაიმორჩილეს აღმოსავლეთ საქართველო.

§ 4. მონღოლებთან დაზავება

ქუთაისში გახიზნულმა საქართველოს მთავრობამ შინაგანი ძალების თავმოყრა მონღოლების განსადევნად ვერ შეძლო. ვერც რომის პაპთან გაგზავნილმა წერილმა, რომლითაც რუსუდან მეფე დამხმარე ჯარების მოშველებას ითხოვდა, გამოიღო შედეგი: პაპი 1240 წ. 13 იანვარს დაწერილ საპასუხო წერილში დანანებით იტყობინებოდა: „რომის ეკლესიის მხედრობა ვერ მოდის შესაწევნად თათრების წინააღმდეგ", რადგან ჩვენც ვეომებით სარკინოზებს და შეგვიბრალეთო[3]. ამასობაში მონღოლებმა, რომლებმაც ქართლის სანაპირო და შიდა მთავარი ციხეები და ქალაქები აიღეს, უკვე ადგილ-ადგილ მუდმივი ბანაკებიც გაიჩინეს. მათ, როგორც მეჯოგე-მომთაბარეებმა, საზამთროდ მდინარეების სანაპიროებზე ვაკეგაშლილი ადგილები დაიკავეს. მაგალითად, წყაროებში მონღოლთა ასეთ სადგომებად დასახელებულია: ბარდავი, მდ. იორის სანაპიროები ჰერეთ-კახეთში, მდ. მტკვარზე რუსთავ-ყარაიის მხარე, სომხითში მტკვრის გაყოლება გაგამდე[4]. ამ ვრცელი ტერიტორიიდან ისინი არბევდნენ ქართლს, სამცხეს, ჯავახეთს ტრაპიზონამდე, კახეთს, ჰერეთს, რანს, შარვანს დარუბანდამდე. რბევისაგან შევიწროებული დაუპყრობელი მხარეებიც ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდნენ მტერს დამორჩილებოდნენ[5].

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 191.

[2] ი ქ ვ ე.

[3] რუსუდანის წერილი, რომელიც რომის პაპს გრიგოლ IX-ს გაეგზავნა, შემონახული არ არის. შემონახულია გრიგოლ IX-ის საპასუხო წერილი, პაპის წერილით ვიგებთ, თუ რას სთხოვდა რუსუდანი მას (მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902, გვ. 55, 70).

[4] ეამთააღმწერელი, ქ. ცხ., II, გვ. 191.

[5] ქ. ცხ., II, გვ. 191.

ამრიგად, ექვსი წლის განმავლობაში ნაწილ-ნაწილ, ზოგი ომითა და ზოგიც უომრად მტერმა ხელში ჩაიგდო საქართველოს აღმოსავლეთი და სამხრეთი ნაწილები: კახეთი, ჰერეთი, შიდა ქართლი, სომხითი, ტაშირი, თრიალეთი, ჯავახეთი, არტაანი, კოლა, კლარჯეთი, ტაო, შავშეთი და სამცხე. მაშასადამე, ზავის აუცილებლობას იწვევდა დიდ ტერიტორიაზე მტრის ფაქტიურად გაბატონებული მდგომარეობა. ამასთან, მტერი კვლავ აგრძელებდა სისტემატურ რბევას. მდგომარეობის ასე დატოვება ქვეყანას სისხლიდან დაცლას უქადდა. საქართველოს სახელმწიფოებრიობასაც ხომ საფრთხე დაემუქრა: ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილი მოწყდა სამეფო ცენტრს, რომლის ძალაუფლება უკვე ამ ნაწილზე აღარ ვრცელდებოდა. ამის გამო რუსუდან მეფემ მონღოლებს დაზავება სთხოვა, რაც დაახლოებით 1242 წელს მოხდა. მოლაპარაკება ერთდროულად მიმდინარეობდა მონღოლთა ადგილობრივ მთავარსარდალთან[1] და უშუალოდ ყაენთან ვოლგაზე. რუსუდან მეფემ ბათო ყაენთან ვოლგისპირეთში არსენ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი გაგზავნა[2]. დესპანს ევალებოდა ზავის პირობები და უვნებლობის ფიცი მიეღო ყაენისაგან.

ზავის თანახმად, საქართველოს მეფე მონღოლთა უზენაეს უფლებას ცნობდა. დაწესებულ იქნა უფლებრივი განსხვავება საქართველოს აღმოსავლეთის და დასავლეთის ნაწილებისათვის: ლიხთამერ საქართველოში, როგორც მონღოლთაგან ომით დაპყრობილ ქვეყანაში, ქართულ ხელისუფლებასთან ერთად უნდა მდგარიყვნენ მონღოლი მოხელეები და სარდლები (ნოინები) ჯარითურთ. ლიხთიმიერი კი ამ მხრივ თავისუფალი იქნებოდა. საქართველოს დაეკისრა ყოველწლიურად 50000 პერპერას (ოქროს ფული) გადახდა და მონღოლთა ლაშქრობებში მონაწილეობა. ყაენი რუსუდანის ძეს (დავით VI ნარინი) ცნობდა სრულიად საქართველოს მეფედ[3]. მთავრებს თავიანთი საგამგებლოები და მამულ-საქონებელნი ხელუხლებლად დაუტოვეს, ამასთან ისინი ჩარიცხულ იქნენ მონღოლთა სამ-

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 192, 195.

[2] ურდოში ელჩობის შესახებ ცნობა დაცულია არსენ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის 1241 — 1242 წწ. წყალობის წიგნში, საისტორიო მოამბე, II, 1925, გვ. 131—132. რუსუდანის მიერ ორმხრივი მოლაპარაკების შესახებ ცნობებს გვაწვდის სომხური ნარატიული წყაროც, ოღონდ სომეხი ისტორიკოსი მცდარად მიუთითებს თითქოს ზავი პირველად მონღოლებს ეთხოვოთ და ელჩებიც მათ გამოეგზავნოთ.

ყირაკოს განძაკეცი, სომეხთა ისტორია, თბ., 1909, გვ. 273—274 (სომხურ ენაზე).

Киракос Гандзакеци, История. Пер. Т. Тер-Григорьяна, Баку, 1946, с. 158.

[3] პლანო კარპინი, ისტორია მონღოლებისა... თარგ. გ. ქიქოძის, მსკი, ნაკ. 2, 1942; გვ. 30; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, 1941, გვ. 24, 1966, გვ. 334.

ხედრო-პრივილეგირებულ წრეში. დაზავების შედეგად საქართველოს მთავრობა ქუთაისიდან თბილისს გადმოვიდა, ხოლო მალე, 1242—1243 წლებში, დავით რუსუდანის ძე სამეფო ტახტზე დასამტკიცებლად ჯერ ბათოსთან, შემდეგ კი ყარაყორუმს მანგუ ყაენთან წარავლინეს[1].

ამიერიდან საქართველო მონღოლთა ბატონობის მძიმე უღელს შეუდგა, მაგრამ ქართველი ხალხი არ შერიგებია უცხოელთა მფლობელობას, იგი მთელი შესაძლებლობით იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის.

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 198, 206.

თავი მეცხრე

მონღოლთა ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ (XIII ს. 40 — XIV ს. 10-იანი წწ.)

საქართველო XIII ს. 40—70-იან წლებში

§ 1. მონღოლთა სამხედრო-ადმინისტრაციული სისტემა საქართველოში

მონღოლთა სახელმწიფოს შემადგენლობაში საქართველო შევიდა როგორც ცალკე სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული „გურჯისტანის ვილაიეთის" სახით. მონღოლებმა საქართველო ცნეს როგორც ამიერკავკასიის ქრისტიანული გაერთიანება, მას ჩამოაცალეს ვასალური მუსლიმანური ქვეყნები. ამრიგად, სომხური თემები ძველებურადვე საქართველოს ფარგლებში დარჩა, ხოლო რანი შარვანი და სხვა ქვეყნები მასში აღარ შედიოდა. ილხანთა სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე (1256 წ.) დაპყრობილ ვილაიეთებს, ირანს, აზერბაიჯანს, საქართველოს და სხვ. მართავდნენ დიდი ყაენის მიერ დადგენილი მოადგილეები. საქართველოს ვილაიეთს განაგებდა მონღოლი დიდმოხელე არღუნ აღა[1]. ვასალური დამოკიდებულების საფუძველზე მონღოლები დაპყრობილი ქვეყნებისაგან ლაშქრობებში ერთგულ მონაწილეობასა და ხარკის უკლებლივ გადახდას მოითხოვდნენ. მონღოლთა საყაენოში, როგორც სამხედრო-ფეოდალურ სახელმწიფოში, სამხედრო დამსახურებას ქვეშევრდომთა აღზევებისათვის მთავარი მნიშვნელობა ჰქონდა. ამრიგად, მონღოლთა ბატონობამ ხელსაყრელი პირობები შეუქმნა მთავართა სამხედრო წრის გაძლიერებას.

1245 წელს რუსუდანი გარდაიცვალა. დადგა უმეფობის ხანა, რადგან

---

[1] არღუნ-აღა დანიშნული იყო გუიუქ ყაენისაგან (1246—1249 წწ.), ასე დარჩა ის მანგუ ყაენის (1251 — 1260 წწ.) დროსაც, განაგებდა სხვა ვილაიეთებსაც: აზერბაიჯანს, სპარსეთის ერაყს, ლურის, შარვანს, ქერმანს და სხვ.

ტახტის მემკვიდრე დავით რუსუდანის ძე ურდოდან ჯერ კიდევ დაბრუნებული არ იყო. მონღოლებმა ახლა კი ქვეყნის შინაური ადმინისტრაციაც მონღოლურ წესზე მოაწყვეს. ეს ახლად შემოღებული მმართველობა ადგილობრივ სამხედრო ხელისუფალთა (ერისმთავართა) სრულ ბატონობას ამყარებდა, რაც მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა ქართულ სახელმწიფოებრივ სისტემას. საქართველოში ქვეყნის უმაღლესი მმართველობა სამოქალაქო უწყების და მისი მოხელეების (მაგ., მწიგნობართუხუცესი და სხვ.) ხელში იყო.

მონღოლებმა მთელი საქართველო რვა დუმნად (ათიათასეულად) დაყვეს. დუმანი სამხედრო ერთეული იყო, ამასთან, მას სამოქალაქო ფუნქციაც ეკისრებოდა. ყველა სამოქალაქო ხელისუფალი დუმნის თავს, მხედართმთავარს ემორჩილებოდა. საქართველოს ვილაიეთს მეომარმოლაშქრენი ამ დუმნების მიხედვით უნდა გამოეყვანა და სამონღოლო ხარკიც ამ ფარგლებში შეეკრიბა. დუმნისთავებად ადგილობრივი მსხვილი მთავრები იქნენ დადგენილნი.

ქართული წყაროს თანახმად, პირველ დუმანში შედიოდა ჰერეთი, კახეთი და კამბეჩანი ვიდრე თეთრწყლამდე, შემახიის მთებამდე. ამ ოლქის დუმნისთავად ეგარსლან ბაკურციხელი დაინიშნა. მეორე დუმანს ქვემო ქართლი და მისი აღმოსავლეთი თემები (შამქორამდე) შეადგენდა. ის მსახურთუხუცეს ვარამ გაგელს დაუქვემდებარეს. მესამე დუმნის მეთაური მანდატურთუხუცესი შანშე მხარგრძელი იყო. იგი განაგებდა სომხურ თემებს. მეოთხე დუმანს — ქართლს (შიდა ქართლი) მეთაურობდა ქართლის ერისთავთერისთავი გრიგოლ სურამელი; მეხუთეს უფროსობდა გამრეკელ-თორელი, რომლის საგამგეოში ჯავახეთი შედიოდა. მეექვსე დუმანი აერთიანებდა დანარჩენ მესხეთს კარნუ ქალაქამდე (არზრუმამდე). მას მეთაურობდა ყვარყვარე ციხისჯვარელი-ჯაყელი. დასავლეთ საქართველო ორ, მეშვიდე და მერვე დუმნებად დაყვეს; მათ უფროსებად ცოტნე დადიანი და რაჭის ერისთავი დანიშნეს. თითოეული ქართული დუმანი მონღოლთა ნოინებს დაუქვემდებარეს[1]. მართალია, ამ დუმნებმა დიდხანს ვერ იარსებეს[2], მაგრამ მათ საკმაოდ შეარყიეს საქართველოს პოლიტიკური მთლიანობა.

§ 2. შეთქმულება კოხტასთავს

მონღოლთა ბატონობით უკმაყოფილო ქართველებმა გადაწყვიტეს აჯანყებულიყვნენ და მონღოლები საქართველოდან გაეძევებინათ. ამ მიზ-

[1] ქამთააღმწერელი, ქ. ცხ., II, გვ. 207—208.

[2] დუმნებად დანაწილება გაუქმდა დაახლოებით 1247—1248 წლებში, როცა საქართველოში მეფობა აღადგინეს.

ნით „შეკრბეს ყოველი მთავარნი საქართველოსანი კოხტასთავსა იმერნი და ამიერნი“: ეგარსლან ბაკურციხელი, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი, ყვარყვარე ჯაყელი, შოთა კუპარი, თორღაი პანკელი, თორელ-გამრეკელი, სარგის თმოგველი და სხვა ქართლელნი, ჰერ-კახნი, მესხნი და ტაოელნი მთავარნი. შეთქმულებმა დათქვეს აჯანყების დრო და ადგილი (შიდა ქართლი), ხოლო ჯარის მოსამზადებლად თავ-თავიანთ მხარეში დაბრუნება დაადგინეს[1].

აჯანყების მიზეზები თვით მონღოლთა ბატონობის რეჟიმმა წარმოშვა. ქართველობას აუტანელ ტვირთად აწვა მონღოლურ ლაშქრობებში მონაწილეობა. 1246 წლიდან მონღოლთა იმპერიაში დაწესდა მამაკაცთა 20 პროცენტის ყოველწლიური გასვლა ომში. ეს ვრცელდებოდა საქართველოზეც. მუდმივ ლაშქრობას ვერ უძლებდა წვრილი აზნაურობა და ყმამსახურნი, რომელთა უმრავლესობას შეადგენდა ქართული ფეოდალური ჯარი. გასაკვირიც არ არის, რომ ქართველთა აჯანყების უშუალო საბაბიც სწორედ ერთ-ერთი ასეთი ლაშქრობა გახდა: ალამუთზე ლაშქრობის წინ დაუსკვნიათ მონღოლებთან შებრძოლება, რადგან ალამუთზე ლაშქრობას დიდად შეუვიწროებია ისინი[2].

უმეფობა და ქვეყნის დუმნებად დანაწილება, რაც მონღოლთა ბატონობამ მოიტანა, ძნელად შესაგუებელი რეჟიმი იყო ქართველებისათვის. დუმნებად დანაწილებით, როგორც ჟამთააღმწერელი შენიშნავს, მონღოლებმა „საქართველო განიყვეს“ ერთმანეთში, თითოეულ ქართველ მთავართან მათ ცალკე ურთიერთობა დაამყარეს. ამრიგად, ამ მთავართა საერთო ინტერესს არავინ გამოხატავდა და არც არავინ იცავდა, ასე ცალ-ცალკე კი მათი უსიტყვო დამორჩილება ადვილად ხერხდებოდა. უმეფობისა და ქართული ჯარის მუდმივად უცხოეთში ყოფნის გამო, საქართველოს ფიზიკური დაუძლურება და, რაც მთავარია, გარეშე მტრის გათამამება მის სარბევად, აშკარად გამოხატული ფაქტი იყო[3]. იმ დროის საზოგადოებას ყოველივე ეს მტკივნეულად უგრძვნია. უეჭველია, შეთქმულების ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო.

ამგვარად, მონღოლთა რეჟიმისადმი უკმაყოფილების მიზეზი იმდენად მრავალმხრივი და ისე საფუძვლიანი იყო, რომ აჯანყება საყოველთაო სიძულვილის გამოხატულებად ჩაითვლება. აჯანყების თაობაზე ყურადღე-

---

[1] ჟამთააღმწერელი, ქ. ცხ., II, გვ. 215.

[2] იქვე, ალამუთი იყო ისმაიტელთა სახელმწიფო და მისი მთავარი ციხე ირანში. რომელიც მონღოლებმა აიღეს მრავალწლიანი ომის შემდეგ 1256 წ. ნოემბერს.

[3] ჟამთააღმწერელი, ქ. ცხ., II, გვ. 212—213. აღწერილია 60000 თურქის შემოსევა სამხრეთ საქართველოში. მეორედ თურქთა ჯარს აუღია ბასიანი, ტაო, ბანაოლთისი, ორივეჯერვე მტერი განდევნილ იქნა. შემოსევების მიზეზად დასახელებულია „უმეფობა“, „უცალობა ქართველთა“ თათრებთან თანალაშქრობის გამო და სხვ.

ბას იქცევს იტალიელი პლანო კარპინის ცნობა. პლანო კარპინი მაშინ ყარაყორუმში იმყოფებოდა რომის პაპის ელჩად და საქართველოდან მიტანილ ამბებს ყურადღებით ისმენდა. 1246 წლის აგვისტო-ნოემბრის ამბების აღწერილობაში ის ამბობს: როგორც გავიგე, ქართველები აჯანყებას აპირებენო[1].

შეთქმულება მონღოლებს შეუტყვიათ და ისე სწრაფად მოსულან შეკრების ადგილზე, კოხტასთავს (ჯავახეთში), რომ გარდა ცოტნე დადიანისა და რაჭის ერისთავისა, დანარჩენები წასულნიც არ ყოფილან. მონღოლებმა ყველა დააპატიმრეს და წაიყვანეს თავიანთ სადგომში ანისის მხარეს შირაკავანში, შემდეგ კი ქ. ანისში. დაიწყო მკაცრი დაკითხვა. დამნაშავეებს სიკვდილი არ ასცდებოდათ, ამიტომაც ქართველი მთავრები ერთპირად პასუხობდნენ: ჩვენ შევიკრიბეთ თქვენთვის მოსართმეველი ხარკის გასაწესრიგებლად და არა განდგომილებისთვისო. მონღოლ ნოინს ეს არ დაუჯერებია და უბრძანებია გამოსატეხად დამნაშავეები გაეტიტვლებინათ, შეეკრათ და სიცხეში ასე დაესვათ[2]. ასეთი ტანჯვა დიდხანს გაგრძელებულა, მაგრამ მონღოლებს მათგან მაინც ერთი და იგივე პასუხი ესმოდათ. ამასობაში ლაშქრის შეყრის „პაემანიც“ დადგა და ცოტნე დადიანი ჯარითურთ რკინის ჯვარში მოვიდა[3]. აქ მას ყველაფერი უამბეს. ცოტნე დადიანს ლაშქარი უკან უნდა გაეშვა და თვითონ თანამებრძოლთა გადარჩენისათვის ეღონა. ასეც მოიქცა. იგი ორი კაცის თანხლებით მივიდა ანისში და როცა დაინახა ქართველები „ესრეთ უპატიოდ და სიკუდილად განწირულნი, გარდახდა ჰუნისაგან და დააბნია სამოსელი თვისი, განშიშვლდა და შეიკრა მხარი და დაჯდა წარჩინებულთა თანა“. ცოტნეს ამ საქციელს თათრები ძალზე გაუკვირვებია და ის ნოინთან წაუყვანიათ დასაკითხად. მას იგივე უთქვამს, რასაც სხვები ამბობდნენ და თან დაუმატებია: მე იმისათვის მოვედი თქვენთან, რათა საქმე კარგად გამოიძიოთ და, თუ ისინი სიკვდილის ღირსნი არიან, მეც მათთან ერთად დამსაჯეთო. ცოტნეს ამ თავგანწირვამ მონღოლები დაარწმუნა ნათქვამის სიმართლეში და დაპატიმრებულები გაათავისუფლეს[4]. ცოტნეს პირადმა თავდადე-

[1] პ ლ ა ნ ო კ ა რ პ ი ნ ი, ისტორია მონღოლებისა... თარგმ. გ. ქიქოძის, ეურნ. „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“, 1942, ნაკ. II, გვ. 37.

[2] ქ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ქ. ცხ., II, გვ. 215—216; ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი აქ უმატებს: დამნაშავეებს თაფლი წასცხეს ტანზეო. სხვა მხრივ ის მთლიანად იმეორებს ქამთააღმწერელს. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქ. ცხ., IV, გვ. 210.

[3] რკინისჯვარი იყო იმერეთიდან სამცხეში გადასასელელი გზა ფერსათის (ღადოს) მთით.

[4] კოხტასთავის შეთქმულების ამბავი ერცლად აქვს აღწერილი ქართველ ქამთააღმწერელს (ქ. ცხ., II, გვ. 215—217). მართალია, ეს ავტორი თვითმხილველი არ ყოფილა, მაგრამ როგორც მისივე თხზულებიდან ჩანს, მას ხელთ ჰქონია ამბის მომსწრის ნაწარმოები. იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, 1949, 1966 წწ. გამოცემები, გვ. 137—142.

ბამ და მოსაზრებულობამ საქართველო იხსნა მონღოლთა შურისძიებისაგან. კოხტასთავის შეთქმულება 1246 ან 1247 წელს უნდა მომხდარიყო[1].

§ 3. ორმეფობა საქართველოში

ტახტის მემკვიდრეობის საკითხი. დუმნისთავი ეგარსლან ბაკურციხელი უზომოდ გაძლიერდა, რომელმაც უმეფო ქვეყანაში უკვე მეფის ადგილისათვის ბრძოლაც წამოიწყო. გავლენიან წრეებში ამან სერიოზული დაჯგუფება გამოიწვია, რაც მალე შინაურ არეულობად უნდა ქცეულიყო. უმეფობის პირობებში ფეოდალთა შორის პირველობისათვის ბრძოლას შეიძლება მუდმივი და მძაფრი ხასიათი მიეღო; შინაური მშვიდობისათვის და ქვეყნის მორჩილებაში მოსაყვანად კი ადგილობრივ ერთი ცენტრის არსებობა მეფის სახით მონღოლებისათვის უფრო გამოსადეგი ჩანდა. ამიტომაც მონღოლებმა თვითონვე დააჩქარეს ურდოდან მეფის გამოგზავნა.

არსებულმა სიტუაციამ მტერს საშუალება მისცა ყოველივე ეს განეხორციელებინა თავისათვის ხელსაყრელად. მონღოლებმა შექმნეს სუსტი, უმაღლეს ძალაუფლებას მოკლებული ცენტრი. მათ სამეფო ტახტზე ერთდროულად ორი მეფე დასვეს, რასაც შეეძლო შესაფერის პირობებში ძირი გამოეთხარა სახელმწიფოს მთლიანობისათვის.

დავით რუსუდანის ძის ამბავი ყარაყორუმიდან დიდხანს აღარ ისმოდა, ხოლო მას შემდეგ, რაც რუსუდანი გარდაიცვალა, ბუნებრივი იყო საქართველოს მესვეურებს მეფის ახალი კანდიდატის ძებნა დაეწყოთ, მით უფრო, რომ დიდებულ-მთავრებს არ სურდათ ეგარსლანის უფროსობა. ამ ჯგუფმა დავით ლაშას ძე რუმის სასულთნოდან ჩამოიყვანა, სადაც ის იმქამად თავის მამიდაშვილთან იმყოფებოდა[2] და თანმხლები დიდებულებით ურდოში გაამგზავრა. მოულოდნელად დავითს იქ რუსუდანის ძე დავითი დაუხვდა. აქ ჩამოსულ და დამხვდურ ქართველთა შორის გაიმართა ცხარე დავა და კამათი, თუ რომელი დავითი — რუსუდანის კანონიერი შვილი, თუ ლაშას უკანონო ძე — უნდა დაემტკიცებინა დიდ ყაენს საქართველოს მეფედ. დავით ლაშას ძის მომხრე დასმა საქმე რომ ქართული კანონით ვერ გააწყო, ბოლოს მონღოლური სამართლით მოითხოვა დავის გადაწყვეტა[3]. მონღოლური სამართალი არ ანსხვავებდა კანონიერ-

---

[1] რადგან პლ. კარპინი განზრახულ აჯანყებაზე 1246 წ. ლაპარაკობს, ფაქტი უნდა ან ამ წელსვე ან მომდევნო წელს მომხდარიყო.

[2] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 225. გრ. აკანეცი, მოისართა ტომის ისტორია, ქართ. თარგ. ნ. შოშიაშვილისა, 1961, გვ. 25—27.

[3] პლანო კარპინი, ისტორია მონღოლებისა..., მსკ, ნაკვ. II, 1942, გვ. 37.

სა და უკანონო შეილს, რადგან იქ მრავალცოლიანობა წესად იყო[1]. გუიუქ ყაენმაც მონღოლური წესით იმოქმედა. მან საქართველოს მეფედ ორივე კანდიდატი დაამტკიცა, მაგრამ დავით ლაშას ძეს, როგორც ხნიერს, უფროსობა მისცა და დაუქვემდებარა უმცროსი დავით რუსუდანის ძე. რადგან ორივეს ერთნაირი სახელი ჰქონდა, პირველს ზედსახელად ულუ (უფროსი) უწოდეს, მეორეს — ნარინი (უმცროსი). ასე დამთავრდა 1246 წელს საქართველოს სამეფო ტახტის გამო ატეხილი დავა[2]. გარდა იმისა, რომ ორი მეფის დანიშვნით საქართველოს მთლიანობას საფრთხე შეექმნა, ისიც უპრეცედენტო იყო, რომ ქართული სახელმწიფო სამართალი შეცვლილ იქნა მონღოლური სამართლით. ყოველივე ეს, როგორც ზემოთ ითქვა, ხელს უწყობდა მონღოლთა ბატონობის განმტკიცებას. თუმცა, ქართველთა არც ერთ მოდავე ჯგუფს არ მოუთხოვია ორი მეფის დასმა, მაგრამ მათმა საქციელმა ობიექტურად შეუწყო ხელი საქმის ასე დამთავრებას.

მართალია, ერთხანს, როგორც წყაროები მიგვითითებენ, საქართველოს სამეფო მთლიან სახელმწიფოს წარმოადგენდა და ორად არ გაყოფილა: სახელმწიფო დოკუმენტები ორივე მეფის სახელზე იწერებოდა, ხელსაც ორივე მეფე აწერდა, ორივე თბილისში იჯდა[3], მათი უფროს-უმცროსობაც თითქოს არაფერში მჟღავნდებოდა[4], მაგრამ ბზარი მაინც ასეთ ვითარებაში უბრალო მიზეზს შეეძლო გამოეწვია. უეჭველად, ორთავე დავითის მაღალ შეგნებას უნდა მიეწეროს ის, რომ საქართველოს მთლიანობა იმთავითვე არ დაირღვა.

ნარინ დავითის და ულუ დავითის საქართველოში დაბრუნების შემდეგ საქართველოს დუმნებად დაყოფა დაახლოებით 1247—1248 წლებში გაუქმდა[5].

---

[1] მონღოლური სამართალი ერთდროულად რამდენიმე მეფესაც იწყნარებდა, რადგან, მათი თვალსაზრისით, მრავალმეფობა არ არღვევდა სახელმწიფოს მთლიანობას. ასე იყო მოწყობილი თვით საყაენოც: რამდენიმე ყაენი ერთი ყაენის უფროსობით.

[2] პლ. კარპინი ფაქტს აღნიშნავს ამ წელს. დაწვრ. იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, 1949, გვ. 127 — 137.

[3] ქ. ცხ., II, გვ. 226—227; შიომღვიმის საბუთი, გამოც. ს. კაკაბაძის, სიგელი მსახურთუხუცესის გრიგოლ სურამელისა, 1912, გვ. 6; Э. Такайшвили, Археологические экскурсии, II, с. 16.

[4] ორმეფობის პერიოდში 1252 წელს ნარინ დავითის სახელზე მხოლოდ ერთხელ მოიჭრა სპილენძის ფული. 1247 წლიდან სპილენძის, ხოლო 1252 წლიდან ვერცხლის ფული დავით ულუს სახელზე იჭრებოდა.

[5] დავით ულუმ ურდოში ყოფნისას ცოლად შეირთო მონღოლი. ჯიგდა-ხათუნი, შეილი არ ეყოლა, ამიტომ მოიყვანა ოსი ქალი ალთუნი. შეეძინათ გიორგი და თამარი. ჯიგდა-ხათუნის გარდაცვალების შემდეგ, დაახლ. 1250—1251 წ. დავითმა ცოლად შეირთო ავაგ ათაბაგის ქვრივი გვანცა რაჭის ერისთავის ,,ბაბერის ასული, შეეძინათ დიმიტრი (შემდეგში მეფე დიმიტრი თავდადებული). დავით ულუ წყაროების დახასიათებით ყოფილა ტანადი, ენამძიმე, მალემრწმენი. დავით ნარინის პირველი ცოლი იყო თამარი,

შ ე თ ქ მ უ ლ ე ბ ა თ ბ ი ლ ი ს ს. კოხტასთავის შეთქმულების ჩაფეშვის შემდეგ ქართველებს ახლო პერიოდში, დაახლოებით 1249 წელს, კვლავ უცდიათ აჯანყება. ეს ამბავი აუწერიათ სომეხ ისტორიკოსებს. აჯანყების თავკაცნი ამჯერად თბილისს შეკრებილან მეფე ულუ დავითთან. მოლაპარაკება პურისჭამის დროს გაუმართავთ (ალბათ კონსპირაციის მიზნით). ეს ამბავი ახლო დაბანაკებული მონღოლთა ჯარის უფროსის ყურამდე მისულა. მას სასწრაფოდ დაუპატიმრებია შეთქმულნი. დამნაშავეები თოკებით შეუკრავთ და ასე სამი დღე უმყოფებიათ. დაპატიმრებულთა შორის ხელფეხშეკრული ყოფილა თვით ულუ დავითიც. განთავისუფლებისათვის მონღოლებს მისთვის ცხენები და უზომო გამოსასყიდი გამოურთმევიათ. ასე განუხორციელებლად დამთავრდა ამჯერადაც თბილისს განზრახული აჯანყება[1].

§ 4. მონღოლური გადასახადები და სამხედრო გეგმარა

XIII ს. 50-იანი წლებიდან მონღოლთა სახელმწიფოში ახალი ხანა დაიწყო. დიდი ქვეყნების დაპყრობები ძირითადად დამთავრდა, რბევითა და ალაფით შეძენილმა შემოსავალმა იკლო, არსებული საგადასახადო სისტემა უკვე ვერ უზრუნველყოფდა უზომოდ დიდი იმპერიის შესანახ ხარჯებს[2]. საჭირო შეიქნა გადასახადების გადიდება, მოსაწესრიგებელი იყო სამხედრო ორგანიზაციაც.

გადასახადებისა და სამხედრო ვალდებულებათა ახლად განსაზღვრისათვის საჭირო იყო მონღოლებს ზედმიწევნით სცოდნოდათ, თუ ქვეშევრდომ ქვეყნებს რა რაოდენობის ჯარისა და რაოდენი შემოსავლის მოცემა შეეძლოთ. ამ მიზნით მათ ყველა თავიანთი სამფლობელო აღწერეს. გადასახადთა ზუსტი ფიქსაცია ითვალისწინებდა ამასთანავე მოხელეთა თვითნებობის ალაგმვას, რომლებიც აღრიცხვის გარეშე ადვილად ახერხებ-

---

ამანელას ასული, რომლისგანაც ჰყავდა: ვახტანგი, კონსტანტინე და მიქელი. თამარის გარდაცვალების შემდეგ შეირთო მიხეილ პალეოლოგოსის ასული, რომლისგანაც შეეძინა ალექსანდრე. ნარინი ყოფილა ტანწერწეტა, ლამაზი, ტკბილმოსაუბრე, დინჯი და კარგი მეომარი-მონადირე.

[1] გრ. ა კ ა ნ ე ც ი, დასახ. ნაშრ., გვ. 29 — 30; კირაკოს განძაკეცი, ისტორია (სომხური ტექსტი), გვ. 303—305; ტერ-გრიგორიანის რუს. თარგ., გვ. 160—161.

[2] 1254 წლის აღწერამდე მონღოლებს დაპყრობილ ქვეყნებში საგადასახადო სისტემა მარტივი ჰქონდათ, ხარკიც შედარებით მცირე იყო. ამ პერიოდში მათ უფრო მეომარი ძალის გამოყვანა აინტერესებდათ. სომეხი ისტორიკოსისა და იტალიელი პლანო კარპინის თანახმად, გუიუქ ყაენის (1246—1249) დროს დაპყრობილი ქვეყნებიდან, მათ შორის საქართველოდან და აზერბაიჯანიდან გაუტანიათ შემოსავლის ერთი მეათედი; პ ლ ა ნ ო კ ა რ პ ი ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 35.

დნენ გადასახადების მითვისებას, რითაც ხაზინა ზარალობდა. აღწერის მიზანს ისიც შეადგენდა, რომ მჭიდროდ დაეკავშირებინა ადგილობრივი და მონღოლი მოხელეები მონღოლთა ცენტრთან. მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი მონღოლური ბატონობის სიმძიმის გამო ადგილიდან გაქცეული იყო, აღწერა საშუალებას იძლეოდა აღერიცხათ ასეთი გადამხდელებიც.

აღწერა მოხდა 1254 წელს მანგუ ყაენის დროს. მას ხელმძღვანელობდა არღუნ-აღა. აღწერის ორგანიზაციის, მონღოლური გამოსაღებლებისა და ვალდებულებათა შესახებ საკმაოდ ვრცელი ცნობები მოეპოვებათ ქართველ და უცხოელ ისტორიკოსებს[1].

მონღოლებს აუწერიათ ყველაფერი (ადამიანები, პირუტყვი, ხეები, მიწა, ყანა, ვენახი, ბაღი, ბოსტანი, სათევზაო ადგილები — მდინარეები, ტბები, ზღვები და სხვ.), რასაც კი შემოსავლის მოცემა შეეძლო[2], რაკი მონღოლებს ლაშქარში წასაყვანი მამაკაცები აინტერესებდათ[3], ამიტომ დავთარში შეუტანიათ 15-დან 60 წლამდე ასაკის მამაკაცები[4].

მონღოლებმა გადასახადი დაადვეს ყველას და ყველაფერს: სოფლის მეურნეებს, ვაჭრებს, ხელოსნებს, მეთევზეებს, მაღაროში მომუშავეთ, მიწას, მიწის ნაყოფს, ვაჭრობას და ა. შ. გაათავისუფლეს მხოლოდ მოხუცნი, ბავშვები, ქალები, ყოველგვარი რელიგიური კულტის მსახურნი, ეკლესია და მათი მიწა-წყალი (ესენი დავთარში არ შეიტანეს).

მთელს მონღოლთა იმპერიაში დადგენილია სულ 40-მდე სახეობის

---

[1] მონღოლთა კარის ისტორიკოსებთაგან ჯუვეინს, რაშიდ ად-დინს და სხვ., სომეხთაგან—კირაკოს განძაკეცს, გრ. აკანეცს, ვარდან ბარძბერდეცს, ქართველთაგან—ეამთააღმწერელს. მონღოლთა იმპერიაში მოქმედი გადასახადების შესახებ გამოქვეყნებულია პირველ წყაროებზე დაფუძნებული გამოკვლევები, მათ შორის: В. В. Бартольд, Персидская надпись на стене Анийской мечети Мануче, Анийская серия № 5, 1911; Абдул-Керим Али-Заде, Социально-экономическая и политическая история Азербайджана XIII—XIV вв., 1956, с. 193—258; И. П. Петрушевский, Земледелие и аграрные отношения в Иране XIII — XIV вв., 1960, с. 360—409; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, 1941, გვ. 53—57; 1966, გვ. 342—344; რ. კიკნაძე, თამღა ილხანთა სახელმწიფოში, აღმოსავლური კრებული, I, 1960, გვ. 93—120; ვ. გაბაშვილი, მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის მასალები ეამთააღმწერლის თხზულებაში, მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის ნარკვევები, 1969, გვ. 26 — 70.

[2] „იწყეს აღწერად კაცთაგან და პირუტყუთამდე, ყანით, ვენახამდე, წალკოტამდე, ბოსტნამდე...“. ეამთააღმწერელი, ქ. ცხ., II, გვ. 235.

[3] „რათა აღთუალოს და განაჩინოს მხედარი და მეომარი ლაშქრად განმავალი ნოინთა თანა“, იქვე, გვ. 234.

[4] გრ. აკანეცი, დასახ. ნაშრ., გვ. 31; კირაკოს განძაკეცი უთითებს 10 წლის ასაკიდან. ისტორია (სომხ. ტექსტი), გვ. 348—349; რუს. თარგ. ტერ-გრიგორიანისა, გვ. 183, 184.

სამონღოლო ნატურითი და შრომითი გადასახადები. ცხადია, ყველა ერთდროულად მოქმედი არ იყო, მათ შორის მხოლოდ ძირითადი გადასახდელები წარმოადგენდნენ მუდმივს და საყოველთაოს. შეინიშნებოდა ერთი და იგივე საგადასახადო ერთეულის მცირეოდენი განსხვავებულობა სხვადასხვა ქვეყანაში ადგილობრივი პირობების კვალად[1].

ქართული, სომხური და სპარსული წყაროების მიხედვით საქართველოს ვილაიეთში ამ პერიოდისათვის მოქმედებდა თოთხმეტზე მეტი სახეობის სამონღოლო ვალდებულება-გადასახადი, რომელთაც საკუთარი სახელწოდებანი ჰქონდათ, ხოლო ქართველები მათ ზოგადად „სათათროს" უწოდებდნენ[2]. ერთ-ერთ ქართულ საბუთში (XIII ს. 40—50-იანი წლები) „სათათროთა" შორის ჩამოთვლილია: „მალი", „ყაფჩერი", „სალაშქრო" (მონღ. „ყალანი"), „საიამე" და „სატუზღუე"[3]. სხვადასხვა წყაროში დასახელებულია კიდევ: „ძღვენი", „ულუფა", „ტამღა", „მიზდი", „ყალანი", „თაღარი", „ნემარი", „ტარხი" (თარხი), „თერნაგირი". ქართულ დოკუმენტურ და ნარატიულ წყაროებში მოხსენიებულია აგრეთვე „ხარკი" და „ხარაჯა", როგორც მიწის სათათრო გამოსაღებთა ზოგადი სახელწოდებანი.

მ ა ლ ი ეწოდებოდა სოფლის მეურნეობაზე დადებულ გადასახადს. იგი აიღებოდა როგორც ნატურით, ისე ფულადად. „მალი" გვხვდება ქართულ და სომხურ წყაროებში „ხარკის" სახელწოდებითაც[4]. მონღოლურ საგადასახადო სისტემაში „მალის" სინონიმად ზოგჯერ ადგილობრივი „ხარაჯაც" გამოდის[5], რაც გამოწვეული იყო ამ ორი გადასახადის დაახლოებით ერთნაირი მნიშვნელობის გამო. ხარაჯაც მიწის შემოსავლიდან

---

[1] საგადასახადო ტერმინები ზოგი ადგილობრივი, აღმოსავლური, ზოგიც მონღოლური იყო.

[2] გელათის საბუთი, XIII ს. ქრონიკები, II, გვ. 160; შიომღვიმის საბუთი, გამოც. ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 44; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, სიგელი მსახურთუხუცესის გრიგოლ სურამელისა, 1912, გვ. 5.

[3] სოფ. ციხედიდში შიომღვიმის მონასტრის კუთვნილი წისქვილი და მეწისქვილე განთავისუფლებულია აქ მოქმედი ოთხი „სათათრო" გამოსაღებლისაგან, ადევს მხოლოდ „სატუზღუე", „არც რაი სათათროი გამოჰვიდოდეს: მალი, ყაფჩერი, სალაშქრო და საიამე არასთანაი არა, თქვენგან ნასყიდი არის, ეგრე სატუზღეუსაგან (ე. ი. სატუზღუე — ბ. ლ.), კიდე, და მას სოფელსა თანა გამოიღებდნენ" (ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 44; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 5).

[4] საინტერესო ფაქტია, რომ უფრო გვიანაც, XV ს., როცა საქართველოში მონღოლები უკვე აღარ იყვნენ, „მალს" შემორჩა სახელმწიფო ფულადი გადასახადის (ძვ. „სამეუფო ხარკი"), და ამასთან, უცხო დამპყრობელის სასარგებლო გადასახდელის, ხარკის, მნიშვნელობა. ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ მონღოლური ხარკის შემადგენლობაში „მალს" მთავარი ადგილი ეკავა და ამიტომაც ქართველები „მალს" ხარკსაც ეძახდნენ.

[5] ა. ა ლ ი-ზ ა დ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 240; ი. პ ე ტ რ უ შ ე ვ ს კ ი, დასახ. ნაშრ, გვ. 373—374.

აიღებოდა ნატურით (ზოგჯერ ფულით) და უდრიდა, როგორც მალი, ზოგიერთ შემთხვევაში დაახლოებით წლიური შემოსავლის 60 პროცენტს. „ხარაჯა“ აგრეთვე ნახმარია ზოგადი სათათრო გამოსაღებლის მნიშვნელობით[1].

ყ ა ფ ჩ ე რ ი ქართულად „საბალახე“ — აიღებოდა პირუტყვიდან—ყოველ ას სულზე ერთი სული (მომდევნო ხანებში მონღოლები ამ გადასახადს ფულადაც იღებდნენ 1 — 10 დინარამდე)[2].

უ ლ უ ფ ა ს ქართველები „ძღვენსაც“ უწოდებდნენ. ის განკუთვნილი იყო მონღოლი მოხელეების სასარგებლოდ. ძღვენს შეაწერდნენ სოფელს, რომელსაც ათასეულისთავისათვის (ნოინისათვის) თითო კრავი და თითო დრაჰკანი უნდა გაეღო, ხოლო ათიათასისთავისთვის (დუმანნოინისათვის) ერთი ცხვარი და ორი დრაჰკანი. სოფელში მოსული მონღოლი მოხელის ცხენის ქირაც, „მ ი ზ დ ი“, სოფელს უნდა გადაეხადა, დღეში სამი თეთრის რაოდენობით[3].

ტ ა მ ღ ა (დამღა) იყო სავაჭრო გადასახადი 3 პროცენტის რაოდენობით, ე. ი. ყოველ 100 თეთრის ნასყიდობაზე აიღებოდა 3 თეთრი. ტამღას იხდიდნენ ვაჭრები და ხელოსნები. ქართულ წყაროში „ტამღა“ საგანგებოდ მოხსენიებულია როგორც 1254 წლის აღწერის დროს შემოღებული მეტად მძიმე სამონღოლო გადასახადი[4].

ს ა ი ა მ ე ითვალისწინებდა როგორც შრომით, ისე ნატურით ვალდებულებას. მონღოლებმა გზებზე სადგურები (იამები) ააგეს, სადაც გზად მიმავალი მონღოლი მოხელის დასახვედრად და ღამის გასათევად ცხენები, საკვები და სხვა საჭირო რამ უნდა ყოფილიყო მომარაგებული. ამ იამებს ადგილობრივი გზის ახლომახლო მდებარე საიამე სოფლები ემსახურებოდნენ. მათ ეკისრებოდათ იამების შეკეთება-მშენებლობაც[5].

არსებობდა სოფლებზე ცალკე ე. წ. „ულ ა ყ ი ს“ (საფოსტო ცხენის)

---

[1] ე ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ქ. ცხ., II, გვ. 238; ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 63. „ხარაჯის“ შესახებ იხ. ი. პეტრუშევსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 369—372. „ხარაჯა“ მონღოლებმა შეითვისეს ადგილობრივ აღმოსავლურ სამყაროდან.

[2] „ყოპჩურ“ (მონღ.) უფრო ძველად ცხენების საძოვარს ნიშნავდა, შემდეგში მან მიიღო გადასახადის მნიშვნელობა (ა. ალი-ზადე, დასახ. ნაშრ., გვ. 198—199; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., III, 1941, გვ. 56; ი. პ ე ტ რ უ შ ე ვ ს კ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 360—369).

[3] ე ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ქ. ცხ., II, გვ. 234 — 235.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 238. იმ საქონელს, რომელზეც ტამღას აიღებდნენ, უკეთებდნენ ტამღას (დაღს), ამიტომ გადასახადსაც ასე ეწოდებოდა (ტამღის შესახებ: რ. კიკნაძე, დასახ. ნაშრ.).

[5] შიომღვიმის მონასტრის საბუთიდან (იხ. ზემოთ) ჩანს, რომ „საიამე“ მოქმედი ვალდებულებაა სოფ. ციხედიდში (მისგან თავისუფალია მხოლოდ მონასტრის წისქვილი და მეწისქვილე). ამ სოფელში ან მის მახლობლად „იამი“ ყოფილა აშენებული.

გადასახადიც. ამ პერიოდის ქართულ წყაროებში თუმცა ულაყის გადასახადი მოხსენიებული არ არის, მაგრამ მისი არსებობა უეჭველია, რადგან XV ს. საბუთებში მას ხშირად ვხვდებით როგორც უკვე ქართულ გადასახადად ქცეულს. საიამე მოთხოვნილებისათვის მონღოლი მოხელეები არ ერიდებოდნენ გლეხისათვის წაერთმიათ ცხენი შუა ხვნა-თესვის დროსაც. კირაკოს განძაკეცი და სხვები არაერთგზის აღნიშნავენ დამპყრობთა მიერ ცხენების განუკითხავად მიმტაცებლობას, რის გამოც ქვეყანაში ცხენები გაქრნენ და მხოლოდ ჩუმად თუ ვინმეს შეეძლო მისი შენახვაო[1].

საქართველოში მოქმედებდა მონღოლური გადასახადი „ს ა ტ უ ზ ღ უ ე“, რომელიც სოფლიდან აიღებოდა. როგორც უკვე ვიცით, სოფ. ციხედიდში შიომღვიმის კუთვნილი წისქვილი და მეწისქვილე იხდიდა მხოლოდ სატუზღუეს და ისიც სოფელთან ერთად („არც რაი სათათრო გამოვიდოდეს... სატუზღუესაგან კიდე, და მას სოფელსა თანა გამოიღებდნენ“). თვითონ გადასახდელ ერთეულს ქართული გამოთქმით „ტუზღუ“ რქმევია[2]. ტუზღუ იკრიბებოდა მონღოლთა იმპერიის სხვა ქვეყნებშიც. როგორც დადგენილია, ეს გამოსაღებელი შეიცავდა ძვირფასეულ ქსოვილებს და ნივთებს. ადგილობრივი ოქროდალი ვალდებული იყო ასეთი ძვირფასი ნივთები, ანუ „თარღუ“ („ტუზღუ“) მიერთმია აქ მობრძანებული მაღალი თანამდებობის პირისათვის, ან ყაენის ოჯახის წევრისათვის. თარღუს ზომა განსაზღვრული არ იყო, იგი ფეოდალის სახელით მიერთმეოდა მონღოლ დიდებულს, მაგრამ საამისო თანხას ან თვით ნივთებს (თუ ამ ადგილას ვაჭარ-ხელოსნები ესახლნენ) იგი სოფლიდან კრეფდა. სატუზღუეც ერთხელ კიდევ ადასტურებს ციხედიდის მიდამოებში მონღოლ მოხელეთა სადგომის — იამის არსებობას.

ჰულაგუ ყაენმა (1256—1265) ჯარის შესანახად შემოიღო კიდევ ერთი ახალი გადასახადი „თ ა ღ ა რ ა დ“ წოდებული. თაღარი ძირითადად საკვები პროდუქტებისაგან შედგებოდა. მას კრეფდნენ სოფლებში სალაშქროდ მიმავალი ან დაბანაკებული მონღოლი ჯარის გამოსაკვებად. „თაღარის“ ზომა და რაოდენობა სხვადასხვა მხარეში სხვადასხვა იყო[3]. კირაკოს განძაკეცის ცნობით, თაღარი შედგებოდა შვიდი სხვადასხვა გამოსაღებლისაგან. თითოეულ პიროვნებას, ვინც კი სახელმწიფო დავთარში იყო შეტანილი, უნდა გადაეხადა: 100 ლიტრა პური, 50 ლიტრა

---

[1] კ ი რ ა კ ო ს გ ა ნ ძ ა კ ე ც ი, ისტორია, რუს. თარგ. ტერ-გრიგორიანის, გვ. 133.

[2] ქართული გამოთქმა „ტუზღუ“ (სა-ტუზღუ-ე), უდავოდ მომდინარეობს მონღოლური „ტაზღუ“, ანუ „ტოზღუდან“. „ტაზღუ“ იშვიათი ფორმა ყოფილა „თარღუსი“ (ა. ა ლ ი-ზ ა დ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 241—242). ეს გადასახადი „ტზღუს“ ფორმით მოხსენიებული აქვს საქართველოსა და აზერბაიჯანში მოქმედად გრ. აკანეცს (დასახ. ნაშრ., გვ. 15, 17).

[3] ა. ა ლ ი-ზ ა დ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 230 — 232; ი. პეტრუშევსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 383.

ღვინო, 2 ლიტრა ბრინჯი, 3 თოფრაკი, 2 თოკი, 1 ისარი, 1 ნალი, 1 თეთრი. ამას გარდა, მას უნდა გადაეხადა 20 პირუტყვზე 1 პირუტყვი და 20 თეთრი[1] (ვერცხლის ფული). ეს გადასახადი მოქმედებდა უმთავრესად საქართველოს სომხურ თემებში.

ნ ე მ ა რ ი წარმოადგენდა არარეგულარულ გადასახადს, რომელსაც სახელმწიფო კრებდა მაშინ, როცა მას დამატებითი ხარჯი მოსდიოდა ან ფული ესაჭიროებოდა. ნემარის ზომა და შინაარსი იცვლებოდა. მაგ., ერთ-ერთ პროვინციაში ნემარად აუღიათ ყოველ ათ სულ პირუტყვზე ორი სული[2].

აბუსაიდ ყაენის (1317 — 1335 წწ.) ანისის სპარსული წარწერიდან ვგებულობთ, რომ საქართველოში მოქმედებდა: „ტარხი", „ბაჟი" და „თერნაგირი". საფიქრებელია, ეს გადასახადები საქართველოში შემოღებული იყო გვიან, რადგან 1254 წლის აღწერის დროს ქართულ და სომხურ წყაროებში არ იხსენიებიან.

თ ა რ ხ ი იყო ვალდებულება, როცა სახელმწიფო დროდადრო (მაგ., მოუსავლიანობის პერიოდში და ა. შ.) აიძულებდა მოსახლეობას მიეყიდა დაბალ ფასებში ხაზინისათვის მეურნეობის პროდუქტები („თარხი"), ანდა პირიქით, როცა სახელმწიფოს ფული ესაჭიროებოდა, იგი აიძულებდა ვაჭრებს, მოქალაქეებს, გლეხებს შეესყიდათ ხაზინიდან „თარხი" მაღალ ფასებში[3].

თ ე რ ნ ა გ ი რ ი ს ზუსტი შინაარსი დადგენილი არაა. ის იყო საქალაქო კარის ბაჟი[4]. გარდა აბუსაიდის წარწერისა, ის გვხვდება იმავე პერიოდის ანისის კერძო პირთა სომხურ წარწერებში (XIV ს. 20-იანი წწ.), სადაც მოხსენიებულია „დიდი თერნაგირი" და „მცირე თერნაგირი". ცნობილია, რომ ამ დროს ქ. ანისს ორი კარი ჰქონდა: მცირე და დიდი. როგორც ფიქრობენ, ორგვარი თერნაგირიც აქედან წარმოდგა[5].

ს ა ე ლ ჩ ო[6] იყო მონღოლი მოხელის ელჩის საჭიროებისათვის დაწესებული ულაყისა და ულუფის გადასახადი. ელჩი (მონღ.-თათრ. ელჩი)

---

[1] კ ი რ ა კ ო ს გ ა ნ ძ ა კ ე ც ი, ისტორია (რუს. თარგ. ტერ-გრიგორიანისა), გვ. 189.

[2] В. В. Б а р т о л ь д, Персидская надпись..., с. 6, 7, 37; ა. ა ლ ი-ზ ა დ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 242; Л. О. Б а б а я н; Социально-экономическая и политическая история Армении в XIII—XIV веков, М., 1969, с. 271—272.

[3] ა. ა ლ ი-ზ ა დ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 244 — 246.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 243; ვ. ბ ა რ ტ ო ლ დ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 42.

[5] ა. ბ ა ბ ა ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 269.

[6] 1345 წ. სიგელში იკითხება: „გუიბოძებია.. ორი გლეხი... სათათროსა და საელჩოსა და ჩუენსა სამსახურსა თანა დაიყენებდი"... (ამ ორ გლეხს მართებდა მონღოლების სასარგებლოდ: სათათრო, საელჩო, ხოლო პატრონის წინაშე სამსახური). 1463 და 1466 წწ. სიგელებში მოხსენიებული „საელჩო" უკვე ადგილობრივ სამეფო გადასახადად არის ქცეული (საქართველოს სიძველენი, II, გვ. 10, 19, 20). ხსენებულ დოკუ-

იგზავნებოდა ურდოდან ადგილობრივ უმაღლეს ხელისუფალთან, მეფის კარზე, ნოინთან და ა. შ., სახელმწიფო მნიშვნელოვანი საქმეების მაცნედ. ელჩს და მის მხლებლებს მოგზაურობისას მომსახურებას უწევდა იამები, საიდანაც მათ ეძლეოდათ საჭირო რაოდენობის ულაყი და საგზაო ულუფა (სასმელ-საჭმელი), ზოგჯერ ელჩი გზაზე თვითონ იღებდა უშუალოდ მოსახლეობისაგან ყოველივე ამას. ელჩთა მიმოსვლის სიხშირის გამო საელჩო ულუფისა და ულაყის გადასახადი მძიმედ აწვა დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობას. ყაზან ყაენმა (1295—1304 წწ.) სცადა ელჩთა სამოხელეო წყობილების მოწესრიგება[1]. XVII ს-ში საქართველოში, როგორც დადგენილია, მოქმედებდა გადასახადი „საელჩო ულუფა", როგორც უცხო სახელმწიფოს მოხელე-ელჩებისათვის დაწესებული ულუფა"[2].

ბ ა ჟ ი იყო საგზაო გადასახადი, რომელიც აიღებოდა სავაჭრო-საქარავნო გზებზე, ქუჩებსა და ხიდებზე სავაჭრო საქონლის გასატარებლად. ბაჟის სიდიდე დამოკიდებული იყო სავაჭრო ტვირთის რაობასა და სიდიდეზე, ამასთან, სატრანსპორტო პირუტყვის რაოდენობასა და გვარობაზე (აქლემი, ვირი...). მთავარ გზებსა და ქალაქებში სპეციალურ მოხელეებს ევალებოდათ ბაჟის აღება და მეკობრეებისაგან გზების დაცვა. საფიქრებელია, მათვე ჰქონოდათ დაკისრებული მგზავრების დაზვერვა სახელმწიფოს უშიშროების მიზნით[3]. ისე როგორც სხვა სამონღოლო გადასახადებისა, არც ბაჟის ერთიანი ნორმა არსებობდა. ამიტომ საქართველოშიც ჩვეულებრივი იყო ზედმეტად და რამდენჯერმე ბაჟის გადახდევინება. ასეთ ძალადობაზე არის კიდეც მოთხრობილი აბუსაიდ ყაენის ანისის წარწერაში.

დაპყრობილ ქვეყნებში მონღოლებს შემოღებული ჰქონდათ შრომითი ვალდებულების კიდევ ერთი სახეობა — „ბ ე გ ა რ ა". ეს იყო გლეხებზე

მენტებში გამომცემელთა (ექ. თაყაიშვილი, ი. დოლიძე) არასწორი წაკითხვა (საელნო) გაასწორა საელჩოდ თ. ენუქიძემ ნაშრომში: „საელჩო" გამოსაღების საკითხისათვის XIV საუკუნის საქართველოში", მოხსენება ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე 1976 წ. 18 ივნისს.

[1] Р а ш и д-а д-д и н, Сборник летописей, т. 3, перевод с перс. А. К. Арендса, М.—Л., 1946. с. 263—268. ელჩების მიმოსვლა საქართველოში დამოწმებულია ქართველ ქამთააღმწერელთანაც (ქ. ცხ., II, გვ. 287). „ელჩი" ქართულ მეტყველებაში შემოვიდა მონღოლთა ბატონობის დროიდან, შეესატყვისებოდა ქართულ დესპანს, მოციქულს.

[2] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI — XVII საუკუნეებში, 1958, გვ. 266—267.

[3] ქართველ ქამთააღმწერელს მოეპოვება მკაფიო მითითება: „ყოველგან გზისა მცველნი გაჩენილი იყვნეს თათართაგან ძუელითგან და განიკითხიან მგზავრნი და მოციქულნი" (ქ. ცხ., II, გვ. 258).

დაკისრებული იძულებითი მუშაობა სასახლეების, გზების, სარწყავი არხების მშენებლობებზე, ამასთან, მომთაბარე-მეჯოგეებისათვის ტყეების გაჩეხვა, პირუტყვისათვის საკვების მომზადება, მწყემსვა და ა. შ. საფიქრებელია, საქართველოს ვილაიეთში ასეთი სამონღოლო ბეგარა ან სულ არ მოქმედებდა ან ძალიან მცირე მასშტაბით იყო, ისიც ადგილ-ადგილ. ეს იმით უნდა ავხსნათ, რომ მონღოლ ყაენებს აქ მუდმივი სარეზიდენციო ადგილები არ ჰქონდათ, სადაც მშენებლობებს ჩაატარებდნენ და სხვ. ნიშანდობლივია, რომ წყაროებში არსად გვხვდება ასეთი ბეგარა აქ მოქმედად, სამაგიეროდ, ის შეიძლება ფართოდ დავიმოწმოთ აზერბაიჯანსა და სამხრეთ სომხურ თემებში (რომლებიც საქართველოს ვილაიეთში არ შედიოდნენ). აქ, როგორც ცნობილია, ყაენთა საზამთრო და საზაფხულო მუდმივი სადგომები არსებობდა და მონღოლ ფეოდალთა მომთაბარულ მეურნეობას ფართო გავრცელებაც ჰქონდა[1].

ყაზან ყაენის დროს (1295—1304), როცა ილხან-მონღოლებმა ისლამი სახელმწიფო რელიგიად აღიარეს, არამუსლიმან მოსახლეობაზე დააწესეს სულადი გადასახადი ჯ ი ზ ი ა, რომელსაც იხდიდნენ ქრისტიანები, ებრაელები, ზოროასტროს მიმდევარნი და სხვ. ამიერკავკასიაში ჯიზია პირველად ამავე ყაზანმა შემოიღო 1295 წელს, მაგრამ 1296 წელსვე გააუქმა იმის შიშით, რომ იგი ადგილობრივ ქართველ და სომეხ ფეოდალებთან ურთიერთობას გაამწვავებდა, რაც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ყაზან ყაენის ახალ პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდა; ეტყობა, მან კარგად გაითვალისწინა საქართველოში ისედაც შეუნელებელი ანტიმონღოლური განწყობილება. სულ სხვა პოლიტიკას ადგნენ ძველი მონღოლური-მომთაბარული ცხოვრების მიმდევარი მმართველი წრეები (უმრავლესობა), რომლებმაც რელიგია დაპყრობილი ხალხების ძარცვის საშუალებად აქციეს. ამიტომაც იყო, რომ თვით ყაზან ყაენის პირველმა ემირმა ნავრუზმა, როგორც ქართველი ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, საქართველოში სპეციალური მოხელე გამოგზავნა, „რათა მოაოხრონ“ საქართველოს ყველა ეკლესია, მათ შორის განთქმული ვარძიის მონასტერი, და ყოველგვარი ფასეულობანიც წამოიღონ. ნავრუზის ეს განზრახვა ვერ განხორციელებულა, თუმცა ამ მოხელეს ნახიჩევანის ეკლესიების დაცარიელება მოუსწრია[2]. ნავრუზი და მისი მომხრენი, როგორც ცნობილია, ყაზან ყაენმა გაანადგურა, მაგრამ ყაზანის გარდაცვალების შემდეგ, როგორც კი აღდგა მოწინააღმდეგე დასის ბატონობა, 1307 წელს მუჰამედ ხუდაბანდა

---

[1] მაგალითად, კირაკოს განძაკეცი დაწვრილებით აღწერს „დარან დაშტში“, გარნისის ვაკეზე ჰულაგუ ყაენის მიერ საზამთრო რეზიდენციის მშენებლობას, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა და მუშა პირუტყვი მძიმე შრომის გამო ერთიანად დაიხოცა (კირაკოს განძაკეცი, ისტორია, თარგ. რუს. ტერ-გრიგორიანისა, გვ. 199 — 200).

[2] ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ქ. ცხ., II, გვ. 300 — 301.

ოლჯაითუ ყაენმა კვლავ აღადგინა ჯიზია. იმ დროის სომხური წყარო გვამცნობს, რომ მონღოლებს აუწერიათ საქართველოში მცხოვრები ქრისტიანები და სულზე 40-დან 10-მდე თეთრი დაუწესებიათ[1]. ქართული და სომხური წყაროები ერთხმად მიუთითებენ ოლჯაითუ ყაენის მიერ საქართველოში ქრისტიანობის აღმოფხვრის განზრახვას, მაგრამ შემდეგ თურმე თვითონვე უარუყვია ეს, რადგან დარწმუნებულა, რომ ასეთი ნაბიჯი დიდ ზიანს მოუტანდა[2].

მონღოლები ყველა ამ გადასახადს ძირითადად ფულის სახით კრებდნენ. გრ. აკანეცის ცნობით, დავთარში შეტანილის წლიური მონღოლური გამოსაღები ფულად 60 თეთრს შეადგენდა[3].

ყოველწლიური მონღოლური ს ა მ ხ ე დ რ ო ბ ე გ ა რ ა საქართველოში კომლობრივ-ეკონომიკურ პრინციპზე იყო დამყარებული. აღწერის შედეგად „ცხრასა გლეხსა სრულსა მიწისა მქონებელსა ერთი ლაშქარს წარმავალი კაცი შეაგდიან. და გამოხდა სამეფოსაგან დავითისა ცხრა დუმანი მხედარი, თათართა თანა წარმავალი, რომელ არს ცხრა ბევრი“[4].

ამგვარად, ცხრა სრულფუძიან გლეხის კომლს ერთი მოლაშქრე უნდა მიეცა. და ასე, ამ წესით საქართველოდან სულ ცხრა „ბევრი“, ანუ 90000 სული მეომარი შედგენილა, ე. ი. მონღოლური სამხედრო დანაყოფების მიხედვით ცხრა დუმანი. რასაკვირველია, საქართველოდან გამოსულ მოლაშქრეთა რიცხვი მარტო ამით არ ამოიწურებოდა. ამას უნდა დავუმატოთ მაღალი სოციალური წრის წარმომადგენლები (აზნაურები, დიდებულები...), რომელთათვის ლაშქრობა პროფესიულ-მემკვიდრეობითი ვალდებულება იყო. სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია, რომ დაპყრობილი ქვეყნებიდან მონღოლებს, როგორც წესი, ვარგის მამაკაცთა 20 პროცენტი გაჰყავდათ. ანალოგიური ვითარება უნდა ვიგულისხმოთ საქართველოს მიმართაც[5] (სამხედრო აღწერის მონაცემების მიხედვით მაშინდელ საქართველოში შეიძლება 5 მილიონამდე მოსახლე ვივარაუდოთ).

მონღოლურ სამხედრო ბეგარას „ყ ა ლ ა ნ ი“ ეწოდებოდა. ასეთი მნი-

---

[1] სომხური წყაროები მას „ხარაჯას“ უწოდებენ.

[2] ე ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ქ. ცხ., II, გვ. 320 — 322.

[3] გრ. ა კ ა ნ ე ც ი, დასახ. ნაშრ., გვ. 31.

[4] ე ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ქ. ცხ., II, გვ. 234 — 235. „სრული მიწის მქონებელი“ ერთ ნორმალურ ფუძედ, ანუ კომლად ითვლებოდა. მაშასადამე, აქ მხედველობაშია მიღებული მოლაშქრის ეკონომიკური შეძლებულობა, რაც აუცილებელი იყო სალაშქრო ხარჯებისათვის.

[5] სამხედროვალდებულები ლაშქარში გადიოდნენ დაწესებული ჯერის მიხედვით.

შვნელობით იგი გვხვდება აღწერის ამსახველ ქართულ[1] და სომხურ[2] ნარატიულ წყაროებში. „ყალანი“ ქართული წყაროების მიხედვით გამოსაღების ერთი სახეობაც ყოფილა. როგორც ჩანს, ის ცვლიდა თვით სამხედრო ბეგარას. ამის მოწმობაა ქართულად „სათათრო სალაშქროს“ არსებობა როგორც გამოსაღებისა. ყალანი გამოსაღების ზოგადი მნიშვნელობით იხმარება ქართველ ჟამთააღმწერელთან, 1263 წლის საეკლესიო კრების დადგენილებაში, აბუსაიდ ყაენის სპარსულ წარწერაში[3].

აღწერამ ახალი გადასახადები დააწესა, ძველი დააზუსტა ან გაადიდა, სამხედრო ბეგარაც გააფართოვა და უფრო ორგანიზებული გახადა. ქართველი და სომეხი ისტორიკოსები აღწერას აფასებენ როგორც თავსდამტყდარ „დიდ ჭირს“[4], რომელმაც ქვეყანა „აოხრა“ და „გააღარიბა“[5]. ფაქტები მოწმობენ, რომ აღწერილი სამონღოლო ვალდებულება-გამოსაღებელნი: მალი, ტამღა, საიამე, თაღარი, ნემარი, თარხი, ყალანი, თერნაგირი და სხვ. ხშირად სოფლებისა და ქალაქების მასობრივი დაცარიელების, მოსახლეობის შიმშილით ამოწყვეტის მიზეზი გამხდარა. მწარმოებელი საზოგადოებისათვის მონღოლური ხარკი მით უფრო მძიმე იყო, რომ მას თავისი ძველი საბატონო ფეოდალური მოვალეობანი კვლავ რჩებოდა.

მონღოლური საგადასახადო სისტემა ქვეყნის განვითარების ძირითად შემაფერხებელ ფაქტორად იქცა. საქმე ის იყო, რომ ქართული ფეოდალური გადასახადები მამა-პაპით მოდიოდა და მისი გადიდება ძლიერ ძნელად და იშვიათად ხდებოდა, გლეხის მეურნეობის გადიდება არ იწვევდა გადასახადის გაზრდას და, ამრიგად, გლეხს დაუნჯების საშუალება ჰქონდა.

---

[1] ჟამთააღმწერელი იქ, სადაც ეხება მონღოლთაგან დაწესებულ სალაშქრო ვალდებულებასა და სხვადასხვა სახის გადასახადებს, ბოლოში შენიშნავს: ეკლესიის მსახურთ მონღოლებმა არ დაადვეს „არცა საზღავი, არცა ყალანი“, არამედ გაათავისუფლესო. ამ კონტექსტში ყალანის სალაშქრო მნიშვნელობას მოწმობს მისი დაპირისპირება „საზღავთან“ (ე. ი. გამოსაღებთან), ქ. ცხ., II, გვ. 235.

[2] გრ. აკანეცი, დასახ. ნაშრ., გვ. 17. მოხსენიებულია „ხალანი“.

[3] ქ. ცხ., II, გვ. 372; ვ. ბარტოლდი, დასახ. ნაშრ., გვ. 56; ივ. ჯავახიშვილი, სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში XI—XIII სს-ში, 1934, გვ. 44; ყალანის შესახებ იხ. ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 58—59. მონღოლთა გადაშენების შემდეგ, XIV — XV სს-ში, ქართულ დოკუმენტებში იხსენიება „საყანლო“, „მოყალნე“. პირველი აღნიშნავს საერთოდ გამოსაღებს, მეორე გადამხდელს (გეიანდელი „მეზეგრე“).

[4] ქ. ცხ., II, გვ. 234, 238.

[5] გრ. აკანეცი, დასახ. ნაშრ., გვ. 31; კირაკოს განძაკეცი, დასახ. ნაშრ., გვ. 183, 184.

მონღოლები კი მოსახლეობის აღწერას ხშირად ახდენდნენ, რასაც ახალი გადასახადების შემოღება და ძველის გადიდება მოსდევდა[1].

მონღოლთა ხარკის სიმძიმეს ქმნიდა არა მხოლოდ მისი მოცულობითი სიდიდე, არამედ მისი აკრეფის მოუწესრიგებლობაც. მანგუ ყაენის ცდამ, აღწერის გზით ერთგვარი ზღვარი დაედო მოხელეთა განუკითხაობისათვის, ჩანს, შედეგი ვერ გამოიღო. პირიქით, აღწერის შემდეგ მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. თუ პირველ ხანებში გადასახადების აკრეფის მონაწილენი ადგილობრივი ფეოდალებიც იყვნენ, აღწერის შემდეგ ეს საქმე უმთავრესად მონღოლ მოხელეებს (ბასკაკებს) ჩაუვარდათ ხელში. იმის გამო, რომ საგადასახადო ნორმები და აკრეფის ვადები დაუდგენელი იყო, ხშირად ერთი და იგივე გადასახადს რამდენჯერმე ახდევინებდნენ.

საქართველოსა და სომხეთის სინამდვილის აღმწერნი გადმოგვცემენ, რომ თათრებს ხარკი იმაზე მეტი მიჰქონდათ, ვიდრე ეს გადამხდელს შეეძლო, მას ძალას ატანდნენ და თუ დაიმალებოდა, იჭერდნენ და კლავდნენ; ვისაც სიღარიბის გამო გადახდა არ შეეძლო, მას ართმევდნენ ბავშვებს; ადგილობრივი მთავრები და მემამულენი გამდიდრების მიზნით მათვე ეხმარებოდნენ[2]. ყველაზე მძიმე გადასახადების იჯარით აღების წესი იყო. გადასახადის შემსყიდველი რომელიმე პროვინციაზე თუ სოფელზე შეწერილ საგადასახადო თანხას წინასწარ შეიტანდა ხაზინაში, მიიღებდა „ბარათს“ და შემდეგ თვით კრებდა ამ გადასახადებს მოსახლეობიდან. აქ, ცხადია, ყოველი მისი ძალადობა განუკითხავი და დაუსჯელი რჩებოდა. იმ დროის მონღოლთა კარის ისტორიკოსებიც კი ვრცლად გადმოგვცემენ შემსყიდველთა განუსაზღვრელ თარეშს.

უნდა აღინიშნოს მონღოლური სამხედრო ბეგრის დიდი სიმძიმე. სამხედრო ბეგრით გამოყვანილი მოსახლეობა ვალდებული იყო მონაწილეობა მიეღო მონღოლთა ყველა დაპყრობით ომებში[3]. თუ გავითვალისწინებთ იმ უამრავ წვრილ და დიდ ომებს, რომლებსაც მონ-

---

[1] როგორც სპეციალურ ლიტერატურაში მახლობელი აღმოსავლეთის მასალების მიხედვით დადგენილია, ამ პერიოდში სახელმწიფოს (დივნის) მიწაზე მჯდომი გლეხი (დაპყრობილი ქვეყნების ტერიტორიები ძირითადად დივნის მიწებს შეადგენდნენ) იხდიდა თავისი შემოსავლის დაახლოებით 60—70%-ს (აქედან მონღოლთა ხაზინის სასარგებლოდ 1/3-ს, ადგილობრივი ფეოდალის სასარგებლოდ 1/3-ს, ხოლო მონღოლი საფინანსო მოხელეების სასარგებლოდ 10%-ს). უმრავლეს პროვინციებში დაწესებული იყო მიწის გადასახადი დივნის სასარგებლოდ: 10 ცხვრიდან — 6, ხოლო 10 დინარიდან — 6 (ე. ი. შემოსავლის 60%), 10% სახელმწიფოს საფინანსო მოხელეების საჭიროებისათვის.

[2] კირაკოს განძაკეცი, ისტორია, გვ. 183, 184; გრიგოლ აკანეცი, დასახ. ნაშრ., გვ. 31.

[3] ქამთააღმწერელი, ქ. ცხ., II, გვ. 227.

ღოლები აწარმოებდნენ დაპყრობილი ქვეყნების დასაკავებლად, ცხადი იქნება, თუ რა დიდ გავლენას მოახდენდა ყოველწლიურად დიდი რიცხვი მამრობითი მოსახლეობის გამოთიშვა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებიდან, ამას მათი სიცოცხლეც ხომ ხშირად ეწირებოდა. წყაროები მრავალ ასეთს თათარ-ქართველთა ერთობლივ ლაშქრობებს აგვიწერენ შორეულ ქვეყნებში. საქართველოს ლაშქარი მონღოლთა სერიოზულ სამხედრო ძალას წარმოადგენდა. მას ომებში მოწინავე რიგები ეკავა და ბრძოლის პირველი დარტყმებიც გადაჰქონდა. მონღოლები ნადავლის დიდ ნაწილს, რასაკვირველია, მაღალ სამხედრო წრეს თუ გაუნაწილებდნენ. ყურადღებას იქცევს ქართველი ჟამთააღმწერლის ცნობა, თუ სიმდიდრით განთქმული ბაღდადის აღების დროს რა მალულად გამოჰქონდათ რიგით მეომრებს ნაშოვნი ძვირფასეულობა[1].

მონღოლთა ომებში საქართველოს მეომართა ხშირი და ხანგრძლივი მონაწილეობა პირდაპირი ცნობებით არის დადასტურებული. მაგალითად, ცნობილ ალამუთის ომში შვიდ წელიწადს იმყოფებოდა საქართველოს ლაშქარი. ალამუთი აღებულ იქნა 1256 წლის ნოემბერში. ამას მალე მოჰყვა ბაღდადის სახალიფოს დასაპყრობი ომი, რომელშიც ასევე მეფე დავით ლაშას ძე ჯარით მონაწილეობდა. ეს ომი 1258 წლის 10 თებერვალს დამთავრდა ქ. ბაღდადის ძლევამოსილი აღებით. 1259 წელს კვლავ დაიწყო დიდი ომები ეგვიპტის სულთნის ქვეყნების დასამორჩილებლად. ამ ომებს უამრავი ქართველი და სომეხი მეომარი შეეწირა[2]. ეგვიპტეზე ლაშქრობები გაგრძელდა შემდგომშიც.

მონღოლთა ბატონობის ასეთმა სისასტიკემ, აუტანელმა გადასახადებმა და სალაშქრო ბეგარამ, გამუდმებულად შორეულ ლაშქრობებში ყოფნამ, ხალხი მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ აამხედრა, აჯანყებები გახშირდა.

---

[1] მეომრები ნაშოვნ ოქრო-ვერცხლსა და თვალ-მარგალიტს ცხენის უნაგირში, კურდანში და სხვა „შეურაცხ“ ადგილებში ტენიდნენ. ზოგნი ხრმალს „ვადის პირსა მოსტეხდიან და ქარქაშში“ ჰყრიდნენ. შემდეგ „ნატეხნი ხრმლისა ჩააგიან“. ზოგიც ასეთ ხერხს მიმართავდა: ბაღდადელ მოკლულ კაცს წელებს გამოუშიგნავდა და შიგ ოქრო-ვერცხლს ჩატენიდა, შემდეგ მას „ვითარ თვისი მკუდარი განიყვანიან“ ქალაქგარეთ და იქ ამოუღებდა. ქ. ცხ., II, გვ. 332—333.

[2] ქ. ცხ., II, გვ. 227, 231—232, 239. მონღოლთა ლაშქრობებში ქართველთა ხშირ მონაწილეობას კარგად გამოხატავს სიტყვები: „მე, გრიგოლ ქართლის ერისთავი, მიმავალი მეოთხედ წარმართთა თათართა შიგანო“ (XIII ს. საბუთი, ქართული სამართლის ძეგლები, გვ. 39).

§ 5. აჯანყებანი მონღოლთა გატონობის წინააღმდეგ (XIII ს. 50—60-იანი წლები)

ნ ა რ ი ნ დ ა ვ ი თ ი ს ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა. 1259 წლის ზაფხულში საქართველოში დიდი აჯანყება დაიწყო, რომელსაც ნარინ დავითი ხელმძღვანელობდა. საყურადღებოა, რომ მონღოლთა წინააღმდეგ მსხვილი შეიარაღებული გამოსვლები ამ დროს აზერბაიჯანსა და ილხანთა სხვა ვილაიეთებშიც მომხდარა[1].

ჰულაგუ ყაენმა აჯანყების ჩასაქრობად 1259 წლის სექტემბერში დიდი ჯარი გამოგზავნა, რომელსაც არღუნ აღა უსარდლა. სასტიკი შეტაკების შემდეგ, სადაც ქართველებმა დიდი მსხვერპლი გაიღეს დახოცილებისა და ტყვეების სახით, მტერმა გამარჯვებას ვერ მიაღწია[2]. დამარცხებული არღუნი იძულებული იყო თავრიზს გაბრუნებულიყო. ყაენმა ახლა კი უფრო დიდი ჯარი გამოატანა არღუნს. ამის შემდეგ ნარინ დავითმა ბრძოლის გაგრძელება უიმედოდ მიიჩნია და დასავლეთ საქართველოში გადავიდა, სადაც ის ადგილობრივმა დიდებულებმა, ქართული წყაროს ცნობით, „აფხაზეთის“ (ლიხთიმერეთის) მეფედ დაადგინეს[3].

ულუ დავითის აჯანყება. 1260—1261 წწ. ნარინის აჯანყებას მალე მოჰყვა მეორე აჯანყება, რომელსაც ულუ დავით VII მეთაურობდა. ქართული წყარო აჯანყების მიზეზად პირდაპირ ასახელებს მონღოლთა აუტანელ მოხარკეობას, ბასკაკთა გაუმაძღრობას, რომლებიც მეფის სამზარეულოშიც კი დაძვრებოდნენ და სადილ-ვახშმისათვის დასაკლავ პირუტყვზეც ტამღას იღებდნენ[4]. ამასვე მიუთითებს კირაკოს განძაკეცი, რომელიც ამბობს: მონღოლთა მოხარკეობით დავითი მოთმინებიდან გამოვიდა და ამჯობინა თბილისიდან გაქცევაო. მას თან გაჰყვნენ მონღოლთა უკმაყოფილო სხვა მთავრებიც[5]. სპარსელი ჯუვეინიც წერს: როცა არღუნ-

---

[1] ა. ა ლ ი-ზ ა დ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 119.

[2] წყაროში შეტაკების ადგილები მითითებული არ არის, მაგრამ, როგორც ფიქრობენ, ბრძოლები საქართველოში თბილისის ახლოს დასავლეთის მხრიდან უნდა მომხდარიყო.

[3] ნარინ დავითის აჯანყების შესახებ იხ. ქართველი ჟამთააღმწერელი (ქ. ცხ., II, გვ. 227 — 229); სპარსელი ისტორიკოსი ჯ უ ვ ე ი ნ ი (ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, გამოც. რ. კ ი კ ნ ა ძ ი ს ა, 1974, გვ. 51; ა. ა ლ ი-ზ ა დ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 119; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., III, გვ. 152—159). ქართული წყარო აჯანყებას უკავშირებს მონღოლების მიერ ნარინის შეპყრობას და ურდოდან (ბარდავიდან) მის გამოქცევას დასავლეთ საქართველოში. მეფის ამ განდგომის მიზეზად კი დასახელებულია მონღოლური სამხედრო ბეგრის სიმძიმე და სხვ. ჯუვეინი გვამცნობს აჯანყების ზუსტ თარიღს და ნარინთან ბრძოლებს, რაც ქართულ წყაროში არ მოიპოვება.

[4] ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ქ. ცხ., II, გვ. 239.

[5] კ ი რ ა კ ო ს გ ა ნ ძ ა კ ე ც ი, ისტორია (სომხ. ტექსტი), გვ. 373 — 374, რუს. თარგ. ტერ-გრიგორიანისა.

აღა ნარინ დავითის წინააღმდეგ ახალი ჯარით საქართველოში დაბრუნდა, მან დავით ულუს გადაუხდელი მალის დაფარვა მოსთხოვა, ამის გამო მეფე აჯანყდაო[1].

აჯანყების საბაბი გამხდარა ეგვიპტეზე ლაშქრობა, სადაც ჰულაგუ ყაენის ბრძანებით საქართველოს ჯარით დავით VII-ც უნდა გამგზავრებულიყო. ჯავახეთში მისულ დავითს სამხედრო თათბირი მოუწვევია და გამოუცხადებია: „არღარა მნებავს მონება თათართა". ლაშქრობაში მონაწილეობაზე უარი აჯანყებას ნიშნავდა. დიდებულთაგან ბევრს მეფისათვის მხარი არ დაუჭერია; ასეთებისათვის მეფეს ნება დაურთავს წასულიყვნენ ყაენთან შორეულ ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად. დავითი და მისი მომხრეები კი (მათ შორის სამცხის მთავარი სარგის ჯაყელი) სამცხეში გადავიდნენ და ბრძოლის თადარიგს შეუდგნენ. ყაენთან გაემგზავრა დიდ ხელისუფალთა უმრავლესობა: ამირსპასალარი შანშეს ძე მხარგრძელი ივანე, ქართლის ერისთავთერისთავი გრიგოლ სურამელი, მეჭურჭლეთუხუცესი და ერისთავი ახალქალაქისა კახა თორელი-გამრეკელი, „უმრავლესნი ჰერ-კახნი"[2].

როცა ნარინ დავითის აჯანყების ჩასაქრობად ჰულაგუ ყაენისაგან მეორედ გამოგზავნილი არღუნ-აღა 20000 მოლაშქრით საქართველოში შოვიდა, მას, სპარსელი ისტორიკოსის სიტყვით, ულუ დავითიც აჯანყებული დაუხვდა. ნარინი კი, როგორც ვთქვით, დასავლეთ საქართველოში გახიზნულიყო. არღუნ-აღას ახლა ულუ დავითის წინააღმდეგ უნდა ებრძოლა. იგი მოვიდა თბილისს, სადაც შეიერთა ის ქართველი მთავრები, რომლებიც დავითს არ გაჰყვნენ, და გაემართა სამცხესაკენ, დადგა სურამს. არღუნმა ამაზე ადრე დავითის მეუღლე გვანცა და მისი ძე დიმიტრი დაპატიმრებული ურდოში გააგზავნა, ხოლო თბილისი და სამეფო ვინმე სომეხ ვაჭარს შადინს ჩააბარა სამმართველოდ.

აჯანყებულებს მხოლოდ 8000 მეომარი ჰყავდათ, სარგის ჯაყელის გეგმის თანახმად, რაც, უეჭველად, მცდარი იყო, ქართველი ჯარი ტაშისკარის ვიწრობებიდან გამოვიდა და მტერს გაშლილ ველზე გორის მიდამოებში (შინდარსა და ახალდაბასთან) შეებრძოლა. ეს იყო დეკემბერში. აჯანყებულთა მცირერიცხოვანმა ჯარმა პირველად მტერს სძლია, მაგრამ გაშლილ ველზე ბრძოლას ვერ გაუძლო და სასტიკად დამარცხდა. მტრის ბანაკში მყოფი ქართველი კახა თორელი სამხედრო რჩევა-დარიგებებით ეხმარებოდა მონღოლებს ქართველების წინააღმდეგ. არღუნი ურდოში გაბრუნდა, ხოლო 1261 წელს კვლავ შემოვიდა აჯანყებული მეფის შესაპყრობად. ახლა ის სამცხეს შეესია დასარბევად. აქ უკვე განხეთქილებამ

[1] ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 51; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., III, 1966, გვ. 162.

[2] ყ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ქ. ცხ., II, გვ. 239.

იჩინა თავი, ბევრი სამცხელი დიდებული მტერს მიუვიდა. სამცხის რბევა 20 დღეს გაგრძელდა, მაგრამ არღუნმა მთავარი ციხე ციხისჯვარი მაინც ვერ აიღო[1]. არღუნი 1261 წლის ივნისში ისევ მიზანმიუღწეველი უკან გაბრუნდა. ჯავრი ახლა დავითის მეუღლე გვანცაზე იყარეს, იგი ურდოში ტყვედმყოფი სიკვდილით დასაჯეს (ზღვაში ჩააგდეს)[2], მოკლეს ამირსპასალარი ზაქარიაც[3], თუმცა ის აჯანყებულთა მხარეზე არ იბრძოდა, მაგრამ აჯანყებულ სარგის ჯაყელთან (სიმამრთან, სადაც მისი მეუღლე იმყოფებოდა იმჯერად) საიდუმლო ურთიერთობა შეუტყვეს.

აჯანყების მონაწილენი დარწმუნდნენ ბრძოლის უიმედობაში. სარგის ჯაყელის რჩევით დავითი დასავლეთ საქართველოში გადავიდა ნარინ დავითთან. ასე დამთავრდა 1260—1261 წლების აჯანყება, რომლის წარმატებით წარმართვას ხელი შეუშალეს ხელმძღვანელთა არაერთმა წინდაუხედავმა და კერძო შეცდომებმა, მაგრამ ის მაინც მონღოლთა ბატონობის ღრმა პროტესტის გამოხატულებად დარჩა.

მკვლევარნი აჯანყების დამარცხების მიზეზად სამართლიანად თვლიან ქართველთა განცალკევებულ, შეუთანხმებელ მოქმედებას, რომელსაც გზა თვით დავით მეფის საქციელმა გაუხსნა: დავითმა არ დაავალდებულა საქართველოს ყველა თავკაცი მონაწილეობა მიეღო აჯანყებაში, პირიქით, მსურველებს ნებაც კი დართო მონღოლთა სამსახურში დარჩენილიყვნენ. ამიტომაც მტრის ბანაკში ქართველები საკმაოდ აღმოჩნდნენ, რომლებმაც ნებით თუ უნებლიეთ გამყიდველური როლი შეასრულეს. მცდარი იყო საომარი გეგმაც, როცა ქართველებმა თავი აარიდეს ტაშისკართან ვიწრობებში ბრძოლას და ასპარეზი გაშლილ ველზე გადმოიტანეს. აჯანყებამ ბევრად წაადგა იმით, რომ ულუ დავითის და ნარინ დავითის გამოსვლა ერთდროულად არ მოხდა[4]; სუსტი იყო ამ აჯანყების სოციალურ-კლასობრივი ბაზა: ქართველ დიდებულთა არამცირე ნაწილი საკუთარი სარგებლობისა და გამდიდრების მიზნით კარგად შეგუებოდა მონღოლთა ბატონობას. ასეთები არც ემხრობოდნენ აჯანყებას და ადვილადაც ღალატობდნენ მას.

---

[1] ქ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ქ. ცხ., II, გვ. 241, 242—243.

[2] სომეხი ისტორიკოსის სტეფანოზ ორბელიანის ცნობა (იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., III, გვ. 167).

[3] კ ი რ ა კ ო ს გ ა ნ ძ ა კ ე ც ი ს ცნობა, ისტორია (სომხური ტექსტი), გვ. 337; რუს. თარგ. ტერ-გრიგორიანისა.

[4] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., III, 1949, გვ. 158 — 171; დ. გ ე რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, 1962, გვ. 217 — 225; ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XIII — XIV საუკუნეებში, 1967, გვ. 129—132.

აჯანყებების ლიკვიდაცია საქართველოში მონღოლებმა თავის სურვილის მიხედვით მაინც ვერ მოახერხეს: აჯანყების შედეგად დასავლეთ საქართველო ფაქტიურად გამოეთიშა მონღოლთა მფლობელობას. ის აღარც ხარკს იხდიდა და მონღოლთა ჯარიც ვეღარ ბედავდა ლიხის ვიწრობების გადალახვას. ნარინ დავითის კარი ამიერიდან მონღოლთა წინააღმდეგ მებრძოლთა უშიშარი თავშესაფარიც გახდა. ულუ დავითიც ასევე დაუმორჩილებელი გაეცალა მონღოლებს, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ მისი დაუსჯელად შერიგება სულ სხვა სიტუაციაში მოხდა.

ულუ დავითთან მონღოლების შერიგება. ამრიგად, ულუ დავითის ლიხთიმერეთში გადასვლის შემდეგ, ორი მეფე ერთად აღმოჩნდა. ქართული წყაროს ჩვენებით, ისინი თანხმობით ცხოვრობდნენ, მაგრამ ერთი წლის შემდეგ დიდებულთა შორის ამტყდარა სერიოზული დავა ერთმეფობის აღდგენისათვის. ულუ დავითის მომხრეებს განუზრახავთ ნარინის გადმოგდება და ულუ დავითის გამეფება, მაგრამ ნარინს საკმაოდ ძლიერი მომხრეები აღმოსჩენია. მოდავენი საბოლოოდ სამეფოს (თუ სამეფო შემოსავლის) ორად გაყოფაზე შეთანხმებულან. ისტორიკოსის სიტყვით, ორად გაუყვიათ: საჭურჭლე, თავადნი და ერისთავნი, სატახტო ქალაქები[1]... ნარინ დავითი ამის შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში აღარ გადასულა, ხოლო ულუ დავითი, მონღოლებთან შერიგების შემდეგ, აღმოსავლეთ საქართველოში დარჩა.

ულუ დავითს ლიხთიმერეთში ყოფნა კარგახანს მოუხდა. უმეფოდ დარჩენილ აღმოსავლეთ საქართველოში კი შეიქმნა იმის საშიშროება, რომ სამეფო მესაჭეობა დიდვაჭარ შადინს ჩაეგდო ხელში. საფიქრებელია, უფრო ამის გამო საჭიროდ ჩათვალა ულუ დავითმა მონღოლებთან საზავო მოლაპარაკების დაწყება. მონღოლებმაც, რაკი მიზანს ვერ მიაღწიეს — ქვეყანა ვერ დაამშვიდეს, მეფე ვერ დაიჭირეს, უმეფო ქვეყანაში კი „დაიშალა ლაშქარი და მსახურება თათართა“ — ულუ დავითს თანხმობა გამოუცხადეს. ულუ დავითი აღმოსავლეთ საქართველოში გადავიდა. 1264 წელს ის და სარგის ჯაყელი ყაენის გამოძახებით უკვე ურდოში (ბარდავს) იმყოფებოდნენ. დაკითხვას პირადად ყაენი აწარმოებდა. როცა ყაენმა დავითს აჯანყების მიზეზი ჰკითხა, მეფის მაგიერ ყველა ბრალი სარგისმა იკისრა. მან თარჯიმნის მეშვეობით ყაენს მოახსენა:

---

[1] ქამთააღმწერელი, ქ. ცხ., II, გვ. 242 — 243. „განიყვეს ორად ტფილისი, ქუთათისი ორად, და თავადნი და ერისთავნი ურთიერთ შეისწორეს, ნიკოფსიით დარუბანდამდე, და განყვეს სამეფო და საჭურჭლენი: გარნა ხვამლისა ქუაბსა რომელი იდვა, მცირე გამოიღეს და გაიყვეს და უფროსი ქუაბსავე დაუტევეს“ (ი ქ ვ ე).

არლუნ-აღამ და მასთან ერთად გადასახადების ამკრებმა ხოჯა აზიზმა ხალხი და მეფე დიდად შეავიწროვეს, ხოლო ჩვენ აღას უსამართლობა ვერ გაცნობეთ, რადგან თქვენი კარი ქრთამით შეკრაო; „მეფე უბრალო არის, მე ვარ, რომელმაც განვაყენე მეფე კარისაგან თქუენისა“[1]. თარჯიმნობას სწევდა აზნაური საქართველოდან, ვინმე სადუნ მანკაბერდელი, რომელიც ყაენის კარზე დიდად დაწინაურებული იყო. სადუნს, ცხადია, მეფის მხარე ეკავა და მეფის ქართულად ნალაპარაკევს „კეთილად თარგმნიდა და კაზმავდა“, ე. ი. ისე ასხვაფერებდა, როგორც საქმისათვის იყო საჭირო და ყაენს მოეწონებოდა. მაგრამ ყაენი თურმე მაინც დიდად განრისხებული ყოფილა და დამნაშავეებს სასჯელი არ ასცდებოდათ, რომ ერთ მოულოდნელ შემთხვევას საქმე ქართველთა სასარგებლოდ არ შეეტრიალებინა. ქართული წყარო განაგრძობს: ჯერ კიდევ სასამართლო დასრულებული არ იყო, რომ ყაენის შიკრიკი პირდაპირ სხდომაზე შევიდა და ყაენს აცნობა: რა დროს ლაპარაკია („არა არს ჟამი მეტყველებად“...), ჩრდილოეთიდან, დარუბანდის გზით ბერქა ყაენი დიდი ჯარით ჩვენზე მოდისო, ახლა უკვე უპირველეს ამოცანად დადგა აღმოსავლეთ საქართველოსთან მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობის დამყარება, რათა უკმაყოფილო ქართველები ოქროს ურდოს ყაენს არ მიმხრობოდნენ და დარიალი შემოსასვლელად მისთვის არ დაეთმოთ. ჰულაგუ ყაენმა სასამართლო შეწყვიტა, სასწრაფოდ ჯარი შეყარა და ქართველი მოლაშქრენი დავითისა და სარგის ჯაყელის მეთაურობით წინანდებურად წინა რიგებში ჩაიყენა[2]. ამგვარად, ილხანის მიერ ულუ დავითის ასე დაუსჯელად შემორიგება უდავოდ ქართველთა სერიოზულ ძალას მოწმობდა. სამწუხარო ის იყო, რომ ვერ ხერხდებოდა ამ დიდი ძალის სათანადოდ მობილიზება.

§ 6. ოქროს ურდოსა და ილხანთა შორის ომები და საქართველო

საქართველოს მძიმე შედეგები მოუტანა ჩრდილოეთისა და სამხრეთის ურდოებს შორის ურთიერთობის გამწვავებამ. ჩრდილოეთის ოქროს ურდო სამხრეთისაკენ ტერიტორიების დაკავებას ცდილობდა, ბრძოლა წარმოებდა ნოყიერი საძოვრებისა და სავაჭრო-საქარავნო გზებისათვის.

---

[1] ჟამთააღმწერელი, ქ. ცხ., II, გვ. 246—248.

[2] იქვე, გვ. 248—249.

ბრძოლა ფაქტიურად აზერბაიჯანის დაპატრონებისათვის დაიწყო. სამხრეთში, ირანის ტერიტორიაზე ახლად ჩამოყალიბებულმა ილხანთა საყაენომ აზერბაიჯანი თავის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრად აქცია, რის გამოც ოქროს ურდოელებს აზერბაიჯანით სარგებლობის უფლება მოესპოთ. აზერბაიჯანს (მის შემადგენლობაში იმ დროს ასახელებენ სამ ნაწილს: არანს, მუღანს და შარვანს) ოქროს ურდოს ყაენები თავიანთ მემკვიდრეობით საკუთრებად თვლიდნენ. აზერბაიჯანი მათ ესაჭიროებოდათ ეკონომიკურ-სტრატეგიული მიზნებისათვის. აზერბაიჯანზე გადიოდა მახლობელ აღმოსავლეთთან და ევროპასთან დამაკავშირებელი სავაჭრო-საქარავნო გზები. ოქროს ურდოს კი ცხოველი ურთიერთობა ჰქონდა ამ ქვეყნებთან. გარდა ამისა, აზერბაიჯანი თავისი ბუნებრივი ნოყიერი საზამთრო და საზაფხულო საძოვრების სიუხვის გამო ოქროს ურდოს საშუალებას მისცემდა გაეფართოებინა თავისი მომთაბარული მეურნეობა[1].

ვიდრე ორ საყაენოს შორის მშვიდობიანობა სუფევდა, რასაკვირველია, ჩრდილოეთის ურდოს ნაწილები დაუბრკოლებლივ მომთაბარეობდნენ სამხრეთის ტერიტორიებზე და მათი ჩამოჯდომაც, რაც ასეთ მომთაბარეობას მოჰყვებოდა ხოლმე, ჩვეულებრივ, არავითარ დაბრკოლებას არ აწყდებოდა. მაგრამ დამოკიდებულების გამწვავებისას აღნიშნული ტერიტორიები ურთიერთბრძოლის ასპარეზად იქცეოდა, რაც კიდევ უფრო ამძიმებდა მონღოლთა ისედაც აუტანელ ბატონობას.

ქართული წყარო გადმოგვცემს ასეთ ფაქტს: ჩრდილოეთელი უფლისწულის ერთ-ერთი ურდო ვინმე ალათემურის მეთაურობით საქართველოს სამხრეთ საზღვართან, საბერძნეთში, მომთაბარეობდა. ბერქა და ჰულაგუ ყაენებს შორის ურთიერთობის გამწვავების გამო ალათემურს უკან დაბრუნება ბრძოლით მოუხდა. წყარო აღწერს ჰულაგუ ყაენის თათარ-ქართველთა ჯართან ალათემურის შეტაკებებს, ამის შედეგად კი საქართველოს ტერიტორიის მოოხრებას: ალათემური შემოდის სამცხეში, საიდანაც მას სურს დასავლეთ საქართველოს გავლით ჩრდილოეთში გადასვლა, შეტაკებები პირველად კოლის მთებში, არტაანში, მომხდარა. ალათემურს შემდეგში მიმართულება შეუცვლია: „ბარგითა და დედაწულით გამოვლო მტკვარი და მიმართა ჯავახეთს"; ალათემურის ურდომ ომითა და რბევით გადაუარა ჯავახეთს, თრიალეთს, რუსთავზე გავლით მდ. იორისა და ალაზნის სანაპიროებს, კამბეჩანს, კახეთსა და ჰერეთს.

ამავე წყაროს დაცული აქვს ცნობა, რომელიც პირდაპირ მიგვითითებს ალათემურის მოლაშქრეთა ერთი ნაწილის საქართველოში სამუდამო ჩაჯდომას, რაც უეჭველია, ჯერ კიდევ მშვიდობიან პერიოდში უნდა მომხდარიყო[2].

---

[1] ა. ალი-ზადე, დასახ. ნაშრ., გვ. 304 — 317.

[2] ეამთააღმწერელი, ქ. ცხ., II, გვ. 251 — 253.

მალე დაიწყო ამ ორ ურდოს შორის დიდი ომები. პირველად ასეთი ბრძოლა 1262 წელს იმიერკავკასიაში მოხდა დარუბანდთან „ველსა შაბურანისასა“, სადაც „მოსწყდა ორგნითვე ურიცხვი“. ილხანთა ლაშქარში, როგორც ყოველთვის, ახლაც მონაწილეობდნენ ქართველები მეფე ულუ დავითისა და სამცხის მთავრის სარგისის მეთაურობით[1]. ომი გახანგრძლივდა 1263 წლის აპრილამდე. ჰულაგუ ყაენი დამარცხდა, მაგრამ ბერქას ლაშქარიც გაბრუნდა, საქართველოში აღარ შემოსულა[2].

ურდოთა შორის ბრძოლების პერიოდში მონღოლებმა საქართველოს მოსახლეობას ახალი მძიმე სამხედრო მოვალეობა დააკისრეს — ს ი ბ ა ზ ე დ გ ო მ ა.

ბერქასთან პირველ შეტაკებაში დამარცხების შემდეგ, როგორც ქართველი ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, ჰულაგუ ყაენმა 1263 წელს საქართველოს აღმოსავლეთით, საქართველო-აზერბაიჯანის (შარვანის) საზღვართან, მდ. თეთრი წყლის (მონღ. ჩაღანუსუნის) ნაპირებზე ააშენა სანგრები (მონღ. სიბა); ყოველ წელიწადს ქართველ-თათართა შეერთებული ჯარი შემოდგომიდან გაზაფხულამდე უნდა მდგარიყო აქ, რათა ჩრდილოეთიდან მოსული მონღოლები შეეჩერებინა[3]. სიბაზე დგომის მთელი სიმძიმე, როგორც მოსაზღვრე ქვეყანას, საქართველოს აწვებოდა. ყოველწლიურად აუარებელი მუშახელი წყდებოდა სოფლის მეურნეობას. წყაროები უჩვენებენ სიბაზე ქართველთა ჯარის სისტემატურ ყოფნას[4]. სიბაზე უამრავი ჯარის მუდმივი თავშეყრა გადამდებ სნეულებათა გავრცელების ხელშემწყობი უნდა ყოფილიყო. ნიშანდობლივია წყაროს მითითება, რომ მეფე ულუ დავითი და მისი შვილი სიბაზე ყოფნისას მუცლის ტკივილით (ტიფით) დაავადებულან და გარდაცვლილან. ეს უეჭველად მოწმობს ფართო ეპიდემიას, რომელსაც მეფის ოჯახიც ვერ გადარჩენია[5].

---

[1] ეს ის ომია, რომლის გამოც ჰულაგუ ყაენმა შეწყვიტა ულუ დავითისა და სარგისის გასამართლება.

[2] ქართველი ჟამთააღმწერელი შეცდომით ჰულაგუ ყაენს მიიჩნევს გამარჯვებულად (ქ. ცხ., II, გვ. 249—250). დაწვრილებითი ცნობები მოეპოვებათ უცხოელ ისტორიკოსებსაც. მაგალითად, რაშიდ ად-დინს მოეპოვება სწორი თარიღი და სხვ. (Рашид-ад-дин, Сборник летописей III, 1946, с. 58—60), ა. ა ლ ი-ზ ა დ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 319—320.

[3] ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ქ. ცხ., II, გვ. 251. „სიბას“ აშენების შესახებ მოკლე ცნობები მოეპოვებათ უცხოელ ისტორიკოსებსაც. რაშიდ ად-დინის სიტყვით, „სიბა“ აუგია აბაღა ყაენს 1265/66 წელს. ეს დათარიღება გაიზიარა მკვლევარმა ა. ა ლ ი-ზ ა დ ე მ (დასახ. ნაშრ., გვ. 321). მაგრამ რ ა შ ი დ ად-დ ი ნ ი ს მცდარობა კარგად აქვს დასაბუთებული ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს (დასახ. ნაშრ., III, 1949, გვ. 185—187, 1966, გვ. 182—186).

[4] ქ. ცხ., II, გვ. 256 — 257.

[5] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ, ნაშრ., III, 1966, გვ. 186 — 188.

სიბამ დიდი ზიანი მიაყენა განაპირა ოლქების ქართულ მიწისმფლობელობას. XIII ს. 60-იანი წლებიდან საარიშიანოში სიბაზე მდგომი მონღოლი მეომრების ნაწილები თანდათან ჩამოსხდნენ. ტომის მეთაურები ადგილობრივ ფეოდალებს მიწისმფლობელობას შეეცილნენ (ნ. ბერძენიშვილი). ამას კი საბოლოოდ ის შედეგი მოჰყვა, რომ XIV ს. მიწურულში საარიშიანოს აღმოსავლეთი ნაწილი (შაქი), როგორც ქვემოთ ვნახავთ, მთლიანად ჩამოშორდა საქართველოს.

1265 წ. ადრე გაზაფხულზე ბერქა დარუბანდის გზით მეორედ შემოიჭრა საქართველოში. ამჯერად იგი ებრძოდა სამხრეთის ახალ ილხანს აბაღას. „მას ჟამსა გამოვიდა დიდი ყაენი ბერქა გზასა დარუბანდისასა აურაცხელითა ლაშქრითა"[1]. ბერქას ლაშქარში, სპარსი ისტორიკოსის სიტყვით, 30000 მეომარი ითვლებოდა[2].

აბაღა ყაენს მტრის არაჩვეულებრივი მრავალრიცხოვნობის გამო გადაუწყვეტია უმალვე არ შებმოდა მტერს და იგი ჯერ ღრმად შემოეშვა. ამიტომ, როგორც ქართველი ჟამთააღმწერელი დაწვრილებით გადმოგვცემს, „არღარა განვიდა მტკვარს"[3]. იგი მდინარის მარჯვენა ნაპირს აჰყვა მტკვრისა და არაქსის შესართავიდან ვიდრე მცხეთამდე, ყველგან აჰყარა ხიდები და ჩააყენა ჯარი. დარუბანდიდან მომავალმა ბერქამ გამოიარა და „მოაოხრა შარვანი, ჰერეთი, კახეთი და ყოველი იორის პირი და მოვიდა ლაშქარი ტფილისამდე და მრავალი სული ქრისტიანე მოწყვიდეს"[4]. თვითონ ბერქა ყაენი ლაშქრის ნაწილით გარეჯის მთებში დასადგურებულა (შესაძლოა, ლაშქრის გამოკვების მიზნითაც). აქ ბერქა ავად გამხდარა და გარდაცვლილა. ამის შედეგად ჯარიც უკუქცეულა, ისევ დარუბანდის გზით წასულა და მიცვალებულიც თან წაუღია[5]. ამგვარად, ბერქას მტკვარი ვერსად გადაულახავს, მხოლოდ თბილისში ფიქრობდა მტკვარზე გადასვლას.

ბერქა ყაენის უზარმაზარმა ჯარმა მოსპო მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროებზე, მდინარეების იორისა და ალაზნის ქვემო წელში ბაღ-ვენახებით აყვავებული მრავალი სოფელი. ძალიან დიდხანს ეს ადგილები „ოხერი" და „უშენი" დარჩა. თანამედროვენი XIII ს. 80-იან წლებშიც აღნიშნავენ ლაშქრობის ამ შედეგებს[6]. დიდად დაზარალდა გარეჯის სამონასტრო

---

[1] ქ. ცხ., II, გვ. 254.

[2] Рашид-ад-дин, Сборник летописей, III, 1946, с. 68.

[3] იგულისხმება, რომ აბაღა ყაენი ბარდავიდან (საკუთარი რეზიდენციიდან) წამოვიდა, რომელიც მტკვრის მარჯვენა მხარეზე იდო რანში. აბაღას ლაშქარში ქართველი მეომრები ირიცხებოდნენ მეფე ულუ დავითის მეთაურობით.

[4] ქ. ცხ., II, გვ. 254. ჩრდილოეთელი ყაენი ბერქა მუსლიმანი იყო და ამიტომ მას არამუსლიმან ქვეყნებში მეტ სისასტიკეს მიაწერენ.

[5] ქ. ცხ., II, გვ. 254—255.

[6] იქვე, გვ. 274.

მეურნეობა: ამ დროიდან სრულიად მოისპო მონასტრებთან ახლომახლო, რუსთავ-ყარაიის სანახებში მდებარე სოფლები, ასევე მდ. იორის მარჯვენა მხარეზე სამონასტრო მამულები. სარწყავი სისტემის მოშლასთან ერთად მოისპო აქაური მეურნეობა, განვითარებული მეხილეობა და მესაქონლეობა, რომელიც შემდეგ აღარც აღდგენილა. ეს ადგილები თანდათან უდაბურ სანადირო და საძოვარ ადგილებად იქცა[1].

ამ ტერიტორიაზე ბერქას ლაშქარმა სრულიად აღგავა მიწისაგან ქ. რ უ ს თ ა ვ ი. ბერქასაგან რუსთავის მოოხრების შესახებ ცნობას გვაწვდის XVIII ს-ის ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი, რომელსაც პირველი წყაროებით უსარგებლია: რუსთავი „გამოსვლასა ბერქა ყაენისასა მოოხრდა და აწცა არს ოხერ"[2]. რუსთავმა ნანგრევების სახით მოაღწია ჩვენი დროის 40-იან წლებამდეც (დღეს რუსთავი დიდი ინდუსტრიული ქალაქია).

ბერქას დროსვე დაინგრა რუსთავის საეპისკოპოსო ეკლესია, რის გამოც ეპისკოპოსის რეზიდენცია მარტყოფში გადავიდა (მარტყოფი მდებარეობს რუსთავიდან ჩრდილოეთით. იგი იყო რუსთავის საეპისკოპოსოს კუთვნილი მამული). რუსთავი უკავშირდებოდა ორ სავაჭრო-საქარავნო გზას, რამაც თავის დროზე ხელი შეუწყო ქალაქის დაწინაურებას[3].

რუსთავის ნაქალაქარის არქეოლოგიურმა გათხრებმა (დაიწყო 1950 წ. და მიმდინარეობს დღესაც) გვიჩვენა, რომ რუსთავი მჭიდროდ დასახლებული ყოფილა. მიწისქვეშ ნაპოვნმა არქეოლოგიურმა ძეგლებმა საკვლევით დაადასტურა წერილობითი ცნობების სისწორე იმის შესახებ, რომ ქალაქი ერთბაშად, მტრის თავდასხმის შედეგად არის განადგურებული, არქეოლოგიური მასალა თვალსაჩინოდ გვისურათებს უბედურების უკანასკნელ წუთებს: მონღოლებს შენობები საფუძვლამდე დაურღვევიათ, სახლები გადაუწვიათ, მოსახლეობა შეუბრალებლად გაუჟლეტიათ. ნაქალაქარის ერთ-ერთი სახლის „ნანგრევის ქვეშ აღმოჩნდა ახალგაზრდა ქალის თავწაჭრილი ჩონჩხი, კისრის მხოლოდ 3 მალია დარჩენილი. იქვე ეყარა ნახშირის ნამტვრევები, მიცვალებულის მარცხენა ხელთან ეგდო

---

[1] ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, 1966. გვ. 18, 44.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქ. ცხ., IV, 1973, გვ. 331.

[3] ერთი გზა, რომელიც საქართველოს ირანთან აკავშირებდა, გადიოდა რუსთავის ახლოს. იგი მოემართებოდა ბარდავიდან: ბარდავი-განჯა-შამქორი-ხუნანი-გარდაბანი-თბილისი. მეორე გზა, რომელიც მოემართებოდა მდ. იორის მარცხენა ნაპირით, ჰერეთ-კახეთიდან რუსთავზე გამოვლით, ე. ი. მოკლე გზით, აერთებდა მათ სამხრეთ საქართველოსთან — ჯავახეთთან, ტაოსთან, კლარჯეთთან და ა. შ. ეს გზა რუსთავთან კვეთდა მტკვარს (იხ. ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქი რუსთავი, 1958, გვ. 205).

პატარა წალდი... მეორე ადგილას შუბლგაჩეხილი... მამაკაცის ჩონჩხი აღმოჩნდა, მესამე ადგილას წინკარში ჩაკლული ძაღლის ჩონჩხი"[1]. ერთ-ერთი სახლის ჩანგრეულ ოთახში აღმოჩნდა ჭურჭლის ნამტვრევებში არეული წითლად შეღებილი კვერცხის ნაჭუჭები და ბოსტნეულის თესლები. ეს ფაქტი, როგორც სამართლიანად ფიქრობენ, მიუთითებს, რომ ქალაქის განადგურება აღდგომის დღეებში გაზაფხულზე მომხდარა. ბოსტნეულის თესლებიც ამ დროისათვის დასათესად თუ იყო მომზადებული[2].

ბერქას ლაშქრობის შედეგად მოისპო ჰერეთში მდ. ალაზნის მარჯვენა ნაპირას მდებარე ქალაქი ხ ო რ ნ ა ბ უ ჯ ი. ვახუშტის ცნობით, „ხორნაბუჯი... იყოცა ქალაქი და ესეცა ბერქას გამოსვლასა მოოხრდა"[3]. მონღოლების მიზეზითვე გაუქმდა ამავე პერიოდში სამეფო ქალაქი უ ფ ლ ი ს ც ი ხ ე. „იყო ქალაქი ჩინგისამდე (ე. ი. მონღოლთა გამოჩენამდე—ბ. ლ.) აწ არს შემუსრვილიო"[4]. ბარდავ-თბილისის გზაზე მდებარე სხვა ქალაქთა შორის ამ პერიოდშივე მოისპო ქ. ხ უ ნ ა ნ ი[5].

ი ლ ხ ა ნ ა ბ ა ღ ა ს ა და ჩრდილოეთელ უფლისწულ თ ე გ უ დ ა რ ს შ ო რ ი ს ამტყდარმა ო მ ე ბ მ ა დიდი ზიანი მიაყენეს საქართველოს სამიწათმოქმედო და მესაქონლეობის რაიონებს. თეგუდარი თავისი ურდოთი ირანში იმყოფებოდა. მას საიდუმლოდ დაეკავა აბაღა ყაენის ჩამოგდება, მაგრამ შეთქმულება გამომჟღავნდა, რასაც მოჰყვა მკაცრი ბრძოლები. ამ ბრძოლებმა თითქმის მთელი სამხრეთ საქართველო მოიცვა და დიდხანსაც გაგრძელდა. მისი ლიკვიდაცია მხოლოდ 1269 ან 1270 წელს მოხდა.

თეგუდარის ურდო 2000 მოლაშქრით (შემდეგში ის 40000-მდე გაიზარდა) დედაწულითა და ჯოგით სამხრეთის ილხანმა აბაღამ ისტუმრა: „უჩინა ზაფხულის სადგურად ვიდრემე მთანი არარატისანი და საზამთროდ რახსის პირი და ნახჭევანი". საიდუმლო გეგმის მიხედვით, ყაენ ბარახასა („თურანისა და თურქეთის", ე. ი. შუა აზიის ყაენის) და თეგუდარის ლაშქარი უნდა შეერთებულიყო და აბაღას თავს დასხმოდნენ. თეგუდარი საქართველოზე გავლით დარუბანდის გზით ფიქრობდა ბარახას-

---

[1] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, წინაპართა ნაკვალევზე, 1952, გვ. 192; მ ი ს ი ვ ე, რუსთაველი წარმოებული თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები (მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, I, 1955).

[2] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 85—86.

[3] ვ ა ხ უ შ ტ ი, ქ. ცხ., IV, გვ. 541.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 366. უფლისციხე XV ს. უკვე სოფლად იხსენიება.

[5] ვახუშტი ხუნანის მოსპობას უფრო ადრინდელ ხანას (არაბების ბატონობას) მიაწერს (ვ ა ხ უ შ ტ ი, ქ. ცხ., IV, გვ. 324), მაგრამ როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნული, ვახუშტი ცდება. წყაროები ამ ქალაქს მოქმედად ასახელებენ XII—XIII საუკუნეებშიც.

თან შეერთებას. ამის გამო თეგუდარი თავისი „ბარგით, დედაწულით“ და ლაშქრით გამოემართა საქართველოსაკენ, სადაც ის სამხრეთ-დასავლეთის გზით შემოვიდა: „მომართა მთათა ღადოსათა, კარჩხალთა და კარისათა, რომელ არს შავშეთსა და აჭარას და დადგა მთასა შავშეთისასა ფიჭვთას“. თეგუდარი არსიანის მთებში იდგა, როცა მას მოუსწრო აბაღასაგან გამოგზავნილმა მდევარმა ლაშქარმა. დიდი ბრძოლა მოხდა „ყველისთავის“ მახლობლად. დამარცხებული თეგუდარი „ილტვოდა ღადოს მთას“. აქაც მდევარი ლაშქარი მიეწია და ორი დღე დიდი ბრძოლა მიმდინარეობდა. თეგუდარის ლაშქარი დაიფანტა[1]. გადარჩენილი დასავლეთ საქართველოში გადავიდა, სადაც ის მეფე ნარინმა ისტუმრა. მცირე შესვენების შემდეგ თეგუდარმა ისევ გააჩაღა ომი. მან სამი სარდალი გამოგზავნა თავიანთი „დედაწულითა და ბარგითა“. ისინი დადგნენ ლიხისა და ღადოს მთებში. თეგუდარის მეომრებმა სამხედრო მოსაზრებულობის წყალობით საბოლოო შეტაკებაშიც სძლიეს აბაღას ლაშქარს (რომელშიც ქართველებიც იმყოფებოდნენ) და დიდი მსხვერპლით გააქციეს. გამარჯვებული თეგუდარი „გარდმოვიდა ქართლს და მოაოხრებდა ყოველსა ქართლს“.

თეგუდარის წინააღმდეგ აბაღა ყაენმა ბოლოს 100000 მონღოლი გამოიყვანა, მას საქართველოს ჯარიც მიემატა და სძლია თეგუდარი, რომელიც დააპატიმრეს და აბაღას წარუდგინეს[2].

თეგუდარის უზარმაზარი ლაშქრის მოძრაობამ, მისმა ბრძოლებმა დააზარალეს კლარჯეთი, შავშეთი, აჭარა, ჯავახეთი, თრიალეთი. მათი ძირითადი სადგური ლომისთავი იყო, საიდანაც მოსახლეობის ძარცვასა და ჯოგების წასხმას ეწეოდნენ. აქედან ქართლსაც სწვდებოდა მათი თარეში. თეგუდარის მეომრები არბევდნენ სომხურ თემებსაც. თავს ესხმოდნენ ქარავნებს, არ ინდობდნენ მონასტრებს, საიდანაც ეზიდებოდნენ ღვინოსა და პირუტყვს. გაძარცულებს ველური სისასტიკით უსწორდებოდნენ. თეგუდარს ამ ძარცვით უზარმაზარი განძეულობა შეუძენია, რომლის გადასაზიდად თურმე 300 აქლემი და 150 ურემი ყოფილა საჭირო. მას ჰყოლია ცხენების უზარმაზარი რემა, ცხვრის დიდი ფარა და სხვ. ნიშანდობ-

---

[1] ლაშქრის ერთი ნაწილი აჭარისაკენ გაქცეულა, ერთ ადგილას 1000 მეომარი მი'ი ცხენით და დედაწულით მეწყერს ჩაუტანია აჭარისხევში.

[2] ე ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ქ. ცხ., II, გვ. 257 — 266; გრ. ა კ ა ნ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 67; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., III, 1949, გვ. 193—205, 1966, გვ. 190—202; ა. ა ლ ი-ზ ა დ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 256. თეგუდარის საბოლოო დამარცხებაში ნარინ დავითის მონაწილეობაც ჩანს. აბაღა ყაენის თხოვნის თანახმად, მას უკვე მეორედ აღარ მიუღია ლტოლვილი თეგუდარი და მისთვის უკანდასახევი გზაც მოუჭრია. ნარინს ეს იმიტომაც გაუკეთებია, რომ გაგებული ჰქონია თეგუდარის მოღალატური საქციელი ლიხთიმერეთში მისი პირველად ყოფნისას.

ლივი ფაქტია, რომ თეგუდარით აღშფოთებული ქართველები და სომხები, როგორც სომეხი თვითმხილველი მოგვითხრობს, ერთად მისულან აბაღა ყაენთან და თეგუდარზე გალაშქრება მოუთხოვიათ[1].

ამ პერიოდში მონღოლთა ბატონობით გამოწვეულმა სხვა არაერთმა სიძნელემაც იჩინა თავი.

საქართველოს ქალაქებსა და სამიწათმოქმედო მესაქონლეობის ტერიტორიებს იკავებენ ჩრდილოეთის ურდოსაგან დევნილი ჩრდილო კავკასიის ტომები, რომლებიც ილხანთა სამსახურში შედიან.

დავით VII-ის მეფობაში „ბერქა ყაენისაგან ლტოლვილი" ოსების ერთ-ერთი ასეთი დიდი პარტია დარუბანდის გზით გადმოსულა საქართველოში. მეფეს ის ჰულაგუ ყაენთან გაუგზავნია. „ულუ ყაენმან შეიწყნარა ფრიად და უბოძა ხარაჯა და მოლაშქრედ და თანამებრძოლელად განაჩინა". მოლაშქრეებად ქცეული ოსები ყაენს ისევ საქართველოში, დავით მეფესთან გამოუგზავნია („და ესრეთ მეფეს თანავე წარმოავლინა"), რომელმაც მათ ყაენისავე ბრძანებით, მუდმივ საცხოვრებლად და სახარაჯოდ გადასცა ადგილები: ქ. თბილისში, ქ. ჟინვანსა და მის მიდამოებში (არაგვის ხეობაში), ქ. დმანისსა და მის მიდამოებში (ქვემო ქართლში, ტაშირი)[2].

ქართველი ჟამთააღმწერლის ცნობები მოწმობენ, რომ საქართველოში მოსული ოსები მაღალი სოციალური წრის, ერთიანი პოლიტიკური ორგანიზაციით შეკავშირებული თემია, რომელსაც ერთი, მმართველი-დინასტი ჰყავს. წყარო ასახელებს მათ უფროსს — ლიმაჩავს, რომელიც გარდაცვლილი მეთაურის ქვრივია. მას ახლავს ორი მცირეწლოვანი მემკვიდრე: უფროსი ფარეჯან და უმცროსი ბაყათარ[3]. ქვრივს თან მოჰყვა „სხუანი თავადნი მრავალნი", ესენი მისი მხლებელი მსახურ-მოლაშქრეები არიან. მოსული ოსების მრავალრიცხოვნობას მოწმობდა მათთვის დიდი და თანაც შემოსავლიანი ადგილების გამოყოფა. იგივე ფაქტი ადასტურებს, რომ ისინი ბინადარი, მიწათმოქმედი საზოგადოებაა.

ოსებისათვის მიცემული ხარაჯის წყარო, ბუნებრივია, ის მიწა-წყალი უნდა ყოფილიყო, სადაც ისინი დაასახლეს. ჟინვანში, დმანისსა და თბილისში (მიმდგომი ტერიტორიებითურთ) ოსების დასხდომა მხოლოდ საცხოვრისს კი არა, ამ ტერიტორიების ექსპლოატაციასაც გულისხმობდა. უეჭველია, საგანგებოდაც გამოჰყვეს მათთვის ასეთი მაღალი სასოფლო-

---

[1] გრ. აკანეცი, დასახ. ნაშრ., გვ. 67.

[2] „ხოლო მეფემან დასხნა რომელიმე დმანისსა და სხუანი ჟინვანს, რომელიმე ქალაქსა" (მარიამისეული ვარიანტით), ქ. ცხ., II, გვ. 251.

[3] ჟამთააღმწერელი გვამცნობს ამ დინასტთა გვარტომობასაც: „ნათესავით ახასარფაკაიანნი".

სამეურნეო და სავაჭრო შემოსავლიანი ადგილები. შემთხვევითი არაა, რომ სამივე ეს ობიექტი ქალაქია და ისიც სამეფო საკუთრება. ამ ადგილების სამონღოლო ხარაჯა (რომელიც სხვა ადგილების ხარაჯასთან შედარებით სრული და არამცირე იქნებოდა) უნდა რეგულარულად მოეხმარათ ჩამოსახლებულებს საყაენო სამხედრო სამსახურის სანუქფოდ. დასახელებული ადგილების ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები, რასაკვირველია, კარგად დააკმაყოფილებდა მათ სხვა სამეურნეო მოთხოვნილებებსაც.

ამგვარად, ჟინვანში, დმანისსა და თბილისში მსხდომი ოსები ამ მხარეებს თავისებურ მფლობელებად მოევლინენ, ამ მიწა-წყლის შემოსავლის მოზიარე შეიქნენ. მომდევნო ამბები, როგორც ქვემოთ ვნახავთ, გვიდასტურებენ, რომ ოსები მონღოლთა მხარდაჭერით აფართოებენ თავიანთ უფლებებს და სამფლობელო ტერიტორიებს, ცდილობენ სამუდამოდ გამოდევნონ ადგილობრივი მფლობელები (წვრილი და საშუალო მიწისმფლობელები).

მონღოლურ მიწისმფლობელობის პრაქტიკაში XIII ს-დან საგრძნობლად გახშირდა სამხედრო სამსახურის სამაგიეროდ მაღალი სამხედრო პირისათვის ან მთელი რაზმისათვის დაპყრობილ ქვეყნებში დასახლებული ადგილების გადაცემა, საიდანაც მათ უნდა ესარგებლათ შემოსავლით — მაგ., „ხარაჯით" (მონღოლური პრიმიტიული ფეოდალიზმი). ხარაჯის მფლობელები, ჩვეულებრივ, იმავე ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, საიდანაც ხარაჯას იღებდნენ, პრინციპულად ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე ამ პერიოდში საქართველოში ჩამომჯდარი ოსების მიმართაც.

ყაენთა და მონღოლ ფეოდალთა მუდმივი სადგომები ამიერკავკასიაში გარდა იმისა, რომ თვით ამ რაიონებს ანადგურებდა, უარყოფითად მოქმედებდა მეზობელი მხარეების სამიწათმოქმედო რაიონებზეც. ბინადარი მოსახლეობა გარბოდა, ადგილები იცლებოდა, ბუნებრივია, ამ შედეგებმა უფრო მკაცრი ხასიათი მონღოლთა პოლიტიკური ბატონობის პერიოდში მიიღო.

ურდო წელიწადში ორჯერ მაინც იცვლიდა ბინას. საზამთრო სადგომად (ყიშლაღად) დაბლობ, ვაკე ადგილს ირჩევდა, საზაფხულოდ (იალაღად) კი მთიანს. მონღოლთა ურდოებმა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ადრიდანვე, დაპყრობითი ომების პერიოდშივე გაიჩინეს სადგომები, რომლებიც, ეტყობა, თანდათან გააფართოვეს.

საზამთრო ბანაკად მათ დასაკუთრებული ჰქონდათ საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით მოსაზღვრე ქვეყანა რანი, სადაც ეკავათ ბარდავი მისი მიმდგომი ყარაბაღის ველით (მდ. არაქსის მარცხენა ნაპირზე), ხოლო აზერბაიჯანში (ადარბადაგანში) მუღანი (მდ. არაქსის მარჯვენა ნაპირი). მუღანი ისედაც ბუნებრივი საძოვრებით მდიდარი ქვეყანა იყო და

მონღოლებმაც განსაკუთრებით იგი აირჩიეს თავიანთ სადგომად. ამგვარად, მონღოლთა ურდოს საზამთრო სადგომად საკმაოდ ვრცელი ტერიტორია ეკავა: მდ. მტკვრის ქვემო დინების მარჯვენა მხარე და მდ. არაქსის ქვემო დინების ორივე ნაპირი მტკვრის შესართავამდე.

ზაფხულში მონღოლები დაბანაკებული იყვნენ სომხეთის ტერიტორიაზე და ეჭირათ გელაქუნის (ახლანდელი სევანის ტბასთან) მთები, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით არარატის მთებიც. ჰულაგუ ყაენის დროს მათ აქედან გაუფართოებიათ საზაფხულო სადგომი. უკვე მათ საკუთრებაში შევიდა არარატის სამხრეთით დარანის ველი (დარან დაშტ) და ალატაღი (სომხეთის უკიდურეს სამხრეთში)[1]. მონღოლების ერთ-ერთი მთავარი სადგომი იყო შირაკავანი ანისის მხარეში[2].

დასახელებულ სადგომებს შორის გადანაცვლებისას მონღოლებს მოძრაობა უხდებოდათ საქართველოს სომხურ პროვინციებზე, ასევე რანადარბადაგანის ტერიტორიებზე. დიდი რაოდენობის მათი საქონლის ჯოგები უმოწყალოდ ანადგურებდნენ ნათესებს, ყოველგვარ მცენარეულობას. საქმე ის იყო, რომ მონღოლთა მოძრაობის მძიმე შედეგებს მათი ლაშქრის თავისებურება განაპირობებდა.

მონღოლთა ლ ა შ ქ რ ი ს ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა შეესაბამებოდა მომთაბარული ცხოვრების წესს (შედგენილი იყო ტომობრივ-გვაროვნულ პრინციპზე, თითოეული დანაყოფი—ოცეული, ასეული, ათასეული, ათიათასეული—გარკვეულ ასეთ გაერთიანებებს წარმოადგენდნენ). მონღოლთა ლაშქარს, რომელიც მთლიანად ცხენოსანი იყო, თან ახლდა მათივე დედაწული (ოჯახები) და მთელი ქონება, რომელიც მოთავსებული იყო ურმებზე, აქლემებსა და ცხენებზე; მათ უკან მისდევდა კუთვნილი წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის ჯოგები. ასეთი ლაშქრის უბრალო გადაადგილებაც კი ხალხთა გადმოსახლებას უფრო ჰგავდა, და თუ ომობდნენ, ეს იყო არა მხოლოდ ომი, არამედ გადმოსახლება ომით (ვ. გაბაშვილი). სადაც ისინი გაივლიდნენ ან დაბანაკდებოდნენ, ის ადგილები უკაცრიელდებოდა, ყანები და ბაღ-ვენახები მათი ცხენებისა და აქლემების ფლოქვებით ითელებოდა.

ქართველი და სომეხი მემატიანენი პირდაპირ მიუთითებენ, თუ ასეთი

---

[1] დღევანდელი ბაგავანისა და დიადინის სამხრეთით, არც ეს შედიოდა საქართველოს ვილაიეთში.

[2] მონღოლთა ურდოს ეს სადგომები ხშირად არის მოხსენიებული და აღწერილი იმ დროის ქართულ, სომხურ, სპარსულ წყაროებში. მაგალითად, ქ. ცხ., II, გვ. 188, 228, 240, 247, 250, 253; გრ. ა კ ა ნ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 12, 13, 15; კ ი რ ა კ ო ს გ ა ნ ძ ა კ ე ლ ი, ისტორია (სომხ. ტექსტი), გვ. 380, რუს. თარგ. ტერ-გრიგორიანისა, გვ. 120.

ლაშქრის უბრალო გავლა უომრადაც კი რა დიდ ეკონომიკურ ზარალს აყენებდა საქართველოს მხარეებს[1].

მხარეები ზიანდებოდა არა მარტო იმით, რომ „სადგომები" იქ იმყოფებოდა, არამედ იმითაც, რომ ამ ტერიტორიებზე ხდებოდა მათი გადაჯგუფება. მონღოლთა ულუსი სალაშქროდ უმეტესად საზამთრო ადგილიდან იძვროდა, რადგან საომარ ექსპედიციებს ისინი უფრო გაზაფხულზე ანახლებდნენ. საზამთრო ადგილის უშუალო მეზობლობა საქართველოსთან (კერძოდ, ჰერეთ-კახეთთან) დიდ ზიანს აყენებდა ამ სასაზღვრო მხარეებს. ქართველი ჟამთააღმწერელი მიუთითებს, რომ მონღოლთა სადგომის, განძა-ბარდავი-მუღანის სიახლოვე („მეზობლობა") გახდა იმის მიზეზი, რომ საქართველოს აქეთური „საზღვრები" უფრო მოოხრდა, ვიდრე ქვეყნის სხვა ადგილებიო[2].

ყაენთა ამ სადგომებში განუწყვეტლივ მიმოდიოდნენ მონღოლთა მოხელეები, რომლებსაც დაპყრობილ ხალხთა ხარკის აკრეფა, ლაშქრის მოგროვება თუ სხვა საქმეები ევალათ; აქ უხმობდნენ ყაენები დაპყრობილი ქვეყნების მეფეებსა და მთავრებს დასასჯელად თუ დასაჯილდოებლად (სწორედ აქ, მუღანის ველზე, მოვაკანში მდ. მტკვრის პირს თავი მოკვეთეს საქართველოს მეფეს დიმიტრის...).

ნოყიერ ველებზე თუ მთებში განლაგებული მონღოლთა ეს სადგომები თავისებურ ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ცენტრებს წარმოადგენდნენ. მონღოლური აპარატის თუ ლაშქრის გამოკვებას აუნაზღაურებლად ეწირებოდა ახლომახლო მოსახლეობის შრომა და დოვლათი. გარეგნულად ეს სადგომები, რასაკვირველია, არ მოგვაგონებდნენ ქალაქებს, ისინი ნამდვილ სამხედრო ბანაკების შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. მონღოლები ასეთ ადგილებზე, საერთოდ, ისედაც ერიდებოდნენ ნაგებობების აგებას (წყაროც იშვიათად ასახელებს ასეთის მშენებლობას). მონღოლ ილხანებს ჰქონდათ სატახტო ქალაქებიც: ჰულაგუ ყაენის დროს ასეთი იყო ქ. მარაღა, ხოლო აბაღა ყაენის დროიდან — თავრიზი. ოლჯაით ყაენის დროს სატახტო ქალაქი გადატანილ იქნა სულთანიეში (ყაზვინის ახლოს), მაგრამ აბუსაიდ ყაენის შემდეგ ისევ თავრიზი იქცა სატახტო ქალაქად.

---

[1] ჟამთააღმწერელს დასახელებული აქვს ასეთი ფაქტი: სამცხეში მიმავალ მონღოლთა ოციათასიან ლაშქარს მშვიდობიანად გამოუვლია სომხითი, თბილისი, ქართლი, მაგრამ „დიდად ავნებდა ქვეყანათა, დაღათუ არა ბოროტის მყოფელი, არამედ საზრდელისა ძალით დიდათ დასჭირდა ქვეყანასა" (ქ. ცხ., II, გვ. 277). კ ი რ ა კ ო ს გ ა ნ ძ ა კ ე ც ი გვამცნობს: «Каждый из них отправился со своими женами, детьми и всем имуществом своего лагеря и беззаботно своими верблюдами и скотом портили, уничтожили все зеленые растения» (ისტორია, რუს. თარგმ. ტერ-გრიგორიანისა, გვ. 120).

[2] ქ. ცხ., II, გვ. 180.

მონღოლი მომთაბარეები მთის საძოვრებს ეცილებოდნენ ქართველობას. ისინი დაპყრობილ ქვეყნებში არა მხოლოდ ქმნიდნენ ახალ-ახალ საძოვრებს, არამედ ადგილობრივთა საძოვრებსაც ეპატრონებოდნენ. წყაროებში პირდაპირი ცნობები მოიპოვება იმის შესახებ, რომ მონღოლთა ურდოს ნაწილები დგანან ჯავახეთ-თრიალეთში. 1260-იან წლებში, თეგუდართან ბრძოლების აღწერისას, ჟამთააღმწერელი პირდაპირ ასახელებს ვინმე მონღოლ ყურუმჩი ბაადურს, „ათასისა მხედრისა თავადს", რომელსაც ჯოგი უდგას ჯავახეთში. აქვე დგას „ჯოგი კახა თორელისა"[1].

დავით დიმიტრის ძის (1293—1311 წწ.) დროს მოხსენიებულია ათასის თავი მონღოლი ალიყანი, „რომელ იდგის მთათა ჯავახეთისათა და კოლისათა"[2]. როგორც ირკვევა, მონღოლთა ურდოები აქ სამუდამოდაც დამკვიდრებულან. მაგალითად, მომდევნო ხანაში უკვე ზემოდასახელებული ალიყანის შვილი ყურუმჩი იქვე, იმავე ადგილას დგას[3].

§ 7. მონღოლთა გატონობის ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგები (XIII ს. 40—70-იანი წწ.)

ა. ეკონომიკური მდგომარეობა

მონღოლთა მფლობელობის გავლენა სწრაფად დაეტყო ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკურ ცხოვრებას.

საქართველოს ტერიტორიაზე მონღოლ მომთაბარეთა ჩამოსხდომამ, ურდოთა მოძრაობებმა, ურდოთა შორის ატეხილ ბრძოლებში საქართველოს საომარ ველად ქცევამ, ქვეყანა ძალზე დააზიანა. ურდოთა კიდით კიდემდე მომთაბარეობას აღარაფერი აბრკოლებდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მათ აქ პოლიტიკური უფლებამოსილება მოიპოვეს. ქართული ფეოდალური ეკონომიკის საფუძველი, ინტენსიური სოფლის მეურნეობა, დიდ საფრთხეში მოექცა. იგი თანდათან კარგავდა სამიწათმოქმედო ტერიტორიებს. განსაკუთრებით დაზიანდა ან მთლიანად გამოეთიშა ქართულ აგრიკულტურას მტკვრის სანაპიროების ვრცელი ტერიტორია: რუსთავი და მისი მიმდგომი მხარეები; კახეთ-ჰერეთში ივრისა და ალაზნის სანაპიროები, ხრამისა და დებედას ხეობები; დიდად შეეიწროვდა ჯავახეთი და თრიალეთი.

---

[1] ქ. ცხ., II, გვ. 265. ყურუმჩი მოკლეს თეგუდართან ბრძოლაში.
[2] იქვე, გვ. 275.
[3] იქვე, გვ. 292.

ადგილობრივ მონღოლთა ულუსის მხარდაჭერით ნოყიერ სამიწათმოქმედო მესაქონლეობის რაიონებს (დმანისი, ყინვალი) საცხოვრებლად იკავებენ იმიერკავკასიიდან მოსული ოსთა თემები. მონღოლი მომთაბარეები ეუფლებიან ნოყიერ საძოვრებს ჯავახეთისა და კოლის მთების ტერიტორიებზე.

შექმნილი მდგომარეობა მიწათმოქმედ მოსახლეობას აიძულებს დატოვოს მამაპაპეული მეურნეობა და ქვეყნის შიდა რაიონებს შეაფაროს თავი. ჯავახეთ-თრიალეთიდან მოსახლეობა გადადის შიდა ქართლს, ჰერეთ-კახეთის მოსახლეობა მთას აფარებს თავს. ამასთან ერთად, მონღოლთა ხშირი მოლაშქრეობა, რაც, როგორც ითქვა, მონღოლთა შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდა, ფიზიკურად ამცირებდა მშრომელ მოსახლეობას და ხანგრძლივად წყვეტდა მეურნეობას. ამ პირობებში, ცხადია, იკლო სოფლის მეურნეობის წარმოების დონემ, მიწის დამუშავებამ. ჯერ კიდევ დაპყრობითი ომების დროს, ხოლო შემდეგ მონღოლთა მფლობელობის პერიოდში დიდად დაზიანდნენ ქალაქები — ქვეყნის ეკონომიკური ერთიანობისა და წინსვლის ეს პირდაპირი წყაროები; ისინი თანდათან შემცირდნენ ან ზოგი მთლიანად მოისპო.

ამასთან, გასათვალისწინებელია მონღოლური გადასახადები, რომლებიც ყოველწლიურად დიდძალ მატერიალურ დოვლათს ნთქავდა. რაოდენ საგრძნობი უნდა ყოფილიყო ის ქვეყნისათვის, თუ დიდი ფეოდალი კახა თორელი-გამრეკელი შეწუხებული ღმერთს ეხვეწებოდა: „ღმერთმან შეიბრალოს ქრისტიანობა და აღარ იყოს ხარაჯობაი აწინდელის დებისა“[1].

ეკონომიკურად გაუჭირდა ყველას: მეფესაც, ეკლესიასაც, კერძო ფეოდალსაც და გლეხსაც. გაჭირვება აქ, ცხადია, მეტ-ნაკლებად უნდა იყოს გაგებული, რადგან, როგორც ვიცით, დიდი ფეოდალები, მთავრები, ადვილად შეურიგდნენ დამპყრობლებს და ეხმარებოდნენ კიდეც მათ ხარკის აკრეფაში (იხ. ზემოთ). რაც შეეხება ეკლესიას, იგი მონღოლური გადასახადებისა და სამხედრო ბეგრისაგან თავისუფალი იყო (ამის შესახებ ქვემოთ), მაგრამ საყოველთაო ეკონომიკური ნაკლოვანება, ცხადია, მასზეც ახდენდა ზემოქმედებას. მონღოლ მომთაბარეთაგან საეკლესიო მიწისმფლობელობამაც ხომ საგრძნობი ფიზიკური შემცირება განიცადა.

ყველაზე მძიმე გაჭირვებაში გლეხობა ჩავარდა, რომელსაც უნდა ეტვირთა მონღოლურიც და ადგილობრივი ვალდებულებანიც. მაგრამ მისი საბატონყმო უღლის დამძიმება სხვა მხრივაც მოხდა: ქვეყნის ეკო-

---

[1] 1259 წლის კახა თორელის შეწირულების საბუთი, ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., II, გვ. 63.

ნომიკური მდგომარეობის გაუარესების პირობებში შემცირებული შემოსავლის გადიდების მიზნით მ ფ ლ ო ბ ე ლ ი კ ლ ა ს ი ა ძ ლ ი ე რ ე ბ ს მ წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ე ქ ს პ ლ ო ა ტ ა ც ი ა ს, რათა დანაკლისი ამ გზით შეივსოს. ექსპლოატაციის უზომო გაძლიერებამ გლეხის საწარმოო უნარიანობის დაქვეითება გამოიწვია, რაც ძირს უთხრიდა ისედაც შერყეულ ეკონომიკას.

ეს გართულება, ზემოაღნიშნულ მოვლენებთან ერთად, არსებითი აღმოჩნდა, რომ ფეოდალური საქართველოს ს ა მ ე უ რ ნ ე ო-ე კ ო ნ ო მ ი კ უ რ ი დ ო ნ ე თ ა ნ დ ა თ ა ნ დ ა ქ ვ ე ი თ ე ბ ი ს გ ზ ა ს დ ა ს დ გ ო მ ო დ ა.

ამ პერიოდის საბუთები კარგად გვიჩვენებენ ფეოდალების მიერ ყმა გლეხების უზომო ექსპლოატაციას, რასაც შედეგად ზოგჯერ თურმე სოფლის მთლიანი დაცლა, ყმა გლეხების ამოწყვეტაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა. ძაგან აბულეთის ძე 1260 წლის შეწირულობის საბუთში შიომღვიმის მონასტრის ძმობას თხოვს, რომ სოფ. ანგროინის გლეხობა მღვიმის (მონასტრის) წინამძღვარმა სამონასტრო ვალდებულებებით იმ ზომამდე არ დაბეგროს, რომ სოფელი ამოწყდეს[1]. კახა თორელი 1259 წლის საბუთში რკონის მონასტერს აფრთხილებდა, „ვინც წინამძღუარი იყოთ... გლეხთათუის კარგნი იყუენითო"[2].

ფეოდალებმა მიმართეს საზომ-საწყაოების გადიდებას. კირაკოს განძაკეცი მოგვითხრობს, რომ მონღოლებთან დაზავების შემდეგ ქართველმა და სომეხმა მოხელე-მთავრებმა დაიწყეს საზომების გადიდება, როდესაც გადასახადი თვითონ უნდა მიეღოთო (იხ. ზემოთ).

დავით VII-ის მეფობაში (1247—1270 წწ.) დმანისის სამწყსოს მღვდლებს შემოსავლის გადიდების მიზნით საეკლესიო-საწესო გადასახადების გადიდება დაუწყიათ. ისინი განგებ, სხვადასხვა მიზეზის მოშველიებით, მანამდე არ თანხმდებოდნენ საეკლესიო წესის შესრულებას (მონათვლა, ქორწინება, მიცვალებულის წესის აგება და სხვ.), სანამ მთხოვნელებისაგან ნიხრით დაწესებულზე მეტს არ აიღებდნენ[3].

ასეთ პირობებში უაღრესად დაეცა გლეხის საწარმოო უნარიანობა, მისი ნამუშევარი ზოგჯერ გადასახადებსაც ვეღარ ისტუმრებდა; გლეხის თვალში მიწამ ფასი დაკარგა და იგი ამჯობინებდა გაქცეულიყო. სწორედ ამ პერიოდიდან „მიწის დაუკაცრიელება", გლეხის „გარდახვეწა" ჩვეულებრივ სიტყვებად იქცა. აყრილი გლეხი ერთ და იმავე ადგილზე

---

[1] თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, 1896, გვ. 65—68.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 62.

[3] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური მოგზაურობა, 1912, გვ. 8.

მუდმივად დარჩენას ერიდებოდა და, გვიანდელი ტერმინით რომ ვთქვათ, იწყებდა ბოგანოობას (ბოგანო ნიშნავს სხვა ადგილიდან მოსულს), ხიზნობას (ხიზანი ნიშნავს სხვასთან შეკედლებულს).

გლეხთაგან გაუკაცრიელებული მიწები სრულიადაც აღარ იყო ხელსაყრელი ფეოდალებისათვის. მას ამ მიწაზე ახალი გლეხი უნდა დაესვა, რათა მისგან შემოსავალი კვლავინდებურად ჰქონოდა: „თუ მიწა დაუკაცრიელდებოდეს სამსახური და კულუხი ნუ წახდების, სხვა გლეხი დაისმოდეს ზედა“, ვკითხულობთ 1259 წლის საბუთში. მიწების „მოშენება“ კი (ასეთ მიწაზე გლეხის დასმა) იშვიათად თუ ვინმეს შეეძლო იმ დროს, ხოლო გაუკაცრიელებული მიწა მემამულისათვის უსიამოვნების მომტანად იქცეოდა, რადგან მონღოლები ფეოდალებს გაუკაცრიელებულ საკომლოზე ისევე ახდევინებდნენ გადასახადს, როგორც კაცრიელზე (გადასახადი ედო მიწას); ასეთ ვითარებაში მემამულე-მესაკუთრეს სურს თავიდან მოიშოროს გაღატაკების მომტანი მიწა: „მ ი წ ე ბ ი ა მ ო ძ რ ა ვ დ ა“ (ივ. ჯავახიშვილი), მ ი წ ა ყ ი დ ვ ა-გ ა ყ ი დ ვ ი ს ს ა გ ა ნ ი გ ა ხ დ ა.

ბუნებრივია, მიწის შემძენიც იშვიათად ჩანდა, გარდა დიდმოხელე ფეოდალისა, მევახშისა და ეკლესიისა. მიწა ჩალის ფასად იყიდებოდა.

იმის გამოც, რომ სახელმწიფოში ფულის რაოდენობამ იკლო (ყოველწლიურად მოსახლეობისაგან დიდძალი ფული გადიოდა ხარკად მონღოლთა საყაენოში, დაღარიბდა სახელმწიფო სალაროც...) ფული ძნელი საშოვარი გახდა; ამ გარემოებამ ფულის ღირებულება ძალზე გაადიდა, რამაც მიწის ფასი უფრო შეამცირა. სავსებით ნიშანდობლივადაა გამოთქმული შექმნილი ვითარება იმ დროის ერთ-ერთ დოკუმენტში: „მას ჟამსა დია ქვეყანანი დაისყიდნეს ხარკობისაგან, ოქრო ძვირად იყვის და სოფელი იაფადო“ (1259 წ.).

ამრიგად, უმიწაწყლოდ რჩებოდა არა მხოლოდ მიწის მუშა — გლეხი, არამედ თვით მემამულე-ფეოდალიც. საბოლოო ჯამში კი ზარალობდა ინტენსიური სოფლის მეურნეობა, რომელიც თანდათან კარგავდა საწარმოო საშუალებას, მიწას (აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს ინტენსიური მეურნეობის შევიწროების ფაქტი უშუალოდ მონღოლ მომთაბარეთაგან, რომლებიც სამიწათმოქმედო ტერიტორიებს საძოვრებად აქცევდნენ და ა. შ. იხ. ზემოთ).

მიწების ხელიდან წასვლა ვერ შეაჩერა იმ ზომებმაც, რომელსაც მიმართავდნენ ხოლმე ფეოდალები. ფულის სიმცირის პირობებში მევახშეობამ არაჩვეულებრივად მოიკიდა ფეხი. როგორც წყაროები გადმოგვცემენ, იმ დროს, და ადრეც, საქართველოში არსებულა სპეციალური საკრედიტო გ ა მ ს ე ს ხ ე ბ ე ლ-დ ა მ გ ი რ ა ვ ე ბ ე ლ ი და ს ა ვ ა ჭ რ ო ამ-

ხ ა ნ ა გ ო ბ ა ნ ი, რომელთა წევრს ო რ ტ ა ღ ი ეწოდებოდა[1]. გასაკვირი არაა, რომ ვალში დაგირავებული მამულები ასეთი გაჭირვების ჟამს ხშირად გამოუსყიდველიც დარჩენოდა დამგირავებელს. ასეთი მიწები კი, ცხადია, პატრონს ეკარგებოდა, ხოლო ვაჭარ-ორტაღები მათ ყიდდნენ და ასე, ხელიდან ხელში გადადიოდა იგი. ამოძრავებული მიწა საბოლოოდ მსხვილ მემამულეს უვარდებოდა.

ერთ-ერთ დოკუმენტში მოთხრობილია, თუ როგორ იყიდა მსხვილმა ფეოდალმა, კახა თორელმა სოფელი ხოვლე მონასტრისათვის შესაწირავად: მეფის (დავით VII) დავალებით კახას ილხანთა ურდოში მოუხდა გამგზავრება. ქ. ბაღდადი მონღოლებს ის იყო ახალი აღებული ჰქონდათ და იქ ბაღდადური თვალ-მარგალიტი თურმე იაფად იშოვებოდა. წასვლისას კახას ორტაღთაგან ფული უსესხნია („ლარი და თეთრი") და ამ ფულით ბაღდადში უამრავი თვალ-მარგალიტი შეუძენია. საქართველოში მას ეს განძი გაუყიდია და აღებული ფულით სესხიც გაუსტუმრებია და სოფელიც უყიდია იმავე ორტაღ-ვაჭრებისაგან. მაგრამ კახას ძალიან გასჭირვებია ამ განძის გაყიდვა ფულის სიძვირის გამო. „ზოგი დიდებულისათვის", ზოგიც თვით სოფლის გამომყიდველებისათვის მიუყიდია სულ ნახევარ ფასად. ამ უკანასკნელებისათვის ზოგი თვალ-მარგალიტი ფულის ბადლადაც მიუცია ნახევარ ფასად და, როგორც თვითონვე ამბობს, ძლივს შეუგროვებია საჭირო რაოდენობის თეთრი.

კახა წერს: „ვიყიდე ხოვლე ხოჯა სალამის ცოლისა და შვილისაგან ნახევარი და ნახევარი ჰასან სუმბატის ძისა სომეხისაგან და იოსებ ბულბაფაისძისა ჰურიისაგან. მათ... ეყიდა აღბუღაისაგან და მისთა შვილთაგან"[2] მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ სოფელს სამი პატრონი ჰყავს, რომელთაგან ერთი მუსლიმანია, მეორე სომეხი და მესამე ებრაელი. აშკარაა, რომ ეს სოფელი ამ შემთხვევაში ვაჭარ-მევახშეებს (ორტაღებს) ჩაუგდიათ ხელში[3]. მიწა მათთვის გამდიდრების წყაროდ ქცეულა. ამას-

---

[1] ორტაღის (ურტაღის) მნიშვნელობის შესახებ იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, 1907, გვ. 34; მ ი ს ი ვ ე, ქართველი ერის ისტორია, III, 1966, გვ. 356; В. Д. Д о н д у а, Писание о вкладе Кахи Торели в Рконский монастырь, ქართული წყაროთმცოდნეობა, II, 1968, გვ. 63; А. В. Б у г а е в, Сравнительный словарь турецко-татарских наречий, 1869, т. I, с. 122; Б. Д. Г р е к о в, А. Ю. Я к у б о в с к и й, Золотая Орда..., 1937, с. 116; B. Spuler, Die Mongolen in Iran, 1955, გვ. 431, 433; И. П е т р у ш е в с к и й, Рашид-ад-дин и его исторический труд, Рашид-ад-дин, Сборник летописей, т. I, кн. I, 1952, с. 13 და სხვ.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 58.

[3] გამყიდველთა ეროვნება (სპარსი, სომეხი, ებრაელი), ამ შემთხვევაში, მათ პროფესიულ საქმიანობაზეც (ვაჭრობა) მიუთითებს.

თან, ისიც მნიშვნელოვანია, რომ სამივეს ეს სოფელი წინათ ქართველი მემამულის აღბუღასაგან ჰქონიათ ნასყიდი. როგორც ვხედავთ, ხოლეს საბოლოო პატრონი მსხვილი მემამულე კახა და მისი საძვალე მონასტერი რკონი გამხდარა.

შერყეული ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ საეკლესიო მიწების გამოყენებით სცადა: შეწირული საეკლესიო მიწების ნაწილი სახელმწიფომ უკან დაიბრუნა და დაურიგა იგი როგორც საშუალო, ისე წვრილ ფეოდალებს.

როგორც ნათქვამი გვაქვს, ამ საერთო გაჭირვების ჟამს ეკლესიას შედარებით უკეთესი მატერიალური მდგომარეობა ჰქონდა. მონღოლები ამ პერიოდში რელიგიის დაწესებულებებს შეღავათებს აძლევდნენ. ქართველი ჟამთააღმწერლის ცნობის თანახმად, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ნიკოლოზი (1247/1248—1282) ურდოში გამგზავრებულა, რომელსაც ყაენისაგან ეკლესიის დაცვის იერლაყი (სიგელი) მიუღია. „დაცვა" გულისხმობდა არსებული საეკლესიო შეუვალობისა და პრივილეგიების დამტკიცებას ყაენის მიერ. ყაენის ეს სიგელი ეხებოდა: „მცხეთას" (საპატრიარქოს), „საყდრებს" (საეპისკოპოსოებს) და „მონასტრებს" თავ-თავიანთი ყმა-მამულითურთ[1].

უკვე 1254 წლის საყოველთაო აღწერისას, როგორც წყაროები ერთხმად მიუთითებენ, მონღოლებს ეკლესია და მისი მსახურნი საგადასახადო დავთარშიც არ შეუტანიათ. ქართველი ჟამთააღმწერელი წერს: „ხოლო ხუცესთა და მონაზონთა და საეკლესიოთა განწესებათა არა შეაგდო საზღავი, არცა ყალანი, ეგრეთვე შიხთა და დავრიშთა და ყოვლისა სჯულისა კაცნი საღმრთოდ განჩენილნი განათავისუფლნა"[2]. სომეხი ისტორიკოსი კირაკოს განძაკეციც ამასვე გვამცნობს: „ეკლესიის მსახურთაგან არ იღებდნენ არავითარ ხარკს[3]". საინტერესოა რუსეთის მაგალითიც: 1257 წლის ერთ რუსულ მატიანეში ვკითხულობთ: „აღწერეს სრულიად რუსეთის ქვეყანა. მხოლოდ არ აღწერეს ვინც ეკლესიას ემსახურება". მეორე ნუსხაში: „მხოლოდ არ აღწერეს იღუმენები, მონაზონნი, მღვდლები, კლირონი ვინც ჰვრეტს ღვთისმშობელსა და უფალს"[4]. არც ეკლესია რჩებოდა ვალში და ის გულმოდგინედ ქადაგებდა მონღოლების ღვთისაგან მოვლინებულობას, რასაც თვით მონღოლები ავალდებულებდნენ გადა-

---

[1] ქ. ცხ., II, გვ. 224.

[2] იქვე, გვ. 234 — 235.

[3] კირაკოს განძაკეცი, დასახ. ნაშრ., გვ. 350 (იხ. ზემოთ).

[4] Б. Д. Греков, А. Ю. Якубовский, Золотая Орда и ее падение, 1950, с. 218, 223.

სახადებისაგან განთავისუფლების სამაგიეროდ[1]. მონღოლთა ინდიფერენტიზმი უცხო რელიგიისადმი და კულტის მსახურთადმი შემწყნარებლობა, უეჭველია, თვით მონღოლთა ეროვნული რელიგიის განსაკუთრებული ხასიათითაც აიხსნებოდა, რომელიც ამ პერიოდისათვის არ გულისხმობდა სხვა რელიგიებთან დაპირისპირებას: მონღოლთა რელიგია შუა აზიის ხალხთა რწმენების ნარევს წარმოადგენდა[2], ხოლო ჩინგიზ ყაენის იასაღში კი პირდაპირ ნათქვამი იყო: მონღოლს უნდა ეშინოდეს ყველა ღმერთისა და პატივს სცემდეს მას.

მცხეთის საკათალიკოსო ეკლესია 1254 წლიდანვე იყო განთავისუფლებული სამონღოლო ვალდებულებებისაგან, მათ შორის ყალანისგანაც, მაგრამ ზოგ საეკლესიო საფეოდალოს შემდეგში დაუკარგავს თავისუფლება. მაგ., გარეჯის უდაბნოებმა მხოლოდ მეფე დიმიტრის (1271—1289) დროს მიიღო სამონღოლო მალისა და ყალანის შეუვალობა[3].

ამ საყოველთაო ეკონომიკური დაცემულობის ჟამს მკვეთრად გამოჩნდა ის საგრძნობი განსხვავებულობა, რაც ეკლესიასა და მოსახლეობის დანარჩენ ნაწილს შორის არსებობდა. ამასთან, შეუვალობის მქონე უზომოდ გაზრდილი საეკლესიო მიწისმფლობელობა სახელმწიფოს კეთილდღეობის საფრთხედ იქცა როგორც ეკონომიკურად, ისე სოციალურად.

დაცარიელებული მამულები და ჩალისფასად გაყიდული მიწები ეკლესიას უვარდებოდა ხელში. მათი მოშენება-აყვავებისათვის მას სახსრები შედარებით უხვად ჰქონდა. მსახურეულ საშუალო და წვრილ ფეოდალთა დიდი ნაწილის მიწები ეკლესიის ხელში მოექცა, რითაც შემცირდა სახელმწიფო მიწის ფონდი, მეფეს აღარ გააჩნდა წყალობად გასაცემი მიწები. სახელმწიფოსათვის საზარალო იყო გლეხობის გაღატაკება, რომელიც სახელმწიფოს მატერიალური სიძლიერის მთავარ წყაროს წარმოადგენდა. აი, ყოველივე ამის გამო ცენტრალურმა ხელისუფლებამ, როგორც ვთქვით, შერყეული მდგომარეობის გამოსწორების მიზნით მიმართა ეკლესიისათვის მიწების ჩამორთმევას.

აღსანიშნავია, რომ ვიდრე მეფე ამ ღონისძიებას ოფიციალურად მიიღებდა, ფეოდალურ წრეებს მანამდეც დაუწყიათ თავიანთი მამულების

---

[1] Б. Д. Греков, А. Ю. Якубовский, Золотая Орда и ее подение, с. 223. ქართული თარგმანი ციტირებულია ი. ცინცაძის ნაშრომიდან „მონღოლები და მონღოლთა დაპყრობები", 1960, გვ. 190.

[2] მონღოლები, როგორც იმ დროის დამკვირვებლები მოგვითხრობენ, აღიარებდნენ სამყაროს შემოქმედად ერთ ღმერთს, რომელიც მათ სულის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი. ამავე დროს, თაყვანს სცემდნენ უამრავ ღვთაება-კერპებს: მზეს, ცას, მთვარეს, წყალს, ცეცხლს... სწამდათ ჯადოქრობა, გარდაცვლილ ყაენთა სულები, ჰყავდათ შამანები.

[3] ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, გვ. 127.

უკუგამოწირვა[1]. საინტერესო აქ ის არის, რომ უკუგამოწირვის მიზეზად ყოველთვის შემწირველის მატერიალური გაღარიბება არის დასახელებული[2].

იმ დროის წყაროებში საკმაოდ მოიპოვება ცნობები, რომლებშიც გარკვევით ჩანს, თუ როგორ და რა პირობებში მოახდინა საქართველოს ხელისუფლებამ ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიების განხორციელება[3].

ჩვენამდე მოღწეულია საეკლესიო კრების დადგენილება-მემორანდუმი, რომელიც ეკლესიას მეფისათვის წარუდგენია ხსენებული ღონისძიების საპროტესტოდ[4]. ეს დოკუმენტი, როგორც გამორკვეულია, დაახლოებით 1263 წელსაა შედგენილი და ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა ამ საკითხის ისტორიისათვის.

გამორკვეულია, რომ ამ საქმის ინიციატორი ყოფილა საქართველოს იმდროინდელი მთავრობის თავმჯდომარე, ვაზირთა უპირველესი მწიგნობართუხუცესი ბასილ ჭყონდიდელ-უჯარმელი. გამოწირვა ეხებოდა მხოლოდ ისეთ მამულებს, რომლებიც ძველი მეფეებისაგან იყო შეწირული. მეფე ახალ მფლობელებს ამ მამულებს სათანადო სიგელით უფორმებდა, რითაც მათ უფლებიანობას კანონიერსა და ხელშეუვალს ხდიდა. ეკლესიის წინააღმდეგ ასეთი მოქმედებისას მეფე გამოდიოდა ქართული სამართლის იმ სამამულო იურიდიული ნორმიდან, რომლის მიხედვით მეფისაგან მინიჭებული ყოველგვარი მემკვიდრეობითი უპირატესობა, წყალობა, შეწირულება და ა. შ. ხელახლა უნდა დაემტკიცებინა ყოველ ახალ მეფეს. მასვე შეეძლო, როგორც უმაღლეს მესაკუთრეს, კანონიერი მიზეზით უკან წაეღო ნაწყალობევი. ამგვარად, მეფე ულუ დავითს იურიდიულად სრული უფლება ჰქონდა ძველ მეფეთა ზოგი სიგელი არ დაემტკიცებინა ეკლესიისათვის.

ეკლესიამ გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწია მეფის ამ ღონისძიებებს, მან ახალ მფლობელებს მოსთხოვა მიღებული ქონების უკან

---

[1] მაგალითად, 1259 წლის რკონის საბუთში დასახელებულია ასეთის ჩამდენი ორა პიროვნება; 1260 წლის ძაგან აბულეთის ძის საბუთში კი გაფრთხილებაა, „არავინმა გამოწიროსო" და სხვ.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 60, 70.

[3] საკითხი სათანადო სისრულითაა შესწავლილი ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს ნაშრომებში: სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში XI—XIII სს-ში, ქართველი ერის ისტორია, III, 1966, მეორე დამატება; ქართველი ერის ისტორია, 1941, გვ. 77—84.

[4] ტექსტი გამოაქვეყნეს: თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა მ, ქრონიკები, II, 1897, გვ. 162—166; გ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ მ ა, ულუ დავითის დროინდელი საეკლესიო კრების დადგენილება, საისტორიო მოამბე, 1925, I, გვ. 219—224; აქედან შესწორებებით გადაბეჭდა ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ მ ა, სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში, 1934, გვ. 41—45.

დაბრუნება, მაგრამ მათ ხომ ხელისუფლებისაგან დამტკიცებული დოკუმენტები ჰქონდათ. მათზე ვერც წყევლა-შეჩვენებამ გასჭრა, რადგან ისინი ასეთ „უკანონო სასჯელს“ მეფესთან ასაჩივრებდნენ. ამის შემდეგ ეკლესიის მესვეურთ კრება მოუწვევიათ და მეფისათვის მემორანდუმი წაუყენებიათ, სადაც კატეგორიულად ითხოვდნენ მიწების დაბრუნებას. ისინი მემორანდუმში წერდნენ, რომ, თუ ხელისუფლება თხოვნას შეასრულებდა, ეკლესია ამიერიდან უარს იტყოდა შეუვალობაზე და იკისრებდა როგორც მონღოლურ გადასახადებს, ისე სახელმწიფო გადასახადებს. მთავრობაზე ზემოქმედებისათვის ეკლესიის მესვეურთა ხელში მხოლოდ მორალურ-რელიგიური საშუალება იყო და მათაც მისთვის მიუმართავთ. მაგალითად, ეკლესიის ქონების ხელშეუხებლობას ისინი ამტკიცებდნენ საღვთო წერილის სიტყვებით და ბოლოს, რაკი გრძნობდნენ, რომ ამ საბუთს შეიძლება არავითარი შედეგი არ გამოეღო, უფრო უკიდურესი ღონისძიებების გატარებით იმუქრებოდნენ: მეფეს გამოუცხადეს, რომ დაკეტავდნენ ეკლესიებს და ყოველგვარ საეკლესიო მღვდელმსახურებას შეწყვეტდნენ.

ეს ბრძოლა ეკლესიის დამარცხებით დამთავრდა, ეკლესიამ ვერ შეძლო მეფის პოლიტიკის შეცვლა და ვერც თავისი მუქარა განახორციელა. მაგრამ გაბოროტებულმა ეკლესიამ ჯავრი ამ საქმის მეთაურ ბასილ უჯარმელზე იყარა. ბასილ უჯარმელი მეფის ბრძანებით ჩამოახრჩვეს და, როგორც საბუთებიდან ირკვევა, ეს საქმე ეკლესიის ფარული ინტრიგის შედეგად მომხდარა.

საყურადღებო ფაქტია, რომ ამ დიდ ბრძოლებში მოსახლეობის სიმპათიები მეფისა და მისი უპირველესი ვაზირის ბასილის მხარეზეა. ხალხი კარგად ხედავდა ეკლესიის გაუმაძღრობას, რომ ეკლესია სრულიადაც არ ფიქრობდა გაეღო მსხვერპლი საერთო საქმისათვის. ყოველივე ამის გამო, ბუნებრივია, რომ ხალხს გული აეცრუებინა ეკლესიაზე და მათ მსახურთ დაუნდობელი მხილებითა და დაცინვითაც კი გამასპინძლებოდა. ამას თვით ეკლესიაც არ მალავდა და მეფეს მემორანდუმში შესჩიოდა.

გაბოროტებული ეკლესია გესლიანი ლანძღვით უმასპინძლდებოდა ამ საქმის მეთაურთ: ბასილი ხომ, როგორც ვთქვით, ბოლოს მათი ფარული ინტრიგის მსხვერპლი გახდა, ხოლო მეფე დავით ლაშას ძე ეკლესიების მომშლელად და დამაქცევლად გამოჰყავდათ.

მეტად დამახასიათებელია ერთი ნაგვიანევი საბუთის ცნობა, საიდანაც ვგებულობთ, რომ მეფე დავით ლაშას ძეს ეკლესიისათვის ნება დაურთავს გამოესყიდა ახალი მეპატრონისაგან ეკლესიის ყოფილი მამული, თუკი ამის თანახმა თვით ეს ახალი მეპატრონე იქნებოდა. გამოსასყიდ თანხას კი, როგორც ჩანს, ძალიან დიდს, თვით მეფე აწესებდა. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ცენტრალური ხელისუფლება

ამ შემთხვევაში იცავდა მემამულე-ფეოდალთა ინტერესებს ეკლესიის საპირისპიროდ. მაგალითად, 1355 წლის საბუთში მოთხრობილია ასეთი გამოსყიდვის ერთ-ერთი კონკრეტული ამბავი[1].

ეკლესიის მამულების დარიგებამ არსებითი გავლენა მაინც ვერ მოახდინა ქვეყნის მდგომარეობაზე, რადგან წონასწორობის დამრღვევი ფაქტორები — ბატონყმური ექსპლოატაციის გაძლიერება, მონღოლური სამხედრო ბეგარა და ხარკი, მონღოლ-მომთაბარეთაგან სამიწათმოქმედო ტერიტორიების მიტაცება — არამცთუ ნელდებოდა, შემდეგში უფრო ძლიერდებოდა.

მონღოლთა მფლობელობის ეკონომიკურ შედეგებს XIII ს. 70-იანი წლების დასასრულისათვის კიდევ უფრო თვალსაჩინოდ ხალხთა მეორე აღწერის მასალები წარმოგვიდგენს. მონღოლებს 1278 წელს არღუნის მეთაურობითვე თავიანთი საბრძანებელი, მათ შორის საქართველოც, ხელმეორედ აღუწერიათ, რათა გაეგოთ „თუ ვითარი ქვეყანა აღშენდა გინა აოხრდა". აღწერამ გამოარკვიაო, გვეუბნება ქართველი ჟამთააღმწერელი, რომ საქართველოს „უმრავლესნი მოოხრებულ იყო, უმეტესად ჰერეთი და კახეთი"[2].

ასე მეტყველად მონღოლთა მფლობელობის დახასიათება შეუძლებელია. მაგრამ საქმე ის იყო, რომ ქვეყნის დაცემის პროცესი ვერც შემდეგში შენელდებოდა, რადგან დამპყრობლის ბატონობა კიდევ უფრო მეტი სიმწვავით გრძელდებოდა.

ბ. შინაპოლიტიკური ვითარება

მონღოლთა მფლობელობის პერიოდში ქართული ფეოდალური ცენტრალიზებული სამეფო თანდათან დასუსტებასა და დაშლას იწყებს. საამისო პირობებს, უპირველეს ყოვლისა, მონღოლური მმართველობითი სისტემა ქმნის; ამას ხელს უწყობს ქვეყნის გამაერთიანებელი ძალების (ქალაქების, ეკონომიკის...) დაცემა, რაც აგრეთვე მონღოლთა ბატონობის უშუალო შედეგი იყო. ამგვარს სიტუაციაში ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის სამამულო სისტემაც უკვე ქვეყნის დაშლის (ფეოდალთა პოლიტიკური განკერძოებულობის) სოციალურ ფაქტორად იქცა.

როგორც ვნახეთ, საქართველომ მონღოლთა შემოსევების ჟამს ვერ მოახერხა მტერზე გაერთიანებული ძალებით იერიში, მონღოლებმა თითოეული მხარე ცალ-ცალკე დაიპყრეს და, ამდენად, მმართველებთან

---

[1] ქრონიკები, II, გვ. 185.

[2] ჟ. ცხ., II, გვ. 274.

(მთავრებთან) მორიგება და მათი უფლებების აღიარება სეპარატულად მოახდინეს. ეს იყო პირველი, უპრეცედენტო მაგალითი საქართველოს ერთიანი მონარქიის არსებობისას, როცა მეფის გარეშე ხდებოდა ხელქვეითი მოხელე-მთავრების პოლიტიკური უფლებების ცნობა. ცხადია, ამან ეროვნული ცენტრალური ხელისუფლების გავლენა სერიოზულად შელახა.

მონღოლთა სახელმწიფო სამხედრო-ფეოდალურ არისტოკრატიას ეყრდნობოდა და, ბუნებრივია, თუ დაპყრობილ ქვეყნებშიც ისინი ასეთ წრეს აძლევდნენ უპირატესობას. მთავართა უფლებების ზრდა ამ პერიოდის დამახასიათებელი მოვლენაა.

ჯერ კიდევ უმეფობის პერიოდში მონღოლებმა ქვეყნის მართვა-გამგეობა მთავრებს ჩააბარეს (დუმნებად დაყოფა). ამ დროს, წყაროს მიხედვით, „თვითეული თავისა თვისისათვის განაგებდა და ზრუნვიდაო"[1]. ამას ისიც მოჰყვა, რომ ერთ-ერთმა დუმნისთავმა, ეგარსლან ბაკურციხელმა, თავისი სიძლიერით მეფურ გავლენას მიაღწია[2]. შემდეგში მეფობა თუმცა აღდგა, მაგრამ მონღოლებმა მეფე სუსტი და ფაქტიურად უფლებამოკლებული გახადეს. ცენტრალური ხელისუფლების დაცემასა და ქვეყნის ერთიანობის მოშლას მკაფიოდ გვამცნობს ქართველი ჟამთააღმწერელი: „მეფე შემცირებულ არს მძლავრებისაგან თათართასა და კუალად პირნი და მთავარნი საქართველოსანი განდგომილ არიან"[3].

მონღოლთა ხშირ ლაშქრობებში იძულებითი მონაწილეობის გამო ქართველი მეფე, როგორც ვნახეთ, უმეტესად სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ იმყოფებოდა, ამასთან, სიბაზე დგომის ვალდებულებაც მის სამეფო საქმეებს ხანგრძლივად სწყვეტდა. ყოველივე ეს საგრძნობლად ასუსტებდა მეფის ძალაუფლებას.

ქართულ წყაროში აღწერილია, თუ მეფის არყოფნის დროს როგორ ცდილობდნენ მთავრები სრულიად გამოყოფოდნენ ცენტრს და დამოუკიდებლად ეცხოვრათ. როდესაც მეფე ულუ დავითი დიდი ხნით ურდოში იმყოფებოდა, ერთ-ერთმა მთავართაგანმა, პანკისის ერისთავმა თორღუამ, რომელიც კახეთის მმართველად იყო დანიშნული, „ჰგონა... არღარა მოსვლა მეფისა, უკუდგა პანკისის ციხესა და თვისად დაიჭირა კახეთი"[4]. „თვისად დაჭერა" აქ სახელო ტერიტორიის (კახეთი პანკისის საერისთავოთი) გასაკუთრებას ნიშნავდა, ე. ი. პატრონისაგან (მეფისაგან) ყმა-ვასალის (ერისთავის) განთავისუფლებას. ასეთ „თვისად" დაჭერილ

---

[1] ქ. ცხ., II, გვ. 207, 224.
[2] იქვე, გვ. 211, 222.
[3] ჟამთააღმწერელი, ქ. ცხ., II, გვ. 219.
[4] იქვე, გვ. 230.

ქვეყანაში ერისთავი (მთავარი), რა თქმა უნდა, სრული ბატონ-პატრონია. მეფე, ცხადია, ებრძვის ასეთ განდგომილ მოხელე-ფეოდალს და შესაძლებლობის შემთხვევაში ფიზიკურადაც უსწორდება მას: მეფე დაბრუნდა თუ არა საქართველოში, თორღუა სიკვდილით დასაჯეს[1]. თორღუას მაგალითი სამეფოს დაშლის უტყუარი ნიშანი იყო, რომელიც მომავალში უთუოდ გაფართოვდებოდა, თუ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება არ შეიცვლებოდა.

საქართველოს იურიდიული დამოკიდებულება დამპყრობელ მონღოლებთან, როგორც უკვე ვიცით, განსაზღვრული იყო ვასალური ფორმით. ამგვარად, ქართველ ადგილობრივ დიდებულ-მთავრებს უზენაეს სიუზერენად მონღოლი ყაენი მოევლინა, რომლის მსახურებადაც (არიერვასალებად) ისინი იქცნენ. მთავართა ურთიერთობაში ყაენი ხშირად მეფის გვერდის ავლით მოქმედებდა. მეფის უფლებები იმდენად შეიზღუდა, რომ მას ყაენის შიშით არ შეეძლო დაესაჯა ან თანამდებობიდან გადაეყენებინა ურჩი მოხელე. ფრიად დამახასიათებელია ჟამთააღმწერლის მიერ ულუ დავითის მეფობის ასეთი შეფასება: „მთავარნი და ერისთავნი ვერ სცვალნის შიშისათვის ყაენისა"[2] ან „უმრავლესნი წარვიდეს და მსახურებდეს ყაენსა, რამეთუ ვერცა დავით მეფემან სწუართნა ერისთავნი, შიშისათვის ყაენისა"[3].

ყაენს შეეძლო გაეუქმებინა კიდეც მეფის ღონისძიებანი ამა თუ იმ მთავრის წინააღმდეგ. ასე მოხდა სარგის ჯაყელის მიმართ, რომელიც მეფემ დააპატიმრა, ყაენმა კი გაათავისუფლა და მეფის უფლებას სულაც ჩამოაშორა. ქართველი მეფე თავის მთავრებს ვერ დაუშლიდა ყაენის სამსახურს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს სამსახური მის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. ასე მოხდა, როგორც ვნახეთ, ულუ დავითის აჯანყების დროს, როცა ქართველ მთავართა ერთი ნაწილი თავისი ნებით დამპყრობელს მიუვიდა და მეფის წინააღმდეგ ბრძოლებშიც მიიღო მონაწილეობა.

ადგილობრივ ფეოდალ-მთავრებთან დამოკიდებულებაში ყაენი ეყრდნობოდა იმ წრეებს, რომლებიც მასთან ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ, კარგად ეგუებოდნენ დამპყრობლის პოლიტიკას და ყოველგვარი სარგებლობის მოლოდინში მისთვის ერთგულ სამსახურს არ იშურებდნენ. ცხადია, მონღოლები იმასაც ითვალისწინებდნენ, რათა მთავართა შორის უთანხმოება და ქიშპი მუდმივ არსებულიყო, რომ ისინი არ შეკავშირებულიყვნენ ერთ ძალად. ყაენის პოლიტიკაში შედიოდა ქართველ მეფეთა

---

[1] ქ. ცხ., II, გვ. 231.
[2] იქვე, გვ. 256.
[3] იქვე, გვ. 268.

ერთგული თანამებრძოლების გადმობირებაც. ყოველივე ამას მონღოლი ყაენები შეწყალების საშუალებით აღწევდნენ და ეს შეწყალება ნ. ბერძენიშვილის გამოთქმით, ქართული ფეოდალური სისტემის სწორედ ის აქილევსის ქუსლი იყო, რომელსაც კარგად მიაგნეს მონღოლებმა[1].

წყაროებში არაერთი კონკრეტული შემთხვევაა დასახელებული და აღწერილი, როცა ყაენი მეფის ინტერესების საწინააღმდეგოდ და მისი გვერდის ავლით ახდენს მთავართა განდიდებას. შეიძლება დავასახელოთ სამცხის მთავარი სარგის ჯაყელი, რომელსაც ჩრდილოეთ ურდოსთან ბრძოლაში თავის გამოჩენისათვის ჰულაგუ ყაენმა უზარმაზარი სამფლობელო „კარნუ ქალაქი და მიმდგომი მისი ქვეყანა უბოძა იერლაყითა"[2]. მეფე წინ აღუდგა მისი ყმის ესოდენ გაძლიერებას იმ სამართლიანი მოტივით, რომ ასეთი ყმა მას აღარ დაემორჩილებოდა. ამჯერად ყაენმა ვითომ ყურად იყო მეფის უკმაყოფილება და სარგისს უკან გამოართვა ნაბოძები ქვეყნები (სამაგიეროდ, ამით მეფეს გაუორგულა ერთგული ყმა), მაგრამ შემდეგ, 1266 წელს, სარგის ჯაყელი „ხ ა ს-ი ნ ჯ უ დ" შეიწყალა, ე. ი. სარგისი მეფე-პატრონს მთელი სამთავროითურთ (სამცხით) სულ ჩამოაშორა (ასეთი ხასობა მიიღეს სხვა მთავრებმაც: ელიგუმ ორბელმა, სადუნ მანკაბერდელმა და ზოგმა დიდმა ვაჭარმა). ხასის სისტემა ძირს უთხრიდა საქართველოს პოლიტიკურსა და ეკონომიკურ მთლიანობას.

ი ნ ჯ უ ს მ ი წ ე ბ ი (ყაენისა და მისი სახლის წევრთა საერთო საკუთრებაში მყოფი) ამორიცხული იყო „დივნის" (სახელმწიფოს) მიწების ფონდიდან. ასევე ამორიცხული იყო „დივნის" ფონდიდან „ხ ა ს ი" მ ი წ ე ბ ი (ყაენის პირად საკუთრებაში მყოფი). ეკონომიკურად ეს იმას ნიშნავდა, რომ „ინჯუ ი ხასსად" შეწყალებული ფეოდალის სამფლობელოში „დივნის" მოხელენი, ხარკის ამკრებნი ვერ შეეიდოდნენ. თუ გავითვალისწინებთ მონღოლთა მფლობელობის სიმძიმეს, რაც ხარკის აკრეფის მოუწესრიგებლობაშიც იხატებოდა, ადვილი წარმოსადგენია, რა უპირატესი მდგომარეობა უნდა ჰქონოდათ ასეთ ხასს მამულებს. მართლაც, ფაქტები მოწმობენ, რომ მონღოლთა გამაპარტახებელი ბატონობის ჟამს ხასი ქვეყნები გარკვეულად ინარჩუნებდნენ მაღალ ეკონომიკურ მდგომარეობას.

მაგრამ საქმე ისაა, რომ ასე ხელოვნურად დარღვეული ეკონომიკური წონასწორობა, რასაც მონღოლური ხასის ინსტიტუტი იწვევდა, დამღუპველად მოქმედებდა ფეოდალური მეურნეობის საერთო განვითარებაზე. დაღარიბებული და გადასახადებისაგან შევიწროებული მწარმოებელი საზოგადოება არახასს ქვეყნებს ტოვებდა და თავშესაფარს ასეთ მხარეში

---

[1] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, 1966, გვ. 93.
[2] ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ქ. ცხ., II, გვ. 250.

ეძებდა. ყმა გლეხებისაგან დაცლილი მიწები კი, რომლებზეც გადასახადი და სამსახური კვლავ იგივე რჩებოდა, ზედმეტ ტვირთად აწვებოდა მემამულეს. გულაცრუებული მემამულე ჩალის ფასად ჰყიდდა მათ, რომელთაც ხალისით ყიდულობდა ხასი მემამულე. ასე, ერთმანეთის გვერდით ერთის მეურნეობა ძირფესვიანად ითხრებოდა, მეორესი კი შენდებოდა. ირღვეოდა მხარეთა შორის საუკუნეობრივად გამომუშავებული სამეურნეო დარგების ბუნებრივი განაწილება და ა. შ. ხასის მეზობელ მხარეებს ისიც აპარტახებდა, რომ ხასად ქცეულის ამორიცხვა „დივნის“ დავთრიდან არ იწვევდა „დივნის“ შემოსავალში გადასახადთა შესაბამისად ამორიცხვასაც, არამედ იგი სხვა დარჩენილ ერთეულებს ემატებოდა.

ხასი ფეოდალი, რომელიც ეკონომიკურად რომელიმე მონღოლი ყაენის თუ უფლისწულის საკუთრებას შეადგენდა, ბუნებრივია, პოლიტიკურადაც ფართო დამოუკიდებლობით სარგებლობდა. ასეთ ვასალზე მეფის უმაღლესი პოლიტიკური უფლებები ძალზე შეზღუდული და არსებითად გაუქმებულიც იყო; ამრიგად, ხასობა საზიანო მოვლენას წარმოადგენდა ქართული სახელმწიფოს მთლიანობისათვის.

ცენტრის დასუსტებისა და პროვინციებში ხელისუფალ-ფეოდალთა (მთავართა) გაძლიერების უტყუარი ნიშანი იყო ცენტრალური აპარატის, სავაზიროსა და ვაზირთა ხელის შესუსტება. მარტო ის ფაქტიც ბევრის მთქმელია, რომ ამ პერიოდის ამსახველ წყაროებში ვაზირის ტიტულით შედარებით იშვიათად იხსენიებიან დიდი მთავრები (მათ ვაზირობა და ერისმთავრობა ერთად ჰქონდათ). სამეფო კარზე სამოქალაქო და სამხედრო საქმეების მესაჭეებად ხშირად ვხედავთ არა მაღალ ვაზირებს, ვისი მოვალეობაც იყო ეს (მწიგნობართუხუცესი, ამირსპასალარი...), არამედ დროით დაწინაურებულ, მონღოლთა მფარველობით განდიდებულ პირებს, მეორეხარისხოვან მოხელეებს (ათაბაგს, დიდვაჭრებს, მესტუმრეს...).

ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებისა და სამეფოს დაშლის მძლავრი ტენდენცია ნოყიერ ნიადაგს ადგილობრივ ქართულ ფეოდალურ სისტემაში პოულობდა. ცხადია, ეს შინაგანი საფუძველი რომ არა, მონღოლთა ბატონობის გავლენა ღრმა ვერ იქნებოდა. შეწყალების სამამულო სისტემა (ერთგული სამსახურის პირობით თანამდებობისა და ტერიტორიის მემკვიდრეობითი მფლობელობა) არსებულ პირობებში, როდესაც ცენტრი დასუსტებული და ქვეყანა ეკონომიკურად დაცემულია, აადვილებდა პირობითი სამამულო მფლობელობის გადაქცევას უპირობო მფლობელობად, ანუ ადვილდებოდა მოხელე-ფეოდალი გადაქცეულიყო სამმართველო ტერიტორიის თუ ნაწყალობევ მიწა-წყლის უმაღლეს პატ-

რონად, ალოდიალურ მესაკუთრედ, როცა სიუზერენთან ყმობა (ვასალობა) წმინდა ფიქციად იქცეოდა ან სულაც ისპობოდა[1].

3. სამცხის სამთავრო XIII ს. მეორე ნახევარში

მეფე-სიუზერენს ჩამოშორებული ერთ-ერთი ასეთი მოხელე-ფეოდალი იყო სარგის ჯაყელი მეჭურჭლეთუხუცესი, სამცხის მთავარი და სპასალარი, რომელმაც ყაენის ხელშეწყობით მიაღწია ამას: 1266 წლიდან მისი სამთავრო ხასინჯად იქცა, თვითონ უშუალოდ დაექვემდებარა ყაენის სამმართველოს. სამთავროს საზღვრებში ერთიანდებოდა საქართველო ტაშისკარიდან კარნუ-ქალაქამდე (კარინამდე): სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, კოლა, არტაანი, ჯავახეთის ნაწილი. ასევე ვრცელი დარჩა ის სარგისის შვილის ბექას ერთმმართველობაშიც: საზღვარი მიდიოდა შავ ზღვამდე სპერის ჩათვლით, მას შეუერთდა ჭანეთიც, რომელიც ბექას ტრაპიზონის მეფემ გადასცა. სამცხის მთავრების პოლიტიკური დამოკიდებულება მონღოლებთან ხარკის გადასახადსა და ჯარით შეწევნაში გამოიხატებოდა[2].

სამცხის სამთავრო თავისი შედარებით უკეთესი ფიზიკურ-ეკონომიკური მდგომარეობით აშკარად გამოირჩეოდა საქართველოს დანარჩენი ნაწილებისაგან. ხასობამ და ყაენთაგან უშუალო მფარველობამ ხელი შეუწყო ცხოვრების მაღალი დონის შენარჩუნებას. ეკონომიკურ სიძლიერესა და მოსახლეობის მომრავლებას მოწმობდა აქ ეკლესია-მონასტრების ინტენსიური მშენებლობა, ახალი სოფლების გაჩენა[3]; დაწინაურებული სამცხე იზიდავს შიმშილობით განაწამებ ხალხს საქართველოს სხვა მხარეებიდან. შეინიშნებოდა მოსახლეობის ზრდა ამ გზითაც, რაც, როგორც უკვე ვთქვით, არღვევდა მხარეთა შორის მწარმოებელი საზოგადოების ბუნებრივი შესაბამისობით განაწილებას და სხვ.

XIII ს. მიწურულს ბექა სამცხის მთავარმა შეადგინა კანონები („წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველთავე"), რომელსაც უნდა მოეწესრიგებინა ახალ ვითარებასთან შეფარდებით ქვეყნის სამართალი.

სამცხის მთავრები, სარგისიდან მოყოლებული, წარმატებით იგერიებდნენ თურქი ტომების შემოსევებს. ბექას დროს სამთავროს ტერიტო-

---

[1] საქართველოს დაშლის სოციალური საფუძვლები (მათ შორის ქართული ფეოდალური სამამულო სისტემა) განხილულია ქვემოთ, სადაც ვეხებით ახალი ტიპის მსხვილი მამულების წარმოქმნის საკითხს.

[2] ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ქ. ცხ., II, გვ. 273, 304.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 273.

რიაზე შემოჭრილმა თურქებმა მოაოხრეს ბასიანი და ტაო, ტაოს ადგილობრივი ერისთავი ზაზა ფანასკერტელი ურიცხვ მტერს ვერ მოერია. მტერმა საზამთროდ დაბანაკებაც მოასწრო, ზაფხულში კი პარხლის მთებში დაიდო ბინა, საიდანაც განზრახული ჰქონდა სამცხისა და ქართლის მოოხრება. ბექამ 12000 მეომრის შეგროვება შეძლო, მტერს ვაშლოვანთან შეება და გააქცია. თურქები გამოდევნეს ქ. სპერიდანაც. მართალია, ამჯერად მტერი მოგერიებულ იქნა, მაგრამ ეს ამბები აშკარად მოწმობდნენ, რომ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის საზღვრებზე მეტად საშიში ძალა ძლიერდებოდა. საჭირო იყო დროულად ზომების მიღება, რაც მხოლოდ გაერთიანებულ და დამოუკიდებელ საქართველოს შეეძლო. იმხანად კი, ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების დასუსტების გამო, ამის განხორციელება შეუძლებელი ჩანდა. სამცხის განცალკევებული ბრძოლები მტერს ათამამებდა და მას დამხვდურთა სისუსტეში არწმუნებდა.

სამცხის მთავრები აღარც თვლიდნენ საჭიროდ საქართველოს საერთო საქმეში მონაწილეობას. დავით დემეტრეს ძემ ბექა ჯაყელი თბილისში მოიხმო სხვა მთავრებთან ერთად საერთო საქმეზე სამსჯელოდ, მაგრამ ბექამ „არა ინება მოსლვად რამეთუ ფრიად განდიდებულ იყო“[1].

დ. დასავლეთ საქართველო XIII ს. მეორე ნახევარში

მას შემდეგ, რაც აჯანყებული ნარინ დავითი ლიხთიმერეთში გადავიდა, საქართველოს ეს ნაწილი მონღოლთა ბატონობას, და ამასთან ერთად ერთიან საქართველოს, გამოეთიშა. მონღოლები, ცხადია, ყოველი შესაძლებლობისთანავე შეეცდებოდნენ ურჩი ხელქვეითი ქვეყნის დასჯას. ამიტომაც ნარინ დავითი წინდახედულად იქცეოდა. მას მოსამზადებელი დროც საკმარისი ჰქონდა: ირანის ილხანები ეგვიპტის წინააღმდეგ დიდი ომის სამზადისით იყვნენ გართულნი, ამასთან ჩრდილოეთის ურდოსთან მარცხიანი ბრძოლებიც თანდათან ხშირდებოდა. პოზიციების გამაგრების მიზნით ნარინ დავითი ილხანების მტრებთან ამყარებს დიპლომატიურ კავშირებს და მათ საომარ დახმარებასაც უწევს.

როგორც უცხოური წყაროები გვამცნობს, ნარინ დავითი დაკავშირებია ეგვიპტეს, ილხანების ერთ-ერთ ძლიერ მოწინააღმდეგე ქვეყანას.

---

[1] ჟამთააღმწერელი, ქ. ცხ., II, გვ. 297. ზრდილობისათვის მან თავისი შვილი გაუგზავნა მეფეს. სამცხის სამთავროს ამ პერიოდის ისტორიას ეხება ა. კიკვიძის მონოგრაფიული ნაშრომი „სამცხის სამთავროს წარმოშობა საქართველოს ფეოდალურ მონარქიაში“, თსუ შრომები, XXXVII, 1949, გვ. 39—95.

1264/65 წლებში ნარინ დავითი საჩუქრებით დატვირთულ დესპანებს უგზავნის ეგვიპტის სულთანს ბეიბარსს; 1268 წელს ბეიბარსს ნარინ დავითისაგან წერილები მიუღია[1].

ლიხთიმერეთი აქტიურად ერეოდა საყაენოებს შორის ამტყდარ ბრძოლებში და მათ შინაურ უთანხმოებებშიც. ლიხთიმერეთში პოულობდნენ ილხანთა მოწინააღმდეგენი თავშესაფარს. სწორედ ილხანთა პოლიტიკური დასუსტების მიზნით იყო, რომ ნარინ დავითმა მისცა უზრუნველი თავშესაფარი ჩრდილოეთელ უფლისწულს თეგუდარს, აბაღა ყაენის დამხობის მომწყობს (ქართული წყარო საგანგებოდ აღნიშნავს თეგუდარის ლაშქრის შესანახად გაწეულ უზომო ხარჯს. ერთ ჯერზე დაუკლავთ: 500 ძროხა, 600 ცხენი, 2000 ცხვარი, ღორი. ღვინო კი განუზომლად ხმარდებოდათ უშუალოდ ჭურებიდან, ზოგიც ურმებით მოჰქონდათო). ნიშანდობლივია წყაროს მითითება თეგუდარისა და ნარინ დავითის დაახლოების შესახებ[2]. უეჭველია, ასეთი რამ მხოლოდ მიზნის ერთიანობას შეეძლო გამოეწვია. ნარინ დავითის კარზე ვხედავთ აგრეთვე აბაღა ყაენისაგან გამოდევნილ ვინმე ღალღურს[3].

მონღოლებს ნარინ დავითი საშიშ ძალად მიუჩნევიათ. ამიტომ იყო, რომ ისინი თხოვნა-საჩუქრებით ცდილობდნენ მასთან მოკავშირეობას, წინააღმდეგობის შემთხვევაში კი მის ცოცხლად შეპყრობასაც მონდომებით გეგმავდნენ.

როგორც ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, ღალღური და რაჭის ერისთავი კახაბერ კახაბერის ძე აბაღა ყაენთან გაპარულან და აღუთქვამთ მეფის შეპყრობა. ღალღურს ამით ყაენის შემორიგება სურდა, კახაბერი კი ნარინ დავითს ადრევე მტრობდა და მისადმი მორჩილებას ვერ ურიგდებოდა. გახარებულმა აბაღამ მოსულებს 30000 მონღოლი მეომარი გამოატანა. შეთქმულებმა გადმოიარეს თრიალეთი, ლიხის მთა და მეფეს ქუთაისში მოულოდნელად დაესხნენ. მეფე ამ დროს აბანოში ყოფილა და ნახევრად ჩაუცმელს ძლივს გაუსწრია. იმედგაცრუებული კახაბერი და ღალღური რბევა-თარეშით მიბრუნებულან ყაენთან. ორი წლის შემდეგ აბაღა ყაენს ისევ ამავე პირთა მეშვეობით უცდია მეფის ხელში ჩაგდება, მაგრამ ამაოდ[4]. მოთხრობილი ამბავი, როგორც ვარაუდობენ, 1270—1278 წლებს შორის მომხდარა. მონღოლებს მესამედაც ამავე რაჭის ერისთავის მეშვეობით მოუნდომებიათ მეფის შეპყრობა. კახაბერი, რომელიც

---

[1] თაკი ად-დინ აჰმედ იბნ ალი მაკრიზი, Histoire des Mamelauks de l'Egipte, trad. fr. Iivrais II, 1845, გვ. 18, 51.

[2] ჟამთააღმწერელი, ქ. ცხ., II, გვ. 261.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 268—269.

ნარინ დავითისაგან შეწყალებული ისევ დასავლეთ საქართველოში ცხოვრობდა, საიდუმლოდ შეკრულა აღმოსავლეთ საქართველოში მყოფ მონღოლ ნოინ ალიყანთან, რომლისთვისაც მას შეპყრობილი მეფე უნდა გადაეცა. განზრახვა გამჟღავნდა. გამოუსწორებელი შინაგამცემი კახაბერ კახაბერის ძე გახეიბრებით დაისაჯა, მისი მემკვიდრეები კი საქართველოდან კონსტანტინოპოლში გადაასახლეს[1].

სამხრეთ-დასავლეთით, ტ რ ა პ ი ზ ო ნ ი ს ს ა მ ე ფ ო ს თ ა ნ დავით ნარინის დამოკიდებულება ძველებურადვე ქართული გავლენის აღდგენასა და შენარჩუნებას გულისხმობდა. ამ შემთხვევაში დასავლეთ საქართველო სამართლიანად გვევლინება სრულიად საქართველოს წარმომადგენლის როლში, რომლის საგარეო კურსი შემუშავებული იყო არა უცხო ძალის კარნახით და მის სასარგებლოდ, არამედ საქართველოს საკუთარი პოლიტიკური ინტერესებით.

ტრაპიზონის სამეფო, რომელიც ძირითადად ქართველური ტომით, ლაზებით იყო დასახლებული, როგორც ვიცით, ჩამოყალიბდა. მაშინდელი ბიზანტიის ტერიტორიაზე (1204 წ.) საქართველოს მეშვეობით. მისი შემდგომი დამოუკიდებელი არსებობისათვის, ცხადია, იქ ქართული გავლენის შენარჩუნებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საქართველო ვერ დაუშვებდა ბიზანტიის ჰეგემონობას ტრაპიზონში, რადგან ეს ამ სამეფოს ფაქტიურ დაპყრობას ნიშნავდა. ამასთან, ტრაპიზონის სამეფოს გაუქმებით ბიზანტია უშუალოდ გაუმეზობლდებოდა საქართველოს, ხოლო მისი მეზობლობა, როგორც მოსაზღვრე მიწა-წყლის ანექსორისა, კარგად ჰქონდა გამოცდილი საქართველოს.

1244 წლიდან, როცა იკონიის სელჩუკიანი სულთანი მისი მოკავშირეებითურთ მონღოლებმა დაამარცხეს, კოალიციის წევრმა სახელმწიფოებმა, მათ შორის ტრაპიზონის სამეფომ, მონღოლების სასარგებლოდ ხარკის გადახდა იკისრეს. ამ გარემოებისა და მონღოლთაგან თვით საქართველოს დაპყრობის გამო, საქართველოს გავლენა ტრაპიზონში, რასაკვირველია, საკმაოდ შემცირდებოდა. ეტყობა, ამით ისარგებლა ბიზანტიის კეისარმა და ქართული ორიენტაციის სრულ აღმოფხვრას შეეცადა. ამ დასის წარმომადგენლებს ზოგს ფიზიკურად გაუსწორდა, ზოგი მაღალი თანამდებობიდან გადააყენა. თუმცა საქართველოს თავისი ჰეგემონობა უბრძოლველად არ დაუთმია, ისიც დროდადრო წარმატებებს აღწევდა, მაგრამ ამ ეტაპზე თუ იგი მყარ შედეგს ვერ ეწია, ეს მისი სამხედრო სისუსტით აიხსნებოდა.

ბიზანტიისა და საქართველოს ამ პოლიტიკურ ჭიდილში ყურადღებას იქცევს ბიზანტიის წარმატებისათვის ხელშემშლელი ერთი მეტად მნიშ-

[1] ჟამთააღმწერელი, ქ. ცხ., II, გვ. 275. კახაბერს თვალები ამოსწვეს, ცალი ხელი და ცალი ფეხი მოსჭრეს.

ვნელოვანი გარემოება: ტრაპიზონის სამეფო არა მხოლოდ მოსახლეობის ძირითადი შემადგენლობით არ იყო ბერძნული, იქ მაღალ სამოხელეო აპარატშიც ქართულ ელემენტს წამყვანი ადგილი ეჭირა; ასევე, სამეფო დინასტიასაც ნათესაური ერთობა აკავშირებდა საქართველოსთან. ეს, ასე ვთქვათ, ეთნიკური ფაქტორი აშკარად დიდ დაბრკოლებას უქმნიდა ბიზანტიის მიზნებს. ამიტომ იყო, რომ ბიზანტიის იმპერატორები შეძლებისდაგვარად ამ დაბრკოლებას პირველ რიგში ებრძოდნენ[1].

ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობა ბერძნულ წყაროებში შემდეგი კონკრეტული ფაქტებით არის წარმოდგენილი: საქართველოს დასუსტების პერიოდში ბიზანტიის კეისარი შეეცადა თავისი გავლენა გაევრცელებინა ტრაპიზონის სამეფო კარზე. კარგა ხანს მას არაფერი გამოუვიდა, მაგრამ ბოლოს მაინც შეძლო ახალგაზრდა იოანესათვის (1282—1297 წწ.) თავისი ქალიშვილი მიეთხოვებინა ცოლად. ასეთი ნაბიჯი, ცხადია, ქართულ გავლენას ტრაპიზონის სამეფოში სერიოზულ საფრთხეს უქადდა. ქართული გავლენის განმტკიცების მიზეზით უნდა ავხსნათ ნარინ დავითის მიერ 1282 წელს ჯარით ტრაპიზონის სამეფოში შეჭრა და ქალაქის გარემოცვა, რომლის შესახებაც მოგვითხრობს XIV ს. პირველი ნახევრისა და XV ს. პირველი მეოთხედის მოღვაწე ბიზანტიელი ისტორიკოსი მიქელ პანარეტოსი.

დავითს ქ. ტრაპიზონამდე ყველა ტერიტორია დაუკავებია, მაგრამ ქალაქი ვერ აუღია და „ხელცარიელი უკან გამობრუნებულა"[2]. დავითის ბრძოლის უშედეგობას ისიც მოწმობს, რომ ეს იოანე 1283 წელს კონსტანტინოპოლიდან დაბრუნებული კვლავ ტრაპიზონის სამეფოს ტახტზეა[3]. მალე თეოდორა (იოანეს და), ეტყობა, ქართული ჯარის დახმარებით, იკავებს ტახტს, მაგრამ იოანეს განმეორებით დაუბრუნებია მეფობა. შემდეგ ბრძოლა ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. საინტერესოა შემდგომ ეტაპზე ტრაპიზონში ქართული გავლენის კვლავ აღდგენა, რომელიც უკვე სამცხის მთავართა მოღვაწეობას უკავშირდება. გარდაცვლილ იოანე I-ის შვილს მეფე ალექსის (1297—1330 წწ.) ცოლად შეურთავს

---

[1] ტრაპიზონის სამეფოს ეკლესიურ ერთიანობას კონსტანტინოპოლთან ფაქტიურად არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეეძლო იმპერატორებისათვის. თუ ტრაპიზონის სამეფოს მომდევნო ისტორიასაც გავითვალისწინებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ ტრაპიზონის სამეფოს მიზნის ერთიანობა საქართველოსთან იმდენად ძლიერი და ბუნებრივი ბარიერი ჩანს ბიზანტიისათვის, რომ ბიზანტია ვერასდროს ვერ შეძლებდა ტრაპიზონის სამეფოს გაუქმებას, გვიან რომ სხვა უცხო ძალას არ მოემოქმედა ეს (რომელმაც ბიზანტიაც მოსპო და ტრაპიზონის სამეფოც).

[2] მ ი ქ ე ლ პ ა ნ ა რ ე ტ ო ს ი, ტრაპიზონის ქრონიკა, გამოც. ალ. გამყრელიძის, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 33, 1960, გვ. 213; გეორგიკა (ს. ყაუხჩიშვილის გამოც.), VII, 1967, გვ. 170, შენიშვნა.

[3] მ ი ქ ე ლ პ ა ნ ა რ ე ტ ო ს ი, დასახ. ნაშრ., გვ. 214; გეორგიკა, VII, გვ. 170—171.

სამცხის მთავრის ბექას ასული[1]. ეს იყო, უეჭველად, ქართული ორიენტაციის ჯგუფის გამარჯვება. ამ ხანებში ტრაპიზონის სამეფო წარმატებით იგერიებს შემოსეულ თურქებს[2], რაც საქართველოს დახმარებით უნდა ყოფილიყო. როგორც აღვნიშნეთ, მესხეთი წარმატებულ ბრძოლებს აწარმოებდა თურქებთან. ამ ამბავს უნდა დავუკავშიროთ აგრეთვე ჟამთააღმწერლის ცნობა ალექსისაგან ბექასთვის ჭანეთის გადაცემის შესახებ. ალექსის შემდეგ გამეფებულმა მისმა ვაჟმა ანდრონიკემ დააბოცინა თავისი ღვიძლი ძმები აზახუტლუ და აღბუღა[3]. ამის მიზეზი, როგორც ფიქრობენ, ამ ძმების ქართული ორიენტაცია იყო (ნიშანდობლივია მათი სახელებიც, რომელიც მონღოლთა გავლენით სამცხეში გავრცელებული ჩანს). ანდრონიკეს შემდეგ ტახტზე ადის მისი 8 წლის ვაჟი მანუელი (1332 წ.), მაგრამ ბიზანტიის იმპერატორის დახმარებით მეფობა ალექსის ვაჟმა ბასილმა ჩაიგდო ხელში (1333—1340 წწ.). ეს დასი დიდი სიმკაცრით გაუსწორდა ქართული ორიენტაციის ტრაპიზონელებს, მათ შორის „დიდი დუქსი ლეკის ჭაჭინჭეოსი და მისი ძე დიდი დომესტიკოსი ჯაბა სიცოცხლეს გამოასალმა“[4]. ამის შემდეგაც ტრაპიზონის სამეფოში ქართული გავლენისათვის ბრძოლა არ შეწყვეტილა.

ყოველივე ზემოთქმული იმას გვიჩვენებს, რომ მონღოლთა ბატონობის წყალობით XIII ს. 50—60-იანი წლებიდან საქართველო ფაქტიურად სამ ნაწილად იყო გაყოფილი (აღმოსავლეთ საქართველო, დასავლეთ საქართველო და სამხრეთ საქართველო — სამცხის სამთავროს სახით). თითოეული ნაწილი ერთმანეთისაგან რამდენადმე დამოუკიდებელი საშინაო და საგარეო პოლიტიკით ცხოვრობდა.

საქართველო XIII ს. 70-იან — XIV ს. 10-იან წლებში

§ 8. დიმიტრი II თავდადებული

ულუ დავითის გარდაცვალების (1270 წ.) შემდეგ აბაღა ყაენმა აღმოსავლეთ საქართველოს მეფედ დიმიტრი დავითის ძე დაამტკიცა, რომელიც მაშინ 11—12 წლის ბავშვი იყო, მზრუნველად კი სადუნ მანკაბერდელი დაუნიშნა. დიმიტრიმ სადუნს 1272 წელს ურდოშივე ათაბაგობა უბოძა (რასაკვირველია, მონღოლების კარნახით). სადუნი მხარგრძელების

---

[1] მიქელ პანარეტოსი, გეორგიკა, VII, გვ. 172; ქ. ცხ., II, გვ. 304, შენიშ. I. როგორც პანარეტოსის თხზულებიდან ჩანს, ალექსის შესძენია ხუთი შვილი: ანდრონიკე, ბასილი, მიხეილ-აზახუტლუ, გიორგი-აღბუღა და ანახუტლუ.

[2] მიქელ პანარეტოსი, გეორგიკა, VII, გვ. 171—172.

[3] იქვე, გვ. 172.

[4] იქვე, გვ. 175.

ყოფილი ყმა (აზნაური) იყო, მაგრამ ყაენის პირადი ყურადღების წყალობით დიდ შეძლებასა და გავლენას მიაღწია. მონღოლები სწორედ ასეთ აღზევებულ მედროვეებს ეყრდნობოდნენ დაპყრობილ ქვეყნებში, რომლებსაც ადგილობრივ ხელისუფალთა თვალყურის სადევნებლადაც მარჯვედ იყენებდნენ. მონღოლთა მფარველობით გათამამებულ სადუნს საქართველოს გამგებლობა მთლიანად ხელში ჩაუვარდა: ჭაბუკი მეფე „ხელთა შინა სადუნისთანა იყო, რამეთუ ფრიად განადიდა სადუნი ყაენმა“[1]. სადუნმა თავისი გავლენა და დიდმოხელეობა დროის შესაფერისად გამოიყენა. მეფეს უნებლიე დასტურით თუ მოჩვენებითი ერთგულებით შრავალი მიწა-წყალი და ქალაქი დასტყუა. ქონების გასადიდებლად მისთვის ყოველგვარი საშუალება მისაღები იყო. ასე გახდა ეს მედროვე მთელს სამეფოში ყველაზე დიდი „მთავარი“, რომელმაც თავის პატრონს (სენიორს) მხარგრძელს ბევრად გადააჭარბა. მას ჰქონდა ათაბაგობაც და ამირსპასალარობაც[2].

აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური საზღვარი დიმიტრი II-ის დროს ძველებურად დარუბანდამდე კი არ აღწევდა, არამედ შემახიის თემამდე, მდ. თეთრი წყლის (მონღ. ჩაღანუსუნის) სანაპირომდე მიდიოდა. დიმიტრის არ ემორჩილებოდა სამცხეც, რომელიც, როგორც ვნახეთ, ყაენის კუთვნილებად (ხასინჯუ) ითვლებოდა. სამხრეთის საზღვარი კი უცვლელად რჩებოდა: საქართველოს კუთვნილებას ძველებურადვე შეადგენდა ანისი და კარი[3].

დიმიტრიმ სამეფო საქმეებში ვერც სრულწლოვანების შემდგომ მიაღწია დამოუკიდებლობას, რადგან კვლავინდებურად „ხელთა შინა სადუნისათა იყო“[4]. რასაკვირველია, მეფე და ქვეყნის მოწინავე ძალები იძულებით ითმენდნენ სადუნის ბატონობას. სადუნის გარდაცვალების

---

[1] ქ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ქ. ცხ., II, გვ. 272.

[2] სადუნ მანკაბერდელის აღზევების გზა ტიპური მაგალითია მონღოლთა წყალობით წარმოშობილი მსხვილი მემამულისა.

[3] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, 1966, გვ. 209 — 211. დიმიტრის მეფობის აღმწერ წყაროში დიმიტრის სამფლობელო კვლავინდებურად წარმოდგენილია „ყოველი სამეფო“ (ნიკოფსიიდან დარუბანდამდე), ქამთააღმწერელი, ქ. ცხ., II, გვ. 270. რეალობას დაშორებული ეს განმარტება საქართველოს ერთიანობის ჯერ კიდევ წარუშლელი შეგნების გამოხატულებაა და სხვა არაფერი.

[4] ქ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ქ. ცხ., II, გვ. 272. დიმიტრის სახლობის შესახებ წყაროების მიხედვით შემდეგი ვიცით: მისი პირველი ცოლი ტრაპიზონის კეისრის ასული ყოფილა, რომლისგანაც ოთხი ვაჟი (დავითი, ვახტანგი, მანუელი, ლაშა) და ერთი ქალი (რუსუდანი) ჰყოლია. მეორე ცოლის, მონღოლი სოლღარისაგან შესძენია ორი ვაჟი (ბაადურ, იადგარ) და ქალი (ჯიგდახათუნი); მესამე ცოლი ბექა ჯაყელის ასული ნათელა იყო, რომლისგანაც ერთი ვაჟი, გიორგი ჰყავდა (შემდგომში „ბრწყინვალე“). ი ქ ვ ე, გვ. 274, 285, 286.

(1281 წ.) შემდეგ, ამ სახლის შესუსტების მიზნით, მეფემ სადუნის შვილს ხუტლუ ბუღას არ დაუმტკიცა მამის თანამდებობა (ათაბაგობა) და მხოლოდ ამირსპასალარობა დაუტოვა. ათაბაგობა დიმიტრიმ სადუნის მოწინააღმდეგე ტარსაიჭ ორბელს გადასცა. მაგრამ მეფის სისუსტე იმაში გამოჩნდა, რომ მან ვერ შეძლო ამ უზომოდ განდიდებული მანკაბერდელი მთავრის ძლიერების სათანადო შეკვეცა და ამ ნაბიჯს თავიც გადააყოლა: ხუტლუ ბუღამ შეძლო დიმიტრი დაეღუპა და ამ გზით დაებრუნებინა ათაბაგობა.

დიმიტრის ხშირად უხდებოდა სიბაზე დგომა და მონღოლთა ლაშქრობებში მონაწილეობა. დიდი ხნით საქართველოს გარეთ ყოფნის გამო, ის სამეფო საქმეებს ჩამოცილებული იყო. ამგვარად, მონღოლური სამხედრო ბეგრის დამღუპველობა პოლიტიკურ ცხოვრებას კვლავ ძირს უთხრიდა.

ლ ა შ ქ რ ო ბ ე ბ ი ი ს ე ვ ხ შ ი რ ი დ ა ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი იყო, მაგრამ ახლა უმეტესად მარცხით მთავრდებოდა. ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ ჯერ კიდევ 1259 წელს დაწყებული ომი ახლაც გრძელდებოდა. 1277 წ. 16 აპრილს ეგვიპტის ომში მონღოლები დამარცხდნენ, დაიღუპა ბევრი ქართველი. ასევე დიდი დამარცხებით დამთავრდა ეგვიპტესთან 1280 წლის ომი, სადაც, სხვების გარდა, 30000 ქართველი, სომეხი და ბერძენი მონაწილეობდა და „უმრავლესნი ქართველნი მოისრნეს"[1]. 1281 წელს ეგვიპტეში მეფე დიმიტრი პირადად მონაწილეობდა 5000 ქართველით. ქ. ამასიასთან ბრძოლაში მონღოლები დამარცხდნენ, უმრავლესობა ქართველებისა აქ დაიღუპა, ხოლო დიმიტრი სიკვდილს ძლივს გადაურჩა[2].

ილხანთა და ოქროს ურდოს შორის ატეხილი ომები ახლაც დიდი სიმძაფრით გრძელდებოდა. 1289 წელს მეფე დიმიტრი იბრძვის თათართა ლაშქართან ერთად ჩრდილოეთის ურდოს წინააღმდეგ დარუბანდის ციხე ანიყასთან[3].

საქართველოს მდგომარეობას ართულებდა საილხანოში ამტყდარი შინაომები. გაუთავებელი ბრძოლები მიმდინარეობდა უფლისწულებს შორის, ნოინებს შორის, აჯანყებები მატულობდა. მონღოლთა შინაპოლიტიკურ ამბებში საქართველო უნებურად იყო ჩათრეული. ქართულ ლაშქარს მონაწილეობა უნდა მიეღო თავისი მბრძანებელი ყაენის ან რომელიმე ტახტის პრეტენდენტის მხარეზე. დამარცხების მთელი სისასტიკე საქართველოს ისევე ატყდებოდა თავს, როგორც სხვა დამარცხებულ მონაწილეებს.

---

[1] ქ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ქ. ცხ., II, გვ. 280—281; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, 1941, გვ. 105; 1966, გვ. 217, 371.

[2] ქ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ქ. ცხ., II, გვ. 280—281; რ ა შ ი დ ად-დ ი ნ ი, დასახ. ნაშრ., III, გვ. 96—97; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., III, 1941, გვ. 105.

[3] ქ. ცხ., II, გვ. 286.

სწორედ ასეთი განსაცდელი მოევლინა საქართველოს, როდესაც დიმიტრი II ერთ-ერთი შინაური არეულობისას დამარცხებულის მხარეზე აღმოჩნდა. საქართველოს არ ასცდებოდა მონღოლ შურისმაძიებელთა ულმობელი სასჯელი, რომ მეფეს პირადი თავგანწირვით არ ეხსნა ქვეყანა.

აბაღა ყაენის გარდაცვალების (1282 წ. აპრილი) შემდეგ იმავე წლის 6 მაისს ტახტი მისმა ძმამ აჰმადმა დაიკავა, რომელსაც მალე აუჯანყდნენ და ყაენად აბაღას შვილი არღუნი გამოაცხადეს. აჰმადსა და არღუნს შორის ატეხილ ბრძოლებში დიმიტრი ქართული ლაშქრითურთ აჰმადის მხარეზე იბრძოდა[1]. ბოლოს დიმიტრიმ არღუნის მხარეზე ბრძოლა ამჯობინა. გამარჯვებულმა არღუნმა დიმიტრი მეფეს დაუმტკიცა „ყოველი სამეფო მისი და სახლი ავაგ ათაბაგისა"[2]. არღუნის პირველი ემირი ბუღა, რომელიც საყაენოს ფაქტიური გამგებელი იყო, დიმიტრისთან კეთილ განწყობილებაში იმყოფებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მას არღუნის წინააღმდეგ შეთქმულება შეუტყვეს და 1289 წლის 17 იანვარს სიკვდილით დასაჯეს, დიმიტრის ბედიც გადაწყდა: მონღოლური წესის თანახმად სიკვდილით ისჯებოდა არა მხოლოდ პირადად ბრალდებული, არამედ მისი ოჯახის ყველა წევრი, ნათესავი და ახლობელ-მეგობარი. და აი, დიმიტრიც ურდოში დაიბარეს. დიმიტრიმ გაითვალისწინა ყველა ის შედეგი, რაც მის წაუსვლელობას მოჰყვებოდა და წასვლა დააპირა. წინასწარ მოიწვია დიდი დარბაზი, რათა ეცნობებინა ურდოში წასვლის გადაწყვეტილების მიზანშეწონილობა. წყაროს დაუცავს მეფის სიტყვა, რომელიც მას დარბაზში წარმოუთქვამს: თუ მთიულეთში დავიმალები, თავს კი გადავირჩენ, მაგრამ მაშინ მტერი უდანაშაულო ხალხზე იყრის ჯავრსო, თუ წავედი, ვიცი მომკლავენ, სამაგიეროდ „ვგონებ რომე ქვეყანა უვნებელი დარჩესო". დარბაზის წევრებს მეფისათვის აფხაზეთში (დასავლეთ საქართველოში) გადასვლა და იქ თავის შეფარება ურჩევიათ, მაგრამ მეფე მტკიცე გადაწყვეტილებიდან ვერ გადაუყვანიათ. მეფე გამგზავრებულა ურდოში მთავრებისა და კათალიკოს აბრამის თანხლებით, თან შვილი — პატარა დავითიც წაუყვანია და მრავალი საჩუქარიც წაუღია, რათა ყაენი თავის ერთგულებაში დაერწმუნებინა. ყაენის რეზიდენციას მიახლოებიან თუ არა, დიმიტრი დაუპატიმრებიათ და ქონება ჩამოურთმევიათ. ურდოში მიყვანის შემდეგ კი მას მთელი პირადი ქონება თვითონვე ააწერინეს და თბილისში საგანგებოდ გამოგზავნილი მოხელის მეშვეობით ყველაფერი წაართვეს. ამგვარი წინასწარი კონფისკაცია მონღოლური წესით დამნაშავის სიკვდილით დასჯას მოასწავებდა და ასეც მოხდა. დიმიტრის გასამართლების შემდეგ თავი მოჰკვეთეს მოვაკანში მდ. მტკვრის პირას, 1289 წლის

---

[1] ეამთააღმწერელი, ქ. ცხ., II, გვ. 284.

[2] იქვე, გვ. 285. ავაგის სახლი (ე. ი. ყმა-მამული) მანამდე მონღოლი მოხელის განკარგულებაში იყო.

12 მარტს, შაბათ დღეს, დილის 10 საათზე[1]. ასეთი თავგანწირვის გამო ხალხმა მას „თავდადებული“ უწოდა.

როგორც ქართული წყარო მოგვითხრობს, არღუნ ყაენს დიმიტრის სიკვდილი მთლად გადაწყვეტილი არ ჰქონია, რადგან საქართველოში სამაგიერო სამეფო კანდიდატი არ ეგულებოდა. მაშინ ხუტლუ ბუღას, სადუნის შვილს, რომელიც, როგორც ვთქვით, მეფეზე ნაწყენი იყო, ყაენი დაუიმედებია: „ნუ იურვი მაგას“, მე მოგიყვან გასამეფებლად აფხაზთა მეფის დავითის შვილს ვახტანგს, ამით კიდევაც ორივე სამეფო „ბრძანებასა შენსა მორჩილებდესო“. ამის შემდეგ ყაენი უყოყმანოდ დამდგარა დიმიტრის დასჯის გადაწყვეტილებაზე[2]. ასე ადვილად შეეძლო მონღოლებით განდიდებულ მთავარს შური ეძია არასასურველ „პატრონზე“, თუნდაც ეს პატრონი „ღვთისაგან მირონცხებული“ ყოფილიყო.

ურდოში დიმიტრის დასჯის შემდეგ ხუტლუ ბუღამ დავალება შეასრულა: მან გასამეფებლად დასავლეთ საქართველოდან გადმოიყვანა ნარინ დავითის შვილი ვახტანგი. დიდებულებმა ვახტანგის ერთგულებაზე ფიცი დადეს. მათ ვახტანგის გამეფება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საშუალებად მიუჩნევიათ. ვახტანგი დასამტკიცებლად ურდოში გაამგზავრეს. ყაენმა მას „ყოველი საქართველო“ დაუმტკიცა (ე. ი. ამიერი და იმიერი ერთად), ხოლო თავისი და ოლჯათ ცოლად გამოატანა. საქართველოს საზღვრები ამ დროსაც იგივე რჩებოდა, როგორც დიმიტრის დროს, თუმცა თანამედროვეთა შეგნებაში საქართველოს საზღვრები ისევ ძველი, ისევ „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“ წარმოიდგინებოდა.

ვახტანგის მეშვეობით ხუტლუ ბუღამ მამის თანამდებობა—ათაბაგობა ადვილად დაიბრუნა. ამრიგად, ის ვახტანგის კარზე სადუნივით ორი თანამდებობის მქონე და მონღოლებისაგან ნდობამოპოვებული ძველებურადვე „სამეფოს გამგებელი“ გახდა[3]. ვახტანგს დიდხანს არ უმეფია, იგი მოულოდნელად გარდაიცვალა 1292 წელს. დასავლეთ საქართველოში ნარინ დავითის (VI) გარდაცვალების (1293 წ.) შემდეგ გამეფდა მისი უფროსი შვილი კონსტანტინე. მას მომდევნო ძმა მიქაელი აუჯანყდა, რომელიც რაჭისა და არგვეთის თემებს დაეპატრონა. ამიერიდან დასავლეთ

---

[1] დიმიტრის გვამს მონღოლები „მრავალი დღე“ დარაჯობდნენ, რათა ქართველებს არ მოეპარათ. კათალიკოს-პატრიარქს აბრამს და მოსე მღვდელს მოუსყიდიათ მცველები და მეფის გვამი ჩუმად გამოუპარებიათ. ასევე მალულად წამოუღიათ ის საქართველოში ობილისელ ვაჭრებს, რომლებიც იქ თევზის წამოსაღებად იყვნენ მისულნი. დიმიტრი დაასაფლავეს მეფეთა საძვალეში, მცხეთაში (ქ. ცხ., II, გვ. 292).

[2] ქართველ თვითმხილველ მეისტორიეს დიმიტრი II-ის თავგადასავალი, როგორც ჩანს, მაშინვე აღუწერია დაწვრილებით. ეს აღწერილობა შეუტანია ქამთააღმწერელს თავის საისტორიო თხზულებაში (იხ. ქ. ცხ., II, გვ. 287—292).

[3] ქ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ქ. ცხ., II, გვ. 293.

საქართველოში ძმებს შორის არეულობა დაიწყო და „იშლებოდა სამეფო“[1]. ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ ახალმა ყაენმა ქეღათუმ[2] აღმოსავლეთ საქართველოს მეფედ დავით დიმიტრის ძე (დავით VIII) დაამტკიცა.

§ 9. მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყება ქართლში XIII—XIV სს-თა მიჯნაზე

1295 წ., დიდი ბრძოლის შემდეგ, ილხანთა ტახტზე ყაზან ყაენი ავიდა. ყაზანსა და დავით VIII-ს შორის უნდობლობა ჩამოვარდა. საყაენო ტახტისათვის ამტყდარ ბრძოლაში დავით მეფეს ყაზანის მიერ მოკლული ბაიდუ ყაენის მხარე ეჭირა[3]. გაყაენებულმა ყაზანმა 1297 წლის ნოემბერში დავითი ურდოში დაიბარა. საქართველოს თავკაცებმა მეფეს წასვლა ურჩიეს, რადგან კარგად იცოდნენ წაუსვლელობას რა შედეგიც მოჰყვებოდა. დავითმა ყაენთან წასვლა ვერ გაბედა და თავისი მომხრეებითურთ მთიულეთს შეეხიზნა. მან გაამაგრა ჟინვანი, „შეკრა სიბა და მცველნი დაუდგინა“, თვითონ მოდიმნახეს ციხეში შევიდა. პოზიციების გამაგრების მიზნით მეფემ ჩრდ. ურდოს მიმართა და შეპირდა ჩრდილოეთის გზის მიცემას ილხანთა წინააღმდეგ. ამგვარად, აჯანყებული მეფე ილხანთა ყაენისათვის მრავალმხრივ საშიში გახდა. ყაზანმა მეფის დამორჩილება, მისი ურდოში მიტყუება ვერ შეძლო. ყაენი ხან მოლაპარაკებით ცდილობდა მეფესთან შერიგებას, ხან მეფობის წართმევით ემუქრებოდა მას (და ტახტზე მის მაგიერ ხან ერთს და ხან მეორეს სვამდა ან მის მომხრე ფეოდალებს გადაიბირებდა ხოლმე). ამ ხნის განმავლობაში მონღოლთა დამსჯელმა რაზმმა მოაოხრა საქართველოს კუთხეები, განსაკუთრებით კი ის ადგილები, სადაც მეფე იმალებოდა.

ქამთააღმწერელს დაწვრილებითი ცნობები მოაქვს აჯანყების მსვლელობასა და მის შედეგებზე. ურდოდან მონღოლთა უამრავი ლაშქარი მოსულა, რომელთაც მოურბევიათ სომხითი, ქართლი, თრიალეთი, ერწო, დაბანაკებულან მუხრანში და დაუკავებიათ იგი თიანეთამდე. ამ ვრცელი ტერიტორიიდან ისინი მარბიელი ლაშქრით საქართველოს ძარცვა-გაპარტახებას შედგომიან. ასეთი რბევა-თარეში ყოველ შემოდგომა-გაზაფხულს მეორდებოდა. მართალია, დავით VIII დროდადრო მონღოლებს მარცხსაც აყენებდა (მაგ., ცხავატში ხუთასი მონღოლი გაწყვიტეს), მაგრამ

---

[1] ქ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ქ. ცხ., II, გვ. 294, 295.

[2] კეთრით დაავადებული არღუნი ნოინებმა 1291 წ. 10 მარტს მოკლეს. იმავე წლის 23 ივნისს ყაენობა მიიღო არღუნის ძმამ ქეღათუმ.

[3] ბაიდუ ყაენად იჯდა 1295 წ. 26 მარტიდან 1295 წ. 4 ოქტომბრამდე.

მონღოლების მრავალრიცხოვან ჯართან მაინც ვერაფერს აწყობდა. საქმეს შინაური ღალატიც ართულებდა (ერისთავმა შალვა ქვენიფნეველმა არაგვის ძნელ გზებზე მტრის წინამძღოლობა იკისრა) და ისიც, რომ მონღოლთა ლაშქარში ქართველთა ჯარიც იბრძოდა (შანშე მხარგრძელისა და მესხთა ლაშქარი) და გორში მდგომი ოსებიც.

წყაროს აღნიშნული აქვს, რომ მოოხრდა „უბოროტესად ქართლი". დიდი ბრძოლები მოხდა ხადას ციხე ციკარესთან, რომელშიც დავით მეფე იყო გამაგრებული (აქ უმთავრესად მთიელები და ხევველები იბრძოდნენ). მონღოლები დამარცხდნენ და ურდოში გაბრუნდნენ, მაგრამ გაბოროტებულებმა წასვლისას მთლიანად მოაოხრეს ქართლი. მომავალ გაზაფხულზე კვლავ მოვიდა დამსჯელი ნოინი „სპათა უძლიერესითა", რომელსაც განზრახული ჰქონდა ისევ მთიულეთში შესვლა. მონღოლთა ლაშქარი ამჯერად, მეფესთან დაზავების გამო, შინ გაბრუნდა, მაგრამ ახლაც წასვლისას „კუალად მოაოხრეს" ქართლი „თვინიერ მთიულეთისა".

მონღოლები ცდილობდნენ დავითი დაეჭირათ ან დაეთანხმებინათ ზავზე იმ პირობით, რომ ყაენთან გამოცხადებულიყო. დავითის დამორჩილებით ისინი ბოლოს მოუღებდნენ ოქროს ურდოს იმ მოკავშირეს, რომელსაც ყოველთვის შეეძლო ჩრდილოეთის გზებით შემოეშვა ილხანთა მოწინააღმდეგენი. მონღოლი ნოინი ხუტლუბუღა (იგივე „ემირი ხუტლუშა", რაშიდ ად-დინის ცნობით) დაზავების მისაღწევად ზოგჯერ მშვიდობიანად შემოდიოდა საქართველოში[1]. ამ დროსაც მათი სადგომი ჩვეულებრივ მუხრანი იყო. დავითის დამორჩილება მონღოლებმა ვერ შეძლეს. აჯანყების ხანგრძლივობა და მასში მოსახლეობის დიდი ნაწილის მონაწილეობა, უეჭველია, მეტყველებს მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ ხალხის დიდ უკმაყოფილებას. ხალხი მზად იყო თავიდან მოეცილებინა საძულველი მტრის ბატონობა. ნიშანდობლივია ამ მხრივ მონღოლთა კარის ისტორიკოსის რაშიდ ად-დინის ცნობები, რომელიც გარკვეულად ავსებს ქართულ წყაროს. ავტორის თქმით, აჯანყების გახანგრძლივების მიზეზი იყო ყაზან ყაენის პირველი ემირის ნავრუზის მიერ ამიერკავკასიის ხალხების, მეტადრე ქრისტიანების შევიწროება. იგი აღნიშნავს აგრეთვე ქართველებთან დაზავების სიძნელეს[2]. ნაშრომის სხვა ადგილას ისტორიკოსი ამბობს: „ქართველები არ ცნობენ ყაზან ყაენის ხელისუფლებასო"[3].

არ არის ძნელი წარმოვიდგინოთ, თუ რა შედეგი უნდა მოჰყოლოდა მონღოლთა ამ თითქმის 12-წლიან გამუდმებულ თარეშს და მათი ლაშქრის

[1] ქართველთა წარმომადგენლობას ასეთ სახიფათო მოლაპარაკებებში ღირსეულად ასრულებდნენ: საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი აბრამი, ივანე ბურსელი და ყადი თბილელი. ბოლოს ამ საქმეს შეეწირა კიდეც ივანე ბურსელი, რომელიც ერთ-ერთი ელჩობის დროს მონღოლებმა შეიპყრეს და მოკლეს.

[2] Рашид-ад-дин, Сборник летописей, III, 1946, с. 178, 179.

[3] ◦ ქ ვ ე, გვ. 271.

ხანგრძლივ დგომას. აღმოსავლეთ საქართველოში ფაქტიურად უკვე აღარ არსებობდა ცენტრალური ხელისუფლება, ქვეყანა პოლიტიკურად დაიქსაქსა (ზოგჯერ ერთდროულად ორი-სამი მეფე იყო). იმატა სახელმწიფოებრივობის მოშლით გათამამებული იმიერკავკასიელი ტომების ძალადობამ. მონღოლთა დამსჯელი ექსპედიციები ქვემო ქართლის, ჯავახეთისა და შიდა ქართლის გარდა, სისტემატურად არბევდნენ არაგვის ხეობას, მთათუშეთს, ერწოს; შეწყდა ხვნა-თესვა, შემცირდა ნათესები, მოიშალა მეურნეობა. თვითმხილველი ისტორიკოსი რბევა-ოხრების ჯერ კიდევ ხუთი წლისთავზე წერს: „ამა შფოთთა შინა იყო ქვეყანა ქართლისა. არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და არცა შენება ყოვლადვე". ამას, ბუნებრივია, შიმშილობა მოჰყვა, რომელიც თანდათან გაძლიერდა: „იქმნა პურის მოკლება, რამეთუ ყოვლად არა იპოვებოდა სასყიდლად, არცა დიდითა ფასითა, ესოდენ განძვინდა შიმშილი რომელ მძორსა არაწმიდასა ურიდად ჭამდეს. სავსე იყვნეს უბანნი და ფოლორცნი, გზანი, მინდორნი და ქალაქნი და სოფელნი მკუდრებითა"[1]. დამშეული ხალხი ქართლიდან გარბოდა და სამცხეს აფარებდა თავს, რომელიც იმ დროს მონღოლთა თარეშისაგან არ დაზიანებულა, სადაც იპოვებოდა „პური სასყიდლად"[2].

მიუხედავად იმ დიდი ზარალისა, რომელიც აჯანყებას მოჰყვა, მტრის გაუმარჯვებლობაც მის მნიშვნელოვან სისუსტეს ადასტურებდა. ეს კი ქართველობას მომავლის რწმენას უნერგავდა მონღოლების გასადევნად.

რაკი ყაზან ყაენმა დავითი ვერც დაიჭირა და ვერც დაიმორჩილა, მის დამარცხებას, როგორც ვთქვით, სხვა გზით შეეცადა. მან მაგიერ მეფეებად მისი ძმები დასვა: ჯერ 1299 წელს მცირეწლოვანი გიორგი, ხოლო 1302 წლიდან ვახტანგი. ვახტანგის განკარგულებაში აღმოსავლეთ საქართველოს მცირე ნაწილი აღმოჩნდა: თბილისი, ქვემო ქართლი, დმანისი და სამშვილდე. ქართლის მთიანეთი აჯანყებულებს ემორჩილებოდა. ყაზან ყაენს ის აწუხებდა, რომ უმეფო ქვეყანაში შორეული ლაშქრობებისათვის ჯარის გამოყვანა ვერ ხერხდებოდა. ახლა კი ვახტანგის მეთაურობით საქართველოს ჯარი მონღოლთა ნაწილებში კვლავინდებურად იდგა და ვახტანგიც იძულებული იყო სამეფო მართვა-გამგეობას ჩამოშორებოდა.

ვახტანგ III თავისი ჯარით — „მისნი სპანით", სამცხისა და სხვა მთავრების ჯარი ეგვიპტეზე სალაშქროდ გაუწვევიათ. ბრძოლაში „გაწყდა ურიცხვიო", მოგვითხრობს წყარო, 1300 წელს დამასკოსთან კი „დახოცნეს ურიცხვნი თათარნი და ქართველნი". 1306 წ. გილანთან ლაშქრობაში მონაწილეობდნენ ვახტანგ III, ბექა (სამცხის მთავარი), „ოვსნი გორს მსხდომნი", ჯავახიშვილი, გამრეკელი თავ-თავიანთი ჯარებით. ქარ-

---

[1] ჟამთააღმწერელი, ქ. ცხ., II, გვ. 309 — 310.

[2] იქვე, გვ. 310.

თველთა ლაშქარი ისე დაზარალებულა, რომ ათისაგან ძლივს ორი გადარჩა ცოცხალი, ზოგიერთი გვარი და ოჯახი სულ ამოწყდაო[1].

ვახტანგ III გარდაიცვალა 1308 წელს, ხოლო დავით VIII—1311 წელს. ოლჯაით ყაენმა საქართველოს მეფედ მცირეწლოვანი გიორგი დიმიტრის ძე დაამტკიცა.

* * *

ამ შფოთიანსა და დაცემულობის პერიოდში, როცა აღმ. საქართველოს ბარსა და მთიანეთში მონღოლთა დამსჯელი ექსპედიციები დათარეშობდნენ, ხოლო ცენტრალური ხელისუფლება თითქმის აღარც მოქმედებდა, გააქტიურდნენ ჩრდილოეთ კავკასიელნი.

1292—1293 წლებში ოსებს ფარეჯანი მეთაურობდა[2], მათ ქ. გორი სადგურად გაიჩინეს. ქართლის მოსახლეობა გორის მმართველის სურამელის (ქართლის ერისთავი და მსახურთუხუცესი) ხელმძღვანელობით შეებრძოლა ოს ფეოდალებს და მოინდომა მათი გამოძევება გორიდან, მაგრამ უშედეგოდ[3].

შუაგული ქართლის, გორისა და მიმდებარე ტერიტორიის ოსთაგან დაკავება დიდ საფრთხეში აგდებდა ქართველი ფეოდალის მიწისმფლობელობას. მძიმე შედეგს ქმნიდა უეჭველად ის ფაქტი, რომ ეროვნული ხელისუფლების დასუსტების პირობებში ოსთა მოძრაობა, რაც ნორმალურ პირობებში შეიძლება საზიანოც არ ყოფილიყო, ვერ იყო რეგლამენტირებული ადგილობრივი ინტერესების გათვალისწინებით. პირიქით, ჩამოსული ოსები დამპყრობელი მონღოლების მხარდაჭერით სარგებლობდნენ და მათ მსახურ-მოხარაჯეებადაც ითვლებოდნენ. ამრიგად, მათი მოქმედება საქართველოში (მიწებისათვის ბრძოლა) პოლიტიკურად შეუზღუდველი და უმაღლესად სანქცირებულიც კი იყო. სწორედ ასეთ ვითარებაში მოსულებთან დამხდურთა ბრძოლას მწვავე და მასობრივი ხასიათი ჰქონდა: თვითმხილველი ისტორიკოსიც კარგად ამჩნევდა, რომ იბრძოდა „ყოველი ქართველი“ და „იყო ჭირი დიდი მკვიდრთა ქართლისათა“.

---

[1] ე ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ქ. ცხ., II, გვ. 315 — 318.

[2] როგორც უკვე შევეხეთ, ძმები ფარეჯან და ბაყათარ ჯერ კიდევ XIII ს. 70-იან წლებში მცირეწლოვანნი მოჰყვნენ თავიანთ ქვრივ დედას, რომელიც მაშინ ქართლში მოსულ ოსთა დიდ ჯგუფს მეთაურობდა.

[3] ქ. გორი ადმინისტრაციულად ქართლის საერისთავოში შედიოდა, ხოლო როგორც სავაჭრო ქალაქი ექვემდებარებოდა მსახურთუხუცესის უწყებას. ამდენად, სურამელების სისტემატური ბრძოლა XIII-XIV სს-ში ოსების წინააღმდეგ ქართლში გამოწვეული იყო მათი სახელმწიფოებრივ-თანამდებობრივი მოვალეობითაც.

XV ს-ში გორის მოურავობა ეჭირათ ამილახორ-ზედგინიძეებს (ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 190).

გორის ციხეში შეხიზნულ ოსებს მაშველად მუხრანში მდგომი მონღოლები მოუწვევიათ: „ვითარ მისჭირდა ოვსთა, ციხიდაღმან გარდამოუშვეს საბლითა კაცი და წარავლინეს მუხრანს მდგომთა თათართა თანა, რათა შეეწივნენ“, მონღოლებიც მათ მოხმარებიან და ქართველებთან ზავიც დაუდებინებიათ. ასე შეუნარჩუნეს მონღოლებმა გორი ოსებს.

ამრიგად, ქართველებმა გორი ვერ დაიბრუნეს, სამაგიეროდ, როგორც ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, „მიერითაგან შეიქმნა მტრობა შორის ქართველთა და ოვსთა“[1].

ამავე პერიოდში, დავით VIII-ის აჯანყების ჟამს, როცა მთიულეთი და ქართლი მონღოლთაგან რბევა-თარეშით იყო აკლებული და მეფის ურჩ ფეოდალებსაც თავი წამოეყოთ, ოსმა ფეოდალებმა ბაყათარის მეთაურობით ხელი მიჰყვეს შიდა ქართლის, თრიალეთის შევიწროებას; ქართველ აზნაურობას მამაპაპეული მამულებიდან აძევებდნენ, სამაგიეროდ თვითონ ჯდებოდნენ ფეოდალებად. ამჯერადაც დასუსტებული ბარი წინააღმდეგობის უნარმოკლებული აღმოჩნდა[2].

რაც დრო გადიოდა კიდევ უფრო მოხერხებულად სარგებლობდა შინააშლილობით ოსთა მთავარი: „ოტებული რა ცნა დავით, უმძვინვარესად აოხრებდა ბაყათარ ქართლსა და მეფე დავით ვერ წინაღუდგებოდა“... „ბაყათარ აოხრებდა ქვეყანათა და ხოცდა კაცთა“. საფრთხე მეტად სერიოზული შეიქმნა, რადგან ოსი ფეოდალები არა მხოლოდ აფართოებდნენ მისაკუთრებულ მიწა-წყალს, ისინი ძლიერი სამხედრო თავდაცვითაც ცდილობდნენ უზრუნველეყოთ თავიანთი მკვიდრობა ამ მიწებზე. როგორც ვნახეთ, მათ გორის ციხე დაიკავეს და მტკიცედაც ეპყრათ. ნიშანდობლივია, რომ შემდეგში უკვე იხსენიებიან როგორც „ოვსნი გორს მსხდომნი“[3]. ამჯერად კი ბაყათარს კახას ძისათვის ძამის ციხე წაურთმევია. ციხის უკან დასაბრუნებლად ბაყათარს სამცხის მთავარი ბექა შებრძოლებია. ბექასაგან თავის გამოდება აქ გასაგებია, რადგან ძამის ციხის შემდეგ ოსებს ადვილად შეეძლოთ სამცხეში გადასულიყვნენ. ბექამ ოსებს ციხე ვერ დაატოვებინა და, რაკი ოსებმა მას „აღუთქვეს არა წყენა“ (სამცხის— ბ. ლ.), ისიც დათანხმდა მათგან შემოთავაზებულ ზავს[4].

ასე უშედეგოდ მთავრდებოდა ოს ფეოდალებთან ბრძოლა. მარცხს, ამჯერად, როგორც ვთქვით, არაერთი მიზეზი აპირობებდა.

---

[1] ქ. ცხ., II. გვ. 296. ქ. გორი ოსების ხელში დარჩა მონღოლების ბატონობის მთელ პერიოდში გიორგი ბრწყინვალემდე.

[2] იქვე, გვ. 316.

[3] იქვე, გვ. 316-317.

[4] იქვე, გვ. 317.

§ 10. მონღოლთა ბატონობის ეკონომიკური შედეგები

ქვეყნის დამარღვეველი ფაქტორები განსახილველ პერიოდში (მეორე ათწლეულიდან) კიდევ უფრო ღრმად მოქმედებდნენ. მონღოლთა გამუდმებულ ლაშქრობებში საქართველოს მოსახლეობის სავალდებულო მონაწილეობა, ურდოდან მოვლინებული დამსჯელი ექსპედიციების მიერ საქართველოს ტერიტორიის დალაშქვრა-რბევა, იმიერკავკასიელთა ბარში ჩამოსხდომა, ყოველივე ეს ცალკეულად და ერთად ძირს უთხრიდა ქვეყნის ისედაც შერყეულ სამეურნეო-ეკონომიკურ ცხოვრებას.

ამ მხრივ საინტერესოა ქვემო ქართლში ქობერის (ქობაირის) ეკლესიის 1292 და 1295 წლების წარწერები, სადაც დახასიათებულია ეს დრო, როგორც „დიდი იწროებისა" და „სახმართა ნაკლოვანების" ჟამი[1].

ეკონომიკური მდგომარეობის გამწვავებას ბევრი რამ მოწმობდა. ეკლესია-მონასტრებისათვის შეწირული მამულების უკუგამოწირვა, რომელიც, როგორც ვიცით, დავით ლაშას ძის დროს დაიწყო, ახლა უფრო გაძლიერებულა. მეფე დიმიტრის მეფობაშიო, მიუთითებს ჟამთააღმწერელი, „მთავართა იწყეს ხელის შეხებად საყდართა და მონასტერთა და იწყეს მიტაცებად სოფელთა და აგარაკთა, უმეტეს მესხთა საყდარსა ზედა დიდებულსა აწყუერძსასა"[2]. აშკარად ჩანდა, რომ ეკლესიას მატერიალური გაჭირვება ახლაც ნაკლებად ეტყობოდა. პირიქით, ამ საერთო სიღარიბის ჟამს, სიმდიდრით განებივრებულ მამებს მომხვეჭელობის მადა კიდევ უფრო გაძლიერებიათ. იმდროინდელი ისტორიკოსი, რომელიც საერთოდ საეკლესიო წრეებისადმი დიდი სიმპათიით არის გამსჭვალული (თვითონაც სასულიერო პირია), სრულიად მოურიდებლად ამხელს: „იყო მღვდელთმთავარი და მღვდელი ლაღ-ამპარტავან, ანგარ-ბოროტისმყოფელ, უწესო..."[3]. გასაკვირი სრულიად არ არის, რომ ასეთ ვითარებაში ეკლესიის მორალური გავლენა ხალხში კიდევ უფრო დაცემულიყო და დაეცა კიდეც. ამას, უპირველეს ყოვლისა, ის ფაქტიც მოწმობს, რომ ქართლის კათალიკოს-პატრიარქი ნიკოლოზი იძულებული გამხდარა გადამდგარიყო საპატრიარქო ტახტიდან[4].

---

[1] ამ მიზეზის გამო ეკლესიის ნაგებობის პატრონი პატიებას ითხოვს მშენებლობაში მდარე ხარისხის ქვის გამოყენებისათვის. ლ. მელიქსეთ-ბეგი, ქობერი და მისი სომხური და ქართული წარწერები, თბილისის უნივერსიტეტის „მოამბე", 1927, VII, გვ. 70—71.

[2] ჟ. ცხ., II, გვ. 276.

[3] იქვე, გვ. 277.

[4] ნიკოლოზ კათალიკოსი უძლური აღმოჩნდა, რომ თავისი საეკლესიო ავტორიტეტით გავლენა მოეხდინა დიმიტრი მეფეზე და ზოგიერთ ქართველ მთავარზე, რომელთაც ქართულ-ქრისტიანული ზნეობის საწინააღმდეგო წეს-ჩვეულებანი გადმოეღოთ პირად ცხოვრებაში.

ქვეყნის სამეურნეო განვითარების შეფერხებამ ბუნებრივად გამოიწვია ვაჭრობა-აღებ-მიცემობის დაცემა. ფეოდალური ქალაქები სოფლებად იქცნენ. ზოგი ქალაქი მონღოლებმა დაანგრიეს. მაგალითად, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ქ. რუსთავი, რომელიც ორი დიდი სავაჭრო გზით უკავშირდებოდა გარე სამყაროს, მონღოლებმა XIII ს. 60-იან წლებში მიწასთან გაასწორეს და ამის შემდეგ ქალაქად აღარც აღდგენილა. ასევე მოუვიდა უფლისციხეს, ხორნაბუჯს, ხუნანს.

მონღოლთა ბატონობის ამ პერიოდში დიდი დაზიანება განიცადა თბილისმა. არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურეს, რომ ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით (სამასი არაგველის ბაღთან) მჭიდროდ დასახლებული ხელოსან-მეთუნეთა დიდი კვარტალები არსებულა, ეს მხარე მთლიანად დაცლილა XIII ს. მეორე ნახევარში[1].

ბარდავ-თბილისის დიდ გზაზე მდებარე აყვავებული ქალაქები, როგორიც იყო განძა, შამქორი, ხუნანი, თანდათან დაკნინდნენ, ადგილობრივი მოსახლეობა გადაიხვეწა. ეს გზა მონღოლთა ურდოებმა საქართველოსაკენ მთავარ სამოძრაო მარშრუტად აქციეს. ურდო კი, როგორც ვიცით, რანში იდგა ბარდავ-ყარაბაღ-მუღანის ველებზე.

მონღოლებმა დაიკავეს ბაღდადისაკენ მიმავალი გზა, რომელიც ბარდავზე გადიოდა. ამ გზიდან ახლა დამპყრობელთა დამსჯელი ლაშქარი უფრო ევლინებოდა საქართველოს, ვიდრე „მობაღდადე" ვაჭრების გრძელი ქარავნები[2].

ირანის, შუა აზიის, სახალიფოს ქვეყნებთან საქართველოს ტრადიციული ვაჭრობა ჰქონდა გაჩაღებული. ახლა კი მონღოლებმა მიწასთან გაასწორეს აბასიდთა სახალიფოს დედაქალაქი ბაღდადი (1258 წ.), დაანგრიეს ქალაქები: ნიშაბური, ყაზვინი...

მონღოლებამდე მოქმედებაში იყო ბიზანტიისაკენ მიმავალი გზა: თბილისი-დმანისი-ანისი-კარნუქალაქი (ერზერუმი) და „აფხაზეთიდან" (დას. საქართველოდან) ჯავახეთ-მესხეთზე გავლით. აქედან მოედინებოდა ბიზანტიისა და დასავლეთ ევროპის (იტალიის) ნაწარმი, ამ გზის გაყოლებაზე ყვაოდნენ ქალაქები: არტაანი, არტანუჯი. ამ გზებსა და მის მიმდგომ ტერიტორიებზე ახლა მონღოლთა ურდოები მომთაბარეობდნენ. ამ გზებზე გამოივლიდნენ სამხრეთში მომთაბარე ჩრდილოეთელი ნოინები თუ ბატონიშვილები, რომლებიც ჩრდილოეთში ბრუნდებოდნენ, ხოლო საყაენოებს შორის ამტყდარ ბრძოლებში საქართველოს ეს ტერიტორიები

---

[1] აქ იპოვეს რუსუდან მეფის (1222—1245 წწ.) მონეტები, რომლებიც ათარიღებენ ამ კვარტალთა არსებობის უკანასკნელ პერიოდს. ამის შემდეგ, გვიან, ამ ადგილებში ბაღ-ვენახები გაუშენებიათ (Ш. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, 1959, с. 52).

[2] ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქაში, 1966, გვ. 10.

ხომ ხშირად ბრძოლის ველსაც წარმოადგენდა. ამ გზების მახლობლად, როგორც უკვე ვიცით, ურდოთა მუდმივი სადგომებიც იყო.

მას შემდეგ, რაც ჩრდილოეთის ურდომ ევროპასთან დამაკავშირებელი ამ გზების ხელში ჩაგდება განიზრახა, სამხრეთის ურდომ სულ ჩაკეტა ისინი და გზა გადაიტანა შორს, სამხრეთში, თავრიზზე გავლით[1]. ამასთანავე, საქართველოს ყმადნაფიცი ხლათის სასულთნოს მოსპობამ (ვანის ნაპირას), რომელზეც გადიოდა სავაჭრო გზა (ირანიდან თავრიზზე გაელით დას. ევროპისაკენ), გარკვეულად იმოქმედა საქართველოს სავაჭრო ეკონომიკაზე.

ამ გარემოებამ დასცა და დააკნინა საქართველოს ქალაქები. ქალაქების გაღატაკებას მოწმობდა ფულის რაოდენობის საგრძნობლად შემცირება, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის გაღარიბების საერთო ნიშანია. ამასთან, იმის შედეგიც, რომ მონღოლებმა მოშალეს არაერთი ისეთი საფეოდალო, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქალაქებთან[2].

ქალაქებში გლახაკთა ბრბოებმა იმატა, ხოლო სახელმწიფო სალარომ ფულის სიმცირის გამო, უნდა ვიფიქროთ, უკვე შეწყვიტა მათთვის წინათ დაწესებული ნაათალის (სახელმწიფო შემოსავლის ერთი მეათედის) გაცემა. ამის მანიშნებლად შეიძლება მივიჩნიოთ ჟამთააღმწერლის თხზულებაში დაცული ერთი ფაქტი: დიმიტრი მეფეს თურმე ჩვეულება ჰქონია ღამით ქალაქის შემოვლა და გლახაკთა და დავრდომილთათვის ფულის დარიგება. რაკი ქალაქის გლახაკებმა მეფის ეს ჩვეულება იცოდნენ, დანიშნულ დროს ღამე ქუჩებში გამოდიოდნენ მეფისაგან მოწყალების მისაღებად[3]. ამრიგად, იმდროინდელ თბილისში გლახაკების ბედი კერძო მოწყალებაზე ყოფილა დამოკიდებული[4].

ფულის შემცირება რომ მონღოლების ბატონობასთან დაკავშირებული ახალი მოვლენა იყო, ამას მოწმობს სავაჭრო ურთიერთობაში ამ დროს ძალზე გავრცელებული ის წესიც, როცა ფულის ეკვივალენტად იანგარიშებოდა სხვადასხვა უძრავ-მოძრავი საგნები[5].

ქალაქებში ფულის ნაკლებობას ადასტურებს ისეთი ფაქტებიც, რომლებიც ფულის გარედან შემოტანას მიუთითებს: „ბაღდადს ნაშოებით მიყიდიაო", „ხმლით ნაშოებით" და სხვ. ფულის სიმცირეზე გავლენა იმა-

---

[1] რ. კ ი კ ნ ა ძ ე, ქალაქები ილხანთა ირანში, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, 1957, გვ. 207 — 208.

[2] ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ შიომღვიმის სამონასტრო მეურნეობა, რომელიც დიდად დაზიანდა მუხრანში მონღოლების ხანგრძლივი დგომის გამო, რადგან აქ ჰქონდა მას უმრავლესი მამულები. ამ საფეოდალოს, ჩანს, დიდი ზიანი მიაყენა სამონღოლო გადასახადებმაც (იხ. ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, შიომღვიმე, 1953, გვ. 37—38).

[3] ქ. ცხ., II, გვ. 272.

[4] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, 1941, გვ. 106.

[5] თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 61.

საც მოუხდენია, რომ მონღოლთა ხაზინაში ხარკისა და გადასახადების სახით ყოველწლიურად კვლავ დიდძალი ფული წასულა საქართველოდან[1].

ქალაქების დაცემას ხელი შეუწყო ქალაქის ვაჭარ-ხელოსანთა უზომო ექსპლოატაციამ, რასაც ეს ფენა ხარკის ამკრეფთაგან, მონღოლ და თვით ადგილობრივ ქალაქის უმაღლესი წრეებისაგან განიცდიდა. ქალაქებიდან გარბოდნენ არა მხოლოდ დაბალი ფენები, არამედ საშუალო მოხელეებიც (ქალაქის მამასახლისები). ამას კარგად გვისურათებს ყაენ აბუსაიდის ცნობილი წარწერა, რომელსაც ქვემოთ გავეცნობით.

XIII ს. 70-იანი წლებიდან კიდევ უფრო დამძიმდა გლეხობის მდგომარეობა. გლეხთა აყრა-გაქცევა კიდევ უფრო მასობრივი გახდა, გლეხი ვეღარ უძლებს ქართველი ფეოდალისა და მონღოლი ბასკაკის (საყაენო გადასახადების ამკრეფი სამმართველოს უფროსი) ძალმომრეობას, იგი ბოგანობა-ხიზნობას უფრო ახშირებს. ყაზან ყაენს საქართველოდან ჩასული მონღოლი მოხელეები მოახსენებდნენ, რომ ხარკის ამკრეფნი საქართველოში დიდ უსამართლობას ჩადიან და საქართველო გაანადგურესო[2].

XIII ს. 90-იანი წლების ერთ-ერთი საბუთიდან ჩანს, რომ ზოგ ქართველ ფეოდალს თავის სასარგებლოდ მიუთვისებია მონღოლური გამოსაღები. ასეთი შემთხვევა დასტურდება „ულუფის" მიმართ[3].

ამგვარად, მოშლილი მეურნეობა, დაცლილ-გაღარიბებული ქალაქები, მოოხრებულ-გაუდაბურებული მხარეები და აყრილი გლეხობა, ნათლად ადასტურებდნენ საქართველოს ეკონომიკურ დაცემას.

მაგრამ ილხანთა სახელმწიფოში ასეთი ბედი ეწია არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ყველა სხვა დაპყრობილ ქვეყნებსაც[4].

მინიმუმამდე იკლო დაპყრობილი ქვეყნების გადახდისუნარიანობამ. XIII ს. მიწურულს ილხანთა სახელმწიფო დიდი კრიზისის წინაშე აღმოჩნდა. საქმეს ართულებდა საყაენოს

---

[1] როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია, ამ დროისათვის საქართველოდან გამავალი ხარკის რაოდენობა დაახლოებით 90000 მანეთი იყო ოქროთი. ამ საფუძველზე გამოთქმულია აზრი, რომ საქართველოს სახელმწიფოს შემოსავალი მონღოლებამდელ პერიოდთან შედარებით ოთხჯერ უნდა შემცირებულიყო (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, 1949, გვ. 265).

[2] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., III, გვ. 129.

[3] ქრონიკები, II, გვ. 170.

[4] მონღოლთა მფლობელობის გამანადგურებელ შედეგებს ამ პერიოდისათვის დაწვრილებით და ცოცხლად აღწერს რაშიდ ად-დინი. მარტო ის ერთი ცნობაც იმის მაუწყებელია, რომ მთელ რიგ მხარეში მონღოლთა ბატონობის მიზეზით დამუშავებული მიწების ფართობი 9/10-ით შემცირებულა (Сборник летописей, III, с. 309).

შიგნით ამტყდარი პოლიტიკური აშლილობანი, საყაენო თანდათან ირღვეოდა.

საყაენოს ტახტს ამ დროს განაგებდა მაჰმუდ ყაზანი (1295—1304 წწ.), ენერგიული და გამჭრიახი პიროვნება. მან დიდი ცვლილებები შეიტანა საყაენოს სოციალურ-პოლიტიკურ და სამხედრო წყობილებაში, ხოლო დედააზრი ამ ცვლილებისა იყო სახელმწიფო შემოსავლის რაც შეიძლება გაზრდა, საყაენოს პოლიტიკური დაშლის შეჩერება[1].

მიღებულ ღონისძიებათა შინაარსი თვალსაჩინოდ მეტყველებს, თუ რაოდენ შორს იყო წასული საყაენოს რღვევა, რაოდენ გაჩანაგებული იყვნენ მისი ხელქვეითი ქვეყნები... სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთი მკვლევარი სამართლიანად შენიშნავს, რომ ყაზან ყაენის ეს ღონისძიებები ნაკარნახევი იყო მონღოლურ-მომთაბარულ საზოგადოებაზე ადგილობრივი, ე. ი. დაპყრობილი ხალხების მაღალი კულტურის (ფეოდალური წესწყობილების) გავლენით. დამახასიათებელი გეზი მონღოლთა მფლობელობის ამ მეორე, ახალი პერიოდისა იყო ბრძოლა ძველი, ირანული სახელმწიფოებრივი და სოციალური ტრადიციების აღდგენა-შეთვისებისათვის, დაახლოება ადგილობრივ ფეოდალურ წრეებთან. ამგვარად, ყაზან ყაენი თავისი ზოგადი პოლიტიკის მიხედვით არ ეკუთვნოდა მონღოლთა არისტოკრატიის იმ უმრავლესობას, რომელნიც ძველი მონღოლური წესების — მომთაბარეობის, დაპყრობილი ქვეყნების ნგრევისა და ძარცვის მომხრენი იყვნენ. მონღოლური ტრადიციების წინააღმდეგ გალაშქრება ყაზანმა, გარდა იმისა, რომ ამ თავის რეფორმითაც გამოხატა, მან ადგილობრივ მუსლიმანურ ფეოდალურ არისტოკრატიას იმ მხრივაც დაუთმო, რომ თვითონ მაჰმადიანი გახდა და პირველმა გამოაცხადა ისლამი სახელმწიფო რელიგიად[2]. ყაზანის აშკარად განსხვავებული სახელმწიფოებრივი გეზი არა მხოლოდ მის პრაქტიკულ მოღვაწეობაში, არამედ

---

[1] ყაზან ყაენის რეფორმების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ იხ. სპეციალური გამოკვლევები: И. Н. Петрушевский, Земледелие и аграрные отношения в Иране XIII—XIV веков, 1960, с. 52—62, 83—92, 333—337; მისივე, Иран и Азербайджан под властью хулагидов (1256—1393 гг.). Татаро-монголы в Азии и Европе. Сборник статьей, 1970, с. 242—244; А. И. Фалина, Реформы Газат-хана, Ученые записки Института востоковедения Академии наук СССР, т. XVII, 1959, с. 51—76.

[2] მართალია, ყაზანამდეც საილხანოს ზოგი ყაენი ისლამს აღიარებდა, მაგრამ ეს ქერძო შემთხვევა იყო. ყაზანის დროს კი მარტო პირველ დღეს ერთბაშად 200000 მონღოლი მოქცეულა ისლამზე. ყაზანს ბრძანება გაუცია, აღარ ეცნოთ წარმართი ყაენის უზენაესი ხელისუფლება, რომელიც ამ დროს ისედაც ნომინალური იყო. ქრისტიანული საერო და სასულიერო წრეების მისამხრობად კი პირადად ყაზანი ქრისტიანობის დამცველობასაც ჩემულობდა (დაწვრ. ა. ალი-ზადე, დასახ. ნაშრ., გვ. 281).

როგორც უკვე ითქვა, ყაზანმა მალევე აკრძალა ამიერკავკასიაში რელიგიური გადასახადი „ჯიზია", მაგრამ მის ირგვლივ მყოფი მაღალი მოხელეობა გარკვეული მიზნით არ იზიარებდა არამუსლიმანთა მიმართ ასეთ შეღავათს.

შის მიერ წარმოთქმულ სიტყვებშიც ჩანდა. მაგ., ის მიმართავდა მონღოლთა არისტოკრატიას: უზომოდ არ გაძარცვოთ და უსამართლოდ არ მოეპყრათ ქვეშევრდომთ, თორემ თვითონვე იზარალებთ, გაღარიბებული გლეხი დაკისრებულ გადასახადებს რომ ვერ გადაიხდისო; არ აწამოთ მათი ცოლები და შვილები, ისინიც ჩვენისთანა ადამიანები არიანო და ა. შ. ასეთსავე „სამართლიანობას" მოუწოდებდა ყაზან ყაენის პოლიტიკის თანაავტორი და მისი ერთგული გამტარებელი დიდმოხელე რაშიდ ად-დინი (ცნობილი ისტორიკოსი)[1].

ამგვარად, ხელისუფლება მოითხოვდა ექსპლუატაციის ისეთ ზომიერებას, რომ მას გლეხის გაქცევა და აჯანყება არ გამოეწვია. ხელისუფლებას სურდა აეღორძინებინა ძველი (ფეოდალური) საგადასახადო სისტემა, რომ ამ გზით ხელი შეწყობოდა სოფლის მეურნეობის აღმავლობას, ანუ სახელმწიფო შემოსავლის გადიდებას. ასეთი იყო ამ გარეგნულად კაცთმოყვარე სიტყვების ნამდვილი არსი.

პირველ რიგში, ყაზანმა გლეხთა საკითხის მოგვარება სცადა, რათა ამ გზით მიეღწია შემოსავლის გადიდებისათვის. გლეხების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ბასკაკების ძალმომრეობის ასალაგმავად მან მრავალი ღონისძიება გაატარა; მთელი მისი სამფლობელოს მოსახლეობა და ქონება ხელახლა ააწერინა და მტკიცედ განსაზღვრა ხარაჯის (გადასახადების) ნიხრი, რათა ყველას თვითონვე სცოდნოდა რა უნდა გადაეხადა წელიწადში ორჯერ[2]. ეს ნიხრები სპილენძის ფირფიტაზე ამოაჭრევინა და მოსახლეობაში დაარიგებინა, ზოგან კი, მაგალითად, საჯარო ადგილებზე— შეჩეთების, ეკლესიების კედლებსა და ბოძებზე ჩამოაკიდინა; დააწესა ცემა და აგრეთვე იმათი სიკვდილით დასჯა, ვინც დაწესებულზე მეტს გადაახდევინებდა[3].

იმისათვის, რომ ბოლო მოღებოდა მიწისმოქმედ გლეხთა დაუინტერესებლობას მეურნეობით, ხოლო ამ ნიადაგზე გაქცევასა და მიწების გაუკაცრიელებას, ყაზანმა დააწესა სახელმწიფო გადასახადებში ერთდროული შეღავათები იმათ მიმართ, ვინც ნაოხარ მიწას დაამუშავებდა ან კორდს გატეხდა. ყაზანმა გააუქმა გადასახადების გამოსყიდვის წესი და საეხედრო და სამოქალაქო მოხელეების ჩადგომა გლეხის ოჯახში. შეზღუდა საიამე სამსახური, შეამცირა გადასახადები ეაჭრებზე და ხე-

---

[1] რაშიდ ად-დინი, Сборник летописей, III, რუს. თარგმ. არენდსისა, გვ. 262—263; ი. პეტრუშევსკი, დასახ. ნაშრ., 1960, გვ. 56—57; მისივე, Иран и Азербайджан..., 1970, с. 42.

[2] გაზაფხულსა და შემოდგომაზე, თითოეულ ვადაზე 20 დღის განმავლობაში უნდა ჩაებარებინათ გადასახადები.

[3] Рашид-ад-дин, Сборник летописей, III, რუს. თარგმ. არენდსისა, გვ. 256—262; ი. პეტრუშევსკი, დასახ. ნაშრ., 1960, გვ. 58.

ლოსნებზე, ზოგან დროებით გააუქმა კიდეც. განამტკიცა ვერცხლის სამონეტო კურსი. შემოიღო ზომა-წონის და ფულის ერთიანი სისტემა მთელს იმპერიაში[1].

1303 წელს ყაზანმა გამოსცა კანონი, რითაც გლეხებს ეკრძალებოდათ თვითნებურად წასვლა მიწიდან, ხოლო ფეოდალებს მათი შეკედლება. ფეოდალ-მეპატრონეების სასარგებლოდ ყაენმა იქვე დააწესა გაქცეული გლეხის ძებნის 30-წლიანი ვადა: თუ ამ ხნის განმავლობაში პატრონი მონახავდა გაქცეულ გლეხს, უფლება ჰქონდა უკან მოეყვანა[2]. ამ კანონმა განამტკიცა და პირველად ოფიციალურად დაადასტურა გლეხების (რაიათების) მიმაგრება მიწაზე, ამავე დროს ფეოდალებს აეკრძალათ გლეხებს მოპყრობოდნენ როგორც მონას, მოეკლათ ის და ა. შ. ამ რეფორმასთან ერთად ყაზანის აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ღონისძიება იყო დივნის (სახელმწიფოს) მიწების ფართოდ დარიგება მემკვიდრეობითი იკტის სახით მონღოლ სარდლებზე და მთლიან სამხედრო რაზმებზე (რაზმის თითოეული წევრი თავის წილ მიწას ღებულობდა ამ ფონდიდან)[3]. იკტადარებმა მიწასთან ერთად მიიღეს მიწაზე მჯდომი გლეხებიც, საიდანაც ისინი რენტას ღებულობდნენ. იმ ვითარებაში, როცა სამხედრო ალაფმა და ხარკმა იკლო, ყაზანმა ამ ღონისძიებებით, ე. ი. მონღოლთა მასობრივი ფეოდალიზაციით, მოახერხა მათი დაკმაყოფილება. ამით ყაზანმა ცენტრის როლის გაზრდასაც მიაღწია, რადგან ცენტრთან კავშირი ფეოდალის გამდიდრების წყაროდ იქცეოდა. მაგრამ ეს უკანასკნელი მიზანი ამ ღონისძიებამ, როგორც მონღოლთა ისტორია გვიჩვენებს, მეტად მოკლე დროით გაამართლა, პირიქით, მონღოლთა იმპერიის დაშლა დააჩქარა[4].

ყაზან ყაენმა დიდი ყურადღება მიაქცია ქალაქების ფიზიკურ აღდგენას, მათ კეთილმოწყობას, ვაჭრობა-აღებ-მიცემობის გაცხოველებას. მაგრამ ახალი მშენებლობანი მხოლოდ იმით ამოიწურებოდა, რომ იგი შეეხო სატახტო ქალაქებს, რომლებიც ურდოთა ბანაკებს წარმოადგენდნენ სხვადასხვა დროს. ამ ქალაქების მშენებლობებმა სამაგიეროდ გააპარტახეს

[1] რაშიდ ად-დინი, დასახ. ნაშრ., III, გვ. 309—314, 319—326, 263—282. ი. პეტრუშევსკი, დასახ. ნაშრ., 1960, გვ. 59.

[2] რაშიდ ად-დინი, დასახ. ნაშრ., III, გვ. 283 — 285; ი. პეტრუშევსკი, დასახ. ნაშრ., 1960, გვ. 333—338; მისივე, დასახ. ნაშრ., 1970, გვ. 244.

[3] რაშიდ ად-დინი, დასახ. ნაშრ., III, გვ. 282 — 285, ი. პეტრუშევსკი, დასახ. ნაშრ., 1970, გვ. 244, იკტა იყო მიწა ან რაიმე საშემოსავლო ობიექტი, რომელიც სამსახურის სანუქფოდ ეძლეოდათ დროებით სარგებლობაში (ჩვეულებრივად სიცოცხლის განმავლობაში). ამ შემთხვევაში ყაზანის მიერ გაცემული მემკვიდრეობითი იკტა უკვე ფეოდალური ლენის (ფეოდის) შინაარსს ატარებდა.

[4] მიწისმფლობელობის ამ წესმა ხელი შეუწყო უზარმაზარი ტერიტორიების თავმოყრას მსხვილი მაგნატების ხელში და მათი პოლიტიკურ-ეკონომიკური უფლებებს ზრდას, რასაც არსებულ ისტორიულ პირობებში მოჰყვა მათი ბრძოლა ცენტრის წინააღმდეგ დამოუკიდებლობისათვის.

ახლომდებარე ოლქები. შემოსევის დროს აოხრებული ქალაქები ისევ დანგრეული დარჩა[1]. ვაჭრობა-ხელოსნობა, ასე თუ ისე, მხოლოდ იმ ქალაქებში ყვაოდა, რომლებიც მონღოლებს დაუნგრეველი გადაურჩათ. საერთოდ, ილხანთა სახელმწიფოში მეტ-ნაკლები სიძლიერით მოქმედებდნენ შემდეგი ქალაქები: თავრიზი, იეზდი, ნიშაბური, ისფაანი, შირაზი, არდებილი, ყაზვინი, ჰამადანი, ქაშანი, ურმია და სხვ.[2].

მონღოლთა ხანაში განსაკუთრებულ განვითარებას აღწევს სატრანზიტო (საქარავნო) ვაჭრობა, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა კავშირი დაემყარებინა დასავლეთთან. ამის გამო გაიზარდა მხოლოდ ის ქალაქები, რომლებიც მთავარ გზებზე მდებარეობდნენ. ასეთი ვაჭრობა დაკავშირებული არ იყო შინაგან სოფლის მეურნეობასა და საქალაქო ცხოვრებასთან, ამიტომ ის ქვეყნის ეკონომიკას ვერ ავითარებდა. საერთოდ, როგორც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაშია შესწავლილი, მონღოლთა ბატონობის ამ პერიოდშიც საქალაქო ცხოვრება საერთო დაცემით ხასიათდება.

ყაზან ყაენის რეფორმებმა, რომლებიც არსებითად ფეოდალთა კლასის და სახელმწიფოს ინტერესებს ემსახურებოდა, ერთგვარი აღმავლობა გამოიწვია, მაგრამ რეფორმები ყველგან ერთნაირი სისრულით ვერ გატარდა. ყაზანის ეს პოლიტიკა სამხედრო-მომთაბარული არისტოკრატიის მძლავრ წინააღმდეგობას წააწყდა, რის გამოც მან თანდათან დაკარგა ძალა, უფრო კი ყაზანის გარდაცვალების შემდეგ.

ყაზან ყაენის ღონისძიებებმა კრიზისს მაინც ვერ უშველა. ქვეყნები ისევ დანგრეულ-განადგურებული დარჩა. უბედურებას ვერავითარი ასეთი ღონისძიებანი ვეღარ გამოასწორებდა. მიწისმოქმედი გლეხობა სოფლებიდან კვლავ გარბოდა, ვაჭარ-ხელოსნები ქალაქებს ტოვებდნენ...

ყაზან ყაენის რეფორმების შედეგები რომ თვალსაჩინოდ წარმოვიდგინოთ საერთოდ და, კერძოდ, საქართველოსათვის, უნდა გავეცნოთ ახლო პერიოდის ერთ-ერთ მონღოლურ ოფიციალურ დოკუმენტს, რომელიც სახელმწიფო გადასახადების გარიგებას ეხება. ეს არის აბუსაიდ ბაჰადურ ყაენის (1317 — 1335 წწ.) „იერლაყი", ამოკვეთილი XIV ს. 10-იან წლებში ქ. ანისის მანუჩეს მეჩეთის გარეთა კედლის ქვაზე სპარსულ ენაზე. ამ დოკუმენტში საღვთისმეტყველო შესავლისა და მეფური სიძლიერის პათეტიკური შექების შემდეგ, აბუსაიდი აუწყებს ყველას, რომ მისი ბრძანების შეცვლა „ვერავინ გაბედოს და ტამღისა და სამართლიანი ბაჟის გარდა სხვა აღარაფერი არ გამოართვან და არავის ყალანის, ნემარის, ტარხის და სხვა რამის მომიზეზებით არ სთხოვონ არაფერი, როგორც ამის წინ ქა-

---

[1] რ. კიკნაძე, ქალაქები ილხანთა ირანში, კრებ. „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან", 1957, გვ. 188.

[2] იქვე, გვ. 191.

ლაქ ანისში და საქართველოს სხვა ვილაიეთებში ყალანს, ნემარს უკანონო გამოსაღებლებს და ტარხს ჰკრებდნენ და ავიწროებდნენ (მოსახლეობას), და ამის გამო ქვეყანა გაოხრდა, მდაბიო ხალხი გაიფანტა, ამ ქვეყნის ქალაქის მამასახლისებმა ყალანის და დერნაგირის გამო თავიანთი უძრავი და მოძრავი ქონება და სახლ-კარი მიატოვეს და გაიქცნენ"[1].

ამრიგად, წარწერა ადასტურებს გადასახადების ამკრებთა ისევ ძველებურადვე ძალმომრეობას, რომ ამ ბრძანებამდე ქ. ანისში და საქართველოს სხვა მხარეებში იკრიბებოდა ყალანი, ნემარი, ტარხი და სხვა ისეთი გადასახადებიც, რომლებიც წინათ გაუქმებული ყოფილა; რომ ამ გადასახადებით შევიწროებული გლეხობა, ვაჭარ-ხელოსნები და ქალაქის მამასახლისებიც კი, ტოვებდნენ სახლ-კარს და გარბოდნენ[2]. სახელმწიფო იძულებული ხდებოდა ზომები მიეღო მოსახლეობის გაქცევის შესაჩერებლად. მან გააუქმა ზოგიერთი მოქმედი გადასახადი, აკრძალა უკანონო გადასახადები და მოახდინა გადასახადების მკაცრი ფიქსაცია[3].

აბუსაიდის წარწერაზე უკეთ მონღოლთა ასწლოვანი ბატონობის საშინელების დახასიათება შეუძლებელია! და, რაც მთავარია, ეს საშინელება დაუფარავად აღიარებულია თვით უმაღლესი მმართველის მონღოლი ყაენის პირით.

---

[1] В. В. Бартольд, Персидская надпись на стене Анийской мечети Мануче, Анийская серия, № 5, СПб., 1911, с. 7. ციტირებული ქართული ტექსტი ძირითადად ეყრდნობა ივ. ჯავახიშვილის თარგმანს (ქართველი ერის ისტორია, III, 1941, გვ. 155—156), შევადარეთ სხვა რუსულ გამოცემებსაც.

[2] წყაროები აღნიშნავენ მონღოლთა მფლობელობის პერიოდში სომეხი მოსახლეობის მასობრივ ემიგრაციას ქალაქებიდან (ანისიდან, დვინიდან) და სოფლებიდან. ისინი ეხიზნებოდნენ საქართველოსა და შორეულ ქვეყნებს.

[3] ტოვებს ტამღასა და ბაჟს, აუქმებს ყალანს, ნემარს, ტარხს და სხვა „უკანონო გადასახადებს".

თავი მეათე

საქართველო XIV საუკუნის პირველ ნახევარში. მონღოლთა ბატონობის გადაშენება. გიორგი V ბრწყინვალე

§ 1. მონღოლთა ბატონობის დასასრული და ქვეყნის პოლიტიკური მთლიანობის აღდგენა

1299 წელს აჯანყებული დავით VIII-ის საპირისპიროდ მონღოლებმა მეფედ დასვეს მისი მცირეწლოვანი ძმა გიორგი (შემდეგში გიორგი V ბრწყინვალე). მის ფაქტიურ უფლებაში მაშინ მხოლოდ თბილისი ითვლებოდა. მალე ამ უფლებასაც ძალა დაეკარგა, როცა მონღოლებმა ამავე დავითის დასაპირისპირებლად მისი მეორე ძმა ვახტანგი გაამეფეს. ვახტანგ III-ის გარდაცვალების შემდეგ მეფედ დაამტკიცეს დავით VIII-ის შვილი გიორგი მცირე (გიორგი VI), რომელსაც „საქმის მოურავად" მისივე ბიძა „დიდი" გიორგი დიმიტრის ძე დაუდგინეს[1]. გიორგი მცირის გარდაცვალების შემდეგ, 1314 წელს, მეფე გახდა გიორგი V[2].

XIV საუკუნის დამდეგისათვის საქართველო უკიდურესად დაცემული იყო: ეკონომიკურად დაქვეითებული, პოლიტიკურად კარგა ხნის დაჩსაქსული, წლების განმავლობაში მონღოლთა ექსპედიციებისაგან ფიზიკურად დაზიანებული. გიორგი V-ის დროს ქვეყანა ყოველმხრივ მოღონიერდა და მონღოლთა ბატონობისაგან განთავისუფლდა. ვითარების ასე შეცვლას ხელი შეუწყო საერთაშორისო ურთიერთობაში მომხდარმა ცვლილებებმა. დაშლის გზაზე მდგარი ილხანთა სახელმწიფო დიდ სიძნელეებს განიცდიდა, რაც მარჯვედ გამოიყენა ნიჭიერმა და გამჭრიახმა პოლიტიკოსმა გიორგი V ბრწყინვალემ (1314 — 1346). მან, სავსებით მართებულად, საქართველოს აღდგენის განსახორციელებლად აჯანყების დაწყება სახიფათოდ მიიჩნია. მართალია, მონღოლები დასუსტებულები იყვნენ, მაგრამ აჯანყების შემთხვევაში მათ საპასუხო დარტყმას ადვილად შეეძლო დაუძლურებული საქართველო სრულიად მოესპო. ამიტომაც იყო, რომ გიორგიმ სხვა გზას მიმართა. მან ისარგებლა ურდოში მოპოვებული პირადი გავლენით და მონღოლებისავე მხარდაჭერით შეუდგა საქმეს. საილხანოში

---

[1] ქამთააღმწერელი, ქ. ცხ., II, გვ. 323. ყრმა გიორგი მისი მამის დიმიტრის სიკვდილით დასჯის შემდეგ პაპამისის დიდი ბექა მანდატურთუხუცესის ოჯახში იზრდებოდა.

[2] ქართველი ქამთააღმწერლის თხზულებაში თავის დროზე ყოფილა გიორგი ბრწყინვალის მოღვაწეობის ამსახველი ცალკე ნაწილი, მაგრამ იგი ადრევე დაკარგულა. იხ. წყაროების მიმოხილვა.

ოლჯაითუ (1304—1317) და აბუსაიდ (1317—1335) ყაენების დროს პირველი ემირის ჩობანის (გარდ. 1327) ხელში იყო თავმოყრილი მთელი ძალაუფლება. არაბი ისტორიკოსი ელ-კალკაშანდი საგანგებოდ შენიშნავს ჩობანთან გიორგის ახლო ურთიერთობის შესახებ.

გიორგიმ მოიპოვა უზომოდ განდიდებული ჩობანის პირადი ნდობა, რაც შორსმჭვრეტელურად გამოიყენა საქართველოს საკეთილდღეოდ. ამ წყაროს თანახმად, ეს ნდობა იმდენად დიდი ყოფილა, რომ ჩობანი საყაენო საქმეებსაც კი ეკითხებოდა გიორგის[1]. ქართველ მეფესთან ამგვარი ურთიერთობა ნაკარნახევი იყო საქართველოს დიდი მნიშვნელობით საყაენოსათვის, რაც ამ არაბ ისტორიკოსსაც აქვს აღნიშნული. საქართველოს ლაშქარი ყოველთვის გადამწყვეტ და სანდო ძალას წარმოადგენდა შეთქმულებებისა და აჯანყებების ჩასახშობად, რომლებიც ასე გახშირებული იყო მაშინ და ძირს უთხრიდა საყაენოს ძლიერებას.

ჯერ კიდევ ოლჯაითუ ყაენს, ურდოში გიორგი მცირის მეფედ დამტკიცების დროს უბრძანებია საქართველოს გაერთიანება[2], მაგრამ მონღოლ-მოხელეებმა და ქართველმა მთავრებმა, ვისაც ეს ჰქონდა დავალებული, ვერაფერი გააწყვეს: სამცხის პატრონებს მამა-შვილს სარგისსა და ყვარყვარეს არ უსურვებიათ დამორჩილებოდნენ მეფეს[3].

1317 წელს, როცა გარდაცვლილ ოლჯაითუს მაგიერ ახალი ყაენის (აბუსაიდის) ტახტზე ასვლის გამო გიორგი ურდოში გამოცხადდა, ჩობანმა მას, ქართველი ისტორიკოსის სიტყვით, „მისცა ყოველი საქართველო და ყოველი მთავარნი საქართველოსანი და შვილნი დავით მეფისანი და მესხნი შვილნი ბექასანი". ეს ნიშნავდა ყაენის კარის დასტურსა და ნებართვას, გიორგის თავის ხელში გაეერთიანებინა მთელი იმიერი და ამიერი საქართველო, დაემორჩილებინა დავით მეფის შვილები[4] და ყველა მთავარი, მათ შორის სამცხის მთავარიც; ეს ნიშნავდა სამცხის სამთავროს ხასობის გაუქმებას, სამაგიეროდ, ამ უფლების გიორგისათვის გადაცემას. ამიერიდან მონღოლ მოხელეთა გარეშე თვითონ გიორგი აკრეფდა ხარკს. ამგვარად, საქართველოს გაერთიანების კურსი, რომელიც ოლჯაითუ ყაენმა და ჩობანმა აიღო, იმას მოწმობდა, რომ საილხანოსაც აღარ აწყობდა

---

[1] არაბი ისტორიკოსის ელ-კალკაშანდის ნაშრომის ის ნაწყვეტი, რომელიც XIV ს. პირველი ნახევრის საქართველოს ამბებს ეხება, არაბულ ენაზე რუსული თარგმანით გამოსცა ვ. ტიზენჰაუზენმა — Заметки Элькалькашанди о грузинах, Записки Вост. отд. Русск. арх. общ., т. I, вып. III, 1886, с. 209—211; ნაწყვეტები დაბეჭდილია გ. წერეთლის „არაბულ ქრესტომათიაში", 1949.

[2] ყამთააღმწერელი, ქ. ცხ., II, გვ. 324.

[3] დიდი გიორგი მაშინ საქართველოში არ იმყოფებოდა. იგი ქართული ჯარით ურდოდანვე დიდ ემირთან, ჩობანთან ერთად საბერძნეთში აჯანყების ჩასაქრობად გაგზავნეს (გიორგიმ იქ ერთი წელიწადი დაჰყო). ყამთააღმწერელი, ქ. ცხ., II, გვ. 324—325.

[4] იგულისხმება აღმ. საქართველოს მეფის დავით VIII-ის (1293 — 1311) შვილები.

დაქსაქსული საქართველო, საიდანაც ხარკის აკრეფა და ლაშქრის გამოყვანა ძნელდებოდა.

საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის აღსადგენად, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო მთავრების ალაგმვა. გიორგისაც აქედან დაუწყია. ამოცანა მეტად რთული ჩანდა, რადგან საქართველოს სახელმწიფოებრივ დაშლილობას მონღოლთა ბატონობის წყალობით ღრმად გაედგა ფესვები და არსებითი ცვლილებებიც მოეხდინა. ერისთავი თუ ერისთავთერისთავი ახლა სამმართველო ტერიტორიის ჩვეულებრივი მემკვიდრეობითი გამგებელი კი არ იყო, არამედ მისი პატრონი-სუვერენი („მთავარი")[1].

მონღოლთა ბატონობის შედეგად შექმნილმა ახალმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა სიტუაციამ გაუადვილა მსხვილ ფეოდალს მემკვიდრეობითი პირობითი მამულის „თვისად დაჭერა", ანუ მისი გასაკუთრება (უპირობო მამულად გადაქცევა). „მთავარი" ახლა მათ ახალი შინაარსით ეწოდებოდათ, ისინი თავიანთ „მამულებში" („მამულში" ფართო გაგებით იგულისხმებოდა სამმართველო ტერიტორიაც) „ხელმწიფეებად" იქცნენ. მათ თავიანთი სამთავროების აზნაურები და მწარმოებელი საზოგადოება შეუზიარებელ ყმებად გაიხადეს. დიდებულთა იმ წრის წარმომადგენლებმაც, რომელთაც მოხელეობა (ერისთავობა, ვაზირობა) არ ჰქონდათ (მეფის სამხედრო სამსახურში კი ჩვეულებრივ ითვლებოდნენ), ასევე უპირობოდ გაისაკუთრეს თავიანთ მფლობელობაში მყოფი მიწა-წყალი (სამკვიდრო, ნაწყალობევი...) და „ხელმწიფეებად" იქცნენ. აი ასე, მეტ-ნაკლები ეკონომიკური და ხელმწიფური (პოლიტიკური დამოუკიდებლობის — სუვერენობის) სიძლიერის მიხედვით, გაჩნდნენ თავისებური სენიორიები. XIII ს. ბოლოსათვის სულ რამდენიმე ასეთი დიდი სამთავროა (ერთერთი სამცხეა), რომელთა მთავრები უკვე შედარებით სრული ხელმწიფეები არიან. ნიშანდობლივი კი უფრო ისაა, რომ ხელმწიფობისაკენ სწრაფვა ეპოქის მამოძრავებელ საერთო ტენდენციად იქცა[2]. ის მთავრები, რომლებიც სამეფო დინასტიას ეკუთვნოდნენ, „მეფეებსაც" კი უწოდებდნენ თავს[3]. ასეთ მთავრებთან ჰქონდა გიორგის საქმე.

---

[1] ქვეყნის გამაერთიანებელი ძალების: ქალაქებისა და ვაჭრობის დაცემის გამო შენელდა სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები საქართველოს კუთხეთა შორის, ასევე შენელდა კუთხეების დამოკიდებულება ცენტრთან. ამან გამოიწვია მაღალი ფეოდალების პოლიტიკური უფლებების გაზრდა პროვინციებში, მონღოლთა მფარველობითი პოლიტიკაც მთავრებზე დაშლილობას კიდევ უფრო აღრმავებდა.

[2] ყველა ასეთი დიდი მთავრის პარალელურად წარმოშობილ შედარებით მცირე „მთავრებს" (თავადებს) უფრო გვიანი ხანისათვის „თავადის" სახელი შერჩათ, რომელიც წოდებრიობის აღმნიშვნელად იქცა XV ს. დასასრულს.

[3] პროვინციის ასეთი მეფეები არაფრით არ განსხვავდებოდნენ ჩვეულებრივ დიდი მთავრებისაგან. ისინი მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი სამეფო წარმოშობის გამო ატარებდნენ „მეფის" სახელს.

ადრე ქართველი მეფეები, როგორც უკვე ვიცით, ყაენის შიშით ვერ ბედავდნენ განდგომილი მთავრების შეცვლას თუ დასჯას. ახლა კი მათი აღსასრული დადგა. გიორგის საყაენოსაგან მთავრების დამორჩილების დასტური ჰქონდა მიღებული და ბევრიც, ალბათ, ძალის გამოუყენებლად შემოიმტკიცა, მაგრამ ურჩების გასასწორებლად დროის შერჩევას მაინც სიფრთხილით შეუდგა. გიორგიმ მათ წინააღმდეგ მოქმედება სწორედ მაშინ დაიწყო, როცა მონღოლებს ერთმანეთში „მტრობა აღუჩნდათ და წახდნენ“ (ე. ი. დასუსტდნენ), მაშინო, გვაუწყებს წყარო, „რა დრო დაიცა გიორგიმ ჰერ-კახთა და სომხითის ერისთავნი, რომლებიც ჩინგიზთ მიუდგნენ (ე. ი. რომლებიც მონღოლებს ემხრობოდნენ — ბ. ლ.), კახეთს ცივზედ მოაწივა და ამოსწყვიტა“[1]. ცივის დარბაზობაზე მოწვეული ერისთავების გაჟლეტა ეს იყო მეფის მიერ ერთ-ერთი რადიკალური ზომა ცენტრს ჩამოცილებული ერისმთავრების წინააღმდეგ. მაგრამ მიზნისათვის მარტო ასეთი ღონისძიებანი, ცხადია, საკმარისი არ იქნებოდა, თუ ამასთან ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური ძალები არ აღდგებოდა. საამისოდ კი საქართველოს სჭირდებოდა მყარი საშინაო და საგარეო მშვიდობა.

ოს ფეოდალთა მოძალების წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევა, რომელიც საქართველოს მთავრობამ დაიწყო, მიზნად ისახავდა შინაური მშვიდობის უზრუნველყოფასა და შემცირებული ქართული მიწისმფლობელობის აღდგენას[2]. გიორგიმ, ჟამთააღმწერლის სიტყვით, „განასხნა და აღფხურნა“ ოვსნი[3], წაართვა მათ „ციხენი და დაბები“, რომლებიც „დაეპყრათ ადგილ-ადგილ“[4]. ბრძოლა მეტად სასტიკი და ძნელი გამოდგა. ერთი ახლო თანამედროვის ცნობით, ოს ფეოდალთა გაძევებას გორიდან სამი წელიწადი მონდომებია. ბრძოლებში ცენტრალური ხელისუფლების მხარეზე მონაწილეობდა მთის მოსახლეობაც: „ცხრაზმის“ (ქსნის) საერისთავოს ლაშქარი (ვირშელი ერისთავის მეთაურობით) და „მთიულნი არაგვისანი“[5]. ჩრდილოეთიდან მშვიდობიანობის გარანტიის მიზნით გიორგის იმიერკავკასიაზე გამოსასვლელი გზებიც მტკიცედ დაუჭერია[6].

XIV ს. 30-იან წლებში საქართველომ თავიდან მოიშორა მონღოლური ხარკი, მონღოლთა თითქმის ასწლოვანი ბატონობა.

---

[1] ქ. ცხ., II, გვ. 325 (ჩანართი ჟამთააღმწერლის თხზულებაში).

[2] ოსებს, როგორც ვიცით, საქართველოს ტერიტორიაზე მტკიცედ ჰქონდათ დაკავებული ქართლის ვაკეში გორი და სხვა მიდამოები. მათი მეკობრული თარეშიც არცთუ იშვიათად არღვევდა მოსახლეობის უშიშროებას.

[3] ქ. ცხ., II, გვ. 296.

[4] ვახუშტი, ქ. ცხ., IV, გვ. 256.

[5] ძეგლი ერისთავთა, გამოც. შ. მესხიასი, მსკი, ნაკვ. 30, 1954, გვ. 350, 351.

[6] ვახუშტი, ქ. ცხ., IV, გვ. 256.

ქართველი და არაბი ისტორიკოსების ცნობებით ვიცით, რომ მონღოლების პოლიტიკური დამოკიდებულება საქართველოსთან XIV ს. პირველ მესამედში შედარებით მსუბუქი იყო (საქართველოს ხასობა ჰქონდა, საოკუპაციო ჯარი მცირე იდგა...)[1], მაგრამ XIV ს. 30-იან წლებში ახალმა საშინაო და საგარეო სიტუაციამ შესაძლებელი გახადა მონღოლთა ბატონობის სრული გადაშენება: 1327 წელს აბუსაიდ ყაენმა თავისი პირველი ემირი ჩობანი (მისი გამზრდელი და საყაენოს ფაქტიური გამგებელი) მოაკვლევინა, მასთან ჩობანის ყველა მომხრენი და შვილები გააჟლეტინა. ჩობანის, როგორც მტკიცე ხელისუფლის დაღუპვამ დააჩქარა საყაენოს დაშლა. დაიწყო დიდი არეულობა. ილხანთა ხელისუფლება ირანში ძალზე შესუსტდა, ამიტომაც მათმა პოლიტიკურმა ძალამ სხვა დაპყრობილ ქვეყნებშიც საერთოდ იკლო. ამ სიტუაციით ისარგებლა საქართველოს მთავრობამ: „მაშინ იცა ჟამი ბრწყინვალემან მეფემან გიორგი და განასხნა თათარნი საქართველოსაგან, რომელიმე გონიერებითა, რომელნიმე ბრძოლითა და ძლიერებითა და მოსრნა ყოველნი საზღვართაგან თვისთა"[2]. აქ ის საყურადღებო ცნობაცაა დაცული, რომ მონღოლების ზოგი ნაწილი ნებაყოფლობითა და დიპლომატიური ხერხებით („რომელიმე გონიერებითა"), ზოგიც ომით გაუძევებიათ. აბუსაიდის გარდაცვალების შემდეგ (1335 წ.) ისედაც აწეწილი ილხანთა სახელმწიფო ერთმანეთის მოწინააღმდეგე სახელმწიფოებრივ გაერთიანებებად დაიშალა[3].

საქართველოში მონღოლთა ბატონობა XIV ს. 30-იანი წლებიდან რომ მხოლოდ ფორმალური ხასიათისაა, ამას მოწმობს საქართველოში 1327—1334 წლებში ჩატარებული აღდგენითი სამუშაოები. ეს ღონისძიებანი, განსაკუთრებით კი ისეთები, რომლებიც ქართულ კანონმდებლობასა და ცენტრალურ აპარატს შეეხებოდა, ითვალისწინებდა მონღოლთა ბატონობის შედეგად დამკვიდრებული წესების აღმოფხვრას. ასეთ საქმიანობას, როგორც ეს ქართულ ისტორიოგრაფიაშიც შენიშნულია, აზრი არ ექნებოდა მონღოლთა ფაქტიური ბატონობის დროს[4].

---

[1] ჯარი შეადგენდა სულ 10000 მეომარს, რომელთაც საზღვრების დაცვა ევალებოდათ, ხარკისა და ლაშქრის ვალდებულება ისევ რჩებოდა.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, ქ. ცხ., IV, გვ. 256.

[3] 1335 წლიდან ვიდრე 1344 წლამდე გამოიცვალა რვაზე მეტი ყაენი. „მოჰკლეს მუსაით ყეენი და განდგნენ ნოინნი თვის თვისად და რომელთამდე დაიპყრეს სპარსეთი, სხუამან ხორასანი, სხუამან ერაყი, სხუამან ადრაბაგანი, სხუათა საბერძნეთი" (ვახუშტი, ქ. ცხ., IV, გვ. 256). ყველაზე ძლიერი იყო ჩობანიდების ფეოდალური სახელმწიფო აზერბაიჯანში, რომელმაც იარსება 1356 წლამდე. მეორე დიდი სახელმწიფო შეიქმნა არაბულ ერაყში ბაღდადის ცენტრით, რომელმაც XIV ს. 60-იანი წლებიდან დაიპყრო ჩობანიდების სახელმწიფო.

[4] მონღოლთა ბატონობის გადაშენების თარიღად ქართულ თანამედროვე ისტორიოგრაფიაში მიღებულია XIV ს. 30-იანი წლები (ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი,

XIV ს. 30-იანი წლების შემდეგაც ილხანთა მემკვიდრეები არაერთხელ შემოიჭრებოდნენ ხოლმე საქართველოში თავიანთი „მფლობელობის“ პოლიტიკური რეალიზაციისათვის (ამ პერიოდში ისინი ხარკსაც ადებდნენ და მათი სახელით ფულიც იჭრებოდა ადგილობრივ), მაგრამ ეს იყო მხოლოდ დროებითი, ეპიზოდური მოვლენა, რომელიც არ შეიძლება თავისი ხასიათით გავაიგივეოთ XIII ს. 30-იან წლებამდე არსებულ მონღოლთა ბატონობის სისტემასთან. ამ დროიდან საოკუპაციო ჯარიც აღარ დგას, ხოლო ხარკიც დროებითია და შემცირებული[1].

საქართველოში მონღოლთა ფორმალური მფლობელობის დასასრულად შეიძლება მივიჩნიოთ 1357 წელი, როცა აქ საბოლოოდ შეწყდა ილხანურ-მუსლიმანური ზედწერილობითა და იკონოგრაფიით მონეტის მოჭრა[2].

ხელსაყრელმა საშინაო და საგარეო პირობებმა ხელი შეუწყვეს დიდი სახელმწიფო მიზნის, ქვეყნის პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მ თ ლ ი ა ნ ო ბ ი ს განხორციელებას. ახლა უკვე დასავლეთ საქართველოს სამეფოსა და სამცხის სამთავროშიც უნდა გამრავლებულიყვნენ გაერთიანების მომხრე ძალები. ცენტრალური ხელისუფლება მაინც მოზომილი ტაქტით შედგო-

---

ვ. გაბაშვილი). ყველა ამ ავტორს მონღოლთა ბატონობის გადაშენების მიზეზად მიაჩნია მონღოლთა სახელმწიფოში ამტყდარი შფოთი და მისი დაშლა. პირველად ეს ვახუშტი ბაგრატიონს აქვს განმარტებული ვ ა ხ უ შ ტ ი, ქ. ცხ., IV, გვ. 256. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, 1949, გვ. 207 და სხვ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, 1965, გვ. 53, 66. ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოში მონღოლთა ბატონობის ხანგრძლივობის საკითხისათვის, აღმოსავლური კრებული, I, 1960).

[1] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 145 და სხვ. სპარსელი ისტორიკოსის ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობით, 1336 წელს საქართველოდან შესული მონღოლური ხარკი უდრიდა 120 და $^1/_5$ თუმანს (უდრიდა 1.202.000 დინარს). ეს თანხა დაახლოებით უტოლდებოდა რუსუდანის დროინდელ საქართველოს შემოსავლის ერთ მეოთხედს და ნახევარი იყო იმისა, რასაც საქართველო ყაზან ყაენის დროს იხდიდა. 1349—1350 წლებში დადებული ხარკი, ალ მაზანდარანის ცნობით, უდრიდა 400.000 დინარს (დ. ლენგი, საქართველო გიორგი ბრწყინვალის მეფობაში. D. Lang, Georgia in the reign of Giorgi the Brilliant. Bulletin of the School of Oriental and Afrika studies University of London, XVII, 1955, გვ. 85; ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 122, 142).

[2] ინგლისელი ქართველოლოგი დ. ლ ე ნ გ ი ზემოდასახელებულ მონოგრაფიაში ერცლად შეეხო საქართველოში მონღოლთა ბატონობის ხანგრძლივობის საკითხს. ნუმიზმატიკურ და უცხოურ (სპარსულ) წყაროებზე დაყრდნობით მას მონღოლთა ბატონობის დასასრულად საქართველოში მიაჩნია XIV ს. 50-იანი წლები. ამის დოკუმენტურ მაჩვენებლად ავტორი თვლის საქართველოში 1357 წლამდე მონღოლური ზედწერილობით ფულის მოჭრას და სპარსულ წყაროებში საქართველოს მოხსენიებას ამ დროის მოხარეე ქვეყნების სიაში. ავტორი არ ახდენს მონღოლთა ბატონობის დაყოფას ფაქტიური და ფორმალური მპყრობელობის პერიოდებად.

მია ამოცანის შესრულებას. ადვილი არ იყო დამოუკიდებელ ბატონობას მიჩვეულ მეფე-მთავრებს, რომლებსაც უკვე საკუთარი დინასტიები შეექმნათ, სამუდამოდ გაემეტებინათ თავიანთი უფლებები.

ნარინ დავითის გარდაცვალების შემდეგ დასავლეთ საქართველოში გამეფდა მისი ვაჟი კონსტანტინე (1293—1327). მას აუჯანყდა უმცროსი ძმა მიქელი, რომელმაც დაიკავა რაჭა და არგვეთი. ძმებს ერთმანეთში გამუდმებული ბრძოლები ჰქონდათ, რომლის შესახებაც ისტორიკოსი საგანგებოდ შენიშნავს: „არა ყვეს მშვიდობა", „დღეთა მათთა იშლებოდა სამეფო"[1]. კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგ, 1327 წელს გამეფდა მიქელი. 1329 წელს, როცა მეფე მიქელი (ნარინ დავითის ძე) გარდაიცვალა, მხოლოდ ამ საბაბით გადავიდა გიორგი ქუთაისში და დაიკავა იგი, ხოლო მიქელ მეფის მცირეწლოვან შვილს ბაგრატს უბოძა შორაპნის ერისთავობა[2]. ამის შემდეგ 1334 წელს გიორგი სამცხეში ჩავიდა და თვითვე დაადგინა სამცხის მთავრად გარდაცვალებული მთავრის სარგისის შვილი ყვარყვარე. ეს უკვე ნიშნავდა მეფის უზენაესი უფლების აღდგენას სამცხეზე, მის დაბრუნებას საქართველოს მონარქიის ფარგლებში, საიდანაც ის მონღოლების წყალობით გამოსული იყო XIII ს. 60-იანი წლებიდან.

ასე დამთავრდა ამერეთ-იმერეთის პოლიტიკური გამთლიანება. ორმეფობის მოსპობით და მთავრების დამორჩილებით გიორგი სრულიად საქართველოს მეფე გახდა. ძველ ისტორიკოსსაც ასე ჩაუწერია: „იმიერნი და ამიერნი გაიერთა და დაიპყრა ნებისაებრ ყოველი საქართველო".

§ 2. მდგომარეობა ქართლის მთიანეთში და სამეფო ხელისუფლების ღონისძიებანი

ქართული სახელმწიფოს მთლიანობის აღდგენის შემდგომ მოსაგვარებელი რჩებოდა მთის საკითხი.

ხანგრძლივმა ძნელბედობამ ღრმა კვალი დააჩნია მთის ცხოვრებას: მთამ აქტიური ბრძოლები გააჩაღა ბარის პოლიტიკური და სოციალური ბატონობის მოსაშორებლად, მთის მოსახლეობაში სახელმწიფოებრივი წესრიგი დაირღვა; გამეფდა „მრავალი უწესობანი", „დიდი შფოთი" და არეულობა[3]. ადგილ-ადგილ მთა ბარშიც ჩამოწვა, რაც, როგორც ვნახეთ, ჯერ კიდევ ადრე დაიწყო.

ცენტრალური ხელისუფლება შეეცადა მიეღწია მთიელთა ცხოვრების

---

[1] ქ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ქ. ცხ., II, გვ. 295, ჩანართი, გვ. 325.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, ქ. ცხ., IV, გვ. 257 — 258.

[3] ამ დროისათვის უკვე ღრმად დასუსტებულ თემს არ შეეძლო მეთემის უფლებების დაცვა.

ნორმალიზაციისათვის, ქსნისა და არაგვის ხეობებს კანონები დაუდო და ამით მათი ცხოვრება მტკიცე სახელმწიფოებრივ წესრიგში ჩააყენა. აღსანიშნავია ამავე საუკუნის ბოლოს ცენტრალური ხელისუფლების ღონისძიებები აშლილი სვანებისა და დვალების წინააღმდეგ[1].

ქსნისა და არაგვის მთიელთა მდგომარეობა რელიეფურად არის ასახული კანონმდებლობით დოკუმენტში — „ძეგლის დადებაში" (რომელიც განკუთვნილი იყო დასახელებულ თემებში სამოქმედოდ)[2] და მეორე ასევე საყურადღებო წყაროში „ძეგლი ერისთავთა'ში" (შედგენილია XIV ს. დასასრულს, ეხება ქსნის ერისთავთა საგვარეულო ისტორიას).

XIII ს. დასასრულსა და XIV ს. დასაწყისში ქსნისა და არაგვის მთიელთა დამოკიდებულება ცენტრალურ ხელისუფლებასთან ძალზე გამწვავებულა. მთიელები კლავდნენ მეფის მოხელეებს: ერისთავებს, გამგებლებს და ხევისბერებს[3], როგორც მეფის პოლიტიკური ხელისუფლების დამნერგავთ და ფეოდალური მძიმე ექსპლოატაციის (ბატონყმობის) მთაში შემომტანთ. მოსახლეობა გამოდიოდა კოლექტიურად: „მთელი სოფლობით", მთელი „ხევისა" და ქვეყნის ერთობლივი მონაწილეობით"[4]. მთიელები მეფის ხელისუფლებას სხვა საშუალებებითაც ეურჩებოდნენ. მაგ,. თავს არიდებდნენ სალაშქრო ვალდებულებას და აქაც უარს ამბობდა არა მხოლოდ ერთეული პიროვნება, არამედ ერთობლივი „სოფელი", „ხევი" და „ქვეყანა"[5].

მთის მოსახლეობაში გახშირებული იყო ურთიერთმიხდომა-დაწიოკება (მუხ. 29, 41 და სხვ.); თემი თემს, სოფელი სოფელს ეომებოდა, ერთმანეთს ციხეებს უნგრევდნენ, სარჩოს უნადგურებდნენ (მუხ. 27)[6]. ქსნისა და არაგვის თემთა შორის არსებული მწვავე ურთიერთობა უფრო გაართულა იმ პოლიტიკურმა უთანხმოებამ, რომელიც აქ (არაგვის ხეობაში) შემოხიზნულ მეფე დავითსა და ცხრაზმის ხევის (ქსნის ხ.) ერისთავს შორის ჩამოვარდა. მეფის მომხრე „დვალები, ხადელ-ცხავატელნი და ყო-

---

[1] ბაგრატ (V) დავითის ძემ (1362—1392 წწ.) სვანები დააფიცა, განდგომილ დვალებს კი ფიზიკურად გაუსწორდა. არ არის შემთხვევითი, რომ მთის ურთიერთობის რადიკალურ მოგვარებას საქართველოში თამარ მეფის შემდეგ პირველად ახლა, აღდგენისა და შესვენების პერიოდში შეუდგნენ.

[2] ძეგლის დადება, გამოც. ი. დ ო ლ ი ძ ი ს ა, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, 1957; მ ი ს ი ვ ე, ქართული სამართლის ძეგლები, I, 1963, გვ. 399—421.

[3] ხევისბერები ადგილობრივი (მთის) მოსახლეობის წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც თემის სამსახურთან ერთად მეფის მოხელეობასაც ასრულებდნენ.

[4] ძეგლის დადება, ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ. 403, 404, 406, მუხ. I, 2, 8 და სხვ.

[5] ი ქ ვ ე, გვ. 410, მუხ. 19.

[6] „ადვილ ჩნდა ერთმანეთის ღალატად დასხმა, დაქცევა ციხეთა" (ძეგლის დადება, დასახ. გამოცემა, გვ. 402. შესავალი).

ველნი ქვემონი“ შეესივნენ, „დაწუეს და მოაოხრეს ყოველნი ცხრაზმის ხევი“[1]. შესეულებს ამჯერად ქსნის ციხეები ვერ აუღიათ, მაგრამ მძლავრება შვიდ წელიწადს გაგრძელებულა. სამაგიეროდ შემდეგში ქსნელები შეუბრალებლად გასწორებიან არაგველებს. რბევა-თარეშით გადაუვლიათ ჯვართა ყელი (ჯვრის გადასასვლელი) და ასე დარიალამდის მისულან. მარტო ხადაში, მემატიანის სიტყვით, ერთი კვირის განმავლობაში აუღიათ და დაუქცევიათ 25 ციხე, მათ შორის 15 ციხე არაგვის გადაღმა მხარეზე[2]. დიდი ხანი არ გასულა, რომ თვით გიორგი ბრწყინვალის დროს, ცხრაზმისხველებსა და არაგველებს (ცხავატელ-ხადა-მოხევეთა) შორის კვლავ სისხლისმღვრელი შეტაკებები ამტყდარა. ამაოდ ცდილობდა უფლისწული დავით გიორგის ძე მოქიშპე მხარეების დაშოშმინებას. წინასწარი პაემანით მთავარი შეტაკება ლომისის მთაზე მომხდარა, დამარცხებულ არაგველებს მდინარის მეორე მხარემდე მისდიეს[3]. მსგავსი შემთხვევები კიდევ შეიძლება დავასახელოთ. დამარცხებულ ცხავატელებს მოუკლეს, გარდა „წურილისა ერისა“, თვრამეტი „თავადი ხევისბერიო“, — გვამცნობს წყარო[4].

მთაში უჩვეულოდ გავრცელებულა მეკობრეობა, პირუტყვის პარვა, ნივთების გატაცება და ა. შ. (მუხ. 44). „მეკობრენი“ სოფლიდან სოფლად დიდი რაზმებით დაძრწოდნენ, რომელთაც მრავალრიცხოვანი „ასაბია“ (დამხმარენი) ზურგს უმაგრებდა (მუხ. 44, 45). სამეკობროდ ხშირად ამდგარი იყო მთლიანად „ქვეყანა“[5]. დარღვეული აღმოჩნდა საჯახო ზნეობის ნორმებიც: ხშირი გახდა უმიზეზოდ „ცოლის დაგდება“, სხვისთვის ცოლის წართმევა და სხვ.[6].

საყურადღებოა, რომ იმ დროის ქართველ მოღვაწეებს ყველა ეს ბოროტმოქმედება მონღოლთა ბატონობის წესად მიაჩნდათ და „ულუსობად“ უწოდებდნენ მას[7]. სწორედ ამ ულუსობის აღმოსაფხვრელად, ქართული ფეოდალური წესრიგისა და მეფის უფლებების აღსადგენად გიორგი მეფე სამხედრო ძალისა და სამოქალაქო მოხელეების თანხლებით თვითონ გაემგზავრა „მთიელთა შიგან მოსაველელად“, სადაც ადგილ-ადგილ

---

[1] როგორც უკვე ვიცით, ყაზან ყაენის წინააღმდეგ აჯანყებული დავით VIII არაგვის მთიულეთს შეეხიზნა. ამჯერად ცხრაზმის ერისთავმა შალვამ მას მხარი არ დაუჭირა და იგი ურდოში გაჰყვა უფლისწულ ვახტანგს. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მეფემ შალვას შინ არყოფნის დროს არაგველებს დაარბევინა ცხრაზმისხველები.

[2] ძეგლი ერისთავთა, გვ. 347 — 348.

[3] ეს ამბავი გორიდან ოსების გაძევების შემდეგ მომხდარა, სადაც, როგორც ვიცით, მეფეს ორივე ხეობის მთიელები ეხმარებოდნენ. ი ქ ვ ე, გვ. 350—352.

[4] ძეგლი ერისთავთა, გვ. 352.

[5] ი ქ ვ ე, გვ. 420, მუხ. 15.

[6] ი ქ ვ ე, გვ. 408 — 409, 411 — 412, მუხ. 15,17, 21, 22, 23, 24, 25, 26.

[7] ძეგლის დადება, გამოცემა ი. დ ო ლ ი ძ ი ს ა, გვ. 402 (შესავალი).

ზეპირი გამოკითხვით გაეცნო მდგომარეობას; შემდეგ თბილისში დარბაზი მოიწვია, რომელმაც შეიმუშავა 46 მუხლისაგან შემდგარი კანონი „ძეგლის დადების“ სახელწოდებით. საკანონმდებლო დარბაზს დაასწრეს მთიდან ჩამოყვანილი თავკაცებიც: „თემისა და თემისა ერისთავნი და ხევისთავნი და ხევისბერნი და ჰეროვანნი“, რომელნიც ადგილობრივ წესჩვეულებათა ზედმიწევნით მცოდნენი, ჩანს, დახმარებას უწევდნენ სხდომას.

„ძეგლის დადების“ შესავალ ნაწილში აღწერილია ის მარშრუტი, რომელიც მეფესა და მის მხლებლებს გაუვლიათ. ამით იმას ვეცნობით, თე სახელდობრ მთის რომელ თემებს შეეხო შედგენილი კანონი. თბილისიდან გამგზავრებული მეფე მთის გზას არაგვით, ჟინვანის სამეფო სასახლიდან შედგომია. ის ხადა-ცხაოტში შეჩერებულა („დავსხედით“), სადაც იქაური თავკაცებისაგან მოუსმენია „მათნი საქმენი“. შემდეგ მისულა დარიალამდე. აქაც გასცნობია („ვსცანით ისე...“) მათ ყოფას; ხოლო „დარიალით მობრუნებულთა...“ ლომისის წმ. გიორგის ხატი მოულოცავს. აქედან „ჩამოვიარეთ ცხრაზმის ხევიო“, სადაც გამოვიკვლიეთო „მუნებური საქმო“, შემდეგ მუხრანის საზამთრო სასახლეში გამოვლით თბილისს დაბრუნებულან.

ამგვარად, კანონის მოქმედების არედ უნდა ჩავთვალოთ: ხადა-ცხაოტი და შემდგომი ტერიტორია დარიალამდე, ლომისის წმ. გიორგის ეკლესია მისი საყმო-საგლეხო ტერიტორიითურთ და ცხრაზმისხევი, რაც შეადგენდა არაგვისა („მთიულეთი“, ხევი) და ქსნის (ცხრაზმა) ხეობათა მოსახლეობას[1]. ამ ფარგლების სამხრეთის საზღვრად უნდა მივიღოთ სოფ. მენესო, ხოლო აღმოსავლეთისა ზანდუკის ხევი. ხსენებულ დასკვნას მხარს უჭერდნენ ძეგლში მოცემული სხვა ისტორიული რეალიებიც.

მას შემდეგ, რაც ადგილზე მიმოვლის საშუალებით შეისწავლეს არსებული მდგომარეობა, კანონმდებლები შეუდგნენ იმ მიზეზების გამორკვევას, რაც, მათი აზრით,

საქართველოს მთავრობას არ შეეძლო ბარში მოქმედი სამართალი უშუალოდ შემოეღო მთაში. ამას აბრკოლებდა მთის საზოგადოებრივი ყოფის გარკვეულად განსხვავებული დონე. მართალია, დიდი ხანი იყო, რაც ბატონყმური ურთიერთობანი მთაშიც იკაფავდა გზას, მაგრამ მთლიანად იგი ჯერ კიდევ ფეოდალური განვითარების ადრეულ საფეხურზე იმყოფებოდა. ამასთან, აქ პრიმიტიულ-თემურ წეს-ჩვეულებათა ნაშთებიც საკმაოდ ცოცხლობდნენ. ყოველივე ამ თავისებურებამ განაპირობა მთაში ცალკე კანონების შემოღება. მაგრამ დადებულმა „განაჩენმა", რა თქმა უნდა, საკმაოდ შეკვეცა და უკუაგდო ჩამორჩენილი წესები, ხოლო მომხდარი ცვლილებების შესაბამისად გზა გაუხსნა ბარისათვის დამახასიათებელ განვითარებულ სამართლებრივ ნორმებს. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოიხატა სასჯელთა ფორმებში. მთავარ ზომად გახშირებული მკვლელობისა და სხვა უწესობათა აღსაკვეთად „ძეგლის დადებამ" გამოიყენა სისხლის დამძიმება, ე. ი. სისხლის მსუბუქი საზღაურის მაგიერ დამნაშავეს დააკისრა გადიდებული საზღაური (სისხლის ფასი). ეს უკანასკნელი კანონმდებლობამ მკაცრად განსაზღვრა დაზარალებულის სამსახურებრივი და სოციალური („მისსა გუარსა ზედა") მდგომარეობის მიხედვით[1]. რადგან მთაში, როგორც ვთქვით, განსაკუთრებით ხშირი იყო მეფის ხელისუფალთა თუ ადგილობრივ თავკაცთა მკვლელობანი, ამიტომ კანონმდებლობამ ასეთი პირების (ერისთავის, გამგებლის, ხევისბერის, ციხისთავისა და ჰეროვნის) სისხლის საურავის განსაზღვრას დაუთმო ცალკე მუხლები[2].

„ძეგლის დადებამ" სისხლის ანაზღაურება შემოიღო როგორც ფულით, ისე უძრავი ქონებით (მამულით), ამასთან ძალაში დატოვა ფართოდ გავრცელებული სასჯელის ადგილობრივი ფორმაც, დამნაშავის „გაძევება". გაძევება ამიერიდან მხოლოდ სხვა სასჯელებთან ერთად შეფარდებით იყო მოქმედი[3]. კანონმდებლობამ ასევე ამოაგდო შურისძიების ფორმაც, მაგრამ გაითვალისწინა დაზარალებულის აღელვებაც და ამ დროს

---

[1] სისხლის ფასი (საურავი) „ძეგლის დადებაში" წარმოდგენილია შემდეგი სოციალურ-წოდებრივი გრადაციით: მეფის მოხელე „აზნაურის" მოკვლისათვის 12000 თეთრი, მეფის მოხელე „მსახურისათვის" 6000 თეთრი, ლომისის წმ. გიორგის „შეწირული გლეხისათვის" 1500 თეთრი, „ჰეროვანისათვის" 1200 თეთრი. სისხლის ეს წოდებრივი ფასი ცვალებადობდა დაზარალებულის საზოგადოებრივ-თანამდებობრივი მდგომარეობისა და მიყენებული ზარალის სიმძიმის მიხედვით (მუხ. 2-დან 14-მდე; 31, 42 და სხვ.).

[2] მუხლები 2-დან 14-მდე. აღნიშნული მიზეზის გამო რიგითი მთიულის, „მსოფლიონის" (თავისუფალი მეთემე) სისხლი „ძეგლის დადებაში" ცალკე მუხლით განსაზღვრული არ არის.

[3] მაგალითად, მკვლელობისათვის სასჯელად დაწესდა ერთდროულად: „სისხლის" გადახდა ფულით, მამულის ჩამორთმევა სხვადასხვა ვადით („მამულის წაღება", „მამულის დაპერა") და „გარდახვეწა" მამულისაგან (ანუ „მამულისაგან გაძევება"), მუხ. 1, 3, 5, 7 და სხვ.

ჩადენილი მოქმედებისათვის მას სასჯელი არ დაადო (ზოგიერთ შემთხვევაში ზარალი მხოლოდ სისხლში „მიუფასა“).

ცენტრალური ხელისუფლების შესუსტებამ, ბუნებრივია, მთის მოსახლეობაში შეარყია ეკლესიის გავლენა, ხოლო სახელმწიფოებრივი წესრიგის აღდგენა მთაში დასრულებულად ვერ ჩაითვლებოდა, თუ ეკლესიის საკითხიც მოგვარებული არ იქნებოდა. მთაში ძველებურადვე აღარ ასრულებდნენ ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებს (მარხვას, ზიარებას...), ხალხური პრიმიტიული რელიგიების დიდი ზეგავლენის გამო „რჯულის შეცოდება“ მთიელებში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა... ასეთი მდგომარეობა სახელმწიფოს ინტერესებს მთაში დიდად ვნებდა[1]. სამეფო დარბაზს თვითონ არ შეუმუშავებია ამგვარი ქრისტიანული წესების დარღვევების საწინააღმდეგო კანონები, მან მხოლოდ დაამტკიცა ძველიდანვე მართლმადიდებელ ეკლესიაში საყოველთაოდ მიღებული საეკლესიო სამართალი და მტკიცედ განსაზღვრა ეკლესიის ხელისუფალთა ადგილობრივი კომპეტენცია. კანონმდებლობის შესავალში შეტანილი დადგენილებით მთაში ყოველგვარი „სასჯულო საქმე“ და სარწმუნოებრივი დარღვევები კათალიკოსსა და ადგილებზე დადგენილ ეპისკოპოსებს უნდა განესაჯათ, შესაბამისი საეკლესიო კანონებით. იქვე მითითებულია: „ჩვენ მსოფლიო სასაქმო გაგვიჩენია“ მხოლოდ[2]. „ძეგლის დადებაში“, როგორც საერო („მსოფლიო“) სამართალში, ბუნებრივია, შეტანილი არ არის რჯულის გარდამავლობის სასჯელები, რომლებიც დამნაშავეს ედებოდა ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი წეს-ჩვეულებების შეუსრულებლობის თუ შეშლისათვის (მარხვისა და უქმე დღის გატეხვა, უქორწინოდ შეუღლება, კუდიანობა-მკითხაობა და სხვ.) და ისეთი სასჯელებიც, რომლებსაც ეკლესია დამნაშავეს დამატებით ადებდა კაცის მოკვლის, ცოლის „უბრალოდ დაგდების“, ეკლესიის გაძარცვის და სხვა ასეთი მოქმედებისათვის[3].

„ძეგლის დადებაში“ პირდაპირ არ არის დასახელებული, თუ, სახელდობრ, რომელი საეპისკოპოსო კათედრები რომელ ტერიტორიაზე განაგებდნენ სასჯულო საქმეებს მთიელებში, ვინაიდან ეს მათთვის ცნობილი იყო. როგორც მომდევნო დროის საეკლესიო-სამწყსო დოკუმენტებით

---

[1] ეკლესიის გავლენის აღმოფხვრა მთაში უდრიდა ბარის სოციალურ-პოლიტიკური ზეგავლენის აღმოფხვრას.

[2] სამეფო დარბაზი უფლებამოსილი არ იყო საეკლესიო-რელიგიური სასჯელები შემოეღო, ვინაიდან ფეოდალურ საქართველოში ამ სფეროს ცალკე მოქმედი საეკლესიო სასამართლო აწესრიგებდა საეკლესიო-კანონიკური ზოგადი სამართლის საფუძველზე.

[3] საეკლესიო-რელიგიური სასჯელი („საკანონო“) გულისხმობდა დამნაშავისათვის რამდენიმე ხნით ზიარების ან ეკლესიაში შესვლის აღკვეთას, მკაცრ მარხვას, შეჩვენებაგანკვეთას და სხვ. გვიან საუკუნეებში ამ ფორმით სასჯელს უფრო მონასტრებში იცავდნენ, ჩვეულებრივად კი იგი მატერიალური საზღაურით შეიცვალა (ფული, ხარი, ცხვარი, მიწა...).

მტკიცდება, არაგვის ხეობაში ხევს განაგებდა კათალიკოსი, ხოლო წილკნელი ეპისკოპოსი და სამთავნელი ეპისკოპოსი მოქმედებდნენ ქსნის ხეობაში.

მთაში ეკლესიის მიწისმფლობელობის დასაცავად კანონი აწესებს ლომისის ეკლესიის „შეწირული გლეხისათვის“ სისხლის გადიდებულ ფასს — 1500 თეთრს (მუხ. 11). „ჰეროვანის“ (თავისუფალი მეთემე, თავკაცი) სისხლის ფასად კი დაწესებულია უფრო ნაკლები — 1200 თეთრი (მუხ. 42), ხოლო ამ დროს ბარში გლეხის სისხლი ჩვეულებრივად 400 თეთრია, ზოგჯერ — 1000 თეთრი.

„ძეგლის დადება“ დიდი პოლიტიკური და სოციალური მნიშვნელობის მოვლენა იყო საქართველოს ცხოვრებაში: დაწერილი კანონები პირველად შედიოდა მთის თემებში და ისიც ფართო ტერიტორიული და დარგობრივი მასშტაბით. მართალია, კანონები გარკვეულწილად პატრიარქალურ-თემურ ადათებსაც ეყრდნობოდა, მაგრამ მნიშვნელობა უფრო იმას ჰქონდა, რომ ეს ადათები მომარჯვებული იყო ფეოდალური ინსტიტუტების (ერისთავი...) განსამტკიცებლად მთაში, რაც პირობას ამზადებდა თვით ამ ადათების შემდგომში სრული მოსპობისათვის (რა თქმა უნდა, მთის საზოგადოებაში ფეოდალურ ურთიერთობათა შემდგომი სრულყოფა დამოკიდებული იყო ქვეყნის ხელსაყრელ პირობებზე).

§ 3. ღონისძიებანი ცენტრალური მმართველობის აღდგენა-მოწესრიგებისათვის

ამ პერიოდში მთავარ ამოცანად დადგა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის დარღვეული ნორმების აღდგენა. მონღოლთა ხანგრძლივმა ბატონობამ, მართალია, ვერ შეცვალა მმართველობის ქართული პოლიტიკური სისტემა, მაგრამ, როგორც უკვე ვნახეთ, დიდი ზიანი მიაყენა მას, ზოგი ინსტიტუტი პრაქტიკულად გაუქმდა კიდეც. თუ რა საშუალებებითა და ღონისძიებებით შეუდგა საქართველოს მთავრობა დარღვეული წესრიგის აღდგენას, ამას თვალსაჩინოდ გადმოგვცემს ჩვენამდე მოღწეული ისეთი პირდაპირი დოკუმენტური წყარო, როგორიცაა „ხელმწიფის კარის გარიგება“[1]. ძეგლი წარმოადგენს ცენტრალური სამმართველო დაწესებულებების დანიშნულებათა და მოხელეთა უფლება-მოვალეობების აღნუსხვა-

[1] ტექსტი დაცულია XVII საუკუნის ხელნაწერში, რომელსაც აკლია თავი, ბოლო და შუა ნაწილი; დედნის თანამიმდევრობა არეულია. ტექსტი გამოსცა მისმა აღმომჩენელმა ექ. თაყაიშვილმა. ხელმწიფის კარის გარიგება, 1920 წ. (შემდეგში მივუთითებთ ამ გამოცემას). ტექსტის თანამიმდევრობის აღდგენა სათანადო გამოცემებში სცადეს: ივ. ჯავახიშვილმა, ი. დოლიძემ და ივ. სურგულაძემ.

განმარტებას. იგი განკუთვნილი იყო მოხელეთათვის სავალდებულო სახელმძღვანელოდ მართვა-გამგეობის პრაქტიკულ საქმიანობაში. თვითონ ავტორი ვინაობით კარის ერთ-ერთი მოხელეა და მეფის პოლიტიკის ენერგიული დამცველი.

„კარის გარიგებაში" შეტანილი მართვა-გამგეობის წესები ავტორის პერიოდს ასახავს. ზოგიერთი წესი გადმოღებულია შესაბამისი წერილობითი წყაროებიდან. მათ შორის იმ კარის გარიგებებიდან, რომლებიც ზოგი მის დროსვე და ზოგიც ძველად (მაგ., თამარის დროს და უფრო ადრეც) ყოფილა დაწერილი. ასეთ კარის გარიგებებს ავტორი ადგილ-ადგილ ასახელებს კიდეც: „დაუწერიათ", „ზოგთა ვიეთმე ასრე დაუწერია" ან „სოფრომისძე იტყვისო"[1] და სხვ.

კარის გარიგების ამგვარი შედგენილობა მიუთითებს სახელმწიფოს გეგმაზომიერ ღონისძიებებზე აღედგინათ მართვა-გამგეობის ძველი სისტემის პრინციპები, და, რაც მთავარია, ზოგი მოქმედი წესი ან შეცვლილიყო, დასაბუთებულიყო, ანდა ახლად ნორმირებულიყო.

კარის გარიგებაში წარმოდგენილი მართვა-გამგეობის სისტემა სრულყოფილია მაღალი ფეოდალური წყობილების შესაფერისად. მეფესთან — „ხელმწიფის კარზე" — მოქმედებს „დარბაზი" და ვაზირთა საბჭო — „სავაზირო", დადგენილია დარბაზობისა და ვაზირობის წესები, საზეიმო „დარბაზობა"-„პურობის" ცერემონიალი, უცხოელთა მიღების ეტიკეტი და სხვ.; მეფე გამოყვანილია ერთმმართველად, რომლის ბრძანებას ემორჩილება ყველა და ყველაფერი; სახელმწიფოს მმართველობა ადგილებზე წარმოდგენილია საქვეყნოდ გამრიგე მოხელეების — „ერისთავების" სახით, ხოლო საეკლესიო მმართველობა „ეპისკოპოსების" სახით ორი კათალიკოსით სათავეში (დასავლეთ საქართველოს — „აფხაზთა კათალიკოსი" და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი — „ქართლის კათალიკოსი"). მთლიანად სახელმწიფო დაქვემდებარებულია დარგობრივ-საუწყებო ცენტრალური მოხელეების გამგებლობას: არის სულ ექვსი ასეთი მოხელე-ვაზირი, მოქმედებენ სხვა არავაზირი ცენტრალური მოხელენიც. კარის გარიგებაში დაწვრილებითაა აღნუსხული ამ დიდმოხელე-ვაზირთა უფლება-მოვალეობანი და მათი ხელქვეითი დაწესებულებანი. ცალკეა გამოყოფილი უმაღლესი განათლების დარგი, რომელიც არცერთ უწყებას არ ექვემდებარება: გელათის უმაღლეს სკოლას (აკადემიას) მოძღვართ-მოძღვრის მეთაურობით მინიჭებული აქვს ავტონომია.

კარის გარიგებაში წარმოდგენილ ამ ძველ სისტემას მკვეთრად ატყვია განვლილი ძნელბედობის კვალი. ამას უმეტესად ის ინსტიტუტები ამჟღავნებენ (ვაზირები და სავაზირო), რომლებიც ვერ შეეგუენ ქვეყნის ხანგრძლივ დაქსაქსულობას და სახელმწიფო მართვის აპარატიდან ფაქტიუ-

[1] კარის გარიგება, გვ. 4, § 10, გვ. 12, § 21, გვ. 13, § 23, 24, გვ. 12 § 20.

რად ამოირიცხნენ. განკერძოების გზაზე დამდგარი ერისთავთერისთავი-სათვის ვაზირის სახელი თანდათან რეალურ შინაარსსგამოცლილი და ამ-დენად მხოლოდ გარეგნული სამკაული ხდებოდა. ზოგი ვაზირი სამეფო კარზე იშვიათად ან სულაც არ ცხადდებოდა.

სავაზიროს რღვევა პირველად ვაზირთა ფუნქცია-მოვალეობების აღ-რევით დაიწყო. ვაზირთა უფლებებს მაინცდამაინც მათი თანამდებობრივი პრეროგატივები კი აღარ განსაზღვრავდნენ, არამედ ის, თუ რამდენად ძლიერები იყვნენ ისინი, როგორც მემამულე-მთავრები ან რა დიდი პირა-დი გავლენა ჰქონდათ მოპოვებული რაიმე გზით. ამიტომაც შესაძლებელი ხდებოდა, მაგ., ათაბაგ სადუნს, რომელიც „განდიდებულ იყო უმეტეს ყო-ველთა მთავართა“ ან სხვას, ან სრულებით მესამე ხარისხის დაბალ მო-ხელეს, მაგრამ მეფისაგან „ერთგულებისათვის“ პატივდებულს, მაგ., მეს-ტუმრე ჯიქურს, ოფიციალურადაც კი მოეპოვებინათ მმართველობის მაღალი საჭეები. ვაზირთა ფუნქციის ქრობის უეჭველი მოწმობაა ის ფაქტიც, რომ ვაზირობის მქონე „მთავრები“ „ვაზირობით“ იშვიათად იხსენიებიან.

ახლა, გიორგი ბრწყინვალის დროს, ქვეყნის პოლიტიკური მთლიანო-ბისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენის ვითარებაში, ბუნებრივია, თუ უმთავრესი ყურადღება ასეთი ინსტიტუტების აღდგენა-განმტკიცებას მიექცეოდა. მართლაც, კარის გარიგება ამის დამადასტურებელი იმ მხრი-ვაც არის, რომ იგი მთავარ ადგილს ვაზირების უფლება-მოვალეობათა ნორმირებას უთმობს.

დაწესებული უფლება-მოვალეობანი ვაზირთა შემცირებული როლის აღდგენასა და გაზრდას ემსახურებოდა. ამ პერიოდისათვის სავაზირო თავისი რიცხობრივი შემადგენლობით ძველთან შედარებით სრულია იმ მხრივ, რომ მასში წარმოდგენილია ექვსივე ვაზირი, ახასიათებს გაზრდის ტენდენცია[1]; დიდმოხელეთა თანამდებობრივი ფუნქციები დახვეწილია, ხოლო ურთიერთთანამშრომლობისა და სუბორდინაციის საზღვრები ზუს-ტადაა დადგენილი.

მ წ ი გ ნ ო ბ ა რ თ უ ხ უ ც ე ს-ჭ ყ ო ნ დ ი დ ე ლ ი ს ფუნქციების და-საბუთებასა და განსაზღვრაში მიღებულია ძველი პრინციპი, რომ ის მეფის „ვითა მამა არის“ და ამიტომ „ყველა საურავი უმისოდ არ იქნებისო“. მიკუთვნებული კომპეტენციებით ის არის მეფის საზრუნავის უშუალო შემსრულებელი და მისი წარმომადგენელი. მის აპარატში ამ პერიოდისა-თვის სულ 26 მწიგნობარია. მათ შორის „საწოლის მწიგნობარი“ ყველაზე უფროსია და თანაშემწედ ითვლება, შემდეგ მოდის „ზარდახნის მწიგ-ნობარი“ და დანარჩენი 24 „მწიგნობარი“.

[1] შეიძლება ჩვენი კარის გარიგება ჩავთვალოთ პირველ დოკუმენტად, სადაც ერთა-დაა განხილული ექესიეე ვაზირის უფლება-მოვალეობანი.

მწიგნობართუხუცესის უფლებას შეადგენს სხვა ვაზირთა სამმართველო უწყებების შემოწმება და მათ საქმეებში მონაწილეობის მიღება. დაწესებულებათა შემოწმების მიზნით მწიგნობართუხუცესი წელიწადში ერთხელ, ალბათ ერთდროულადაც, ახდენს მათ აღწერას. ცნობები მას ესაჭიროებოდა სახელმწიფო საქმეების მოგვარებისათვის. მაგ., კარის გარიგებით დაკანონებულია ამირსპასალარის ხელქვეითი უდიდესი სამხედრო დაწესებულების, „ზარდახნის"[1] ყოველწლიური აღწერა, რომელსაც მწიგნობართუხუცესის სპეციალური მოხელე „ზარდახნის მწიგნობარი" ასრულებს. ამ მოვალეობისათვის „ზარდახნის მწიგნობარს" გასამრჯელოც აქვს გადაკვეთილი ზარდახნიდან. აქ კონტროლის მოქნილი სისტემაა შემოღებული: „ზარდახანა" ამირსპასალარს ექვემდებარება, ხოლო მისი აღმწერ-შემმოწმებელი სხვა უწყებას; ასევე, მწიგნობართუხუცესის თანაშემწე „საწოლის მწიგნობარი" მსახურთუხუცესის ხელქვეით დიდ დაწესებულებას—„საწოლს" ამოწმებს[2]; მწიგნობართუხუცესი ზედამხედველობას უწევს სახელმწიფო ხაზინასაც — „საჭურჭლეს"[3].

მწიგნობართუხუცესს დაკისრებული აქვს უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეობა, იგი არჩევს სააპელაციო საქმეებს და ამასთან სპეციალურად „ქვრივებისა და ობოლთა" საჩივრებს, მას თანამშრომლობას უწევენ საწოლის მწიგნობარი და ზარდახნის მწიგნობარი[4].

მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი ახორციელებს ეკლესიის უმაღლეს სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას. კარის გარიგებაში დაკანონებულია, რომ: გელათს გარდა სამეფოში არსებული ყველა მონასტერი, საეპისკოპოსო და სამრევლო ეკლესიები, ხუცები, მონაზონნი და, საერთოდ, „რაც საეკლესიო დასნი არიან, ყველა ჭყონდიდლისა და საწოლის მწიგნობრის სახელოისა არიანო"[5]. საეკლესიო საქმეების მართვაში მწიგნობართუხუცესის უშუალო თანამშრომელია მისი თანაშემწე საწოლის მწიგნობარი.

---

[1] აბჯარ-იარაღის, ცხენის ჯავშნის, სახელმწიფო დროშის და სხვა ასეთების საწყობი (კარის გარიგება, გვ. 10, § 18).

[2] „საწოლის" აღწერის წესი კარის გარიგებაში შენახული არ არის, მაგრამ საწოლის მწიგნობრის ასეთ ფუნქციას მისი სახელი მოწმობს „ზარდახნის მწიგნობრის" ანალოგიურად.

[3] კარის გარიგება, გვ. 4, § 9, საჭურჭლე ექვემდებარებოდა მეჭურჭლეთუხუცესს.

[4] თუ ზარდახნის მწიგნობარი საქმის მოგვარებას ვერ შეძლებს („რასაც მისის პირით ვერ დაიურვებს"), მაშინ თვით მწიგნობართუხუცესი „მივა" საქმის გადასაწყვეტად. ი ქ ვ ე, გვ. 3. § 8.

[5] ი ქ ვ ე, გვ. 4, § 9. გელათის სამეფო მონასტრის გამონაკლისი მდგომარეობა იმით აიხსნება, რომ გელათში არსებობდა უმაღლესი განათლების სკოლა, რომელსაც მოძღვართმოძღვარი განაგებდა ავტონომიურად. მოძღვართმოძღვრის შესახებ იხ. ქვემოთ. ამ პერიოდში, გარდა გელათისა, არსებობდა სხვა სამეფო მონასტრებიც: შიომღვიმის, დავით-გარეჯის, ანჩის საარქიმანდრიტო და სხვ. იგულისხმება, რომ ისინი მწიგნობართუხუცესს ექვემდებარებოდნენ.

ამრიგად, ეკლესიის სახელმწიფოსადმი დაქვემდებარების სისტემა (მომდინარეობს დავით აღმაშენებლიდან) კარის გარიგებითაც დაკანონებულია, მაგრამ ცნობების ნაკლოვანებების გამო ჩვენ არ ვიცით როგორ ახორციელებდა მწიგნობართუხუცესი თავის ამ საეკლესიო უფლებებს[1]. რასაკვირველია, პრაქტიკით მოპოვებული ამ ვაზირის რაიმე ახალი საეკლესიო უფლება, რომელმაც სახელმწიფოს სარგებლობა მოუტანა, ამ დროსაც არ იქნებოდა უკუგდებული.

ომისა და მშვიდობიანობის საკითხებში მწიგნობართუხუცესის მაღალი კომპეტენცია, უეჭველია, ახლაც ძველებურადვე იგულისხმებოდა, რაკი „ყველა საურავი უმისოდ არ იქნების", მაგრამ არ ვიცით კონკრეტულად როგორ იყო გამოხატული ყოველივე ეს, რადგან კარის გარიგების მოღწეულ ნაწილში ამაზე ცნობები არ მოიპოვება.

მწიგნობართუხუცესის უწყება მთავარი მონაწილე იყო სახელმწიფო დოკუმენტების (სიგელების) შედგენა-გაცემის საქმეში. კარის გარიგებაში შეტანილი ნორმით სიგელის „ქრთამის"[2] დიდი ნაწილი ეკუთვნის თვითონ მწიგნობართუხუცესს და მის თანაშემწეს, უფრო ნაკლები იმ „მწიგნობარს", რომელმაც სიგელი დაწერა და „დაბეჭდა", მხოლოდ მათი გასტუმრების შემდეგ ეძლევათ დანარჩენ მოხელეებს თავიანთი კუთვნილი[3].

მწიგნობართუხუცესის მაღალი ხელისუფლება გამოხატულია მის გარეგნულ ნიშნებშიც. განსაკუთრებულ ყურადღებას ამ მხრივ ამალის სიდიდე და შედგენილობა იწვევს. ამ ვაზირის „ზედამდგომელად" დაწესებულნი არიან: მეჭურჭლე, ეჯიბი და სხვანი „დარბაზიდან". ასევე მის თანაშემწესაც, საწოლის მწიგნობარს, ცალკე ზედამდგომელი მეჭურჭლე ჰყავს[4]. განსხვავებულია ისიც, რომ სხვა ვაზირ-მოხელეებს მხოლოდ თავისივე ხელქვეითები ახლავან, მწიგნობართუხუცესს კი სხვადასხვა უწყებიდან და დარბაზიდანაც. მწიგნობართუხუცესის თანამდებობრივ საქმიანობას მართლაც შეესაბამებოდა ასეთი ამალა: მეჭურჭლე საჭირო იყო როგორც ანგარიშისა და ფინანსების მცოდნე, ეჯიბი მწიგნობართუხუცესთან მომსვლელების მიღება-გასტუმრებას ან ამ ვაზირის სხვა დაწესებულებაში მიმოსვლას ხელმძღვანელობდა. დარბაზიდანაც, ჩანს, საჭიროების

---

[1] ადრე პერიოდში მეფის საეკლესიო ხელისუფლების შესახებ იხ. ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა VIII—XII საუკუნეების საქართველოში, კრებ. „საქართველო რუსთაველის ხანაში", 1966, გვ. 84—86; ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვ. I, 1919, გვ. 134—136 (დასახელებულ ნაშრომში ავტორს ვრცლად აქვს განხილული საქართველოს ცენტრალური სამოხელეო წყობილება, ვაზირები და მოხელენი, იხ. გვ. 110—218).

[2] ქრთამი იყო გადასახადი, რომელსაც იხდიდნენ სიგელის მიღებისათვის.

[3] კარის გარიგება, გვ. 5, § 13.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 4. § 9.

მიხედვით მუდმივად ახლდა მას სხვადასხვა დარგის მოხელე და, ალბათ, მცველებიც[1].

მწიგნობართუხუცესის ხელქვეითი 24 მწიგნობრის კერძო მოვალეობების შესახებ კარის გარიგებაში ცნობები არა გვაქვს, მაგრამ მათი მოვალეობანიც, მსგავსად ზემოგანხილული საწოლის მწიგნობრისა და ზარდახნის მწიგნობრისა, „დაწერა"-„აღწერა" უნდა ყოფილიყო სხვადასხვა შესაბამის საქმეთა შემოწმებების დროს და, საერთოდ, მონაწილეობის მიღება ყოველგვარი წერილობითი საქმეების წარმოებაში. დარბაზობის დროს „ოცდაოთხივე მწიგნობარი საწერლებით ჭყონდიდელს მხარს" უდგანან. ასევე „საწერლებით" დგას ორი უფროსი მწიგნობარიც. ვაზირობის დროს კი დარბაზში მხოლოდ საწოლის მწიგნობარია, დანარჩენები, „დარბაზს გარეთმყოფი მწიგნობრები", წერენ მწიგნობართუხუცესის დავალებით სავაზიროს დადგენილებებს და მიაქვთ შესასრულებლად[2]. რაკი ამ უწყების მოხელეთა თანამდებობრივი მოვალეობანი წერასთან იყო დაკავშირებული, მათ გამოყოფილი ჰქონდათ ქაღალდის ყოველდღიური ნორმაც: მწიგნობართუხუცესს ეძლეოდა 5 ფურცელი, საწოლის მწიგნობარს 3 ფურცელი, ზარდახნის მწიგნობარს 2 ფურცელი და მწიგნობრებს თითო-თითო ფურცელი. მწიგნობართუხუცესის ხელქვეით მოხელეთა (26 მწიგნობრის) სახელისუფლო ნიშანი იყო „საწერელი"[3].

ამრიგად, ყველა ზემომოტანილი მასალის საფუძველზე მკაფიოდ შეიძლება დავინახოთ მწიგნობართუხუცესის ხელისუფლების თავისებური მაღალი კომპეტენცია, რომელიც ამ პერიოდში მისთვის იყო ნორმირებული: იგი როგორც მეფის სამდივანმწიგნობროს გამგე, თანაბრად აერთიანებდა საზოგადო უმაღლესი მმართველისა და უმაღლესი კონტროლის ფუნქციებს. საამისოდ მას უაღრესად მოქნილი შტატი ჰყავდა[4].

ათაბაგი, როგორც უკვე ვიცით, ვაზირად იქცა თამარის მეფობის უკანასკნელ წლებში. ათაბაგის სამოქმედო ასპარეზი მხოლოდ მეფის ოჯა-

---

[1] მწიგნობართუხუცესის სხვა გარეგნულ ნიშნებს, რომლებიც მის მაღალ მდგომარეობას გამოხატავდნენ, აღარ შევეხებით. ამ ვაზირის მეფესთან ყველაზე ახლო ურთიერთობის მაჩვენებელია ვალდებულება — პირადად და პირველს მიელოცა მეფისათვის აღდგომის დღესასწაული. კარის გარიგება, გვ. 3, § 6.

[2] იქვე, გვ. 17, 18, § 33; გვ. 20, § 19.

[3] იქვე, გვ. 17, 18, § 33; გვ. 19, § 38; გვ. 4, § 9. შევსებულ ქაღალდებს მწიგნობარი გადასცემდა თანმხლებ მეჯურჭლეს, რომელიც მას კისერზე ჩამოკიდებულ ჩანთაში ჩაიდებდა (იქვე).

[4] მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელებად, როგორც დადგენილია, ჩანან არსენი, 1235—1248 წწ. (დაახლ.), ბასილი, 1248—1265 წწ. ამათ შემდეგ მწიგნობართუხუცესები წყაროების ნაკლოვანების გამო ცნობილი არ არიან. მხოლოდ XIV ს. მეორე ნახევარში იხსენიება გიორგი. გამოთქმულია აზრი, რომ ეს პოსტი საბოლოოდ მოისპო XV ს. ბოლოს, საქართველოს პოლიტიკური და ეკლესიური დაშლის შედეგად (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 30).

ხით შემოიფარგლებოდა. მას, როგორც თავისებური მოვალეობის მოხელეს (უფლისწულის აღმზრდელი), ჩაბარებული არ ჰქონდა ცალკე დარგი. ამიტომაც ხელმწიფის კარზე მას მოხელეები არა ჰყავდა. კარის გარიგებაშიც არც ერთხელ არ არის მოხსენიებული ათაბაგის მოხელე ან ათაბაგის „სასაურვო", მაგრამ ათაბაგი სავაზიროს წევრია, რომელიც სხდომებს ესწრება და სხვ.[1]. მონღოლთაგან განსაკუთრებული მფარველობის შედეგად ათაბაგის გავლენა სამეფო კარზე ძლიერ გაიზარდა. ამას თვით ამ სახელოს ბუნებამაც შეუწყო ხელი. ვაზირთა დაკნინების პერიოდში ათაბაგის გავლენამ სხვები დაჩრდილა. ათაბაგობის მატარებელ ფეოდალთა გვარები მონღოლთა მთავარ დასაყრდენ ძალად და მათი პოლიტიკის გამტარებლებად გამოდიოდნენ. ათაბაგობისათვის მთავრებს შორის დიდი ცილობა შეიქნა. მონღოლთა პერიოდში ათაბაგებს თითქმის განუყრელად მეორე სახელო — ამირსპასალარობაც ეჭირათ. მონღოლთა პერიოდის ათაბაგების ისტორიაში გამოირჩევა მანკაბერდელთა სახლი, რომელმაც საქართველოს უმაღლესი მმართველობის უფლება, როგორც ზემოთაც ვთქვით, ოფიციალურადაც კი მიიღო (ყაენისაგან)[2]. ამ ტიპის ათაბაგთაგან განსხვავებულად უნდა ჩაითვალოს სამცხის მთავარი სარგის ჯაყელი (ათაბაგი გახდა სადუნის შემდეგ), რომელიც მისი სამთავროთურთ ამ დროისათვის გამოყოფილი იყო[3].

ახლა, როცა მართვა-გამგეობის ძველი წესების აღდგენა ამოცანად დადგა, სამეფო კარის პოზიციაც ათაბაგის მიმართ სრულიად გარკვეული შეიქნა. გარიგების შემდგენელი, რომელმაც კარგად იცის ათაბაგის ყველა ეს ცენტრის საზიანოდ მიმართული თავგადასავალი, საჭიროდ ცნობს უჩვენოს ათაბაგის შემთხვევითი განდიდება, უჩვენოს მწიგნობართუხუცესის მასზე მეტი უფლებიანობა და სიძველე: ჭყონდიდელი მამა არის მეფისა, ათაბაგი ახალიაო[4]. ავტორი იმასაც განმარტავს, რომ ადრე „დიდი და საპატიო" ათაბაგი მის დროს უკვე იშვიათობაა[5]. ვაზირობის და ასევე

[1] შეიძლება ათაბაგს შეეფერებოდეს „უპორთფელო მინისტრის" სახელი (პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, I, 1963, გვ. 569).

[2] XIII — XV სს. ათაბაგთა ქრონოლოგიური სია, იხ. პ. ინგოროყვას დასახ. ნაშრ., გვ. 581—585.

[3] ეს მდგომარეობა სამცხის მთავარს, სარგის ჯაყელს, ხელს არ შეუშლიდა უფლისწულის აღმზრდელის როლი შეესრულებინა და, ეგებ, მისი გაათაბაგებაც საგანგებოდ მოახდინეს. ამით გათიშულ სამთავროსთან კავშირიც დაამყარეს და ათაბაგობა ცენტრიდან შორს გადაიტანეს.

[4] კარის გარიგება, გვ. 19, § 36.

[5] „გასულა ათაბაგი დიდი საპატიო და ძვირად ოდესმე იქნების" (იქვე). ამ დოკუმენტში სამცხის ერისთავი მხოლოდ სპასალარობით იხსენიება, რაც იმას ნიშნავს, რომ მას ამ დროს ათაბაგობა არ ეჭირა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, გიორგი ბრწყინვალემ ათაბაგობა და ამირსპასალარობა უბოძა სამცხის მთავარს სარგის ჯაყელს (ვახუშტი, ქ. ცხ., IV, გვ. 256).

პურობის დროს ათაბაგი მწიგნობართუხუცესის დაბლა ზის (როგორც ამირსპასალარიც). თუ პურობა ღამით დამთავრდებოდა, მწიგნობართუხუცესს გზას გაუნათებდნენ ორი მაშხალით, ათაბაგსა და მომდევნო ორ ვაზირს კი თითო-თითო მაშხალით[1]. ათაბაგი შეყვანილია „სამთა ვაზირთა“ ჯგუფში (ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი). ოფიციალურ ჩამოთვლაში ის იხსენიება მწიგნობართუხუცესის შემდეგ, მაგრამ ამირსპასალარზე მეტი პატივი არა აქვს. ერთი სიტყვით, კარის გარიგების მოღწეული ნაწილიდანაც კარგად ჩანს, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას სურდა ათაბაგის თანამდებობა მტკიცედ მოექცია მის ფარგლებში.

ა მ ი რ ს პ ა ს ა ლ ა რ ი (სამხედრო მინისტრი) არის „თავადი ლაშქართა“, ე. ი. ჯარის უფროსი. ამიტომ პირველი სიტყვა ომის თუ ჯარის საკითხებზე თათბირისას, მას ეკუთვნის: „ლაშქრობაი და ლაშქრობის ვაზიროობა ამირსპასალარის ხელთ არის. მის წინათ არავინ იტყვის და რაი ვაზიროობა იყოს“[2].

პრაქტიკულად როგორ ხორციელდებოდა ამირსპასალარის სამხედრო ხელისუფლება, ამაზე კარის გარიგებაში ცნობები არ მოიპოვება, მაგრამ არცაა მოსალოდნელი ძველი წესებიდან რაიმე შეეცვალათ. ამირსპასალარის საზრუნავს მშვიდობიანობის დროს ჯარის გაწვრთნა და შეიარაღება შეადგენდა. ისიც არის ცნობილი მონღოლებამდელი პერიოდიდან, რომ თუ ომში ლაშქარს თვითონ მეფე ჩვეულებრივ არ უძღოდა, მაშინ მთავარსარდლის მოვალეობას ამირსპასალარი ასრულებდა. მონღოლების დროს სამხედრო ბეგრით გამავალ ქართულ ჯარს, რომელიც მონღოლთა ლაშქრობებში მონაწილეობდა, საქართველოს მეფე სარდლობდა. ამირსპასალარი კი, თუ იგი მონაწილეობას იღებდა, მეტწილად თავის საგამგეო ქვეყნის ჯარს უფროსობდა, ისე როგორც სხვა დიდი მოხელე-მთავრები საქართველოდან.

კარის გარიგებაში ნორმირებულია ამირსპასალარის ერთი დიდი უფლებამოსილებაც: როცა ვაზირთა საბჭო ვინმესთვის რომელიმე „ქვეყნის“ სახარაჯოდ ან „სამამულოდ“ (სამემკვიდრეოდ) მიცემის საკითხს არჩევდა, ეს საქმე აუცილებლად ამირსპასალარის თანხმობით უნდა გადაწყვეტილიყო[3]. ამირსპასალარის ჩარევა, ჩანს, სამხედრო მოსაზრებით იყო გამოწვეული, იმის კონტროლისათვის, რომ ახალი პატრონის ხელში გადასულ ტერიტორიაზე ლაშქრობისა და ნადირობის სახელმწიფო ვალდებულება არ შეფერხებულიყო[4].

---

[1] კარის გარიგება, გვ. 14, § 35; გვ. 17, § 8.

[2] კარის გარიგება, გვ. 9, § 36, გვ. 9, § 18. აქ ლაპარაკია თათბირის დროს ამირსპასალარის სიტყვის დიდ მნიშვნელობაზე და არა მის გადამწყვეტ უფლებაზე.

[3] კარის გარიგება, გვ. 19, § 36.

[4] ამის გამო იყო, რომ სიგელის გაცემის დროს ქრთამის ნაწილი ერგებოდა ამირსპასალარსაც (იმდენივე, რამდენიც მანდატურთუხუცესს), იქვე, გვ. 5, § 13.

ამირსპასალარის თანაშემწე „ამირახორია“. მას ექვემდებარება: „მეაბჯრეთუხუცესი“ და „მეჯინიბეთუხუცესი“ თავ-თავიანთი საგამგეო დაწესებულებებითა და მოხელეებით. მეაბჯრეთუხუცესი განაგებს „მეაბჯრეებს“ („სეფე მეაბჯრე“, „აბჯრის მტვირთველი“...) და „ზარდახანას“. მეჯინიბეთუხუცესი თავის მხრივ განაგებს „საჯინიბოს“ „მეჯინიბეებით“ და „აჩუხჩით“. ამირახორის უშუალო ხელქვეითნი არიან: „მესარტყლენი“, „ამირჩქარი“ (შიკრიკი), „მერემეთუხუცესი“. ეს უკანასკნელი თავის მხრივ განაგებს „სარემოს“ (ცხენის მოშენებისა და სამხედრო გაწვრთნის საგამგეოს). აქ მოქმედებენ „სარემოს უხუცესი“ და „მერემენი“[1].

„ზარდახანა“, როგორც უკვე ვთქვით, სამხედრო იარაღის საწყობია[2]. მას ჰყავს: „ზარდახნის უხუცესი“, „მისრატულთუხუცესი“, „მისრატულნი“ და „ზარდახნის მუშრიბი“. ამ დაწესებულების ერთ-ერთი მოვალეობაა მეფის მომსახურება მისი სამხედრო შეკაზმვის ან ცხენით გამგზავრების დროს[3]. იგივე მოხელეები ახლავან მეფეს მგზავრობაშიც[4]. ცხენზე მჯდომ მეფეს ამირახორი თან ახლავს. მას ევალება საქმეზე მოსულები წარუდგინოს მეფეს ან ძღვენი ჩამოართვას და სხვ. ამ მოვალეობისათვის ამირახორს ეძლევა გასამრჯელოდ „სახედარი ცხენი“. ამირახორის დიდ უფლებას ისიც მოწმობს, რომ იგი ესწრება ვაზირობას (სათათბირო ხმით) და საერთოდ მეფესთან დარბაზობის დროს ორი ვაზირის, მეჭურჭლეთუხუცესისა და მსახურთუხუცესის ტოლი პატივი აქვს[5].

ამირსპასალარისა და მისი ხელქვეითი მოხელეების სახელისუფლო ნიშანი ხმალია, რომელიც მათ მუდამ არტყიათ მოვალეობის აღსრულების დროს[6].

კარის გარიგებით ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის ღირსება-პატივი დაკანონებულია თანაბრად („სწორი არის“)[7]. ამ ნორმის სიმტკიცისათვის იქვე დასახელებულია ამ ორი თანამდებობის ერთი პირის თუ ერთი სახლის ხელში გაერთიანების ძველი და ახალი ფაქტები[8]. ამ

[1] კარის გარიგება, გვ. 9, § 18.

[2] ჩამოთვლილია ყველა სახეობა ჯავშან-იარაღის ნაწილებისა, რომლებიც აქ ეწყო.. (ი ქ ვ ე).

[3] ცხენის გაწყობას და მეფის ცხენზე შეჯდომას ემსახურება ზარდახნის ყველა მოხელე, ბოლოს, ცხენზე შემჯდარ მეფეს მათრახს ზარდახნის უხუცესი გადასცემს (ი ქ ვ ე).

[4] მაგ., აჩუხჩი ჯვარისმტვირთველსა და მეფეს შორის მიდის, სადაც მეფე უნდა გადმოვიდეს ცხენიდან, იქ პირველად აჩუხჩი „მივა“, მერე მობრუნდება, ცხენიდან გადმოვა, გვერდზე მიდგება და ა. შ. (ი ქ ვ ე).

[5] კარის გარიგება, გვ. 19, § 37, გვ. 14, § 25.

[6] მაგ., ამირახორს ხმალი არტყია დარბაზობის დროს.

[7] კარის გარიგება, გვ. 19. § 36, გვ. 5, § 13. განსხვავდებიან მხოლოდ დარბაზობაზე მიღებისა და ვაზირობაზე ჯდომის პატივით. ორივე შედის „სამთა ვაზირთა“ ჯგუფში.

[8] „ესეც იქნების, რომე ორივე ერთსა ქონდეს და უფრო შანშეთ სახლისა არის. ესეცვე ორივე ხელი ერთსა აქვს და თუ ორთა“ (ი ქ ვ ე). მართლაც ძველად, გიორგი

ცნობებში ავტორი სავსებით ზუსტია, მაგრამ შემთხვევითი არაა, რომ იგი გვერდს უვლის ამირსპასალარისა და ათაბაგობის გაერთიანების ფაქტს მონღოლთა ბატონობის ამავე პერიოდიდან. ეს იმას მოწმობს, რომ კარის გარიგება არ აძლევს სანქციას და უკანონოდ თვლის ამირსპასალარისათვის ათაბაგობის მიცემას, რადგან, როგორც წარსული სინამდვილე ადასტურებდა, ეს იწვევდა ამირსპასალარის განდიდებას და მის ჩამოშორებას პირდაპირი მოვალეობისაგან.

მ ა ნ დ ა ტ უ რ თ უ ხ უ ც ე ს ი სასახლეში ვაზირობისა და დარბაზობის დროს ობერცერემონმაისტერის მსგავს მოვალეობას ასრულებდა. ეევალებოდა სახელმწიფო წესრიგზე სამხედრო-საპოლიციო თვალყური და მეფის სახასო მეურნეობაში მომუშავე პერსონალზე ზედამხედველობა.

მანდატურთუხუცესის ხელქვეითი მოხელეებია: „მანდატურნი", „ამირეჯიბი" და „განმგეთუხუცესი". ამირეჯიბს ექვემდებარებიან: „ეჯიბნი", „მესტუმრე" და „მერიგე". „განმგეთუხუცესს" — „საგამგეო". საგამგეოს ჰყავს „საგამგეოს უხუცესი" მისი ხელქვეითებით: „მეჯამეთუხუცესი", „მეჯამენი" და სხვ.

„მანდატურთა" რიცხვი ამ პერიოდისათვის განსაზღვრულია „სულ სამასი სახლით", რომელთა შორის სოციალურად სამი აზნაურია — „იკუნკელისძე, შერაქისძე და ჯარნასძე, სხვაი ყველა გლეხია". მანდატურთა მოვალეობაა: ვაზირთა თათბირის დროს სავაზირო დარბაზის დაცვა, სამეფო ზვრებში მომუშავეებზე თვალყური და, საერთოდ, საპოლიციო ზედამხედველობა ადგილებზე ყველგან[1].

მანდატურთუხუცესისა და მის უშუალო ხელქვეითთა სახელისუფლო ნიშანი არგანია (ჯოხი), რომელსაც ისინი ატარებენ მოვალეობის შესრულების დროს. მაგრამ მანდატურთუხუცესი მეფესთან არგნით ვერ მივიდოდა, მას არგანი დროებით ამირეჯიბისათვის უნდა ჩაებარებინა[2]. არგანი კარგად უჩვენებს ამ უწყების სადამსჯელო-საპოლიციო ხასიათს.

III-ისა და თამარის დროს, ცნობილია ამ ორი ხელის გაერთიანების შემთხვევები: ივანე ორბელის, ყუბასარისა და ჭიაბერის ხელში. მონღოლობის ჟამს შანშე ზაქარიას ძე მხარგრძელის სახლში ხშირად არის ეს ორი ხელი: შანშე ზაქარიას ძე მანდატურთუხუცესია (ქ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ქ. ცხ., II, გვ. 182, 287, 213 და სხვ.), ხოლო იმავე დროს მის შვილს ზაქარიას ამირსპასალარობა უჭირავს (ულუ დავითის დროს, ი ქ ვ ე, გვ. 219, 226, 250 და სხვ.); მეორე შვილი ივანე მამის შემდეგ მანდატურთუხუცესი ხდება (ი ქ ვ ე, გვ. 230, 259 და სხვ.). შანშე ივანეს ძე (ნაწილობრივად გიორგი ბრწყინვალის თანამედროვეა , ე. ი. კარის გარიგების დროის) პირველად მანდატურთუხუცესია, შემდეგ ამირსპასალარობასაც იღებს (ი ქ ვ ე, გვ. 304, 308 და სხვ.). ქრონოლოგია, იხ. პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 578—583.

[1] კარის გარიგება, გვ. 3, § 7, გვ. 5, § 13.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 17, § 33, გვ. 15, § 28, გვ. 19, § 38.

დიდი უფლების ჩანს მანდატურთუხუცესის თანაშემწე ამირეჯიბი. მას შეუძლია საქმის მოსახსენებლად ყოველთვის და ყველგან შევიდეს მეფესთან; შესვლის უფლება მას არა აქვს მხოლოდ მაშინ, როცა მეფე „უკაზმავია“[1]. მაგრამ თუკი ამ დროსაც შევა, უკან ვერავინ დააბრუნებს[2]. მას ჰყავს საკუთარი „ზედამდგომელი“ მანდატურივე. არავაზირთაგან ამირეჯიბი მესამე მოხელეა, რომელიც ესწრება სავაზიროს (მოსმენის უფლებით)[3].

ეჯიბები, ისე როგორც ამირეჯიბი, სასახლეში დარბაზობისა და პურობის დროს მანდატურთუხუცესს ეხმარებიან, მეფესთან ამბის მომხსენებლებიც არიან[4].

ამირეჯიბსა და ეჯიბებს ევალებათ სამეფო ძღვენის მიღება და მეფისადმი მირთმევა. მესტუმრეს დაკისრებული აქვს ქვეითად მოსული „მეძღვენეების“ და მწიგნობრების გამასპინძლება — ჭმევა[5].

გამგეთუხუცესი დარბაზობისა და პურობის დროს მანდატურთუხუცესის თანამშრომელია. საგამგეოში მეჯამეთუხუცესს მიბარებული აქვს ისეთი სურსათ-სანოვაგე, რომელთა შენახვა დიდხანს შეიძლებოდა: ზეთი, ნიგოზი, საწებელი, მუხუდო, ყველი—წველა. მასვე აბარია მწველავები („მეკამბეჩე დიასახლისები“), აგრეთვე მოძრავი სამზარეულო („კარავი სამზარეულოსი“) და სხვ.[6]. საფიქრებელია, მორთმეული ძღვენის შენახვა და ხარჯი საგამგეოდან ხდებოდა.

მანდატურთუხუცესი და მისი ხელქვეითი მოხელენი მონაწილეობენ სიგელის გაცემაში, რისთვისაც მათ ქრთამის ნაწილი ერგებათ: მანდატურთუხუცესს ერგება ამირსპასალარის ტოლი, ამაზე ნაკლები მესტუმრეს, მერიგეს და მანდატურს[7].

მ ე ჭ უ რ ჭ ლ ე თ უ ხ უ ც ე ს ი მართავს ყველა ფინანსურ საქმეს სახელმწიფოს მასშტაბით. ასევე მეფის კარზე გამგებელია „საჭურჭლისა“ (სანიადაგოდ სახმარებელი და სახარჯავი ხაზინა)[8], რომლის მოხელეებად

---

[1] ე. ი. როცა მეფე ჩაუცმელია, ანუ სამეფო საქმეების შესრულებას არ შესდგომია.

[2] კარის გარიგება, გვ. 5, § 12. „უკაზმავ“ მეფესთან შესვლის უფლება სამეფო საქმეების მოსახსენებლად, ჩვეულებრივ, მხოლოდ მსახურთუხუცესს და მის მოხელეებს ჰქონდათ (ი ქ ვ ე). ამირეჯიბის დავალებანი, ჩანს, იმდენად დიდმნიშვნელოვანი ყოფილა, რომ მისი დაყოვნება არ შეიძლებოდა.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 5, § 12, გვ. 19, § 32.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 37, § 33, გვ. 13, § 24.

[5] ი ქ ვ ე, გვ. 5, § 12.

[6] ი ქ ვ ე, გვ. 5. § 13.

[7] მანდატურთუხუცესთა რიგში შანშე ივანეს ძე მხარგრძელის მომდევნოა ბექა ჯაყელი, სამცხის მთავარი XIV ს. დასაწყისში (გიორგი ბრწყინვალის აღმზრდელი და მისი პაპა. ჟამთააღმწერელი, ქ. ცხ., II, გვ. 294, 313, 315, 322 და სხვ.). ბექას შემდეგ მანდატურთუხუცესი გახდა მისი ძე სარგისი.

[8] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 176.

ითვლებიან: „საჭურჭლის ნაცვალი“, „მუშრიბი“, „საჭურჭლის მუქაფი“ და „მეჭურჭლენი“ („დარბაზს მყოფი მეჭურჭლენი“ და „ქალაქის მეჭურჭლენი“). ამის გარდა, მეჭურჭლეთუხუცესს ექვემდებარება ყველა ქალაქის „ამირები“, ვაჭრები და ვაჭრობა-აღებ-მიცემობა, სავაჭრო გადასახადები, ბაჟი, მეფის „სავაჭრო“ და საჭურჭლის შემოსავალ-გასავალი... ხაზინიდან სახარჯავად გამოდის როგორც ფული, ისე ძვირფასეულობა — განძი. მეჭურჭლეთუხუცესის განკარგულებაშია საჭურჭლიდან „სანიადაგოდ სახმარებელი“ ძვირფასი სერვიზიც[1]. მეჭურჭლეთუხუცესი შეყვანილია „ორთა ვაზირთა“ ჯგუფში მსახურთუხუცესთან; ამდენად, მისი პატივი და ღირსება „სამთა ვაზირთა“ ჯგუფისაგან განსხვავებულია. მეჭურჭლეთუხუცესის შემცირებული ავტორიტეტის ასამაღლებლად ავტორი მიუთითებს მის ძველ ღირსებებს: „ძველი ვაზირი არის“, „დიდია“ და „ათაბაგობის დაწყებამდე მეოთხე ვაზირი არის“[2].

მ ს ა ხ ურ თ უ ხ უ ც ე ს ი სამეფო კარის შინასამეურნეო საქმეებისა და სახასო-საკუთარ ადგილ-მამულების გამგებელია. „მისი ხელისა არის სალარო, საწოლი, მესაწოლეთუხუცესი, მოლარეთუხუცესი, ფარეშთუხუცესი, ციცხვთუხუცესი, მეხელადენი“. ამასთან: ცხვარი, მატყლი, მეფის მოგზაურობის დროს სახმარი ქვეშაგები, ტანისამოსისა და სხვა საჭირო ნივთების სატრანსპორტო ჯორები და სხვ.

„სალარო“, რომელიც მსახურთუხუცესს ექვემდებარება, როგორც გამორკვეულია, სათავნო ხაზინას წარმოადგენდა (ინახებოდა ფულისა და განძის ხელუხლებელი ფონდი, იშვიათი ნაკეთობის სერვიზები...). სალაროს ჰყავს უშუალო გამგე „მოლარეთუხუცესი“ თავისი დამხმარე მოხელეებით: „სალაროს მოლარე“ და „მოლარენი“[3]. მოლარეთუხუცესს როგორც საფინანსო დაწესებულების უფროსს, „დიდი ბეჭედი“ „თუალედი“ აქვს ნაბოძები მეფისაგან. ბეჭედი მას „ხელთ აცვია“ მისი შენახვა-დაცვის მიზნითაც, რათა ის სხვას არ გამოეყენებინა. ამ ბეჭდით ბეჭდავენ სიგელებს და სხვა საბუთებს, რასაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მწიგნობარი ასრულებს. მას ტექნიკურად ეხმარებიან მოლარეთუხუცესის თანამშრომლები[4].

---

[1] კარის გარიგება, გვ. 8, § 17. საჭურჭლეში ინახებოდა ქონიც, როგორც ძვირი ღირებულების საქონელი. გასანათებელ-საწვავად იხმარებოდა სელის ზეთი, მაგრამ ის საჭურჭლეში არ ინახებოდა.

[2] კარის გარიგება, გვ. 19, § 36. გვ. 8, § 17. მეჭურჭლეთუხუცესობა უმეტესად სამცხის მთავართა სახლის კუთვნილებად ჩანს. ცნობილი არიან: „სამცხის სპასალარი და მეჭურჭლეთუხუცესი ყუარყუარე“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 195), სარგისი (1268—1285), „სამცხის სპასალარი და მეჭურჭლეთუხუცესი“, ი ქ ვ ე, გვ. 273, 681 და სხვ.). სარგისმა შემდგომ ათაბაგობაც მიიღო. ქრონოლოგია, იხ. პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 581, 583, 586.

[3] კარის გარიგება, გვ. 6, § 14, § 15; არსებულა მოძრავი სალაროც, სადაც ალბათ ინახებოდა არა სახარჯო ფული, არამედ სახმარი ძვირფასი ჭურჭელი (ი ქ ვ ე).

[4] კარის გარიგება, გვ. 6, § 14.

„საწოლს“ განაგებს „მესაწოლეთუხუცესი“, რომელსაც ექვემდებარებიან „მესაწოლენი“[1]. კარის გარიგება მაშინდელი ვითარების მიხედვით აწესებს მესაწოლეთა რაოდენობას 700 სახლით, რომელთა შორის 8 გლეხი და „სხვა ყველა აზნაურიაო“. ნორმირებულია მათი მოვალეობაც: „შვიდასივე შუბოსანია“, რომელთაგან განსაზღვრული რაოდენობა მუდმივ მეფის კარზე იმყოფება. მაგ., ზოგი მეფეს ახლავს მგზავრობისას, ზოგი მესაწოლე „წინმწოლი“, „საწოლის მეკრე“ ან „საწოლის დარაჯაა“[2]. რადგან საწოლი მსახურთუხუცესის საგამგეოა, მეფის მომსახურება დილას: ხელპირის დაბანა, ჩაცმა და საუზმე, მას ეკითხება[3]. საწოლის მოხელეებსვე ევალებათ ღამე სამწყურვალოდ მეფისათვის წყლის და ღვინის მომზადება, საწოლის დარაჯობა და ა. შ. ვიდრე მეფე საწოლშია (ღამით და დილით), ამ ხნის განმავლობაში მეფესთან საქმის მოსახსენებლად მხოლოდ მსახურთუხუცესი და მისი მოხელენი შედიან. გამონაკლისი ეხება, როგორც ვთქვით, მხოლოდ ამირეჯიბს. საწოლის მოხელეებს ევალებათ აგრეთვე მეფის ოთახების დალაგება-მოკაზმვა[4].

ფარეშთუხუცესი განაგებს სხვადასხვა „საფარეშოებს“ „ფარეშების“ საშუალებით.

„მეხილეთუხუცესი“ უძღვება „სახილეს“, სადაც ინახება ხილის ჭურჭელი („სახილე ტაბაკი“, „სათხილე“ და სხვ.). „ციცხვთუხუცესს“ თავისი ხელქვეითი „ციცხვნით“ ევალება სასახლისა და აბანოს გათბობა, შეშის დაპობა, წყლის ზიდვა და სხვ.[5].

სავაზიროში მსახურთუხუცესს უფლებრივად ყველაზე უმცროსი ადგილი ეკავა, რადგან ის გვიან გამხდარა ვაზირი: მსახურთუხუცესი მანაველი ვაჩნაძე „რუსუდან მეფეს შეუყვანია სავაზიროსა“[6]. მსახურთუხუცესს მინიჭებული აქვს მეჭურჭლეთუხუცესის ტოლი პატივი და „სასაურვო“. მის ხელქვეითთაგან არავინ არ ესწრება სავაზიროს, მაგრამ ორი მოხელე ვაზირობის დროს იქვე, სალაროს კარებში დგას.

---

[1] საწოლი არის მეფის დასაძინებელი ოთახი ახლო სათავსებით, იგი მეფის ერთგვარი მცირე კანცელარიაცაა.

[2] კარის გარიგება, გვ. 7, § 15. არის მოძრაკი „საწოლიც“ (ი ქ ვ ე).

[3] მაგ., თვითონ მსახურთუხუცესს ტაშტი უკავია.

[4] კარის გარიგება, გვ. 7, § 16.

[5] ი ქ ვ ე, გვ. 10, § 19, გვ. 7, 8, § 16, § 17. საფარეშოები: სამკერვალო, სამრეცხაო, საპნის გასაკეთებელი და სხვ. გვ. 8, § 18, გვ. 12, § 21; ფარეშები აწესრიგებენ ღამე სასახლის განათებასაც; მათ განკარგულებაშია სანთლები და შანდლები. სამაშხალე მასალას ღებულობენ სხვადასხვა საწყობიდან. მეხილეებს გაწყობილი ხილი გამოაქვთ სახილე ჭურჭლით. ევალებათ თხილის დატეხვაც.

[6] ი ქ ვ ე, გვ. 19, § 36. მსახურთუხუცესობა უმეტესად ქართლის ერისთავთ-ერისთავების სურამელების ხელში ჩანს. ცნობილი არიან: გრიგოლ სულას ძე სურამელი (დაახლ. 1250—1260-იანი წლები), შემდეგ ბეგა გრიგოლის ძე და სხვ. (იხ. პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ., გვ. 581—586).

მ ე ღ ვ ი ნ ე თ უ ხ უ ც ე ს ი ვაზირი არ არის, მაგრამ დიდი მოხელეა, რომელიც დამოუკიდებლად განაგებს სახელმწიფო ღვინის შემოსავლისა და ხარჯის საქმეს. ექვემდებარებიან „მეღვინენი“ და დიდი დაწესებულება „საღვინე“ თავისი მოხელეებითურთ („საღვინის ხელისუფალნი“, „საღვინის მუქაფი“, „საღვინის მოლარე“)[1].

მ ო ნ ა დ ი რ ე თ უ ხ უ ც ე ს ი ვაზირი არ არის. განაგებს „მონადირეებსა“ და ნადირობის საქმეს (ნადირობა საქართველოში სამხედრო ვარჯიშის დანიშნულებით განიხილებოდა, ამიტომაც ის, როგორც „ლაშქრობაც“ (სამხედრო ბეგარა), სავალდებულო იყო ყველასათვის). მონადირეთუხუცესი ნადირობის ორგანიზაციასა და სამონადირეო მეურნეობას ხელმძღვანელობს. კარის გარიგებაში დადგენილია მონადირენი 260 სახლის რაოდენობით კახეთსა და იმერეთში[2]. „მონადირეებს“ ევალებათ ნადირობის ვალდებულების შესრულების შემოწმება ადგილებზე[3], სამეფო ნადირობაში მონაწილეობის მიღება, და ძაღლების გამოზრდა-გაწვრთნა. დაწესებული განრიგით მონადირეები სასახლეში ცხადდებიან ნოემბერში („გიორგობის დღეს“) და აქ რჩებიან „თევდორობამდე“ (აღდგომის მარხვის პირველი შვიდეული[4]). ახალი წლიდან ვიდრე დამარხვებამდე იმართება ნადირობა. შემდეგ კი რადგან ხორცის ჭამა იკრძალებოდა, ნადირობაც წყდებოდა. „თევდორობის მეორე დღეს“ მონადირენი ძაღლებს აღწერდნენ და ორშაბათს შინ ბრუნდებოდნენ[5].

„ს ა ვ ა ზ ი რ ო ს“ (ვაზირთა საბჭოს) მეფე დროდადრო საჭიროებისამებრ იწვევს. კარის გარიგებაში მკაცრად არის ნორმირებული სავაზიროს შემადგენლობა, ჯდომის წესი და „ვაზირობის“ (თათბირის) საქმეებში დამსწრეთა კომპეტენციები.

ვაზირობას ესწრება მეფის გარდა ექვსი ვაზირი და სამი მათი თანაშემწე. როცა მეფე ვაზირობას დანიშნავს („თუ ვაზირობა იყოს“), დასწრება უნდა შეატყობინონ („მოახსენონ“) შემდეგ პირებს: „ჭყონდიდელს, ათაბაგს, ამირსპასალარს, მანდატურთუხუცესს, მეჭურჭლეთუხუცესს, მსახურთუხუცესსა და ამილახორს“, საწოლის მწიგნობარი და ამირეჯიბი

---

[1] კარის გარიგება, გვ. 3, § 7, გვ. 4, § 11, გვ. 15, § 28, გვ. 11, § 20.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 11, § 20.

[3] 1170 წ. სიგელში „მონადირენი“ დასახელებული არიან დარბაზისაგან სოფლად წარგზავნილ მოხელეებს შორის (ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ. 23).

[4] წმ. თევდორეს დღე მოდიოდა აღდგომის მარხვის პირველი შვიდეულის შაბათს, მთელ კვირასაც თევდორობის კვირა ეწოდებოდა.

[5] კარის გარიგება, გვ. 11 — 18, § 20. წასვლისას მონადირეები მართავდნენ სანახაობას — ლამპრობას, რისთვისაც დედოფალი, ვაზირები და კარზე მყოფი დიდებულები მათ ასაჩუქრებდნენ პურით, ღვინით და საკლავი პირუტყვით. სამაგიეროდ, მონადირენი შაირობაში „უხვად გამცემთ“ აქებდენ, „პურად ავადს“ „აგინებდნენ“ და სხვ. (ი ქ ვ ე).

თვითონ არიან ვაზირთა მაწვეველნი, ამიტომ ისინი ვაზირობაზე მოუწვევლად მოდიან.

სავაზირო დარბაზი ცალკეა, სადაც დიდი მაგიდა დგას[1]. ჯერ მეფე დაჯდება სუფრის თავს, ხოლო მოწვეულნი დასხდომას მას შემდეგ შეუდგებიან, როცა მსახურთუხუცესი დარბაზში მყოფთ გამოუცხადებს ვაზირობის დაწყებას. მსახურთუხუცესი თითოეულ ვაზირთან მიდის და თხოვს დაჯდომას. სხდებიან უფროს-უმცროსობით. ჯერ ჯდება მწიგნობართუხუცესი მაღალ ადგილას, მის „ქვემოთ“ ათაბაგი და ამირსპასალარი, შემდეგ მანდატურთუხუცესი, ბოლოს „მეჭურჭლეთუხუცესის გვერდით ზის მსახურთუხუცესი“. ვაზირები ოქროჭედილ სელის სკამებზე სხედან, აცვიათ ოქროქსოვილი („სკარამანგი“)[2]. ვაზირთა თანაშემწენი ფეხზე დგანან ვაზირთა უკან, კედელთან: ამირახორი უფრო მაღალ ადგილას, დანარჩენები დაბლა. საწოლის მწიგნობარს თან „თავისი საწერელი აქვს“, ამირეჯიბს — არგანი. მსახურთუხუცესის თანაშემწე მესაწოლეთუხუცესი დგას სალაროდან დარბაზში გამომავალი კარის გარეთ, კარს შიგნით მოლარეთუხუცესია. სავაზიროს დარბაზის გარეთ დგანან უფროსი „ხელისუფალნი“, სამი უწყებიდან თითო-თითო[3], მწიგნობართუხუცესის ხელქვეითთაგან კი ყველა დანარჩენი (ზარდახნის მწიგნობარი და მწიგნობარნი) და ელოდებიან დარბაზში გამოძახებას („შეაჴსმიან“) და დავალებით გაგზავნას საქმეზე. მწიგნობრებს მწიგნობართუხუცესი სავაზიროს დადგენილებებს გადასცემს, ისინი მას დაწერენ და წავლენ შესასრულებლად.

სავაზიროს თათბირი და მისი გადაწყვეტილებები სახელმწიფო საიდუმლოებად ითვლებოდა, ამიტომ კარის გარიგებით დაწესებულია სავაზირო დარბაზის დიდი საპოლიციო დაცვა. დარბაზის დახშულ კარებთან ზურგშექცევით ზის საწოლის მეკარე (ხელში არგანი უჭირავს), რომელიც მხოლოდ იმას შეუშვებს დარბაზში, „ვისცა უბრძანებენ“. მოშორებით მერიგე დგას, რომელიც შეშვებას აწესრიგებს. დარბაზის „გარშემო“, შორს, დგანან მანდატურნი, რომლებიც „ვისაც არ უბრძანებენ არავის მიიყვანენ სიახლოვეს“[4].

ვაზირთა სათათბიროში ყველა ერთნაირად კომპეტენტური არაა. მაგ., ამირახორს (ამირსპასალარის თანაშემწე) მხოლოდ სათათბირო ხმა აქვს, მას თუ არ კითხავენ, ისე ვერ ილაპარაკებს. საწოლის მწიგნობარსა და ამირეჯიბს კი მხოლოდ მოსმენის უფლება აქვთ ყოველგვარი ლაპარაკის

---

[1] კარის გარიგება, გვ. 18, 19, 37. სავაზირო დარბაზის განათება, გათბობა, მორთვა, მაგიდაზე ნოხის გადაფარება ფარეშთუხუცესს და მის მოხელეებს ევალებათ.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 18, 19, § 36, 37.

[3] მეაბჯრეთუხუცესი (ამირსპასალარის უწყება), საჭურჭლისნაცვალი (მეჭურჭლეთუხუცესის უწყება), მესტუმრე (მანდატურთუხუცესის უწყება).

[4] კარის გარიგება, გვ. 20, § 38.

გარეშე[1]. მეფის შემდეგ ყველაზე მაღალი და ფართო უფლებამოსილების მქონეა მწიგნობართუხუცესი, რადგან „მამა არის მეფისა, ათაბაგი ახალიაო“ და სხვ.[2]. ამირსპასალარს მხოლოდ ის უპირატესობა აქვს დანარჩენ ხუთ ვაზირზე, რომ სამხედრო და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე ბჭობისას პირველად მას მოუსმენენ, რადგან ის „ლაშქრის თავადია“ და სხვ. აქვე ლაპარაკია დანარჩენ ვაზირებზე, რომელთა გავლენა დაფასებულია მათი წარმოშობის სიძველით და სხვ.

როგორც ვნახეთ, ცენტრალურ აპარატში (ვაზირებს შორის) სამმართველოდ დანაწილებულია: სამხედრო, საპოლიციო და მეფის დაცვის, სამეურნეო და სასახლის სამსახურის, საფინანსო დარგები. მწიგნობართუხუცესი ახორციელებს მეფის უმაღლეს მმართველობას, კონტროლსა და მართლმსაჯულებას. ვაზირთა სამოქმედო ასპარეზია მთლიანად სახელმწიფო, სადაც შედის მეფის საკუთარი სახასო ქვეყნებიც. სამეფო სასახლე, მონარქის საცხოვრებელი ბინა, ამავე დროს ქვეყნის მმართველობის ცენტრია, ხოლო მეფის სახასო მამულების შემოსავალი ხმარდება ამ ცენტრს, ე. ი. სახელმწიფო საჭიროებას. ვაზირთა ხელისუფლება უაღრესად საჯარო უფლებრივი ხასიათისაა. რასაკვირველია, მას გარკვეულად ახლავს კერძო უფლებრივობის თვისებებიც, რადგან ქვეყანა ფეოდალურია. მეფე ვაზირთა (და ყველა მოხელის) მიმართ იმავე დროს სენიორიცაა: თანამდებობა განიხილება, როგორც ერთგული სამსახურის პირობით გაცემული წყალობა—ფეოდი. ამ ნიადაგზე ყველა ვაზირს იმავე დროს თანამოლაშქრეობასთან ერთად მეფის სხვა კერძო სამსახურიც ადევს.

კარის გარიგებით დაკანონებულია ვაზირთა გასამრჯელოს — სარგოს სამგვარი ნორმა: ყველაზე დიდი „ქრთამი და სასაურვო“ ეძლევა მწიგნობართუხუცესს, ამაზე ნაკლები ერთნაირად ეძლევა ამირსპასალარს და მანდატურთუხუცესს, ხოლო ნაკლები ერთნაირადვე მეჭურჭლეთუხუცესს და მსახურთუხუცესს. ვაზირები სარგოს, ჩვეულებრივად, მიმდინარე ოპერაციების დროს იღებენ (მაგ., სიგელის შემკვეთისაგან...), ამავე დროს მათზე გაპიროვნებულია მუდმივად რომელიმე საშემოსავლო ობიექტი (მაგ., მეჭურჭლეთუხუცესი ხანდახან ქალაქიდან იღებს), როგორც წესი კი, სარგო უშუალოდ ხაზინიდან ეძლევათ[3].

მმართველობის დარგობრივი სისტემა, ვაზირები და საავაზირო, პოლიტიკურად გაერთიანებულ ქვეყანაში მეფის ერთმმართველობას უფრო უზრუნველყოფდა, ვიდრე ერისთავთა დარბაზი, რომელიც დაქუცმაცებულობის ამსახველი და მისი მასაზრდოებელი იყო.

---

[1] კარის გარიგება, გვ. 19. § 36.

[2] ავტორს ათაბაგთან შედარება სჭირდება იმიტომ, რომ, როგორც ზემოთაც ვთქვეთ, ადრე (მონღოლების დროს) ათაბაგი პირველობდა.

[3] კარის გარიგება, გვ. 9, § 17. ხაზინიდან გასტუმრების შესახებ პირდაპირი ცნობა კარის გარიგებაში შემონახული არ არის, მაგრამ ამ წესს მოწმობს სხვა ცნობები.

როგორც აღნიშნული იყო, გიორგი ბრწყინვალემ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ერისთავ-მთავრებს, მაგრამ მას არ შეეძლო საერთოდ ერისთავთა სისტემის მოსპობა, სამაგიეროდ, დარბაზი ახლა, მეფის მომხრეთა გამრავლების ვითარებაში, მეფის სამსახურში უნდა ჩამდგარიყო და ასეც ჩანს.

დ ა რ ბ ა ზ ი მმართველობის კოლეგიური დაწესებულებაა, რომელშიაც იმ პერიოდში მონაწილეობდნენ შემდეგი მაღალი საერო და საეკლესიო ხელისუფალნი: კარზე მყოფნი — ვაზირნი, საქვეყნოდ გამრიგენი — ერისთავები, კათალიკოსები (აფხაზეთისა და ქართლის), მოძღვართ-მოძღვარი (გელათის აკადემიის რექტორი), ეპისკოპოსები და სამეფო დიდი მონასტრების (გელათის, გარეჯის და სამცხის „თორმეტი უდაბნოს") წინამძღვარნი უფროსი ბერ-მონაზვნებითურთ. დაწესებულია „დარბაზობის" (დარბაზის სხდომის) ორნაირი წესი: „დიდის წესითა" და „უმცროსითა", რომელთა არჩევა მეფის ნება-სურვილზეა დამოკიდებული[1].

დარბაზის კომპეტენციებზე კარის გარიგებაში ცნობები თითქმის არ არის, მაგრამ ნაკლი შეიძლება შევავსოთ იმ დროის სხვა წყაროებით. ამ წყაროების მიხედვით, დარბაზის უფლებას შეადგენდა კანონმდებლობა. როგორც უკვე ვიცით, მთიულთათვის კანონები დარბაზმა შეიმუშავა. ეს დარბაზი გიორგი ბრწყინვალემ მოიწვია, რომელსაც ნამდვილ წევრებს[2] გარდა საქმის მცოდნე ადგილობრივი თავკაცნიც ესწრებოდნენ. დარბაზის უფლება მართლმსაჯულებაც იყო: კარის გარიგების ცნობით, აფხაზეთის კათალიკოსსა და ქუთათელ ეპისკოპოსს შორის ჩამოვარდნილი დავა მაშინ დარბაზს გადაუწყვეტია[3]. დარბაზს ეკითხებოდა მთაში მკვლელობისა და დანაშაულის საქმეები, დამნაშავისათვის მამულის ჩამორთმევა, მისი უკან დაბრუნება, მოხელის დანიშვნა-გადაყენება და სხვ[4]. დარბაზს იწვევდნენ დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო საკითხების ერთობლივ გადასაწყვეტად. ამის ერთ-ერთი მაგალითია დიმიტრი თავდადებულის დროის დარბაზი, რომელმაც გაარჩია ურდოში დასასჯელად გამოძახებული მეფის წასვლის საკითხი[5].

---

[1] კარის გარიგება, გვ. 2, § 3, გვ. 16, § 16, § 32. იმის მიხედვით, თუ რა ხასიათის საკითხი ირჩეოდა, დამსწრეთა წრეც ვიწრო ან ფართო იქნებოდა.

[2] ნამდვილი წევრები: ქართლის კათალიკოსი ეფთვიმი, „ვეზირნი", ეპისკოპოსნი და „მოურავნი". ძეგლის დადება, შესავალი.

[3] დავა ეხებოდა სამეფო გვირგვინისა და სკიპტრის ადგილსამყოფელს. კარის გარიგება, გვ. 14, § 27.

[4] ძეგლის დადება, მუხ. 43, 7, 5, 10 და სხვ.

[5] ამ დარბაზს (1289 წ.) ესწრებოდნენ ნამდვილი წევრები: ქართლის კათოლიკოსი აბრამი, აფხაზეთის კათალიკოსი, ეპისკოპოსები, მონასტრებისა და გარეჯისა უდაბნოების მღვდელ-მონაზონნი და „ყოველნი მთავარნი სამეფოსა", ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ქ. ცხ., II, გვ. 281—288. „მთავარნი" აქ გულისხმობს ვაზირ-ერისთავებს, იქვე, გვ. 290.

დარბაზი მეფის უფლებებს ვერ ზღუდავდა (საქმე პირიქით იყო). დარბაზი სავაზიროს (ვაზირთა თათბირის) გარეშე საქმეს ვერ წყვეტს: „სასაურვო“ საქმეს წინასწარ ჯერ ვაზირები განიხილავდნენ და იგივენი „ჰკადრებენ“ დარბაზს, ანუ „იურვიან“ დარბაზში. მაშასადამე, დარბაზში ვაზირთა აზრი გადამწყვეტია[1]. კარის გარიგებით, უმაღლესი მართლმსაჯულების უფლება პირველი ვაზირის, მწიგნობართუხუცესის (ე. ი. მხოლოდ მეფის) შეუვალი უფლებაა. აქედან კი ცხადია, არც დიდი მოხელეების დანიშვნისას უნდა ყოფილიყო მეფე შეზღუდული დარბაზით. ამას მოწმობს თვითონ გიორგის პრაქტიკული მოქმედება: მან ცივის დარბაზზე მშვიდობიანად მოწვეული გაორგულებული ერისთავები გააწყვეტინა.

„დ ი დ ი დ ა რ ბ ა ზ ო ბ ი ს“ მოწვევის მუდმივ დროდ დადგენილი ყოფილა დიდი საუფლო დღესასწაულები: შობა („განცხადება“), აღდგომა („აღვსება“) და სხვ[2]. ამიტომაც დიდი დარბაზობა უფრო საზეიმო სხდომად ჩანს, სადაც დარბაზის ნამდვილი წევრების გარდა ესწრებიან კარის სხვა მოხელეებიც. დარბაზის წევრთა („დარბაისელთა“)[3] დასაჯდომი ადგილები განაწილებულია მოხელეთა უფროს-უმცროსობის მიხედვით. ვაზირნი და ერისთავნი წარმოდგენილი არიან თავ-თავიანთი სახელისეფლო ნიშნებით. მაგ., ამირახორს „ხმალი არტყია დარბაზსა ზედა“, ერისთავებს ფარი და ხმალი აქვთ[4] და სხვ. დიდ დარბაზობას მოჰყვება „პურობა“. აქაც სუფრასთან ჯდომის წესი, მისართმევი ულუფა და მომსახურება მკაცრად ექვემდებარება იერარქიულ პრინციპს. ზოგ მოხელეს კი, რომელიც დარბაზობას ესწრება, უფლება არა აქვს პურობაზე დარჩეს, იგი უნდა თავის სამსახურის ადგილს წავიდეს, სადაც მიუვა კუთვნილი ულუფა. „პურის წინაობას“ მანდატურთუხუცესი ხელმძღვანელობს. ნორმირებულია სტუმარი მეფეების დაჯდომისა და გამასპინძლების წესებიც. განსხვავებულია სკამები. მაგ., ათაბაგი, ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი სხედან ოქროჭედილ სკამებზე სასთაულით (ბალიშით)[5]. დავიწყებული არაა ისიც, თუ პურობას „ღამე შემოესწრასო“, როგორ და რით უნდა გაანათონ ფარეშებმა დარბაზი, ბინამდე ვინ უნდა გააცილონ მაშხალებით და სხვ.[6]. პურობის დროს მეფე პირველი არ ჯდება, თვითონ

---

[1] ძეგლის დადება, მუხ. 17, 5, 6, 9, საქმე „ვაზირთ მოახსენონ, ვაზირთ დარბაზს ჰკადრონ“, „ვაზირთ მოახსენონ, ვაზირთ დარბაზს იურვონ“.

[2] კარის გარიგება, გვ. 2, § 4. ცნობები ამ მხრივ ნაკლულია.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 13, § 23.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 15, § 28. მტბევარს, ყოფილ ერისთავ-ეპისკოპოსს, ფარი და ხმალი არ უკეთია როგორც სასულიერო პირს, სამაგიეროდ, ის თავისივე მოხელეს უჭირავს მისი სკამის უკან.

[5] კარის გარიგება, გვ. 12, § 20, გვ. 16, § 30.

[6] ი ქ ვ ე, გვ. 8, § 17.

იწვევს დარბაზის მაღალ წევრებს (კათალიკოსებს, მოძღვართმოძღვარს, მწიგნობართუხუცესს, ათაბაგს და ამირსპასალარს). მხოლოდ იმის შემდეგ, როცა დანარჩენი ვაზირებიც დასხდებიან (მოუწვევლად) და ყველას შეჯამანდს მოუტანენ, მეფე შემდეგ ჯდება ამირეჯიბთან და განმგეთუხუცესთან. ერთი სიტყვით, კარის გარიგებაში ზედმიწევნითაა აღნუსხული პურობის ყველა ეტიკეტი[1].

ასეთი პურობა განიხილებოდა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის ღონისძიებად, რომელიც ხელს უწყობდა ფეოდალ-მოხელეების ცენტრთან კავშირს და, იმ პირობებში, ერთმანეთთან სოლიდარული დამოკიდებულების განმტკიცებასაც. ასეთი დიდი ყურადღება ამ წესისადმი მოწმობს მის საფუძვლიან მოშლას, რაც მოსალოდნელი იყო მონღოლთა ხანგრძლივი ბატონობის დროს.

დარბაზის წევრ ერისთავების შესახებ კარის გარიგებაში შემორჩენილია ცნობა მათი „საწელიწდისთაო" ვალდებულების თაობაზე. „ერისთავებს", მათ შორის, ქართლის ერისთავს, სამცხის სპასალარს და დადიანს, მართებთ ძღვენი მეფისადმი მისართმევად. მეძღვნე ერისთავები, როგორც სხვა მეძღვენეებიც, ახალ წელიწადს პირადად ცხადდებიან მეფის კარზე[2]. ძღვენი ამ შემთხვევაში გამოხატავდა მეფის უზენაეს სიუზერენულ უფლებას მოხელე-ფეოდალზე, და ამდენად, მას მატერიალური უზრუნველყოფის დანიშნულება არ ჰქონდა. ცენტრთან დამაკავშირებელი ამ ნორმის შეტანა კარის გარიგებაში, ჩანს, იმან გამოიწვია, რომ იგი მანამდე მოშლილი და დარღვეული იყო.

კარის გარიგებაში გარკვეულად არეკლილია სამეფო კარის მისწრაფება საერისთავოები (ამ დროს უკვე მსხვილი და წვრილი სამთავროები) მტკიცედ დაუქვემდებაროს ცენტრს. ვაზირთა გაძლიერებისათვის მიღებული ზომები, თავისთავად, ამ საქმის საბოლოო მოგვარებასაც ნიშნავდა, თუნდაც იმის გამო, რომ ვაზირები იმავე დროს დიდი ერისთავებიც იყვნენ. გარდა ამისა, დარბაზიც მეფის მორჩილი გახდა. ის ფაქტიც, რომ კარის გარიგება არც ერთხელ არ ხმარობს სიტყვა „მთავარს", იმის გამოხატულებაა, რომ საქართველოს მთავრობა ბრძოლას უცხადებდა ერისთავების გახელმწიფების ტენდენციას.

დარბაზის წევრთა შორის კარის გარიგების მოღწეულ ნაწილში საეკლესიო ხელისუფალნი ნახსენები არიან უმთავრესად მეფესთან მიღების ან დარბაზობაზე ჯდომის წესების განმარტებისას, მაგ-

---

[1] კარის გარიგება, გვ. 17, § 33.

[2] დადიხანს ძღვნად მოჰყავს სამი ცხენი, „ორი უკეთესი და ერთი სატალახე" (ი ქ ვ ე, გვ. 15, § 28). საახალწლო ძღვენი მართებს ამირსპასალარსაც და გელათის მონასტერს. სხვა ძღვენი მართებს გარეჯის მონასტერს (ი ქ ვ ე).

რამ აქედანაც კარგად ჩანს საქართველოს მთავრობის საეკლესიო პოლიტიკის მთავარი კურსი.

საქართველოს ეკლესია ორი უმაღლესი მეთაურით არის წარმოდგენილი — ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსებით. ორივე კათალიკოსი სამეფო კარზე ერთნაირი პატივით სარგებლობს[1]. ორივე ზოგიერთი პატივით გათანაბრებულია მოძღვართმოძღვართან და მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელთან. ამიტომ ქმნიან „ოთხთა მონაზონთა" ჯგუფს. უფლებრივი დამოკიდებულების შესახებ ამ ორ კათალიკოსს შორის კარის გარიგებაში მცირე ცნობაა შემონახული, მაგრამ სხვა მასალებითაც ნათელი ხდება, რომ ქართლის კათალიკოს-პატრიარქს ემორჩილებოდა აფხაზეთის კათალიკოსი[2].

საქართველოს ცენტრთან ლიხთიმერეთის ეკლესიის კავშირის განსამტკიცებლად საქართველოს მთავრობას, როგორც კარის გარიგებიდან ჩანს, საგანგებო ზომები მიუღია. ეს კავშირი მონღოლთა ხანგრძლივი ბატონობის პერიოდში ლიხთიმერეთის ცალკე სამეფოდ გამოყოფის გამო, ბუნებრივია, ძალზე შესუსტდა.

ასეთ ღონისძიებად ჩანს სრულიად საქართველოს სამეფო გვირგვინისა და სკიპტრის შესანახ ადგილად ქუთაისის საკათედრო ტაძრის დადგენა[3]; ქუთათელი და ბედიელი ეპისკოპოსებისათვის სრულიად საქართველოს მეფეთა „მოსაფლავედ" დამტკიცება (ამის საფუძვლად იქვე მოტანილია ამ ეკლესიებში ადრე მეფეთა დასაფლავების ფაქტები[4]); ამ

---

[1] მაგ., დარბაზობა-პურობის დროს მათ ერთნაირი მომსახურება და ერთნაირი უღეფა აქვთ, მეფე ორივეს ერთნაირად ესალმება და სხვ. (კარის გარიგება, გვ. 17, § 33, გვ. 13, § 24).

[2] კარის გარიგება, გვ. 18, § 34. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ აფხაზეთის კათალიკოსს უფლება არა აქვს საქართველოს მეფის კურთხევისა. ეს ქართლის კათალიკოსის უპირატესობაა. ვრცლად ამ საკითხზე იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, 1971, გვ. 85 — 107.

[3] „ვეზირთა და ერთობილთ ლაშქართა... (გვირგვინი — ბ. ლ.) და სკიპტრა ქუთათელს განუჩინეს" (კარის გარიგება, გვ. 14, § 27). ამ ძველი უფლების მიღება აფხაზეთის კათალიკოსსაც სურდა, მაგრამ დარბაზმა ქუთათელს დაუჭირა მხარი იმ საბუთით, რომ მას ეს უფლება პრაქტიკით თითქმის მოპოვებული ჰქონდა: იქ მეფეები „ორჯერ-სამჯერ... დალოცვილანო". იქვე ჩამოთვლილია ვინც კურთხეულან: აღმ. საქართველოს მეფე ვახტანგ ნარინის ძე (1289—1293), ლიხთიმერეთის მეფე კონსტანტინე ნარინის ძე (1293—1327) და მესამე, ნაგულისხმევია, ნარინ რუსუდანის ძე (1245—1293). ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ქუთათელს დარჩა მხოლოდ სკიპტრა, გვირგვინი კი აფხაზეთის კათალიკოსმა შეინარჩუნა (პ. ინგოროყვა). ასეთი დასკვნა, ჩვენი აზრით, მოღწეული ტექსტის ნაკლოვანებით არის გამოწვეული.

[4] კარის გარიგება, გვ. 14, § 27. ბედიაში დასაფლავებულია ბაგრატ III (975—1014), ხოლო ქუთაისში — გიორგი I (1014—1027). მესაფლავედ დადგენა აქ ნიშნავდა მეფის საფლავზე მწირველი ეპისკოპოსის დადგენას, რაც, გარდა საპატიო მოვალეობისა, გარკვეულ მატერიალურ სარგებლობასაც გულისხმობდა.

დროსვე მოუხდენიათ ქუთაისის ტაძრის შემკობა და ქ უ თ ა თ ე ლ ი ს დაწინაურება იშხნელის სწორი პატივით[1].

მეფესთან დარბაზობის (მიღების) წესის განმარტებისას საქართველოს ეპისკოპოსები სახელდობრ დასახელებული არ არიან, მათზე მხოლოდ ზოგადად ნათქვამია: ვინც „ვითარი მონაზონი იყოს, ანუ ვითარი კაცი“ იმის მიხედვით, ზოგს „უფრო“ და ზოგს „უმცრო“ პატივი მიეცესო[2]. გამონაკლისი დაშვებულია მხოლოდ სამხრეთ საქართველოს ეპისკოპოსების მიმართ, რომლებიც პირადად არიან ჩამოთვლილი: ი შ ხ ნ ე ლ ი, მ ა წ ყ ვ ე რ ე ლ ი, ა ნ ჩ ე ლ ი, მ ტ ბ ე ვ ა რ ი, გ ო ლ-გ ო თ ე ლ ი. მისალმების წესიც ცალკეა განსაზღვრული. ამათ შორის მისალმების მიხედვით ყველაზე დიდი პატივი იშხნელს აქვს განკუთვნილი[3]. ის ფაქტი, რომ კარის გარიგების ამ ნაწილში სამცხის მღვდელმთავრებზე საგანგებოდ არის ლაპარაკი, გარკვეულად მოწმობს მეფის განსაკუთრებულ ყურადღებას მათდამი: დიდი ხნის განმავლობაში ეს მხარე საქართველოს მონარქიას ჩამოშორებული იყო, ეკლესიაც სამცხის მთავრების სეპარატული პოლიტიკის გამტარებლად გამოდიოდა (მაწყვერელის ამგვარი როლი უკვე ცნობილიც არის). გიორგი ბრწყინვალის მიერ სამცხის სამთავროს შემოერთების შემდეგ კი, ბუნებრივია, საჭირო გახდა სამცხის ეკლესიის კავშირის განმტკიცება ცენტრთან. აი, ეს იყო მიზეზი, რომ სამეფო კარზე სამცხის ეპისკოპოსების მიღების წესები საგანგებოდ დააკანონეს და ამასთან იშხნელის დაწინაურებაც მოახდინეს. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ის და არა მაწყვერელი იქნა დაწინაურებული. ცხადია, ამ შემთხვევაში იშხნელი მეფის მომხრეთა (სამცხის საქართველოსთან შეერთების მომხრეთა) დასში არის საგულისხმებელი.

მტბევარი ეპისკოპოსი, რომელიც შორეულ წარსულში შავშეთის ერისთავიც იყო, კარის გარიგებით დარბაზობაზე ჯდომის განსხვავებულ წესს ემორჩილება: საერისთავო ფარი და ხმალი უკავია მისი დასაჯდომის უკან მდგომ მისივე მოხელეს[4]. მტბევარ ეპისკოპოსს, როგორც სასულიერო პირს, ფარი და ხმალი, რასაკვირველია, არ ეკეთა არც ერისთავობის დროს. ამჯერად ამგვარი ჯდომის წესი მხოლოდ მისი პერსონის პატივის ამაღლებისათვის შემოუღიათ.

საყურადღებოა „გოლგოთელის“ — იერუსალიმის გოლგოთის ქართველთა მონასტრის წინამძღვრის — მოხსენიება სამცხის მღვდელმთავრების რიგში მეფესთან დარბაზობის (მიღების) წესის განმარტებისას. გოლ-

---

[1] კარის გარიგება, გვ. 14, § 27.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 15, § 28.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 14, § 26.
[4] ი ქ ვ ე, გვ. 15, § 28.

გოთელიც, როგორც ვნახეთ, დარბაზის წევრია და მიღების ისეთივე პატივი აქვს მინიჭებული, როგორც მაწყვერელს, ანჩელს და მტბევარს. გოლგოთელი ამ პერიოდში იერუსალიმის ქართველთა ყველა მონასტრის წარმომადგენლად უნდა მივიჩნიოთ. გოლგოთა დიდი ხნის მანძილზე მაჰმადიან დამპყრობთ ეჭირათ. გიორგი ბრწყინვალემ შეძლო მისი განთავისუფლება და საქართველოსთვის დაბრუნება (იხ. ქვემოთ). ეს გახდა სწორედ იმის მიზეზი, რომ გოლგოთელის და სხვა ახლად შემოერთებული სამხრეთელი სასულიერო ხელისუფლების სტატუსი ერთად განსაზღვრეს.

დარბაზის წევრთა შორის ერთადერთი მ ო ძ ღ ვ ა რ თ მ ო ძ ღ ვ ა რ ი ა (გელათის უმაღლესი სასწავლებლის უფროსი), რომელიც ყველაზე დიდი მორალური ავტორიტეტით სარგებლობს. მოძღვართმოძღვარი ჩარიცხულია დიდმოხელე სასულიერო პირთა — „ოთხთა მონაზონთა“ ჯგუფში[1]. მაგრამ ზოგიერთი პატივით ის ამ წევრებზე მაღლაც დგას. მაგ., დარბაზობაზე მიწვევის დროს მას უგზავნიან (გელათშივე) დარბაზის მოხელეებს მგზავრობაში მხლებლებად, ამასთან ჯორს და ცხენებს მისთვის და მისი მოწაფეებისათვის[2]. მეფე მოძღვართმოძღვარს ყველაზე დიდი ღირსებით მიესალმება (ნოხის პირს შეეგებება და სხვ.).

დარბაზის მუდმივი წევრები არიან სხვა „გ ე ლ ა თ ე ლ ნ ი“[3] ძმანიც. გელათში, გარდა იმისა, რომ აკადემია არსებობდა, მეფეთა საძვალეც იყო. ყოველივე ამის გამო ის თავიდანვე დიდი პრივილეგიებით სარგებლობდა. მართვა-გამგეობის მხრივ მას დამოუკიდებლობა ჰქონდა (არ ემორჩილებოდა არც კათალიკოსს, არც მწიგნობართუხუცესს). მისი ეს ავტონომია, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დაკანონებულია კარის გარიგებით. თავისუფალ მონასტერს მხოლოდ ძღვენი მართებს, რომელიც მან მეფეს უნდა „მიაგებოს“ „საქრისტეშობოდ“ დასავლეთ საქართველოში „მომავალს“[4].

დარბაზის მუდმივ წევრთა შორის დასახელებულია ძმანი „თორმეტთა უდაბნოთანი“, ანუ კლარჯეთის ა ნ ჩ ი ს ს ა ა რ ქ ი მ ა ნ დ რ ი ტ ო მ ო ნ ა ს ტ ე რ თ ა წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ე ბ ი და „გარეჯელნი“ ანუ გ ა რ ე ჯ ი ს უ დ ა ბ ნ ო თ ა წარმომადგენლები[5]. გარეჯი ერთ-ერთი მსხვილი სამეფო მონასტერი იყო, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მონღოლთა ბატონობის ჟამს დიდად დაზიანდა. კარის გარიგების ცნობე-

---

[1] ამ ჯგუფში შედიან: მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, ორი კათალიკოსი და მოძღვართმოძღვარი. სამეფო კარზე პურობის დროს ოთხივეს ერთნაირი ულუფა ეძლევა, მომსახურეც ერთი ჰყავს (ამირეჯიბი), დარბაზობაზე ოთხთაევეს საწოლის მწიგნობარი აწვევს და ა. შ.

[2] კარის გარიგება, გვ. 13, § 23.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 17, § 32.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 15, § 28; ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, გელათი, 1955, გვ. 65—68, 75.

[5] ი ქ ვ ე, გვ. 17, § 32; ქ. ცხ., II, გვ. 287.

ბის მიხედვით ის უკვე ამ პერიოდში აღდგენილი, ეკონომიკურად და პოლიტიკურად ძლიერი ორგანიზაციაა. გარეჯის ურთიერთობა მეფის კართან სხვა მხრივაც არის ნორმირებული: მონასტერს ევალება „გარეჯული ძღვენის" სახით სადესერტო ტკბილეულობის მირთმევა და მით მეფის ოჯახის მომარაგება, ამასთან გარკვეული საეკლესიო მომსახურებაც: გარეჯიდან მოვლინებულ ორ ბერს სასახლის ეკლესიაში აღდგომის მარხვის დღეებში ლოცვებზე ფსალმუნის კითხვა[1].

კლარჯეთის ცნობილი „ათორმეტი უდაბნო" (გრიგოლ ხანძთელის მიერ დაარსებული VIII ს.) მდებარეობდა სამცხის სამთავროში. მას ძველი დროიდანვე განაგებდა ანჩის ეპისკოპოსი, რომელიც ატარებდა აგრეთვე „ათორმეტთა უდაბნოთა არქიმანდრიტის" წოდებას. მონღოლების ბატონობის პერიოდში იგი სამცხის მთავარს ჰქონდა მისაკუთრებული[2], მაგრამ გიორგი ბრწყინვალემ სამცხის სამთავროს შემოერთების შემდეგ ეს მონასტრები სამეფო საკუთრებად აქცია, ხოლო მისი წარმომადგენლები დარბაზის წევრებად შეიყვანა.

ასეთი იყო ცენტრალური მმართველობის (სახელმწიფოს კარის) მოქმედი სისტემა და ორგანიზაცია საქართველოში XIV ს. პირველ ნახევარში. ამ სისტემის პრინციპები ადრე იყო შემუშავებული და გამოყენებული, მაგრამ მონღოლების ბატონობამ მას დიდი ზიანი მიაყენა. საქართველოს მთავრობის ღონისძიებები, რომლებიც კარის გარიგებაში აისახა, ემსახურებოდა ამ სისტემის აღდგენა-განმტკიცებას და გაუმჯობესებას. ეს იყო აუცილებელი ზომა ქვეყნის პოლიტიკური მთლიანობის უზრუნველყოფისათვის. მაგრამ წარმატება ამ მხრივ უფრო მეტად ეკონომიკურ აღორძინებაზე იყო დამოკიდებული (ეს ქმნიდა გაერთიანების უშუალო საფუძველს).

§ 4. ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკური წინსვლა

საქართველოს ცხოვრებაში ამ პერიოდისათვის გარკვეულად შეინიშნება ეკონომიკური აღმავლობა, რაც განსაკუთრებით ქ ა ლ ა ქ ე ბ ს დაეტყო. ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანებისა და ილხან-მონღოლთა ბატონობის გადაშენების შემდეგ საქართველოს ქალაქები უფრო მეტად დაუკავშირდნენ ევროპის, აზიისა და ჩრდილოეთის სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებს.

---

[1] კარის გარიგება, გვ. 15, § 29; ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, 1966, გვ. 124 — 125.

[2] ე ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ქ. ცხ., II, გვ. 304.

მონღოლთა იმპერიაში ქალაქების წინსვლას, როგორც აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ ყაზან ყაენის რეფორმებმა შეუქმნეს ერთგვარი პირობები.

XIII ს. დამლევს ქ. ახალციხეში მონღოლთა ინიციატივით ჩნდება ზარაფხანა. შემონახული გვაქვს აქ მოჭრილი ვერცხლის ფული ყაზან ყაენის (1295 — 1304) ზედწერილობით[1]. XIII საუკუნის 80-იან წლებში აქტიურ სავაჭრო საქმიანობაში ჩაბმული ჩანს ქალაქი ალი. აქ ნაპოვნია განძის სახით იმდროინდელი ქართული, მონღოლური, ბიზანტიური ფულები[2].

კახეთში, ქ. ყარაღაჯში 1337 წელს დაარსებულა ახალი ზარაფხანა, რომელიც მოქმედებდა 20 წლის განმავლობაში. აქ იჭრებოდა მუსლიმანური მონეტები[3]. გარდა ამ ცენტრებისა, ნუმიზმატიკურ ფონდებში დამოწმებულია ქუთაისში, დმანისში, ანისსა და თბილისში მოჭრილი ფულები, რაც მიგვითითებს ამ ქალაქების ცხოველმოქმედებაზე აღნიშნული პერიოდისათვის.

ქ. თბილისის დაწინაურებულ მდგომარეობას მოწმობს რომის პაპის იოანე XXII-ის 1328 და 1329 წწ. ეპისტოლეები, სადაც თბილისი დახასიათებულია „მეტად შესანიშნავ, ხალხმრავალ, მარჯვე და მდიდარ ქალაქად". სწორედ ამიტომო, იუწყება რომის პაპი, აღმოსავლეთის სამისიონერო ცენტრი ქ. სმირნადან „გადაგვაქვს ხსენებულ თბილისის ქალაქსა... და დაგვიდგენია, რომ იმავე ქალაქში აღშენდეს საკათედრო ტაძარი"[4], „თბილისს ვაწესებ საეპისკოპოსო ქალაქადო" და სხვ.[5]. რომის პაპები ფხიზლად ადევნებდნენ თვალს აღმოსავლეთის ქვეყნებს და, გასაგებია, თუ ახალი მრევლის მოსაპოვებლად უმეტესად ღონიერ და მშვიდობიან ქვეყანას ირჩევდნენ. ქ. სმირნაში საეპისკოპოსოს გაუქმება გამოწვეული იყო ოსმალთაგან ქალაქის შევიწროებითა და მოსახლეობის შემცირებით.

თბილისის კათოლიკური ეკლესია ისეთივე ფართო და რთული იერარქიისა იყო, როგორიც ევროპის დიდი ქალაქების ეკლესიები. „თბილისის საეპისკოპოსო ქალაქის"[6] კათოლიკური სამწყსო მოიცავდა თბილისის გარეშე ტერიტორიებსაც, მაგრამ ძირითად ნაწილს, რა თქმა უნდა, უშუალოდ თბილისის მოსახლეობა (უმთავრესად ვაჭარ-ხელოსნები) შეადგენ-

---

[1] თ. ლომოური, განძი კოდალოდან, საქართველოს მუზეუმის მოამბე, XIV, 1947, გვ. 134—135; Ш. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, 1959, გვ. 62.

[2] შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

[3] დ. კაპანაძე, ზარაფხანათა და მონეტების გამომშვები ცენტრების ლოკალიზაციისათვის ძველ საქართველოში, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, XXVIII, № 4, 1959.

[4] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902, გვ. 32, 580.

[5] იქვე, გვ. 34, 582.

[6] ასეთი „ტიტული" ოფიციალურად მიანიჭეს თბილისს 1329 წელს, მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 35, 583.

და[1]. ფართო მრევლის შესაბამისად მღვდელმსახურთა შტატიც მრავალრიცხოვანი და სრული იყო. ეპისკოპოსი, კაპიტულები, სამრევლო მღვდლები, გარდა ამ ერთი ეპისკოპოსისა (რომელსაც რომის პაპი ნიშნავდა რომიდან), მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენლები იყვნენ[2].

კათოლიკურ ეკლესიას მატერიალური ბაზაც (ყმამამულის სახით) ადგილობრივ, ჩანს, საკმაო რაოდენობითაც უნდა ჰქონოდა.

თბილისში საეპისკოპოსოს დაარსება და კათოლიკობის დაუბრკოლებელი პროპაგანდა, რა თქმა უნდა, საქართველოს მთავრობის თანხმობისა და ხელშეწყობის გარეშე ვერ იქნებოდა[3]. ცნობების უქონლობის გამო ჩვენ არ ვიცით როგორ შეხვდა ამ ფაქტს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი მესაჭე ქართლის კათალიკოსი (არ არის გამორიცხული მისი ლოიალური პოზიციაც), მაგრამ უდავოა, რომ საქართველოს მთავრობა ამ შემთხვევაში ფართო სახელმწიფოებრივი ინტერესებით მოქმედებდა. ქალაქის კათოლიკური მოსახლეობა დასავლეთ ევროპასთან ეკონომიკური თუ პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობის ერთ-ერთ მარჯვე საშუალებად ჩანდა.

საქართველოს ქალაქებში ახლაც, როგორც ყოველთვის, სხვა სარწმუნოების მიმდევარი ვაჭარ-ხელოსნები ბლომად ცხოვრობდნენ, რომელთაც საკუთარი ეკლესიები (მუსლიმანური, სომხური, ებრაული) ჰქონდათ. ამ მოსახლეობას საქართველოს სახელმწიფო, პოლიტიკური თუ ეკონომიკური მიზნით, როგორც კარგად ცნობილია, მფარველობდა კიდეც. ამჯერად კათოლიკური მოსახლეობის ასე ფართოდ წარმოქმნა თბილისში ახალ მოვლენად გამოდის და უეჭველად ეხმაურება კიდეც დასავლეთ ევროპასთან კონტაქტების გაძლიერებულ მოთხოვნებს[4].

საქართველოს მთავრობამ ხელი მოჰკიდა საკუთარი ქართული ფულის მოჭრას, რაც ქვეყნის ეკონომიკის ამაღლებისათვის მნიშ-

---

[1] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 36, 35, 584.

[2] საფიქრებელია, ეს მღვდლები ყოფილი მართლმადიდებელი მღვდლები იყვნენ და არა ახლად ნაკურთხი. 1329 წელს პირველ ეპისკოპოსად დაინიშნა იოანე ფლორენციელი (დომინიკანელი), კათედრას განაგებდა 1349 წლამდე (გარდ.). მომდევნო ეპისკოპოსები ცნობილი არიან ვიდრე 1424 წლამდე, შემდეგ კი კარგა ხანს არ ჩანან. იოანე საქართველოში მოვიდა 1318 წელს სხვა მისიონერებთან ერთად. მან ქართული ენა კარგად იცოდა, საეკლესიო წიგნები უთარგმნია ქართულად.

[3] შემონახული გვაქვს რომის პაპის იოანე XXII ორი წერილი გამოგზავნილი გიორგი ბრწყინვალისათვის 1321 წ. და 1329 წ. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 29—31, 578—579; 38, 584.

[4] როცა აღმოსავლეთის კულტურულ ქვეყნებს სელჩუკების, მონღოლების... ურდოები თელავდნენ, დას. ევროპის ნინსვლას არაფერი აბრკოლებდა. ამ პერიოდისათვის იქ საქალაქო ცხოვრება დიდად დაწინაურებულია, უკვე შუა საუკუნეების გვიანი პერიოდია და ფეოდალიზმის რღვევა სწრაფად მიდის.

ენელოვანი ღონისძიება იყო. მანამდე საქართველოში მოქმედებდა ყაზან ყაენის მიერ მოჭრილი ფული (ქართველები მას „ყაზანურ თეთრს“ უწოდებდნენ), მაგრამ ილხანთა სახელმწიფოს დასუსტების პერიოდში ის უკვე გაქრა. ამიტომ გიორგიმ ახალი ფული მოაჭრევინა. გიორგის ეს ფული მისი გარდაცვალების შემდეგაც კარგა ხანს იხმარებოდა, მას „გიორგის ჟამისა თეთრს“ უწოდებდნენ[1]. გვიანი ხანის (XV—XVIII სს.) წყაროებში გიორგის დროინდელი ეს ფული „გიორგაულად“ არის მოხსენიებული[2]. საფიქრებელია, გიორგის დროსაც ასე უწოდებდნენ მას (ანალოგ. „ყაზანური“). ქართული ფულის აღდგენის ფაქტი, მონღოლებთან პოლიტიკური დამოკიდებულების თვალსაზრისით, საქართველოს სუვერენიტეტის უტყუარი ნიშანი იყო.

ქართულ ნუმიზმატიკურ ფონდებში დღეს ცნობილია ქართული ვერცხლის ფულის ნიმუშები, რომელთაც ზოგი ნუმიზმატი მკვლევარი „გიორგაულად“, ე. ი. გიორგის მიერ მოჭრილ ფულებად მიიჩნევს. მათ აქვთ ასომთავრული ზედწარწერა: „მეფეთა მეფე გიორგი“ და უკანა გვერდზე სამსტრიქონიანი არაბული წარწერა. „გიორგაულად“ მიიჩნევენ, თუმცა არაუცილობლად, ქ. ალში ნაპოვნ ხუთ ვერცხლის მონეტასაც[3]. საერთოდ, ჯერ კიდევ საბოლოოდ დადგენილი ან აღმოჩენილი არაა გიორგი ბრწყინვალის მიერ მოჭრილი ფულები. რასაკვირველია, ეს არ უარყოფს ასეთის თავის დროზე არსებობას.

დასავლეთ საქართველოში ამ პერიოდში იჭრებოდა „კირმანეულად“ წოდებული ფული, რომლის სამონეტო ტიპად მიღებული იყო ტრაპიზონული ვერცხლის ასპრები (კეისარ მანუელ I-ის გამოხატულებით)[4]. ჩვეულებრივ კირმანეულზე ერთ გვერდზე გამოხატულია მეფე (კეისარი), მეორეზე წმინდა ევგენი. ზოგიერთი კირმანეულის ნიმუშზე იპოვება ქართული ზედწერილი და ქრისტიანული იკონოგრაფია: მეფის გამოსახულე-

---

[1] ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი, გამოც. ი. დ ო ლ ი ძ ი ს ა, ძველი ქართული სამართალი, 1953, გვ. 286.

[2] ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, სამართლის წიგნი, გამოც. თ. ე ნ უ ქ ი ძ ი ს ა, გვ. 53; გამოც. ი. დ ო ლ ი ძ ი ს, ქართული სამართლის ძეგლები, 1963, გვ. 485. „გიორგაული“ მოქმედ ფულად იხსენიება ადრინდელ წყაროებშიც (მაგ., XV ს. და ამაზე წინანდელ სასისხლო საბუთებში).

[3] Д. К а ш а н а д з е, Грузинская нумизматика, 1955, с. 99, 160. გამოთქმულია საწინააღმდეგო აზრი, რომელიც ხსენებულ ნიმუშებს მომდევნო ხანის, მეფე გიორგი VIII-ის მონეტებად თვლის და არა გიორგი ბრწყინვალის გიორგაულებად (გ. დ უ ნ დ უ ა, სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, 1969, გვ. 30—35).

[4] წერილობითი ცნობა კირმანეულის შესახებ დაცულია ვახტანგ მეფის ხსენებულ კანონმდებლობაში და სასისხლო სიგელებში.

ბასთან არის ასო „კ“ და ქარაგმა „მფ“ (მეფე), მეორე გვერდზე წმინდანის გამოსახულებასთან ქარაგმა „გი“ (გიორგი)[1].

საქართველოს საერთო ეკონომიკური აღმავლობა, მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს ცალკეული დარგების დაწინაურება გარკვეულად არის ასახული იმ დროის წყაროებში.

გარეჯის მეურნეობაში კარგი ხარისხის ხილი ისე ბლომად მოდიოდა (ლეღვი, ნუში, თუთა, ბროწეული და სხვ.), რომ სამეფო კარის მოთხოვნილებას მთლიანად აქედან აკმაყოფილებდნენ. გარეჯის მონასტერს ძღვენის სახით ადევს ხილის გადასახადი, რომლის ნივთიერი შემადგენლობა და მოხმარების წესები საგანგებოდ არის ნორმირებული კარის გარიგებაში[2].

ხილის მოშენებასა და შემოსავლის საქმეს იმ დროის დიდ მეურნეობებში სპეციალური მოხელეები განაგებდნენ. მაგ., „ხელმწიფის კარის გარიგებიდან“ ვგებულობთ, რომ სამეფო მამულებში მოქმედებდა „მეხილეთუხუცესი“, რომელიც უძღვებოდა ამ დარგის დაწესებულებას „სახილეს“ და ხელქვეით „მეხილეებს“[3].

მევენახეობა-მეღვინეობის აღმავალ პერიოდად XIV ს-ის პირველი ნახევარი უნდა ჩაითვალოს, რასაც „კარის გარიგება“ გვიდასტურებს. ეს დარგი იმ დროს მთავრობის ზრუნვისა და ზედამხედველობის საქმედ იყო მიჩნეული. სახელმწიფო მმართველობის აპარატში ცალკე უწყებაა შექმნილი, რომელსაც დიდი მოხელე მეღვინეთუხუცესი ხელმძღვანელობს. იგი განაგებს უზარმაზარ სამეფო ზვრებს, ღვინის შემოსავალს ზვრებიდან, საგლეხო ბეგრებიდან, სახელმწიფო ღვინის გადასახადს (კულუხს), ღვინის ხარჯს სამეფო კარზე. მას ექვემდებარება ძალზე დიდი და მრავალშტატიანი დაწესებულება „საღვინე“, რომელსაც ემსახურებიან საღვინის ხელისუფალნი: „მეღვინენი“, „საღვინის მოლარე“, „მემარნე“, „მეზვრენნი“ და სხვ.

არსებობდა მევენახეობა-მეღვინეობის დიდი საბატონო მეურნეობები. მაგ., გელათის მეურნეობაშიაც ჰყოლიათ საკუთარი მეღვინეთუხუცესი, ხოლო გელათური საუკეთესო ღვინო ყოველწლიურად ძღვენის სახით უნდა მიერთმიათ მეფისათვის[4]. დიდი მეურნეობების მაგალითად შეიძლება კარის გარიგებაში აღწერილი სამეფო-საბატონო მეურნეობა მივიჩნიოთ.

---

[1] დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 74, გიორგაულისა და კირმანაულის შესახებ თავისი დაკვირვება გამოაქვეყნა დ. ლენგმა. დ. ლენგი გიორგაულს აიგივებს კირმანეულის ზოგიერთ ვარიანტთან (დ. ლ ე ნ გ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 87—88). ლენგის შეხედულებას კრიტიკით გამოეხმაურა ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოში მონღოლთა ბატონობის ხანგრძლივობის საკითხისათვის, აღმოსავლური კრებული, თბ., 1960, გ. დ უ ნ დ უ ა (დასახ. ნაშრომი).

[2] ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 19, 121, 124—125.

[3] ხელმწიფის კარის გარიგება, გვ. 8, § 17.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 15, § 28.

ზვრებში სამუშაოების ზედამხედველობა და კონტროლი აქ საპოლიციო მოხელეებს — მანდატურებს ევალებათ. ჩანს, რამდენად მძიმე იყო ზვრებში მუშაობა, რომ იგი პოლიციის გარეშე გარანტირებული ვერ ყოფილა. მანდატურებს ეკისრებოდათ წინასწარი სიების მიხედვით გლეხობის სამუშაოზე გამოყვანა იმის მიხედვით, თუ ვის როდის უწევდა იგი. ზვრების მოვლის საქმე ევალებოდათ აგრეთვე „მეღვინეებს", „საღვინის მუქიფს" და „ღვინის მკრეფელებს"[1].

„საღვინეში" ინახებოდა ღვინის ჭურჭელი და თვით ღვინო, რომელიც სამეფო კარზე ყოველდღიურ სახმარად და ხარჯისათვის იყო საჭირო. ღვინის მოსავალი კი ჩვეულებრივად ადგილზე, მარნებში იყო შენახული. ღვინის ყოველგვარი შემოსავალი, ხარჯი და საღვინე ჭურჭელ-იარაღი ჩვეულებრივ ყოველ წლისთავზე (როგორც სხვა უწყებებში) აღირიცხებოდა და იანგარიშებოდა[2].

„საღვინის მუქიფი" ზვრების საქმეს განაგებდა მეღვინეთუხუცესთან ერთად. ის საღვინიდან გასული ან შემოსული ძღვენის საქმეს აწესრიგებდა. „მეღვინეებს" ევალებოდათ „საღვინიდან" გამოტანილი ჭურჭლის თვალყური და ისევ თავის დროზე სალაროში შენახვა, ზვრებში მუშაობის ზედამხედველობა, მეფის პირადი მომსახურება ღვინის მხრივ. ყოფილა ცალკე „პირის მეღვინეც"[3]. „საღვინის მოლარეს" საღვინის ქონების აღწერა-დაცვა ევალებოდა[4].

ღვინის „საკრეფელი"[5] შეიცავდა როგორც საბატონო, ისე სახელმწიფო კულუხსაც. კარის გარიგების ერთ ადგილას ნათქვამია: „სადა მეფე დგას და ღვინის ულუფა დასწერონ". მაშასადამე, სადაც მეფე ჩადგებოდა, „ღვინის მკრეფელთ" ევალებოდათ იქ აეკრიფათ სამეფო კუთვნილი „ღვინის ულუფა" და მოეხმარათ ადგილზე.

ღვინის დიდ შემოსავალზე და მის სახელმწიფოებრივ დანიშნულებაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ღვინო მეფის კარზე გამოყენებულია მოხელეთა გასამრჯელო-სარგოდ: მეღვინეთუხუცესს სარგოდ ეძლევა თითო ზვრიდან თითო ჭური ღვინო, ამაზე „უმცროსი" ჭური საღვინის მუქიფს ეძლევა, საღვინის მოლარეს ისტუმრებს მეზვრე იმის მიხედვით, თუ „ვითარ ზვარი იყოს, ანუ მეზვრე", ხოლო მეღვინეები სარგოს იღებენ ღვინის ბეგრიდან, როცა ისინი „ღვინის ულუფას" მოკრეფენ[6].

---

[1] ხელმწიფის კარის გარიგება, გვ. 4, § 11, გვ. 11, § 20.

[2] იქვე, ღვინის ჭიქა-სასმისები ოქროსი და ბროლის იყო, ზოგი „სანიადაგოდ" და ზოგი „მეჯლისების" დროს სახმარი. იქვე, გვ. 11, § 20.

[3] იქვე. გვ. 10, § 19, გვ. 3, § 7.

[4] იქვე, გვ. 10, 11, § 19, § 20 და სხვ.

[5] იქვე.

[6] იქვე, გვ. 11, § 20.

მეურნეობის სხვა დარგების (მესაქონლეობის, მემინდვრეობის...) აღმავლობა მკაფიოდ დასტურდება კარის გარიგებით და იმ დროის სხვა საბუთებით.

ქვეყნის ეკონომიკურ მოღონიერებას ერთგვარად მოწმობდა სასახლის გარეგნული ბრწყინვალებაც და კომფორტი[1]. მართალია, მაღალი წრეების ყოფა ნაკლებად გამოდგება ქვეყნის საერთო ეკონომიკური დონის საზომად, მაგრამ დაცემულობის პერიოდებში ქართველი მეფის ისეთი სასახლეც ცნობილია, სადაც უზომო სიღარიბე და ყველაფრის ნაკლებობა სუფევდა.

§ 5. საქართველოს საგარეო მდგომარეობის გაუმჯობესება

თათარ-მონღოლთა უღლის გადაგდების შემდეგ XIV ს. პირველ ნახევარში საქართველოს პოლიტიკური საზღვრები აღმოსავლეთით, დასავლეთითა და ჩრდილოეთით ძველებურ ფარგლებში აღდგა: ნიკოფსიიდან დარუბანდამდე[2]. ამ საზღვრების აღდგენა სამეფო ხელისუფლებას ბრძოლით მოუხდა: კავკასნი (იგულისხმება ოსები, დურძუკ-ღუნძნი და სხვ.), რანი, ყარაბაღი და შარვანი ლეკებითურთ „კუალად მოხარკედ აქუნდა და არღარა იყო წინააღმდეგი და ურჩი მისი“[3]. საკუთრივ საქართველოს აღმოსავლეთი საზღვარი თეთრ წყალზე გადიოდა, სამხრეთ-დასავლეთით უკიდურესი საზღვარი „ვიდრე სპერამდე და ზღვამდე“ მიდიოდა[4]. საკუთრივ საქართველოს ფარგლებში ძველებურადვე შემოდიოდა სომხეთი (არარატის სომხეთი: ანისით, დვინით და სხვ.). გავლენის სფეროებად ისევე რჩებოდნენ ტრაპიზონის სამეფო და შაჰარმენის სასულთნო.

საქართველოს აღდგენა ფართო სახელმწიფო საზღვრებით და მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტი XIV ს. პირველი ნახევრისათვის (რასაც ევროპული და აღმოსავლური წყაროები ერთხმად აღნიშნავენ), მისი შინაგანი ეკონომიკური და პოლიტიკური მოღონიერების შედეგი იყო.

უცხოელთა თვალში საქართველო ვრცელი და ძლიერი სახელმწიფოა, მას ძლიერი მეფე და ქრისტიანობის დამცველი მამაცი ჯარი ჰყავს. უცხოელთა დიპლომატიურ მიმოწერებში ქართველი მეფე ღრმა პატივისცემითა და მაღალი ეპითეტებით მოიხსენიება; ეგვიპტის სულთნების წერილებში გიორგი დახასიათებულია როგორც მსოფლიო მნიშვნელობის

---

[1] საამისო ფაქტები კარის გარიგებაში საკმაოდ მოიპოვება.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, ქ. ცხ., IV, გვ. 259.

[3] ი ქ ვ ე.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 276.

ძალა: „...სახელოვანი და სახელგანთქმული... მეფეთა შორის საუკეთესო, ქართველთა სულთანი, ზღვათა და სრუტეთა განძის მფლობელი... რუმისა და ირანის ქვეყანათა მფარველი, იონიელთა მემკვიდრე“ და სხვ. „იერუსალიმის წმინდა ადგილების განმადიდებელი, ქრისტიანთა საყრდენი, რომის პაპის მეშველი, მუსლიმანთა მეგობარი... სულთანთა უგულითადესი მეგობარი“[1].

ხელმწიფის კარის გარიგებაში, როგორც ვიცით, შეტანილია უცხო მეფეთა სტუმრობისა და დარბაზზე ჯდომის წესი. მაგ., „ტრაპიზონელნი და შარვანშა და სომეხთა მეფე რა მოვიდოდნენო“[2]. ცხადია, მეფეთა დასახელება ამ ქვეყნების საქართველოსთან პოლიტიკური დამოკიდებულების (სხვადასხვა ფორმით) მაჩვენებელია. სომხეთს ამ დროს ერთი მეფე არ ჰყავდა. ამდენად აქ სომხეთის რომელიმე ქალაქი-მხარის საპატიო მმართველი იგულისხმება, რომლებიც მეფეებადაც იწოდებოდნენ ხოლმე.

საქართველოს XIV ს. პირველ ნახევარში ცხოველი დიპლომატიური და პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობა ჰქონდა როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ქვეყნებთან: რომის პაპთან, ბიზანტიასთან, ტრაპიზონის საკეისროსთან, ეგვიპტის მამლუქთა სასულთნოსთან და სხვ.

საერთაშორისო ასპარეზზე წინანდელი გავლენიანობის აღდგენა საქართველოს მთავრობამ ი ე რ უ ს ა ლ ი მ შ ი ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა და სხვა ქ რ ი ს ტ ი ა ნ ხ ა ლ ხ თ ა შევიწროებული მდგომარეობის გამოსწორების ზრუნვით დაიწყო. პალესტინა-იერუსალიმი მსოფლიო კულტურული ქვეყნების (ქრისტიანული და მუსლიმანური) სიძლიერის ერთგვარი გამომჩენი ადგილი იყო. აქ ეკლესია-სალოცავების მშენებლობით, უფლებიანობით და სხვ. ერთმანეთს მეტოქეობდნენ სხვადასხვა ქვეყნები. პოლიტიკურად დასუსტებულ საქართველოს დიდი ხნის მანძილზე არ შეეძლო სათანადო პატრონობა გაეწია იერუსალიმის ქართული სავანეებისათვის, ამიტომაც საქართველოს ძველი მაღალი მდგომარეობა აქ თითქმის გამქრალი იყო.

ქართველთა ჯვრის მონასტერი დიდი ხნის განმავლობაში იერუსალიმის ახალ პატრონებს, ეგვიპტის მამლუქებს ეჭირათ და მეჩეთადაც ექციათ. ამ

---

[1] В. Тизенгаузен, Заметки Элькалькашанди о грузинах, ЗВОРАО, т. I, вып. III, 1886, с. 209—211; მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 29, 33, 584 და სხვ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, 1949, გვ. 274; გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, არაბული ქრესტომათია, 1949, გვ. 78—79; ბ. ს ი ლ ა გ ა ძ ე, მასალები საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან. ქართული წყაროთმცოდნეობა, II, 1949, გვ. 103—104.

[2] კარის გარიგება, გვ. 12, § 20, 21.

დროისათვის ის უკვე დავით VIII-ის მიერ დაბრუნებული იყო[1]. მაგრამ საზრუნავი ბევრი რჩებოდა. მაგ., ქრისტეს „აღდგომის“ ეკლესია, „გოლგოთა“ და ქრისტეს „საფლავი“[2] (ერთი სამონასტრო კომპლექსი) კვლავ ეგვიპტელებს ეპყრათ: „კლიტენი მათ ჰქონდესო“, გალავანში ჩაკეტილებს გარეთ არ გვიშვებდნენ, ხოლო არც შიგ არავის უშვებდნენ „თვინიერ დიდი ჭირისა და სასყიდლისაო“, — ასე აღწერს ხელნაწერის ანდერძში თავის თავგადასავალს ამავე ქრისტეს „საფლავის“ მოღვაწე ქართველი იოანე ვარძიელი[3].

ეგვიპტის სულთანთან გიორგი ბრწყინვალეს ორჯერ გაუგზავნია ელჩები (1316 და 1320 წლებში)[4]. ერთ-ერთ ამ ელჩობას, როგორც ფიქრობენ, დავალებული ჰქონდა ქრისტეს საფლავის კლიტის დაბრუნება[5]. უცხოურ (არაბულ) წყაროებში, ეტყობა, ერთმანეთში არეულია „ჯვრისა“ და ქრისტეს „საფლავის“ დაბრუნების შესახებ ცნობები, მაგრამ ამ უკანასკნელს უნდა მივაკუთვნოთ შემდეგი ამბავი: სულთანთან გაგზავნილმა ელჩებმა ქაიროში სულთანს გადასცეს ქართველი მეფის წერილი, სადაც ის ყველა ქრისტიანის მდგომარეობის შემსუბუქებას ითხოვდა, სამაგიეროდ, სამხედრო დახმარებას სთავაზობდა საჭიროების შემთხვევაში. ამ დაპირებისა და ქართველთადმი დიდი პატივისცემის გამო სულთანს თხოვნა შეუსრულებია. ქართველი მეფის თხოვნით ეგვიპტის სულთანმა გააუქმა ქრისტიანთა დასამცირებლად შემოღებული ძველი წესი: ქრისტიანები ცხენ-სახედრებზე ორივე ფეხის ერთ მხარეზე გადადებით უნდა მჯდარიყვნენ[6]. ამიერიდან მათ უფლება მიეცათ ჩვეულებრივ მჯდარიყვნენ ცხენ-სახედრებზე, ე. ი. აქეთ-იქით ორივე ფეხჩამოშვებული[7].

საქართველოში დაბრუნებულ ელჩს თან მოუტანია სულთნის „იერლაყიც“ „ყოვლისა სათხოვნელისა“ შესრულებისა და დამტკიცების თაობაზე. გიორგი მეფეს ძალზე გაუხარდაო, მოგვითხრობს ამ ამბის

---

[1] დავით VIII-ის ღვაწლზე ლაპარაკია იერუსალიმის ჯვრის მონასტრის № 295 აღაპში, რომელიც მონასტრის კრებულს მისთვის დაუნიშნავს გაწეული ამაგის სამაგიეროდ. აღაპის ანალიზი სათანადო დასკვნებით მოცემული აქვს ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ს, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 1962, გვ. 41—45, 48, 106. ჯვრის მონასტრის მიტაცების თარიღად დასახელებულ ნაშრომში დადგენილია 1273 წელი, ხოლო დაბრუნების თარიღად 1305 წ.

[2] ეკლესიების ეს სახელწოდებანი მომდინარეობენ სახარებაში აღწერილი ქრისტეს ცხოვრების ეპიზოდებიდან.

[3] ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 46—47.

[4] დ. ლ ე ნ გ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 91; ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 45, 47.

[5] ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 47 — 48.

[6] ეს იყო ქრისტიანთა მიმართ არაბთა ბატონობის დროინდელი წესი, რომელიც, შემდეგ ეგვიპტის სულთანს ფუნდუყდარ ბეიბარსს (1260—1277) აღუდგენია.

[7] იქ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., III, 1949, 276 — 277.

თანამედროვე ქართველი მემატიანე, „რამეთუ მოეცნეს კლიტენი ქართველთა“[1]. იგივე ქართული წყარო ასახელებს ელჩის ვინაობასაც. ის ყოფილა ქსნის ერისთავის შალვას ძე პიპა, რომელსაც თან გაჰყოლია დეკანოზი იოანე ბანდაისძე. ქართველ ელჩებს იერუსალიმში ყოფნისას მოულოცავთ ახლად გათავისუფლებული ქრისტეს „საფლავი და სხვა სავანეებიც“[2]. შესაძლებელია, მათ მიერ იყოს შეკვეთილი ჯვრის მონასტერში გიორგი მეფისათვის ხუთი აღაპი[3]. იერუსალიმისათვის გიორგის მიერ გაწეული დიდი ღვაწლი იმ დროის წესით იმსახურებდა მისთვის რამდენიმე აღაპის დაწესებას. იერუსალიმელ ქართველ ბერებს სამადლობლად პიპასთვისაც აღაპი დაუწესებიათ[4].

ყველა ამ ღონისძიებას: ჯვრის მონასტრის დაბრუნებას, ქრისტეს საფლავის კლიტეების კვლავ დაუფლებას, სხვა ქრისტიან ერთა უფლებებზე ზრუნვას საქართველოსათვის არა იმდენად სარწმუნოებრივი, რამდენადაც პოლიტიკური პრესტიჟის ამაღლების მიზანი ჰქონდა.

საბოლოოდ საქართველომ ეკონომიკური მოღონიერებისა და პოლიტიკური გამთლიანების შედეგად დაიბრუნა თავისი ძველი დიდი გავლენიანობა, რასაც მოწმობდა, როგორც ვთქვით, XIV ს. პირველი ნახევრის დიპლომატიურ წრეებში მისი აღიარება საერთაშორისო ძალად. დიდ გარეგნულ შთაბეჭდილებას ახდენდა ეგვიპტის სულთნის მიერ „ქართველებისათვის“ იმ გამონაკლისი უფლების მინიჭება (ალბათ, ძველის აღდგენა), რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ იერუსალიმში ჩასული ქართველი მლოცველები „სულთანს ხარკს არ უხდიდნენ და ცხენებზე ამხედრებულებს“ შეეძლოთ ქართული „გაშლილი დროშებით შესულიყვნენ ქალაქში“[5].

ტ რ ა პ ი ზ ო ნ ი ს ს ა კ ე ი ს რ ო ს თ ა ნ ურთიერთობაში საქართველო ამ პერიოდშიც ტრადიციულ პოლიტიკას ადგა: იგი მხარს უჭერდა საქართველოს მომხრე დასს, რომელიც ტრაპიზონში ბიზანტიის გავლენას უბრძოდა. ტრაპიზონელი მემატიანის მიქელ პანარეტოსის მეტად საინტერესო ცნობები მოწმობს საქართველოს აქტიურ პოლიტიკურ მონაწილეო-

---

[1] ძეგლი ერისთავთა, გამოც. შ. მესხიასი, მსკი, ნაკვ. 30, 1954, გვ. 350.

[2] „ძეგლი ერისთავთას“ მიხედვით ქართველები ეგვიპტის სულთანთან (ქაიროში) ხმელეთით გამგზავრებულან და ხმელეთითვე დაბრუნებულან (ი ქ ვ ე, გვ. 350), ამის შემდეგ ქრისტეს საფლავის კლიტეს, და საერთოდ, „გოლგოთის თხემის, მთელ სავანე-სამლოცველოს“ ქართველები დიდხანს ფლობდნენ, „მხოლოდ XV საუკუნის დასასრულს ლათინებმა ჩამოართვეს მათ ამ დაწესებულების ნახევარი“ (რ. ჟ ა ნ ე ნ ი, ქართველები იერუსალიმში, 1921, გვ. 18—19).

[3] ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, დასახ. ნაშრ. (აღაპები № 26, 126, 149, 258); პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, თხზულებათა კრებული, I, 703.

[4] ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 47 — 48, 75.

[5] ცნობა დაცული აქვს იტალიელ ავტორს ბართლომე სალინიკოს „იერუსალიმში მიმოსვლაში“. ტექსტი ციტირებულია: M. Tamarati, L'eglise qeorgianae, 1910, გვ. 310.

ბას ტრაპიზონის სამეფოს შინაურ საქმეებში: 1341 წელს ტრაპიზონის დედოფალი ქვრივი ირინე ტახტიდან გადმოაგდო ანახუტლუმ (გარდაცვლილი მეფის ბასილის დამ) და თვითონ გამეფდა. ყველაფერი ეს მან ქართველთა (წყაროში „ლაზთა") ჯარით მოახერხა. მათივე საშუალებით დაამარცხა კონსტანტინოპოლიდან მოსული ტახტის მაძიებელი ძმა მიხეილი, რომელსაც მისი ჩამოგდება ჰქონდა დავალებული[1].

§ 6. სიძნელეები საქართველოს აღდგენის გზაზე

XIV ს. 40-იანი წლებიდან საქართველოში დიდ ეკონომიკურ სიძნელეებს უჩენია თავი. ქვეყანა არც გარეშე მტრისაგან იყო მოსვენებული. ყოველივე ეს კი დაწყებულ აღდგენებს გარკვეულად აბრკოლებდა.

1338 წელს საქართველო დალაშქრა აზერბაიჯანის მმართველმა ჩობანიდმა ჰასან ქუჩუკმა (ჰასან მცირემ). მანვე შექმნა აზერბაიჯანის დამოუკიდებელი სახელმწიფო[2]. ჩობანიდების მფლობელობის დროს მეზობელ აზერბაიჯანში მძიმე მდგომარეობა შეიქმნა, რაც გარკვეულ ზემოქმედებას ახდენდა საქართველოზეც. მალე ჰასან ქუჩუკსა და ჰასან ბუზურგს (ჰასან დიდი, ჯალაირიდი, არაბეთის ერაყის მეფე) შორის ომები ატყდა, ომის ასპარეზად იქცა აზერბაიჯანი და საქართველოს განაპირა მხარეები. ერთ-ერთ ასეთ თავდასხმას უნდა გულისხმობდეს ვახუშტის მიერ დამოწმებული ცნობა: „ადრაბაგანის" მფლობელს დაუკავებია: სომხეთი, რანი და მოვაკანი. განჯას მოსულს მოუნდომებია გიორგი მეფის დამორჩილებაც, მაგრამ ქართველებს სასტიკი ომით უკან გაუძევებიათ[3].

ჰასან ქუჩუკს ებრძოდა მისი ძმაც მელიქ აშრაფი, რომელიც ერთ-

---

[1] მიქელ პანარეტოსი, ტრაპიზონის ქრონიკა, გამოსცა ალ. გამყრელიძემ, ეურნ. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 33, 1960; გეორგიკა, VII, 1967, გვ. 179—181. მ. პანარეტოსის მსგავს ცნობებს იძლევა სხვა თანამედროვე ბიზანტიელი ისტორიკოსი ნიკიფორე გრიგორასიც (იხ. გეორგიკა, VII, გვ. 146).

[2] ქუჩუკმა ტახტზე დასვა ოლჯაითუ ყაენის ასული სათიბეგი, რომლის სამფლობელოდ ითვლებოდა აზერბაიჯანი, საქართველოს ნაწილი, სპარსეთის ერაყი და სხვ. სათიბეგსა და ჰასან ქუჩუკს შორის ურთიერთობა გამწვავდა. ჰასანმა ამის გამო ყაენად სულეიმანი (ჰულაგიდების შთამომავალი) დასვა და მას მიათხოვა სათიბეგი (ცნობები ეკუთვნის XV ს. სპარსულენოვან ისტორიკოსს ჰაფეზე აბრუს). იხ. ალი-ზადე, დასახ. ნაშრ., გვ. 330. ვ. გაბაშვილი, საქართველოში მონღოლთა ბატონობის ხანგრძლივობის საკითხისათვის, აღმოსავლური კრებული, I, 1960, გვ. 141.

[3] ვახუშტი, ქ. ცხ., IV, გვ. 258 — 259. იხ. ვ. კიკნაძე, XIV ს. I ნახ. საქართველოში მონღ. უღლის გადაგდების და პოლიტ. მთლიანობის აღდგ. საკითხი, 1976 (ხელნაწერი), გვ. 37.

ერთი დამარცხების დროს, 1342 წელს, საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრა. მას შემდეგ, რაც ჰასან ქუჩუკი ცოლმა 1343 წელს მოკლა, ძმის ადგილი დიდი ბრძოლების შემდეგ მელიქ აშრაფმა დაიკავა[1]. მან ილხანად დასვა ანუშირვანი.

ამ მედროვე ყაენების (სათიბეგის, სულეიმანის, ანუშირვანის) სახელზე აღმოსავლეთ საქართველოში იჭრებოდა ფული, ჩნდებოდა სათათრო ხარკი. ამ შემოსევებს, როგორც ვთქვით, თუმცა ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა და გამოხატავდა მონღოლთა ბატონობის მხოლოდ გარეგნულ ნიშნებს (ისინი მალევე ისპობოდნენ ამ მედროვე მარიონეტების მოსპობასთან ერთად), მაგრამ ისინი მაინც ზარალს გარკვეულად იძლეოდნენ.

აღმავლობის გზაზე შემდგარ საქართველოს დიდი სიძნელე შეექმნა გიორგის შვილის დავით IX-ის დროსაც (1348—1360). 1349—1350 წწ. საქართველომ ანუშირვანს გადაუხადა ხარკი 400 000 დინარის რაოდენობით. ამას მოარული შავი ჭირიც დაერთო[2].

1348 წელს გადაწერილ ეტრატის პარაკლიტონის ანდერძში დაცულია გადამწერის ავგაროზ ბანდაისძის ასეთი ცნობა: „ღირს ვიქმენ არა ღირსი მწერალი ავგაროზ ბანდაისძე აღწერად... ამის წიგნისა... დიდისა სიგლახაკესა და ეტრატისა სიძვრესა და შფოთსა და უცალობასა შინა წელსა მას, რომელსა იყო სიკუდილობა, ქორონიკონი იყო ლვ“[3] (1348 წ.). „დიდი სიგლახაკე“ და „ეტრატის სიძვირე“, რასაც გადამწერი ჩივის, მოწმობს ქვეყანაში ჩამოვარდნილ ეკონომიკურ გაჭირვებას. „შფოთი“, უეჭველია, შინაომებს გულისხმობს. „სიკვდილიანობა“ სრულიად ნიშანდობლივი ცნობაა მას შემდეგ, რაც ჩვენ ვიცით შავი ჭირის გავრცელების შესახებ ამ პერიოდში.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანად აღნიშნავენ, ამ დროის საგარეო პირობები ქვეყნის აღმავლობისათვის თითქოს იმდენად

---

[1] მელიქ აშრაფის მმართველობა აზერბაიჯანისათვის მეტად სისხლიანი და გამანადგურებელი აღმოჩნდა. სამართლიანია მკვლევარ ალი-ზადეს დასკვნა, რომელიც აზერბაიჯანის მდგომარეობას, საერთოდ ჩობანიდების დროს უფრო დაცემულად მიიჩნევს, ვიდრე ილხანების პერიოდში. ადგილობრივი ფეოდალები აზერბაიჯანს ტოვებდნენ და სხვა ქვეყნებში სახლდებოდნენ. აზერბაიჯანში შინაომები ატყდა, ეს კარგად გამოიყენა ჯალაირიდმა და სულთანმა უვეისმა (ჰასან ბუზურგის ვაჟმა), აზერბაიჯანში შემოვიდა, და ასე, 1358-59 წწ. ჯალაირიდები აზერბაიჯანში გაბატონდნენ საბოლოოდ. მათ მფლობელობაში შედიოდა აზერბაიჯანი, სპარსეთის და არაბეთის ერაყი, სომხეთი და ქურთისტანი. ალი-ზადე, დასახ. ნაშრ., გვ. 330—336.

[2] 1346 წელს შავი ჭირი გაჩნდა ოქროს ურდოში, აქედან გავრცელდა საქართველოში. 1348 წელს ის ეგვიპტეში მძვინვარებდა. საქართველოში, ჩანს, ეპიდემია დიდხანს გაგრძელებულა. მას 1366 წელს მოუკლავს შეფის მეუღლე.

[3] Ф. Д. Жордания, Описание рукописей..., II, 1902, № 675. ხელნაწერის გადაწერა ავგაროზ ბანდაისძეს დაუწყია 1348 წელს, დაუმთავრებია 1365 წელს.

ხელშემშლელ ძალად არ გამოდიოდა, ამიტომ საქართველოს უნდა შეძლებოდა მყარი საშინაო მდგომარეობის შექმნა. მაგრამ სწორედ ბანდაისძის ეს ცნობა და ის ფაქტიც, რომ საქართველომ ვერ გაუძლო მომდევნო ახალ საფრთხეს, რომელიც მას სულ მალე ამავე საუკუნის 80-იანი წლებიდან მოევლინა, უტყუარი მოწმობაა იმისა, რომ გიორგი ბრწყინვალის ღონისძიებებს ჯერ კიდევ საბოლოოდ მტკიცე შედეგებისათვის ვერ მიეღწია. მონღოლთა ბატონობის წყალობით ქვეყნის დაქვეითება ისე შორს იყო წასული, რომ მტკიცე ეკონომიკური ბაზისა და ეკონომიკური კავშირების შესაქმნელად საჭირო იყო კიდევ უფრო მეტი დრო, მხოლოდ ასეთი დროითა და პირობებით იქნებოდა უზრუნველყოფილი წარმატება, რადგან ამის საფუძველს, უპირველესად თვით მიღებული ღონისძიებების საიმედო შედეგები და ქართული მიწისმფლობელობისა და მეურნეობის პროგრესული სისტემა იძლეოდა...

გიორგი ბრწყინვალის ღონისძიებათა დიდი მიღწევა (თუ სრული არა) ის იყო, რომ საქართველო, თუმცა დიდად დაზიანებული, მაგრამ მაინც გადაურჩა საერთო გადაშენება-გადაგვარების საფრთხეს[1]. დიდი დაზიანება, ერთი მხრივ, იმაში გამოიხატა, რომ გიორგიმ ვერ აღადგინა ქართული მიწისმფლობელობა საქართველოს განაპირა აღმოსავლეთ ნაწილში, რის გამოც ეს მხარე (აღმოსავლეთი ნაწილი საარიშიანოსი — შაქი) საქართველომ სულ მალე, XIV ს. მიწურულს მთლიანად დაკარგა. გიორგი ამ მხარეს პოლიტიკურად ჯერ კიდევ დიდი გამძლეობით ინარჩუნებდა. როგორც აღნიშნული გვქონდა, იგი ჯარით შესულა რანში, ყარაბაღში, შარვანში და „დაუმორჩილებია" და დაუხარკავს დარუბანდამდე, მაგრამ მაჰმადიან თათარ-მონღოლთა სოციალურმა ბატონობამ[2], ეტყობა, თავისი გაიტანა: მომდევნო, თემურლენგის შემოსევების ჟამს, ე. ი. შესაფერისი პოლიტიკური სიტუაციის დადგომისთანავე, ეს მხარე საბოლოოდ ჩამოშორდა საქართველოს.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 260.

[2] საარშიანოში თათარ-მონღოლთა უშუალო ჩამოსხდომა, როგორც ვიცით, დაკავშირებული იყო მათ მუდმივ ყოფნასთან იქ, რადგან ისინი იცავდნენ ჩრდ. ურდოს წინააღშდეგ გამაგრებულ ხაზს (სიბა) თეთრი წყლის სანაპიროზე.

თავი მეთერთმეტე ქართველი ხალხის გრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV—XV საუკუნეთა მიჯნაზე

§ 1. თემურლენგის დაპყრობითი ომები და მისი პირველი შემოსევა საქართველოში 1386 წ.

მონღოლთა ბატონობის გადაშენების შემდეგ დაწყებული საქართველოს სამეფოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წინსვლა დიდხანს არ გაგრძელებულა. XIV—XV სს. მიჯნაზე ამ წინსვლას ბოლო მოუღო თემურლენგის გამანადგურებელმა შემოსევებმა.

თემური (1336—1405 წწ.) ბარლასთა გათურქებული მონღოლური ტომის წარმომადგენელი იყო. ეს ტომი მავერანნაჰრში (მდ. სირ-დარიასა და ამუ-დარიას შორის მდებარე ტერიტორია, აწინდელი უზბეკეთისა და ტაჯიკეთის რესპუბლიკები) გადმოსახლდა მოღოლისთანიდან.

თემური იმთავითვე გამოირჩეოდა ტოლ-ამხანაგებში გულადობით, მარჯვე მოისარ-მოჯირითეობითა და წინამძღოლისათვის დამახასიათებელი თვისებებით. მან ადრევე შემოიკრიბა თავის გარშემო ახალგაზრდა ბარლასთა ერთი ჯგუფი და ხელი მიჰყო მეზობელთა რბევას და ქარავნების ძარცვას. მავერანნაჰრის საგარეო და საშინაო ვითარება ხელს უწყობდა მის ავაზაკურ პარპაშს, რადგან შინაფეოდალური ომით მოცულ ქვეყანაში არავის ეცალა წესრიგის აღსადგენად.

მავერანნაჰრი მოღოლისთანთან ერთად შედიოდა ჩაღათაის ულუსში და გამოირჩეოდა ცხოვრების ბინადარი წესითა და ინტენსიური, კულტურული მეურნეობით; მოღოლისთანში კი სამხედრო ნომადური არისტოკრატია აგრძელებდა წინაპართა ტრადიციებს და ეწეოდა ექსტენსიურ-მომთაბარულ ცხოვრებას. ისინი მარტო თავიანთ თავს თვლიდნენ ჭეშმარიტ მონღოლებად და მავერანნაჰრში გადასახლებულ თანამოძმეებს უწოდებდნენ „ყარაუნასებს“, ე. ი. გადაგვარებულებს მომთაბარული ტრადიციე-

ბისათვის ღალატის გამო[1]. მათ შორის დაწყებული ბრძოლის სასწორი თანდათან იხრებოდა მოღოლისთანელთა მხარეს და თოღლუყ-თემურ ხანმა (1348—1362) ადვილად დაიპყრო მავერანნაჰრი 1360 წ. ახალგაზრდა თემური მორჩილად ეახლა მოღოლისთანელ ხანს, რომლისგანაც მიიღო ქაშქადარის დუმენის უფროსობა.

თოღლუყ-თემურმა მავერანნაჰრის მმართველად თავისი ვაჟი ელიას-ხოჯა დატოვა და თვითონ კი დაუბრუნდა მოღოლისთანს.

თემური ერთხანს ერთგულად ემსახურებოდა ელიას-ხოჯას, მერე კი განუდგა და ბრძოლაც დაუწყო მას ბალხელ ამირ ჰოსეინთან ერთად. ელიას-ხოჯასთან ბრძოლაში დამარცხებულმა ამირ ჰოსეინმა და თემურმა ამუ-დარიის გაღმა გაქცევით უშველეს თავს. აქ ისინი ერთმანეთს დაუმოყვრდნენ — თემურმა ცოლად შეირთო ამირ ჰოსეინის და. ამიერიდან სიძე-ცოლისძმა ერთად დაეხეტებოდნენ აქეთ-იქით და აბრაგობა-მეკობრეობით ირჩენდნენ თავს. ისინი არც დაქირავებით ბრძოლას თაკილობდნენ ფულის შოვნის მიზნით. ერთ-ერთ ასეთ ბრძოლაში თემური დაიჭრა, რის შედეგადაც სამუდამოდ დაკოჭლდა. ამის გამო მას „ლენგი" (ტაჯიკურად „კოჭლი") შეარქვეს.

მალე ამის შემდეგ ამირ ჰოსეინი და თემურლენგი დაბრუნდნენ მავერანნაჰრში, სადაც 1365 წელს მონღოლები კვლავ შემოიჭრნენ ელიას-ხოჯას მეთაურობით და დაამარცხეს ისინი ე. წ. „ტალახის ომში" ტაშკენტის ახლოს. ამირ ჰოსეინმა და თემურლენგმა ისევ გაქცევით უშველეს თავს და კედლებმორღვეული სამარყანდი მიატოვეს ბედის ანაბარად.

სამარყანდის დაცვა ელიას-ხოჯას წინააღმდეგ თვითონ მოსახლეობამ იდო თავს. მათ მეთაურობდნენ სარბადარები მოვლანა-ზადე და აბუბაქრ ქელავი.

სარბადარების (სპარს. სიტყვასიტყვით — „განწირულნი") მოძრაობა უპირველეს მიზნად მონღოლთა სამხედრო-ნომადიური არისტოკრატიის ბატონობისაგან ქვეყნის განთავისუფლებას ისახავდა. სარბადარებს მხარს უჭერდნენ ხელოსნები და საზოგადოების სხვა დაბალ ფენათა წარმომადგენლები[2]. ელიას-ხოჯამ ვერაფერი გააწყო სამარყანდის წინააღმდეგ და ხელმოცარული დაბრუნდა უკან.

---

[1] В. В. Бартольд, Улугбек и его время. Сочинения, II, ч. 2. М., 1964, с. 101; А. Ю. Якубовский, Тимур, опыт краткой характеристики, Вопросы истории, № 8—9, 1946, с. 49; Л. В. Строева, Возникновение государства Тимура, Ученые записки Ленинградского гос. университета, № 128, Серия востоковедческих наук, вып. 3. Л., 1952, с. 86; ვ. გაბაშვილი, მახლობელი აღმოსავლეთი XIV—XVI საუკუნეებში, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 216.

[2] სამარყანდელი სარბადარების შესახებ იხ. В. В. Бартольд, Народное движение в Самарканде в 1365 г. Сочинения, II, ч. 2, с. 362; А. Ю. Якубовский, Тимур, с. 56—58; Л. В. Строева, Сербердары Самарканда, Ученые записки Ленинградского гос. университета, № 98, Серия востоковедческих наук, вып. I, Л., 1949, с 71—72.

მონღოლთა გაბრუნებისთანავე ამირ ჰოსეინი და თემურლენგი ბალხიდან დატრიალდნენ, მოტყუებით დაეუფლნენ სამარყანდს 1366 წ. და მდგომარეობის სრული ბატონ-პატრონები შეიქნენ სარბადარებთან ვერაგული ანგარიშსწორების შემდეგ.

XIV საუკუნის 70-იანი წლებისათვის ამირ ჰოსეინსა და თემურლენგს მთელ მავერანნაჰრში სხვა საშიში მოწინააღმდეგე აღარავინ დარჩათ ერთმანეთის გარდა. 1370 წ. თემურლენგმა საბოლოოდ სძლია თავის გუშინდელ მოკავშირეს და დამოუკიდებელი მბრძანებელი გახდა.

ერთმმართველი თემურლენგის წინაშე ბევრმა სიძნელემ იჩინა თავი ერთდროულად. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო შინაფეოდალური ომის აღკვეთა და მტკიცე ხელისუფლების შექმნა, რითაც დაინტერესებული იყვნენ მიწათმოქმედი ბინადარი მოსახლეობა, ვაჭრები, ხელოსნები და მუსლიმანური სამღვდელოება. ამასთან ერთად, თემურლენგს უნდა გაეთვალისწინებინა მომთაბარე არისტოკრატიის მისწრაფებებიც, რომლებსაც სეზობელი ქვეყნების დაპყრობასა და ნადავლის ხელთგდებაზე ეჭირათ თვალი. უნდა ითქვას, რომ თემურლენგმა ორივე პრობლემას ჩინებულად გაართვა თავი.

პროფ. ა. იაკუბოვსკის დახასიათებით, თემურლენგის პიროვნებაში დიდი სახელმწიფო მოღვაწისათვის დამახასიათებელ ნიშნებთან ერთად შერწყმული იყო ფეოდალური ტიპის მბრძანებლის ჩვევები, რომელიც შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებდა მეზობლისათვის ქონება წაერთმია, თუკი შესწევდა საამისო სამხედრო ძალა[1].

მავერანნაჰრში განმტკიცების შემდეგ თემურლენგი, უპირველეს ყოვლისა, შეუდგა მყარი სახელმწიფო აპარატის შექმნას. ქვეყნის ადმინისტრაციულ დაყოფას მან საფუძვლად დაუდო მონღოლური დუმენების სისტემა და თავისი ერთგული ხალხი დანიშნა სამეფო კარის წამყვან თანამდებობებზე და ლუმენებისა (ათი ათასთა) და ყოშუნების (ათასთა) მეთაურებად. გარდა ამისა, თემურლენგმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა თავისი მშობლიური ქალაქის შაჰრესაბზისა და განსაკუთრებით კი სახელმწიფო პოლიტიკური ცენტრის — სამარყანდის კეთილმოსაწყობად და გასამაგრებლად.

ამის შემდეგ თემურლენგი შეუდგა მთელი შუა აზიის გაერთიანებას და რამდენიმე ლაშქრობა მოაწყო ხორეზმის წინააღმდეგ. XIV ს. 80-იან წლებში კი თემურლენგს უკვე მთელი ხორასანიც დაპყრობილი ჰქონდა.

შუა აზიის გაერთიანების შემდეგ, გარდა ოქროს ურდოსა და ინდოეთის წინააღმდეგ სხვადასხვა დროს მოწყობილი ლაშქრობებისა, თემურლენგმა სამი დიდი ლაშქრობა მოაწყო ირანისა და მისი დასახმარი ქვეყ-

---

[1] А. Ю. Якубовский, Тимур, с. 60.

ნების წინააღმდეგ, რომლებიც პირობითად იწოდებიან „სამწლიან“ (1386—1389), „ხუთწლიან“ (1392—1397) და „შვიდწლიან“ (1399—1405) ლაშქრობებად. სიცოცხლის მიწურულს განზრახული ჩინეთის ლაშქრობა კი მას განუხორციელებელი დარჩა.

თემურლენგის მრავალგზის თავდასხმის ობიექტი ამ დაპყრობითი ომების დროს ამიერკავკასიის ქვეყნები და, პირველ რიგში, საქართველო იყო, სადაც მისი თარეში ატარებდა წმინდა მძარცველურ ხასიათს[1].

დაპყრობილ ქვეყნებს თემურლენგის ლაშქარი სასტიკად არბევდა და აწიოკებდა. ცოცხლად გადარჩენილი მოსახლეობის ერთ ნაწილს უზარმაზარი თანხის გადახდას აკისრებდნენ თავის გამოსასყიდად, ოსტატ-ხელოსნები, მხატვრები, მწიგნობრები, მუსლიმანი ღვთისმეტყველები და სხვ. კი ტყვედ მიჰყავდათ მავერანნაჰრში. ადგილობრივი ფეოდალების მიწებს თემურლენგი სოიურღალად ურიგებდა თავის შვილებს, შვილიშვილებს, ნათესავებსა და მახლობლებს და მათ მიწისმფლობელებად ხდიდა[2].

სოიურღალი ირანში, შუა აზიასა და სხვა მუსლიმანურ ქვეყნებში გავრცელებული მიწისმფლობელობის სამხედრო-ლენური სისტემა იყო. მისი მფლობელი სარგებლობდა ადმინისტრაციული, საგადასახადო და სასამართლო შეუვალობით. სამაგიეროდ მას ომებსა და ლაშქრობებში უნდა მიეღო მონაწილეობა თავისი რაზმით. სოიურღალად შეიძლებოდა გაცემულიყო როგორც შედარებით მცირე ტერიტორია, ისე მთელი ოლქიც.

თემურლენგმა მხოლოდ საქართველოში ვერ მოახერხა ადგილობრივი სამამულო სისტემის შეცვლა მომთაბარეებისათვის დამახასიათებელი მიწისმფლობელობის წესით. ეს გარემოება მნიშვნელოვნად აპირობებდა მისი ურდოების ხშირ შემოსევებს ჩვენში.

თემურლენგის მიერ შექმნილი სახელმწიფო ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ერთიანობით შეუკავშირებელი ქვეყნებისა და ხალხების უზარმაზარი გაერთიანება იყო[3]. მისი პოლიტიკა კი, კ. მარქსის დახასიათებით, იმაში მდგომარეობდა, რომ „ათასობით ქალი, ბავშვი, კაცი თუ ჭაბუკი ეწამებინა, დაეხოცა, გაენადგურებინა და ამრიგად ყველგან შიში და ძრწოლა დაემკვიდრებინა“[4]. მხოლოდ ამ გზით შეეძლო თემურლენგს მორჩილებაში ჰყოლოდა მის მიერ გაძარცული და ექსპლოატირებული მოსახლეობა[5].

---

[1] А. Ю. Якубовский, Тимур, с. 60.

[2] ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 223; დ. კაციტაძე, საქართველო XIV—XV საუკუნეთა მიჯნაზე (სპარსული და სპარსულენოვანი წყაროების მიხედვით), თბ., 1975, გვ. 88, 104.

[3] История стран зарубежного Востока в средние века, М., 1957, с. 238.

[4] К. Маркс, Архив, т. VI, с. 185.

[5] Л. В. Строева, Возникновение государства Тимура, с. 86.

ის გარემოება, რომ თემურლენგი ყოველი მხრიდან მავერანნაჰრში ეზიდებოდა ნაძარცვ ქონებას და სამარყანდსა და შუა აზიის სხვა ქალაქებში აშენებდა მდიდრულ სასახლეებს, მეჩეთებს, ქარვასლებსა და სხვადასხვა დანიშნულების შენობებს, ზოგი ისტორიკოსის თვალსაზრისით, თითქოს მოასწავებდა თემურლენგის როგორც ისტორიული პიროვნების როლის პროგრესულობას შუა აზიის ხალხებისათვის[1]. მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ ის საშინელებანი, რომელიც მან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში დაატრიალა (სისთანში ციხის კედელს ჩააყოლა ხელფეხგაკრული 2 ათასი კაცი, ისფაჰანში უმოწყალოდ გაჟლიტა დიდი და პატარა და გორაკები აღმართა 70 ათასი მოჭრილი თავით, ინდოეთში სრულიად უმიზეზოდ ცოლ-შვილის თვალწინ დახოცა 100 ათასი ტყვე, სივასში ცოცხლად დამარხა 4 ათასი სომეხი მოქალაქე, საქართველოში ათეულ ათასობით გაჟლიტა მოსახლეობა და ნაცარტუტად აქცია ყველაფერი, სადაც ფეხი დადგა), ბევრად უფრო შემაძრწუნებელია, ვიდრე მისი მოჩვენებითი აღმშენებლობითი საქმიანობა. გარდა ამისა, მისი ასეთი საქმიანობა სულაც არ უწყობდა ხელს შუა აზიაში საწარმოო ძალების განვითარებასა და აღორძინებას. საქმე ისაა, რომ მის მიერ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან შუა აზიაში ალაფისა და ნადავლის სახით შემოზიდული სიმდიდრე, უპირველეს ყოვლისა, ხმარდებოდა სამეფო კარისა და ფეოდალური ზედაფენის ფუფუნებას. რაც შეეხება აქაური მოსახლეობის დაბალ ფენებს, შუა აზიის ძირითად მწარმოებელ კლასს, იგი კიდევ უფრო მძიმე ექსპლოატაციას განიცდიდა. ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ გაუთავებელი ლაშქრობების შედეგად შუა აზიაში საგრძნობლად ფერხდებოდა ადგილობრივი მეურნეობის განვითარება, რადგან აქაური მოსახლეობის ყველაზე ჯანსაღი ნაწილი წლობით გამოთიშული იყო სასარგებლო სამეურნეო საქმიანობისაგან და მასობრივად იხოცებოდა ხანგრძლივი ლაშქრობების დროს.

შექმნილი მძიმე ვითარება შუა აზიის ხალხებში ხშირად იწვევდა დიდ უკმაყოფილებას ცენტრალური ხელისუფლების მიმართ. მაგრამ, როგორც წესი, თემურლენგი სასტიკად ახშობდა მის ყოველგვარ გამოვლინებას. ამიტომ შეუძლებელია ვილაპარაკოთ მისი პროგრესულობის შესახებ თუნდაც შეზღუდულ მასშტაბებში. თემურლენგს არაფერი პროგრესული არ შეუქმნია შუა აზიის ხალხებისთვისაც კი, იგი იყო ისეთივე ველური და ტირანი დამპყრობელი, როგორც ჩინგიზ-ხანი[2].

---

[1] И. Муминов, Роль и место Амира Тимура в истории Средней Азии в свете данных письменных источников, Ташкент, 1968.

[2] А. Новосельцев, Об исторической оценке Тимура, Вопросы истории, № 2, 1973, с. 5.

* * *

თემურლენგი თავის თავს მონღოლთა უშუალო მემკვიდრედ თვლიდა და ცდილობდა ჩინგიზ-ხანის ვრცელი იმპერიის აღდგენას. მის ასეთ მისწრაფებებს წინ აღუდგა თოღთამიშ-ხანი, რომელმაც ადვილად სძლია 1380 წ. კულიკოვოს ბრძოლაში დამარცხებულ მამაის და შეძლო ოქროს ურდოს გაერთიანება.

თემურლენგსა და თოღთამიშ-ხანს შორის ომები გრძელდებოდა თითქმის 15 წელი. სწორედ მათმა ორთაბრძოლამ მოიყვანა თემურლენგი პირველად საქართველოში 1386 წ. ე. წ. „სამწლიანი" ლაშქრობის დროს.

თემურლენგთან ომში უკვე რამდენიმეჯერ დამარცხების შემდეგ თოღთამიშმა ჩრდილოეთისაკენ გაილაშქრა 1382 წ. იგი მოსკოვამდე მივიდა და ეს ქალაქი გადაწვა. აქედან პირი სამხრეთისაკენ იბრუნა და ჩრდილოეთ ირანს შეესია დერბენდისა და კავკასიონის სხვა გადმოსასვლელების გამოვლით. მისმა ჯარმა სასტიკად დაარბია მდიდარი და მოშენებული თავრიზი და ხელთ იგდო დიდი დავლა და ტყვე.

ჰულაგუიანთა ირანის მემკვიდრეობაზე თემურლენგს თვითონ ეჭირა თვალი და ირანისაკენ გამოემართა თოღთამიშის მოყოლებით.

თემურლენგმა სასტიკად იძია შური თავრიზელებზე, რომლებიც თოღთამიშს დანებდნენ. მოსახლეობის ერთი ნაწილი, განსაკუთრებით ოსტატ-ხელოსნები, აჰყარა და სამარყანდში გადაასახლა[1]. დანარჩენებს კი უმოწყალოდ დაერია და წინა წელს თოღთამიშისაგან განაწამებ ხალხს უზარმაზარი თანხა შეაწერა სიცოცხლის გამოსასყიდად. ეს მოხდა 1386 წ.

ამ ამბებიდან რამდენიმე ხნის გავლის შემდეგ, 1386 წ. ზაფხულის მიწურულს, თემურლენგი საქართველოსკენ წამოვიდა სომხურ თემებზე გამოვლით.

საქართველოში თემურის პირველი შემოსევის მიზეზებს აკად. ივ. ჯავახიშვილი საქართველოსა და ოქროს ურდოს შორის არსებული კავშირ-ურთიერთობებით ხსნის[2]. მისი აზრით, თოღთამიშს არ შეეძლო ჩრდილოეთიდან ირანში შეეჭრილიყო საქართველოს მთავრობასთან წინასწარი შეთანხმებებისა და მოკავშირეობის გარეშე[3]. მანვე ყურადღება მიაქცია იმ გარემოებასაც, რომ თოღთამიშის ლაშქარში თავრიზის წინააღმდეგ ლაშქრობის დროს „ურწმუნოებიც" ერიენენ[4]. მომავალში რომ ასეთი რამ არ განმეორებულიყო, თემურლენგს ჩრდილოეთი საზღვარი ოქროს

---

[1] The Zafarnamah by Maulana Sharafuddin Ali of Yazd, edited by Maulawi Muhammad Ilahdad, vol. I, Calcutta, 1887, გვ. 398 (ქვემოთ — შარაფ ად-დინი).

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966, გვ. 409.

[3] ი ქ ვ ე.

[4] ი ქ ვ ე.

ულუსის შემოსევის საშიშროებისაგან უზრუნველყოფილი უნდა ჰქონოდა, ამიტომ მას კავკასიონის ქედის, ყველა თუ არა, აღმოსავლეთით მდებარე ორი უდიდესი გადმოსავალი ან თვითონ უნდა შეეკრა, ანდა მათი მფლობელები ისეთ მდგომარეობაში უნდა ჩაეყენებინა, რომ მის მოკავშირეებად და ყმადნაფიცებად ქცეულიყვნენ[1].

მოტანილი აზრის სისწორეს კარგად ადასტურებს საქართველოში თემურლენგის პირველი შემოსევის დროს სამხედრო მოქმედების ხასიათი და მიმართულება.

თემურლენგი რომ საქართველოს მოადგა უკვე 1386 წ. გვიანი შემოდგომა იყო. ადრე დაზამთრებულიყო და დიდი თოვლიც იდო. ასეთი დრო, ეტყობა, განგებ შეურჩევია მას. საქმე ისაა, რომ თუ საქართველოსა და ოქროს ურდოს შორის რაიმე პოლიტიკური კავშირი მართლაც არსებობდა, ბუნებრივია, ამ კავშირის ერთ-ერთი მთავარი პირობა ოქროს ურდოს მიერ საქართველოსათვის დახმარების გაწევა უნდა ყოფილიყო თემურლენგის შესაძლო თავდასხმის შემთხვევაში. ახლა კი, როცა კავკასიონის ქედის გადმოსასვლელები უკვე დათოვლილი იყო, საქართველო პრაქტიკულად მოკლებული იქნებოდა ჩრდილოეთიდან ყოველგვარ დახმარებას.

ამავე თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა თემურლენგის მოძრაობის გეზიც, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მისი ფარგლებიდან გასვლის დროს, როცა მთავარი დარტყმა კავკასიონის ქედის აღმოსავლეთ-სამხრეთის ფერდობების გასწვრივ წარმართა, ალბათ, ოქროს ურდოს შესაძლო მოკავშირეთა დასათრგუნავად.

საქართველოსკენ რომ მოემართებოდა, თემურლენგმა გზად ნახიჩევანი გამოიარა და დაიპყრო გარნისის ციხე. ამის შემდეგ მისი ჯარი მიადგა სურმალუს ციხეს მდ. არეზის ნაპირზე. სურმალუს დამცველებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს თემურლენგის ჯარს, მაგრამ ბოლოს იძულებული შეიქნენ დანებებულიყვნენ.

სურმალუსა და გარნისის ციხეების დაპყრობის შემდეგ თემურლენგმა გეზი აიღო ყარსისაკენ, რომლის დაპყრობის შემდეგ იგი სამცხის მთიანეთში შემოიჭრა და თბილისისაკენ გამოემართა უზარმაზარი ჯარით[2] დიდ ყინვასა და თოვაში.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966, გვ. 409—410.

[2] მიქელ პანარეტოსის აშკარად გაზვიადებული ცნობით, თემურლენგს 800-ათასიანი ჯარი ახლდა თან. მაგრამ, ეტყობა, ქრონიკის ავტორს ეს ციფრი თვითონაც გაზვიადებული მოეჩვენა, რადგან იქვე უმატებს: „როგორც მნახველები ამბობენო" (მიქელ პანარეტოსი. ამბავი ტრაპიზონის მეფეების დიდი კომნენოსებისა, თითოეულმა რიგორ, როდის და რამდენ ხანს იმეფა, „გეორგიკა", ტ. VII, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1967, გვ. 161, ქვემოთ — გეორგიკა). თემუ-

ამ დროს საქართველოში ბაგრატ V (1360—1393 წწ.) დავით IX-ის ძე მეფობდა. ბერძენი ისტორიკოსი მიქელ პანარეტოსი მას „გამოჩენილ სარდლად“ იხსენიებს. ასეთად იხსენიებენ მას სომეხი მწერლებიც, მაგრამ ცნობების უქონლობის გამო არ ვიცით, თუ რაზე იყო დამყარებული მისი ასეთი დახასიათება. უეჭველია, რომ ბაგრატ V-ს ასეთი სახელი მოხვეჭილი ჰქონდა თემურლენგის შემოსევებამდე.

ყარსიდან თბილისამდე, ეტყობა, თემურლენგი არსად შეჩერებულა.

ყოვლად შეუძლებელია საქართველოს სამეფო კარს არაფერი სცოდნოდა ამ მოახლოებული საფრთხის შესახებ. ჩვენში თემურლენგის ჯარის რიცხვზეც უნდა ჰქონოდათ სათანადო წარმოდგენა, რომელთანაც გაშლილ ველზე პირისპირ გამკლავება აშკარად გაუჭირდებოდა საქართველოს ბევრად მცირერიცხოვან სპას. ამიტომაც უნდა ყოფილიყო, რომ თემურლენგის ჯართან გადამწყვეტ შეტაკებას მორიდებოდნენ და ციხეებში გამაგრება უფრო მიზანშეწონილად მიუჩნევიათ საქართველოს პოლიტიკის მესვეურებს. ამ ვარაუდს კარგად ადასტურებს „ახალი ქართლის ცხოვრების“ ცნობაც, სადაც ნათქვამია, რომ თემურლენგის მოსვლის ამბავი რომ „ესმა მეფესა ბაგრატს, გამაგრდა ციხესა ტფილისისასა“[1], „ხოლო რომელნიმე დიდებულნი თავადნი ქართლისანი არა იყვნენ ციხესა მას შინა მეფისა ბაგრატის თანა, არამედ წარსულ იყვნეს თჳსთჳსად სახიზარსა და სიმაგრესა შინა, და რომელნიმე თანა ჰყვეს რჩეულნი ჭაბუკნი, რომელნი სამარადისოდ თანა ჰყვებოდეს მეფესა“[2].

თბილისი ისედაც კარგად დაცული ციხე-ქალაქი იყო და იგი კიდევ უფრო გაემაგრებინა და საომრად გაემზადებინა ბაგრატს.

სპარსულ წყაროებში გარკვევით არა ჩანს რამდენ ხანს გაგრძელდა ქალაქისათვის ბრძოლა, მაგრამ ის კი აშკარაა, რომ თემურლენგს უცბად და იოლად ვერ მოუხერხებია მისი აღება. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, თითქოს ქალაქის ალყა გაგრძელდა მთელ ექვს თვეს, რაც არ დასტურდება სხვა წყაროთა მონაცემებით. ფ. გორგიჯანიძის ცნობაში, მართალია, ქალაქის გარემოცვის ხანგრძლივობა არა ჩანს, მაგრამ მისი შინაარსი კარგად მიუთითებს თბილისისათვის გამართული ბრძოლების სიმძაფრეზე. მისი თქმით, „სიდამდისინ ქალაქის გალავანი არ აეღოთ, დღეში ორჯელ სამჯერ

რის ჯარის რიცხვს არც მისი ისტორიკოსები ასახელებენ. შარაფ ად-დინ ალი იეზდი, მაგალითად, ზოგადად მიუთითებს, რომ მისმა ლაშქარმა „მთელი მთა და ბარი დაპფარაო“ (შ ა რ ა ფ ად-დ ი ნ ი, ტ. I, გვ. 394). თემურლენგის ჯარის სიმრავლეს ასე გამოხატავს „ახალი ქართლის ცხოვრება“: „რამეთუ ჰყვა ბანაკი და სიმრავლე სპათა ურიცხვ, რომელსა ვერ იტევდენ მთანი და ველნი და ყოველნივნე არენი და სანახებნი საქართველოსანი“ (ქ. ცხ., II, გვ. 449).

[1] ქ. ცხ., II, გვ. 328.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 450.

ქართველნი გამოვიდიან და წაუშენდიან თურქთა. შეიქნებოდა ომი და ცემა, მრავალს ნავნებს უზემდეს თურქთა და ისრევე ქალაქში შევიდიან"[1]. იგივეს მოწმობენ „ახალი ქართლის ცხოვრების" ტექსტებიც. პირველ ტექსტში, მაგალითად, აღწერილია ბრძოლის მომენტიც: „და გამოვიდა მეფე ბაგრატ და სრულიად ქართველნი, მიეტევნეს ურთიერთას, და ბრძოდეს ქართველნი ფიცხად. და იქმნა იმიერ და ამიერ ბრძოლა ძლიერი და მოისრა ორგნითვე სიმრავლე კაცთა ფრიადი, და უფროსად მოსწყდეს სპანი თემურისანი და ვერღარა აღიღეს ციხე ტფილისისა"[2].

ქართული წყაროების ცნობებს რაღაცნაირად ადასტურებს სპარსული წყაროების მითითება იმის შესახებ, რომ თემურლენგმა პირადად მიიღო მონაწილეობა ქალაქზე გადამწყვეტი იერიშის დროს, როდესაც თავზე რკინისჩელტებაფარებული მისი მეომრები ყოველი მხრიდან მიაწყდნენ ქალაქის გალავანს. მანამდე თემურლენგის ბრძანებით ქალაქს მიუყენეს მძიმე ლოდების სატყორცნი ბალისტები და სხვა საალყო მანქანები. ფ. გორგიჯანიძეს დასახელებული აქვს ზარბაზნების გამოყენება, რაშიც მერმინდელი ზარბაზნების პროტოტიპები „რანდანდაზები" უნდა იგულისხმებოდეს, რომელსაც მართლაც იყენებდა თემურლენგის ჯარი ციხესიმაგრეების დაპყრობის დროს[3].

როგორც ჩანს, ცეცხლის იარაღის გამოყენებამ სათანადო ეფექტი მოახდინა, რადგან ფ. გორგიჯანიძისავე თქმით, ამის შედეგად ციხის დამცველები „შეჯერდნენო".

მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, თემურლენგის ჯარი გალავანზე გადავიდა და შეიჭრა ქალაქში. ფ. გორგიჯანიძის თქმით, ბაგრატი ზედა ციხეში ავიდა და იქიდან აგრძელებდა ბრძოლას, მაგრამ იქაც რომ ზარბაზნებით „შეაჯერეს და ღონე გაუწყდა", თემურლენგს დანებდა „უვნებლობის ფიცისა და პირის" გამორთმევის შემდეგ[4].

მიქელ პანარეტოსი ამ ამბავს ათარიღებს 1386 წლის 21 ნოემბრით. მისივე ცნობით, ბაგრატთან ერთად თემურლენგმა ტყვედ წაიყვანა დედოფალი ანა და უფლისწული დავითი[5].

თბილისში თემურლენგის ჯარმა დიდი ხოცვა-ჟლეტა და ძარცვა-რბევა დაატრიალა. შარაფ ად-დინ ალი იეზდის თქმით, აქაური „ურჯულოები

---

[1] ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, საისტორიო მოამბე, თბ., 1925, ნაწ. II, გვ. 302 (ქვემოთ — ფ. გორგიჯანიძე).

[2] ქ. ცხ., II, გვ. 328.

[3] А. М. Беленицкий, О появлении и распространении огнестрельного оружия в Средней Азии и Иране XIV—XVI веках, Известия Таджикского филиала АН СССР, № 5, 1949; თემურის ჯარის შეიარაღების შესახებ იხ. М. И. Иванин, О военном искусстве и завоеваниях монголо-татар и среднеазиатских народов при Чингиз-хане и Тамерлане, СПб., 1875.

[4] ფ. გორგიჯანიძე, გვ. 302.

[5] გეორგიკა, VII, გვ. 45.

ჯოჯოხეთს გაისტუმრეს ელვარე ხმლების კვრით"[1]. ამ ცნობას იმეორებენ სხვა ისტორიკოსებიც. თ. მეწოფელის ცნობით, თბილისიდან ტყვეებიც ბლომად წაუყვანია თემურლენგის ჯარს[2].

საქართველოს დედაქალაქში თემურლენგის ჯარმა დაცლაც ბევრი იგდო ხელთ. მიქელ პანარეტოსის ცნობით, თემურლენგმა აქ „რა ქონება იგდო ხელთ, რა ხატები გაძარცვა და დაწვა, რამდენი თვალი პატიოსანი, მარგალიტი, ოქრო და ვერცხლი წაიღო არავის შეუძლია აღწეროს"[3].

თემურლენგს თბილისიდან დავლად წაუღია აგრეთვე საქართველოს მდიდარი სამეფო ბიბლიოთეკაც[4].

---

[1] შ ა რ ა ფ ა დ-დ ი ნ ი, ტ. I, გვ. 202, 203.

[2] თ. მ ე წ ო ფ ე ლ ი, ლანგ-თემურის ისტორია, თარგმანი, შესავალი წერილი და კომენტარები პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგისა, თბ., 1937, გვ. 19 (ქვემოთ — თ. მეწოფელი); ვ. ნალბანდიანი, თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში, უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე, თბ., 1959, გვ. 113.

[3] გ ე ო რ გ ი კ ა, VII, გვ. 45.

[4] საამისო ცნობა საქართველოსთან დაკავშირებით არ გვხვდება სპარსულ წყაროებში. სამაგიეროდ დაეთ ბატონიშვილს ნათქვამი აქვს, რომ: «Теймур-Ланг... наложил на иверцев дань, взял царскую библиотеку, которая повсюду в Азии почиталась знаменитою (იხ. Д а в и д Б а г р а т и о н и, История Грузии, текст издал и снабдил вступительной статией и указательями А. А. Р о г а в а, Тб., 1971, с. 130—131).

გაცილებით მეტ დეტალებს შეიცავს ამის თაობაზე იოანე ბატონიშვილის ცნობა, რომლის მიხედვითაც: „ეკლესიათა და სხვათა ადგილთაგან განიხენა მრავალნი საღმრთო, და საერო წიგნები, და გაგზავნა სამარყანდს, და დაკრძალა მუნ" (ი ო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, კალმასობა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი H — 2134, ფ. 725 ა, ქვემოთ — იოანე). იგი იქვე შენიშვნაში გვაუწყებს მათ შემდგომ ხვედრსაც: „ესე წიგნები აწყვია მას აქეთ სამარყანდის მეჩეთსა შინა, რომელსა აქუს რკინისა ფანჯარანი, და კარიცა, და კარი იგი არს დაკეტილი და დაბეჭდილ, და ზედან აწერია წყევა, რომელ არავინ განიღოს მუნიდგან წერილნი; და ამის გამო მრავალი წიგნი დაეკარგათ ქართველთა, რომელიც აღარა აქუთ, ვინადგან მას ჟამსა არა იყო სტამბა, აგრეთვე სომხურიცა წიგნები არს მუნ მრავლობით" (ი ქ ვ ე).

ჩვეულებრივ, თემურლენგის მიერ დავლაში წიგნების წაღება საერთოდ არ იყო უცხო რამ. თემურლენგმა, მართალია, წერა-კითხვაც არ იცოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას საფუძვლიანი ცოდნა ჰქონდა დაგროვილი, განსაკუთრებით მუსლიმანური ქვეყნების ისტორიაში. მას წიგნის სპეციალური წამკითხავები ჰყავდა და განსაკუთრებით უყვარდა ნათლად და გასაგებად დაწერილი თხზულებები. ჰაფეზე აბრუს, მაგალითად, აღნიშნული აქვს ამოლიდან თემურლენგის მიერ დავლათა შორის სამარყანდში წიგნების გაგზავნაც. მისი თქმით, აქაური ციხის აღების დროს „დავლათა შორის, რომელიც საჰებყერანის (თემურის) დივანს დარჩა, იყო აგრეთვე შეიდასი აქლემის საპალნე ვერცხლი, გარდა ოქროულობისა, ოქრო-ვერცხლით მოოქვილი იარაღისა, წ ი გ ნ ი ს ა და სხვათა", რომელიც თემურლენგმა სამარყანდში გაისტუმრა იქაურ ღვთისმეტყველებთან და სეიდთა მიმდევრებთან ერთად (Histoire des conquetes de Tamerlan intitulèe Zafarnama par Nizamuddin şami Avec des additions empruntées au Zubdatu-t-tavarih-i Bysunguri de Hafiz-i Abru, Edition critique par Felix Tauer, t. II, Jntroduction, commentoire, index, Praha, 1956, გვ. 128, ქვემოთ—ჰაფეზე აბრუ).

წყაროებში არ ჩანს, თუ რამდენ ხანს დარჩა თემურლენგის ბანაკი თბილისში. „ახალ ქართლის ცხოვრებაში“ ამის შესახებ მარტო ის არის ნათქვამი, რომ თემურლენგმა „თჳთ დაიპყრა ციხე, და შეაყენნა მას შინა სპანი თჳსნიო“[1].

თბილისიდან წასვლის შემდეგ თემურლენგმა დიდი ნადირობა გამართა ჯერგით ყარაიის ველზე, საიდანაც შაქისაკენ გააგრძელა გზა. გზაში თემურლენგის მოლაშქრეებმა მრავალი ციხე დაიმორჩილეს[2] და აურაცხელი დავლა, მათ შორის ოქრო, ვერცხლი, ლალი და თვალმარგალიტი იგდეს ხელთ[3].

საინტერესოა, რომ თემურლენგს საქართველოს მეფე თავის ბანაკში ჰყავდა ტყვედ, მეციხოვნეები კი სიმაგრეებს მაინც არ აბარებდნენ უომრად. ეს ფაქტი იმ დიდ წინააღმდეგობაზე მიუთითებს, რომელსაც დამპყრობლებს უწევდა საქართველოს მოსახლეობა.

ამის შემდეგ თემურლენგმა თავისი ლაშქარი რაზმებად დაჰყო და დააგზავნა სხვადასხვა მიმართულებით, თვითონ კი კავკასიონის მთის სამხრეთის კალთებს შეჰყვა და მუსრი გაავლო იქაურ მოსახლეობას. ბოლოს ყაბალაში მოიყარეს თავი, მტკვარზე გადავიდნენ ყარაბახის სორხაბთან და მდინარე არეზის პირას დაბანაკდნენ დასაზამთრებლად.

ასე დაასრულა თემურლენგმა ამიერკავკასიის ქვეყნების მორბევა ამ მხარეში პირველი გამოჩენის დროს. აქაური ქვეყნებიდან მხოლოდ შარვანი გადაურჩა დამპყრობელთა რისხვას. მისი მმართველი შარვანშაჰი შეიხ იბრაჰიმ დერბენდი (1382—1417) წინ მიეგება მორჩილად მდიდრული საჩუქრებით მრისხანე დამპყრობელს და ქვეყანა აოხრებისაგან იხსნა[4].

§ 2. თემურლენგის მეორე შემოსევა საქართველოში 1387 წ.

ყარაბახში გამოსაზამთრებლად დაბანაკებულ თემურლენგს არაერთი სერიოზული საზრუნავი ჰქონდა. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო ლაშქრის წესრიგში მოყვანა ხანგრძლივი მოგზაურობისა და მძიმე ბრძოლების შემდეგ. გარდა ამისა, თემურლენგს დაპყრობილი ქვეყნების საქმეებიც

---

[1] ქ. ცხ., II, გვ. 450.

[2] „მათლა ას-საყდეინ ვა მაჯმა ალ-ბაჰრეინ თალიფე ქამალ ად-დინ აბდ არ-რაზაყ სამარყონდიო“, ლენინგრადის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერი, სპარსული ხელნაწერების კოლექცია, დორნის კატალოგით № 298, ფ. 269 (ქვემოთ — ა ბ დ ა რ-რ ა ზ ა ყ ი).

[3] თ ა რ ი ხ ე რ ო უ ზ ა თ ას-ს ა ფ ა, თასნიფე მირხონდ, ჯალდე VI, თეჰრან, 1329. (სპარსულ ენაზე), გვ. 149 (ქვემოთ — მირხონდი).

[4] И. И. Петрушевский, Великий патриот ширваншах Ибрагим, Баку. 1942, с. 26.

უნდა გაერიგებინა ადგილებზე მისი მორჩილი მყარი ხელისუფლების შექმნის გზით.

თემურლენგი დაპყრობილი ქვეყნების ერთ ნაწილს თავის შვილებსა და ნათესავებს აძლევდა საბატონოდ, ზოგანაც ადგილზე ტოვებდა ძველ მმართველებს. მაგრამ თუ ეს საკითხი სხვაგან იოლი გადასაწყვეტი იყო, სამაგიეროდ ამას დიდი სიძნელეები ახლდა საქართველოსთან დაკავშირებით, სადაც სავსებით უცხო იყო როგორც მუსლიმანურ ქვეყნებში დამკვიდრებული მიწის მფლობელობის წესები, ისე მმართველობის ფორმა.

ამ საკითხის გადასაწყვეტად, როგორც ჩანს, თემურლენგს საქართველოს მოსახლეობის გამუსლიმანება მიაჩნდა საჭიროდ და, სულაც არ არის შემთხვევითი, საქართველოში მისი მძარცველური ლაშქრობების მიზეზებს თემურლენგის ისტორიკოსები აქ ისლამის რელიგიის გავრცელების საჭიროებით რომ ხსნიდნენ[1].

თემურლენგი პირადად არასოდეს გამოირჩეოდა დიდი მორწმუნეობით, მაგრამ მას კარგად ესმოდა რელიგიის ძალა და მარჯვედაც იყენებდა მას. იგი შიიტი იყო, სადაც ამას საჭიროება მოითხოვდა, სხვაგან სუნიტების დამცველად გამოდიოდა და, საერთოდ, ისე იქცეოდა, სადაც როგორ დასჭირდებოდა[2]. რელიგიური მოტივების მომიზეზება მით უფრო ეფექტური იყო საქართველოსთან დაკავშირებით, სადაც უიმისოდაც, ადგილობრივი ქრისტიანობის ისლამით შეცვლა დაკავშირებული იყო გარკვეული პოლიტიკური მიზნების განხორციელებასთან. საქმე ისაა, რომ საქართველოს დაპყრობა-დამორჩილება და აქ პოლიტიკური ბატონობის გახანგრძლივება შეუძლებელი იყო ადგილობრივი სამამულო სისტემის შეუცვლელად, მუსლიმანური აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ფეოდალური მიწისმფლობელობის წესით. ქართული სამამულო სისტემა კი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქრისტიანულ რელიგიასთან. თემურლენგსაც და სხვა დამპყრობლებსაც, როგორც მანამდე, ისე მას შემდეგ, ეგონათ, რომ საქართველოში ადგილობრივი რელიგიის შეცვლით ადვილად დაამკვიდრებდნენ მათთვის დამახასიათებელ სამხედრო-ლენურ სისტემას. დამპყრობელთა ასეთი ცდა ყოველთვის აწყდებოდა ქართველი ხალხის მედგარ წინააღმდეგობას, რადგან საქართველოს პოლიტიკის მესვეურებს შესანიშნავად ესმოდათ, რომ ქრისტიანობისათვის ბრძოლა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართული სამამულო სისტემისა და თვით ქართველობის შენარჩუნებასთან. ეს გარემოება, როგორც ჩანს, შეუნიშნავთ თემურლენგის ისტორიკოსებსაც. სხვანაირად შეუძლებელია გავიგოთ მოინ ადდინ ნათანზის ცნობა, რომელიც საქართველოში თემურლენგის შემოსე-

---

[1] ა ბ დ ა რ-რ ა ზ ა ყ ი, ფ. 268, ბ.

[2] В. В. Б а р т о л ь д, Улугбек и его время, Соч., II, ч. 2, с. 21.

ვებთან დაკავშირებით გიორგი მეფის შესახებ ამბობს: „საქართველოს მეფეს დანებებისა და მორჩილების სრული მისწრაფება ჰქონდა, მაგრამ გამუსლიმანების შიშით შეუპოვარ წინააღმდეგობას ეწეოდა და ამ სიჯიუტეს ათეულ ათასობით ქართველის სიცოცხლე შეეწირა"[1].

დასაწყისში, ეტყობა, თემურლენგი იოლად უყურებდა ამ საქმეს და ეგონა, რომ ადგილობრივი რელიგიის შეცვლას ადვილად მოახერხებდა აქ საქართველოს ფეოდალური ზედაფენისა და, პირველ რიგში, მეფისა და მისი კარის გამუსლიმანების გზით. ამიტომაც უნდა ყოფილიყო, რომ რჯულის გამოცვლის წინადადება თემურლენგს ბაგრატისათვის მიუცია ჯერ კიდევ თბილისში დატყვევებისთანავე: „ხოლო დაპატიჟა ლანგ-თემურ რჯული მაჰმადისა, ხოლო მეფემან არა უსმინა და ჰყვა პატიმრად"[2].

ყარაბახში თემურლენგს ცდა და მეცადინეობა არ დაუკლია ბაგრატის გასათათრებლად. ამ თემაზე იგი პირადადაც ესაუბრა რამდენჯერმე საქართველოს მეფეს. ბოლოს, ბაგრატისათვის რომ ცხადი შეიქნა ტყვეობიდან თავის დაღწევის სხვა ღონე და საშუალება აღარ იყო, მოჩვენებით დათანხმდა ისლამის მიღებას. სპარსელი ისტორიკოსები საგანგებოდ მიუთითებენ, რომ თემურლენგის რჩევა-დარიგების შედეგად „ცდომილის (ბაგრატის) ბნელ არსებაში სწორი გზის მაჩვენებელმა სხივმა ჩაიხედა შემწეობის სარკმლიდან"[3] და გამუსლიმანდაო. მათივე ცნობით, საქართველოს მეფესთან ერთად ისლამი მიუღიათ მის თანმხლებ პირებსაც და მოქცეულან ჰანიფის სჯულზე[4].

აღსანიშნავია, რომ ჰანიფიზმის რელიგიური მოძრაობა არაბეთშივე ჩაისახა და დიდი გავრცელება პოვა უპირატესად მიწათმოქმედ ტომებში. იგი თავისი არსით ახლოს იდგა ქრისტიანობასთან და ქადაგებდა მონოთეიზმის იდეას. თემურლენგის ვარაუდით, როგორც ჩანს, ასეთი რელიგია ყველაზე მიზანშეწონილი იქნებოდა საქართველოში ქრისტიანობის შესაცვლელად.

თემურლენგს გამუსლიმანებული ბაგრატისათვის სამეფო ტახტი დაუბრუნებია და სამფლობელოც დაუმტკიცებია სხვა „დამატებათა და დანართებით". ამაზე, სხვათა შორის, სათანადო იარლიყიც დაწერილა, როგორც ეს შარაფ ად-დინის ცნობებიდან ჩანს. ამ იარლიყის ძალით ბაგრატს სამშობლოში დაბრუნების უფლება მოუპოვებია, უფრო სწორად, შიგ მისი

---

[1] მონთახაბ ათ-თავარიხე მოიიან მანსუბ ბე მოინ ად-დინ ნათანზი, აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერი C—381, ფ. 586 ბ (ქვემოთ — ნათანზი).

[2] ქ. ცხ., II, გვ. 328.

[3] შარაფ ად-დინი, ტ. I, გვ. 107.

[4] ნეზამ ად-დინი, გვ. 101.

შინ დაბრუნების უფლება ყოფილა დადასტურებული და სხვა წყალობათა შესახებაც იქვე ყოფილა ლაპარაკი.

გახარებულ თემურლენგს ბაგრატი და მისი თანმხლები პირები ყარაბახიდან დიდი საჩუქრებით გამოუსტუმრებია საქართველოში. სამაგიეროდ, ბაგრატსაც მიურთმევია მისთვის სხვადასხვა სახის საჩუქრები, რომელთა შორის სპარსული წყაროები საგანგებოდ გამოჰყოფენ საგულდაგულოდ გამოჭედილ კვართს[1].

აღნიშნული ამბების შემდეგ ბაგრატის ხსენება პირწმინდად ქრება სპარსულ საისტორიო წყაროებში, აღარ ჩანს დაბრუნდა თუ არა საქართველოში ან რა ურთიერთობა ჰქონდა შემდეგში თემურლენგთან. სამაგიეროდ მისი შემდგომი ბედი ჩვენთვის ნაწილობრივ ცნობილია სომხური და ქართული წყაროების მეშვეობით.

თომა მეწოფელის ცნობით, რასაც იმეორებს „ახალი ქართლის ცხოვრებაც", შინ დაბრუნებული ბაგრატისათვის თემურლენგს 12-ათასიანი ჯარიც გამოუყოლებია თან საქართველოს მოსახლეობის გასათათრებლად. ბაგრატი და მისი თანმხლები პირები ფაქტიურად ტყვეებს წარმოადგენდნენ მათ ხელში. ამის შესახებ ბაგრატმა გზიდან „იდუმალ შეუთვალა თავის შვილებს — გიორგის, კონსტანტინესა და დავითს, რომ ფარულად მივიდნენ მასთან და მიეშველონ მშობელს, რათა მას შეეძლოს გაქცევა თემურლენგის ხელიდან"[2].

ბაგრატის დატყვევების შემდეგ საქართველოს განაგებდა მისი უფროსი ვაჟი გიორგი. დიდებულები მას ურჩევდნენ მეფედ კურთხევას, მაგრამ გიორგი იმის შიშით, ვაითუ თემურლენგმა მამაჩემს რაიმე მოსწიოსო, არ თანხმდებოდა. მამის ამბავი რომ შეიტყო, გიორგი საქართველოს ჯარით მარჯვე ადგილას ჩაუსაფრდა თემურლენგის მხედრობას, ერთიანად გაჟლიტა ვიწროებში შეტყუებით და მამა იხსნა მათი ხელიდან. ტყვეობიდან გამოხსნილი ბაგრატი და მისი სახლობა მშვიდობით დაბრუნდნენ შინ[3].

---

[1] Histoire des conquêtes de Tamerlan, intitulèe Zafarnama par Nizamuddin Şami. Avéc des additions empruntées au Zubdatu-t-tavarich-i Bysunguri de Hafiz-i Abru. Edition critique par Felix Taner, t. I, texte persan de Zafarnama. Praha, 1937, გვ. 101 (ქვემოთ — ნეზამ ად-დინ).

[2] თ ო მ ა მ ე წ ო ფ ე ლ ი, გვ. 20.

[3] თ ო მ ა მ ე წ ო ფ ე ლ ი ს, ისევე როგორც „ახალი ქართლის ცხოვრების", ანალოგიური ცნობა ადრე გაზიარებული იყო ქართულ საისტორიო მწერლობაში, მაგრამ უარყო აკად. ივ. ჯავახიშვილმა სხვადასხვა მოსაზრებათა გამო (იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966, გვ. 292). დამატებითმა კვლევა-ძიებამ და სპარსული წყაროებიდან ახალი ცნობების მოხმობამ ჩვენ საკუთარი თვალით დაგვარწმუნა აღნიშნული ამბის სისწორეში (იხ. კ. ტ ა ბ ა ტ ა ძ ე, საქართველოში თემურლენგის შემოსევათა ქრონოლოგიის გამო, „მაცნე", № 3, 1973, გვ. 68—81, აგრეთვე, მ ი ს ი ვ ე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV—XV საუკუნეების მიჯნაზე, თბ., 1974, გვ. 71—86).

საქართველოს პოლიტიკის მესვეურებისათვის სავსებით ცხადი იყო, რომ თემურლენგი ამას არ მოითმენდა და გაზაფხულზე შეეცდებოდა ბაგრატის დასჯას, ამიტომაც იმთავითვე შეუდგნენ ენერგიულ სამზადისს მტრის მოსაგერიებლად.

მართლაც, „ახალი ქართლის ცხოვრების“ ცნობით, „ვითარცა მიიწია ამბავი ესე ლანგ-თემურისა, დიდად შეუძნდა და მწუხარე იყო საქმისა ამისთჳს, და დაიბანაკა მუნვე ზამთარსა მას. და ვითარცა მოიწივა თუე მარტისა, შემოიკრიბა სიმრავლე ლანგ-თემურ და წარმოემართა კუალად ქართლად, განძჳნებული ფრიად“[1].

ბაგრატი და გიორგი მომზადებული დახვდნენ მრისხანე მტერს: მოსახლეობა წინასწარ დახიზნეს კავკასიონის მიუვალ მთებში და ჯარიც გაამზადეს საომრად. საფიქრებელია, ამ ხნის განმავლობაში თოღთამიშ-ხანთანაც მოახერხეს კავშირის გაბმა.

საქართველოს ჯარმა ბაგრატისა და გიორგის წინამძღოლობით სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია 1387 წ. გაზაფხულზე საქართველოში შემოჭრილ თემურლენგის ლაშქარს და დიდი ვნებაც მიაყენა მტერს. მიუხედავად ამისა, „სპითა სიმრავლისაგან თათართასა მძლე ექმნეს თათარნი“[2] და ქართველები იძულებული გახდნენ გამაგრებულიყვნენ ციხეებსა და მიუვალ მთებში.

მართალია, ამ ომში ქართველები დამარცხდნენ, მაგრამ ეს ჯერაც არ მოასწავებდა საქართველოს დაპყრობა-დამორჩილებას. ბრძოლის ველზე მოპოვებული გამარჯვების შემდეგ ახლა მტერს საქართველოს აურაცხელი ციხეების დასაპყრობად უნდა გაეგრძელებინა ბრძოლა და თავისი ჯარი დაექსაქსა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, რაც ძალიან დიდ დროს მოითხოვდა. თემურლენგს კი ახლა ამისთვის არ ეცალა. საქმე ისაა, რომ ჰულაგუნიანთა ირანის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ დასაპყრობი იყო და, რაც მთავარია, სწორედ ამ დროს, სად იყო და სად არა, თოღთამიში გაჩნდა ამიერკავკასიაში აურაცხელი ჯარით. თემურლენგი იძულებული შეიქნა შეეჩერებინა საქართველოს ძარცვა-რბევა და გასცლოდა მას.

ამის შემდეგ თემურლენგი ჩვენში აღარ გამოჩენილა 1394 წლამდე.

§ 3. თემურლენგის მესამე და მეოთხე შემოსევები საქართველოში 1394 წ.

თ ე მ უ რ ლ ე ნ გ ი ს ს ა რ დ ლ ე ბ ი ს ლ ა შ ქ რ ო ბ ა ს ა მ ცხ ე-შ ი. როგორც ზემოთ ითქვა, საქართველოსაკენ თემურლენგის მეორე გა-

[1] ქ. ცხ., II, გვ. 330.
[2] იქვე, გვ. 331.

მოლაშქრებას ზედ დაემთხვა თოღთამიშ-ხანის ჯარის გამოსვლა ჩრდილო კავკასიიდან დერბენდის გზით. თემურლენგმა მას ბატონიშვილი მირან-შაჰი შეაგება, რომელმაც მოწინააღმდეგე დაამარცხა და უკუაქცია.

თემურლენგი ამის შემდეგ ერთ ხანს ალინჯის, ბაიაზეთის, ვანისა და სხვა ციხეების დასაპყრობად იბრძოდა და ყველა დაიმორჩილა ალინჯის გარდა. ამ ციხეს თემურლენგმა მოალყეები მიუჩინა და თვითონ ცენტრალური ირანისაკენ გაეშურა. მაგრამ მალე იძულებული შეიქნა შეეწყვიტა „სამწლიანი ლაშქრობა“ და შუა აზიაში დაბრუნებულიყო იქაური საქმეების გართულების გამო. ამიერკავკასიაში რომ ვერაფერი დააკლო, თოღთამიშ-ხანმა ახლა შუა აზიაში მიიტანა იერიში თემურლენგის სამფლობელოებზე. მანამდე თავისკენ გადაიბირა თემურლენგის მიერ დამარცხებული და ვასალად ქცეული ხორეზმშაჰი სოლეიმან სუფი და წააქეზა ასაჯანყებლად.

1388 წ. თემურლენგმა უკანასკნელად ილაშქრა ხორეზმში და სასტიკად იძია შური თოღთამიშთან კავშირისათვის: ქვეყანა საშინლად ააოხრა, ხოლო მისი დედაქალაქი ურგენჩი დაანგრია და მიწასთან გაასწორა; იქაური მოსახლეობა თემურლენგმა აჰყარა და სამარყანდში გადაასახლა. თემურლენგმა ბოლო მოუღო სუფის დინასტიასაც და, ამიერიდან, ხორეზმი უშუალოდ შევიდა მის სახელმწიფოში.

ამის შემდეგ თემურლენგმა რამდენჯერმე ილაშქრა თოღთამიშ-ხანის წინააღმდეგ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ოქროს ურდოს წინააღმდეგ მისი ლაშქრობა 1391 წ., როცა იგი კუნდუზჩასთან, ჩისტოპოლსა და სამარას შორის, თოღთამიშ-ხანის პირისპირ აღმოჩნდა 200-ათასიანი ლაშქრით. აქ მათ შორის დიდი ბრძოლა მოხდა ამავე წლის 18 ივნისს, რომელიც თოღთამიშ-ხანის სრული დამარცხებით დამთავრდა.

ამ გამარჯვების შემდეგ თემურლენგი შუა აზიაში დაბრუნებისთანავე შეუდგა ახალი ლაშქრობებისათვის სამზადისს ირანისა და მისი დასამხარი ქვეყნების წინააღმდეგ. ეს ლაშქრობა ცნობილია „ხუთწლიანი ლაშქრობის“ (1392—1397) სახელწოდებით.

1392 წ. გაზაფხულზე თემურლენგმა ამუ-დარია გადალახა და ცენტრალური ირანისაკენ გაემართა უზარმაზარი ჯარით. სხვადასხვა ქალაქების დაპყრობა-გაძარცვის შემდეგ იგი ბაღდადს მიადგა და დაიმორჩილა.

ბაღდადის დაპყრობის შემდეგ თემურლენგის ლაშქარმა გადაინაცვლა სირიისაკენ და შეუდგა იქაური ციხე-ქალაქების დაპყრობას. ამასობაში შემოდგომაც მიიწურა, თემურლენგი სირიიდან გამობრუნდა ალათაღისაკენ და მუშის ველზე დადგა გამოსაზამთრებლად.

გაზაფხულდა თუ არა, თემურლენგმა მაშინვე გააგრძელა სამხედრო მოქმედება მიმდგომი ქვეყნების წინააღმდეგ. ბოლოს ისევ ალათაღისაკენ, იქიდან კი საქართველოსაკენ იბრუნა პირი. წინდაწინ თემურლენგმა გზი-

დან ოთხი სარდალი გამოგზავნა ახალციხისაკენ 40-ათასიანი ჯარით, თვითონ უკან გამოუდგა ნადირობა-ნადირობით და თან მოსახლეობის ძარცვა-რბევითა და აწიოკებით. ამ ყოფით თემურლენგი 1394 წ. ზაფხულში ყარსამდე მივიდა და ქალაქგარეთ დადგა, იქიდან კი გადაინაცვლა კოლის მინდორზე. იქვე დაბრუნდნენ სამცხეში გაგზავნილი სარდლებიც, „ძნელადმისადგომი და უაღრესად გამაგრებული ციხეების" დაპყრობის შემდეგ.

ჩვენ არ ვიცით სამცხის რომელი ციხეები დაიპყრეს თემურლენგის სარდლებმა, მაგრამ ერთი რამ კი ცხადზე ცხადია: დარბეულ ქალაქთა შორის უნდა ყოფილიყო ახალციხეც.

სამცხეში გაგზავნილ სარდლებს დავლაც ბლომად უშოვნიათ. სპარსელი ისტორიკოსები საგანგებოდ მიუთითებენ, ბანაკში რომ დაბრუნდნენ, „ფულსა და თვალმარგალიტს მობნევით ფანტავდნენ" კოლის მინდორზე თემურლენგის ახლად დაბადებული შვილიშვილის პატივსაცემად გამართული ღრეობის დროს[1].

თ ე მ ურ ლ ე ნ გ ი ს ლ ა შ ქ რ ო ბ ა ა რ ა გ ვ ი ს ხ ე ო ბ ა შ ი. 1394 წ. 13 სექტემბერს თემურლენგმა ბანაკი აშალა და კოლის მინდვრიდან არაგვის ხეობისაკენ გამოუძღვა ჯარს[2]. გზადაგზა ნადირობდა, არბევდა და ძარცვავდა მოსახლეობას[3]. ასე „ჩამოვლო თრიალეთი და ვერა აღუდგეს წინა, რომელსა აწ საბარათიანოდ უწოდენ მუნებურნი, და იგინიცა მოსრნა და მკვდრნი მის ადგილისანი და შემუსრნა სიმაგრენი და ციხენი მის ადგილსანი"[4] და „არა დაშთა დაბანი, რომელნი სრულიად არა აღაოჯრნა"[5].

არაგვის ხეობის დამცველებმა, რომლებიც გამაგრებულნი იყვნენ „მიუვალ ციხეებსა და მაღალ მთებში", მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს თემურლენგის ჯარს. შარაფ ად-დინის თქმით, აქ თემურლენგის ჯარმა ბევრი ხალხი დახოცა, დაარბია და გამარჯვებული და ძლევამოსილი მთიდან ძირს დაეშვა. ამ ცნობას კარგად ერწყმის ვახუშტის ნათქვამი, რომ

---

[1] ა ბ დ ა რ-რ ა ზ ა ყ ი, ფ. 323-ა.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს თემურლენგის მიერ სამცხეში სარდლების გაგზავნის თარიღად 1393 წ. აქვს მითითებული, ხოლო არაგვის ხეობაში გალაშქრების თარიღად 1394 წელი (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 411—412); სინამდვილეში ორივე ლაშქრობა მოხდა ერთი, 1394 წლის ფარგლებში. დ. კაციტაძე კი ამ ორ სხვადასხვა ამბავს საქართველოში თემურლენგის ერთ შემოსევად თვლის (დ. კ ა ც ი ტ ა ძ ე, საქართველოში თემურლენგის შემოსევათა ქრონოლოგია, „სკოლა და ცხოვრება". დამატება „ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში", 1968, № 3, გვ. 32).

[3] ნ ე ზ ა მ ა დ-დ ი ნ ი, გვ. 157; შარაფ ად-დინი, ტ. I, გვ. 730.

[4] ქ. ცხ., II, გვ. 328.

[5] ი ქ ვ ე, გვ. 449.

თემურლენგი „შეუხდა არაგვს, შემუსრნა მთიულნი და სიმაგრენი და მოაოხრა, არამედ ავნებდნენ დიდსა მთიულნი და სპანი მეფისანი მუნ მყოფნი სპათა თემურისათა, რომელთა ვერარაი ტყვე-ჰყვეს და უკუ მოიქცნენ"[1].

არაგვის ხეობაში თემურლენგის ამ გალაშქრების მიზეზად ივ. ჯავახიშვილი აქედან თოღთამიშ-ხანის ჯარის გამოსვლის საფრთხეს ვარაუდობდა. რაც სავსებით დამაჯერებლად ჩანს[2]. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა ვახუშტი ბაგრატიონის მიერ დასახელებული მიზეზიც, რომ „რამეთუ განჰყავს გიორგი მეფესა მუნიდამ შემწენი და კვლავ ჰგონებდა მეფესაცა მუნ"[3]. სპარსელი ისტორიკოსების ცნობები არაგვის ხეობის დამცველთა მრავალრიცხოვნობის შესახებ სწორედ ვახუშტი ბაგრატიონის ამ ცნობის დადასტურება უნდა იყოს.

მთებიდან ჩამოსვლის შემდეგ თემურლენგი სადღაც გაშლილ ველზე დამდგარა ბანაკად, საიდანაც თბილისზე გავლით შაქისაკენ წასულა ნადირობა-ნადირობით. ეჭვს გარეშეა, ახლაც ამიერკავკასიაში თოღთამიშ-ხანის შემოჭრის საფრთხე აშინებდა მას. როგორც შემდეგ გაირკვა, იგი მართლაც გამოსულიყო დერბენდიდან უზარმაზარი ჯარით და თემურლენგი დაუყოვნებლივ გაეშურა შესახვედრად. თოღთამიშმა ბრძოლა არ მიიღო და უკან გაბრუნდა. თემურლენგი კი მდ. მტკვარს დაჰყვა და, რაკი უკვე დაზამთრებული იყო, დაბანაკდა მაჰმუდ-აბადს.

თემურლენგისათვის სავსებით ცხადი გახდა, რომ იგი ამიერკავკასიაში, ისევე როგორც სხვაგან, თავის გეგმებს წარმატებით ვერ განახორციელებდა თოღთამიშის საბოლოოდ განადგურების გარეშე; ამიტომაც, გაზაფხულდა თუ არა, ჯარი გაამზადა ოქროს ურდოს წინააღმდეგ ხანგრძლივი და მძიმე ლაშქრობისათვის.

თოღთამიშ-ხანი საომრად გამზადებული დახვდა მოწინააღმდეგეს ჩრდილოეთ კავკასიაში უზარმაზარი ჯარით. თემურლენგმა დერბენდი გაიარა და მდ. თერგის პირას შეხვდა თოღთამიშის ჯარს. აქ მათ შორის 1395 წ. გაიმართა დიდი ბრძოლა, რომელიც დასრულდა თემურლენგის გამარჯვებით. თოღთამიშის ლაშქარმა უწესრიგოდ დაიხია უკან და თემურლენგი დაუყოვნებლივ მიჰყვა უკუქცეულ მტერს. მან ჩქარა გადალახა მოწინააღმდეგის მიერ განგებ გადამწვარი ყუბანის ველები და ლამის მოსკოვამდე სდია თოღთამიშ-ხანს. თემურლენგმა გაძარცვა და დაანგრია ოქროს ურდოს დედაქალაქი სარაი ბერქე, დაწვა და გაანადგურა სამხრეთ

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ. თბ., 1973, გვ. 271 (ქვემოთ — ვახუშტი).

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1941, გვ. 194.

[3] ვ ა ხ უ შ ტ ი, გვ. 271.

რუსეთის სატრანზიტო ვაჭრობის მთავარი ცენტრები აზოვი და ასტრახანი, გაძარცვა მოსახლეობა და წამოიყვანა მრავალი ტყვე.

უკან დაბრუნების დროს თემურლენგმა საგანგებოდ დალაშქრა ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთი, განსაკუთრებით ის ქვეყნები და ხალხები, რომლებიც კავკასიონის მთის ჩრდილოეთის კალთებზე ცხოვრობდნენ და კავშირი ჰქონდათ საქართველოსთან. თემურლენგმა მათ ქრისტიანული რელიგიის საკულტო ძეგლები დაუნგრია და ძალით მიაღებინა ისლამის სარწმუნოება.

ყოველივე ამის შემდეგ თემურლენგი უკან გამობრუნდა დერბენდისაკენ. ეს ქალაქი მან ხელახლა გაამაგრა და მცველები მიუჩინა, თვითონ კი ერთხანს შარვანში დაბანაკდა. შარვანშაჰმა შეიხ იბრაჰიმმა, რომელიც თან ახლდა თემურლენგს თავისი ჯარით ოქროს ურდოს წინააღმდეგ ლაშქრობაში, დიდი ნადიმი გამართა მის პატივსაცემად. თემურლენგმა მას შარვანის მბრძანებლობა ხელახლა დაუმტკიცა.

შარვანში ბანაკად დგომის დროს თემურლენგმა საგანგებო ღონისძიებები განახორციელა ირანისა და ამიერკავკასიის საქმეების მოსაწესრიგებლად. ჰულაგუიანთა ტახტი მან დაუმტკიცა თავის შვილს მირანშაჰს, რომელმაც თავი გამოიჩინა თოღთამიშ-ხანის წინააღმდეგ ომში. მისი სამფლობელო გადაჭიმული იყო დერბენდ-ბაქოდან ბაღდადამდე, ჰამადანიდან რუმის საზღვრამდე და მასში შედიოდა ორივე ერაყი, აზერბაიჯანი, არმენია, საქართველო და ქურთისტანი[1]. მისი სატახტო ქალაქი თავრიზი იყო.

თემურლენგმა მასვე დაავალა ბრძოლა ალინჯის ციხის დასაპყრობად. ეს ციხე ერთადერთი იყო, რომელიც თემურლენგმა ვერ დაიმორჩილა ამიერკავკასიაში ვერც „სამწლიანი“ და ვერც „ხუთწლიანი“ ლაშქრობების დროს და კვლავაც ალყაში იყო მოქცეული იმ მიდამოებში მათი პირველი გამოჩენის დროიდან.

ამის შემდეგ თემურლენგი შუა აზიისაკენ გაემართა მთელი თავისი ბანაკით და ნატყვევ-ნაძარცვით და 1397 წლის ივლისის დამდეგს სამარყანდში ჩავიდა.

§ 4. თემურლენგის მეხუთე (1399 წ.) და მეექვსე (1400 წ.) შემოსევები საქართველოში

გიორგი VII და მისი ლაშქრობა ნახიჩევანს. „ხუთწლიანი“ ლაშქრობის დასრულებისა და სამარყანდში დაბრუნების შემდეგ თემურლენგი დაუყოვნებლივ შეუდგა ინდოეთის წინააღმდეგ შორე-

[1] შარაფ ად-დინი, ტ. I, გვ. 784; აბდ არ-რაზაყი, ფ. 376 ბ.

ული ლაშქრობის სამზადისს, რომლის ზღაპრული სიმდიდრე მოსვენებას უკარგავდა მის ხარბ თვალს. 1398 წლის შემოდგომაზე თემურლენგი უკვე დაიძრა იქით „უდაბნოს ქვიშასა და ვარსკვლავებზე ურიცხვი ჯარით". ლაშქრობის მიზანი, ოფიციალურად, ახლაც „რჯულის განმტკიცების საჭიროება" იყო.

თემურლენგის მეომრები ერთიმეორეზე იპყრობდნენ და ანგრევდნენ ინდოელთა ციხე-ქალაქებს, ატყვევებდნენ და ათასობით ჟლეტდნენ უმოწყალოდ ადგილობრივ მოსახლეობას, ეპატრონებოდნენ მათ ქონებას. შეძრწუნებული ინდოელები საკუთარი ხელით წვავდნენ თავიანთ სახლკარს ცოლ-შვილიანად და თვითონაც იკლავდნენ თავს, ოღონდ კი მტერს არ ჩავარდნოდნენ ხელში. მიუხედავად ამისა, დამპყრობელთა ბანაკში თავი მოიყარა უამრავმა ტყვემ, რომელთა ერთი ნაწილი, 100 ათასი მამაკაცი, თემურ-ლენგმა ცოლ-შვილის თვალწინ დაახოცინა თავის მეომრებს დელის სულთან მაჰმუდთან გადამწყვეტი შეტაკების წინ. ამ ბრძოლაში თემურლენგმა სასტიკად დაამარცხა სულთან მაჰმუდი და დაეუფლა დელის; ქალაქი სასტიკად გაძარცვა და უზარმაზარი დავლა იგდო ხელთ.

თემურლენგის ინდოეთში ლაშქრობის დროს მნიშვნელოვანი ამბები ხდებოდა დასავლეთ ირანსა და ამიერკავკასიაში.

მირანშაჰი, რომლის სამწყსოშიც შედიოდნენ ეს ქვეყნები, ისედაც ვერ გამოდგა ენერგიული და გონიერი მმართველი და ამას ახალი უბედურებაც დაერთო თან: ნადირობის დროს იგი ცხენიდან გადმოვარდა, თავი ქვას დაჰკრა და მისი ხასიათის ახირებულობას ტვინის შერყევაც დაერთო თან. იგი ხშირად გაუმართლებელ სისასტიკეს იჩენდა თავისი ხელქვეითების მიმართ და თავის მოკვეთით სჯიდა სულ მცირე დანაშაულის გამო. საკმაო შეიქნა მირანშაჰს ეჭვი შეჰპარვოდა შაქისელი სიიდი ალის ერთგულებაში, რომ სასტიკად დაერბია მისი სამფლობელო. თავრიზში სრულიად უმიზეზოდ დაანგრევინა რამდენიმე შენობა. მანვე შეურაცხყო ისტორიკოს რაშიდ ად-დინის საფლავი და ცხედარი გადაატანინა სინაგოგის ეზოში.

თემურლენგი რომ ინდოეთში გაიგულეს, დაპყრობილი ქვეყნების ხალხები მირანშაჰს აღარ შეეპუენ და თათართა ბატონობისაგან თავის განთავისუფლება სცადეს; მათ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა საქართველოს მეფე გიორგი ბაგრატის ძე, რომელმაც მამამისი შეცვალა საქართველოს სამეფო ტახტზე.

გიორგი VII (1393 — 1407 წწ.) თავის გარშემო შემოიკრიბა თათართა ბატონობით უკმაყოფილო და მათ წინააღმდეგ მებრძოლი ძალები ამიერკავკასიასა თუ სხვა ქვეყნებში. მან, უპირველეს ყოვლისა, კავშირი გააბა ჯალაირიანთა დინასტიის წარმომადგენლებთან, რომლებიც, მიუხედავად

განცდილი მარცხისა, აგრძელებდნენ თემურლენგისა და მისი მემკვიდრეების წინააღმდეგ ბრძოლას. ერთ-ერთი ასეთთაგანი ალინჯის ციხეში გამაგრებული ბატონიშვილი თაჰერი იყო. მამამისმა, აჰმედ ჯალაირიანმა, თემურლენგთან ომში რომ ვერა გააწყო რა, თავისი ცოლ-შვილი და ხაზინა ამ ციხეში გადამალა და თემურლენგს შეუთვალა: „მართალია, ომში მკლავმა მიმტყუნა, სამაგიეროდ გაქცევაში კოპლობა არ მიშლის ხელსაო"[1] და გაცლით უშველა თავს.

ალინჯის ციხე მდებარეობდა ნახიჩევანის მიდამოებში და თითქმის ერთადერთი იყო, რომლის წინააღმდეგაც თემურლენგმა ვერაფერი გააწყო მრავალი წლის განმავლობაში.

როგორც აღნიშნული იყო, თოღთამიშ-ხანის დამარცხების შემდეგ სამარყანდში რომ ბრუნდებოდა, თემურლენგმა ალინჯის ციხის ალყა ბატონიშვილ მირანშაჰს დაავალა და ჯარიც ბლომად დაუტოვა სულთან სანჯარსეიფ ად-დინის სარდლობით. ამ უკანასკნელმა ციხეს მაღალი კედელი შემოავლო, რომ ვერც ვერავინ შიგნიდან გამოსულიყო და ვერც ვერავის შეეღწია შიგ.

ამ ციხიდან ბატონიშვილ თაჰერის გამოყვანას, ციხის გარნიზონის გაძლიერებასა და სურსათ-სანოვაგით მათ უზრუნველყოფას ისახავდა ერთ-ერთ მთავარ მიზნად გიორგი VII-ის ნახიჩევანის ლაშქრობა.

გიორგიმ სალაშქროდ გაამზადა მთელი საქართველოს სამხედრო ძალა. გარდა ამისა, დარიალიდან გამოიყვანა „სრულიად კავკასნი", ე. ი. ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა ტომი და დასძრა ნახიჩევანისაკენ.

საქართველოსა და მისი მოკავშირეების ლაშქარი თათართა დიდ წინააღმდეგობას წააწყდა ალინჯის ციხესთან: მიუხედავად ამისა, ადვილად გატეხეს მტრის წინააღმდეგობა და სეიფ ად-დინი და მისი ჯარი დაიფრინეს ნახიჩევანის მიდამოებიდან. სეიფ ად-დინმა თავრიზს მიაშურა და მირანშაჰს შემწეობა სთხოვა.

ქართველებმა ალინჯის ციხიდან ბატონიშვილი თაჰერი გამოიყვანეს, მეციხოვნეებს სურსათ-სანოვაგე და იარაღ-საჭურველი დაუტოვეს, ციხის გარნიზონი გააძლიერეს; მისი დაცვის საქმეების ხელმძღვანელობა სამ ქართველ აზნაურს მიანდვეს სარგისის მეთაურობით და უკან გამობრუნდნენ. ამასობაში მათ არეზისპირა სანახების მორბევაც მოასწრეს და დიდი დავლა იგდეს ხელთ.

მირანშაჰმა თავრიზიდან მაშველი ჯარი გამოგზავნა ალინჯისაკენ ბატონიშვილ აბუბექრის სარდლობით. ქართველებმა მისი ჯარიც დაამარცხეს და უკუაქციეს, თუმცა ამ ბრძოლას შეეწირა გიორგის მოკავშირე

---

[1] Tamerlane or Timur the Great Amir from the Arabic Life of Ahmed ibn Arabschah, translated by J. H. Sanders, London, 1936, გვ. 58.

შაქისელი სიიდი ალის სიცოცხლე. გადამწყვეტი შეტაკების დროს იგი ლაშქრის ცენტრს დაშორდა და გულადად შეუტია მტერს, მაგრამ აბუბექრის ნატყორცნი ისარი მის მუზარადს მოხვდა, ჯავშანი გაკვეთა და სიიდი ალი მოკლა. საქართველოს მეფე კი მშვიდობით დაბრუნდა საქართველოში და ბატონიშვილი თაჰერიც თან მოიყვანა.

უფლისწულმა აბუბექრიმ ხელახლა შემოავლო ალყა ალინჯის ციხეს, თვითონ კი თავრიზში დაბრუნდა მირანშაჰთან და სიიდი ალის მოჭრილი თავი მიართვა მას, რომელიც შემდეგ თემურლენგს გაუგზავნა სამარყანდში.

თ ე მ ურ ლ ე ნ გ ი ს ლ ა შ ქ რ ო ბ ა ჰ ე რ ე თ-კ ა ხ ე თ ში 1399 წ. შვიდწლიანი ლაშქრობა თემურლენგმა, უპირველეს ყოვლისა, მიმართა საქართველოს წინააღმდეგ მისი საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტისათვის, რაც, მისი თვალსაზრისით, იმაში მდგომარეობდა, რომ დაპყრობილი და გაძარცული ქვეყანა ან ძალით უნდა გაემუსლიმანებინა და ექცია თავისი უზარმაზარი სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად, ან პირწმინდად გაეჟლიტა მოსახლეობა და შეეცვალა იგი სხვადასხვა მხრიდან მორეკილი მუსლიმანი ელებით. პირველი დარტყმა 1399 წლის ზამთარში თემურლენგმა თავს დაატეხა ჰერეთ-კახეთს, რომელიც სპარსულ საისტორიო ძეგლებში იხსენიება „ხიმშიას ხეობის“ სახელწოდებით.

თემურლენგმა საგანგებო სამზადისი გასწია ამ ლაშქრობის მოსაწყობად. ყარაბახში გამოსაზამთრებლად დაბანაკებულმა მან მთელ ლაშქარში გამოარჩია ამტანი და გულადი მეომრები და ყოველი ათი კაციდან სამი იახლა თან. გარდა ამისა, თემურლენგმა შარვანშაჰ შეიხ იბრაჰიმის მეშვეობით შეირიგა ალინჯის ციხესთან მოკლული შაქისელი სიიდი ალის შვილი სიიდი აჰმედი, რომელსაც დაუმტკიცა მამის სამკვიდრო და დაავალა მონაწილეობა მიეღო საქართველოს წინააღმდეგ გამართულ ლაშქრობაში.

თემურლენგმა თავის რჩეულ მეომრებს ათი დღის საგზალი წამოაღებინა და საქართველოსკენ წამოუძღვა. თემურლენგის ლაშქარი მტკვარზე გადავიდა ნავებით და გემებით სახელდახელოდ გამართული ხიდით. აქ მას შეუერთდნენ შეიხ იბრაჰიმი და სიიდი აჰმედი თავიანთი ლაშქრით. შეერთებულმა მხედრობამ, რომლის რიცხვი 100 ათასზე ნაკლები არ იყო, შაქი გადაიარა და აღმოსავლეთიდან მიადგა ჰერეთ-კახეთს.

თემურლენგს უნდოდა, რომ მისი თავდასხმა სრულიად მოულოდნელი ყოფილიყო საქართველოსათვის, მოსახლეობას ვერ მოესწრო გახიზვნა და ნახირის გადამალვა. ამიტომ იგი განგებ მოერიდა გამართული გზების გამოყენებას, სადაც საგუშაგოთა მთელი სისტემა არსებობდა მტრის შემოსევის შესახებ ცენტრში შესატყობინებლად და ჯარი უგზოუკვლოდ ატარა. ნეზამ ად-დინ შამის მოწმობით, თემურლენგმა

ხერხით, ცულითა და ხელეჩოთი შეიარაღებულ მეომრებს უღრანსა და უსიერ ტყეებში ათი დღის სავალი გზა გააკაფვინა ჰერეთ-კახეთის შუაგულამდე მისაღწევად.

მიუხედავად მოულოდნელი განსაცდელისა, ამ მხარის მფლობელი და სარდალი ხიმშია მამაცურად მიეგება თემურლენგის ლაშქარს და მათ შორის გაიმართა გააფთრებული ბრძოლა, რომლის დროსაც „ორგნითვე თავგამოდებით დაუშინეს ერთმანეთს“, და „ორგნითვე მრავალი დახოცეს“. ხიმშია მხოლოდ მას შემდეგ გასცილდა ბრძოლის ველს, როცა „შეატყო, რომ თურქნი გაიმარჯვებდნენ“[1]. ამის შემდეგ იგი ტყეებსა და ხეობებში გამაგრდა, იქიდან ებრძოდა მტერს. თემურლენგის ურდოები კი მოსდგნენ უპატრონოდ დარჩენილ ქვეყანას და ნაცარტუტად აქციეს ყველაფერი, რასაც კი მათი მსახვრალი ხელი მისწვდა. ისინი განსაკუთრებული გაბოროტებით არღვევდნენ ეკლესია-მონასტრებს; წვავდნენ საცხოვრებელ სახლებს და უმოწყალოდ ჟლეტდნენ მოსახლეობას. მათი ავლადიდება კი დავლად მიჰქონდათ თან. თემურლენგის ისტორიკოსები დაუფარავი სიხარულით აღნიშნავენ, რომ „მიდამოს რომ თოვლი გადაფარებოდა ყანჩის ფრთებივით, არღავნის ფერად შეიღება ურჯულოთა სისხლითო“. მაგრამ მტერმა ეს როდი იკმარა! სპარსელი ისტორიკოსები იმასაც მოგვითხრობენ, რომ ქართველები უღვინოდ და უხილ-მწვანილოდ სუფრას არა შლიდნენ და კაცი თუ ქალი, აგრეთვე მათი ბავშვები ღვინის სმას ისე იყვნენ მიჩვეული, რომ უმისოდ მათი ბედნიერება არ არსებობდა, ღვინის გარეშე მიცვალებულსაც კი არ ასაფლავებდნენო. ქართველთა ბედნიერების ეს წყარო რომ დაეშრიტა, თემურლენგმა მიმართა უკიდურესად სასტიკსა და ულმობელ მეთოდებს. ისტორიკოს ჰაფეზე აბრუს მოწმობით, მან თავის ჯარს სივრცე დაუნაწილა და დაავალა ზედ ყოველივე არსებულის განადგურება. ისინი კალიებივით მოედვნენ მიდამოებს და ძირში კაფავდნენ და ცეცხლს აძლევდნენ ზვარ-ვენახებს, ჭრიდნენ ან გარეშემო კანს აცლიდნენ ნაყოფიერ, განსაკუთრებით თუთისა და ნიგვზის ხეებს. ასე მოითარეშა მისმა ჯარმა მდ. ივრისა და ალაზნის აუზები მდ. აღსუს (თეთრი წყალი), იგივე ჩალან უსუნის ხეობამდე[2], რომელიც მონღოლთა დროიდან მოკიდებული ქცეული იყო საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთ საზღვრად[3].

ჰერეთ-კახეთში თემურლენგის ურდოთა ასეთი თარეში გაგრძელდა თითქმის ერთ თვეს. დიდმა თოვლმა რომ გზები შეკრა და თავიანთი ცხე-

---

[1] ფ. გორგიჯანიძე, გვ. 301.

[2] კ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV—XV საუკუნეების მიჯნაზე, თბ., 1974, გვ. 96—113.

[3] მ. ბერძნიშვილი, საქართველოს სახელმწიფო საზღვრები XIII საუკუნის დამდეგს, „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966, გვ. 54.

ნებისთვისაც საკვები რომ ვეღარ იშოვნეს, დამპყრობლები იძულებული შეიქნენ გაბრუნებულიყვნენ ჰერეთ-კახეთიდან. მტერმა დავლად, გარდა სხვადასხვა ქონებისა, აურაცხელი ცხვრის ფარა და საქონლის ჯოგი გაირეკა თან.

თემურლენგის შემოსევა საქართველოში 1400 წელს. ჰერეთ-კახეთის მოოხრების შემდეგ თემურლენგმა ყარაბახშივე გაატარა ზამთრის დარჩენილი დრო, ხოლო გაზაფხულზე სარდლების, უფლისწულების, ნოინებისა და ქვეყნის სხვა თავკაცების ყურულთაი შეჰყარა, რომელმაც საქართველოზე გალაშქრება დაადგინა დიდი ბჭობისა და გამორჩევის შემდეგ. ამის შემდეგ თემურლენგმა ბანაკი აშალა და საქართველოსაკენ გამოემართა ბარდავის გზით.

საქართველოს საზღვრებს რომ მოადგა, თემურლენგმა გიორგი VII-ს მოციქული გამოუგზავნა და მოთხოვა მორჩილება და ალინჯის ციხიდან წამოყვანილი უფლისწულ თაჰერის გადაცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდა ქვეყნის საშინელი აოხრებით.

სპარსული წყაროების მოწმობით, გიორგიმ ძალიან შორს დაიჭირა მტრისათვის თავისი მოკავშირის გადაცემა და თემურლენგის მოთხოვნებზე მოციქულს „უხეში პასუხები გასცა და საქმის შედეგებზე არა იფიქრა რა". მაგრამ რაში გამოიხატებოდა მისი პასუხების სიუხეშე, მათი ცნობებიდან არ ჩანს. ფ. გორგიჯანიძის მიხედვით, თაჰერის მოთხოვნის პასუხად გიორგიმ თემურლენგს შეუთვალა, რომ „არ არის ჩვენი ნათესავთ წესიო, რომ შეხვეწილი კაცი ვისმე მივსცეთო"[1]. რაც შეეხება მორჩილების მოთხოვნის შესახებ გიორგის პასუხს, ამაზე „ახალი ქართლის ცხოვრების" პირველ ტექსტში ნათქვამია: „და ვითარცა მიიწია მოციქული მეფისა გიორგისა წინაშე, და ესრეთ უპასუხა მეფემან გიორგი მოციქულსა მას, ვითარმედ: „მე მეფისა შენისა უმცირესი არა ვარ, და არცა ძალ-უც მოოჯრება ქუეყანისა ჩემისა და, ვინათგან უთქუამს, უკეთუ არა აღასრულოს საქმე ეგე, იყოსმცა დიაცი და არა კაცი"[2]. იგივეს, ოღონდ ოდნავ უფრო ვრცლად იმეორებს მეორე ტექსტიც და უმატებს: „დაღაცათუ სიმრავლითა ძალისა შენისათა მრავალი ბოროტი გიყოფიეს ჩუენდა მომართ, არამედ უვნებელად არცა ჩუენ მიერ წარსრულ ხარ"[3].

„ახალი ქართლის ცხოვრების" ამ ცნობებს კარგად ეხამება სპარსულ წყაროებში დამოწმებული თემურლენგის რეაქცია საქართველოს მეფის პასუხზე, სადაც ნათქვამია, რომ თემურლენგის „მძვინვარების ალი კიდევ უფრო აბრიალდა ურწმუნო (გიორგის) უგუნური გულადობის გამოო"[4].

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 302.
[2] ქ. ცხ., II, გვ. 331.
[3] იქვე, გვ. 461.
[4] ნეზამად-დინი, გვ. 214.

ამის შემდეგ, შარაფ ად-დინ ალი იეზდის ცნობით, თემურლენგმა თავის ძლევამოსილ ლაშქარს უბრძანა, რომ „საღვთო ომად მკლავი აღემართათ ბოროტსა და ცდომილ ხალხზე, მათი სადგომ-საცხოვრებლები გაეანადგურებინათ, ხოლო ხეები და ყანები კი ძირიანად ამოეთხარათ მოსული ნაყოფითა და მოწეული თავთავიანად"[1].

ასე შემოესია თემურლენგი 1400 წლის გაზაფხულზე საქართველოს თავისი უზარმაზარი ლაშქრით. მტერს ამჯერად განზრახული ჰქონდა მთელი საქართველოს განადგურება.

„ახალი ქართლის ცხოვრების" პირველი ტექსტის მიხედვით, თემურლენგი რომ საქართველოს მოადგა, გიორგიმ თან იახლა „იმერნი და ამერნი და მესხნი და ყოველივე საქართველო", აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა ტომები („სრულიად კავკასნი") და საომრად გამზადებული გოგჩის ტბის მიდამოებში დაუხვდა მტერს. აქ ისინი „ეწყუნენ ურთიერთას და იქმნა ბრძოლა ძლიერი"[2].

გიორგი VII ამ ბრძოლაში ჯარი განულაგებია მეტად ხელსაყრელ პოზიციაში, როდესაც ძლიერი ქარი „აყრიდა მტუერსა პირსა ლაშქარსა ლანგ-თემურისასა"[3]. იგივე წყაროს მოწმობით, ქართველებმა „მოსრნეს და ამოსწჟტეს სპანი მრავალნი ლანგ-თემურისანი ესრეთ, რომე ამისთანა მარცხი და ზიანი არაოდეს შემთხუევია სპათა ლანგ-თემურისათა"[4]. თხრობაში გაცილებით მეტი დეტალები აქვს ჩამოთვლილი „ახალი ქართლის ცხოვრების" მეორე ტექსტის ავტორს, რომლის მიხედვითაც, მართალია, „ურიცხუნი სპანი მოისრნეს პირითა მახჟლისათა ქართველთა მიერ, არამედ სიმრავლისაგან მათისა არა აკლდებოდათ, ხოლო ლანგ-თემურ გამოცდილ იყო, და უწყოდა ქართველთა ომისა სიფიცხლე და ადრე სიმაშურალე, ამისთჳსცა დაღაითმინა, ვიდრემდის დიდად დაშურეს ომისაგან ქართველნი". მაშინ კი, საღამოს ჟამს, როდესაც „სცნა ლანგ-თემურ ფრიადი სიმაშურალე, და დაღალვა მკლავთა, და დალეწა აბჯართა საომართა სპათა ქართველთასა", პირადად გაუძღვა ჯარს საიერიშოდ და „აღუზახა ჴმითა დიდითა სპათა თჳსთა". რაც კი ძალა და ღონე შერჩენოდათ, საქართველოს ლაშქარმა კვლავაც მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მტერს, „არამედ ვერღარა ძალედვათ წინადადგრომად ფრიადისა სიმაშურალისა და მოჭირვებისაგან. და მაშინღა სძლეს ბანაკმან ისმაიტელთამან, ლანგ-თემურ და აგარიანთა, და მიდრკეს ქართველნი, და ივლტოდეს მთათა მიმართ და სიმაგრეთა"[5].

---

[1] ნეზამ ად-დინი, გვ. 214.
[2] ქ. ცხ., II, გვ. 332.
[3] იქვე.
[4] იქვე.
[5] იქვე, გვ. 462.

სომეხი ისტორიკოსი თომა მეწოფელი საქართველოს ჯარის დამარცხებას ღალატით ხსნის თემურლენგის ლაშქართან ომში. იგი საგანგებოდ მიუთითებს მოღალატეებზე, რომლებიც „ქურდულად გაეყარნენ მეფეს და წავიდნენ ბოროტ მფლობელთან, რომელსაც ტყეში მიმავალი გზები უჩვენეს“[1].

ამ ბრძოლის შემდეგ თემურლენგის ჯარი საქართველოში შემოიჭრა და დაიწყო ქვემო ქართლის საშინელი გავერანება, სადაც მისმა ჯარმა „დაფარნა ყოველნი მინდორნი, მთანი და ტყენი, კლდენი და ჯევნი, და ვითარცა ზღვამან დაფარა ყოველი ესე ქვეყანაი“[2]. ისტორიკოს ნეზამ ად-დინ შამის თქმით, „ქართველებს თავი მაღალ მთებსა და გამაგრებულ მღვიმე ქვაბებისათვის შეეფარებინათ და ძნელად მისადგომ ადგილებში თავშესაფრები და სიმაგრეები აეგოთ თავდაცვის მიზნით. ომში გამოცდილი მეომრები და სახელოვანი ბაჰადორები სიმხნისა და მამაცობის ზღვარს გადადიოდნენ, ზანდუკებში სხდებოდნენ, ზანდუკებს თოკით დაბლა უშვებდნენ და გამოქვაბულებს რომ გაუსწორდებოდნენ, ისრით, ხმლითა და შუბებით ებრძოდნენ შიგ გამაგრებულ ურწმუნოებს, ცეცხლმოკიდებულ ნავთიან ქოთნებს ესროდნენ და უწვავდნენ ხის ნაგებობებს; ურწმუნოებიც თავგანწირვით იბრძოდნენ სიკვდილის შიშით“[3]. ეს მომენტი აღწერილი აქვს ფარსადან გორგიჯანიძესაც, რომელიც იმასაც უმატებს, რომ ქართველებმა „ზოგან შიგნიდამ ძალი მოატანეს... საბელი გაუწყვიტეს და კიდობნიანათ ჩაიმტვრივნეს, დაიხოცნესო“[4].

ასეთი ცხარე ბრძოლებით დაიპყრეს თემურლენგის ჯარებმა ქვემო ქართლის ციხეები და გამაგრებული ადგილები. სპარსელ ისტორიკოსებს დასახელებული აქვთ 15 ციხე. დაპყრობილ ციხეთა შორის იყო ლორეს ძლიერი ციხესიმაგრეც. მხოლოდ ბირთვისის ციხე გადაურჩა დამპყრობელთა რისხვას თავისი მიუვალობის მეოხებით, რომლის წინააღმდეგ თემურლენგის ჯარმა ვერა გააწყო-რა.

ამის შემდეგ თემურლენგი თბილისს მოადგა. თბილისში გიორგიმ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მტერს, მაგრამ თემურლენგმა „აღიღო ციხე და გალავნები ციხისა და გარემო სიმაგრენი ყოველნივნე ქართლისანი... და შეაყენნა შიგან კაცნი ხორასნელნი და თჳთ აღიყარა, და წარვიდა და დადგა მუხრანს“[5].

---

[1] თ ო მ ა მ ე წ ო ფ ე ლ ი, გვ. 21.

[2] ძეგლი ერისთავთა, ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შ. მ ე ს ხ ი ა მ, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 359 (ქვემოთ — ძეგლი ერისთავთა).

[3] ნ ე ზ ა მ ა დ-დ ი ნ ი, გვ. 215.

[4] ფ ა რ ს ა დ ა ნ გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, გვ. 302.

[5] ქ. ცხ., II, გვ. 332.

მუხრანის ველიდან თემურლენგმა დიდი ჯარი გაგზავნა ქსნის ხეობაში ერისთავ ვირშელის წინააღმდეგ. ისტორიკოსი ფასიჰი ხაფი ამ ხეობაში თემურლენგის ლაშქრის შესვლას აქაური ხალხის ხელიდან „მუსლიმანი ტყვეების“ გამოხსნის საჭიროებით ხსნის[1]. ასეთი ტყვეები მართლაც შეიძლებოდა ყოფილიყო აქ, რადგან ერისთავი ვირშელი თან ახლდა გიორგი მეფეს ნახიჩევნის ლაშქრობაში, საიდანაც საქართველოს ლაშქარი დაბრუნდა დიდი ალაფითა და ტყვეებით.

ერისთავმა ვირშელმა „ხიზანი და დედაწული“ შეიყვანა ქნოღოს ციხეში, თვითონ კი ბეხუშეს ციხეში დახვდა მტერს, საიდანაც მისმა მშვილდოსნებმა ადვილად დაიფრინეს თემურლენგის მოწინავე მარბიელი ჯარი. მაგრამ უმალვე უფრო მრავალრიცხოვანი მტერი მიადგა მის ციხეს. ერისთავი ვირშელი პირადად გაეგება მათ აზნაურისშვილებთან ერთად, რომლებმაც „იწყეს სროლად ისართა და დაუხოცეს ცხენები და დაკოდეს მრავალი ისრითა და გამოასხნეს ჰომითა“[2].

მიუხედავად სასტიკი წინააღმდეგობისა, თემურლენგის ლაშქარმა მაინც მოახერხა ლარგვისამდე ასვლა ქსნის ხეობის აღმა, სადაც „შემუსრნა ყოველნი ციხენი და დააქცივნა ყოველნი საყდარნი და ეკლესიანი“[3] მაგრამ ერისთავ ვირშელის დამარცხება მაინც ვერ შეძლო და ხელმოცარული დაბრუნდა მუხრანის ველზე. ეს ამბავი 1400 წლის მაისის შუა რიცხვებში მოხდა.

ქსნის ხეობაში წარმოებული წარუმატებელი ბრძოლების შემდეგ თემურლენგმა თავისი ჯარები უფრო დასავლეთით გაუსია საამილახვროს, რომელიც ჯანიბეგ ზედგინიძის სამფლობელო იყო. ჯანიბეგმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია მტერს, მაგრამ ბოლოს, როცა „უკიდურესად გაუჭირდა და ღონე მიუწყდა“, იძულებული გახდა დანებებოდა ტყვედ. საინტერესოა, რომ ფასიჰი ხაფის აქაც აქვს ნახსენები „მუსლიმანი ჯამაათის განთავისუფლება“[4], რომელიც ტყვედ ჰყოლიათ აქაურ ქართველებს.

აღნიშნული ამბების შემდეგ თემურლენგმა მარბიელი ლაშქარი შეუსია გარშემო მიდამოებს და თვითონაც წინ დაიძრა სამთავისის გზით.

დამპყრობლები ყველაფერს სპობდნენ და ანადგურებდნენ თავიანთ გზაზე. ნეზამ ად-დინ შამის მათ შესახებ ნათქვამი აქვს, რომ „ურჯულოთა შენობები დასწვეს, ყანები გაანადგურეს და ეკლესია-მონასტრები

---

[1] ფასიჰ აჰმად ჯალალ ად-დინ მოჰამედ ხაფი, მაჯმალე ფასიჰი, ბეთასჰიჰ ვა თაჰშიეიე მაჰმუდ ფარაჰ, მაშჰად, 1339 (სპარსულ ენაზე), გვ. 143 (ქვემოთ — ფასიჰი ხაფი).

[2] ძეგლი ერისთავთა, გვ. 359.

[3] პ. ზაქარაია, ლარგვისის არქიტექტურული ანსამბლი, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIX, თბ., 1956, გვ. 49.

[4] ფასიჰი ხაფი, გვ. 143.

დაანგრიესო"[1]. მასვე აღნიშნული აქვს აქედან ცხენების რემათა და ცხვრის ჯოგების დიდი რაოდენობით გარეკვა დავლად.

ასეთი ნგრევა-ოხრებით მოაღწია თემურლენგის ჯარმა გორამდე, სადაც გამაგრებული იყო საქართველოს მეფე. გიორგიმ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია მტერს, მაგრამ თემურლენგმა მაინც მოახერხა გორის ციხის აღება, რომელიც, ნეზამ ად-დინის ცნობით, თითქოს მიწასთან გაასწორეს.

გორის ციხის დაპყრობის შემდეგ თემურლენგმა სარდალი ამირ ჯაჰან შაჰი დაადევნა გიორგი VII-ს, რომელიც, სპარსელი ისტორიკოსების მოწმობით, „დაჭრილი ვეფხვივით იბრძოდა ტყეებსა და ვიწრობებში".

თემურლენგი კი თავისი ბანაკით გავიდა ქართლის ვაკეზე და შეუდგა ქვეყნის აოხრებას. მისმა მეომრებმა „დაწვეს და აღაოჯრეს, და მოვლნეს ყოველნი არენი და სანახებნი შიდა ქართლისანი, და აღიღეს ციხენი, გოდოლნი და სიმაგრენი ყოველნივე თჳნიერ მთისა კავკასიისა. მაშინ ძირითურთ აღმოფხურეს დიდი ეკლესია იგი რუისისა, რომელ არს საყდარი ღვთაებისა, ვიდრე საფუძველითურთ დაარღვივეს, და არა-სადა დაშთა დაბანი და შენობანი მათ მიერ წარუტყუენელად"[2].

მიუხედავად დიდი ცდისა და მეცადინეობისა, თემურლენგის მოლაშქრეებმა ვერსად ვერ მიაგნეს გიორგი მეფის კვალს. მართალია, მათ მეფის ამალის წევრებიც კი შეიპყრეს, მაგრამ ვერავითარი ტანჯვა-წამებით ვერ ათქმევინეს სად იყო გამაგრებული გიორგი მეფე.

აქაური მიდამოების მოთარეშებისა და სასტიკი მოოხრების შემდეგ თემურლენგის ლაშქარი მტკვარზე გადავიდა სამწევრისის ბოლოს და დაბანაკდა. აქ თემურლენგმა შეიტყო, რომ გიორგი გამაგრებული იყო ძოვრეთის ციხეში და სასწრაფოდ პირადად გაილაშქრა მის წინააღმდეგ.

ძოვრეთის ანუ ძამის ციხე მდებარეობდა მდ. ძამის ხეობაში აწინდელი ქარელის რაიონის სოფელ ორთუბანთან. მისი სიმტკიცე-მიუვალობა საგანგებოდ აქვთ ხაზგასმული თემურლენგის კარის ისტორიკოსებს. ნეზამ ად-დინ შამი, მაგალითად, აღნიშნავს, რომ იგი ისეთი მაღალი და მიუვალი იყო, რომ არავის სმენია ვინმეს ოდესმე ძალით აეღოსო. ისედაც ბუნებრივად მყარი და მიუვალი ციხე გიორგის საგულდაგულოდ გაემაგრებინა და მომზადებულიყო თავდაცვისათვის.

მტრებმა ძამის ციხე გარემოიცვეს, მიუყენეს ლოდების სატყორცნი და სხვა საალყო ჭაკრაკ-მანქანები და ციხისათვის გაჩაღდა სისხლისმღვრელი ბრძოლა. შვიდი დღე და ღამე მეციხოვნეები მამაცურად იგერიებდნენ იერიშებს და დიდ ზარალსაც აყენებდნენ მტერს მძიმე ლოდე-

---

[1] ნ ე ზ ა მ ა დ-დ ი ნ ი, გვ. 216.

[2] ქ. ცხ., II, გვ. 453.

ბისა და ძელების დაგორებით. მაგრამ მტერი არავითარ ზარალს არ ერიდებოდა და გააფთრებით უტევდა ალყაში მოქცეულ ციხესიმაგრეს.

მეშვიდე დღეს თემურლენგი პირადად ჩაუდგა სათავეში ძამის ციხეზე „მეფური იერიშის“ მიტანას; მეციხოვნეთა ნაწილი გმირულად შეაკვდა მტერს, ნაწილმა კი, რაკი ნახა ციხეს ვეღარ შეინარჩუნებდა, გიორგის მეთაურობით ხმალდახმალ გააპო ალყა და ხელიდან გაუსხლტა მოწინააღმდეგეს. გამძვინვარებულმა მტერმა გულის ჯავრი გარეშემო მიდამოების მოსახლეობაზე იყარა; თემურლენგის მეომრები მოედვნენ არემარეს და დატყვევებულ მოსახლეობას ერეკებოდნენ ძამის ციხესთან, სადაც მათ ჯგუფ-ჯგუფად ხოცავდნენ უმოწყალოდ. შარაფ ად-დინ ალი იეზდის მოწმობით, მათი სისხლით „მიწის ზედაპირი შეიღება ლალისფრად, ერთმანეთზე ლეშად დაყრილი გვამებით კი ველი იქცა უშველებელ გორად, რომლის კალთებზე სისხლი მოედინებოდა ნაკადულებად“.

თემურლენგმა აქვე, ძამის ციხის მიდამოებში შეიტყო გიორგი მეფის ადგილსამყოფელი და დაუყოვნებლივ სავანეთის ციხისაკენ გაუძღვა ჯარს. ეს ციხე საკმაოდ შორს უნდა ყოფილიყო ძამის ციხიდან, რადგან თემურლენგს საგანგებოდ გამოუკითხავს იქითკენ მიმავალი გზები გიორგის წინააღმდეგ გალაშქრების წინ.

სავანეთის ციხე, რომელიც თანამედროვე ტოპონიმთა შორის ზემო ქართლის მიდამოებში აღარ ჩანს, უნდა ყოფილიყო ძამის ციხიდან დასავლეთით, იმერეთში მიმავალ გზასთან. სავსებით შესაძლებლად მიგვაჩნია აქ იგულისხმებოდეს ლიხის მთის ფერდობზე არსებული ის ადგილი, რომელსაც დღეს „სავანისუბანი“ ჰქვია.

გიორგიმ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია თემურლენგის მრავალრიცხოვან ჯარს, მაგრამ ბოლოს, რომ შეიტყო ციხეს ვეღარ შეინარჩუნებდა, კვლავ გაარღვია ალყა და ბრძოლით გაეცალა მტერს. ხოლო რაკი მთელი აღმოსავლეთი საქართველო თითქმის მოწინააღმდეგეს ეპყრა, გიორგი VII იძულებული გახდა გადასულიყო იმერეთში. თემურლენგმა დასავლეთ საქართველოში გალაშქრება ვერ გაბედა და რაზმები დაადევნა საქართველოს მეფეს. ისინი ხელცარიელი დაუბრუნდნენ თავიანთ სარდალს.

ამის შემდეგ თემურლენგმა მთელი რისხვა დაატეხა აღმოსავლეთ საქართველოს. იგი ჯერ სამცხეს შეესია. ივანე ათაბაგი იძულებული გახდა სიმაგრეში ჩაკეტილიყო. მტრის ურდოებმა საშინლად ააოხრეს და გაძარცვეს სამცხე და დიდძალი ტყვე იგდეს ხელთ[1].

ათაბაგის ქვეყნის აოხრების შემდეგ თემურლენგმა მიმართა არაგვის

---

[1] ქ. ცხ., II, გვ. 333.

ხეობას. გზად მას თრიალეთით კლდეკარზე გადაუვლია და ჩასულა თეძმის ხეობაში. რკონის მონასტრის პატარა ეკლესიის წარწერის მიხედვით, თემურლენგს აქ აუოხრებია ეკლესია-მონასტრები და მათ შორის რკონიც დაუქცევია[1]. მის მიერვე დარბეულ იქნა ქვაბთახევის დიდებული ტაძარიც, რომელშიც დამპყრობლებმა შეამწყვდიეს „მუნ მყოფნი კაცნი, მამანი და დედანი, მღდელნი და დიაკონნი და მონაზონნი", ცეცხლი შეუკეთეს და გამოსწვეს შიგ[2]. გადამთიელი ხეიბარი შემდეგ მცხეთაში დაერია ეკლესია-მონასტრებს, საიდანაც „წარიღო სრულიად პატიოსანი სამკაული და შემკობილნი ჭურჭელნი წმიდისა კათოლიკე ეკლესიისანი"[3]. განსაკუთრებით დიდი ზიანი და ზარალი განიცადა სვეტიცხოვლის ეკლესიამ.

ამის შემდეგ თემურლენგის ჯარები შეიჭრნენ არაგვის ხეობაში, სადაც მათთვის მედგარი წინააღმდეგობა გაუწევიათ იქაურ „მამაცსა და მკვირცხლ მეომრებს"[4].

სპარსელი ისტორიკოსების მოწმობით თემურლენგის ჯარმა ამ ხეობაში ცხარე ბრძოლებით დაიმორჩილა ციხესიმაგრეები და გაჟლიტა აუარებელი ხალხი.

არაგვის ხეობის მიდამოთა დარბევა-აოხრების შემდეგ თემურლენგი აჩქარებული მარშით გაემართა კოლის მინდვრისაკენ. აქ თემურლენგთან მისულან იმ მიდამოებში მცხოვრები მუსლიმანები და უთხოვიათ დახმარება. ისინი განსაკუთრებით უჩიოდნენ ტაოს ქრისტიანულ მოსახლეობას: „რაჟამს მოიცლიდიან ქართველნი ლანგ-თემურისაგან, ჩაუდგიან თათართა, რომელნი ესახლნეს საზღვარსა ქართლისასა მაჰმადიანნი, და მოაოჯრებდიან"[5].

თემურლენგმა სარდალი ნურ ად-დინი გაგზავნა ტაოში და რამდენიმე დღის შემდეგ თვითონაც იქითკენ გაემართა „სარწმუნოებისა და ერის უმნიშვნელოვანეს საქმეებში პირადი მონაწილეობის" მიღების საჭიროების გამო. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ მის მიერ გაგზავნილმა სარდალმა ვერაფერი გაარიგა იქაური ქართველების წინააღმდეგ.

თემურლენგს ხუთ დღეში დაუპყრია ფანასკერტი და კიდევ ექვსი სხვა ციხე, რომელთა სახელები წყაროებში არ ჩანს. ფარსადან გორგიჯანიძის მოწმობით, თემურლენგის ჯარისათვის სასტიკი წინააღმდეგობა გაუწევიათ და დიდი ზარალიც მიუყენებიათ აქაური ციხეების დამცველებს.

შარაფ ად-დინ ალი იეზდის მოწმობით, დაპყრობილი ციხეები თითქოს

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966, გვ. 299.
[2] ქ. ცხ., II, გვ. 328.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 452.
[4] შ ა რ ა ფ ად-დ ი ნ ი, ტ. II, გვ. 249.
[5] ქ. ცხ., II, გვ. 334.

მიწასთან გაუსწორებია თემურლენგის ჯარს, რაც, როგორც ყოველთვის, აქაც გაზვიადებული ჩანს. მისივე ცნობით, „ურჯულო ხალხიც“ ზომაზე მეტი დაუხოცავთ აქ.

ამის შემდეგ თემურლენგი თავისი ჯარით ისევ კოლის მინდორს მიუბრუნდა და მთელი ორი თვე გაატარა იქ.

ფანასკერტის ციხის დაპყრობითა და მიმდგომი მხარეების მოთარეშობა-მოოხრებით დაამთავრა თემურლენგმა 1400 წ. საქართველოს წინააღმდეგ მოწყობილი კამპანია, რაც გრძელდებოდა ამ წლის მთელ გაზაფხულ-ზაფხულს. ამ ხნის განმავლობაში მან დაარბია და ააოხრა მთელი აღმოსავლეთი და სამხრეთ საქართველოს უდიდესი ნაწილი. დარბეულ ტერიტორიაზე თემურლენგის ჯარი არ ტოვებდა კეთილნაშენის ნიშანწყალს. მტრები ველური სისასტიკით ანგრევდნენ საკულტო ნაგებობებსა და ციხე-კოშკებს, წვავდნენ და ანადგურებდნენ საცხოვრებელ სახლებსა და დამხმარე შენობებს, კაფავდნენ და ძირიანად თხრიდნენ ნაყოფიერ ხეებსა და ზვარ-ვენახებს, ოთხფეხს აძოვებდნენ და ანადგურებდნენ მოწეულ ყანებს, უმოწყალოდ ჟლეტდნენ მოსახლეობას. ამასთან, მტერმა აუარებელი დავლა იგდო ხელთ.

ცოცხლად გადარჩენილი მოსახლეობის ერთი ნაწილი მტერს ძალით გაუმაჰმადიანებია და ისე წაუყვანია ტყვედ. „ახალი ქართლის ცხოვრების“ მოწმობით, თემურლენგმა „რაოდენნიცა შეიპყრნა კაცნი ქრისტიანენი, დაჰპატიჟნა სჯული მაჰმადისა და, რომელიცა მორჩილ ექმნა, თანა წარიყვანა, და რომელიცა არა მორჩილ ექმნეს, მოსრნა პირითა მახვილისათა“[1]. თომა მეწოფელის მოწმობით, ტყვეთა რიცხვი, რომლებიც დავლასთან ერთად სამარყანდისაკენ გაუსტუმრებიათ, ყოფილა 60 ათასზე მეტი[2]. გზად ქართველი ტყვეები ჩაუტარებიათ სომხეთის ტერიტორიაზე. თურმე „ყოველ ხუთ მეომარს 20 ტყვე მიჰყავდა. მრავალი მათგანი გზაზე კვდებოდა, ხოლო თემურლენგის მეომრები ქვით უჰეჭყავდნენ მათ თავს, რათა ცოცხალი არ დარჩენილიყვნენ“[3]. ყოველივე ეს საკუთარი თვალით უნახავს თომა მეწოფელს, რომელიც გულისტკივილით დაასკვნიდა: „ვაი-ვაგლახი გაისმოდა ქრისტიანთა ტომთა ზედა, ვხედავდით ტყვევნას და შველა კი ვერ შეგვეძლო“[4].

შეიძლება სრულიად თამამად ითქვას, რომ აქამდე საქართველოს ასეთი ულმობელი მტრის შემოსევა და მსგავსი ნგრევა-გაჩანაგება არასდროს განუცდია.

---

[1] ქ. ცხ., II, გვ. 333.
[2] თ. მ ე წ ო ფ ე ლ ი, გვ. 21.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 22.
[4] ი ქ ვ ე.

§ 5. 1401 წ. შამქორის ზავი და თემურლენგის მეშვიდე შემოსევა საქართველოში

ზავის დადება და მისი დარღვევა. როგორც კი თემურლენგი შუაგულ საქართველოს გაეცალა, გიორგი VII დაბრუნდა აფხაზეთიდან და შეუდგა აოხრებული ქვეყნის მოწესრიგებას. მან ორგულთა დასჯის მიზნით დვალების წინააღმდეგ გაილაშქრა ერისთავ ვირშელთან და ერისთავ სურამელთან ერთად.

დვალები თემურლენგის 1400 წლის შემოსევის დროს აჯანყებიან ერისთავ ვირშელს. მტრის შემოსევის დროს მათი ასეთი მოქმედება ღალატად ჩაუთვლიათ და ეს იყო მეფის და ერისთავების დვალეთში გალაშქრების მიზეზი. შეერთებულმა მხედრობამ დაამარცხა დვალები და ხელთ იგდო დიდი დავლა, მათ შორის „დაფლული მრავალი განძი“.

საქართველოში დატრიალებული ნგრევა-ოხრებისა და ხოცვა-ჟლეტის შემდეგ, როგორც ითქვა, თემურლენგი ორ თვეს იდგა კოლის მინდორზე. აქედან ის სივასის წინააღმდეგ გაემართა, სადაც ციხეს შეერთებული ძალით იცავდნენ მუსლიმანი ოსმალები და ქრისტიანი სომხები. დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად თემურლენგმა მოახერხა ციხის აღება, თავის ჯარს ერთიანად გააჟლეტინა ოსმალები, ხოლო 4 ათასი სომეხი ცოცხლად დაამარხვინა[1].

აღნიშნული ამბების შემდეგ თემურლენგი დაიძრა ეგვიპტის წინააღმდეგ, საიდანაც პირი ბაღდადისკენ იბრუნა. ბაღდადისკენ რომ მიემართებოდა, თემურლენგმა თავისი ჯარი ორად გაჰყო: ერთი ნაწილი თვითონ იახლა თან, მეორე კი საქართველოსაკენ გამოგზავნა და გზად ალინჯის ციხის დაპყრობაც დაავალა.

საქართველოში ჯარის გამოგზავნის მიზეზად ისტორიკოსი ჰაფეზე აბრუ იმას ასახელებს, რომ უკიდურესობამდე მისულ გაჭირვებულ ალინჯის ციხის დამცველებს საქართველოს მეფისათვის კვლავ დახმარება უთხოვიათ და გიორგიც შეჰპირებოდა, რომ იგი პირადად გაილაშქრებდა იქ და განდევნიდა მტერს. მისივე მოწმობით, თემურლენგის ჯარის მოსვლა რომ გაიგო, გიორგი მეფე თითქოს დასავლეთ საქართველოში გადასულა.

უკვე თითქმის თერთმეტი წელიწადი იყო გასული, რაც ალინჯის ციხის ერთი მუჭა გარნიზონი მამაცურად უმკლავდებოდა მტრის მრავალრიცხოვან ჯარს. მეციხოვნეები დიდ სიძნელეებს განიცდიდნენ ხორაგის ნაკლებობის გამო. ციხეში განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ამ

---

[1] ნეზამ ად-დინი, გვ. 239.

ჭხრიკ ალინჯის მიდამოებში თემურლენგის ახალი ჯარის მოსვლის დროს. გაძვალტყავებული, მშიერი მეცხოვნეები სულს ღაფავდნენ; ისინი ძველ ქურქებს, ღვედებს და წაღებს ღრღნიდნენ, მაგრამ ესეც აღარ ეშოვებოდათ. ბოლოს და ბოლოს, იძულებული შეიქნენ დანებებოდნენ მტერს.

ალინჯის ციხის დაპყრობის შემდეგ მტრის შეერთებული მხედრობა საქართველოს მოადგა აღმოსავლეთიდან. გიორგი მეფემ თემურლენგის სარდლებს მოციქულები შეაგება დაზავების წინადადებით და აღუთქვა, რომ პირადად გამოცხადდებოდა თემურლენგის კარზე ამ მხარეში მისი გამოჩენისთანავე. სარდლებმა ეს ამბავი თემურლენგს აცნობეს, თვითონ კი კოლის მინდორს მიაშურეს გამოსაზამთრებლად.

თემურლენგი ბაღდადის აღების შემდეგ თავრიზისაკენ წამოვიდა და ნახიჩევანის მიდამოებში დადგა. აქედან მან გიორგი VII-ს მოციქული გაუგზავნა და მოთხოვა სავერი, ხარაჯა, ჯიზია და ბაჟი. ამის შემდეგ თემურლენგი შამქორში დაბანაკდა. აქვე დაბრუნდნენ საქართველოში გაგზავნილი ელჩები და საქართველოს მეფის დესპანებიც მოიყვანეს.

საქართველოს მეფის ელჩობას სათავეში გიორგი მეფის ძმა კონსტანტინე ბატონიშვილი ედგა. კონსტანტინე ბატონიშვილი პირადად შეხვედრია თემურლენგს და გადაუცია გიორგი VII-ის სიგელი მდიდრულ საჩუქრებთან ერთად. მოლაპარაკების შემდეგ ზავის ასეთ პირობებზე შეთანხმებულან: 1. საქართველო ყოველწლიურად თემურლენგის სასარგებლოდ გადაიხდიდა ხარკს. 2. გამოიყვანდა დადგენილი რაოდენობის ჯარს პირველი მოთხოვნისთანავე. 3. საქართველო არ ჩაკეტავდა სამიმოსვლო გზებს. 4. ქართველები თავიანთ ქვეყანაში არ შეავიწროვებდნენ მუსლიმანებს. 5. ქართველები ქრისტიანული რელიგიის ადათ-წესებს აშკარად არ შეასრულებდნენ მუსლიმანთა ქვეყნებში და 6. თემურლენგი ხელშეუხებლობასა და უსაფრთხოებას აღუთქვამდა საქართველოს.

ჩანს, თემურლენგი თვითონაც კმაყოფილი იყო საქართველოსთან დადებული ასეთი ზავისა ოსმალეთის ძლიერ სახელმწიფოსთან გადამწყვეტი შეტაკების წინ. ნეზამ ად-დინის მოწმობით, მან საქართველოს ელჩებს დაუყვავა ზავის დადების შემდეგ, ხალათები უბოძა და გახარებულები გაისტუმრა შინ. თვითონ კი კმაყოფილი, რომ საქართველოს ამბავი სასურველად დასრულდა და „ურჩებმა თავი მორჩილების უღელში შედეს", ყარაბახში დაბრუნდა გამოსაზამთრებლად.

შამქორის ზავი დადებულ იქნა 1401 წლის სექტემბრის მეორე ნახევარში.

ყარაბახში დგომის დროს თემურლენგმა თავისი ჯარის ერთი ნაწილი მტკვარგაღმა განაწესა და კავკასიის მთის სამხრეთ კალთებზე მცხოვრები ლეკების დარბევა დაავალა. აქედან სხვა მხარესაც ყოფილა წასული მისი

მარბიელი ჯარი. გაზაფხულზე ლაშქარი ყარაბახის ბანაკში შეიყარა და თემურლენგმა იგი ოსმალთა სამფლობელოებისაკენ დაძრა.

გზაში თემურლენგს მოახსენეს, რომ თორთუმის ციხეში 200 ქართველი გამაგრებულიყო, რომლებიც არც ხარკს იხდიდნენ და მუსლიმანებსაც ესხმოდნენ თავს. გიორგი VII-სთან 1401 წ. დადებული ზავის მიუხედავად თემურლენგმა რამდენიმე სარდალი გაგზავნა თორთუმის ციხეში გამაგრებული ორასი ქართველის წინააღმდეგ 25-ათასიანი ჯარით. მეციხოვნეები ხუთ დღეს უმკლავდებოდნენ მოწინააღმდეგის მრავალრიცხოვან ჯარს. მტერმა მხოლოდ მეექვსე დღეს მოახერხა მათი წინააღმდეგობის დაძლევა და ციხის დამორჩილება. ცოცხლად გადარჩენილები მტერმა იქვე აკუწა ხმლით, ციხე კი დაანგრია. ეს მოხდა 1402 წელს.

§ 6. თემურლენგის მერვე (უკანასკნელი) შემოსევა საქართველოში 1403 წ. ზავის დადება

თემურლენგთან ხელახალი დაზავების უნაყოფოცდა. თორთუმის ციხის დაპყრობის შემდეგ თემურლენგის ჯარი შემოადგა ოსმალებს და მათ შორის საცილობლად გამხდარ ქამახის ციხეს.

ოსმალეთი საკმაოდ ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა ამ დროს. სულთანმა ბაიაზეთ ილდირიმმა (1389—1402) ნიკოპოლთან 1396 წ. სასტიკად დაამარცხა ჯვაროსანთა შეერთებული ლაშქარი და დიდი საფრთხე შეუქმნა ევროპის ქვეყნებს[1]. ოსმალთა მოძალებისაგან ხსნას ევროპის მონარქები ხედავდნენ თემურლენგთან კავშირში[2]. კონფლიქტი თემურლენგსა და ბაიაზეთ ილდირიმს შორის უკვე მომწიფებული იყო. თემურლენგს არაფრად ეჭაშნიკებოდა ოსმალთა ძლიერი სახელმწიფოს არსებობა თავისი სამფლობელოების ახლოს. მეორე მხრივ, თემურლენგის ეგზომი გაძლიერება არც ოსმალეთს აძლევდა ხელს.

გადამწყვეტი ბრძოლა ოსმალეთის სულთანსა და თემურლენგის ჯარებს შორის მოხდა 1402 წ. 28 ივლისს ანგორასთან. თემურლენგმა სასტიკად დაამარცხა ოსმალთა ლაშქარი, ხოლო სულთანი ბაიაზეთ ილდირიმი ტყვედ იგდო.

ანგორის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ თემურლენგმა მოარბია მთელი მცირე აზია, დაიპყრო ბურსა, იზმირი და სხვა ქალაქები, ოსმალეთის ერთიანი სამეფო დაუნაწილა ბაიაზეთის ოთხ შვილს, რათა ჩქარა ვერ

---

[1] А. Д. Новичев, История Турции, I, Л., 1963, с. 35.

[2] Умияков, Из истории международных отношений Средней Азии, Ташкент, 1971, с. 101.

გაერთიანებულიყო. ამის შემდეგ იგი 1403 წლის გაზაფხულზე მერვედ და უკანასკნელად მოადგა საქართველოს.

საქართველოში თემურლენგის ახალი შემოსევის მიზეზად ნეზამ ად-დინს დასახელებული აქვს გიორგი მეფის მიერ წინა წელს დადებული თავისი პირობის შეუსრულებლობა[1].

საქართველოსაკენ წამოსული თემურლენგი ყარსში მოვიდა. აქედან მან გზების შესაკრავად გამოგზავნა შარვანშაჰი შეიხ იბრაჰიმი.

გიორგი VII, როგორც ჩანს, გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს თემურლენგის მოძრაობას და უმალვე ელჩი მიაგება დაზავების თხოვნით. ელჩობას სათავეში ახლაც გიორგის ძმა კონსტანტინე ედგა[2].

კონსტანტინემ მდიდრული საჩუქრები მიართვა აზიის დიდ მპყრობელს და გადასცა გიორგი მეფის არზა, რომელშიც იგი სინანულს გამოთქვამდა იმრე ნაკისრი მოვალეობის შეუსრულებლობისათვის და თემურლენგს სთავაზობდა ზავსა და მშვიდობას.

საქართველოში მაშინ მოსავლის აღების დრო იყო და გიორგი მეფე ცდილობდა დიპლომატიური მოლაპარაკებით როგორმე მოეგო დრო. მაგრამ ცბიერსა და ეჭვიან თემურლენგს მხედველობიდან არ გამოპარვია ეს გარემოება და სწორედ იმ მოტივით, რომ „ახლა საქართველოში მოსავლის აღების დროა და თუ მომკა-გალეწვა მოასწრეს თავს მოიღონიერებენ და აღარ დაგვნებდებიანო“. შემოესია საქართველოს.

ბ რ ძ ო ლ ა ბ ი რ თ ვ ი ს ი ს ც ი ხ ი ს ა თ ვ ი ს. ბირთვისის ციხისათვის გამართული ბრძოლის ამბები ზღაპრული ელფერით არის წარმოდგენილი როგორც სპარსულ, ისე ქართულ წყაროებში, რაც გამოწვეულია როგორც თვითონ ციხის მიუვალობით, ისე მისი დამცველების მიერ გაჩოჩენილი საარაკო გმირობით და მისი დაპყრობის დროს თემურლენგის მიერ გამოვლენილი დიდი მხედრული ოსტატობით.

თემურლენგის კარის ისტორიკოსთა აღწერით, საქართველოში ორ ღრმასა და უძირო ხეობას შორის ცისკენ 150 წყრთაზე თავი აეზიდა ყოველი მხრიდან გლუვსა და ციცაბო კლდეს. მას სამხრეთიდან პატარა ნაწილი გამოჰყოფდა, რომელიც კიდევ უფრო მაღლა იყო აზიდული და ზედ ასვლა შეუძლებელი იყო კიბის, თოკისა და სხვა სამარჯვთა გარეშე. ქართველებს ციხედ სწორედ ის მწვერვალი ექციათ, რომელსაც ბუნებრივად შემოზღუდული კლდეების ვიწრო გასავალში მყარი ჭიშკარი ჰქონდა დატანებული. ამ მთასა და ციხეს ერთი ძალიან ვიწრო და დაკლაკნილი ბილიკის გარდა სხვა არა უდგებოდა რა. გარშემო მიდამოები კი დასერილი იყო ურიცხვი უსწორმასწორო ხევებით, ღელეებითა და ძნელადსავალი მთის კალთებით. ნათანაზის თქმით, ციხის გარშემო ერთი მტკაველი

[1] ნ ე ზ ა მ ა დ-დ ი ნ ი, გვ. 277.

[2] ქ. ცხ., II, გვ. 468.

სწორი ადგილიც კი არსად იყო ქარვების გასაშლელად და დასადგომად. ამასთან, ციხის გარშემო წყალი არსად იშოვებოდა, არც საძოვრები იყო და თან ისეთი ხვატი იდგა, რომ ნეზამ ად-დინ შამი იქაურობას ადარებს გახურებულ თონეს.

ციხეში გამაგრებული იყო თორელი და ოცდაათი სხვა აზნაური თავიანთი ცოლ-შვილით. მათვე ახლდათ 150 მეციხოვნე, რომლებიც საუცხოოდ იყვნენ მომზადებული თავდაცვისათვის:—კლდეში ამოკვეთილი ვეება აუზები სავსე ჰქონდათ წვიმის წყლით, ჰყავდათ ცხვრის ფარა და ღორების კოლტი, ჰქონდათ ხორბლის დიდი მარაგი და ბევრი ჭურიც ღვინით სავსე. ისტორიკოს ნათანზის თქმით, მეციხოვნეები ალაყაფიდან მოელოდნენ მტრის თავდასხმას და ფხიზლადაც დარაჯობდნენ მას, თან დროდადრო კლდეებზე გადმოდგებოდნენ და ღვინითა და სიმღერით იქცევდნენ თავს.

ნეზამ ად-დინ შამის მოწმობით, რომელიც პირადად დასწრებია ბირთვისში გამართულ ბრძოლებს, „ქვეყნიერების მომვლელი მოგზაურები უფრო ძლიერსა და მიუვალ ციხეს ვერ ასახელებდნენ, ხოლო ძლევამოსილი მოლაშქრეები, რომლებსაც ათასობით სიმაგრე დაეპყროთ ქვეყნიერების სხვადასხვა კუთხეში, ერთხმად აღიარებდნენ, რომ ამაზე უფრო ძლიერი ციხე ჯერ არსად შეგვხვედრიაო“.

აღსანიშნავია, რომ თემურლენგი 1400 წლის შემოსევის დროსაც იყო ამ ციხესთან, მაგრამ ერთბაშად მისი აღება ვერ მოახერხა და ხელმოცარული გასცილდა მას.

ბრძოლის დაწყების წინ თორელმა რამდენიმე კაცი გაგზავნა თემურლენგთან საჩუქრებით. შარაფ ად-დინის თქმით, მოციქულებმა „ხვეწნა-ვედრების ენა გაშალეს მორჩილებისა და სამსახურის შესაპირებლად, მაგრამ რომ დაატყვევეს, მათი ფლიდი ცბიერება ვერ გაჭრიდა და ზეციური სახლის მონას (თემურლენგს) მათზე იერიშის მიტანის გადაწყვეტილებიდან ხელს ვერ ააღებინებდა, იმედის ზურგი ციხის სიმტკიცეს მიანდვეს, ურჩობა-წინააღმდეგობა დაიწყეს და შეუდგნენ ისრებისა და ლოდების სროლას“[1].

თემურლენგი ციხესთან მისვლისთანავე (1403 წ. 3 აგვისტო) პირადად ჩაუდგა სათავეში მის დასაპყრობად საჭირო ღონისძიებათა განხორციელებას. ციხის ალაყაფის კარს მან სარდალი შაჰმალექი მიუჩინა და უბრძანა მის პირდაპირ ისეთი სიმაგრის აგება, რომ შიგ მოზრდილი ჯარი ჩატეულიყო. სარდალს მართლაც სამ დღეში აუგია დიდი ციხე, რომელშიც სამი ათასი კაცი ეტეოდა. თემურლენგი აქ მოალყეების დატოვებას აპირებდა ციხის აღება თუ დროზე ვერ მოხერხდებოდა.

---

[1] შარაფ ად-დინი, ტ. II, გვ. 373.

ამის შემდეგ თემურლენგმა ციხის ზურგისაკენ გადაინაცვლა და საალყო მანქანების და ლოდების სატყორცნი ბალისტების გამართვა ბრძანა. გარდა ამისა, ორი მხრიდან დამატებით ორი პატარა ციხის აგებაც დაავალა თავის ჯარს. ნათანზის თქმით, თემურლენგმა ამ საქმეებით თავისი სარდლები ისე დატვირთა, რომ დღისით მოსვენება და ღამით ძილი აღარ ჰქონდათ. თემურლენგმა იქვე ააშენებინა უზარმაზარი კოშკი ხის მორებისა, ლოდებისა და ალიზისაგან. იგი ისეთი მაღალი ყოფილა, რომ იქიდან თურმე ციხეშიც კი იჭვრიტებოდნენ. გარდა ამისა, გაამართვინა უამრავი ბალისტ-მანჯანიყი და სხვა საალყო ჭახრაკ-მანქანები, რომელთა მეშვეობით დღე და ღამე უშენდნენ ციხეს მძიმე ლოდებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნათანზის თქმით, „იმ ცადაზიდულ კლდეს არაფერი ზიანი არ მოსდიოდა, მის თავზე გადმომდგარი მეციხოვნეები კი არხეინად იყვნენ და გუნებაში ფიქრობდნენ: აქ ამოფრენა ჩიტსაც კი უჭირს და კაცი ჩვენზე როგორ იმძლავრებსო“. მართლაც, გადიოდა ხანი, ციხის დაპყრობის საქმე კი სულ არ წაწეულა წინ და ყველაფერი ამაო იყო. მაგრამ თემურლენგი ჯიუტად აგრძელებდა ალყას და არ კარგავდა მისი დაპყრობის იმედს.

თემურლენგს ლაშქარში უამრავი სხვადასხვა დარგის ოსტატ-ხელოსანი ჰყავდა, რომლებსაც წარმატებით იყენებდა ომების დროს. მათ შორის იყვნენ საალყო და ქვის სატყორცნი ჭახრაკ-მანქანების ოსტატები, ხუროები, მჭედლები, ქარქანები, რომლებიც უწყლო ველებსა და უდაბნოებში ხელდახელ ამოიღებდნენ ჭას, და სხვა მრავალი დარგის სპეციალისტი. ჰყავდა კლდეზე ცოცვაში გაწაფული მეომრებიც მექრითთა ტომებიდან, რომლებსაც, შარაფ ად-დინ ალი იეზდის მოწმობით, ქვეყანაზე ბადალი არ ჰყავდათ ამ საქმეში. თემურლენგმა სწორედ მათ მოხერხებასა და ოსტატობაზე დაამყარა ბირთვისის ციხის აღების მთელი გეგმა.

ნეზამ ად-დინ შამი მოგვითხრობს, რომ ბირთვისის ციხეს სამხრეთიდან ერტყა ერთი უაღრესად მაღალი, გლუვი და ციცაბო კლდე, რომელზეც ასვლა გონებისთვისაც კი წარმოუდგენელი იყო. ქართველებს იმ კლდისათვის შიგნიდან კიბე გაეკეთებინათ და საბელი გადმოეგდოთ, რომ მისი დახმარებით ასულიყვნენ ზედ. ერთ-ერთმა მექრითმა, რომელსაც სახელად ბეგიჯაგი ერქვა, იმ ციცაბო კლდეზე ასვლა მოახერხა და ციხეში ჩაიპარა. შიგ ერთი თხა დაიჭირა, დაკლა და მისი თავი თემურლენგს ნიშნად ჩამოუტანა. მეციხოვნეებმა კი ამის შესახებ ვერა გაიგეს რა.

ამის შემდეგ თემურლენგისათვის ციხის დაპყრობის საქმე დიდად გაადვილებული იყო და ისიც შეუდგა ენერგიული ღონისძიების განხორციელებას. მისი ბრძანებით მოლაშქრეებმა ხამი აბრეშუმისა და ბამბის თოკებისაგან დაგრიხეს უზარმაზარი მოძრავი კიბე, რომელსაც, ნათანზის მოწმობით, 400 საფეხური ჰქონდა. ამის პარალელურად თემურ-

ლენგმა მთელს ლაშქარში გამოარჩია ყველაზე გულადი და თავგამეტებული მეომრები და ურიცხვ წყალობას შეპირდა ციხისათვის ბრძოლების წარმატებით დაგვირგვინების შემთხვევაში. მის უზარმაზარ ლაშქარში სულ 52 ასეთი მოხალისე აღმოჩნდა, რომლებიც საგანგებოდ იქნენ აღნუსხული დავთარში ხელმწიფის მდივანმწიგნობართა მიერ. მათი მეთაურობა თემურლენგმა დაავალა თავის ერთ-ერთ ყველაზე წარჩინებულ სარდალს ამირ შაჰმალექს.

ბირთვისის ციხის დასაპყრობად თემურლენგის მიერ შემუშავებული გეგმა ითვალისწინებდა შემდეგი ღონისძიებების განხორციელებას: ბალისტ-მანჯანიყებისა და სხვა საალყო მანქანების ოსტატები დღე და ღამე არ შეწყვეტდნენ ციხისათვის მძიმე ლოდების დაშენას. მართალია, მათ მიერ ნატყორცნი ლოდები ბირთვისის ციხის კლდის შუა წელამდეც კი ვერ აღწევდა და მეციხოვნეებს ზარალიც არ მოსდიოდათ, მაგრამ სამაგიეროდ ისინი საშინელი ზარითა და ზათქით მიექანებოდნენ უფსკრულისაკენ და აყრუებდნენ ყურთასმენას. ამით მეციხოვნეებს ძილს დაუკარგავდნენ და არ მისცემდნენ მოსვენებას. ერთ ღამეს კი შეაჩერებდნენ მანჯანიყების მოქმედებას და ჩამოვარდებოდა სიწყნარე, რაც ღრმა ძილის საშუალებას მისცემდა ბირთვისის ციხის დამცველებს. სწორედ ამით ისარგებლებდნენ მექრითები და მოძრავ კიბეს აიტანდნენ ბირთვისის ციხის სამხრეთით მდებარე კლდეზე, რომლითაც მაღლა ავიდოდნენ ხელმწიფის სამდივანმწიგნობროში თავდაწერილი მეომრები. ისინი კლდეზე ასვლის შემდეგ გაიყოფოდნენ ორ ჯგუფად. ერთი ჯგუფი გზას გაიკაფავდა ციხის ალაყაფისაკენ და შეუდგებოდა მის გაღებას, მეორე ჯგუფი კი წრეს შეკრავდა მათ გარშემო ქართველებისაგან დასაცავად. ალაყაფზე გარედანაც მიიტანდა იერიშს რჩეული ჯარი და შეიჭრებოდა შიგ, რის შემდეგ ბრძოლის ბედს გადაწყვეტდა რიცხობრივი უპირატესობა.

მართლაც, ყველაფერი ასეთი ჩანაფიქრის შესაბამისად მოხდა. 1403 წლის 12 აგვისტოს, უკუნეთი სიბნელე რომ ჩამოწვა, საალყო მანქანების ოსტატებმა შეაჩერეს ბალისტ-მანჯანიყებით ლოდების ტყორცნა, რის შემდეგაც ხმაურისაგან გაბეზრებული და გაოგნებული მეციხოვნეები მიეცნენ ღრმა ძილს. ამით ისარგებლეს მექრითებმა და ავიდნენ ციცაბო კლდეზე. იქიდან გადმოუშვეს აბრეშუმის თოკი, რომლითაც მოძრავი კიბე მაღლა აიტანეს და გამოაბეს იმ კლდის წვერზე ავბედითად ამოსულ ერთადერთ ხეს. ამის შემდეგ კლდეზე ასვლა დაიწყეს მოხალისეებმა. დილამდე კლდეზე ასვლა მოუხერხებია 33 კაცს.

ბრძოლა კლდეზე ასულ მეომრებსა და ბირთვისის ციხის დამცველებს შორის დაიწყო დილაადრიან, როგორც კი ციხეში მტრის შემოპარვა გრძნეს ქართველებმა, მყისვე გულდაგულ მიეგებნენ ხმალდახმალ.

მიუხედავად მეციხოვნეთა გააფთრებული წინააღმდეგობისა, თავიდან

ფეხებამდე შეჯავშნულმა და გრძელ ფარაფარებულმა მექრითებმა მაინც მოახერხეს ალაყაფთან მისვლა. აქ ისინი ორად გაიყვნენ და ერთი ჯგუფი რომ ალაყაფის გაღებას ლამობდა, მეორე ჯგუფი ქართველებისაგან იცავდა მათ.

ციხეში რომ გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა, სარდალმა შაჰ მალექმა გარედან მიიტანა იერიში ალაყაფზე თავისი დუმენით. დანარჩენი ჯარი თემურლენგმა მოჰფინა ბირთვისის ციხის გარშემო მთის კალთებსა და თხემებზე და ააგუგუნა სამხედრო ყიჟინა, რასაც, შარაფ ად-დინ ალი იეზდის თქმით, მეციხოვნეთა „სხეულისათვის ძალა, ხოლო სულისათვის მოთმინება“ უნდა წარეხოცა. თვითონ თემურლენგი თავისი სარდლებით და კარისკაცებით ციხის მოპირდაპირე მთაზე იდგა და თითოეულის ნაკლსა და უნარს ადევნებდა თვალს.

ამ უთანასწორო ბრძოლის დროს „სიდამდისინ ღონე და ძალი შესწევდა და ან მკლავში ძალი აქონდა, ქართველნი ნამეტნავად კარგად იყვნენ. მრავალი თურქნი მოაკვდინეს, ასრე რომ თარა ციხის პატრონს ას ორმოცდაათი კაცი ჰყვანდა და თითოს ხუთი და ექვსი მოეკლათ და თავიანთ ასორმოცდა ათის კაცისაგან სამოცი ცოცხალი იყო, ისინიცა დაჭრილნი და დაკოდილნი. არც ძალი და ღონე შერჩომოდა და არცა სით მშველი გაუჩნდა. უიმედონი შეიქნეს და უვნებლობის შანას შემოეხვეწნენ. ხელმწიფემ აღარ შეიხვეწია და სხვა ლაშქარიც შეუძახა. რა ქართველთ სცნეს თავიანთ ამოწყვეტა, ვისაც შეძვრის ღონე ჰქონდა, წაიკრეს ხელი ხმალთა, ცემით თურქთ ლაშქარს შიგ გამოერივნეს და კიდევ მრავალი კაცი მოკლეს და თვითონაც ზედ შეაკვდნენ“[1]. ცოცხლად გადარჩენილი ერთი მუჭა მეციხოვნეები, დაჭრილ-დაკოდილები მხრებგაკრული მიჰგვარეს თემურლენგს, რომლებიც თორელთან ერთად იქვე დახოცეს მისი ბრძანებით, ზოგიც უფსკრულში გადაჩეხეს კლდიდან. მათი ცოლ-შვილი თემურლენგმა ჯილდოდ დაურიგა თავის მეომრებს. ციხისთავ თორელის ცოლი მან შარვანის მმართველ შეიხ იბრაჰიმს მისცა.

ამის შემდეგ დამპყრობლებმა დაწვეს ციხის გარშემო აღმართული ბალისტ-მანჯანიყები, საალყო ჭახრაკ-მანქანები და მეჩეთად გადააკეთეს ციხის ეკლესია. ციხე და მისი მიდამოები თემურლენგმა იკტად მისცა თახჩე-ბურანად წოდებულ ერთ-ერთ ხორასანელ სარდალს. მას ჯარიც საკმაოდ დაუტოვა და დაავალა „გარშემო მიდამოების გაწმენდა ურწმუნოთა არსებობის ბოროტებისაგან“.

ბირთვისის ციხემ დიდი წვლილი შეიტანა სამშობლოს დაცვის საქმეში საქართველოში თემურლენგის ურდოთა უკანასკნელი შემოსევის დროს. გარდა იმისა, რომ მის აღებას მტრის უამრავი სიცოცხლე შეეწირა, აქ

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 309.

გამართულმა ბრძოლებმა თემურლენგს დააკარგვინა მეტად ძვირფასი დრო; ამან კი გიორგი მეფეს საშუალება მისცა უკეთ მომზადებულიყო თავდაცვისათვის.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ბირთვისის ციხის დაპყრობა თემურლენგის დიდი სამხედრო ნიჭის მკაფიო გამოვლინება იყო.

სამხედრო მოქმედების გადატანა დასავლეთ საქართველოში. ზავის დადება. ბირთვისის ციხის დაპყრობის შემდეგ თემურლენგის ბანაკში მოწვეულ იქნა დიდი ყურულთაი, რომელმაც გამოიტანა დასავლეთ საქართველოში ლაშქრობის დადგენილება. ეს კი, როგორც ჩანს, დიდად არ ეჭაშნიკებოდა ხანგრძლივი ბრძოლებით მოქანცულ თემურლენგის მხედრობას. თემურლენგი პირადად იჩენდა დიდ აქტივობას და ირწმუნებოდა ამ ლაშქრობის აუცილებლობაში: — რაკი აქ მოვსულვართ, საჭიროა ამ ურჯულოების საქმე ერთხელ და სამუდამოდ გადავწყვიტოთ და მთელი ეს ქვეყნები ისლამის არეში მოვაქციოთო.

ერთი სიტყვით, მტერი მიზნად ისახავდა საქართველოს მთელი მოსახლეობის გათათრებას ან პირწმინდად გაჟლეტას.

ქართლიდან დასავლეთ საქართველოში ძველთაგანვე რამდენიმე გადასასვლელი გზა არსებობდა. ერთი მათგანი ქვიშხეთ-ციხისძირით გადიოდა, მეორე სურამიდან იწყებოდა და განშტოვდებოდა ორი მიმართულებით: ფონა-წიფა და დაჰყვებოდა ჩხერიმელას ხეობას; მესამე განშტოება კი მიემართებოდა რიკოთის გადასასვლელით და ძირულას ხეობის დაყოლებით. სამივე მიმართულება საბოლოოდ შორაპანში ერთიდ იყრიდა თავს. აღნიშნული გზები, გარდა იმისა, რომ ციხეებით იყო გამაგრებული (ჩხერის, ხარაგოულის, შორაპნის) თემურლენგისათვის ხელსაყრელი ვერ იქნებოდა სხვა გარემოებათა გამოც. საქმე ისაა, რომ თემურლენგის ლაშქარს ყოველ ნაბიჯზე ჭირდებოდა საძოვრები საჯაბადარო ცხოველთა დიდი მასის გამო. ასეთი საძოვრები კი გზათა აღნიშნული მარშრუტების გასწვრივ არსად არსებობდა. პირიქით, ეს გზები გადიოდა ტყეებით დაბურულ ვიწროსა და ძნელადსავალ ადგილებზე და ოდნავი შეყოვნების შემთხვევაში დიდი სიძნელეები შეექმნებოდა თემურლენგის ჯარს. გარდა ამისა, თემურლენგი სტრატეგიული მოსაზრებებითაც ვერ შეიყვანდა თავის ჯარს ვიწროებში.

ქართლიდან იმერეთში არსებობდა სხვა გადასასვლელებიც. ერთი ფრონეს ხეობის აყოლებით პერანგას მთის გადავლით ჩადიოდა ყვირილას ხეობაში, მეორე გადიოდა ჯვარითა და კორტოხით და ორი განშტოებით მიემართებოდა საჩხერისა და სვერისაკენ, საიდანაც ქუთაისში ჩადიოდა. დედაბერას გადასასვლელის გზა კი მონასტერ ულუმბას ჩაუვლიდა და შორაპანში მიდიოდა ღოდორა-ლიჩ-ამაშუკეთზე ჩავლით. ამ ორ უკანას-

კნელ გადასასვლელზე მიმავალი გზა იწყებოდა ალიდან და თვალსაჩინოდ გამოირჩეოდა სხვა დანარჩენი გზებისაგან სამხედრო თვალსაზრისით. გარდა იმისა, რომ ეს გზა ნაკლებ მთაგორიან ადგილებზე გადიოდა, მას საძოვრებად გამოსადეგი გაშლილი სერები და ხოდაბუნებიც ახლდა. შემთხვევით არ უნდა ყოფილიყო, რომ სელჩუკებმა სწორედ ეს გზა გამოიყენეს 1068 წ. დასავლეთ საქართველოში გადასასვლელად[1]. ამის მოწმობაა გიორგი VII-ის სიმამრის ქუცნა ამირეჯიბის სიგელი, რომელსაც „დემურისაგან მიწის სწორად გასწორებული ულუმბის ღვთისშობლის მონასტერი“ აღუდგენია. ამ დოკუმენტიდან აშკარად ჩანს ულუმბის მონასტრის მიდამოებში თემურლენგის ჯარის გავლა[2].

მტერი სამ კოლონად მიიწევდა დასავლეთ საქართველოსაკენ. თემურლენგი პირადად სარდლობდა ლაშქრის ცენტრს, მარჯვენა და მარცხენა ფრთები კი მიჰყვებოდა ცოტა მოშორებით.

დასავლეთ საქართველოში თემურლენგის ჯარს ომის იგივე მეთოდები გამოუყენებია, როგორც ჰერეთ-კახეთში: მტრები აქაც კაფავდნენ, ძირიანად თხრიდნენ, და ცეცხლს უკიდებდნენ ბაღ-ვენახებსა და ბოსტან-ბაღჩებს, ჭრიდნენ და ქერქს აცლიდნენ ნაყოფიერ ხეებს, რომელთა შორის სპარსელი ისტორიკოსები საგანგებოდ გამოჰყოფენ თუთის ხეებს, პირწმინდად ანადგურებდნენ სოფლებსა და დაბებს, განსაკუთრებული გაბოროტებით არღვევდნენ ეკლესია-მონასტრებს, რომელთა დიდი სიმრავლე კარგად დასტურდება წყაროთა მონაცემებით, განუკითხავად ხოცავდნენ მოსახლეობას და ეპატრონებოდნენ მათ ავლადიდებას.

ისევე როგორც ქვემო ქართლში, თემურლენგის მეომრები აქაც დაერივნენ მღვიმე-გამოქვაბულებში თავშეფარებულ ხალხს. სპარსელი ისტორიკოსების მოწმობით, ისინი კიდობნებში თითო-თითო ან ორ-ორ კაცს სვამდნენ, კიდობნებს მთიდან ჯაჭვითა და თოკებით გამოქვაბულების პირისპირ ჰკიდებდნენ, მეომრები გამოქვაბულებში ხტებოდნენ და უმოწყალოდ ჟლეტდნენ შიგ შეხიზნულ ბავშვებს, ქალებსა და მოხუცებს.

ამ ლაშქრობის დროს დასავლეთ საქართველოში, სპარსელი ისტორიკოსების ცნობით, თემურლენგის ჯარის მიერ „დაახლოებით შვიდასი დაბა, ყანა, და მონასტერი იქნა დარბეული და გაძარცული“[3].

დასავლეთ საქართველოში ლაშქრობას კი დასასრული აღარ უჩანდა.

---

[1] „მატიანე ქართლისაში“ სელჩუკთა შეერთებული მხედრობის შესახებ ნათქვამია, რომ „გარდავიდა მარბიელი მისი არგუეთს: მიუწიეს და არბივეს ვიდრე სუერის ციხემდე“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 309).

[2] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 208; ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1966, გვ. 35—36.

[3] შარაფ ად-დინი, II, გვ. 536.

იგი, თუ უფრო ადრე არა, სექტემბრის დასაწყისში მაინც უნდა დაწყებულიყო, უკვე ოქტომბერი დამდგარიყო და თემურლენგი იმერეთს ვერ გასცილებოდა. დასაპყრობი ტერიტორია კი ჯერ კიდევ დიდი იყო დარჩენილი უკიდურეს აფხაზეთამდე, თანაც უფრო ძნელად მისაწვდომი ხშირი ტყეებისა და ჭაობების გამო. ზამთარი კი ახლოვდებოდა, რომელიც საქართველოში (სამცხესა და ჰერეთ-კახეთში) ცუდად ჰქონდა დაცდილი თემურლენგის ჯარს. იგი განსაკუთრებით საშიში იყო ახლა, დასავლეთ საქართველოში გადასული თემურლენგისათვის, რადგან ლიხის მთის გზების შეკვრის შემთხვევაში ტყიანსა და უგზო ქვეყანაში დიდი ხნით მოემწყვდეოდა მისი უზარმაზარი მხედრობა.

ამ საფრთხეს საუცხოოდ გრძნობდნენ თემურლენგის სარდლები და კარისკაცები, რომლებიც, ფ. გორგიჯანიძის ცნობით, თემურლენგს დაბეჯითებით ურჩევდნენ გიორგისთან ზავის შეკვრას და მოახსენებდნენ, რომ „ტყეში ერთი მოუხმარებელი ქვეყანა არისო. მიხვალ, გაგექცევისო და როსაც წამოხვალ, ისევე ჩამოვაო და თავის ქვეყანას დაიჭერსო და ქვეყანანი დაიჭირეთო და ამდენს სრულ ქვეყანაზედ არ გარჯილვართო და არც ამდენი ლაშქარნი ვისმე დაუხოციაო, რომ აქ ამოგვიწყდაო და ლეხს იქით ლაშქრობასო თურქნი დიაღ შეჯერებულანო ჩივიან და ასრე მოგახსენებენო: ქვეყანა კიდევ ბევრი დარჩომილა აუღებელიო, ამ ურგებს ტყეში რასთვის ჩაგვხოცს ხელმწიფეო“[1].

ეს, რასაკვირველია, თემურლენგსაც კარგად ესმოდა და მზად იყო ზავი შეეკრა საქართველოს მეფესთან, მაგრამ ამის საშუალებას არ აძლევდა უზომო პატივმოყვარეობა. გიორგის ელჩები კი არსად ჩანდნენ. დრო კი აღარ ითმენდა და, ბოლოს და ბოლოს, ისევ თემურლენგი გახდა იძულებული ეძებნა საქართველოს მეფესთან დაზავების გზა. ეს გარემოება, სხვათა შორის, სათანადოდ აისახა ზავის პირობებშიც, როცა გიორგის მიერ ხარკის გადახდისა და მეშველი ჯარის გამოყვანის პარალელურად თემურლენგი ცნობდა საქართველოს, როგორც ქრისტიანული სახელმწიფოს არსებობის ფაქტს.

ეს იყო ქართველი ხალხის უდიდესი გამარჯვება ამ ჭეშმარიტად დიდი სამამულო ომის დროს მოპოვებული უზარმაზარი მატერიალური ზარალისა და აურაცხელი მსხვერპლის ფასად.

ამის შემდეგ თემურლენგი დასავლეთ საქართველოდან სასწრაფოდ გამობრუნდა და მივიდა თბილისში. მოსალოდნელი იყო, რომ ორიოდე დღის წინ საქართველოს მეფესთან დადებული ზავის შემდეგ თემურლენგი მოერიდებოდა საქართველოს ტერიტორიის აოხრებას და მოსახლეობის ძარცვა-რბევას, მაგრამ ასე როდი მოიქცა. თბილისში მცირე ხნით

---

[1] ფ. გორგიჯანიძე, გვ. 311.

შეყოვნებისას თემურლენგმა ერთხელ კიდევ იყარა გულისჯავრი მოსახლეობის რბევითა და ეკლესია-მონასტრების აოხრებით თბილისსა და მის შემოგარენში.

თბილისიდან თემურლენგი ყარაბახს გაემართა და შეუდგა ქალაქ ბაილაყანის აღდგენას. ეს ქალაქი მტკვრისა და არაქსის შესართავთან მდებარეობდა და ნანგრევებად იყო ქცეული მონღოლთა შემოსევების შემდეგ. ბაილაყანი სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან მომავალი გზების თავშესაყარზე იდო, აზერბაიჯანს მარჯვედ უკავშირებდა მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებს და დიდ როლს თამაშობდა სატრანზიტო ვაჭრობაში.

ბაილაყანის აშენებისა და აქაური საქმეების გარიგების შემდეგ თემურლენგის ლაშქარი გაუდგა სამარყანდის გზას და სამუდამოდ გაეცალა ამიერკავკასიას.

შუა აზიაში დაბრუნების შემდეგ თემურლენგი ერთხანს ნებივრობდა და ილხენდა თავის ნათესავებთან და სარდლებთან ერთად, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ შორეული ლაშქრობისათვის აღეკაზმა ჩინეთის წინააღმდეგ. მაგრამ თემურლენგმა იქამდე ვეღარ მიაღწია. იგი გზაში გარდაიცვალა 1405 წლის 18 თებერვალს. თემურლენგი სამარყანდს მოასვენეს და დაკრძალეს მის მიერვე აგებულ საძვალეში თავისი რელიგიური მოძღვრის სეიდ ბერქეს გვერდით. თემურლენგის გარდაცვალებისთანავე სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა მემკვიდრეთა შორის მისი სამფლობელოების დანაწილებისათვის, რამაც დაშლამდე და ბოლოს გადაშენებამდე მიიყვანა მისი სახელმწიფო.

§ 7. საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა XV ს. დასაწყისში

ხანგრძლივი დაპყრობითი ომების შედეგად შექმნილი თავისი უზარმაზარი სახელმწიფო, რომელიც აღმოსავლეთით ჩინეთის დიდ კედლამდე იყო გადაჭიმული, ხოლო ჩრდილოეთით — ცენტრალურ რუსეთამდე, დასავლეთით ხმელთაშუა ზღვამდე და ეგვიპტის საზღვრებამდე, თემურლენგს დანაწილებული ჰქონდა თავისი შვილების, შვილიშვილების, ნათესავებისა და მახლობლებისათვის. ისინი ადგილებზე ითვლებოდნენ ჯანეშინებად, ე. ი. თემურლენგის მოადგილეებად და მორჩილად ასრულებდნენ ყოველგვარ ბრძანება-განკარგულებას. მის სიცოცხლეში ადგილი არ ჰქონია რაიმე სერიოზულ ურჩობას[1].

---

[1] История Узбекской ССР, Ташкент, 1955, т. I, с. 326.

სიკვდილის წინ თემურლენგმა თავისი შვილებისა და შვილიშვილების თანდასწრებით ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა თავისი ომში დაღუპული ვაჟის ომარ შეიხის შვილი ფირ-მოჰამედი და დაავალა მათ მისადმი მორჩილება. მაგრამ მრისხანე მბრძანებელი მკვდარი დაიგულეს თუ არა, ფირ-მოჰამედს ყური აღარავინ ათხოვა და ტახტისათვის გაჩაღდა ცხარე ბრძოლა, რამაც დაშლამდე მიიყვანა ერთიან ეკონომიკურ საფუძველს მოკლებული და ძალით შეკოწიწებული მისი უზარმაზარი სამფლობელო.

ფეოდალური შინაომი თემურლენგის მემკვიდრეებს შორის გაჩაღდა ჰულაგუნიანთა ირანის სამფლობელოებისათვისაც, სადაც პირველობისათვის უფლისწული მირანშაჰი და მისი ვაჟები ომარი და აბუბექრი ებრძოდნენ ერთმანეთს.

მამა-შვილს შორის ატეხილი შუღლითა და მტრობით ისარგებლეს ამიერკავკასიის ხალხებმა და სცადეს თემურიანთა ბატონობისაგან თავის განთავისუფლება. ამ ბრძოლის მედროშე კვლავინდებურად საქართველოს მეფე გიორგი VII იყო.

საქართველოდან თემურლენგის ურდოების წასვლისთანავე გიორგი იმერეთიდან დაბრუნდა და შეუდგა გაპარტახებული ქვეყნის წესრიგში მოყვანას. მტრის ნაშთებისაგან ქვეყნის გაწმენდისა და სიმშვიდის დამყარების შემდეგ გიორგი მეფემ სამხედრო მოქმედება გადაიტანა ქვეყნის გარეთ, თემურლენგის უნიათო მემკვიდრეების წინააღმდეგ. 1405 წელს გიორგი VII-მ ნახიჩევანსა და განჯაში ილაშქრა[1]. ომარმა თავისი სარდლები გაგზავნა გიორგის წინააღმდეგ, მაგრამ საქართველოს ჯარმა ისინი სასტიკად დაამარცხა და გადადენა მარანდამდე[2].

ესპანელი ელჩის კლავიხოს ცნობით, რომელსაც სწორედ იმ ხანებში მოუხდა გავლა ირანსა და ამიერკავკასიის ქვეყნებზე, საქართველოს მეფე გიორგის დაურბევია ანი და არზრუმი, აგრეთვე ბევრი სხვა ქალაქი და სოფელი და მისულა თავრიზამდე, რითაც დიდად შეუძრწუნებია მუსლიმანები.

კლავიხოსავე ცნობით, ბატონიშვილმა ომარმა მის წინააღმდეგ გაგზავნა სარდალი ომარი 5000-იანი ჯარით. მას გზაში შეუერთდა თავრიზისა და სხვა მიდამოებიდან გაგზავნილი ლაშქარი და მათი რიცხვი გახდა 15 ათასი. ომარის შეერთებული მხედრობა შემოვიდა ამიერკავკასიაში და დაბანაკდა ალატაღის მიდამოებში. გიორგი VII-მ სასწრაფოდ გაილაშქრა

---

[1] მირხონდი, გვ. 240.

[2] იქვე, გვ. 241.

ალატაღისაკენ 5-ათასიანი ჯარით, ღამით მოულოდნელად დაესხა თავს, ბევრი მათგანი დახოცა, დანარჩენები კი თავრიზისაკენ გადარეკა[1].

თემურიანთა დასუსტებითა და საქართველოს მეფის მიერ მათი სამხედრო ძალის განადგურებით კარგად ისარგებლა შარვანშაჰ შეიხ იბრაჰიმმა, რომელიც ლამობდა მთელი აზერბაიჯანის გაერთიანებას.

სამწუხაროდ, საქართველოში გიორგი VII-ის შემდგომი მოღვაწეობის შესახებ ბევრი აღარაფერი ვიცით სათანადო წყაროთა უქონლობის გამო. მისი მეფობის ბოლო ხანებში საქართველოს უთანასწორო ბრძოლები ჰქონდა ამიერკავკასიაში შემოჭრილ შავბატკნიან თურქმენებთან, რომლებიც აქ თემურიანთა ადგილის დაკავებას ცდილობდნენ. გიორგი მეფე სწორედ ამ თურქმენებთან ომში დაიღუპა 1407 წელს. ბრძოლის ველზე დაღუპული ძმის ცხედარი სამშობლოში მოასვენა უფლისწულმა კონსტანტინემ, რომელიც იმავე 1407 წელს გამეფდა.

სამწუხაროდ, ჩვენ არც კონსტანტინეს მეფობის დროინდელი ამბების შესახებ ვიცით ბევრი რამ იგივე მიზეზების გამო. ის კი ცხადია, რომ არც მისი მეფობა გამოდგა ხანგრძლივი და უდრტვინველი; მის დროს მკვეთრად გაუარესდა პოლიტიკური ვითარება ამიერკავკასიაში იგივე თურქმენების მოძალების გამო.

შავბატკნიან თურქმენთა სახელმწიფოს შემქმნელი იყო ყარა-იუსუფი, რომელიც თემურლენგთან ომში დამარცხების შემდეგ, აჰმად ჯალაირიანთან ერთად, ერთხანს ოსმალეთის სულთნის კარზე აფარებდა თავს, საიდანაც ეგვიპტეში გაიქცა და მიეკედლა სულთან ბარკუკს. ბარკუკმა იგი ციხეში გამოკეტა თემურლენგის შიშით და დამწყვდეული ჰყავდა მრისხანე დამპყრობლის გარდაცვალებამდე.

თემურლენგის გარდაცვალების შემდეგ ყარა-იუსუფი დაბრუნდა აზერბაიჯანში და ცხარე ბრძოლა გააჩაღა მისი მემკვიდრეობის წინააღმდეგ. მოკლე ხანში ყარა-იუსუფმა დაამარცხა თემურიანი სულთნები, მათ შორის მირანშაჰიც, რომელიც მასთან ომში დაიღუპა 1408 წელს. ამის შემდეგ ყარა-იუსუფმა 1410 წ. დაამარცხა თავისი ყოფილი მოკავშირე აჰმად ჯალაირიანიც და საფუძველი ჩაუყარა შავბატკნიან თურქმენთა სახელმწიფოს, რითაც დიდი საფრთხე შეექმნათ ამიერკავკასიის ქვეყნებს, მათ შორის შარვანსა და საქართველოს.

ჯერ კიდევ შავბატკნიან-თურქმენებს და ჯალაირიანებს შორის ატეხილი ბრძოლების დროს შარვანშაჰ შეიხ იბრაჰიმი გამოდიოდა ჯალაირიანთა

---

[1] Рюи Гонзалес де Клавихо, Дневник путешествия ко двору Тимура в Самарканд в 1403—1406 гг. Подлинный текст с переводом и примечаниями восстановлен под редакцией И. И. Срезневского, Сборник отделения русского языка и словесности Императорской Академии наук, т. XXXVIII, № 1, СПб., 1881, с. 369.

მოკავშირედ. მათვე უპერდა მხარს საქართველოს მეფე გიორგი VII, როგორც საქართველოს ძველსა და ერთგულ მოკავშირეებს.

ჯალაირიანების დამარცხების შემდეგ ყარა-იუსუფმა, რომელიც პრეტენზიას აცხადებდა მთელ აზერბაიჯანზე, მორჩილება მოსთხოვა შარვანშაჰ შეიხ იბრაჰიმს, რომელიც თვითონ ცდილობდა შარვანის გარშემო მთელი აზერბაიჯანის გაერთიანებას. შარვანშაჰმა დახმარება სთხოვა საქართველოს მეფეს.

მეფე კონსტანტინე შაქის მმართველ სიიდი აჰმადთან ერთად მხარში ამოუდგა შეიხ იბრაჰიმს ყარა-იუსუფის წინააღმდეგ ომში.

საქართველოს, შარვანისა და შაქის გაერთიანებული ლაშქარი ყარა-იუსუფთან ომის მოლოდინში მდ. მტკვრის ნაპირას დაბანაკდა ჩალაღანში. კონსტანტინე მეფეს ამ ლაშქრობის დროს 2000-მდე ქართველი მეომარი ახლდა თან. დიდი არ უნდა ყოფილიყო შარვანისა და შაქის მიერ გამოყვანილი ჯარის რიცხვიც. მოკავშირეებმა ბანაკს ღრმა ხანდაკი შემოავლეს სამი მხრიდან, მეოთხე მხრიდან კი ბუნებრივ ზღუდეს წარმოადგენდა მდინარე მტკვარი. ყარა-იუსუფმა ისარგებლა მოკავშირეთა უყურადღებობით, ღამე გადავიდა მდინარეზე და შეიჭრა შუა ბანაკში.

მიუხედავად შექმნილი მძიმე ვითარებისა, საქართველოს მხედრობა ადგილიდან არ დაძრულა და მამაცურად უმკლავდებოდა მრავალრიცხოვან მტერს[1].

მიუხედავად დიდი შეუპოვრობისა, მტრის მრავალრიცხოვნობისა და მოულოდნელი თავდასხმის გამო, ქართველები იძულებული შეიქნენ შეეწყვიტათ ბრძოლა და დანებებოდნენ მტერს.

სხვათა შორის, ამ ბრძოლის დროს ქართველებთან ერთად თურქმენებმა ტყვედ ჩაიგდეს ხელში შარვანელებიც, მათ შორის შარვანშაჰი შეიხ იბრაჰიმი, რომელმაც ხელი მოიტეხა გაქცევისას ხანდაკზე გადახტომის დროს.

ქართველ ტყვეთა შორის იყო სამასი აზნაური და თვითონ მეფე კონსტანტინე. მათ ამაყად ეჭირათ თავი, რამაც გააღიზიანა ყარა-იუსუფი და ბრძანა მათი დახოცვა. მეფე კონსტანტინეს ყარა-იუსუფის ვაჟმა ფირ-ბუდაყმა მოკვეთა თავი საკუთარი ხელით. მასთან ერთად დახოცეს სხვა ქართველი ტყვეებიც[2]. ქართველებმა შემდეგ დიდის გაჭირვებით იპოვეს კონსტანტინეს გვამი და მოასვენეს საქართველოში.

---

[1] ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1966, გვ. 15.

[2] ამ ბრძოლის თარიღის შესახებ სხვადასხვანაირი მოსაზრებაა გამოთქმული სამეცნიერო ლიტერატურაში (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 425; ი. აბულაძე, მათეოს განძასარელის ცნობა ქართველთა მეფის კონსტან-

კონსტანტინეს შემდეგ საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა მისი შვილი ალექსანდრე, დიდად წოდებული, რომელიც ქვეყანას განაგებდა 1442 წლამდე.

§ 8. თემურლენგის შემოსევათა შედეგები

ჩვენს ქვეყანას არაერთი დამპყრობელი შემოსევია როგორც თემურლენგამდე, ისე მას შემდეგ (სპარსელები, რომაელები, ბიზანტიელები, არაბები, ხაზარები, თურქები, ხვარაზმელები, მონღოლები, შავბატკნიანი და თეთრბატკნიანი თურქმენები, ყიზილბაშები, ოსმალები და ა. შ.) დროისა და ჟამის შესაბამისად, ისინი ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდებოდნენ შემოსევათა მიზნებითა თუ ქვეყნისათვის მიყენებული ნგრევა-აოხრების მასშტაბებით, მაგრამ მთელი მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე საქართველოს ისეთი სასტიკი და ულმობელი, ვერაგი და ცბიერი, ამავე დროს უაღრესად დაჟინებული და მიზანსწრაფული მტერი არასოდეს შემოსევია, როგორიც თემურლენგის ურდოები იყო. ტყუილად როდი ჩიოდნენ სამშობლოს ჭირ-ვარამით გულდამწვარი ქართველი მამულიშვილები — ვახტანგ VI-ის „სწავლული კაცები" საქართველოში თემურლენგის შემოსევათა სისასტიკეზე, რომ „არა სადა მოწევნილ არს ქართლსა ზედა ჭირი ესევითარი, რაოდენი ამან მოაწივა"[1].

საქართველოში თემურლენგის ურდოთა სისხლიან თარეშს უაღრესად მძიმე შედეგი მოჰყვა, რაც საუკუნეთა მანძილზე იჩენდა თავს ჩვენი ქვეყნის როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

1386—1403 წლებს შორის თემურლენგი 8-ჯერ შემოესია საქართველოს — 1386, 1387, 1394 (ორჯერ), 1399, 1400, 1402 და 1403 წლებში. ამ შემოსევების დროს დამპყრობელთა რისხვას ვერ გადაურჩა საქართველოს ვერცერთი მხარე, ზოგი კი დარბეული, აკლებული და აოხრებულ იქნა რამდენიმეჯერ. მაგალითად, სამცხეში თემურლენგის ჯარი შეიჭრა ხუთჯერ (1386, 1394, 1400, 1402 და 1403 წლებში), თრიალეთში ოთხჯერ

ტინეს შესახებ, ენიმკის მოამბე, V—VI, თბ., 1940, გვ. 51; ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, თბ., 1943, გვ. 248; ვ. კოპალიანი, ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთობის წარსულიდან, თბ., 1962, გვ. 226; რ. კიკნაძე, ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, გვ. 380; დ. კაციტაძე, აბდ არ-რეზაყ სამარყანდის „მათლა ას-სადაინ ვა მაჯმა ალ-ბაჰრეინის" ცნობები საქართველოს შესახებ, „მაცნე", № 2, 1968, გვ. 206—207; И. П. Петрушевский, Великий патриот Ширваншах Ибрагим, с. 36; Д. Ибрагимов, Феодальные государства на территории Азербайджана в XV в., Баку, 1962, с. 291.

[1] ქ. ცხ., II, გვ. 338.

(1386, 1394, 1400 და 1403 წლებში); გარდა ამისა, მისმა ურდოებმა სხვადასხვა დროს სასტიკად ააოხრეს ქვემო ქართლი, ჰერეთ-კახეთი, არაგვის, ქსნის, ლეხურის, თეძმისა და სხვა მდინარეთა ხეობები, აგრეთვე კოლა, ფანასკერტი, ოლთისი და ა. შ. მაგრამ განსაკუთრებით სასტიკი ხასიათისა იყო თემურლენგის შემოსევები საქართველოში „შვიდწლიანი" ლაშქრობის დროს (1399, 1400 და 1403 წლებში), როდესაც იგი აუჩქარებლად და მეთოდურად ახორციელებდა თავის მზაკვრულ გეგმას. 1399 წლის ზამთარში, მაგალითად, თემურლენგი მთელი ერთი თვე იბრძოდა ჰერეთ-კახეთის წინააღმდეგ, მომდევნო 1400 წ. თემურლენგმა თითქმის მთელი გაზაფხული და ზაფხული გალია ქართლისა და სამცხის წინააღმდეგ ბრძოლაში; 1403 წელს თემურლენგმა 4 თვე დაჰყო საქართველოში და კიდევ ერთხელ მოარბია აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთი და დასავლეთი მხარეები, რის შემდეგ გავიდა დასავლეთ საქართველოში და მისთვის დამახასიათებელი ხოცვა-ჟლეტით და ნგრევა-ოხრებით მიაღწია აფხაზეთის საზღვრამდე.

მიუხედავად ყოველივე ამისა, თემურლენგმა ვერა და ვერ გასტეხა მამულისა და სჯულისათვის მებრძოლი ხალხის ნებისყოფა და ბოლოს და ბოლოს იძულებული შეიქნა შერიგებოდა თავისი პოლიტიკის მარცხს. ამაზე კარგად მეტყველებს 1403 წელს გიორგი მეფესთან დადებული საზავო ხელშეკრულება, რომელიც ოფიციალურად აღიარებდა საქართველოს, როგორც ქრისტიანული სამეფოს არსებობას. ეს იყო ქართველი ხალხის უდიდესი გამარჯვება თემურლენგის ურდოებზე, მოპოვებული უზარმაზარი მატერიალური ზარალისა და ადამიანთა აურაცხელი მსხვერპლის ფასად.

საერთოდ, თემურლენგის ლაშქრობები ყველგან ხასიათდებოდა უჩვეულო სისასტიკით და მისი მეომრები თავიანთ გზაზე არ ტოვებდნენ სიცოცხლის ნიშანწყალს. XV ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსის დუკას მოწმობით, სადაც კი თემურლენგის ჯარი გაივლიდა, იქ მხოლოდ უკაცრიელი უდაბნო რჩებოდა, რომელშიც აღარ გაისმოდა არც ძაღლის ყეფა, არც მამლის ყივილი და არც ტირილი ჩვილ ყრმათა.

ამ მხრივ საქართველო გამონაკლისი კი არ იყო, არამედ, პირიქით, მტერი აქ მოქმედებდა განსაკუთრებული გულმოდგინეობით რელიგიური ფანატიზმის გამო. დაპყრობილ ტერიტორიაზე თემურლენგის ურდოები მეთოდურად ანგრევდნენ ციხე-კოშკებს, არღვევდნენ საყდრებსა და ეკლესია-მონასტრებს, წვავდნენ სოფლებსა და დაბა-ქალაქებს, პირწმინდად ჟლეტდნენ მოსახლეობას, ჭრიდნენ ნაყოფიერ ხეებს, ოთხფეხს აძოვებდნენ და ანადგურებდნენ ყანა-ჯეჯილებს, მკიდნენ მოწეულ ყანებს და მოსავალი მიჰქონდათ თან.

ყოველივე ზემოთქმულს, სპარსული წყაროების გვერდით, კარგად

მოწმობენ ქართული წყაროებიც. მაგალითად, XV საუკუნის მოღვაწის ავგაროზ ბანდაისძის უფროსი ვაჟის გრიგოლის მიერ ლარგვისის მონასტრის პარაკლიტონზე გაკეთებული მინაწერის მიხედვით თემურლენგის ჯარებს მათთვის დამახასიათებელი ნგრევა-აოხრება განუხორციელებიათ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე: „მოვლეს ყოველი ქვეყანა და წარტყვნეს და დააქცივნეს საყდარნი, მონასტერნი და ეკლესიანი და აღიხვნეს ყოველნი ციხენი და გამოასხეს, ტყვე ჰყვეს და მოაოხრეს ყოველი ქვეყანა დასავლეთამდის“[1]. „ძეგლი ერისთავთაში“ კი დასახელებულია ქუთაისს, ლეკეთსა და დარიალს შორის მოქცეული ტერიტორია, სადაც „მოწუეს და მოაოხრეს ყოველი საქართველო და დაყარეს მძორი მკუდრისაჲ, ვითარცა მჭელი თივისაჲ“[2].

ქვეყნის განუკითხავ საერთო ნგრევა-აოხრებას თან სდევდა მოსახლეობის მასობრივი ხოცვა-ჟლეტა და განადგურება. საქართველოს მოსახლეობის ერთი ნაწილი უშუალოდ ბრძოლის ველზე იხოცებოდა რიცხობრივად გაცილებით ჭარბ ძალებთან უთანასწორო ბრძოლების დროს; მოსახლეობის მეორე ნაწილს ადგილზევე ანადგურებდნენ თავიანთ საცხოვრისთან ერთად, ან სახიზარ-გამოქვაბულებში ეჭრებოდნენ და ჟლეტდნენ განუკითხავად.

დამპყრობლები მოსახლეობის მხოლოდ იმ მცირე ნაწილს ტოვებდნენ ცოცხლად, ვინც სულმდაბლობას იჩენდა და გმობდა ქრისტეს სარწმუნოებას, მაგრამ მშიერ-მწყურვალნი და შიშველ-ტიტველნი, სნეულნი და ღონემიხდილები ისინიც გზაში იხოცებოდნენ შუა აზიის მიულწევლად.

დახოცილთა და დატყვევებულთა მთელ ქონებას დამპყრობლები თვითონ ეპატრონებოდნენ და ალაფისა და ნადავლის სახით მიჰქონდათ თან. გარდა ამისა, დიდი რაოდენობით მიერეკებოდნენ აქედან ცხენების რემებს, საქონლის ჯოგებსა და ცხვრის ფარებს.

გაუკაცრიელებულსა და გაჩანაგებულ ქვეყანაში შემთხვევით ცოცხლად გადარჩენილ მოსახლეობას მუსრს ავლებდა სხვადასხვა სახის ინფექციურ დაავადებათა ეპიდემიები. ეს კარგად ჩანს გრიგოლ ბანდაისძის იგივე მინაწერიდან, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოში თემურლენგის 1400 წლის შემოსევის „შემდგომად მცირედისა ჟამისა, დავრჩი ობოლი ხუთთა ძმათაგან“, ხოლო „ამის შემდგომად იხილა ღმერთმან სიმრავლე ცოდვათა ჩემთა და მომიხვნა ექვსი შვილნი სამნი ვაჟნი და სამნი ქალნი დედით მათითურთ“[3]. მაშასადამე, მარტო ამ სიტყვების ავტორს თემურლენგის შემოსევის შემდეგ 5 ძმა, ცოლი და 6 შვილი დაღუპვია რაღაც მოარული სენით.

---

[1] ძეგლი ერისთავთა, გვ. 359.

[2] ibid.

[3] ibid.

ამიტომაც იყო, რომ მოსახლეობის მკვეთრი შემცირება მწვავედ იგრძნობოდა ჯერ კიდევ გიორგი VII-ის სიცოცხლეშივე, განსაკუთრებით მისი მეფობის ბოლო წლებში. ამ მხრივ კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობა შეიქმნა კონსტანტინეს დროს, როცა მოსახლეობის სიმეჩხრეესთან და ქვეყნის საერთო სისუსტესთან ერთად აშკარად ჩანს მეფის ხელისუფლების ძლიერი დაკნინებაც.

მოსახლეობის სიმცირის გამო კონსტანტინე I ვერ ახერხებდა დიდი ჯარის გამოყვანას საჭიროების დროს. ეს ნათლად ჩანს ჩალაღანის ომის მაგალითიდან, სადაც კონსტანტინეს მხოლოდ 2000 კაცი ახლდა თან და ტყვედ ჩაუვარდა ხელში შავბატკნიან თურქმენებს.

საქართველოში მოსახლეობის დიდი ნაკლებობა მწვავედ იგრძნობოდა ალექსანდრე I-ის დროსაც, რომლის ტახტზე ასვლის ჟამს „იყო ყოველი ესე საქართველო უსჯულოსა თემურისაგან უნუგეშინისცემოდ განსრული, და სრულიად აოხრებული დედა-ქალაქი მცხეთა და დიდი წმიდა კათოლიკე ეკლესია, და ეგრეთვე ყოველნივე ეკლესიანი, საყდარნი და ციხენი ყოველნივე სრულიად საფუძველითურთ დაექცია და მოეოხრებინა, და ყოველნი სულნი ქრისტეანენი დედაწულითურთ ტყუე ექმნა"[1].

თემურლენგის შემოსევათა შემდეგ ქართულ ენაში გაჩნდა და დამკვიდრდა ისეთი სიტყვები, როგორიცაა: „ნაქალაქარი", „ნადაბური", „ნასოფლარი", „ნაფუძარი", „ნავენახარი", „ნასახლარი"[2] და ა. შ.

თემურლენგის შემოსევათა შედეგად საქართველოში ყველაზე დიდი ზარალი განიცადა ძირითადმა მწარმოებელმა კლასმა — გლეხობამ.

მაგრამ ყველაზე მძიმე საქართველოსათვის თემურლენგის შემოსევათა პოლიტიკური შედეგები იყო. უპირველეს ყოვლისა, საქართველოსათვის მეტად საზიანო იყო თემურლენგის შემოსევათა შედეგად მისი მეზობლებისა და მოკავშირეების დასუსტება და ზოგიერთის სრული გადაშენება. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი ზარალი განიცადეს სომხურმა თემებმა, აგრეთვე შაქისა და შარვანის ფეოდალურმა სამთავროებმა, ხოლო ჯალაირიანები საერთოდ განდევნილ იქნენ ამიერკავკასიიდან. მაგრამ საქართველოსათვის კიდევ უფრო საზიანო იყო ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში მცხოვრები ხალხის ჩამოცილება, საიდანაც საქართველოს მეფეებს ხშირად გამოჰყავდათ ქედფიცხელი ტომები საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლების დროს. აქ ქრისტიანული სარწმუნოების ნაცვლად მაჰმადიანობამ მოიკიდა ფეხი და ამით, ფაქტიურად უკვე XV საუკუნის დასაწყისშივე, შეიქმნა საქართველოს გარშემო მუსლიმანური გარემოცვის რკალი, რამაც დასრულებული სახე მიიღო ოსმალთა მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ.

---

[1] ქ. ცხ., II, გვ. 473.

[2] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1962, გვ. 358.

თავი მეთორმეტე

საქართველო XV საუკუნის პირველ ნახევარში. ღონისძიებები ქვეყნის აღდგენისათვის. ალექსანდრე I დიდი

1412 წლიდან სამეფო ტახტზე ავიდა კონსტანტინე I-ის ვაჟი ალექსანდრე[1]. ეს მეფე სავსებით გეგმაზომიერად და დიდი ენერგიით შედგომია ერთიანად დაცემული ქვეყნის აღდგენას. ალექსანდრეს ფართო აღმშენებლობითი მოღვაწეობის დიდი ეროვნული მნიშვნელობა კარგად ესმოდათ მის თანამედროვეებსა და მომდევნო თაობას. სწორედ ეს იყო საფუძველი, რომ მას „მეფეთა შორის წარჩინებული“ და „დიდი“ უწოდეს.

თვითონ ალექსანდრე საქართველოს საშინაო მდგომარეობას მისი მეფობის დასაწყისი პერიოდისათვის ასე ახასიათებს: „საქართველო უსჯულოსა თემურისაგან დარბეული და უნუგეშისცემო და გასრული დაგვიხუდა, ესრეთ რომელ... სრულად საქართველო ტყუე ექმნა და ჩუენისა მეფობისა დაჭირვადმდე მუდამი ტყუევნა და რბევა იყო საქართველოსა და მოოხრდა და იავარ იქმნა და ყოვლადვე ძალი და ნუგეშისცემა არსით იპოებოდა...“[2]. ალექსანდრეს თავისი მეფობის პირველსავე პერიოდში მოუხდა თურქმანებთან ბრძოლა და განუდევნია ისინი საქართველოდან: „ვიწყე ბრძოლად უსჯულოთა და განვასხენ ზღვართაგან ჩვენთა და ქრისტიანენი ფრიადს მშვიდობასა და მყუდროებასა მიეცნეს“[3]. რაიმე პირდა-

---

[1] ალექსანდრე დაიბადა 1382/90 წ. მას ზრდიდა „ბებია რუსა“, რომელიც საზოგადოებრივი საქმეებით დაინტერესებული პიროვნება ყოფილა. რუსას და ქუცნა ამირეჯიბის ასული ნათია ალექსანდრეს დედა იყო (ქუცნა ამირეჯიბის ბებია ლომინაძის ქალი იყო). ნათია მონაზვნად შემდგარა ნინოს სახელით. ალექსანდრეს ჰყავდა ხუთი ვაჟი: ვახტანგი, დიმიტრი, დავითი (შემდეგში კათალიკოსი), გიორგი და ზაალი. ძმები: ბაგრატი და გიორგი. ალექსანდრეს პირველი ცოლის დულანდუხტისაგან შეეძინა ვახტანგი და დიმიტრი, დანარჩენი თამარისაგან (ისტ. საბ. III, 8; 11, 15; ქრონიკები, II, გვ. 208, 211—212, 231, 239; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, IV, 1948, გვ. 20—29).

[2] ალექსანდრე მეფის 1440 წლის სიგელი. ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 126; ქრონიკები, II, გვ. 247—248.

[3] ი ქ ვ ე (ალექსანდრე მეფის 1440 წლის სიგელი).

პირი მითითება, თუ როდის და სად იყო ეს ბრძოლები, არ მოგვეპოვება, მაგრამ მის სინამდვილეს მოწმობენ სპარსელი ისტორიკოსების ცნობები. ამ ცნობათა მიხედვით ქართველთა მეფე ალექსანდრე, შარვანისა და შაქის მფლობელები ირანის მფლობელის შაჰრუხის მოკავშირეებად ჩანან ყარა-იუსუფის წინააღმდეგ. ყარაბაღში საზამთროდ დაბანაკებულ შაჰრუხთან მისულან მისი მოკავშირეები: შარვან შაჰი ხალილულაჰ I, შაქის მფლობელი სადი აჰმედ ორლათი, ხოლო მეორე დღეს ქართველი მეფის ალექსანდრეს ელჩები. 1421 წელს ომი მომხდარა ყარა-იუსუფის შვილს ისკანდერსა და შაჰრუხს შორის აზერბაიჯანში, სადაც ისკანდერი და მისი ჯარი შაჰრუხს დაუმარცხებია[1]. უეჭველია, ამ ომში მონაწილეობას მიიღებდნენ ხსენებული მმართველები როგორც შაჰრუხის მოკავშირეები და როგორც ამ მხარის მფლობელები. მათთან მონაწილეობდა, უთუოდ, ალექსანდრეც, როგორც საქართველოს აღმოსავლეთი საზღვრების დამცველი. შავბატკნიანთა წინააღმდეგ ხსენებული ქვეყნების შეკავშირებას შაჰრუხის ირგვლივ ამართლებდა შავბატკნიანთაგან მათი უკიდურესი შევიწროება და მათდამი შაჰრუხის შედარებით რბილი დამოკიდებულება, რითაც ის თემურლენგისაგან მკვეთრად განსხვავდებოდა. საქმე ის იყო, რომ შაჰრუხის პოლიტიკა თემურლენგივით არ გულისხმობდა აზერბაიჯანის და, საერთოდ, კავკასიის შეყვანას თავის უშუალო სამფლობელოთა შემადგენლობაში. მას მოკავშირეობაც აკმაყოფილებდა[2]. სპარსელი ისტორიკოსის სიტყვით, მოკავშირეები შაჰრუხს არწმუნებდნენ, რომ ყარა-ყოინლუს (შავბატკნიანთა) ძალების და ყარა-იუსუფის შვილების საბოლოო მოსპობა აუცილებელია მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად აზერბაიჯანშიო და სხვ[3].

პირველი საზრუნავი საქართველოს მთავრობისათვის ქ ვ ე ყ ნ ი ს შ ი ნ ა გ ა ნ ი მ თ ლ ი ა ნ ო ბ ი ს ა ღ დ გ ე ნ ა იყო, რომელიც მუდმივი ომებისა და აშლილობის პერიოდში ძალზე შეირყა.

1414 წელს ალექსანდრე დასავლეთ საქართველოში გადასულა ჯარით და იქ თვითნებურად მოქმედი მთავრები აულაგმავს: სამეგრელოს მთავარს მამია დადიანს მოუნდომებია აფხაზეთის სამთავროს დამორჩილება და აფხაზეთში გადასულა, მაგრამ აფხაზეთის მთავარს შერვაშიძეს მისი ჯარი დაუმარცხებია, ის კი მოუკლავს. სამეგრელოში ჩასულმა ალექსანდრემ სამეგრელოს მთავრად მოკლული მამიას ვაჟი ლიპარიტი დასვა, რო-

---

[1] ცნობა ეკუთვნის აბდურეზაკ სამარყანდის, იხ. И. Петрушевский, Государство Азербайджана в XV в., Сборник статей по истории Азербайджана, вып. I, 1949. с. 163.

[2] იქვე, გვ. 163.

[3] ცნობა ეკუთვნის მირხონდის. ი. პ ე ტ რ უ შ ე ვ ს კ ი, დასახ. ნაშრ., იქვე. ყარა-იუსუფისა (გარდ. 1420 წ.) და მისი შვილის ისკანდერის (გარდ. 1435 წ.) შემდეგ ტახტზე ასულმა ჯეჰან შაჰმა შაჰრუხის ხარკი იკისრა.

მელმაც მამის დანაშაულისათვის მეფეს პატიება სთხოვა. ასევე, აფხაზეთის მთავარმაც აფხაზეთში ჩასულ მეფეს მორჩილება გამოუცხადა[1]. იმავე, თუ მომდევნო 1415 წელს ივანე ათაბაგმა მეფის წინააღმდეგ ჯარი შეაგროვა და გაილაშქრა კიდეც, მაგრამ მეფემ განდგომილი ივანე კოხტასთავს დაამარცხა და ხელშიც ჩაიგდო. ამის შემდეგ ალექსანდრე „შევიდა სამცხეს და დაიპყრნა ყოველნი ციხენი და ექსორია ჰყვნა ურჩნი და რომელიმე უმკვიდრო ჰყვნა და დასხნა ერისთავნი თვისნი“[2]. ივანე ათაბაგმა პატიება ითხოვა და ერთგულება შეჰფიცა, მეფემაც შეინდო და თბილისს გამობრუნდა[3].

უკვე ეპოქის დამახასიათებელია, რომ გაძლიერებული მთავრები დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად მეფეს ომსაც კი უმართავენ. ასევე საყურადღებოა ალექსანდრეს მოქმედება, რომელმაც განდგომილი მთავარი დააპატიმრა, ხოლო სხვა ურჩი ერისთავები ზოგი საქართველოდან გაძევებით დასაჯა, ზოგს სამუდამოდ ჩამოართვა ერისთავობა („უმკვიდრო ჰყვნა“). მათ მაგიერ ერთგული („თვისნი“) ერისთავები დაადგინა. რამდენადაც რადიკალური იყო ცენტრალური ხელისუფლების ეს ღონისძიება, იმდენად ის ფეოდალური განკერძოებულობის დიდ სიღრმეს ადასტურებდა. ასეთ სიტუაციაში მეფის მიერ საერისთავთსაერისთავოების თუ საერისთავოების აღდგენა დროებით და უპერსპექტივო ღონისძიებად გამოიყურებოდა.

ცენტრალური ხელისუფლების გავლენის ასეთმა შერყევამ შესაბამისად დასცა ცენტრალური სამმართველო ორგანოს როლი და, შეიძლება ითქვას, ამ პერიოდში სავაზირო კარგა ხნის გაუქმებულიცაა. ასე ჩაიფუშა გიორგი ბრწყინვალის მიერ ქვეყნის გაერთიანებისათვის წარმატებულად დაწყებული ღონისძიებები. თემურლენგის ხანგრძლივმა შემოსევებმა და სხვა სიძნელეებმა მას ადრევე მოუღეს ბოლო. დრო უკვე აღარ იძლეოდა არავითარ საშუალებას ალექსანდრეს თუნდაც წამოეწყო მსგავსი ცდა. ამის გარეშე კი საქართველოს შინაგანი მთლიანობის აღდგენის ყველა ზომა, და ისიც ძველი საშუალებებით (საერისთავოების აღდგენა), ფუჭი ჩანდა.

ალექსანდრე დიდის საბუთებში კარზე მოქმედ ხელისუფალთა სახელების ჩამოთვლისას, მართალია, გვხვდება „კარის ვაზირთა“ ხსენება, მაგრამ ეს არის მხოლოდ ზოგადი ხსენება და მხოლოდ ძველის ინერციით. პრაქტიკულად ასეთი თანამდებობები არავის არ უჭირავს (ტიტულად შემორ-

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, ქ. ცხ., IV, გვ. 278—279; ქრონიკები, II, გვ. 221 (ვინკლოსიც მიუთითებს იგივე თარიღს, 1414 წ.).

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, ქ. ცხ., IV, გვ. 279; ქრონიკები, II, გვ. 221 (ვინკლოსი იძლევა განსხვავებულ თარიღს, 1414 წ.).

[3] ი ქ ვ ე.

ჩათ „ათაბაგი“ სამცხის მთავრებს). ამ პერიოდში ჩანს ყოფილი სავაზიროს მხოლოდ ზოგიერთი წვრილი მოხელე, რომელთა სამოქმედო ასპარეზი უფრო მეფის საკუთარი, ისიც ამ პერიოდისათვის, შემცირებული მიწა-წყლით იფარგლება.

სიმპტომატურია სამცხის ეკლესიის სეპარატიზმი მაწყვერელი ეპისკოპოსის მეთაურობით, რომლის ზურგს უკან, ცხადია, სამცხის მთავრები იდგნენ. მაწყვერელი ეპისკოპოსები წირვა-ლოცვებში სრულიად საქართველოს მეფესა და კათალიკოსს აღარ იხსენიებდნენ. მათ მაგიერ ანტიოქიის პატრიარქს მოიხსენიებდნენ და „მისგან გამოგზავნილ კაცს“ ცნობდნენ. მაწყვერლებმა მიისაკუთრეს აგრეთვე სამცხეში მცხეთის კუთვნილი განსაგებელი ვარძიის მონასტერი და საფარის ეპარქია. ერთი სიტყვით, როგორც ჩანს, უცდიათ მცხეთის სრული გამოძევება სამცხიდან, მაგრამ მას შემდეგ, რაც ალექსანდრემ სამცხე დაიმორჩილა, მაწყვერელთა ასეთი მოქმედებაც ალაგმულ იქნა. მაწყვერელი გერასიმე ფიცს აძლევს კათალიკოს მიქაელს (1420—1426): „მეფეთა მლოცავნი ვიყვნეთ და თქვენნი მომხსენებელნი ვიყვნეთ, არცა პატრიარქი მოვიხსენოთ ანტიოქიისა და არცა მისგან გამოგზავნილი კაცი შევიწყნაროთ“ და სხვ[1]. საეკლესიო მთლიანობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის პოლიტიკური ერთობისათვის. ამდენად, მაწყვერელთა ასეთი ცდა საქართველოს პოლიტიკური რღვევის მეტად საშიში სიმპტომი იყო.

ქართული და სომხური წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ 1416 წელს თურქმანებს ყარა-იუსუფის მეთაურობით ახალციხე დაუკავებიათ და დიდი ხოცვა-ყლეტა დაუტრიალებიათ. ქალაქის აღებაში მტერს იქაური მაჰმადიანი მცხოვრებლები დახმარებიან. როგორც სომხური წყარო გადმოგვცემს, თურქმანთა შემოსევის საბაბი ის გამხდარა, რომ ერთ გაქრისტიანებულ სპარსელს მიზგითში ღორის ხორცის ძვლები შეუყრია. ამაზე გაღიზიანებულ მუსლიმანებს ვალაშკერტში მყოფ ყარა-იუსუფისათვის მიუმართავთ, მასაც კარგი მიზეზი უშოვია ქალაქის დასარბევად და ტყვეების წასაყვანად[2].

ალექსანდრე მტკიცედ შეუდგა მტრისაგან მიტაცებული მიწა-წყლის დაბრუნებას. მართალია, საქართველო გაერთიანებული იყო და ალექსანდრე „ორსავე სამეფოს მტკიცედ“ მპყრობელად ითვლებოდა[3], ჩრდილოეთის კარიც, დარიალიც და ამ კუთხის მთის მოსახ-

---

[1] ქრონიკები, II, გვ. 227; ქ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, 1961, გვ. 24.

[2] იქვე, გვ. 221; თ. მეწოფელი, ისტორია, თარგ. ლ. მელიქსეთ-ბეგის, 1937; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, 1948, გვ. 32—33.

[3] სიგელები: 1413 წ., 1419 წ., 1424 წ. (ისტორიული საბუთები, III, გვ. 8, 11); ქრონიკები, II, გვ. 228.

ლეობაც საქართველოს ეკუთვნოდა[1], მაგრამ მისი საზღვრები სამხრეთით კიდევ უფრო შემცირებული იყო, ვიდრე ბაგრატ V-ის დროს. საქართველოს აღარ ეკუთვნოდა ხაჩენი, ანისი და ისეთი შუაგული მხარე, როგორიც ლორე იყო. ლორეს დაკარგვა დიდი დანაკლისი იყო საქართველოსათვის არა მხოლოდ სამხედრო (სამხრეთის საზღვრის) დაცვის მხრივ, არამედ აქ ქართული მამაპაპეული მიწისმფლობელობაც თურქმანთა მფლობელობით იყო შეცვლილი. მას სამუდამო დაკარგვის დიდი საფრთხე ელოდა. საქართველოს სხვა ტერიტორიებზეც, ადგილ-ადგილ, ქართული მიწისმფლობელობა სრულიად გამოდევნილი იყო ექსტენსიური მეურნეობით თურქმანთა ჩამოჯდომის გამო. ასეთი მიწების დაბრუნება მეტად ძნელდებოდა, მით უფრო, თუ ის პოლიტიკურადაც მტრის ხელში იყო.

ალექსანდრე მეფეს ლორე ომით აუღია 1431 წელს[2]. ლორეს უკან დაბრუნების ზოგიერთი ამბავი აღწერილია თვით ალექსანდრეს 1434 წლის სიგელში. ლორეს აღებაში დიდი როლი შეუსრულებია კათალიკოს თეოდორეს, რომელსაც ბრძოლის დაწყების წინ პატრიოტული სიტყვით მიუმართავს ქართველი მოლაშქრეებისათვის. ამ საბუთიდან ვიგებთ, რომ როგორც კი „ლორეს ციხე და მისი შესავალი“ „მიტაცებული აგარიანთაგან“ დაუბრუნებიათ, იქაური მიწა-წყალი ცენტრალურ ხელისუფლებას ისევ ძველი ქართველი მეპატრონეებისათვის დაურიგებია. ლორეს მხარეში ძველი მფლობელობის გამოძიება უწარმოებიათ არა მხოლოდ შემორჩენილი წერილობითი დოკუმენტებით („ანუ ნიშანი (ე. ი. სიგელი) ვისმეღა დარჩომოდა“), არამედ „მამათა და პაპათაგან“ განაგონით და ზეპირი გადმოცემითაც. ამას გარდა, აქაური მიწა-წყალი იმათთვისაც მიუბოძებიათ, ვისაც აქ მფლობელობა ძველად არ ჰქონია. მაგ., კათალიკოსისათვის სოფელი ამუჭი მიუციათ. მამულები მიუღიათ საზოგადოების ყველა შეძლების წარმომადგენლებს: „ქართველთა დარბაზის ერთა ზემოთასა და ანუ ქვემოთასა“[3].

ლორესა და მისი სანახების ასეთი ფართო და მასობრივი რენაციონალიზაცია გვიდასტურებს, რომ „აგარიანებს“ ეს ადგილები დროებით და მხოლოდ სამხედრო მიზნებით კი არ ეჭირათ, არამედ მათ მტკიცედ ჰქონიათ ფეხი მოკიდებული თავიანთი მეურნეობითურთ. ლორეს მიტაცება 1386—1387 წლებში უნდა მომხდარიყო თემურლენგის პირველი შემოსევე-

---

[1] მოხევე-მთიელთა საბუთი, გამოც. ქ. შარაშიძისა, საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.), მსკი, ნაკვ. 30, 1954, გვ. 271.

[2] ქრონიკები, II, გვ. 236; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 35.

[3] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 123—124.

ბის დროს. შემდეგში აქ თათარ-თურქმანთა კონტინგენტს, ცხადია, ახალ-ახალი შევსება მოსდიოდა თემურლენგის ყოველი ახალი შემოსევის შედეგად. ამგვარად, შეიძლება დაახლოებით ვივარაუდოთ 45—50 წელიწადი, რომლის განმავლობაშიც ეკავათ მათ ლორე[1].

ლორეს აღების შემდეგ, დაახლ. 1434—1435 წწ. შემოერთებულ იქნა სივნიეთის მხარე[2] (ახლანდელი ყარაბაღი და მისი მიმდგომი ტერიტორია)[3]. სივნიეთის შემოერთების სამხედრო მნიშვნელობა დიდი იყო, რადგან ირანის მფლობელები უშუალოდ საქართველოს ველარ მოადგებოდნენ.

XV ს. პირველი ნახევარი ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკური აღდგენითი სამუშაოებითა და დანგრეული ციხე-ტაძრების მშენებლობით არის ცნობილი.

შენობები ბლომად და საფუძვლიანად ყოფილა დანგრეული. ალექსანდრე იუწყება: „უსჯულო თემურს... მცხეთა და რაოდენნი საქართველოსა საყდარნი და ეკლესიანი და ციხენი იყუნეს, ყოველივე საფუძველითგან დაექცივნესო“[4]. ციხე-ტაძრების აღსადგენად საქართველოს მთავრობას საგანგებო ღონისძიებისათვის მიუმართავს. ხელისუფლებას მთელი საქართველოს მასშტაბით კომლის თავზე სპეციალური დროებითი სახელმწიფო ფულადი გადასახადი შემოუღია 40 თეთრის ოდენობით. განზრახული მშენებლობანი 1440 წლისათვის უკვე შესრულებული ჰქონიათ და თეთრის გადასახადი ამოუკვეთიათ კიდეც[5]. გადასახადი დაუწესებიათ 1425 წლიდან (ივ. ჯავახიშვილი) და სამუშაოებიც ამ წელს დაუწყიათ. როგორც ჩანს, მშენებლობა ძალიან ფართო მასშტაბის ყოფილა, მაგრამ ცნობების მოუღწევლობის გამო ცოტა ვიცით იმის შესახებ, თუ, სახელდობრ, რომელ ციხეებს, ტაძრებს და ადგილებს შეეხო ეს სამუშაოები.

ცნობები გვაქვს მცხეთის სვეტიცხოვლის აღდგენის თაობაზე, რომ-

---

[1] სომეხი ისტორიკოსის თ. მეწოფელის მოწმობით, ალექსანდრემ დაახლოებით 1434—1435 წლებში ლორე ბეშქენ ორბელს მიუბოძა საგამგეოდ იმ დამსახურებისათვის, რომელიც მან სივნიეთის შემოერთების საქმეს დასდო (თ. მეწოფელი, ისტორია, თარგმანი ლ. მელიქსეთ-ბეგისა, 1937, გვ. 24—25).

[2] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 35.

[3] თ. მეწოფელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 24—25.

[4] ალექსანდრე მეფის 1440 წ. სიგელი (სამშენებლო გადასახადის მალის ამოკვეთის თაობაზე), ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 126; ქრონიკები, II, გვ. 248.

[5] ალექსანდრე შემდეგს იუწყება: „ვიგულისმოდგინე ყოველთავე საქართველოსა ციხეთა და საყდართა აღშენებად. მას ჟამსა შემოსავალი ჩუენისა სახლისა არსით რა იყო და ამად საქართველოს კუამლსა ზედან ორმოცი თეთრი მალად განვაჩინე და ასოცდარვად ქორონიკონადმდე (ე. ი. 1440 წლამდე) რაოდენნი საქართველოს ციხენი, საყდარნი და მონასტერნი არიან, ყოველნივე სრულიად ახლად აღვაშენენ და შევამკუენ და აწ ჩუენსავე ჟამსა შიგან ამოგვიკუეთია“ (იქვე).

ლის სამუშაოები ჯერ კიდევ ალექსანდრეს ბებიას — რუსას ჰქონდა დაწყებული, ხოლო ალექსანდრეს ის 1431 წლისათვის უკვე დაუმთავრებია[1]. რუისის ტაძრის დასავლეთის კარიბჭის ასომთავრული წარწერა გვამცნობს, რომ ალექსანდრეს რუისის ტაძარიც შეუკეთებია[2]. ასევე, სათანადოდ აღუდგენიათ და შემდეგ მცხეთისათვის გადაუციათ (1424 წ.) „ჟამთა ვითარებითა აგარიანთ ხელისაგან მოშლილი" გარეჯის უდაბნოები[3]. ალექსანდრეს საბერძნეთში ათონის ქართულ მონასტერში განუახლებია „სასნეულო და ამის გოდოლნი და სენაკნი"[4]. ჩანს, საქართველოში შეკრებილი თანხა საზღვარგარეთის შევიწროებულ ქართულ მონასტრებსაც მოახმარეს[5].

თემურლენგისაგან დანგრეული შენობების აღდგენა კერძო ფეოდალებსაც უწარმოებიათ საკუთარი სახსრებით. მაგ., სვეტიცხოვლის ეკლესიის განახლება, როგორც ზემოთ ვთქვით, ალექსანდრეს ბებიას — რუსას დაუწყია ადრევე: „გამოჰკაზმა საყდარი და იწყო შენებად სუეტთა საყდრისათა", მაგრამ რუსა დამთავრებას ვეღარ მოსწრებია[6]. ქუცნა ამირეჯიბს, ალექსანდრეს პაპას, კახეთში „თემურისაგან სრულიად აოხრებული", „რომელ საძირკველიცა არა დაშთომილ იყო", ულუმბის ღვთისმშობლის ეკლესია ხელახლა აუშენებია[7]. დანგრეული ციხეებისა და ეკლესიების აღდგენა-შეკეთება დაუწყიათ ადრეც, გიორგი VII-სა და კონსტანტინე I-ს[8].

შეუძლებელი იყო ასე მოკლე დროში და უსახსრობის პირობებში მაშინვე მოესწროთ ამოდენა დანგრეული შენობების აღდგენა, თუმცა ალექსანდრე, როგორც ზემოთ ვნახეთ, აცხადებს: რაც იყო ყველა ავაშენეო. სამუშაოები შემდეგშიც დიდხანს გაგრძელებულა. ამავე საუკუნის უკანას-

---

[1] ქრონიკები, II, გვ. 237, 238. ალექსანდრეს თანამშრომელი მცხეთის მშენებლობაში მიქაელ კათალიკოსიც ყოფილა (ისტ. საბ., III, გვ. 12). ალექსანდრეს მცხეთაზე მუშაობა დაუწყია გამეფებისთანავე, 1412 წლიდან, ვიდრე 1431 წლამდე, ე. ი. 19 წელიწადი (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 36).

[2] წარწერა ტაძარზე: „ადიდენ ღმერთმან მეფეთ-მეფობა დიდისა ალექსანდრესი, რომლისა მიერ კვლავ აღეშენა საყდარი", ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქ. მოგზაურობა, I, გვ. 106.

[3] ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, სენიორიები. I, 1966, გვ. 134.

[4] ტ ი მ ო თ ე გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, მიმოსვლა, გამოც. ე. მეტრეველის, 1956, გვ. 21.

[5] ამაზე მიუთითებს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ამ ალექსანდრესათვის დადებული მოსახსენებელი (მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 1962, გამოც. ე. მეტრეველისა, გვ. 168).

[6] 1412 წ. სიგელი, ისტ. საბ., III, გვ. 9.

[7] ქრონიკები, II, გვ. 208 (ამირეჯიბთა სიგელი).

[8] ვ ა ხ უ შ ტ ი, ქ. ცხ., IV, გვ. 275, 277.

კნელ მეოთხედში ალექსანდრეს შვილიშვილს კახეთის მეფეს ალექსანდრე I-ს დაახლ. 1476—1479/95 წლებს შორის დიდი აღდგენითი მუშაობა გაუჩაღებია მთელს კახეთის ტერიტორიაზე. მას დიდი ხნის წინათ „წარმართთაგან შეგინებული ეკლესიები“ და მათ შორის ალავერდი, რომლის აღდგენა „სხვათა მეფეთა ვერ ხელეყოთო“, აღუდგენია[1]. უეჭველია, ამ ცნობაში თემურლენგისაგან გაპარტახებული იმ ნაგებობების მშენებლობა იგულისხმება, რომლის აღდგენა ალექსანდრე დიდმა ვერ მოასწრო.

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის თვალსაზრისით ალექსანდრეს მიერ სპეციალური სამშენებლო გადასახადის შემოღება, ერთი მხრივ, გარკვეულად ადასტურებდა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორებას, მეორე მხრივ, უფრო მეტად მისი უძლურების მოწმობაც იყო. თვით ალექსანდრე ამბობს: ხალხს იმიტომ გავაწერე გადასახადი, რომ „მას ჟამსა შემოსავალი ჩვენისა სახლისა არსით რა იყო“[2]. ბუნებრივია, სახელმწიფო შემოსავლის შემცირება მოსახლეობის შეთხელებისა და მისი გადახდისუნარიანობის დაქვეითების შედეგიც უნდა ყოფილიყო, ხოლო გადასახადის ასე მალე შეწყვეტა (15 წლის შემდეგ) ამისივე დამადასტურებელი. ამ აღმშენებლობებს, ცხადია, მხოლოდ სახელმწიფოსა და ეკლესიის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება შეეძლო, მწარმოებელი საზოგადოების კეთილდღეობას ის პირდაპირ არ ეხმაურებოდა.

ქ ვ ე ყ ნ ი ს ე კ ო ნ ო მ ი კ უ რ ი მ ო ღ ო ნ ი ე რ ე ბ ი ს ე რ თ-ე რ თ ი პ ი რ ო ბ ა ი ყ ო დ ა ც ა რ ი ე ლ ე ბ უ ლ ი, უ კ ა ც რ ი ე ლ ი ა დ გ ი ლ ე ბ ი ს მ ო შ ე ნ ე ბ ა-დ ა ს ა ხ ლ ე ბ ა. მაგრამ მკვეთრად იგრძნობოდა მწარმოებელი საზოგადოების—გლეხობის სიმცირე, რაც არსებითად აძნელებდა ასეთი ღონისძიებების განხორციელებას. მეორე მხრივ, საერთო მატერიალური სივიწროვის გამო იშვიათად თუ ვინმეს გააჩნდა საამისო სახსრები. ამიტომაც დიდი უმრავლესობა ნასახლარებისა და პარტახტებისა ხანგრძლივად ან სამუდამოდ მოუშენებელი რჩებოდა. შეძლებულთა შორის ეკლესია გამოირჩეოდა, რომელიც ასეთ ნასოფლარებს ადვილად იგდებდა ხელში და ახდენდა მათ მოშენებას, რათა კიდევ უფრო გაეფართოებინა თავისი მიწა-წყალი. დავასახელოთ რამდენიმე მაგალითი, სადაც თვალსაჩინოდ ჩანს ეს სიძნელეები; ერთ-ერთი ფეოდალი თაყა

---

[1] ანა დედოფლისეული ქართლის ცხოვრების ანდერძი (გამოც. ს. ყაუხჩიშვილისა, ქართლის ცხოვრება, ანასეული ნუსხა, 1943, გვ. 236). ალექსანდრეს თანამშრომლებად მშენებლობაში გამოდიან მისი დედა ნესტან-დარეჯანი და მეუღლე ანა. ცვლილებების შეუტანლად მათ ხელახლა ააშენეს ალავერდის ტაძრის გუმბათის ყელი, გუმბათი, სამხროები, მოახატვინეს ეკლესია და სხვ.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 126; ქრონიკები, II, გვ. 248.

ზედგინიძე 1433 წელს მცხეთას სწირავს ქვემო ქართლში მდებარე ნასოფლარ ქვეშს, რომელიც ჯერ კიდევ ძველი მემამულის აბულახტარისძეების ხელში აყვავებული სოფელი ყოფილა, მაგრამ „მას უკანით, ყამთა ვითარებისაგან, უსჯულოთა აგარის ნათესავთა ხელით“ ისე აოხრებულა, არამც თუ სულიერი ვინმე, აღარც ნაგებობა რაიმე არ გადარჩენილა. ასეთ მდგომარეობაში ეს ნასოფლარი მეფეს თაყასათვის მიუცია. ამ ფეოდალს, ეტყობა, მისი მოშენება აღარ სურვებია და ის ასევე მოუშენებელივე მცხეთისათვის გადაუცია[1]. მცხეთას ნასოფლარ ქვეშში გლეხები დაუსახლებია. იგი უკვე სოფლად იხსენიება მცხეთის 1447 წლის მამულების სიაში[2].

ბარის მოსახლეობის შეთხელების გამო, მაგ., კახეთში, ახალმოშენებად სახელმწიფოს მთიდან ჩამოჰყავს გლეხობა. 1441 წლის საბუთში ალექსანდრე ამბობს: „ახალი სოფელი ავაშენე, ყუარელნი და მაღაროელნი დავასახლეო“[3]. ამგვარად, ამ „ახალ სოფელში“ ყვარლის მთებიდან და მაღაროდან (ესეც მთებშია) ჩამოუყვანიათ მოსახლეობა. კახეთის კოლონიზაცია ამ დროს დასავლეთ საქართველოდანაც უნდა მომხდარიყო. ამას ტოპონიმიკური მასალა გვიმოწმებს[4]. მოღწეული მასალების მიხედვით, საფიქრებელია, ქვემო ქართლის დასავლური კოლონიზაციაც. რაკი საქართველო იმ დროს გაერთიანებულია, დასაშვებია ვიფიქროთ, რომ მოსახლეობის დასავლეთიდან გადმოსვლას არა მხოლოდ სტიქიური, არამედ სახელმწიფოებრივ-ორგანიზაციული ხასიათიც ჰქონდა.

მოსახლეობის უკმარობის გამო სოფლების დასასახლებლად სახელმწიფოს საჭიროდ უცვნია უცხო ქვეყნებიდანაც მოეყვანა ხალხი, მიეცა მათთვის საჭირო სახსარი მეურნეობის მოსაწყობად. 1441 წელს ალექსანდრე მცხეთის შეწირულების სიგელში წერს: შემოგწირეთ „ჩემგან ესრეთ აშენებული კუნელი რომე კაცი არ ესახლა და თათართა ქვეყნიდაღმან კაცები მოვასხი და ხარი, ფური და პური ჩუენ მივეცით...“[5].

საქართველოს შეთხელებული მოსახლეობის გადიდების მიზნით გარკვეულ ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს საქართველოს გამგებლობაში ძვე-

---

[1] ისტ. საბ., III, გვ. 4.

[2] საქართველოს არქივი, III, 1927, გვ. 108—115.

[3] ისტ. საბუთები, III, გვ. 23—24. სოფელს დღემდე შერჩა „ყვარელის“ (ძვ. ყვარელ-ნი) სახელი. ბარის „მაღაროც“ ასეთი წარმოშობისაა (მაღარო-ელ-ნი).

[4] მაგ., ისტორიკოს ვახუშტი ბაგრატიონის რუკაზე ერწოს სანახებში (მდ. არაგვის მარცხენა ნაპირას) აღნიშნულია სოფელი „ოდიშელისძენი“. ამ სოფლის დასავლური წარმოშობა უეჭველია (ოდიშ-ელი-ძე). მცხეთის მამულების 1569 და 1579 წლების სიებში ეს გვარი აქ მოსახლედ ჩანს. შეიძლებოდა სხვა მაგალითების მოტანაც. გვიანდელ კახეთის წარმოქმნაში ვარაუდობენ დას. საქართველოს მოსახლეობის მონაწილეობასაც (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, 1964, გვ. 175).

[5] ისტორიული საბუთები, III, გვ. 21 — 22.

ლად ნამყოფი მოსაზღვრე მხარეების დაბრუნება. მაგ., სივნიეთისა (ახლანდელი ყარაბაღი) და მისი მეზობელი თემების შემოერთებით საქართველოს მაშინ შეემატა 60000 სულზე მეტი ქრისტიანული მოსახლეობა[1]. ამასთან ერთად საქართველოს განაპირა და შიდა რაიონები სტიქიურად ივსებოდა მაჰმადიანური ქვეყნებიდან ლტოლვილი სომხებით, რომლებიც აქ როგორც სიმშვიდეს, ისე საარსებო მიწა-წყალსაც პოულობდნენ[2].

მაინც მდგომარეობის ნიშანდობლივი გამომხატველია ის ფაქტი, რომ 1447 წლის საბუთში მცხეთის კუთვნილ 45-მდე სოფელს შორის 5 ობიექტი „ნასოფლარად" არის აღრიცხული[3]. ამგვარად, მწარმოებელი საზოგადოების სიმცირე დაუძლეველ დაბრკოლებად რჩებოდა.

ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკური წინსვლის გზაზე დიდ სიძნელედ იქცა მ წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ს ა წ ა რ მ ო ო უ ნ ა რ ი ა ნ ო ბ ი ს ძ ა ლ ზ ე დ ა ქ ვ ე ი თ ე ბ ა. გაზრდილი ექსპლოატაციის ნიადაგზე გლეხური კომლები მუდმივ შიმშილობისა და ამოწყვეტის საფრთხის წინაშე იდგა, რასაც არაფერი ეშველებოდა. შიმშილობის, ტყვეობიდან გამოსყიდვის მიზეზით გლეხს უკანასკნელი სახსარი ხელიდან ეცლებოდა. მაგ., კათალიკოს ელიოზ გობირახისძის (1390—1419) საბუთში დასახელებულია შიმშილობის მიზეზით („შიმშილობისაგან") გლეხთა მიერ მამულის გაყიდვის ოთხი შემთხვევა. ამასთან, ნიშანდობლივი ისაა, რომ ერთი და იგივე მამული სულ მოკლე დროში სამჯერ გაყიდულა: ორჯერ ეს მამული გლეხებსვე უყიდიათ, მაგრამ შიმშილობის გამო ვერ შეუნარჩუნებიათ. ბოლოს ისევ მსხვილ მემამულეს ჩავარდნია ხელთ (კათალიკოსის ძმას და შემდეგ მცხეთას)[4]. ამავე პერიოდის ერთი დაზიანებული საბუთი ეხება სასამართლო განაჩენს იმის თაობაზე, რომ შიმშილობის დროს თავის გამოკვების მიზნით ერთი ბატონის გლეხი მეორე ბატონს შეფარებია. ამ გლეხს ახალი ბატონი ძველ ბატონს აღარ ანებებდა, მაგრამ კანონის ძალით სასამართლოს გლეხი პირველი ბატონისათვის ურგუნებია[5].

---

[1] თ ო მ ა მ ე წ ო ფ ე ლ ი, ისტორია, თარგმ. ლ. მელიქსეთ-ბეგისა, გვ. 44—46; იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, IV, 1948, გვ. 35.

[2] თ ო მ ა მ ე წ ო ფ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 44—46.

[3] საქართველოს არქივი, III, გვ. 108—115.

[4] ქრონიკები, II, გვ. 206. „გოროვანს ქათათაური მამული ნასყიდი შიმშილობისაგან ჩემის (კათალიკოს ელიოზის — ბ. ლ.) ძმისაგან. ეგრეეე ნასყიდი ვენახი ახატანს შიმშილობისაგან. პირველად პანტიაშვილისაგან გასყიდული იყო უჯრამელას ძესა ზედა, მერმე უჯრამელას ძემან დათუა შალვას შვილს მიჰყიდა, მერმე ჩემმა ძმამ ამილახორმა იყიდა შალვას შვილისაგან". ეს ორი ნასყიდი მამული კათალიკოსს მცხეთისათვის შეუწირავს თავისი ძმის საოხად (ი ქ ვ ე).

[5] ქრონიკები, II, გვ. 217, XV ს. პირველი მეოთხედის საბუთი.

1452 წლის საბუთში მოთხრობილია ტყვეობიდან გამოსახსნელი ფულისათვის გლეხის მიერ ვენახის გაყიდვის შესახებ და სხვ.[1].

ეკონომიკურ ღონისძიებებში ცენტრალური ხელისუფლება გამოდიოდა საშუალო და წვრილ მიწისმფლობელთა დამცველად. ამასთან, საჭირო გახდა ეზრუნათ ეკლესიის მემამულეობის გაზრდისათვის. უკვე დიდად გაძლიერებული ფეოდალური პარტიკულარიზმის პირობებში, როცა ცენტრალურ ხელისუფლებას მოკავშირეები თანდათან ეშრიტებოდა, მატერიალურად ძლიერ ეკლესიას შეეძლო მისთვის ერთგული იდეოლოგიური და პოლიტიკური თანამებრძოლობა გაეწია.

მართალია, ეკლესია ეკონომიკური კრიზისების ჟამს მაღალი მატერიალური შესაძლებლობებით გამოირჩეოდა, მაგრამ ეს მაინც შედარებითი იყო, რამდენადაც ქვეყნის ფიზიკური ნგრევა და საერთო ეკონომიკური დაცემულობა მასზეც გავლენას ახდენდა. უდიდესი მატერიალური ზარალი მოუვიდა მცხეთას და სხვა წვრილ საეკლესიო ცენტრებს. ეკონომიკური სივიწროვის გამო მამულების გამოწირვას ახდენდნენ მეფეები, კერძო მფლობელებს საეკლესიო მიწა-წყალი მიჰქონდათ ძალადობითაც და ა.შ. XV ს. პირველ ნახევარში საეკლესიო მიწისმფლობელობა საკმაოდ შემცირებული იყო წინა პერიოდებთან შედარებით.

ალექსანდრე იწყებს აღდგენას საკმაოდ ფართო გეგმით. მან, როგორც უკვე ვიცით, დიდძალი სახსრები შეალია მტრისაგან დაქცეულ მცხეთის ტაძრის მშენებლობას. მეფეს მამულებიც შეუწირავს მცხეთისათვის: „ეგულვა კუალად აღშენებად... მცხეთისა საყდრისა და მამულნი შეეწირნეს“... ამბობს გიორგი მეფე ალექსანდრეს შესახებ 1447 წლის საბუთში[2]. ცალკეული კომლებისა და მამულების გარდა მცხეთამ მიიღო ალექსანდრე მეფისაგან მსხვილი ობიექტებიც. როგორც ზემოთ გვქონდა ნათქვამი, ალექსანდრემ აღადგინა თემურლენგის ლაშქრობათა შედეგად ხანგრძლივად გაუქმებული გარეჯი და ის 1424 წელს მცხეთას შესწირა მისივე 17 სოფლით, ერთი ციხით და ერთი მონასტრით[3]. მცხეთას შესწირა: ვირშის მონასტერი მისი მამულებით (1431 წ.)[4], არმაზის ციხე მისი ბაჟის შემოსავლით (1433 წ.)[5], სოფ. ამუჭი (1434 წ.)[6], კახეთის სოფლები: ვანთა, ვარცა, დუმასუბანი და სხვ. მცხეთის მემამულეობის გადიდებას ალექსანდრე ახდენდა არა მხოლოდ სამეფო მამულების ფონდიდან, მეფე უკან

---

[1] ისტ. საბუთები, II, გვ. 10.

[2] საქართველოს არქივი, III, 1927, გვ. 108 — 115.

[3] ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, სენიორიები, I, გვ. 40, 58.

[4] ს. კაკაბაძე, გენეალოგია დიდის ალექსანდრე მეფისა, 1913, გვ. 20—24.

[5] ისტორიული საბუთები, III, გვ. 15 — 16.

[6] ქრონიკები, II, გვ. 242 (გამოცემაში მითითებულია მცდარი თარიღი — 1435).

აბრუნებინებდა გამოწირულ მამულებსაც, რომლებიც ძველად ძალით ან მეფეთა სიგელებით მისაკუთრებული ჰქონდათ, ანდა, ზოგჯერ ნატყუარი სიგელებით თვითვე ჰქონდათ გაკეთებული.

დაკარგული მამულების აღდგენა-შემომტკიცებისათვის ან ახლის შესაძენად თვით ეკლესიის მესაჭენიც აქტიურად იღწვოდნენ.

ამ ღონისძიებებით ეკლესიამ შეძლო მიწისმფლობელობის მხოლოდ ნაწილობრივ აღდგენა. როგორც 1447 წლის მცხეთის საკათალიკოსო მამულების ერთიანი სიიდან ირკვევა, მის განკარგულებაში ქართლისა და კახეთის ტერიტორიებზე ირიცხებოდა: 40 სოფელი, 6 მონასტერი თავ-თავიანთი სოფლებითურთ, 11 აზნაურის სახლი, 5 ნასოფლარი, 25 კომლი გლეხი სხვადასხვა სოფელში[1].

აღდგენითი ღონისძიებები, რომლებსაც ჩვენ აქ გავეცანით, თვალსაჩინოდ მოწმობენ, თუ რაოდენ ღრმა და მომაკვდინებელი იყო ხანგრძლივი რბევა-აოხრებითა და საშინაო სიძნელეებით გამწვავებული ქვეყნის ეკონომიკური დაქვეითება. აღდგენა საჭიროებდა დიდ მატერიალურ სახსრებს და მტკიცე ეკონომიკური საფუძვლების შექმნას, რასაც საქართველო, თუმცა მაშინ მოკლებული იყო, დროთა ვითარებაში მიაღწევდა, რომ სულ მალე ახალ საშინაო და საგარეო გართულებებს, როგორც დავინახავთ, დაწყებული საქმე არ შეეჩერებინა. სერიოზულ სიძნელეებს კი ჯერ კიდევ ალექსანდრეს მეფობის უკანასკნელ წლებშიც უჩენია თავი.

1440 წელს საქართველოს შავბატკნიან თურქმანთა მეთაური მოადგა, რომელმაც ალექსანდრეს დესპანების პირით შემოუთვალა ნებაყოფლობით დამორჩილებოდა და ხარკი გადაეხადა. ალექსანდრემ გაბედული უარი შეუთვალა, რის გამოც მოწინააღმდეგე ხოცვა-ჟლეტით შემოიჭრა. როგორც ამ ამბის დაწვრილებით აღმწერი თომა მეწოფელი ამბობს, ეს დღე აღდგომა ყოფილა. მაშინ მტერს არავინ ელოდა და წინააღმდეგობაც ვერ გაუწიეს. მტერმა ბევრი დახოცა და ბევრი ტყვე იშოვა. ჯეჰან შაჰმა ქ. სამშვილდე აიღო და თავისი გამარჯვების აღსანიშნავადო, გადმოგვცემს სომეხი ისტორიკოსი, აქ 1664 მოჭრილი თავისაგან მინარა დაადგმევინა; ტყვეები 9400-ს აღწევდაო. თურქმანთა ჯარმა ისე ერთიანად გაძარცვა მოსახლეობა, რომ მოსახლეობას ტყვეების გამოსასყიდი თანხა აღარ დარჩაო. ამის შემდეგ მტერი თბილისისაკენ წამოსულა, ქალაქი აუღია და საშინელი სიმხეცით გასწორებია მოქალაქეებს. ქრისტიანებს დიდი ხარაჯა დაა-

---

[1] 1447 წელს გიორგი მეფე ხელახლა ანახლებს მისი მამის ალექსანდრეს მიერ გაცემულ მცხეთის სიგელს. თვით ალექსანდრეს სიგელი მოღწეული არ არის.

დეს, რათა აეძულებინათ გამაჰმადიანებულიყვნენ[1]. სხვა წყაროებით არ ჩანს რამდენი იყო ეს ხარკი და გადაიხადეს თუ არა ის.

ჯეჰან შაჰის შემოსევით გამოწვეულ დიდ ზარალს თან დაემატა სამეფო კარზე ჩამოვარდნილი უთანხმოება. 1442 წელს ალექსანდრე მეფე აბრაჰამის სახელით ბერად შემდგარა მცხეთაში[2], სამეფო ტახტზე კი თავისი უფროსი ძე ვახტანგი დაუსვამს. ეს განდგომა, როგორც სამართლიანად ფიქრობენ, საოჯახო კონფლიქტის მიზეზი უნდა ყოფილიყო, რომელიც მეფის ხელისუფლების დასუსტებისა და დიდ ფეოდალთა ურთიერთქიშპის შედეგი იყო უეჭველად[3].

---

[1] თ ო მ ა მ ე წ ო ფ ე ლ ი, ისტორია, გვ. 119 — 122.

[2] აქ მას თავის საძვალე მთავარანგელოზის ეკვტერთან ახლოს აუგია საცხოვრებელი სახლები. ე ქ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, მეფეთა და კათალიკოზთა სულთა მატიანე ნიკორწმინდის ხელნაწერში, 1939, გვ. 9. ახალი ქართლის ცხოვრება, მეორე ტექსტი, ქ. ცხ., II, გვ. 475.

[3] წყაროებით ცნობილია ალექსანდრეს უთანხმოება თავის მამასთან კონსტანტინესთან. 1407 წელს იგი ივანე ათაბაგს შეეხიზნა სამცხეში, სადაც ხუთი წელიწადი დაჰყო. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში (დოკუმენტები, კრიტიკული წერილით), მსკი, ნაკვ. I, 1937, გვ. 11, 40.

თ ა ვ ი მ ე ცა ა მ ე ტ ე

საქართველო XV ს. მეორე ნახევარში. ერთიანი საქართველოს საბოლოო დაშლა სამეფოებად და სამთავროებად

§ 1. შინაური სიძნელეები. პოლიტიკური დაშლის დასაწყისი

ქვეყნის აღდგენა-განახლებისათვის საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული ზომები (რომლებსაც ზემოთ შევეხეთ), თუმცა ვერ უზრუნველყოფდნენ მდგომარეობის აღდგენას, მაგრამ მაინც მოპოვებული წარმატებები იმის მომასწავებლად ჩანდა, რომ ხანგრძლივი საშინაო და საგარეო ხელსაყრელ პირობებს შეეძლო ქვეყანა განახლებისა და წინსვლის გზაზე გამოეყვანა. სამწუხაროდ, ამ მოსალოდნელი აღმავლობის მაგიერ XV ს. მეორე ნახევარში საქართველო კიდევ უფრო უკან წავიდა. მთავარი დამახასიათებელი მოვლენა ამ პერიოდში უზომოდ გაძლიერებული შინაფეოდალური ბრძოლა და საბოლოოდ ქვეყნის პოლიტიკური დაშლა იყო.

ალექსანდრე დიდის სიცოცხლეშივე გამეფებული მისი ძე ვახტანგ III (1442—1446) მალევე გარდაიცვალა[1]. იგი შეცვალა მისმა ძმამ გიორგი ალექსანდრეს ძემ[2]. თუმცა გიორგი VIII (1446—1466) სრულიად საქართველოს ერთმმართველ მეფედ იხსენიებოდა, მაგრამ მას უშუალოდ მხოლოდ იმერეთი, ქართლი და კახეთი ემორჩილებოდა. დასავლეთ საქარ-

---

[1] ვახტანგი და მისი მეუღლე ფანასკერტელის ასული სითიხათუნი დასაფლავებული არიან ბანას საკათედრო ტაძარში (ამჟამად თურქეთის სახელმწიფოს საზღვრებშია).

[2] გიორგის, პირველი მეუღლის თამარის შემდეგ, ნესტან-დარეჯანისაგან შესძენია ალგქსანდრე და ორი ასული. როგორც ბიზანტიური წყარო მოწმობს, გიორგის ერთ-ერთი ქალიშვილი დანიშნული ყოფილა ბიზანტიის უკანასკნელ იმპერატორზე კონსტანტინე XI-ზე (1449—1453). 1449 წ. ოქტომბერში ქალის დასანიშნად აქ ჩამოსულა იმპერატორის პირველი მდივანი გიორგი სფრანძესი (გიორგი სფრანძესი, მცირე ქრონიკა, გეორგიკა, VIII, გვ. 49, 53, 63—73 და სხვ.). კონსტანტინე მოკლულ იქნა 1453 წელს კონსტანტინოპოლის თურქთაგან აღების დროს, ამიტომ ეს ქორწინება არ შედგა.

თველოს ტერიტორიაზე საბედიანოს (ამ დროს აერთიანებდა სამეგრელო-აფხაზეთს), გურიისა და ასევე სამცხე-მესხეთის სამთავროები თავიანთ დამოუკიდებლობას მკვეთრად ამჟღავნებდნენ. მათ ჰყავდათ საკუთარი ჯარი და აწარმოებდნენ მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას. ამგვარად, ერთიანი საქართველოს პოლიტიკური დაშლა აშკარად დაწყებული იყო. ყველაზე ადრე და ყველაზე მეტად სრული განკერძოების გზას სამცხის სამთავრო დაადგა.

1447 წელს სამცხის მთავარს აღბუღა ათაბაგს ომი გაუმართა მისმა ძმამ ყვარყვარემ[1] და ათაბაგობა წაართვა. სამცხიდან ლტოლვილი აღბუღა გიორგი მეფეს შეეხიზნა. გიორგიმ ყვარყვარეს წინააღმდეგ ილაშქრა და აღბუღა ისევ მთავრად დაადგინა[2].

აღბუღას გარდაცვალების შემდეგ, 1451 წელს, მთავარი გახდა ყვარყვარე. იგი გეგმაზომიერად შეუდგა საქართველოსაგან სამცხის ჩამოშორებას. მან მოახერხა მიემხრო არა მხოლოდ საერო მაღალი ფეოდალები, არამედ სამცხის სამღვდელოების მაღალი წარმომადგენლებიც, ეპისკოპოსები და არქიმანდრიტები. მათი მეშვეობით შეეცადა სამცხე ეკლესიურად ჩამოეშორებინა საქართველოსაგან. მან თუმცა მოკლე დროით, მაგრამ მაინც მიაღწია ამას: სამცხის ეპისკოპოსებს თვითონ ნიშნავდა და მცხეთაში კათალიკოს-პატრიარქთან საკურთხევლად აღარ უშვებდა[3], კათალიკოსს წაართვა სამცხეში კუთვნილი ვარძიის მონასტერი და სამწყსოს ტერიტორია[4]. სამთავროს ეკლესიებმა შეწყვიტეს წირვა-ლოცვებში სრულიად საქართველოს მეფისა და კათალიკოს-პატრიარქის მოხსენიება[5] (ეს კი მტკიცე დადასტურება იყო იმისა, რომ სამცხის სამთავრო თავის თავზე ამიერიდან აღარ ცნობდა საქართველოს აღარც საერო და აღარც საეკლესიო უმაღლეს ხელისუფლებას). როგორც წყაროებიდან კარგად ჩანს, სეპარატისტული სულისკვეთების გაღვივებას სამცხეში ხელი შეუწყო აქ შესაწევარის მომგროვებლად ჩამოსულმა ბერძენმა მიტროპოლიტმა, რომელმაც მთავრის გულის მოსაგებად ცბიერად წააქეზა ქართველი სამღვდელოება უმცხეთოდ მიეღოთ კურთხევა-ხელდასხმა და მცხეთას აღარ დამორჩილებოდნენ[6].

---

[1] ვახუშტი შეცდომით მიიჩნევს ყვარყვარეს აღბუღას ბიძად. ვ ა ხ უ შ ტ ი, ქ. ცხ., IV, გვ. 283—284.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, ქ. ცხ., IV, გვ. 476; ქრონიკები, II, გვ. 254; ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, IV, 1948, გვ. 51 — 52.

[3] ქრონიკები, II, გვ. 268.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 269.

[5] ი ქ ვ ე, გვ. 267.

[6] ი ქ ვ ე, გვ. 269. საქართველოში და სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში აღმოსავლეთის ეკლესიის მღვდელმთავრების მოსვლა, თვით პატრიარქებისაც კი, იშვიათი შემთხვევა არ იყო. ეს გამოიწვია იერუსალიმისა და ანტიოქიის საპატრიარქოების

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, იმჟამად დავითი (1445/47—1459), მარჯვედ შებრძოლებია სამცხის მთავრის ამ მოღალატურ საქციელს: თვითონ მისულა სამცხეში და განდგომილი სამღვდელოება, მათ შორის მაწყვერელიც (აწყურის ეპისკოპოსი) საფარის ეკლესიაში შეუჩვენებია. „...ოდეს მაწყუერელი და სამცხის ეპისკოპოსნი თქუენგან (დავით კათალიკოს-პატრიარქისაგან—ბ. ლ.) უჯუარობით და შეუნდობელი იყვნეს საფარის თავსა ზედა...", აღნიშნულია იმდროინდელ დოკუმენტებში[1]. საეკლესიო კანონების თანახმად, შეჩვენებულ მღვდელმთავრებს საეკლესიო მსახურების უფლება აღარ ჰქონდათ და ამასთან მკაცრი საეკლესიო სასჯელიც, უზიარებლობა ედებოდათ. დანაშაულის „ახსნა-შენდობა" კი მხოლოდ ისევ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს შეეძლო. ცხადია, სამცხის მღვდელმთავრები და მათი ხელქვეითნი გამოუვალ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ, რაკი მათ მღვდელმსახურების აკრძალვის გამო მატერიალური სახსარი მოესპოთ.

მიღებულმა ზომებმა ქვეყნის მთლიანობის აღსადგენად რომ იყო გამიზნული, თავისი შედეგი გამოიღო. შეჩვენებულ-განკვეთილმა სამცხის მაღალმა სამღვდელოებამ იწყო მცხეთაში მოსვლა მეფისა და კათალიკოს-პატრიარქის წინაშე ერთგულების გამოსაცხადებლად. მეტი სანდოობისათვის კათალიკოს-პატრიარქი დავითი მათ წერილობით აფორმებინებდა ერთგულების ფიცს. მაგ., ანჩელი მღვდელმთავარი ფიცის წიგნში აცხადებდა: „აწ დღეისითგან წაღმა ჩემად დღედ სიკუდილამდე ვიყო თქუენი და თქუენის საყდრისა ერთგული და მეფეთა მლოცველი და ყოველთა წირვათა და ლოცვათა შინა თქუენ მოგიხსენებდეთ" და სხვ.[2]. ჩვენამდე მოაღწია არაერთმა ასეთმა ფიცის წიგნმა[3], სადაც ამასთან იმის პირობასაც დებდნენ, რომ სამთავროში აღარ შემოუშვებდნენ ბერძენ მღვდლებს და არც მათ მცნება-ქადაგებებს დაიჯერებდნენ[4].

მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ, რაც მაჰმადიანთა დაპყრობის შედეგი იყო. ფულის შესაგროვებლად მოსული მღვდელთმთავრები მეტი ფულის გამოსაძალად კარგად იყენებდნენ ადგილობრივ შინაურ პოლიტიკურ გართულებებს, თავი მოჰქონდათ წესრიგის დაცვისათვის მოვლინებულად და ა. შ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, IV, 1948, გვ. 55—61.

[1] ქრონიკები, II, გვ. 267, 268.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 267.

[3] ანჩის ეპისკოპოსისა და არქიმანდრიტის ქერობინ გაბელისძისა (ანჩა ამჟამად თურქეთის სახელმწიფოს საზღვრებშია), კუმურდოს მთავარეპისკოპოსის იოანესა, საფარისა და ვარძიის მონასტრების უფროსი მღვდელ-მონაზონთა ფიცის წიგნები, ქრონიკები, II, გვ. 267—269.

[4] საფარისა და ვარძიის სამღვდელოება ფიცის წიგნში წერდა: „ოდეს მცბიერი ბერძენი მოვიდა, ცრუ წინასწარმეტყველი და მცირითა, რაიმე სიტყვითა მიგვიზიდნა, აწ... არც მიტროპოლიტი შემოუშვათ, არც მისი წიგნი ვნახოთ, არცა მისი მცნება გავიგონოთ ,ოა არარაითანა მისი არა ვირწმუნოთ". ქრონიკები, II, გვ. 269.

§ 2. საგარეო სიძნელეები, ბიზანტიის დაცემა

საქართველოს სამეფოს შიგნით გაბატონებული მტრობა და გამთიშველობა მეტად დამღუპველი იყო იმ საგარეო ვითარების დროს, როცა მას სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ერთიმეორეზე ძლიერი მეზობლები გაუჩნდა. 1451—1452 წლებში ირანის ტერიტორია ქირმანიდან საქართველოს საზღვრამდე შავბატკნიან (ყარა-ყოინლუ) თურქმანთა ტომის მეთაურმა ჯეჰან შაჰმა დაიკავა, ხოლო სხვა დიდი ნაწილი თეთრბატკნიან (აყ-ყოინლუ) თურქმანთა ტომის მეთაურმა უზუნ-ჰასანმა. უფრო მეტი საშიში მოვლენები სამხრეთ-დასავლეთით ვითარდებოდა. ოსმალეთი ენერგიულად და დაჟინებით აფართოებდა ბიზანტიის ხარჯზე თავის სამფლობელოებს[1] და ბოლოს სულთანმა მეჰმედ II-მ 1453 წ. 29 მაისს შეუპოვარი ბრძოლის შედეგად დედაქალაქი კონსტანტინოპოლიც აიღო და ბიზანტიის იმპერიაც მოსპო. ეს იყო დიდი კატასტროფა კულტურული მსოფლიოსათვის, განსაკუთრებით კი დიდი უბედურება საქართველოსათვის. ბიზანტიის ნაცვლად საქართველოს უშუალოდ გაუმეზობლდა ძლიერი, აგრესიული და კულტურულად ჩამორჩენილი ოსმალეთი. საქართველოს ირგვლივ საბოლოოდ შეიკრა მაჰმადიანურ სახელმწიფოთა გარემოცვის რკალი (ოსმალებმა 1461 წელს ტრაპეზუნტის საკეისროც ხელში ჩაიგდეს). საქართველო სრულიად მოწყვეტილი და ალყაშემორტყმული აღმოჩნდა, ოსმალებმა ჩაუკეტეს საქართველოს დასავლეთისაკენ მიმავალი მოკლე და უძველესი გზები. საქართველოს აღარ ჰქონდა საშუალება გასცნობოდა და ზიარებოდა იმ პერიოდში ევროპაში დაწყებულ რენესანსის კულტურას; მოისპო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები დას. ევროპის ქალაქებთან. ამან დააქვეითა ისედაც დაქვეითებული საქალაქო ცხოვრება, საგარეო და საშინაო ვაჭრობა. ოსმალეთის გაბატონებამ შავ ზღვასა და მცირე აზიაში აიძულა დასავლეთ ევროპის წრეები ეძებნათ ინდოეთისაკენ მიმავალი სხვა ახალი გზები, რომლებიც გვერდს აუვლიდა კავკასიასა და მცირე აზიას (ახალი გზები: აფრიკის შემოვლით და ჩრდილოეთის გზა: თეთრი ზღვა—არხანგელსკი—მოსკოვი—ასტრახანი—ირანი). საქართველოს გამოთიშვამ ამ გზებიდან ძლიერ დასცა მისი ქალაქების საერთაშორისო როლი.

---

[1] ოსმალების წინაპრები, თურქული ოგუზ-კაიათა მომთაბარე ტომი, შუა აზიიდან მცირე აზიაში XIII ს. მოვიდნენ. ისინი დასახლდნენ ნიკეის იმპერიის მეზობლად. XIII ს. 30-იანი წლებიდან შედიოდნენ ცალკე სამთავრო-საემიროს სახით იკონიის სასულთნოში. ტომის ბელადებმა ემირებმა ერტოგრულმა და მისმა ვაჟმა ოსმან I-მა (1289—1326) დიდად გაზარდეს საემიროს საზღვრები. 1299 წელს, როცა იკონიის სულთანი აჯანყებული მოსახლეობის შიშით იკონიიდან გაიქცა, მთელი სახელმწიფოს მეთაური ოსმანი გახდა და სახელმწიფომაც მისი სახელი მიიღო.

§ 3. ანტიოსმალური კოალიციის შექმნის ცდა და მასში საქართველოს მონაწილეობა

კონსტანტინოპოლის დაცემისთანავე დაიწყო მისი განთავისუფლებისათვის მზადება. ინიციატორად რომის პაპები გამოდიოდნენ. მაგრამ ჯვაროსნული ომის მოწყობა მხოლოდ ევროპის (რომის პაპის, ბურგუნდიის, უნგრეთის, ნეაპოლის, ვენეციისა და პოლონეთის) ძალებით შეუძლებელი იყო. ამიტომ რომის პაპის პიო II-ის გეგმით ჯვაროსანთა ომში აღმოსავლეთის ხალხებსაც უნდა მიეღოთ მონაწილეობა, რომლებიც თურქ-ოსმალებს აღმოსავლეთით ფრონტს გაუხსნიდნენ და ამით მტრის ძალებს დაქსაქსავდნენ; ეს ევროპელებს შესაძლებლობას მისცემდა დასავლეთიდან წარმატებით მოეწყოთ შეტევა. ამ მიზნით 1459 წელს საქართველოში მოვიდა პიო II-ის ელჩი ლუდოვიკო ბოლონიელი. ელჩმა საქართველოს მთავრობას გააცნო დასახული გეგმა. მტრის წინააღმდეგ საერთო მიზანმა ქართველი მეფე-მთავრები შეაკავშირა[1] და მათ უფრო ფართო გეგმაც წამოაყენეს: თურქები არა მარტო კონსტანტინოპოლიდან, არამედ, საერთოდ, მცირე აზიიდანაც უნდა განედევნათ, რათა მათგან საშიშროება სამუდამოდ აღმოფხვრილიყო, ამასთანავე იერუსალიმიც უნდა დაეხსნათ „უსჯულოების“ ხელიდან[2]. ქართველმა პოლიტიკოსებმა განიზრახეს თურქთა წინააღმდეგ ომში ჩაებათ ტრაპიზონის სამეფო, მცირე სომხეთი და თვით მაჰმადიანი ქვეყნებიც, რომლებიც, მიუხედავად ოსმალებთან რჯულის ერთიანობისა, მათთან მტრულ დამოკიდებულებაში იყვნენ[3]. ერთ-ერთი მაჰმადიანი მოკავშირე იყო ძლევამოსილი ირანის შაჰი უზუნ ჰასანი (ჰასან ბეგი), რომელიც სიამოვნებით დათანხმდა მონაწილეობას იმ

---

[1] 1459 წ. ნოემბრის 5-ს გიორგი მეფე ბურგუნდიის მთავარს აცნობებდა: „ყველა ამ მხარის ქრისტიანე მთავრებმა ერთმანეთს შორის ჩამოვაგდეთ მშვიდობა და ზავი და შევფიცენით, რათა ყველა ჩვენის ძალით და ცდით ვეომოთ ოსმალებს, მეტადრე იმათ, რომლებიც არიან კონსტანტინოპოლში, რადგან ქრისტიანებს ძლიერ მტრობენ. ამ კავშირის გამო ყველა ჩვენთაგანმა ჯარი მოამზადა“ და სხვ. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 59; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, IV, 1948, გვ. 67. მეფე-მთავრების შერიგებაში პირადად ბოლონიელ ლუდოვიკოსაც დიდი როლი შეუსრულებია. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 60.

[2] იერუსალიმი ამ პერიოდში ეგვიპტის მამლუქებს ეჭირათ.

[3] ოსმალების წინააღმდეგ განზრახული კოალიციისა და მომდევნო ამბების შესახებ ცნობები დაცულია გიორგი მეფისა და ყვარყვარე ათაბაგის 1459 წლის ნოემბრის წერილებში ბურგუნდიის მთავრისადმი, აგრეთვე 1460 წელს საქართველოდან ევროპაში გაგზავნილ ელჩთა განცხადებებში. იხ. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 56 — 64; 594 — 596, 597, 598; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, IV, 1948, გვ. 66 — 77.

იმედით, რომ ოსმალეთს ჩამოაცლიდა ტერიტორიებს. ტრაპიზონის მეფემ დავითმა იკისრა 30000 ჯარისკაცის და 30 კატარღის გამოყვანა, მცირე სომხეთის მეფემ — 20 ათასი მეომრისა. ქართველ მონაწილეთაგან საკუთრივ გიორგი მეფეს გამოჰყავდა 40000, სამეგრელო-აფხაზეთის მთავარ ბედიანს დაახლ. 10000, ყვარყვარე სამცხის მთავარს 20000 ცხენოსანი, გურიის მთავარს მამიას და ანაკოფიის ერისთავს — თავ-თავიანთი ჯარი[1]. ამრიგად, ქრისტიან მოკავშირეთა მთელი ლაშქარი 120 ათას მიაღწევდა. ქართველებმა საომარი მოქმედების დაწვრილებითი გეგმაც შეიმუშავეს და მის დასაზუსტებლად და შესათანხმებლად 1459 წელს მოკავშირეების ელჩებთან ერთად ლუდოვიკო ბოლონიელის ხელმძღვანელობით, თავიანთი ელჩებიც გააგზავნეს ევროპაში. გიორგის ელჩი იყო ნიკოლოზ თბილელი ეპისკოპოსი, ყვარყვარესი — ქასადანი, ტრაპიზონის კეისარ დავითისა — მიხეილი, მცირე სომხეთისა — მორალი, უზუნ-ჰასანის — მაჰმედი[2]. ქართველ ელჩებს თან მიჰქონდათ გიორგი მეფისა და ყვარყვარე სამცხის მთავრის წერილები რომის პაპთან და ბურგუნდიის მთავართან. ელჩობა უსაფრთხოებისათვის ჩრდილოეთის გზით გაემგზავრა: სამეგრელო—დუნაის მდინარე — უნგრეთი-გერმანია, სადაც ისინი წარუდგნენ ფრედერიკო იმპერატორს, შემდეგ ჩავიდნენ იტალიაში. აქ, ქ. ვენეციაში, რესპუბლიკის სენატმა საზეიმო ცერემონიით მიიღო ელჩობა. აქედან ქ. რომში ჩასულებს დიდი პატივით დახვდნენ. 1460 წელს ხუთივე ელჩი რომის პაპს პიო II-ს წარუდგა. ქართველებმა მოახსენეს თავიანთი მზადყოფნისა და გეგმის შესახებ, რომ ოსმალებთან საომრად ქრისტიანები გამოიყვანდნენ 120 ათას მეომარს და მოკავშირეებითურთ შეუტევდნენ აღმოსავლეთიდან, როცა რომის პაპი და ევროპელი მთავრები დაიწყებდნენ ოსმალებთან ომს და სხვ.[3] პაპმა ელჩობას მოუსმინა და საპასუხოდ სამწუხარო ამბავი აცნობა, რომ მან, მიუხედავად დიდი მონდომებისა, დასავლეთელი მმართველები ჯვაროსნულ ლაშქრობაზე ვერ დაიყოლია. იმედგაცრუებული ელჩობა პაპისავე რჩევით 1461 წელს საფრანგეთის მეფეს კარლოს VII-ს ეახლა, მაგრამ ისიც ვერ დაითანხმეს ოსმალებთან ბრძოლაზე. კარლოსი მათი იქ ყოფნის დროს გარდაიცვალა; ქართველები დაესწრნენ ახალი მეფის ლუდოვიკო XI-ის კორონაციას. ჩანს, ელჩებმა ვერც ამ ახალი მეფისაგან და ვერც სხვა მთავრებისაგან მოიპოვეს მხარდაჭერა[4]. ცხადი იყო მიზეზიც: დასავლეთელებს მაშინ ოსმალეთის სიძლიერე დიდად არ აშფოთებდათ.

---

[1] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 57, 59, 596; ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 72.

[2] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 61; ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 68—71.

[3] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 61 — 62.

[4] იქვე, გვ. 63.

ასე ჩაიშალა ოსმალების წინააღმდეგ გაერთიანებული ბრძოლის საქმე, რომლის პირველი ინიციატორები თავდაპირველად დასავლეთევროპელები, შემდეგ კი ქართველები იყვნენ[1].

§ 4. ერთიანი საფეფოს დაშლა

ანტიოსმალური ლაშქრობის გეგმის ჩაშლისთანავე მეფე-მთავრებს შორის 1459 წელს დადებული ზავიც დაირღვა. ახლა მთავრებმა წინანდელზე უფრო დაუნდობელი ბრძოლა გააჩაღეს სრული დამოუკიდებლობისათვის.

ისევ სამცხის მთავარმა ყვარყვარემ წამოიწყო ომი გიორგი VII-ის წინააღმდეგ, დამხმარედ ირანის მბრძანებელი უზუნ ჰასანიც მოიწვია, რომელმაც 1462 წელს გაამარჯვებინა კიდეც. მალე სამოქალაქოს (ქუთაისის ოლქი) ერისთავი ბაგრატი აუჯანყდა მეფეს; სასტიკი ბრძოლა მოხდა 1463 წელს ქ. ჩიხორთან (ჩხარის აღმოსავლეთით), სადაც გიორგი დამარცხდა, მაგრამ ამჯერად ბაგრატმა ვერ შეძლო ქუთაისის მტკიცედ დაჭერა[2].

1465 წელს სამცხის მთავარმა ყვარყვარემ ღალატით მოახერხა მეფის დაპატიმრება[3]: ყვარყვარეს დასამორჩილებლად გიორგი სამცხეში გამგზავრებულა, გზაში თავფარავანზე დაბანაკებულა[4]. აქ მას ყვარყვარე მთავარი უეცრად თავს დასხმია და დაპატიმრებული სამცხეში წაუყვანია[5]. კონსტანტინე ბატონიშვილმა გაქცევით უშველა თავს და ჯერ გორის ციხეში და შემდეგ ქუთაისის ციხეში გამაგრდა[6].

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 76.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, ქ. ცხ., IV, გვ. 485; ქრონიკები, II, გვ. 281; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 86, 195.

[3] ვ ა ხ უ შ ტ ი, ქ. ცხ., IV, გვ. 287; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 90, 195; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან XV საუკუნეში (დოკუმენტები კრიტიკული წერილით), მსკი, ნაკვ. I, 1937, გვ. 16, 43.

[4] ვ ა ხ უ შ ტ ი, ქ. ცხ., IV, გვ. 286—287; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 87—90. გიორგი მეფის წინააღმდეგ მოწყობილი ღალატის ზოგიერთი დეტალისა და ქრონოლოგიის გადმოცემისას ვახუშტის მოსელია შეცდომა: მან ამ დროისად მიიჩნია ითთამ ზევდგინიძის ცნობილი გმირობის ამბავი, რომელიც ნამდვილად მოხდა არა 1465 წელს, არამედ XIV ს. მეორე ნახ-ში საქართველოს მეფის გიორგის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების დროს. მეფე გიორგის გადასარჩენად ერთგული ყმა ზევდგინიძე მეფის საწოლში თვითონ ჩაწვა და მის მაგიერ მოიკლა (თუ მწვავედ დაიკოდა) მოღალატეთა-გან. აღნიშნული ქრონოლოგიური შეცდომა და მასთან დაკავშირებული საკითხები დამაჯერებლად გაარკვია ნ. ბერძენიშვილმა (ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან XV საუკუნეში (დოკუმენტები კრიტიკული წერილით), მსკი, ნაკვ, I, 1937, გვ. 4—7, 39—40, 63), რომელიც გაზიარებულია სამეცნიერო ლიტერატურაში. იხ. ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, შიომღვიმე, 1953, გვ. 99; მ. ქ ი ქ ო ძ ე, ქართლის სათავადოების ისტორიიდან XV—XVIII სს. (საამილახორო), მსკი, ნაკვ. 35, 1963, გვ. 99.

[5] ვ ა ხ უ შ ტ ი, ქ. ცხ., IV, გვ. 287.

[6] 1466 წ. კონსტანტინე მეფის საბუთი. საქართველოს სიძველენი, II, გვ. 20.

ამასობაში ბაგრატი ქართლში გადავიდა და 1466 წელს თავი საქართველოს მეფედ გამოაცხადა[1].

ყვარყვარემ მეფის დაპატიმრებით რომ ვერაფერი სარგებლობა ნახა, გაანთავისუფლა იგი, ეგებ ბაგრატსა და მეფე გიორგის ერთმანეთთან ბრძოლით მოვითბო ხელიო. გიორგი კი იძულებული გახდა კახეთში გადასულიყო და მხოლოდ კახეთის მეფობას დასჯერებოდა[2]. აქედან დაიწყო კახეთის ცალკე სამეფოსა და მისი დინასტიის ისტორია.

თუმცა ბაგრატ VI (1466—1478) სრულიად საქართველოს მეფედ ითვლებოდა, მაგრამ 1470—1475 წლებისათვის, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია დადგენილი, დას. საქართველოს ტერიტორიაზე ცალკე პოლიტიკურ ერთეულს შეადგენდა ს ა ბ ე დ ი ა ნ ო, რომელსაც სამეგრელოს მთავარი „ბედიანი", იგივე „დადიან-გურიელი" მართავდა. ამ სამთავროს საკუთარი მართვა-გამგეობა, საკუთარი ჯარი და საზღვრები ჰქონდა. აქ შედიოდა გურია, სამეგრელო, აფხაზეთი ქალაქებით: ცხუმი (სოხუმი), ფოთი, ქაჯთა ციხე (ახლანდელი ციხისძირი) და ბათუმი. ჩრდილოეთით ესაზღვრებოდა კავკასიის ქედი, სამხრეთით მდ. ჭოროხი და თურქების მიერ დაპყრობილი ქართული თემები. საზღვარი იმერეთსა და სამთავროს შორის მდ. ცხენისწყალი იყო. საქართველოს მეფეს საბედიანოზე ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდა უზენაესი უფლება.

ს ა მ ც ხ ი ს ს ა მ თ ა ვ რ ო ამ პერიოდში უკვე სრულ დამოუკიდებლობას ახორციელებდა. ამიერიდან ჯაყელების ამ სამფლობელოს „სამცხე-საათაბაგო", ხოლო ჯაყელებს ათაბაგები ეწოდებოდათ, ზოგჯერ „მეფეებიც" კი. მათ ძლიერი და გავლენიანი მფლობელის სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი. საათაბაგო გადაჭიმული იყო ბორჯომის ხეობიდან ჭოროხის ხეობამდე.

საქართველოს მთლიანობას ამ პერიოდში საგრძნობლად გამოუთხარა ძირი ბაგრატის ს ა ე კ ლ ე ს ი ო პ ო ლ ი ტ ი კ ა მ, რომელიც მან განახორციელა დასავლეთ საქართველოს ქართლის სამეფოსაგან მოწყვეტის მიზნით. ბაგრატმა ისარგებლა იმერეთში შესაწევრის შესაგროვებლად იერუსალიმ-ანტიოქიის პატრიარქის მიხაელის (1470/1474—84 წწ.) ჩამოსვლით და მას „აფხაზეთის" (დას. საქართველოს) კათალიკოსად ცაიშელ-ბედიელი ეპისკოპოსი იოვაკიმე აკურთხებინა. არსებული წესით კი დას. საქართველოს კათალიკოსი მცხეთის კათალიკოს-პატრიარქს ემორჩილებოდა და მისგან უნდა კურთხეულიყო. აღმოსავლეთ საქართველოსაგან დასავლეთის ეს ეკლესიური გამოყოფა ბაგრატმა სათანადო წერილო-

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, ქ. ცხ., IV, გვ. 806, 897.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 567, 897.

ბითაც გააფორმებინა: ჩამოსულ პატრიარქს შეადგენინა „მცნება სასჯულო“, სადაც ცრუ თეორიებით დაასაბუთებინა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მცხეთისაგან დამოუკიდებლობის ვითომდა სამართლიანობა[1].

§ 5. უზუნ ჰასანის შემოსევები

მას შემდეგ, რაც რომის პაპის მეთაურობით ანტიოსმალური კოალიციის შედგენის ცდა მარცხით დამთავრდა, თურქეთის სამხედრო წარმატებები წინა აზიაში და დასავლეთში კიდევ უფრო გაიზარდა. აღმოსავლეთში ძალთა განწყობილებაც ისე შეიცვალა, რომ დასავლეთ ევროპელთა ახალი ცდა თურქეთის წინააღმდეგ კოალიციის მოწყობისა, შედეგს ვერ იძლეოდა და, როგორც ჩანს, მდგომარეობას ართულებდა კიდეც.

სულ მალე, როცა თურქებმა იტალიის საზღვრებს საფრთხე შეუქმნეს (მათ 1470 წ. ვენეციის მისადგომებთან აიღეს ნეგროპონტი), ვენეციის სენატმა თურქების დასამარცხებლად შეიმუშავა დიდი საომარი გეგმა, რომელიც გულისხმობდა ბრძოლაში სხვა ქვეყნების ჩაბმასაც. ამ გეგმის მიხედვით, თურქეთის სრული დამარცხების მიღწევისათვის, მარწუხში უნდა მოექციათ და აეღოთ მისი ცენტრალური ნაწილი — ანატოლია კონსტანტინოპოლითურთ. თავდასხმა აღმოსავლეთიდან უნდა განეხორციელებინა ირანს, ჩრდილოეთიდან თათარ-მონღოლთა ოქროს ურდოს, ხოლო ზღვიდან ვენეციის ფლოტს. ვენეციამ ამ მიზნით ირანის შაჰთან უზუნ ჰასანთან ორი ელჩობა გაგზავნა: იოსაფატ ბარბარო (1473—1479) და ამბროჯო კონტარინი (1474—1477)[2], მაგრამ უზუნ ჰასანის ჩაბმა კოალიციაში ვერ მოახერხეს. უზუნ ჰასანს, თურქებთან უახლოესი მარცხიანი ომების გამო, აღარ სურდა ახალი ომის დაწყება[3]. სამაგიეროდ მან მთელი თავისი

---

[1] ს. კაკაბაძე, მცნება სასჯულო, 1913, გვ. 1—16; ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 116—119; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, 1971, გვ. 100—106.

[2] Е. Г. Скржинская, Барбаро и Контарини о России, 1971, с. 75—76. სტრატეგიის თვალსაზრისით ეს გეგმა ძლიერ ჰგავდა ქართველების 1459 წ. გეგმას.

[3] Е. Г. Скржинская, დასახ. ნაშრ., გვ. 80—82. ოსმალებთან ერთ-ერთ ბრძოლაში 1473 წ. უზუნის მოკავშირედ ქართველებსაც მიუღიათ მონაწილეობა. რ. კიკნაძე, საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან XV საუკუნის მეორე ნახევარში. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VII, გვ. 117—118. ვენეცია თურქეთის წინააღმდეგ მარტოდმარტო, აღმოსავლეთელთა და დასავლეთ ევროპელთა ყოველგვარი დახმარების გარეშე განაგრძობდა მძიმე ხანგრძლივ (1463 წლიდან) ბრძოლას, რომელიც 1479 წ. 25 იანვარს დასრულდა მათთვის მძიმე ზავით (Е. Г. Скржинская, დასახ. ნაშრ., გვ. 81, 83). ევროპელებმა თავის დროზე ვერ შეაფასეს ისტორიული სიტუაცია, მათთვის ხელსაყრელი მომენტი ხელიდან გაუშვეს, სამცხის

აგრესია საქართველოს მიწა-წყლისაკენ მიმართა და ბევრჯერ დალაშქრა[1].

1473 წელს უზუნ ჰასანი, თურქებთან ომში დამარცხებით გამწარებული, საქართველოს შემოესია და დიდი ნადავლით დაბრუნდა თავრიზს[2].

საქართველოს ტერიტორია ლორე და მისი მიდამოები ჯერ კიდევ 1474 წლისათვის უზუნ ჰასანს ჰქონდა დაპყრობილი და ციხეში ჯარი ჩაყენებული. ლორეს ეკვროდა ბარათაშვილების სამფლობელოები, ამიტომ აქ მოსულ მტერს თავგამოდებით ებრძოდნენ ისინი.

უზუნ ჰასანი საქართველოს კვლავ შემოესია 1477 წელს. მტერი საიდუმლოდ ემზადებოდა თავდასასხმელად, ხმას კი ავრცელებდა ოსმალეთზე ვლაშქრობო. ამჯერად ჰასანს თან ხლებია უზარმაზარი — 35—40000-იანი ლაშქარი დედაწულიანად. მის ჯარს შვიდი დღე სულ სხვა გზით უვლია, შემდეგ კი ერთბაშად საქართველოსაკენ შემობრუნებულა და ასე შემოჭრილა. უზუნ ჰასანს წინ 5000 მეომარი წაუმძღვარებია, რომლებსაც ევალებოდათ ხეებისა და ყოველგვარი ნაგებობის გადაწვა, რათა ავარდნილი ალისა და კვამლის კვალზე უკან მიდევნებულ ჯარს გზა გაეკვლია. ამ ყოფით ორი დღის შემდეგ მტრის ლაშქარი თბილისს მოადგა. მოსახლეობა გახიზნულიყო და თბილისი დაცლილი დაუხვდათ. ასე უბრძოლველად აიღეს თბილისი და გორიც. ბაგრატმა და ყვარყვარემ უზუნ ჰასანს ზავი სთხოვეს, მაგრამ ამჯერად დაზავება არ მოხდა, რადგან უზუნ ჰასანმა საქართველოს დატოვებისათვის (თბილისს გარდა) 16 ათასი დუკატის გადახდა მოითხოვა, რაც მათ ვერ შეძლეს.

ქართველებს ფულის ბადლად ოთხი ბალიში // ბალაში, ე. ი. ოთხი ძვირფასი ლალის თვალი შეუძლევიათ. უზუნ ჰასანს იტალიელი ელჩის იოს. ბარბაროსათვის, როგორც ძვირფასი თვლების საუკეთესო მცოდნისათვის, დაუვალებია შეეფასებინა ქართველების მიერ გამოგზავნილი თვლები, შეესაბამებოდა თუ არა მათი ღირებულება მოთხოვნილი ხარკის ფულად რაოდენობას. ქართველებს იოს. ბარბაროსათვის საიდუმლოდ უთხოვიათ,

---

მთავრის ყვარყვარეს შორსმჭვრეტელური გაფრთხილება მაშინ ყურად არ იღეს, ახლა კი შედეგი თვალწინ დაუდგათ. ყვარყვარე მათ 1459 წელს უცხადებდა: „გევედრებით... ხელიდან არ გაუშვათ კარგი შემთხვევა... უწყოდეთ კარგად, რომ თუ ახლა ჩვენთან ერთად არაფერს იმოქმედებთ, შემდგომში კიდეც რომ გულით მოინდომოთ, ვერაფერს გააკეთებთ, რადგან ურჯულო ოსმალეთი მუდამ დღე ძლიერდება და ვეღარც შეეძლებთ შემდეგში გულმოდგინეთ შეერთებას, როგორც ახლა ვართ“ (მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 59, 596).

[1] ამ პერიოდში უზუნ ჰასანის სახელმწიფოში, რომლის სატახტო ქალაქი თავრიზი იყო, ერთიანდებოდა: ჭურთისტანის მთიანეთი, არაბეთის ერაყი, აზერბაიჯანი, ირანის ერაყი, ფარსი, ხუზისტანი, ქირმანი.

[2] ცნობა დაცული აქვს უზუნ ჰასანთან მივლენილ ვენეციის ელჩს ამბროჯო კონტარინის. იტალიელი მოგზაურები საქართველოში XV საუკუნეში, „მოამბე“, 1894, XI, გვ. 55.

რომ მას თვლების შეფასება ქართველების სასარგებლოდ მოეხდინა. თვლები არ ყოფილა 16 ათასი დუკატის ღირებულების, მაგრამ იოს. ბარბაროს, ქართველებისადმი დახმარების დიდი სურვილის გამო, თითოეული 4 ათას დუკატად შეუფასებია. როცა ეს ფასი უზუნისათვის მოუხსენებია, უზუნი უკმაყოფილო დარჩენილა და მისთვის ირონიითა და უნდობლად უთქვამს: „ეტყობა, შენს ქვეყანაში ბალიშები ძვირად ფასობსო"[1].

ამის შემდეგ მტერი სამცხეშიც შეჭრილა და იქაურობა მოუოხრებია, გაუძარცვავს აწყურის საკათედრო ეკლესია და აწყურის განთქმული ხატი თან წაუღია[2].

ბაგრატი და ათაბაგი ყვარყვარე უკვე უზუნს პირობაზე დაეთანხმნენ. უზუნ ჰასანმა 16000 დუკატი მიიღო და თან ყოველწლიური ხარკიც დაადო საქართველოს, რასაც, იტალიელი ელჩის ანჯიოლელოს გარდა, ქართული წყაროც ადასტურებს. ამ ხარკს („მალს") საქართველო ბაგრატის გარდაცვალების შემდეგაც უხდიდა უზუნ ჰასანს[3]. უზუნი ამის შემდეგ უკვე საქართველოდან წავიდა, მაგრამ თავის განკარგულებაში დატოვა ლორე, მისი მიდამოები და თბილისი. აქედან უამრავი ტყვე წაუყვანია[4].

1478 წელს, როცა უზუნ ჰასანი გარდაიცვალა და არეულობა შეიქმნა მის მემკვიდრეებს შორის, „თათართა დააგდეს ტფილისი და სომხითი". ამის შემდეგ სომხითის ტერიტორიაზე თათრის ელი-თურქმანები თუმცა შესუსტდა, მაგრამ მათი მთლიანი გამოდევნა ძლიერ საძნელო გახდა. ბარათაშვილები, რომლებიც აქ ქართულ ფეოდალურ მიწისმფლობელობას იცავდნენ, სერიოზულ შედეგს ვერ აღწევდნენ[5].

უზუნ ჰასანთან ბრძოლებში საქართველოს დამარცხება კარგად ამჟღავნებდა მის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ უძლურებას. საქართველო ახლა უკვე ისეთი ქვეყანა იყო, რომელსაც აღარ შეეძლო შედარებით სუსტი ძალის მქონე მტრის მოგერიებაც. ქვეყანას ძირს უთხრიდა სისტემად ქცეული შინაომები. გაძლიერებულმა მთავრებმა (სამცხის, სამეგრე-

---

[1] უზუნ ჰასანის 1477 წლის შემოსევისა და დაზავების ამბები აღწერილი აქვთ იტალიელ ელჩებს იოსაფატ ბარბაროს (ვრცლად) და ჯოვანი მარიო ანჯიოლელოს (მოკლედ), რომლებიც უზუნ ჰასანს ახლდნენ ომში. Е. Ч. Скржинская, Барбаро и Контарини о России, 1971, с. 71; დაწერ. იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, 1948, გვ. 119 — 125; რ. კეკნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 118 — 122. ბალიში-ბალაშის განმარტება იხ. იქვე.

[2] ქ. ცხ., II, გვ. 479.

[3] ზევდგინიძეთა საბუთი. დაწერილია 1478 წლის შემდეგ, XV ს. უკანასკნელ მეოთხედში. ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში... მსკი, ნაკვ. I, 1937, გვ. 44, 32.

[4] ანჯიოლელოს ცნობა.

[5] ბერი ეგნატაშვილი, ქ. ცხ., II, გვ. 342.

ლოს) მიაღწიეს ცენტრიდან სრულ და საბოლოო ტერიტორიულ გამოყოფას, ერთიანი სამეფო დანაწილდა რამდენიმე სამეფოდ. გამრავლებულ მეფე-მთავრებს შორის ბრძოლა გრძელდებოდა.

§ 6. დაშლის საფუძვლები. სოციალურ-ეკონომიკური სიძნელეების გაღრმავება XV ს. 60-70-იან წლებში

შექმნილ საშინაო და საგარეო პოლიტიკურ გართულებათა პირობებში ვერ ხერხდებოდა დაცემული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღდგენა-განვითარება. მწარმოებელი კლასის წინანდელი რაოდენობრივი სიმცირე და მისი საწარმოო უნარიანობის დაქვეითება უფრო და უფრო დაუძლეველი ხდებოდა. კიდევ უფრო გაუარესდა მწარმოებელი საზოგადოების სოციალურ-უფლებრივი მდგომარეობა, არაჩვეულებრივად დამძიმდა ბატონყმური უღელი. გლეხს დაემატა ახალი გადასახადები, გადიდდა ძველის ზომა. ამან კი საბოლოოდ გაანადგურა ქვეყნის წინსვლის აუცილებელი პირობა — საწარმოო ძალები, განვითარებას გზა დაეხშო. საქართველოს ფეოდალური წყობილება ჩიხში მოექცა, გაიმარჯვა პოლიტიკურმა რეაქციამ.

საქართველოს ერთიან ცენტრალურ ხელისუფლებას გამოეცალა ეკონომიკურ-სოციალური საფუძვლები. ქვეყნის გამაერთიანებელი ძალების— ქალაქების, ვაჭრობა-აღებ-მიცემობის დაცემამ გააძლიერა პროვინციულ-თემობრივი განკერძოებულობა; მთავრებმა (სამცხის, სამეგრელოს...) ბოლოს სრულიად გაწყვიტეს ცენტრალურ ხელისუფლებასთან ფეოდალური, სიუზერენულ-ვასალური კავშირი (ტერიტორიული გამოყოფა), თავადებმა კი ეს კავშირი მინიმუმ-ფორმალობამდე დაიყვანეს. ერთიანი სამეფო ცენტრიც რამდენიმე სამეფოდ დაიყო. ასე მოხდა საქართველოს პოლიტიკური დაშლა სამთავროებად, სათავადოებად და სამეფოებად. დაშლა ნელი პროცესი იყო, რომელიც სათავეს მონღოლების ბატონობის პერიოდიდან იღებდა, ხოლო XV ს-ის მეორე ნახევარში დამთავრდა.

საკითხები პოლიტიკური დაშლის საერთო სოციალური საფუძვლების შესახებ: ქართული ფეოდალური სამამულო სისტემა, ცვლილებები საზოგადოებრივი კლასების სოციალურ სტრუქტურაში, მსხვილი მამულის სოციალური ბუნება და სხვ., მომდევნო ცალკე თავში გვაქვს განხილული. ამჯერად შევეხებით დასახელებულ სოციალურ-ეკონომიკური სიძნელეებიდან მხოლოდ ზოგიერთ კონკრეტულ ფაქტს დაშლის ამ დასასრულის პერიოდისათვის.

ქვეყნის საერთო ეკონომიკური დაცემულობის პირობებში მფლობელი კლასი შეეცადა „ცბიერი და ოსტატური“ (ივ. ჯავახიშვილი) ხერხით და-

ნაკლისის შევსებას: ბეგარა-გამოსაღებები ყმა გლეხთა საბეგრო გარიგების საბუთებში ისევ ისე უცვლელი რჩებოდა, მაგრამ საგადასახადო საწყაო-საზომების ტევადობის გადიდებით ფეოდალები აღწევდნენ შემოსავლის გაზრდას. XV ს. შუა წლებიდან მოყოლებული უკვე საბუთებში ლაპარაკია ერთი და იგივე საწყაოების ძველსა და ახალ ზომებზე. მაგ., ღვინის საწყაოთა შორის დასახელებულია „ცოტა კოკა“, ანუ „პირველი საწყაო“, რომელიც ძველად იხმარებოდა, ხოლო ამათ გვერდით იხსენიება „დიდი კოკა“, გადიდებული ლიტრა, რომელიც ახლად შემოუღიათ. ზედმეტის გამოძალვას ფეოდალები ზოგჯერ დიდი მოსავლიანობის ან გაჭირვების მომიზეზებით ახდენდნენ. გლეხობას ისღა დარჩენოდა, რომ მებატონეებისათვის პირობა დაედებინებინა საზომების გამოუცვლელობისა და გაუდიდებლობის შესახებ. ასეთ საბუთებში პირდაპირ ჩაწერილია: „რა გინდა მოუვალობა იყოს და ანუ დიდი მოგივიდოდეს არას დაჭირებისა და მიზეზისათვის არა მოგიმატოთ კულუხი, არცა კოკა გამოგიცვალოთ... არცა კოკა და ლიტრა გაგიდიდოთო“ და ა. შ.[1].

გლეხთა საბეგრო ტვირთის დამძიმება XV ს. იმ მხრივაც მომხდარა, რომ შემოიღეს ახალ-ახალი სახის გამოსაღებები. უკვე ძველ გადასახადს ახლისაგან განსასხვავებლად მთავარს, ანუ „თავ ბეგარას“ უწოდებდნენ[2]. ახალი სახის სახელმწიფო გადასახადები უმთავრესად მონღოლურ სახელებს ატარებდა. მაგ., „ულუფა“, გაჩენილა შესაბამისი მოხელე „მეულუფეც“, „ულაყი“ (ტვირთის ზიდვა), მოხელე „მეულაყე“, „მალი“[3] და ა. შ. კარგად ჩანს, რომ მონღოლების ბატონობის გადავარდნის შემდეგ ზოგი გადასახადი ქართულ გადასახადად იქცა. ამასთან, განსახილველ პერიოდში, როგორც უკვე ვიცით, დროდადრო უცხოელ დამპყრობელთა სასარგებლოდ „სათათრო მალი“ (ხარკი) იკრიბებოდა. მაგ., ჯეჰან შაჰის (1440 წ.) და უზუნ ჰასანის (1478 წ.) დროს.

XV ს. 70-იან წლებში გარკვეული სიძნელე შექმნა შავმა ჭირმა (1475 წ.), რომელიც, თვითმხილველის სიტყვით, თბილისში „ძლიერ მუსრავდა ხალხსო[4].

ქვეყნის დაქვეითების გაღრმავებას კიდევ ბევრი რამ მოწმობდა: როგორც აქ მყოფი იტალიელები, იოს. ბარბარო და ამბ. კონტარინი, აღნიშნავენ, ქ. თბილისი საგრძნობლად დაქვეითებული ყოფილა:

---

[1] მცხეთის 1454 წ. საბუთი, ისტორიული საბუთები, III, გვ. 33—34; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, 1948, გვ. 190—191.

[2] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 70.

[3] 1405, 1433, 1441, 1453, 1468 და სხვ. წლების საბუთები, ისტორიული საბუთები, III, გვ. 16, 34 და სხვა; ქრონიკები II, გვ. 238, 250; ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 132, 136 და სხვ.

[4] იტალიელი მოგზაურები საქართველოში, მოამბე, XI, 1894, გვ. 60 — 61.

„ქალაქი კარგია, მაგრამ მცხოვრებლები ნაკლებად არისო“, „თბილისი წინათ სახელგანთქმული იყო თავისი სიდიდით, ამჟამად კი გაღატაკებულიაო“. ქ. გორს ციხედ ასახელებენ; ასევე დაკნინებულად და პატარა ქალაქად წარმოგვიდგენენ ქუთაისს, ხოლო შავი ზღვის ყოფილი ქალაქები— ბათუმი, სებასტოპოლი (ცხუმი) ამ პერიოდში ციხეებად არიან ქცეულნი. ასახელებენ შავი ზღვისპირად პატარა ქალაქ „კალთიხეას“, სადაც ჰყიდიან აბრეშუმს, მომსხო ტილოს და მცირეოდენ თაფლსაც, საზოგადოდ „მკვიდრნი ღარიბნი არიანო“. „ქ. ფაზისი (ფოთი) მცირე ქალაქია, აქაური მცხოვრებლები თავს ირჩენენ ცოტაოდენი მომსხო ტილოს და ცვილის გაყიდვით“[1]. ქვემო ქართლში სამშვილდე და დმანისი საბოლოოდ გაქრნენ როგორც ქალაქები და ისინი მსხვილ ფეოდალთა—თავადთა საგვარეულო რეზიდენცია-ციხეებად იქცნენ[2].

უნდა აღვნიშნოთ ქალაქების შედარებით განსხვავებული მდგომარეობა კახეთში XV ს. მიწურულს. აქ ქალაქები უფრო ინარჩუნებენ მაღალ მდგომარეობას, ახლებიც ჩნდებიან: გრემი (1466 წ.), ბაზარი (ზაგემი) და სხვა...[3]. ამისი ერთ-ერთი მიზეზი, უეჭველად, ის იყო, რომ გარეშე მტრისაგან ეს მხარე შედარებით მოსვენებული იყო და კახეთის მეფეებმა უფრო მოახერხეს აქ პოლიტიკური მთლიანობის დაცვა.

ამავე იტალიელი ავტორების დახასიათებით, საერთოდ, საქართველო ამ დროს კულტურულ-ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყანაა. მოსახლეობა თხელია, სამეურნეო დარგების დონე დაცემული. გახშირებულია მეკობრეობა. სხვათა შორის, იმ ფაქტსაც მიუთითებენ, რომ საქართველოში ყოფნისას მათთვის მრავალჯერ წაურთმევიათ ძვირფასეული ნივთები, ხოლო აფხაზეთისაკენ გზად მიმავალი ანტიოქიის კათოლიკე პატრიარქი ლუდოვიკო მოუკლავთ კიდეც[4]. ეკონომიკურ ნიადაგზე წარმოშობილ ამ სენს ვერც ქართული წყარო („მცნება სასჯულო“, XV ს. 70-იანი წლები) მალავს, სადაც დასახელებულია „მეკობრე ხუცესიც“ კი.

იტალიელ თვითმხილველთა ჩვენებით, სამეგრელოში „გარდა ღომისა სხვა ჭირნახული არ მოჰყავდათ. მარილი მოაქვთ კაფიდან. ქსოვენ მცირეოდენად ტილოს კანაფისა და ჭინჭრისას, მაგრამ დაბალი ხარისხისას“[5]. „პური ცოტა მოჰყავთ, ღვინოც მოსდით დაბალის ხარისხისა, მათი საჭმე-

---

[1] იტალიელი მოგზაურები საქართველოში, მოამბე, XI, 1894, გვ. 45, 48, 51, 52—55, 56, 57, Барбаро и Контарини о России, 1971, с. 153, 161, 214—215; Ш. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, 1959, с. 92—99.

[2] Ш. Месхиа, დასახ. ნაშრ., გვ 64—65, 94—95.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 100 — 102.

[4] იტალიელი მოგზაურები საქართველოში, მოამბე, XI, 1894, გვ. 53, 54, 61. სამეფო სასახლეში ძველებური ბრწყინვალება აღარ ყოფილა, აღარც უცხოელ სტუმარს მორიდებიან ძვირფასეულობის წართმევაში (ი ქ ვ ე, გვ. 52, 54, 56).

[5] იტალიელი მოგზაურები საქართველოში, მოამბე, 1894, XI, გვ. 46.

ლი არის ღომი. ამ ხალხის ცხოვრება კიდევ უფრო უბედური იქნებოდა, რომ ტრაპიზონიდან არ მოჰქონდეთ ღვინო და დამარილებული თევზი და კაფიდან მარილი"... ქართლ-იმერეთის შესახებ კი აღნიშნავენ, რომ „ბლომად მოდის პური, ღვინო და სხვადასხვა ნაყოფი. ბევრია საკლავი. ვაზი უმეტესად ხეებზეა აშვებული". ქართული სუფრის აღწერისას ისინი საგანგებოდ შენიშნავენ: „ღვინო უხვად იყო და განუწყვეტლივ გვაწვდიდენო", ან „ღვინო ბლომად იყო, რადგან ღვინის სიუხვე საუკეთესო მასპინძლობად მიაჩნდათ"; სამაგიეროდ, იტალიელების თვალში, სუფრაზე სხვა სურსათის დიდი ნაკლებობა ყოფილა ყოველთვის[1].

სახელმწიფო შემოსავლის კიდევ უფრო შემცირება უეჭველი ფაქტია, რაც, თავის მხრივ, ადასტურებს მოსახლეობის გადახდისუნარიანობის დაქვეითებას. ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ დამახასიათებელ შემთხვევას, როცა 1449 წ. საქართველოს მეფეს გიორგი VIII თამამად შეძლებია ბიზანტიის იმპერატორის საცოლედ დანიშნული თავისი ქალიშვილისათვის ერთდროულად 56000 დუკატის საჩუქრად და ყოველწლიურად 3000 ოქროს ფულის (5000 დუკატის) დაპირება[2], მაგრამ მეფე ბაგრატს 1477 — 1478 წწ., როგორც ვნახეთ, ძალიან გაუჭირდა 16000 დუკატის ფულად გადახდა უზუნ ჰასანისათვის.

ამავე ეკონომიკურ ნიადაგზე მეფე და კერძო ფეოდალები კვლავ მიმართავენ ეკლესიის მამულების გამოწირვას[3].

ნაწილობრივ ამ მიზეზითვე, როგორც ივ. ჯავახიშვილმა შენიშნა, XV საუკუნის ახალ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ მეფის მიერ მამულის ახლად წყალობის თუ დამტკიცების დროს ახალი სიგელის მიცემისათვის ფეოდალისაგან დიდი რაოდენობის „ქრთამის" (გადასახდელის) აღების შემთხვევების გახშირება.

საერთოდ, მამულის ასეთი დიდი ფასით გაცემა თუ, ერთი მხრივ, მეფის მატერიალურ მოთხოვნილებას გარკვეულად აკმაყოფილებდა, იგი საერთოდ უარყოფითად მოქმედებდა მეფის უზენაესი უფლებების შენარჩუნებაზე ასეთ ნაწყალობევ (ფაქტიურად გაყიდულ) მამულებზე.

ქვეყნის ეკონომიკური დაკნინების მოწმობად უნდა იქნეს მიჩნეული საქართველოს მთავრობის მიერ ქართული საზღვარგარეთული მონასტრების უპატრონოდ და მატერიალური დახმარების გარეშე მიტოვება. ამ პე-

---

[1] იტალიელი მოგზაურები, გვ. 51, 56; Барбаро и Контарини о России, с. 215, 160.

[2] გეორგიკა, VIII, 1970, გვ. 66; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 87.

[3] ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, სენიორიები, I, გვ. 135—136, ქრონიკები, II, გვ. 277 და სხვ.

რიოდიდან მხოლოდ კერძო ქველმოქმედების რამდენიმე შემთხვევაა ცნობილი.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ, მართალია, საქართველოში XV ს. მთელ მანძილზე ფული განუწყვეტლივ იჭრება, მაგრამ ფულის გავრცელება ძლიერ შეზღუდულია, ის მხოლოდ ქალაქებში და შინაურ ვაჭრობაში ტრიალებს, თანაც, ძალიან მცირე რაოდენობით.

§ 7. უკანასკნელი ცდები საქართველოს მთლიანობის აღდგენისათვის და მისი ჩაფუშვა

1478 წელს ქართლ-იმერეთის ტახტზე ავიდა ალექსანდრე I-ის შვილიშვილი კონსტანტინე II. ცოტა ადრე, ბაგრატის გარდაცვალების შემდეგ (1478 წ.) მისი შვილი ალექსანდრე შეეცადა ტახტის დაჭერას, მაგრამ ვერ შეძლო და რაჭა-ლეჩხუმში დასადგურდა. კახეთში 1476 წლიდან უკვე ალექსანდრე გიორგი VIII-ის ძე გამეფდა.

შინაური აშლილობა და გარეშე მტრების მოძალება ამ საუკუნის ბოლო მეოთხედშიც დაუძლეველად რჩებოდა.

1483 წელს სამცხის მთავარ ყვარყვარესა და კონსტანტინე II-ს შორის ბრძოლა მომხდარა სოფ. არადეთთან (მდინარე ფრონეს ნაპირზე). ამ ბრძოლაში ყვარყვარეს გაუმარჯვებია[1]. კონსტანტინეს დამარცხებით ისარგებლა ალექსანდრე ბაგრატის ძემ და რაჭა-ლეჩხუმელთა დახმარებით 1484 წელს დაიკავა ქ. ქუთაისი და მეფედაც ეკურთხა[2]. კონსტანტინემ მხოლოდ დროებით შეძლო ალექსანდრეს გაძევება, რადგან იძულებული იყო იმერეთი დაეტოვებინა ქართლში მტრების შემოსევის გამო. ამრიგად, 1489 წელს ალექსანდრემ კვლავ და საბოლოოდ დაიბრუნა იმერეთის მეფობა.

ამავე ხანებში ირანის მბრძანებელი იაყუბ-ხანი (გარდაცვალებული უზუნ ჰასანის ძმა) ორჯერ შემოესია საქართველოს. თურქმანთა პირველი შემოსევა მომხდარა 1486 წელს[3]. ამ ჯერზე მტრის ლაშქარი სამცხეში შემოვიდა. თურქმანები მოადგნენ „ციხესა ახალციხესა, დაწვეს ქალაქი",

---

[1] იკორთის კინკლოსი, ჯ. ოდიშელი, მცირე ქრონიკები, 1968, გვ. 37; არადეთის ბრძოლის შესახებ და მის მიზეზებზე სხვადასხვა და შეუთანხმებელი ცნობები მოიპოვება ძველ ქართველ ისტორიკოსებთან (ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი). ამ ცნობების არასანდოობა ცხადყო ივ. ჯავახიშვილმა, იხ. ქართველი ერის ისტორია, IV, 1948, გვ. 136—143.

[2] ვახუშტი, ქ. ცხ., IV, გვ. 808.

[3] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 145; რ. კიკნაძეს პირველი შემოსევის თარიღად მიაჩნია 1482 წლის ოქტომბერ-ნოემბერი, დასახ. ნაშრ., გვ. 127.

„დაიპყრეს ხელთა მესხნი დარბაისელნი ციხოვანნი“[1]. სპარსული წყაროს ცნობით, თურქმანებს ზარბაზნებით დაუნგრევიათ ციხის კედლები, მაგრამ, საერთოდ, დიდად გაჭირვებიათ მისი აღება[2]. მტერს დიდძალი ტყვე და ქონება გაუტანია ქალაქიდან. ქართული და სპარსული წყაროები ახალ-ციხის შემდეგ უჩვენებენ თურქმანების გაჭრას აწყურისაკენ. მათ უბრძოლველად აუღიათ აწყურის მეტად მაგარი ციხე, ხოლო ქალაქი გაუ-ძარცვავთ[3].

მეორე შემოსევას 1487 წელს იაყუბ-ხანის დავალებით ხალილ ბეგი მეთაურობდა. მტერი თბილისის აღებას ცდილობდა. ამასობაში მან აღჯა-ყალისა და ქაოზიანის ციხის შენება დაიწყო ქვემო ქართლში. თურქმა-ნებს აქ თავდადებულ ბრძოლას უმართავდნენ ბარათაშვილები, რომელთა სამფლობელოები უშუალო საფრთხის წინაშე აღმოჩნდა[4]. თურქმანები ორბეთის ძირს დადგნენ, მაგრამ ბარათიანნი აქაც თავს ესხმოდნენ. თურ-ქმანებმა კოჯრის ციხე აიღეს, საიდანაც დიდძალი ტყვე და ალაფი წაი-ღეს[5]. ბოლოს და ბოლოს, თბილისის ციხეს გარსშემომდგარმა მტერმა თბი-ლისი აიღო 1489 წლის თებერვლის დასასრულს, სადაც მცირე გარნიზონი დატოვა, ხალილბეგი საქართველოდან წავიდა (სპარსული წყაროს მიხედ-ვით). როგორც ფიქრობენ, ქართველებს მალე უნდა გაეძევებინა თბილი-სიდან მტერი[6]. ქართულ წყაროებში ამის შემდეგაც აღნიშნულია თურქმა-ნების შემოსევა. ნიშანდობლივი ფაქტია, რომ მტრის განდევნაში ერთობ-ლივ მონაწილეობაზე კონსტანტინესათვის უარი უთქვამს სამცხის მთავარს და კახეთის მეფეს[7].

უნდა აღინიშნოს, რომ თათარ-ნომადთა (ამჯერად თურქმანების) ახალ-ახალი ტალღა ამ პერიოდშიც სერიოზულად აზიანებდა ქვემო ქართლის ტერიტორიებს, ამასთან აქ თათრის ელი, მაგ., ლორეს სანახებში, აღჯაყა-ლას, ქაოზიანს და სხვა ტერიტორიებზე, უკვე ახალ ძალად კი არ ჩანდა, არამედ საკმაოდ ხანდაზმულიც იყო. ქართველთა დამოკიდებულება ელი-

---

[1] ბერი ეგნატაშვილი, ქ. ცხ., II, გვ. 343; მოღწეულია ქრონიკების ცნო-ბებიც.

[2] რ. კიკნაძე, საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან XV საუკუნის მეორე ნახევარში, ისტ. ინსტ. შრომები, VII, 1964, გვ. 124—125.

[3] ბერი ეგნატაშვილი, ქ ცხ., II, გვ. 343; რ. კიკნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 124—125.

[4] ბერი ეგნატაშვილი, ქ. ცხ., II, გვ. 343; ვახუშტი, ქ. ცხ., IV, გვ. 387.

[5] ბერი ეგნატაშვილი, ქ. ცხ., II, გვ. 344; რ. კიკნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 128.

[6] რ. კიკნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 129.

[7] ვახუშტი, ქ. ცხ., IV, გვ. 388; ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 149 (იაყუბ-ხანის შემოსევების შესახებ, იქვე, გვ. 145—150).

სადმი ძირითადად ისევ ძველებური დარჩა: ქართველობა ცდილობდა მთლიანად გამოეძევებია ელი, როგორც ადგილობრივი ქართული მეურნეობისათვის შეუთავსებელი უცხო სხეული. თუმცა ეს მიზანი, როგორც ვნახეთ, სრულად ახლაც ვერ ხორციელდებოდა, მაგრამ ფაქტია, რომ ელთან დამოკიდებულების სხვა ფორმა — მათი გარდაქმნა ან პოლიტიკური დამორჩილება — ჯერჯერობით ქართულ პოლიტიკას არ წარმოადგენდა (ამის შესაძლებლობას პოლიტიკური პირობებიც არ იძლეოდა). ისე კი მშვიდობიან-აღდგენით პერიოდებში გამორიცხული არ იყო ამ სახის თითო-ოროლა ფაქტი.

მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისათვის ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობა მეტად ღრმად იყო შერყეული, ქართლის მთავრობას მაინც უცდია მდგომარეობის გამოსწორება. მაგ., მთავრობას განუზრახავს ომით მოესპო გამრავლებული მეფე-მთავრები და საქართველო ამ გზით ექცია განუყოფელ სამეფოდ. ასეთი რადიკალური ზომისათვის საქართველოს ხელისუფლებას წარსულშიაც არაერთხელ მიუმართავს და, ეტყობა, ახლაც ასე სურდათ მოქცეულიყვნენ. ამ საკითხზე ქართლის მეფეს კონსტანტინეს 1490 წელს დარბაზიც კი მოუწყვია, რომელსაც ესწრებოდნენ კათალიკოსი, ეპისკოპოსები და სხვა წარჩინებულნი. დარბაზს ომის გამართვა სიტუაციის არახელსაყრელობის გამო უნაყოფოდ მიუჩნევია. იქ უთქვამთ: ერთს რომ ვძლიოთ, სულერთია, მეორეს და მესამეს მაინც ვერ ვძლევთო, რადგან ქვეშევრდომნი მტკიცედ იცავენ თავ-თავიანთ მეფეებსო: „ვინაიდან მტკიცედ დგანან ერთგულებასა ზედა თვისთა რჩეულთა მეფეთა იმერნი და კახნი და კუალად ათაბაგისა სამცხელნიო“. ნიშანდობლივი სურათია: გამრავლებულ მეფე-მთავრებს დროთა მანძილზე უკვე მოუსწრიათ ადგილებზე ერთგული დასაყრდენი ძალის, ვასალების მომრავლება და მათი საბოლოო ჩამოშორება ცენტრისაგან. მეფე-სიუზერენს უკვე აღარ შეუძლია მათი დამარცხება. ამიტომაც დარბაზს საბოლოოდ შერიგება და ზავი დაუსკვნია. ამის შემდეგ კონსტანტინე დაზავებია კახეთის მეფეს ალექსანდრეს, იმერეთის მეფეს ალექსანდრეს და სამცხის ათაბაგს[1]. მხარეები, ჩანს, საზღვრებზეც შეთანხმებულან[2].

ქართველი მოწინავე პოლიტიკოსების აზრით, დაძაბუნებულ საქართველოს გარეშე მტრისაგან მტკიცე მშვიდობის მოპოვება ძლიერი უცხო სახელმწიფოს დახმარებით შეეძლო. ასეთი მათ კვლავაც დასავლეთ ევროპაში ეგულებოდათ. მათი ყურადღება განსაკუთ-

---

[1] ვახუშტი, ქ. ცხ., IV, გვ. 390.

[2] ბერ ეგნატაშვილს თავის თხზულებაში დაწვრილებით აქვს აღწერილი თითოეული ერთეულის: ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოების და სამცხის, სამეგრელოს (რომელშიც აფხაზეთიც შედიოდა), გურიის სამთავროების საზღვრები. ქ. ცხ., II, გვ. 348 — 349.

რებით ესპანეთმა მიიპყრო. კონსტანტინემ რომის პაპთან და ესპანეთის დედოფალ იზაბელასთან თავისი დესპანი გაგზავნა.

კონსტანტინეს ელჩი ნილოსი (კარის ხუცესმონაზონი) დაახლ. 1492—1495 წწ. ეგვიპტეში სულთნის კარზე იმყოფებოდა. ამ ელჩს ქაიროდან იერუსალიმში გამოვლისას უნახავს ესპანეთის დედოფლის იზაბელას ელჩები, მათ უამბნიათ ნილოსისათვის ესპანეთიდან არაბების განდევნის ამბავი. გახარებულ ნილოსს საქართველოში წამოუყვანია ესპანელი ელჩები. კონსტანტინეს ამ ელჩებისათვის გაუყოლებია თავისი ელჩი ნილოსიც. ელჩობას დავალებული ჰქონდა წერილების, საჩუქრების და პირადად საიდუმლო დანაბარების გადაცემა. ესპანეთის დედოფლის მიმართ წერილში კონსტანტინე აღფრთოვანებას გამოთქვამდა მისადმი, რომელმაც არაბები გააძევა. იგი აღნიშნავდა საქართველოს დიდ შევიწროებას ოსმალთაგან, რომლებიც ითხოვდნენ ხარკს, ლაშქრობებში მონაწილეობას და გამაჰმადიანებას; „კონსტანტინოპოლის, ტრაპიზონისა და სხვა ქრისტიანთა დაცემის შემდეგ მარტოდ-მარტონი და სრულიად დამდაბლებულნი დავრჩით... გევედრებით დაუყოვნებლივ პირდაპირ კონსტანტინოპოლზე გაილაშქროთ... მეც პირადად შვილებითურთ და მთელი ლაშქრით... შენთან ერთად საბრძოლველად წამოსასვლელად მზად ვიქნები... დაიწერა სიგელი ესე ჩვენი 1495 წელსა მარტისა ათსა დღესა“.

კონსტანტინოპოლისა და იერუსალიმის გასათავისუფლებლად ქრისტიანული ქვეყნების გამოლაშქრებას სთხოვდა კონსტანტინე რომის პაპსაც[1]. წერილებიდან კარგად ჩანდა, რომ ქართველობას სწორად ჰქონდა დანახული იმდროინდელი პოლიტიკური ცვლილებების შედეგები აღმოსავლეთში, კერძოდ, კონსტანტინოპოლისა და ტრაპიზონის აღების შედეგები, რომელმაც, მათი აზრით, საქართველოს დაცემას შეუწყო ხელი. ხსნა კი მათ ესახებოდათ ამ სახელმწიფოების კვლავ აღდგენაში. მათ ახლაც, როგორც ამავე საუკუნის 50-იან წლებშიც, შესაძლებლად მიაჩნდათ აღმო-

---

[1] ამ წერილების დედნებს ჩვენამდე არ მოუღწევია. პაპ ალექსანდრე VI-ის მისამართით გაგზავნილი წერილის შინაარსს ვეცნობით მისივე 1496 წ. 10 ივლისის საპასუხო წერილით, რომელიც გამოსცა მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ მ ა, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 598, 64—66. იზაბელასადმი გაგზავნილი ზემომოტანილი 1495 წ. 10 მარტის წერილის ძვ. რუსული თარგმანი, რომელიც პოლონეთში შეუსრულებიათ, გამოცემულია რუსულ სამეცნიერო პრესაში 1823 წ. და 1850 წ. „Закавказский Вестник“-ში. ფრანგული თარგმანი გამოსცა ბროსემ, H. d. G. I, გვ. 407—411. კონსტანტინეს წერილის თარგმანის მოხვედრა პოლონეთში იმით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, როგორც ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ ელჩები უშიშროებისათვის პოლონეთის გზით გამგზავრებულან. ამ წერილის ქართული თარგმანი ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ მ ა შეიტანა ამ საკითხისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში: ქართველი ერის ისტორია, IV, 1948, გვ. 153—162.

სავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანული ქვეყნების ერთობლივი ბრძოლა სპარსელებისა და ოსმალების წინააღმდეგ.

ელჩობას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია იმ გასაგები მიზეზის გამო, რომ ევროპის პოლიტიკოსები მაშინ ოსმალეთს და სპარსეთს უფრო ანგარიშგასაწევ ძალად თვლიდნენ, ვიდრე საქართველოს. მართალია, ამ დიპლომატიურ სიტუაციაში ქართველები თავიდანვე ვერ გაერკვნენ, მაგრამ ელჩობის ფაქტი იმას მოწმობდა, რომ ქართველებს სურდათ ქვეყნის გამოხსნისათვის ბრძოლაში ევროპის ინტერესებიც გამოეყენებინათ[1]. სწორედ ქრისტიანულ-ევროპულ სახელმწიფოებთან მოკავშირეობის კურსმა მიიყვანა საქართველო რუსეთთან. იმდროსვე, 1491 წელს, კახეთის მეფემ რუსეთის მთავართან ივანე III-თან ელჩები გააგზავნა წერილებით და საიდუმლო სიტყვიერი მოხსენებით.

ასე დასრულდა XV საუკუნე. მოსახლეობა შეთხელდა, სოფლები ნასოფლარებად იქცა, ქალაქები დაბა-ნაქალაქარებად, ინტენსიური სამიწათმოქმედო ტერიტორიები შეიზღუდა, მეურნეობის დარგები დაეცა, მოსახლეობა დაღარიბდა, გლეხობის საწარმოოუნარიანობა დაკნინდა. დაშლილობა მთავარ ტენდენციად იქცა და გაიმარჯვა კიდეც პოლიტიკურმა რეაქციამ: ქვეყანა დაიყო სამეფო-სამთავროებად, ჩამოყალიბდნენ ნახევრად დამოუკიდებელი სათავადოები. ეს პოლიტიკური დაშლა XV საუკუნეში ახალი მოვლენა იყო, მაგრამ იგი სოციალური ცხოვრების წიაღში საუკუნეებით მიმდინარე ცვლილებების მხოლოდ საბოლოო გაფორმებას წარმოადგენდა.

მომდევნო თავში განვიხილავთ სოციალურ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს, რამაც ხელი შეუწყო საქართველოს პოლიტიკურ დაშლას.

---

[1] იხ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 61—62.

თავი მეთოთხმეტე

ცვლილებები საზოგადოებრივი კლასების მდგომარეობაში XIII—XV სს.

§ 1. უშუალომწარმოებელთა საზოგადოება — გლეხობა

საქართველოს ეკონომიკური თუ პოლიტიკური ძნელბედობანი თავისი შემმუსვრელი ხელით, პირველ ყოვლისა, გლეხობას შეეხო.

XIII—XV სს. გლეხობის, როგორც სოციალური ფენის დამახასიათებელი ნიშანია მისი *რიცხობრივი შემცირება*, დარღვევა ნორმალური შეფარდებისა მფლობელ კლასთან. ხვარაზმელთა და მონღოლთა შემოსევები, შემდეგ კი მონღოლთა თითქმის ასწლოვანი ბატონობის პერიოდში მონღოლთა ხშირ ლაშქრობებში ქართველების სავალდებულო მონაწილეობა მასობრივად ჟლეტდა გლეხობას. საქართველოს ტერიტორიების საომარ ველად ქცევა ურდოთა შორის გამართული ბრძოლების გამო იწვევდა სოფლების ამოწყვეტას, ტერიტორიების გაუდაბურებას; აჯანყებების ჩასაქრობად მოვლენილი დამსჯელი ექსპედიციები, რომელთა თარეში ათწლობითაც გრძელდებოდა, პირწმინდად ანადგურებდა აჯანყების რაიონებს; მონღოლთა გადაშენების შემდეგ კი თემურლენგისაგან ჩვიდმეტწლიანმა სისტემატურმა ნგრევამ, რომელიც შეეხო აღმოსავლეთ საქართველოს ყველა მხარეს და დასავლეთ საქართველოს ქუთაისამდე, თითქმის გაანახევრა დარჩენილი მოსახლეობა.

გლეხობას ფიზიკურად ანადგურებდა მოარული სენიც, რომელიც ამ საუკუნეებში, როგორც ვნახეთ, იშვიათი მოვლენა არ ყოფილა.

გლეხის ოჯახს მუსრს ავლებდა სისტემატური შიმშილი, რისი ერთ-ერთი მიზეზიც გლეხის უზომო ექსპლოატაცია იყო.

მეორე დამახასიათებელი ნიშანი, რაც ამ საუკუნეებში გლეხობას დაეტყო, იყო ქონებრივი *გაღარიბება*. მართალია, მატერიალური სიღარიბე ამ საუკუნეებში ყველა სოციალურმა წრემ განიცადა, მაგრამ უფრო საგრძნობი ეს გლეხებისათვის იყო. გლეხურ მეურნეობას ხელიდან

ეცლებოდა სამიწათმოქმედო ტერიტორიები. მონღოლთა ურდოების საზამთრო და საზაფხულო საძოვრებად იქცეოდნენ სოფლები, დამუშავებული ყანა-ბოსტნები და ა. შ. ქართველ გლეხობას ჭამაპაპეული ადგილიდან ერეკებოდა საქართველოს ტერიტორიებზე სამუდამო საცხოვრებლად ჩამომჯდარი მონღოლურ-თურქმანული ტომები. გლეხის მეურნეობას აჩანაგებდა მონღოლური სამხედრო ბეგარა, რომლის გამოც გლეხი, ხანგრძლივი დროის განმავლობაში შორეულ ლაშქრობაში წასული, საკუთარ კარ-მიდამოს მოწყვეტილი იყო; გლეხის გაღარიბებას იწვევდა გაძლიერებული ექსპლოატაცია.

გლეხობის მესამე დამახასიათებელი ნიშანი ამ დროისათვის ეს იყო ბატონყმური უღლის უზომოდ დამძიმება. უცხოელ დამპყრობთა სახით ქართველ ყმაგლეხს ახალი ექსპლოატატორი მოევლინა. მონღოლთა ბატონობის თითქმის ასი წლის განმავლობაში, შემდეგ კი თათარ-თურქმანთა ახალ-ახალი შემოსევებისა და მათი „მფლობელობის" პერიოდებში უცხოური მძიმე ხარკი, ხარკის ამკრეფთა განუკითხველი ძალადობა ფიტავდა გლეხის მეურნეობას. ხარკის ნიადაგზე გლეხობის მასობრივი აყრა-გაქცევა მამა-პაპის მიწებიდან თანდათან უფრო მწვავე და ფართო ხასიათს ღებულობდა.

ქვეყნის საერთო დაქვეითების პირობებში ქართველი ფეოდალი ცდილობდა შემცირებული შემოსავლის შევსებას გლეხებზე გაძლიერებული ექსპლოატაციის გზით. იგი მიმართავს საზომ-საწყაოების გადიდებას, სხვადასხვა მიზეზის მოგონებით გამოძალვას და სხვ. ეს იყო ზედმეტი პროდუქტის — ფეოდალური რენტის მითვისების მახინჯი ფორმა, ბატონყმობის (ფეოდალური განვითარების მაღალი ფორმის) გადაგვარება, რომელიც უკვე საზოგადოებრივი განვითარების შემაფერხებლად გადაიქცა (ნ. ბერძენიშვილი, ვ. გაბაშვილი).

გლეხის ისედაც დაღარიბებული მეურნეობა ვეღარ ასდის ამდენ ვალდებულებებს, მას მიწა ვეღარ არჩენს, რაკი მისთვის მიწა ზედმეტად იქცა, ცდილობს გაშორდეს მას. ამგვარად, შეირყა გლეხის სოციალურ-ეკონომიკური ფუნქცია. ეს მოვლენა ერთნაირად ახასიათებდა მთელს XIII—XV საუკუნეებს, ოღონდ დროდადრო მეტ-ნაკლები სიძლიერით. XV საუკუნეში „უკაცური", „პარტახტი" ადგილები ბლომად მოიპოვებოდა, ამის მიზეზი გლეხობის ფიზიკურ შემცირებასთან ერთად გარკვეულ წილად მათი აყრა-გაქცევაც იყო.

მმართველი წრე დროდადრო სათანადო ღონისძიებებით ცდილობს გლეხის სოციალური მდგომარეობის აღდგენას.

გლეხის გადახდისუნარიანობის დაცემამ შეამცირა სახელმწიფო შემოსავალი. თვით მონღოლებიც კი იძულებულნი იყვნენ ეზრუნათ გლეხის

ეკონომიკური მინიმუმის დაცვისათვის (ყაზან ყაენის რეფორმები XIII ს. მიწურულს), ცდილობდნენ მოეწესრიგებინათ ხარკის აკრეფის ორგანიზაცია, შეემცირებინათ გადასახადების სახეობათა რაოდენობა, აღეკვეთათ ძალმომრეობა, ეკონომიკური შეღავათები მიეცათ გლეხისათვის, რათა ის დაინტერესებულიყო მეურნეობით, კანონით აღკვეთეს გლეხთა მიწიდან წასვლა და ა. შ.

ბექა-აღბუღას სამართალი მიეძღვნა დარღვეული საბატონყმო ნორმების მოწესრიგება-აღდგენას.

ბატონყმობა ამ დროისათვის საქართველოში უკვე დიდი ხნის ფაქტია: ყმაგლეხთა ძირითადი მასა მიწაზეა მიმაგრებული, მას მიწიდან ნებაყოფლობით წასვლის უფლება (პირადი თავისუფლება) დაკარგული აქვს, მაგრამ მიწაზე მიმაგრებას — გლეხის ინტენსიური მეურნეობის ამ ხელშემწყობ პირობას — ახლა უკვე ეკონომიკური საფუძველი ეცლება. ცხოვრების პირობები მეტად აძნელებს ყმამ „მკვიდრობა"[1] შეინარჩუნოს („მკვიდრი" — ყმაგლეხთა ძირითადი კატეგორიაა). მკვიდრი ყმის გადასარჩენად კანონმდებლობა მიმართავს ღონისძიებებს, რომლებიც თუ, ერთი მხრივ, ყმაგლეხს გარკვეულ შეღავათებს და უპირატეს უფლებებს ანიჭებს, მეორე მხრივ, „მკვიდრობის" შენარჩუნების მსხვერპლად ეს ღონისძიებები იწვევენ ყმაგლეხის სოციალური უფლებების კიდევ უფრო დამძიმებას ბატონის სასარგებლოდ (მუხ. 77)[2].

რამდენადაც ამ პერიოდში გლეხთა აყრა-გაქცევა ჩვეულებრივი მოვლენა იყო, შემთხვევითი არაა, რომ ბექა-აღბუღას კანონებში, როგორც ეპოქის ამსახველ დოკუმენტში, საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს „გარდახვეწილის", „მოსულის", „გარეთ მყოფის", „უკაცური საგლეხო ფუძის" შესახებ იურიდიულ განწესებებს.

ბექას კანონმდებლობა უფლებას ანიჭებს გარეთ წასულ მკვიდრ გლეხს დროის ხანგრძლივობის მიუხედავად ძველივე უფლებით დაუბრუნდეს თავის მამულს, ხოლო პატრონი მას ვერ დაუჭერს მამულს (მუხ. 56). მიწის პატრონს შეუძლია მხოლოდ ამ უკანდაბრუნებულ გლეხს მოსთხოვოს, საერთო წესის მიხედვით, დანახარჯი იმისა, თუკი ამ გლეხის „გარეთ ყოფნის" დროს რაიმე შემატა მამულს (მუხ. 56). სხვა მხრივაც კანონით უზრუნველყოფილია წასული გლეხის მუდმივი მფლობელობა მებატონის მიწაზე: თუ წასული გლეხის მიწას მებატონე გაყიდის ან სხვას დაუწინ-

---

[1] „მკვიდრობა" აქ ბინადარი ცხოვრების თვალსაზრისით კი არ არის ნახმარი (ეს თავისთავად იგულისხმება), არამედ სოციალური, ე. ი. უფლება იმისა, რომ გლეხი საშვილიშვილოდ იჯდეს ბატონის ერთსა და იმავე მამულზე, მიწაც მიმაგრებული იყოს გლეხზე.

[2] ბექა-აღბუღას კანონების მუხლები აქ და ყველგან მითითებული გვაქვს ი. დოლიძის გამოცემის მიხედვით: ძველი ქართული სამართალი, 1953.

დავს, დაბრუნებულ გლეხს უფლება აქვს ამავე მიწას მიუბრუნდეს (იქვე, და სხვ.).

საყოველთაო წესის თანახმად, სხვისი მიწის მომშენებელს (ნარგავების, ნაგებობების, ვენახის გამკეთებელს) ამ მოშენებული მიწის ნახევარი საკუთრებად ერგებოდა და მას შეეძლო თავისივე სურვილით მიწის მაგიერ საფასური (ფული) აეღო. ამ საერთო წესში ბექა-აღბუღას კანონმდებლობა უშვებს გამონაკლისს, თუ საქმე „გარდახვეწილის" ან „ობოლის" მიწას ეხებოდა. 54-ე მუხლის თანახმად, თუ ვინმე გარდახვეწილის ან ობლის მიწას დაამუშავებს, ხოლო ის თავის მიწას მოიკითხავს, უფლება აქვს დამუშავებული მიწა მთლიანად წაიღოს, მიწის დამმუშავებელი მას მიწას ვერ დაუჭერს, ოღონდ დამმუშავებელს უნდა მიეცეს ნახევარი მიწის (რომელიც ერგებოდა) საფასური წესისამებრ. გასაგებია, რომ გამონაკლისი დაუშვეს, რათა „გარდახვეწის" ან „ობლობის" მიზეზით მიწისმფლობელს მიწა ხელიდან არ წასვლოდა.

ბექას კანონების (საერთოდ ქართული ფეოდალური სამართლის) მიხედვით უძრავი საკუთრების (მფლობელობის) დაკარგვას, იმ შემთხვევაში, თუ სარჩელი აღძრულია, ხანდაზმულობა არ იწვევს (მუხ. 42)[1]. ამ საფუძველით თითქოს საჭირო აღარ იყო „გარდახვეწილის", „გარეთ წასულის" მამულებზე ცალკე მსჯელობა, მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევათა შემოტანა საკანონმდებლო მუხლებში, უეჭველობით მოწმობს ხელისუფლების მიერ აყრილის ინტერესების საგანგებო დაცვას.

ყმაგლეხთა გახშირებული მოძრაობის ამსახველია ყმათა ისეთი ჯგუფების მოხსენიება აღბუღას სამართალში, როგორიცაა: „თავდაწერილი", „თავდაუწერელი", „მომართებული". ყველა ესენი ყოფილი მკვიდრი ყმებია, რომლებიც ერთი ბატონიდან მეორე ბატონთან მისულან და თავიანთი ყმობა ახლად გაუფორმებიათ, ზოგს წერილობითაც (ამაზე ქვემოთ).

გახშირებულ მოძრაობას მოწმობს ის ფაქტიც, რომ კანონმდებლობაში საგანგებო სამართლებრივი ნორმებია შეტანილი მოსულის ისევ წასვლის კანონიერი პირობების შესახებ. კანონმდებლობა ცდილობს, თუ ამას რაიმე გარეგანი მიზეზი არ დააბრკოლებს, ხელი შეუწყოს მოსულის გამკვიდრებას, რათა ამით მისთვის უზრუნველყოს ინტენსიური მეურნეობის წარმოების პირობები. ძველი ბატონის უსარჩლობის შემთხვევაში, ახალ ბატონთან მისული ყმაგლეხი თუ თავის ყმობას წერილობით გააფორმებ-

---

[1] Сборник законов грузинского царя Вахтанга VI, издание Френкеля под редакцией Д. З. Бакрадзе, 1887, с. 58 და სხვ.; ივ. სურგულაძე, საკუთრების უფლების ინსტიტუტი, უნივერსიტეტის შრომები, XXXV, 1949, გვ. 254; ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, გვ. 160—161.

და და ამასთანავე ახალი ბატონის მიწა-წყალზედვე დაცოლშვილდებოდა[1], თავისი ნებით უკან წასვლის უფლება ერთმეოდა (მუხ. 72).

„მკვიდრობის" შენარჩუნების მიზნით კანონმდებლობა, ცხადია, ითვალისწინებდა ბატონის ინტერესებსაც, რომლებსაც ყმები ეფანტებოდა. ეპოქის დამახასიათებელი ტენდენცია — მამულის (მიწის) ჭერის სიმტკიცის შერყევა ვლინდება არა მხოლოდ გლეხთა სამამულო ურთიერთობაში, არამედ უშუალოდ ფეოდალთა მფლობელობაშიც (დაწვრილებით ქვემოთ). კანონი აწესებს გარკვეულ ნორმებს სხვაგან წასულის ძალად უკან დაბრუნებისათვის. შემოღებულია ორი ვადა: თუ ბატონი გაქცეულ ყმას არ ეძებს („არ ესარჩლოს"), მაშინ 7 წლის გასვლის შემდეგ მას უფლება აღარ აქვს უკან დაიბრუნოს თავისი ყმაგლეხი (ე. ი. 7 წლის შემდეგ ბატონს სარჩელის აღძვრის უფლება არა აქვს); თუ ეძებს, მაშინ 30 წლის განმავლობაშიც შეუძლია უკან დაიბრუნოს (ე. ი. ბატონის აღძრულ სარჩელს ძალა აქვს 30 წლის განმავლობაში. მუხ. 77). მეორე ვადა, როგორც თვით კანონმდებლობაშია აღნიშნული, ძველიდანვე არსებული წესი ყოფილა („პირველივე დაწესებული ოცდაათი წელი არის")[2]. პირველი შედარებით მოკლე ვადა, საფიქრებელია, ახლად არის შემოღებული და ამ შემთხვევაში ნაკარნახევია აყრილის ეკონომიკური ინტერესების დასაცავად ახალ მიწა-წყალზე[3].

ახალ ბატონს უფლება არ აქვს დაუჭიროს ძველ ბატონს მასთან მისული ყმა, მან დაუყოვნებლივ უნდა გადასცეს ის. მაგრამ, როგორც კარგად ჩანს, ახალი ბატონი და თვით ახლად შემოხიზნული ყმა ეწინააღმდეგებიან უკან დაბრუნებას (ეს ბუნებრივიცაა, რადგან მაშინ სხვასთან წასვლას აზრი აღარ ექნებოდა). ისიც შეიძლება მომხდარიყო, რომ ორი ბატონის

---

[1] დაცოლშვილება მოსულის (მეორე თაობის) მკვიდრ ყმად გადაქცევის წინასწარი პირობა იყო, რადგან „მკვიდრი" ისეთს ეწოდებოდა, რომლის მამა ბატონის ყმა ყოფილა, ე. ი. მამას შვილები ბატონის „ქვეშე მისცეოდის" (მუხ. 78).

[2] სარჩელის ხანდაზმულობის ჩვეულებრივი ვადა იუსტინიანეს (527—565) კანონმდებლობაში და, საერთოდ, რომაულ სამართალში 30 წელიწადს უდრიდა (იყო სხვა ვადებიც). კანონის ძალით 30 წლის გასვლის შემდეგ ისპობოდა სარჩელის აღძვრის უფლება და მაძიებელი კარგავდა საკუთრებას სასარჩელო ობიექტზე (ნივთზე, უფლებაზე), იგი გადადიოდა მფლობელის უცილობელ საკუთრებად. 30-წლიანი ვადა აქედან შევიდა ზოგიერთი შუა საუკუნეების და ბურჟუაზიული ქვეყნების სამართალში. ქართულმა ფეოდალურმა საერო სამართალმა სარჩელის 30-წლიანი ხანდაზმულობის ვადა, ჩანს, გამოიყენა მხოლოდ იმ შემთხვევის მიმართ, როცა დავა ეხებოდა ყმაგლეხის პიროვნებაზე საკუთრების უფლების დადგენას.

[3] შვიდი რიცხვი მისი საკრალური მნიშვნელობის გამო საერთოდ ფართოდ არის შესული ფეოდალური ხანის საერო და საეკლესიო სამართალში. აქ კონკრეტულად, შვიდი წელიწადის შემოღება შეიძლება მოსახლეობის აღწერის ვადას უკავშირდებოდეს, როცა გაქცეულ გლეხს საშუალება ეძლეოდა უახლოესი აღწერისას ახალი ბატონის საკუთრებად ჩაწერილიყო.

დავისას ყმა სულაც გაპარულიყო ან გარდაცვლილიყო, ამ შემთხვევებში ახალ ბატონს ზარალი („სისხლის“ ფასი) უნდა ეზღო ძველი ბატონისათვის (მუხ. 74).

აღბუღას კანონებში ძველი, 30-წლიანი ვადის ხელახლა გათვალისწინება (ასეთი გრძელი ვადა, როგორც ვიცით, ყაზან ყაენმაც შემოიღო დაპყრობილ ქვეყნებში), მართალია, ემსახურებოდა „მკვიდრობის“ სიმტკიცეს, მაგრამ იგივე მოწმობდა ყმაგლეხის პირადი ადამიანური უფლებების თითქმის გაქრობას, ბატონყმური უღლის კიდევ უფრო დამძიმებას. ამგვარად, ფეოდალური წყობილების ნორმა — ბატონის არასრული საკუთრება ყმაზე — ამჟღავნებს ტენდენციას გადააქციოს ყმა ბატონის სრულ საკუთრებად და დაიყვანოს იგი მონურ მდგომარეობამდე[1]. ეს ტენდენცია გამოხატულებას პოვებს სანივთო სამართალშიც: მიწა, როგორც წესი, პატრონისაა (ბატონისაა), მაგრამ ბატონის უფლება ახლა თანდათან მთელს მოძრავ ქონებაზეც ვრცელდება: გლეხს უფლება აქვს მხოლოდ ერთი ხარით (ან მისი საფასურის ფარგლებში) დაუდგეს სხვას თავდებად, უფრო მეტით კი ბატონის ხელის ჩართვაა საჭირო (მუხ. 66). ამგვარად, გლეხის თავისუფალი მოქმედება მის მეურნეობაში მინიმუმამდე არის დასული. გლეხის პირადი საკუთრება, რომელზეც მისი აბსოლუტური ხელშეუვალი უფლება ვრცელდება, მხოლოდ ერთი ხარის ღირებულების ოდენობას შეესაბამება. ე. ი. ფაქტიურად გლეხის მთელი უძრავ-მოძრავი ქონება ბატონის საკონტროლო საკუთრებას შეადგენს. თანაც კანონის ძალით გლეხს უფლება არა აქვს ბატონის ხელჩაურთველად „გაჰყიდოს რა“, რადგან „ადგილი ბატონის არის“ (მუხ. 76).

ბატონყმური უღლის დამძიმებას ეპოქის ძნელბედობა სხვა მხრივაც უწყობდა ხელს. როგორც ზემოთ ვნახეთ, შეუძლებელი მევალის ყმად ჩავარდნა ან „ავის ჟამისაგან“ ბატონის მიერ ყმის გამოკვების ნიადაგზე ვალდებულების დამძიმება, ჩვეულებრივი მოვლენა იყო XIII — XV საუკუნეებში. ნიშანდობლივი ისაა, რომ პრაქტიკულ ვითარებას კანონმდებლობაშიც შეუღწევია. კანონი კრძალავს ერთი ბატონის ყმა გლეხის მეორე ბატონის მიერ მითვისებას, ამ ყმისათვის დახმარების ან „ავსა დროს“ გამოკვების მომიზეზებით. ამ შემთხვევაში მეორე ბატონმა ყმა მეპატრონეს უნდა დაუბრუნოს, ოღონდ დანახარჯი უნდა მოსთხოვოს (მუხ. 55)[2].

---

[1] ოცდაათწლიანი ძებნის ვადა ფაქტიურად გულისხმობდა გაქცეულის ძებნას მთელი სიცოცხლის მანძილზე. სრულწლოვანობიდან ადამიანის ჯანმრთელი ცხოვრების პერიოდი 30 წელზე მეტიც არ იყო.

[2] სხვისი ყმის მისაკუთრების უფლებას კანონი მხოლოდ ზოგი „შეცოდების“ ჩადენისათვის აწესებს (მუხ. 55). მაგ., ერთ-ერთი ასეთი დანაშაული შეიძლება მკვლელობა ყოფილიყო, როცა მკვლელი ყმაგლეხი გადაეცემოდა მოკლულის ნათესავებს, მაგრამ ეს შემთხვევა ეკონომიკურ სფეროს არ განეკუთვნება.

ამგვარად, თუ ზემოთქმულს გავითვალისწინებთ, ძნელი არაა დავინახოთ ტენდენცია ბატონყმობის რიგის გადაგვარებისა. ბატონყმობა თვით არის მძიმე უღელი, მაგრამ ექსპლოატაციის კიდევ უფრო დამძიმება გლეხის სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციის მოშლას იწვევდა და ამ ნიადაგზე წარმოშობილი გლეხთა კლასობრივი ბრძოლები აყრა-გაქცევის სახით ვერ ემსახურებოდა საზოგადოების წინსვლას.

შუა საუკუნეების ფეოდალიზმის პირობებში ქვეყნის წამყვანი ძალა საშუალო გლეხი იყო. მას ჰქონდა საკმარისი რაოდენობის ფუძე (საკომლო), რომელიც უზრუნველყოფდა გამოემუშავებინა ზედმეტი პროდუქტი ფეოდალისათვის (ფეოდალური რენტა) და აუცილებელი პროდუქტი თავისი არსებობისა და მეურნეობის გასანახლებლად. ნორმალურ პირობებში ფეოდალური რენტა შესაბამისი უნდა ყოფილიყო ზედმეტი პროდუქტის რაოდენობასთან. მაგრამ საქართველოში შექმნილმა ახალმა ვითარებამ მკვეთრად დაარღვია ეს პროპორცია: ჯერ ერთი, შეამცირა ფუძის (საკომლოს) გამოსავლიანობა და ზოგჯერ რაოდენობაც (დაღარიბება, ფიზიკური გაპარტახება და ა. შ.), მეორე მხრივ, დაცემული ეკონომიკის პირობებში ფეოდალმა ხელი მიჰყო ფეოდალური რენტის გადიდებას, რომელიც უკვე ზედმეტი პროდუქტის რაოდენობას საგრძნობლად აღემატებოდა. ამან კი, თავის მხრივ, შოსპო საგლეხო მეურნეობის არამც თუ რეპროდუქცია, მისი შენარჩუნების საშუალებაც კი; გლეხს ინტერესი დაეკარგა მეურნეობისა, გახშირდა აყრა-გაქცევა, ბოგანობა, ხიზნობა და ა. შ.; გაძნელდა მიწის მკვიდრად შენარჩუნება, მინიმუმამდე დავიდა გლეხის სოციალური უფლებები. აი ეს იყო ბატონყმობის გადაგვარება, რაც, როგორც ვთქვით, XIII—XV საუკუნეების ვითარებისათვის დამახასიათებელ ტენდენციად იქცა.

სოციალურ-ეკონომიკურად ამ ზომამდე მისული გლეხის მეურნეობა ვეღარ ქმნიდა ქალაქებისა და ხელოსნობის განვითარების ბაზას, ხოლო თუ იგი ვერ აპირობებდა ამ გამაერთიანებელი ძალების შემდგომ განვითარებას, ბუნებრივია, ბატონყმობა პოლიტიკური დაშლილობის მიზეზი (ერთ-ერთი მიზეზი) და მისი ხელშემწყობი ხდებოდა.

გადაგვარებულმა ბატონყმობამ თავისი ასეთი როლი იმ მხრივაც გამოამჟღავნა, რომ მან ვერ წარმოშვა თავისუფალი მწარმოებელი, აღარ მოხდა ბატონყმობისაგან გლეხთა განთავისუფლება (ვგულისხმობთ ამ მოვლენის სისტემად ქცევას). თუ გამარჯვებულმა ბატონყმობამ თავის დროზე ძველი მესაკუთრე მწარმოებელი (ცენტრალური ხელისუფლების ძირითადი საყრდენი ძალა) ასპარეზიდან თითქმის სულ გააქრო, „ნებიერი ყმა“ უკვე კარგა ხანია აღარ არსებობდა — ფეოდალებს დაუმორჩილა, მანვე უშუალომწარმოებელთა ახალ ჯგუფებს თავისუფლების გზა დაუხ-

შო, ხელი შეუშალა ცენტრალური ხელისუფლების ახალ საყრდენ ძალად წარმოქმნილიყვნენ. მაგალითად, „თავდაწერილი“ (მუხ. 72), „თავდაუწერელი“ (მუხ. 73), „მომართებული“ (მუხ. 75) ბექა-აღბუღას სამართალში რომ იხსენიებიან და ამათ მსგავსნი, თუ ადრე პერიოდში ბატონყმობისაგან განთავისუფლების დაწყების უეჭველ ფაქტად უნდა ჩავთვალოთ, ახლა რეალური მდგომარეობა მათთვის ასეთ პერსპექტივას თითქმის გამორიცხავდა. ისინი ძველი ბატონისაგან გამოქცეული თუ წამოსული „მკვიდრი ყმებია“, რომლებიც ახალ ბატონთან მისულან და ახლად აფორმებენ ყმობას, ზოგი წერილობით, ზოგი ამის გარეშე და ზოგიც დროებით. მთავარი ისაა, რომ სამივე შემთხვევაში მათზე მოხსნილი არაა ძველი თუ ახალი ბატონის უფლებები; კანონმდებლობა აწესრიგებს მხოლოდ მათ ნებით თუ ძალით უკან დაბრუნების ნორმებს. ცხადია, ეს თავდაწერილნი და სხვ. ამ შუალედ პერიოდებში (ვიდრე ახალ ბატონთან მივიდოდნენ) სრული თავისუფლები არიან, — ძველი და ახალი თავისუფალნი არასდროს ქრებიან, თავისუფლება შეიძლება წარმოიშვას არასოციალური მიზეზითაც და ა. შ. — მაგრამ მნიშვნელობა იმ ფაქტს აქვს, რომ არ არსებობს სათანადო პირობები, თავისუფლება შეინარჩუნონ. ნიშანდობლივია, რომ ბექა-აღბუღას კანონებში კერძო მესაკუთრენი, ფეოდალურ-ბატონყმურ დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებულნი ძალიან მკრთალად ჩანან. ასეთი შემთხვევებისათვის მიყენებული სამართლის ნორმები უმნიშვნელოა და სისტემად ჩამოყალიბებული არ არის.

§ 2. გლეხთა კლასობრივი ბრძოლა

გლეხთა კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა ამ საუკუნეებში გლეხის აყრა-გაქცევა იყო. ეს იყო თითქმის ერთადერთი გამოსავალი, რასაც ექსპლოატაციით განაწამები გლეხები მიმართავდნენ მდგომარეობის შემსუბუქებისათვის.

სავსებით ნიშანდობლივი მოვლენაა, რომ გლეხს გაქცევაში თავისი სოციალური თანამოძმეც შველის. მაგ., „წამავალ“ გლეხს გლეხი მატერიალურ დახმარებას უწევდა ან ასეთ გლეხს თავისთან შეიფარებდა. ეს შეფარება შეიძლებოდა „წამავალი“ გლეხის მებატონის ნებართვითაც მომხდარიყო (მუხ. 71), მაგრამ, როგორც ჩანს, ასეთ გლეხს ზოგჯერ კარგი დღე თვით ამ მფარველი გლეხისაგანაც არ ადგებოდა. შემფარებელს შეიძლებოდა მასთან მისული გლეხი, მასზე ხარჯის გაწევის საბაბით, თავის ნასყიდად ან მკვიდრად ექცია, ე. ი. უარეს სოციალურ კაბალაში ჩაეგდო. კანონმდებლობა იცავს რა გლეხს ასეთი ხვედრისაგან, კრძალავს გლეხის მიერ გლეხის მკვიდრად ყოლას: შეფარებულმა გლეხმა თავი უნდა

გამოისყიდოს, დანახარჯი ან თვითონ გადაიხადოს, ან მისმა ძველმა ბატონმა დაიხსნას იგი ამ ახალი გლეხ-„ბატონისაგან“ (მუხ. 71). გლეხისათვის „მკვიდრი“ გლეხის აკრძალვას აქ სხვა სოციალურ-ეკონომიკური საფუძველიც აქვს: გლეხის მიწა ბატონისაა, ამიტომ მას უფლება არ აქვს სხვა მოზიარე იყოლიოს.

გლეხთა კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთ გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს ის ფრიად გავრცელებული მოვლენა, რაც გულისხმობდა მემამულეებისათვის წერილობითი პირობის დადებინებას საზომ-საწყაოების ზომისა და გადასახადის რაოდენობის გაუდიდებლობის თაობაზე. ზემოთ ნაჩვენები გვქონდა, რომ მებატონეები პირობას იძლეოდნენ არ გაედიდებინათ საზომები, არ მოეთხოვათ დადებულზე მეტი, კარგი მოსავლის ან ცუდი მოსავლის მომიზეზებით.

საქართველოს მთის ზოლში კლასობრივი ბრძოლის უფრო აქტიურ და ორგანიზებულ გამოსვლებს ვხედავთ.

მთის თემებში შედარებით ნაკლებად იყო გავრცელებული ფეოდალურ-ბატონყმური ექსპლოატაცია. მოსახლეობა აქ უფრო ერთფეროვანია, უფროა შემორჩენილი თავისუფალ მწარმოებელთა ფენა („მსოფლიონი“), რომელიც კერძო ბატონყმურ ურთიერთობაში შესული არაა, მეფესთან უშუალო პატრონყმურ დამოკიდებულებაში იმყოფება (მეფის მოლაშქრე-მეხარკენი). ქვეყნის ეკონომიკურ დაცემულობას, გამწვავებულ სოციალურ ურთიერთობას თავისი სუსხი აქაც შეჰქონდა, ბატონყმურ ურთიერთობაში შეჰყავდა მთის ახალ-ახალი თემები. ფეოდალური ექსპლოატაციის ყველაზე აქტიური დამნერგავი მეფის მოხელეები და ეკლესია იყვნენ, რომლებიც შემოსავლის გაზრდის მიზნით თანდათან ხელს ადებდნენ მთის მოსახლეობას. ხელსაყრელ მომენტებში (მაგ., ცენტრალური ხელისუფლების შესუსტების ჟამს) მთა ცდილობს თავიდან მოიშოროს ბარის სოციალური და პოლიტიკური უღელი.

ამ ნიადაგზე XIII ს. დამლევს, მაგ., ქსნისა და არაგვის ხეობებში დიდი ბრძოლები გაჩაღდა. მთიელები მეფის მოხელეებს კლავდნენ. მოსახლეობა გამოდიოდა კოლექტიურად, მთელი სოფლებით, მთელი „ხევისა“ და „ქვეყნის“ ერთობლივი მონაწილეობით. საქართველოს მთავრობამ საგანგებო ღონისძიებას მიმართა მთის დასაწყნარებლად და იქ მეფის უფლებების აღსადგენად. გიორგი ბრწყინვალე დაახლოებით 1334 წელს სამოქალაქო მოხელეებითა და ჯარით შევიდა მთაში[1] და კანონები დაუდვა. ამ კანონებში საგანგებოდ არის შეტანილი მუხლი მეფის მოხელეების: ერისთავის, განმგებლის, ციხისთავის, ხევისბერის და ადგილობრივი თავკაცების — ჰეროვანების მკვლელობათა შესახებ. რაკი მკვლელობა აქ

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, ქ. ცხ., IV, გვ. 258.

უფრო ხშირად მთელი მოსახლეობის შეთანხმებით იყო განხორციელებული, სასჯელიც მთელ მოსახლეობას კოლექტიურად დაადვეს[1]. კოლექტიური გამოსვლა, როგორც ვთქვით, აშკარად მოწმობდა ბრძოლის მწვავე სოციალურ ხასიათს (ამის შესახებ საუბარი გვქონდა ზემოთ, ამიტომ აქ აღარ გავიმეორებთ).

კლასობრივ-სოციალური მომენტი მწვავედ იგრძნობოდა პოლიტიკურ-ეროვნულ ბრძოლებსა და აჯანყებებში, რომლებსაც საქართველო XIII—XV საუკუნეების მანძილზე უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ აწარმოებდა. დამპყრობთა წინააღმდეგ ყოველი ბრძოლა იმავე დროს სოციალურ-ეკონომიკური ბრძოლაცაა, რამდენადაც ის მიზნად ისახავს უცხოელის არა მარტო როგორც ეროვნული მჩაგვრელის, არამედ როგორც სოციალური ექსპლოატატორის მოშორებას. სწორედ ამ კლასობრივ-ეროვნული მიზეზით აიხსნება ის უკომპრომისო თავგანწირვა, რომელსაც დაბალი ფენები მტერთან ხანგრძლივ ბრძოლებში იჩენდნენ (მფლობელთა კლასი კი შედარებით ადვილად ეგუება და ეგუებოდა უცხოელ დამპყრობლებს მათთან კლასობრივ-ეკონომიკური ინტერესების ერთიანობის გამო).

§ 3. გარდამავალი საზოგადოებრივი ფენა—მსახური. ვაჭრები

სოციალური სიჭრელე ფეოდალური საზოგადოების საერთო დამახასიათებელია, მაგრამ ფეოდალიზმის შუა პერიოდის დასასრულისათვის სოციალური ნიველირების ფაქტი (შესაბამისი დონით) განვითარების ბუნებრივი შედეგია, გარდამავალი ფენებიც იშლებიან და ერწყმიან ძირითად წოდებებს. ახლო მომავალს ეკისრება გააქროს გადარჩენილი ჯგუფები. საქართველოში შექმნილმა ახალმა სოციალურ-პოლიტიკურმა ვითარებამ ვერ უზრუნველყო XIII—XV სს-ში მ ს ა ხ უ რ თ ა გარდამავალი ფენის საბოლოო გაქრობა.

XIII—XIV სს-ის წყაროებში „მსახური“ „დიდებულის“, „აზნაურის“ და „გლეხის“ გვერდით ცალკე სოციალური შინაარსის მატარებელი ზოგადი ცნებაა. ასეა ბექა-აღბუღას კანონმდებლობაში. მთის კანონმდებლობაში, რომელიც ოფიციალურია, წოდებრიობის აღმნიშვნელად გამოდის აზნაური, მსახური, გლეხი და მსოფლიონი[2]. სხვა წოდებებთან დაპირისპირებულობით „მსახური“ შესულია ამ პერიოდის პრაქტიკული ურთიერთობის ამსახველ დოკუმენტებშიც[3]. ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა მსა-

---

[1] ძეგლის დადება, მუხ. 2, 8 და სხვ.

[2] „მსოფლიონი“ მთის ძირითადი მოსახლეობის აღმნიშვნელია.

[3] მაგ., საქ. სიძველენი, II, 9; ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ვაჰანის ქვაბთა განგება, XIII ს., 1939, გვ. 85; 1263 წ. საეკლესიო კრების დადგენილება, იე. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი,

ზურის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა განსახილველ პერიოდში.

ფეოდალურმა მსახურმა წოდებრივ-უფლებრივად საზოგადოების ბუნებრივი განვითარების კვალდაკვალ გაიარა ცვლილებები. ნ. ბერძენიშვილის გამოკვლევით, მსახურნი „ფეოდალურ ურთიერთობათა ხანაში საერთოდ გარდამავალ საზოგადოებრივ ფენას შეადგენენ. ისინი მიწადმოქმედნი არიან და ამით გლეხებსა ჰგვანან, ხოლო მათი წოდებრივი ფუნქცია აზნაურულია (ე. ი. ყმურია—ბ. ლ.)—ლაშქრობა-სამსახური. ბატონყმობის წარმოქმნის ხანაში მსახურები ეკონომიკურ და სოციალურ დაქვეითებას განიცდიან. ხშირი ლაშქრობა და სამსახური, და საფიქრებელია, ამ დროისათვის პურის ჭამაც... მძიმე ტვირთად აწვა მწარმოებელთა ამ ფენას, რაც უწყალოდ ანადგურებდა მას და გლეხობისაკენ მიერეკებოდა (დაბეგრილი მსახური, „დაბალი მსახური“)“[1]. ნ. ბერძენიშვილის განმარტებითვე, XIII ს-ის დასაწყისისათვის დაბეგრილი მსახურები უკვე „გლეხებია“. ყმა-მსახურნი გლეხთა ფართო ფენაში ერთიანდებიან, ისე როგორც აქ ერთიანდება ყმა-მდაბიურთა (ასევე ლაშქრობის ვალდებული მიწის მუშა) დიდი უმრავლესობა. „გლეხი“ და „ყმა“ ზოგადი ცნებები გახდა და ერთმანეთს ენაცვლება ბატონყმურ დამოკიდებულებაში შესულ უშუალო მწარმოებელთა ყველანაირი წევრის აღსანიშნავად[2].

XIII—XIV სს. „მსახურს“, როგორც ცალკე პროფილის მქონე სოციალურ ერთეულს, მკვეთრად ეტყობა როგორც განვლილი ეპოქის, ისე ახალი დროის გავლენები. ის ბატონყმურ ინსტიტუტად არის გარდაქმნილი, მაგრამ არა დასრულებულად. მსახური ყმა-მწარმოებელია, იგი თავისი იურიდიულ-საზოგადოებრივი მდგომარეობით ნიშანდობლივად განსხვავებულია გლეხი-მწარმოებლისაგან.

კანონმდებლობა ასხვავებს მსახურთა შიგნით რამდენიმე კატეგორიას. შიდა დაჯგუფებას აქაც, ისე როგორც აზნაურისას, განსაზღვრავს პატრონის წინაშე მოვალეობა-სამსახურის მოცულობა, სხვანაირად რომ ვთქვათ, ეკონომიკური შესაძლებლობა. თუ მსახური პატრონთან აზნაურის მოვალეობას ასრულებს და ამასთან რაიმე თანამდებობაც უჭირავს („თუ აზნაურიშვილად მისა პატრონსა ჰყვეს“, „თუ აზნაურად მსახურებდეს“... მუხ. 7, 10)[3] — ასეთის სისხლი 12000 თეთრი ღირს (აზნაურის ერთ-ერთი კატე-

---

ლ ი, სოციალური ბრძოლის ისტორიიდან, 1934, გვ. 42—43 (ამ ძეგლში მსახურს ენაცვლება „დარბაზის ერი“ — მსახურთა ერთი სახეობა) და სხვ. „მსახური“ წყაროებში შეიძლება შეგვხვდეს არასოციალური მნიშვნელობითაც. ასეთი შეიძლება იყოს ყველა, ვინც ვინმეს ემსახურება შრომით, მატერიალურად, სულიერად და სხვ. ამგვარი მსახური ჩვენი განხილვის საგანი არაა.

[1] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 51.

[2] „გლეხმა“ და „ყმამ“ ამასთან თავიანთი ეიწრო მნიშვნელობაც შეინახეს.

[3] ბექა-აღბუღას კანონების მუხლები მითითებული გვაქვს ყველგან ი. დოლიძის გამოცემის მიხედვით: ძველი ქართული სამართალი, 1953.

გორიის სისხლის ტოლია). თუ „აზნაურად“ მსახურობს, მაგრამ თანამდებობა არ უჭირავს, ასეთის სისხლი 6000 თეთრი ღირს. პირველი და მეორე კატეგორიის მსახურთა მემკვიდრეები თუ შეძლებენ იგივე აზნაურული სამსახურის გაწევას პატრონის წინაშე, მაშინ ისინი ინარჩუნებენ იგივე სისხლის რაოდენობას. თუ ვერ შეძლებენ, მაშინ მეორე თაობიდან მათი სისხლი ფასდება ჩვეულებრივი მსახურის სისხლად, რაც 1000 თეთრი ღირს[1].

კარგად ჩანს, რომ ეს ათასი თეთრი იმავე დროს ეკონომიკურად დამცრობილი „აზნაურად მსახურის“ სისხლის ფასია. ხოლო აზნაურული სამსახური კი ყველა მსახურს არ ადევს. მსახურის ჩვეულებრივი მოვალეობა არ გულისხმობს არც თანამდებობას და არც აზნაურული საქმით სამსახურს. ყველა ეს თვისება მსახურს შეუძლია შეიძინოს, რომელიც მის სისხლს მხოლოდ გაადიდებს. სხვანაირად რომ ვთქვათ, მსახურის ქონების ჩვეულებრივი ნორმა არ უზრუნველყოფს აზნაურული სამსახურის ხარჯებს[2].

„მსახურს“ შენარჩუნებული აქვს კუთვნილი სოციალური ფუნქცია. ბექა-აღბუღას სამართლიდანაც კარგად ჩანს, რომ მსახურის მოვალეობა საერთოდ ყმის (ვასალის) მოვალეობას ეფარდება: აქ მსახურის ორ მაღალ ჯგუფს აზნაურული მსახურება ევალება. მოვალეობის ეს გადიდება რაკი მხოლოდ ეკონომიკური შეძლებულობით არის გამოწვეული, ცხადია, ჩვეულებრივი მსახურებაც თავისი ხასიათით ასეთსავე მოვალეობას (ხლება-თანამოლაშქრეობა) გულისხმობს, ოღონდ შედარებით შემცირებულს.

ხლება-თანამოლაშქრეობის, როგორც მსახურისათვის ერთადერთი აუცილებელი მოვალეობის შესახებ, მითითება გვაქვს „ძეგლის დადებაში“: აქ ხევისბერის და მისი გაუყოფარი სახლის წევრის (ე. ი. მთელი გვარის) სისხლი შეფასებულია მსახურის სისხლად — 6000 თეთრად (მუხ. 7), ხევისბერის განაყოფი სახლისა კი — 3000 თეთრად. ეს უკანასკნელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განაყოფი სახლის წევრები ხევისბერის მხლებელ-მოლაშქრეებად გამოვლენ: „თუ მოახლე იყოს“ (მუხ. 9). ხევისბერი ამ კანონმდებლობაში განხილულია როგორც სახელმწიფოს ადგილობრივი წარმომადგენელი და ამასთან დაკავშირებით განმარტებულია სისხლის ამგვარი განწესების მიზეზი: ხევისბერი თვით არის „დარბაზით დადგენი-

---

[1] „თუ... მას უკანით მისი ნათესავი ვერღარა ისრე მსახურებდეს ბატონთა, მისი სისხლი ათასი თეთრი იყოს“ (მუხ. 10) ან „თუ მსახური მსახურად ჰყვეს ათასი დაუურვოს“ (მუხ. 7).

[2] აზნაურის („აზნაურული“) სამსახურის შინაარსი განმარტებულია ბექა-აღბუღას სამართალში: აზნაური პატრონს ახლავს აბჯრით, კარვით და აქვს კოშკიც, მუხ. 9, 10, იხ. აზნაურთან.

ლი ლაშქრის თავადი“, ხოლო გაუყოფარი სახლი, როგორც წესი, მას ახლავს მოლაშქრეებად, „მისი მოახლენი იქმნებიან“. გაყოფილი სახლის წევრებს კი ხევისბერის ხლება არ ევალებათ, მაგრამ „თუ მოახლე იყონო“, მაშინ მათ განეკუთვნებათ 3000 თეთრი (მუხ. 9). ამგვარად, ხლება-მოლაშქრეობის მოვალეობა განმსაზღვრელია მსახურის სისხლის მოპოვებისათვის[1]. „ხლების“ მოვალეობასთან დაკავშირებით საინტერესო ფაქტია, რომ ყმამსახურის ოჯახის მდედრობითი სქესის წარმომადგენელს, თუ ის სასახლეში პატრონის დედაწულს ახლავს, „მოახლე“ ეწოდება, მსგავსად მამრობითი სქესის მსახურისა, რომელიც პატრონს ახლავს („ძეგლის დადება“ და სხვ.), ამიტომაცაა, რომ ბექას 24-ე მუხლის თანახმად, „მოახლის“ სისხლი მსახურის სისხლად არის შეფასებული, მაგრამ გაორმაგებულია იმიტომ, რომ მის წოდებრივ ღირსებას სამსახურებრივი ღირსებაც (მოახლე ქალი სასახლეში) ემატება[2].

მსახურის მოვალეობის განსაზღვრისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა XV და XVIII სს-თა საეკლესიო-საკულტო გადასახადების სისტემა, სადაც ძველი ვითარება ხელუხლებლად არის დაცული. ამ სისტემაში მიცვალებულზე „საწირავის“ გადასახდელის (მიდის ეპისკოპოსის სასარგებლოდ) მატერიალური შედგენილობა ერთი და იგივეა „მსახურისა“ და „აზნაურისათვის“. ეს არის „შეკაზმული ცხენი“, ანუ „ცხენი და იარაღი“[3]. ამრიგად, აქ პირდაპირი ჩვენება გვაქვს იმისა, რომ მსახურის ყმური მოვალეობა, მსგავსად აზნაურისა (შემდეგში „თავადისაც“) ხლება-მოლაშქრეობას გულისხმობდა (გადასახდელის ერთნაირობა მოვალეობის ერთნაირობას მოწმობს). რასაკვირველია, ეს სამსახური მასშტაბით განსხვავებული იყო წოდებათა მიხედვით, ანუ მამულის კუთვნილი ნორმის კვალობაზე[4].

გასათვალისწინებელია, რომ როცა ქართული ცენტრალური ხელისუფლება XVIII ს. (მაგ., მეფე ერეკლეს დროს) სამეფო „მოლაშქრეებს“

---

[1] მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ მთაში სახელმწიფოს მეშვეობით გარედან ინერგება ადმინისტრაციულ-სოციალური ინსტიტუტები.

[2] კანონმდებლობა იმასაც ითვალისწინებს, რომ ამ მოახლე ქალის სისხლი იმის მიხედვით უნდა დაეურვოს პატრონს, თუ მსახურთა რომელ კატეგორიას ეკუთვნის მოახლე („რომლისა გუარისა იყოს“).

[3] სამთავისის საეპისკოპოსოს სამწყსო-საეკლესიო გადასახადების დავთარი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Ad, 559, 604; საბუთი განახლებულია 1673 წელს, შეიცავს 1459 წ. და ამაზე ადრე შედგენილი საბუთების ნაწილებს. ეხება ქსნის ხეობის მოსახლეობას. წილკნის სარგოს წიგნი 1669 წ. გამოც. შ. ჩ ხ ე ტ ი ა ს ი, საისტორიო მოამბე, II, 1925, გვ. 9 — 26.

[4] მსახურის მოვალეობას ქრისტიანული რელიგიის დოგმატიც ანალოგიურად განმარტავს: ზეცის იერარქიაში ანგელოზები ითელებიან „მსახურებად“, რომლებიც ღმერთის (პატრონის) „წინაშემდგომელნი“ და მოლაშქრე — „მხედრები“ არიან.

ქმნიდა, ამ მოლაშქრეებს ის „მსახურებად“ განიხილავდა[1]. ეს იყო ერთგვარი ცდა მაშინ ამ ძველი ფენის აღდგენა-განახლებისა.

როგორც დას. საქართველოს ნაგვიანევი ხანის მასალებიდანაც ირკვევა (XVI—XVIII სს.) „მსახური“ მაინცდამაინც ისეთი გლეხია, რომელსაც საბატონო ვალდებულებათა შორის ლაშქრობა აუცილებლად ადევს (ასეთ გლეხს ნატურალური გამოსაღები შეიძლება მსუბუქად ჰქონდეს, ან სულაც არა). უფრო მეტიც, „მოლაშქრე კაცის“ წოდებულობა მსხვილი ფეოდალის ყმებს შორის მხოლოდ „აზნაურს“ და „მსახურს“ შეესაბამება და მათ სინონიმადაც იხმარება[2].

„მსახურს“, ამ თავისი წოდებრივ-სოციალური ფუნქციის ნიადაგზე, პრივილეგირებული მდგომარეობა უჭირავს მწარმოებელ საზოგადოებაში. მას აქვს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება; შეუძლია გამოვიდეს ამ როლში აზნაურის გვერდით ან დაიკავოს აზნაურის ადგილიც. ამასთან დაკავშირებით საყურადღებო გარემოებაა ისიც, რომ ყმა-მსახურთა ფენა გახდა ერთ-ერთი სარეზერვო ფონდი „მცხეთისშვილთა“[3] შეთხელებული რიგების შესავსებად XV ს. შუა და ბოლო წლებში, როცა ცენტრალური ხელისუფლება ამ მხრივ საგანგებო ღონისძიებებს მიმართავდა.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ მსახურის პრივილეგიები იურიდიულად დადგენილი და ნორმირებულია. ეს არის სწორედ ამ პერიოდის მსახურისათვის განსაკუთრებული ნიშანი, რითაც ის მკვეთრად ემიჯნება მწარმოებელ ყმაგლეხს. ამ უკანასკნელისათვის ამგვარი ადგილი საზოგადოებაში მთელი კატეგორიულობით გამორიცხულია. მოვიყვანოთ მაგალითები. როგორც უკვე ითქვა, კანონმდებლობა ცნობს „რომელიმე“ მსახურის „აზნაურად“ — აზნაურულად მსახურებას (ბექა-აღბუღა); კანონმდებლობითვე მოხელე-ადმინისტრატორად („გამგებლად“) შეიძლება დადგენილ იქნეს როგორც აზნაური, ისევე „მსახურიც“ („თუ მსახური იყოს გამგებლად მისი სისხლი 6000 თეთრი ღირს“ და „თუ აზნაური იყოს გამგებლად და მოკლან მის გუარსაზედა დაიურვონ სისხლი“. ძეგლის დადება, მუხ. 2, 4). მსახურად განიხილება მთაში ხევისბერი, როგორც

---

[1] საქართველოს სიძველენი, I, გვ. 219—220.

[2] ადრეფეოდალური ხანის მასალებში, მართალია, ჩვენ არაერთხელ გვაქვს „მსახურთა“ დასახელება, რომელნიც რაიმე სამსახურს (სამხედრო ან სამოხელეოს) ეწევიან თავიანთ უფალ-პატრონების მიმართ, მაგრამ ყოველთვის არ ჩანს, წყაროთა უკმარისობის გამო, დამოკიდებულების სოციალური შინაარსი. სამოხელეო თანამდებობა, რომელიც ზოგჯერ მსახურს უჭირავს, არ არის „მსახურის“ სოციალური ბუნების განმსაზღვრელი და არც „მსახური“ არ გულისხმობს ყოველთვის სოციალურ შინაარსს. ფეოდალურ ურთიერთობაში მსახური წინარე საზოგადოებიდან შემოვიდა. იგი ძველია აზნაურზეც და დიდებულზეც (ნ. ბერძენიშვილი). ამ ადრინდელი მსახურის სოციალური ნიადაგი სულ სხვაა, ვიდრე ფეოდალური მსახურისა.

[3] აზნაურთა ერთი სახეობა — საეკლესიო აზნაური.

სახელმწიფოს წარმომადგენელი. მისი სისხლი 6000 თეთრი ღირს და სხვ.; სამონასტრო კორპორაციაში წევრად შესვლის უფლება ისევე აქვს „მსახურს", როგორც აზნაურს. ოღონდ მსახური და ჩვეულებრივი აზნაური ბერ-მონაზონთა მესამე დასში ჩაირიცხება, საპატიო აზნაური ბერ-მონაზონთა მეორე დასში: „თუ აზნაური თუნდა მსახური შემოლაზუნდებოდეს" ან „აზნაური ვინც დიდად საპატიო და ნამსახური იყოს მწირველთათანა დაეწესებოდეს" (მეორე დასში), „მსახურნი მწირთა თანა დაეწესებოდეს" (აქვე ჩვეულებრივი აზნაურებიც ჩაირიცხებიან)[1] და სხვ. სწორედ მსახურის სოციალური ფუნქცია და არა სხვა რამ უადვილებს ცენტრალურ ხელისუფლებას სოციალური აღდგენების პერიოდში, საჭიროების დროს, ყმა-მსახური აზნაურულ წოდებაში ოფიციალურად გადაიყვანოს. მაგ., „მცხეთისშვილად" (აზნაურად) შეყვანილი მაკუჰასძე ან მაღალაძე და მათი მსგავსნი ყოფილი ყმა-მწარმოებლები არიან. მათ პატრონის კარზე მემკვიდრეობით ებოძათ სათანადო თანამდებობა—ხელი და სახელო—ადგილ-მამული გლეხებითურთ. ამგვარად, გახდნენ რა ფეოდალური მფლობელები, მიიღეს კიდეც თავიანთი ახალი წოდებრივი კუთვნილების დოკუმენტი — მცხეთისშვილობის (მცხეთის აზნაურობის) სიგელები[2].

მსახურს არ ახასიათებს ფეოდალური მფლობელობა, ისე როგორც გლეხსაც, მაგრამ მსახურის სტატუსი ამ მხრივ რადიკალურად განსხვავდება გლეხისაგან, რაშიაც გარკვეულად მჟღავნდება მსახურის დამახასიათებელი გარდამავლობითი ბუნება.

მსახურს შესაძლებელია ჰყოლოდა როგორც დროებითი („მომართებული"), ისე „მკვიდრი" ყმაგლეხები. ასეთივე ყმები შეიძლება ჰყოლოდა გლეხსაც (მუხ. 71). მაგრამ განსხვავება ისაა, რომ მკვიდრი ყმაგლეხის ყოლა მსახურისათვის კანონიერ იურიდიულ ნორმად არის მიღებული, გლეხისათვის კი იგი აკრძალულია[3]. მსახურისათვის და გლეხისათვის მკვიდრი გლეხის ყოლის იურიდიულ გამართლებას თუ აკრძალვას ერთი და იგივე საფუძველი, მათი უფლებრივ-ეკონომიკური მდგომარეობა განსაზღვრავდა.

---

[1] ვაჰანის ქვაბთა განგება, გამოც. ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ს, 1939, გვ. 85. ვაჰანის ტიპიკონში იხსენიებიან „მსახურნი" არასოციალური შინაარსით, აღნიშნავენ მონასტრის მომსახურე პერსონალს, არის სულ 10: მეხაბაზე, მეპურე... (გვ. 64, 71). ისინი ძმობაში არ შედიან, კორპორაციის წევრები არ არიან, სოციალურად გლეხობას ეკუთვნიან.

[2] ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, სენიორიები, II (ხელნაწერი).

[3] აქ საყურადღებო ისიცაა, რომ კანონმდებლობა არ ასახავს და, ცხადია, არ ცნობს პირიქით მოვლენას: „გლეხს" ჰყავდეს ყმად „მსახური". იურიდიულ დოკუმენტებში ჩვეულებრივ ასახულია სოციალურ-საზოგადოებრივად უმცროსის უფროსისადმი დაქვემდებარება ან შემთხვევები სწორის სწორისადმი, რადგან ასეთები, როგორც ცხოვრების ბუნებრივი მოვლენები, საჭიროებდნენ ნორმირებას. უმცროსის მიერ უფროსის დაქვემდებარება ასახული არ არის, რადგან ეს, როგორც არაბუნებრივი მოვლენა, არც ნორმირებას საჭიროებდა.

კანონმდებლობაში გლეხის მიმართ გარკვევით არის ჩაწერილი აკრძალვის მიზეზი — გლეხის მიწა ბატონის საკუთრებაა (მუხ. 71), ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, გლეხს არ ჰქონდა თავისუფალი მოქმედების უფლება თავის მიწა-წყალზე. ამავე კანონმდებლობიდან ისიც ვიცით, რომ მისი აბსოლუტური უფლება ერთი ხარის ღირებულებამდე იყო დაყვანილი (მუხ. 76). ცხადია, ასეთ მიწაზე, თუნდაც გლეხი ეკონომიკურად შეძლებული ყოფილიყო და მას გლეხის მიწაზე მკვიდრად დასმა შეძლებოდა, უფლებრივად (სოციალურად) მაინც მოკლებული იყო ამას. გლეხის მიწა უშუალო ეკონომიკურ კავშირში იმყოფებოდა ბატონთან (მიწიდან უხდიდა ბეგარა-გადასახადებს), ამიტომ სხვა მოზიარე გლეხის დასმა შეაფერხებდა მის სოციალურ-წოდებრივ ფუნქციას და სხვ.

სხვა ვითარება გვაქვს მსახურთან. რამდენადაც მსახურს ხლებალაშქრობა ევალება, ბატონისაგან ნაბოძები მისი მიწა-წყალი ბატონთან უშუალო ეკონომიკურ დამოკიდებულებაში არ არის (ბეგარა-გადასახადები არ ადევს). ეს გარემოება მსახურის მოქმედებას ბატონისაგან ნაბოძებ სარჩო-მიწაზე გლეხივით არ ზღუდავს. ამის გამოც, ცხადია, ბატონყმობის რიგის შეულახავად იგი მიწაზე უფრო მეტ უფლებებს ავლენს. ამასთან, გამორიცხული არაა, რომ თავისი წოდებრივი მოვალეობის გამო და მით უფრო, თუ ის „აზნაურად მსახურობდა" (მუხ. 9), ზოგიერთ შემთხვევაში აუცილებელი გახდებოდა მიწის მუშაობისაგან მისი განთავისუფლება. ამასთან, აზნაურობისაკენ აღზევების გზა მსახურისათვის, გარკვეული მიზეზების გამო, კანონით უფრო გაადვილებული იყო, ვიდრე გლეხისათვის (თითქმის გამორიცხული). ყველა ასეთ გარდამავლობით მომენტში, ბუნებრივია, მსახურს ეყოლებოდა მკვიდრი ყმა. მსახური იძენდა აზნაურულ თვისებას: აზნაურული სამსახური, აზნაურის სისხლი, ყმა-მამული... ამგვარად, მსახურს თავისი სოციალურ-უფლებრივი მდგომარეობა არ აბრკოლებდა ჰყოლოდა მკვიდრი ყმა, ამიტომაც კანონმდებლობა ამას უშვებდა კიდეც იურიდიულ ნორმად. თავისთავად გლეხთა მკვიდრად მფლობელობა მსახურისათვის დამახასიათებელი არაა, იგი აზნაურული თვისებაა, მაგრამ კანონით ამ უფლებას ის მოკლებული არაა.

მოგვიანო ხანის სინამდვილე იცნობს გლეხისა და მსახურის მფლობელობას გლეხებზე. არსებობდნენ ე. წ. „ბატონი" გლეხები და ბატონი მსახურები. სახელმწიფო ითვალისწინებს მათ არსებობას, მაგრამ არა როგორც სისტემას, არამედ როგორც შესაძლებელ შემთხვევას. ყმა გლეხზე მფლობელობა ასეთ გლეხებს და მსახურებს წოდებრივ კუთვნილებას არ უცვლის. ასეთი ფაქტები მეტყველებენ მხოლოდ მათ ეკონომიკურ შესაძლებლობაზე და სხვ.

საერთოდ, მსახურის ესოდენ საპატიო საზოგადოებრივი მდგომარეობა არ შეიძლება არ ასახულიყო მათ ფსიქოლოგიაში, და მართლაც, როგორც

ერთი ნაგვიანევი ხანის ცნობა გვიდასტურებს, წოდებრივი ამპარტავნობა მათ თავის დროზე საკმარისადაც უნდა ჰქონოდათ. ცნობა ეხება ერეკლე II-ის დროს თბილისის ვაჭარ-ხელოსნებიდან „მხლებელი მსახურების“ გამოყვანის განწესებას. ხელისუფლება გარკვეულად ზღუდავს ასეთის რიცხვს 10—15-ით, ხოლო მიზეზს განმარტავს: „მეტს ნუ შემოიყვანებენ, ამიტომ ხარჯისაც დასაკლისია და თვითონ მისი ოჯახი ავ ჩვეულებასა და დიდგულობასა დაეჩვევა და თავის აღებ-მიცემაზე აღარ იქნება და წახდება, არ უჯობს იმ საბრალოსო“[1]. ამრიგად, მხლებელ-მსახურებს თავიანთი მოვალეობა საამაყოდ მიაჩნდათ და მას ესწრაფოდნენ, „დიდგულობასა დაეჩვევაო“... თუ ეს ასე იყო XVIII ს-ში, ადვილი წარმოსადგენია როგორი ძლიერი იქნებოდა ეს „დიდგულობა“ XIII—XV სს-ში.

მსახურის ეკონომიკური მდგომარეობა — სოციალურ უფლებათა საფუძველი — იმდენად შერყეულად გამოიყურება, რომ შეიძლება მან იურიდიული პრივილეგიები სულ ადვილად ფიქციად აქციოს. სერთოდ, მიწის ჭერის გაძნელება წვრილი და საშუალო ფენის მფლობელებისათვის, როგორც განვიხილეთ, ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო. ნიშანდობლივი ისაა, რომ კანონმდებლობას არ ახასიათებს ზრუნვა მსახურთა ფენის ეკონომიკური მდგომარეობის დასაცავად, მაშინ როცა წვრილ და საშუალო აზნაურთა და გლეხთა მიმართ ეს აშკარად ჩანს. საკმარისია ეკონომიკურად დაიმცროს აზნაურულად მსახური მეორე თაობაში, რომ მეორე თაობიდანვე დაკარგოს მაღალი (აზნაურული) სისხლი (მუხ. 10). ასეთ შემთხვევაში საპატიო აზნაური არ კარგავს მაღალ სისხლს მესამე თაობამდე (წოდებას არ კარგავს არცერთი). ბექა-აღბუღას სამართალში შეტანილი ეს სანქცია დროის კარნახით არის გამოწვეული. მსახურის მიმართ განსაკუთრებული სიტუაცია შეიქმნა: მისი უკუსვლითი განვითარების ბუნებრივი პროცესი კიდევ უფრო გააღრმავა ეპოქის სიძნელეებმა და, ამრიგად, მის დაცვას ხელისუფლების მხრიდან აზრი დაეკარგა. ეკონომიკური შეღავათის დაწესება თუ უარყოფა, უეჭველია, არ არის ბატონყმობის იმ პერიოდის ამსახველი, როცა მფლობელი კლასის მატერიალური და რიცხობრივი გაზრდის საშუალებას აღმავალი ეკონომიკა დაუბრკოლებლად იძლევა. თამარის ისტორიკოსმა კი ეს ტენდენცია ასე გამოხატა: „გააზნაურდეს ქვეყანისა მოქმედნი (მდაბიურ-მოლაშქრენი (ყმები), ყმა-მსახურნი — **ბ. ლ.**) და გადიდებულდეს აზნაურნი და გახელმწიფდეს დიდებულნი“[2].

[1] საქართველოს სიძველენი, I, 219. ასეთი მსახურები ამორიცხული იყვნენ სახელმწიფო „ხარჯის“ სიებიდან. მსახურის ხლება გარკვეულ მატერიალურ სახსარს გულისხმობდა, ის კი თავის ვაჭარ-ხელოსნობის საქმეს ხლების გამო მოწყვეტილი იყო. ამით ზარალი რომ არ მოსვლოდა სახელმწიფოს და თვით მსახურთა ოჯახებს, ხელისუფლებამ მსახურთა მხოლოდ გარკვეული მცირე კონტინგენტი დაწესა თბილისიდან.

[2] ქ. ცხ., II, გვ. 34.

მსახურის აქტიური გარდამავლობითი ბუნება ამ პერიოდში შენარჩუნებულია. ეს თვისება არ ახასიათებს არცერთ სხვა წოდებას. მაგრამ ეს გარდამავლობა ეკონომიკურ ნიადაგზე თანდათან და საბოლოოდ ერთ მიმართულებას იღებს — გლეხობისაკენ. ეს გარკვეულად ასახულია კანონმდებლობაშიც: თუ აზნაურთა წოდებაში გადასვლის გზა შედარებით გაძნელებულია (მუხ. 10), გლეხად ქცევა უფრო გაადვილებულია, ჩვეულებრივი მსახური რომ სოციალურად გლეხი გახდეს, საჭირო არ არის რაიმე ქვესაფეხურის გავლა (ზოგი გლეხის სისხლი ჩვეულებრივი მსახურის სისხლს უდრის — ათასი თეთრი). ჩვეულებრივი მსახურის მოვალეობა (ლაშქრობა-სამსახური) ზოგჯერ ყმაგლეხთა გარკვეულ კატეგორიასაც შეუძლია შეასრულოს (ცხადია, ასეთი გლეხი დაბეგრილიცაა ჩვეულებრივ).

მსახურთა სოციალურ-ეკონომიკური მდგრადობის შერყევა უფრო მკაფიოდ XV ს-ის შუა წლების საბუთში არის ასახული. 1459 წლის სამთავისის საეპისკოპოსოს სამწყსო-საეკლესიო გადასახადების წიგნში „აზნაურის“ გვერდით დასახელებულია მსახურის ორი ეკონომიკური კატეგორია: „მართებული მსახური“ და „დაბალი მსახური“; დართული ეპითეტები მიუთითებს, რომ პირველი ჩვეულებრივ ნამდვილ მსახურს გულისხმობს, მეორე კი დამცრობილს, მაგრამ დოკუმენტში ეს ფაქტი (რომელიც, უეჭველია, ახალი მოვლენაა) უფრო პირდაპირ იმითაა დადასტურებული, რომ მართებულ მსახურს ეპისკოპოსის სასარგებლოდ ადევს „მსახურის საწირავი“, რომელიც შედგება „ცხენისა და იარაღისაგან“, დაბალ მსახურს ეპისკოპოსის სასარგებლოდ მსახურის საწირავი კი არ ადევს, არამედ ისეთი, როგორიც მღვდელს — ერთი ხარი (უფრო გვიან გლეხსაც). ცხადია, მომხდარა მსახურთა ერთი ჯგუფის დაკნინება: დაბალი მსახური ვეღარ იხდის თავის წოდების მიხედვით, მაშასადამე, მას აღარ აქვს მიწის ისეთი ნორმა, რაც ნამდვილ მსახურს შეეფერება. სხვანაირად რომ ვთქვათ, დაბალი მსახური თავისი ხელმოკლეობის გამო ვეღარ ასრულებს თავის წოდებრივ ფუნქციას. თუმცა წოდებრივად შეიძლება ჯერ კიდევ გლეხი არ იყოს, მაგრამ აქამდე უკვე ერთი ნაბიჯია.

ამგვარად, მსახურის დამცრობის პროცესმა დაახლ. XV ს. მეორე ნახევარში ზღვარს მიაღწია, ხდება მისი წოდებიდან სრულად გამოსვლა. სწორედ პროცესიც აქ დასრულდა, როცა მსახურმა საყოველთაოდ დაკარგა ყველა ის სოციალურ-იურიდიული უპირატესობანი, რაც მას ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდა და გლეხისაგან განასხვავებდა.

მსახურთა სოციალური რეგრესი ქვეყნის ფეოდალური განვითარების საერთო პროცესის ფონზე სრულიად კანონზომიერი მოვლენა იყო. „მსახური“ როგორც პატრონყმური ინსტიტუტი (მოლაშქრე მიწისმოქმედი), თავის დასასრულს მასთანვე პოვებს. ბატონყმურ ურთიერთობაში მსხვი-

ლი ფეოდალური რენტაბელური მეურნეობა მოითხოვს რაც შეიძლება უშუალო მწარმოებელთა მეტი ნაწილი იყოს მასში ჩაბმული და ისიც მუდმივად. ეს კი მხოლოდ ბატონყმობის მეშვეობით შეიძლება, რომელიც ფეოდალური განვითარების შედეგი და მისი წინსვლის პირობაცაა.

ქვეყანა აღარც სამხედრო თვალსაზრისით საჭიროებს ყმა-მოლაშქრეთა (მწარმოებელთა) ესოდენ მასობრივ სამხედრო ძალას (ომი აღარ არის ეკონომიკური წყარო და ა. შ.). ამრიგად, პატრონყმობაში შესული ყმა-მოლაშქრეთა უზარმაზარი არმია ყოველმხრივ ზედმეტი და შემაფერხებელი ხდება საზოგადოების წინსვლისათვის, მას თანდათან ბოლო ეღება და ის XII ს. დასასრულისათვის, ბატონყმობის საყოველთაო გამარჯვების პირობებში, როგორც კლასი, აღარც არსებობს. უმრავლესობა გლეხთა ბანაკში ექცევა („გლეხი გინა ყმა"). გადარჩენილი ნაწილების გაქრობაც დღის წესრიგში დგას, რაც ფეოდალური განვითარების შემდგომი გაღრმავების შედეგი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ცალკე სოციალური წოდების სახით უშუალო მწარმოებელთა ნაწილი, მსახური, როგორც ვთქვით, XIII—XV სს. ჯერ კიდევ არსებობს. ეს იყო პროცესის დაუსრულებლობა.

შექმნილმა ისტორიულმა სიტუაციამ (თათარ-მონღოლთა ბატონობა და მისი შედეგები...) შეაფერხა მსახურთა წოდების შემდგომი დაშლის ბუნებრივი პროცესი. მსახურთა „გაქრობა" მოხდა არა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობის პირობებში, არამედ რეგრესის, ეკონომიკური დაცემის, სათავადოების გამარჯვების პირობებში. ამიტომაცაა, რომ მივიღეთ მსახურის თავისებურად შენარჩუნებული, ფაქტიურად მისი დაკონსერვებული სახე[1].

* * *

ვ ა ჭ რ ე ბ ი ძირითადად ქალაქის მოსახლეობის დამახასიათებელ საზოგადოებრივ ერთეულს წარმოადგენდა.

ბექა-აღბუღას სამართალში სპეციალური მუხლია შეტანილი ვაჭართა შესახებ: „თუ ვაჭარმან ვაჭარი მოკლას, საპატიოს კაცისა თორმეტი

[1] ამასთან ერთად მთიანეთში ან იქ, სადაც ბატონყმობა შედარებით სუსტად იყო განვითარებული (და, ცხადია, აზნაურებიც მცირერიცხოვანი იქნებოდნენ) სათავადოების გამარჯვების შემდეგ მსახური-ყმა ყველაზე დიდი რაოდენობით დარჩა. XVI—XVIII სს. „მსახური" წოდებრივ-იურიდიული ცნება აღარ არის (საქართველოს ბარში), მაგრამ ამ მოვალეობის საჭიროება ფეოდალურ საზოგადოებაში არასდროს არ მოსპობილა. ხლებათანამოლაშქრეობის ვალდებულების მქონენი მებატონის მოთხოვნილების მიხედვით შექმნილი გლეხთა ჯგუფებია, რომელთა პროფესიულ-ეკონომიკურ განსხვავებულობას სხვა გლეხებთან არ ასაფუძვლებს, როგორც წესი, წინასწარი იურიდიული პრივილეგიები, მემკვიდრეობითობა და ა. შ.

ათასი თეთრი არს, ასე რომე პატრონთა კარგად ჰყვეს პატივით. და მას ქვეშეთსა, რომე გზით მოვიდეს, ბატონთა ნახვა და ძღვენის მიღება შეეძლოს და ღირს იყოს, მისი ექვსი ათასი თეთრი იყოს“ (მუხ. 96). როგორც ჩანს, კანონმდებლობა ორი კატეგორიის ვაჭარს გამოჰყოფს: „საპატიო“ ვაჭარს და მასზე დაბლა მდგომს („მის ქვეშეთს“), რომელიც საგარეო-სატრანზიტო ვაჭრობაში უნდა იყოს ჩაბმული („რომე გზით მოვიდეს“).

საპატიო ვაჭრის სისხლი რაოდენობრივად ტოლია დამცრობილი, მესამე თაობის აზნაურის სისხლისა (12000 თეთრი), ქვემო ვაჭრისა — „აზნაურად მსახურის“ უხელისუფლო მსახურისა (6000 თეთრი). მოტანილი მუხლები იმასაც გვირკვევს, რომ ვაჭარი შესულია ფეოდალურ იერარქიაში, ის „ყმაა“; ეს ფაქტები იმაზე მიუთითებენ, რომ უფლებრივ-პოლიტიკურად ვაჭართა მდგომარეობა შესაბამის წოდებათა (აზნაურის, მსახურის) იდენტურია. მაგრამ რადგან ვაჭრები სოციალურ-პროფესიული ფუნქციით მკვეთრად განსხვავდებიან მათგან (ვაჭრობენ და არ ლაშქრობენ...), ამავე დროს კი ეს საქმიანობა მემკვიდრეობითია, ამიტომ ისინი ცალკე საზოგადოებრივ ერთეულს — წოდებულობას ქმნიან.

ვაჭრის „სისხლი“ იმდენად დიდია, რამდენადაც ის ქონებრივად შეძლებულია და „პატრონის“ წინაშე დამსახურებულია: „საპატიო კაცია“, „საქმის ქმნელია“ ან პატრონისათვის ძღვენის მირთმევა შეუძლია.

რამდენადაც ამ დროის საქართველოს ქალაქებში დადასტურებულია ვაჭართა სააღებმიცემო ორგანიზაციების არსებობა, უეჭველია, დამოკიდებულება ეკონომიკურ ნიადაგზე თვით ვაჭრებს შორისაც არსებობდა. „დიდვაჭრებს“ (უმთავრესად საგარეო ვაჭრობის მეთაურებს) უთუოდ ადგილობრივ ჰყავდათ ხელქვეითი ვაჭრები.

ბექა-აღბუღას კანონმდებლობაში იგრძნობა ვაჭრობის დაცემული მდგომარეობა: ქვეყნის მესვეურნი ცდილობენ დაიცვან ვაჭრები და ხელი შეუწყონ ვაჭრობისათვის ნორმალური პირობების შექმნას. სპეციალური მუხლით გათვალისწინებულია ვაჭართა უშიშარი მიმოსვლის პირობები. გზაზე მიმავალი ვაჭრის გამძარცველი ვალდებულია ნაძარცვი ვაჭარს ორმაგად აუნაზღაუროს, ასევე, ვაჭრის მოკვლის შემთხვევაში, ვაჭრის სისხლიც (მუხ. 97). ორმაგი ანაზღაურება სისხლისა, როგორც ვიცით, სხვა საზოგადოებრივი ჯგუფების მიმართ, გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა, კანონმდებლობაში შეტანილი არ არის.

საყურადღებო ფაქტია, რომ ბექა-აღბუღას კანონებში დაბალი ვაჭარი, რომელიც გლეხის უფლებრივ დონეზე დგას, მოხსენებული არ არის; რასაკვირველია, მოუხსენებლობა არ გამორიცხავს მათ არსებობას. ასეთი ვაჭრები ჰყავდათ როგორც ფეოდალებს, ისე შეძლებულ ვაჭრებს სავაჭრო საქმეებში მომხმარედ, მაგრამ ისინი რამდენადაც ქვეყნის სააღებმიცემო

განვითარებაში მნიშვნელოვან და დამოუკიდებელ როლს არ ასრულებდნენ, ამიტომ კანონმდებლობა ვაჭართა შორის მათ მდგომარეობას არ განიხილავს.

§ 4. მფლობელთა საზოგადოება — ფეოდალები

მფლობელთა კლასის ისტორია XIII—XV სს. მრავალი ახალი თავისებურებებით ხასიათდება. ცვლილებები შეეხო ამ კლასის ყველა ფენას, ოღონდ მეტ-ნაკლები სიმწვავით. საერთო დამახასიათებელი კი ის იყო, რომ გაძნელდა წოდებრივი უპირატესობის შენარჩუნება, რამაც თანდათან ახალი სოციალური გადაჯგუფებები გამოიწვია.

ა ზ ნ ა უ რ ო ბ ა. მონღოლთა შორეულ ლაშქრობებში ხშირმა მონაწილეობამ, საქართველოს ტერიტორიებზე მომხდარმა დიდმა ბრძოლებმა და ბოლოს თემურლენგის 17-წლიანმა გამუდმებულმა რბევამ, სადაც წვრილი და საშუალო აზნაურობა მთავარ სამხედრო ძალას წარმოადგენდნენ, კატასტროფულად შეამცირა გლეხობის შემდეგ აზნაურთა ფენის რიცხვი[1]. ამასთან ერთად, აზნაურთა დამახასიათებლად იქცა ე კ ო ნ ო მ ი კ უ რ ი ს ი ღ ა რ ი ბ ე. წვრილ და საშუალო აზნაურობას ეკონომიკურად აჩანაგებდა შეიარაღების დიდი ხარჯი, რაც დაკავშირებული იყო მათ ხშირ მოლაშქრეობასთან. ქოთლოსან-აბჯროსნობა, კარვოსნობა აზნაურის მოვალეობა იყო, რასაც დიდი მატერიალური ხარჯი სდევდა[2]. მათი მიწები მასობრივად უკაცრიელდებოდა: გლეხები გარბოდნენ მონღოლთა მძიმე ხარკისა თუ გაზრდილი ფეოდალური ექსპლოატაციის გამო. რაკი მიწას ედო მონღოლური ხარკი, გლეხობისაგან დაცლილი ასეთი მიწა მეპატრონისათვის ხელსაყრელი აღარ იყო და ეს მებატონეები თვითვე ჰყიდდნენ ჩალისფასად გაუფასურებულ მიწებს. მათი მიწები და გლეხობა მსხვილ მიწისმფლობელებს უვარდებოდათ ხელში. აზნაურებს მიწებს ეცილებოდნენ მონღოლ-თურქმანი მომთაბარენი და ჩრდ. კავკასიიდან ჩამოსული ტომები, რომლებიც თავიანთ საჯდომად და სამფლობელოდ იკავებდნენ სამიწათმოქმედო ტერიტორიებს[3].

---

[1] აზნაური ზოგჯერ ამოწყდებოდა ხოლმე მთელი გვარითაც, რადგან ომში გასულ იყვნენ ერთად მამა, შვილები და ძმები.

[2] ბექა-აღბუღას სამართალში განმარტებულია აზნაურული მოვალეობა (მუხ. 7, 8, 9). აზნაური პატრონთან ხლება-თანამოლაშქრეობისას გამოდის კარვით, აბჯრით, მას აქვს შესაფერისი კოშკიც ან მისი მცველია. კარვის გამართვა აუცილებლად კარავში პატრონის მიპატიჟება-გამასპინძლებასაც გულისხმობდა.

[3] საამისო ფაქტიური მასალა მოტანილია ზემოთ.

ეს სიძნელეები თანდათან ღრმა კვალს ტოვებდა, რადგან არავითარი რადიკალური საშუალება შერყეული ეკონომიკური მდგომარეობის გამოსასწორებლად არ ჩანდა. ცენტრალურ ხელისუფლებას, თვითონ პოლიტიკურად და ეკონომიკურად დასუსტებულს, არ შესწევდა ძალა ქმედითი დახმარება აღმოეჩინა აზნაურთა ფენისათვის. როგორც სათანადო ადგილას განხილული გვქონდა, დავით ლაშას ძემ 1260-იან წლებში ამ მიზნით მიმართა საეკლესიო მიწების დარიგებას, მეფე გიორგი ბრწყინვალემ გააძევა ოსი ფეოდალები აზნაურთა მიწებიდან, მაგრამ ეკონომიკური სივიწროვე ვერ იქნა დაძლეული ვერც მაშინ და ვერც შემდეგ, რადგან მწარმოებელი საზოგადოების ფიზიკური შემცირება თავისი ეკონომიკური შედეგით ყველაზე მეტად მფლობელთა ამ ფენას დაატყდა თავს, უმეტესად უმოხელეო აზნაურობას უჭირდა და უმრავლესობასაც ისინი შეადგენდნენ.

ქონებრივი დაღარიბება იწვევდა სოციალურ დამცრობასაც, რადგან წოდებრივ-სოციალური უპირატესობის საფუძველი მხოლოდ მემკვიდრეობა კი არ იყო, არამედ უფრო მეტად ყმა-მამულის სიდიდე. აზნაურული მოვალეობა არამცირე ეკონომიკურ სახსარს მოითხოვდა, აზნაურის გაღარიბება იწვევდა ამ მოვალეობის შეუძლებლობას, ანუ მის დამცრობას სოციალურად. ბექა-აღბუღას კანონმდებლობიდან კარგად ჩანს, რომ ამ პერიოდში, როგორც აღნიშნული გვაქვს, მამულის ჭერის სიმტკიცე შერყეულია და ამიტომაც გაძნელებულია წოდებრიობის შენარჩუნება. კანონმდებლობა ცდილობს მყარი გახადოს მიწის ჭერა და ამ გზით გადაარჩინოს წვრილი და საშუალო აზნაურობა სოციალურ დამცრობას. საერთო ეკონომიკური გაჭირვების გამო ხშირდება შემთხვევები, როცა ღარიბი მებატონე თავის მიწას თუ ყმაგლეხს ვალში დაწიდავს ან მეორე მებატონეს მიაბარებს, ანდა მიწის ერთ რომელიმე ნაწილს, მაგ., ვენახს და ა. შ. დროებით გაასხვისებს და სხვ. ამ შემთხვევაში, რათა ადვილად არ გამოეცალოს მას ხელიდან მამული ან არ დაეფანტოს იგი, კანონმდებლობა იცავს მას მოსალოდნელი მიმძლავრებისაგან. ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, რომ მიწაზე საკუთრების (მფლობელობის) უფლებას „მემამულე" არ კარგავს ხანდაზმულობის მიზეზით: „თუ კაცსა კაცისა მამული ჰქონდეს" და სხვადასხვა მიზეზით დაბრუნება შეუფერხდა, კანონი „ხანის გამოსვლას" არ ყაბულობს (მუხ. 42); ვალში „დაწინდული" სახმარი მიწა დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნდეს მფლობელს (ე. ი. მიწის მჭერს), როგორც კი ის სესხს მოვალეს მთლიანად შეუსრულებს (მუხ. 43). თუ პატრონი ყმას „მიწას" (საკომლოს) უბოძებს და ამ მიწის რომელიმე ნაწილი, მაგ., ყანა ან ვენახი ან სახლი, „დაწინდებული იყოს", აუცილებლად უნდა იქნეს ის გამოხსნილი, რათა არ მოხდეს საკომლოს დაქუცმაცება, ე. ი. უნდა დაიხსნას „ვისაც დაეწინდოს" (მუხ. 44). მაგრამ თუ მიწის მიმღებმა დაიხ-

სნაო, ვკითხულობთ ამ მუხლის ვახტანგისეულ რედაქციაში, მას უფლება აქვს გამოართვას ეს თავისი განაღები თეთრი მიწის პატრონს, ან თვით დამწინდავს (მუხ. 44).

კანონი კრძალავს ბატონის (პატრონის) მამულის გაყიდვას მის ნებადაურთველად (იგულისხმება გაყიდვა გლეხისაგან ან მოსაკარგავე მსახურისაგან). მყიდველმა უკან უნდა დააბრუნოს ნაყიდი მიწა. მაგრამ აკრძალვა იმდენად მკაცრია, რომ კანონს შემოაქვს მყიდველის დაჯარიმების წესიც: მყიდველს „სარეგუნოდ დაუშავდესო", ე. ი. მყიდველი მიწის უკან დაბრუნების შემდეგ მიიღებდა მის მიერ გადახდილ ფულს არა მთლიანად, არამედ მხოლოდ ნახევარს: „მამულისა გასყიდვა ცუდია ბატონის დაუმოწმებლად, და ნახევარი ფასი მყიდველსა სარეგუნოდ დაუშავდეს. ამაშიგან მართლობა რამე აკლია, მაგრამ ნუ ვინ დაებმის სყიდვასა" (მუხ. 45). კანონმდებელის ეს აღიარება: „სარეგვენო" მთლად სამართლიანი ვერაა, მოწმობს ამ ზომის იძულებით აუცილებლობას, რაც ამ პერიოდში, ეტყობა, მემამულეთა (პატრონთა) მიწების დაყიდვის დიდი სიხშირით იყო გამოწვეული. ისიც აშკარაა, რომ „სარეგვენოს" შემოღება მეტად ახალი ღონისძიებაა. ამავე მუხლის სხვა რედაქციაში შეტანილია დამატებითი წესიც: „სარეგვენოთი" ისჯება მიწის (აქ ნახმარია „საკარგავის") არა მხოლოდ მყიდველი, არამედ გამყიდველიც. საკარგავის გამყიდველს პატრონი ჩამოართმევს ამ საკარგავსაც (მიწას), ხოლო სამაგიეროდ არც მიღებული ფასის ნახევარს უტოვებს („ნახევარი ფასი" მყიდველს დაუბრუნდა, მუხ. 45).

კანონი იცავს წვრილი მფლობელის სოციალურ უფლებებსა და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. დაშვებული არაა მიწა-ადგილი, რომელიც „მემამულეს" (მფლობელს) უჭირავს, ვინმემ გამოითხოვოს მიწის პატრონისაგან ნასყიდობით ან საკარგავად ამ მფლობელის ნებართვის გარეშე. კანონი ასეთს აბათილებს. ადგილი დაუბრკოლებლივ მფლობელს უნდა დაუბრუნდეს, ხოლო გადახდილი ფასი ამ პირმა „ამღებელს" უნდა სთხოვოს (მუხ. 55).

წვრილ, უმოხელეო აზნაურის თავისუფლების ხელყოფა რომ ამ ხანის დამახასიათებელ მოვლენად შეიძლება ქცეულიყო, ეს სრულიად გასაგებია; გაღარიბებული ვასალის (წვრილი აზნაურის...) ეკონომიკური მიჯაჭვა ძლიერი სენიორისადმი, რომლის გარეშე მას არსებობა აღარ შეუძლია, ბუნებრივია, იწვევდა მისი პირადი უფლებების შელახვასაც (დაწვრილებით ქვემოთ).

გლეხი ღარიბ-შეუძლებელ მებატონეს გაურბოდა და შეძლებულს ეფარებოდა. როგორც აღნიშნული გვქონდა, კანონმდებლობა მთელი ძალ-ღონით იცავს დაზარალებულ მებატონეს: ახალმა ბატონმა მასთან შეფარე-

ბული ყმაგლეხი დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნოს ძველ მკვიდრ ბატონს (მუხ. 74, 77 და სხვ.). კანონი ასევე იცავს მებატონის მიწისმფლობელობას გლეხთა ხელყოფისაგან. გლეხის ყოველგვარი ნებისმიერი განასყიდევი ან დაწინდული გაუქმებულია, რადგან „ადგილი ბატონისაა" (მუხ. 76). თუ გაქცეული „მკვიდრი გლეხისაგან" ვინმეს ზარალი მოუვა (ვინმეს რამეს „წაუღებს"), ზარალი წასულის ცოლ-შვილმა უნდა გადაიხადოს მოძრავი ქონებით, ხოლო თუ ცოლ-შვილი არ დარჩება, მაშინ გადასახადზე ბატონს პასუხისმგებლობა არ აკისრია (მუხ. 78).

თუმცა სახელმწიფო სხვადასხვა ღონისძიებით იცავს წოდებრიობის საფუძველს — ეკონომიკურ-ქონებრივ ნორმას, ცდილობს შეუნარჩუნოს აზნაურს მისი წოდებრივი მოვალეობის ეკონომიკური საფუძველი, მაინც *აზნაურთა სოციალური დაქვეითება* ამ საუკუნეებში სწრაფი და ღრმა პროცესია. ეს ბექა-აღბუღას ძეგლიდან კარგად ჩანს.

აზნაურთა ძველი, ერთიანი წოდება ამ საუკუნეებში უკვე დაშლილია. მაგრამ საყურადღებო ისაა, რომ ეს გრადაცია კვლავ გრძელდება. აზნაურობა სოციალურ დანაწილებაში დიდებულის შემდეგ უკვე მეორე ადგილზეა (მუხ. 2). თვით აზნაურებში მამულიანობის, ე. ი. ეკონომიკური შეძლების მიხედვით ორი ქვეჯგუფი გაჩენილა. კანონმდებლობა ასხვავებს აზნაურთა ორ ჯგუფს: „საპატიო აზნაურს" და ამის „ქვემოთ აზნაურს" (მუხ. 2, 3). საყურადღებო აქ ისაა, რომ ეს შიდა დანაწილებანი ეკონომიკური დამცრობის ნიადაგზე შექმნილა, ხოლო კანონმდებლობა ითვალისწინებს აგრეთვე *მომავალი დამცრობის* შესაძლებლობებს. იგი ახდენს დრო და ჟამით გამოწვეული მოვლენის რეგლამენტაციას: „საპატიო აზნაური არის" „დიდ მამულიანი", მას აქვს სასახლე, ციხე და მონასტერი (საძვალე). ასეთი აზნაურის სისხლი 20000 თეთრი ღირს (მუხ. 2). ჩვეულებრივი, ანუ საპატიო აზნაური თუ ჩამომცრობას დაიწყებდა, ე. ი. დაკარგავდა ციხეს, მონასტერს, მამულის ნორმაც დაუპატარავდებოდა („თუ ჟამისაგან მამული დამცრობოდეს, უციხო, უმონასტრო იყოს"). პირველი და მეორე თაობის განმავლობაში მას კანონი მაინც უნარჩუნებდა საპატიო აზნაურობას (ე. ი. მისი სისხლი მაინც 20000 თეთრი ღირდა), მაგრამ საპატიო აზნაური თუ მდგომარეობას ვერ გამოასწორებდა ვერც მესამე თაობაში („ასე რომ მესამე ნათესავი იყოს რომე დამცრობა დაეწყოსო"), მაშინ მას „საპატიო აზნაურობა" ეკარგებოდა (მუხ. 2, 3), გადადიოდა „მამულდამცრობილი" აზნაურის კატეგორიაში („ქვემოთ აზნაური"). მამულდამცრობილი, უციხო-უმონასტრო აზნაური კი, რომელსაც მამულის ნორმაც ძველ სააზნაურო მამულზე ნაკლები აქვს („მამული დამცრობოდეს"), უკვე მცირე აზნაური იყო, რომლის სისხლი 12000 თეთრი ღირდა (მუხ. 2). ამრიგად, წოდებრივი

დამცრობის საზღვარი სამი თაობაა, რომლის იქით აზნაური სულ კარგავს აზნაურულ წოდებას. აქედან კარგად ჩანს, რომ ის, რაც ძველად აზნაურის ჩვეულებრივ ქონებრივ ნორმად ითვლებოდა, ახლა იშვიათი და მხოლოდ მაღალი მდგომარეობის აზნაურის, „საპატიო აზნაურის" დამახასიათებელი გამხდარა. საერთოდ, აზნაურები კი, როგორც ფეოდალთა კლასის წევრები, ამ დროისათვის უკვე ისტორიულად დამცრობილი საზოგადოებაა, რომელიც საშუალო და წვრილ მესაკუთრე მფლობელებს ქმნიან. ამიტომაა, რომ თვით ბექა-აღბუღას სამართალში (მუხ. 7, 9, 10, 31) და ამ დროის სხვა ძეგლებში „აზნაური" ჩვეულებრივი ფართო გაგებით ის პირია, ვისი სისხლი 12000 თეთრის ღირებულებისაა[1].

ამგვარად, XIII—XIV საუკუნეთა განმავლობაში აზნაურთა ძველი შემადგენლობიდან უმრავლესობა ან ფიზიკურად ამოწყდა, ან სოციალურად დაქვეითდა. აზნაურთა ძველი გვარების საბოლოო განდევნა პოლიტიკური ასპარეზიდან ძირითადად ორ ეტაპად ხდება. ეტაპები თან სდევენ თათარ-ნომადთა ყოველ ახალ ტალღას (XIII საუკუნეში და XIV—XV საუკუნეთა მიჯნაზე).

XV საუკუნის პირველ ნახევარში ეკონომიკურ-პოლიტიკური აღდგენების დროს, როგორც უკვე ვიცით, საგანგებო ყურადღება მიექცა ამ ფენის მოღონიერებას, მაგრამ აზნაურთა წოდებრიობისათვის ახალი დამახასიათებელი მოვლენა მკვეთრად იჩენს თავს: აზნაურთა უმრავლესობას უკვე ღრმად აქვს შელახული თავისი აზნაურული ძირითადი ნიშანი, პირადი თავისუფლება: გაღარიბებული ან სოციალური დაქვეითების მუდმივი საფრთხის წინაშე მდგომი აზნაურის ცხოვრებაში პატრონი დიდ ეკონომიკურ გავლენას იპოვებს. ასეთ ვითარებაში სრულიად ბუნებრივია, თუ პატრონები თავიანთ ვასალ-აზნაურებს უკვე მძლავრად ადებენ ხელს. მეორე მხრივ, მოქმედია პოლიტიკური ფაქტორიც, რომელმაც აგრეთვე ხელი შეუწყო აზნაურის სოციალური მდგომარეობის გაუარესებას. თვითკმარი საფეოდალოების (სამთავროების, სათავადოების) წარმოშობის პროცესში აზნაურებზე უმაღლესი პოლიტიკური უფლებები („ხელმწიფობა") თანდათან მთავრებმა და თავადებმა მიიტაცეს. ეს იმას ნიშნავდა, რომ მთავრის თუ თავადის პატრონობაში მყოფი აზნაური უკვე აღარაა იმავე დროს მეფის ყმაც

---

[1] აზნაურის დაქვეითების შემდგომი გაღრმავება გულისხმობდა მის გადასვლას ფაქტიურად ყმა-მსახურის მდგომარეობაში. ამ შემთხვევაში შემცირდებოდა აზნაურის ყმური ვალდებულების მხოლოდ მასშტაბი. ეს ქმნიდა ერთგვარ მორალურ შეღავათს ახალ მდგომარეობასთან შესაგუებლად. ამასთან ყმა-მსახურები ხომ აზნაურობაში აღზეევების სარეზერვო საზოგადოება იყო. აქედანაც ჩანს, რომ ასეთი შუალედი ფენების წარმოშობა კანონზომიერი მოვლენაა და მისი არსებობა სხვადასხვა ფორმით ყოველთვის აუცილებელი იყო ფეოდალურ საზოგადოებაში.

(ვასალი)[1]. ამგვარად, აზნაურის კერძო უფლებრიობაში მოქცევამ ასევე არსებითად იმოქმედა აზნაურის პირად თავისუფლებაზე[2].

XV საუკუნის პირველ ნახევარში ცენტრალურმა ხელისუფლებამ სცადა აზნაურთა მდგომარეობის გამოსწორება. აზნაურთა ეკონომიკური მოღონიერებისა და სოციალური გაჯანსაღებისათვის ცენტრალური ხელისუფლება შეეცადა: 1. სამეფო და საეკლესიო აზნაურების რიცხობრივ გაზრდას. საამისოდ ხდებოდა აზნაურად ახალი სახლების წამოწევა, გადაშენებული სახლების განახლება. აზნაურად აღზევებაში, უნდა ვიფიქროთ, ახლა უფრო მეტად, ვიდრე ძველად, პირად დამსახურებას დიდი როლი მიენიჭა. თუ სააზნაურო კაცს ადგილ-მამულის სააზნაურო ნორმა არ გააჩნდა, მას „სააზნაურიშვილო" ადგილ-მამული, ხოლო ზოგჯერ თანამდებობაც, მიეცემოდა. ყურადღება მიექცა ისეთ სააზნაურო სახლებსაც, რომელთა მფლობელობა წინათ „მეჟმეობით" ან „ავის დროისაგან" დაზარალებული იყო. 2. სამეფო ხელისუფლების მიერ წვრილი და საშუალო აზნაურებისათვის მიწების დარიგების შესახებ ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი. 3. აზნაურის სოციალური თავისუფლების აღდგენის მიზნით ერთ-ერთ ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს კერძო მფლობელობაში მოქცეულ აზნაურებზე მეფის უზენაესი უფლების (პირობითი მფლობელობის) აღდგენის ცდა. მაგრამ დაშლილობის სისტემის საყოველთაო და სრული გამარჯვების პირობებში მეფის ეს ღონისძიება ფიქტიურ შინაარსს იღებს. XV საუკუნის დასასრულისათვის აზნაურობის დიდი ნაწილი მეფეს ჩამოშორდა.

აზნაურთა ერთიან ფენაში მომხდარმა უფლებრივ-ქონებრივმა გრადაციამ (XIII—XIV სს.), ცხადია, კიდევ უფრო გააადვილა აზნაურთა ერთი ნაწილისათვის (უმრავლესობისათვის) ძველებურ სოციალურ უპირატესობათა დაკარგვა. აზნაურების საპატრონო კუთვნილების მიხედვით დანაწილება (სამეფო და კერძო—სათავადო და საეკლესიო) იმავე დროს ახლა უკვე გარკვეული სოციალური შინაარსის მატარებელიც გახდა. იგი გამოხატავდა პატრონისადმი აზნაურის არა მხოლოდ სამხედრო-პოლიტიკურ თავისუფალ კავშირს, არამედ ფაქტიურად კერძო უფლებრივ კავშირს. ბატონყმურ-ფეოდალურ საზოგადოებაში მფლობელი კლასის (უმრავლესობის) მოქცევა კერძო უფლებრივ უღელში უაღრესად რეგრესული მოვლენაა ქვეყნის როგორც სამხედრო-პოლიტიკური, ისე ეკონომიკური წინსვლის თვალსაზრისით. მესამე წოდების არარსებობის პირობებში ცენ-

---

[1] რასაკვირველია, ეს ცვლილება ყველა საფეოდალოში ერთდროული და ერთნაირი სიმწვავისა არ ყოფილა.

[2] აზნაურის თავისუფლების შელახვის შესახებ იხ. გ. ა კ ო ფ ა შ ვ ი ლ ი, სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XV—XVIII სს. ქართლში, 1965, გვ. 46.

ტრალური ხელისუფლება კარგავს დასაყრდენ სამხედრო ძალას, როგორც რიცხობრივად, ისე სოციალურად; „არათავისუფალი“ ფეოდალის (ექსპლოატატორის) მეურნეობის ნორმალური განვითარება იბორკება მასზე დაკისრებული ვალდებულებებით (ეკონომიკური თუ პირადი სამსახურის ხაზით), შესაბამისად იზრდება სააზნაურო გლეხის ექსპლოატაციაც, იზღუდება ფეოდალის პირადი ინიციატივა მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის და ა. შ. საბოლოოდ აზნაურის მეურნეობა ეკონომიკური დეგრადაციის გზას ადგება.

ამრიგად, აზნაურთა ცხოვრებაში მომხდარმა სოციალურმა ცვლილებებმა თვალსაჩინოდ გამოამჟღავნეს ბატონყმურ ურთიერთობათა გადაგვარება. მოხდა აზნაურთა ფენის არა კონსოლიდაცია, არამედ პირიქით, მისი კიდევ უფრო დანაწილება. აზნაური თავისი ფეოდალურ-ვასალური ვალდებულებებით კიდევ უფრო ღრმად ჩაიჭედა ფეოდალურ იერარქიაში, და ისიც, სეპარატისტულად განწყობილი კერძო ფეოდალების სამხედრო-ეკონომიკურ ძალად.

რამდენადმე თავისებური იყო საეკლესიო აზნაური („მცხეთისშვილი“, „ეკლესიის შვილი“), რომლის მიმართ, ისე როგორც ეკლესიის სხვა საქონებელზეც, სამეფო ხელისუფლებამ მოახერხა რეალურად შეენარჩუნებინა უმაღლესი სენიორალური უფლება. მართალია, საეკლესიო აზნაურებმაც განიცადეს გარკვეული ცვლილებები საერთო მდგომარეობის დამძიმების ხაზით, მაგრამ ისინი არ მოქცეულან ეკლესიის[1] კერძო საბატონო დამოკიდებულებაში. ამაზე გავლენა იქონია, უპირველეს ყოვლისა, გაბატონებულმა სახელმწიფოებრივმა სისტემამ, რომელიც გულისხმობდა ეკლესიის პოლიტიკურ დაქვემდებარებას მეფისადმი და, მეორე მხრივ, თვით ეკლესიის შინაგანმა ორგანიზაციულმა წყობამ (კორპორაციული მფლობელობა და ცენტრალისტური სტრუქტურა). ეს ფაქტორები უზრუნველყოფდნენ მეფესთან ეკლესიის დაქვემდებარებულ დამოკიდებულებას. ამას ემატებოდა შექმნილი ისტორიული სიტუაციაც (ქვეყნის ეკონომიკური დაქვეითება), როცა მეფე გამოდიოდა ერთადერთ ძალად დაქვეითებული ეკლესიის ეკონომიკური მოღონიერებისათვის (ეკლესიაც იდეოლოგიურად განამტკიცებდა მეფის ხელისუფლებას...). ამრიგად, განსახილველ პერიოდში, რამდენადაც ეკლესია წარმოადგენდა მეფის ხელდებულ დაწესებულებას, „საყდრის შვილნი“ („ეკლესიის შვილნი“) მეფის უშუალო დასაყრდენ სამხედრო და სოციალურ ძალას ქმნიდნენ. მეფე განსაკუთრებით იღვწოდა საეკლესიო აზნაურების მოსამრავლებლად და ეკონომიკური აღორძინებისათვის. შემთხვევითი არაა, რომ სამეფო და საეკლესიო აზნაურთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა

[1] ამ შემთხვევაში იგულისხმება ეკლესია: საკათალიკოსო, საეპისკოპოსოები, სამეფო მონასტრები (და არა კერძო ფეოდალთა საძვალე-მონასტრები).

კერძო საფეოდალო აზნაურების გვერდით საგრძნობლად მაღალი და განსხვავებულია. უფრო მეტიც, საეკლესიო სენიორიაში ხდება აზნაურის უფლებრივ-ეკონომიკური როლის კიდევ უფრო გაძლიერება. საეკლესიო აზნაურის უფლებები კიდევ უფრო მჭიდროდ იყრის თავს ცენტრში და, ამგვარად, საეკლესიო სენიორიის მეთაური (კათალიკოსი, ეპისკოპოსი, წინამძღვარი — უმემკვიდრეო მფლობელები) თავის პოლიტიკურ და ეკონომიკურ უფლებებს ახორციელებს ასეთ აზნაურებთან, ე. ი. ეკლესიის შვილებთან („ხატის შვილებთან") მჭიდრო და აუცილებელი თანამონაწილეობით. საეკლესიო სენიორიაში გარკვეულად გაწონასწორებულია აზნაურებისა და სენიორის უფლებები, რადგან აზნაურები — ეკლესიის (საყდრის) შვილები საეკლესიო ქონების კოლეგიური მფლობელები და მმართველები არიან.

დ ი დ ე ბ უ ლ ი-მ თ ა ვ ა რ ი, თ ა ვ ა დ ი. XIII—XIV საუკუნეებში, თუ ერთი მხრივ, ფეოდალთა კლასის საერთო დამახასიათებელი მოვლენაა ეკონომიკური დაღარიბება და სოციალურ უპირატესობათა შენარჩუნების გაძნელება, მეორე მხრივ, მათი ერთი წრის, კერძოდ, მაღალი სამოხელეო თანამდებობის მქონე მემამულე ჯგუფისათვის დამახასიათებლად იქცა კიდევ უფრო მაღალი სოციალური და ეკონომიკური დაწინაურება. საქმე ისაა, რომ თათარ-ნომადთა ბატონობის პოლიტიკურ-ეკონომიკურმა პირობებმა დიდებულთა განვითარებას ახალი მიმართულება მისცა.

ჯერ კიდევ XIII ს-ის დასაწყისისათვის დიდებულთა შორის ჩანან ის ახალი ტიპის მთავრებიც, რომელთაც საქვეყნოდ გამრიგე „ხელისუფლებთან" ერთად (ერისთავი, ერისთავთერისთავი, ანუ „მთავარი") ზოგჯერ სამეფისკარო მაღალი მოხელეობა — ვაზირობაც ეჭირათ. XIII ს. დასაწყისშივე არსებობდა ასეთ მთავართა პოლიტიკური ფორმა — „ს ა მ თ ა ვ რ ო თ ა ს ი ს ტ ე მ ა"[1]. XIII ს-ის დასასრულისათვის დიდებულის განვითარებაში მომხდარია არსებითი ცვლილება: სამთავროთა სისტემის ნიადაგზე წარმოიშვა მ თ ა ვ ა რ თ ა ც ა ლ კ ე წ ო დ ე ბ უ ლ ო ბ ა[2]. მთავართა წრე გაფართოვდა, მთავრის ბუნება და ხასიათი შეიცვალა, იგი აღარ ჰგავდა ძველს, რადგან მისი ბუნებრივი განვითარების ნაყოფი არ იყო. მსხვილი ფეოდალური მიწისმფლობელობის შექმნა სწორედ ასეთ მთავრებს უკავშირდება XIII — XV სს-ში.

XIII—XIV სს-ში დიდებულთა ერთიან წრეში უკვე გამოირჩევა დაწინაურებული ბირთვი, რომელსაც იმდენად ჩამოყალიბებული და დამოუკიდებელი სახე აქვს, რომ ის ჩვეულებრივი დიდებულისაგან განსხვავებუ-

---

[1] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 79. ამ დროინდელ სამთავროთა სისტემა, ცხადია, განსხვავდებოდა ადრეფეოდალური ხანის სამთავროთა სისტემისაგან.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, 1941, გვ. 169.

ლად ზოგად, საკუთარ მთავრის სახელსაც ატარებს. ამრიგად, დიდებულთა ფენაში გამოყოფილია კიდევ უფრო მაღალი წრე — პირველი დიდებულები (თავადი დიდებულები): ერისთავნი, ერისთავთერისთავნი... „მცირე და დიდი მთავრები".

განსახილველ პერიოდში „მთავრის" გვერდით და მის სინონიმად ჩვეულებრივად იხმარება „თავადი" (საერთოდ, „თავადის" პოლიტიკური გაშინაარსება ახალი არ არის, ის ასევე გვხვდება ადრეც — XI — XII სს-ის წყაროებში). ამ შემთხვევაში მთავარს შენაცვლებული „თავადნი საქართველოსანი" ან „თავადნი სამეფოსანი" — ჩვეულებრივ ემყარება „თავადის", როგორც პირველის, თავის უფროსის უძველეს მნიშვნელობას. ამასთან თავადის ამგვარი დაკავშირება „მთავართან" (რომელიც იმავე დროს ხელისუფალსაც გულისხმობს) გამოხატავს ტენდენციას „მთავარი" გამოყოფილი იყოს დანარჩენთაგან. ეს მეორე მხრივ, რეალობის სწორი ასახვაა, რადგან დიდებულთა შორის პირველნი და უფროსნი (ე. ი. თავადნი) მართლაც მთავრები არიან (ისე როგორც „დიდებულნი" თავის დროზე დანარჩენ აზნაურთა შორის პირველები, „თავადები" იყვნენ[1]). XIII — XIV სს-ში „მთავარს" („თავადს") გაუძლიერდა რა პოლიტიკური შინაარსი, იგი თანდათან დიდებულთა წრიდან წოდებრივად გამოყოფის ტენდენციას ამჟღავნებს.

„მთავართა" გამოყოფა მათ მიერ პროვინციებში „მთავრობას" (სუვერენობა-ხელმწიფობას) ემყარებოდა[2]. სწორედ შემთხვევითი არ არის, რომ ამ დროის წყაროებში ხაზგასმულადაა წარმოჩენილი ცენტრთან (მეფე-სიუზერენთან) მათი სუსტი კავშირი. ისინი პრაქტიკულადაც ცენტრში უფრო ნაკლებად იმყოფებიან, მაშინ როცა ეს (ნორმალურ პირობებში) პირიქით უნდა ყოფილიყო. ამ ფაქტის გარკვეული ანარეკლია ისიც, რომ დიდებული მთავრები მაინცდამაინც ხშირად „მთავრობით" იხსენიებიან (და არა ერისთავობით თუ ვაზირობით)[3]; ისიც ნიშანდობლივია, რომ ცოცხალ ურთიერთობაში, მაგ., სამთავროს წრეებში (ქამთააღმწერელი, ბექა-აღბუღას კანონები) დამკვიდრებულია „მთავარი". იმავე დროს ცენტრალური ხელისუფლების ოფიციალურ იურიდიულ ნორმებში კი (ხელმწიფის კარის გარიგება, ძეგლის დადება, სიგელ-გუჯრები) სრულიად

---

[1] თავადი და მთავარი ერთი ფუძიდან (თავ-ი) არის წარმოებული: თავ-ად-ი, მ-თავ-არ-ი. „მთავარი" სახელმწიფოებრივ ურთიერთობაში თავიდანვე თანამდებობას დაუკავშირდა: „ციხედიდის მთავარი", მღვდელმთავარი, მხედართმთავარი და სხვ. გამოხატავდა ერთი და იგივე თანამდებობაში ხარისხის მიხედვით ყველაზე დიდსაც: მთავარდიაკონი, მთავარეპისკოპოსი, მთავარერისთავი და სხვ.

[2] სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ პერიოდში მთავარი პროვინციაში ხელმწიფობას მიღწეული ან გახელმწიფების გზაზე მდგომი ერისთავია.

[3] ქ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ქ. ცხ., II, გვ. 215, 217 და სხვ.

უარყოფილია (არ იხსენიება). ამ უკანასკნელი სახის ძეგლებში „მთავარი“ შენაცვლებულია მისი შესაბამისი სოციალური თუ თანამდებობრივ-პოლიტიკური შინაარსის ცნებებით: დიდებული, ერისთავთერისთავი, ვაზირი... (ეს წესი გრძელდება ერთიანი სამეფოს არსებობამდე). ეს იყო იმ მწვავე ბრძოლის ერთგვარი ანარეკლი, რასაც ცენტრალური ხელისუფლება მთავართა ძალას უცხადებდა (ამის შესახებ ქვემოთ).

მთავართა წოდებულობის საფუძველი, რა თქმა უნდა, მიწისმფლობელობაში მომხდარი ცვლილებებია: მთავრები (თავადები) თავიანთ „მამულებში“ (მამულში ფართო გაგებით იგულისხმებოდა მემკვიდრეობით მიღებული როგორც საყმო, ისე სამმართველო-სახელო ტერიტორიები) უკვე თანდათან „თვითხელმწიფეებად“, „თავადებად“, მესაკუთრე-მებატონეებად იქცნენ. ამრიგად, „მთავარს“ ახლა არა მხოლოდ პოლიტიკური შინაარსი აქვს, მას მეტ-ნაკლებად სოციალური შინაარსიც მიეცა.

მეტ-ნაკლები სიძლიერის მიხედვით მთავარნი (თავადნი) შესაბამის სამთავროებს (თავისებურ სენიორიებს) ქმნიან, როგორც ვთქვით, XIII ს. ბოლოსათვის უკვე გვაქვს დიდ სამთავროთა რამდენიმე ერთეული, რომლებიც არ გვანან XIII ს. დასაწყისის სამთავროებს. მათ პარალელურად იბადებიან მრავალრიცხოვანი და შედარებით მცირე მასშტაბის სამთავროები. რადგან მთავართა შორის სრულ სუვერენობას, როგორც XIII, ისე XV საუკუნეთა ბოლოსათვის, შედარებით მცირემ, სამმა-ოთხმა მიაღწია (არც შეიძლებოდა ყველას მიეღწია), ამიტომ „მთავარი“ წოდების საყოველთაო სახელად ვერ იქცა[1]. XV ს. ბოლოსათვის „მთავარი“ ტიტულად შერჩა მცირეს, დიდი სამთავროების მონარქებს, ხოლო დანარჩენ უმრავლესობას, მცირე სამთავროების მეთაურებს, წოდების აღმნიშვნელად დაუმკვიდრდათ „თავადი“ (ე. ი. რომლებმაც დიდ მთავრებზე ნაკლები სუვერენობა მოიპოვეს). ვახუშტი ბაგრატიონმა სათავადოთა წარმოშობის კვლევისას სწორად შენიშნა XV ს-ში ქვეყნის წესწყობილებაში მომხდარი ის ცვლილება, რომ „მთავარნი არღარა იწოდებოდნენ მთავრად, არამედ თავადადო“[2].

ახლა ჩვენ შევეცდებით წარმოვადგინოთ სურათი, თუ რა საფუძველზე და თანდათან როგორ მოხდა დიდებულთა წიაღში აღნიშნული ცვლილებები, როგორი იყო ახალი პოლიტიკური ინსტიტუტების — სამთავროების, სათავადოების და, საერთოდ, საქართველოს პოლიტიკური დაშლილობის სოციალური ბაზა.

---

[1] მაგ., XIII ს. ერთ-ერთი ასეთი სამთავრო სამცხეა, XV ს. ბოლოსათვის კი სამცხის, ოდიშის, გურიის, აფხაზეთის სამთავროები. მსხვილი მამულის საბოლოო ფორმირებას დასახელებული ორი ქრონოლოგიური ეტაპი აქვს.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, ქ. ცხ., IV, გვ. 31.

• • •

XIII—XIV საუკუნეებში შექმნილმა ვითარებამ: ქვეყნის ეკონომიკურმა დაცემამ, ბატონყმური ექსპლოატაციის უზომო გაზრდამ და რიგმა სხვა გარემოებებმა ძირი გამოუთხარეს ძველ მსხვილ ფეოდალურ მიწისმფლობელობას, ფეოდალიზმის არსებობის ამ აუცილებელ საფუძველს, რომელმაც XII საუკუნის დასასრულისათვის თავის შესაფერის მაღალ განვითარებას მიაღწია, ხოლო გამარჯვებული ბატონყმობისა და სამამულო სისტემის პირობებში ის კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე უნდა ასულიყო. რასაკვირველია, ფეოდალურ ქვეყანაში არასდროს არ ქრება მსხვილი ფეოდალური მიწისმფლობელობის წარმოშობის პირობები, მაგრამ იცვლება გარემოების მიხედვით მისი წყაროები და სტრუქტურა. XIII—XV საუკუნეებში ეკონომიკურად და სოციალურად ნგრევად ქვეყანაში გარკვეული პირობები შეიქმნა მსხვილი მიწისმფლობელობისათვის. ცხოვრებამ კიდევ უფრო დიდ მემამულე-მიწისმფლობელებად აქცია მთავრები და ეკლესია.

ფეოდალთა მაღალ წრეს, როგორც მეფის მოხელეებს, შედარებით მეტი მატერიალური სახსრები მოეპოვებოდა საერთო შიმშილობისა და სიღარიბის პერიოდში გაედიდებინა თავისი ქონება. სწორედ ესენი არიან ჩალისფასად ქცეულ სოფლებსა და მიწებს რომ ყიდულობენ, ესენი არიან გაპარტახებულ, გაუკაცრიელებულ სოფლებს რომ გლეხებით ასახლებენ (მეჰურჭლეთუხუცესი კახა თორელი, ერისთავი შალვა ქვენიფნეველი...); ესენი არიან, რომ „ავის ჟამისაგან“ დაუძლურებული გლეხის შეფარება და გამოკვება, სესხის მიცემა შეუძლიათ, რათა სამაგიეროდ უარეს კაბალაში მოაქციონ...

ფეოდალთა მაღალ წარმომადგენლებს, მაგალითად მთავრებს, როგორც ლაშქრის სარდლებს, ყველაზე დიდი შესაძლებლობა ჰქონდათ მონღოლთა ლაშქრობაში მონაწილეობისას მიეღოთ მეტი ნაალაფევი, სამხედრო დავლა (მაგ., ქართლის ერისთავმა გრიგოლ სურამელმა ლაშქრობაში მონაწილეობის შედეგად, ე. ი. „ხრმლით ნაშოებით“, იყიდა სოფ. ანგროინი და ა. შ.).

ერთ-ერთი მთავარი საშუალება მსხვილი მიწისმფლობელობის შესაქმნელად ეს იყო სამამულო შეწყალება: ერთგული სამსახურისათვის დიდი ფეოდალები მეფე-სიუზერენისაგან „მკვიდრად და სამამულოდ“ (მემკვიდრეობით) ღებულობდნენ მიწა-წყალს, პირად საყმო-მამულად თუ სამმართველოდ[1]. ფეოდალების ეკონომიკურ-სამამულო ზრდაში აქტიურად ერე-

[1] ფეოდალის მიერ სხვისი ადგილების მიტაცება-დაპყრობა ამ პერიოდისათვისაც ჩვეულებრივი მოვლენაა.

ოდნენ დამპყრობელი მონღოლები, რომლებიც შეწყალების გზით თავიანთ ერთგულებს დიდ ტერიტორიებს უგდებდნენ ხელში.

მსხვილმა მიწისმფლობელობამ ნიადაგი მოუმზადა მაღალი წრის დიდებულის კიდევ უფრო მაღალ სოციალურ დაწინაურებას.

მსხვილი მიწისმფლობელობის განვითარების განსხვავებულმა პირობებმა განსაზღვრეს მფლობელ კლასში ძირითადი სოციალური ცვლილებები, სხვანაირად რომ ვთქვათ, „მთავართა" და „თავადთა" სოციალური წარმოშობის პროცესი ეს იგივე მსხვილი მიწისმფლობელობის ისტორიაა. ის პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორები, რომლებმაც განაპირობეს მსხვილი ფეოდალური მამულის გარკვეულად განსხვავებული თვისებები, მოკლედ შეიძლება წინასწარ ასე მოიხაზოს: მონღოლთა მმართველობითი პოლიტიკა სრულიად გარკვეული მიზანდასახულობის გამო (ცენტრის დასუსტება) ხელს უწყობდა ადგილობრივი ფეოდალების პოლიტიკურსა და ეკონომიკურ გაძლიერებას. მონღოლები დიდი ფეოდალების გადასაბირებლად მარჯვედ იყენებდნენ სამამულო სისტემას: შეწყალებული ფეოდალები მწყალობელის (ამ შემთხვევაში დამპყრობლის) ერთგულ სამსახურში დგებოდნენ (ფეოდალიზმის ურყევი კანონი ყოველთვის და ყველგან), პატრონის (ქართველი მეფის) უზენაესობას თანდათან იშორებდნენ და თავიანთი „მამულის" სრული ან ნახევრად დამოუკიდებელი მფლობელი — „ხელმწიფეები" ხდებოდნენ (მთავარი, თავადი). მთავარის თუ თავადის თვალსაზრისით, მისი მიწა-წყალი განიხილებოდა არა როგორც სამსახურის პირობით მიღებული გასამრჯელო (პირობითი მამული), არამედ როგორც დამოუკიდებელი, სრულ უფლებებში მყოფი (უპირობო) მამული. ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკური დაქვეითება, რომელიც ამ დროის დამახასიათებელი მოვლენაა (ესეც თათარ-მონღოლთა ბატონობის უშუალო შედეგი), გადაგვარებული ბატონყმობა ნაყოფიერად აძლიერებდა ფეოდალის სეპარატისტულ ბუნებას და თვითონაც უშუალო მიზეზი ხდებოდა კარჩაკეტილი საფეოდალოების (სამთავრო, სათავადო) ჩამოყალიბებისა. მსხვილ ფეოდალთა ცენტრისაგან ჩამოშორებას გარკვეული დროიდან ხელი შეუწყო პროვინციის მეფეთა და უფლისწულთა ბრძოლებმა ცენტრის წინააღმდეგ, სადაც მოწინააღმდეგე მხარე საყრდენი ძალის გამრავლების მიზნით ხელქვეით ფეოდალებს უდიდებდნენ უფლებებს და ეკონომიკურ ძალას.

§ 5. მსხვილი ფეოდალური მიწისმფლობელობის განვითარება XIII—XV სს-ში

ა. მსხვილი მამულის სოციალური ბუნება

XII საუკუნის დასასრული გარკვეული ზღვარია ქართული ფეოდალური წყობილების განვითარებაში. ეს არის ხანა, როცა ბატონყმობა ექსპლოატაციის გაბატონებულ ფორმად იქცევა.

ბატონყმობის გამარჯვება არსებითი ცვლილებებით გამოიხატა მწარმოებელთა და ფეოდალთა საზოგადოებების ცხოვრებაში. XII საუკუნის დასასრულისათვის უშუალო მწარმოებელთა ოდესღაც მთავარი სოციალური ფენა მიწის მუშა-მოლაშქრენი („ყმები") უკვე ძირითადად გამქრალია, უმრავლესობა გლეხთა სოციალურ ფენაში გადავიდა; ფეოდალთა კლასის მომწიფების მაუწყებლად უკვე გამარჯვებული სამამულო სისტემა და იმუნიტეტი (მამული მემკვიდრეობითი და შეუვალი) გამოდის. ეს კი ნიშნავს ფეოდალური ურთიერთობის ზრდის დასასრულს, ამ ურთიერთობის განვითარების აღმავლობის საზღვარს, მისი შუახნის დასასრულს[1].

რაც შეეხება ქვეყნის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ წყობას, ეს ის ხანაა, „როცა სახელმწიფო წყობილების ვითარება აღარ შეესაბამება საზოგადოებრივ განვითარებას" (ნ. ბერძენიშვილი); როცა შესაბამის სოციალურ ბაზისს (გამარჯვებულ ბატონყმობას) ესაჭიროებოდა ბატონყმურივე სახელმწიფო პოლიტიკური წყობილება. ნ. ბერძენიშვილი სამართლიანად ახასიათებს ამ სიტუაციას როგორც კრიტიკულ ფაზაში შესულ ფეოდალიზმს, როცა ცვლილებები პოლიტიკურ წყობაში უკვე დროის საკითხად იქცა.

---

[1] ქართულ ისტორიოგრაფიაში საკითხები საქართველოს ფეოდალური განვითარებისა და წყობილების ისტორიიდან XII—XV სს-ში (ბატონყმობის გამარჯვება, სოციალური ურთიერთობანი, პოლიტიკური სტრუქტურა და სხვ.) შესწავლილია ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა და ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ს ნაშრომებში. წინამდებარე ნაშრომში ძირითადად ვემყარებით საკუთარ დაკვირვებებს და დასახელებულ ავტორთა შემდეგ შრომებს: ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია მე-13—14 სს. (კონსპექტი); ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან XV საუკუნეში (დოკუმენტები კრიტიკული წერილით); Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XVI вв.). კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობაში, იხ. საქართველოს ისტორიის საკითხები, II, 1965. საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის. იხ. საქართველოს ისტორიის საკითხები, V; საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, 1958. ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, 1958, გვ. 65—237.

პოლიტიკური კრიზისის დადებითი გადაწყვეტა გულისხმობდა ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისა და გამაერთიანებელი ძალების (ქალაქების, „მესამე წოდების"...) გაზრდა-განმტკიცების ნიადაგზე ცენტრის უფლებათა კიდევ უფრო გაფართოებას, რომელსაც შესაბამისი ბატონყმური სახელმწიფო აპარატი უნდა წარმოეშვა. ცვლილებები სახელმწიფო აპარატში ამ მხრივ უკვე დაწყებული იყო[1].

გამარჯვებული სამამულო სისტემა გულისხმობდა ფეოდალისაგან თანამდებობისა და ნაწყალობევი მამულის მემკვიდრეობით ფლობას. მაგრამ ასეთი ბოძებულობა ვასალის სრულ საკუთრებას არ წარმოადგენდა. იგი პირობითი იყო, რადგან „ყმას" (ვასალს) და მის მემკვიდრეებს სამაგიეროდ პატრონის (სენიორის) ერთგულება ევალებოდა („გიბოძეთ... მკვიდრად და სამამულოდ ერთგულად სამსახურსა შიგა"); ვასალს სენიორი თავის უზენაეს პატრონად და მამულის უზენაეს მესაკუთრედ უნდა მიეჩნია. ბოძებული სამემკვიდრეო ქონების გასხვისება-განკარგულება მას მხოლოდ პატრონის ნებართვით და შეკითხვით შეეძლო. პატრონი იურიდიულად უფლებამოსილი იყო შეეცვალა ყმა-ვასალი და ჩამოერთმია ნაწყალობევი მხოლოდ კანონიერი მიზეზების საფუძველზე. ამას ის უმთავრესად იყენებდა კიდეც ურჩი ყმის წინააღმდეგ. ამგვარი მამულობითი (მემკვიდრეობითი) საკუთრება მძლავრი იარაღი იყო, ერთი მხრივ, მეფის ხელში ერთგული ყმების გასამრავლებლად, მხლებელ-რაზმეულთა მუდმივი კონტინგენტის შესაქმნელად, ხოლო ვასალისათვის ის მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენდა თავისი სამფლობელო მიწა-წყლისა და მეურნეობის გასადიდებლად; განვითარებული მეურნეობისათვის აუცილებელი იყო მწარმოებელი საზოგადოებისა და მიწის მუდმივი ფლობა, რასაც სამამულო სისტემა უზრუნველყოფდა. შეუვალობა (იმუნიტეტი) იმას გულისხმობდა, რომ ამ ფეოდალის ყმა-მამულში, ანდა საგამგეოდ ბოძებულ ტერიტორიაზე, სახელმწიფო გადასახადების აკრეფის უფლება ან, შეიძლება, სასამართლოს ზოგიერთი საქმის წარმოების უფლებაც, მხოლოდ მას ჰქონდა მინიჭებული, იქ მეფის მოხელეები ვერ შევიდოდნენ. ვადასახადებისაგან არაიშვიათად განთავისუფლებულიც იყო. ორივე შემთხვევაში თვით ეს ფეოდალი იყო სახელმწიფოს წარმომადგენელი თავის მიწა-წყალზე. ამრიგად, ცენტრი უნაწილებდა რა ფეოდალს საჯარო უფლებებს, ამით ფეოდალის მამული იქცეოდა პოლიტიკურ უჯრედად, სადაც კერძო და საჯარო უფლებრივობა ერწყმოდა ერთმანეთს. რასაკვირველია, შეუვალობა გარკვეულად ხელს უწყობდა მემამულის დამოუკიდე-

[1] მაგალითად, მმართველობის ცენტრალისტური, საუწყებო სისტემის დანერგვის მიზნით (ამდენად ფეოდალის ინტერესების ცენტრში გაძლიერებისათვის) პროვინციის მსხვილი მმართველები (დიდი ერისთავთერისთავები) ცენტრის აპარატის მოხელეებად (ვაზირებად) აქციეს და სხვ.

ბელ სამეურნეო ინიციატივას. იგი უზრუნველყოფდა მწარმოებელ საზოგადოებაზე ექსპლოატაციის კონცენტრაციას უშუალოდ ერთი მეპატრონის ხელში. შეუვალობას მეურნეობის აღმავლობის პირობებში ბოლოს და ბოლოს მამული მიჰყავდა სენიორისაგან ეკონომიკური დამოუკიდებლობისაკენ; სენიორის ფეოდალური დამოკიდებულება ვასალის შეუვალ მამულზე თანდათან ისპობოდა და რჩებოდა მხოლოდ პოლიტიკური დაქვემდებარება.

ვიდრე ცენტრალური ხელისუფლება და ქვეყნის გამაერთიანებელი ეკონომიკური ძალები (ქალაქები, ვაჭრობა, აღებ-მიცემობა...) ძლიერი იყო და ცხოვრება აქეთ მიდიოდა, ასეთი სამამულო სისტემა ხელს უწყობდა ფეოდალის მეურნეობის კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ასვლას, ხოლო მეფეს ყოველთვის რჩებოდა საშუალება კონტროლში ჰყოლოდა ხელქვეითი ფეოდალი, დაცული ყოფილიყო პირობითობა (ერთგული სამსახური); თვით ფეოდალსაც სულ უფრო და უფრო ნაკლებად იზიდავდა განკერძოება[1]. პირიქით, რამდენადაც მისი ძლიერების წყაროს ცენტრალური ხელისუფლება წარმოადგენდა, ხოლო ქვეყნის ეკონომიკური კავშირები ძლიერი იყო, იგი მუდამ ცენტრის ერთგულებას ცდილობდა. თუ პოლიტიკური უფლებებისათვის იბრძოდა, ამით ის ცდილობდა ცენტრში მოეპოვებინა რაც შეიძლება დიდი გავლენა და უკან არ იხევდა, თუ იქ მეფის უფლებების გაზიარებასაც მოახერხებდა („ერთნებაობა", „თანაზიარობა"...).

ამგვარად, ფეოდალური ურთიერთობის ზრდის დასასრულს სავსებით შეესაბამებოდა ქართული სამამულო სისტემის იმ მიჯნამდე მისვლა, რომლის შემდეგაც ეკონომიკურ აღმავლობასა და ბატონყმობის განმტკიცებას უნდა გამოეწვია პირობითი მემკვიდრეობითი მამულის სრულ, უპირობო „საკუთრებად" გადაქცევა, ე. ი. როცა მისი გასხვისების ყოველგვარი შეზღუდვები მოიხსნებოდა.

მაგრამ მოხდა სულ სხვანაირად. ზრდადასრულებული ფეოდალური საზოგადოების განვითარება ვ ე ღ ა რ წ ა რ ი მ ა რ თ ა ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი გ ზ ი თ. ფეოდალური მამულის განვითარება წავიდა მეორე გზით — სრული განკერძოებისაკენ. ახალ სიტუაციაში თათარ-მონღოლთა ხანგრძლივმა ბატონობამ, თემურლენგის შემოსევებმა, ბოლოს კი ახალმა საგარეო და საშინაო გართულებებმა თანდათან მოშალეს ეკონომიკური ერთობა, დაასუსტეს პოლიტიკური ცენტრი, რასაც მოჰყვა პროგრესული ფეოდალური ინსტიტუტების კონსერვაცია და დამახინჯებაც. ასე რომ:

1. ბატონყმობა, მართალია, კვლავაც თანდათან სპობდა (ბატონყმო-

[1] ჩვენ აქ ვგულისხმობთ გაბატონებულ ტენდენციას, თორემ ფეოდალური სეპარატიზმი, მაგ., ამა თუ იმ ფეოდალის ეკონომიკური ჩამორჩენილობით ან სხვა მიზეზით წარმოშობილი, ფეოდალიზმის თანამგზავრი მოვლენაა ყოველთვის.

ბაში აბამდა) დარჩენილ თავისუფალთა ფენებს, მაგრამ, სამაგიეროდ, ვერ წარმოშობდა მესამე წოდებას, პროგრესის წინამძღოლს. ბატონყმობა ვერ ავითარებდა ექსპლოატაციის მაღალ ფორმებს შესაბამისი კლასობრივი ბრძოლებით, რომელსაც საზოგადოება წინ უნდა წაეწია (შრომის განთავისუფლებისაკენ). პირიქით, ბატონყმობა წარმოშობდა ექსპლოატაციის მახინჯ ფორმებს (რენტის უზომო გაზრდა...), რომლებიც კლასობრივი ბრძოლების შესაბამის რეგრესულ ფორმებს ბადებდა (გლეხობის აყრა-გაქცევა, ბოგანობა...). მაშასადამე, ბატონყმობა (თავისთავად პროგრესული) დაიჩიხა, გადაგვარდა. ასეთი ბატონყმობა ემსახურებოდა ნატურალური მეურნეობის კვლავ განმტკიცებას. ამგვარად, ფ ე ო დ ა ლ უ რ ი მ ს ხ ვ ი ლ ი მ ა მ უ ლ ი ა ხ ა ლ ვ ი თ ა რ ე ბ ა შ ი (დ ა ჩ ი ჩ ხ უ ლ ი ბ ა ტ ო ნ ყ მ ო ბ ა) ი ძ ე ნ ს ი მ გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ უ ლ თ ვ ი ს ე ბ ა ს, რ ო ც ა ე ს მ ა მ უ ლ ი ვ ე ღ ა რ ვ ი თ ა რ დ ე ბ ა დ ა რ ჩ ე ბ ა თ ვ ი თ კ მ ა რ კ ა რ ჩ ა კ ე ტ ი ლ ნ ა ტ უ რ ა ლ უ რ ს ა მ ე უ რ ნ ე ო ე რ თ ე უ ლ ა დ. ეკონომიკური აღმავლობის პირობებში კი მემკვიდრეობით, პირობით მამულს (ახლოსაა საკუთრებასთან) ხელი უნდა შეეწყო და უკვე საყოველთაოდ გაებატონება სასაქონლო მეურნეობა ექსპლოატაციის მაღალი ფორმებით (ფულადი რენტა...[1]) და მემკვიდრეობითი პირობითი მამული გადაექცია უპირობო, ბურჟუაზიული საკუთრების (სრული საკუთრების) წინაპირობად, მოესპო ფეოდალური საკუთრების დანაწევრებულობა და ა. შ.

2. ფეოდალური საკუთრების სამამულო ფორმამ, რომელიც ძალაში დარჩა, უკვე ახალი ვითარების შესაბამისად მიიღო რა სხვა მიმართულება, შედეგიც სხვა გამოიღო.

მთელი XIII — XV საუკუნეები იმას დასჭირდა, რომ მემკვიდრეობითი პირობითი მამული ქცეულიყო თავისი რეალური შინაარსით მეტ-ნაკლებად უპირობო სამუდამო მამულად. მაგრამ საქმე ისაა, რომ მსხვილი ფეოდალის ასეთ, ფაქტიურად სრული საკუთრების წარმოშობას საფუძვლად არ ჰქონდა მაღალი ეკონომიკა, ექსპლოატაციის მაღალი ფორმები (და არც მომავალში შეეძლო წარმოეშვა), ამიტომაც ასეთი გასაკუთრებული მამული არ შეიძლებოდა ქვეყნის წინსვლის ფაქტორი გამხდარიყო: ამ სახის მამული აკონსერვებდა ნატურალურ-კარჩაკეტილ მეურნეობას და თვითონვე იქცეოდა ფეოდალური სეპარატისტული ძალების წყაროდ. ასეთმა მამულმა, შემთხვევითი არაა, რომ მთელი თავისი ისტორია, მისი დასაწყისიდან სრულ ფორმირებამდე, ადგილობრივ „ხელმწიფობისაკენ“ სწრაფვაში გამოხატა, რაც ბოლოს (უმრავლეს შემთხვევაში) მეტ-ნაკლები

[1] ჯერ კიდევ XI—XII საუკუნეებში მთელი რიგი მსხვილი ფეოდალური მამულები ფართოდ არის გადასული სასაქონლო მეურნეობაზე, ფულადი რენტა რიგ მეურნეობებში ფეხმოკიდებულია.

სისრულით ცენტრისაგან პოლიტიკურ-ტერიტორიული გამოყოფით დააგვირგვინა კიდეც (სამთავროები, სათავადოები).

ამგვარად, სენიორ-სიუზერენთან დამოკიდებულების შესუსტებამ ან სრულმა მოსპობამ მიიღო სულ სხვა შინაარსი: ვერ მოისპო ფეოდალური იერარქია (აქედან გამომდინარე, მიწის საკუთრების დანაწევრებულობა). პირიქით, ახლა ეს ვასალი თვითონ მოექცა სამთავრო-სათავადოს შიგნით ფეოდალური იერარქიის სათავეში: „სამამულო სისტემა გადატანილ იქნა ფეოდალურ „სახლში" (ვ. გაბაშვილი). სამამულო-ბატონყმური მიწისმფლობელობის საფუძველზე დიდი ფეოდალი (მთავარი, თავადი) უკვე ცენტრისაგან დამოუკიდებლად თანდათან და უკონტროლოდ ფლობს მის ტერიტორიაზე მყოფ აზნაურებსაც; მეორე მხრივ, ფეოდალური საკუთრების დანაწევრებულობის კიდევ უფრო გაღრმავება-განმტკიცება იმაშიც გამოიხატა, რომ მიწისმფლობელობის სამამულო (მემკვიდრეობითი) სისტემა ძირითადად დაემყარა საკუთრების კოლექტიურ ფორმას, „სასახლო" საკუთრებას. ამით გზა დაეხსნა ინდივიდუალურ პროგრესულ მფლობელობას (რომლისგანაც უშუალოდ ვითარდება კერძო (ბურჟუაზიული) საკუთრება). რასაკვირველია, „სასახლო" საკუთრების გვერდით ინდივიდუალური ფეოდალური საკუთრებაც (სათავისთაო) არსებობს, მაგრამ მისი როლი უმნიშვნელო იყო.

ამგვარად, ახალ ვითარებაში წარმოშობილ ფეოდალურ მამულს განვითარებული ფეოდალიზმის ხანის მამულისაგან განსხვავებით ის ახალი თვისება გაუჩნდა, რომ მან განსაზღვრული ოდენობით თ ვ ი თ ო ნ შ ე ი ძ ი ნ ა პოლიტიკური სუვერენობა — „ხელმწიფობა" (ცენტრის ხარჯზე)[1]. მაშასადამე, სამამულო სისტემა (თავისთავად პროგრესული) ცენტრისტული ძალების საზიანოდ მიიმართა, ამან კი პოლიტიკურად დაშალა საქართველო და შემდეგშიც მისი დაქუცმაცებულობის მასაზრდოებელ წყაროდ იქცა: დიდ მემამულე-ფეოდალთა სწრაფვა ცენტრში ხელისუფლებისათვის შეიცვალა ცალკე, ადგილობრივი ხელმწიფობისაკენ სწრაფვით, რაც, როგორც ვთქვით, ზოგჯერ ტერიტორიულ-პოლიტიკური გამოყოფითაც დამთავრდა. ფეოდალი (ყოფილი ერისთავი, დიდებული) ნახევრად ან სრულ დამოუკიდებელ სუვერენად (თავადი, მთავარი) იქცა.

აღმავალი ბატონყმობის პირობებში ფეოდალი პოლიტიკურ სუვერენად კი არ უნდა ქცეულიყო, არამედ თავისუფალ მებატონე-მემამულედ[2], ცენტრთან პოლიტიკური ქვეშევრდომობით დაკავშირებულ მესაკუთრედ.

---

[1] ადრეფეოდალიზმის დროს მსხვილი სამთავროების პოლიტიკური სუვერენობა არ წარმოშობილა ცენტრის ხარჯზე: ისინი ასეთად მივიდნენ ცენტრში და თვით შექმნეს „ცენტრი".

[2] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI — XVII საუკუნეებში, 1958, გვ. 148.

ასეთი იყო სოციალური განვითარების მთავარი ტენდენცია XIII—XV საუკუნეების საქართველოში, რამაც საბოლოოდ სამთავროები და სათავადოები მოგვცა.

მსხვილი ფეოდალური მამული სათავადოს სახით (სათავადო სახლი) ქართული მემკვიდრეობითი მამულის ნიადაგზე შეიქმნა. სათავადო გაბატონებული სამამულო სისტემის პოლიტიკური გამოვლინებაა: მსხვილი მამული ამავე დროს სახელმწიფოებრივ-საჯარო უფლებებს იძენს ცენტრის საზიანოდ[1]. სათავადოთა სისტემის საყოველთაო გამარჯვებით (XV ს. მეორე ნახევარი) დაშლილობა სახელმწიფოებრივი წყობის მთავარ მიმართულებად იქცევა; ეს იყო XIII ს. დასაწყისში შექმნილი პოლიტიკური კრიზისის გადაწყვეტა, მაგრამ რეაქციული ძალების სასარგებლოდ. აქეთკენ მიმავალი გზა, XIII საუკუნიდან ვიდრე XV საუკუნემდე, ხანგრძლივი და ძნელი იყო, რაც იმავე დროს იმას მოწმობდა, რომ ქართული სამამულო სისტემა თავისთავად ჯანსაღი მოვლენა იყო და მისი გადაგვარება-შერყევა ადვილად ვერ მოხერხდებოდა.

პროგრესის ძალებს არასდროს არ შეუწყვეტიათ რეაქციასთან ბრძოლა. არსებული ძნელბედობა არაფრით არ იძლეოდა სამამულო სისტემის უფრო მაღალ საფეხურზე ასვლის საშუალებას. ასეთ ვითარებაში მიღწევად ჩაითვლებოდა, თუ აღდგენილი ან რამდენადმე შენარჩუნებული, ან დროის შესაფერისად შეგუებული იქნებოდა პროგრესული სამამულო სისტემის ნორმები. პროგრესის ძალების ბრძოლაც პირველ რიგში ამას გულისხმობდა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან გიორგი ბრწყინვალისა და ალექსანდრე დიდის საკანონმდებლო, პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ღონისძიებები, რომლებიც ზევით იყო განხილული. მიღებული დადებითი შედეგები, მართალია, ვერ ცვლიდნენ განვითარების დაღმავალ ხაზს, მაგრამ იმის მაჩვენებლები უდავოდ იყვნენ, რომ ქართულ საზოგადოებრივ წყობილებას, მისი მაღალგანვითარებულობის გამო, უნარი შესწევდა ხელსაყრელ პირობებში არამცთუ აღედგინა ძველი, შემდგომ მაღალ საფეხურზეც ასულიყო.

ცენტრალური ხელისუფლების ბრძოლის შინაარსი XV ს-ში და, საერთოდ, შეიძლება ასე დავახასიათოთ: მეფე არასდროს არ ცნობს თავადის თუ მთავრის დამოუკიდებლობას, მას თავის მოხელე-ვასალად მიიჩნევს. იბრძვის, აღადგინოს ეს უფროს-უმცროსობა[2], ზღუდავს თავადის პოლი-

---

[1] სათავადო იყო არა უბრალო დაბალი პოლიტიკური უჯრედი; არამედ ისეთი ერთეული, რომელიც საკმარისად დიდი ოდენობით და თითქმის უკონტროლოდ ფლობდა საჯარო ხელისუფლების ფუნქციებს.

[2] ცენტრი სამთავროთა მიმართ იძულებულია ასეთი ცდები თითქმის შეწყვიტოს და მათ სამუდამო დამოუკიდებელ არსებობას შეურიგდეს.

ტიკურ უფლებებს სათავადოში, ერევა სათავადოს შინაორგანიზაციულ ცხოვრებაში. ცხადია, ბრძოლის არსებითი წარმატება მხოლოდ მაშინ იყო შესაძლებელი, თუ აღმოიფხვრებოდა ის ფაქტორები, რომლებმაც სათავადოები წარმოშვა. მაგრამ როცა ასეთი ცვლილებები არ ჩანდა, მეფის გამარჯვებად ისიც ჩაითვლებოდა, თუ ის შეძლებდა სათავადოების თავის სამსახურში ჩაყენებას. თუმცა ქვეყანაში გამაერთიანებელი ძალები ძლიერ სუსტია, რომ ცენტრალური ხელისუფლება მათ დაეყრდნოს, მაგრამ ამის გარეშეც ხერხდება საყრდენის გამონახვა: ცენტრალური ხელისუფლება იყენებს თავადებს შორის სხვადასხვა ნიადაგზე არსებულ წინააღმდეგობებს, რომლის შედეგადაც თავადთა ერთი ჯგუფი ყოველთვის მეფის მომხრეა; უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ არიან ფეოდალური სახლები, რომლებსაც არ ახასიათებთ პოლიტიკური სუვერენობა ან სწრაფვა აქეთკენ: ასეთი სახლებია სამეფო აზნაურების სახლები; ქვეყნის ზოგიერთ კუთხეში (მაგ., კახეთი) ცენტრალური ხელისუფლება ახერხებს მსხვილი ფეოდალის სახლი მჭიდროდ იყოს დაკავშირებული ცენტრთან; ეკლესიასთან პრაქტიკულ დამოკიდებულებაში ცენტრალური ხელისუფლება ინარჩუნებს უზენაესი პატრონი-სენიორის რეალურ უფლებებს. ეს უდიდესი ძალა იყო მეფის სასარგებლოდ.

ბ. მსხვილი მამულები

აქ წარმოვადგენთ მსხვილი ფეოდალური მამულის რამდენიმე კონკრეტულ მაგალითს და განვიხილავთ მათ საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით.

თათარ-ნომადთა ახალ-ახალ დიდ დაპყრობებს თან სდევდა ფეოდალთა უფლებების ახალი გადაჯგუფებები მსხვილი მემამულეობის სასარგებლოდ. ამ მხრივ შეინიშნება ორი ძირითადი ქრონოლოგიური ეტაპი: მონღოლთა ბატონობის პერიოდში განდიდებული ძირძველი თუ ახლად წარმოქმნილი ფეოდალური სახლების უმრავლესობა თავიანთ უკანასკნელ ფიზიკურ არსებობას XV ს. დასაწყისში ასრულებენ ბუნებრივი გადაშენების ან თემურლენგის წინააღმდეგ ლაშქრობებში ამოწყვეტის შედეგად. ამ დროიდან უკვე ახალი ფეოდალური სახლები ჩნდებიან. მსხვილი მამულების წარმოქმნის პირობები, რაკი ორთავე პერიოდში ერთნაირია (სამეურნეო-ეკონომიკური ნგრევა, ცენტრალური ხელისუფლების შესუსტებაა...), ამიტომ შედეგიც ერთნაირია, მაგრამ თანდათანობითი, უფრო და უფრო გაღრმავებული, გაფართოებული.

ო რ ბ ე ლ თ ა ს ა ხ ლ ი მისი თავისებური თავგადასავლის გამო კარგი მაგალითია მსხვილი მამულის დასახასიათებლად. 1178 წელს ორბელთა სახლის წევრები, როგორც ვიცით, მეფის წინააღმდეგ შეთქმულებაში

(უფლისწულ დემნას განდგომა) მონაწილეობისათვის სასტიკად დასაჯეს. ზოგს თვალები დასთხარეს, ზოგი ანათემით გააძევეს; უამრავი თანამდებობა, ხახელო და სამკვიდრო ადგილ-მამული ჩამოართვეს და სხვა ერთგულ დიდებულებს გადასცეს[1]. ამის გარდა, გიორგი III-ს ორბელთა სამუდამო შეუწყნარებლობის საგანგებო „ანდერძიც" დაუდევს, რომელიც წიგნსაცავში უნდა შეენახათ. შემდეგში თანდათან მოხდა ამ სახლის პოლიტიკური და ეკონომიკური აღდგენა. ამ პროცესში რელიეფურად მოჩანს მსხვილი მამულის შექმნის გზები და საშუალებები. ამასთან საყურადღებო ისიცაა, რომ მთელი ეს ისტორია ორ განსხვავებულ პოლიტიკურ სიტუაციას ემთხვევა: საქართველოს ძლიერების ხანას და მომდევნო, დაცემის, მონღოლთა ბატონობის ხანას. აქ სწორედ ეს ორი განსხვავებული ისტორიული გარემო ასვამს დაღს და სხვადასხვანაირად წარმართავს ერთიდაიგივე ფეოდალის ხელში მსხვილი მამულის ისტორიას[2].

ორბელთა წარმომადგენლებს, ჯერ კიდევ ივანე ლიპარიტის ძეს და შემდეგ მის ძმას ელიგუმს, ნება დართეს საქართველოში დაბრუნების. ივანეს უბოძეს ძველი მამულიდან ორბეთი და სხვ. ლიპარიტი თავის უშუალო პატრონმა ივანე მხარგრძელმა საქართველოს მეფის თამარისა და ლაშას ბრძანებით შეიწყალა და უბოძა საყმოც და საგამგეო ქვეყანა — საერისთავო სომხურ თემებში. ამ შემთხვევაში ლიპარიტის პოლიტიკური ამაღლება ემყარებოდა უშუალო სენიორთან და მეფე-სიუზერენთან ნორმალურ ურთიერთობას, რადგან ეს ახალი „მამული" მთლიანად (სომხ. „ჰაირენიქ") ნაწყალობევი იყო ყმა-ვასალისათვის ერთგულებისა და სამსახურის პირობით და, ამრიგად, მისაღები იყო ორივე მხარისათვის. მაგრამ ორბელთა მიზანს ძველი ნაქონევი მამულისა და თანამდებობის დაბრუნება შეადგენდა. ამის განხორციელება კი ადვილი არ იყო: ყველა ის დიდებული, რომლებთაც ორბელთა ნაქონევი ეჭირათ, ძლიერები იყვნენ და მეფის მფარველობაც არ აკლდათ. მალე დადგა ხელსაყრელი მომენტი. ეს იყო მონღოლთა ბატონობის დამყარება. ჯერ იყო და ორბელთა სახლის უფროსი ელიგუმი დასაპყრობად შემოსეულ მონ-

---

[1] ორბელებს ეკავათ: ქართლის ერისთავობა, კლდეკარის ერისთავობა, მსახურთუხუცესობა, ამირსპასალარობა, მანდატურთუხუცესობა; მხარგრძელებს გადაეცათ ორბელთა ზოგი კუთვნილი თანამდებობა და მამული, მათ შორის ამირსპასალარობაც. XII ს. ეს ხელი ზოგჯერ სხვებსაც უჭირავთ, მაგრამ XIII ს-ში საბოლოოდ, ერთი მცირე პერიოდის გარდა, მხარგრძელთა სახლში მკვიდრდება.

[2] პირველწყაროთა და გამოკვლევათა შორის ძირითადად ვემყარებით მონღოლთა პერიოდის ისტორიკოსების, ქართველი ჟამთააღმწერლისა და სომეხი სტეფანოზ ორბელიანის თხზულებებს. ნ. ბერძენიშვილი, ეპიზოდი ფეოდალურ საგვარეულოთა სამამულო ბრძოლიდან XIII საუკუნის საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 1966; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, 1941 (სათანადო თავები).

ღოლებს თავის მამულში, ჰრაშკაბერდში დაუხვდა და ასლან ნოინს მორჩილება გამოუცხადა. ამის სამაგიეროდ მონღოლმა ნოინმა მას ერთგულების პირობით მამულად დაუმტკიცა მთელი მისი სამფლობელო; შემდეგ, სუმბატ ორბელს ვერაგობით ხელში ჩაუვარდა მონღოლთა ურდოდან საიდუმლოდ ლტოლვილი მეფის დავით ულუს განძი, რომელიც მან მანგუ ყაენს მიართვა. სამაგიეროდ კი ყაენმა მეორედ დაუმტკიცა მას სამკვიდრო მამული და უბოძა ხასობა (ამოშალა საქართველოს საგადასახადო დავთრებიდან). ეს მოხდა 1254 წელს.

სუმბატ ორბელმა ხასობა მარჯვედ მოიხმარა. ამ გზით მან თავის მამულს მიუმატა არა მხოლოდ მისი უშუალო პატრონის ავაგ ათაბაგის ზოგიერთი სამფლობელო, არამედ მეზობელი ფეოდალებისაც. სუმბატის შვილმა ტარსაიჭმა შეძლო ათაბაგობის ხელში ჩაგდებაც. ეს მან მოახერხა მეფე დიმიტრი II-ის იძულებითი თანხმობით, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ დიმიტრი ურდოში ტარსაიჭის მცდელობით დაამტკიცეს.

ამრიგად, ორბელთა ახალი მამული, თუ დასაწყისს, პირველ პერიოდს არ ჩავთვლით, ძირითად ნაწილში ქართული ფეოდალური საპატრონყმო ნორმების დარღვევით, მონღოლების დახმარებითა და მათივე სამართლით შეიქმნა. ორბელთა სახლმა ორჯერ მიიღო თავისი მამულის დამტკიცება მეფის გარეშე, ამასთან ხასობაც, რაც, როგორც უკვე ვიცით, პოლიტიკურ-სამეურნეო თვალსაზრისით შეუთავსებელი იყო ქართული ცენტრალისტური სახელმწიფოსათვის. ცხადია, ამ გზით შექმნილი ორბელთა მამული პოლიტიკურ-სოციალურად თავისებურია, ის ცენტრის კონტროლს ჩამოშორებულია, აღარაა პირობითი მამული, მაშასადამე, ფაქტიურად უცილობელ საკუთრებას წარმოადგენს. ორბელი-ფეოდალი თავის მამულში უზენაესი პოლიტიკური უფლებების მატარებელია, ადგილზე (პროვინციაში) გახელმწიფებული მთავარია.

ეპოქისათვის დამახასიათებელ სურათს იძლევა დიდმოხელე ფეოდალის სადუნ მანკაბერდელის ისტორია. სადუნ მანკაბერდელი ჩვეულებრივი საშუალო ფეოდალი, მხარგრძელთა მემკვიდრეობითი ყმა, ამ საერთო გაღატაკების ჟამს უდიდეს მიწა-წყალს, მოძრავ ქონებას (საქონლის ჯოგებს, ოქრო-ვერცხლს, ფულს) და დიდ ხელისუფლებას იგდებს ხელთ. მთავარი საშუალება და გზები აქაც უცხო ძალის მფარველობა, მისდამი ერთგული სამსახური და მთავრის უფლებების გაზრდაა მეფის ხელისუფლების ხარჯზე; სადუნ მანკაბერდელის სამამულო-პოლიტიკური აღზევების გზა ეპოქის შესაფერისად მეტად მრავალმხრივია.

მონღოლთა კეთილი ყურადღება სადუნმა ადრევე მიიქცია, საქართველოს მეფეც ნებსით თუ უნებლიეთ, სადუნის მწყალობელი შეიქნა.

სადუნისათვის, როგორც გამჭრიახი, ჭკვიანი, ბუნებით ანგარებიანი

ადამიანისათვის გამდიდრება-დაწინაურების ყოველგვარი საშუალება მისაღები იყო. სადუნი მოხდენილი გარეგნობის, არაჩვეულებრივად ღონიერი და განთქმული „მორკინალი“ (მოჭიდავე) ყოფილა[1]. როგორც წყაროები მოგვითხრობენ, პირველი ყურადღება მონღოლებისა სადუნმა სწორედ მისი მორკინალობით მიიქცია. საერთოდ, მონღოლები ადამიანის ამ თვისებას მეტად აფასებდნენ. ამგვარი კაცის დაწინაურებას, თუ მას ჭკუა-გონებაც ხელს უწყობდა, გზა ყოველმხრივ ხსნილი ჰქონდა მათ სახელმწიფოში[2]. სადუნს ტკბილი, მლიქვნელური შექებაც ეხერხებოდა უფროსებისა.

სადუნის აღზევებაში დიდი როლი მისმა თარჯიმნობითმა მოღვაწეობამაც შეასრულა. საერთოდ, მოენე-თარჯიმნებს უწიგნურ, მომთაბარე მონღოლების უზარმაზარ სახელმწიფოში დიდი დაფასება ჰქონდათ. სახელმწიფო აპარატში, სასამართლო ორგანოებში ამგვარ პირებს პირადი გამდიდრებისა და გამორჩენის დიდი ასპარეზი ელოდათ. ყაენის კარზე დასასჯელად თუ დასაჯილდოებლად მივლენილი თავკაცების ბედი დიდად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ შელამაზებულად უთარგმნიდნენ ყაენს მათ ნათქვამს. მოპასუხეს ბევრჯერ არც ესმოდა რას მოახსენებდნენ ყაენს მის შესახებ. სადუნმა ენების ცოდნა (ქართული, სომხური, მონღოლური...) მარჯვედ გამოიყენა. აქ შეიძლება გავიხსენოთ აჯანყებული მეფის ულუ დავითისა და სარგის ჯაყელის გასამართლების ამბავი ურდოში, სადაც მთარგმნელად სადუნი გამოდიოდა. წყაროც აღნიშნავს: „სადუნი იგი კეთილად თარგმნიდა და კაზმავდა თქმულთა მეფისათა“ და სხვ.[3] (1265 წლის ახლო პერიოდი).

ბუნებრივია, საქართველოს მეფე დავით ულუს იმთავითვე მიუქცევია ყურადღება თავისი გონიერი ყმისათვის, სადუნისათვის, რომელსაც ყაენის კარზე ესოდენ ნდობა და სიყვარული („შეყვარებულ იქმნა ყაენ ულუსაგან“) ჰქონია მოპოვებული. მეფე, ნებსით თუ უნებლიეთ, სადუნის მწყალობელი უნდა გამხდარიყო. როგორც აღნიშნული გვაქვს, დავითმა,

---

[1] გ რ ი გ ო ლ ა კ ა ნ ე ც ი, მოისართა ისტორია, გვ. 47; ე ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ქ. ცხ., II, გვ. 237.

[2] როგორც ქართველი და სომეხი ისტორიკოსები მოგვითხრობენ, ერთხელაც სადუნს ჰულაგუ ყაენის წინაშე უჭიდავია და სასახელოდ უძლევია მთელს სამონღოლოში განთქმული მოჭიდაე. ნასიამოვნებ ყაენს სადუნი დიდად შეუწყალებია: უბოძებია სიგელი, რითაც მას წინასწარ ეპატიებოდა ცხრა დანაშაული (გრ. ა კ ა ნ ე ც ი, დასახ. ნაშრ., გვ. 48; ე ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ქ. ცხ., II, გვ. 237).

[3] ქ. ცხ., II, გვ. 243. სადუნის მონღოლებთან დაახლოების ერთ-ერთი მეტად უტყუარი ფაქტია მისი სახელის მონღოლური წარმოშობა. „სადუნი“ მონღოლურად „მეგობარსა და დაახლოებულ კაცს ნიშნავს“. სიტყვა „სადუნი“ ქართველებს ესმოდათ როგორც სხვადასხვა ენის მცოდნე კაცი. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, 1941, გვ. 99.

როცა ავაგ ათაბაგის ცოლყოფილი გვანცა დედოფლად მოიყვანა, სადუნს ჩააბარა „სახლი ავაგისი“ და გვანცას ქალიშვილი ხვაშაგიც.

ჰულაგუ და აბაღა ყაენების შემწეობით სადუნმა ხელთ იგდო ათაბაგობა, ყაენმა მას საქართველოს „ლაშქართა საქმე და განგება“ ჩააბარა, თანაც ურდოში მეფედ დამტკიცებული მცირეწლოვანი დიმიტრის მზრუნველად დანიშნა. სადუნი ჭაბუკი დიმიტრი მეფის თავის ნებაზე დაყოლიებასაც ახერხებდა. როგორც წყაროები აღნიშნავენ, სადუნმა თავისი უზარმაზარი მიწა-წყალი მეფის უნებლიე დასტურით, აშკარა მოტყუებით შეიძინა. მაგ., თელავი, გელაქუნი, დმანისი და სხვ.; სადუნმა ხელში ჩაიგდო საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროს დამცველი ციხე კარი, სადაც რეზიდენციაც დაიდო. აქედან მან კარის გარშემო ადგილები ახალციხელი მფლობელებისაგან, როგორც წყარო აღნიშნავს, „მოიევრაგა“ იმ გზით, რომ ახალციხელი დიდებულის ასული შეირთო[1]. ქართველი ისტორიკოსი სადუნის ქონებრივ სიმდიდრეს ასე აღწერს: „განდიდნა დიდად ლაშქარითა და სიმდიდრითა, ოქროსა, ვერცხლისათა და ჯოგისა და ხუასტაგისა არა იყო რიცხვი... იყიდნა მრავალი ქვეყანანი, ხოლო მრავალი მიუბოძნეს“. ქონებრივად ასეთ დაწინაურებულ სადუნს მონღოლთა წყალობით პოლიტიკური უფლებებიც ხომ უზომო ჰქონდა: „მის ხელთა შინა იყო საბრძანებელი ყაენისა და ბრძანებასა მისსა მორჩილებდესო“, გვამცნობს ქართველი ისტორიკოსი. მეფე-სადუნს შორის თანამშრომლობა-სამსახური სინამდვილეში გარეგნულ ელფერს ატარებს. ბუნებრივია, სამეფო ხელისუფლება სადუნით უკმაყოფილოა, რაც იმაში გამოიხატა, რომ სადუნის გარდაცვალების შემდეგ (1281 წ.) დიმიტრი მეფემ ათაბაგობა მის შვილს ხუტლუ ბუღას კი არ დაუმტკიცა, არამედ ორბელთა სახლს, ხოლო მას მხოლოდ ამირსპასალარობა მიუბოძა, „ათაბაგის სახლი“ თვითონ საუფლისწულოდ აიღო. როგორც ჩანს, დიმიტრი მეფის ამ ნაბიჯს მაშინ მხარს უჭერდა მონღოლი ყაენიც. მაგრამ, როგორც უკვე ვიცით, სიცოცხლის ფასად დაუჯდა მეფე-პატრონს განდიდებული ყმის ასე „დამცირება“. ხუტლუ ბუღამ ყაენის შემწეობით ისევ დაიბრუნა ათაბაგობა. ეს ფაქტი დიმიტრი მეფის ცნობილ ტრაგედიას უკავშირდება: როცა დიმიტრი მეფე დასასჯელად ურდოში გაიწვიეს, ხუტლუ ბუღამ ყოველმხრივ შეუწყო ხელი დიმიტრის სიკვდილით დასჯას, რადგან დიმიტრი მეფე მისთვის დაბრკოლებად იქცა ათაბაგობის მოპოვებისათვის. ამის შემდეგ ხუტლუ ბუღამ ახალი მეფისაგან ათაბაგობაც და ამირსპასალარობაც დაიმტკიცა[2].

სადუნი ანგარიშვალდებული იყო არა უშუალოდ მისი პატრონის, მე-

---

[1] ყ ა ვ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ქ. ცხ., II, გვ. 257, 269, 270—273.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 293.

ფის წინაშე, არამედ ყაენის წინაშე. საქმე კი ის იყო, რომ სადუნის პოლიტიკური უფლებები არ ემყარებოდა ქართულ სახელმწიფოებრივ ნორმებს. მას, როგორც საქართველოს ათაბაგს, არ ეკუთვნოდა ასეთი დიდი უფლება (ეს მხოლოდ მწიგნობართუხუცესის მოვალეობა იყო), მაგრამ ეპოქის ცვლილებებიც სწორედ იმაში იხატებოდა, რომ ახლა დიდ უფლებაგავლენიანობას წარმოშობდა არა კარის მოხელეობა-ვაზირობა, არამედ დიდი მემამულეობა, დიდი მთავრები. შემთხვევითი არ არის, რომ ქართველი ჟამთააღმწერლის მიერ სადუნი დახასიათებულია როგორც საქართველოში „ყველაზე უმეტესი მთავარი“.

როგორც დავინახეთ, ასეთი მაღალი მდგომარეობა სადუნმა შეიქმნა დამპყრობელ მონღოლებთან მახლობლობით და მათდამი ერთგული სამსახურით. მონღოლურმა მმართველობითმა სისტემამ ადგილობრივი ცენტრის დასამორჩილებლად და დასაქსაქსავად ფეოდალთა წრეებში შექმნა ერთგული დასაყრდენი ძალა. „სადუნ ათაბაგი“ თავიდან ბოლომდე მონღოლების ბატონობის ნაშობია; ქართულ ფეოდალურ ნორმას არ შეესაბამებოდა არა მარტო ის გზა და საშუალება, რომელმაც ის წარმოშვა, არამედ თვით ეს შედეგიც: სადუნის მსგავსი ფეოდალი-მთავარი. სადუნ მანკაბერდელის „მამული“ (საგამგეო და საყმო ქვეყნები) თავისი პოლიტიკურ-სოციალური თვისებით ფაქტიურად დამოუკიდებელი პოლიტიკურ-ტერიტორიული ერთეულია. აქ სენიორი-მთავარი თითქმის სრული სუვერენი-ხელმწიფეა, ცენტრთან კავშირი ფორმალური და სუსტია.

უფრო მეტიც, დიმიტრი II-ისა და სადუნის შვილის, ხუტლუ ბუღას, შორის ურთიერთობის მაგალითი იმას მოწმობს, რომ ყმა-დიდებულს უკვე ძალა შესწევს არა მხოლოდ მიიტაცოს პატრონის მიწა-წყალი, არამედ ამავე სამამულო ნიადაგზე, მისი ფიზიკური არსებობაც ადვილად ხელყოს... მაშასადამე, მისი მამული ფაქტიურად აღარაა პირობითი (ე. ი. ერთგული სამსახურისათვის...). იგი მისი შეუცილებელი, უკონტროლო ბატონ-პატრონი გამხდარა.

დასასრულ, საჭიროა შევნიშნოთ შემდეგი: სადუნ მანკაბერდელისა და ორბელთა ისტორია ჩვენ აქ მხოლოდ პოლიტიკურ ფონზე წარმოვადგინეთ (აიხსნება წყაროების თავისებურებით), მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ პროცესში მხოლოდ პოლიტიკური ფაქტორი მონაწილეობდა ან სავალდებულო იყო, რომ ყველა ფეოდალი მონღოლებისაგან უზომოდ ყოფილიყო შეწყნარებული და ა. შ. ეს პერიოდი, როგორც უკვე ვიცით, ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკური ნგრევით ხასიათდებოდა, გამაერთიანებელი ძალები დაცემას განიცდიდა და ყოველივე ეს მონღოლთა მმართველობით პოლიტიკასთან ერთად ძირს უთხრიდა პოლიტიკურ ცენტრალიზმს, განვითარებული ფეოდალიზმის ამ ერთ-ერთ მონაპოვარს; აღორ-

ძინებას იწყებდა ფეოდალური სეპარატიზმი, რაც საბოლოოდ სადუნ მანკაბერდელის და სხვათა მსგავს მემამულე-მთავრებს წარმოშობდა.

დროის დამახასიათებელია თორღუა პანკელი ერისთავთ-ერისთავის ისტორია. მეფე ულუ დავითის საქართველოში არყოფნის დროს ამ თორღუამ „თვისად დაიჭირა კახეთი“ პანკისის საერისთავოთურთ (ორივე „საგამგეოდ“ ჰქონდა გადაცემული). „თვისად დაჭერა“ აქ ნიშნავს ყმა-მოხელის განთავისუფლებას პატრონის ყმობისაგან, ე. ი. თორღუამ მიაღწია გაესაკუთრებია სახელო ტერიტორია. სამეფო კარმა სიკვდილით დასაჯა ის[1].

განსახილველი საკითხისათვის კარგ მასალას გვაძლევს ერთ-ერთი დიდი ფეოდალური სახლის ჯაყელ-ციხისჯვარელთა ისტორია. ამ მაგალითზეც გამოკვეთილად ჩანს ეპოქის გავლენები, რომლებიც გარკვეული მიმართულებით უბიძგებდნენ დიდი მამულის განვითარებას. მოღწეული წყაროები საშუალებას გვაძლევს დავინახოთ ამ მამულის განვითარების ლოგიკური დასასრულიც: ცენტრიდან ტერიტორიული გამოყოფა (XIII ს. 60-იან წწ.).

სპასალარობის ხელის მქონე სამცხის ერისმთავარი („მთავარი“) ციხისჯვრელი სარგისი, დიდი სამკვიდრო მამულის (პირად ყმობაში მყოფი და სამმართველო ტერიტორიის) პატრონია. ციხისჯვარი სარეზიდენციო ციხესიმაგრეა როგორც მთავრისა და მემამულისა. ეს ვაზირი-ერისთავი (ე. ი. კარისა და საქვეყნოდ გამრიგე მოხელე) მეფის წინაშე „დიდად ნამსახურია“. ეს ნამსახურობა ჯერ კიდევ მონღოლთა შემოსევების ჟამს გამოჩნდა, როცა სამცხის მთავარმა ივანემ გააფთრებული ბრძოლა გაუმართა მონღოლებს და მანამდე არ დამორჩილდა, სანამ რუსუდან მეფისაგან ბრძანება არ მიიღო. სხვა მთავრები, როგორც ვიცით, ადვილად და მეფის გარეშე ჩაბარდნენ მტერს. ამ სახლის მომდევნო წარმომადგენელი სარგისი აჯანყებული მეფის დავით ლაშას ძის მხარეზეა და ებრძვის მეფესთან ერთად მონღოლებს[2]. მონღოლები ამ მიზეზით სისტემატურად არბევდნენ სარგისის ტერიტორიას — სამცხეს და ციხისჯვრის ციხეს. ასეთ ერთგულ ყმას, ბუნებრივია, მეფე შეიწყალებდა. ერთ-ერთი ასეთი შეწყალება მაშინ მომხდარა, როცა ყაენი აჯანყებულ მეფეს ურდოში იხმობდა. სარგისი მეფეს ურდოში გაჰყოლია. ეს რისკიანი თავდადება მეფემ დიდად „დაიმადლა“ და ჯაყელ-ციხისჯვრელს ძალზე დიდი ობიექტი უბოძა „სიგლითა სამამულოდ“: სამცხეში ქვაბულიანის თემი და შავშეთში ტბეთის საეპისკოპოსო საყდარი[3].

---

[1] ქამთააღმწერელი, ქ. ცხ., II, გვ. 230—231.
[2] იქვე, გვ. 239.
[3] იქვე, გვ. 247.

მეფე დავით ლაშას ძისა და სარგის ჯაყელის დამოკიდებულებაში დიდი ბზარი იჩენს თავს. ის თანდათან იზრდება და ბოლოს სრული გათიშულობით მთავრდება. სარგისი თავისი საგვარეულო და სახელო-სამმართველო ტერიტორიის — სამცხის დამოუკიდებელი პატრონი — „ხელმწიფე“ ხდება. საინტერესო ჩვენთვის აქ ისაა, რომ მთელს ამ ისტორიაში პირდაპირ და უშუალოდაა გამოვლენილი სამამულო სისტემის ის კანონი, რომ ყოველგვარი პატრონყმური სამსახური ყველასთან და ყოველთვის ემყარება მამულის შეძენის ინტერესს. ეს არის ის პირველი მიზეზი, რომელიც ფეოდალის ასეთ თუ ისეთ მოქმედებას განსაზღვრავს.

მოხდა ისე, რომ მეფე-პატრონი წინააღუდგა მისი ყმის სარგისის მის გარეშე უზომო გამდიდრება-აღზევებას და ბოლოს, ასეთი ყმის დაპატიმრებასაც არ მოერიდა: ბერქა ყაენის წინააღმდეგ ომში დიდი წარმატებისათვის ჰულაგუ ყაენმა სარგის ჯაყელს „კარნუ ქალაქი და მიმდგომი მისი ქვეყანა უბოძა იერლაყითა“[1]. ტერიტორიულად ეს იყო საქართველოს მთელი სამხრეთის საზღვრის დიდი ზოლი მისი უდიდესი ციხე-ქალაქი კარინით. ეს ჯაყელის დიდზე დიდ აღმატებას მოასწავებდა. მოსალოდნელი შედეგი სხვებსაც უგრძვნიათ და „სარგისის ვიეთმე მტრებმა“ მეფეს უთხრესო: „აწ მეფობაცა სარგისს მიეც, ვინათგან ყაენმან ეგზომ განადიდა, არღარა იქნების მორჩილ მეფობასა თქვენისა“. დავითი ამის გამო სთხოვს ნოინის პირით ყაენს არ მისცეს სარგისს კარნუ-ქალაქი. ასეც მოიქცა ყაენი. „ვიეთმე მტერთა“ სიტყვებში კარგად გამოიხატა ფეოდალიზმის კანონი: ზედმეტად გამდიდრებული ყმა არ დაემორჩილება მეფე-პატრონს, რადგან მათი პატრონყმური დამოკიდებულების მატერიალური საფუძველი ძალას კარგავს და ეს მით უფრო მეტად, თუ ასეთი განდიდება მეფე-პატრონისაგან არ მომდინარეობს.

როგორც მოსალოდნელიც იყო, განდიდებული სარგისი ამგვარ პატრონთან ყმურად აღარ იქცეოდა: „შეიქმნა გულკლებით და ქვეგამხედვარად პატრონისაგან“, პატრონი კი ცდილობს მის დამორჩილებას დაპატიმრებით. ყაენმა გაიგო თუ არა მისი ერთგული სარგისის ბედი, ბრძანა მისი განთავისუფლება. ცხადია, ეს უბრალო ფაქტი არ ყოფილა. ისტორიკოსი იქვე დასძენს: „ამიერითგან იქმნეს ჯაყელნი მორჩილნი ულოსისანი ვიდრე ჟამამდე მეფეთა შორის ბრწყინვალისა და საჩინოსა გიორგისითა“[2]. ამგვარად, ჯაყელთა სახლი სამცხეთურთ უშუალოდ დაემორჩილა ულუსს, რაც მონღოლურ ხასობას გულისხმობდა. როგორც უკვე ნათქვამი გვაქვს, ხასობა ფეოდალურ სამყაროში არ იყო მხოლოდ ეკონომიკური მოვლენა, იგი გარკვეულად სოციალურ-პოლიტიკური შედეგების მომტანიც იყო.

---

[1] ქამთააღმწერელი, ქ. ცხ., II, გვ. 250.

[2] იქვე, გვ. 255.

საყურადღებოა, რომ სამცხის მთავრის ასეთი მდგომარეობა 50 წელიწადი გაგრძელდა, მეფე გიორგი ბრწყინვალემდე, ვიდრე მან სამცხე ისევ სამეფო ცენტრს არ დაუქვემდებარა[1] (შემდეგაც, როგორც უკვე ვიცით, სამცხის სამთავრომ ისევ აღიდგინა დამოუკიდებლობა. საბოლოოდ შეინარჩუნა XV ს. მეორე ნახევრიდან).

სარგისის მემკვიდრის ბექას შესახებ ისტორიკოსი გვამცნობს: „ესე ბექა განდიდებულ იყო, ამას აქუნდა ტასის კარითგან ვიდრე სპერამდე და ვიდრე ზღვამდე“: „სამცხე, აჭარა... უდაბნონი კლარჯეთისანი და დიდებულნი და აზნაურნი და მონასტერნი ყოველნი მას აქუნდეს და ხარკსა მისცემდა ყაზანს და ლაშქრითა შეეწეოდა“[2]. მოტანილი მითითება სრულიად საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ „სამცხის მპყრობელი მთავარი“, ხასი ჯაყელ-ციხისჯვარელი ბექა ამ მხარეში მეფის ჩვეულებრივ მოხელედ კი არ მივიჩნიოთ, არამედ სუვერენად, რომლის მაღლა ამ ტერიტორიაზე არავინ არ დგას და მონღოლებს ის უშუალოდ ხარკითა და სამხედრო ძალით ემსახურება. ამავე დროს, ის ამ მხარის მემამულე-მფლობელიცაა, მასთან პატრონყმურ-ფეოდალურ დამოკიდებულებაშია ამ ტერიტორიაზე მოსახლე დიდებულები, აზნაურები, მონასტრები **და ა. შ.**

სამცხის სამთავროს დასახასიათებლად ჩვენ გვაქვს საკანონმდებლო ძეგლი, ცნობილი ბექა-აღბუღას სამართალი (XIII ს. დასასრული და XIV ს. მეორე ნახევარი), რომელიც შექმნილია სპეციალურად ამ სამთავროსათვის. როგორც ვთქვით, თვით ეს ძეგლი და მასში წარმოდგენილი ამ მხარის სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურა უეჭველი მოწმობაა, რომ ციხისჯვარელი ჯაყელების „მამულმა“ (საგვარეულო და სახელო ტერიტორიამ) გარკვეული დროიდან ხელმწიფობა (სუვერენობა) შეიძინა; იგი იქცა მეფე-პატრონისაგან უპირობო მამულად, უფრო მეტიც, მოხდა მისი ტერიტორიულ-პოლიტიკური გამოყოფა ცენტრიდან. მაგრამ როგორც კანონმდებლობის ძეგლიდან ჩანს, ამით ის ოდნავადაც არ მიახლოებია ფეოდალური საკუთრების რღვევის საფეხურს; ფეოდალური იერარქია ციხისჯვარელთა სამფლობელოში განაგრძობს არსებობას იმ განსხვავებით, რომ ფეოდალური იერარქიის სათავეში ახლა მეფის მაგიერ „მთავარია“.

სავსებით ანალოგიური პროცესი მიმდინარეობს უფრო წვრილ სამთავრო-ფეოდალურ ერთეულებში იმ განსხვავებით, რომ ასეთმა ფეოდალურმა ერთეულებმა უფრო ნაკლები მასშტაბის პოლიტიკური ძალა (სუვერენობა) მოიპოვეს (სათავადოები).

---

[1] ჟამთააღმწერელი, ქ. ცხ., II, გვ. 270, 297 და სხვ.

[2] ი ქ ე ე, სამცხის პოლიტიკური ისტორია განხილულია ამ ნაშრომის სათანადო თავში.

ჩვენ აქ წარმოვადგინეთ მხოლოდ ორბელთა, სადუნ მანკაბერდელის, ციხისჯვარელ-ჯაყელთა სახლები[1]. ცხადია, შეიძლებოდა ამ საუკუნეებში მოქმედი კიდევ სხვა სახლების განხილვაც, მაგრამ მოტანილი მასალა, როგორც მოვლენის კონკრეტული ილუსტრაცია, შეიძლება საკმარისად ჩავთვალოთ.

ქრონოლოგიურად ეს ის პერიოდია (XIII—XIV სს.), როცა სამთავრო-სათავადოების სისტემა საყოველთაო გაბატონებულს (რაოდენობრივად) არ წარმოადგენს, მაგრამ აშკარაა, რომ ქვეყანა ამ გზას ადგას. ორბელების, სადუნ მანკაბერდელის, ციხისჯვარელ-ჯაყელთა და სხვ. სახლები სოციალურ-პოლიტიკურად გენეტიკურ კავშირშია (ზოგი უშუალოდაც) შემდგომი დროის, XV ს. მეორე ნახევრიდან ცნობილ სამთავრო და სათავადო სახლებთან: ზედგინიძე-ამილახორთა, ბარათაშვილთა, ქსნის ერისთავთა, არაგვის ერისთავთა, დადიანთა, გურიელთა და სხვათა სახლებთან.

ორბელნი, სადუნ მანკაბერდელი, ციხისჯვარელ-ჯაყელნი, სურამელნი, არაგვის ერისთავნი... ყველა ესენი ჯერ კიდევ XII საუკუნეში წარმოშობილი „ახალი ტიპის მთავრების“ მემკვიდრენი არიან (მათ ჰქონდათ როგორც საქვეყნოდ გამრიგე მოხელეობა, ისე კარის ვაზირობა). მონღოლების პერიოდში შექმნილმა ვითარებამ ამ ახალი ტიპის „მთავარს“ სულ სხვა მიმართულება მისცა: მოხელე-ფეოდალის ცენტრისტული ინტერესები თანდათან დაჩრდილა ადგილობრივ-მემამულურმა ინტერესებმა. „მამულის“ საშვილიშვილოდ მფლობელობის წესმა მას გაუადვილა ხელსაყრელ მომენტში გადაქცეულიყო ამ მამულის „ხელმწიფედ“ (უპირობო მფლობელად), ალოდიალურ მესაკუთრედ. სწორედ ასეთი ტენდენცია მთავარ მიმართულებად იქცა XIII—XIV საუკუნეებში[2] და ამიტომაც ვამბობთ, რომ „სამთავრო“ მთავრით, ანუ „სათავადო“ „თავადით“ იმავე დროს მსხვილი მამულის საბოლოო გაფორმებაა, მისი პოლიტიკური გამოვლინებაა.

XV საუკუნის წყაროებში „თავადი“ სოციალური გაგებით უკვე ხშირად იხსენიება. მეფის „თავადი ყმებიდან“ მოიხსენიებიან ამ დროისათვის

---

[1] აღნიშნული ერთეულები მხოლოდ სამამულო სისტემის თვალსაზრისით განვიხილეთ, ამიტომ სხვა საინტერესო ცნობებს მათ შესახებ, ცხადია, არ შევხებივართ.

[2] ამ ტენდენციის განვითარებაში მონღოლთა მმართველობითმა პოლიტიკამ იმ მხრივაც შეასრულა როლი, რაც ივ. ჯავახიშვილმაც შენიშნა, რომ ის არ ასხვავებდა მმართველობით დამოკიდებულებას ფეოდალური დამოკიდებულებისაგან, ანუ სახელმწიფო ხარკს ფეოდალური რენტისაგან. ამან გარკვეული მიმართულება მისცა მონღოლთა მიერ დიდი ტერიტორიებით (ხასი და სხვ.) შეწყალებული ქართველი „მთავრების“ სამამულო ზრდას.

დიდი თანამდებობის პირები: ეზოს ჩუხჩახერი და გორის მოურავი ზედგინიძე, თავადი ზაზა ფანასკერტელი[1].

საყურადღებოა, რომ XV ს-ის პირველ ნახევარში სამეფო კარზე ხმარებაში შემორჩენილი სიტყვა „ვაზირი“ (რეალური შინაარსი აღარ აქვს) ადგილს უთმობს სიტყვა „თავადს“, რომელიც როგორც მოხელე, ძველი ვაზირის მაგიერ მოქმედებს. საბუთში სიგელის გაფორმების წესის შესახებ ნათქვამია: ის „მეფეთა ხელჩართული, მისითა მდივნითა ხელწერილი და თავადთა მოწმობითა უნდაო“[2].

თავადები თავიანთი სამკვიდრო მამულების ყოველგვარ განკარგულებას, რომლებიც ფორმალურად ძველებურადვე მეფის ნაწყალობევ, ე. ი. პირობით მამულებად ითვლებიან, მეფის გარეშე და მის დაუკითხავად ახდენენ. მეფე-სიუზერენი ებრძვის თავადის ამ ხელმწიფობას და თუ ძალა შესწევს, სჯის კიდეც ასეთის მოქმედს, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება[3]. ეს რომ გახშირებული ამბავია, ამას შემდეგიც მოწმობს: მეფე იძულებული ხდება ან აიძულებენ, მისცეს კიდეც ყმა-თავადს სამკვიდრო ქონებაზე ასეთი ჩაურევლობის წინასწარი წერილობითი გარანტია. ხოლო XV ს. რომ ჯერ კიდევ აქა-იქ ვხვდებით მეფის ამგვარ სიგელებს, ეს თავადის ამ უფლების საბოლოო განმტკიცებასა და გამარჯვებაზე მიუთითებს, მომდევნო პერიოდებში, რაკი ის ჩვეულებრივ უფლებად ქცეულა, სპეციალური აღნიშვნის საგნად აღარც მიუჩნევიათ.

გ. მსხვილი მამულის შინაგანი ორგანიზაცია

მსხვილი ფეოდალური მამულის მიწისმფლობელობა, როგორც ირკვევა, გაუყრელი სახლის მემკვიდრეობით მფლობელობას ემყარებოდა. ასეთი სახლი (ოჯახის დღევანდელი გაგებისაგან განსხვავებით) მხოლოდ ორი მეუღლის შვილებისაგან კი არ შედგებოდა, არამედ ნათესავთა უფრო ფართო წრეს მოიცავდა: ძმებს, ძმისწულებს, ბიძებს, ბიძაშვილებს, ბიძა-

---

[1] ისტორიული საბუთები, II, გვ. 18; ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 133; დ. გ ვ რ ი ტ ი ო შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955, გვ. 121 — 122.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 121; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან XV საუკუნეში (დოკუმენტები კრიტიკული წერილით), მსკი, ნაკვ. I, 1937, გვ. 45.

[3] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 48; 1453—1463 წწ. საბუთში ლაპარაკია გორის მოურავის მიერ გორის ციხის გაცემის განზრახულობაზე, ასეთი დანაშაულისათვის კი „ყმას“ „სიკვდილი და გაღარიბება“ ელოდა სასჯელად.

თაშვილებს და ა. შ. ამგვარად, ეს იყო გვაროვნობითი ერთობა და ასეც უწოდებდნენ: „გაუყრელი გვარი“, ანუ „გაუყრელი სახლი“. რაკი გაუყრელობა დაცული იყო, ასეთი სახლის ქონება დროთა მსვლელობით (სახლის წევრთა გამრავლების შედეგად) არ მცირდებოდა[1]. გაუყრელი სახლი ითვლიდა 2, 3... ზოგჯერ 10 და მეტ ოჯახს.

გაუყრელი სახლის არსებობას ვადასტურებთ მთის მოსახლეობის მაღალ ფენაშიც (რომლებიც იმავე დროს მეფის მოხელეებიც იყვნენ). მაგ., „ძეგლის დადებაში“ ხევისბერისა და მისი გაუყრელი სახლის წევრების სისხლი ერთნაირად ფასობს 6 ათას თეთრად (მუხ. 6). „გაუყოფართან“ დაპირისპირებულია „განაყოფი“ — გაყოფილი სახლის წევრები, რომელთა სისხლის ფასი განახევრებულია, ფასობს 3 ათას თეთრად (მუხ. 9). ეს შემცირება იმით არის ახსნილი, რომ ხევისბერის გაუყრელი სახლის წევრებს აკისრიათ ეახლონ („მოახლეები“ არიან) ხევისბერს როგორც სამეფო დარბაზით დაყენებულ „ლაშქრის თავადს“, განაყოფებს კი, როგორც წესი, ეს მოვალეობა (ხლება-თანამოლაშქრეობა) არ ადევთ (იხ. მსახურთან). სახლის უმოხელეო წევრთა ხლება სახლის უფროსთან ეს ჩვეულებრივი წესი იყო ფეოდალურ საზოგადოებაში, მაგრამ მთაში ამის საჭიროება კიდევ უფრო იგრძნობოდა: თემის შიგნით ფეოდალური ურთიერთობის სუსტად განვითარებულობის გამო ჯერჯერობით ხევისბერს ან სხვას ვერ ეყოლებოდა თანამოლაშქრეთა საკმარისი რაოდენობა საკუთარი აზნაურების თუ მსახურების სახით და ის უნებლიედ თავის გვარს უნდა დაყრდნობოდა. ერთი სიტყვით, მოყვანილი მაგალითი იმის მაჩვენებელია, რომ უპირატესობა ეძლევა „გაუყოფარ“ სახლს და მის წევრებს. ამ უპირატესობის სოციალური საფუძველი კი ისაა, რომ გაუყოფელი სახლი სახელმწიფოებრივ მოვალეობას უფრო ადვილად ასრულებს. ბარში გაუყრელი სახლის არსებობის პირობაც ზოგადად ასეთივეა, მაგრამ საჭიროა ვიცოდეთ კონკრეტული ვითარება, რამაც გაუყრელი სახლის როლი ბარში წინ წამოსწია. გაუყოფელი სახლის (სათავადოს) ერთგვარად მსგავსი სტრუქტურა საეკლესიო სახლებსაც ახასიათებდათ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული სამეცნიერო გამოკვლევები ამ საკითხზე გვაძლევენ ასეთ დასკვნას: ფეოდალის გაუყრელ სახლს (ანუ სათავადო) ერთი საერთო გაუყოფელი ქონება („სასახლო“) ქმნიდა, რომელსაც სახლის წევრები (ცალკე ოჯახები) საერთოდ იხმარდნენ წილის

---

[1] გაუყრელი სახლის შემთხვევები ადრეც არსებობდა, გაყრაც არ გულისხმობდა სახლის ერთობის სრულ მოშლას და სხვ., მაგრამ ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს გაუყრელობა როგორც სისტემატური მოვლენა. საერთოდ, გაუყრელი სახლის შემთხვევები იყო დაბალ ფენებშიც, იგი ახასიათებდა მთას, მაგრამ სათავადო სახლი მათგან არსებითად განსხვავდებოდა.

მიხედვით. ეს საერთო ქონება (მიწა-წყალი, ყმაგლეხები, საქონლის ჯოგები და ა. შ.) წარმოადგენდა გაუყოფლობის მატერიალურ საფუძველს. საერთო ქონებიდან სახლის თითოეულ ოჯახს ამასთანავე გამოყოფილი ჰქონდა ცალკე მოსახმარებელი. ამას „საუფლისწულო" ეწოდებოდა. ამას გარდა, თითოეულ წევრს (ოჯახს) ჰქონდა საკუთარი ყმა-მამული, რომელიც პირადად მის მიერ იყო შეძენილი და მხოლოდ მას ეკუთვნოდა „საკუთარისთაოდ". გაუყრელი სახლების (სათავადოების) ბატონობის პერიოდში „სათავისთაო" ქონების (როგორც ინდივიდუალურის) როლი და ადგილი შედარებით მცირე იყო.

საერო მსხვილი ფეოდალური სახლის უფროსს „თავადი" ეწოდებოდა, სახლის წევრებს „შვილები", „სახლიშვილები", „თავადიშვილები". ისინი „ძმები" იყვნენ, ხოლო საერთო ქონებიდან მიღებულ სარჩო-ქონებას „საძმო", „წილი" ეწოდებოდა.

საეკლესიო ფეოდალური სახლის (საკათედრო ეკლესია, მონასტერი) უფროსად ის წმინდანი თუ ღვთაება ითვლებოდა, ვის სახელზეც იყო აგებული ეს ეკლესია, პრაქტიკულად კი სახლის უფროსობას კულტის წარმომადგენლობა — კათალიკოსი, ეპისკოპოსი, წინამძღვარი ახორციელებდა. ეკლესიის სახლის წევრებს ეწოდებოდათ „შვილები", „საყდრიშვილები", „ეკლესიის შვილები", ზოგჯერ სახელდობრივადაც: „მცხეთიშვილი" (მცხეთის სახლის შვილი), „შიოსშვილი" (შიოს სახლის შვილი) და ა. შ.

ეკლესიაში, როგორც კორპორაციულ დაწესებულებაში, ქონების მმართველობა და ფლობა კოლექტიურ-კოლეგიური იყო. მონასტერში მმართველობას წინამძღვარი უფროს ძმებთან ერთად ახორციელებდა, ხოლო შემოსავალი რანგის მიხედვით ნაწილდებოდა ძმებს (მონაზვნებს) შორის. საეპისკოპოსო სახლში მმართველი წრის — „საყდრიშვილების" უშუალო განკარგულებაში იმყოფებოდა საეკლესიო ქონების გარკვეული ნაწილი. ისინი ამას ფლობდნენ სამსახურის (ადმინისტრაციულ-სამეურნეო თანამდებობების) გასამრჯელოდ და მას „წილი" ან „საძმო" („სამცხეთიშვილო წილი" და ა. შ.) ეწოდებოდა. ქონების დანარჩენ ნაწილს, რომელიც „შვილებზე" არ იყო განაწილებული, სახლის უფროსი (კათალიკოსი, ეპისკოპოსი) განაგებდა ისევ ამ „შვილების" (აზნაურების) ერთნებობით და „თანადგომით". ყველაფერი ეს ქმნიდა ეკლესიის საერთო განუყოფელ ქონებას.

გვიან პერიოდში, XV საუკუნიდან მსხვილი საეკლესიო სახლის შიგნით საბოლოოდ ჩამოყალიბდა საეკვდრო-საწინამძღვრო მფლობელობა. ამით მოხდა ერთიანი საეკლესიო მფლობელობის დაშლა წვრილ ერთეულებად: საეკვდრო-საწინამძღვრო მფლობელობა დაუპირისპირდა საერთო (სახასო) მფლობელობას, მაგრამ თავის მხრივ ისიც გაზრდის გზას ადგას. ეს ნახევ-

რად დამოუკიდებელი ფეოდალური ორგანიზაცია ადასტურებდა, რომ საეკლესიო სფეროშიც საკუთრების განვითარება მიდის არა ინდივიდუალური ფეოდალური მფლობელობის გზით, არამედ ხდება შემდგომი დაშლა ისევ „სახლის“ (საერთო) მფლობელობის ნიშნით შიდა იერარქიითურთ, თუმცა საეკლესიო მიწისმფლობელობაში ეს დაქუცმაცება შედარებით მაინც გარკვეულად ზღვარდებული იყო. გამრავლებული წინამძღვრები კვლავინდებურად სენიორიის ცენტრს ქმნიდნენ[1].

XIII—XV საუკუნეებში, ძნელბედობის პერიოდში, როცა მსხვილი მიწისმფლობელობის ძველი ცენტრები მოიშალა, ხოლო ახლის შექმნისათვის ბუნებრივი გზები მეტად შეიზღუდა (აღარ იყო სოფლის მეურნეობა მაღალშემოსავლიანი, აღარ ჰქონდა ქალაქთან კავშირი, აღარ ხდებოდა განვითარებული მელიორაციის გზით აგრიკულტურისათვის ახალი მიწების ათვისება, მეურნეობის განვითარების საფუძველზე თავისუფალი თემების ბატონყმობაში ჩაბმა...) გაუყოფელი, საერთო მამული ერთ-ერთ საშუალებად იქცა მსხვილი მფლობელობის გაზრდა-შენარჩუნებისათვის. ამავე დროს ის პოლიტიკურადაც მისაღები შეიქნა: ხელს უწყობდა განსაზღვრულ ტერიტორიაზე მფლობელთა კლასობრივ შეკავშირებას, მათ კომპაქტურ მფლობელობას, აძლიერებდა ექსპლოატაციის იარაღს, განსაკუთრებით კი იმ პირობებში, როცა შემცირებული იყო მსახურეულ წვრილ აზნაურთა რიცხვი.

ფეოდალური მონარქიის (მშრომელ მოსახლეობაზე კლასობრივი ბატონობის მძლავრი იარაღის) შესუსტების პირობებში ბუნებრივი იყო ადგილობრივად (დიდ საფეოდალოებში) გაძლიერებულიყო ამ როლის შემსრულებელი ძალა. ასეთად სათავადო გვევლინება. მაგრამ ამავე დროს ის ყველაზე უდიერი და უხეში საშუალება იყო, რომელიც ვერ იკისრებდა ბატონსა და ყმას შორის ურთიერთობის მომწესრიგებლის როლს და, პირიქით, ხელს შეუწყობდა ბატონყმური ექსპლოატაციის მახინჯი ფორმების დამკვიდრებას.

თათართა ბატონობის ხანგრძლივობამ, ტერიტორიების გადაქცევამ ხშირ და ხანგრძლივ სამხედრო მოქმედებათა ასპარეზად, როცა სამხედრო თავდაცვის ერთიანი ეროვნული ძალა სუსტი იყო ან ზოგჯერ სულ არ მოქმედებდა, ყოველივე ამ პირობებმა ბუნებრივად დააკისრა ადგილობრივ ძალებს თავიანთი თავის დაცვა. გაუყრელი სახლი ამ ვითარებაში კარგი საშუალება იყო თავდაცვისათვის.

ეს არის ყველა ის მიზეზი, რომლებმაც განაპირობეს ფეოდალური სახ-

---

[1] ბ. ლომინაძე, სამწირველო XIII საუკუნეში. მიმომხილველი, I, 1949, გვ. 309—332; ფეოდალური მიწისმფლობელობის ისტორიიდან („საწინამძღვრო“), მსკი, ნაკვ. 31, 1954, გვ. 145 — 157; ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 151 — 153.

ლის ასეთი შინაგანი სტრუქტურის (გაუყრელობის) ვარგისიანობა შესაბამის ისტორიულ სიტუაციაში. მაგრამ დასუსტებული ცენტრის თითქოს შესავსებად მოწოდებული ასეთი ფეოდალური ორგანიზაცია არ შეიძლებოდა თავისი სოციალური ბუნების გამო ცენტრის ინტერესებს დაქვემდებარებოდა.

გაუყოფელი სახლის დიდი მნიშვნელობა მსხვილი მიწისმფლობელობის დაცვისა და ექსპლოატაციის გაძლიერების საქმეში გამოვლინებულია არა მარტო ფეოდალური სახლის შინაგან ორგანიზაციაში, არამედ თვით ასეთი სახლების „შეყრილობის" სახითაც. ხდება ორი, სამი სახლის გაერთიანება; იქმნება საერთო მამული, რომლის თანამფლობელნი შეყრილი სახლები არიან. საამისო მაგალითები შეიძლება არაერთი მოვიტანოთ. საეკლესიო სფეროშიც იგივე მოვლენა იჩენს თავს XV ს. პირველი მეოთხედიდან, მაგრამ აქ საეროსაგან განსხვავებით ის თავისებურებაა, რომ მამულის გამსხვილებას (თანამფლობელობას) თან სდევს იერარქიული დაქვემდებარებაც (სარგებლობის წილი კი თანაბარი რჩება)[1].

საერთო მამულის შექმნის პრინციპი უდევს საფუძვლად ამ პერიოდში გავრცელებულ ისეთ მოვლენას, როგორიც „მოდაწერილობაა". მაგ., სამცხის სპასალარის ბექა მანდატურთუხუცესის შვილიშვილი ყვარყვარე და ჯავახიშვილი კახა ერთიანდებიან: „მოყვარე ვყოფილვართ... მოდაწერილნი და გაუყრელი ვიყვნეთ როგორც ძველად ვყოფილვართ"[2]. მაგალითების დასახელება მრავლად შეიძლებოდა.

ამგვარად, ჩვენ ვნახეთ, რომ მსხვილი მიწისმფლობელობის შექმნას საფუძვლად ედო ფეოდალური საკუთრების არა ინდივიდუალიზაცია, არამედ მამულების გაერთიანება, საერთო სარგებლობის მამული კი არ შეიძლება ფეოდალური საკუთრების განვითარების მაღალი საფეხური იყოს.

სახლების შეყრილობა ივ. ჯავახიშვილმა მიიჩნია ამ პერიოდისათვის დამახასიათებელ ახალ მოვლენად და საკუთარი სამართლიანად მას უკუსვლაც უწოდა[3]. აშკარაა, რომ საერთო მამული XIII — XV საუკუნეებისათვის უბრალოდ ისტორიული მემკვიდრეობა კი არაა, არამედ გარკვეული სისტემა. ყველა ეს მოვლენა: სათავადო (გაუყრელი სახლი), შეყრილობა, მოდაწერილობა-გაერთიანება „გზას უხშობდა მიწის ფეოდალური საკუთრების ინდივიდუალიზაციის პროცესს და განამტკიცებდა საგვარეულო

---

[1] ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, 1966, გვ. 89, 101.

[2] საქართველოს სიძველენი, II, გვ. 7—8.

[3] ქართველი ერის ისტორია, IV, 1948, გვ. 184.

მფლობელობას (საგვარეულო მამულს), მამულის საერთო მფლობელობას" (ვ. გაბაშვილი)[1].

XV ს. მეორე ნახევრიდან ქვეყანა სამთავროებითა და სათავადოებით მოიფინა. სამცხის, გურიის, ოდიშის სამთავროები უკვე კარგა ხნის ფაქტი იყო, ხოლო XV ს-ში ქართლი ქაჩიბაძე-ბარათიანთა, ჯავახიშვილ-ფანასკერტელთა, გაბელისძეთა, ჩიჯავაძეთა, ზედგენიძეთა, ქსნის ერისთავის, შაბურისძეთა, აბულეთის ძე აბაზაძეთა და სხვათა „მამულების ჯამი" იყო (ნ. ბერძენიშვილი).

როგორც ვთქვით, თავადი სათანადო აპარატით სახლის წევრებთან ერთად განსაზღვრულ ტერიტორიაზე ახორციელებდა კოლეგიურ მმართველობას და მფლობელობას. თავადი სათავადოში იყო არა მარტო მემამულე-ბატონი, მას ჰქონდა სახელმწიფოებრივი ფუნქციაც (ისტორიულად ცენტრიდან მითვისებული სხვადასხვა გზითა და საშუალებებით). თავადი იყო მისი საყმოს უშუალო ბატონ-პატრონი აღჭურვილი საგადასახადო, სასამართლო და სხვ. შეუვალობებით. თავადის პოლიტიკურ-სამამულო უფლებათა შინაარსს, ნახევრად ხელმწიფობამდე მიღწეულს, ის ასაფუძვლებდა, რომ თავადი — სათავადო, ახლა ხასიათდებოდა თითქმის უპირობო, ალოდიალური საკუთრების თვისებით, როცა მეფე-სიუზერენთან ყმური-ვასალური კავშირი ფიქციად იყო ქცეული. თავადის სწრაფვა სრული სუვერენობისაკენ რამდენადაც ობიექტურად მაინც ზღვარდებული იყო (მას არ შეეძლო მთავარივით ტერიტორიულ გამოყოფამდე მიეღწია სხვადასხვა ეკონომიკური, პოლიტიკური, გეოგრაფიული... მიზეზების გამო), ამიტომაც სათავადოთა სისტემა ეგუებოდა პოლიტიკური ცენტრის არსებობას, მაგრამ ეგუებოდა მხოლოდ სუსტს, ისეთ მეფე-სიუზერენს, რომელიც ვერ შეძლებდა თავადის შეზღუდვას, მისთვის საჭირო იქნებოდა იგი თავადთა შორის შინაგანი წონასწორობის დასაცავად და სხვ.

სათავადო მიწისმფლობელობას, რამდენადაც ის ჯერ კიდევ არ არის გამოსული მონარქიის შემადგენლობიდან, გარკვეულად შეეძლო შეევსო დასუსტებული ცენტრი: თავადს შეეძლო გაეწია სამეურნეო-ეკონომიკური აღორძინების საჭირო საქმიანობა, ქვეყნის სამხედრო თავდაცვისათვის აეშენებია ციხესიმაგრეები, ეზრუნა მოლაშქრეთა გამრავლებისა და შეიარაღებისათვის და სხვ. XV ს. თავადს უკვე ეკისრება შეწერით გამოიყვანოს ლაშქარი თავის სათავადოდან (ვახუშტი ბაგრატიონი). ამგვარად, პოლიტიკურად და ეკონომიკურად დასუსტებული ცენტრის საყრდენ ძალად თანდათან თავადის სახლი იქცევა. ცენტრალური ხელისუფლება იძულე-

---

[1] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, 1958, გვ. 144.

ბულია ამ ნახევრად გახელმწიფებულ მსხვილ მემამულე-სენიორს არა მხოლოდ დაეყრდნოს ადგილზე მმართველობის საქმეებში, არამედ ცენტრთან კავშირის აღსადგენად და შესანარჩუნებლად გადასცეს მას სამეფო კარის თანამდებობები. მაგრამ საქმე ის იყო, რომ სათავადოს თავისი სოციალური აღნაგობით და პოლიტიკური ფორმით არ შეეძლო ცენტრის ინტერესებს შეგუებოდა, პირიქით, კარჩაკეტილობისაკენ, სრული ხელმწიფობისაკენ (სუვერენობისაკენ) სწრაფვა თავადის თანდაყოლილი თვისება იყო. ამიტომაც თავადის ყოველგვარ სამეურნეო-პოლიტიკურ მოღვაწეობას ძალიან შემოფარგლული მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის საერთო კეთილდღეობის თვალსაზრისით. სათავადოთა სისტემა ხელს უწყობდა ფეოდალური მეურნეობის ისედაც კარჩაკეტილობის გაღრმავებას.

თავი მეთხუთმეტე ცენტრალური ხელისუფლების ბრძოლა დარღვეულ სოციალურ ურთიერთობათა აღსადგენად (XIV—XV სს.)

მსხვილი მამულები XIII საუკუნიდან ყალიბდებიან ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკური ნგრევის პროცესში, ცენტრალური ხელისუფლების გარეშე ან მისი შეზღუდული მონაწილეობით. ასეთი მამულის მჭერი ფეოდალი, რადგან ის ცენტრის კონტროლს მეტ-ნაკლებად ჩამოშორებულია, შეუვალი ბატონი-ხელმწიფე ხდება.

თუმცა პოლიტიკური და ეკონომიკურ-სამეურნეო ფაქტორები აქ საკალდებულო ფონია, რომელიც აპირობებს ასეთ შედეგს, მაგრამ პირველი მიზეზი თვითონ სამამულო სისტემაა, რომელსაც შეეძლო სახელდებულ პირობებში წარმოეშვა ასეთი და არა სხვანაირი მამული. იმ დროს, როცა ფეოდალის ყოველგვარი ინტერესი მხოლოდ მის ადგილობრივად განდიდებას დაექვემდებარა, ასეთი სამფლობელოს სრულ მითვისებას, რომელიც მას ისედაც „მკვიდრად და სამამულოდ" ეჭირა, აღარაფერი აბრკოლებდა, გარდა იმისა, რომ მას სხვადასხვა საშუალებით თავიდან მოეშორებინა სენიორის თუ სიუზერენის უფლებები. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ორბელთა, სადუნ მანკაბერდელის, ზევდგინიძეთა (და სხვა მსგავსთა) მამული არ იყო კანონზომიერი მოვლენა ქართული ფეოდალიზმისათვის, მისი წარმოშობა არსებულ სიტუაციაში აუცილებელი გახდა.

ცენტრალური ხელისუფლება ებრძვის მსხვილი მამულების ასეთ მიმართულებას, ცდილობს თავის ინტერესებს დაუქვემდებაროს მზარდი ფეოდალის სახლი. ერთადერთი საშუალება ცენტრის ხელში ასეთ ფეოდალთა დასამორჩილებლად ეს იყო ისევ სამამულო სისტემა, რომელიც მას თავის სასარგებლოდ უნდა მოემარჯვებინა. ამიტომ ყოველი სოციალური ღონისძიება XIV—XV საუკუნეებში, პირველ რიგში, მხოლოდ ძველებური ურთიერთობის პრინციპის აღდგენას გულისხმობდა. სწორედ ამ ღონისძიებებში გამოვლინდა აშკარად, თუ რაოდენ ღრმად იყო დარღვეული წონასწორობა, რაოდენ დიდი უფლებები მოეპოვებინა

ფეოდალს თავის ყმა-მამულზე, რაოდენ გამოცლილი ჰქონდა ცენტრს ეკონომიკურ-სოციალური ძალები და ყოველივე ეს პერიფერიას იყო მიტაცებული. აშკარად ჩანდა, აგრეთვე რომ აღდგენას ესაჭიროებოდა ხანგრძლივი დრო და მტკიცე ეკონომიკური ბაზა, ისევ იმ პირობების შექმნა, რამაც თავის დროზე გააერთიანა ქვეყანა (მის რღვევას კი სამი საუკუნე მოუნდა). მაგრამ მომდევნო ისტორიულმა ვითარებამ და საბოლოოდ ოსმალებისა და სხვათა ბატონობამ... კვლავ და უფრო მკაცრად დააბშო წინსვლის გზები.

როგორც უკვე ითქვა, ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური რესტავრაციები ქრონოლოგიურად ერთდროულად ხდებოდა, მაგრამ საჭიროა წინასწარ გვახსოვდეს ის გარემოება, რომ სოციალური აღდგენები, შესაბამისი პერიოდების ხანმოკლეობის გამო (შეწყვეტას იწვევდა ახალ-ახალი გართულებები), ვერც სათანადო სიმტკიცით და ვერც სისრულით ვერ ხერხდებოდა. მათი მნიშვნელობა ქვეყნის კეთილდღეობისათვის, ცხადია, დიდი იყო.

აღდგენითი ღონისძიებები თვალსაჩინოდ ავლენენ, თუ რა დაირღვა ამ ხნის განმავლობაში. აღდგენით პერიოდებად, როგორც აღნიშნული გვაქვს, უნდა ჩაითვალოს გიორგი ბრწყინვალის (1314—1346) და ალექსანდრე დიდის (1412—1442) მმართველობის ხანა, რომლებიც ერთგვარ შესვენებებს ქმნიდნენ დიდი კატასტროფების შემდეგ.

1. ცენტრალური ხელისუფლება ცდილობს აღადგინოს სამამულო ბოძებულობაზე პირობითობის რეალური შინაარსი, რომელიც ამ დროს ძალზე შეილახა ან ფაქტიურად მოისპო კიდეც, ე. ი. მეფე ცდილობს აღადგინოს მებატონე ფეოდალზე (რომლის ყმობა ფორმალური გამხდარა) უზენაესი პატრონის რეალური შინაარსი. იგი ამას ახორციელებს ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში იმის მიხედვით, თუ როდის და როგორ შეუძლია: ყმის ხელახლად შეწყალება, დაუმორჩილებელი ყმა-ფეოდალის შეცვლა ან მისი სრული ფიზიკური მოსპობა და ა. შ.

თავის ადგილას ჩვენ უკვე გავეცანით გიორგი ბრწყინვალის ისეთ რადიკალურ ღონისძიებას, როგორიც იყო ცივის დარბაზზე მშვიდობიანად მოწვეული ჰერ-კახ და სომხითარ ერისთავთა ამოწყვეტა. ეს იყო მეფის მიერ ერთ-ერთი აუცილებელი ზომა ცენტრს ჩამოშორებული დიდი ფეოდალ-მთავრების წინააღმდეგ. საყურადღებოა ისტორიკოს ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა იმის შესახებ, რომ განთავისუფლებულ ადგილებზე მეფეს დაუნიშნავს არა ადგილობრივები, არამედ ცენტრიდან გაგზავნილები. ასევე გამოუცვლია მას ერისთავები იმერეთში, სადაც ერთგულნი „თვისნი დასხნაო“[1].

---

[1] ვახუშტი, ქ. ცხ., IV, გვ. 256, 258.

განკერძოების აღმოსაფხვრელად ეს ღონისძიებები, ჩანს, საკმარისი ვერ აღმოჩნდა. თემურლენგის შემოსევებმა კიდევ უფრო გააღრმავა იგი და უკვე ის დროც დადგა, როცა გაძლიერებული დიდი მთავრები დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად მეფეს ომსაც კი უმართავენ. როგორც განხილული გვქონდა, ალექსანდრემ მის წინააღმდეგ გამოლაშქრებული სამცხის მთავარი დააპატიმრა, ხოლო ასევე შეუდგა ურჩი ერისთავების დასჯას: ზოგი საქართველოდან გააძევა, ზოგს სამუდამოდ ჩამოართვა ერისთავობა, მათ მაგიერ ერთგულნი დაადგინა და სხვ. მაგრამ ყველა ეს ღონისძიება უკვე უნაყოფო ჩანდა, რადგან კარგახანი იყო, რაც მოხელე ერისთავები მთავრებად (ხელმწიფეებად) ქცეულიყვნენ, თავიანთი მამულები (სამკვიდრო და ყოფილი სახელო ტერიტორიები) „თვისად“ მიესაკუთრებინათ.

XV ს. 40—50-იან წლებში ცენტრალური ხელისუფლება ფართო ზომებს მიმართავდა შერყეული ფეოდალური მიწისმფლობელობის აღსადგენად. შემთხვევითი არაა ამ პერიოდში მამულების დამტკიცება-ბოძებულობის სიხშირე. ამ ღონისძიებებში ჩანს მეფის ფართო მიზანდასახულობაც: აღადგინოს ნორმალური, ცენტრის სასარგებლო სამამულო სისტემა. მეფეს სურს დაადასტუროს და დოკუმენტურად მტკიცედ ჰყოს ფეოდალზე თავისი სენიორული უზენაესობა[1].

მეფის თვალსაზრისით, ბევრ მემამულეს სამამულო სიგელები მიღებული ჰქონდა მძლავრობით, „ჟამსა შიგან მეჟმეობით“, ამიტომ მათი მამულები „უსამართლოდ ნაქონებია“, „ტყუილია“ და ა. შ. მართლაც, ამ ნაშრომის სათანადო ადგილას ჩვენ უკვე გავეცანით არაერთ მაგალითს, თუ როგორ ახერხებდნენ სხვადასხვა გზითა და საშუალებებით მამულების მიმძლავრებას, ანდა მათზე მეფისაგან ნებსით თუ ძალით უმაღლესი სანქციის მოპოვებას. ბუნებრივია, თუ მეფე-რესტავრატორი საეჭვოდ უყურებს ასეთი საკუთრების კანონიერებას, მას სურვილი აქვს მოახდინოს ახალი სიგელების სახით ამ მფლობელობის ხელახალი გადანაწილება. მაგრამ, როგორც კარგად ჩანს, ცენტრალური ხელისუფლება პრაქტიკულად მაინცდამაინც ვერ ახერხებს ფ ა რ თ ო დ გაატაროს ეს ღონისძიება (მემამულეებს ჩამოართვას, მისი თვალსაზრისით, მიმძლავრებული მამულები) და იგი უფრო იმით კმაყოფილდება, რომ მამულის ახლად გაცემის თუ დამტკიცების დროს წინასწარ გაცუდებულად აცხადებს სხვათა მოსალოდნელ მემამულეობას, ანდა ახალ მებატონეს უნარჩუნებს საკუთრებად მიტაცებულ მამულს, მაგრამ აღადგენს ამ ობიექტზე უზენაეს მესაკუთრულ უფლებებს. ეს უკანასკნელი შემთხვევა რელიეფურად აღწერი-

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 118, 120, 130, 137 და სხვ.; ისტორიული საბუთები, III, გვ. 17.

ლია ალექსანდრე მეფის 1434 წლის სიგელში, რომელიც შეეხება მცხეთის სვეტიცხოვლისათვის დაკარგული მამულის ხელახლა დამტკიცებას (მცხეთის საკათალიკოსოს ინტერესების დაცვა უკვე გასაგებია, რადგან ჩვენ ვიცით, რომ მცხეთა მეფის ხელდებული იყო).

დასახელებული საბუთიდან ირკვევა, რომ მცხეთამ თავისი დიდი „მკვიდრი მამული“ ციხე არმაზი და მონასტერი მისი შემოსავლითურთ დაკარგა. ის „ჟამთა ვითარებისაგან“ ფეოდალმა, ვინმე ჯაუნარმა მიითვისა. კათალიკოსის თხოვნით მეფემ ჯაუნარს „წაუღო“ ეს ქონება და ისევ მცხეთას დაუმტკიცა; მეფისავე სანქციით ჯაუნარის შემდეგ მცხეთამ ეს თავისი მამული ისევ ჯაუნარის შვილს და მის მემკვიდრეებს მისცა „სარჩომად“, მაგრამ, სამაგიეროდ, ამ ჯაუნარის შვილს და მის მომავალს მცხეთის „ყმობა“ დააკისრა („ხლება“). „ყმობის“ პირობა ჩვეულებრივია: ჯაუნარის შვილი და მისი მემკვიდრეები ემსახურებიან („ხლება“) მცხეთას. არის მეფისა და კათალიკოსის საგანგებო გაფრთხილებაც: ჯაუნარის სახლმა არასდროს ეს მემკვიდრეობითი „სარჩომი“ (არმაზი და მონასტერი) თავისთვის „მემამულეობით არ უნდა მოინდომონ“, ე. ი. ამ შემთხვევაში მეპატრონე-მესაკუთრის უფლებით.

ის ფაქტი, რომ ჯაუნარის სახლმა მაინც შეძლო (თუმცა სხვა ფორმით) აღნიშნული ობიექტის თავის მემკვიდრეობით განკარგულებაში დატოვება, მოწმობს სამსახურის პირობით მიღებული მიწა-წყლის მისაკუთრების კარგახნის განმტკიცებულ წესს. პატრონის მხრივ ეს უდავოდ იძულებითი კომპრომისი სწორედ ცოტას ლაპარაკობს მეფის ღონისძიებების წარმატებაზე: პატრონმა ის შეძლო, რომ მან საკუთრებით მიტაცებულ ქონებაზე მისაღები სამამულო დამოკიდებულება დაამყარა და ამ გზით თავისი ყოფილი მამული ისევ თავის პატრონობაში („მემამულეობაში“) მოაქცია[1].

სამამულო სისტემის აღდგენისათვის ცდას მოწმობს სხვა არაერთი ფაქტიც, რომელიც შეწყალების საბუთებში არის აღბეჭდილი. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ალექსანდრე მეფის მიერ ავთანდილ ზევდგინიძისადმი გორის მოურავობის ბოძების საბუთი (1430 წ). მეფე „ერთგულად და თავდადებით ნამსახურ ყმას“ ავთანდილ ზევდგინიძეს და მის სახლს „საჩაცვლოდ“ ერთგულებისა „სამკვიდროდ“ უბოძებს გორის მოურავობას. პირობა ასეთი იდება: „არას ჟამისა შემოსრულობისა და გამოცვალებისათუის, არასა ჟამსა შიგან არა მოგეშალოს. გქონდეს თქუენ დიდად ერთგულთა და თავდადებით ნამსახურთა... და არა წაგეღოს. და თუ რამე ასეთი საქმე შეგუცოდოსთ რომე მოურავობისა წაღება გუმართებდეს, სხვითა სამამულოთა გარდაგახდევინოთ და მოურავობა არცა მაშინ წაგიღოთ“[2].

---

[1] ისტორიული საბუთები, III, გვ. 15—17.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 124 — 126.

მოტანილი საბუთი, ისე როგორც სხვა საბუთები, გვირკვევს სამამულო სისტემის არსს, რომლის დაცვისათვის მეფე-სიუზერენი იბრძვის: გორის მოურავობა ყმა-ფეოდალს ეძლევა მემკვიდრეობით, ანუ „შეუცვლელად", რაც იმას ნიშნავს, რომ არავითარი დროისა და გარემოების შეცვლის გამო მას და არც მის მემკვიდრეებს არ უნდა ჩამოერთვათ ის მეფისაგან; მაგრამ ეს მემკვიდრეობითობა მაინც არ არის აბსოლუტური, რაიმე პირობითობის გარეშე და სწორედ ასეთი შეუცვალებელი მემკვიდრეობა მაინც ირღვევა (მეფეს მაინც აქვს უფლება წაართვას ყმას ეს ნაბოძები), თუ პირობა დაარღვია ყმა-ფეოდალმა, თუ ერთგულად სამსახურს გადაუხვია და დანაშაული ჩაიდინა: „და თუ რამე ასეთი საქმე შეგუცოდოსთ რომე მოურავობისა წაღება გუმართებდესო". ეს არის სწორედ იმის მოწმობა, რომ პირობითობა აქ მკაცრად არის აღიარებული. მეფე-სიუზერენი ხაზს უსვამს ურჩი ყმის მის მიერ შეცვალების უფლებას (რის ძალაც მას შელახული ან სრულიად მომსპარი ჰქონდა). ამგვარად, ნორმალურ პირობებში ყმა-ფეოდალის მემკვიდრეობითი, ანუ „შეუცვალებელი" მფლობელობა გულისხმობს მეფე-სენიორისაგან მუდმივ კონტროლს (გამოიხატება ძველებურადვე მამულების ხელახალ დამტკიცებაში, დანაშაულისას უკან გამორთმევაში და ა. შ.).

აღწერილ შემთხვევას ახლავს ასეთი დამატებაც: სენიორ-მეფეს (და, ცხადია, ყმასაც) სურს ეს ბოძებულობა ჩვეულებრივზე კიდევ უფრო მტკიცე გახადოს და მეფე-სენიორი ყმას ჰპირდება არც დანაშაულის დროს წაართვას გორის მოურავობა, არამედ კუთვნილი სასჯელი სხვა სამკვიდროს გამორთმევით მოახდევინოს („სხვითა სამამულოთა გარდახდევინოთო"). მთავარი აქ ისაა, რომ ყმის დასჯა პირობის დარღვევის შემთხვევაში ისევ რჩება ძალაში და ეს განსაზღვრავს მეფე-სიუზერენისათვის მისაღებ სამამულო სისტემის არსს. მთელი სამამულო ბრძოლა, როგორც ვნახეთ, ეს იყო ყმა-ფეოდალის ბრძოლა ცენტრისაგან სრული დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის და, ცხადია, მეფე ასეთ დამოუკიდებელ ყმას ვერც დასჯიდა დანაშაულის შემთხვევაში. მოტანილ მაგალითში სწორედ მეფის უფლებაა აღიარებული (დანაშაულის შემთხვევაში სჯის).

ჩვენ გვაქვს ამავე დროის სხვა საბუთებიც, რომლის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, თუ პრაქტიკულად რა დონეს აღწევდა მეფე-სიუზერენის ხელში შეცვალების უფლება. საბუთები გვიჩვენებენ ცალკეულ შემთხვევებში მეფის გარკვეულ წარმატებას.

1426 წელს ალექსანდრე აძლევს „ერთგულად ნამსახურ ყმას" ზევდგინიძეებს გორის მოურავს ავთანდილს და სხვებს „საყმოდ" (ფეოდალურ საკუთრებად) ქარუმისძე ქავთარს მისი შვილებითა და მამულით: „სამკვიდროდ, სამამულოდ და უცილებლად", რომ „ვერას ჟამისა შემოსულობისათვის" ვერავინ დაგეცილონო; მეფე ამ ბოძებულობის უაღრესი სიმტკი-

ცისათვის იმასაც წინასწარ განსაზღვრავს, რომ, „თუ ვის რა ამა ჩუენგან ბოძებულისა წიგნი და ნიშანი აქუს, ყველა ამა სიგლითა გაგვიცუდებია და მტკიცე ესე ოდენ არისო“.

შემონახული გვაქვს ამ ნაბოძების შესახებ მომდევნო მეფის გიორგის 1453 წლის საბუთი, საიდანაც ვიგებთ, რომ მეფეს ასე უცილობლად და სამკვიდროდ ბოძებული მამული, ქარუმისძენი ზევდგინიძეებისათვის წაურთმევია. საყურადღებო აქ ისაა, რომ ეს ჩამორთმევა ზევდგინიძეების „ბრალის“ (დანაშაულის) ჩადენის გამო მომხდარა: „ნაბოძავმან კაცმან (ე. ი. ქარუმისძემ—ბ. ლ.) თქვენი თავი შემოგვაბეზღა და ცოტაოდენ ხანსა“ ჩამოგვართვითო. შემდეგში, როგორც კი გამორკვეულა ზევდგინიძეთა უდანაშაულობანი, მეფეს ჩამორთმეული ქარუმისძენი ისევ დაუბრუნებია მათთვის[1].

ამგვარად, მოტანილი მაგალითი გვირკვევს, რომ მეფეს გარკვეულ შემთხვევაში პრაქტიკულადაც ძალა შესწევს უცილობელი და მემკვიდრეობითი ბოძებულობა გამოართვას ყმა-ვასალს და, მეორე, რაც მთავარია, ეს მოიმოქმედოს ყმა-ვასალის დანაშაულის შემთხვევაში. მაშასადამე, ნორმალური ურთიერთობის დედააზრი ისაა, რომ პირობითობას რეალური შინაარსი ჰქონდეს: რომ ბ ო ძ ე ბ უ ლ ო ბ ა ს ს ი მ ტ კ ი ც ე ს ა ნ ი ჭ ე ბ ს მ ხ ო ლ ო დ პ ი რ ო ბ ი თ ო ბ ი ს დ ა უ რ ღ ვ ე ვ ლ ო ბ ა დ ა ა რ ა თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ი თ ო ბ ა. ასეთი სამამულო სისტემის (ფეოდალური საკუთრების) დაცვისათვის იბრძვის მეფე-სენიორი.

მეორე შემთხვევაში მეფეს ძალიან უჭირს, ძალაც არა აქვს განახორციელოს თავისი უფლება ყმა-ვასალის დასჯისა ან „შეცვალებისა“. მეფე ვახტანგი (1443—1446) თავად თაყა ფანასკერტელის „ხელთ შეპყრობას აპირებდა ბადაბავს“, მაგრამ „ვერა გაბედეს ხელთა შეპყრობა“, რადგან „ჰხედავდა, რომ ასეთი რამ ადვილად არ ჩაუვლიდა მას“[2], ეს ყმა-ფეოდალი მეფეს შეიარაღებული ძალით დაუხვდებოდა... ახლა მეფე-სიუზერენს ის დარჩენია, ასეთი თავადები „მოიმადლოს“ სახელოს წყალობით, რათა ამ გზით თავის სამსახურში ჩააყენოს ისინი: თაყა ციციშვილს მეფემ ატენის მოურავობა უბოძა, მაგრამ „მეფე დია დაღონდა ატენის მიცემასო“, გვეუბნება წყარო. იქვე კი დასძენს, მეფე დააიმედეს — ატენის დაკარგვას ნუ დაეძებ, თუკი „მისთანა კაცი მოიმადლოო“.

XV ს. მეორე ნახევარში ეს უფლება პრაქტიკულად თითქმის გაქარწყლებულია, რამდენადაც სამთავრო-სათავადოთა სისტემამ დასრულებუ-

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 132—133.

[2] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში (დოკუმენტები კრიტიკული წერილით), მსკი, ნაკვ. I, 1937, გვ. 22, 52.

ლი სახე მიიღო, „თავადი“ ფეოდალები ძლიერად ისხდნენ თავიანთ საყმოსაფეოდალოებში.

2. ცენტრალისტური ძალების სოციალურ უფლებათა აღდგენა-დაცვისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ძლიერ საეკლესიო მიწისმფლობელობას. როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია დადგენილი, მეფემ აქ რეალურად შეინარჩუნა მაღალი სენიორალური უფლებები. მეფის სამამულო დამოკიდებულება ეკლესიასთან ემსახურებოდა ცენტრის გაძლიერებას. ეს გარემოება უეჭველად ერთ-ერთი დიდი ფაქტორი იყო, რომ პროგრესულ ძალებს რეაქციასთან ბრძოლის უნარი არ დაშრეტოდათ.

3. ეკლესია, როგორც ცენტრალური ხელისუფლების სოციალურ-პოლიტიკური საყრდენი, საჭიროებდა არა მხოლოდ ეკონომიკურ გაძლიერებას, არამედ მაღალ მორალურ ავტორიტეტსაც. ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკა XV ს. 40—50-იან წლებში გამოირჩევა ეკლესიის დაცემული მორალური ძალის ამაღლებისათვის ზრუნვით. უნდა დავასახელოთ სამთავისის საეპისკოპოსო სამწყსოს გარიგების წიგნი, რომელიც შეადგინეს 1459 წელს. როგორც ამ დოკუმენტიდან ირკვევა, განზრახული იყო სამთავისის საეპისკოპოსო ტერიტორიაზე არა მხოლოდ სამეურნეო-ეკონომიკური საქმეების მოწესრიგება, არამედ შერყეული რელიგიურ-სარწმუნოებრივი საქმეების ფართო მასშტაბით მოგვარებაც.

4. ცენტრალისტური ძალების (საშუალო და წვრილი აზნაურობა, გლეხობა) სოციალურ გაძლიერებას ემსახურებოდა ცენტრალური ხელისუფლების (ალექსანდრე დიდი) ეკონომიკური ხასიათის ფართო ღონისძიებებიც (მიწების დარიგება, მიწებზე დასახლება...).

საქართველოს მთავრობა სამხედრო-სოციალური საყრდენების აღსადგენად ყურადღებას აქცევდა სამეფო და საეკლესიო აზნაურთა რიცხობრივ ზრდასაც. როგორც არაერთი საბუთი მოწმობს, მეფე ახდენდა აზნაურობაში ახალი პირების აღზევებას, ამოვარდნილ-გადაშენებული სააზნაურო სახლების გაცოცხლებას და ა. შ. XV ს. პირველ ნახევარში რომ ეს ფართო ღონისძიებაა, ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ სწორედ ამ პერიოდში შეუდგენიათ აზნაურთა სასისხლო სიგელების უმრავლესობა (ზოგი ნატყუარიც).

როგორც თავიდანვე აღნიშნული გვაქვს, სოციალურ-ეკონომიკურმა აღდგენებმა ვერ მიიღეს დასრულებული სახე და ამდენად ვერ მოგვცეს შესაფერისი შედეგიც (რეგრესის ლიკვიდაცია). რესტავრაციების პერიოდები ხანმოკლე იყო, მას არ გააჩნდა სათანადო ეკონომიკური ბაზა (ქალაქების, ვაჭრობა-აღებმიცემობის განვითარება). XV ს. 40—50-იან წლებშიც, მიუხედავად ცალკეული წარმატებებისა, განვითარების ძირითად გეზს დაშლილობა წარმოადგენდა, რომელიც დაძლეული ვერ იქნა.

უნდა აღინიშნოს XV ს. მეორე ნახევარში მსხვილ მამულზე ცენტრის

შესუსტებული გავლენის ზოგი დამადასტურებელი ახალი მოვლენაც. როგორც უკვე ვიცით, მეფისაგან მამულის ახლად ბოძების ან დამტკიცების დროს, როგორც წესი, მემამულე იხდიდა სიგელის მიღებისათვის გარკვეულ საურავს — ქრთამს. უზომოდ დიდი ქრთამი უდავოდ ამ დროის სიახლეა. მეფისათვის ეს ხელსაყრელი იყო, რადგან დიდი ქრთამი გაცემული მამულის ერთგვარ კომპენსაციად გამოდიოდა, მაგრამ ეს წესი საბოლოოდ დიდი ფეოდალის სასარგებლოდ მოქმედებდა, რადგანაც ასეთი მამული ფაქტიურად ნასყიდს უტოლდებოდა[1] და მასზე გამცემის უზენაესი უფლება ფაქტიურად ისპობოდა.

ეპოქის დამახასიათებელია, რომ ძლიერებამიღწეული დიდი ფეოდალები მიმართავენ გვარის დაძველებას, ცდილობენ თავიანთ მემამულეობას მოუნახონ იდეოლოგიური დასაბუთებაც. ითხზვება საგვარეულო მატიანეები, სადაც ამტკიცებენ, რომ მათი მფლობელობა კუთვნილ ტერიტორიაზე უძველესზე უძველესია და რომ, მაგ., მათ ძველი „ერისთავობა" თუ სხვა ძველი დიდი თანამდებობები, ქართველმა მეფემ კი არ მიუბოძა, არამედ ბერძენმა იმპერატორებმა და ა. შ. („ძეგლი ერისთავთა", შალვა ქვენიფნეველის 1470 წლის საბუთი).

გაბატონებული მსხვილი მიწისმფლობელობის ნიადაგზე აღმოცენებულმა სამთავროებმა და სათავადოებმა, ბუნებრივია, თანდათან შეამცირა, დაბოლოს, მინიმუმამდე დაიყვანა მეფის უშუალო განკარგულებაში მყოფი მიწა-წყალი (სამეფო დომენი), ამან კი არსებითად იმოქმედა ცენტრის პოლიტიკურ ძალაზე.

დაშლილობის — პოლიტიკური რეაქციის გამარჯვების დაგვირგვინება იყო XV ს-ის დასასრულ წლებში ერთიანი სახელმწიფოს სამ სახელმწიფოდ დანაწილების საბოლოო აქტი. გავიხსენოთ დარბაზის გადაწყვეტილება... ცენტრალური ხელისუფლება იძულებული გახდა ხელი აეღო მეფე-მთავართა წინააღმდეგ ბრძოლაზე და ეცნო ისინი, რადგან მათ უკვე დიდი ძალისათვის მიეღწიათ.

დასკვნა. XIII—XV საუკუნეები ფეოდალური საქართველოს ისტორიაში განსხვავებული ეტაპია. ეს არის ხანა ნომადთა — მონღოლების, თემურლენგის, თურქმანების — შემოსევებისა და ბატონობისა, ხანა ქართველთა ბრძოლებისა დამპყრობელთა წინააღმდეგ. დაპყრობათა შედეგად საქართველოს ბუნებრივი განვითარება ჯერ შეფერხებას და შემდეგ თანდათან დაქვეითებას იწყებს. ამ საუკუნეებში მომხდარმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა ცვლილებებმა გამოიწვიეს დიდი გარდატეხა, რომელმაც განსაზღვრა საქართველოს შემდგომი ისტორია.

დაპყრობათა მძიმე შედეგები განაპირობეს, უპირველეს ყოვლისა,

---

[1] საისტორიო მოამბე II, გვ. 275. ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 137.

დამპყრობელთა ბატონობის ხანგრძლივობამ და დაპყრობის ველურმა მეთოდებმა. თათარ-მონღოლთა დაპყრობები საქართველოს ტერიტორიაზე არ ატარებდა ერთდროულ, ეპიზოდურ ხასიათს. სამი საუკუნის განმავლობაში დამპყრობელთა ახალ-ახალი ტალღა განუწყვეტლივ ცვლიდა ერთმანეთს. ასეთ სიტუაციაში ეს საგარეო ფაქტორი თავისი ღრმა ზეგავლენის გამო საშინაო ფაქტორად იქცა.

თათარი დამპყრობლები წარმოადგენდნენ მომთაბარული მეჯოგეობის მიმდევარ, ბინადარი ცხოვრების უქონელ, ფეოდალური განვითარების უმდაბლეს საფეხურზე მდგომ ხალხს, რომლის მსგავსი დამპყრობელი საქართველოს თავის ტერიტორიაზე ასე ხანგრძლივად მანამდე არასდროს ენახა. სწორედ დაპყრობათა შედეგებზე, დამპყრობელის საზოგადოებრივ-კულტურული დონის გავლენის შესახებ მიუთითებდა ფრ. ენგელსი, როცა აღნიშნავდა: „თავისთავად ცხადია, რომ ყოველთვის, როცა დამპყრობელად ნაკლებ კულტურული ხალხი გამოდის, ეკონომიური განვითარება ფერხდება, ხოლო საწარმოო ძალები ნადგურდება“[1].

საზოგადოებრივი წყობის შესაბამისად მათ დაპყრობებსა და მოძრაობებს მიზანიც განსხვავებული ჰქონდა. ეს იყო მუდმივი ძარცვა-ომი, როგორც შემოსავლის მზამზარეული წყარო, ბრძოლა მიწებისათვის (დაპყრობილ ქვეყნებში ადგილობრივი ბინადარი მოსახლეობის შემცირება მიწების გასათავისუფლებლად, ადგილობრივი ინტენსიური მეურნეობის შეცვლა ექსტენსიური მეურნეობით...). მდგომარეობას კიდევ უფრო ის ამძიმებდა, რომ დაპყრობის საშუალებები, ანუ დაპყრობილი ქვეყნის ექსპლოატაციის მეთოდები, მათ შესაფერისად უხეში და დაუნდობელი ჰქონდათ. ეს იყო დაპყრობილი მოსახლეობის ფიზიკური გაჟლეტა უშუალოდ ან მუდმივ ლაშქრობებში სავალდებულო მონაწილეობით, აყრა-გადასახლება, მძიმე ხარკი და გადასახადები.

საქართველოში მომთაბარე დამპყრობელთა ბატონობის უშუალო შედეგები, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში აისახა. ეს იყო სამიწათმოქმედო ტერიტორიების შემცირება. დამპყრობლები ენერგიულად იბრძოდნენ მომთაბარე მეჯოგეობის დასანერგად. ახორციელებდნენ კიდეც ქვეყნის შიდა და განაპირა ტერიტორიებზე ჩამოჯდომას. მდ. ივრის, მტკვრის, ხრამის, დებედას ხეობებსა და სანაპიროებზე ადგილობრივი მოსახლეობა შეიცვალა მომთაბარე ტომებით. განვითარებულ მელიორაციაზე დამყარებული აქაური კულტურული მეურნეობანი შეიცვალა მომთაბარული საძოვრებით. ფეოდალური მეურნეობა შევიწროვდა მთაშიც: დამპყრობლებმა თავიანთი საზაფხულო საძოვრებისათვის ქარ-

---

[1] ფრ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, 1952, გვ. 216.

თველ ფეოდალებსა და გლეხებს წაართვეს მაღალმთიანი საძოვრები. მწარმოებელი საზოგადოება ფიზიკურად შემცირდა, დაქვეითდა მისი საწარმოოუნარიანობა; სოფლის მეურნეობის დაცემას და მუდმივ ომებს თან მოჰყვა საქალაქო ცხოვრების მოშლა: შემცირდა ვაჭრობა, ხელოსნობა, დაღარიბდა და დაცარიელდა ქალაქები, დიდი ქალაქები სოფლებად იქცნენ, დაიცალა სოფლები. განსაკუთრებულად დაზიანდნენ საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო და შუაგული ტერიტორიები.

ეკონომიკური ძალების დაცემულობამ გამოიწვია ქვეყნის შინაგანი, სოციალური ურთიერთობების გამწვავება. კიდევ უფრო დამძიმდა გლეხის ბატონყმურ-უფლებრივი მდგომარეობა, შეილახა მოლაშქრეთა და წვრილაზნაურთა სოციალური უფლებები...

ქვეყნის გამაერთიანებელი ეკონომიკური და სოციალური ძალების დასუსტებით და ამასთან დამპყრობელთა მმართველობითი პოლიტიკის ხელშეწყობით ძირი გამოეთხარა განვითარებული ფეოდალიზმის მთავარ მონაპოვარს, ცენტრალური ხელისუფლების დამახასიათებელ სიმტკიცეს. ყველა სფეროში აღორძინებას იწყებს განკერძოებულობა-პარტიკულარიზმი. ასეთ პირობებში მსხვილი მიწისმფლობელობის განვითარებაც სულ სხვა გზით წარიმართა: გამარჯვებულ ქართულ პროგრესულ სამამულო სისტემას (პირობითი მემკვიდრეობითი, უცილობელი მამული) დაეხშო ბუნებრივი განვითარების გზა, იგი უკვე ფეოდალთა განკერძოებულობის შინაგანი საფუძველი შეიქნა. მონღოლების ბატონობის წინა პერიოდში საქართველოს ფეოდალური ურთიერთობა იმ სტადიაზე იმყოფებოდა, როცა „ამის შემდგომი განვითარება ამ ურთიერთობის დაშლის ტენდენციების ზრდის ნიშნის ქვეშ, ახალი (ბურჟუაზიული) ურთიერთობის ჩასახვის ნიშნის ქვეშ შეიძლებოდა მხოლოდ“[1]. XIII საუკუნიდან (შექმნილი ისტორიული პირობების გამო) თუ ფეოდალურმა მამულმა ვერ განავითარა ბურჟუაზიული საკუთრების ნიშნები, ვერ მოხდა ფეოდალური საკუთრების თანდათანობითი დაშლა, სამაგიეროდ მსხვილი მამული (ფეოდალისაგან მისი გასაკუთრების გზით) იქცა მეტნაკლებად უპირობო და ამასთან ცენტრს ჩამოცილებულ, ხელმწიფობის მქონე თვითკმარ ერთეულად, ამ ნიადაგზე ქვეყანა დაიშალა და მან მოგვცა შესაფერისი რეაქციული პოლიტიკური ფორმები: სამთავროები, სათავადოები...

მომთაბარე დამპყრობთა სამსაუკუნოვანი ბატონობის მთავარი და ამავე დროს ყველაზე მძიმე შედეგი პოლიტიკური დაშლილობა იყო. თუ ეკონომიკური ზარალი, რაგინდ დიდიც უნდა იყოს, შეიძლება შედარებით მოკლე დროში აღდგეს, სოციალურ ურთიერთობაში ფეხმოკიდებული დარღვევები ძალიან ძნელად ისპობა (მათ საბოლოო გაბატონებას ხომ საქართველოში სამი საუკუნე დასჭირდა...). ქვეყნის პროგრესული ძალები შესვენების პერიოდებში მიმართავდნენ აღდგენით ზომებს. მაგრამ აღდგე-

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, გვ. 160.

ნები სრულად ვერ ხორციელდებოდა ხანმოკლეობისა და შესაბამისი ბაზების ღრმად მოშლის გამო. დაშლილობის დაძლევა ვერ ხერხდებოდა. იგი შეუქცევად მოვლენად დარჩა მომდევნო საუკუნეებშიც და წყლულად გაჰყვა ფეოდალურ საქართველოს ბოლომდე.

თათარ-ნომადებთან ბრძოლაში საქართველომ დიდი ზარალი განიცადა, მაგრამ მან გამოამჟღავნა უზომო სიცოცხლისუნარიანობაც, გადარჩა როგორც ერი და სახელმწიფო. მიუხედავად იმისა, რომ ნგრევის შინაარსი ერთნაირი იყო საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში (სომხეთში, აზერბაიჯანსა და ირანში), მომთაბარე დამპყრობლებმა ის, რაც ვერ შეძლეს საქართველოში, წარმატებით განახორციელეს სომხეთსა და აზერბაიჯანში. იქ მათ მოახერხეს მეჯოგურ-მომთაბარული მეურნეობის ფართო დანერგვით თანდათან გამოედევნათ ან ასიმილაცია ეყოთ ადგილობრივ მფლობელთა კლასისათვის. იქ ფიზიკურადაც შეიცვალა ფეოდალთა ძირითადი შემადგენლობა. გაბატონდა ჩამორჩენილი აღმოსავლური მიწისმფლობელობა, რამაც საბოლოოდ (XVI ს.) შესაფერისი პოლიტიკური ფორმები წარმოშვეს (სახანოები...). საქართველოში ასე არ მოხდა. აქ გარკვეულად უფრო სუსტი აღმოჩნდა მომთაბარე დამპყრობთა ზემოქმედების ძალა. მთავარი საშუალება, რამაც უზრუნველყო საქართველოს გადარჩენა, ეს იყო მისი სრულყოფილი და მყარი ფეოდალური მიწისმფლობელობა, მაღალი სამეურნეო კულტურა, მეურნეობის აღდგენის სიადვილე და მოუშლელობა. ამას გარდა, ერთ-ერთ დამატებით პირობად სამეცნიერო ლიტერატურაში დასახელებულია ის გარემოებაც, რომ საქართველო მეზობლებისაგან განსხვავებით ყველაზე გვიან განიცდიდა დამპყრობელთა შემოსევებს. ამიტომ სანამ საქართველოს მოაღწევდა მტერი, იგი სუსტდებოდა და „ილეწებოდა მეტად ვრცელ ტერიტორიაზე (შუა აზია, ირანი, აზერბაიჯანი, სომხეთი)", რომელიც ბრძოლით უნდა გამოევლოთ[1]. ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო ნომადი დამპყრობლები იძულებული იყვნენ მოეთმინათ საქართველოს სახელმწიფოს არსებობა და დასჯერებოდნენ მის ვასალურ დამოკიდებულებას.

ქართული სახელმწიფოებრივობა და ფეოდალური სისტემა არ შეცვლილა. მან საქართველოს შეუნარჩუნა არსებობა, მაგრამ დიდადაც დაზიანდა. სწორედ უფრო მნიშვნელოვანი ეს გადარჩენა იყო ამ არაჩვეულებრივ პირობებში, ვიდრე ის ზარალი, ამ გადარჩენისათვის რომ მოუვიდა მას.

ამრიგად, მომავალ XVI საუკუნეს საქართველო ხვდებოდა თუმცა დაზარალებული, მაგრამ სიცოცხლისუნარიანი. ახლა მხოლოდ ხანგრძლივი ნორმალური პირობები იყო საჭირო ღრმად დარღვეული ცხოვრების აღდგენისათვის.

---

[1] ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, 1958, გვ. 101—104.

თავი მეთექვსმეტე

ქართული კულტურა XIII—XV საუკუნეებში

მონღოლ-თათართა ასწლოვან ბატონობას, თემურლენგის მრავალგზის გამანადგურებელ შემოსევებს და ამის შედეგად საქართველოს ეკონომიკურ დაცემას არ შეიძლებოდა არ გამოეწვია კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობის შენელება და შეფერხება. საგრძნობლად შემცირდა კულტურულ-საგანმანათლებლო კერების საქმიანობის მასშტაბი. უმრავლესობა სამწიგნობრო ცენტრებისა მიწასთან იქნა გასწორებული, მაგ., ქვათახევის მონასტერი, რომელიც თემურლენგის მეომრებმა სასტიკად დაარბიეს[1]. მაგრამ ძნელბედობის მძიმე პირობებშიც კი, დიდ კულტურაგამოვლილი ქართველი ხალხი მაინც ახერხებდა, თუმცა ძველი მასშტაბით არა, კულტურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის გაშლას.

§ 1. კულტურულ-საგანმანათლებლო კერები საქართველოში და მის გარეთ

სწავლა-განათლებისა და ლიტერატურულ-კულტურული მუშაობის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ცენტრები ამ დროს აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, ქართლში იყო. მონღოლთა ბატონობის პერიოდშიც კი, თბილისი კვლავ რჩებოდა მძლავრ სამეცნიერო და კულტურულ ცენტრად. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ თბილისი კვლავინდებურად იზიდავდა უცხოელ სწავლულებს. 1284 წელს, დემეტრე II თავდადებულის დროს, თბილისს სწვევია სომხური კულტურის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე, ცნობილი ასტროლოგი, ფილოსოფოსი და პოეტი ჰოვანეს ერზინკაელი. მან თბილისის საკრებულო ტაძარში (სომეხი ვაჭრის უმეკის მიერ იყო

[1] ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 328—329.

აგებული)[1] კოსმოსურ-ასტროლოგიური საკითხების შესახებ საინტერესო სიტყვა წარმოთქვა. საყურადღებოა, რომ სომეხ მეცნიერს მიზნად ჰქონდა დასახული გადმოეცა არა მარტო წვრილმანი დოგმატური საკითხები, არამედ შეხებოდა მეცნიერების აქტუალურ პრობლემებს. ქადაგებამ დიდი გამოხმაურება პოვა მსმენელთა შორის. შემდგომ იგი თვითონვე ჩაწერა ჰოვანეს ერზინკაელმა. ერზინკაელი თავისი ქადაგების წინასიტყვაობაში წერს: „... მე მდაბალი ჰოვანეს ერზინკაელი, მოწაფე სულიერი მამისა და წმიდისა მოძღვრისა ვარდანისი, მსახური წმიდა წერილთა სიტყვისა. 1284 წელს მომეცა შემთხვევა მოვსულიყავ ქართველთა ღვთივ დაცულ სამეფოში, სახელგანთქმულსა და დიდ დედაქალაქ ტფილისში, რომელიც მეშატიანეთაგან ფაიტაკარანად იწოდება, და მომიხდა წარმომეთქვა ქადაგება დიდად პატივცემულის, ბრძნისა და სომეხთა დიდი მთავრის პატრონ ქარიმადინისათვის ეკლესიის კარს, რომელიც აეშენებინა მის ღვთისმოყვარესა და კეთილ სულიერ მამას — პატრონ უმეკს. წარმოთქმული იყო სიტყვა ზეციური მოძრაობისათვის"[2].

მკვლევართა სამართლიანი ვარაუდით, თბილისი, როგორც მანამდე, ასევე მონღოლთა ბატონობის ხანაშიც, კვლავ წარმოადგენდა კულტურის განვითარების მნიშვნელოვან ცენტრს, სადაც ქართველი და სომეხი მეცნიერები სიტყვებსა და ქადაგებებს წარმოთქვამდნენ. აქ ჩამოდიოდნენ მეზობელი ქვეყნების მწერლები და მეცნიერები, რათა თბილისის მეცნიერებისათვის თავიანთი მიღწევები ეჩვენებინათ, გაეზიარებინათ. თბილისში იწერებოდა, იხატებოდა და მრავლდებოდა ხელნაწერები, ითხზვებოდა გმირული ისტორიები, სიმღერები და სხვ.[3].

კულტურის მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა ქსნის ხეობაში მდებარე სამონასტრო ცენტრი — ლარგვისი. „ძეგლი ერისთავთაში" დაცული ცნობების მიხედვით ჩანს, რომ ლარგვისის მონასტერს დიდ დახმარებას უწევდნენ ქსნის ერისთავთა საგვარეულო სახლის წევრები. ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია შალვა ერისთავი, ვირშელ I-ის ძე, დავით VIII (1293—1311), ვახტანგ III (1302—1308) და გიორგი ბრწყინვალის (1299,

---

[1] აკად. ი. ორბელის გამოკვლევით ეს ტაძარი წმ. გიორგის სახელს ატარებდა და მდებარეობდა თათრის მოედანზე. იხ. მისი ნაშრომი — Фрагмент крестнаго камня с арабской надписью в Тифлисе, Христианский Восток, т. VI, вып. II, Петроград, 1918, с. 198—199.

[2] *Վիպասանութիւն զերկնային մարմնոց շարժմանն, զլուսաւորացն որ ի նմա, եւ զհաստատութենէ երկրի, տետրակ համառօտ եւ էր իմաստնախոհ բանիւք։ Նոր-Նախիջևան.* 1792, გვ. 9—10; ვ. ნალბანდიანი, თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში, თბ., 1959, გვ. 108.

[3] დ. გურგენიძე, შ. მესხია, თბილისის ისტორია, თბ., 1952, გვ. 200; ვ. ნალბანდიანი, თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში, გვ. 109.

1314—1346) თანამედროვე. „ძეგლი ერისთავთას“ ავტორის მოთხრობით, შალვა ერისთავმა „განადიდა პატივი მონასტრისა ამის და შექმნა ყოველი სამსახური ეკლესიისაჲ: ოქროისა და ვერცხლისაჲ ბარძიმი, ტაბაკნი, კანდელი და სხუაჲ ყოველი სამკაული, და მოჴედნა ხატნი და შეამკო ხატი თეთროსანი წმიდათა ნაწილებითა და ყოვლითა სამკაულითა“[1].

ლარგვისის მონასტრის კულტურის მოღვაწეთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ავგაროზ ბანდაისძე (XIV ს. მეორე ნახევარი). ის საკმაოდ მომზადებული და დახელოვნებული მწიგნობარი ჩანს. მან სწორედ ლარგვისის მონასტერში გადაწერა „პარაკლიტონი“. ერთ-ერთ მინაწერში იგი გვამცნობს: „სახელითა ღმრთისაჲთა და მოხმობითა ყოველთა წმიდათაჲთა და თანა შეწევნითა წმიდისა თედორე ლარგვისისაჲთა, ღირს ვიქმენ მე არა ღირსი მწერალი ავგაროზ ბანდაჲსძე აღწერად წმიდისა ამის წიგნისა სულთა განმანათლებლისა“[2]. მაგრამ ავგაროზ ბანდაისძე იყო თავისი დროის არა მარტო კარგი კალიგრაფი, ცნობილი გადამწერი, არამედ კარგი მწიგნობარიცა და მხატვარიც.

ზემოხსენებულ „პარაკლიტონის“ სხვა მინაწერში იგი საგანგებოდ გვაუწყებს: „წყალობითა ღმრთისაჲთა მომეცა თჳნიერ მოძღურისა, ჴელოვნებაჲ ესევითარი: პირველად ჴელი სწავაჲ ხუცობისაჲ, ჴელი მეორე მწიგნობრობისაჲ, ჴელი მესამე წერაჲ ხუცურისაჲ... შექმნა ეტრატისაჲ... შეკრვაჲ წიგნისაჲ, ჴელი მეექუსე მხატვრობისაჲ... მკერვალობისაჲ... ტყავის კერვისაჲ... ხუროვნობისაჲ... ჴელი მეათე მსოფლიო მუშაობისაჲ“[3]. ყურადღების ღირსია, რომ ავგაროზ ბანდაისძე თავის უპირველეს ხელობად მოძღვრობასა და მწიგნობრობას მიიჩნევს. მწიგნობრობა, ამ შემთხვევაში, წიგნის გადაწერის ცოდნას კი არ ნიშნავს (ამ ხელობის ცოდნა მას ცალკე აქვს მოხსენებული — „წერაჲ ხუცურისაჲ“), არამედ თვით ორიგინალური თხზულების შექმნას; ავგაროზ ბანდაისძემ კარგად იცოდა აგრეთვე მხატვრობაც. ესეც მისი ცალკე ხელობა იყო. ასე რომ, ავგაროზ ბანდაისძეს არა მარტო თხზულების შექმნა შეეძლო, არამედ საჭიროების შემთხვევაში მისი მოხატვაც.

ავგაროზი რომ ნიჭიერი მხატვარი და დაოსტატებული გადამწერი ყოფილა, ამას მოწმობს მის მიერ 1348—1365 წლებში ლამაზი კალიგრაფიული ნუსხურით გადაწერილი „პარაკლიტონი“. მისი ხელითაა შესრულებუ-

---

[1] ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე), ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შოთა მესხიამ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 348; ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვ. I, თბ., 1962, გვ. 218.

[2] Жордания Ф. Д., Описание рукописей Тифлисского Церковного Музея Карталино-Кахетинского духовенства. Изд. Церков. Музея, № 9, Тб., 1902, кн. 2, с. 93.

[3] იქვე, გვ. 94.

ლი მხატვრობა (მახარებელთა მინიატურები, თავკაზმულობანი) სახარების ერთ ხელნაწერში, რომელიც გადანუსხულია მისი თანამედროვე ლარგველი მოღვაწის გიორგი თაბაურის მიერ[1]. მუშაობისას ავგაროზი არ უშინდებოდა სიძნელეებს: „ჴელვყავ და ვიწყე წერად დიდსა სიგლახაკესა და ეტრატისა სიძვირესა და შფოთსა და უცალობასა შინა“, შენიშნავს ის „პარაკლიტონის“ მინაწერში[2]. ზემომოტანილი „პარაკლიტონის“ მინაწერი იმითაცაა საყურადღებო, რომ გვამცნობს, თუ რას სწავლობდნენ ძველი ქართველები, როდესაც მათ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ჩასატარებლად ამზადებდნენ. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე „ძეგლი ერისთავთა“, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, დაწერილი უნდა იყოს ზემოხსენებული ლარგველი მოღვაწის, მწიგნობრისა და მხატვრის ავგაროზ ბანდაისძის მიერ 1348 — 1400 წლებს შორის[3].

მამის კვალს ადგა ავგაროზის ვაჟი გრიგოლიც. გრიგოლ ბანდაისძის (XV ს.) ვრცელი „ანდერძი“ ნათლად გვამცნობს ლარგვისის მონასტრის ამ თავდადებული მოღვაწის მრავალმხრივ საქმიანობას. როგორც ჩანს, გრიგოლმა აღადგინა, განაახლა, მოხატა და შეამკო ძველი მონასტერი, შემატა ახალი დამხმარე ნაგებობანი და შესწირა ხელნაწერები. მას გაუცხოველებია „პარაკლიტონი“. აი, რას აღნიშნავს იგი „პარაკლიტონის“ ერთ-ერთ მინაწერში: „შიგნით ეკლესიაჲ მოვხატე და შევამკევ ყოველი მოშლილი ხატები. დავსხენ წიგნნი: პარაკლიტონი, სამოციქულოჲ, გულაჲ, ავგაროზი“...[4]. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ლარგვისის სავანეში საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა არსებობდა XIV—XV სს. იგი ივსებოდა ქსნის ერისთავთა სახლის წევრებისა და სხვათა შეწირულებით[5].

მნიშვნელოვან საგანმანათლებლო და სამწიგნობრო კერად გვევლინება საციციანოს ცენტრი მძოვრეთი. XV ს-ის მეორე ნახევარში აქ ლიტერატურულ ასპარეზზე მოღვაწეობდა ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი. მის სახელთანაა დაკავშირებული ერთი ძვირფასი ხელნაწერი — კარაბადინი. მის მინაწერში იხსენიება „ზაზა მკურნალი“, „ზაზა ფანასკერტელი ბრძენთმთა-

---

[1] აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის ხელნაწერები (კოლექცია H), ტ. V, შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებული ლუბა მეფარიშვილის მიერ აღ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1949, გვ. 75, 79.

[2] Жордания Ф. Д., Описание рукописей..., II, გვ. 93—94.

[3] შ. მესხია, ძეგლი ერისთავთა..., მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 321.

[4] M. Brosset, Rapports sur un voyage archêologique dans la Georgie et dans l'Arménie, exècuté en 1847 — 1848, III livr., sixième rapport, St.-P., 1851, გვ. 77 — 78.

[5] ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვ. I, გვ. 221.

ვარი". კარაბადინი ძირითადად გადაწერილია მცხეთის ქადაგის მახარებელ მაღალაძის მიერ 1479—1505 წლებში. ზაზა ფანასკერტელი მწერლობის უბრალო მოტრფიალე კი არ ყოფილა, არამედ დიდი მეცნიერიც. კარაბადინის გადამწერი საგანგებოდ უსვამს ხაზს ზაზას ღრმა განსწავლულობასა და დიდ მეცნიერულ ცოდნას. ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი მედიცინის კარგი მცოდნე და შესანიშნავი მკურნალი ყოფილა. მშობლიური მედიცინის განვითარებაში მან გარკვეული წვლილი შეიტანა[1].

მონღოლთა ბატონობით გამოწვეული მძიმე პირობების მიუხედავად, ქართული ფეოდალური სახელმწიფო მაინც ახერხებდა თავისი კულტურული გავლენის გავრცელებას კავკასიის მთიანეთში, დაღესტანში. ამაზე მიგვითითებს ქართული ეკლესიის სამისიონერო მოღვაწეობა ამ მხარეში. ჟამთააღმწერლის ცნობით, XIII საუკუნეში ბელაქნიდან ავრცელებდნენ ქრისტიანობას დაღესტანში ცნობილი საეკლესიო მოღვაწენი პიმენ სალოსი და ანტონ ნაოხრებლის ძე: „ამათვე ჟამთა ბრწყინავდა პიმენ სალოსი, რომელი გარესჯით წამოვიდა დაემკვიდრა ბელაქანს, ქუაბსა რასმე, რომელმან ნათესავი ლეკთა წარმართობისაგან მოაქცივნა, რომელნი ჰგიან სარწმუნოებასა ქრისტესა. ამას თანა ბრწყინავდა დიდიცა ივი მოღვაწე ანტონი ნაოხრებელის ძე, ნათესავით მესხი"[2]. უფრო მეტიც, სინას მთის ქართველთა მონასტრის „სულთა მატიანეში" შემონახულია ერთი მეტად საინტერესო ცნობა იმის შესახებ, რომ XIV საუკუნეში, თვით შუა დაღესტანში — ხუნზახში იჯდა „ღუძელი კათალიკოზი ოქროპირი"[3]. ქრისტიანულ რელიგიას აქ ქართული კულტურის და ქართული პოლიტიკური ორიენტაციის გაძლიერება უნდა მოჰყოლოდა. სწორედ ეს მიზანი ამოძრავებდათ, რა თქმა უნდა, ქართველ მისიონერებსაც.

ზემოაღნიშნულ ისტორიულ რეალიებს კარგად ეხმაურება ცენტრალურ დაღესტანში (ჰალა, ხუნზახი და სხვ.) მიკვლეული ქართული და ქართულ-ხუნძური წარწერები. ეს წარწერები XIV საუკუნის იქით აღარ მიდიან[4]. დაღესტნის მთიან რაიონებში გამოვლინებული XIV საუკუნის ქართული და ქართულ-ხუნძური წარწერები უაღრესად საინტერესოა, როგორც

---

[1] ზ ა ზ ა ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი, სამკურნალო წიგნი (კარაბადინი), მ. ს ა ა კ ა შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, თბ., 1950; ზ ა ზ ა ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი-ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, სამკურნალო წიგნი (კარაბადინი), ტექსტი დაამუშავა გამოსაცემად, გამოკვლევები და ლექსიკონი დაურთო მ. შ ე ნ გ ე ლ ი ა ს, თბ., 1959.

[2] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 283.

[3] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947, გვ. 244.

[4] ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ქართულ-ხუნძური წარწერა XIV საუკუნისა დაღესტნიდან, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე, ტ. I, № 4, გვ. 321—324; ტ. გ უ დ ა ვ ა, ორი წარწერა (ქართული და ქართულ-ხუნძური) დაღესტნიდან, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიიდან, ნაკვ. 30, 1954, გვ. 185—196.

საქართველო-დაღესტნის კულტურული ურთიერთობის მაუწყებელი. „აშკარაა, რომ ცენტრალურ დაღესტანში გაკეთებული ქართულ-ხუნძური წარწერა მკითხველად გულისხმობს არა მარტო (და არა იმდენად) ქართველს, არამედ ხუნძს, რომელმაც იცის (ან — ივარაუდება — უნდა ისწავლოს) ქართული ანბანი. წინააღმდეგ შემთხვევაში ხუნძური სიტყვების ქართული ასოებით წერას ყოველგვარი აზრი ეკარგება. ასეთი კონტექსტი მისიონერთა მოღვაწეობას გვავარაუდებინებს"[1].

მომდევნო ხანებში ქართველთა კულტურული გავლენის გავრცელების პროცესი კავკასიის მთიანეთში თანდათან მცირდება. პირველი დიდი ზიანი ქართველების კულტურულ გავლენას დაღესტანში თემურლენგმა მიაყენა. XIV საუკუნეში მის მიერ წარმოებული რელიგიური პოლიტიკის წყალობით დაღესტანში ისლამი ვრცელდება. ისლამის გავრცელება აქ, თუ ერთი მხრივ, არსებული ძველი წარმართული რელიგიის ხარჯზე ხდებოდა, მეორე მხრივ, იგი ქართველების მიერ შეტანილი ქრისტიანობის შესუსტების ხარჯზე მოხდა.

ამავე ეპოქაში ადგილი აქვს ცხოველ კულტურულ ურთიერთობას მეზობელი ქრისტიანი ერების წარმომადგენლებთან, რომელთაც რიგ შემთხვევაში ქართული შემოქმედების ნაყოფი თავის ენებზედაც გადაჰქონდათ. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს ფარგლებში მოქცეული დიოფიზიტური სომხური წრეების დაინტერესება ქართული ორიგინალური თუ თარგმნითი ხასიათის მწერლობის ძეგლებით. ამის აშკარა მოწმობაა XIII საუკუნეში ვინმე სიმეონ ხუცესმონაზვნის მიერ ქართულიდან სომხურად ნათარგმნი მთელი რიგი თეოლოგიურ-ფილოსოფიური თხზულებანი, სახელდობრ: იოანე პეტრიწის მიერ კომენტარდართული პროკლე დიადოხოსის — „კავშირნი ღვთისმეტყველებითნი", იოანე დამასკელის — „წყაროჲ ცოდნისაჲ", იოანე სინელის — „კლემაქსი" და სხვ., რომელნიც მეტად მიმზიდველი თხზულებები იყო საშუალო საუკუნეებში[2]. იოანე პეტრიწის კომენტარდართული პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღვთისმეტყველებითნის" ანდერძნამაგში სიმეონ ხუცესმონაზონი წერს: „ითარგმნა წიგნი ესე, რომელიც არის კავშირი და ღვთისმეტყველების თავი, პლატონური ფილოსოფოსის პროკლე დია-

---

[1] ტ. გუდავა, ორი წარწერა (ქართული და ქართულ-ხუნძური) დაღესტნიდან, გვ. 194.

[2] ილ. აბულაძე, რუსთაველის ხანის ქართული ფილოსოფიური მწერლობის კიდევ ერთი ძეგლის თარგმანი ძველ სომხურზე, ენიმკის „მოამბე", ტ. III, თბ., 1938, გვ. 111—122; მისივე, რუსთაველის ხანის ქართულიდან ნათარგმნი ძველი სომხური მწერლობის ძეგლები, იქვე, გვ.123—134; Н. Марр, Иоан Петрицский, грузинский неоплатоник XI—XII века, СПб., 1909. с. 8—9; Отдельный оттиск из Записок Восточного Отделения Императорского русскаго Археологическаго Общества, том XIX.

დოხოსისა, სიმეონ უხმარ ხუცესმონაზვნის მიერ ქართული ენიდან სომხურ ენაზე; სომხეთის ქვეყანას, ქართველთა სავანეში, რომელსაც პღგნძაჰანქი ეწოდება, დასაბამიდან 6756 წელს"... მთარგმნელი იქვე აღიარებს, რომ დიადოხოსი „არა იყო თარგმნილ ჩუენსა ენასა... და მე ვთარგმნე ქართულით, რაჲთა არა იყოს დაკლებულ ნათესავსა ჩუენსა"[1]. ზემომოტანილი ანდერძნამაგიდან ჩანს, რომ სიმეონი ყოფილა სომეხი და ხუცესმონაზონი, მცოდნე ქართული ენისა. უთარგმნია ეს ნაშრომი 1248 წელს ქართველთა სავანეში — პღგნძაჰანქს. „ქართველთა სავანედ" მოხსენებული მონასტერი, სადაც სიმეონს „კავშირნი ღვთისმეტყველებითნი" უთარგმნია, მდებარეობდა მხარგრძელების სამფლობელოში. ეს მონასტერი მარტო ქართველთა ძმობისაგან იყო შედგენილი თუ ქართველთა აღსარების სომეხთაგან, სულ ერთია. უფრო საფიქრებელია, რომ იგი ორივესაგან შედგებოდა, რომელნიც ქალკედონიტები იყვნენ. ქართული სამონასტრო ცხოვრების ტრადიცია არსად ამ მხრივ საგანგებო ეროვნულ გამიჯვნას არ ახდენდა, ოღონდ კი ერთი აღსარებისა ყოფილიყვნენ, მით უმეტეს, საქართველოს ფარგლებში მოქცეულ მაშინდელ სომხეთის მხარეებში. ზემოთ დასახელებული მონასტერი ჯერ კიდევ ივანე მხარგრძელის დროს გახდა ქალკედონიტური („ქართული"), რამაც, რა თქმა უნდა, გარკვეულად ხელი შეუწყო ქართველთა და სომეხთა შორის კულტურული ურთიერთობის გაძლიერებას. ასეთი კერების საშუალებით ხდებოდა ქართული დიოფიზიტური იდეების შეჭრა სომეხთა წრეებში. მათში მას მიმდევარი აღმოუჩნდა სიმეონ ხუცესმონაზვნის სახით, რომელიც დიოფიზიტური შრომების თარგმანსაც არ ერიდებოდა (მაგ., იოანე დამასკელის შრომები). სიმეონ ხუცესმონაზონი XIII საუკუნის იმ სომეხ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნის, რომელიც დაემოწაფა ქართულ ეკლესიას, შეისწავლა მაშინდელი ქართული მწერლობა და მისგან გადმოიღო თვალსაჩინო ძეგლებიც, უმთავრესად ფილოსოფიურ-მორალური შინაარსისა[2]. ძეგლები, რომლებიც სიმეონ ხუცესმონაზონს უთარგმნია ქართულიდან სომხურად, საგანგებოდაა შერჩეული. მის არჩევანში აშკარად შეინიშნება ერთი მომენტი: ძირითად შრომებს, როგორიცაა პროკლე დიადოხოსის „კავშირნი", იოანე დამასკელის „წყაროჲ ცოდნისაჲ" და იოანე სინელის „კლემაქსი", გარკვეული სკოლიდან გამოსულ ქართველ მოღვაწეთა

---

[1] ილ. აბულაძე, რუსთაველის ხანის ქართულიდან ნათარგმნი ძველი სომხური მწერლობის ძეგლები, გვ. 130—131.

[2] ილ. აბულაძე, რუსთაველის ხანის ქართულიდან ნათარგმნი ძველი სომხური მწერლობის ძეგლები, გვ. 132—133; Н. Марр, Иоанн Петрицский, грузинский неоплатоник XI—XII века, с. 9.

თარგმანებიდან იღებს. ესაა ის სკოლა, რომელიც ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში პეტრიწონის სკოლად ითვლება[1].

ამრიგად, მონღოლთა ბატონობით გამოწვეული ძნელბედობის მიუხედავად, XIII საუკუნის პირველ ნახევარში კვლავ განაგრძობს არსებობას ქართულ-სომხური კულტურული ურთიერთობის ძველი ტრადიციები. ამ საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ლორის მახლობლად მდებარე პღნძაჰანქის დიოფიზიტური სავანე.

საქართველოს შიგნით არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებთან ერთად XIII—XV საუკუნეებში არც საზღვარგარეთულ კულტურის კერებს დაუკარგავთ მთლიანად თავისი მნიშვნელობა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ამ კერათაგანს გარკვეული საფრთხე შეექმნა მუსლიმანთა მხრიდან. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს იერუსალიმის ქართული კოლონია. „საქართველოს პოლიტიკური ძლიერების შერყევისთანავე, ქართველების მდგომარეობა პალესტინაშიც ძალზე გაუარესდა. ქრისტიანეთათვის ისეთი მნიშვნელოვანი სალოცავი, როგორადაც მაშინ ჯვრის მონასტერი იყო მიჩნეული, ჩამოართვეს. ქართველების გულის მოსაკლავად და თავმოყვარეობის შესალახავად, ჩამორთმეული მიზგითადაც კი აქციეს“[2]. და საერთოდ, უკვე XIII ს. მეორე ნახევრიდან ქართველების მოღვაწეობა იერუსალიმში შეუწყვეტელი ბრძოლის ხასიათს ატარებდა. „ეს ბრძოლა ერთგვარი გაგრძელება იყო იმ შეუპოვარი და თავგანწირული წინააღმდეგობისა, რომელსაც ქართველი ხალხი ეწეოდა ჩინგის ყაენისა თუ თემურლენგის წინააღმდეგ თავისი სახელმწიფოებრივი თუ ეროვნული სახის დასაცავად“[3].

ყველაზე მძიმე წლებად პალესტინის ქართული კოლონიის ისტორიაში ეგვიპტის სულთან ელ მელიქ ბეიბარსის მფლობელობის წლები (1260—1277) იყო. ამ დროს მოხდა ჯვრის მონასტრიდან ქართველი ბერების გამოყრა და მისი მიზგითად გადაქცევა შეიხ ხიდრის მიერ. როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია დადგენილი, ჯვრის მონასტრიდან ქართველთა გამოძევებას და მამლუქთა მიერ მის მიტაცებას ადგილი უნდა ჰქონოდა 1273 წელს[4]. მამლუქთა ამ ძალმომრეობის მსხვერპლი გახდა ჯვრის მონასტრის წინამძღვარი (1270—1273 წლებში) ლუკა იერუსალიმელი (მუხაისძე-აბაშიძე), რომელიც ჯვარის დაცვას შეეწირა.

ჯვრის მონასტრის „დატყვევება“ იმდროინდელმა ქართულმა საზოგა-

---

[1] Н. Марр, Иоанн Петрицский, грузинский неоплатоник XI—XII века, с. 36.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბ., 1966, გვ. 269.

[3] ე. მეტრეველი, ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლვა“ (გამოკვლევა), იხ. წიგნში — ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა, თბ., 1956, გვ. 0179.

[4] ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 41—42.

დოებამ განიცადა როგორც დიდი ეროვნული უბედურება. ამიტომაც იყო, რომ მუსლიმანთა მიერ მონასტრის მიტაცების დღიდანვე ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა მიერ არაერთი ნაბიჯი იქნა გადადგმული მისი განთავისუფლებისა და გამოხსნისათვის. საბოლოოდ, როგორც მკვლევარნი ვარაუდობენ, 1305 წლისათვის ქართველებმა მეფე დავით VIII-ის (1293—1311) მეშვეობით შეძლეს ჯვრის მონასტრის განთავისუფლება „სარკინოზთაგან" (მამლუქთაგან). ჯვრის მონასტრის აღაპებში კარგად აისახა მიზგითად ქცეული მონასტრის ქართველებისათვის დაბრუნების ამბავი. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია № 295 აღაპი, რომელიც გაწესებულია ჯვრის განმათავისუფლებლის დავით მეფისათვის: „წირვაჲ და აღაპი საუკუნოჲ დავით მეფეთა მეფისა, და მეორედ აღმაშენებელისაჲ წმიდისა მონასტრისაჲ, რომელმან სარკინოზთაგან წარტყუეცნული მონასტერი და ეკლესია მიზგითად შეცვალებული ეკლესიადვე სალოცველად შეცვალა და კუალად აგო ნათესავსა ქართველთასა, რომლისა საუკუნომცა არს საკუნებელი"[1].

ქართველების მიერ ჯვრის მონასტრის მამლუქთაგან განთავისუფლების შესახებ საინტერესო ცნობები შემოგვინახა არაბულმა წყაროებმაც. „იერუსალიმის ისტორიის" ავტორის მუჯირედინის (გარდაიცვ. 1521 წ.) მიხედვით, ქართველებმა ჯვრის მონასტერი დაიბრუნეს 1305 წელს, მამლუქთა სულთნის ელ მელიქ ნასირ მუჰამედის (1293 — 1341) დროს, ქართველი მეფისა და კონსტანტინოპოლიდან გამოგზავნილი ელჩების თხოვნით[2]. ამავე თარიღს ადასტურებს ალმაკრიზი (გარდაიცვ. 1442) და ალაინიც (გარდაიცვ. 1451)[3]. მეტად საყურადღებოა, რომ იერუსალიმის ბერძნული პატრიარქატის ოფიციალური ცნობითაც, ქართველებს 1308 წლისათვის უკვე დაბრუნებული აქვთ ჯვრის მონასტერი და, გარდა ამისა, მათ უფლებები მოპოვებული აქვთ აგრეთვე გოლგოთაზედაც[4].

ჯვრის მონასტრის განთავისუფლებისა და მისი შენობის შეკეთება-განახლების, ანუ „მეორედ აღშენების" შემდეგ, რომელიც დავით VIII თანხებითა და ინიციატივით მომხდარა, ქართველებს დიდი ზრუნვა გამოუჩენიათ აგრეთვე მონასტრის მხატვრობის განახლება-გაცხოველებაზე. ამ მიმართებით განსაკუთრებით აღსანიშნავია იმერთა მეფის კონსტანტინე I (გარდაიცვ. 1327 წ.) დიდი დამსახურება ჯვრის მონასტრისადმი. კონსტან-

---

[1] ე. მეტრეველი, მასალები... აღაპი № 295, გვ. 106; გამოკვლევა, გვ. 43.

[2] В. Тизенгаузен, Заметки Эль Калькашанди о грузинах, ЗВОРАО, т. I, 1886, გვ. 212, სქ. 3; ე. მეტრეველი, მასალები... გვ. 45.

[3] В. Тизенгаузен, იქვე; ე. მეტრეველი, იქვე.

[4] Nea sion, vol. XI, Ierusalem, 1910, გვ. 132 — 134. ცნობა მოგვაქვს გრ. ფერაძის ნაშრომის მიხედვით, იხ. G. Peradze, „An account of the Georgian monks and monasteries in palestine", Georgica, a journal of Georgian and caucasian studies, 1937, № 4 — 5, გვ. 188.

ტინე მეფის ინიციატივით და სახსრებით ჩატარდა გარკვეული სამხატვრო-საალმშენებლო მუშაობა, რასაც ქართველებისათვის ახლად დაბრუნებული მონასტერი დიდად საჭიროებდა. კონსტანტინესთვის გაწესებულ აღაპში ვკითხულობთ: „აღაპი და პანაშვიდი აფხაზთა მეფეთ მეფისა კონსტანტინესი, ჯვრისა მონასტრისა ახლად შემკაზმავისა“[1].

დიდ ზრუნვასა და ყურადღებას იჩენდა იერუსალიმის ქართული კოლონიის მიმართ გიორგი ბრწყინვალე. სამეცნიერო ლიტერატურაში დღეისათვის კარგად არის გარკვეული, რომ გიორგი ბრწყინვალემ ორჯერ გააგზავნა ელჩები ეგვიპტის სულთანთან: 1316 და 1320 წლებში. ელჩებს, სხვა დიპლომატიური საქმეების მოგვარებასთან ერთად, დავალებული უნდა ჰქონოდათ ქართველთა უფლებების დაცვა იერუსალიმის წმინდა ადგილებზე[2]. სწორედ ერთ-ერთი ამ ელჩობის დროს გაემგზავრა იერუსალიმს შალვა ქსნის ერისთავის შვილი პიპა, ქრისტეს საფლავის სალოცავის კლიტის მოსაპოვებლად. ეს საპატიო დავალება მას სასახელოდ შეუსრულებია კიდევაც. „ძეგლი ერისთავთას“ ავტორი მოგვითხრობს: „ამას ჟამსა მოვიდა ამბავი: კლიტენი იერუსალიმისანი სპარსთა დაიპყრნესო, და დიდად შეწუხნა მეფე გიორგი. მაშინ წარგზავნა ძე შალვა ერისთავისაჲ, რომელსა ერქუა პიპაჲ, გზასა ჯმელთასა მრავლითა ძღუენითა წინაშე ნისრელისა და წარჰყვა თანა ბანდაისძე დეკანოზი იოვანე და მივიდა პიპაჲ წინაშე ნისრელისა; ხოლო მან სიხარულით შეიწყნარა ძღუენი იგი და მისცნა კლიტენი იერუსალიმისანი. მივიდა პიპაჲ ზედა საფლავსა ქრისტესსა და შეემთხვა, ჟამი აწირვა, ეზიარა და დეკანოზი იოვანე აკურთხეს მოძღუართ-მოძღუარად... ხოლო პიპამან მოილოცნა წმიდანი ადგილნი. და შეკრიბნა ნაწილნი წმიდათანი და ხატნი შუენიერნი და წარმოვიდა მასვე გზასა ჯმელით და მოვიდა წინაშე მეფისა და მოიღო იერლაყი შეწყალებისაჲ და აღსრულებაჲ ყოვლისა სათხოვლისა მისისაჲ. ფრიად განიხარა გიორგი მეფემან, რამეთუ მოეცნეს კლიტენი ქართველთა“[3]. მოტანილი ნაწყვეტიდან სავსებით აშკარად ჩანს, რომ შალვა ქსნის ერისთავის ძეს პიპას მოუპოვებია „იერუსალიმის კლიტე“, რაც, მკვლევართა სამართლიანი ვარაუდით, ქრისტეს საფლავის სალოცავის კლიტეს ნიშნავს. უფრო მეტიც, აქ უნდა იგულისხმებოდეს არა მარტო ქრისტეს საფლავის სალოცავის კლიტე, არამედ აღდგომის ეკლესიის მთელი კომპლექსისა, რომელშიც შედის ქრისტეს საფლავის სალოცავიც (აღდგომის ეკლესია, გოლგოთა და ქრისტეს საფლავი ერთი შეკრული კომპლექსია)[4].

---

[1] ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, მასალები... აღაპი № 239, გვ. 100, გამოკვლევა, გვ. 58.
[2] ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, მასალები..., გვ. 45, 47.
[3] ძეგლი ერისთავთა, შ. მ ე ს ხ ი ა ს გამოცემა, გვ. 350.
[4] ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, მასალები..., გვ. 46—47.

ქართველები რომ გარკვეული ხნის განმავლობაში მართლაც ფლობდნენ ქრისტეს საფლავის სალოცავის კლიტეს, ეს კარგად ჩანს უცხოელ მოგზაურთა ცნობებიდანაც. სახელდობრ, ლუდოლფ სუდჰეიმი, რომელიც იერუსალიმში ყოფილა 1331—1341 წლებში, თავის მოგზაურობაში აღნიშნავს, რომ ამ წლებში ქრისტეს საფლავის სალოცავის კლიტე ხელთ ჰქონდათ ქართველებს და რომ ისინი კენჭსაც კი არავის აძლევდნენ ამ საფლავიდანო[1].

„ქრისტეს საფლავის ეკლესიის ფლობის საპატიო უფლება, რომლისთვისაც იერუსალიმის სხვადასხვა ეროვნების ქრისტიანებს შორის მუდმივი დავა იყო, როგორც ჩანს, ქართველების პრივილეგიას წარმოადგენდა საკმაო ხანგრძლივად“[2]. ეს ფაქტი თანამედროვე ისტორიოგრაფიაშიც უკვე მტკიცედ არის აღიარებული. I. Parkers-ი „იერუსალიმის ისტორიაში“ საგანგებოდ მიუთითებს, რომ მამლუქთა მმართველობის დროს ქართველები განსაკუთრებით გაძლიერდნენ იერუსალიმში და ამ დროიდანვე მათ ხელში იყო ქრისტეს საფლავის ეკლესიის კლიტე, რომელიც მათ საბოლოოდ მხოლოდ XV საუკუნის შუა წლებში ჩამოართვეს ფრანცისკანელებმა[3].

XIV საუკუნეში ჯვრის მონასტერში კვლავ გაჩაღდა აქტიური შემოქმედებითი მუშაობა. სწორედ ამ ხანებში შეიქმნა აქ ისეთი ქართული ორიგინალური თხზულებანი, როგორიცაა: ლუკა იერუსალიმელისა და ნიკოლოზ დვალის მარტვილობანი (XIV ს.). აქვე აწარმოებდნენ სხვადასხვა სახის კრებულების შედგენას, ახდენდნენ ხელნაწერთა გამრავლებას, ქმნიდნენ მდიდარ წიგნსაცავებს, რომელთა ძირითადი ნაწილი ამჟამადაც იერუსალიმის ბერძნული პატრიარქატის ბიბლიოთეკაშია დაცული.

იერუსალიმის ქართული კოლონიის არამყარმა უფლებრივმა მდგომარეობამ XIII—XV საუკუნეებში ქართველები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მათი უფლებრივი მდგომარეობის დაცვისათვის, პირველ რიგში, ამ უფლებათა წერილობითი ფიქსაცია იყო საჭირო, რათა შემდგომი თაობებისათვის მაინც დარჩენილიყო ერთგვარი იურიდიული დოკუმენტი დაკარგულ სამფლობელოთა დასაბრუნებლად. ამის გამო, — აღნიშნავს ე. მეტრეველი, — ქართველები იწყებენ ზრუნვას იმაზე, რომ ჩაიწეროს ყოველი მნიშვნელოვანი ფაქტი პალესტინის ქართველთა სამონასტრო

---

[1] Archive de L'Orient Latin, Paris, 1884, ტ. II, გვ. 353. ცნობა მოგვაქვს ე. მეტრეველის ნაშრომის მიხედვით, იხ. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, გვ. 48.

[2] ე. მეტრეველი, მასალები..., გვ. 48.

[3] A history of palestine from 135 a. d. to modern times by Jams Parkers, New Jork, 1945, გვ. 192 — 193. ცნობისათვის ვისარგებლეთ ე. მეტრეველის ნაშრომით, იხ. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, გვ. 48.

ეოლონიის ისტორიიდან, იქნება ეს ბრძოლა მონასტრისა თუ მამულებისათვის, „წმინდა ადგილებზე“ უფლებათა დაკარგვა თუ დაბრუნება, მონასტრის აოხრება თუ აშენება. ერთ-ერთ ასეთ დოკუმენტთა რიცხვს იგი მიაკუთვნებს „გოლგოთის სვინაქსარის“ მინაწერს, რომელიც შესრულებულია 1400 წელს. ამ დოკუმენტში ჩამოყალიბებულია ქართველთა უფლებები გოლგოთაზე, მათი მონაწილეობა და ვალდებულებანი ღვთისმსახურებისას. ეს ცნობები მინაწერის ავტორს „მამათაგან“ გაუგონია და დაუწერია, რათა ქართველები მიწყივ იყვნენ გოლგოთაზე მათი უფლებებისა და ვალდებულებების კურსში. ამას მოწმობს მინაწერის დასაწყისი— მიმართვა: „ესე უწყოდეთ ყოველთა ქართველთა...“[1].

ამავე „გოლგოთას სვინაქსარის“ მინაწერებმა შემოგვინახეს ცნობები XIV საუკუნის ბოლო წელს ჯვრის მონასტრის აოხრების შესახებ: „აქა მოვიდა მაწყუერელი პიმენ მას ჟამსა ოდეს თემურ დიმაშხი ააოჯრა და ჯუარისა სახლი აშლით აოჯრეს და დაჭირებულს ზეთი და ცვილი შემოსწირა“[2]. დიმაშხ, ანუ დიმაშკ დამასკოს არაბული სახელწოდებაა. დამასკოს აღებას თემურლენგის მიერ ადგილი ჰქონდა 1400 წელს. მეზობელ დამასკოში გამანადგურებელ ბრძოლებს იერუსალიმისათვის უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. ყოველ შემთხვევაში, მინაწერის ავტორი დიმაშხის აოხრებას უკავშირებს ჯვრის სახლის აოხრებას, ამის გამო გაჭირვებულ ჯვარელებს პიმენ მაწყუერელმა ზეთი და ცვლი შესწირა[3].

XV საუკუნის მეორე ნახევრიდან, მას შემდეგ, რაც საქართველომ ამოისუნთქა თემურლენგის გამანადგურებელი თავდასხმებისაგან, კიდევ უფრო გაძლიერდა ქართველების ზრუნვა იერუსალიმის ქართულ მონასტრებზე, გაიზარდა იერუსალიმში მოგზაურთა რიცხვიც. გამოჩნდნენ ენერგიული და ინიციატივის მქონე პირები, რომელნიც თავდაუზოგავად იბრძოდნენ იერუსალიმში ქართველთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და დაკარგული უფლებების აღსადგენად. ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ბეენა ჩოლოყაშვილი, გიორგი VIII-ის (1447—1476) სახლთუხუცესი. იგი მეფე გიორგი VIII-ის ჯვარისმამად იყო წარგზავნილი იერუსალიმში.

ბეენა ჩოლოყაშვილის მრავალმხრივი საინტერესო მოღვაწეობა იერუსალიმში საკმარისად სრულად არის ასახული იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში. იერუსალიმურ ხელნაწერებში ბეენას ყველა ანდერძ-მინაწერი გიორგი მეფის მოხსენიებით და შესანდობარით იწყება.

---

[1] ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, იერუსალიმის ერთი ხელნაწერი, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XV—B, თბ., 1948, გვ. 37—48.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 43.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 44.

ერთ-ერთ მინაწერში ვკითხულობთ: „ესე წიგნი, თარგმანი, მეფის სახლისა უხუცესმან, ბეენამ, ჩოლოყას შვილმან შევკაზმე, ბატონის მეფის გიორგისაჲ სადღეგრძელოდ და ცოდვათა შესანდობელად"[1]. სხვა მინაწერებში ბეენა გვაუწყებს: „აქა მე და სომეხნი დავისარჩლენით იაკობ წმიდისა საყდარზედა და დიდი ჭირი და სარჯელი გარდამხდა ცოდვილსა ბეენასა", ანდა „ძმანო, ნებითა ღთისათა აქა ფრანგთა გოლგოთა დავაგდებინე და მათი ყუელა გარეთ გამოუყარე, კანდელი და რაცა მათი იყო, მე, ცოდვილმან ბეენ"[2]. ამ მინაწერებით გიორგი მეფისაგან იერუსალიმში დადგინებული ჯვარისმამა ბეენა ჩოლოყაშვილი ენერგიულ, ძლიერ, მთლიან პიროვნებად გვეხატება. იგი გადამწყვეტ ღონისძიებებს ღებულობს და „ფრანგებისაგან" მიტაცებულ გოლგოთას კვლავ ქართველთა სავანედ ხდის. ამ საქმის სისრულეში მოყვანის დროს ფრანგების ნამდვილ დარბევასაც არ ერიდება („მათი ყუელა გარეთ გამოუყარე").

უფრო გვიანდელ მინაწერში აღნიშნულია: „ამა წიგნისა მეორე შემკაზმავსა, ჩოლოყას შვილსა ბეენასა შეუნდნეს ღმერთმან. ქორონიკონსა სბ შეიკაზმა და ამა კუირასა, დღესა სამშაბათსა, მეორესა ჟამსა ღამისასა, შევაბი აღდგომისა კარნი"[3]. ეს მინაწერი ნათლად გვისურათებს ბეენას მოღვაწეობის ხასიათს: იგი ართმევს მიმტაცებლებს ქართველთა მონასტრებს, აწარმოებს ქართული ხელნაწერების შეკაზმვა-რესტავრაციას. საქმიანობაში გართულ ბეენასათვის დღე და ღამე გაერთიანებულია. აღდგომის ეკლესიის კარის შებმას ბეენა ნაშუაღამევის მეორე საათზე ამთავრებს და ეს მნიშვნელოვანი ამბავი ხელნაწერის ფურცლებზე შეაქვს, თარიღის ზუსტი აღნიშვნით: „ქორონიკონს სბ" (202+1312=) 1514 წ.

„ამის მიხედვით გიორგი მეფის სიცოცხლეში (1476 წლამდე) იერუსალიმში ჩასული ბეენა ჩოლოყაშვილი 1514 წელსაც აქ მოღვაწეობს ქართველთა უფლებისა და სახელის აღსადგენად და დასაცავად. ცხადია, ამ დაცემისა და დაქსაქსულობის პერიოდში მხოლოდ მსგავს ენერგიულ ადამიანებს შეეძლოთ საქართველოს ძლიერების ძველი პრესტიჟის შენარჩუნება შორეულ პალესტინაში"[4].

ზემოთ მოთხრობილი ეპიზოდები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიიდან მეტად დამახასიათებელი ფაქტია იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ ზრუნავდნენ ქართული სახელმწიფოს მესვეურნი თავიანთი

---

[1] ნ. მარი, იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო წიგნსაცავის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა, დასაბეჭდად მოამზადა ე. მეტრეველმა, თბ., 1955, გვ. 35.

[2] იქვე, გვ. 36.

[3] ნ. მარი, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, გვ. 37.

[4] ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV — XVIII სს.), გამოკვლევა და ტექსტები, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 241—242.

საზღვარგარეთული კულტურის ცენტრებისათვის და როგორ ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ის უფლებრივი სასიათის პრივილეგიები, რომლებიც მათ მოპოვებული ჰქონდათ პალესტინის წმინდა ადგილებში. სწორედ ამ ვითარებას ასახავს იერუსალიმის ერთ-ერთი ხელნაწერის სომხური ანდერძ-მინაწერი სომეხთა ეპისკოპოს მარტიროსსზე: ამ საყურადღებო დოკუმენტიდან ირკვევა, რომ XV საუკუნეში ქართველებს კიდევ იმდენი გავლენა ჰქონდათ იერუსალიმსა და ეგვიპტეში, რომ როდესაც სომეხთა ეპისკოპოსს მარტიროსს უნდოდა ქართველ მონაზონთაგან გოლგოთა დაებრუნებინა, იმისდა მიუხედავად, რომ მისივე სიტყვით, ამ საქმისათვის ეგვიპტეშიც კი გამგზავრებულა რამდენჯერმე, ეგვიპტელი მოხელეებისათვის მირთმეულ საჩუქრებშიაც დიდძალი ფული დაუხარჯავს, მაინც ვერა გაურიგებია რა. ეგვიპტის სულთნის კარზე მას ბოლოს თურმე გულახდილად ურჩიეს გოლგოთას სამუდამოდ გამოთხოვებოდა და ქართველებთან შეცილებისათვის ისევ თავი დაენებებინა იმიტომ, რომ ქართველ ბერებს ზურგს მათი მეფე უმაგრებს, რომელიც ძღვენს გარდა, ჩვენ შეგვპირდა, რომ თავის სამეფოში მუსლიმანებს არ შეავიწროებსო[1].

იმდროინდელი მოგზაური ბართოლომე დე სალინჰაგო მოგვითხრობს: იერუსალიმში სალოცავად შესვლის დროს ქართველები საზეიმოდ მორთულ-მოკაზმულ ცხენებსა და აქლემებზე სხედან და გაშლილ-აფრიალებული ეროვნული დროშებით თავისუფლად შედიოდნენ ქალაქში და სხვებივით სულთანს ამისთვის დაწესებულ გადასახადს არ აძლევენო. სალინჰაგო ამასთანავე უმატებს, რომ ეგვიპტისა და ოსმალეთის სულთნებს ქართველებისა ეშინიათო[2].

ნ. მარმა იერუსალიმის მართლმადიდებლური საპატრიარქოს არქივში აღმოაჩინა არაბული საბუთის დედანი, რომელიც შეიცავს ეგვიპტის მამლუქთა ბრძანებას. ამ საბუთიდან ირკვევა, რომ ქართველ მლოცავთა დასაცავად და მათი უშიშროების უზრუნველყოფისათვის ქართველთა ჯვრის მონასტერთან საგანგებო არაბი მოხელე იმყოფებოდა ხოლმე, რომელიც მოვალე იყო ქართველ მლოცავებს ალაბშივე (ალეპოში) დახვედროდა, იერუსალიმამდე გაჰყოლოდა და ამგვარადვე გამოეცილებინა ისინი, როდესაც უკან დაბრუნდებოდნენ ალეპოში[3].

---

[1] Н. Марр, Предварительный отчет о работах на Синае и в Иерусалиме, в поездку 1902 г., Сообщ. Палест. общ., т. XIV, ч. II, 1903, с. 50; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი IV, თბ., 1948, გვ. 192.

[2] Bartolomaei de Salignaco, Jtinerarium Hierosolymitanum an. 1522, l. VIII. ცნობა მოგვაქვს მ. თამარიშვილის ნაშრომის მიხედვით, იხ. Michel Tamarati, L'église Géorgienne, Rome, 1910, გვ. 310.

[3] Н. Марр, Предварительный отчет... с. 51; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი IV, გვ. 192.

ანგელოსის გამოსახულება, ყინწვისის ტაძრის მხატვრობა, XII—XIII სს. მიჯნა.



ქვათახევის ტაძარი (ქასპის რაიონი), გუმბათის ყელი, XII — XIII სს. მიჯნა.

ფიტარეთის ტაძარი (თეთრი წყაროს რაიონი), გუმბათის ყელის ნაწილი, 1213 — 1222 წწ.

ფიტარეთის ტაძარი, სამხრ. ფასადის ნაწილი, 1213 — 1222 წწ.



წულრუღაშენის ტაძარი (ბოლნისის რაიონი), აღმოსავლეთის ფასადის ნაწილი, 1213—1222 წწ.





წუღრუღაშენი, ხედი სამხრ.-აღმოსავლეთიდან, 1213—1222 წწ.

სხალტბა-შიომღვიმის წყალსადენი, გეგმა, პროფილი, დეტალები, 1202 წ.

დავით გარეჯი. წყალსადენის ტრასის ნაწილი, XIII ს.

ხერთვისის ციხე (ასპინძის რაიონი).

ნაქალაქარ დმანისის მისადგომები სამხრეთიდან.

დმანისის სიონის კარიბჭე ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, XIII ს.



დმანისის სასახლისა და შიდაციხის აბანოს გეგმები და ჭრილები, XIII ს., არქიტ. ც. გაბაშვილი, რ. მეფისაშვილი.



დმანისის გარეუბნის ქვემო აბანოს გეგმები და ჭრილები, XII—XIII სს., არქიტ. ც. გაბაშვილი, ქართული ხელოვნ. ისტ. ინსტიტუტი.



დმანისის კერამიკული სახელოსნოს ნაშთი — თიხის სოლი, XII — XIII სს. საქ. სახ. მუზეუმი.



დმანისის კერამიკული სახელოსნოს ნაშთი — კერამიკული სამფეხების ფრაგმენტები, XII — XIII სს., საქ. სახ. მუზეუმი.

დმანისის მოჭიქული ჭურჭლების ნიმუში — ლურჯად მოჭიქული ფაიანსის ჭურჭელი, XII—XIII სს., საქ. სახ. მუზეუმი.

დმანისის მინის სახელოსნოს წუნის ნიმუშები, XIII ს.



დმანისი. მინის ჭურჭლის ყელის ნატეხი, დეფორმირებული.

ძვლისა და რქის ნივთები დმანისიდან, XIII ს. საქ. სახ. მუზეუმი.



მინის ჭურჭელი რუსთავიდან, XIII ს., რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.



მინის ჭურჭელი რუსთავიდან, XIII ს., რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

თბილისის კერამიკული სახელოსნოს ნაშთები, XIII ს.

თბილისის კერამიკული სახელოსნოს ერთ-ერთი ქურის ნაშთი, XIII ს.

თბილისის კერამიკული სახელოსნოს წუნის ნიმუშები, XIII ს., საქ. სახ. მუზეუმი.

ნატბეურის მინის სახელოსნოს წუნდებული ჭურჭლის ფრაგმენტები, XIII ს.





ნატბეურის მინის სახელოსნოს წუნდებული ჭურჭლის ფრაგმენტები, XIII ს.

ვერცხლის ჭურჭელი ასომთავრული წარწერით, XIII ს. მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

აღნიშნულ ხანაში ქართველები პეტრიწონის მონასტერშიც (ბაჩკოვო, ბულგარეთი) მოღვაწეობდნენ. ამის ნათელი მოწმობაა მონასტრის მთავარ ეკლესიაში (რომელიც, როგორც ფიქრობენ, გრიგოლ ბაკურიანის ძისეული ეკლესიის ადგილზეა აშენებული XVII საუკუნის პირველ ნახევარში— 1643 წ.) დღემდე შემონახული ქართულ (ასომთავრული) წარწერიანი ხატი ღვთისმშობლისა, რომელიც XIV საუკუნეში მოუჭედინებიათ. წარწერა ასე იკითხება (მარჯვენა მხარეზე): „+მოიჭედა წმიდაჲ ესე ხატი ყოვლად წმიდის, დედოფლისა ჩუენისა ღმრთის მშობლისა პეტრიწონს ორთა ჴორციელად ძმათა მიერ ტაოელთა ეგნატის შვილთა მოძღვრის ათანასის და ოქროპირისა პერპერითა ასოცდა ექვსითა და წინაშე ხატისა საკანდლითა ვეცხლისაითა (მარცხენა მხარეზე): საბერძნეთს მეფობასა კეთილად მსახურთა მეფეთა ანდრონიკე, მიხაელ და ანდრონიკესსა პალეოლოღოს ძეთასა. ხოლო ქართლს კონსტანტინესსა და დიმიტრისსა ბაგრატონიანთასა, დასაბამითგანთა წელთა ბერძულად ექვსი ათას რვაას ცხრამეტსა, ხოლო ქართულად ექვსი ათას ცხრაას ხუთმეტსა. წმიდაო ღმრთის მშობელო, შეიწირე მცირე ესე ძღუენი მათი და შეიწყალენ და მეოხ ეყავ მათ და მშობელთა მათთა დღესა მას დიდსა სასჯელისასა წინაშე ძისა შენისა და ღმრთისა ჩუენისა. ამინ, ამინ იყავნ, ამინ. ქრონიკონსა ხუთას ოცდა თერთმეტსა, ინდიქტიონსა ცხრასა. ქრისტე ღმერთო, შეიწყალენ სულნი მათნი, კაცთ მოყუარე, ამინ“[1].

როგორც ვხედავთ, წარწერა მტკიცედ არის დათარიღებული — 1311 წელი. იგი მრავალმხრივ არის საყურადღებო და საინტერესო, მაგრამ ამჯერად ჩვენთვის მას ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის ისტორიისათვის. უპირველეს ყოვლისა, ეს წარწერა მოწმობს, რომ XIV საუკუნეში ქართველებს პეტრიწონის მონასტერთან კავშირი გაწყვეტილი არ ჰქონიათ; უფრო მეტიც, ამ წარწერის საფუძველზე ისეთი დასკვნის გამოტანაც შეიძლება, რომ ამ დროს ეს მონასტერი ჯერ კიდევ მტკიცედ უპყრიათ ქართველებს ხელში. აქ მოღვაწეობენ ტაოელი ძმები, ეგნატის შვილები, ათანასი და ოქროპირი, რომელნიც მონაზვნები არიან. ერთი მათგანი, უფროსი ათანასი, მოძღვარია.

„ტერმინი მოძღვარი აქ გარკვევით ნიშნავს თანამდებობით მასწავლებელს და არა მხოლოდ ისეთ პირს, როგორიც შეიძლება იყოს ყოველი მონაზონი, — ვისიმე სულიერი დამრიგებელი („მოძღვარი“). ამ მოსაზრების საფუძველზე შეიძლება ვიფიქროთ, რომ ათანასის მოხსენიება მოძღვრო-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ძლევაჲ, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი V, თბ., 1971, გვ. 29—30; ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში, თბ., 1971, გვ. 358; Louis Petit. Typicon de Grégoire pacourianos pour le monastere de Petritzos (Bačkovo) en Bulgarie, Византийский Временник, Приложение к XI тому, № 1, СПб., 1904, с. XIX — XX.

ბით მნიშვნელოვანი გარემოების მაჩვენებელი უნდა იყოს: რომ XIV საუკუნეში პეტრიწონს ჯერ კიდევ არსებობდა ის სასწავლებელი, გრიგოლის ტიპიკონით რომ არის გათვალისწინებული და რომ ეს მასწავლებელი (მოძღვარი) ამ დროს ქართველი („ტაოელი") ათანასია"[1]. ეს ის ნიკოლწმიდის სკოლაა, რომელიც სემინარიადაც იწოდებოდა და რომელიც პეტრიწონის მონასტრისათვის მონაზვნებს ამზადებდა. როგორც ცნობილია, სწავლება აქ ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, რადგან გრიგოლ ბაკურიანის ძის ტიპიკონი აღნიშნულ მონასტერში მხოლოდ ქართული წერა-კითხვის მცოდნე ბერების ყოფნას ითვალისწინებდა. აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ პეტრიწონის მონასტრისათვის დაწესებული ტიპიკონი XIV საუკუნეშიაც ჯერ კიდევ ძალაში უნდა ყოფილიყო.

XIV საუკუნეში ქართველები რომ მტკიცედ სხედან პეტრიწონის მონასტერში, ამას მონასტრის გუმბათის ქართულწარწერიანი ჯვარიც ადასტურებს. გუმბათის ჯვარს ქართული მთავრული ასოებით აწერია: „ძლევაᲲ Იესუს ქრისტესი". პალეოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით, ა. შანიძე აღნიშნულ წარწერას XIV საუკუნით ათარიღებს[2].

აღნიშნულ ხანაში ქართველების მოღვაწეობაზე პეტრიწონში მიგვითითებს აგრეთვე ჩვენამდე მოღწეული ერთი მოზრდილი ხელნაწერი, რომელიც ამ მონასტერშია გადაწერილი. ის ერთ დროს სვანეთში ინახებოდა და დღეს საქართველოს მუზეუმშია დაცული (H—1760). მას XV საუკუნით ათარიღებდნენ, მაგრამ ჰვირნიშის მიხედვით კი თარიღდება 1300—1340-იანი წლებით[3].

§ 2. ისტორიოგრაფია

ჟამთააღმწერელი. საქართველოს XIII—XIV საუკუნეების ისტორია ლაშა გიორგის გამეფებიდან ვიდრე გიორგი ბრწყინვალის გამეფებამდე ეკუთვნის XIV საუკუნის ისტორიკოსს, რომლის სახელი უცნობია და რომელიც ჩვენს ისტორიოგრაფიაში ჟამთააღმწერლის სახელითაა ცნობილი.

ავტორი ისტორიას ჟამთააღმწერლობას და ისტორიკოსს ჟამთა-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ძლევაᲲ, გვ. 30—31.

[2] ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი Ბულგარეთში, გვ. 363—364.

[3] ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი Ბულგარეთში, გვ. 16; რ. პატარიძე, უძველესი იტალიური ჰვირნიშნიანი ქაღალდი ქართულ ხელნაწერებში, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის IV სამეცნიერო სესია 1962 წლის 14—15 ნოემბერს. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, გვ. 6.

აღმწერელს უწოდებს. ამ გარემოებამ საფუძველი მისცა აკად. ივ. ჯავახიშვილს მისთვის ქამთააღმწერელი ეწოდებინა[1].

ქამთააღმწერლის თხზულება „შინაარსიანი ნაწარმოებია და თვით მოთხრობის ასპარეზიც ფართოა: აქ საქართველოს მარტო პოლიტიკური თავგადასავალი კი არ არის აღწერილი, არამედ სახელმწიფო ცხოვრებაც და წესწყობილებაც ცხოვლად არის დახატული, მრავალი ძვირფასი ცნობა მოიპოვება მოხელეობისა და მართვა-გამგეობისა, მცხოვრებთა რაოდენობისა და მოძრაობის შესახებ, მეხარკეობისა და მელაშქრეობის, გადასახადებისა და ბეგარის შესახებ. საეკლესიო საქმეებიც, ქვეყნის ზნეობრივი მდგომარეობაც, შინაური საცოლქმრო ვითარებაც საკმაოდ არის დასურათებული. ჩვენი ავტორის ისტორია აუარებელ ცნობებს შეიცავს და მისი ღირსება იმიტომ უფრო ორკეცდება, რომ XIII საუკუნის საბუთები ცოტაა შერჩენილი და ბევრს შემთხვევაში ეს თხზულება მკვლევარისათვის ერთადერთი წყაროა“[2].

ქამთააღმწერელი ფართო განათლების ადამიანი ჩანს; ის კარგად იცნობდა მსოფლიო ისტორიას, ქართულ, ბერძნულ, სპარსულ და მონღოლურ წყაროებს. აღსანიშნავია, რომ ქამთააღმწერელი კრიტიკულ დამოკიდებულებას იჩენს წყაროებისადმი. ერთგან ავტორი აკრიტიკებს ვიღაც „ყოველთა აღმწერელს“ ულუ და ნარინ დავითის გამეფების ამბებთან დაკავშირებით და აცხადებს, რომ „მე არ შევიწყნარებ“ ყოველთააღმწერლის ამ აზრსო. ავტორი ასაბუთებს კიდეც თავის კრიტიკას და ყოველთააღმწერლის აზრის შეუწყნარებლობის საბუთად მოჰყავს პირველწყაროები — სიგელები. ეს კი, როგორც ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, „საისტორიო კრიტიკის მეთოდის ჩანასახია და ქართულ მწერლობაში ეს კრიტიკული მეთოდი პირველი ცდა არის“[3]. საინტერესოა ქამთააღმწერლის ისტორიოგრაფიული შეხედულება. მისი აზრით, „ქამთააღმწერლობა ჭეშმარიტის მეტყველება არს და არა თუალაბმა ვისთუისმე“[4]. რაკი ისტორია ჭეშმარიტების თხრობაა, ამიტომ, ავტორის აზრით, ისტორიკოსმა არ უნდა მიჩქმალოს ბოროტება და ბოროტმოქმედნი, თვით ისტორიული წიგნი „შუამდებარე არს კეთილსმოქმედთა და ბოროტის მოქმედთა“, ე. ი. ისტორია უნდა იყოს მიუდგომელი, ობიექტური. ამ თვალსაზრისით აფასებს ავტორი მეფეთა მოღვაწეობასაც. თუმცა არ არის საკადრებელი მეფეებზე უშვერი რამეების თხრობა, — ამბობს ისტორიკოსი გულისტკივილით, — მაგრამ სინამდვილე არ უნდა დავმალოთ, მეფეთა ბოროტი

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 249.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 262.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 261.

[4] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 139.

საქმეების მიმართ თვალი არ უნდა დავხუჭოთ. და გადმოგვცემს იმ საზარელ ამბებს, თუ როგორ ცდილობდა რუსუდანი დაეღუპა თავისი ძმისწული დავითი, რომ საკუთარი შვილისათვის, ნარინ დავითისათვის გაეკაფა გზა სამეფო ტახტის დასაჭერად: „დაივიწყა შიში ღმრთისა და ანდერძი ძმისა და ფიცი იგი, რომელი ამცნო ძმამან მისმან რუსუდან მეფესა, და განიზრახა ზრახვა უცხო, რათა დაუმკჳდროს მეფობა ძესა მისსა დავითს, და წარავლინა კაცი საბერძნეთს, სულტანსა სიძეს და ასულსა თამარს წინაშე, რათა ძმისწული მისი დავით ყრმა რომელ პირველ წარავლინა მათდა, რათა ბოროტი რა ეყოს მათ მიერ, და არა რა ბოროტი ეყო, აწ რომელი წარსწყმიდონ და მოაკუდინონ, და მიერითგან უზრუნველად ეპყრას მეფობა მას და ძესსა დავითს“[1].

მაგრამ რადგან სიძემ, ყიასედინმა, თავისი სიდედრის ეს დავალება არ შეასრულა, რუსუდანმა თავისი მიზნის მისაღწევად მიმართა უსაშინელეს საშუალებას: ცილი დასწამა დავით ლაშას ძეს და შეუთვალა თავის სიძეს: „ამისთჳს მენება მოკვლა ძმისწულისა ჩემისა დავითისი, რომე ცოლსა შენსა და ასულსა ჩემსა ძმისწული ჩემი დავით თანაეყოფვის, და ამისათჳს არა ნებავს ასულსა ჩემსა ბოროტი მისიო“[2].

თუ ამ „განსაკრთომელ მოთხრობას“ გულისტკივილით ურთავს ჟამთაღმწერელი თავის „ისტორიას“, სამაგიეროდ მისი დიდი კმაყოფილება მოჩანს, როდესაც ცოტნე დადიანის გმირული თავგანწირულობის ამბავს გადმოგვცემს: მონღოლების მიერ დატუსაღებული ამხანაგები ცოტნე დადიანმა კი არ მიატოვა, არამედ თავისი ნებით გამოცხადდა მონღოლთა ბანაკში და ამხანაგების ბედის გაზიარება მოინდომა. ჩვენი ისტორიკოსი ამასთან დაკავშირებით იგონებს იოანეს სიტყვებს და ამბობს: „უფროს ამისსა სიყუარული არა არს, რათა დადვას კაცმან სული თჳსი მოყუსისა თჳსისათჳს, რომელ ყო პატიოსანმანცა ამან კაცმან ცოტნე სათნოება მაღალი და განსათქმელი, საქმე საკჳრველი და ყოვლისა ქებისა ღირსი“[3].

ასევე სიამაყის გრძნობით გვიამბობს ჩვენი ისტორიკოსი დემეტრე შეორის თავგადასავალს, მის თავგანწირვას ერისათვის. დემეტრე ეუბნება კრებას: მიწვევენ მონღოლეთში, თუ არ წავედი, ქვეყანას ააოხრებენ, თუ წავედი, მომკლავენო; უმჯობესია მე წავიდე, დეე „მომკლან, ვგონებ, ქუეყანა უვნებლად დარჩეს. მეწყალის უბრალო ერი, არასადა აქუს ნუგეშინის ცემა, მე დავსდებ სულსა ჩემსა ერისთჳს ჩემისა და არა დავიშლი ურდოსა წარსლვასო“. ის მართლაც შეეწირა სამშობლოს[4]. ჩვენს ისტორიკოსს კიდევ სხვაც, არაერთი ამაღელვებელი მაგალითი აქვს ნაჩვენები ქართველე-

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 199.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 216.

[4] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 287 — 288.

ბის მამულისა და მოძმეთათვის თავის დადებისა. მაგალითად, მას აღწერილი აქვს ავაგ სპასალარის ნოინებთან მისვლა, რომელიც იქნა „დამდები სულისა თჳსისა ქუეყანისა მისისათჳს". ეს ავაგი მერე თვით მონღოლეთში წასულა, თან წაუყვანია ეჯიბად ვინმე დავითი, ივანე ახალციხელის ძე, რომელიც იმის შიშით, რომ მონღოლებმა მისი პატრონი ავაგი არ მოკლან, გამოწყობილა ავაგის ტანისამოსში და გაუთამაშებია ავაგის როლი, რაოდა, თუ პატრონის მოკვლას მოინდომებენ, მე მომკლავენ და ავაგი ცოცხალი დარჩება. დავით ეჯიბის ასეთი საქციელით აღფრთოვანებული ჟამთააღმწერელი ამბობს: „ესოდენი სათნოება ქმნა დავით, გამწირველმან თავისამან პატრონისათჳს სიკუდილად"[1]. ავაგის ეჯიბის ასეთი თავგანწირვა დიდად გაჰკვირვებია თვით მონღოლთა ყაენს ბათოს, და, როგორც ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს, შემდეგი სიტყვები წარმოუთქვამს: „უკეთუ ნათესავი ქართველთა ეგევითარი არს, ვბრძანებ, რათა ყოველთა ნათესავთა, რომელნი არიან მორჩილებასა ქუეშე მაღალთა, უმჯობეს და უწარჩინებულეს იყვნეს და მაღალთა თანა მჴედართა აღრაცხონ, და მამული და საქონელი მათთა ჴელთა შინა იყოს, და ყოველსა შინა მისანდოდ იყვნენ"[2].

XIV საუკუნისათვის ისტორიული მეცნიერების დანიშნულების ჟამთააღმწერლისეული გაგება იმის მაჩვენებელია, რომ XI—XII საუკუნეების ქართული რენესანსის იდეები კვლავ ცოცხლობდნენ. სხვა საკითხია, თუ რამდენადაა რეალიზებული ისტორიის ობიექტურობის ავტორისეული გაგება თვით ნაშრომში. ავტორი ფეოდალური არისტოკრატიის მოწინავე ნაწილის წარმომადგენელია და მისი ობიექტურობაც, ბუნებრივია, ამ კლასობრივი ინტერესით არის განპირობებული.

ჟამთააღმწერლის აზრით, ისტორიკოსი მოვლენების უბრალო აღწერას კი არ უნდა იძლეოდეს, არამედ მან უნდა ახსნას ამ მოვლენის გამომწვევი მიზეზები. ავტორის აზრით, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ისტორიული პროცესის დამახასიათებელი მოვლენაა. ზოგან ჟამთააღმწერელი იძლევა კიდევაც კონკრეტული ისტორიული მოვლენის სწორ ახსნას. მაგალითად, დავით ულუს მეთაურობით მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყების მიზეზად იგი ასახელებს გადასახადებისაგან მოსახლეობის შევიწროებას და მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას[3]. აღსანიშნავია, რომ ცალკეული ისტორიული მოვლენის ასეთ სწორ ახსნასთან ერთად, ავტორი ვერ იძლევა საქართველოს სამეფოს დაცემის საერთო მიზეზების მეცნიერულ ახსნას. მისი შეხედულებით, საქართველოს მოოხრების, მონღოლთა მიერ მისი

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 197.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 198.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 238.

განადგურების მიზეზი იყო „რისხვა ზეგარდმო უსჯულოებითა და ცოდვათა ჩუენთათვის". თხზულებაში მრავალ ადგილასაა აღნიშნული, რომ საქართველოს დამარცხების მიზეზი ის უზნეობა, უწესობა, უგუნურობა იყო, რომელიც გაბატონდა სამეფო კარზე თამარის შემდეგ. ასეთი ბოროტი საქმეებით შევაწუხეთო ღმერთი — ამბობს ჟამთააღმწერელი და განაგრძობს — ღმერთმა სამაგიერო იმით გადაგვიხადა, რომ დაგვიფყო, „მტერთა წინაშე სირცხვილეულ გვყო" და „მოოხრდა ქვეყანა საქართველოსა"[1]. ავტორის საბოლოო დასკვნა ასეთია: ქართველობას მტკიცედ რომ დაეცვა ქრისტიანული ზნეობრივი პრინციპები, იგი არ დამარცხდებოდაო.

ჟამთააღმწერელი სამშობლოს პატრიოტი ისტორიკოსია. მას შთამბეჭდავ ფერებში აქვს დახატული ცოტნე დადიანის, დემეტრე თავდადებულის, ივანე და შალვა ახალციხელების, მემნა და ბოცო ბოცოს ძეების და სხვათა სამშობლოსათვის თავდადებული გმირობა. იგი ერთიანი, ძლიერი საქართველოს მოტრფიალეა. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ისიც, რომ ჟამთააღმწერლის თხზულებაში აშკარად შეინიშნება პესიმისტური მოტივები. ავტორის პესიმიზმის მასაზრდოებელი წყარო მონღოლი დამპყრობლების მიერ საქართველოს სამეფოს ძლიერების დამხობაში, საქართველოს დაცემა-დაუძლურებაშია საძიებელი. ჟამთააღმწერელი მაღალგანვითარებული მწერალია, მაგრამ მას აშკარად აკლია აღმავალი ფეოდალური ურთიერთობის ხანის ისტორიული აზროვნებისათვის დამახასიათებელი შემართება. ქვეყნის ეკონომიკური დაცემის მოწამე და მისი პოლიტიკური დაშლის თანამედროვე ჟამთააღმწერელი აღარაა იმედიანი მებრძოლი; ის არაა ეპოქის იდეური მესაჭე ძველთა მსგავსად და, როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, ჩ ა ი თ ვ ლ ე ბ ა წ ი ნ ა მ ო რ ბ ე დ ა დ ქ ა რ თ უ ლ ი ი ს ტ ო რ ი ო გ რ ა ფ ი უ ლ ი რ ო მ ა ნ ტ ი ზ მ ი ს ა[2]. XIII საუკუნის შემდგომი ხანის ქართულ ისტორიოგრაფიაში აშკარად შეინიშნება, რომ „წარსული სულ უფრო და უფრო სანატრელი ხდება. ქვეყნის პოლიტიკური ძლიერება, ეკონომიური მორჭმულობა, კულტურული მიღწევანი — სულ ყველაფერი წარსულში იყრის თავს — თამარის გარშემო.

თითქოს რაღაც დასრულდა საქართველოს ცხოვრებაში, თითქოს რაღაც გაწყდა, ცხოვრების წინსვლა შეფერხდა და წარსული სანატრელი გახდა... ამის მოწმობაა ქვეყნის სახელმწიფო მესაჭეთა პოლიტიკური მოღვაწეობაც... რომანტიკოსები—არიან XIV—XV საუკუნეთა ყველაზე დიდი პო-

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 165, 179.

[2] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 331.

ლიტიკური მოღვაწენი გიორგი ბრწყინვალე და ალექსანდრე I. მათი პოლიტიკური იდეალი „თამარის ხანის რესტავრაციაა“...[1].

XIV საუკუნეში დაწერილ ქამთააღმწერლის საისტორიო თხზულებას თვალსაჩინო ადგილი უკავია მონღოლური პერიოდის (XIII—XIV სს.) ზოგად ისტორიოგრაფიაში, რომელიც, როგორც ცნობილია, არაერთი საისტორიო ნაწარმოებით არის წარმოდგენილი (სპარსულ, არაბულ, სომხურ, სირიულ, რუსულ, ლათინურ-ევროპულ ენებზე...)[2].

ქამთააღმწერლის თხზულება შეიცავს საყურადღებო ცნობებს არა მარტო საქართველოს ისტორიისათვის, არამედ მონღოლთა და მონღოლური ტომების, მათი ულუსების და მათ მიერ დაპყრობილი ქვეყნების ისტორიისათვისაც (სომხეთი, აზერბაიჯანი... შუა აზია, ირანი, მცირე აზია, ნაწილობრივ აგრეთვე რუსეთი...).

ყველაზე უფრო მეტად თავის ყურადღებას ავტორი აჩერებს პოლიტიკური ხასიათის მოვლენებზე, მაგრამ საკმაოდ დაწვრილებით გვესაუბრება იგი მონღოლთა მიერ დაპყრობილი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესახებაც. ამასთან ისიც უნდა დავძინოთ, რომ ქართველი ისტორიკოსის თხზულებაში მახლობელ აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენების შესახებ ზოგიერთი ისეთი ცნობაა დაცული, რომლის მსგავსი ჩვენ სხვა წყაროებში არ გვხვდება. ესეც, თავის მხრივ, ცხადია, ზრდის მისი საისტორიო ნაწარმოების ზოგად მნიშვნელობასა და ღირსებას. როგორც პოლიტიკური ისტორია, ისე სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის მოვლენები მას აღწერილი აქვს მთელი ასი წლის მანძილზე. საამისოდ მის მიერ ქართულ წყაროებთან ერთად გამოყენებულია უცხოური წყაროებიც. ამ წყაროებს თავის დროზე ყურადღება მიაქცია ივ. ჯავახიშვილმა[3]. მანვე გამოთქვა მოსაზრება, რომ ქამთააღმწერელს სპარსული ენაც უნდა სცოდნოდა და ამის დამადასტურებელი საბუთიც დაამოწმა[4]. ამჟამად უკვე დამაჯერებლადაა გამორკვეული და დადგენილი ქამთააღმწერლის სპარსული წყაროები[5]. მისი თხზულების შინაარსის მიხედვით შესაძლებელია სხვა (აღმოსავლური თუ დასავლური) წყაროების აღნიშვნაც, კერძოდ, არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ ქამთააღმწერელი სარგებლობდა

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 320.

[2] ვ. გაბაშვილი, მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის მასალები ქამთააღმწერლის თხზულებაში, იხ. კრებ. „მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის ნარკვევები,“ თბ., 1968, გვ. 26.

[3] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 255—256.

[4] იქვე, გვ. 260.

[5] რ. კიკნაძე, ქამთააღმწერლის სპარსული წყაროები, კავკასიურ-აღმოსავლური არებული, II, 1962, გვ. 127—158.

მონღოლური „იასათი“, აგრეთვე სხვა მონღოლური (ზეპირი თუ წერილობითი) წყაროებით[1].

მონღოლური (და საზოგადოდ აღმოსავლური) წყაროებით უნდა ესარგებლა მას, როცა ზედმიწევნით და ამასთან ვრცლად აღწერდა მონღოლთა სადაურობას, ენას, ტომობრივ ორგანიზაციას, ყოფა-ცხოვრებას, სარწმუნოებას, კალენდარს, თემუჩინის აღზევებას და მონღოლთა სახელმწიფოს წარმოქმნას, მონღოლთა დაპყრობით ომებს, მონღოლურ ულუსებს, მონღოლთა დროს დაწესებულ გადასახადებს და სხვ.

მასვე, როგორც ამას ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, უნდა გამოეყენებინა იმდროინდელი ხალხის აღწერისა და შემოსავლის დავთრები და ბაჟის წიგნები[2].

თხზულებაში აშკარად ჩანს აგრეთვე თქმულებებით და ზეპირგადმოცემებით სარგებლობის კვალი[3].

სათანადო წერილობით წყაროებზე ჩანს დამყარებული აუარებელი მონღოლურ-თურქული წარმოშობის ტერმინი, რომელთა შინაარსობრივი მნიშვნელობის განმარტებას ზოგჯერ თვითონ ავტორი იძლევა.

ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, წარმოადგენს კარგ და სანდო მასალას მონღოლთა ბატონობის დროინდელი მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესასწავლად[4]. XIV საუკუნის ქართველ ისტორიკოსს შენიშნული და შეფასებული აქვს მონღოლთა ბატონობის პერიოდის ყველა ნიშანდობლივი და დამახასიათებელი სოციალური და ეკონომიკური ხასიათის მოვლენა. ამდენადვე სავსებით ცხადი უნდა იყოს მისი საისტორიო ნაწარმოების, როგორც XIII—XIV სს. წინა აზიის ისტორიის ერთ-ერთი საუკეთესო პირველწყაროს მნიშვნელობა.

სამწუხაროდ, ქართველი ისტორიკოსის ვრცელი და შინაარსიანი თხზულება შედარებით უფრო ნაკლებ არის ცნობილი ორიენტალისტურ ლიტერატურაში, ვიდრე, მაგალითად, სპარსული ან სომხური საისტორიო ნაწარმოებები. ცნობილი მონღოლისტი აკად. ბ. ვლადიმირცოვი შეეხო ჟამთააღმწერლის ცნობებს მონღოლური ენის შესახებ, მაგრამ უყურადღებოდ დარჩა მისი სხვა ცნობები იმავე მონღოლებთან და მონღოლთა სახელმწიფოს ისტორიასთან დაკავშირებით[5].

აკად. მ. ბროსეს შემდეგ, ჟამთააღმწერელს და მის თხზულებას სერი-

---

[1] ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

[2] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 256.

[3] იქვე.

[4] ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

[5] В. Я. Владимирцов, Анонимный грузинский историк XIV в. о монгольском языке, Известия Российской Академии наук, VI серия, 1917, с. 1487 — 1501.

ოზული ყურადღება მიაქცია მხოლოდ გერმანელმა ორიენტალისტ-ისტორიკოსმა ბერტოლდ შპულერმა. მან საკმაოდ დაწვრილებით განიხილა და შეაფასა XIV საუკუნის ქართველი ანონიმი ისტორიკოსის თხზულების მნიშვნელობა XIII—XIV სს. მრავალრიცხოვანი წყაროების შუქზე და გამოიყენა ცნობები ირანის ისტორიის სხვადასხვა საკითხის შესასწავლად[1].

ჟამთააღმწერლის თხზულებაში მოიპოვება ცნობა, რომ XIII—XIV საუკუნეებში, საქართველოს ამ მძიმე განსაცდელის ჟამს, ისტორიულ მეცნიერებას სხვა წარმომადგენლებიც ჰყოლია. ჟამთააღმწერელი ასახელებს კიდევაც თავის ორ წყაროს — ისტორიკოსს „ბერი ვინმე მღუიმელს"[2] და „წიგნს მეფეთა ბაღუაშისთა და ნათესავთა მისთა"[3], რომელთა ნაშრომებმა ჩვენამდე ვერ მოაღწიეს.

ძ ე გ ლ ი ე რ ი ს თ ა ვ თ ა. „ძეგლი ერისთავთა" ქსნის ერისთავების საგვარეულო მატიანეა. იგი დაწერილია ქსნის ერისთავთერისთავის ვირშელ III-ის სიცოცხლეში, 1348—1400 წლებს შორის, ამ დროის ცნობილი ლარგველი მოღვაწის, მწიგნობრისა და მხატვრის ავგაროზ ბანდაისძის მიერ[4]. ავტორის მთავარი მიზანია კანონიერი საფუძველი გამოუძებნოს ქსნის საერისთავოს წარმოშობას. ამ გარემოებას კარგად ადასტურებს ავტორის მსოფლმხედველობაც. ივ. ჯავახიშვილის სამართლიანი განცხადებით, „ძეგლი ერისთავთას" ავტორის „აზროვნება ვიწროა და ცალმხრივი: მისი თვალთა ხედვის ასპარეზი ქსნისა და არაგვის ხეობათა ამბებს ვერ გადასცილებია... საქართველოს დანარჩენი და უმეტესი ნაწილი მისთვის თითქო არ არსებობდა და სახელმწიფო-სამოქალაქო ცხოვრების ამბებისათვის ყური მოყრუებული ჰქონია... სამხედრო მოქმედების გარდა შემატიანის გულისყური მხოლოდ საეკლესიო შენობების აგებისა და შემკობისა, მღვდელმსახურთა პატივისცემისა და დასაჩუქრების ამბებისაკენ იყო მიპყრობილი. მას გულმოდგინედ აღნუსხული აქვს, თუ რომელმა ლარგველმა რა ხატი შეამოსინა და მოაჭედინა, ან ტაძარი ააშენებინა და მოახატვინა"[5]. ამ მხრივ „ძეგლი ერისთავთა" სხვა ლოკალური მატიანეების მთლიანი ანალოგონია. ავტორი აგვიწერს რა ბიბილურთა გვარის ქსნის ხეობაში გაერისთავების ისტორიას, თავისი ფეოდალური ტენდენციის გამო ის ხშირად არღვევს ისტორიულ პერსპექტივს, უმართებულოდ აშუქებს ისტორიულ ფაქტებს, აზვიადებს ერთი რიგის მოვლენებს, ამცირებს მეორე რიგისას[6].

---

[1] B. Spuler, Mongolen in Jran, Berlin, 1955, გვ. 14, 15.

[2] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 177.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 268.

[4] შ. მ ე ს ხ ი ა, ძეგლი ერისთავთა..., მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 321.

[5] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 265.

[6] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. I, თბ., 1949, გვ. 163.

ასეთ მატიანეთა წერის ტრადიციის გამომუშავებისათვის ხელსაყრელ პირობებს ცენტრალური ხელისუფლების დასუსტების პერიოდები ქმნიდნენ, როდესაც ცალკეული დიდი ფეოდალები მათი განდიდების ისტორიულ გენეზისს არა „მეფის წყალობაში", არამედ წინაპართა ბრწყინვალე საქმიანობაში ხედავდნენ, რომ ამით დამოუკიდებლობის შარავანდედით შეემოსათ არა მხოლოდ აწმყო, არამედ წარსულიც და თავიანთი პოლიტიკური თავისთავადობისათვის ისტორიული დასაბუთება და ლეგიტიმური საფუძველი მიეცათ[1]. „ძეგლი ერისთავთას" ავტორი იდეოლოგიურ გამართლებას აძლევს ყველაფერ იმას, რაც ქსნის საერისთავოს პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში უკვე ფაქტად იყო ქცეული.

ბ ა გ რ ა ტ ი ს ა დ ა კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე ს მ ე ფ ო ბ ი ს ი ს ტ ო რ ი ა. ბაგრატ V (1360—1393) და მისი ძის კონსტანტინე I (1407—1411) მეფობის ისტორია, როგორც ეს ვახტანგ VI „სწავლულ კაცთა" კომისიის ცნობიდან ჩანს, ცალკე ყოფილა დაწერილი. დღეისათვის ეს ნაშრომი არ არსებობს. იგი გამოუყენებიათ და შეუტანიათ „ქართლის ცხოვრებაში" „სწავლულ კაცებს". ივ. ჯავახიშვილის აზრით, ორივე ამ ისტორიული თხზულების ავტორი ერთი და იგივე პირი უნდა იყოს და ის ბარათაშვილის გვარს ან მათ ყმა კაცს უნდა ეკუთვნოდეს[2]. ავტორი XV საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე ჩანს.

„ ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა". XIII—XV საუკუნეებში ისტორიისადმი ინტერესი „ქართლის ცხოვრების" გადაწერაშიც გამოიხატა. „ქართლის ცხოვრება" სხვადასხვა დროისა და ხასიათის ისტორიული შრომების კრებულია. „ქართლის ცხოვრება", „დიდი სასწავლო-პოლიტიკური წიგნი, ქართული ფეოდალური საზოგადოების იდეური დასაყრდენი"[3], თანდათანობით ივსებოდა. თავდაპირველად ეს კრებული შეიცავდა მხოლოდ ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებებს. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, ეს თავდაპირველი კრებული შედგენილი უნდა იყოს XII საუკუნეში[4]. XIII საუკუნეში კრებული შეუვსიათ „მატიანე ქართლისაჲთ" და დავით აღმაშენებლის ისტორიით[5]. ასეთი იყო „ქართლის ცხოვრების" კრებულის შედგენილობა XV საუკუნის ბოლომდე. ამის დამადასტურებელია „ქართლის ცხოვრების" ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწეროა შორის უძველესი (XV საუკუნის) ხელნაწერი, რომელიც 1913 წელს ივ. ჯავახიშვილმა აღმოაჩინა სოფ. ლამისყანაში ჯამბაკურ ორბელიანების

---

[1] ი რ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, „ძეგლი ერისთავთა" და მისი მნიშვნელობა სახელმწიფოს წარმოშობის ზოგიერთი საკითხისათვის, ენიმკის მოამბე, XIII, თბ., 1943, გვ. 220.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 269.

[3] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 294.

[4] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 319.

[5] ი ქ ვ ე, გვ. 309.

ოჯახში. აღნიშნული კრებული გადაწერილია ალექსანდრე კახთა მეფის მეუღლის დედოფალ ანას ბრძანებით XV საუკუნის II ნახევარში (1479—1495 წლებს შორის, უკიდურეს შემთხვევაში არაუგვიანეს 1500 წლისა) და ცნობილია ანასეული ხელნაწერის სახით.

§ 3. ლიტერატურა

XIII საუკუნის II ნახევრიდან ვიდრე XV საუკუნემდე მხატვრულ მწერლობაში რაიმე მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლი არ შექმნილა, მაგრამ ლიტერატურული შემოქმედება მაინც არ ჩამკვდარა. ამ საუკუნეებში არის თარგმნილ-გადმოკეთებული „ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა პეტრე ქართველისა, რომელი იყო ძე ქართველთა მეფისა". ეს თხზულება გადმოკეთებულია XIII—XIV საუკუნეების მიჯნაზე მაკარ მღვდელის, მესხის მიერ. პეტრე იბერიელი, ერისკაცობაში მურვანოზი, V საუკუნის ცნობილი საეკლესიო მოღვაწეა, ფრიად განათლებული ადამიანი, ფილოსოფოსი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელის სახელით ცნობილ თხზულებათა ავტორი), რომელიც პალესტინაში მაიუმის, ანუ ღაზის ეპისკოპოსად იყო არჩეული. ის მონოფიზიტური იდეოლოგიის მიმდევარი იყო. პეტრე რომ დიდი პიროვნება იყო, ჩანს იქიდანაც, რომ მის გარშემო შემოკრებილი იყო დიდძალი ახალგაზრდობა, რომელთაგან რამდენიმე ცნობილი პროგრესული მოღვაწე იყო. ზოგიერთმა მათგანმა პეტრეს გარდაცვალების უმალვე დაწერა ვრცელი მიმოხილვა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობისა. რამდენიმე მიმოხილვა ჩვენამდეც არის მოღწეული. ერთი მათგანი, რომელიც ბერძნულად იყო დაწერილი პეტრეს მოწაფის იოანე რუფუსის მიერ V საუკუნის ბოლო წლებში თუ VI საუკუნის დასაწყისში, ძალიან დაწვრილებით აგვიწერს პეტრეს ცხოვრებასა და მოღვაწეობას. მისი ბერძნული დედანი დაკარგულია; დარჩენილია VI საუკუნეში შესრულებული სირიული თარგმანი. მაკარ მესხის ნაშრომის საფუძველი სწორედ ეს სირიული ვერსია უნდა იყოს[1]. მაკარის ნაშრომი არ არის პირდაპირი თარგმანი, ის ავტორს გავრცელებით გადმოუკეთებია. მაკარის შრომა პირვანდელი სახით არ შენახულა. ის ცნობილია პავლე დეკანოზის რედაქციით, რომელიც XV საუკუნეს მიეკუთვნება.

XIII საუკუნის ბოლოს და XIV საუკუნის დამდეგს მოღვაწეობდა ნიკოლოზი, ქართველთა მნათობად წოდებული, რომლის შესახებ მხოლოდ

---

[1] კ. კეკელიძე, ქართული კულტურის ორი დღესასწაული, მნათობი, 1929, № 7; შდრ. მისივე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 334.

ის ვიცით, რომ მას დაწერილი ჰქონია „მრავალნი კანონნი“, საგალობლები სხვადასხვა საკითხებზე.

აღნიშნული პერიოდის სასულიერო-საეკლესიო მწერლობაც მეტად ღარიბია, მაგრამ ერთგვარად არსებობას მაინც განაგრძობდა ორიგინალური ჰაგიოგრაფიული მწერლობა. XIV საუკუნეშია დაწერილი „წამებაჲ ლუკა იერუსალიმელისაჲ“. ლუკა ქართველი, გვარით აბაშიძე, პალესტინაში ჯვარის ქართველთა მონასტრის წინამძღვარი იყო 3 წლის განმავლობაში (1270—1273). ამ დროს ჯვარის მონასტერი დიდ შევიწროებას განიცდიდა მამლუქებისაგან, რომელთაც მოუხერხებიათ კიდეც ქართველებისათვის მონასტრის წართმევა, მაგრამ დავით VIII-ს (1293—1311) უკანვე დაუბრუნებია. ლუკა ამ ბრძოლის აქტიური მონაწილე იყო და ამისათვის ეწამა კიდეც: მუსლიმანობის მიღებაზე უარის გამოცხადების გამო მას თავი მოჰკვეთეს. ლუკას ცხოვრება შენახულია სვინაქსარული რედაქციით[1].

ლუკა იერუსალიმელის სვინაქსარულ თხზულებას დიდი მნიშვნელობა აქვს პალესტინის ქართული კოლონიის მრავალი ბუნდოვანი საკითხის გარკვევისათვის[2]. როგორც დ. ყიფშიძე აღნიშნავს, ეს თხზულება თვალწინ გვიშლის იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ისტორიის ერთ ყველაზე უფრო ტრაგიკულ ფურცელს (1266—1277 წლების პერიოდი): ჯვარის მონასტრის მამელუქების მიერ მიტაცებას და მის მიზგითად გადაქცევის ისტორიის დასაწყისს. ამ ფაქტების ჭეშმარიტება დასტურდება იმდროინდელი არაბული წყაროებითაც[3]. ჯვარის მონასტრის შესახებ არსებული ისტორიული ცნობების გარდა, თხზულებაში დაცულია ამ პერიოდში პალესტინაში, კერძოდ, იერუსალიმში, ქალთა ქართული მონასტრის არსებობის ცნობა: ლუკას სვინაქსარული ცხოვრების მიხედვით, ლუკას დედა იერუსალიმის დედათა მონასტერში აღკვეცილა[4]. ამ ცნობას ადასტურებს მეორე წყაროც: სალომე ქართველის სვინაქსარული მოსახსენებელი. ე. მეტრეველის აზრით, სალომე XIII ს. მეორე ნახევრის მოღვაწეა, რომელიც მოღვაწეობდა იერუსალიმის რომელიღაც ქალთა ქართულ მონას-

---

[1] წამებაჲ ლუკა იერუსალიმელისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, გამოსაცემად მოამზადა ე. გაბიძაშვილმა, ილ. აბულაძის რედაქციით, თბ., 1968, გვ. 346—348.

[2] Д. А. Кипшидзе, Житие Прохора, муч. Луки и муч. Николая Двали: «Известия Кавказского Историко-археологического Института в Тифлисе», том II, Ленинград, 1927, с. 42—48; კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I[3], თბ., 1951, გვ. 514—515; ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, გვ. 31—33.

[3] Д. А. Кипшидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 43, 48.

[4] წამებაჲ ლუკა იერუსალიმელისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, გვ. 347.

ტერში, და ისიც, როგორც ლუკა, მამლუქთა ძალმომრეობის მსხვერპლი შეიძლება გამხდარიყო[1]. ამრიგად, ზემომოტანილი წყაროების საფუძველზე შეიძლება ვიფიქროთ, რომ XIII ს-ში იერუსალიმში არსებობდა ქალთა ქართული მონასტერი.

XIV საუკუნეშია დაწერილი აგრეთვე ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები „წამებაჲ ნიკოლოზ დვალისაჲ", რომელიც ასევე სვინაქსარული რედაქციითაა შემონახული. ნიკოლოზ დვალიც ჯვარის მონასტრის მოღვაწე იყო. ქრისტიანობისათვის ნიკოლოზს 1314 წლის 19 ოქტომბერს თაეი მოკვეთეს დამასკოში და გვამი ცეცხლში დაწვეს[2].

ნიკოლოზ დვალის სვინაქსარული ცხოვრება შეიცავს საგულისხმო ცნობებს არა მარტო ნიკოლოზის პიროვნების შესახებ, არამედ მამლუქთა სირია-პალესტინაში ბატონობის პერიოდის შესახებაც. მასში მოცემულია ქართველთა მდგომარეობის სურათი აღმოსავლეთში XIII—XIV საუკუნეებში[3]. როგორც ცნობილია, მამლუქთა ბატონობა პალესტინაში ქრისტიანობის დევნით აღინიშნა. მიუხედავად ქრისტიანთა და მათ რიცხვში ქართველი ბერების შევიწროებისა, აღმოსავლური და დასავლური წყაროების მიხედვით, ქართველები სხვა ქრისტიანული ერების წარმომადგენლებთან შედარებით გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდნენ[4]. ეს გარემოება ნათლად შეიმჩნევა ნიკოლოზ დვალის სვინაქსარულ ცხოვრებაშიც. თხზულებაში შემონახული ცნობებიდან მნიშვნელოვანია აგრეთვე ისიც, რომ ამ დროს მიმდინარეობს მთის ერთ-ერთი ტომის — დვალების ქრისტიანიზაცია და ქართველიზაცია. თვით ნიკოლოზი, რომელიც იყო „ნათესავად დვალი", „შვილი მორწმუნეთა მშობელთაჲ და მოსავთა წმიდისა ნათლისმცემლისათა", და თორმეტი წლის ასაკიდან „მონაზონ იქმნა და იყო უდაბნოთა კლარჯეთისათა", ამ პროცესის კარგი მაგალითია.

ნიკოლოზ დვალის ცხოვრებაში დაცულია ცნობა კუნძულ კვიპროსზე ქართული მონასტრის არსებობის შესახებ: ნიკოლოზი იერუსალიმიდან გაუგზავნიათ „კვპრეს... და მანდა იყოფებოდა დიდითა მოღუაწებითა. და ხატი დაახატვინა წმიდისა ნათლის-მცემელისაჲ და მის წინაშე შესწირ-

---

[1] ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, მასალები..., გვ. 163.

[2] წამებაჲ ნიკოლოზ დვალისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, გვ. 348—351.

[3] Д. А. К и п ш и д з е, Житие Прохора, муч. Луки и муч. Николая Двали, с. 48—53; კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I³, გვ. 515—516; ე. გ ა ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი, იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ქართველი მოღვაწეები (გამოკვლევა), იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, გვ. 119—125.

[4] Д. А. К и п ш и д з е, დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

ვიდა ღმრთისა ლოცვათა თჳსთა"[1]. როგორც აქედან ჩანს, ქართველთა მონასტერი კვიპროსის კუნძულზე ღალია resp. ჟალია, რომელსაც იხსენიებენ დავით აღმაშენებლისა და თამარის ისტორიკოსები, XIII—XIV საუკუნეებშიც განაგრძობდა არსებობას.

უნდა აღინიშნოს, რომ ნიკოლოზ დვალის სვინაქსარულ ცხოვრებაში მოთხრობილი ფაქტები ნდობის ღირსია. დ. ყიფშიძე, რომელსაც ძეგლში დაცული ისტორიული ხასიათის ცნობები შემოწმებული და შეჯერებული აქვს არაბულ წყაროებთან, დაასკვნის, რომ ეს ცნობები სარწმუნოა. მაგალითად, სვინაქსარული ცხოვრების მიხედვით, ნიკოლოზის წამების დროისათვის, ე. ი. 1314 წელს, დამასკოს „ამირათა-ამირა" ყოფილა დანგიზ თუ დენგის. ეს პიროვნება კი არის არაბ ისტორიკოსებთან (მუჯირ ედ-დინი) ხშირად მოხსენიებული სეიფ ად-დან თენგიზ, მამლუქთა სულთნის ნაცვალი, ემირთა-ემირი სირიაში. მის მოღვაწეობას, არაბული წყაროების მიხედვით, ადგილი ჰქონდა 1322—1343 წლებში. ჩვენი წყაროს ჩვენებით კი მის სირიაში მოღვაწეობას კიდევ ერთი ათეული წელი ემატება (1314 — 1343), რაც საყურადღებო უნდა იყოს აღმოსავლეთის ისტორიკოსებისათვის[2].

§ 4. კანონმდებლობა

XIII—XV საუკუნეების ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრივი ცხოვრების დონის გასაგებად დიდი მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნულ ხანაში შექმნილ საკანონმდებლო ძეგლებს. საკანონმდებლო მუშაობა, დღემდე შემორჩენილი ძეგლების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შედარებით უფრო ფართო მასშტაბისა იყო.

XIII—XIV საუკუნეების მიჯნაზეა შედგენილი ქართული სამართლის მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელიც ბექას სამართლის სახელითაა ცნობილი. დამოუკიდებელი სახით ამ ძეგლს ჩვენამდე არ მოუღწევია. მისი სათაურია: „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველისავე". იმის გამო, რომ ამ იურიდიულ ძეგლს შემდგომში ბექას შვილიშვილმა აღბუღა ათაბაგ ამირსპასალარმა XIV საუკუნის II ნახევარში თავის მხრივ 33 მუხლისაგან შედგენილი „სამართალი" დაურთო, ძეგლს ჩვეულებრივ „ბექა-აღბუღას სამართალს" უწოდებენ. ამ სამართლის კრებულში შეტანილია აგრეთვე XI საუკუნის იურიდიული ძეგლებიც. მას უდიდესი მნიშვნელო-

---

[1] წამებაჲ ნიკოლოზ დვალისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, გვ. 349.

[2] Д. А. Кипшидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 52—53.

ბა აქვს იმდროინდელი საქართველოს სამოქალაქო ისტორიის ყველა მხარის შესასწავლად. ამ ძეგლში საუბარია სამოქალაქო ურთიერთობის ყველა მხარეზე: სოციალური ურთიერთობა, სოციალური აღნაგობა, სამართლის ინსტიტუტები, სასჯელის ნორმა-ზომა და სხვ. დაწვრილებითაა საუბარი დანაშაულის ისეთ სახეებზე, როგორიცაა: მკვლელობა, სხეულის დაზიანება, შეურაცხყოფა, ცილისწამება, მუქარა, სქესობრივი დანაშაული, ქალის მოტაცება, ცოლის ან ქმრის დაგდება, გაძარცვა, ქურდობა, მექრთამეობა, ღალატი, ადამიანის ან ნივთის თვითნებურად დაჭერა, ვენახის და ხეხილის დაჭრა ან ყანის დათიბვა, ცეცხლის წაკიდება და სხვ.

სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტებიდან აქ განხილულია: საკუთრების უფლება, გირავნობა, ნასყიდობა, მიბარება, სესხი, ჩუქება, ქირაობა, თავდებობა, გათხოვება, საოჯახო სამართალი, მემკვიდრეობა.

აქვეა საუბარი სასამართლო წყობილებისა და სასამართლო წარმოებაზე და განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: პატრონი ათაბაგი და მაწყუერელი, ბეჭე და ბეჭობა, შუაკაცი, ფიცი და მოფიცარი, მოწმე, წერილობითი საბუთები[1]. „ბექა-აღბუღას კანონების გულდასმითი ანალიზი სრულიად ნათელს ხდის იმ გარემოებას, რომ XIII—XIV საუკუნეებში ქართული სამართალი იცნობდა, როგორც კერძო, ისე საჯარო სამართლის ცალკეული დარგების განვითარებულ ინსტიტუტებს"[2].

ბექა-აღბუღას სამართალში ეპოქისათვის დამახასიათებელმა ყველა მოვლენამ პოვა ასახვა, ამდენად ამ ძეგლს პირველხარისხოვანი ისტორიული წყაროს მნიშვნელობა აქვს. მართალია, სამართლის ეს წიგნი შედგენილი იყო საქართველოს ერთი კუთხისათვის, სამცხე-საათაბაგოსათვის, მაგრამ, მიუხედავად ძეგლის ადგილობრივი ხასიათისა, მასში დაცული ცნობები საქართველოს სხვა მხარეების შესასწავლადაც გამოდგება, რადგან სხვა მხარეებიც სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით სამცხეს შეესატყვისებოდა. ძეგლში ასახულია იმდროინდელი ქვეყნის ნამდვილი სურათი. ირკვევა, რომ დიდი ცვლილება მოხდა სოციალურ სტრუქტურაში. აქ ახალი, ძველთაგან შედარებით, ის იყო, რომ „აზნაურთა წოდების წიაღიდან დიდი ხელისუფლებით აღჭურვილი პირები გამოიყვნენ, რომელთა ერთ წრედ, ამ ხანაში მთავრებად სახელდებულნი, მსხვილი საქვეყნოდ გამრიგენი იქცნენ. მეორე მხრით, აზნაურთაგან სხვა დიდი მოხელეობის მჭირავი ოჯახები და საგვარეულოებიც იმდენად აღზევდნენ, რომ მათ, აზნაურთაგან განსასხვავებლად წინანდებურად ისევ აზნაურები კი არ ეწოდებოდათ, არამედ მხოლოდ დიდებულნი"[3]. როგორც ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, „ასეთი სოციალური განშრეების პროცესის

---

[1] ი. დ ო ლ ი ძ ე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 79—80.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 67.

[3] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1941, გვ. 157.

დასაწყისი მე-12 საუკუნეშიც ჩანს, მაგრამ მე-13 საუკუნეში იგი უკვე მთლიანად დამთავრებულა"[1]. ბექას კანონებში დაცული ცნობიდან ვიგებთ, რომ „პირველი ადგილი ამ ხანაში დიდებულებს აქვთ მიკუთვნებული. აზნაურები კი სოციალური წესწყობილების უკვე მეორე ფენად არიან მიჩნეულნი"[2].

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი, როგორც ფეოდალური საზოგადოების იურიდიული ძეგლი, გაბატონებული კლასის სადარაჯოზე დგას. ბატონყმობის იურიდიული გამოხატულება — მიწის მწარმოებელი საზოგადოების მიწაზე მიმაგრება კარგა ხნის ფაქტია. ბატონს უფლება აქვს ოცდაათ წელს ეძიოს მკვიდრი ყმა. როგორც წესი, მიწის მწარმოებელი მიწის საკუთრების უფლებას მოკლებულია. „მიწა პატრონისაა" და გლეხის უფლება მოძრავ ქონებაზედაც კი შეზღუდულია.

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი ქართული ფეოდალური სამართლის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სრულყოფილი ძეგლია, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის კანონმდებლობაზე, განსაკუთრებით გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადებაზე" და ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნზე. შეიძლება ითქვას, რომ ბექა მანდატურთუხუცესის სამართალმა, როგორც ქართული სამართლის მნიშვნელოვანმა წყარომ, შეინარჩუნა თავისი სავალდებულო ძალა მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში.

„ძ ე გ ლ ი ს დ ა დ ე ბ ა". გიორგი ბრწყინვალის (1314—1346 წწ.) „ძეგლის დადება" ძირითადად სისხლის სამართლის კანონთა კრებულს წარმოადგენს ქართლის მთიანეთისათვის შედგენილს. ეს ძეგლი პირველად ცნობილი იყო მხოლოდ ვახტანგ VI კანონთა კრებულის მიხედვით, მაგრამ შემდგომ მისი ხელნაწერი აღმოჩენილ იქნა „ხელმწიფის კარის გარიგებასთან" ერთად. ძეგლი არაა დათარიღებული, მაგრამ ის გიორგი ბრწყინვალის მიერ არის შედგენილი და, მაშასადამე, მისი მეფობის დროს.

„ძეგლის დადება", როგორც აღვნიშნეთ, შედგენილია ქართლის მთიანეთის მცხოვრებთათვის. იგი ადგილობრივი ხასიათის სჯულმდებლობაა. სამართლის წიგნის შესავალში კანონთა სამოქმედო ასპარეზი განსაზღვრულია ასეთი თანმიმდევრობით: „ჯუართა ყელსა აქეთ, ჯადა-ცხაოტს, ზანდუკის ჭევს, კიბეთ ქუეშეთ და მენესოს ზემოთ ეს განაჩენი დავდევით". აქედან გამომდინარე, მკვლევარნი „ძეგლის დადების" მოქმედების ტერიტორიულ საზღვრებს ასე ადგენენ: ჩრდილოეთით — ჯვრის გადასავალი, ანუ ჯუართა ყელი, სამხრეთით — სოფელი მენესო, აღმოსავლეთით — ზანდუკის ჭევი, სამხრეთ-დასავლეთით — ჯადა-ცხაოტი. მხედველობაში

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1941, გვ. 157.
[2] ი ქ ვ ე.



ქართული მონეტები (XI—XIII სს.) სპილენძისა და ვერცხლისა: 1. ბაგრატ III-ისა (975 — 1014); 2. დავით აღმაშენებლისა (1089 — 1125); 3. დემეტრე I-ისა (1125 — 1156); 4. გიორგი III-ისა (1156 — 1184); 5. თამარ მეფისა (1184 — 1213); 6. ლაშა გიორგისა (1213 — 1222); 7 — 8. რუსუდან მეფისა (1122 — 1245).

იობ მიხრიკისძის სტელა წარწერით საყ-
დრის ქედიდან (დმანისის გარეუბანი),
XIII ს., საქ. სახ. მუზეუმი.



იჩქით გურგენიძის წარწერა ვანის ქვაბიდან, XIII ს., საქ. სახ. მუზეუმი.

გუდარეხი. რკინის სამეურნეო იარაღები: სახნისი და ცული, XIII ს.





დმანისი. რკინის ნამგალი, XIII ს.

საომარი იარაღები სვანეთიდან — ლახტები, XII — XIV სს.





უბისის ეკლესიის მხატვრობა (ორჯონიკიძის რაიონი) მარცხნივ — „საიდუმლო სერობის“ ნაწილი, მარჯვნივ — „მოციქულთა ზიარება“, XIV ს.



საომარი იარაღები სვანეთიდან — ისრები, XII—XIV სს.

ანჩისხატის მაცხოვრის ხატის კარების შიდაპოჭედილობა, XIV ს.

ზარზმა, ხედი სამხრეთიდან, XIV ს. დასაწყ.



მუსლიმანური მავზოლეუმის ნანგრევები დმანისის გარეუბნის სამაროვანზე არაბულ-წარწერიანი საფლავის ქვებით, ხედი სამხრეთიდან, XIV ს.



დმანისი, საფლავის ქვები არაბული წარწერებით. XIV ს.

მისაღებია ის გარემოება, რომ ჯუართა ყელი, კიბენი და მენესო აღნიშნულია, როგორც კანონთა მოქმედების ჩრდილოეთის, აღმოსავლეთისა და სამხრეთის უკიდურესი სასაზღვრო პუნქტები[1].

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით მთა ყოველთვის ბარისაგან განსხვავდებოდა. მთის მცხოვრებნი თუ საერთოდ მეფის ხელისუფლებას სცნობდნენ და ამდენად საქართველოს ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდნენ, სამაგიეროდ, რომელიმე ფეოდალის ყმობას თაკილობდნენ და თავგამოდებით იცავდნენ თავისუფლებას. ქართული სახელმწიფო ერისთავებისა და სხვა მოხელეების საშუალებით აწესრიგებდა მთის მოსახლეობის მართვას. მონღოლთა ბატონობის დროს, როცა საქვეყნოდ გამრიგე ერისთავების მხარეზე აღმოჩნდნენ მონღოლები, მათი შიშის გამო მეფე ვეღარ ახერხებდა მოხელეთა დასჯა-გადაყენებას. ერისთავებმა სცადეს თავიანთი სამოხელეო ქვეყნის მიმძლავრება-დაყმევება. ამის გამო მოსახლეობა აჯანყებულა. ურთიერთთავდასხმა, მოხელეთა განდევნა, მათი სახლ-კარისა და ციხის დაქცევა ჩვეულებრივ ამბად გადაქცეულიყო ქართლის მთიანეთში. საჭირო იყო ცენტრალური ხელისუფლების ჩარევა. მთის მცხოვრებთა ურთიერთობის ნორმას კანონით გაფორმებული სახე უნდა მიეღო. ამის შედეგი იყო „ძეგლის დადება". ამ კანონთა უმთავრესი მიზანი იყო მთაში საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს შერყეული გავლენის აღდგენა და ამ გავლენის შემდგომი უზრუნველყოფა.

„ძეგლის დადება" შესავლისა და 46 მუხლისაგან შედგება, მათგან 42 მუხლი სისხლის სამართლის დარგს განეკუთვნება.

„ძეგლის დადებიდან" ჩანს, რომ საქართველო ამ დროს სამართლის განვითარების მაღალ დონეზე იდგა. მაგალითად, ძეგლში კვალიფიციურ მკვლელობად ითვლება მამის და ძმის მოკვლა. მამის მკვლელობასთან დაკავშირებით კანონმდებელი ჩერდება თანამონაწილეების საკითხზე. თანამონაწილენი ძეგლის მიხედვით ერთნაირად ისჯებიან, მაგრამ ამ საერთო წესიდან კანონმდებელს საჭიროდ მიაჩნია გამონაკლისის გაკეთება სწორედ მამის მკვლელობის შემთხვევაში; ეს დანაშაული კვალიფიციურია, ე. ი. მძიმეა იმიტომ, რომ შვილი კლავს მამას. მაშასადამე, ამ შემთხვევაში თანამონაწილეობის საკითხი სხვაგვარ ასპექტში ისმის; შვილისათვის მამის სიკვდილი მძიმეა, მაგრამ გარეშე პირისათვის, რომელიც შვილის თანამონაწილეა, ეს ჩვეულებრივი მკვლელობაა და არ შეიძლება გარეშე პირი დაისაჯოს ისე, როგორც შვილი, რომელსაც განსაკუთრებული მოვალეობა

---

[1] ი. დ ო ლ ი ძ ე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957, ტექსტი — გვ. 104, გამოკვლევა — გვ. 24—28.

აქვს მამისადმი. სწორედ ასე უდგება საკითხს კანონმდებელი „ძეგლის დადებაში“[1].

სისხლის სამართლის ნორმებში აშკარად ჩანს ფეოდალური სამართლისათვის დამახასიათებელი მომენტები: რამდენადაც დაზიანებული მაღლა დგას ფეოდალური იერარქიის კიბეზე, იმდენად მტკიცედ იცავს მას კანონი და იმდენად ძვირად ღირს მისი სისხლი.

„ძეგლის დადება“ იმითაც არის შესანიშნავი, რომ იქ „დარბაზის“ ფუნქციებზეა ლაპარაკი. დარბაზი მეფესთან ერთად წყვეტს რთულ სახელმწიფოებრივ საკითხებს. გარდა ამისა, დარბაზი მუდმივმოქმედ დაწესებულებად არის წარმოდგენილი. დარბაზს უნდა მოახსენონ მამულის ჩამორთმევის თუ დაბრუნების საკითხები. „ძეგლის დადებით“ სამხედრო მოვალეობის შესრულება მიწის მფლობელობასთან არის დაკავშირებული[2]. როგორც ვხედავთ, „ძეგლის დადება“ საკმაოდ საინტერესო შინაარსის შემცველი იურიდიული წყაროა. იგი ძვირფას მასალებს შეიცავს მხარის ნამდვილი სურათის წარმოსადგენად.

„ხ ე ლ მ წ ი ფ ი ს კ ა რ ი ს გ ა რ ი გ ე ბ ა“. გიორგი ბრწყინვალის დროსვეა შედგენილი „ხელმწიფის კარის გარიგება“. იგი აღმოაჩინა და გამოსცა ე. თაყაიშვილმა. ამ ძეგლის შესახებ ე. თაყაიშვილი წერს: „ამ ოცდაათი წლის განმავლობაში აუარებელი ძეგლები და ისტორიული საბუთები აღმოჩნდა... მაგრამ ჯერ არ აღმოჩენილა ძეგლი, რომელსაც საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების, სახელმწიფო ყოფაცხოვრების და შინაგანი ორგანიზაციის შესასწავლად ასეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონოდეს, როგორც ხელმწიფის კარის გარიგებას აქვს... ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კარის გარიგების აღმოჩენა ზეიმია ჩვენი ისტორიისათვის“[3].

უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ამ ძეგლს ივ. ჯავახიშვილი: „ამ ძეგლის შინაარსი იმდენად მრავალფეროვანია, რომ მას საქართველოს როგორც სახელმწიფო წესწყობილების, ისევე კულტურული, ეკონომიური და ნივთიერი კულტურის შესასწავლად უაღრესი მნიშვნელობა აქვს. ამ დარგში სხვა ასეთი უხვი ცნობების შემცველი ძეგლი XVIII საუკუნის დამდეგამდე არ მოგვეპოვება ჯერჯერობით მაინც“[4].

ეს ძეგლი გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო-

---

[1] ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I, თბ., 1952, გვ. 69.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 70.

[3] ხელმწიფის კარის გარიგება, ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რედ., 1920, გვ. XXXIV—XXXVIII.

[4] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი პირველი, თბ., 1928, გვ. 67—68.

ებრივ წყობილებას ეხება. ძეგლი არაოფიციალური ხასიათისაა, ე. ი. ის არ ყოფილა მოქმედი კანონი; როგორც შინაარსიდან ჩანს, მისი შემდგენელი მეფის კარისკაცი, მაღალი მოხელე ყოფილა. ე. თაყაიშვილი აღნიშნავს: „კარის გარიგება საერთოდ ოფიციალური აქტი არ არის. ის არ არის განწესებული და გამოცემული ერთი მეფის მიერ როგორც სახელმწიფო კანონმდებლობა, არამედ შედგენილია რომელიმე კარისკაცის მიერ პრაქტიკული საჭიროებისათვის, პრაქტიკული მიზნით, როგორც სახელმძღვანელო კარის კაცებისათვის, ხელისუფალთათვის და საზოგადოდ ყველა მოხელეთათვის. ეს არის ერთგვარი კრებული, კოდექსი, სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა, მეფის კარის წესრიგისა, მოხელეთა და ხელისუფალთა უფლება-მოვალეობისა, რომელიც დაკანონებული იყო სხვადასხვა დროს სხვადასხვა მეფის მიერ და კანონად და ჩვეულებად შემოღებული“[1].

ასეთსავე შეხედულებას ავითარებს ძეგლის შესახებ ივ. ჯავახიშვილი: „თვით ძეგლს, როგორც ეტყობა, ოფიციალური ხასიათი არა აქვს, კანონმდებლობის შედეგი არ არის, არამედ მოქმედ სახელმწიფო სამართლისა და წესის აღნუსხვაა“[2]. ძეგლის არაოფიციალურ ხასიათზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ მისი ავტორი პოლემიკას აწარმოებს ასეთი შრომის სხვა ავტორებთან. ის ფაქტი, რომ სახელმწიფოებრივი წყობილების საკითხზე ამგვარი ხასიათის შრომები იწერებოდა, თავისთავად მნიშვნელოვანია და იმის მაჩვენებელია, რომ იურიდიული აზროვნება მაშინდელ საქართველოში მაღალ დონეზე იდგა[3].

„ხელმწიფის კარის გარიგების“ ძირითადი წყარო, რა თქმა უნდა, მოქმედი კანონმდებლობაა, მაგრამ, გარდა მოქმედი სამართლისა, როგორც ძეგლიდან ჩანს, ავტორს უსარგებლია ამ საკითხზე არსებული ლიტერატურითაც. ავტორი, როგორც კარის დიდი მოხელე, პრაქტიკულადაც კარგად იცნობდა სახელმწიფოებრივი წყობილების სხვადასხვა ინსტიტუტს. ამასთან, ძეგლიდან ჩანს, რომ ავტორი კარგად იცნობს მემატიანეთა შრომებს.

„ხელმწიფის კარის გარიგება“ შუა საუკუნეების ქართული ფეოდალური სამართლის მნიშვნელოვანი ძეგლია, რომელიც შეიცავს სახელმწიფო წყობილების, მართვა-გამგეობისა და მოხელეთა უფლება-მოვალეობის წესებს. იგი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმდროინდელი საქართველოს კულტურულ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მდგომარეობის შესახებ.

XIII საუკუნეში (1204—1234 წწ.) არის შედგენილი „ვ ა ჰ ა ნ ი ს

---

[1] ხელმწიფის კარის გარიგება, გვ. XV.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, გვ. 65.

[3] ივ. ს ურ გ უ ლ ა ძ ე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I, გვ. 66.

ქვაბთა განგება". ძეგლის დამდები არის ერისთავთერისთავი თმოგველ-მხარგრძელი, სარგისის ძე. ეს სამონასტრო წესდება, ანუ ტიპიკონი ძველი ქართული საკორპორაციო სამართლის შესანიშნავ ძეგლს წარმოადგენს და კარგად გვაცნობს ძველი საქართველოს სამონასტრო წყობილებას[1].

XIII—XV საუკუნეებში შედგენილად მიიჩნევენ აგრეთვე ქართული საერო სამართლის ისეთ მნიშვნელოვან საკანონმდებლო ძეგლებს, როგორიც არის: „წესი და განგებაჲ მეფეთა კურთხევისაჲ"[2] და „მთავართა და ერისთავთა დადგინების წესი"[3]. ამათგან პირველი „საეკლესიო კურთხევის წესს კი არ წარმოადგენს, არამედ მისი სახელმწიფოებრივი წესის ვანგებაა. ამიტომ იგი ძვირფას წყაროდ უნდა იქნეს მიჩნეული მეფის სელისუფლების, სამოხელეო წესწყობილებისა და სახელმწიფო დარბაზის შესასწავლად"[4]. რაც შეეხება მთავართა და ერისთავთა დადგინების წესს, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ძეგლს კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამ ძეგლის შესწავლიდან ირკვევა, რომ ფეოდალურ საქართველოში, მსგავსად სხვა კულტურული ქრისტიანული ქვეყნებისა, შემუშავებული ყოფილა „წესი" არა მარტო მეფის „დადგინებისა", არამედ მეფის ხელქვეითი მმართველი პირებისა და საქვეყნოდ გამრიგე მოხელეებისაც. მართალია, ეს „წესები" ლიტურგიკული ხასიათისაა, მაგრამ მათში კარგად არის ნაჩვენები „დასადგენ" პირთა ფუნქცია-მოვალეობანი.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ XIII—XV საუკუნეებში ფეოდალურმა საქართველომ დიდი განსაცდელი გამოიარა, მატერიალური დოვლათი მოოხრებას მიეცა, მოსახლეობა დიდად დაზარალდა მატერიალურადაც და სულიერადაც, მრავალი რამ კულტურის მონაპოვართაგან განადგურდა, ქვეყნის შიგნით კულტურული ცხოვრების მაჯისცემა მაინც კიდევ ძლიერი იყო. როგორც დავინახეთ, სწორედ ამ ხანაშია გადაწერილი მრა-

---

[1] ვაჰანის ქვაბთა განგება (XIII ს.), ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ლ. მუსხელიშვილმა, თბ., 1939; იე. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი II, ტფ., 1929, გვ. 3—107, 321—356.

[2] ს. კაკაბაძე, მეფის კურთხევის წესი, XIII საუკუნის დასაწყისს შედგენილი, თბ., 1913, გვ. 1—11; К. Кекелидзе, Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение, Тифлис, 1908, с. 128, 174, 176; იე. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ნაწ. I, გვ. 68—73; ნ. ბერძენიშვილი, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წესწყობილება, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. V, თბ., 1971, გვ. 90—92; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გამოსცა ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 50—54.

[3] К. Кекелидзе, Литургические грузинские памятники..., с. 131—132, 176, 179; კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბ., 1955, გვ. 157—165; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 54—57.

[4] იე. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, გვ. 70—71.

ვალი მნიშვნელოვანი თხზულება წინა დროისა და ამ გზით შემონახულია ჩვენამდე უნიკალური ძეგლები კულტურისა და ლიტერატურისა. ამ პერიოდშია შეთხზული ჟამთააღმწერლის ბრწყინვალე საისტორიო ნაშრომი, ამ ეპოქაშია შექმნილი ისეთი შესანიშნავი საკანონმდებლო ძეგლები, როგორიცაა „ხელმწიფის კარის გარიგება", ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი, „ძეგლის დადება" გიორგი ბრწყინვალისა. ამ ძეგლებს გვერდში უდგას აგრეთვე მნიშვნელოვანი ლიტერატურული ნაწარმოებები (ცხოვრება პეტრე იბერისა); აღნიშნულ ხანაში არსებობას განაგრძობს ორიგინალური ჰაგიოგრაფიული მწერლობაც (ცხოვრება ლუკა იერუსალიმელისა და ნიკოლოზ დვალისა). მეტად დამახასიათებელი და საყურადღებოა იმ დროის ქართული ფეოდალური სახელმწიფოსათვის მზრუნველობა თავისი საზღვარგარეთული კულტურული ცენტრებისათვის.

§ 5. ხელოვნება

XIII ს-ის მეორე ნახევარი და XIV ს-ის დასაწყისი, მიუხედავად ქვეყნის ფრიად მძიმე მდგომარეობისა, ხელოვნების ძეგლების მხრივ ჯერ კიდევ საკმაოდ მდიდარია, თუმცა უკვე თავს იჩენს დაქვეითების ნიშნები.

მნიშვნელოვან ხუროთმოძღვრულ ძეგლთა უმეტესობა სამცხეშია, რადგან სამცხის ათაბაგების სამფლობელო მაშინ შედარებით უკეთეს პირობებში იმყოფებოდა, ვიდრე საქართველოს სხვა ნაწილები. ამ დროს, პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის, სოციალურ წინააღმდეგობათა გამწვავების ხანაში, არქიტექტურაში თავს იჩენს ზოგი ახალი თვისება: ესაა ერთგვარი რეაქცია XII ს. დასასრულისა და XIII ს. დასაწყისის ძეგლთა უკიდურესი რაფინირების წინააღმდეგ, ზოგი ადრინდელი (X—XI სს. დროის) ხუროთმოძღვრული და დეკორაციული მოტივის გახსენება, წინანდელი ორგანული მთლიანობის დაკარგვა, ეკლექტიზმის ცალკეული ნიშნები, ჩუქურთმის ხელოსნური სიმშრალე და დაქუცმაცება.

ამ ხანის მთავარი ძეგლები, რომლებიც ჯერ კიდევ „დიდი ეპოქის" ტრადიციებს აგრძელებს, შემდეგია: თბილისის მეტეხი, აგებული მანამდე არსებული ეკლესიის ადგილას დიმიტრი თავდადებულის დროს, 1278—1289 წლებს შუა; საფარის წმ. საბას ეკლესია დიდი მონასტრის ანსამბლში, XIII ს-ის ბოლოს აგებული სამცხის ათაბაგის ბექა მანდატურთ-უხუცესის მიერ (ხუროთმოძღვარი იყო ფარეზასძე). აქ, ეტყობა, ჯაყელთა ერთ-ერთი რეზიდენცია და საგვარეულო საძვალეც იყო; ზარზმის ტაძარი და სამრეკლო XIV ს. დასაწყისისა (აშენებულია უფრო ადრინდელი — სერაპიონ ზარზმელის დროინდელი — მონასტრის ფარგლებში); გერგე-

ტის სამება სოფ. ყაზბეგთან, მთაზე (ეს ხევის ყველაზე დიდი ეკლესიაა) და სხვ.[1].

XIV ს. მეორე ნახევრიდან ახლახან აღნიშნული სტილისტიკური ნიშნები — ეკლეკტიზმი, მხატვრული მთლიანობის რღვევა — უფრო მკაფიოდ იჩენს თავს. ძალიან შესამჩნევია პროფესიული დონის დაქვეითებაც.

XIV—XV სს. მიჯნის ძეგლთაგან კვლავ სამცხის ეკლესიები უნდა მოვიხსენიოთ: თისელი, ბიეთი, ჭულე (აქ, ისევე როგორც საფარასა და ზარზმაში, სამცხის ათაბაგთა პორტრეტები იყო. მხატვრობა, წარწერის თანახმად, დაუსრულებიათ 1381 წელს)[2].

XV ს. პირველი ნახევარი არსებითად მოუნდა თემურლენგის მიერ დაზიანებულ და განადგურებულ ნაგებობათა (საცხოვრებლების, ციხესიმაგრეთა, ტაძართა) შეძლებისდაგვარად აღდგენას. ამ მუშაობის მნიშვნელოვანი ნიმუშია სვეტიცხოველი. მისი გუმბათის ყელი და ფასადთა ნაწილი, აღდგენილი ალექსანდრე I-ის დროს, თავისი მორთულობით დიდად გამოირჩევა თავდაპირველი ნაწილებისაგან: მორთულობა მშრალი და დაწვრილმანებულია, იგი ხელოსნურ დონეს არ სცილდება, თუმცა ტექნიკური დახელოვნება დაკარგული არ არის. სამშენებლო ტრადიციების სიცხოველეს მოწმობს ისეთი რთული საინჟინრო ამოცანის დაძლევაც, როგორიც იყო სამთავისის, რუისისა და სხვა ტაძრების აღდგენა XV ს-ში.

ჩვენი ქვეყნის მაშინდელმა სოციალურმა და პოლიტიკურმა მდგომარეობამ შეზღუდა ქართული სახვითი ხელოვნების შემდგომი განვითარებაც. მაშინ, როდესაც სწორედ ამ დროიდან მოყოლებული, დასავლეთ ევროპაში ბრწყინვალედ იფურჩქნებოდა რენესანსული რეალიზმი, ქართული ხელოვნება კიდევ დიდხანს, XIX საუკუნემდე, რჩება ფეოდალური იდეოლოგიის ვიწრო ჩარჩოში, მას უკვე აღარ გააჩნია შინაგანი ძალა შემოქმედების ახალ მწვერვალთა დასაპყრობად, პრინციპულად მნიშვნელოვანი ახალი რამ მასში აღარ ჩანს. უკეთეს შემთხვევაში ხერხდება წინა დროის მონაპოვართა გადამღერება. XIV ს. მონუმენტური ფერწერა ჯერ კიდევ ქმნის მხატვრულად საინტერესო ნიმუშებს. ამ დროს არსებითი იყო ბიზანტიური მხატვრობის ე. წ. პალეოლოგოსთა პერიოდის სიახლეთა შეთვისება, რაც უფრო თვალსაჩინოა დასავლეთ საქართველოში XIII—XIV სს. მიჯნიდან (ხობი, შერგილ დადიანის ექვტერი; გელათი, დავით ნარინის ექვტერი). მნიშვნელოვანი ძეგლებია სამცხის ტაძართა — საფა-

---

[1] იხ. ვ. ბერიძე, რ. მეფისაშვილი, ლ. რჩეულიშვილი, რ. შმერლინგი. თბილისის მეტეხის ტაძარი, თბ., 1969; ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, XIII—XVI საუკუნეები, თბ., 1956; მისივე, სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები, თბ., 1970; თ. სანიკიძე, გერგეტის ტაძარი, „მაცნე", 1967, № 1, გვ. 242—266.

[2] ვ. ბერიძის დასახელებული ნაშრომები.

რის, ზარზმის, ჭულის — ფრესკები (XIII—XIV სს. მიჯნა, XIV ს.), სადაც ათაბაგთა — სარგისის, ბექას და მის ძეთა პორტრეტებია. უბისის ტაძრის (იმერეთში) მოხატულობა, აგრეთვე XIV საუკუნისაა. წინანდელი მონუმენტალობა აქ ადგილს უთმობს უფრო დაქუცმაცებულ კომპოზიციებს, წვრილ ფიგურებს, მეტ სიცხოველეს, ხაზების უფრო ტეხილ, მოძრავ რიტმს. საინტერესოა აგრეთვე ლაშთხვერისა და ჩაჟაშის ეკლესიების (სვანეთში) ფასადთა მოხატულობა — აქ საერო სიუჟეტებია, რომლებიც ქართული სასახლეების ფრესკებს უნდა იმეორებდეს.

XIV—XV სს. ქართულ ხელნაწერთა მორთულობა და მინიატურები მხატვრული თვალსაზრისით ჩამოუვარდება წინა საუკუნის ნიმუშებს, მაგრამ მეტყველების ძალა აქ ზოგჯერ უფრო მეტადაც კი მჟღავნდება. XV ს. ნიმუშთაგან საინტერესოა ჯრუჭის დავითნის (H—1665) მინიატურები ომის სცენებით[1].

XIV ს. ოქრომჭედლობის ნიმუშები ცოტაა დარჩენილი. უნდა მოვიხსენიოთ სახელგანთქმული ანჩისხატის კარედის შიდა პირის მოჭედილობა, შესრულებული სამცხის ათაბაგთა შეკვეთით. აქ გამოხატულია საღმრთო წერილის სცენები. თუმცა ოსტატი ცდილობს არ უღალატოს ეროვნული ხელოვნების საუკუნოვან ტრადიციებს, ჭედვის მხატვრული ხარისხი და ტექნიკური დონეც დიდად დაქვეითებულია. ამას მოწმობს როგორც ორნამენტული სახეების შესრულება, ისე ადამიანთა ფიგურებიც — პროპორციები დარღვეულია, ძერწვა ხისტი და კუთხოვანია, ნამდვილი პლასტიკა დაკარგულია.

ქართული ხელოვნების ახალი გამოცოცხლება იწყება XVI საუკუნიდან.

---

[1] იხ. Л. А. Шервашидзе, К вопросу о средневековой грузинской светской миниатюре, Тб., 1964.

საძიებელი*

პირთა სახელები

აბაზ მაგისტროსი 398
აბასი 156
აბალა ყაენი 576-577, 579-581, 584, 601, 604, 607, 795
აბდალაძე ალ. 332
აბდ-არ-რაზაყი, აბდურეზაკ სამარყანდი 680, 721
აბდ არ-რაშიდ ალ-ბუქავი 46
აბრაამ 418
აბრამიანი ა. 331
აბრამ კათალიკოსი 607, 610, 651
აბუბაქარ ქელავი 671
აბუ-ბექრი 321-326, 428
აბუბექრი ბატონიშვილი 690-691
აბუბექრი მირან შაჰის ძე 713
აბულალი 159
აბულასანი 118, 305, 311
აბულასარი მანუჩარის ძე 244, 265, 285
აბულ-ასვარ (აბულ-ასვარ შავურ I) 199
აბულ-ავარ შავურ II, აბულ სუარი, 265
აბულაძე ი. 33-34, 124, 716
აბულახტარისძე 729
აბულეთი 245, 265-266, 285, 290
აბულ ფარაჯი 333-335
აბუ-ლ-ფიდა 38, 46
აბულ-ჰასან ბეიხაკი 494
აბუსაიდ ბაჰადურ ყაენი 56, 60-61, 563-564, 567, 584, 617, 621-622, 624, 627
აბუსერიძე ტბელი 107
აგამემნონი 404, 424
ადამი 11, 33
ადლერი ტ. 47
ავაგ ათაბაგი 73, 548, 607, 793, 795, 837
ავალიშვილი ზ. 342
ავგაროზ (ედესის მეფე) 436
ავგაროზ ბანდაისძე 23, 668, 718, 821-822, 841
ავგუსტ კეისარი 338. 493
ავთანდილი 363, 452-453
ავთანდილ ზევდგინიძე 811-812
ათანასე (ალექსანდრე I დიდის პერო-ბის სახელი) 732
ათანასი (ტაოელი მოძღვარი) 833-834
ათრაქა 248
აკუში 534
ალა ად-დინ თექეში 41
ალა ად-დინ ქეიყობადი 53, 545

* შეადგინეს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფრ. მეცნ. თანამშრომელმა გ. აფრასიძემ და ისტორიკოსმა ლ. ჯიშკარიანმა.

ალა ედ-დინ ათა მალიქ ჯუვეინი 22, 53-55
ალა ედ-დინ სალთუკ-ოღლუმი 327
ალათემური 575
ალ-აინი 827
ალდე (გიორგი I-ის მეუღლე) 183
ალექსანდრე (იმერეთის მეფე კონსტანტინე II-ის შვილი) 748, 750
ალექსანდრე I (კახეთის მეფე) 727, 733, 748, 750, 843
ალექსანდრე I დიდი 9, 75, 144, 367, 480, 716, 719-728, 730, 733, 790, 809-811, 814, 834, 854
ალექსანდრე VI (რომის პაპი) 751
ალექსანდრე მაკედონელი 338, 414, 423-424, 493
ალექსი (ტრაპიზონის მეფის იოანე I-ის შვილი) 603-604
ალექსი კომნენოსი 28, 333
ალი (თბილისის ამირა) 169
ალ-იაკუთი 38, 41
ალი-ზადე ა. 278, 321, 561-562, 570, 576, 618, 667-668
ალიყანი 585, 602
ალ-კალკაშანდი 49-50
ალ-მაზანდარი 628
ალ-მაკრიზი 49-50, 827
ალ-მალიქ სალდუხი 269
ალ-მუჰიბბი 50
ალ-უმარი 38, 49, 50, 48-49
ალ-ფარიკი 38-40, 241, 267, 271, 273, 276, 498
ალფ-არსლანი 43, 198-201, 205, 207, 511
ალ-ყაზვინი 38, 46
ალ-ჯაუზი, იხ. სიბნტ იბნ ალ-ჯაუზი
ალ-ჰაქიმი 39, 177
ალ-ჰუსაინი 38, 41
ამანელისძე 297
ამბროჯო კონტარინი, იხ. კონტარინი
ამილახორი (ელიოზ კათალიკოსის ძმა) 729
ამირან დარეჯანისძე 442
ამირ-მირანი 321-324
ამონიოს პერმიასი 456
ანა (კახეთის მეფის ალექსანდრე I-ის მეუღლე) 727, 843
ანა დედოფალი (ბაგრატ V-ის მეუღლე) 678
ანა კომნენოსი 18, 29
ანანია დვინელი 270, 292-293
ანასტასი სინელი 456, 465
ანახუტლუ 604, 667
ანდრია ბოგოლიუბსკი 311
ანდრია კრიტელი 402
ანდრია მოციქული 389-390, 411-412
ანდრონიკე კომნენი 277
ანდრონიკე (ტრაპიზონის მეფის ალექსის შვილი) 604
ან-ნასავი 38, 44-45, 540, 542-545
ან-ნასირი 48
ან-ნუვარი 38, 48
ანტონ გნოლისთავისძე 296, 307, 311
ანტონ ნაოხრებლისძე 823
ანტონ საღირისძე ქუთათელი 310, 313
ანტონ ტბელი 394
ანტონ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი 92, 301, 361, 511
ანუშირვან ყაენი 668
აპირატი 272
აპოლონი 404
არისტაკეს ლასტივერცი, არისტაკე ლასტივერტეცი 32, 176, 204
არისტობულე 424
არისტოტელე 404, 456-458, 463
არსენი 254
არსენი (ანტიკური ღვთაება) 404
არსენი (ათონ. ივერ. მონასტ. წინამძღ.) 383
არსენი (მოძღვ.) 212, 214
არსენი (მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი) 550, 640
არსენ ბერი (საღირიძე) 402
არსენ იყალთოელი 401, 434, 440, 456, 465-466
არსენ კალიპოსელი 392, 394
არსენ სამძივარი 354
არსლან მაჰმუდისძე 271-273
არსუკისძე 480
არღუნ-აღა 552, 570-571
არღუნ ყაენი 594, 604, 607-609
არჩილ მეფე 446
არჯევან ჰოლოლის ძე 167, 180
ასათ გრიგოლის ძე 360

ასათიანი ნ. 236, 242, 275, 277-278, 321
ასამი 419
ასლან ნოინი 793
ასოლიკი, სტეფანოს ტარონელი (ტარონეცი) 156-157, 192
აფრიდონი 293, 299, 306, 308
აფროდიტე 404
აქილევსი 404, 424
აღბუღა (სამცხის მთავარი) 24-26, 114, 135-136, 141, 144-145, 756-757, 760, 762, 769, 771-772, 774. 776, 781, 799, 846-848
აღბუღა (ქართლის მემამულე) 389-390
აღსართან II 495
აღსართანი (კახეთის მეფე) 161, 168, 200, 202, 207, 234, 422
აღსართანი (შარვანშაჰი) 67, 277, 322-324
აყსანკორისძე 270
აყსარაი 52
აშოტი (სომეხი უფლისწული) 194
აშოტ მთავარი მარილელი 160
აჰმადი (ამირა) 203
აჰმად ყაენი 607
აჰმედ ზაქი 48
აჰმედ ჯალაირიანი 609, 714

ბაადურ (დიმიტრი II თავდადებულის შვილი) 605
ბაგრატ არტანუჯელი 195
ბაგრატი 39
ბაგრატი (კონსტანტინე I-ის შვილი) 720
ბაგრატი (მიქელ მეფის შვილი) 629
ბაგრატ II 153, 156-158
ბაგრატ III 6, 11, 64, 66-67, 103, 153-158, 160, 162, 169, 172, 174, 180, 187, 192-193, 195, 230, 255-256, 284, 338, 451, 473-474, 479, 654
ბაგრატ IV 6, 15, 17, 39, 41, 66, 100, 116, 124, 141, 160-161, 163-170, 179-191, 195-196, 198-201, 206, 210, 255-256, 273, 352, 373, 388, 395, 420, 443, 474, 477
ბაგრატ V 29, 630, 677-678, 682-684, 724, 842
ბაგრატ VI 739-740, 742-743, 747
ბაგრატ კურაპალატი 114, 148-149, 169
ბაგრატიონი 513
ბადრიძე შ. 342
ბათო ყაენი 29, 550-551, 837
ბაიაზეთ ილდიმირი 703
ბაიდუ ყაენი 609
ბაკურ ძაგანის ძე 360
ბალშანი 273
ბარამ ვარდანისძე 360
ბარაყ ჰაჯიბი 543
ბარახა ყაენი 579
ბარბარო 30-31, 741-743, 745
ბარდა ფოკა 39, 157
ბართლომე 832
ბართლომე მოციქული 747
ბართლომე სალინიკი 666
ბარკუკი 714
ბარნაველი თ. 292
ბარსელი (ანისის ეპის.) 272
ბარტოლდი ვ. 59, 530, 275
ბასილ ბაგრატის ძე (მოძღვარი) 371
ბასილ დიდი 457
ბასილ ეზოსმოძღვარი 12, 15, 68-69, 316, 381, 428-431, 451, 453
ბასილ კეისარი 17
ბასილ II 39, 172, 174-179, 420
ბასილ ჭყონდიდელ-უჯარმელი 592-593
ბასილი (მწიგნობართუხუცესი) 353
ბასილი (ჰიმნოგრაფი) 391
ბასილი (მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, XIV ს.) 640
ბასილი (ტრაპიზონის მეფე ალექსის ვაჟი) 604, 667
ბასილი (ბიზანტიის იმპერატორი) 98, 157-158
ბაქრაძე დ. 413
ბაღვაში 11
ბაყათარ 140, 581, 612-613
ბაჰადურ ყაზანი, იხ. ყაზან ყაენი
ბაჰრამი 331
ბაჰრამ ჩუბინი 416
ბეგა გრიგოლის ძე 647
ბეგა სურამელი 143-144, 269
ბეგიჯაგი 706
ბედიანი 360, 738
ბეენა ჩოლოყაშვილი 830-831
ბეიბარსი 601
ბერი ეგნატაშვილი 748

ბერი მღვიმელი 22
ბერტოლდ შპულერი 841
ბერქა ყაენი 574-579, 581, 598
ბერძენიშვილი ნ. 80, 167, 182, 190, 220, 242, 250, 273, 275, 285, 292, 298, 303, 312, 318, 345, 352, 366-367, 414, 422, 433, 577, 597, 627-628, 640, 654, 716, 728, 739, 763, 785, 806
ბერძნიშვილი მ. 278-279
ბექა (სამცხის მთ.) 24-26, 65, 74, 114, 135, 138, 141, 144-145, 599-600, 604-605, 611, 613, 623-624, 756, 760, 762, 769, 771-772, 774, 776, 781, 799, 805, 846-848, 855
ბექა ოპიზარი 116, 488
ბეშქენ ოპიზარი 116, 488
ბეშქენ ორბელი 725
ბეჰა-ად-დინი 397
ბიჩო 546
ბოლდუინი 249
ბოლოკ-ბასილი 107
ბორენა (ბაგრატ IV-ის მეუღლე) 246
ბოცო ბოცოს ძე 541-542, 838
ბოცო ჯაყელი 319, 360
ბროსე მ. 45, 47, 269, 332, 751, 840
ბუნიატოვი ზ. 41, 45-46
ბუღა 607
ბუღა-თურქი 46

გაბაშვილი ვ. 81, 242, 303, 346, 583, 628, 661, 667, 754, 789, 806
გაბრიელ ქართველი 407
გაგიკი (სომეხი უფლისწული) 156
გაგიკ I (სომეხთა მეფე) 192-194
გაგიკ II (სომეხთა მეფე) 191-192
გაგიკ აბასის ძე 203
გამრეკელი 292-293
გამრეკელ-თორელი 73, 553-554
გამრეკელი კახასძე 319
გამყრელიძე ალ. 28, 331, 667
გაფრინდაშვილი გ. 506
გერასიმე მაწყვერელი 723
გეანცა (დავით ულუს მეუღლე) 571-572, 795
გიორგი (კონსტანტინე I-ის შვილი) 720
გიორგი (მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი, XIV ს.) 640
გიორგი I (929-957) 63, 217
გიორგი I (1014-1027) 6, 17, 39, 64, 160, 162, 175-179, 190, 194, 420, 654
გიორგი I ვარაზვაჩე 383-384
გიორგი II 6, 121, 130, 139, 165-166, 168, 189, 201-209, 224, 232, 254-255, 257, 474
გიორგი III 7-8, 13, 41, 68, 71, 116-117, 120-121, 130, 149, 256, 263-264, 267-274, 277-282, 286-299, 301, 303, 306, 308, 310-311, 316, 320, 349, 355-356, 359, 426-427, 431, 450, 477, 485, 491-492, 507, 523, 643
გიორგი IV ლაშა 13, 18, 20-21, 43, 72, 312, 320, 339-348, 361, 484, 491, 507, 533-537, 792, 839
გიორგი V ბრწყინვალე 9, 18-20, 24, 26-27, 74, 135-136, 605, 611-612, 623-627, 629-631, 637, 641, 644-645, 651, 655-657, 659-661, 663, 665-667, 669, 722, 761, 774, 790, 799, 809, 820, 828, 834, 839, 848, 850, 853
გიორგი VI (გიორგი მცირე, დავით VIII-ის შვილი) 623
გიორგი VII 50, 682-684, 687, 689-690, 693-698, 701-704, 709-711, 713-715, 717, 719, 726
გიორგი VIII 660, 720, 730-731, 733-734, 737-740, 747-748, 813, 830-831
გიორგი ათონელი (მთაწმინდელი) 15, 170, 371-373, 382-391, 393, 396, 402, 405-410, 434-438, 440, 443
გიორგი ამარტოლი 440
გიორგი, ანდრია ბოგოლიუბსკის ძე, იხ. გიორგი რუსი
გიორგი-აღბუღა 604
გიორგი დაყუდებული (შავმთელი) 393, 408
გიორგი თაბაური 822
გიორგი მერჩულე 370

გიორგი მთაწმინდელი, იხ. გიორგი ათონელი
გიორგი მცირე (ხუცესმონაზონი) 64, 140-141, 199, 372-373, 384-385, 387, 391, 393, 405, 408, 410-412, 434, 436
გიორგი მწიგნობართუხუცესი 212, 214, 216, 218, 375
გიორგი რუსი 13, 113, 311-314, 319
გიორგი სფრანძესი 733
გიორგი შავმთელი, იხ. გიორგი დაყუდებული
გიორგი ხუცესმონაზონი, იხ. გიორგი მცირე
გრიგოლ (ქართ. ერისთ.) 569
გრიგოლ ანელი აპირატის ძე 292-293
გრიგოლ ბაკურიანისძე 119, 136, 203, 398-399, 462, 833-834
გრიგოლ ბანდაისძე 718, 822
გრიგოლ განმანათლებელი 35
გრიგოლ ნაზიანზელი 457
გრიგოლ ნოსელი 436, 457
გრიგოლ ოშკელი 125
გრიგოლ სულასძე სურამელი 647
გრიგოლ სურამელი 73, 87, 553, 571, 783
გრიგოლ ღვთისმეტყველი 125, 439
გრიგოლ ხანძთელი 657
გრიგოლია კ. 13
გრიგორ აკნერცი (აკანელი, აკნეცი) 36, 533, 535, 562, 566, 581, 583
გრიგორ ქესუნცი 33
გუარამი (ქართლის ერისმთ.) 417, 419
გუარამ მამფალი 474-475
გუზან აბულასანის ძე 319
გუზან ტაოსკარელი 312-313
გუიუქ ყაენი 29, 557
გუმილევი ვ. 342
გუნაფაისძე 133
გურგანი (ირანელი პოეტი) 495
გურგენი (ერისთავთერისთავი) 473-474
გურგენი (ბაგრატ III-ის მამა) 153, 155-159, 172, 180, 473-474
გურგენი (სომეხთა მეფე გაგიკ I-ის ძმა) 192
გურანდუხტი (ბაგრატ IV-ის და) 165

გურანდუხტ დედოფალი (ბაგრატ III-ის დედა) 154
გძელიშვილი ი. 85, 515

დავით (ბიბლიური მეფე) 418
დავით (ალექსანდრე I-ის შვილი) 720
დავით (საქ. კათალიკოს-პატრიარქი) 735
დავით (სომეხთა მეფე) 164, 192, 196
დავითი (ალექსი კომნენოსის ძმა) 333
დავით III კურაპალატი 7, 39, 64, 153-159, 171-172, 174-176, 178, 192, 488
დავით IV აღმაშენებელი 7-8, 12-14, 20, 33, 40-41, 43, 45, 65-68, 99-100, 116-117, 119, 124, 138, 142, 172, 204, 208-209, 211-216, 218-266, 268, 274-282, 284-285, 290, 294, 298, 316-318, 342-343, 347, 349-350, 352, 355, 374-376, 380-382, 396, 402-404, 421-425, 431, 440-441, 450-451, 453, 462, 465, 482-483, 494-495, 497-498, 508, 518, 639, 846
დავით V 14, 267-268, 286-291
დავით VI ნარინი 29, 354, 550-551, 553, 556-557, 570-573, 580, 600-603, 624, 629, 654, 835-836, 854, 881
დავით VII ულუ 24, 29, 334, 353, 556-558, 570-574, 576, 581, 587, 589, 592-593, 595-596, 614, 640, 793-794, 797-798, 835-836
დავით VIII 585, 600, 605, 607, 609-613, 622, 630-631, 665, 820, 827, 844
დავით IX 631, 668, 677
დავით ბატონიშვილი 679
დავით გარეჯელი 484
დავით გურგენის ძე (ტაშირის მფლობელი) 192-193
დავით ივანე ახალციხელის ძე 834
დავით კეისარი 738
დავით რექტორი 378
დავით სოსლანი 312, 320, 324, 373, 447-449, 484
დავით უფლისწული (ბაგრატ V-ის შვილი) 678, 683

დავით ქობარელი 292
დავით ქორეპისკოპოსი 159
დათუა 729
დ. ლენგი, იხ. ლენგი დ.
დემეტრე (დიმიტრი) I 14, 39-41, 236, 239-240, 248-249, 258, 261-262, 264-268, 276-277, 281, 284-290, 298-299, 342, 355, 376, 402, 490, 494, 498, 853
დემეტრე (ბაგრატ IV-ის ნახევარძმა) 164, 168, 183-187, 189, 194
დემეტრე მაგისტროსი (ლარჯი ხელმწიფე) 180, 187, 189
დემეტრე მარზპანი (გაგის მფლობელი) 192
დემეტრე (დემნა) უფლისწული 287, 289, 291, 293, 729
დეფრემერი 44-45, 47
დიმიტრი (ალექსანდრე I-ის შვილი) 720
დიმიტრი II თავდადებული 571, 584, 591, 604-608, 614, 616, 651, 795-796, 819, 836
დიონისე არეოპაგელი 456, 459, 461, 470
დოლიძე ი. 23-24, 26-27, 34, 234, 564, 635
დონდუა ვ. 24
დორღოლელი 201, 246
დოღლუბეგ 189
დუბეი სადაყის ძე 240
დუკა 717
დულანდუხტი (ალექსანდრე I-ის მეუღლე) 720
დუნდუა გ. 660-661

ეგარსლან ბაკურციხელი 73, 553-554, 556, 595
ეგნატი 833
ევაგრე ეპიფანე 411
ევტიხი 38
ეზრა ანჩელი 188, 391
ელდიგუზ (ელდიგიზ) ათაბაგი 271-272
ელენე დედოფალი 183
ელიას-ხოჯა 671
ელიგუმ ორბელი 597, 792
ელიოზ გობირახისძე 729
ელ-კალკაშანდი 624
ელ მელიქ ბეიბარსი 826-827
ენგელსი ფრ. 98
ენეა გაზელი 456
ენუქიძე თ. 564
ეპიფანე კათალიკოსი 151
ერეკლე II 513, 765, 769
ერმი 404
ეფთვიმე (მწიგნობართუხუცესი) 352
ეფრემ მცირე 373, 392-394, 401, 405, 434, 436-440, 443, 456, 458-459, 478
ეფრემი (ბიზანტიელი ქრონიკოსი) 18
ექვთიმე ათონელი (მთაწმინდელი) 369, 382-384, 395, 438-439, 471-473, 478

ვანაკ მოძღვარი 35-36
ვარდან არეველცი 35-36, 244-245, 252
ვარდან დადიანი 311-312
ვარდან დიდი 264-266, 272-273, 282-283, 285-287, 290-291, 374
ვარდანი (სვანთა ერისთავი) 201-202
ვარდანისძე 297-298
ვარაზვარდი 419
ვარამ გაგელი ზაქარიას ძე 347, 547, 553-554
ვასაკი 267-268, 290
ვასაფი 55
ვაჩე გუარამის ძე 89
ვაჩე გურგენის ძე 160
ვაჩე კარიჭის ძე 167, 188, 373
ვაჩეიშვილი ალ. 283
ვახტანგ (დავით ნარინის შვილი) 608-609, 654
ვახტანგ (დიმიტრი II-ის შვილი) 605, 611-612, 623, 631, 820
ვახტანგი (დავით ალმაშენებლის შვილი) 284-285, 290
ვახტანგ III 720, 732-733, 813
ვახტანგ VI 24, 27, 34, 359, 433, 454, 716, 842, 848
ვახტანგ გორგასალი 127, 261, 416, 480
ვახუშტი ბაგრატიონი 69, 118, 140-141, 413, 507, 522, 578-579, 627-628, 641, 667, 677, 686-687, 728, 734, 739, 782, 806, 809

ვირსალაძე თ. 298
ვირშელ I 820
ვირშელ III 841
ვირშელი 626, 696, 701
ვლადიმერ მონომახი 248
ვლადიმირცოვი ბ. 840
ვორონცოვი 513

ზაალი (ალექსანდრე I-ის შვილი) 720
ზაზა ფანასკერტელი 600, 801
ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი 822-823
ზანქან ზორაბაბელი 113, 145
ზაქარია (ამირსპასალარი) 572
ზაქარია (შავშეთის სანაპიროს ერისთავი) 362
ზაქარია ვალაშკერტელი 71
ზაქარია ვარამის ძე 117
ზაქარია მხარგრძელი 73, 320, 329, 333, 358, 363, 429
ზაქარია ფანასკერტელი 313
ზედგენიძე 729
ზედგენიძე (გორის მოურავი) 801
ზევსი 404
ზვიად ერისთავი 162
ზვიად მარუშიანი 158
ზოსიმე 391
ზოსქლელი 133

თამარ მეფე 8, 12-14, 20-21, 29, 40-41, 43, 53, 68, 71-74, 92, 113, 116-118, 120, 145, 151, 214, 261, 273-274, 278, 295-303, 308-315, 317-320, 323, 325, 327-329, 333-334, 337-339, 343, 345-348, 352, 354, 358, 360-361, 363, 368, 373, 381-382, 396-397, 401, 403-404, 425-428, 430-431, 433, 444-445, 447-451, 453, 477-478, 484-485, 488, 491, 497, 499, 507, 630, 635, 643, 769, 792, 838-839, 846
თამარი (ალექსანდრე I-ის მეუღლე) 720
თამარი (გიორგი VIII-ის მეუღლე) 733
თამარი (დავით აღმაშენებლის ასული) 236, 483
თამარი (დავით ნარინის მეუღლე) 354
თამარი (რუსუდანის ასული) 836
თამარაშვილი მ. 659, 737, 742, 751
თარგამოსი 70
თაყა 727-728, 813
თაყაიშვილი ექ. 26, 372, 473, 509, 564, 635, 726, 850-851
თაყა ციციშვილი (ატენის მოურავი) 813
თახჩე-ბურანი (თემურლენგის სარდალი) 708
თაჰერი 690-691, 693
თეგუდარი 579-581, 585, 601
თეოდორე (ანტიოქიის პატრიარქი) 394
თეოდორე (მეფის მხატვარი) 490
თეოდორე კათალიკოსი 724
თეიმურაზ ბაგრატიონი 378, 413
თეკლე (გიორგი მთაწმინდელის და) 371
თემისტოკლე 404
თემურლენგი 9, 23, 29, 37, 44, 50, 57-61, 75, 480, 669-689, 691-714, 716, 718-719, 721-722, 724-727, 730, 753, 773, 787, 810, 815, 819, 824-825, 830, 854
თემუჩინი, იხ. ჩინგიზ-ხანი
თეოდორა 603
თეოდორა დედოფალი 165
თეოდოსი (პატრიარქი) 385
თეოდოსი უსინათლო (ეგრის-აფხაზეთის მეფე) 154, 192
თეოფილე ხუცესმონაზონი 377
თექეში (ხორეზმშაჰი) 531
თინათინი 363
თირქაში 286, 288
თოვმა მეწოფეცი (თომა მეწოფელი) 37, 111, 679, 683, 695, 700, 725, 731
თორელი (ბირთვისის ციხისთავი) 705, 708
თორღუა (პანკისის ერისთავი) 554, 595-597
თოფურია პ. 237, 255
თოღთამიშ-ხანი 675, 683, 686-687, 690
თოღლუყ-თემურ ხანი 671
თოღრულ ბეგი 197, 205
თოღრულ მუჰამედის ძე 238
თრდატი 69

იადგარ (დიმიტრი II-ის შვილი) 605
იაკობ 831
იაკობ (ბიბლიური მამამთ.) 418

იაკობ რეისკი 47
იაკუბ ხანი 748-749
იაკუბოვსკი ა. 591, 672
იაკუთი 46
იაჰია ანტიოქელი 38-39, 174, 176, 179
იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკი, იხ. ალ-ფარიკი
იბნ ალ-ასირი 38, 42-43, 47, 241, 269, 271, 273, 333-335, 533-535, 537, 539, 542, 546
იბნ ალ-ჯაუზი, იხ. სიბტ იბნ ალ-ჯაუზი
იბნ არაბ შაჰი 50-51
იბნ ბიბი 52, 326-327, 330-331
იბნ ფადლალაჰ ალ-უმარი, იხ. ალ-უმარი
იბნ შადადი 38, 40
იბრაგიმოვი დ. 716
იბრაჰიმ სუქმანი 50, 268, 270
ივანე (მსახურთუხუცესის სარგისის შვილი) 117
ივანე აბაზას ძე (ქართ. ერისთ.) 162, 167-168
ივანე აბულეთის ძე (ანისის გამგებელი) 245, 265-266, 285-286, 290
ივანე ათაბაგი (სამცხის მთავარი) 698, 722, 732, 797
ივანე ახალციხელი 120, 540, 837-838
ივანე ბაღვაში (ივანე ლიპარიტის ძე) 166-167, 191, 200-202, 792
ივანე ბურსელი 610
ივანე ვარდანის ძე 292
ივანე თორელი 330
ივანე მარუშის ძე 139
ივანე მორჩაის ძე 482
ივანე მხარგრძელი 46, 73, 315, 320-325, 339, 342, 345, 358, 363, 347, 429, 499, 533, 537, 540, 792, 825
ივანე ორბელი 119, 269, 271-272, 287-288, 291-293, 643-644
ივანე პრესვიტერი 342
ივანე ტბელი 490
ივანე შანშეს ძე მხარგძელი 640
ივანე ციხისჯვარელი-ჯაყელი 548
ივანე III 752
ივაშჩენკო ვ. 111
იზაბელა 751
იზ ად-დინ სალდუხი (ამირა) 267-268, 290
იზიასლავ მსტისლავის ძე 248
იკუნკელის ძე 357, 644
ილარიონ ვაჩე ყანჩელის ძე 481
ილარიონ თუალელი 372
ილარიონ ქართველი 409
ილმინსკი ნ. 44
ილღაზი 238-239, 269, 276
ინგოროყვა პ. 303, 413, 428, 641, 644, 646-647, 654
•ოანე (კუმურდოს მთავარეპ.) 735
იოანე I (ტრაპიზონის მეფე) 603
იოანე II (ტრაპიზონის მეფე) 111
იოანე XXII (რომის პაპი) 658-659
იოანე ათონელი 382, 405
იოანე ბანდაის ძე 666, 828
იოანე ბატონიშვილი 344, 679
იოანე გუთელი 390
იოანე დამასკელი 394, 456, 458, 824-825
იოანე ვარძიელი 665
იოანე იტალოსი 400-401, 469
იოანე კათალიკოსი 402
იოანე მთაწმინდელი, იხ. იოანე ათონელი
იოანე მთვარაის ძე 394
იოანე ნათლისმცემელი 398, 489
იოანე ოქროპირი 439
იოანე პეტრიწი 369, 377, 379-380, 400-401, 456-458, 461-467, 824
იოანე რუფუსი 843
იოანე სინელი 824-825
იოანე სუმბატი (ანისის მეფე) 177
იოანე ტარიჟის ძე 377, 456
იოანე ფლორენციელი (დომინიკანელი) 659
იოანე ქსიფილინოსი 401
იოანე შავთელი 377, 445, 448-450
იოვაკიმე (ცაიშელ-ბედიელი ეპისკ.) 740
იოვანე (მწიგნობართუხუცესი) 269
იოვანე ბანელი 167, 188, 373
იოვანე ერისთავი (არტანუჯის მფლობელი) 180
იოვანე სუმბატის ძე (ანისის მეფე) 177, 188, 190-191, 194
იოვანე ტათეველი 499
იოთამ ზედგენიძე 739

იოსაფატ ბარბარო, იხ. ბარბარო
იოსებ ბულბაფაის ძე 589
იოსებ ფლავიოსი 424
იოსური 549
ირინე (ტრაპიზონის დედოფალი) 667
ისკანდერი (თემურლენგის შვილიშვილი) 59
ისკანდერი ყარა-იუსუფის ძე 721
იური, იხ. გიორგი რუსი
იუსტინიანე კეისარი 23

კაიკობადი 110
კაკაბაძე ს. 303
კაპანაძე დ. 660-661
კარიჭისძე 436
კარლოს VII (საფრანგეთის მეფე) 738
კარპინი პლანო 29, 528-529, 553
კასალის ძე 133
კატა (დავით აღმაშენებლის ასული) 233, 236
კატაბანი 175
კაციტაძე დ. 51, 686, 716
კახა (მეჭურჭლეთუხუცესი) 115, 118
კახა თორელი-გამრეკელი 83, 129, 571, 585-587, 589-590
კახაბერ კახაბერის ძე 22, 132, 360, 601-602
კახაბერ ძე ნიანიასი 209
კედრენე 17, 169, 173-174, 176, 183
კეკელიძე კ. 279, 339, 373, 413, 428
კეპოის ძე 133
კვირიკე (ტაშირ-ძორაკეტის მეფე) 199-200
კვირიკე (კახთა მეფე) 160, 196, 234, 504
კვირიკე ბერი 438
კვირიკე ქორეპისკოპოსი 159
კიკნაძე რ. 22, 41, 239, 561, 570, 716, 741, 743, 748
კირაკოს განძაკელი (განძაკეცი) 35-36, 336, 562, 565, 570, 583-584, 587, 590
კლავიხო (ესპანელი ელჩი) 31, 713
კონსტანი 305
კონსტანტინე I 683, 702, 704, 714-716, 719-720, 726, 732, 842
კონსტანტინე I (ბიზანტიის კეისარი) 69
კონსტანტინე II (გიორგი VIII-ის შვილი) 739, 748-751
კონსტანტინე X მონომახი 165-166, 186, 188, 401
კონსტანტინე XI (ბიზანტიის იმპერ.) 733
კონსტანტინე (ბიზანტიის იმპერ.) 179, 181
კონსტანტინე (დავით ნარინის შვილი) 608, 629, 654, 827-828
კონსტანტინე პორფიროგენეტი 63-64, 418
კონტარინი 31, 741-742, 745
კოპალიანი ვ. 232-233
კოროფხიშვილი 133
კრავაი ჯაყელი 300
კრემერი ა. 121
კრონოსი 404

ლენგი დ. 628, 661
ლანგლუა ვ. 413
ლაშა (დიმიტრი II-ის შვილი) 605
ლაშა გიორგი, იხ. გიორგი ლაშა
ლეონ I (აფხაზთა მეფე) 63
ლეონ ჰრომი 407
ლეონტი მროველი 69-70, 406, 412-415, 417, 432, 510, 842
ლიმაჩე 581
ლიპარიტ ბაღვაში 17, 160-169, 173-174, 179, 184-186, 188-191, 194-197
ლიპარიტ დადიანი 721
ლიპარიტ ივანეს ძე 202
ლიპარიტ IV 212-213
ლიპარიტ სუმბატის ძე 269
ლოკი 305
ლოლაშვილი ივ. 13
ლომინაძე ბ. 616, 639, 739
ლორთქიფანიძე მ. 234
ლუდოვიკო (ანტიოქიის პატრიარქი) 746
ლუდოვიკო XI (საფრანგეთის მეფე) 738
ლუდოვიკო ბოლონიელი 737-738
ლუდოლფ სუდჰეიმი 829
ლუი პეტიტი 399
ლუკა იერუსალიმელი 826, 829, 845, 853

მაერიკ კეისარი 417
მაზარ-ალიხანი 503
მათეოს ურჰაეცი (ურჰაელი) 32, 100, 244, 252, 266, 273
მაისურაძე გ. 292
მაკარ მღვდელი 843
მაკუჰასძე 767
მალაქია ბერი 36
მალიქ ალ-ქამილი (ეგვიპტის სულთანი) 341
მალიქ აშრაფი (ხლართის პატრონი) 534-535
მალიქ შაჰი 198, 202-203, 205-208, 228, 231-232, 302, 494
მალიქა (უზბეგის მეუღლე) 539
მამაი დადიანი 721
მამაი ყაენი 675
მამედოვი 40
მამია (გურიის მთავარი) 738
მანაველი ეაჩნაძე 647
მანანდიანი 497
მანგუ ყაენი 551, 559, 568, 793
მანეული (დიმიტრი II-ის შვილი) 605
მანეული (ტრაპიზონის მეფე) 604
მანუელ I კეისარი 660
მანუჩა (ამირა) 265-266
მანუჩარ აბულსუარის ძე 199
მანუჩეჰრ II (შარვანშაჰი) 275
მართა, მართაყოფილი მარიამი 17, 199
მარი ბროსე, იხ. ბროსე მ.
მარი ნ. 339, 402, 413, 438, 440, 447-448, 508, 520, 832
მარიამ დედოფალი (ბაგრატ IV-ის დედა) 15, 181-183, 186, 395
მარკო პოლო 30
მარტიროსი (სომეხ. ეპისკ.) 832
მარქსი კ. 673
მაღალაძე 767
მაჰავარიანი ივ. 44-45, 47
მახარებელ მაღალაძე 823
მაჰმედი (უზუნ ჰასანის ელჩი) 738
მაჰმუდ ქერიმუდდინ აყსარაილი 326-327
მაჰმუდი 242
მედნიკოვი ნ. 42
მელიქ აშრაფი (ჰასან კუჩუკის ძმა) 667-668
მელიქიშვილი გ. 413
მელქისედეკ კათალიკოსი 82, 126, 145, 169, 182, 480, 486
მელიქსეთ-ბეგი ლ. 37, 355, 614, 679, 725
მემნა ბოცოს ძე 541-542, 838
მემნა ჯაყელი 292, 499
მენთეშაშვილი ა. 49-50
მეტრეველი ე. 665, 726, 829, 844
მეტრეველი რ. 233-234, 292
მესხია შ. 23, 81, 227-229, 239-241, 254, 303, 615
მეჰმედ II (ოსმალეთის სულთანი) 736
მინორსკი ვ. 40, 238, 269, 277-278
მირან შაჰი (თემურლენგის შვილი) 54, 688-691, 713-714
მირიან მეფე 69, 394, 480
მირიანი (ამირა) 268
მირმირანი 429
მირხონდი 62, 721, 727
მიქაელი (XVIII ს. I ნახ. მოღვ.) 454
მიქაელი (დავით ნარინის შვილი) 608, 629
მიქაელი (იოანე დამასკელის ცხ. ავტ.) 394
მიქაელ ეზეკიელის ძე 354
მიქაელ კათალიკოსი 296, 298, 310, 723
მიქაელ მაღლაკელი (მხატვარი) 490
მიქაელ პანარეტოსი 18, 28-29, 603-604, 666-667, 676-679
მიქაელ პსელოსი 18, 401, 457
მიქელ მემღვიმე 128
მიხაელ 833
მიხაელი (ანტიოქიის პატრ.) 740
მიხეილ VI (ბიზანტ. იმპ.) 165, 188
მიხეილ-აზახუტლუ 604, 667
მიხეილი (ტრაპიზონიის ელჩი) 738
მიხეილ ფსელოსი 400
მოელანა ზადე 671
მოზაფარ ად-დინი 535
მოინ ად-დინ ნათანზი 59, 681-682, 704-706
მონტესკიე 305
მორალი (მცირე სომხეთის ელჩი) 738
მოსე მღვდელი 608
მოსე ხონელი 442
მოღის ედ-დინ თოღრული (რუქნადინის ძმა) 327-328, 331

მოჰამედ ხორეზმშაჰი 531-532, 538
მუზაფერ ად-დინ ყიზილ-არსლანი 321
მუნეჯიმ ბაში 43, 331
მუხას ძე 517
მუჯირედინი 827, 846
მუჰამედ ალ-ჰამაკი 497
მუჰამმად იბნ აჰმად სუკაიკირ ად-დიმაშკი 51
მუჰმად ამინ ალ-ხაჯი 42
მუჰმად ეუბალი 41
მხითარ ანეცი 36
მხითარ აირივანეცი 37
მხითარ გოში 34-35, 267, 273-274, 287, 290-291, 476

ნავარქაი 133
ნავრუზ (ემირი) 565
ნავრუზი (ყაზან ყაენის პირველი ემირი) 610
ნათელა (დიმიტრი II-ის მეუღლე) 605
ნათია (ალექსანდრე I-ის დედა) 720
ნალბანდიანი ვ. 679
ნარინ დავითი, იხ. დავით ნარინი
ნასირ ად-დინ სუქმან II 264, 269
ნატროშვილი თ. 336, 338
ნაჯიმ ჰამადი 51
ნეზამ ად-დინ შამი 57-59, 691, 695-697, 702, 704-706
ნემესიოს ემესელი 456
ნესტან-დარეჯანი (კახეთის მეფე ალექსანდრე I-ის დედა) 727
ნესტან-დარეჯანი (გიორგი VIII-ის მეუღლე) 733
ნეჩრელი 133
ნეჯათ ლუღალი 41
ნეჯმ ედ-დინ ილღაზი, იხ. ილღაზი
ნიანია (ლიპარიტ ბაღვაშის შვილი) 166
ნიანია ქუაბულისძე 201-202
ნიზამ ალ-მულქ (მალიქ შაჰის ვაზირი) 178, 205, 232, 302-303
ნიზამ განჯევი 495-496
ნიესე (ბიბლიური მეფე) 418
ნიკიტა ხონიატე 18
ნიკიფორე გრიგორასი 28, 667
ნიკიფორე კომნენოსი (ვასპურაკანის მმართ.) 179
ნიკიფორე კოკლი (ბარდა ფოკას შვილი) 39
ნიკოლოზ გულაბერიძე 310, 397, 498
ნიკოლოზ დვალი 829, 845-846, 853
ნიკოლოზ თბილელი 733, 738
ნიკოლოზ კათალიკოსი 590, 614
ნილოსი 751
ნოე (ბიბლიური მამამთავარი) 418
ნოსარ ნისრელი 447
ნურ ად-დინი (თემურლენგის სარდალი) 699
ნუცუბიძე შ. 459

ოდისევსი 404, 424
ოდიშელი ჯ. 339, 748
ოზლაღ-შაჰი 538
ოთაღო შარვაშიძე 360
ოლჯათ (არღუნ ყაენის და) 608
ოლჯაითუ ბაჰადორი 59
ოლჯაითუ ყაენი 54-55, 612, 624, 667
ომარი (მირანშაჰის შვილი) 713
ომარი (ომარ მირანშაჰის ძის სარდალი) 713
ომარ შეიხი (თემურლენგის შვილი) 713
ომარ ხაიამი 518
ორესტე 404, 424
ორბელი ი. ა. 339
ოსმან I 736
ოსმან თურანი (თურქი ისტ.) 328, 331
ოტროკი, იხ. ათრაქა
ოქროპირი (კათ.) 823
ოქროპირი (ტაოელი მონაზონი) 833

პავლე დეკანოზი 843
პავლე მოციქული 474
პანტიაშვილი 729
პაპუაშვილი თ. 255
პარმენიდე 463
პელაგიუსი (სარდალი) 341
პეტრე 389-390
პეტრე იბერიელი (იბერი) 394, 456, 459, 848, 853
პეტრე მოციქული 474
პეტრუშევსკი ი. 561, 618, 620, 716, 721
პიმენ მაწყვერელი 830
პიმენ სალოსი 823
პიო II 737-738

პიპა (შალვა ქსნის ერისთავის შვილი) 666, 828
პლატონი 379, 404, 447, 456-457, 463
პლოტინი 463
პლუტარქე 463
პორფირიუსი 463
პორფიროგენეტი კონსტანტინე, იხ. კონსტანტინე პორფიროგენეტი
პრიამოსი 404, 424
პროკლე (ფილოს.) 456, 461, 463
პროკლე დიადოხოსი 379, 824-825
პროხორე ქართველი 395-396

ჟამთააღმწერელი 73, 111, 527, 529 535-536, 539, 541-542, 544-545, 547-548, 554, 566-567, 569, 576-577, 581, 584, 594-596, 601, 604-605, 608-609, 613, 616, 626, 853
ჟანენი რ. 666
ჟორდანია თ. 276, 331, 413, 427
ჟუზე პ. 42, 44

რატი (ქართლის ერისთავთერისთავი) 300
რატი ბაღვაში 155-156, 158, 162, 177
რატი ლიპარიტის ძე 213
რატი სურამელი 360
რაქაელ დედოფალი 418
რაშიდ ად-დინი 54-57, 532-533, 544, 564, 576-577, 610, 617, 619-620, 689
რენო მ. 47
როგავა ა. ა. 679
როდოლფ კოგეშალი 342
როზენი ვ. 39, 42
რომან დიოგენი 201
რომანოზ კეისარი 181-183, 383
რუბრიკი (რუბრუკვისი) 31, 529
რუსა (ალექსანდრე I-ის ბეგია) 720, 726
რუსთაველი 428
რუსუდანი (გიორგი III-ის და) 271
რუსუდანი (დემეტრე I-ის და) 274
რუსუდანი (დიმიტრი II-ის ასული) 605
რუსუდან მეფე 21, 53, 342, 484, 508, 533, 536-537, 540, 544, 547, 549-550, 552, 556, 615, 628, 647, 654, 797, 836
რუქნ ად-დინ თოღრულ III 321
რუქნ ად-დინ სულეიმანი 53, 301, 326-329, 331, 449

საბა განწმენდილი 394
საბა მტბევარი 180
საბა სულას ძე თუხარელი 336, 394
სადი აჰმედ ორლათი 721
სადუნ მანკაბერდელი 574, 597, 604-606, 608, 637, 641, 793-797, 800, 808
სადუნი (სალტუნი) ანისის ამირა 269, 290-291
სამველ ანეცი 33
სათიბეგი (ოლჯაითუ ყაენის ასული), 667-668
სალადინი, სალაჰ ად-დინი 319, 397
სალდუხი, იხ. იზ ად-დინ სალდუხი
სალთიკი 269-270
სალინიაგო ბართლომე 832
სალომე 844
სანდერსი ჯ. 51
სანჯარ სეიფ ად-დინი 690
სარანგი 202
სარგისი 690
სარგის ჯაყელი ბექას ძე 624, 629, 645-646
სარგის თმოგველი 444, 554
სარგის მხარგრძელი 117, 269, 301, 311
სარგის ნორავანელი 499
სარგის ჯაყელი 571-574, 576, 596-597
სარიდანი („ევეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი) 452
საღირისძე 297
სახუა არიშის ძე 64
საჰაკი 419
სგოჯაისძე 133
სეიდ ბერქე (თემურლენგის მოძღვარი) 712
სეიფ ად-დინ თენგიზ (დანგიზ, დენგის) 846
სენექერემი (ვასპურაკანის მეფე) 177
სენკოვსკი ო. 42
სერაპიონ ზარზმელი 853
სვიმეონ საკვირველმოქმედი 392, 394
სვიმონ ბედიელ-ალავერდელი 218
სვიმონწმინდელი 384-386, 393
სიბტ იბნ ალ-ჯაუზი 38, 45, 495, 497

სითილარაბი 200
სითიხათუნი (ვახტანგ III-ის მეუღლე) 733
სიიდი ალი 689, 691
სიიდი ახმედი 691, 715
სილაგაძე ბ. 271, 332, 336
სიმეონ ხუცესმონაზონი 824-825
სიმონ კანანელი 389
სიმონ ჭყონდიდელი 243
სინჯარი (მალიქ შაჰის შვილი) 494
სიხარულიძე ე. 42
სკილიცა 17
სკრჟინსკაია ე. გ. 741
სმბატ სპარაპეტი 37
სოკრატე 447
სოლეიმან სუფი (ხორეზმშაჰი) 685
სოლომონ (ბიბლიური მეფე) 418
სოლომონ დოდაშვილი 461
სოლღარი (დიმიტრი II-ის მეუღლე) 605
სოსელია გ. 301, 303
სტეფანოს ვარჯანისძე 150
სტეფანოს ორბელიანი 36-37, 72, 244, 287-290, 292, 499
სტეფნაძე ჯ. 271, 278
სუბუდაი 531-536
სულა კალმახელი 166-167
სულხან-საბა ორბელიანი 461
სუმბატი (სომეხთა მეფე) 156-157, 192
სუმბატი (კლარჯი ხელმწიფე) 159
სუმბატი (სომეხთა მეფე კვირიკეს ძმა) 199
სუმბატ დავითის ძე 11, 160, 180-182, 407, 417-420
სუმბატ ლიპარიტის ძე (ქართ. ერისთ.) 292-293
სუმბატ ორბელი 287, 793
სუმბატ ქავთარის ძე 293
სურგულაძე ივ. 26, 635
სუჰმი ბ. 47

ტაბატაძე კ. 51, 683
ტარიელი („ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი) 452
ტარონიტი (ბიზ. სარდ.) 39
ტარსაიჩ ორბელი (ორბელიანი) 36, 606, 793
ტერ-გრიგორიანი 583
ტიზენჰაუზენი ვ. 44, 48-50, 624
ტიმოთე გაბაშვილი 394
ტიტე (რომის კეისარი) 424
ტორნბერგი 43
ტოღრულ-ბეგი 444

უვედეი 545-546
უგრელიძე ნ. 514
უეეის სულთანი (ჰასან ბუზურგის შვილი) 668
უზბეგი (ათაბაგი) 533-534, 539
უზუნ ჰასანი 30-31, 736-737, 739, 741-743, 745, 747
უმეკი (სომეხი ვაჭარი) 819-820
ურბან II (რომის პაპი) 232
უსპენსკი ბ. 39
უჯარმელას ძე 729

ფადლალაჰ იბნ რეზბეჰანი 62
ფადლალაჰ სარუფი 39
ფადლონ IV (აბულასვარის შვილი) 265-267, 268, 271
ფადლონი 160, 192-196, 200, 202, 290
ფარეზას ძე 853
ფარეჯანი (ოსი უფლისწული) 581, 612
ფარსადანი („ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი) 452
ფარსადან გორგიჯანიძე 344, 677-678, 693, 695, 699, 711
ფასიჰი ხაფი 61, 696
ფახრად-დინ შადადი (ანისის მეფე) 267
ფახრუდინ გორგანელი (ფახფურ ჯორჯანელი) 444
ფაჰრ ედ-დინი 327
ფაჰრ ედ-დინი კირზიოღლუ (თურქი ისტორიკოსი) 331
ფაპლავანი 272
ფედერიკო (გერმანიის იმპერატორი) 738
ფელეკი შარვანი 495
ფირ-ბუდაკი (ყარა-იუსუფის ვაჟი) 715
ფირდოუსი 495-496
ფირ-მოჰამედი (ომარ შეიხის შვილი) 713
ფოკა 178
ფოტი (პატრიარქი) 440
ფუთურიძე ვ. 40

ქავთარ ივანეს ძე ორბელი 292-293

ქავთარ ტბელი 154
ქანანა 143
ქართლოსი 70
ქარიმანდინი 820
ქარუმიძე ქავთარ 144, 812-813
ქასადანი (ყვარყვარე ათაბაგის ელჩი) 738
ქასრაეი ს. 40
ქასრე 416
ქერიმ ად-დინ მაჰმუდ აყსარაი 53
ქერობინ გაბელის ძე (არქიმანდრიტი) 735
ქეღათუ ყაენი 609
ქეენიფნეველ როსტომ ბაბილური 23
ქიქოძე მ. 739
ქირქიშ აბულეთის ძე 269
ქსიფე 178
ქუცნა ამირეჯიბი 710, 720, 726

ღალღური 601

ყაზან ყაენი 23, 564-565, 609-611, 617-621, 628, 631, 658, 660, 755, 758
ყარა-იუსუფი 714-715, 721, 723
ყაუხჩიშვილი ს. 18, 28, 509, 676
ყვარყვარე ათაბაგი 734, 738-740, 724-743, 748
ყვარყვარე სარგისის ძე 624, 629, 646
ყვარყვარე ციხისჯვარელი-ჯაყელი 553-554, 805
ყიას ად-დინი 56
ყიასედინი (რუსუდან მეფის სიძე) 836
ყიზილ-არსლანი, იხ. მუზაფერ ად-დინ ყიზილ-არსლანი
ყილიჩ არსლან II 320, 326
ყიფშიძე დ. 844, 846
ყუბასარი 293, 299, 306, 644
ყუთლუ-არსლანი 15, 118, 299-310, 350-351, 426
ყურუმჩი ბაადური 585

შადადი, იხ. იბნ. შადადი
შადადი მუჰამადის ძე 274
შავმთელი ნიკო 394
შაიშმელაშვილი ივ. 239-240
შალვა 729
შალვა (ქსნის ერისთავი) 666, 820-821, 828
შალვა ახალციხელი 324, 329, 540-541, 838
შალვა ქვენიფნეველი 24, 60, 631, 815
შამს ად-დინ თუღრაი 535
შანიძე აკ. 834
შანშე (ზაქარია მხარგრძელის შვილი) 553, 644
შანშე დადიანი 269
შანშე მანდატურთუხუცესი 73, 548
შარაფ ად-დინ ალი იეზდი 58, 677-678, 682, 686, 694, 698-699, 705-706, 708
შარაფ ალ-მულქი 541, 543
შაჰ არმენ სუქმან II, იხ. ნასირ ად-დინ სუქმან II
შაჰ არმენ სუქმან კუტუბის ძე 270
შაჰ-ბანუვარი 270
შაჰ-მალექი (თემურლენგის სარდალი) 705-708
შაპროპი (შაპროხი) 59, 61, 721
შედადიან აბულ-ასვარი 168
შეიხ იბრაჰიმ დერბენდი 680, 688, 691, 704, 708, 714-715
შეიხ ხიდრი 826
შემს ად-დინ ილდეგიზი (ელდიგუზი) 270, 274, 278, 293, 644
შენგელია ნ. 41
შერაქიძე 357
შერვაშიძე 721
შერმადინი („ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟი) 363
შილტბერგი 31
შოთა ართავაჩოს ძე 292
შოშიაშვილი ნ. 36

ჩანჩახი ფალელი 167, 180
ჩაღატა 546, 548
ჩახრუხაძე 442, 445-449
ჩინგიზ ყაენი (ჩინგიზ-ხანი) 53-54, 341-342, 529-531, 538-539, 546, 591, 674-675, 826, 840
ჩიქობავა არ. 441
ჩობანი 624, 627
ჩორმაღანი 546-547
ჩუბინიშვილი გ. 509
ჩხატარაიშვილი ქ. 239-240, 254

ცაგარელი ა. 50
ცინცაძე ი. 312, 591

ცოტნე დადიანი 553-555, 836
ცქიტიშვილი ო. 45-46

ძაგან აბულეთის ძე 213, 587-592

წერეთელი გ. 40, 49, 413, 624
წმინდა გიორგი 490
წმინდა თევდორე 490
წმინდა ნინო 394, 411, 480
წონელა 134

ჭარტლის ძე 133
ჭაჭინეოსი ლეკისი 604
ჭიაბერი (მანდატურთუხუცესი) 146, 311, 644
ჭილაშვილი ლ. 578

ხაკანი (პოეტი) 495-496
ხალილულაჰ I (შირვან შაჰი) 721
ხაჩიკიანი ლ. 38
ხვაშაგი 795
ხილილ ბეგი 748
ხიმშია 692
ხოსრო, იხ. ქასრე
ხოჯა აზიზი 574
ხოჯა სალამი 589
ხუაშაქი ცოქალი 300
ხურსი 162, 177
ხუტლუ ბუღა (სადუნ მანკაბერდელის შვილი) 606, 608, 795-796
ხუტლუ ბუღა (ხუტლუშა, მონღოლი ნოინი) 610

ჯაბა 604
ჯავახიშვილი ივ. 18, 23, 25-27, 47, 49-50, 84, 93, 96-97, 114, 121, 145, 173, 176, 184, 222, 230, 234, 241, 272, 283, 286-288-289, 297, 301, 303-304, 306, 344, 350, 353, 355-358, 427-428, 432, 450-451, 454, 476-477, 496, 561, 570, 576, 588, 590, 605, 617, 627-628, 632, 635, 639, 676, 683, 686-687, 715-716, 720, 725-726, 735, 737, 743-744, 747-748, 751, 850-851
ჯავახიშვილი კახა 805
ჯავთაგაეთი 147-148
ჯაკ რუსი (ბიზანტიელი სარდალი) 39
ჯალალ ად-დინი 22, 41, 43-44, 54, 71, 109, 111, 510, 521, 522, 532, 538-547, 549
ჯამათი 696
ჯამბაკურ ორბელიანი 842
ჯანაშია ს. 80, 303, 417, 419, 716
ჯანაშვილი მ. 303
ჯანიბეგ ზედგინიძე 696
ჯარნას ძე 357, 644
ჯაუნარი 811
ჯაფარი ალისძე 124, 162-163, 167, 196, 200
ჯაფარიძე გ. 336, 338
ჯებე 531-536
ჯედი 160
ჯეჰან შაჰი 697, 721, 731-732, 736, 745
ჯიგდახათუნი (დიმიტრი II-ის ასული) 605
ჯოვანი მარიო ანჯიოლელი 743
ჯუანშერი 127, 407, 415-416-417, 432, 842
ჯუვეინი 533, 540, 542, 544, 570
ჯუსტინიანი 411

ჰაკობიანი ვ. 38
ჰამდალაჰ ყაზვინი 55-56
ჰაოსი 70
ჰარაბაჲ 482
ჰასან (კაენის პატრონი) 292
ჰასან ბუზურგი (ჰასან დიდი) 667-668
ჰასან კუჩუკი (ქუჩუკი) 667-668
ჰასან სუმბატის ძე 589
ჰაფეზე აბრუ 59, 61, 667, 679, 692, 701
ჰაფიზ აჰმად ჰამიდი 44-45
ჰეგელი 305
ჰენრიხ ფლანდრიელი 109
ჰერაკლე კეისარი 65
ჰექტორი 404, 424
ჰიეროკლე 456
ჰოვანეს ერზინკაელი 819-820
ჰომეროსი 424, 426, 447
ჰოსეინი (ბალახელი ამირა) 671-672
ჰუდასი ო. 45
ჰუსეინი 321-323, 325
ჰულაგუ ყაენი 35-36, 53, 562, 565, 570-571, 574-575, 581, 583-584, 597, 795, 798

აბაზგია 166, 189
აბოცი, აშოცი 64, 70
აგარა 88, 133
აგარანი 201, 237, 361
ადარბადაგანი 72, 256, 270, 541, 582, 627, 667
აზერბაიჯანი 33, 41-43, 55, 100, 210, 268, 270-272, 274, 281, 293, 321-322, 326, 333, 335-336, 339, 494, 518, 532-534, 539, 541, 545, 552, 565, 570, 575-576, 582, 627, 667-668, 712, 714-715, 721, 742, 818, 839
აზია, ასია 232, 326, 527, 657
აზოვი 30, 688
ათენი, ათინა 375
ათონი 377, 383-384, 443
ათონის ივერიის მონასტერი 15, 382, 390-391, 393, 396, 408, 436, 519, 726
ათონის მთა 170, 381, 391-392, 491
ათონის ქართველთა მონასტერი, იხ. ათონის ივერიის მონასტერი
აირარატი, არარატი 72, 235, 270, 579, 583, 663
ალავერდი 219, 251, 479, 481, 492, 727
ალავერდის ტაძარი 513
ალაზანი 92, 279, 513, 575, 577, 579, 692
ალაზნის ველი 207, 481
ალათაღი, ალატაღი 583, 685, 713-714
ალამუთი 554, 569
ალამუთის ციხესიმაგრე 54
ალანები 370
ალბანელები 7, 414
ალგეთი (მდ.) 85, 508
ალექსანდრია 38, 108, 392
ალვანი 92
ალი-აბადი 44
ალინჯის ციხე 539, 685, 688, 690-691, 693, 701, 702
ალ-ჯაბალი 270
ამასია (ქ.) 606
ამაშუკეთი 709
ამბერდი 318, 324
ამიერკავკასია 7, 12, 32, 35, 43-44, 52-54-55, 171, 183, 185-187, 192, 196-197, 203, 227, 233, 238, 254, 257, 263-265, 269, 274, 277, 328, 421, 423, 532-534, 537-538, 544, 546-547, 565, 582, 610, 673, 680, 684-685, 687, 688, 689, 712-714, 719
ამიერტაო 64, 153, 159
ამუდარია 545, 670, 685
ამუკი 724, 730
ანაკოფია 67, 190, 203, 738
ანაკოფიის ციხე 68, 163-164, 183-187
ანატოლია 199, 201, 741
ანბერდი 72
ანგორა 703
ანგროინი 587, 783
ანი, ანისი 17, 34-36, 43, 68, 72, 73, 99, 116, 120, 150, 166, 177, 186-187, 195, 199, 242, 244-245, 250, 252, 256, 263-274, 279-280, 285, 289, 290-292, 318, 325, 334, 336, 360, 364, 370, 499, 543, 548, 555, 563-564, 583, 605, 615, 621, 622, 658, 663, 713, 724
ანისის სამეფო 185, 190, 194-195
ანისის ციხე 194
ანიყას ციხე 606
ანტიოქია 38, 201, 232-233, 381-382, 387-388, 390, 392, 394, 723, 734, 740, 746
ანჩა 735
აპახუნიკი 64
არაბები 209, 392, 451, 494, 751
არაბეთი 35, 108, 682
არაბეთის ერაყი 55, 210, 667-668, 742
არაბეთის ნახევარკუნძული 46
არაბთა სახალიფო 33, 170, 171
არაგვი 65, 74, 610, 631-632, 687, 728
არაგვის მთიულეთი 24, 611
არაგვის საერისთავო 360
არაგვის ხეობა 23, 27, 581, 630, 635, 686-687, 698-699, 717, 761, 841
არადეთი 201, 748
არანი 199, 238, 278, 321, 494, 532, 533, 537, 575
არარატის ოლქი 68

არარატის პროვინცია 245
არაქსი, არეზი 64-65, 68-70, 72, 334, 533, 541, 577, 579, 582-583, 676, 680, 690, 712
არგუეთი, არგვეთი 70, 84, 132, 134, 140, 158, 204, 360, 608, 629, 710
არდებილი 336-337, 535, 621
არეგაწი 249, 261
არზრუმი, ერზერუმი (კარნუ-ქალაქი) 32, 43, 65, 73-74, 267-270, 290, 312, 320, 327-328, 333-335, 341, 553, 579, 599, 615, 713, 798
არმაზი 413-414, 506, 811
არმაზის ციხე 730
არმაზისხევი 512
არმენია 497, 688
არსიანის მთა 580
არტაანი 64, 70, 74, 177, 178, 203, 281, 362, 366, 543, 548, 550, 575, 599, 615
არტანუჯი 180, 188, 204, 615
არტანუჯის ტაძარი 484
არშარუნიკი 286
არქეში 268, 333, 335
არხანგელსკი 736
არხილოსკალო 513
ასისფორი 204
ასკალანა 202
ასპინძა 485
ასტრახანი 688, 736
ასურეთი 97
ატენი 100-101, 117, 134, 185, 482, 813
ატენის სიონი 490
ატენის ციხე 158, 164
აფრიკა 736
აფშილეთი 70
აფხაზეთი 56, 63-64, 70, 75, 139, 165, 183, 188, 192, 203, 327, 355, 366, 378, 389, 417, 495, 607, 654, 701, 717, 721-722, 734, 738, 740, 746
აფხაზეთის სამეფო 63, 230
აფხაზეთის სამთავრო 721
აღმოსავლეთ ამიერკავკასია 100
აღმოსავლეთ საქართველო 70, 93, 110, 121, 209, 227, 255, 549, 573-575, 602, 604, 609, 611-612, 668, 698, 740, 753, 819
აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი 70
აღჯაყალა 749
აღჯაყალის ციხე 749
აყსუ, იხ. თეთრი წყალი
აშორნი, აშორნთა 279
აწყური 102, 735, 743, 749
აჭარა 70, 74-75, 204, 515, 580, 599, 798
აჭარის წყალი 70
ახალდაბა 88, 571
ახალქალაქი 101, 102, 140, 198, 313, 505, 517, 518, 520-521
ახალციხე (ქ.) 102, 110, 111, 479, 658, 686, 723, 748-749
ახატანი 729
ახლო აღმოსავლეთი 59, 242
ახპატი 499
ახტალა 484
აჯამეთი 366
აჯამეთის ტყე 208
აჯისუ 75

ბაგრატის ტაძარი 479, 494
ბაგრევანდის თემი 71-72
ბაგრევანდის ხეობა 71
ბაზარი (ზაგემი) 746
ბათუმი 31, 740, 746
ბაიაზეთის ციხე 685
ბაილაყანი, ბელაყანი 320, 322-323, 325, 712
ბალხი 672
ბამბაკის ქედი 69, 70, 75
ბანა 279, 363, 733
ბანის წყალი 64, 534
ბარალეთი 101
ბარდავი 73, 199, 235, 320, 363, 547, 570, 573, 578-579, 582, 584, 615, 693
ბარკუშათი 72
ბასიანი 64, 67, 72, 74, 178, 328, 331-332, 335, 600
ბაღდადი 41, 42, 57, 108, 197, 323, 430, 498, 544, 569, 589, 615-616, 627, 686, 688, 701-702
ბაღდადი (ნასოფლარი ბოლნისის რაიონში) 95
ბაჩკოვო 398

ბედენი 85, 500
ბედია 219, 251, 488, 654
ბეთანიის ეკლესია 484
ბეთლემი 509-510
ბეირუთი 39, 42, 379
ბერდუჯი 70, 535
ბერთა 372
ბერთუბანი 491
ბერძნები 180-181, 184, 386, 390, 392-393, 425
ბეჩო 84
ბეხუშეს ციხე 696
ბიეთი 854
ბიზანტია 7, 15, 18, 28-29, 32-33, 35, 39, 64-65, 67, 98, 108, 119, 154, 157, 159-160, 162-164, 166-167, 169, 171-172, 174-175, 177, 179-185, 187-188, 194-196, 210-211, 233, 254, 277, 312, 326, 332-333, 338, 374-379, 381, 383, 391-392, 399-401, 406, 416, 418, 424, 462, 473, 476, 493, 495, 602-603, 615, 666, 733, 736, 747
ბიზანტიელები 185, 191, 194, 199, 203, 209, 410
ბიზანტიის იმპერია 11, 17, 110, 165, 170, 191, 195, 197, 210, 248, 252, 736
ბირთვისი 705
ბირთვისის ციხე 57, 153, 162, 695, 704, 706-709
ბირიტი 243
ბიჭვინთა 110
ბიჯნი, ბიჯნისი 72, 318, 325
ბოდავი (სოფ.) 88
ბოდოჯი 161
ბოლნისი 95, 102, 153, 484, 505, 515, 544
ბოროტანი 73
ბორჯომი 484
ბორჯომის ხეობა 740
ბოჭორმა 102
ბოჭორმის ციხე 159, 161
ბულგარეთი 33, 375, 382, 398
ბულგარელები 175-176, 211
ბურგუნდია 737-738
ბურსა (ქ.) 703
ბუშატი 88
ბღენი 73

გაგი 44, 102, 192, 201, 244, 270, 362, 549
გაგის ციხე 68-69, 193, 200, 202
გავაზნი 201
განძა, განჯა 11, 34-35, 44, 68, 69, 72, 160, 163, 192-193, 196, 198, 200-202, 234, 238, 242, 266, 277-280, 318, 320, 324-325, 339-340, 345, 363, 428, 497, 535, 537, 538, 547, 578, 584, 615, 667, 713
განძის საამირო 34, 195
გარდაბანი 578
გარდმანი 72, 547
გარეჯი 499, 591, 651, 656-657, 661, 726, 730, 823
გარეჯის მთები 577
გარეჯის მონასტერი 653, 661
გარნისი 44, 72, 286, 540-541
გარნისის ვაკე 565
გარნისის ციხე 676
გარულობის ციხე 180
გაჩიანი 235
გეგუთი 93, 102, 104, 313, 366, 485, 507, 522
გელათი 234, 328, 354, 401, 482-483, 490, 492, 508-509, 656, 661, 854
გელათის აკადემია 374-380, 462, 485, 523, 636, 651
გელათის მონასტერი 240, 448, 638, 653
გელაქუნი 70, 73, 270, 319-321, 324, 583, 795
გერგეტის სამება 853-854
გერმანია 738
გეტიკის მონასტერი 34
გველეთი 245
გილანი 611
გიში 236, 362
გოგჩის ტბა 694
გოლგოთა 656, 665-666, 827-828, 830-832
გონბათი 515
გორალაუქი 320
გორი (ქ.) 24, 31, 100-101, 112, 117,

180, 313, 497, 610, 612, 626, 631, 697, 742, 746, 801, 811-812
გორის ციხე 613, 739
გოროვანი 729
გოშაური 135
გრემი 379, 746
გრემის არხი 513
გრუა 159
გუდარეხი 484, 486, 508
გულისტანი 243
გულისტანის ციხე 68
გურგანი 256, 337
გურგანის ზღვა 339
გურია 31, 70, 360, 734, 738, 740, 750
გურიის სამთავრო 806
გურჯი ბოღაზი 72
გურჯისტანის ვილაიეთი 552
გუჯარულას ხეობა 484

დავით გარეჯი 484, 511
დამასკო 39, 46, 48, 50, 611, 830, 845-846
დამიეტი 341-342
დარანის ველი (დარან დაშტ) 583
დარიალი 245-246, 544, 574, 631-632, 690, 718, 723
დარუბანდი, დერბენდი 67, 237, 242, 243, 247, 249, 261, 275-277, 318, 325, 329, 339, 365, 536-537, 549, 574, 576-577, 579, 581, 605-606, 608, 663, 669, 675, 678, 685, 687-688
დასავლეთ ევროპა 10, 475, 615, 659-660, 854
დასავლეთ საქართველო 67, 70, 99, 101, 110, 153-155, 158, 163, 185, 190, 192, 200, 204, 207-209, 218, 231, 237, 244, 255, 258, 298, 313, 355, 501, 518, 541, 547, 549, 553, 570-573, 575, 580, 600, 602, 604-605, 607, 615-616, 628, 701, 709-711, 717, 721, 728, 733-734, 753, 766, 854
დასავლეთ შარვანი 365
დაღესტანი 823
დებედა 66, 69, 585, 816
დედაბერა 709
დევა-ბოინუს მთები 64, 72
დელი 689
დვალები 630, 701, 845
დვინი (ქ.) 43, 68, 72-73, 266, 270, 272-273, 279, 318-319, 324-325, 360, 364, 370, 499, 500, 540-541, 622, 663
დვირი 75, 273, 325
დიარბექირი 269, 272, 535, 545
დიდგორი 40, 45, 229, 239-241, 249, 276, 365
დიდი არმენია 190
დიდოეთი 151
დიდოელები 152
დიმაშხ, დიმაშკ, იხ. დამასკო
დიღმის ველი 153
დმანისი 41, 93, 98, 99, 103-104, 109, 111, 112, 116-117, 153, 192, 202, 241-242, 246, 253, 266, 272-273, 285, 486, 501-502, 514, 516, 517-521, 548, 581-582, 586-587, 615-616, 658, 746, 795
დოლი 84
დონდალო 486
დონი (მდ.) 30, 248
დუმასუბანი (სოფ.) 730
დუნაი (მდ.) 738
დური 366
დურძუკნი 365, 544
დურძუკ-ღუნძნი 663

ებრაელები 565
ეგვიპტე 24, 33, 39-41, 46, 48, 49, 108, 117, 335, 341, 569, 571, 600-601, 606, 611, 663, 666, 668, 701, 712, 714, 751, 826, 832
ეგრისი 64, 70, 192, 201, 355, 417
ეგრის-აფხაზეთის სამეფო 64, 66, 154, 217
ედესა, ედესი (ურჰა) 33, 181, 201, 232, 436
ევროპა 232, 527, 575, 616, 657, 703, 736-738, 752
ევფრატი 71, 240
ეზინკი 366
ეკლეკი, აკლისენა 418-419
ელადა 377

ერანი 325, 336
ერანის ილხანები 521
ერაყი 321, 532, 543, 627, 688
ერგე 75
ერგუეთი 167
ერეევნის მთა 69
ერზინჯანი 327-328, 728
ერთაწმინდის ეკლესია 484
ერწო 609, 611, 728
ერწო-თიანეთი 82-83, 88
ერწეხი 234
ესპანეთი 751
ეცერი 84
ეხვევი 482

ვალაშკერტი, ვაღარშაკერტი, ალაშკერტი 71-72, 370, 723
ვალაშკერტის პროვინცია 72
ვალაშკერტის საეპისკოპოსო 71
ვანანა-ვანქი 193
ვანანდი 334
ვანანდის პროვინცია 245
ვანანდის სამეფო 177
ვანანდის სიმაგრე 203
ვანთა 730
ვანის ტბა 153, 616
ვანის ციხე 686
ვარცა 730
ვარძია 86, 93, 449, 484-485, 491, 499, 511-512
ვარძიის მონასტერი 448, 565, 723, 734-735
ვასპურაკანი 177, 179
ვაშლოვანი 313, 600
ველისციხე 104, 513
ვენა 48
ვენეცია 30-31, 737-738, 741
ვეჟინის ციხე 206-207
ვერეს ხეობა 484
ვირშის მონასტერი 730
ვლადიმერ-სუზდალი 311
ოლგა 550

ზაგემი, იხ. ბაზარი
ზანდუკის ხევი 632, 848
ზარზმა 853, 855
ზემო იმერეთი 200
ზემო კრიხის ეკლესია 490
ზემო ქართლი 698
ზენჯანი 59, 337
ზნაკვა 133
ზნაური 483
ზოვრეთი 101
ზორაკერტი 68-69, 362

თაბორის მთა 513
თავრეჟი 547
თავრიზი 31, 44, 54, 325, 337, 533, 535, 539, 541, 570, 584, 616, 621, 675, 688-691, 713-714, 742
თავფარავანი 739
თათარ-მონღოლები 8, 9, 18-26, 29, 35-36, 43-44, 46, 54, 73-74, 343, 348, 502, 510, 521, 523, 527-528, 532-534, 536-539, 543-556, 558-559, 561, 563-564, 566, 568-569, 573, 576, 578-579, 583-584, 588-591, 594-602, 605-606, 608-611, 613, 615-616, 622, 626-627, 629, 657, 663, 742-746, 749, 784, 792-794, 797, 800, 815, 836-837, 840
თაკვერი, თაკუერი 70, 360
თალა 95
თალაში 506
თბილისი, ტფილისი 29-31, 40-41, 43-46, 50, 52, 66, 67, 72, 93, 98-99, 101, 109, 111, 115-118, 120-121, 123-124, 153, 160-161, 163-165, 168, 184, 186, 196, 200, 211, 234-235, 237-239, 241, 244, 251, 253, 268, 281, 292, 327, 368, 429, 441, 484, 486, 488, 492, 497, 498, 499, 503-504, 513, 517-522, 534, 541-543, 547, 551, 557-558, 570-571, 577-579, 581-582, 584, 600, 607, 611, 615-616, 623, 632, 658-659, 676-680, 682, 687-688, 695, 711-712, 722, 731, 769, 819-820, 853
თბილისის საამირო 63, 66, 161-163, 167-168, 181, 184
თბილისის ციხე 51
თეთრბატკნიანი თურქმანები 736
თეთრი ზღვა 736

თეთრი წყალი 65, 67-68, 275, 553, 576, 605, 663, 669, 692
თეთრი წყარო 85, 95, 484, 505, 618
თელავი 102, 504, 509, 517-518, 520-521, 795
თეოდოსიოპოლი 268
თერგი (მდ.) 687
თეძი 126
თეძმის ხეობა 483, 699, 717
თიანეთი 70, 75, 161, 609
თისელი 854
თიღვა 155
თიღვის ეკლესია 483
თმოგვი (ქ.) 101-102, 202, 313, 467
თორთომი 64, 70
თორთუმის ციხე 703
თრეხვი 509-510
თრიალეთი 67, 70, 150, 158, 162, 177, 179, 213, 235, 239 264, 313, 543, 548, 550, 575, 580, 585-586, 601, 609-613, 686, 699, 716
თურქები 35-36, 65, 68, 74-75, 140, 161-162, 165, 196-200, 204, 209, 212, 264-265, 272, 479, 534, 737, 741-742
თურქეთი 392, 600, 604, 733, 735, 741
თურქ-სელჩუკები 7, 11, 14, 17, 32-33, 67, 98-100, 116, 161, 170, 186, 197, 210-211, 226, 228, 231-243, 247, 249, 263, 266, 274, 326, 331, 334, 523, 659
თუშეთი 70, 75, 611
თხაბაერდი 370

იბერია 166, 171, 189
იეზიდი 621
იერუსალიმი 24, 232-233, 375-376, 381-382, 391-398, 438, 655, 664-666, 726, 734, 740, 737, 751, 826, 828-832, 844-845
იერუსალიმის ჯვრის მონასტერი 395-396
ივლიტეს ეკლესია (სოფ. კალაში) 490
ივრის ველი 207
ივრის ხეობა 816
იზმირი 703
იკონიის სასულთნო 602, 736
იკორთის ეკლესია 484
ილტოს ხეობა 161
ილხანთა ირანი 48, 57, 59
იმერეთი 70, 509, 648, 698, 709, 711, 713, 733, 740, 747-748, 750, 809, 855
იმერეთის სამეფო 10, 75
იმიერკავკასია 246, 249, 576, 586, 626
იმიერტაო 174-176, 178, 181, 190, 280
ინდი (მდ.) 538-539
ინდოეთი 342, 539, 672, 674, 689, 736
ინდოეთის სამეფო 452
ინდოელები 451
იორი 92, 207, 235, 321, 543, 549, 575, 577-578
ირანი 30, 41, 53, 108, 196-197, 205, 210, 302, 335, 337-339, 416, 424, 531-532, 539, 544, 546-547, 552, 578-579, 615-616, 627, 664, 672-673, 675, 684-685, 688, 713, 721, 725, 736, 739, 741, 748, 818, 839, 841
ირანის ერაყი 539, 742
ირანის ილხანები 600
ირბილი 535
ირჯანის მთა 69
ისანი 164, 300, 486, 542
ისპაჰანი, ისფაჰანი, ისფაანი 31, 206, 210, 270, 621, 674
ისპიანი 506
იტალია 615, 738, 741
იფრარი 490
იყალთო 378, 401, 508-509
იყალთოს აკადემია 378-379, 440

კაბადუკია 326
კაბენის ეკლესია 484
კაენი 292, 312
კავთურის ხეობა 484
კავკასია 8, 32, 196, 241, 256, 266, 414, 721, 736
კავკასიის მთიანეთი 151, 823-824
კავკასიის ქედი 75, 740
კავკასიონი 70, 250, 481, 675-676, 680, 684
კაზრეთი 484, 506, 515
კაირო 38, 40, 42, 44, 47-49, 51
კალა (სოფ.) 84, 490

ქალიპოსი 392
ქალაქ 536
ქამბეჩანი 230, 419, 543, 553/575
ქარი 74, 99, 120, 203, 244, 279-280, 318-319, 334-335, 362, 364, 370, 548, 605
ქარინი 64, 798
ქარნიფორია 74, 203, 319, 334, 543
ქარნუ-ქალაქი, იხ. არზრუმი
ქარუშეთი 156
ქასპიის ზღვა 276, 532
ქასტანა 392
ქაღზვანი 72
ქაჩაეთი (სოფ.) 133
ქახეთი 63, 70, 91, 159, 161, 164, 168, 177, 184-185, 193, 195, 199-200, 206-208, 210, 230, 234-236, 255-256, 281, 360, 417, 419, 422, 479, 481, 549, 550, 553, 557, 577, 584, 586, 594-595, 648, 658, 691-693, 710-711, 717, 726-728, 731, 733, 740, 746, 748-750, 752, 791
ქახეთის სამეფო 10, 75, 161, 230
ქახეთის საქორეპისკოპოსო 63, 65, 153
ქახეთ-ჰერეთი 11, 66-67, 159-160, 181, 211, 360
ქახი 242
ქეჩრორი 341
ქვიპროსი 381, 401, 845-846
ქვირიკეს ეკლესია 490
ქვირიკიდები 66
ქიბენი 849
ქიდე-ლიმონა 449
ქიევი 248, 496
ქიევის რუსეთი 226, 248
ქილიკია 32
ქიჩხლდაში 83
ქლარჯეთი 64, 65, 70, 74, 159, 180, 203, 204, 312, 319, 436, 474, 548, 550, 578, 580, 599, 657, 799, 845
ქლდეკარი 185
ქლდეკარის საერისთაო 153, 155, 158, 162, 184
ქლდეკარის ციხე 179, 180, 184
ქლერმონი 232
ქლისურა (ქელასური) 63
ქოდმანი 506
ქოლა 64, 70, 74, 177-178, 366, 548, 550, 575, 585-586, 599, 717
ქოლის მინდორი 686, 699-702
ქორტოხი 709
ქონია 110
ქონსტანტინოპოლი 28, 166, 181-182, 185-186, 331, 333, 377, 381, 391, 400-401, 436, 462, 602-603, 667, 719, 733, 736-737, 741, 751, 827
ქოხტასთავი 554-556, 558, 722
ქოჯორი 292-293, 484
ქოჯრის ციხე 749
ქულიკოვო 675
ქუმურდო 735
ქუნდუზჩა 685
ქუხეთი 485, 502, 516-517, 521

ლაზები 602
ლალვერი 83
ლამისყანა 842
ლარგვისი 23, 696, 820-822
ლარგვისის მონასტერი 717
ლასტივერი 32
ლაშთხვერი 855
ლახამულა 83
ლაჰილი 63
ლაჰორი 41
ლეიდენი 48
ლევანტი 335
ლეკნი, ლეკები 228-229, 365, 541, 702
ლეჩხუმი 509, 748
ლეხურის ხეობა 83, 717
ლიჩი 709
ლილოს ქედი 75
ლიქაფი 236
ლიხთამერი 75, 550
ლიხთიმერეთი 279, 570, 573, 580, 600-601, 653
ლიხთიმერი 75, 550
ლიხი 64, 70, 74, 207, 601, 698, 711
ლომისთავი 580
ლომისის ეკლესია 632-633, 635
ლომისის მთა 631
ლონდონი 51
ლოპოტი 513
ლორე 31, 35, 44, 75, 102, 153, 237, 244, 250, 256, 272-273, 291, 293,

299, 354, 548, 696, 724-725, 742-743, 749, 826
ლორეს ველი 66, 75
ლორე-ტაშირი 153
ლოწობნის ციხე 202
ლურჯი მონასტერი 484

მადნეული 505
მავერანნაჰრი 670-674
მაიუმი (ღაზი) 843
მაიფარიკინი (ქ.) 39
მანასგომი 244
მანაზკერტი, მანასკერტი 72, 197, 201, 203, 268, 333, 336
მანგანი 400
მანგანის აკადემია 380, 401, 462
მანგლისი 102, 239
მანგლისის ტაძარი 482
მანგლისის ხეევი 158
მანკაბერდი 244
მანუჩეს მეჩეთი (ანისში) 621
მარანდა, მარანდი 337, 713
მარაღა, მარაღი 270, 430, 535, 539, 584
მარდალი 64
მარტყოფი 578
მაღარო 728
მაშავერა 501
მაცხვარიშის ეკლესია 490
მაჭი 161
მახლობელი აღმოსავლეთი 8, 12, 17, 22, 29, 171, 189-190, 210, 233, 238, 241, 254, 257, 281, 316, 324-325, 334, 337, 402, 449-450, 531, 534, 544, 575, 712, 848
მაჰმუდ-აბადი 687
მენგუჯიკი 331
მენესო 632, 848-849
მესოპოტამია 41-42, 46
მესხები 548
მესხეთი 166, 169, 189, 255, 390, 553, 604, 615, 734
მეტეხერა 133
მეტეხის ეკლესია 486, 853
მეჯვრისხევი (სოფ.) 484
მთიულეთი 136, 607, 609-610, 613
მიანა 337
მიდიელები 342
მიჯნაძორის მონასტერი 473-475
მოდიმნახეს ციხე 609-610
მოვაკანი 584, 607, 667
მონოვატის კუნძული 383
მონღოლები, იხ. თათარ-მონღოლები
მონღოლეთი 528-530, 532-535, 837
მოსკოვი 687, 675, 736
მოსული 42
მოღოლისთანი 670-671
მოღრისი 155
მტკვარი 41, 46, 65, 68-70, 163-164, 279, 321, 362, 485, 510, 513, 549, 577, 583-585, 607, 680, 687, 691, 697, 712, 715
მტკვრის ხეობა 95, 816
მუსკური 277
მუღანი 533-534, 547, 575, 582, 584, 615
მუხათგვერდი 162
მუხრანი 91, 495, 609-610, 613, 632, 696
მყინვარწვერი 510
მცირე აზია 42, 52, 195, 210, 232-233, 326, 335, 547, 703, 736-737, 839
მცირე სომხეთი 737-738
მცხეთა 82, 102, 104, 145, 182, 251, 413-414, 479, 481, 498, 506, 514, 517, 577, 590-591, 608, 699, 719, 723, 725-726, 728, 732, 734-735, 740-741, 801, 811, 823
მცხეთის საკათალიკოსო 74, 811
მძოვრეთი 822

ნადარბაზევი 85, 505, 512
ნაიმენების ტომი 529-530
ნაკიფარი 490
ნატბეური 514
ნაჭარმაგევი 102, 313, 495, 544
ნაჭივჭავები 85-86, 89, 95, 505
ნახიჩევანი, ნახჩევანი, ნახჭევანი 72, 278, 320, 323, 325, 341, 535, 541, 565, 579, 676, 688, 690, 696, 702, 713
ნეაპოლი 737
ნეგროპონტი 741
ნიგალისხევი 74
ნიკეა 736

ნიკოპოლი 703
ნიკორწმინდა 134, 146, 482
ნიკოფსია 63, 249, 261, 313, 329, 389, 605, 608, 663
ნიშაბური 615, 621
ნიჩბისი (სოფ.) 514
ნიჩბისის ხევი 239
ნოვგოროდი 496
ნორავანის მონასტერი 499
ნორბედი 244
ნორგეტიკის მონასტერი 34-35
ნოსტე (სოფ.) 143

ოდიში 360
ოდიშის სამთავრო 10, 75, 805
ოვსეთი, ოსეთი 245, 249, 261, 370
ოვსნი, ოსები 246, 248, 318, 365, 497, 541, 544, 581-582, 610-613, 626, 663
ოთხთა ეკლესია 372
ოლთისი 64, 65, 70, 177, 279-280, 717
ონონი (მდ.) 529
ოპიზა 372
ოპიზის მონასტერი 173, 474-475
ორბეთი 153, 163, 312, 749, 792
ორთუბანი (სოფ.) 697
ორომაშენი (სოფ.) 89
ოროტანი 73
ოროტნი 341
ოსმალები 703, 737-739, 752, 809
ოსმალეთი 30, 702-703, 714, 736, 738, 742, 832
ოტათლოანი 126
ოქროს ურდო 29, 48, 574-575, 610, 672, 675-676, 687-688, 714
ოქროს ციხე 487
ოშკი 372, 392, 489
ოძრხე 102, 167, 313, 449

პალესტინა 35, 41, 46, 49, 375, 381-382, 394-395, 489, 491, 664, 826, 829, 832, 843-845
პანკისი 160-161, 595
პარიზი 39, 48
პარხლის მთები 600
პაჭანიკები 398
პეკინი 530
პერანგის მთა 709
პეტრიწონი 377, 398, 401
პეტრიწონის მონასტერი 136, 382, 398-399, 462, 833-834
პლოვდივი 398
პოლონეთი 737, 751
პონტოს ზღვა 326, 339
პგღნძაპანქი 499, 825-826

ჟალეთი 102, 504
ჟალიის (ღალიის) მონასტერი 401, 846
ჟინვანი (ქ.) 101, 115, 120, 581-582, 586, 609, 632
ჟინოვანი (სოფ.) 88, 146

რანი 70, 194-195, 211, 242, 255-256, 263, 274, 277-278, 280-281, 314, 366, 549, 552, 582, 615
რაჭა 22, 70, 82, 84, 132, 140, 360, 482, 490, 522, 553, 601, 608, 629, 663, 667, 669, 748
რეი 533
რიკოთი 709
რკინისწყალი 515
რკინის ჯვარი 555
რკონი 114, 129, 142, 590, 592
რკონის მონასტერი 587, 699
როდოპის მთა 398
რომანა 381
რომგური 337
რომი 377, 401, 549, 658, 664, 738, 751
რუისი 165, 214, 216, 218, 234, 254, 436, 510-511, 697, 854
რუისის მონასტერი 726
რუმი 544-545, 688
რუმის სასულთნო 232
რუსეთი 10, 108, 115-116, 248, 475, 688, 712, 752, 839
რუსთავი 98, 101, 111, 115, 117-119, 200, 235, 253, 486, 502, 516-522, 575, 578, 585, 590, 615
რუსთავ-ყარაიის მხარე 549

საბედიანო 734, 740
საბერძნეთი 165, 167, 188-189, 326, 374, 383, 401, 424, 545, 575, 726, 836

სადახლო 66
სავანე 482
სავანეთის ციხე 698
საინგილო 234
საკატაბანო, საკატეპანო 171, 175
სამარა 685
სამარყანდი 50, 531, 671-672, 674-675, 679, 685, 688, 690-691, 712
სამასი არაგველის ბაღი 615
სამგორი 91-92, 513
სამეგრელო 30-31, 721, 734, 738, 740, 744, 750
სამეგრელოს სამთავრო 30
სამთავისი 88, 479, 481, 854
სამთავისის საეპისკოპოსო 814
სამოქალაქო 204, 360, 739
სამსარის გამოქვაბული 485
სამურის მხარე 75
სამშვილდე 66, 98, 99, 102, 111-112, 117, 119, 153, 192-193, 198, 202, 235, 293, 486, 507, 512, 517, 520-522, 548, 611, 731, 746
სამცხე 19, 21, 24, 64, 70, 73-74, 159, 167, 199, 204, 328, 360-361, 371, 485, 548-550, 571-572, 575, 611, 613-614, 625, 629, 641, 645-646, 651, 653, 655, 676, 684, 686, 698, 711, 716-717, 722-723, 732, 734-735, 739, 743-744, 748-750, 797-799, 805, 806, 810, 853-855
სამცხე-საათაბაგო 10, 65, 72, 74-75, 847
სამცხის სამთავრო 25, 29, 597, 599, 600, 603-605, 628, 657, 734, 740
სამცხე-ჯავახეთი 153, 543
სამწერისი 697
სამხრეთ აზერბაიჯანი 100, 270, 278, 322
სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 153, 156, 203
სამხრეთ-დასავლეთ ყარსი 75
სამხრეთ რუსეთი 101, 248
სამხრეთ საქართველო 198-199, 579, 567, 584
სამხრეთ სომხეთი 64-65, 281, 326, 333, 565
სამხრეთ ტაო 174-175
საორბისის სამლოცველო 483
სარაეი 535
სარაი ბერქე 687
საფარა 482, 723, 735, 853-855
სარკინეთი 505
საფრანგეთი 738
საჩხერე 482, 704
საწირე 129
სახატე 292
საჯავახო 75
სებასტოპოლი 746
სელჩუკები 65, 195, 198, 201, 203, 205, 211
სვანეთი, სუანეთი, სვანები 70, 83, 360, 488, 490, 630, 834, 855
სვერის ციხე 200
სვერი 709
სვეტიცხოველი 479-481, 486, 510, 699, 725-726, 811, 854
სივასი 110, 674, 701
სივნიეთი 70, 73, 75, 725, 728
სინას მთა 381, 395, 401-403, 491, 823
სირ-დარია 531, 670
სირია 41, 46, 232, 375, 381-382, 392, 489, 545, 685, 845-846
სისთანი 674
სიუნიქი 37
სიცილია 181
სკანდა 31
სკვირეთის (სკორეთის) ციხე 157-158
სმირნა (ქ.) 658-659
სომხეთი, სომხები 7, 17, 30, 33, 35, 69, 73, 100, 108, 111, 170-171, 175, 185, 190, 194-195, 197, 199, 201, 211, 227-228, 241-242, 244-245, 249, 251-253, 256, 263, 266, 268, 270, 274-275, 278-279, 334-339, 370, 385, 392, 414-415, 518, 534, 537, 540, 543, 568, 581, 583, 701, 729, 818, 825, 839
სომხეთის ქედი 66
სომხითი 235, 279, 281, 313, 366, 418-419, 548-549, 550, 584, 609, 626, 743,
სორხაბი 680
სოღდებილი 41
სოხუმი 110, 740

სპარსეთი, სპარსელები 30-31, 35, 97, 194, 322, 342, 415, 451, 518, 668, 752
სპარსეთის ერაყი 667
სპერი 65, 68-69, 339, 362, 419, 599, 600, 663, 799
სპიტაკის ქედი 70
სტამბოლი 48
სულთანიე (ქ.) 584
სურამი 101, 499, 571, 709
სურბმარი 72
სურმარი 537
სურმალუს ციხე 676
სხალტბა (სოფ.) 88, 92, 103-104, 361, 486, 511

ტავუში 244
ტათევი 36
ტათევის მონასტერი 499
ტალინჯაქარი 244
ტანა 30
ტაო 39, 64, 70, 74, 141, 153-154, 157-160, 179-180, 236, 281, 474, 543, 548, 550, 578, 599-600
ტაო-კლარჯეთი 392, 417-418, 489
ტაოსკარი 313
ტაშირი 64, 66, 70, 192, 193, 250, 281, 291, 336, 362, 550, 581
ტაშირ-ძორაკერტი 153, 193
ტაშისკარი 74, 571-572, 599, 799
ტაშკენტი 671
ტაძრისი 371
ტახტის წყარო 85
ტაჯიკეთი 670
ტბეთი 180, 392, 489, 797
ტერუნაკანი 244
ტიმოთესუბანი 484
ტირიფონის ველი 91
ტმუტარაკანი 496
ტრაპეზუნტის, ტრაპიზონის სამეფო 17, 28-29, 65, 100, 602-603, 605, 663-664, 666, 667, 736
ტრაპიზონი 165, 233, 326, 332-333, 449, 549, 599, 603, 738, 747, 751
ტრიანფლიუსის მონასტერი 400
ტურიანი (მდ.) 67

ტფილისი, იხ. თბილისი
ტყემლარა 85

უზბეკეთი 670
უკრუხი 63
ულუმბიის მონასტერი 710, 726
უნგრეთი 737-738
ურბნისი 214, 216, 218, 234, 254, 436
ურგენჩი 685
ურმია 621
უფლის ციხე 100, 154, 511, 579, 615
უჯარმა 101, 102, 504, 520, 523
უჯარმის ციხე 161

ფაზისი (ქ.) 746
ფანასკერტი 362, 699, 700, 717
ფანასკერტის ციხე 159, 180
ფანვისი 134
ფანჯშირის ხეობა 538
ფარსი 539, 742
ფარცხისი 153, 163, 202
ფერვანის ველი 538
ფერსათის (მესხეთის) მთები 70
ფია 86
ფილიპპოლი 398
ფინეზაური 501
ფიტარეთის ეკლესია 484
ფოთი 31, 740, 746
ფოკა 107
ფოკას ეკლესია 482
ფოლადაურის ხეობა 95
ფრანგები 829, 831
ფრანკთა მონარქია 81
ფრონე 748
ფრონეს ხეობა 709
ფშავი 70
ფშავ-ხევსურეთი 315
ფხოვი, ფხოველები 70, 151-152

ქაბული 538
ქაირო 177, 664, 666, 751
ქალაძორი 236
ქალკედონიის ნახევარკუნძული 381
ქამახის ციხე 703
ქაოზიანი 749
ქაოზიანის ციხე 749
ქარელი 484, 697
ქართველთა საკურაპალატო 67
ქართველთა სამეფო 230

ქართლი 70, 73, 90, 120, 134, 140, 151, 154-155, 158, 159, 161-162, 164, 167-168, 185, 192, 200, 202-203, 212, 232-234, 255, 313, 360-361, 378, 390, 415, 417, 419, 479, 484, 543, 548-549, 553, 580, 584, 600, 609-610, 612-614, 653, 709 731, 733, 740, 747, 750, 783, 819
ქართლის სამეფო 10, 75
ქაშაგნი 365
ქაშანი (ქ.) 621
ქაშქადარი 671
ქაჯთა ციხე 740
ქერმანი 232, 539, 543
ქვაბთახევის მონასტერი 699
ქვაბულიანის თემი 797
ქვათახევის ეკლესია 484
ქვემო გუელდესი (სოფ.) 126
ქვემო ქართლი 66, 85, 153, 192, 234-237, 279, 501, 505, 507-508, 515, 519, 521, 553, 581, 611, 614, 695, 710, 717, 728-729, 746, 749
ქვეში 729
ქვიშხეთი 709
ქირმანი 735, 742
ქნოღოს ციხე 696
ქობერის (ქობაირის) ეკლესია 614
ქორეთი 482
ქსანი (მდ.) 153, 201-202
ქსნის საერისთავო 22-23, 360, 666, 841-842
ქსნის ხეობა 23, 27, 83, 159, 630-631, 635, 696, 717, 761, 820, 841
ქუთაისი 31, 102, 110-112, 117, 120, 165, 201-202, 204, 241, 441, 473, 479, 481, 485-486, 507, 541, 549, 551, 601, 629, 654-655, 658, 709, 718, 739, 746, 748, 753
ქუთაისის ციხე 739
ქურაითები 529
ქურდევანი 236
ქურდეაჭრის ხევი 73
ქურთები 228-229
ქურთისტანი 197, 668, 688, 742
ქცია (მდ.) 85

ღადოს მთა 580
ღაზნა 538
ღალიის მონასტერი, იხ. ჟალიის მონასტერი
ღასანი 243
ღეშტერი 83
ღოდორა 709
ღრტილა 352
ღუნძნი 365

უაბალა (ქ.) 236, 275, 537, 650
უაბალას ოლქი 67
უაზბეგი 854
უაზვინი 337, 584, 615, 621
უარაბაღის ველი 582, 615
უარაბახი, უარაბაღი 663, 669, 682-683, 691, 693, 702-703, 712, 725
უარაია 578
უარაღაჯი (ქ.) 658
უარაყორუმი 551, 555, 556
უარსი 43, 99, 119-120, 543, 677, 686, 704
უვირილა 709
უვირილას ხეობა 484
უიჩაუები, უიჩაუეთი 226-229, 242, 248, 311, 536-537, 541
უინწვისი 484, 491
უუბანი 63, 111, 687
უუელი 203

შაბურანი 277, 325, 576
შაბერი 243
შავი ზღვა 31, 100, 332-333, 339, 449, 599, 736, 746
შავი მთა 381-382, 384-386, 390, 394, 401, 436, 438
შავი მთის მონასტერი 408
შავშეთი 133, 312, 319, 362-363, 580, 599, 655
შამახია, შემახია 68, 73, 242, 275, 325, 536, 553, 605
შამი 544
შამქორი 72-73, 193, 195, 273, 301, 320, 323-324, 362, 547, 553, 578, 615, 702
შარაბამი 277
შარვანი, შირვანი 4, 228, 236, 241-244, 247, 249, 251, 253, 256, 274-275, 277-278, 280-281, 316, 321,

325, 365, 575-577, 663, 669, 680, 688, 714-715, 719, 721
შატბერდი 392
შაქი 65, 72, 75, 275, 577, 669, 680, 687, 691, 715, 719, 721
შაჰრესაბზი 672
შიდა ქართლი 66, 67, 70, 88, 126, 153-154, 227, 550, 553-554, 586, 611, 613
შინდარი 571
შიომღვიმე 440, 511, 562
შიომღვიმის მონასტერი 87-88, 115, 126, 128, 138, 145-146, 361, 482, 486, 587, 616
შირაზი 621
შირაკავანი 555, 583
შირაქი 271
შირაქის სამეფო 66, 245
შირვანი, იხ. შარვანი
შირიმი 162, 177
შორაპანი 709
შტორის ხეობა 161
შუა აზია 41, 43, 197, 210, 531, 539, 579, 591, 615, 672-674, 685, 688, 712, 736, 818, 839
შუამდინარეთი 97
შხრო (სოფ.) 133

ჩალაღანი 715, 719
ჩაჟაში 855
ჩარექი 72
ჩალან უსუნის ხეობა **692**
ჩალან უსუნი, იხ. თეთრი წყალი
ჩეპელარსკას ხევი 398
ჩერნიგოვი 496
ჩინეთი 30, 108, 530, 673, 712
ჩისტოპოლი 685
ჩიხა 134
ჩიხორი (ქ.) 739
ჩორაბერდი 73
ჩრდილოეთ აზერბაიჯანი 247
ჩრდილოეთ ირანი 532
ჩრდილოეთ კავკასია 21, 100, 113, 201, 226, 242, 245-249, 277, 365, 537, 544, 581
ჩრდილოეთ სომხეთი 68, 227, 265, 336, 365, 476
ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთი 109
ჩხარი 739
ჩხერიმელა 709

ცაგერი 488
ცახკანცის მთა 336
ცენტრალური აზია 197, 527
ცივი 626
ციკარეს ციხე 610
ციხედიდი (სოფ.) 87, 126, 561-562
ციხისძირი 709, 740
ციხისჯვარი 313, 572
ციხისჯვრის ციხე 797
ცხავატი 609
ცხაოტი 633, 848
ცხევერი 128
ცხენისწყალი (მდ.) 740
ცხილათი 132
ცხომარი 84
ცხრაზმის საერისთავო 23-24, 626
ცარაზმის ხევი 630-632
ცხუმი 360, 740, 746

ძაგუ 88
ძამის (ძოვრეთი) ციხე 613, 697-698
ძამის ხეობა 484, 697
ძერნა (ციხე) 235
ძირგეული 133
ძირულა 709
ძორაგეთი, ძორაგეტი 291, 336
ძორაკერტი 194

წეფთის ციხე 180
წინა აზია 32, 100, 109, 248, 254, 328, 427, 498, 741, 840
წირქვალი 159
წიფა 709
წმინდა გიორგის ეკლესია 490
წუნდა 101
წუღრუღაშენის ეკლესია 484
წყალშატროანი 88

ჭანეთი 65, 74-75, 599, 604
ჭაკკარი 86
ჭერემი 102
ჭიეჭავი 85-86, 506-507
ჭოროხი (მდ.) 740

ჰორეხის ხეობა 64, 70, 473, 508, 740
ჰოჭკანის ხევი 66
ჰულე 854-855
ჰყონდიდი 204

ხადა 631-632, 848
ხაზაონდი 243
ხანდა 610
ხანძთა 372
ხარაგოული 709
ხატაელები 451
ხაშური 482
ხაჩენი 71-72, 75, 320, 724
ხახული 363, 371-373, 488, 492
ხახულის მონასტერი 324
ხევსურეთი 245
ხეთას ციხე 194
ხერთვისის ციხე 487
ხეფინისხევი 75
ხვამლი 509
ხიეში 133
ხირხალი 67-68, 277
ხიშტალანთი 237
ხლათი, ხლათელები 43-44, 46, 264, 268-270, 279, 281, 333-336, 341, 537, 543-545
ხლათის სასულთნო 616
ხმელთაშუა ზღვა 712
ხობი 854
ხოვლე 129, 482, 589-590
ხონი 251
ხოჟორნის ხევი 66
ხორა 400
ხორასანი 265, 337, 627, 672
ხორეზმი, ხორეზმელები 541-544, 672, 685
ხორეზმის სამეფო 531, 538
ხორნაბუჯი 160, 201, 314, 419, 579, 615
ხრამი 585
ხრამის ხეობა 484, 816
ხუარასანი 189
ხუზისტანი 742
ხუნანი 41, 264, 578-579, 615
ხუნზახი 823
ხუფათი 190
ხუფათის ციხე 185-187
ჯავახეთი 64, 68-70, 73, 107, 140. 156, 159, 177-178, 203, 281, 313, 362, 482, 485, 506, 543, 548-550 553-554, 571, 575, 578, 580, 585-586, 599, 611, 615
ჯავახეთის ქედი 66
ჯვართა ყელი (ჯვრის გადასასვლელი) 631, 848-849
ჯვარი 709
ჯვარის მონასტერი (იერუსალიმში) 40, 382, 664, 666, 726, 826-830, 832, 844-845
ჯიქეთი 63, 256
ჯორჯანეთი 127
ჯრუჭი 492, 855
ჯულა (ჯულფა) 72

ჰაიდარაბადი 45
ჰალა 823
ჰამა 46
ჰამადანი (ქ.) 535, 688
ჰამადი 621
ჰარქი 64
ჰერეთი 70, 159-160, 177, 193, 195, 200, 206-208, 210, 227, 230, 234-236, 255, 281, 360, 362, 422, 534, 549-550, 553, 575, 577, 579, 584, 586, 594, 691-693, 710-711, 717
ჰერეთის სამეფო 65, 153, 230
ჰერეთის სამთავრო 63
ჰერკი 72
ჰრაშკაბერდი 793
ჰრომანა 400

შემოკლებათა განმარტება

არისტაკესი — არისტაკეს ლასტივერტეცი, ისტორია, ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, 1974.

ასოლიკი — Всеобщая история Степаноса Таронского, Асохика по прозванию, переведена с армянского и объяснена Н. Эмином, М., 1864.

ბასილ ეზოსმოძღვარი — ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, წიგნში: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი II, 1959.

ბერი ეგნატაშვილი — ახალი ქართლის ცხოვრება, წიგნში: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ., ტომი II, 1959.

გეორგიკა — გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა.

დავითის ისტორიკოსი — ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, წიგნში: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ., ტომი I, 1955.

ვახუშტი, აღწერა — ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1941.

ვახუშტი, ქ. ცხ., IV—ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 1973

ისტ. საბ. — ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, 1913.

იტალიელი მოგზაურები საქართველოში XV ს-ში — ა. ჭყონია, იტალიელი მოგზაურები საქართველოში XV საუკუნეში. იოსაფა ბარბარო და ამბროზიო კონტარინი, მოამბე, 1894, XI.

კრებ. — კრებული.

ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე — წიგნში: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ., ტ. I, 1955.

მსკი — მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის.

მით. გამოც. — მითითებული გამოცემა

მატიანე, მატიანე ქართლისა — წიგნში: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ., ტ. I, 1955.

ეამთააღმწერელი — წიგნში: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ., ტ. II, 1959.

სსმ მოამბე — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე.

სუმბატი, სუმბატ დავითის ძე — ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, წიგნში: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ., ტ. I, 1955.

ქ. ცხ. — ქართლის ცხოვრება.

ქრონიკები — ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და დამწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ.

სარჩევი

შესავალი 5
§ 1. ეპოქის ზოგადი დახასიათება (ზ. ანჩაბაძე) 5
§ 2. წყაროები 11
ა. ქართული, ბიზანტიური და დასავლეთევროპული წყაროები . . 11
1. XI—XII სს. ისტორიის წყაროები (მ. ლორთქიფანიძე) . . 11
2. XIII—XV სს. ისტორიის წყაროები (ბ. ლომინაძე) 18
ბ. სომხური წყაროები (ა. აბდალაძე) 32
გ. არაბული წყაროები (ბ. სილაგაძე) 38
დ. სპარსული წყაროები (კ. ტაბატაძე) 51
§ 3. ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა (მ. ბერძნიშვილი) . . . 63

ნაწილი I

საქართველოს ფეოდალური საზოგადოება და სახელმწიფო აღმავლობის გზაზე

(X ს. 80-იანი წლები — XIII ს. დასაწყისი)

თავი პირველი. სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და კლასობრივი ბრძოლა 79
§ 1. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის საკითხი (რ. მეტრეველი) . 79
§ 2. ქართული სოფელი (მ. ბერძნიშვილი) 82
§ 3. სოფლის მეურნეობა (რ. მეტრეველი) 89
§ 4. ქალაქები. ხელოსნობა და ვაჭრობა 98
ა. ზოგადი მიმოხილვა (შ. მესხია) 98
ბ. ხელოსნობა (რ. მეტრეველი) 102
გ. ვაჭრობა (შ. მესხია) 108
დ. მოსახლეობა. სოციალური ურთიერთობა ქალაქებში 111
ე. საქალაქო მმართველობა 119
§ 5. საზოგადოებრივი კლასები და კლასობრივი ბრძოლა (მ. ბერძნიშვილი) . 124

თავი მეორე. საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან XI ს. 80-იან წლებამდე (მ. ლორთქიფანიძე) 153
§ 1. ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის (X ს. დასასრ. — XI ს. 60-იანი წლები) 153

§ 2. მონარქიის საგარეო პოლიტიკა (X ს. დასასრ. — XI ს. 60-იანი წლები) . 170
§ 3. თურქ-სელჩუკთა შემოსევები 196

თავი მესამე. საქართველო XI ს. ბოლოსა და XII ს. პირველ მეოთხედში. დავით IV აღმაშენებელი (მ. ლორთქიფანიძე) . . . 210

§ 1. საქართველოს ფეოდალური მონარქიის გაძლიერება. დავით IV-ის რეფორმები 212
§ 2. თურქ-სელჩუკების განდევნა. საქართველოს სახელმწიფოს საზღვრების გაფართოება 231

თავი მეოთხე. საქართველოს საგარეო და შინაპოლიტიკური ვითარება XII ს. მეორე მეოთხედიდან 80-იანი წლების დასაწყისამდე (მ. ლორთქიფანიძე) 263

§ 1. საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი . 263
§ 2. შინაპოლიტიკური ვითარება . . . 280

თავი მეხუთე. საქართველო XII—XIII სს. მიჯნაზე . . . 296

§ 1. საშინაო პოლიტიკური ვითარება თამარის მეფობაში (შ. ბადრიძე) . . 296
§ 2. საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი თამარის მეფობაში (ნ. შენგელია) 316
§ 3. საშინაო და საგარეო პოლიტიკა XIII ს. 10—20-იან წლებში (შ. ბადრიძე) 339

თავი მეექვსე. სახელმწიფო წყობილება (მ. ბერძნიშვილი) . . 349

თავი მეშვიდე. კულტურა (თ. პაპუაშვილი) . . 369

§ 1. სწავლა-განათლება და კულტურის ცენტრები 371
§ 2. ისტორიოგრაფია 403
§ 3. ლიტერატურა 434
§ 4. ფილოსოფიური აზრი (შ. ხიდაშელი) 456
§ 5. სამართლებრივი კულტურის საკითხები (თ. პაპუაშვილი) . . . 471
§ 6. ხელოვნება (XI—XIII სს.) (ვ. ბერიძე) 479
§ 7. კულტურული ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან (თ. პაპუაშვილი) . 493
§ 8. საქართველოს მოსახლეობის ყოფა და კულტურა XI—XIII საუკუნეებში (არქეოლოგიური მასალების მიხედვით) (გ. ლომთათიძე) . . 500
ა. წყარო-ძეგლების მიმოხილვა 500
ბ. ყოფისა და კულტურის სურათის მონახაზი 516

ნაწილი II

საქართველო XIII—XV სს.

თავი მერვე. საქართველოს დაპყრობა მონღოლების მიერ . . 527

§ 1. მონღოლები და მათი დაპყრობითი ომები (რ. კიკნაძე) . 527
§ 2. ხორეზმელები საქართველოში 538
§ 3. საქართველოს დაპყრობა მონღოლთა მიერ . . . 546
§ 4. მონღოლებთან დაზავება (ბ. ლომინაძე) . . . 549

თავი მეცხრე. მონღოლთა ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ (XIII ს. 40—XIV ს. 10-იანი წწ.) (ბ. ლომინაძე) . . 552

საქართველო XIII ს. 40—70-იან წლებში 552
§ 1. მონღოლთა სამხედრო-ადმინისტრაციული სისტემა საქართველოში . . 552
§ 2. შეთქმულება კოხტასთავს 553
§ 3. ორმეფობა საქართველოში 556
§ 4. მონღოლური გადასახადები და სამხედრო ბეგარა 558
§ 5. აჯანყებანი მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ (XIII ს. 50—60-იანი წლები) 570
§ 6. ოქროს ურდოსა და ილხანთა შორის ომები და საქართველო . . . 574
§ 7. მონღოლთა ბატონობის ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგები (XIII ს. 40—70-იანი წწ.) 585
ა. ეკონომიკური მდგომარეობა 585
ბ. შინაპოლიტიკური ვითარება 594
გ. სამცხის სამთავრო XIII ს. მეორე ნახევარში 599
დ. დასავლეთ საქართველო XIII ს. მეორე ნახევარში 600
საქართველო XIII ს. 70-იან — XIV ს. 10-იან წლებში 604
§ 8. დიმიტრი II თავდადებული 604
§ 9. მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყება ქართლში XIII—XIV სს-თა მიჯნაზე . 609
§ 10. მონღოლთა ბატონობის ეკონომიკური შედეგები 614

თავი მეათე. საქართველო XIV ს. პირველ ნახევარში. მონღოლთა ბატონობის გადაშენება. გიორგი V ბრწყინვალე (ბ. ლომინაძე) . 623

§ 1. მონღოლთა ბატონობის დასასრული და ქვეყნის პოლიტიკური მთლიანობის აღდგენა 623
§ 2. მდგომარეობა ქართლის მთიანეთში და სამეფო ხელისუფლების ღონისძიებანი 629
§ 3. ღონისძიებანი ცენტრალური მმართველობის აღდგენა-მოწესრიგებისათვის 635
§ 4. ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკური წინსვლა 657
§ 5. საქართველოს საგარეო მდგომარეობის გაუმჯობესება . . . 663
§ 6. სიძნელეები საქართველოს აღდგენის გზაზე 667

თავი მეთერთმეტე. ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV—XV საუკუნეთა მიჯნაზე (კ. ტაბატაძე) . . 670

§ 1. თემურლენგის დაპყრობითი ომები და მისი პირველი შემოსევა საქართველოში 1386 წ. 670
§ 2. თემურლენგის მეორე შემოსევა საქართველოში 1387 წ. 680
§ 3. თემურლენგის მესამე და მეოთხე შემოსევები საქართველოში 1394 წ. . 684
§ 4. თემურლენგის მეხუთე (1399 წ.) და მეექვსე (1400 წ.) შემოსევები საქართველოში 688
§ 5. 1401 წ. შამქორის ზავი და თემურლენგის მეშვიდე შემოსევა საქართველოში 701
§ 6. თემურლენგის მერვე (უკანასკნელი) შემოსევა საქართველოში 1403 წ. ზავის დადება. 703
§ 7. საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა XV ს. დასაწყისში . . 712
§ 8. თემურლენგის შემოსევათა შედეგები 716

თავი ოთხმეტე. საქართველო XV საუკუნის პირველ ნახევარში. ლონისძიებები ქვეყნის აღდგენისათვის. ალექსანდრე I დიდი (ბ. ლომინაძე) 720

თავი მეცამეტე. საქართველო XV ს. მეორე ნახევარში. ერთიანი საქართველოს საბოლოო დაშლა სამეფოებად და სამთავროებად (ბ. ლომინაძე) 733

§ 1. შინაური სიძნელეები. პოლიტიკური დაშლის დასაწყისი 733
§ 2. საგარეო სიძნელეები. ბიზანტიის დაცემა 736
§ 3. ანტიოსმალური კოალიციის შექმნის ცდა და მასში საქართველოს მონაწილეობა 737
§ 4. ერთიანი სამეფოს დაშლა 739
§ 5. უზუნ ჰასანის შემოსევები 741
§ 6. დაშლის საფუძვლები. სოციალურ-ეკონომიკური სიძნელეების გაღრმავება XV ს. 60—70-იან წლებში 744
§ 7. უკანასკნელი ცდები საქართველოს მთლიანობის აღდგენისათვის და მისი ჩაფუშვა 748

თავი მეთოთხმეტე. ცვლილებები საზოგადოებრივი კლასების მდგომარეობაში XIII—XV სს. (ბ. ლომინაძე) 753

§ 1. უშუალომწარმოებელთა საზოგადოება — გლეხობა 753
§ 2. გლეხთა კლასობრივი ბრძოლა 760
§ 3. გარდამავალი საზოგადოებრივი ფენა — მსახური. ვაჭრები . . 762
§ 4. მფლობელთა საზოგადოება — ფეოდალები 773
§ 5. მსხვილი ფეოდალური მიწისმფლობელობის განვითარება XIII—XV სს. . 785
ა. მსხვილი მამულის სოციალური ბუნება 785
ბ. მსხვილი მამულები 791
გ. მსხვილი მამულის შინაგანი ორგანიზაცია 801

თავი მეთხუთმეტე. ცენტრალური ხელისუფლების ბრძოლა დარღვეულ სოციალურ ურთიერთობათა აღსადგენად (XIV—XV სს.) (ბ. ლომინაძე) 808

თავი მეთექვსმეტე. ქართული კულტურა XIII—XV საუკუნეებში . 819

§ 1. კულტურულ-საგანმანათლებლო კერები საქართველოში და მის გარეთ (თ. პაპუაშვილი) 819
§ 2. ისტორიოგრაფია 834
§ 3. ლიტერატურა 843
§ 4. კანონმდებლობა 846
§ 5. ხელოვნება (ვ. ბერიძე) 853
საძიებელი 856
გეოგრაფიული და ეთნიკური სახელები 871
შემოკლებათა განმარტება 885

გამომცემლობის რედაქტორები: ი. ზაალიშვილი, ჯ. ნანუკაშვილი
მხატვარი ლ. გრიგოლია
მხატვრული რედაქტორი კ. ტუხაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მ. ანუაშვილი
კორექტორები: ნ. თავაძე, ნ. კირთაძე, ლ. გულიაშვილი
გამომშვები ა. სააკაძე

გადაეცა წარმოებას 2/I 78 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/VII 79 წ.
საბეჭდი ქაღალდი № 1, 70×97 1/16, პირობითი ნაბეჭდი თაბახი 70,25+
+ჩაკერა 7,56, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 60,79
ტირაჟი 20.000 შეკვ. № 494.
ფასი 4 მან. 80 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ი. ჭავჭავაძის სახ. თბილისის წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика, им. И. Чавчавадзе, Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.